გიორგი ცაავა, გიორგი ხანთაძე

საბანკო მენეჯმენტი

(თეორია, მეთოდები და პრაქტიკა)

დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ გამოსაცემად სტუ-ის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ
15. 12. 2014, ოქმი №3



თბილისი
2015

GIORGI TSAAVA, GIORGI KHANTADZE

BANKING MANAGEMENT

(THEORY, METHODS & PRACTICE)

Tbilisi
2015

UDC (უაკ) 336.71+005
ც-12

ცაავა გ., ხანთაძე გ., – **საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა),** სახელმძღვანელო – თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2015 – 800 გვ.

ნაშრომი დამუშავებულია საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად. მასში განხილულია: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია და მართვა, საბანკო მენეჯმენტის არსი და შინაარსი; სტრატეგიული მართვისა და ეფექტიანური დაგეგმვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში; კომერციული ბანკის კაპიტალის, აქტივების ხარისხის შეფასება და ანალიზი და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მენეჯმენტი; მოგებისა და ლიკვიდობის ანალიზი; ჰეჯირების მეთოდის შეფასება, ფორვარდები, სავალუტო სვოპები და ოპციონები; გარესაბალანსო ოპერაციების ანალიზი, აკრედიტივები, სალაროს ნაშთები და ძვირფასი ლითონები; საერთაშორისო გაჭრობის დაფინანსება და საბანკო აქცეპტები; საბანკო მარკეტინგის არსი და თავისებურებების საკითხები, და სრულიად ახალი ინოვაცია საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის თავისებურებები.

სახელმძღვანელოში მოცემულია საბანკო მოსახურების გაწევის თანამედროვე მეთოდოლოგიების თავისებურებები, როგორიცაა: კომერციული ბანკის მიერ მომხმარებლებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში მოცემული პრაქტიკული მაგალითები გაუადვილებს მკითხველებს თეორიული საკითხების შესწავლა–გაცნობიერებას.

გამოცემა მომზადებულია უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, გამიზნულია ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისათვის. სახელმძღვანელო სასწავლო-პრაქტიკული სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული მეცნიერ-მკვლევარების, კომერციულ ბანკებში დასაქმებული სპეციალისტების, სახელმწიფო მოხელეების და საბანკო საქმის სიღრმისეული და ძრავალმხრივი გაცნობით დაინტერესებული მკითხველების ფართო წრისათვის.

მეცნიერ-რედაქტორები: **ანტონ ინგოროყვა** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ევგენი ბარათაშვილი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **რატი ბურდიაშვილი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ირინა ფიჩხაია – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ხათუნა ბარბაქაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გამომცემლობა „დანი", 2015

ISBN 978-9941-0-7037-2

Tsaava G., Khantadze G. - Banking Management (Theory, methods & practice), manual – Tbilisi, Publisher "Dani", 2015, 800 pp.

The work is processed according to the bank legislation. There are discussed the National (central) Bank's monetary policy strategy and management, the essence of banking management and content, bank management and human resource management assessment, strategic management and financial planning organization in commercial banks, assessment and analysis of commercial bank's capital and asset quality, bond portfolio management in commercial bank, profit analysis of the commercial bank, commercial bank liquidity analysis, assessment of the hedging method, forwards, currency swaps and options, analysis of the bank's off-balance sheet transactions, letters of credit, cash balances and precious metals, international trade finance and bank acceptances, the financial stability of the commercial bank's management features, bank marketing concept and features, and the innovation in Georgia- particularities of electronic signature.

In the textbook are given the peculiarities of modern demands of banking services, as: delivery of necessary information to the clients by the commercial banks.

The practical examples given in the different chapters of the textbook will make it easy to the reader to study-understand the theoretical questions.

The publication is prepared according to the demands of Higher University education standards; it is aimed to bachelors, undergraduates, doctoral candidates. The text book can be used in the educational-practical way for scientists-researchers, specialists employed at commerciai banks, state clerks and the broad circle of readers deeply and multilaterally interested in banking.

SCIENTIFIC EDITORS:

Prof. **Anton Ingorokva**
Prof. **Evgeni Baratashvili**

REVIEWER:

Prof. **Rati Burdiashvili**
Ass. Prof. **Irina Phichkhaia**
Ass. Prof. **Khatuna Barbakadze**

Publ. „Dani", 2015

ISBN 978-9941-0-7037-2

შინაარსი

შესავალი 11

თავი I. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია და მართვა 13

1.1. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები და რეფინანსირების განაკვეთის რეგულირება 14

1.2 ინფლაციის თარგეთირება, გაცვლითი კურსის რეჟიმი და საქონლის ფასების ინდექსი 20

1.3. ლარიზაციის რეგულირება და მონეტარული პოლიტიკის განხორციელების არხები 33

თავი II. საბანკო მენეჯმენტის არსი და შინაარსი 43

2.1. საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურა, პოლიტიკა და მეთოდური საფუძვლები 45

2.2. ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები კომერციულ ბანკებში 67

2.3. კომერციული ბანკის მდგრადობის საერთო-ეკონომიკური შინაარსის შემადგენლები 82

2.4. საბანკო მენეჯმენტის ფინანსურ-ტექნოლოგიური დიფერენციაცია და ეკონომიკური ინტერესების შედარებითი ანალიზი 96

თავი III. ბანკის მენეჯმენტის შეფასება და ადამიანური რესურსების მართვა 115

3.1. ადამიანური რესურსების მნიშვნელობა, დაქირავების პოლიტიკა და კორპორაციული კულტურა 116

3.2. ხელმძღვანელობა და მართვის სტილის შერჩევა 129

3.3. კომერციული ბანკის ადმინისტრაციის ადეკვატურობის შეფასება 140

3.4. რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შეფასება 148

3.5. ბანკის მენეჯმენტის საქმიანობის შეფასება 151

თავი IV. სტრატეგიული მართვისა და ფინანსური დაგეგმვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში 173

4.1. სტრატეგიული მართვა და დაგეგმვა კომერციულ ბანკებში 174

4.2. ფინანსური დაგეგმვის არსი და ძირითადი ეტაპები 178

4.3. ბიუჯეტირების პროცესი კომერციულ ბანკში 183

4.4. ფინანსური მენეჯმენტის საბაზისო მაჩვენებლები 187

თავი V. კომერციული ბანკის კაპიტალის, აქტივების ხარისხის შეფასება და ანალიზი 193

5.1. კომერციული ბანკის კაპიტალის ანალიზი და მისი ადეკვატურობის სტანდარტი 194

5.2. საზედამხედველო კაპიტალის არსი და სტრუქტურა 212

5.3. ხარისხობრივი და რაოდენობრივი მოსაზრებები ბანკის კაპიტალის შესახებ 219

თავი VI. საკრედიტო პორტფელის ანალიზი 245

6.1. საკრედიტო პორტფელის განხილვა და კლასიფიკაცია 246
6.2. ბანკის ინსპექტორის მიერ სესხების განხილვა და კლასიფიცირ. 281
6.3. ბანკის აქტივების ხარისხის შეფასების ამოცანები 298
თავი VII. კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის მენეჯმენტი. 311
7.1. საინვესტიციო სტრატეგია და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა 312
7.2. კომერციული ბანკის სავალო ფასიანი ქაღალდების პორტფელის და რისკის მართვის შეფასება 324
თავი VIII. კომერციული ბანკის მოგების ანალიზი 361
8.1. მოგებიანობის შეფასება და გაანალიზება 362
8.2. კომერციული ბანკის საკომისიო შემოსავალი და მოგება სხვა ოპერაციებიდან 384
8.3. კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდები 399
8.4. ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლების სრულყოფის საკითხები 418
8.5. მოგების საკუთარ კაპიტალზე შეფარდების დეკომპოზიციური ანალიზი – დიუპონის მოდელი 424
8.6. მოგების ფინანსური ანალიზის პროცედურების შეჯამება 438
თავი IX. კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზი 445
9.1. ლიკვიდობის ცნება, ფული და მისი ეკვივალენტები 446
9.2. კომერციული ბანკის აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდობა და ვადიანობა 457
9.3. ლიკვიდობის მართვა და სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის კონტროლი მის მართვაზე 465
9.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შემოწმების პროცედურები 479
თავი X. ჰეჯირების მეთოდის შეფასება, ფორვარდები, სავალუტო სვოპები და ოპციონები 501
10.1. ჰეჯირება, სავალუტო ფორვარდის ინდექსი და რისკი 502
10.2. საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო სვოპები, ოპციონები 523
10.3. ჰეჯირების შემოწმების მიზნები 540
თავი XI. კომერციული ბანკის გარესაბალანსო ოპერაციების ანალიზი, აკრედიტივები, სალაროს ნაშთები და ძვირფასი ლითონები 547
11.1. საკრედიტო ხაზი და აკრედიტივის ფორმები 548
11.2. აქტივების ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებათა შეფასება 565
11.3. გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების პროცედურები 573
11.4. სალარო ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე (ფულადი დოკუმენტები), ძვირფასი ლითონები 580
თავი XII. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება და საბანკო აქცეპტები 587
12.1. საერთაშორისო კრედიტებით დაფინანსების მიზნები 588

12.2. დისკონტირებული და უცხოეთიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ გამოწერილი სავაჭრო აქცეპტები 596
12.3. ფაქტორინგი და ფორფეიტინგი 600
12.4. უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების შემოწმების პროცედურები და შედეგები 607
თავი XIII. საბანკო მარკეტინგის არსი და თავისებურებები 619
13.1. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ცნება და დახას. 621
13.2. საბანკო მარკეტინგის ცნება, მისი კონცეფცია და შემადგენელი ელემენტები 627
13.3. ბანკის მარკეტინგული პოლიტიკა და ბაზრის სეგმენტაცია 646
13.4. საბანკო მარკეტინგის ძირითადი მეთოდები და პრაქტ. ბანკებში 660
13.5. მარკეტინგის ფინანსები: ფასობრივი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები 664
თავი XIV. კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის თავისებურებები 675
14.1. ბანკის დაგეგმვის მოდელი პორტფელური შეზღუდვების საფუძველზე 677
14.2. ბანკის მონიტორინგი და ანალიზი ბალანსური გაერცობის საფუძველზე 684
14.3. კომერციული ბანკის მოდიფიცირებული საბალანსო განტოლების მოდელი 701
თავი XV. ელექტრონული ხელმოწერა საბანკო სისტემაში 725
15.1. ელექტრონული ხელმოწერის არსი და მხარეები 726
15.2. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები 732
15.3. ხელმოწერის შექმნისა და გადამოწმების პროცესი და გარემო 741
15.4. ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა და კომერციულ ბანკის ელექტრონული შტამპი 744
15.5. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კრიტერიუმები და ადმინისტრაციული მოთხოვნები 757
15.6. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ფუნქციონალური აღწერა და განაცხადის კომპონენტები 761
საერთაშორისო საკრედიტო და სავაჭრო ტერმინოლოგია 767
ელექტრონული ხელმოწერის მეთოდოლოგიური ტერმინოლოგია 786
გამოყენებული ლიტერატურა 793
ავტორების შესახებ 800

CONTENT

Introduction **11**

Chapter I. The National Bank's monetary policy strategy and management **13**

1.1. Monetary policy instruments and the refinancing rate adjustment 14

1.2. Inflation targeting, exchange rate regime and the commodity price index 20

1.3. Inflation targeting, exchange rate regime and commodity price index 33

Chapter II. The essence of banking management and content **43**

2.1. The bank management structure, policy and methodological foundations 45

2.2. Features of Financial Management in Commercial Banks 67

2.3. Overall economic content components of the bank's sustainability 82

2.4. Financial- technological differentiation of the bank management and comparative analysis of the economic interests 96

Chapter III. Bank management and human resource management assessment **115**

3.1. The importance of human resources, recruitment policies and corporate culture 116

3.2. The leadership and management style selection 129

3.3. Assessment of the bank's administration adequacy 140

3.4.Assessment of the adequacy of the risk management system 148

3.5. Assessment of the bank management activities 151

Chapter IV. Strategic management and financial planning organization in commercial banks **173**

4.1. Strategic management and planning of commercial banks 174

4.2. The essence of financial planning and major stages 178

4.3. Budgeting process in a commercial bank 183

4.4. Basic indicators of the financial management 187

Chapter V. Assessment and analysis of commercial bank's capital and asset quality **193**

5.1. Analysis of the bank's capital and its adequacy standard 194

5.2. The essence and structure of the regulatory capital 212

5.3. Qualitative and quantitative considerations about bank's capital 219

Chapter VI. Credit portfolio analysis **245**

6.1. Classification and discussion of a credit portfolio 246

6.2. Loan Classification by the bank inspector 281

6.3. The tasks of a bank's asset quality assessment 298

Chapter VII. Commercial bank Securities portfolio analysis **311**

7.1. Investment strategy and securities portfolio management 312

7.2. Commercial bank debt securities and risk management assessment 324

Chapter VIII. Commercial bank profit analysis **361**

8.1. Analysis and assessment of profitability 362

8.2. Commercial bank commission income and profit from other operations 384

8.3. Methods for financial analysis commercial bank financial condition 399

8.4. Improvement issues for bank profitability Key Indicators 418

8.5. Decompositional analysis of profit equity ratios-Dupont model 424

8.6. Summary of profit financial analysis procedures 438

Chapter IX. Commercial bank liquidity analysis **445**

9.1. The notion of liquidity, money and its equivalents 446

9.2. Liquidity and maturities of commercial bank assets and liabilities 457

9.3. Liquidity management and its control by supervisory board and management 465

9.4. Commercial bank liquidity verification procedures 479

Chapter X. Hedging method essessment, forwards, exchange swaps and Options.501

10.1. Hedging, forward exchange index and risk 502

10.2. Interest rate and exchange swaps, options 523

10.3. Aims of hedge inspection 540

Chapter XI. Commercial bank's off-balance sheet operations analysis, letters of credit, Cash Balances and precious metals **547**

11.1. Credit line and forms of letter of credit 548

11.2. Asset purchase and sale commitments rate 565

11.3. Off-balance sheet operations procedures 573

11.4. Cash balances on correspondent accounts (Cash documents), precious metals 580

Chapter XII. International trade finance and bank acceptances **587**

12.1. International credit financing objectives 588

12.2. Trade acceptances issued for discounted and foreign receivables amounts 596

12.3. Factoring and forfeiting 600

12.4. Foreign debts financing checking procedures and results 607

Chapter XIII. The essence and the characteristics of bank marketing **619**

13.1. Concept and review of banking products and services 621

13.2. Bank marketing concept, its conception and constituent elements 627

13.3. Bank marketing policy and market segmentation 646

13.4. Basic bank marketing methods and practices in banks 660

13.5. Marketing Finances: Basics of price decisions 664

Chapter XIV. The financial stability of the commercial bank's management features **675**

14.1. The bank planning model based on the portfolio constraints 677

14.2. Bank monitoring and analysis based on the extent of balance 684

14.3. Modified balance equation model for the commercial bank 701

Chapter XV. Electronic signature in banking system **725**

15.1. The essence and its different sides of the electronic signature 726

15.2. The legal grounds for the introduction of an electronic signature.... 732
15.3. Signature creation and verification process and circumstances 741
15.4. Biometric data of the electronic signature and commercial bank's electronic stamp..... 744
15.5. Criteria for implementation of electronic signature and administrative requirements..... 757
15.6. Functional details of electronic signature creation device and application components..... 761
International Credit and Trade Terminology **767**
Methodological terminology of electronic signature **786**
Used literature **793**
About the authors **800**

შესავალი

თანამედროვე პირობებში, როდესაც კაპიტალის ბაზარზე ფულადი რესურსების მოზიდვისა და კაპიტალის განთავსების სფეროებში მწვავე კონკურენცია არსებობს, ბანკების მართვის პრობლემა, ანუ რაციონალური საბანკო მენეჯმენტის შერჩევა და განხორციელება, მეტად აქტუალურია. იგი საჭიროა ბანკის ოპერაციების გაფართოებისათვის, ბაზარზე დამკვიდრებისათვის და მოგების მიღებისათვის. ამიტომ ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საბანკო მენეჯმენტი, რომელიც მუშაობდა, თითქმის წესი, ბანკის მართვის ყველა რგოლის მიერ – უმაღლესიდან უდაბლესების ჩათვლით.

საბანკო მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების განხილვა მართვის საერთო მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ეფუძნება, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში კორპორაციები და კომპანიები იყენებენ.

საბანკო საქმიანობის სპეკულაციური ბიზნესიდან რეალური ეკონომიკის სფეროში გადაორიენტირება ბანკის მთლიანი საქმიანობის ახალი კონტროლის სისტემის რეორგანიზაციას მოითხოვს. ამიტომ, მოცემულ მომენტში, კომერციული ბანკების წინაშე, უპირველეს ყოვლისა, საბანკო მენეჯმენტის და ყველა მისი შემადგენლის: ბიზნეს-მენეჯმენტის, ფინანსური მენეჯმენტის, ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ხარისხის ამაღლების აუცილებლობა წარმოიშვა.

რისკის ზომიერების ფარგლებში განხორციელების ოსტატობა, მთლიანობაში, მეწარმეობის კულტურის ერთ-ერთი, ხოლო საბანკო საქმიანობაში – განსაკუთრებული ელემენტია. თანამედროვე კომერციული ბანკი სხვა ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან მკაცრი კონკურენციის პირობებში მუშაობს. იგი მოწოდებულია მუდმივად იბრძოლოს კლიენტების მოძიებისათვის. სტაბილური ბანკი მუდმივად ცდილობს კლიენტს შესთავაზოს ახალი საბანკო პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც მისთვის და მისი კლიენტებისათვის საჭირო მოგების, საიმედოობის და სტაბილურობის, აგრეთვე, საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე სწრაფად რეაგირების შესაძლებლობას უზრუნველყოფენ. კარგი ისტორიის მქონე მრავალრიცხოვანი კლიენტი კი ბანკისათვის აქტივე-

ბისა და ლიკვიდობის ზრდის მანიშნებელია. ბანკის მართვის საიმედობას განსაზღვრავს შემდეგი მახასიათებლები:

1. ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა სტრატეგიულ ანალიზში, დაგეგმვაში, პოლიტიკის შემუშავებაში და მმართველობით ფუნქციებში;
2. დაგეგმვის ხარისხი;
3. რისკების მართვა (საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო);
4. ბანკის ლიკვიდურობის მართვა;
5. ადამიანური რესურსების მართვა;
6. სისტემური კონტროლის შექმნა: აუდიტი და შიდა აუდიტი; შეგროსავლიანობის, რისკების ლიკვიდობის მონიტორინგი;
7. [illegible]ოიანი საინფორმაციო ტექნოლოგია: საბუთბრუნვის, ბუღალტრული აღრიცხვის, მიმდინარე ანალიზისა და კონტროლის, სტრატეგიული დაგეგმვის ავტომატიზაცია.

წინამდებარე სასწავლო სახელმძღვანელო ეძღვნება საბანკო მენეჯმენტის ორგანიზაციული საკითხების განხილვას, მსოფლიო საბანკო პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკის მართვასთან, მის ოპერაციებთან და საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

სახელმძღვანელოს მიზანია, გააცნოს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მკითხველს საბანკო მენეჯმენტის პრინციპები, ორგანიზაცია და რეალიზაცია, თანამედროვე საბაზრო პირობებში ბანკის მართვის ძირითადი ბერკეტები, ამ მიმართებით მათ ხელი შეუწყოს მსოფლიო და ეროვნულ პრაქტიკულ საკითხებში გარკვევაში, აგრეთვე, ნაშრომში განხილულია საბანკო საქმიანობის მართვის ეფექტიანი სისტემის ორგანიზაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მმართველობითი გადაწყვეტილებების რეალიზაციაზე დაგეგმვისა და კონტროლის განხორციელების მექანიზმები, საბანკო მენეჯმენტის თითოეული ელემენტის ანალიზის საკითხები.

სახელმძღვანელოში მოცემულია საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის თავისებურებებიც. ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს საქართველოს საბანკო სექტორში ქაღალდზე შესრულებული ხელმოწერის ჩანაცვლებას ელექტრონული ხელმოწერითა და ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვით ყველა იმ შესაძლო ოპერაციაზე, რომლებზეც კონკრეტული კომერციული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას.

I თავი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია და მართვა

შინაარსი:

1.1. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები და რეფინანსირების განაკვეთის რეგულირება;
1.2. ინფლაციის თარგეთირება, გაცვლითი კურსის რეჟიმი და საქონლის ფასების ინდექსი;
1.3. ლარიზაციის რეგულირება და მონეტარული პოლიტიკის განხორციელების არხები.

ძირითადი ელემენტები:

1. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი;
2. რეფინანსირების, ანუ იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი;
3. საქართველოში მოქმედი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი;
4. „ბლუმბერგის" სავაჭრო სისტემა;
5. სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
6. ინფლაციის შეფასების მეთოდები;
7. გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთებისა და მოლოდინის არხები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

სქემა 1.1. მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი.

11. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები და რეფინანსირების განაკვეთის რეგულირება

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი. იგი წარმოადგენს მთავრობისგან დამოუკიდებელ ორგანოს და აღნიშნულ პროცესში ხელმძღვანელობს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონითა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებით „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ფულად-საკრედიტო და სავალუტო საკითხების განხილვა ხდება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს გასატარებელი მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ.

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელების ღონისძიებების განხილვა ხდება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ. კომიტეტის გადაწყვეტილება, რეკომენდაციის სახით მიეწოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. კომიტეტი შედგება 12 წევრისაგან. მის შემადგენლობაში შედიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი, შესაბამისი დეპარტამენტებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ წინასწარ ცნობილი კალენდრის შესაბამისად (განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მოწვეულ იქნეს რიგგარეშე სხდომა) და იღებს გადაწყვეტილებებს მიზნობრივი ინფლაციის გამოცხადებასთან დაკავშირებით, პოლიტიკის განაკვეთის განსაზღვრასთან დაკავშირებით, აგრეთვე ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შესახებ სხვა გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს ეროვ-

ნული ბანკის შესახებ კერძოდ, ღია ბაზრის და სხვა ფულად–საკრედიტო და სავალუტო ოპერაციები, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისია და მიმოქცევა, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშება და დაცვის წესების განსაზღვრა; ეროვნული ბანკის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა ფულად–საკრედიტო ოპერაციებზე (გარდა ბოლო ინსტანციის სესხისა) საპროცენტო განაკვეთების დადგენა; მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმების განსაზღვრა; ფულად–საკრედიტო, სავალუტო და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება.

მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება, მონეტარული პოლიტიკის ძირითადი განაკვეთის ცვლილების ან უცვლელად დატოვების შემთხვევაში, იმავე დღეს ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს კომიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს – „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, რომელიც შეიცავს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს მომავალი სამი წლისთვის და მის მისაღწევად გასატარებელ ღონისძიებებს.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი) ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და ის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს საბაზრო განაკვეთებისათვის.

გადაწყვეტილება პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე მიიღება მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსურ ბაზრებზე დაკვირვების შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ. მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გათვალისწინება ხდება, ვინაიდან გატარებული პოლიტიკის შედეგი ეკონომიკაზე დროის

ანალიზური პერიოდის შემდეგ აისახება. თუ პროგნოზირებული მაკროსიტუაცია ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი გააშკარავებს მონეტარული პოლიტიკას და აწევს საპროცენტო განაკვეთს, რათა შეზღუდული იყოს მომავალში ფასების დონის მატება. შედეგად, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც სულავლენას მოახდენს ფასების ზრდის ტემპზე. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა არის დაბალი და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი ნაკლებია მიზნობრივ ეროვნული ბანკის მიერ გატარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა – შემცირდება საპროცენტო განაკვეთი, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაეცემა სესხების საპროცენტო განაკვეთს და გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას.

რეფინანსირების, ანუ იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული ერთკვირიანი სესხების მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის მიერ გამოიყენება მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებიც.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკი ეყრდნობა ეკონომიკის მრავალმხრივ ანალიზსა და მაკროეკონომიკურ მოდელირებას. მონეტარული პოლიტიკის ენდოგენურობის გათვალისწინებით მაკროეკონომიკური მოდელირება ეფექტიან იარაღს წარმოადგენს პროგნოზირებისთვის. იგი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ინფლაციის სათანადო პროგნოზს, ხოლო მეორე მხრივ, იძლევა მკაფიო ინსტრუქციას მონეტარული ინსტრუმენტებით რეაგირებისთვის, რათა ინფლაცია დაბრუნდეს მიზნობრივ დონეზე.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს შერბილებული, გამკაცრებული ან ნეიტრალური. ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობისას, როდესაც ეკონომიკა არ განიცდის შოკებს მიწოდების და მოთხოვნის მხრიდან,

მასტიმულირებელი პოლიტიკის განაკვეთი მის ნეიტრალურ დონეზეა. ანუ „ნეიტრალური განაკვეთი“ წარმოადგენს საბაზისო დონეს, რომლის დროსაც მონეტარული პოლიტიკა არც შერბილებულია და არც ექსპანსიურია, გამოშვება მის პოტენციურ დონეზეა და ინფლაციაც სტაბილურია. პოლიტიკის განაკვეთის გადახრა ნეიტრალური დონიდან განპირობებულია ეკონომიკური ციკლებით

რეცესიებითა და ბუმებით, რაც მონეტარული პოლიტიკის ცვლილების საჭიროებას იწვევს. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთები სცილდება ნეიტრალურ მაჩვენებელს: ბუმის დროს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ნეიტრალურ დონეზე მაღლაა, რეცესიის დროს კი – პირიქით. გრძელვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი საშუალოდ ნეიტრალური განაკვეთის ტოლი იქნება.

მსოფლიოს ყველა ძირითადი ცენტრალური ბანკის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ინსტრუმენტად გამოიყენება მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი. მოკლევადიანი განაკვეთების ცვლილება შემდგომ გადაეცემა გრძელვადიან განაკვეთებს და გავლენას ახდენს ეკონომიკის მდგომარეობაზე. მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმს გააჩნია დროითი ლაგი, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს დაახლოებით 4-6 კვარტალს. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტის ცვლილება გავლენას ახდენს მომავალ ინფლაციაზე. შესაბამისად, ფასების სტაბილურობის ეფექტიანად მიღწევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროგნოზო ინფლაცია.

როგორც აღინიშნა, ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მიმართულია მთავარი ფუნქციის – ფასების სტაბილურობის შენარჩუნებისკენ. როცა მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია იქნება მიზნობრივ დონეზე მაღალი, ეროვნული ბანკი ზრდის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს და პირიქით.

თუ მსყიდველს შემთხვევაში ეროვნული ბანკი თავს შეიკავებს პოლიტიკის განაკვეთის ზრდისგან, ეს მაინც ვერ დაიცავს მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთების მატებისგან, რადგან განაკვეთის უცვლელად შენარჩუნება (როცა იკვეთება მისი გაზრდის საჭიროება) გამოიწვევს ინფლაციის მოლოდინის და შედეგად ფაქტიური ინფლაციის ზრდას. მაღალი ინფლაცია და გაზრდილი ინფლაციური მოლოდინები გამოიწვევს ნომინალური საპროცენტო განაკვეთების მატებას პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების პირობებშიც კი. გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში განაკვეთის დაბალ დონეზე შენარჩუნება კიდევ უფრო გაამწვავებს მაღალი ინფლაციის პრობლემას და საბოლოოდ დადგება პოლიტიკის განაკვეთის სწრაფად და მკვეთრად გაზრდის საჭიროება, შედეგად საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება იმაზე უფრო მეტად, ვიდრე პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი ზრდის შედეგად გაიზრდებოდა. პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი და ზომიერი ზრდა კი საშუალებას აძლევს ეკონომიკურ აგენტებს წინასწარ განჭვრიტონ მოსალოდნელი ცვლილება და გაითვალისწინონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საპროცენტო განაკვეთები გრძელვადიან პერიოდის განმავლობაში ყველაზე დაბალი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონეტარული პოლიტიკა ბიზნეს ციკლის ადექვატურად შეიცვლება. შესაბამისად პოლიტიკის განაკვეთის დროული ცვლილება, გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ყველაზე დაბალ საპროცენტო განაკვეთებს.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება შემდეგნაირად აისახება სხვადასხვა ტიპის სესხების საპროცენტო განაკვეთებზე:

ცვლადი საპროცენტო განაკვეთის არსებულ სესხებზე, საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება ინდექსის ცვლილების შესაბამისად. მაგ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე ინდექსირებული სესხის

განაკვეთი, პოლიტიკის განაკვეთის 0.25 პროცენტული პუნქტით გაზრდის შემთხვევაში, ასევე გაიზრდება 0.25 პროცენტული პუნქტით.

არსებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე საპროცენტო განაკვეთი არ უნდა შეიცვალოს. ხოლო ფიქსირებული პროცენტის მქონე ახალ სესხების შემთხვევაში პოლიტიკის განაკვეთის არსებული და მოსალოდნელი ცვლილება გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაეცემა სესხების საპროცენტო განაკვეთებს.

ინფლაციის დონის მიზნობრივ მაჩვენებელზე შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი იყენებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, რომლის ცვლილებაც მონეტარული გადაცემის მექანიზმის საშუალებით ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და შედეგად იცვლება ფასების დონეც. ამ მიზნის მისაღწევად სებ-ი იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორებიცაა რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები, ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. ამ ინსტრუმენტების საშუალებით ეროვნული ბანკი ფინანსურ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთს არეგულირებს. ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მცირდება საბანკო რესურსები რაც, შესაბამისად, ფულის მასის შემცირებას იწვევს და ხდება საბანკო სისტემიდან ჭარბი ლიკვიდობის ამოღება. გარდა ამისა, სადეპოზიტო სერტიფიკატები და სახაზინო ფასიანი ქაღალდები მიეკუთვნება დაბალი რისკის მატარებელი აქტივების კლასს და კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს შეამციროს საკრედიტო პორტფელის რისკიანობის მაჩვენებელი. ამავდროულად, ვითარდება ფასიანი ქაღალდების ბაზარიც.

ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სისტემას მოკლევადიანი ლიკვიდობა მიეწოდება. მათი გაცემა ხორციელდება აუქციონების საშუალებით, შესაბამისი გირაოს წარმოდგენის საფუძველზე. ერთკვირიანი რეფინანსირების

სესხებით სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გადაეცემა საბანკო სექტორის ჯერ მოკლევადიან და შემდგომ კი გრძელვადიან განაკვეთებს. ერთდღიანი სესხებისა და ერთდღიანი დეპოზიტების განაკვეთების საშუალებით იქმნება ე.წ. კორიდორი ბანკთაშორის ბაზარზე, რომელიც ამცირებს ამ ბაზრის განაკვეთის მერყეობას.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები არის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით ეროვნული ბანკი გავლენას ახდენს მონეტარულ აგრეგატებსა და ფულის [illegible] გარდა ამისა, სავალდებულო რეზერვების მოთხოვნის გამოყენებით სებ-ი უზრუნველყოფს ბანკების მიერ საჭირო ლიკვიდური სახსრების არსებობას რეზერვში მოულოდნელი ფულადი გადინების დასაფარად. სარეზერვო მოთხოვნების გაზრდა იწვევს დაკრედიტებისთვის საჭირო ფულადი სახსრების შემცირებას ბანკებისთვის, ხოლო დაწევა კი – პირიქით, გამოიწვევს ფულის მიწოდების გაზრდას.

მონეტარული პოლიტიკის ამ ინსტრუმენტების გამოყენების მთავარი მიზანი ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენის მოხდენაა, რაც საბოლოოდ აისახება ინფლაციის მაჩვენებელზე.

12 ინფლაციის თარგეთირება, გაცვლითი კურსის რეჟიმი და საძონლის ფასების ინდექსი

2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნეს შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი და შემდგომ მტკიცდება პარლამენტის მიერ.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი შედარებით ახალ პრაქტიკას წარმოადგენს და 90–იანი წლებიდან მოყოლებული საკმაოდ [illegible]ებული გამოდგა ინფლაციასთან ბრძოლაში. აღნიშნული რეჟიმი პირველად ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა [illegible]ერგა 1990 წელს.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს წინასწარ ცხადდება საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი – ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. ინფლაციის ერთ–ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად ეროვნული ბანკის მიზანს სწორი ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამიტომ ეროვნული ბანკი მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას მისი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ დადგენილი ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ.

ინფლაციის თარგეთირების ამოქმედებამდე ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ეყრდნობოდა მონეტარულ თარგეთირებას, რაც ფულის მასის სასურველი ზრდის ტემპის მიღწევას გულისხმობდა. მონეტარული თარგეთირების პირობებში ეროვნული ბანკი იყენებდა ფულის მასას, როგორც შუალედურ რგოლს, ინფლაციის სარეგულირებლად. ამ რეჟიმის პირობებში, ინფლაციის თარგეთირებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სტაბილური კავშირი ფულის მასასა და ინფლაციას შორის. თუმცა პრაქტიკაში ფულზე მოთხოვნა ცვალებადია (განსაკუთრებით გადახდის ახალი საშუალებებისა და საბანკო სისტემის სწრაფად განვითარების პირობებში), რაც ცვლის

კავშირის მონეტარული აგრეგატების ზრდასა და ფულის ზრდას შორის და წარმოიშვება თარგეთის – ფულის მასის ზრდის ტემპის მუდმივი გადახედვის საჭიროება. შესაბამისად აქტიური მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში, ფულის მასის საოპერაციო თარგეთად გამოყენება არაეფექტიანია. ვინაიდან დროთა განმავლობაში დაირღვა მანამდე არსებული სტაბილური კავშირი ეროვნული ბანკის მიერ მართვად მაჩვენებელსა (სარეზერვო ფული) და საბოლოო მიზანს (ინფლაცია) შორის, მონეტარული თარგეთირება გახდა ნაკლებად ეფექტიანი ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და წარმოიქმნა ახალ რეჟიმზე გადასვლის საჭიროება.

კაპიტალის თავისუფალი მობილობის (ლიბერალიზებული კაპიტალის ანგარიშის) პირობებში, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მოითხოვს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის არსებობას. აღნიშნული რეჟიმის პირობებში სავალუტო ბაზარი ხასიათდება მოკლევადიანი რყევებით. ასეთი რყევები კიდევ უფრო დიდია საქართველოს მსგავს პატარა და ღია ეკონომიკის, მაღალი დოლარიზაციის მქონე ქვეყნებში, რაც უკავშირდება სავალუტო ბაზრის მცირე მოცულობასა და კაპიტალის მერყევ ნაკადებს. სამთავრობო თუ კერძო სექტორის ოპერაციებით გამოწვეული გაცვლითი კურსის გადაჭარბებული მერყეობის შემცირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი დროგამოშვებით ახორციელებს ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს არ გააჩნია გაცვლითი კურსის მიზნობრივი მაჩვენებელი.

საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. საქართველო წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას, რომელიც არის მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი და არ გააჩნია ოპტიმალური სავალუტო სივრცე პარტნიორ ქვეყნებთან. შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკის რყევები აისახება საქართველოს

ეკონომიკაზეც. მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისათვის მცურავი გაცვლითი კურსი ასრულებს შოკების მშთანთქავ ფუნქციას, ანუ საგარეო შოკის შემთხვევაში გაცვლითი კურსის ცვალებადობა ასუსტებს აღნიშნული შოკის გავლენას რეალურ ეკონომიკაზე - ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე. საქართველოსთვის მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი არის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმი.

სავალუტო ბაზრის განვითარების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა დაწყო გაცვლითი კურსის რეფორმა და მანამდე არსებული ორმაგი ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა ჩაანაცვლა სავალუტო აუქციონებით, რომელიც ამჟამად წარმოადგენს სავალუტო ბაზარზე ინტერვენციის ერთადერთ ინსტრუმენტს. აღნიშნული რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული ბანკის ინტერვენციების საჭიროება სავალუტო ბაზარზე და მისი წილი სავალუტო ვაჭრობებში. ახალმა პოლიტიკამ საგრძნობლად გაზარდა კურსის მოკლევადიანი მერყეობა, რაც სავალუტო ბაზრის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამგვარად, გაცვლითი კურსი გახდა არაპროგნოზირებადი მოკლევადიან პერიოდში, რამაც მოხსნა დესტაბილიზაციური სპეკულაციისადმი ინტერესი და შედეგად გაზარდა ლარის სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში. ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა გულისხმობს სავალუტო ბაზარზე მინიმალურ ჩარევას. სავალუტო ინტერვენციების მიზანია კაპიტალის დროებითი, ჭარბი ნაკადების გამო გაცვლითი კურსის გადაჭარბებული რყევების შემცირება და კერძო და სახელმწიფო სექტორების საგარეო დაფინანსებებს შორის დისბალანსის ნაწილობრივ კორექტირება. გრძელვადიან პერიოდში, ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს სავალუტო ინტერვენციების კიდევ უფრო შემცირებას და საბოლოოდ გაუქმებას.

მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ქვეშ მოქმედი გაცვლითი კურსი მთლიანად განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ,

რომელიც შედგება კომერციული ბანკებისგან, საინვესტიციო ფონდებისგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა–გაყიდვა შედის. ცხადია, რომ მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება საგრძნობი მერყეობით, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწოვ ფუნქციასაც.

ბულალტრული და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის ხშირად გამოიყენება ლარის ოფიციალური კურსი, რომელიც გაიანგარიშება ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების ხარჯვით.

ბანკთაშორის ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში („ბლუმბერგი"). დადებულ გარიგებათა გათვალისწინებით გამოითვლება ლარის საშუალო შეწონილი კურსი აშშ დოლარის მიმართ, რომელიც ცხადდება ოფიციალურ გაცვლით კურსად შემდგომი დღისთვის. სხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე (დღის სამი საათისათვის) არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე. გადაანგარიშებისთვის საჭირო გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს „როიტერის", „ბლუმბერგის" საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნების ცენტრალური ბანკები. ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გავრცელება ამ სისტემებიდან ხდება ავტომატურ რეჟიმში.

ინფორმაცია ოფიციალური გაცვლითი კურსების შესახებ ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, არა უგვიანეს გაანგარიშების დღის 17:00 საათისა (როგორც წესი გამოქვეყნება ხდება 16:30-16:45 პერიოდში).

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქცია საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მართვაა, რომელიც მისი ბალანსის ყველაზე

ლსხვილ აქტივს წარმოადგენს. საერთაშორისო სარეზერვო აქტივების დასაშვები შემადგენლობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

საერთაშორისო სარეზერვო აქტივების გაანგარიშდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიით და ქვეყნდება თვის დამთავრებიდან მე-7 დღეს, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე.

საერთაშორისო რეზერვების მართვის ძირითად პრინციპებსა და სტრატეგიებს ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო. ძირითადი პრინციპებია პირველ რიგში უსაფრთხოება, შემდეგ ლიკვიდურობა და ბოლოს შემოსავლიანობა. შესაბამისად საერთაშორისო რეზერვები განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე სახელმწიფო და მულტინაციონალურ ფასიან ქაღალდებსა და ბანკების დეპოზიტებზე.

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში მოქმედებს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რადგანაც მცურავი გაცვლითი კურსი ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უფრო მეტად ვიდრე ეს ფიქსირებული კურსის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე ეროვნული ბანკის ამოცანას არ წარმოადგენს ლარის კურსის ფიქსაცია, შესაბამისად არ ხდება ბანკის ჩარევა სავალუტო ბაზრის პროცესში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს კურსის მკვეთრ ცვლილებას.

საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი, რომელიც მიმოქცევაში 1995 წლიდან გავიდა, აშშ დოლარზე 1997 წლამდე იყო მიბმული – ამის მიზეზი გახლდათ ქვეყანაში მოქმედი ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი. გაცვლითი კურსის მსგავსი პოლიტიკის პირობებში ქვეყნის ვალუტა მიბმულია რომელიმე სხვა ქვეყნის ვალუტასთან ან ვალუტების კალათასთან. იმ პერიოდისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი სასურველ ალტერნატივას

წარმოადგენდა, ვინაიდან ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის პირობებში, რაც ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებით იყო გამოწვეული, ისედაც შესუსტებული იყო ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და გაცვლითი კურსის მიბმა უზრუნველყოფდა კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას (აშშ დოლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად) და ნდობის აღდგენას.

1997 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით - მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად როგორც თეორიული მოსაზრებები, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელმაც აჩვენა რომ ჩვენი ქვეყნის მსგავსი წყობისთვის მცურავ გაცვლითი კურსის რეჟიმს უფრო მეტი უპირატესობანი გააჩნია ვიდრე ფიქსირებულ რეჟიმს.

ქვეყნისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი ან საერთო ვალუტის შემოღება ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იძლევა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საშუალებას. იმისათვის რომ ეს პირობა რეალურად განხორციელდეს, საჭიროა, რომ მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობდეს კაპიტალისა და შრომის რესურსების მობილურობა, რისკის გაზიარების პრინციპი და ერთნაირი ბიზნეს ციკლები. საქართველოსა და აშშ-ს შემთხვევაში კი ეს წინაპირობები არ არის და შესაბამისად არის საფუძველი იმისა, რომ ფიქსირებული კურსის რეჟიმი გახდეს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მიზეზი.

აშშ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილ სავაჭრო პარტნიორია, თუმცა ჩვენი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობები ვრცელდება ბევრს სხვა ქვეყანაზე, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ვალუტები და გაცვლითი კურსის რეჟიმები. შესაბამისად, ლარის კურსის დოლარზე მიბმა გამოიწვევს მის ფიქსირებას ერთი ვალუტის მიმართ და დარჩება ცვალებადი სხვა ვალუტების მიმართ. აქედან გამომდინარე ლარის კურსის დაფიქსირება პრაქტიკულად შეუძლებელია. 1990-იანი წლების ბოლოს აზიის კრიზისმა აჩვენა, რომ დოლარის კურსის გამყარებამ გამოიწვია მასზე მიბმული ვალუტების გამყარებაც სხვა ვალუტების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ დამოკიდებული დოლარზე. წამყვანი ვალუტის გამყარების შედეგად შემცირდა მასზე მიბმული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნებთან მიმართებაში და გამოიწვია ექსპორტის ვარდნა და იმპორტის მატება, რაც იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას. მსგავსმა პრობლემამ იჩინა თავი როგორც ბალტიისპირეთის, ასევე ლათინოამერიკის ზოგიერთ ქვეყნებშიც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ფერხდება ეფექტური და დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. მაგალითად, რეცესიული ეკონომიკის პირობებში, როდესაც საჭიროა ეკონომიკის წახალისება და ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გატარება, როგორც ეს საქართველოში მოხდა 2008-2009 წლებში, დოლარზე მიბმული კურსის არსებობა შეზღუდავდა ეროვნული ბანკისა თუ მთავრობის ღონისძიებების არეალს და შეამცირებდა მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობას, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ერთდროულად ორ აგრეგატზე – ფულის მიწოდებასა და გაცვლით კურსზე ზემოქმედება. გარდა ამისა, როცა საქართველო და აშშ იმყოფება ბიზნეს ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, მათი ეკონომიკებისთვის მიზანშეწონილია სხვადასხვა სახის მონეტარული პოლიტიკის გატარება. მაგალითად, თუ ამერიკაში არის რეცესია და ტარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა, იგი ავნებს საქართველოს ეკონომიკას, როცა ის გაფართოების სტადიაზეა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ფიქსირებული კურსის რეჟიმი ხელს უწყობს გარე (ეგზოგენური) ინფლაციის იმპორტირებას ქვეყანაში და კიდევ უფრო ამწვავებს ეგზოგენური

ფაქტორებით გამოწვეულ კრიზისებს, მაშინ როდესაც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გარე შოკების შემწოვი ერთ-ერთი საშუალებაა და ავტომატური მასტაბილიზირებელის როლს თამაშობს. ეკონომიკური ფასების მატება იწვევს ქვეყნის იმპორტის შემცირებას, რაც ეროვნულ ვალუტას ამყარებს და ნაწილობრივ ანეიტრალებს იმპორტირებულ ინფლაციას.

რაც შეეხება ფასების სტაბილურობას, ის არის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც აუცილებელია მაღალი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. მაღალი ინფლაცია კი, რომელიც ამავდროულად დიდი რყევებითაც ხასიათდება, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერიოდში. ერიკნული ბანკის მიზანი უნდა იყოს ფასების ზრდის დინამიკის შემცირება საშუალოვადიან პერიოდში იმ დონემდე, რომელიც არ მოახდენს უარყოფით გავლენას ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე.

რაც უფრო ეფექტიანია მონეტარული პოლიტიკა, ფასების სტაბილურობის მიღწევა მით უფრო დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯით არის შესაძლებელი. შესაბამისად ცენტრალური ბანკები მუდმივად ზრუნავენ მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისთვის.

ქვეყანაში ფასების დონის ცვლილების შესაფასებლად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ცვლილება. CPI ინდექსის შეფასება ხდება სამომხმარებლო კალათის მიხედვით, რომელიც მოიცავს საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილ საქონელსა და მომსახურებას. შესაბამისად, კალათაში შესულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების მატება იწვევს ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას.

2014 წლისათვის საქართველოს სამომხმარებლო კალათაში 295 კომპონენტი ფიქსირდება, რომელიც შეადგენს საქონლისა და მომსახურების 12 ძირითად ჯგუფს. სამომხმარებლო კალათაში

თითოეულ კომპონენტს მინიჭებული აქვს წონა, რომლის განსაზღვრა ხდება ქვეყნის ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საქართველოს სამომხმარებლო კალათაში ერთზე დიდი წილი, დაახლოებით 30%, უჭირავს სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებს. სურსათის წილის ასეთი მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის და მათ ინფლაციებს უფრო მგრძნობიარეს ხდის საკვები პროდუქტების ფასების ცვლილებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სურსათი ხასიათდება მერყევი ფასებით, რაც ფასების საერთო დონის ზრდის ტენდენციის სურათს ამახინჯებს.

ვინაიდან დროთა განმავლობაში ხდება მომხმარებელთა დანახარჯების სტრუქტურის ცვლილება, სფი კალათა ექვემდებარება განახლებას. საქართველოში აღნიშნული კალათის გადახედვა ხდება ყოველწლიურად.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება ეკონომიკის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი უნდა ასახავდეს ფასების ცვლილების ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ოპტიმალური იქნება ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრისას მსჯელობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორები. პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ სამომხმარებლო კალათის სხვადასხვა კომპონენტებზე ფასების ცვლილება არ არის ერთნაირი. აქედან გამომდინარე ინფლაციის 0 პროცენტამდე შემცირება გულისხმობს, რომ ზოგიერთ საქონელზე ან მომსახურებაზე ფაქტობრივად უნდა იყოს დეფლაცია. ინფლაციის დადებითი მიზნობრივი მაჩვენებელი კი საშუალებას იძლევა აცილებულ იქნეს დეფლაციის რისკი და მისი უარყოფითი შედეგები ეკონომიკაზე.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ინფლაციის შესაფასებლად გამოყენებულ CPI ინდექსს ახასიათებს გარკვეული ცდომილება (გვიწვენებს უფრო მაღალ ინფლაციას ვიდრე რეალურად არის), რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

1. CPI ინდექსი არა პირდაპირ აფასებს სამომხმარებლო ხარჯების ცვლილებას, არამედ ეყრდნობა საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული კალათის ღირებულებას. აქედან გამომდინარე, ვერ იქნება გათვალისწინებული მომხმარებლის მიერ გაძვირებული პროდუქციის სანაცვლოდ მისი საქონელჩამნაცვლებლის გამოყენება.

2. ყოველთა განმავლობაში ხდება საქონლისა და მომსახურების ხარისხის ცვლილებასთან და მასზე ფასის მატება შეიძლება ამით იყოს განპირობებული. თუმცა ხარისხის ცვლილებით გამოწვეული ფასის მატება შეუძლებელია სრულყოფილად გამოიყოს სამომხმარებლო ფასის ინდექსის გამოთვლისას.

3. ბაზარზე მუდმივად გამოდის ახალი პროდუქცია, რომელიც ჩაანაცვლებს სამომხმარებლო კალათაში შეტანილს. ამის ასახვა კი ხდება დროში დაყოვნებით.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დადგენისას მხედველობაში მიიღება ქვეყნის ზრდის ტემპი და თუ როგორ ვითარდება პროდუქტიულობა ვაჭრობად და არავაჭრობად სექტორებში. ზოგადად, განვითარებადი ქვეყნები ხასიათდებიან პროდუქტიულობის უფრო მაღალი ზრდის ტემპით, ვიდრე ეს ხდება განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ვაჭრობადი საქონლის სექტორებში. პროდუქტიულობის ზრდა ვაჭრობად სექტორში, რასაც თან ახლავს ამ სექტორში ხელფასების მატება, შრომითი რესურსების მობილურობის პირობებში, იწვევს ხელფასების დონის ზრდას არავაჭრობად სექტორისთვისაც (იმ შემთხვევაშიც კი თუ არავაჭრობად სექტორში პროდუქტიულობა არ შეცვლილა). საბოლოოდ, გაზრდილი ხელფასების ფონზე ვიღებთ გაზრდილი ფასების

ინდექსს მთელს ეკონომიკაში. მაშასადამე, რაც უფრო მაღალია ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდის ტემპი სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებით კი ვაჭრობად სექტორში, მისთვის დამახასიათებელი იქნება ინფლაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი. საქართველოში არავაჭრობად სექტორთან შედარებით ვაჭრობად სექტორში პროდუქტიულობის უფრო სწრაფი ზრდის შედეგად მიღებული ინფლაცია უხეში შეფასებით 2%-ს შეადგენს. დროთა განმავლობაში, პროდუქტიულობის ზრდის ტემპის შემცირებასთან ერთად, ეროვნული ბანკი თანდათანობით შეამცირებს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელს. გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილების სასურველ დონეს წარმოადგენს წლიური ინფლაცია 3 პროცენტის ოდენობით.

ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ფორმულირება არის ორიენტირებული მომავალზე (Forward-looking policy) და მისი განსაზღვრა ხდება არა ქვეყნის მიმდინარე ინფლაციის დონის მიხედვით, არამედ საპროგნოზო მაჩვენებლისა და ეკონომიკური აგენტების ინფლაციის მოლოდინის გათვალისწინებით. ამისათვის მუდმივად ხორციელდება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, ინფლაციის პროგნოზების შექმნა და იმ რისკების გათვალისწინება, რამაც შეიძლება მომავალში გავლენა მოახდინოს ფასების დონეზე. იმ შემთხვევაში თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი აღემატება მიზნობრივ მაჩვენებელს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას, რაც გამოიხატება მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ზრდით. ხოლო ინფლაციის დაბალი საპროგნოზო მაჩვენებლის შემთხვევაში გატარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა, რაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას გულისხმობს.

ინფლაციის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს. ფასების მატება შეიძლება განპირობებული იყოს მოთხოვნის ზრდით, მიწოდების შოკებით და/ან ინფლაციური მოლოდინებით. მონეტარული პოლიტიკა არის ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, შესაბამისად ეროვნული ბანკის მიზანია გააკონტროლოს მოთხოვნის მხრიდან წარმოშობილი ინფლაცია. თუ ფასებზე ზეწოლა გამოწვეულია მოთხოვნის ზრდით, რომელიც აღემატება მიწოდების ზრდის ტემპს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს პოლიტიკას და გაზრდის საპროცენტო განაკვეთს. მონეტარული პოლიტიკა აგრეთვე რეაგირებს ინფლაციურ მოლოდინებზე, რომელიც წარმოქმნის დამატებით ზეწოლას ინფლაციაზე.

ინფლაციაზე დროებითი გავლენა შეიძლება იქონიოს აგრეთვე ეგზოგენურმა (გარე, პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი ფაქტორები) მიწოდების შოკებმა. ასეთებს განეკუთვნება მსოფლიო ფასების ზრდა, ცუდი კლიმატური პირობებით გამოწვეული მოუსავლიანობა, საწვავის ფასების ზრდა, ტექნოლოგიური ცვლილებები, სტიქიური უბედურებები და სხვა. მსგავსი მოვლენები ხშირად ხდება და იწვევს ინფლაციის მაჩვენებლის გადახრას მიზნობრივი დონისგან. ასეთი მოვლენების ნეგატიური ეფექტის განეიტრალება მონეტარული პოლიტიკის ცვლილებით არასასურველია, რადგან ასეთ შემთხვევებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას მცირე გავლენა ექნება ინფლაციის მაჩვენებელზე და იგი კიდევ უფრო შეამცირებს ერთობლივ მოთხოვნას და ეკონომიკურ ზრდას. საბოლოო ჯამში, გატარებული პოლიტიკა საგრძნობლად იმოქმედებს ეკონომიკური მერყეობის ზრდაზე, დასაქმებაზე და უმუშევრობაზე, რაც საერთო ჯამში საზოგადოების კეთილდღეობის შემცირების საწინდარი შეიძლება გახდეს.

ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის გადაწყვეტილებებს გადასახადებსა და სამთავრობო დანახარჯებზე. ფისკალური პოლიტიკა ძირითადად ერთობლივ მოთხოვნაზე არის

ორიენტირებული და მასზე ზემოქმედებს პირდაპირი და არაპირდაპირი არხების საშუალებით. ბიუჯეტის დეფიციტი ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას იწვევს, რაც შეიძლება ინფლაციური სწრაფლის გაძლიერების მიზეზი გახდეს თუ ეკონომიკას არა აქვს წარმოების ადექვატურად გაზრდის პოტენციალი. გადასახადების ცვლილებას კი საპირისპირო შედეგი აქვს.

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინირებულ ქმედებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეროვნული ბანკისთვის მისი ძირითადი ამოცანის - დაბალი ინფლაციის მისაღწევად და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობის შესანარჩუნებლად, ვინაიდან მონეტარული პოლიტიკა არ წარმოადგენს ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების ერთადერთ ინსტრუმენტს. შესაბამისად, ბიუჯეტის ფორმირებისას აუცილებელია, რომ გათვალისწინებულ იქნეს დეფიციტის შესაძლო გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ეროვნული ბანკის ძალისხმევა არ იქნება საკმარისი ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რადგან ბიუჯეტის დიდი დეფიციტის პირობებში ეროვნული ბანკის რესურსებით შეუძლებელი იქნება ერთობლივი მოთხოვნის შეკავება და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა. შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 41-ს მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენამდე ატარებს კონსულტაციებს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვა ხდება ეროვნული ბანკის დასკვნასთან ერთად.

13. ლარიზაციის რეგულირება და მონეტარული პოლიტიკის განხორციელების არხები

ტერმინი „ლარიზაცია“ შესაძლოა გამოიყენებოდეს ორი მნიშვნელობით:

1. ლარიზაცია – ყველა ვალუტის გამოყენებაში ლარის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. მაგ.: სესხების (დეპოზიტების) ლარიზაცია – ბანკების მიერ გაცემული სესხების (მიღებული დეპოზიტების) საერთო რაოდენობაში ლარით სესხების (დეპოზიტების) პროცენტული მაჩვენებელი; ეკონომიკის ლარიზაცია – ეკონომიკაში გამოყენებული ფულის მთლიან მასაში ლარის პროცენტული მაჩვენებელი.

2. ლარიზაცია - პროცესი, როდესაც ლარიზაციის პროცენტული მაჩვენებელი იზრდება. საზოგადოდ, ეს პროცესი ფიქსირდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური აგენტები უპირატესობას ანიჭებენ ეროვნულ ვალუტას. კერძოდ, დანაზოგს ინახავენ ეროვნული ვალუტით ნაცვლად უცხოური ვალუტისა და ასევე სესხებს იღებენ ეროვნული ვალუტით ნაცვლად უცხოური ვალუტისა, ფასებს აფიქსირებენ (მათ შორის გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე: ბინა, მანქანა და სხვ.) ეროვნული ვალუტით ნაცვლად უცხოური ვალუტისა.

ლარიზაცია, ანუ იგივე დე-დოლარიზაცია, გვიჩვენებს ქვეყანაში ლარის გამოყენების წილს ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში. მონეტარული პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებასა და მისი ზეგავლენის ეკონომიკაზე გადაცემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში არსებული ლარიზაციის დონე. ეროვნული ვალუტის გამოყენების ზრდა და შესაბამისად ლარიზაციის მაჩვენებლის მატება მნიშვნელოვანია ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად.

საქართველოში დოლარიზაციის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს. ესენია: ისტორიული ფაქტორები, რომლებმაც შეასუსტეს ნდობა ეროვნული ვალუტისადმი, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი, კურსის მკვეთრი მერყეობები წარსულში, განუვითარებელი ფინანსური ბაზრები, არამდგრადი პოლიტიკური ვითარება, ფულადი გზავნილები უცხოეთიდან.

მაღალი დოლარიზაციის პირობებში, მონეტარულ პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ აისახება ეკონომიკას. საქართველოს ეროვნულ ბანკს მხოლოდ ლარის საპროცენტო განაკვეთების მართვა შეუძლია. განაკვეთის ცვლილება მხოლოდ ნაწილობრივ აისახება, ვინაიდან დიდია ურთიერთჩანაცვლება ეროვნულსა და უცხოურ ვალუტებს შორის. შესაბამისად, მცირდება მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენა ეკონომიკის მოთხოვნასა და საბოლოოდ - ინფლაციაზე.

გარდა იმისა, რომ ლარიზაციის დაბალი დონე ამცირებს მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენას ეკონომიკაზე, იგი წარმოშობს სავალუტო რისკს საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც დაუცველია გაცვლითი კურსის მერყეობისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელიც გარე შოკების მშთანთქავ ფუნქციასაც ასრულებს, გაცვლითი კურსის მოკლევადიანი რყევები ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. თუმცა ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას კრედიტების გადახდისუნარიანობას ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების შემთხვევაში, ვინაიდან მსესხებელთა უდიდეს ნაწილს არ აქვს თანხვედრა აქტივებისა და ვალდებულებების ვალუტებში: მათი ვალდებულებები დომინირებულია უცხოური ვალუტით, მაშინ როდესაც შემოსავლების მიღება ხდება ძირითადად ეროვნული ვალუტით. ასეთ ვითარებაში კურსის მკვეთრი ცვლილება საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას და შეაფერხებს ეკონომიკურ ზრდას. ამასთანავე, იზღუდება ეროვნული ბანკის როლი, როგორც ბოლო ინსტანციის გამსესხებელი. მას არ აქვს შესაძლებლობა უცხოური ვალუტა მიაწოდოს ბაზარს საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში.

გაზრდილი ლარიზაციის პირობებში გაუმჯობესდება მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა. ამდენად, ეროვნული ბანკის ერთ–ერთი ამოცანა სწორედ ლარიზაციის ზრდაა. ბოლო პერი-

ოდის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ არაერთი დონისძიება გატარდა, რაც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ლარიზაციის დონის ზრდასა და ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ამაღლებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლარიზაცია ეს არის ხანგრძლივი პროცესი, ვინაიდან ეკონომიკურ აგენტთა ქცევის შეცვლა მოითხოვს მდგრადი ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობის არსებობას წლების განმავლობაში.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დანერგვასთან ერთად, 2010 წელს გააქტიურებულ იქნა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები (რეფინანსირების სესხები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები). რეფინანსირების სესხების ინსტრუმენტის ამოქმედებამ საშუალება მისცა კომერციულ ბანკებს, უკეთ მართონ მიმდინარე ლიკვიდობა, რაც ბანკებს მნიშვნელოვანი საოპერაციო დანახარჯების ეკონომიის და შესაბამისად ლარით სესხების უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით შეთავაზების საშუალებას აძლევს. კომერციული ბანკებისათვის ლარით რესურსის მოზიდვის წახალისების მიზნით, მოხდა მინიმალური სავალდებულო რეზერვების მოთხოვნის დიფერენციაცია ვალუტების მიხედვით. ამასთან, ეროვნული ვალუტით სარეზერვო მოთხოვნების დაცვა ორკვირიანი დასაცავი პერიოდების განმავლობაში საკორესპონდენტო ანგარიშზე საშუალო ნაშთის მიხედვით წარმოებს, რაც კიდევ უფრო ამსუბუქებს სარეზერვო მოთხოვნის ტვირთს ლარის რესურსისთვის. სარეზერვო მოთხოვნების ამგვარი ფორმირება კომერციული ბანკებისათვის ლარით რესურსის მოზიდვას უფრო მიმზიდველს ხდის.

ბოლო წლებში ფულადი ბაზრის გაღრმავების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი იყო მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდისთვის. ფულადი ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მიმოქცევაში არსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობისა და ვადი-

ანობის ზრდამ. ეროვნული ბანკის მიერ ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკრედიტო და საოპერაციო რისკების შესამცირებლად. კერძოდ, ეროვნული ბანკის ორგანიზებით ბლუმბერგის სისტემაში შეიქმნა სავაჭრო პლატფორმა, სადაც ფასიანი ქაღალდების ყიდვა/გაყიდვა და ანგარიშსწორება ხდება ავტომატურად და შესაბამისად საოპერაციო და ტრანზაქციული რისკები ფაქტიურად ნულამდე არის დაყვანილი. ლარის ფულადი ბაზრის თანმიმდევრული განვითარების, მონეტარული პოლიტიკის პროგნოზირებადობის ზრდისა და სხვა გატარებული რეფორმების ფონზე, კლება ჰქონდა საპროცენტო განაკვეთების მერყეობის, ლიკვიდობისა და საოპერაციო რისკების შემცირებას. შედეგად, შემცირდა სხვაობა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებს შორის და გამყარდა მათ შორის კავშირი, რაც აუმჯობესებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გავლენას გრძელვადიან განაკვეთებზე.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტით ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით სესხების წახალისება. აღნიშნული ტიპის სესხების პოპულარიზაციამ ხელი შეუწყო ეროვნული ვალუტით სესხების გაცემას, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა სესხების ლარიზაციის მაჩვენებელი. თუმცა საქართველოში ცვლადი საპროცენტო განაკვეთით სესხების წილი მთლიან სესხებში ჯერ კიდევ ძალიან მცირეა, მაშინ როცა სხვა განვითარებულ და ზრდადი ეკონომიკის ქვეყნებში საკმაოდ პოპულარულია. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ტიპის სესხების შემთხვევაში ბანკი დაცულია საპროცენტო განაკვეთის რისკისგან, რაც მას განაკვეთების შემცირების საშუალებას აძლევს, ისინი ასევე არ შეიცავს ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეულ საკრედიტო რისკებს (ისევე როგორც ეროვნული ვალუტის სხვა სესხები), რაც დამატებით ამცირებს ვალის მომსახურების ტვირთს.

ფულადი ბაზრის გაღრმავებასთან ერთად მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისთვის ასევე მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი ინსტრუმენტების გამოჩენა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პარალელურად ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს კერძო ფიქსირებული შემოსავლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებას. პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ადგილობრივ ბაზარზე ლარით დენომინირებული ფასიანი ქაღალდების გამოშვების ხელშეწყობა. აღნიშნული ინსტიტუტების მიმართ არსებული მაღალი ნდობის შედეგად ამ ტიპის ინსტრუმენტებზე ბაზრის მხრიდან მოთხოვნა მაღალი იქნება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შემდგომ ეტაპზე შესაძლებელი კორპორატიული სააქციო და სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიის წახალისება.

საკრედიტო არხი. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ცვლილება (მაგ. პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ზრდა) ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე კრედიტების მიწოდების ცვლილების საშუალებით. მონეტარული პოლიტიკის ცვლილება შემდეგი პრინციპით ჰპოვებს ასახვას ეკონომიკაზე: პოლიტიკის განაკვეთის აწევა თავდაპირველად გადაეცემა ფულად ბაზარს და აისახება მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე. შემდგომ კი გავლენას მოახდენს გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების პირობებში რთულდება კრედიტის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე მცირდება კარგი საკრედიტო პროექტების რაოდენობა, რაც იწვევს ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობის შემცირებას. საბოლოოდ კი ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და ფასების დონეზე.

ამასთანავე, საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად მატულობს კომპანიების მიერ „მორალური რისკის" (Moral Hazard) წარმოქმნის საფრთხე, ვინაიდან მათ უჩნდებათ დაინტერესება

საკუთარ უფრო სარისკო საინვესტიციო პროექტებში დიდი შემოსავლიანობის მისაღებად. აქედან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთების ზრდა არის სიგნალი ბანკებისათვის, რომ ეკონომიკაში გაიზარდა რისკები და შესაბამისად მკაცრდება სესხის გაცემის პირობები. ამავდროულად, გაზრდილი საპროცენტო გადასახადების ფონზე იზრდება სესხის მომსახურების მოცულობის თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან, რაც ბანკების უფრო კონსერვატორული საკრედიტო პოლიტიკაზე გადასვლას განაპირობებს. აღნიშნულის შედეგად მცირდება ბანკების მხრიდან ეკონომიკის დაკრედიტება.

საბოლოოდ კი, შემცირებული დაკრედიტების ფონზე, კლებულობს ერთობლივი მოთხოვნა და ფასების დონე. პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას კი საპირისპირო შედეგი აქვს, და იწვევს დაკრედიტების ზრდას და ინვესტიციების წახალისებას. შედეგად იზრდება ერთობლივი მოთხოვნა.

გაცვლითი კურსის არხი. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ფასების დონეზე ვალუტის კურსის ცვლილების გზით. სხვა თანაბარ პირობებში, საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს ლარის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებზე მოთხოვნის ზრდას და ამყარებს ეროვნულ ვალუტას. გაცვლითი კურსის გამყარება ამცირებს იმპორტირებული საქონლის ფასს და პირიქით კურსის გაუფასურება იწვევს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული საქონლის ფასების ზრდას. აღსანიშნავია, რომ კურსის გამყარება და გაუფასურება თანაბრად (სიმეტრიულად) არ აისახება ფასების დონის ცვლილებაზე: კურსის გაუფასურება უფრო მეტად გაზრდის ფასებს, ვიდრე კურსის გამყარება შეამცირებს მათ.

გარდა ამისა გაცვლითი კურსის გამყარება ზრდის იმპორტზე მოთხოვნას და შესაბამისად ამცირებს ადგილობრივ ბაზარზე

მოთხოვნას. კურსის გაუფასურების პირობებში კი მოთხოვნა იმპორტიდან გადაინაცვლებს ადგილობრივ ბაზარზე.

საპროცენტო განაკვეთების არხი. ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ზრდა პირდაპირ აისახება საბანკო სექტორის მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე. მოკლევადიანი განაკვეთების ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და საბოლოო ჯამში საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი იწვევს დანაზოგების ზრდას და ამცირებს ფირმების ინვესტიციებსა და სამომხმარებლო დანახარჯებს. სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული პროცესი ერთობლივი მოთხოვნის შებოჭვას და შედეგად ფასების დონის შემცირებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკა მაღალი დოლარიზაციის გამო აღნიშნული არხის მოქმედება შეზღუდულია მხოლოდ ლარის სესხებისთვის და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებით ეროვნული ბანკი ვერ მოახდენს გავლენას უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებზე.

ინფლაციასა და საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებობს კავშირი და რაც უფრო მაღალია ეს კორელაცია, მით უფრო ეფექტიანი იქნება გატარებული მონეტარული პოლიტიკა.

მოლოდინის არხი. გარდა განხილული არხებისა, ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური აგენტების მოლოდინის ფაქტორი. როდესაც ქვეყანაში მოსალოდნელი ინფლაციის დონე აღემატება მიზნობრივ მაჩვენებელს და ეროვნული ბანკი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას ერთობლივი მოთხოვნის შესაბოჭად, საზოგადოებაში შეიძლება წარმოიშვას ორგვარი მოლოდინი. ერთი მხრივ, ხალხს შეიძლება გაუჩნდეს დადებითი მოლოდინი, რომ მომავალი უარყოფითი ფაქტორები იქნება განეიტრალებული, ხოლო მეორე მხრივ შესაძლოა წარმოიშვას მოსაზრება, რომ ეკონომიკური სიტუაცია არის უფრო ცუდი ვიდრე

[illegible] ხალხის ნდობა მონეტარული პოლიტიკისადმი, მით უფრო ეფექტური ხდება აღნიშნული არხი.

ქვემოთ მოცემული სქემა (იხ. სქემა 1.1) წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ილუსტრაციას მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მაგალითზე.

II თავი

საბანკო მენეჯმენტის არსი და შინაარსი

შინაარსი:

2.1. საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურა, პოლიტიკა და მეთოდური საფუძვლები;
2.2. ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები კომერციულ ბანკებში;
2.3. კომერციული ბანკის მდგრადობის საერთო-ეკონომიკური შინაარსის შემადგენლები;
2.4. საბანკო მენეჯმენტის ფინანსურ-ტექნოლოგიური დიფერენციაცია და ეკონომიკური ინტერესების შედარებითი ანალიზი.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო მენეჯმენტის დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი;
2. საბანკო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა;
3. საბანკო პროდუქტების რეალიზაციის უზრუნველყოფა;
4. საკადრო პოლიტიკის შემუშავება და ჩატარება;
5. შრომის ანაზღაურება და სტიმულირება;
6. მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 2.1. შიდასაბანკო მართვის ფუნქციური რგოლი;
ცხრილი 2.2. საბანკო საქმიანობის მართვის ფუნქციონალური რგოლი;
ცხრილი 2.3. პერსონალის მართვის ფუნქციონალური რგოლი;
ცხრილი 2.4. ხაზობრივ-ფუნქციონალური და დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურების შედარება;

სქემა 1.1. მენეჯმენტის ძირითადი ელემენტების ურთიერთკავშირი

II თავი

საბანკო მენეჯმენტის არსი და შინაარსი

შინაარსი:

- საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურა, პოლიტიკა და მეთოდური საფუძვლები;
- ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები კომერციულ ბანკში;
- კომერციული ბანკის მდგრადობის საერთო-ეკონომიკური ასპექტების შემადგენლები;
- საბანკო მენეჯმენტის ფინანსურ-ტექნოლოგიური ოპერაციონალიზაცია და ეკონომიკური ინტერესების ქვანტიტატიური ანალიზი.

ძირითადი ელემენტები:

- საბანკო მენეჯმენტის დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი;
- საბანკო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა;
- საბანკო პროდუქტების რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- საკადრო პოლიტიკის შემუშავება და ჩატარება;
- შრომის ანაზღაურება და სტიმულირება;
- მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 2.1. შიდასაბანკო მართვის ფუნქციური რგოლი;
ცხრილი 2.2. საბანკო საქმიანობის მართვის ფუნქციონალური რგოლი;
ცხრილი 2.3. პერსონალის მართვის ფუნქციონალური რგოლი;
ცხრილი 2.4. ხაზობრივ-ფუნქციონალური და დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურების შედარება;

ცხრილი 2.5. საბანკო მენეჯმენტის ფუნქციები;
ცხრილი 2.6. საბანკო მენეჯმენტის ამოცანები;
ცხრილი 2.7. კომერციული ბანკისა და მისი კლიენტის ეკონომიკური ინტერესების შედარებითი ანალიზი;
ცხრილი 2.8. პარამეტრები – საქმიანობის რეჟიმი;
ცხრილი 2.9. საბანკო ტრიადების კლასები;

ნახაზი 2.1. პირამიდული სქემა ბანკებში;
ნახაზი 2.2. ბანკის გეოგრაფიული სტრუქტურა;
ნახაზი 2.3. ფუნქციონალური სქემა ბანკებში;
ნახაზი 2.4. პროფიტ-ცენტრების სისტემა;
ნახაზი 2.5. საბანკო ჰოლდინგი;
ნახაზი 2.6. ტიპიური კომერციული ბანკის ორგანიზაციული სქემა;
ნახაზი 2.7. კომერციული ბანკის მდგრადობაზე ზემოქმედი ფაქტორები;
ნახაზი 2.8. კომერციულ ბანკებში მმართველობითი ზემოქმედების სტრუქტურის ორგანიზაციის პრინციპული სქემა;
ნახაზი 2.9. ბანკ[illegible] უკუკავშირის საფუძველზე მმართველობითი ზემოქმედების შემუშავებისა და რეალიზაციის სქემა თავისუფალი ბაზრის მონაწილეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან მიმართებაში;
ნახაზი 2.10. საბანკო მენეჯმენტის ფინანსურ-ტექნოლოგიური დიფერენციაცია;
ნახაზი 2.11 კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის პრინციპული სქემა;
ნახაზი 2.12. ბანკის მდგრადობის მართვასთან დაკავშირებული ურთიერთობების სისტემა;
ნახაზი 2.13. მართვის სუბიექტის ფუნქციონალური ქვესისტემების ურთიერთქმედების სქემა;
ნახაზი 2.14. საბანკო ოპერაციების კლასიფიკაცია.

2.1 საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურა, პოლიტიკა და მეთოდური საფუძვლები

მენეჯმენტი არის ეკონომიკის საბაზრო მოდელებით მართვა, რომელიც მომხმარებლის ინტერესების საუკეთესოდ დაკმაყოფილების გზით მოგების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული.

საბანკო მენეჯმენტი არის საბანკო საქმიანობისა და საბანკო სფეროში დასაქმებული პერსონალის მართვის მეცნიერული სისტემა. იგი საბანკო საქმის გაძღოლის პრაქტიკით კონკრეტიზებული მართვის მეცნიერულ მეთოდებზეა დაფუძნებული.

ბანკი, თავისთავად, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელშიც თავმოყრილია მრავალი კლიენტორის (იურიდიული და ფიზიკური პირების) ფულადი ანაბრები. ამიტომ საბანკო ბიზნესი არა მარტო მოგების მიღებაზე, არამედ დაბრუნებადობის პირობებით აღებული ფულადი სახსრების შენახვის უზრუნველყოფაზეც, ანუ საიმედოობაზე და მეანაბრეების ნდობაზეა ორიენტირებული.

საბანკო მენეჯმენტი შედგება ორი მსხვილი ბლოკისაგან:

1. ბანკის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მართვა (ფინანსური მენეჯმენტი);

2. პერსონალის მართვა.

საბანკო მენეჯმენტის შინაარსს შეადგენს: დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება, კონტროლი.

საერთო დაგეგმვა ბანკის მომავალში ჩახედვის, მისი საქმიანობის მიზნების, სფეროების, მასშტაბებისა და შედეგების წყაროებთან და დანახარჯებთან თანაზომიერების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. დაგეგმვის პროცესი პერსპექტიულია და მიმდინარე გეგმა-პროგნოზების შედგენას მოიცავს.

აღნიშნული საბუთების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ბანკის კოლექტივისათვის საერთო ამოცანების, მათი შესრულების სტრატეგიისა და ტაქტიკის, აგრეთვე, განკარგულებაში არსებული რესურსების გაგება იქნეს უზრუნველყოფილი. დაგეგმვა განსაზღვრავს ჩარჩოებს, საზღვრებს, რომლებშიც უნდა იმუშაონ

თანამშრომლებმა. იგი ჯამური მაჩვენებლების მეშვეობით ბანკის საქმიანობის ყველა მხარის ურთიერთქმედებაზე მიუთითებს, მატერიალური და შრომის სტიმულირების სხვა სახეობების სისტემის მეშვეობით კოლექტივის ინტერესებთან მათი შესრულების თავსებადობის შესაძლებლობას იძლევა. ფულად ბაზარზე კონკურენციის პირობებში გეგმები საქმიანობის ახალი სფეროებისა და მეთოდების მოძიების მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობას ითვალისწინებენ.

დაგეგმვა, თავისთავად, მრავალდონიან პროცესს წარმოადგენს, რომელიც ბანკის ყველა ქვედანაყოფს მოიცავს და მისი განვითარების ლოკალურ და საერთო პერსპექტივებს განსაზღვრავს.

დაგეგმვის შედეგს ბიზნეს-გეგმის (ბანკის განვითარების ჯამური გეგმის), აგრეთვე, ცალკეული მიმართულების მიხედვით (საკრედიტო, საინვესტიციო, დეპოზიტური, საპროცენტო, საკადრო და სხვა პოლიტიკა) ოპერატიული გეგმების შემუშავება წარმოადგენს.

ანალიზი ფაქტობრივად მიღწეული შედეგების პროგნოზირებადობასთან, გასული პერიოდების და საუკეთესო ბანკების შედეგებთან შედარების საფუძველზე, მთლიანობაში და ცალკეული მიმართულების მიხედვით ბანკის საქმიანობის შეფასებასთან არის დაკავშირებული.

ანალიზის მასალები ბანკის განვითარებაში დადებითი და უარყოფითი ტენდენციების, დანაკარგების, გამოუყენებელი რეზერვების, დაგეგმაში ნაკლოვანებების და გადაწყვეტილების მიღებაში წარუმატებლობის გამოვლენის შესაძლებლობებს იძლევა.

ბანკის ჯამური ანალიტიკური მუშაობის საფუძველს, გარკვეული თვალსაზრისით, ჩატარებული საქმიანობის ბალანსის მონაცემების ანალიზი შეადგენს. ანალიზის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ბანკის საქმიანობის მოცულობითი მაჩვენებლების დინამიკის შეფასება, როგორებიცაა: აქტივები, დეპოზიტები, საკუთარი კაპიტალი, კრედიტები, მოგება. აღნიშნული შეფასება სხვა ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით ხორციელდება, რაც ქვეყნის კომერციული ბანკების სისტემაში ადგილის (რეიტინგის)

განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ანალიტიკური მუშაობის შედეგები შეიძლება კონკრეტული ბანკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის სასარგებლო იყოს.

აღნიშნულებთან ერთად, კომერციული ბანკები ახორციელებენ ოპერატიულ საქმიანობას შემდეგი ცალკეული მიმართულების მიხედვით:

- ბანკების საკრედიტო პორტფელის ანალიზი;
- ფასიანი ქაღალდების პორტფელის ანალიზი;
- კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზი;
- საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის ანალიზი;
- პროცენტული მარჟის ანალიზი და სხვ.

რეგულირებას საბანკო მენეჯმენტის სისტემაში განსაკუთრებული თავისებურებები გააჩნია, რომლებიც კომერციული ბანკების საქმიანობაზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის არსებობით არის განპირობებული. იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო საქმიანობა ყველაზე უფრო რისკიანია, რომელიც ბრუნვაში „სხვების“ ფულის მსხვილ თანხებს იზიდავს, სახელმწიფო რეგულირება რიგ პრინციპულ მოთხოვნებს ითვალისწინებს ბანკის ლიცენზირებასთან, მისი საქმიანობის სფეროების შეზღუდვასთან, კაპიტალის საკმარისობასთან, ლიკვიდობასთან, სავალდებულო რეზერვების ფორმირებასთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, შიდასაბანკო რეგულირების სისტემა (თვითრეგულირება), უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და ნორმატივების დაცვისკენაა მიმართული.

კონტროლი საბანკო საქმიანობაში დაიყოფა საგარეოდ და შიდად. საგარეო კონტროლს ახორციელებენ ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკი და გარე აუდიტორები. შიდა კონტროლის ორგანიზება თვით ბანკის მიერ ხორციელდება. სწორედ შიდასაბანკო კონტროლი ბანკის მენეჯმენტის ნაწილს წარმოადგენს. მის ფუნქციებს მენეჯერები მათი უფლებამოსილებების ფარგლებში, აგრეთვე, შიდა აუდიტის ორგანოები ასრულებენ. ბანკის

საქმიანობაში შიდასაბანკო კონტროლის მთავარ დანიშნულებას უარყოფითი ტენდენციებისა და ნაკლოვანებების გამოვლენისა და მათ აღმოფხვრასთან მიმართებაში ღონისძიებების მისაღებად ოპერატიული სისტემის შექმნა წარმოადგენს.

შიდასაბანკო კონტროლი ურთიერთდაკავშირებულია საგარეო კონტროლთან და იგი ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკის, შიდასაბანკო ინსტრუქციებისა და წესების, საგარეო მაკონტროლებელი ორგანოების წერილობითი მითითებების, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემოწმებაში მდგომარეობს.

საბანკო მენეჯმენტი არის პროფესიონალური საქმიანობის დამოუკიდებელი სახეობა, რომელიც საბაზრო პირობებში საკუთარი განსაკუთრებული პრინციპების, ფუნქციებისა და მეთოდების მეშვეობით, საბანკო და შრომითი რესურსების რაციონალური (პროგრამული) გამოყენების საშუალებით გარკვეული კონკრეტული მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული.

საბანკო მენეჯმენტი არის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკის მართვა, რომელიც აიგება შემდეგი ძირითადი პრინციპების გამოყენებაზე:

- ნებისმიერი ბანკი ორიენტირებულია ბაზრის მოთხოვნაზე, კლიენტების მოთხოვნილებებზე და ისეთი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ორგანიზაციაზე, რომლებიც აქტუალურია და ბანკისათვის დაგეგმილი მოგების მოტანა შეუძლიათ;
- მუდმივი მისწრაფება საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ დანახარჯების შემცირებისა და ოპტიმალური შედეგების მიღების მიზნით;
- ბანკის მიზნების, ამოცანებისა და პროგრამების კორექტირება ბაზრის (საკრედიტო, დეპოზიტური, საპროცენტო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის) მდგომარეობასთან დამოკიდებულებაში;
- ბანკის და მისი ქვედანაყოფების (ფილიალების) ბაზარზე საქმიანობის პროცესში მუშაობის საბოლოო შედეგის არიცხვა;

- ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით თანამედროვე ინფორმაციული ბაზის (კომპიუტერული ქსელების და სავალუტო და საფონდო ბირჟებთან, სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან კავშირების) სავალდებულო გამოყენება;
- პერსონალის რაციონალური შერჩევა და მისი ეფექტურად გამოყენება.

„საბანკო საქმიანობის“ ცნების ქვეშ გაითვალისწინება საბანკო პროცესის ტექნოლოგიური ჯაჭვის ორგანიზაცია (პასიური და აქტიური ოპერაციები, ფინანსური მომსახურებები და ა.შ.), ბანკის მუშაობის პროცესის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა.

საბანკო საქმიანობა მოიცავს: საბანკო ტექნოლოგიების შემუშავებას და სრულყოფას, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის საჭირო დონის უზრუნველყოფას, საბანკო ოპერაციებისა და ანგარიშსწორების ყველა სახეობის შესრულებას, ოპერაციის ტექნიკურ მომსახურებას, საბანკო საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, პერსონალით უზრუნველყოფას, კლიენტების სტაბილურობის მხარდაჭერას.

„საბანკო მექანიზმის“ ქვეშ გაგებულ უნდა იქნეს სამი ურთიერთდაკავშირებული რგოლი: **შიდასაბანკო** მართვა, **ოპერაციების** მართვა, **პერსონალის** მართვა. საბანკო მექანიზმის გამოყენება ითვალისწინებს კონკრეტული საბანკო, ფინანსური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ამოცანების გადაჭრას, რომლებიც წარმოიშობა სამეურნეო საქმიანობის პროცესში და მოგების მიღებაზეა მიმართული.

განვიხილოთ საბანკო მექანიზმის ძირითადი რგოლები (იხ. ცხრ.2.1.):

როგორც ცხრილიდან ჩანს, შიდასაბანკო მართვის სტრუქტურა პრინციპებზე, ფუნქციებზე და საბანკო მეთოდებზეა დაფუძნებული. განვიხილოთ აღნიშნული თითოეული შემადგენლის შინაარსი.

პრინციპები:

• ცენტრალიზაციის პრინციპი ნიშნავს, რომ საბანკო პოლიტიკაში ძირითადი სტრატეგიული მიზნები მართვის უმაღლეს რგოლში, ანუ სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოში ფორმირდება.

ცხრილი 2.1

შიდასაბანკო მართვის ფუნქციური რგოლი

პრინციპები	ფუნქციები	საბანკო მეთოდები
ცენტრალიზაცია	მარკეტინგი	ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციები
დეცენტრალიზაცია და მართვა	დაგეგმვა და პროგნოზირება	შიდასაბანკო ანგარიშსწორება
ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შეხამება	ორგანიზაცია	საპროცენტო პოლიტიკა
განვითარების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტაცია	კონტროლი და აღრიცხვა (შიდა აუდიტი)	საბანკო სტრატეგიის, პოლიტიკისა და მისი ძირითადი ელემენტების გამოშუშავება
მართვის დემოკრატიზაცია პერსონალის მხრიდან უმაღლეს რგოლში მონაწილეობა		

• დეცენტრალიზაციის პრინციპი ნიშნავს, რომ პოლიტიკის ცალკეული კონკრეტული მიზანი და ელემენტი ბანკის განყოფილებების ან დეპარტამენტების დონეზე მუშავდება.

• ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შეხამების პრინციპი თავისთავში შიდასაბანკო მართვაში უმაღლეს და საშუალო რგოლებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნას მოიცავს.

• განვითარების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტაციის პრინციპი ნიშნავს, რომ შიდასაბანკო მართვა ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან პერსპექტივაზე და მისი მიზნები გრძელვადიან ხასიათს უნდა ატარებდეს, ანუ უნდა იყოს ორიენტირებული რამდენიმე წლით წინ გათვლაზე.

• მართვის დემოკრატიზაცია, თავისთავად, მიზნების შემუშავებაში და მათი მიღწევის სტრატეგიაში რეკომენდაციების მომზა-

ციის კუთხით, ბანკის პერსონალის მმართველობის უმაღლეს რგოლში მონაწილეობას ითვალისწინებს.

შიდასაბანკო მართვის ფუნქციები:

• მარკეტინგის ფუნქცია ითვალისწინებს საბანკო პროდუქტებში და მომსახურებებში კლიენტების დაკმაყოფილების მიზნით ბაზრის და მასზე მოთხოვნის შესწავლას.

• დაგეგმვისა და პროგნოზირების ფუნქცია თავისთავში მოიცავს ბანკის და პერსპექტიულ მომავალში საბანკო პოლიტიკისა და საქმიანობის შემუშავებას.

• ორგანიზაციის ფუნქცია ნიშნავს ბანკის ისეთი სტრუქტურისა და მისი მექანიზმის შემუშავებას, რომლებიც ბანკის წინაშე დასახული მიზნებისა და სტრატეგიის მოთხოვნილებებს პასუხობენ.

• კონტროლისა და აღრიცხვის ფუნქცია ითვალისწინებს შიდასაბანკო საქმიანობაზე შიდა აუდიტის მეშვეობით კონტროლს და ოპტიმალური ლიკვიდობის მხარდაჭერის მიზნით საბანკო ქვედანაყოფების მუშაობის შემოწმებას.

საბანკო მეთოდები:

• პასიური და აქტიური ოპერაციები არის ბანკის ძირითადი ოპერაციები, რომლებიც, შიდასაბანკო მართვის ჩარჩოებში, ყველა საბანკო მეთოდის ღერძს წარმოადგენენ.

• შიდასაბანკო ანგარიშსწორება ითვალისწინებს ბანკის შიგნით მის სხვადასხვა განყოფილებასა და ქვედანაყოფს, სერვისცენტრს, ფილიალსა და სააგენტოს შორის საანგარიშსწორებო ოპერაციების ორგანიზაციას.

• საპროცენტო პოლიტიკა საბანკო მეთოდების მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენადაც პასიური და აქტიური ოპერაციებიდან, აგრეთვე, ფინანსური მომსახურებიდან მისაღები პროცენტების სიდიდეზე საბანკო ოპერაციების გაფართოება და მათი შემოსავლიანობის ამაღლება არის დამოკიდებული.

• საბანკო სტრატეგია და პოლიტიკა არის სხვადასხვა მიზნის, მათი შესრულების სტრატეგიისა და რეალიზაციის კონკრეტული მეთოდების შემუშავების სისტემა. პოლიტიკისა და სტრატეგიის შემადგენელ ელემენტებად გამოდიან: მარკეტინგი, საპროცენტო პოლიტიკა, უცხოეთში საქმიანობის გაფართოება, საბანკო საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა, საბანკო ოპერაციების გაფართოება.

ცხრილი 22.

საბანკო საქმიანობის მართვის ფუნქციონალური რგოლი

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება	საბანკო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა	საბანკო პროდუქტების რეალიზაციის უზრუნველყოფა	ბანკის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა
ბანკის სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავება	საბანკო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების მიხედვით პოლიტიკის განსაზღვრა და უზრუნველყოფა	საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაციის პოლიტიკის შემუშავება	ფუნქციონალური
ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების შემუშავება და დანერგვა	საბანკო ტექნოლოგიების განვითარება	საბანკო პროდუქტების რეალიზაციის გზებისა და მეთოდების შერჩევა	ბაზრობრივ-ფუნქციონალური
სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის ორგანიზაცია	მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა	რეალიზაციის ორგანიზაცია	პრობლემურ-მიზნობრივი
	ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. შრომის ნაყოფიერების ამაღლება.		პროგრამულ-მიზნობრივი

• ბანკის სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავება ნიშნავს ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების, დანახარჯე-

[illegible] კონკურენციის ამაღლების მიზნით მეცნიერული [illegible] შემუშავებას და ორგანიზაციას.

• [illegible] საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება [illegible] თავისთავად, ახალი საბანკო პროდუქტების კონკ[illegible] დამუშავებას და სხვადასხვა კატეგორიის ფიზიკურ და [illegible] პირებს შორის ბაზარზე მათ დანერგვას (რეალიზაცია) [illegible]

• სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის ორგანიზაცია თავის[illegible] მოიცავს კვლევითი სამუშაოების ჩატარებისათვის ბანკის [illegible] ქვედანაყოფების ორგანიზაციას, პერსონალით, ინ[illegible]ციითა და ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას.

საბანკო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა:

• საბანკო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების [illegible] პოლიტიკის შემუშავება და უზრუნველყოფა თავისთავში [illegible] მოიცავს ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებების შემუშავებას, [illegible]ორებიცაა პასიური და აქტიური ოპერაციების და მათი ცალ[illegible] ელემენტის გაფართოება, საპროცენტო პოლიტიკა, მარკე[illegible] ბანკის, ლიკვიდობის, ინვესტიციების, ინფორმაციული უზრუნ[illegible]ველყოფა.

• საბანკო ტექნოლოგიების შემუშავება არის პასიური და აქტიური ოპერაციების ჩარჩოებში კონკრეტული ოპერაციებისა და საბუთბრუნვის შემუშავება.

• მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა თავისთავში მოიცავს შენობებით, სათავსოებით, ტექნიკური საშუალებებით, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებით, ქსეროქსებით, ფოტო-ტექნიკით, საბეჭდი მანქანებით, საავტომობილო პარკით უზრუნველყოფას.

• ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება ითვალისწინებს საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ბაზრის გაფართოებას.

• შრომის ანაზღაურების ამაღლება არის საბანკო პროდუქტის ერთეულზე, ერთ მუშაკზე დანახარჯების შემცირება, ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვა.

ცხრილი 23.

პერსონალის მართვის ფუნქციონალური რგოლი

საკადრო პოლიტიკის შემუშავება და ჩატარება	შრომის ანაზღაურება და სტიმულირება	ურთიერთობების ჯგუფური მართვა კოლექტივში და პროფსაბჭოებთან	მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები
პერსონალის შერჩევისა და განთავსების პრინციპები	შრომის ანაზღაურების ფორმა	პერსონალის დაბალ დონეზე მართვაში გამოყენება	პერსონალის შრომის მოტივაცია და შემოქმედებითი ინიციატივა
დაქირავებისა და გათავისუფლების პირობები	შრომის მწარმოებლობის ამაღლების გზები	განყოფილებების პერსონალის ფუნქციების გამიჯვნა	ბანკის ორგანიზაციული კულტურა
სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება	შრომის ანაზღაურების წახალისების სისტემა	ურთიერთდამოკიდებულებები კოლექტივში	პერსონალის მართვის ზემოქმედება ბანკის საქმიანობაზე და მის ორგანიზაციაზე
პერსონალისა და მისი საქმიანობის შეფასება		ურთიერთდამოკიდებულება პროფსაბჭოებთან	

საბანკო პროდუქტების რეალიზაციის უზრუნველყოფა:

• საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაციის პოლიტიკის შემუშავება ბაზარზე საბანკო პროდუქტების გატანასთან მიმართებაში კონკრეტულ ღონისძიებებს ითვალისწინებს (საკითხების გადაწყვეტა – **როგორი** პროდუქტები, **როგორი** ბაზრები, **ვინ** ახდენს რეალიზებას და ა.შ.).

• საბანკო პროდუქტების რეალიზაციის გზებისა და მეთოდების შერჩევა ნიშნავს, თუ ბანკი **როგორ** და **რა სახით** განახორ-

ციელებს საბანკო პროდუქტების რეალიზაციას – განყოფილების [illegible] ქსელის მეშვეობით, რეკლამის გზით, ინფორმაციის გავრცელების გზით.

• რეალიზაციის ორგანიზაცია არის საბანკო პროდუქტების რეალიზაციის სისტემა და მექანიზმი.

საკადრო პოლიტიკის შემუშავება და ჩატარება:

• პერსონალის შერჩევისა და განაწილების პრინციპი ბანკის პერსონალისადმი მისი საქმიანობის მასშტაბებიდან, ბაზარზე მისი ფუნქციონირებიდან, ტრადიციებიდან, აგრეთვე, ქვედანაყოფების განყოფილებებსა და ფილიალებს შორის პერსონალის რაციონალური განთავსების სქემიდან გამომდინარე, კონკრეტული მახასიათებლების შემუშავებას ითვალისწინებს.

• დაქირავებისა და გათავისუფლების პირობები განისაზღვრება კონკრეტული წესებით, რომლის მიხედვით ბანკი მოიზიდავს და ათავისუფლებს პერსონალს. აღნიშნული წესები დაქირავებისას პერსონალისადმი გარკვეულ მოთხოვნებს მოიცავენ: პროფესიონალურ მომზადებას (განათლების დონის ჩათვლით), წლოვანებას, რეკომენდაციებს წინა სამუშაო ადგილებიდან, შეთავაზებადი შრომის ანაზღაურების სიდიდეს. გათავისუფლების პირობებში, ძირითადად, გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: საბანკო ეთიკისა და დისციპლინის დარღვევა, უინიციატივობა, კვალიფიკაციის ამაღლების მისწრაფების არარსებობა, საბანკო საიდუმლოებების გაცემა და სხვ.

• სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ითვალისწინებს ბანკის პერსონალის განათლების დონის მუდმივ ამაღლებას ყველა დონეზე ან თვით ბანკის ჩარჩოებში, ან უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სპეციალურ სასწავლო ცენტრებში (უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, კოლეჯებში).

• პერსონალის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გარკვეული პერიოდის განმავლობაში (1-2 წელი) საბანკო პერსონალის მუშაობის

ანალიზს. პერსონალის მუშაობის ანალიზისა და შეფასების შემდეგ ბანკის ხელმძღვანელობის მიერ საკადრო პოლიტიკის სფეროში გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღება, რაც შეიძლება გამოიხატოს თანამშრომლების ნაწილის გადაადგილებაში, გათავისუფლებაში, სასწავლებლად გაგზავნაში, წახალისებაში ან სანქციებში.

შრომის ანაზღაურება და სტიმულირება:

- შრომის ანაზღაურების ფორმები ითვალისწინებს ბანკის ხელმძღვანელობის მიერ პერსონალის კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად გარკვეული ტარიფების შემუშავებას. ბანკის ხელმძღვანელობის შეხედულების მიხედვით შრომის ანაზღაურება შეიძლება მცურავი ტარიფული განაკვეთებით ხორციელდებოდეს.
- შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გზები, თავისთავად, პერსონალის მართვაში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რამდენადაც საბანკო საქმეში მწარმოებლურობის ამაღლება ნიშნავს დანახარჯების შემცირებას და მოგების ამაღლებას. ბანკის ხელმძღვანელობა ! ზიანობის აღნიშნულ მხარეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ითვალისწინებს ახალი ტექნიკის დანერგვას, შრომის რაციონალურ ორგანიზაციას, პერსონალისათვის შრომის კეთილსაურველი პირობების შექმნას (ბანკის შიგნით კვების უზრუნველყოფას, პერსონალის დასვენების ორგანიზაციას, ბანკის კედლებში სასურველი დიზაინის შექმნას და სხვა ღონისძიებებს).
- შრომის ანაზღაურების წამახალისებელი სისტემა ნიშნავს შრომის ანაზღაურების მუდმივ ან ერთჯერად ამაღლებას, ყოველთვიური, კვარტალური და წლიური პრემიების გადახდას. დასავლეთის ქვეყნებში რიგი ბანკები წამახალისებელი სისტემის სახით პერსონალისათვის საკუთარი აქციების გაცემასაც ითვალისწინებენ, რაც შრომის ანაზღაურებაში ყველაზე მაღალ დონედ არის მიჩნეული.

ურთიერთდამოკიდებულობების ჯგუფური მართვა კოლექტივში

- პერსონალის დაბალ დონეზე გამოყენება თავისთავში მოიცავს ბანკის მართვაში უმცროსი პერსონალის ინიციატივებს და

საბანკო სტრატეგიაში გარკვეულ კერძო საკითხებთან დაკავშირებით (კლიენტის მომსახურება, ახალი საბანკო მომსახურების დანერგვა და სხვ.) გადაწყვეტილების მიღებას.

- ბანკის სხვადასხვა განყოფილებას შორის მუშაობაში დუბლირების აღმოფხვრისათვის პერსონალი და მისი ფუნქციები მკაფიოდ უნდა განისაზღვრულია. ბანკის ხელმძღვანელობის მიერ საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით თითოეული განყოფილების ფუნქციები კონკრეტულად არის განსაზღვრული.
- ურთიერთდამოკიდებულებები კოლექტივში ითვალისწინებს ატმოსფეროსათვის ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას როგორც ბანკის პერსონალის შიგნით, ასევე ბანკის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში. კოლექტივში ან რომელიმე მის ნაწილში ფსიქოლოგიური ბალანსის დარღვევის შემთხვევაში ხელმძღვანელობას გადაწყვეტილების, სამუშაოდან გაშვების ან პერსონალის შეცვლის განხორციელება შეუძლია.
- პერსონალის მართვაში პროფსაბჭოებთან ურთიერთკავშირი ეფუძნება დელიკატურ ასპექტს წარმოადგენს. საბანკო მოსამსახურეები დასავლეთის ქვეყნებში, როგორც წესი, პროფესიულ კავშირში არიან გაერთიანებულები, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვაზე არის მოწოდებული.

მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები:

- პერსონალის შრომის მოტივაცია და შემოქმედებითი ინიციატივა თავისთავში მოიცავს ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან, ერთი მხრივ, შრომის ისეთი პირობების შექმნას, რომ ბანკის პერსონალი სრული შეკუგებით მუშაობდეს, დაინტერესებული იყოს მუშაობაში, ხოლო მეორე მხრივ – ბანკის პერსონალის შემოქმედებითი ინიციატივა, დამუშავებები, წინადადებები ბანკის ხელმძღვანელობის მიერ წახალისებულ იქნეს. შედეგად მაღლდება საბანკო საქმიანობის ეფექტიანობა და იზრდება მოგება.
- ბანკის ორგანიზაციული კულტურა ითვალისწინებს ორ ასპექტს: ერთი მხრივ, ეს არის პასიური და აქტიური ოპერაციების

წარმოებისას კლიენტებისადმი ბანკის პერსონალის მოპყრობის კულტურა. მეორე მხრივ, თვით ბანკის შიგნით ორგანიზაციული კულტურა, ანუ ბანკის პერსონალისათვის შესაბამისი კეთილსასურველი ყოფითი პირობების შექმნა (კარგი სათავსოების, სასადილოს, პერსონალისათვის დასვენების სისტემის, ავტოსადგომების და ა.შ. არსებობა).

• ბანკის საქმიანობაზე და მის ორგანიზაციაზე პერსონალის მართვის ზემოქმედება ხორციელდება ოპერაციის გაფართოებისა და მოგების გადიდების თვალსაზრისით საბანკო პერსონალის მუშაობის ყოველწლიური ანალიზისა და შეფასების მეშვეობით, რომელიც, ჩვეულებრივად, ყოველწლიური ბალანსის მომზადებისას ან ბანკის აქციონერების წინაშე ყოველწლიური ანგარიშგებისას იწარმოება. ასეთი შეფასების შედეგებს, როგორც წესი, კადრების პოლიტიკის ცვლილება მოყვება, რადგანაც პერსონალი ბანკის მნიშვნელოვან მწარმოებლურ ძალას წარმოადგენს.

საბანკო პოლიტიკის შემუშავება ითვალისწინებს ბანკის პოტენციალური შესაძლებლობებისა და რესურსებიდან გამომდინარე ბანკის საქმიანობის მიზნებისა და მისი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას როგორც მოკლე მომავალში, ასევე, პერსპექტივაშიც.

ბანკის მიზნები მისი განვითარების კონცეფციას და საქმიანი აქტიურობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ.

ბანკის სტრატეგია არის დასახული მიზნების მისაღწევად დასაბუთებული ზომებისა და ღონისძიებების შემუშავება, რომლებშიც ბანკის ყველა პოტენციალური შესაძლებლობა უნდა იქნეს გათვალისწინებული.

საბანკო პოლიტიკის შემუშავება ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს:

1. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას;
2. ბანკის მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს;
3. საბანკო საქმიანობის მოქმედი და პერსპექტიული მიმართულებების შეფასებას;

4. გარე გარემოცვის ანალიზსა და მის ბანკის ფუნქციონირებაზე ზემოქმედებას;
5. საბანკო საქმიანობის ალტერნატიული სხვაობების შემუშავებასა და განსაზღვრას;
6. სტრატეგიის არჩევას;
7. მთლიანად ბანკის და მისი ქვედანაყოფების ყოველწლიური ანალიზის შედგენას;
8. ბანკის შიდა და გარე აუდიტორულ შემოწმებას.

ბანკის პოლიტიკის, მიზნებისა და სტრატეგიის შემუშავების ბაზას სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა ემსახურება, რომელიც ბანკის საქმიანობის შედეგიდან გამომდინარე მიიღწევა როგორც მიმდინარე პერიოდის მიხედვით, ასევე, პერსპექტივაზეც. ანალიზი იმ ტენდენციების შეფასებას ითვალისწინებს, რომლებსაც ბანკის მუშაობის შედეგებზე ზემოქმედება შეუძლიათ. მაგალითად, კონკურენტულ პრობლემაში ბანკის მდგომარეობის ანალიზი ითვალისწინებს იმ შედეგების შეფასებას და განსაზღვრას, რომლის მიღწევა ბანკის კონკურენტული სტრატეგიის შეცვლით არის შესაძლებელი.

ბანკის სტრატეგიული პოზიციის შემუშავებისას გარკვეულ სარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს იყენებენ. ხარისხობრივებს უწოდებენ **ორიენტირებს**, ხოლო რაოდენობრივებს – **დავალებებს**. **ორიენტირი** არის უფრო შორეული მიზანი, რომლის მიღწევასაც ბანკი სტრატეგიის შემუშავების გზით ცდილობს.

მიზნის განსაზღვრა არის გადაწყვეტილების მიღების უფრო კონკრეტული დონე, რომელიც შესაბამისი სტრატეგიული ამოცანების შემუშავებას მოითხოვს. გარკვეული ერთი მიზნისათვის გათვალისწინებული სტრატეგია სხვა მიზნების მისაღწევად არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ორიენტირებს, მიზნებსა და სტრატეგიას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებული სტრატეგია შეიძლება მისი ცალკეული ქვედანაყოფისათვის მიზანი და ორიენტირი გახდეს. ამიტომ განასხვავებენ **საერთო მიზნებს** (გლობალურები), რომელთაც, მთლიანობაში,

ბანკისათვის შეიმუშავებენ და **სპეციფიკურ მიზნებს,** რომლებიც, ძირითადად, ბანკის სხვადასხვა ქვედანაყოფისათვის შემუშავდება.

საერთო მიზნების პრიორიტეტულობა, რომელიც გამოხატულია რაოდენობრივ მაჩვენებლებში ან საერთო მიმართულებების ფორმირების გზით, შეიძლება შემდეგი სახით იქნეს წარმოდგენილი:

1 ოპტიმალური რენტაბელობის უზრუნველყოფა არის დეპოზიტური ოპერაციების მოცულობა, მოგების დონე და ნორმა (მოგების სიდიდე, მოგების ნორმა დაბანდებულ კაპიტალზე ან აქტივებზე, მოგების თანაფარდობა აქციონერულ კაპიტალთან, ოპერაციის მოცულობასთან, სხვადასხვა ოპერაციისა და მოგების მოცულობის ყოველწლიური ნაზარდის ტემპები, შემოსავალი ერთ აქციაზე); წილი ბაზარზე, კაპიტალის სტრუქტურა, აქციის ფასი პირველად და მეორად ბაზრებზე, დივიდენდის დონე, გადახდილი შრომის ანაზღაურების თანხა, საბანკო პროდუქტების ხარისხის დონე;

2 ბანკის მდგომარეობის მდგრადობის უზრუნველყოფა, რომელშიც ჩაირთვება შემდეგი ელემენტები: ტექნიკური პოლიტიკა (ხარჯები კვლევებ[illegible] და ახალი პროდუქტების შემუშავებაზე); კონკურენტუნარიანობის [illegible]ტენციალი (დანახარჯების შემცირება, გამოშვებული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაძლიერება); ახალი ბაზრების პროგნოზირება, უცხოეთში საქმიანობის ორგანიზება, საინვესტიციო და საკრედიტო პოლიტიკა; საკადრო პოლიტიკა;

3. ბანკის განვითარების ახალი მიმართულებების, საქმიანობის ახალი სახეობების შემუშავება, რომელშიც შედიან: საქმიანობის დივერსიფიკაცია, ახალი პროდუქტების ჩართვით; შეძენები ან შერწყმები; ინფორმაციული სისტემების განვითარება; კონკრეტული ფირმებისა და კომპანიების, აგრეთვე, საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების განსაზღვრა, რომელთა აქციების შეძენა შეიძლება დადგეს დღის წესრიგში; საბანკო საქმიანობის ახალი სექტორების ჩამოყალიბება.

სპეციფიკური მიზნები მუშავდება საერთო მიზნების ჩარჩოებში თითოეული ქვედანაყოფის საქმიანობის ძირითადი სახეობების მიხედვით და შეიძლება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით იყოს გამოსახული. სპეციფიკურ მიზნებს შორის ძირითადი ადგილი უკავიათ:

1. **რენტაბელობის განსაზღვრას** ბანკის თითოეული ქვედანაყოფის მიხედვით (მოგების დონე, მოგების ნორმა, აქციაზე დივიდენდის ნაზარდი); სხვა სპეციფიკური მიზნები რენტაბელობის მიხედვით მიზნების განსაზღვრის შემდეგ შემუშავდება და ისინი ქვემიზნების ხასიათს ატარებენ;

2. **სხვა სპეციფიკურ მიზნებს,** რომლებიც მოიცავენ: მიღწევებს მარკეტინგის სფეროში (რეალიზაციის დონე ერთ ან რამდენიმე ბაზარზე, ახალი პროდუქტების დანერგვა, მომსახურებების გაფართოება); ახალი კვლევებისა და დამუშავებების სფეროში; საბანკო რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის ნორმატიული მაჩვენებლების დადგენაში (დანახარჯების შემცირება, პროდუქტების ხარისხის ამაღლება და ახლების შემუშავება); ფინანსების სფეროში (დაფინანსების სტრუქტურისა და წყაროების განსაზღვრა, გადასახადებით დაბეგვრის მინიმიზაცია);

3. **ბანკის ფილიალებისა და განყოფილებების მიზნებს,** რომლებიც ბანკის მმართველობის მიერ ფორმირდება და დაიყვანება შემდეგამდე: ოპერაციების გაფართოება, ბაზარზე ბანკის წილის ამაღლება, მოგების და, განსაკუთრებით, მოგების ნორმის ზრდა, ფილიალის უცხოეთში საქმიანობის გაფართოება.

აღნიშნული ყველა მიზანი ბანკის მიერ მიიღწევა, როგორც წესი, სხვადასხვა პრობლემის მიხედვით გადაწყვეტილებების მიღების გზით და სხვადასხვა სახის სტრატეგიის შემუშავებით. ესენია:

- **პროდუქტიულ-საბაზრო სტრატეგია** – საბანკო პროდუქტისა და მომსახურებების კონკრეტული სახეობების, მათი რეალიზაციის მეთოდის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხერხის განსაზღვრა;

- **მარკეტინგის სტრატეგია** – საბაზრო პირობებისადმი ბანკის მოქნილი შეთანაწყობა;

• **კონკურენტული სტრატეგია** – მიმართულია დანახარჯების შემცირებაზე პროდუქტის ხარისხის ინდივიდუალიზაციისა და ამაღლების, ბანკის საქმიანობის ახალი სფეროების სეგმენტაციის გზით მათი განსაზღვრის ხარჯზე;

• **სიახლეების დანერგვის სტრატეგია** – ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების სახეობების დანერგვა;

• **ინვესტიციის სტრატეგია** – ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკის შემოსავლების გადიდების მიზნით დაბანდებების გაფართოება;

• **განვითარების სტრატეგია,** რომელიც ითვალისწინებს ბანკის განვითარების მდგრადი ტემპების უზრუნველყოფას, კაპიტალის როგორც პასიური ოპერაციების სფეროში, ასევე, აქტიური ოპერაციების სფეროში დაგროვების მდგრადი ტემპების ჩათვლით;

• **შერწყმის სტრატეგია,** რომელიც დაკავშირებულია სხვა ბანკების აქციების ან საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების შეძენასთან;

• **უცხოური ინვესტიციების სტრატეგია,** რომელიც ითვალისწინებს როგორც უცხოეთის ბანკების შერწყმას, ასევე, უცხოეთის ფასიან ქაღალდებში და უძრავ ქონებაში დაბანდებების გადიდებას;

• **საერთაშორისო ეკონომიკური ექსპანსიის სტრატეგია,** რომელიც დაკავშირებულია როგორც უცხოეთში საქმიანობის გაფართოებასთან, ასევე, იქ საკუთარი ფილიალების, განყოფილებებისა და სააგენტოების შექმნასთანაც.

აღნიშნული სტრატეგიების მიღწევა შეიძლება მართვის შემდეგი პრინციპული მეთოდების მეშვეობით განხორციელდეს:

• მართვით კონტროლის საფუძველზე;

• მართვით ექსტრაპოლაციის საფუძველზე;

• მართვით პრინციპულად ახალი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე;

• მართვით ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველზე.

საბანკო მენეჯმენტის ორგანიზაციის მეთოდური საფუძვლები. საბანკო მენეჯმენტის ფორმირება საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს და იგი რიგი მნიშვნელოვანი კომპონენტებისაგან შედგება, რომლებიც ბანკის მიერ შემუშავებული მიზნებისა და შემუშავებული სტრატეგიის მიღწევისაკენ არის მიმართული.

ასეთ კომპონენტებს მიეკუთვნებიან:

• **მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესი,** რომელიც ითვალისწინებს სამ სტადიას: გადაწყვეტილების მომზადებას, გადაწყვეტილების მიღებას და რეალიზაციას.

• **საბანკო მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფა** მოიცავს ინფორმაციის შინაარსს და შიდასაბანკო საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებს.

• **საბანკო მენეჯმენტის ეკონომიკური მექანიზმი** მოიცავს შიდასაბანკო მართვას, რომელიც, თავის მხრივ, ჩამოყალიბებულია მენეჯმენტის ძირითადი პრინციპებისაგან; შიდასაბანკო მართვის ფუნქციებისაგან; მარკეტინგისაგან; შიდასაბანკო დაგეგმვისაგან; კონტროლისა და აღრიცხვისაგან; ეფექტიანობის მაჩვენებლების მეშვეობით საქმიანობის ანალიზისაგან (მოგება, შემოსავლები ოპერაციებიდან, მომსახურებების რეალიზაცია, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი); ეკონომიკური მეთოდებისაგან; საპროცენტო მექანიზმისაგან; ბანკის ფინანსური პოლიტიკისაგან.

• **საბანკო საქმიანობის მართვა** ითვალისწინებს ყველა სახეობის ოპერაციების მართვას (პასივების, აქტივების, ლიკვიდობის მართვა), ახალი პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რეალიზაციასა და საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციას; საბანკო პოლიტიკის ყველა განყოფილებასა და ფილიალში სრულყოფილ განხორციელებას (ახალი პროდუქტები, ტრადიციული პროდუქტები, საბანკო ტექნოლოგიების განვითარება, მატე-

რიალურ-ტექნიკური მომარაგება, ბაზარზე გასაღებითი პოლიტიკა, ბაზრის და მისი სეგმენტების შერჩევა, საპროცენტო პოლიტიკა, ორგანიზაციული სტრუქტურის მართვა, საერთაშორისო საქმიანობის ორგანიზაცია და სხვ.).

• **პერსონალის მართვა** მოიცავს კადრებში მოთხოვნებისა და მათი ხარისხის პროგნოზირებას, შესაბამისი კადრების მოძიებას (მათ შორის, სასწავლო დაწესებულებებში), სამუშაო ადგილებზე კონკურსის ჩატარებას, ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროცესების, მათი შესაძლო სწავლების ორგანიზაციას, პერსონალის გადამზადებას, შრომის შედეგების და მისი ანაზღაურების შეფასების წესების შემუშავებას, კადრებზე დანახარჯების კონტროლს, თანამშრომელთა პირადი საქმის გაძღოლას, კადრების შემადგენლობისა და ცვლილებების შესახებ ანგარიშგებების მომზადებას.

• **სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება (მართვა)** — ითვალისწინებს სამეწარმეო გარემოს მართვას (ბანკის ფუნქციონირებაზე ზემოქმედი პირობებისა და ფაქტორების არსებობა). გარემო იყოფა: შიდად და საგარეოდ.

შიდა გარემო ითვალისწინებს ბანკის სამეურნეო მექანიზმს და ახალი ტექნოლოგიებისა და გასაღებითი საქმიანობის შექმნას.

საგარეო ფაქტორების ანალიზი ითვალისწინებს საბაზრო ურთიერთობების ანალიზს მთლიანად ქვეყნის მიხედვით; მოთხოვნას და მიწოდებას საბანკო პროდუქტებზე და მომსახურებებზე, მსყიდველობით შესაძლებლობებზე, საბანკო მომსახურებების რეალიზაციაზე; საერთო-ეკონომიკურ ფაქტორებს (კრიზისი, ინფლაცია - ფასების ზრდის შეხამება წარმოების დაცემასთან მიმართებაში, დეფლაცია). ასევე, კანონების, ინსტრუქციებისა და დებულებების მეშვეობით სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედების ანალიზს.

რეგულირება საერთაშორისო დონეზე. ბანკებისათვის თანამედროვე პირობებში საერთაშორისო რეგულირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების მხრიდან, როგორებიცაა: სსფ, მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი, საერთაშო-

ისო ანგარიშსწორების ბანკი, საერთაშორისო რეგიონალური საკრედიტო ინსტიტუტები (აზიის განვითარების, აფრიკული ბანკი), აგრეთვე, ევროპული საბჭოს ტიპის ეკონომიკური დაჯგუფებები.

ამავე დროს, თითოეულ ქვეყანაში საგარეო გარემოს გაგებისა და მათი ბანკების საქმიანობაზე ზემოქმედების სპეციფიკა არსებობს. ინგლისის საბანკო პრაქტიკაში, მაგალითად, საგარეო გარემო ბანკისათვის განიხილება, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ნაწილი. ამიტომ საგარეო ფაქტორები ან საგარეო გარემო განიხილება, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა. კერძოდ, საბანკო მენეჯმენტის ფორმირებისას ბანკებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეკრეთ წოდებული ეროვნული პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებებს წარმოადგენენ. ისინი მოიცავენ: გადასახადებს, სავალუტო კონტროლს, ინფლაციას, საპროცენტო პოლიტიკას, საკრედიტო კონტროლს, სავალუტო კურსის ცვლილებას. ამიტომ, მაგალითად, ინგლისის კომერციული ბანკები საკუთარი მენეჯმენტის შემუშავებისას გამოდიან ოთხი ძირითადი იდეიდან: გაძლიერება, სისუსტე, შესაძლებლობა და საფრთხეები. აღნიშნული იდეები განისაზღვრება, როგორც პოლიტიკური ფაქტორის ზემოქმედებაზე პასუხი, რომელთაც, ასევე, მიეკუთვნებიან საერთაშორისო პოლიტიკური ფაქტორები. მათ ინგლისის ბანკები ჩვეულებრივად მიაკუთვნებენ: ურთიერთდამოკიდებულებას ქვეყნებს შორის, მსოფლიო ვაჭრობის პოტენციალს, მსოფლიო ფასების ცვლილებას, საერთაშორისო დავალიანებას, ოფშორული ზონების შექმნას. ბანკები მათ საქმიანობაზე ზემოქმედების სხვადასხვა ეკონომიკურ ფაქტორს ითვალისწინებენ. აღნიშნული ეხება ძირებს ქვეყნის ცალკეული რაიონის განვითარებაში, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრის ცვლილებებს (კერძოდ, აზიის ისეთი ქვეყნების სამრეწველო პოტენციალის ზრდას, როგორებიცაა იაპონია, სამხრეთ კორეა და რიგი სხვ.), ინფლაციური პროცესების განვითარებას.

მენეჯმენტზე ზემოქმედების სოციალურ ფაქტორებს ინგლისის ბანკები საკუთარ კლიენტურას და პერსონალს მიეკუთვნებენ. რა თქმა უნდა, აღნიშნული ზემოქმედება განათლების მეშვეობით ხორციელდება. თუ ადრე მენეჯერი ძირითადად კლიენტს თავის ოფისში ელოდებოდა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების გაყიდვა სხვადასხვა დონეზე ხორციელდება. აღნიშნული განიმარტება იმით, რომ ფიზიკური პირების განათლების მაღალმა დონემ იქამდე მიგვიყვანა, რომ ბანკის მხრიდან კლიენტი მომსახურების მაღალ დონეს მოელის.

საბანკო მენეჯმენტის ფორმირებაზე ზემოქმედი ტექნოლოგიური ფაქტორების სახით, ინგლისელი ექსპერტების შეფასების მიხედვით, ბანკის მუშაობაში კომპიუტერული და სხვა ტექნიკის ფართო გამოყენება გამოდის. კერძოდ, აღნიშნული ზემოქმედებს ბანკებში დასაქმებაზე და შრომის მწარმოებლობის ამაღლებამდე, პერსონალის შემცირებამდე, აგრეთვე, პერსონალის გადამზადებამდე მივყავართ. გარდა ამისა, კომპიუტერიზაცია ცენტრალური ოფისისა და ბანკის განყოფილებების კავშირის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ხალი ტექნიკის დანერგვა, განსაკუთრებით, კომპიუტერულის, ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების უკეთესად და უფრო ჭკვიანურად შექმნის, მათი უფრო ეფექტიანად და მოკლე ვადაში რეალიზების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, მისმა გამოყენებამ სმარტ-ბარათების შექმნამდე, საოჯახო ტერმინალებისა და ტელეფონების მეშვეობით კლიენტების სახლში მომსახურებამდე მიგვიყვანა.

წარმატებული კონკურენციის მიზნით ბანკმა ბაზრის ანალიზი უნდა განახორციელოს, რომ კლიენტების საჭიროებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება იქნეს შესაძლებელი. ამიტომ, გარე გარემოს ზემოქმედებისას ძირითადი ამოცანის განსაზღვრით, ბანკები უნდა გამოვიდნენ იქიდან, თუ კლიენტს **რა უნდა** და **როგორ მივყიდოთ** მას. ერთდროულად, ბანკმა უნდა გააანალიზოს თავისი კონკურენტების საქმიანობა მათი ძლიერი და სუსტი მხარეების

ანალიზით და თუ ეს უკანასკნელები არსებობენ, აუცილებლად გაითვალისწინოს ისინი.

2.2. ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები კომერციულ ბანკებში

ფინანსური მენეჯმენტი მოიცავს ფულადი პროდუქტის მოძრაობის, მისი კონკრეტული ბანკის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში ფორმირებისა და განთავსების მართვას. ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებებია:

- საბანკო პოლიტიკის შემუშავება ბანკის საქმიანობის ცალკეული სფეროს კონკრეტიზაციით (დეპოზიტები, კრედიტები, ინვესტიციები, მომსახურებები და ა.შ.);
- საბანკო მარკეტინგი;
- ბანკის აქტივებისა და პასივების მართვა;
- ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის მართვა;
- საკუთარი კაპიტალის მართვა;
- საკრედიტო პორტფელის მართვა
- საბანკო რისკების მართვა (რისკ-მენეჯმენტი).

ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებას წარმოადგენს ერთიანი საბანკო სისტემის ჩარჩოებში ეკონომიკური პროცესების მართვისა და საბანკო პროცედურების ორგანიზაციის ერთგვაროვანი ტექნოლოგიების არარსებობა. კონკურენციის პირობებში ფულად ბაზარზე ბანკი ქცევის საკუთარ წესებს გამოიმუშავებს. მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური სიტუაცია საბანკო საქმის გაძღოლის კორექტირებას და ჩამოყალიბებული ხერხების გაუმჯობესებას მოითხოვს.

ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის ობიექტს კომერციულ ბანკში ბანკის ფინანსური ოპერაციების კვლევის პროცესები და საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრების ნაკადების მართვა წარმოადგენს.

ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის საგანი მდგომარეობს:

• რაციონალური დაგეგმვის სისტემებისა და მეთოდიკების შემუშავებასა და გამოყენებაში.

• ფინანსური ოპერაციების რეალიზაციაში (ფულადი სახსრების მოზიდვისა და განთავსების პროცესები).

კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მიზანია ბანკის ფინანსური ოპერაციების დაგეგმვისა და რეალიზაციის, დასახული პარამეტრების ფარგლებში მათი მდგრადობის მხარდამჭერის უზრუნველმყოფელი ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური სისტემების მუშაობის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურებისა და რეჟიმების აგების რაციონალური მოთხოვნებისა და მეთოდური საფუძვლების განსაზღვრა, რომლებიც კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნების პირობებისას საკუთარი კაპიტალის (აქციონერული კაპიტალის) და/ან ნაზარდის შექმნისაკენაა მიმართული.

კომერციულ ბანკებში ფინანსური მენეჯმენტი, როგორც მართვის ნებისმიერი სისტემა, ორი ქვესისტემისაგან შედგება:

• მართვადის, ანუ მართვის ობიექტისაგან;

• მმართველ ანუ მართვის სუბიექტისაგან.

კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მართვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ფულადი სახსრები, რომლებიც ფინანსური ოპერაციების მეშვეობით კომერციული ბანკის საქმიან ბრუნვაში იმყოფებიან.

კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მართვის სუბიექტს წარმოადგენს უმაღლესი ხელმძღვანელობა, მართვის აპარატი, ბანკის პერსონალი, რომლებიც მმართველობითი ზემოქმედების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით ობიექტის მიზანმიმართულ ფუნქციონირებას ახორციელებენ.

მართვის ობიექტი – საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრები მოძრაობას გაფორმებული გარიგებების (ხელშეკრულებების) შესაბამისად ახორციელებენ. აღნიშნული პროცესის სამართლებრივი მხარე უშუალოდ მართვის სუბიექტის – კომერციული ბანკის,

ისევე როგორც იურიდიული პირის მეშვეობით ხორციელდება. პროცესის ეკონომიკური მხარე ფინანსურ ოპერაციებზე (საბანკო პროდუქტებზე, ოპერაციებზე, მომსახურებაზე) არის დაფუძნებული, რომლებიც მართვის ობიექტის მოთხოვნებს პასუხობენ. ფინანსური მენეჯმენტის პროცესში, ობიექტის შესაბამისად, მისი საქმიანობის საგანი და მიზანი, საბანკო კლიენტურის ფულადი ნაკადები ბანკის ფინანსურ ოპერაციებში კონცენტრირდებიან და აღნიშნულის ხარჯზე ბანკის კაპიტალის ნაზარდის უზრუნველმყოფელი დამატებული ღირებულება იქმნება.

ამრიგად, საბანკო მენეჯმენტის შინაარსის ქვეშ ბანკის მართვა ვიგებთ, რომელიც მენეჯმენტის კლასიკური ინსტრუმენტების – დაგეგმვის, ანალიზის, რეგულირების, კონტროლის გამოყენებით უმაღლესი ეკონომიკური შედეგების მიღების ოპტიმალური ხერხის შერჩევისაკენაა მიმართული. თავის მხრივ, „საბანკო მენეჯმენტის სფერო“ დაიყოფა ორ ბლოკად: ფინანსური მენეჯმენტი და პერსონალის მართვა. ფინანსური მენეჯმენტი, ანუ ფინანსების მართვა, მნიშვნელოვანი ხარისხით საბანკო რისკების მართვაზეა დაფუძნებული.

ფინანსების მართვის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის მეშვეობით ბანკების ღირებულება იქნეს მაქსიმიზებული, რომელიც ბანკის მიერ განხორციელებადი ოპერაციების მოგებიანობით და რისკების ხარისხით ხასიათდება.

კომერციული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურაა ბანკის ქვედანაყოფები (ადმინისტრაციული, საალრიცხვო, საწარმოო და დამხმარე) და მათი ერთმანეთთან კავშირები. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა მენეჯმენტის მიზნების წარმატებული მიღწევის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს. ორგანიზაციულ სტრუქტურაში ნაკლოვანებებს, ძალიან ხშირად, მძლავრი ბანკებიც კი კრიზისულ სიტუაციამდე მიუყვანიათ. ამიტომ ბანკის საქმიანობაში განმსაზღვრელი ორგანიზაციული სტრუქტურის შერჩევა, რომელიც შიდა და გარე ფაქტორებს საუკეთესო სახით

შეესაბამება, საბანკო მომსახურების დივერსიფიკაციის საფუძველს – მენეჯმენტის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

ბანკები საბაზრო პირობებში სპეციალიზდებიან სხვადასხვა სახეობის მომსახურების განხორციელებაზე, თავიანთ წინაშე სხვადასხვა მიზანს ისახავენ და, აქედან გამომდინარე, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები ფართო ჩარჩოებში შეიძლება ვარირდებოდეს. ორგანიზაციული სტრუქტურების სახეობებიდან თითოეულს საკუთარი უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია, რომლებიც კონკრეტული საბაზრო პირობების შესაბამისი ორგანიზაციის ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევის პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა მოწოდებულია განახორციელოს ბანკის მომსახურების რაციონალური მუშაობის უზრუნველყოფა, მართვის ყველა ფუნქციის წარმატებული განხორციელება, კლიენტების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება და, საბოლოო ჯამში, საბანკო მენეჯმენტის წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.

ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურები, უპირველეს ყოვლისა, განსხვავდებიან ბიუროკრატიის პრინციპით, ანუ საბუთბრუნვის, ინფორმაციული ნაკადების ორგანიზაციით. საბანკო ქვედანაყოფებს შორის შრომის დაყოფა მოწოდებულია უზრუნველყოს ყველა მმართველობითი რგოლის მოწესრიგებული მუშაობა, ფუნქციების მკვეთრად განაწილება, თითოეული მუშაკის საქმიანობის მკაცრი რეგლამენტაცია და მათი კომპეტენციის შესაბამისად კადრების შერჩევა.

საქართველოში საბანკო საქმიანობის სპეციფიკა ბანკების მიერ ორი ძირითადი ტიპის სტრუქტურის გამოყენებას ითვალისწინებს:

- თანამედროვე ფილიალური (სერვისცენტრი) ბანკი **დივიზიონალურ** ორგანიზაციულ სტრუქტურას იყენებს;
- მსხვილი ბანკების ფილიალები (სერვისცენტრები) და უფილიალო ბანკები, თავის მხრივ, **ხაზობრივ-ფუნქციონალური** სახით არიან ორგანიზებული.

ხაზობრივ-ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურისას ბანკის მთლიანი საქმიანობა მკაცრი მარეგლამენტირებელი ფუნქციების განმხორციელებელ სამსახურებს შორის არის განაწილებული, რომელთა შესრულებას მენეჯმენტის მიზნების მიღწევისაკენ მიეყავართ. უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციონალური სისტემა ასხვილი კორპორაციული მომსახურებისას არის მისაღები.

დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა საბანკო საქმიანობის დაყოფას ითვალისწინებს მიწოდებადი საბანკო პროდუქციის სახეობების, მომხმარებლების ჯგუფების ან რეგიონალური ნიშანთვისებების შესაბამისობაში.

ხაზობრივ-ფუნქციონალური სტრუქტურა აიგება პრინციპით, როდესაც ფუნქციებიდან – ხაზობრივი ან საშტაბო, თითოეულზე ფორმირდება სამსახურების სისტემა, რომელიც ბანკში ზემოდან ქვედა დონის ჩათვლით მთლიანად არის ურთიერთდაკავშირებული; დივიზიონალურ სტრუქტურაში აღნიშნული სამსახურები საწარმოო განყოფილებების (ფილიალების) დონეზე ყალიბდება. ამ შემთხვევაში ქვედანაყოფები, ხაზობრივის გარდა, კიდევ ავტონომიურ ფუნქციონალურ სტრუქტურასაც ღებულობენ (ფინანსური, აღრიცხვის, დაგეგმვის და ა.შ. სამმართველოები), რომელიც მათ საკუთარი მომსახურების შემუშავებაზე, წარმოებაზე და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობის ნაწილობრივ ან სრულად საკუთარ თავზე აღების შესაძლებლობას აძლევს. შედეგად სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად ბანკის ზედა ეშელონის მმართველობითი რესურსები გამოთავისუფლდებიან. ცხრილ 24.-ში ორივე ტიპის სტრუქტურების უპირატესობები და ნაკლოვანებებია მითითებული.

კომერციულ ბანკში მმართველობითი აღრიცხვის ჩამოყალიბება ბანკის საქმიანობის ორგანიზაციის სტრუქტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ორგანიზაციული სტრუქტურა ძალიან ხშირად არ უნდა მოდიფიცირდებოდეს. ბანკის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მთელი რიგი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს.

ბანკის მართვის სტრუქტურაზე გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენენ: ბანკის საკუთარი კაპიტალის (აქციონერული, საპაიო) მობილიზაციის სამართლებრივი ფორმა და ბანკის ორგანიზაციული აგებულება (მისი ქსელის განვითარების ხარისხი და მისი დამოუკიდებლობა).

ცხრილი 2.4.

ხაზობრივ-ფუნქციონალური და დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურების შედარება

ხაზობრივ-ფუნქციონალურები:	დივიზიონალურები:
სტაბილურობა – სტაბილურ გარემოში ყველაზე უფრო ეფექტიანია	მოქნილობა-დინამიურ გარემოში ყველაზე უფრო ეფექტიანია
ეკონომია მმართველობით ხარჯებში	ოპერატიულობა გადაწყვეტილების მიღებაში
სპეციალიზაცია და კომპეტენტურობა	დისციპლინათშორისი მიდგომა
სწრაფი გადაწყვეტა მარტივი პრობლემების, რომლებიც ერთი ფუნქციონალური სამსახურის კომპეტენციაშია [illegible]	სწრაფი გადაწყვეტა რთული ფუნქციათაშორისი პრობლემების
ორიენტაცია მოქმ[illegible]ებზე და ჩამოყალიბებულ ბაზარზე	ორიენტაცია ახალ ბაზრებზე და ტექნოლოგიებზე
ორიენტაცია ფასობრივ კონკურენციაზე	ორიენტაცია არაფასობრივ კონკურენციაზე

ბანკის საკუთარი კაპიტალის ორგანიზაციული ფორმისაგან დამოუკიდებლად ბანკის მართვის უფლება მის დამფუძნებლებს უნდა გააჩნდეთ. ასეთი უფლების რეალიზება ბანკის მართვის ორგანოებში უშუალო მონაწილეობის გზით მიიღწევა.

კომერციული ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს აქციონერების კრება წარმოადგენს. იგი წყვეტს ბანკის საქმიანობის სტრატეგიულ ამოცანებს: იღებს გადაწყვეტილებას ბანკის დაფუძნების შესახებ, ღებულობს ბანკის წესდებას, იხილავს და ამტკიცებს ანგარიშგებას ბანკის მუშაობის შესახებ და ა.შ. კომერციული ბანკის მართვის


უმაღლესი ორგანო საკუთარი ფუნქციებისა და ამოცანების რეალიზაციას უშუალოდ შემსრულებლების, აგრეთვე, მაკონტროლებელი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს, რომლებიც მთლიანად მას ანგარიშვალდებულებიან.

ბანკის წესებით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა მტკიცდება (იგი წარმოადგენს ბანკს, ბანკის მართვის ორგანოების წინაშე ბანკის მუშაობის კანონზომიერებაზეა პასუხისმგებელი). ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში შეიძლება საკრედიტო და სარევიზიო კომიტეტები იყოს შექმნილი. საკრედიტო კომიტეტის ფუნქციებში შედის: ბანკის საკრედიტო, მოზიდული სახსრების სტრუქტურისა და მათი განთავსების პოლიტიკის შემუშავება, მსხვილი სესხების გაცემასთან დაკავშირებით დასკვნის წამოყალიბება. სარევიზიო კომიტეტი ამოწმებს ბანკის მიერ მისი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა აქტების დაცვას, საბანკო კონტროლის მდგომარეობას.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას ახორციელებენ ქვედანაყოფები (სამმართველოები) და სამსახურები (განყოფილებები). ბანკის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურა ბანკში, მთლიანობაში, შრომის ორგანიზაციის ეფექტიანობის, მისი წარმატებული კომერციული საქმიანობის მნიშვნელოვანი პირობაა.

ბანკის ორგანიზაციული აგებულების ძირითად კრიტერიუმს ეკონომიკური შინაარსი და ბანკის მიერ შესრულებადი ოპერაციების მოცულობა წარმოადგენს. ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიძლება ბანკის საქმიანობაში უკვე არსებული მიმართულებების საწილობრივ ან სრულად შეცვლის, ან ახლების დარეგულირების საჭიროებით, ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს შორის ვალდებულებების გადანაწილების მიზნით ცვლილებებიც იქნეს შეტანილი.


ეკონომიკური მართვა ბანკის მმართველობით ფუნქციების რეალიზებისათვის არის მიწოდებული, რომ ბანკის საქმიანობის ძირითადი პრინციპების – ლიკვიდურობის, რენტაბელობის, საიმედოობის უზრუნველყოფა იქნეს მიღწეული.



ნახაზი 2.1. პირამიდული სქემა ბანკებში


ცალკეული საოპერაციო რგოლის სპეციალიზაციის გაძლიერებით არჩეულ კლიენტურასთან საბითუმო ოპერაციებიდან ფინანსური მომსახურების მომხმარებლების მასიური კონტიგენტის საცალო მომსახურებაზე გადასვლით, საბანკო საქმიანობის რაიონის გაფართოებით ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა უეჭველად იცვლება. შესაძლოა რამდენიმე ვარიანტი. ყველა მათ, ამასთან, საერთო ნიშნებიც გააჩნიათ – უფლებამოსილებები ცენტრალური მართვის ორგანოებიდან გადადის უფრო დაბალი რანგის ხელმძღვანელებთან, ბანკის უმაღლეს ხელმძღვანელობასა და დაბალ სტრუქტურებს შორის წარმოიქმნება შუალედური რგოლები.

ერთ-ერთი ალტერნატიული სქემა, რომელიც ბანკის განყოფილების (სერვისცენტრის) ფუნქციებისა და როლის გაძლიერებას უზრუნველყოფენ, გეოგრაფიული სტრუქტურის სახელწოდებას ატარებს (იხ. ნახ. 2.2.).




ნახაზი 2.2. ბანკის გეოგრაფიული სტრუქტურა

ბანკის ორგანიზება დიდ ტერიტორიაზეც არის შესაძლებელი **ფუნქციონალური სქემის** მიხედვით. ამ შემთხვევაში ოპერაციების ჭართვა რესურსების აკუმულაციის ფუნქციისა და მათი გამოყენების სერხების მკვეთრად განაწილებაზე არის დაფუძნებული (იხ. ნახ. 2.3.).



ნახაზი 2.3. ფუნქციონალური სქემა ბანკებში



ნახაზი 2.4. პროფიტ-ცენტრების სისტემა

ბანკის საქმიანობის რეგიონალურ და საერთო ეროვნულ ბაზარზე გაფართოების შესაბამისად მას ცალკეული საოპერაციო უბნის შემდგომი გართულება და სპეციალიზაცია სჭირდება, რაც სპეციალისტების, ექსპერტების მოზიდვას, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას საჭიროებს. ასეთ პირობებში მიზანშეწონილია ბანკის შიგნით **პროფიტ-ცენტრების** სპეციალიზებული სისტემა შეიქმნას. ეს ცენტრები კლიენტებს გარკვეული ფინანსური მომსახურებისა და ოპერაციების ნაკრებს მიაწვდიან. მათ საკუთარი სამსახურები, მართვის აპარატი, საკუთარი ხარჯთაღრიცხვა, ანახარჯებისა და მიღებული მოგების საკუთარი კალკულაცია გააჩნიათ (იხ. ნახ. 2.4.)

საბანკო **ჰოლდინგ-კომპანიებში** სპეციალიზაციის კიდევ უფრო მეტი ხარისხი მიიღწევა. მას წინა მოდელთან დიდი მსგავსება გააჩნია, რამდენადაც ჰოლდინგის შვილობილი ფილიალები ასევე დიდ დამოუკიდებლობას ფლობენ, მაგრამ საკუთრების ფორმაში სხვაობით განპირობებული კონტროლის მეთოდებში განსხვავება არსებობს. პროფიტ-ცენტრების სქემა ერთიანი ბანკის ჩარჩოებში გამოიყენება. ჰოლდინგის შვილობილ ფილიალებს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი გააჩნიათ. ამერიკული კანონების მიხედვით, თუ ჰოლდინგის პორტფელში ბანკის ხმისმიმცემი აქციების 5%-ზე ნაკლებია განთავსებული, მაშინ ითვლება, რომ კონტროლი საერთოდ მოხსნილია, 5%-დან 25%-მდე აქციების ფლობისას ცენტრალური ბანკი თვითონ წყვეტს განახორციელებს კონტროლი, თუ არა, ხოლო 25%-ზე მეტი ხმისმიმცემი ბანკის აქციების ფლობისას კომპანია საბანკო ჰოლდინგად ითვლება (იხ. ნახ. 2.5.)

ნახაზი 2.5. საბანკო ჰოლდინგი

საბანკო ჰოლდინგს შეუძლია აკონტროლოს არასაბანკო დაწესებულებები, რომლებიც საბანკო საქმიანობასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული – ფინანსური, ლიზინგური, ფაქტორინგული კომპანიები, სატრასტო და საინვესტიციო ფირმები, საგზაო ჩეკების და საკრედიტო ბარათების გამომშვები კომპანიები, გამოთვლითი ცენტრები, აუდიტორული ფირმები და ა.შ. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჰოლ_ ნაური ფირმა შეილობილი კომპანიებისა და ფილიალების დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი მიიღწევა დიდ (მსხვილ) კომერციულ ბანკში, რომელიც შეიძლება ერთდროულად ჰოლდინგ-კომპანიაც იყოს. ასეთმა ბანკმა შეიძლება აკონტროლოს საბანკო საქმიანობასთან მჭიდროდ დაკავშირებული არასაბანკო დაწესებულებები – სპეციალიზებული არასაბანკო ინსტიტუტები, ისეთები, როგორებიცაა: დაზღვევა, სალიზინგო, ფაქტორინგული კომპანიები, საინვესტიციო და ფინანსური კომპანიები, აგრეთვე, საგზაო ჩეკებისა და საკრედიტო ბარათების გამომშვები კომპანიები, გამოთვლითი ცენტრები, აუდიტორული ფირმები (იხ. ნახ. 2.6.).

2.3. კომერციული ბანკის მდგრადობის საერთო-ეკონომიკური შინაარსის შემადგენლები

კომერციული ბანკის მდგრადობაზე ზემოქმედი პარამეტრების სახით შემდეგი ფაქტორების გამოყოფა არის შესაძლებელი:


სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც თავისთავში მოიცავს არსებული მთავრობის მდგრადობას, ოპოზიციის ზემოქმედებას, საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კორექტირებას, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებში სტაბილურობას ან სოციალურ დაძაბულობას, პოლიტიკურ გარემოცვას (ორიენტაცია);

საერთო-ეკონომიკური მდგომარეობა – ეკონომიკის რეალური სექტორის პოტენციალი, საწარმოო სიმძლავრეების განახლება ან მწყობრიდან ამოღება, საქონელმწარმოებლების კონკურენტუნარიანობა, ქვეყნის საგადახდო ბალანსის სალდო (ექსპორტი/იმპორტი), რესურსების დარგთაშორისი გადადინების შესაძლებლობები, ინვესტიციები (კაპიტალის მოდინება/გადინება);

მდგომარეობა ფინანსურ ბაზარზე, რომელიც თავისთავში მოიცავს საპროცენტო განაკვეთის საბანკო ანაბრების მოზიდვასთან დაკავშირებით, ფულადი ბაზრის შემოსავლიანობას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ც შემოსავლიანობას, ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს, ვალუტაზე მოთხოვნა/მიწოდების მოცულობას, ოპერაციებს სავალუტო ბირჟაზე, ფულად ემისიას, ინფლაციის ტემპებს და ინფლაციურ მოლოდინს, სახელმწიფო ვალის მომსახურების ღირებულებას, ცენტრალური ბანკის პოლიტიკას, ოქროსავალუტო რეზერვების მოცულობას, ფულადი მასის მიწოდებას, საბანკო პროდუქტების/მომსახურებების კონკურენციას;


საკრედიტო ორგანიზაციის შიდა მდგრადობა თავისთავში მოიცავს ბანკის სტრატეგიისა და მისიის არსებობა/არარსებობის ამსახველ პარამეტრებს, კადრების პროფესიონალურ კვალიფიკაციას, საბანკო მენეჯმენტის ხარისხს, კაპიტალის საკმარისობას.

კომერციული ბანკის მდგრადობაზე ზემოქმედი საგარეო და შიდა ფაქტორების ზემოქმედების ილუსტრაციისათვის შემდეგი სქემა შეიძლება იქნეს განხილული (იხ. ნახ. 2.7).



ნახაზი 2.7. კომერციული ბანკის მდგრადობაზე ზემოქმედი ფაქტორები

ფაქტორები, რომლებზეც ბანკს უშუალო ზემოქმედების განხორციელება შეუძლია, ნახაზში **გამუქებულად** არის გამოყოფილი, ხოლო ფაქტორები, რომლებიც საკუთარ მდგრადობაზე ბანკის ზემოქმედების შუამავლობის ზონაში იმყოფებიან – **ჩვეულებრივი შრიფტით**.



ნახაზი 2.7. კომერციული ბანკის მდგრადობაზე ზემოქმედი ფაქტორები

„კომერციული ბანკის მდგრადობის“ კატეგორიის მახასიათებლების გავრცობის მიზნით მისი საერთო-ეკონომიკური შინაარსის სტრუქტურული შემადგენლების განხილვა არის მიზანშეწონილი.

1. **კომერციული ბანკის კაპიტალური მდგრადობა.** მდგრადობის ამოცანა სახეობა ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდით განისაზღვრება. ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდე უზრუნველყოფს უკუღადი რესურსების საკმარის მოცულობას საბანკო ანაბრების დაცვარვის შესახებ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რესურსებს განუსაზღვრელი ზარალისა და ვალების გადასაფარავად, ბანკის განვითარების დაფინანსებას, ადეკვატურ ქმედებებს ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მუდმივად ცვალებადი საგარეო პირობებისადმი ადაპტაციას.

2. **კომერციული ბანკის კომერციული მდგრადობა.** მდგრადობის აღნიშნული სახეობის საფუძველში საბაზრო ურთიერთობების ინფრასტრუქტურაში კომერციული ბანკის დამკვიდრების არსია ჩადებული. კერძოდ: კავშირების ხარისხი და სიმტკიცე სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, ბანკთაშორის ურთიერთობებში მონაწილეობა, ეკონომიკაში სისტემაშემქმნელი მნიშვნელობა, ქვეყანაში ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვანი წილის კონტროლი; ურთიერთობის ხარისხი კრედიტორებთან, კლიენტებთან და მეანაბრეებთან; ბანკის ფულადი კაპიტალის რეალური კაპიტალის ბაზართან მჭიდრო კავშირი, კომერციული ბანკის სოციალური მნიშვნელობა: ერთი საკრედიტო ორგანიზაციის ეგიდის ქვეშ ოპერაციებისა და კერძო ანაბრების მაღალი წილის დაგროვება.

3. **კომერციული ბანკის ფუნქციონალური მდგრადობა:**

◆ კომერციული ბანკის სპეციალიზაცია მომსახურების შეზღუდულ წრეზე, რომელიც სპეციალიზებულ ბანკებს საბანკო პროდუქტების შერჩეული ასორტიმენტის უფრო ეფექტურად მართვის შესაძლებლობას აძლევს;

◆ კომერციული ბანკის ფუნქციების გაფართოება ან უნივერსალიზაცია, რომლის წინაპირობას მისი მდგრადობის შესახებ მოსაზრებები წარმოადგენს, გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტების

უმეტესობა საბანკო პროდუქტებში საკუთარი მოთხოვნილებების მთლიანი ნაკრების ერთ ბანკში დაკმაყოფილებას ანიჭებენ უპირატესობას.

კომერციულ ბანკს ფუნქციონალური მდგრადობისადმი თითოეული მიდგომის საკუთარი უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია:

- კომერციული ბანკის სპეციალიზაცია მას საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებასთან მჭიდრო კავშირში აყენებს და მისი (კონიუნქტურის) ცვლილებისას ბანკის საქმიანობის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას გამორიცხავს;
- კომერციული ბანკის უნივერსალიზაცია ფულადი რესურსების მოზიდვა/განთავსების სტრუქტურის დივერსიფიცირების შესაძლებლობას იძლევა და იგი ერთ, თუნდაც მსხვილ კლიენტზე დამოკიდებული არ არის. მაგრამ მისაწოდებელი მომსახურებების მოცულობისა და დიაპაზონის გაფართოებამ შეიძლება ბანკის ორგანიზაციისა და მართვის ზედმეტად გართულებამდე და როგორც შედეგი – საბაზრო გარემოს მოთხოვნებთან ბანკის მგრძნობიარობის დაკარგვამდე, მისი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის შესუსტებამდე მიგვიყვანოს.

4. **კომერციული ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობა.** ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მართვა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ბანკის მიზნებს, ასევე, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების კონკრეტულ ასორტიმენტსაც, შესრულებად ფუნქციებსაც, რომელთა რეალიზებისა და შესრულებისას კომერციული ბანკები საკუთარი სტრატეგიის მიღწევას ან თავისთავზე დაკისრებული მისიის შესრულებას უზრუნველყოფენ. კომერციული ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობის უმნიშვნელოვანეს პარამეტრს საფინანსო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე საბანკო საქმიანობის ცალკეული სახეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური დივერსიფიკაცია წარმოადგენს, რომელიც მისი საქმიანობის როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარ-

ჩოებში, ასევე, მათ მიერ შესრულებადი სპეციფიკური საბანკო ფუნქციების მარეგლამენტირებელია.

5. **კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობა.** მდგრადობის ზემოთქმულ სახეობას შეიძლება ბანკის საქმიანობის მდგომარეობის ინტეგრალური საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები მივაკუთვნოთ, რომლებიც ბანკის ფინანსური მდგრადობის სხვა ეკონომიკური შემადგენლების მახასიათებლების სინთეზირებას ახდენენ, ესენია: საკუთარი სახსრების მოცულობა და სტრუქტურა, შემოსავლებისა და მოგების დონე, მოგების ნორმა ბანკის საკუთარ კაპიტალზე, ლიკვიდობის საკმარისობა, საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტურობა და ბანკის მიერ დამატებული ღირებულების, აგრეთვე, ბანკის ფინანსური ოპერაციების მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური და ტექნოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის პარამეტრების შექმნა.

კომერციული ბანკის საქმიანობა საერთო-ეკონომიკური, აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკური მუდმივად ცვალებადი სიტუაციის, ფინანსური ბაზრის მდგომარეობის ცვალებადობის ფონზე მიმდინარეობს, რაც საკრედიტო ორგანიზაციის საერთოეკონომიკურ მდგრადობაზე სხვადასხვა ზომიერებით ახდენს ზემოქმედებას. ამასთან დაკავშირებით, კომერციული ბანკის ძირითადი ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს: ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებებზე (ბანკის ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი), ბანკის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსურ შეფასებაზე (ფულადი ნაკადებისა და ტრადიციული საბანკო რისკების მართვა), საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფისა და საბანკო საფინანსო ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე (ინფორმაციულ-ანალიტიკური და ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა). ამიტომ ქვემოთ საუბარი გვექნება საბანკო მენეჯმენტის შესახებ, რომელიც კომერციული ბანკის მდგრადი საქმიანობის უზრუნველყოფისკენაა მოწოდებული.

საბანკო მენეჯმენტი საერთო სახით, თავისთავად, სტრატეგიულ და ტაქტიკურ დაგეგმვასთან, ანალიზთან, რეგულირებასთან, ბანკის საქმიანობის კონტროლთან, ფინანსების მართვასთან, მარკეტინგული საქმიანობის მართვასთან, აგრეთვე, საბანკო ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, **საბანკო მენეჯმენტი არის ფულადი რესურსების ფორმირებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მართვა, ანუ ფინანსური მენეჯმენტისა და საბანკო სფეროში დაქირავებული პერსონალის მართვის ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობაა.**

კომერციულ ბანკში საბანკო მენეჯმენტის ფინანსურ მენეჯმენტად და პერსონალის მართვად დაყოფა ობიექტის სტრუქტურით არის განპირობებული, რომლისკენაც საბანკო მენეჯმენტის ზემოქმედების მართვა არის მიმართული. ამიტომ იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საქმიანობა, რომელიც შიდასაბანკო რეგულირებასთან არის დაკავშირებული და, პირველ რიგში, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნილებებისა და ნორმატივების დაცვისკენ არის მიმართული (იხ. ცხრ. 2.5).

ცხრილი 2.5.

საბანკო მენეჯმენტის ფუნქციები

ფინანსური მენეჯმენტი	პერსონალის მართვა
1. აქტივებისა და პასივების მართვა. 2. ლიკვიდობის მართვა. 3. საკუთარი კაპიტალის მართვა. 4. ნასესხები კაპიტალის მართვა. 5. საბანკო რისკების მართვა. 6. საკრედიტო პორტფელის მართვა. 7. შიდასაბანკო კონტროლის ორგანიზაცია.	1. ორგანიზაციის სისტემისა და შრომის ანაზღაურების ადმინისტრირება. 2. პერსონალის შერჩევისა და დასაქმების ორგანიზაცია. 3. პერსონალის მომზადების სისტემის ორგანიზაცია.

ბანკი არის ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მართვას ახორციელებს. ამასთან, უშუალოდ, კაპიტალი თვითმზარდი ღირებულების პოზიციიდან ან მისი ნაზარდის პოზიციიდან განიხილება. მაგრამ ცნება „კაპიტალი“ შეიძლება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაში ფუძემდებლური პოზიციიდანაც იქნეს განხილული. კაპიტალის აღნიშნული განსაზღვრა, თავისთავად, ადამიანებს შორის ურთიერთობებს წარმოადგენს, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში მათი საერთო საქმიანობის წარმატების განმსაზღვრელია. ამიტომ ადამიანური კაპიტალის მართვა არის საკრედიტო ორგანიზაციის მართვის პროცესში ადამიანისადმი დამოკიდებულება, თვით ორგანიზაციის საბოლოო შედეგის ან მიზნის მიღწევისას ადამიანის როლის გაგება. ბანკისათვის იგი შეიძლება იყოს მოგება, ლიკვიდობა, მდგრადობა, იმიჯი და სხვა პარამეტრები, რომლებსაც იგი საკუთარი მისიის ჩარჩოებში გამოყოფს.

საბანკო მენეჯმენტის ფუნქციონირების სფერო მოიცავს ფულადი ნაკადების რაციონალურად მართვასთან მიმართებაში პროცესების აგებას და საბანკო პერსონალის ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას, როგორც კომერციულ ბანკში ეფექტური მენეჯმენტის აუცილებელ პირობას. ამიტომ ადამიანური კაპიტალის მართვის პროცესები საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მართვასთან განუყოფელ კავშირში უნდა ხორციელდებოდეს. ამით ბანკისა და მისი კლიენტების ინტერესებში კაპიტალის ეფექტური გამოყენება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანები სქემატურად ცხრილის სახით არის შემოთავაზებული (იხ. ცხრ. 2.6).

ცხრილი 2.6.

საბანკო მენეჯმენტის ამოცანები

ამოცანა	გადასაწყვეტი ამოცანების შინაარსი
1	2
საბანკო პოლიტიკა	1. ძირითადი ამოცანების დასმა, ბანკის არსებობის ძირითადი მიზნის გამოყოფა; 2. კომპლექსური პროგრამებისა და პროექტების შემუშავება, რომლებიც ბანკის არსებობის ძირითადი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ; 3. ბანკის საქმიანობის მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება; 4. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ბანკის განვითარების არჩეულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში შემუშავება; 5. ბანკის პერსონალის მართვის სტრატეგია: • პერსონალის მუშაობის ორგანიზაციის სფეროში; • პერსონალის მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრის სფეროში; • პერსონალის მოტივაციის სფეროში; • პერსონალის ინოვაციური პოტენციალის სტიმულირების სფეროში; • პერსონალის სპეციალური წინსვლის სფეროში.
საბანკო მარკეტინგი	1. ს... ო მომსახურებების არსებული და პოტენციალური ბაზრების დადგენა; 2. კონკრეტული ბაზრების შერჩევა და საბანკო კლიენტურის მოთხოვნების გამოვლენა; 3. გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დადგენა არსებული საბანკო მომსახურებების განვითარებისა და ახალი სახეობების შექმნისათვის; პრაქტიკაში მომსახურების ახალი სახეობების დანერგვა და ბანკის კონტროლი დანერგვის პროგრამების რეალიზაციაზე.

ცხრილი 2.6-ის გაგრძელება

1	2
საბანკო პროდუქტების შექმნა	1. ბანკის საქმიანობის პროცესში ფულადი სახსრების მდგომარეობის, თავისებურებებისა და ფორმების ცვალებადობის მეთოდების შემუშავება ბანკის არსებული და პოტენციალური კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის; 2. კლიენტების მომსახურების ახალი საბანკო ტექნოლოგიების დანერგვა.
ბანკის საკლიენტო ბაზის ფორმირება, კლიენტების მომსახურება, მომსახურებების გაყიდვა	1. საბანკო მომსახურების ბაზრის ძირითად სეგმენტებზე (საკრედიტო, საოპერაციო, საინვესტიციო, სატრასტო) პოზიციების განმტკიცება მოზიდული კლიენტების ჯგუფებისათვის (მეურნე სუბიექტები, სახელმწიფო დაწესებულებები, ფიზიკური პირები); 2. საბანკო მომსახურების ახალი ბაზრების დაუფლება; 3. კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ბანკის სარეკლამო ბაზის გაფართოება, დამატებითი შემოსავალმომტანი ფულადი ნაკადების შექმნა; 4. მოგების მიღება.
ეკონომიკა და ფინანსები	1. კაპიტალის ნაზარდი; 2. მოგებისა და ლიკვიდობის მართვა; 3. მმართველობითი წახალისებების მაქსიმიზაცია; 4. ბანკის განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა; 5. ფინანსური გადაწყვეტილებების დასაბუთება; 6. ბანკის დანახარჯების მართვა.
ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა	1. ფინანსური ოპერაციების დაგეგმვისა და რეალიზაციის საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემის შექმნა.
ადმინისტრირება	1. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის, პერსონალის კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის ბანკის განვითარების არჩეულ სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა.

თავის მხრივ, საბანკო მენეჯმენტი არის კომერციული ბანკის მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელების უშუალო მართვასთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობა. აღნიშნულ ასპექტში საბანკო მენეჯმენტი გამოდის, როგორც ობიექტის მართვაზე მმართველი ზემოქმედების შემუშავების სისტემა, როგორებიცაა: აქტიური და პასიური ოპერაციები, საანგარიშსწორებო-სალარო ოპერაციები, ნორმატიული საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენება, შიდასაბანკო აუდიტი და კონტროლი და ა.შ. (იხ. ნახ. 2.8.).

საბანკო მენეჯმენტის სისტემა, რომელიც მმართველობითი ზემოქმედების შემუშავებისკენაა მიმართული, შემდეგი სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

1. **ბანკის საქმიანობის დაპროგრამება** – ბანკის საქმიანობის მიზნობრივი პროგრამის ფორმირება.

2. **ბანკის საქმიანობის დაგეგმვა** – რაოდენობრივი (კრიტიკული) პარამეტრების ჩამონათვლის შემუშავება, რომლებიც საკრედიტო ორგანიზაციის პროგრამული მიზნების შესაბამისი იქნება. ბანკის კრიტიკული პარამეტრები (საკუთარი კაპიტალის სიდიდე, საკუთარი კაპიტალის საკმარისობა, აქტიური და პასიური ოპერაციების პორტფელის დროში ცვალებადობის დასაშვები პარამეტრები, აქტიური და პასიური ოპერაციების სტრუქტურა, ბანკის საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტი და ა.შ.), რომლებიც საქმიანობის დაგეგმვის ინტერვალში უნდა იცვლებოდეს.

3. **ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა,** რომლის საფუძველს პირველადი საბუთები წარმოადგენს, რომლებიც საბანკო კლიენტურასთან კონკრეტული ოპერაციის ან გარიგების ოფისტრაციას ახდენენ.

4. **ეკონომიკა და ფინანსები** – ბანკის საქმიანობის პარამეტრებზე დასახული ნორმატიული პარამეტრების დასაბუთება და შეხედვით ფაქტორებზე კონტროლი, რომელთაც შეუძლიათ ოასახული მიზნობრივი პროგრამიდან, აგრეთვე, ბანკის პროგრამის შესრულების ხარისხის შეფასების გადახრა გამოიწვიონ.

5. **ტექნოლოგია** – ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შემუშავება, რომელიც საგარეო გარემოს (ბანკის კლიენტურის) მოთხოვნებს, აგრეთვე, შემუშავებული ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის საბანკო ოპერაციებისა და მომსახურების მოქმედ რეგლამენტთან კავშირს გამოხატავს.

6. **მარკეტინგი** – საგარეო გარემოს მოთხოვნილებებისა და მისი ცვლილებების მონიტორინგის გამოვლენა.

7. **საკონტროლო-ადმინისტრაციული საქმიანობა,** რომელიც თავისთავში მმართველობითი ზემოქმედების ოპერატიული თანმხლები პროცესების მომსახურებას მოიცავს.

8. **ექსპერტიზა და კონსულტაციები** – ექსპერტიზა, კონსულტაციები და მიმართულებების თანხვედრა, რაც საგარეო გარემოს მმართველობით ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული.

9. **უზრუნველყოფა** – მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფა.

10. **„პაბლიკ რილეიშენს" PR** – საინფორმაციო-კვლევითი უზრუნველყოფა, რეკლამა და სქემა „საბანკო პროდუქტები – კლიენტის" დანერგვა ბაზარზე.

ნახაზი 28. *(დასაწ. იხ. გვ. 94)* კომერციული ბანკების მართვადობის ზემოქმედების სტრატეგიული ორგანიზაციული სტრუქტურა

2.4. საბანკო მენეჯმენტის ფინანსურ-ტექნოლოგიური დიფერენციაცია და ეკონომიკური ინტერესების შედარებითი ანალიზი

ბანკის ძირითადი დანიშნულებაა შუამავლობა კრედიტორებიდან ფულადი სახსრების მსესხებლებისაკენ და გამსაღებლებიდან მყიდველებისაკენ გადაადგილების პროცესში. ბანკისა და კლიენტის ეკონომიკური ინტერესების სრულად თანხვედრის შეუძლებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ **ბანკი მისი ეკონომიკური ბუნების** შესაბამისად, **ფინანსური შუამავალია,** რომელიც ეკონომიკაში ფულადი ნაკადების მომსახურებას უზრუნველყოფს და მოზიდული ფულადი სახსრების მესაკუთრეს არ წარმოადგენს, ხოლო **კლიენტი** – პირიქით, როგორც წესი, **წარმოებული საქონლისა და მომსახურებების მფლობელია,** რომლებსაც ძირითადად მატერიალური შეცსება გააჩნიათ. მაგრამ ეკონომიკის რეალურ სექტორს ინვესტიციები და ფინანსური საბრუნავი სახსრები, ხოლო ბანკებს – მწარმოებლური აქტივების მოცულობების გადიდება ესაჭიროებათ. საბაზრო ეკონომიკაში კომერციული ბანკის მიერ საკუთარი ფუნქციების რეალიზებისათვის აღნიშნული ორი მიზანი ერთმანეთთან შეკავშირებული უნდა იყოს. კომერციული ბანკისა და თავისუფალი ბაზრის მონაწილის – ბანკის კლიენტის ეკონომიკური ინტერესების შედარებითი ანალიზის შედეგები იხილე ცხრილ 2.7-ში.

როგორც შედარებითი ანალიზიდან ჩანს, **მხარეები-მონაწილეების ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაში არაა.** მათ ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთისას ცალკეული შეხება გააჩნიათ. ამიტომ ბანკის მიერ უშუალოდ თავისუფალი ბაზრის მონაწილეებისთვის – მომხმარებლებისთვის შეთავაზებად პროდუქტებსა და მომსახურებებს შორის **უკუკავშირის** უზრუნველყოფის მიზნით, კომერციული ბანკის მხრიდან საგარეო გარემოსთან **უკუკავშირის ფუნქციის** შესრულება საბანკო მენეჯმენტზე უნდა იყოს დაკისრებული.

ცხრილი 2.7.

კომერციული ბანკისა და მისი კლიენტის ეკონომიკური ინტერესების შედარებითი ანალიზი

	კლიენტის პარამეტრები	კლიენტის ეკონომიკური ინტერესები	ბანკის პარამეტრები	ბანკის ეკონომიკური ინტერესები
1	2	3	4	5
1	საგარეო პარამეტრები	ლიცენზირების, შეღავათების, კვოტირების მიღება, ტერიტორიაში გამარჯვება, ლობირება, რეკლამა, მარკეტინგი, ინტერესების წარმომადგენლობა.	მოგებიანობა (შემოსავლიანობა)	საოპერაციო მარჟის გადიდება, მუშა აქტივების წილის ამაღლება, მოგება/კაპიტალის თანაფარდობის გადიდება, საბანკო სა-გადასახადო დაგეგმვა.
2	პარტნიორები	მომწოდებლები, მომხმარებლები, კონკურსანტები, კონტრაგენტების შემოწმება, მზღვეობრივი ბაზრები, პერსპექტიული გეგმები.	ლიკვიდობა	ნასესხები რესურსები ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარზე, ადეკვატურალიზებადი აქტივების არსებობა, ნასესხები მოზიდული რესურსების სტრუქტურიზაცია.
3	საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა	ლიკვიდობა, საბრუნავი კაპიტალის საკმარისობა, ქონების და სამეწარმეო რისკის დაზღვევა, დებიტორული დავალიანების ხარისხი, ფინანსური, საოპერაციო, საწარმოო ბერკეტები.	საკუთარი კაპიტალი	საქციო კაპიტალის სტრუქტურა, ძირითადი და დამატებული კაპიტალი, კაპიტალის ადეკვატურობა, კაპიტალის მულტიპლიკატორული ეფექტი.
4	საბანკო მომსახურება	მოთხოვნილება დაფინანსებაში, დროებით თავისუფალი სახსრების განთავსების შემოსავლიანობა და საიმედოობა, ინვესტიციები, გადახდების განხორციელების ვადები.	აქტივები	შემოსავლიანი აქტივების ხარისხი, აქტივების რისკის საშუალო დონის შემცირება, საკრედიტო დაბანდებების დივერსიფიკაცია.

ცხრილი 2.7-ის გაგრძელება


1	2	3	4	5
5	**მმართველობითი (საწარმოო) აღრიცხვა**	საღირიცხვო პოლიტიკა, აღრიცხვის ფორმალიზაცია და ავტომატიზაცია, მმართველობითი აღრიცხვის განხორციელება, საგარეო აუდიტი, კონტროლინგი, ბიზნეს-დიაგნოსტიკა, ფინანსური შეფასება, ბიზნეს-დაგეგმვა, ბიუჯეტირება და ა.შ.	**მოზიდული ნასესხები სახსრები**	მიღებული სტრუქტურის პასივების ზრდა (ვადა, მიღებულობა, ღირებულება, მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულების რეგულირება, მოზიდული რესურსების მახასიათებლების განსაზღვრა (ციკლურობა, შემოსულობების/ ხარჯების პიკები, დეტერმინირებულობა, ტრანზაქციის სისშირე, დივერსიფიკაცია ბაზრის სეგმენტების მიხედვით (საინვესტიციო კომპანიები, არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციები, ვაჭრობა, მრეწველობა და ა.შ.
6	**წარმოება**	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პირობები, პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციის ვადები, წარმოების ციკლურობა, ფონდუკუნებისა და შრომის ნარმადობის ამაღლება, წარმოების დანახარჯების შემცირება, წარმოების მოქნილი გადაორიენტირება.	**საკლიენტო ბაზა**	საშუალო კლიენტების ხვედრითი წონის ამაღლება, პრიორიტეტული კლიენტების გამოყოფა (მომსახურების უფრო სრული კალათა, ბანკში კლიენტის სახსრების განთავსების ტექნოლოგიური ჯაჭვები), ერთმანეთთან დაკავშირებული და ბანკის სხვადასხვა პროდუქტ ტიპული ქვედანაყოფის მიერ მიწოდებადი მომსახურებების პაკეტირება, კლიენტის ძირითადი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საბანკო ფინანსური ტექნოლოგიების მეშვეობით ვიწრო ადგილების გამოვლენა და გაანალიზება.

ცხრილი 2.7-ის გაგრძელება

2	3	4	5
ლოგისტიკა	სასაწყობო სათავსოები, მომარაგება, გასაღება (სადილეტრო და წარმომადგენლობითი ქსელები), სასაქონლო ჯგუფების მიხედვით სასაქონლო მარაგების მიღებულობა, საბაჟო, ტრანსპორტი.	**ტრადიციული საბანკო რისკები**	მმართველობითი (საოპერაციო-ღირებულებითი) აღრიცხვა „on line“ რეჟიმში ბანკის სარისკო ექსპოზიციაზე კონტროლისათვის (რისკები: პროცენტული, სავალუტო, ლიკვიდობის), საქმიანობის მონიტორინგი და საკრედიტო რისკები, საკრედიტო რისკების გადანაწილება საკრედიტო პროცესისადმი დამზღვევების მოზიდვის და უზრუნველყოფის სახეობების მკვეთრი განსაზღვრის ხარჯზე რისკების მართვის სისტემის აგება.
შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა	**სამწარმოო:** ქვედანაყოფების სპეციალიზაციის შეცვლა, მატერიალური ნაკადების ოპტიმიზაცია, შიდასამეურნეო მექანიზმი (მოგების და დანახარჯების ცენტრები). **ორგანიზაციული:** მმართველობითი სამსახურების რიცხოვნობის შემცირება, შერწყმა, ლიკვიდაცია ან შემცირება, პერსონალური გადაადგილებები.	**ბანკთაშორისი კომუნიკაციები და რეგიონალური პოლიტიკა**	ოპერაციების მოცულობისა და მიმართულებების ადეკვატური კორსტენტების ფორმირება, ლიმიტები ბანკკორესპონდენტების მიხედვით, რეგიონალური ქსელის ჩამოყალიბება რეგიონის ეკონომიკური მიზანშეწონილებისა და ფინანსური მიზიდულობიდან გამომდინარე, კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტურის არსებობა, ფილიალების რეგიონული ქსელების გახსნის უზრუნველყოფის ეკონომიკური დასაბუთების გაანგარიშება.

ცხრილი 27-ის გაგრძელება

1	2	3	4	5
9	**პერსონალი**	მოთხოვნილება პერსონალისადმი, მათ შორის, ფინანსების სფეროში, სოციალურ უზრუნველყოფაში და მომსახურებაში (არასახელმწიფო საპენსიო ფონდები), პერსონალის დაზღვევა, ხელფასის ფონდის გადასახადებით დაბეგვრის მინიმიზაციის სქემები, შრომის ანაზღაურების ფორმები და სიდიდე, შრომის ანაზღაურების მომსახურება (საბანკო პლასტიკური ბარათები).	**ტექნოლოგიური მიმზიდველობა**	შიდასაბანკო ტექნოლოგიური გარემოს ფორმირება/საბანკო ოპერაციების ავტომატიზაციისა და კლიენტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან მიმართებაში ძველ დანაყოფების ურთიერთქმედების წესის ჩათვლით), მაღალტექნოლოგიური ბანკის იმიჯის ფორმირება.
10	**საგადასახადო დაგეგმვა და კონსალტინგი**	ოპერაციების დაგეგმვა ოპტიმალურ საგადასახადო დაბეგვრასთან მიმართებაში: საგადასახადო დაბეგვრის ბაზის პროგნოზირება, მომზადება მისი შემცირებისათვის, აგრეთვე, საგადასახადო შეღავათების გამოყენების ... ფინანსური ინჟინერინგი, საინვესტიციო კონსულტირება, აუდიტორული კონსალტინგი და ა.შ.	**კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე გასვლა**	საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ბანკების შუალედობით იაფი ფინანსური რესურსებისადმი მიღწევადობა, გარანტიების მიხედვით ლიმიტების დადგენა, საერთაშორისო საბანკო რეიტინგების მიღება.
11	**რესურსების მოზიდვა კაპიტალის ბაზრის მეშვეობით.**	კაპიტალის ბაზარზე გასვლა: ფასიანი ქაღალდების ემისია, საერთაშორისო დეპოზიტური ხელწერები, ანდერრაიტინგი.	**საინვესტიციო სტრატეგია**	პირდაპირი ინვესტიციების ეფექტური პორტფელი, სპეკულაციური ინვესტიციების ლიკვიდური პორტფელები, კლიენტების აქტივების ნდობითი მართვა.



სახაზი 29. ბანკში უკუკავშირის საფუძველზე მმართველობითი ზემოქმედების შემუშავებისა და რეალიზაციის სქემა თავისუფალი ბაზრის მონაწილეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან მიმართებაში.

საგარეო პირობების მუდმივად ცვალებადობა, რომელშიც საკრედიტო ორგანიზაცია საკუთარ საქმიანობას ახორციელებს, კომერციული ბანკის მხრიდან ლარის გაცვლით კურსებზე მარტივი ოპერაციებისა და „თამაშების“ გარდა, შესაბამის რეაქციას, ფინანსური და მაკროეკონომიკური პოლიტიკის სიღრმისეულ ანალიზს, დამატებითი პროდუქტის შექმნის ახალი ხერხების ძიებას მოითხოვს. ბანკებმა თანდათანობით ბაზრისა და საბანკო კლიენტურის ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა დაიწყონ, მზად უნდა იყვნენ არასაბანკო ფინანსურ ორგანიზაციებთან არაფასობრივი კონკურენციის გამკაცრებასთან მიმართებაში. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავე-


ბასთან და რეალიზაციასთან მიმართებაში საბანკო საქმიანობის ახალი მიმართულებების მუდმივად ფორმირება, უეჭველად, ინფორმაციის სუსტ ურთიერთგაცვლაზე და საქმიანობის აღნიშნული მიმართულებების ცუდ კოორდინაციაზე მიუთითებს. სწორედ ბანკის ფუნქციონალური ქვედანაყოფების ურთიერთქმედების არარსებობის გამო უარესდება მისი ძირითადი ხარისხობრივი პარამეტრები და მაჩვენებლები, რთულდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესები, არჩეული გადაწყვეტილების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შეფასება. ამიტომ, საბანკო მენეჯმენტის უმთავრეს ამოცანას ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბების (აგების) ამოცანა წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია რთული დინამიური სისტემის მრავალრიცხოვანი ელემენტების ურთიერთქმედების ოპტიმალურ ორგანიზაციასთან, რომელსაც, თავისთავად, თანამედროვე კომერციული ბანკი და მისი ფორმირების ოპტიმალური რეჟიმების განსაზღვრა წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **საბანკო მენეჯმენტი,** როგორც ურთიერთობის სისტემა, თავისთავად, **საფინანსო-ეკონომიკური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური და ფინანსურ-ტექნოლოგიური პარამეტრების ურთიერთკავშირს წარმოადგენს.** სხვა სიტყვებით, საბანკო მენეჯმენტი, თავის მხრივ, ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ სისტემურ პარამეტრებზე ზემოქმედებას წარმოადგენს, კერძოდ:

- ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (ფემ);
- ორგანიზაციულ სტრუქტურის აგებაზე, რომელიც ბანკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაზე არის პასუხისმგებელი (ოა);
- ფინანსურ-ტექნოლოგიური მართვის მაჩვენებლებზე (ფტმმ).

სისტემური პარამეტრების სიღრმისეულად გათვითცნობიერების შედეგად მათი მართვა შეიძლება შემდეგი ურთიერთდაქვემდებარებისა და უშუალო ურთიერთკავშირის სახით წარმოვიდგინოთ:

ფემ ➡ ოსა ➡ ფტმმ.

საქმიანურად, საბანკო მენეჯმენტი, როგორც სისტემური ურთიერთობის მართვა, რომელიც ფინანსურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური პარამეტრების ურთიერთ-



ნახაზი 2.10. საბანკო მენეჯმენტის ფინანსურ-ტექნოლოგიური დიფერენციაცია

ურთიერთებების ოპტიმალურ ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული, ისევე ნახაზ 2.10-ზე.

შენიშვნა: *წერტილი ხაზებით ნაჩვენებია ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული კავშირი ფუნქციის შესრულებასთან მიმართებაში.*

ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან მიმართებაში კომპლექსური ტექნოლოგიების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესებს, რომლებიც ფულადი ნაკადების ფორმირებასთან და გამოყენე-

ბასთან, კომერციული ბანკის მდგომარეობისა და საქმიანობის ანალიზის ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული, წყვეტს მართვის სისტემა, რომელმაც „ფინანსური მენეჯმენტის“ სახელწოდება დაიმკვიდრა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ბანკი ერთადერთი ეკონომიკური სუბიექტია, რომელიც ფულს, ყველა მისი ძირითადი ფუნქციით, სისტემურად მართავს და, აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პირველად; სასიცოცხლო როლს წარმოადგენს.

საქმიანობის ობიექტი კომერციული ბანკის ფინანსურ მენეჯმენტში არის ბანკის ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრების მართვის პროცესები.

საქმიანობის საგანი კომერციული ბანკის ფინანსურ მენეჯმენტში არის ფინანსური ოპერაციების რაციონალური დაგეგმვისა და რეალიზაციის სისტემებისა და მეთოდიკების შემუშავება და გამოყენება.

კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის **მიზანი** არის ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური სისტემების საქმიანობის ოპტიმალური სტრუქტურის აგების რაციონალური მოთხოვნებისა და მეთოდური საფუძვლების განსაზღვრა, რომლებიც, დასახული პარამეტრების ფარგლებში, ბანკის ფინანსური ოპერაციებისა და მისი მდგრადობის მხარდაჭერის დაგეგმვასა და რეალიზაციას უზრუნველყოფენ.

კომერციული ბანკ მდგრადობაზე ზემოქმედი დასახული პარამეტრების მაგალითები აღწერილია ცხრილი 2.8-ში.

ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკში, როგორც ნებისმიერი მართვის სისტემა, ორი ქვესისტემისაგან შედგება:

- სამართავი ქვესისტემისაგან, ანუ მართვის ობიექტისაგან;
- მართვადი ქვესისტემისაგან, ანუ მართვის სუბიექტისაგან.

ძირითად **მართვის ობიექტს** კომერციული ბანკის ფინანსურ მენეჯმენტში წარმოადგენს **ფულადი სახსრები,** რომლებიც ფინანსური ოპერაციების მეშვეობით კომერციული ბანკის საქმიანობის

სფეროში იმყოფებიან.

ცხრილი 2.8.

პარამეტრები – საქმიანობის რეჟიმი

დასახული პარამეტრები	საქმიანობის რეჟიმი
1. ბანკის მოგების მაქსიმიზაცია	მინიმალურად დასაშვები ნორმატიული ლიკვიდობა
2. ბანკის ლიკვიდობის მაქსიმიზაცია	მოგების ნორმა, რომელიც ბანკის ფინანსური ოპერაციების ამოგებას უზრუნველყოფს.
3. ბანკის მოგებისა და ლიკვიდობის დაბალანსება.	მოგების ნორმა, რომელიც საბაზრო შემოსავალს უზრუნველყოფს ბანკის სარეზერვო ბაზის მართვა მისი დივერსიფიკაციის საფუძველზე ბანკის აქტიური ოპერაციების შესაძლებლობების შესაბამისად ვადების, მოცულობებისა და ღირებულების მიხედვით.

მართვის სუბიექტს კომერციული ბანკის ფინანსურ მენეჯმენტში წარმოადგენს **ბანკის მენეჯმენტი** (უმაღლესი ხელმძღვანელობა, მართვის აპარატი, ბანკის პერსონალი), რომელიც მმართველობითი ზემოქმედების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით ობიექტის მიზანმიმართულ ფუნქციონირებას ახორციელებს.

განვიხილოთ ნახაზი 2.11, რომელზეც კომერციულ ბანკში მისი მდგრადობის საფუძველზე ფინანსური მენეჯმენტის კონცეპტუალური სქემაა ჩამოყალიბებული.

2.11. ნახაზზე ნაჩვენებია, რომ მართვის ობიექტი – საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრები კომერციულ ბანკში მოძრაობას (გადაადგილებას) ახორციელებენ გაფორმებული გარიგებების (ხელშეკრულებების) საფუძველზე. აღნიშნული პროცესის სამართლებრივი მხარე ხორციელდება, უშუალოდ, მართვის სუბიექტის – კომერციული ბანკის, როგორც იურიდიული პირის, მეშვეობით. აღნიშნული პროცესის ეკონომიკური მხარე ხორციელდება ბანკის ფინანსური ოპერაციების (საბანკო პროდუქტების, ოპერაციების,

მომსახურების) საფუძველზე, რომლებიც მართვის ობიექტის მოთხოვნილებებს პასუხობენ. ფინანსური მენეჯმენტი ობიექტის, საგანისა და მისი საქმიანობის მიზნით, შესაბამისად, საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრების ტრანსფორმირებას ახორციელებს ბანკის ფინანსურ ოპერაციებში და ამის ხარჯზე, ეს უკანასკნელი (ბანკი), ბანკის კაპიტალის ნაზარდის უზრუნველყოფის მიზნით, დამატებულ ღირებულებებს ქმნის.


ნახაზი 2.11 კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის კონცეპტუალური სქემა
(გაგრძელება იხ. 107 გვერდზე)

კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის სისტემაში ფულადი სახსრების ტრანსფორმაციის პროცესი ბანკის ფინანსური ოპერაციების მართვის მეშვეობით მიმდინარეობს, რაც მის მდგრადობაზე აისახება. ამიტომ, ნახაზი 2.11-ზე მდგრადობის ხუთი ბლოკი თორმეტი ქვებლოკით არის გამოყოფილი, რომლებიც მდგრადობის თითოეული სახეობის მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს წარმოადგენენ. ქვემოთ წარმოდგენილია კომერციული ბანკის მდგრადობის ბლოკები მათი ფუნქციების შინაარსის ჩამოყალიბებით:

ნახაზი 2.11-ის გაგრძელება

<table>
<tr><td colspan="3">ბანკის ფინანსური მდგრადობა</td></tr>
<tr><td>1. ბანკის პროგრამირება ბანკის საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე (შიდა და საგარეო), ბანკის საქმიანობის დაპროგრამება და სტრატეგია.</td><td>2. ბანკის საქმიანობის მონიტორინგი და ანალიზი, ტრადიციული საბანკო რისკების იდენტიფიკაცია საბალანსო მონაცემების გაურკვევის საფუძველზე</td><td>3. ბანკის ეკონომიკური სარგებლის და სათანადერაციონირებულებით ანალიზის მიმდინარე შეფასება.</td></tr>
<tr><td colspan="3">ბანკის ორგანიზაციული მდგრადობა</td></tr>
<tr><td>4. ბანკის საქმიანობის დაგეგმვა: ბანკის ქსელის ფუნქციონირების მარკეტინგული სტრატეგია და ბიზნეს-დაგეგმვა.</td><td>5. ბანკის ორგანიზაციული აგებულება (ხაზობრივი, დივიზიონალური, მატრიცული სტრუქტურა; მიმსახურებაზე ან კლიენტზე ორიენტაცია).</td><td>6. ადამიანური კაპიტალის მართვა: მოტივაცია, მატერიალური სტიმულირება, სანქციებისა და პრემირების გამლა.</td></tr>
<tr><td colspan="3">ბანკის ფუნქციონალური მდგრადობა</td></tr>
<tr><td colspan="2">7. ბანკის სპეციალიზაცია.</td><td>8. ბანკის უნივერსალიზაცია.</td></tr>
<tr><td colspan="3">ბანკის [illegible]რული მდგრადობა</td></tr>
<tr><td colspan="2">9. ბანკის საპროდუქტო პოლიტიკა და ბანკის პროდუქტული ჩამონათვალის ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა.</td><td>10. ბანკის კლიენტურის ფინანსური მენეჯმენტი და მისი განვითარება საქმიანობის ინოვაციური მიმართულებით კლიენტების (ბაზრის) მოთხოვნილებების საფუძველზე</td></tr>
<tr><td colspan="3">ბანკის კაპიტალური მდგრადობა</td></tr>
<tr><td colspan="2">11. ბანკის საკრედიტო-საინვესტიციო პოლიტიკა.</td><td>12. ბანკის საემისიო-საფონდო პოლიტიკა.</td></tr>
</table>

ფინანსური მენეჯმენტი, როგორც ბანკის მდგრადობის მართვასთან დაკავშირებული ურთიერთობების სისტემა, თავისთავად, უშუალოდ თანადაქვემდებარებულების ურთიერთკავშირს წარმოადგენს, რომელიც შემდეგი სახით შეიძლება გამოისახოს (ნახ.2.12):




ნახაზი 2.12. ბანკის მდგრადობის მართვასთან დაკავშირებული ურთიერთობების სისტემა

ფინანსური მენეჯმენტის მიზნების რეალიზაციისათვის საჭიროა კომერციული ბანკის ქვედანაყოფის ქვესისტემების ძირითადი ფუნქციები იქნეს განსაზღვრული. ამ ფუნქციებს მიეკუთვნებიან (იხ. ნახაზი 2.13.):

1. **სტრატეგიული დაგეგმვა** არის პერსპექტიული ფინანსური [illegible]მიცანების განსაზღვრა და აღნიშნული ამოცანების შესრულებაზე ორიენტირებული ეფექტური ქმედებების პროგრამების შემუშავება. **ამოცანა** არის მოცემულ განსაზღვრულ პირობებში (საკვალითად, პრობლემურ სიტუაციაში) საქმიანობის მიზანი,

რომელიც განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად აღნიშნული პირობების გარდაქმნით უნდა იქნეს მიღწეული.

2. მოდელირება არის მეთოდების, ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტალური საშუალებების ერთობლიობაში გამოყენების მიზნით ინფორმაციის მომზადების საშუალება, რომელიც უმაღლეს ხელმძღვანელობას დაარწმუნებს შემოთავაზებული პროექტების ეფექტურობაში და შემოთავაზებული ქმედებების მიზანშეწონილობაში; აგრეთვე, მართვის ობიექტის მიმდინარე და პროგნოზული მდგომარეობის შესაფასებლად. **მოდელი** არის მატერიალური ობიექტი ან ნიშნობრივი სისტემა, რომელიც სტრუქტურას ან კანონის ობიექტის ფუნქციონირებას უკეთებს იმიტირებას.



ნახაზი 2.13. მართვის სუბიექტის ფუნქციონალური ქვესისტემების ურთიერთქმედების სქემა

3. ოპერატიული დაგეგმვა არის მიმდინარე ფინანსური ამოცანების გადაწყვეტის რაციონალური ხერხების განსაზღვრა ბანკის პერსპექტიული ფინანსური მიზნების მიღწევის აუცილებლობის გათვალისწინებით.

4. მონიტორინგი არის მართვის ობიექტისა და გარემომცველი გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

5. დიაგნოსტიკა არის ობიექტის მდგომარეობის მახასიათებელი პარამეტრების მიმდინარე მნიშვნელობების დროის მოცემული მომენტისათვის გეგმურ მაჩვენებლებთან შესაბამისობის შეფასება.

6. მართვის ორგანო არის მართვის ობიექტის საიმედობის უზრუნველყოფა.

ფინანსური მენეჯმენტის საგნობრივი სფეროს შემდგომი იდენტიფიკაციის მიზნით განვიხილოთ ცნება – „საბანკო ოპერაცია“ და მისი ურთიერთკავშირი ცნებასთან – „საბანკო პროდუქცია“ და „საბანკო მომსახურება“. მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, ოპერაციების შემდეგ კლასებს განასხვავებენ:

- **პასიური ოპერაციები** არის საბანკო მომსახურებების განხორციელებისათვის ფულადი სახსრების აკუმულირება;
- **აქტიური ოპერაციები** არის საკუთარი და მოზიდული სახსრების გამოყენება მიმდინარე და მომავალი შემოსავლების მიღების მიზნით;
- **საშუალო ოპერაციები** არის კლიენტების მომსახურება საკომისიო ანაზღაურების მიღების ხარჯზე.

ბანკის საშუამავლო ოპერაციების ადგილი და მათი მოკლე შინაარსი იხილე ნახაზ 2.14-ზე.

ბანკის საშუამავლო ოპერაციების სტრუქტურა უფრო დეტალურად განვიხილოთ. ამისათვის გამოვიყენოთ ახალი ცნება – „საბანკო ტრიადა“, რომელიც განისაზღვრება შემდეგი სახით:

საბანკო ტრიადა არის სამი ცნების „პროდუქტი-ოპერაცია-მომსახურება“ შეხამება.

„საბანკო ტრიადის“ ცნების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა განისაზღვრება მისი მეშვეობით ცნების – „კლიენტების მომსახურების საბანკო ტექნოლოგიის“ შინაარსის დაზუსტების შესაძლებლობით და აღნიშნული მრავალი ტექნოლოგიის კლასიფიკაციებით. ცნებებს: „კლიენტების მომსახურების საბანკო ტექნოლოგიასა“ და „საბანკო ტრიადას“ შორის შესაბამისობის დადგენის სქემა არის შემდეგი:

ტექნოლოგია = (მასალა + ინსტრუმენტი +
+ ქმედებების ნაკრები კლასთა) → მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
„კლიენტების მომსახურების საბანკო ტექნოლოგია“ =
= (კლიენტების მოთხოვნილებები + პროდუქტები + +
ოპერა(ციები) → მომსახურება =
= საბანკო ტრიადა + ურთიერთკავშირები მათ ელემენტებს შორის.

სირთულის ხარისხის მიხედვით შეიძლება ტრიადების შემდეგ სამი კლასი გამოიყოს (იხ. ცხრ. 2.9):

ცხრილი 29

საბანკო ტრიადების კლასები

ტრიადები	პროდუქტები + ოპერაციები + მომსახურებები		
ელემენტარულები	მარტივები	ტიპიურები	მასიურები
კომბინირებულები	რთულები	კომპლექსურები	ჯგუფურები
ინტეგრირებულები	სისტემურები	პროცესში გაერთიანებულები	ინდივიდუალურები

საბანკო პროდუქტი არის ბანკის კლიენტისათვის მომსახურების განხორციელების ხერხი; ბანკის თანამშრომლების მიერ მომსახურების განხორციელებისას კლიენტთან ურთიერთობის რეგლამენტი, ანუ ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციული, ინფორმაციული, ფინანსური და იურიდიული ღონისძიებების კომპ-

ნახაზი 2.14. საბანკო ოპერაციების კლასიფიკაცია.

ლექსი, რომლებიც კლიენტის მომსახურების ერთიანი ტექნოლოგიებით არის გაერთიანებული.

საბანკო ოპერაცია არის მიზნების, ადგილისა და ქმედების დროის მიხედვით შეთანხმებული სისტემა, რომელიც კლიენტის მომსახურებასთან მიმართებაში დასმული ამოცანების გადაწყვეტაზეა მიმართული.

საბანკო მომსახურება არის ბანკის კლიენტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფორმა (კრედიტში, საანგარიშსწორებო – სალაროს მომსახურებაში, გარანტიებში, ფასიანი ქაღალდების შეძენა-გაყიდვასა და შენახვაში, უცხოური ვალუტის შეძენაში და ა.შ.).

მარტივი პროდუქტი არის პროდუქტი, რომლის რეალიზება ხორციელდება ბანკის ერთი ფუნქციონალური ქვედანაყოფის მიერ კლიენტისათვის ერთი მომსახურების განხორციელების გზით.

რთული პროდუქტი არის პროდუქტი, რომლის რეალიზაციაში შეიძლება ბანკის რამდენიმე ქვედანაყოფი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქნეს ამოქმედებული კლიენტზე კომპლექსური მომსახურების განხორციელების გზით.

ამრიგად, ფინანსური მენეჯმენტის საგანი – ბანკის პროდუქტიული კალათის შექმნა, არა მარტო შეესაბამება კომერციული ბანკის მოთხოვნებს მისი კომერციული და ფუნქციონალური მდგრადობის მართვასთან მიმართებაში, არამედ კლიენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით მართვის ობიექტის საიმედოობის უზრუნველყოფასაც ახორციელებს. აქედან გამომდინარეობს ნებისმიერი კომერციული ბანკის ძირითადი კონცეფცია: საიმედო კლიენტის მრავალრიცხოვანი ბანკის მდგრადობას ნიშნავს.

III თავი

ბანკის მენეჯმენტის შეფასება და ადამიანური რესურსების მართვა

შინაარსი:

1.1. ადამიანური რესურსების მნიშვნელობა, დაქირავების პოლიტიკა და კორპორაციული კულტურა;
1.2. ხელმძღვანელობა და მართვის სტილის შერჩევა;
1.3. კომერციული ბანკის ადმინისტრაციის ადეკვატურობის შეფასება;
1.4. რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შეფასება;
1.5. ბანკის მენეჯმენტის საქმიანობის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა;
2. სამუშაო გარემოზე მოქმედი ფაქტორები;
3. ძლიერი და სუსტი კორპორაციული კულტურა;
4. ნაკლებად განვითარებული, არაჯანსაღი კორპორაციული კულტურა;
5. ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა;
6. სტრატეგიასა და კულტურას შორის შესაბამისობის შექმნა;
7. ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბება;
8. კორპორაციულ კულტურაში სრულყოფის კულტის შექმნა;
9. „ეშრიჯული“ მოდელი.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 3.1. ბანკების შიდა კონტროლის სისტემა;

სქემა 3.1. „ბლეიქ-მოუტონის“ სქემა;
სქემა 3.2. კოორდინირებული ხელმძღვანელობის მოდელი.

III თავი

ბანკის მენეჯმენტის შეფასება და ადამიანური რესურსების მართვა

შინაარსი:

1. ადამიანური რესურსების მნიშვნელობა, დაქირავების პოლიტიკა და კორპორაციული კულტურა;
2. ხელმძღვანელობა და მართვის სტილის შერჩევა;
3. კომერციული ბანკის ადმინისტრაციის ადეკვატურობის შეფასება;
4. ბანკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შეფასება;
5. ბანკის მენეჯმენტის საქმიანობის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა;
2. საბჭოს გარემოზე მოქმედი ფაქტორები;
3. ძლიერი და სუსტი კორპორაციული კულტურა;
4. ნაკლებად განვითარებული, არაჯანსაღი კორპორაციული კულტურა;
5. ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა;
6. სტრატეგიასა და კულტურას შორის შესაბამისობის შექმნა;
7. ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბება;
8. კორპორაციულ კულტურაში სრულყოფის კულტის შექმნა;
9. „ქმრიჯული“ მოდელი.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 3.1. ბანკების შიდა კონტროლის სისტემა;

სქემა 3.1. „ბლეიკ-მოუტონის“ სქემა;
სქემა 3.2. კოორდინირებული ხელმძღვანელობის მოდელი.

3.1. ადამიანური რესურსების მნიშვნელობა, დაძირავების პოლიტიკა და კორპორაციული კულტურა

ადამიანური რესურსების პოლიტიკაში, სამამულო ბანკებ
აუცილებლად გასათვალისწინებელია გარდამავალი პერიოდ
თავისებურებები. აღნიშნულ სფეროში ისინი ვლინდება გარ
კუთრებით ნათლად და ქმნის სერიოზულ პრობლემებს.

პირველ რიგში, აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებას ხელ
უშლის შრომის ბაზრის მდგომარეობა – როგორც რესურსებ
სიჭარბე, აგრეთვე განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. აღნიშ
ნულ ბაზარზე თითქმის არ არსებობს თავისუფალი შრომით
რესურსების შეთავაზება ისეთ სპეციალობებზე, როგორებიცაა
საფონდო საქმე, საბრასტო და ლიზინგური ოპერაციები, აუდიტ
და ა.შ.

მეორე მხრივ, მხოლოდ ფორმირების სტადიაშია ის სტრუქ
ტურა, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ ბაზარს დამატებით
მომსახურების ფართო ნომენკლატურით – სპეციალური კონ
სალტინგური ფირმები, პროფესიული მომზადებისა და გადამზა
დების ცენტრები და ა.შ. ამ პირობებში საკრედიტო ორგა
ნიზაციები, პერსონალის შერჩევის დროს, იძულებულნი ხდებიან
ორიენტირება გააკეთონ თავიანთ შესაძლებლობებსა და რესურ
სებზე, რაც უკავშირდება დამატებით, არარაციონალურ ხარჯებს.

ტრადიციულად, ბანკების უმაღლესი დონის მენეჯერების მიერ
არ ხდება საკმარისი ყურადღების გამოჩენა ადამიანური რესურ
სების პოლიტიკისადმი, რაც, პრაქტიკულად, გამოიხატება:

- სურვილის არქონა უზრუნველყოს პერსონალის აუცი
ლებელი სტატუსი შიდა ორგანიზაციაში, რაც ობიექტურად ხელს
უშლის მას დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში;
- პერსონალის მართვის იმ ფორმებსა და მეთოდებზე ორიენ
ტაცია, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის, ანუ
გარდამავალი პერიოდის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა;

- [illegible] ბანკებთან თანამშრომლობის სურვილის არქონა ადა
[illegible] რესურსების პოლიტიკის გადაწყვეტაში.

[illegible]სად, აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკს ახასიათებს აღ
[illegible] პერსონალის არასაკმარისი კომპეტენტურობა, რაც
[illegible]ნდება:

- [illegible]ოსილების ხელმძღვანელებზე მეთოდოლოგიური და
[illegible] არარსებობით აღნიშნული სამსახურების მხრიდან;
- [illegible] საკუთარი საქმიანობის ორგანიზაციით მითითებების საფუძ
[illegible] არა ინიციატივის განვითარებით.

[illegible]ასად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სრულყოფილად
[illegible]ება მენეჯერებისათვის სპეციალური სატრენინგო პროგ
[illegible]ის მომზადება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სფე
[illegible] საქართველოს ბანკების ყველაზე მოწინავე ხელმძღვანე
[illegible]ის მიერ აღნიშნული სიტუაცია დაძლეულ იქნა წამყვანი
[illegible]სტების კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმის
[illegible]ებით, საზღვარგარეთ სტაჟირების ჩათვლით.

[illegible]ასვე, აღსანიშნავია ის, რომ ადამიანური რესურსების
[illegible]სტის პრაქტიკა რთულდება თანამშრომელთა მნიშვნელო
[illegible] რიცხვის სპეციფიკური მენტალიტეტით. საშუალო და
[illegible]ისი ასაკის პერსონალისათვის ყველაზე ნეგატიურ ფაქტებს
[illegible]ება მივაკუთვნოთ:

- არასაკმარისი პასუხისმგებლობით მიდგომა როგორც დამქი
[illegible]ლის, ისე, მთლიანად, სამსახურის მიმართ;
- კონკრეტული გადაწყვეტილებების დროს პასუხისმგებლობის
[illegible]ის თავზე აღების სურვილის არქონა;
- საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თანამშრომლის მიმართ
[illegible]ებული მოთხოვნების გაუთვითცნობიერება, მათ შორის,
[illegible]ებულება ანაზღაურების მიმართ, არა როგორც შესრულე
[illegible]ი სამუშაოსათვის, არამედ სამუშაო ადგილის დაკავებისათვის;
- პერსონალის რეგიონული მობილურობის დაბალი დონე,
რომელიც ხელს უშლის ბაზრის ფორმირებას;

• სოციალური აქტიურობის მაღალი დონე, მიდრეკილება პირდაპირი ან ფარული კონფლიქტებისადმი ადმინისტრაციასთან.

ადამიანური რესურსების ყველა ეს თავისებურება გასათვალისწინებელია კონკრეტული ოპერაციული ქვესისტემის ორგანიზაციის დროს. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის გამოცდილების მთლიანი გამოყენება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხში ფერხდება ამ ფაქტორების გამო.

ამრიგად, საქართველოს კომერციული ბანკები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხების გადაწყვეტის დროს აწყდებიან მთელ რიგ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებს. ქვეყნის საბანკო სექტორის კრიზისიდან გამოსვლასთან ერთად, სულ უფრო მეტად აქტუალურია უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება.

➢ პერსონალის მიღების პოლიტიკა

მრავალი წლის მანძილზე არსებობდა ტიპური საბანკო კლერკის ან მენეჯერის სტერეოტიპი: იგი უნდა ყოფილიყო მამაკაცი, კარგად და კონსერვატიულად ჩაცმული, საუბრობდეს წყნარად და მშვიდად. ჰქონდეს საშუალო განათლება და აუცილებლად ფლობდეს მათემატიკასა და ინგლისურში ცოდნის განსაზღვრულ დონეს.

ამჟამად ორგანიზაციათა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ მათი პერსონალი მიდიოდეს უშუალოდ მომხმარებელთან (ფაბრიკებში, ფირმებში, მაღაზიებში) და ყიდდეს საბანკო მომსახურებას.

მოთხოვნები ადამიანური რესურსების (რომლებიც დაკავებული არიან გაყიდვებით) მიმართ, წარსულთან შედარებით შეიცვალა. შედარებით რეალური ⊀ მჩიშვნელოვანი კანდიდატი ახლა შეიძლება გახდეს საქმიანი ნატურა, რომელსაც შეუძლია ხელმძღვანელობა და დახმარება ახალგაზრდებისა, რომლებიც არიან უფრო ენთუზიაზმით სავსენი, ვიდრე მხოლოდ ტრადიციული განათლებისა და დიპლომის მქონე. იმდენად, რამდენადაც

ცვალა სამუშაოს ტიპი, რომელსაც ასრულებს ბანკის პერსონალი, შეიცვალა პერსონალის ტიპიც.

დაქირავება შეიძლება განხორციელდეს ლოკალურ დონეზე, როცა თვითონ მენეჯერი არჩევს საჭირო თანამშრომლებს, ან ბანკში არსებული საერთო შერჩევის პრინციპებით. ასე თუ ისე, ითითოეული ბანკი უნდა ახორციელებდეს დაქირავების დაგეგმვას, რომელიც ვითარდება ორგანიზაციის საერთო სტრატეგიულ გეგმასთან ერთად. ხოლო სტრატეგიული გეგმის ყოველ ნაწილში უნდა იყოს ზუსტად განხილული მისი ზეგავლენა ადამიანური რესურსების დაგეგმვაზე.

➢ განათლება

სამუშაოს ახალი მეთოდების წარმოჩენა, განსაკუთრებით, ტექნოლოგიების, აყენებს სასწავლო პროგრამებზე მოთხოვნას. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ მაღალტექნოლოგიური პროცესები არა მარტო ფულის გადაგზავნისათვის და ბუღალტერიის წარმოებისათვის, ყველა დონის პერსონალი მომზადებული უნდა იყოს შესაბამისად. ეს ტექნოლოგიები თავის თავში მოიცავს ინფორმაციის ელექტრონულ სისტემებს (რომლებიც საშუალებას იძლევს სხვადასხვა განყოფილებას, ფირმებს, ოფისებს, რომ ურთიერთკავშირდნენ და გადასცენ შეტყობინება ან დოკუმენტები), ტექსტურ პროცესორებს, ელექტრონული კავშირის სისტემას, საგამომცემლო სისტემებს, ე.ი. თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

➢ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა

ბანკის ადამიანური რესურსის კონტროლი ითვალისწინებს ბალანსის შენარჩუნებას შემოსულ (დაქირავების დროს) და გასულ (პენსიაში გაშვება, განთავისუფლება) პერსონალს შორის, რომელიც აუცილებელია საბანკო ბიზნესის ოპტიმალურად წარმართვისათვის.

თანამედროვე კანონმდებლობის ზოგიერთი ნაწილი ითვალისწინებს, რომ გამოსაცდელი ვადის შემდეგ თანამშრომლები არ შეიძლება განთავისუფლდნენ არასამართლიანად.

უცხოეთში პროფესიული კავშირის როლის ზრდა იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო შრომითი კანონმდებლობის განვითარებას, რომელიც იცავს თანამშრომელთა ინტერესებს.

➢ სამუშაო გარემოზე მოქმედი ფაქტორები

გარე ფაქტორები:

- შემოსავლიანობის დონე – თუ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე არის დიდი მოთხოვნა, თანამშრომლებს აქვთ მოლოდინი და ხელმძღვანელებმა შეიძლება გაზარდონ შრომის ანაზღაურების დონე (ან პირიქით);
- კონკურენციის დონე – თუ ის მაღალია, ეს ზემოქმედებს ბანკის შესაძლებლობებზე და მზადყოფნაზე, უზრუნველყონ საკუთარი თავი მაღალი ფულადი დაჯილდოებით;
- იურიდიული შეზღუდვა – ამ ფაქტორმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ყველა მონაწილეზე.

ტექნოლოგიური ფაქტორი:

- საბანკო ბიზნესის ადამიანური კაპიტალის ტევადობა განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების, როგორც დანახარჯების ფაქტორის მნიშვნელობას;
- ძირითადი პერსონალი – თუ პერსონალი, რომელიც მონაწილეობს მოლაპარაკებებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ეს ზემოქმედებს ნებისმიერი დავის სერიოზულობაზე;
- ტექნოლოგიური ცვლილებების ტემპები – მნიშვნელობა აქვს მომავალი დასაქმების დონისათვის.

ისტორიული ფაქტორები:

- პერსონალის ისტორია – ბანკში თანამშრომლებსა და მის ხელმძღვანელობასთან არსებული ურთიერთობა;
- ჩართვის სტილი;
- მოლაპარაკებების წარმართვის სტილი;
- ლოკალური კულტურა.

➢ კორპორაციული კულტურის საწყისი

ბანკის ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ მისი თანამშრომლები აუცილებელი უნარ-ჩვევების გარდა არ ფლობენ დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს, არ ირჩევენ განსაზღვრულ დამოკიდებულებას თავიანთი სამუშაოს, ბანკის, კლიენტებისა და კოლეგების მიმართ. ზუსტად ეს უნარ-ჩვევები, შეხედულებები, ქცევის ნორმები, ორგანიზაციის წესები ქმნიან ბანკის კორპორაციულ კულტურას.

ბანკის წარმატება შეიძლება უფრო მეტად იყოს დამოკიდებული მის კორპორაციულ კულტურაზე, ვიდრე სხვა ფაქტორებზე. ძლიერი კორპორაციული კულტურა ხელს უწყობს კომუნიკაციას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. კორპორაციული კულტურის უძლიერეს მხარეს წარმოადგენს მისი არაფორმალური ზემოქმედება ახალგაზრდა პერსონალზე, პირადი და პროფესიული ჩვევების განვითარებით, მოქმედი წესებისა და ნორმების მეშვეობით, რომელსაც განუხრელად იცავენ მისი წარმყვანი სპეციალისტები და გამოცდილი თანამშრომლები.

ყველა ორგანიზაციისთვის დამახასიათებელია საკუთარი ფილოსოფია და პრინციპები, პრობლემების გადაჭრის (გადაწყვეტილების მიღების) მეთოდები, საკუთარი საქმიანი პრაქტიკა, ფასეულობების კოდექსი, აგრეთვე, შიდა ურთიერთობების თავისებური სისტემა. ყველა ეს კომპონენტი აყალიბებს ცნებას – „კორპორაციული კულტურა“. ბანკის კორპორაციული კულტურა დაკავშირებულია ორგანიზაციის ფასეულობებთან, რწმენასთან, ტრადიციებთან, მუშაობის სტილთან და შიდა გარემოსთან.

კორპორაციული კულტურის საფუძველია ორგანიზაციის რწმენა და ფილოსოფია, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ

უნდა წარმართოს მან საქმე ამგვარად და არა სხვა სახით, შესაბამისი მიზეზების დასაბუთებით.

კორპორაციული კულტურა არ არის სტატიკური, ის გარკვეულად იცვლება ეკონომიკაში წარმოშობილ ცვლილებებთან ერთად.

➢ კორპორაციული კულტურის ძალა

მენეჯერები ამტკიცებენ, რომ კორპორაციული კულტურა ის ფაქტორია, რომელმაც დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება უნდა იქონიოს კორპორაციული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე.

აღსანიშნავია შემდეგი პარამეტრები, რომლებიც დამახასიათებელია ძლიერი კორპორაციული კულტურისათვის:

- საქმიანობის შედეგების მიმართ ყურადღება;
- „კლიენტი ყურადღების ცენტრში“;
- შედეგებზე პირადი პასუხისმგებლობა;
- კარიერული წინსვლა შესაძლებლობების მიხედვით;
- დაჯილდოება ძლიერია დასჯაზე;
- ღია ურთიერთობები;
- აქტიური ხელმძღვანელი, რომელიც მონაწილეობს ბანკის ყველა საქმიანობაში. ძლიერი კორპორაციული კულტურა და მისი მჭიდრო კავშირი ბანკის სტრატეგიასთან არის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პერსონალის მართვის ძლიერი ბერკეტი.

➢ ძლიერი და სუსტი კორპორაციული კულტურა

კორპორაციული კულტურა სხვადასხვა ბანკში განსხვავებულად ზემოქმედებს პერსონალის საქმიანობასა და ქცევის ნორმებზე.

- კორპორაციული კულტურა შეიძლება იყოს სუსტი და განზოგადებული, თუ ბანკში არსებობს მრავალი სუბკულტურა, არ არის ერთიანი ფასეულობები, ქცევის ნორმები და ტრადიციები.
- კორპორაციულმა კულტურამ შეიძლება ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ბანკის საქმიანობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ხორციელდება მკვეთრად განსაზღვრული პრინციპების ფარგლებში, მენეჯერები კი ამ პრინციპებს განუმარტავენ პერსონალს. ძლიერი კულტურა კორპორაციისათვის მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ის შეესაბამება სტრატეგიას და პირიქით.

ძლიერი კორპორაციული კულტურის შექმნაზე გავლენას ახდენს:

- ძლიერი ლიდერი, რომელიც აწესებს ქცევის პრინციპებს;
- ბანკის ხელმძღვანელობის განწრახვა – იმოქმედოს დადგენილი ტრადიციების შესაბამისად;
- მუდმივი ზრუნვა მჭიდველებზე, თანამშრომლებსა და აქციონერებზე.

საბანკო ბიზნესში ლიდერობა, პერსონალის მცირე რაოდენობა და კომპანიის ხელმძღვანელთა პოსტზე ხანგრძლივი ყოფნა ხელს უწყობს მყარი კორპორაციული კულტურის შექმნას.

➢ ნაკლებად განვითარებული, არაჯანსაღი კორპორაციული კულტურა

არაჯანსაღი კორპორაციული კულტურის თავისებურებებია:

- გავლენიანი ხელმძღვანელები ატარებენ საკუთარ პოლიტიკას და ქმნიან ცვლილებებს;
- ინოვაციებისადმი ფრთხილი, მტრული დამოკიდებულება;
- თანამდებობაზე წინსვლა იმ მენეჯერებისა, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ უფრო ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ბიუჯეტს, პერსონალზე კონტროლის სისტემას, ვიდრე სტრატეგიებს და კორპორაციულ კულტურას;
- აღინიშნება, რომ ასეთი ხელმძღვანელობის დონეზე მათ არ ეყოფით სამეწარმეო საქმიანობის უნარი და გამოცდილება სტრატეგიული მართვისათვის;
- სხვისი გამოცდილების გადმოღების უუნარობა და სურვილის არქონა.

დიდხანს ბანკის ლიდერად ყოფნის შემთხვევაში მათ ეჭვენებათ, რომ ყველაფერი იციან. შეზღუდული აზროვნება და ე.წ. უპირატესობის სინდრომი ბანკის დაცემის წინაპირობაა.

ზოგჯერ ცვლილებებს კორპორაციულ კულტურაში წარმატებით აღწევს მენეჯერთა მცირე ჯგუფი, მაგრამ გავლენიანმა უმრავლესობამ შეიძლება დააზიანოს ახალი კორპორაციული კულტურის საწყისი და წინ აღუდგეს პროგრესს.

➢ ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა

ბაზარზე არსებული მუდმივი ცვლილებების პირობებში, ბანკის პოზიციების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების სწრაფი დანერგვისა და სტრატეგიის ცვლილების უნარი. ამისათვის აუცილებელია ისეთი ტიპის კორპორაციული კულტურა, რომელიც ბანკს დაეხმარება მოახდინოს ადაპტაცია ბაზრის ახალ პირობებთან.

ადაპტირებადი კულტურის ორი განსხვავებული ნიშანია:

- ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობენ საბანკო ბიზნესის მუდმივ პრინციპებს და იმათ, ვინც არ არის ორგანიზაციის ნამდვილი წევრი: მომხმარებლებს, თანამშრომლებს, აქციის მფლობელებს, მომწოდებლებს, ვიდრე ნებისმიერ კონკრეტულ სტრატეგიასა და საქმიან პრაქტიკას.
- მენეჯერების არსებობა, რომლებსაც აქვთ უნარი წავიდნენ რისკზე, ექსპერიმენტზე, ინოვაციაზე, სტრატეგიის შეცვლაზე. ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა ხელმძღვანელების საიმედო მოკავშირეა სტრატეგიების რეალიზაციის დროს.

➢ სტრატეგიასა და კულტურას შორის შესაბამისობის შექმნა:

კორპორაციული კულტურის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა საკმაოდ რთული ამოცანაა.

- პირველი ნაბიჯია იმის გარკვევა, თუ არსებული კულტურის რომელი ასპექტია სტრატეგიის მხარდამჭერი და რომელი – არა.
- მენეჯერებმა ღიად და პირდაპირ უნდა განაცხადონ ყველა დაინტერესებული მხარისათვის კულტურის აუცილებელი ცვლილებების შესახებ.

მოქმედება, რომელიც გასაგებია თითოეულისათვის, ხელს უწყობს სტრატეგიის შესაბამისი ახალი კულტურის შექმნას. ის შეიძლება იყოს:

- რეალური;
- სიმბოლური.

სიმბოლური მოქმედებების დროს, იმპულსების წყალობით ხდება თანამშრომლების ქცევის ხასიათის ფორმირება.

მთავარი სიმბოლური მოქმედებებია:

- დანახარჯების შემცირება ხელმძღვანელთა დამატებითი პრივილეგიების შემცირებით;
- მომხმარებელთა მოთხოვნებზე რეაქცია, კლიენტებთან საუბარი;
- სამუშაოს სტილისა და პოლიტიკის ცვლილებისათვის ინიცირება;
- ახალი გმირის გამოვლენა.

დაჯილდოების ცერემონია, ქცევის ეტალონი და სხვა სიმბოლოები კორპორაციული კულტურის შექმნისათვის მენეჯერის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მენეჯერმა უნდა დაარწმუნოს თანამშრომლები, რომ მათი მოქმედება ხელმძღვანელობის პირადი მაგალითი უნდა მისცეს თავის თანამშრომლებს.

სტრატეგიისა და კულტურის შეთანაწყობა ხანგრძლივი ხასიათისაა.

➢ ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბება

ეთიკურ პრინციპებსა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული ძლიერი კორპორაციული კულტურა სტრატეგიული წარმატების საწინდარია.

დადებითი ფასეულობები და ეთიკური ნორმები პოზიტიურ იმპულსს აძლევს მთელ კორპორაციულ კულტურას.

ფასეულობის სისტემისა და კომპანიის ქცევის კოდექსის შინაარსი

რას მოიცავს ფასეულობის სისტემა	რას მოიცავს ქცევის კოდექსი
• მომხმარებლის და მისი მომსახურების მნიშვნელობა; • ხარისხზე ზრუნვა; • ინოვაციების განვითარება; • თანამშრომლის პატივისცემა; • კუთხსანდისიერების, თანამშრომლობის ეთიკური ნორმების პრიორიტეტი; • აქციონერთა ინტერესების პატივისცემა; • მიწოდებელთა ინტერესების პატივისცემა; • გარემოს დაცვა; • კორპორაციული ერთიანობა.	• პატიოსნება და კანონის დაცვა; • ინტერესების შეჯახება; • კონკურენტული ბრძოლის პატიოსანი მეთოდები; • შიდა ინფორმაციის გამოყენება და უსაფრთხო გეზრობა; • მიმწოდებლებთან ურთიერთობა და გეზრობის პრაქტიკა; • სხვების შესახებ ინფორმაციის გამოყენება; • პოლიტიკური საქმიანობა; • კომპანიის აქტივების, რესურსების გამოყენება; • კერძო ინფორმაციის დაცვა; • ფასების დადგენა.

ქცევის ახალი კოდექსისა და ფასეულობების სისტემის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებები:

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების პროგრამაში ახალი ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების ჩართვა;
- პერსონალის დაქირავების დროს ყურადღების გამახვილება ახალ ფასეულობებთან შესაბამისობის მიმართ;
- ეთიკური ნორმებისა და ახალი ფასეულობების შინაარსის გაცნობა ყველა თანამშრომლისათვის.

ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემა უნდა იყოს არა მარტო განსაზღვრული, არამედ ინტეგრირებული კორპორაციის კულტურაში.

კორპორაციული კულტურა ყორმირებისას, ადამიანური რესურსების სამსახური ვალდებულია, წარმოადგინოს მოქმედებების კომპლექსი, დავალებების გადაწყვეტისათვის. კონკრეტული ღონისძიებები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. ახალი თანამშრომლების მიღების ნათელი რიტუალი (ბუკლეტი, რომელიც მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას ბანკისა და მისი განყოფილებების შესახებ; სამუშაოზე მიღების დღეს საშვის, ტელეფონების ცნობარის გადაცემა; ახალბედების ადაპტაციის ორგანიზება; ახალბედების სწავლება).

2. ბანკის თანამშრომლებს შორის პროფესიული კონკურსების ჩატარება, სტიმულირების განსაკუთრებული რიტუალების შემუშავება, მაგალითად, „წლის ადამიანი“ ბანკში. აქ მთავარია საჯარო სტიმულირება, უმჯობესია ოჯახის წევრების მოწვევა.

3. თანამშრომლების კარიერის დაგეგმვა (ხელშეწყობა სწავლაში, სტაჟირება, გადაადგილება).

4. თანამშრომლების შვილებისათვის სკოლების, ლიცეუმების სკოლის შექმნა (განსაკუთრებით ხარისხიანი პროგრამების სწავლება, რომლებიც საბანკო სპეციალობების მიღებას ხელს შეუწყობდა).

5. თანამშრომლებისათვის მასტიმულირებელი შეღავათების დაწესება (რაც დამოკიდებული იქნება მათ მიერ ნამუშევარი წლების რიცხვზე, მაგალითად 5 წელი ან მეტი.

6. ბანკის თანამშრომლებზე მომსახურების ასორტიმენტის გაფართოება (იურიდიული, საინფორმაციო, სატრანსპორტო და ა.შ.).

7. ბანკის თანამშრომლებისათვის სარეკლამო მასალებისა და სუვენირების გამოშვების გაფართოება (საათები, ჰალსტუხები, პლოკნოტები და ა.შ.).

8. ბანკის დაარსების დღის დაწესება შემდე დღის სტატუსით (შესაძლებლობის ფარგლებში).

9. თანამშრომლებისათვის მსხვილ საყოფლებზე და დაბანდებებზე (სწავლა, მკურნალობა) გრძელვადიანი კრედიტების გაცემა.

10. საკუთარი სამედიცინო და დასვენების ცენტრების შექმნა.

11. ბანკის განყოფილებების დაარსების დღის დაწესება, საერთო გასვლებით და დასვენებით, რომელშიც მონაწილეობას იღებს ბანკის ხელმძღვანელობა.

12. ბანკის შესახებ ვიდეომასალების შექმნა.

13. თანამშრომლებისათვის სადაზღვევო და საპენსიო ფონდების ფორმირების ხელშეწყობა.

14. ფილიალების თანამშრომლების რეგულარული ინფორმირება, ბანკის მიღწევების შესახებ.

15. ბანკის თანამშრომლების მიერ შეთავაზებული წინადადებების შეკრებისა და რეალიზაციის სისტემის შექმნა.

გასაგებია, რომ გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შესაძლებელია ჩატარდეს სხვა ღონისძიებებიც. მთავარია, რომ ეს ღონისძიებები იყოს მომართული ბანკის მიმზიდველობის ფორმირებისაკენ, რითაც დაკავშირებულია ერთმანეთთან თითოეული თანამშრომელი, რომლებსაც გულწრფელად სურთ იმუშაონ ნაყოფიერად და ხანგრძლივად.

➢ კორპორაციულ კულტურაში სრულყოფის კულტის შექმნა

ორგანიზაცია, რომლისათვისაც დამახასიათებელია სრულყოფის კულტი, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თავის მიღწევებსა და უპირატესობებზე. ბანკის კორპორაციული კულტურა ორიენტირებულია შედეგზე, ხოლო მმართველობა ახდენს თანამშრომლების აქტივიზაციას სამუშაოს უკეთესად შესრულებისათვის.

მნიშვნელოვანი ხდება იმ თანამშრომლების გამოყოფა და წახალისება, რომლებიც მიისწრაფვიან მაღალი შედეგებისაკენ:

- ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა ახალისებს იმათ, ვინც დარწმუნებულია საკუთარ იდეებში, ვისაც შესწევს უნარი, გადალახოს ბიუროკრატიული ბარიერი, შექმნას ახალი პროდუქტი;
- ბანკი აწყობს აქციას, რომელიც მიზნად ისახავს, თითოეულმა წარმატებულმა თან. ჭრომელმა თავი იგრძნოს, როგორც ბანკის ორგანულმა ნაწილმა;
- ზოგიერთი ბანკი ხაზს უსვამს თითოეული თანამშრომლის მნიშვნელობასა და სტატუსს. ღირსეულად ფასდება თითოეულის შრომა;

- ზოგიერთი ბანკი სამ თვეში ერთხელ ატარებს კორპორაციულ შეხვედრებს. თანამშრომლები წარმატების მიღწევისათვის ახდენენ გამოცდილებისა და იდეების გაზიარებას.

სრულყოფილი კომპლექსური სისტემა შედგება პრაქტიკული ტექნოლოგიების, სიტყვების, სიმბოლოების, მართვის სტილის, ფასეულობებისაგან, რომელთა ერთობლიობით, უბრალო ადამიანების ძალისხმევით წარმატებული შედეგი მიიღწევა.

3.2. ხელმძღვანელობა და მართვის სტილის შერჩევა

➢ მენეჯმენტის სტილის შერჩევა

მენეჯმენტი განისაზღვრება იმით, რომ ხდება ადამიანთა წინაშე ამოცანების დასმა მათი გადაწყვეტის მიზნით. თანამედროვე პირობებში მისგან მოითხოვება ახალი თვისებები, სახელდობრ:

საუბრის წარმართვის ხელოვნების ცოდნა, უფლებამოსილების დელეგირება, ადამიანებზე ზემოქმედება, მდგომარეობისა და სიტუაციის შეფასების ცოდნა, მიზნის განსაზღვრა და ა.შ.

კარგ მენეჯერს უნდა შეეძლოს გამონახოს საერთო ენა სხვისმიერ ადამიანთან, იყოს თავაზიანი, სწრაფად რეაგირებდეს ცვლილებებზე, შესწევდეს სხვადასხვა სახის საქმიანობის უნარი.

მენეჯერს უნდა შეეძლოს განსაზღვროს მართვის საკუთარი სტილი. მენეჯერებზე მსჯელობენ არა იმით, თუ რას აწარმოებენ ისინი, არამედ იმით, თუ რამდენად შეუძლიათ მობილიზება გაუკეთონ თანამშრომლების ძალებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

ადრეული გამოკვლევები მენეჯმენტის სფეროში შემოიფარგლებოდა იმ იდეით, რომ ხელმძღვანელებად იბადებიან, სხვაგარად ხელმძღვანელები ვერ გახდებიან. ცდილობდნენ განესაზღვრათ ადამიანის ის თვისებები, რომლითაც ის იბადებოდა ხელმძღვანელად და, შესაბამისად, კარგ მენეჯერად. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამ კვლევების სისწორის დამადას-

ტურებელი მტკიცებულებები, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთგულნი არიან აღნიშნული პრინციპისა.

მენეჯმენტის პრობლემებთან დაკავშირებით კვლევების ავტორი პიტერ დრუკერი, რომელიც, იმავდროულად, ეკონომიკურ საკითხებში სხვადასხვა ბანკისა თუ სადაზღვევო კომპანიის მრჩეველი იყო, აღნიშნავდა, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც გაივლის შესაბამის მომზადებას, შეიძლება ფლობდეს ეფექტიანი მართვის ხელოვნებას.

ქვემოთ განხილულია ხელმძღვანელობის სტილის სამი ძირითადი თეორია.


ბლეიქ-მოუტონის სქემა

რობერტ ბლეიქი და ჯეიმს მოუტონი ამერიკელი ფსიქოლოგები არიან, რომლებიც მუშაობდნენ საწარმოს ფსიქოლოგიურ სამსახურში. მათი შრომები დაფუძნებულია ეფექტიანი მართვისათვის მენეჯერების მომზადებისა და სწავლების შესაძლებლობაზე. ისინი თვლიან, რომ მენეჯერის მომზადება – ესაა განსაზღვრული პოზიციისა და ქცევის გამომუშავება ქვეშევრდომებს შორის. მენეჯერის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირების, სიახლეების მხარდაჭერისაკენ, თანამშრომლების წინაშე კონკრეტული ამოცანების დასმისაკენ.

ბლეიქ-მოუტონის სქემა მოიცავს თეორიულ ბლოკს, რომლის დახმარებითაც მენეჯერები შეძლებენ საკუთარი სტილის შემუშავებას მათ წინაშე დაყენებული ამოცანების გადასაწყვეტად. მართვის ეს „სქემა“ წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში, განსხვავებულ ორგანიზაციებსა და მათ სხვადასხვა განყოფილებაში.

ბლეიქ-მოუტონის „სქემა“ უპირველად დამოკიდებულია ადმინისტრაციის ქცევის ორ საბაზისო ელემენტზე: მზრუნველობა წარმოებაზე და პერსონალზე. ამ კონტექსტში წარმოება გულისხმობს პროდუქციისა და მომსახურების ყველა სახეს. მზრუნ-

ველობა პერსონალზე გულისხმობს ზრუნვას მათ ღირსებაზე, რწმენებზე, სამართლიანობაზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე და ა.შ. ნებისმიერი მენეჯერი მეტ-ნაკლებად გამოამჟღავნებს ამ ორი თვისებიდან ერთ-ერთს. ანუ მან შეიძლება დაინტერესება გამოიჩინოს უფრო წარმოების მიმართ, ვიდრე პერსონალის, ან პირიქით, ან შეიძლება სულაც ნაკლები დაინტერესება გამოიჩინოს ორივეს ერთი, ასევე, მეორის მიმართ. ერთმა და იმავე მენეჯერმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა მიდგომა სხვადასხვა სიტუაციის გამომდინარე, რომელიც, შესაბამისად, გადაადგილდება სქემის“ ფარგლებში. სქემის ნებისმიერი წერტილი რეალურია, მაგრამ სიმარტივისათვის დეტალურად განვიხილავთ მხოლოდ სქემის კუთხეებსა და ცენტრს.



სქემა 3.1. ბლეიქ-მოუტონის „სქემა“

1 : 1 – გულგრილი მენეჯერი

მენეჯერი, რომელიც ნაკლებადაა დაინტერესებული როგორც წარმოებით, ასევე პერსონალით, ფაქტობრივად, იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. მისი საქმიანობა შემოფარგლული იქნება მხოლოდ იმ დონით, რომელიც აუცილებელია სამუშაოს შენარჩუნებისათვის, თვითონ კი თავს არ იწუხებს და პასუხისმგებლობას ანაწილებს თანამშრომლებზე. აღნიშნული მენეჯერის პერსონალი იქნება ზარმაცი და პასიური, საწარმოს საქმიანობის შედეგი – მინიმალური.

1 : 9 – მენეჯერის ტიპი – „ქალაქგარეთ სახლის მმართველი“

მენეჯერს, რომელიც იმყოფება (1 : 9) წერტილში, თავის თანამშრომლებთან ურთიერთობა ურჩევნია მყუდრო ატმოსფეროში – „ქალაქგარეთ სახლში“. ასეთი ტიპის მენეჯერი უფრო აფასებს მეგობრულ ურთიერთობებს, ვიდრე ზრუნავს წარმოებაზე. არ რეაგირებს პერსონალის მოქმედებებზე, რადგანაც თვლის, რომ ისინი აკეთებენ „უკეთესად, ვიდრე შეუძლიათ“. მენეჯერის ამ ტიპის უარყოფითი მხარე ის არის, რომ პერსონალი ცდილობს გაექცეს უთანხმოებას და კრიტიკულ დამოკიდებულებას სამსახურში, ხოლო საწარმოო პრობლემის გადაწყვეტისას ცდილობს არაფერი თქვას ნაკლოვანებებზე.

9 : 1 – მენეჯერი, რომელსაც ქურადღება გამახვილებული აქვს სამუშაოს შესრულებაზე

მენეჯერი, პოზიციით 1:9, კონტრასტშია მენეჯერთან, რომელსაც უკავია პოზიცია 9:1. ის ცდილობს მიაღწიოს მაღალმწარმოებლურობას, რადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს მის თანამშრომლებს. ის იგნორირებას უკეთებს პერსონალის საჭიროებებს და განიხილავს მათ, როგორც წარმოების ნაწილს, უფრო ზუსტად, ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხდება მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღწევა. მმართველობის აღნიშნული სტილის გამოყენებით შესაძლებელია მაღალი მწარმოებლურობის მიღწევა, მაგრამ, რა თქმა

ქცია, არა ხანგრძლივი პერიოდისათვის, რადგან ინდივიდუალური საქმიანობა იქნება დათრგუნული. ამ სტილს ხშირად მიეყავართ კონფრონტაციამდე თანამშრომლებსა და დირექციას შორის.

9 : 9 – ინტეგრატორი

მენეჯერი, რომელსაც უკავია 9:9 პოზიცია, განსხვავებულია იმით, რომ იგი აღწევს მაღალმწარმოებლურობას თანამშრომლების ხარჯზე. ამ სტილის მენეჯერი იყენებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ მოტივაციას საერთო მიზნის მისაღწევად. ასეთი მენეჯერი არ უშვებს, რომ არსებობდეს რაიმე განსხვავება ამ ორ კომპონენტს (ზრუნვა წარმოებასა და ზრუნვა პერსონალზე) შორის და ცდილობს გააერთიანოს თანამშრომლები საწარმოს მოცანების გადასაწყვეტად. ბლეიქი და მოუტონი ფიქრობს, რომ ეს არის საუკეთესო ვარიანტი, რადგან ის დაფუძნებულია ურთიერთნდობასა და ურთიერთგაგებაზე.

5 : 5 – შუამავალი

შესაძლებელია, რომ ეს არის ყველაზე უფრო გავრცელებული სტილი საკმაოდ კარგ მენეჯერებს შორის. ეს არის, გარკვეულწილად, კომპრომისული პოზიცია. მენეჯერების ასეთი ტიპი ცდილობს გაზარდოს წარმოება, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია და ამასთან, არ მიაყენოს ზიანი პერსონალის მორალს. მენეჯერები დროგამოშვებით მიმართავენ 1:9 და 9:1 სტილს – ზრდიან პროდუქციის წარმოებას, შემდეგ არბილებენ დაძაბულობას, რომელსაც ადამიანებს შორის ურთიერთობა დაძაბული ხდება. მენეჯერები, რომლებსაც უჭირავთ 5:5 პოზიცია, მოქმედებენ მხოლოდ „ოქროს შუალედის“ ფარგლებში.

ეშრიჯული მოდელი

ეს მოდელი შემუშავებულ იქნა გასული საუკუნის 70-იან წლებში ინგლისის ეშრიჯის მენეჯმენტის კოლეჯის მიერ. ის განასხვავებს მენეჯმენტის ოთხ სტილს:

- ბრძანებები;

- რეკლამა;
- კონსულტაციები;
- ერთიანობა.

ბრძანებები

მენეჯერი თავის შეხედულებისამებრ ღებულობს გადაწყვეტილებებს და გადასცემს თანამშრომლებს შესასრულებლად. პერსონალი ელოდება ბრძანებებს და ასრულებს მათ ყოველგვარი კითხვების გარეშე.

რეკლამა

ამ შემთხვევაში მენეჯერი შეიმუშავებს საკუთარ გადაწყვეტილებებს და ცდილობს დაარწმუნოს პერსონალი, რომ მისი გადაწყვეტილებები საუკეთესოა, ე.ი. რეკლამირებას უწევს მათ, რათა არ წარმოიშვას პოტენციური წინააღმდეგობა პერსონალის მხრიდან.

კონსულტაციები

მენეჯერი წინასწარ ღებულობს კონსულტაციებს თანამშრომლებისაგან. ის აძლევს მათ საშუალებას გამოთქვან საკუთარი აზრი, რჩევები და წინადადებები. საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს მენეჯერი.

ერთიანობა

მენეჯერი განსაზღვრავს პრობლემას და აწესებს საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება (მაგალითად, საბიუჯეტო შეზღუდვები). პრობლემა განიხილება თავისუფალი დისკუსიის გზით თანამშრომლებს შორის და საბოლოო გადაწყვეტილება უმრავლესობით მიიღება.


ეს ოთხივე ტიპი გვხვდება და გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამრიგად, ზოგიერთი მენეჯერი მოქმედებს გარკვეული სტილის ფარგლებში, მაგრამ უმეტესობა, ფაქტობრივად, იყენებს ოთხივეს, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

კოორდინირებული ხელმძღვანელობა

გასული საუკუნის 70-იან წლებში დოქტორმა ჯონ ეიდერმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც ნათელს ხდის, თუ რა დამოკიდებულებაშია ადამიანი და სამსახური, რომელსაც ის ასრულებს.

ეს მოდელი ცნობილია კოორდინირებული ხელმძღვანელობის სახელით. სამი გადამკვეთი წრე წარმოადგენს სამ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლებიც ყოველმა მენეჯერმა უნდა გათვალისწინოს – დავალების შესრულება, გუნდის ფორმირება, ინდივიდუალურობის გამოვლენა (იხ. სქემა 32.).

წრეები გადაკვეთისას გვიჩვენებენ, რომ თითოეული ეს ელემენტი ურთიერთდამოკიდებულებაშია და ახდენს გავლენას დანარჩენ ორზე. მაგალითად, საერთო კოლექტივის მორალური



სქემა 32. კოორდინირებული ხელმძღვანელობის მოდელი

სულიერება იქნება მაღალი, თუ კოლექტივის თითოეულ წევრს ინდივიდუალური ექნება თავისი როლი საერთო დავალების შესრულებისას. ასეთ შემთხვევაში ერთიან კოლექტივს უფრო ადვილის მიღწევა შეუძლია, ვიდრე ცალ-ცალკე მყოფ მომუშავეებს, ინფორმაციის მათი გამოცდილებისა.

ხელმძღვანელობა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს დავალების შესრულებაზე, ვერ ახდენს პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფის ოპტიმიზაციას, რადგან ის უპირისპირდება პერსონალს. ხელმძღვანელობამ, რომელიც ყურადღებას, ძირითადად, პერსონალის მიღებაზე ამახვილებს, შეიძლება მიიღოს დადებითი შედეგი, მაგრამ მოკლევადიანი პერიოდისათვის. სწორი ბალანსი მოითხოვს როგორც ინდივიდუალური ინტერესების გამოყენებას, ასევე, მთლიანი გუნდის მიმართვას საერთო დავალებისაკენ.

ზემოთ ჩამოთვლილი თეორიები გადმოსცემენ ერთსა და იმავეს, ოღონდ სხვადასხვანაირად. არის, ასევე, მენეჯმენტის თეორიის სტილის სხვა მოდელებიც.

➢ შიდა და გარე კლიენტებთან, თანაბარი პოზიციის ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს შორის ურთიერთობა

ყოველდღიური მოღვაწეობისას მენეჯერს უხდება განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობა: თავისი და სხვა განყოფილებების თანამშრომლებთან, კოლეგებთან, უფროსებთან, მომხმარებლებთან და სხვა.

სხვადასხვა ჯგუფთან მიდგომა განსხვავებულია, მაგრამ ქვემოთ მათგანზე გადის ერთიანი ხაზი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანურ ურთიერთობებს: ნებისმიერ სამუშაოზე ურთიერთობა უნდა იყოს სასიამოვნო, მიმზიდველი და სამართლიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ურთიერთობა მიდის კონფლიქტამდე.

ადამიანებთან ურთიერთობების ხელოვნება არის მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილი; ის შეიძლება ისწავლო, შეიძლება განავითარო, მაგრამ, ძირითადად, ის შემე ფორმირებულია ცხოვრების საწყის სტადიაზე. ამიტომ მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს ადამიანებში დამკვიდრებული პოზიციები, იყოს ობიექტური, შეინარჩუნოს თავაზიანი ურთიერთ ...ა. ძალიან მარტივია იმის დანახვა, რაც გინდა დაინახო; ამავე დრო... მთავარია ის, თუ რას აკეთებენ სხვები, როდესაც ჩვენ გვაკვირდებიან. ჩვენი ქცევა უმეტესწილად

...ეკრეტქნდებს სხვების რეაქციაზე: ჩვენ ვიცინით – ისინიც იცინიან, ...ს ვბრაზდებით – ისინიც ბრაზდებიან.

მენეჯერს მოეთხოვება ეფექტიანი საქმიანობის მაქსიმიზება, ...ალითად:

- მოუსმინოს და დაიმახსოვროს;
- გამოძებნოს საჭირო ინფორმაცია საუბრისას;
- შესთავაზოს ალტერნატივა;
- დაასაბუთოს თავისი უარი;
- ნათელი გახადოს კითხვის არსი;
- გააკეთოს შეჯამება;
- შესთავაზოს გადაწყვეტილება და სხვა.

მენეჯერს მოეთხოვება დესტრუქციული ქცევის მინიმიზება. მას ...ე მოეთხოვება:

- გამოხატოს თავისი გრძნობა შეუფერებელ დროს;
- წუწუნი;
- ჩიკილი;
- არ მოუსმინოს თანამოსაუბრეს;
- გამოვიდეს წყობიდან.

განვიხილოთ განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის დროს მენეჯერის ქცევის რამდენიმე მომენტი.

კლიენტები

როგორც გარე, ისე შიდა კლიენტები შეიძლება აღმოჩნდნენ ...რასასიამოვნო ურთიერთობებში, მაგრამ მენეჯერმა არ უნდა ...აკარგოს მოთმინება. თუ ის მაინც ვერ დაძლევს ემოციებს, შეკ... თესია, საქმის წარმოება დააყალოს თავის ერთ-ერთ ხელქვეითს.

უფროსები

კარგი ურთიერთობა მენეჯერსა და უფროსებს შორის წარმო...დგენს წარმატებული საქმიანობის აუცილებელ პირობას.

ხშირად ისმის: „ხელმძღვანელი საერთოდ არ მისმენს“. ამისთვის ...რსებობს მრავალი მიზეზი. მაგალითად, უფროსმა კარგად იცის,

რაზეც ლაპარაკობთ, მაგრამ არ იმჩნევს. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ ის დაკავებული იყოს საკუთარი პრობლემებით ან თვლიდეს, რომ პრობლემის მოგვარება მისი ჩარევის გარეშეც შეიძლება.

რამდენადაც ხელმძღვანელი შეზღუდულია დროში, როცა მას მიმართავთ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ არ ხართ ძალიან მომაბეზრებელი, გამოხატეთ სათქმელი ზუსტად და არაორაზროვნად, გამოიყენეთ ფაქტები და არგუმენტები, დაარწმუნეთ ის, რომ თქვენი გადაწყვეტილება ან რეკომენდაცია სწორია. უნდა შესთავაზოთ გადაწყვეტილება ისე, რომ მას არ დასჭირდეს ამ საქმეზე ბევრი ფიქრი.

თანამდებობა მდგომარეობის მიხედვით

მენეჯერების ჰორიზონტალური ურთიერთობა სტატუსით თანაბარი ორგანიზაციების ან განყოფილებების მენეჯერებთან, ასევე, დიაგონალური ურთიერთობა უფროსებთან და ხელქვეითებთან საკმაოდ ხშირია და მნიშვნელოვანი.

ჰორიზონტალური კავშირის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ამ დროს მენეჯერს არ გააჩნია გავლენა ადამიანზე, რომელთანაც ურთიერთობს, ამიტომ მას უხდება დარწმუნება, მოლაპარაკების წარმოება და ვაჭრობა.

ბიზნესში არსებობს ძველი გამოთქმა – „ხალხთან ურთიერთობა კარგია ალმასვლის გზაზე, მაგრამ თქვენ მათ შეიძლება შეხვდეთ კვლავ დაღმასვლის გზაზეც“.

ხელქვეითები

აქ საკმარისია ითქვას, რომ მენეჯერებს მოეთხოვებათ ხელქვეითებთან დაამყარონ სანდო და პარტნიორული ურთიერთობა. მაშინ ხელქვეითები მათთან მიველენ წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად მანამ, სანამ აღმოჩნდებიან ჩიხში.

➢ უფლებამოსილების დელეგირება

არც ერთ მენეჯერს არ შესწევს უნარი, რომ ყველა სამუშაოს მარტო გაუმკლავდეს. მენეჯმენტის ხელოვნება – ეს არის სამუშაოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იძლევა საშუალებას

საუკეთესოდ იქნეს გამოყენებული შესაძლებლობა და ცოდნა. ეს ნიშნავს, რომ სამუშაო უნდა გადანაწილდეს ხელქვეითებზე და მის შემსრულებლებს შორის.

უფლებამოსილების გადანაწილება არ ნიშნავს, რომ მენეჯერი ერს ამბობს ორგანიზაციაში სამუშაოს შესრულების პასუხისებლობაზე. სირთულე წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, თუ ელი სამუშაოს გადანაწილება უნდა მოხდეს. არის ტენდენცია ისაწყენი და არასაინტერესო საქმის გადაბარებისა, მაგრამ ეს ძლე გახდება შესამჩნევი პერსონალისათვის. უფრო მისაღებია იმ ლემენტების გადაბარება, რომელსაც მენეჯერი თვლის, რომ სხვა უკეთ გააკეთებს.

ბევრი მენეჯერისათვის რთულია უფლებამოსილების გადაცემა, მის სხვადასხვა მიზეზია:

- ხელქვეითები არაკომპეტენტურნი არიან ან არ არიან მომზადებულები;
- დაქვემდებარებული არ იმსახურებს ნდობას;
- მენეჯერს სიამოვნებს, როცა ბევრი სამუშაო აქვს;
- მენეჯერი თვლის, რომ მხოლოდ მას შეუძლია საუკეთესო შედეგების მიღწევა.

უფლებამოსილების დელეგირება მენეჯერის სიძლიერის ნიშანია, მენეჯერს მოეთხოვება:

- დარწმუნდეს, რომ ამოცანა ქვეშევრდომებისათვის გასაგებია;
- ქვეშევრდომს მიეცით აუცილებელი უფლებამოსილება ამოცანის სრულყოფილად შესრულებისათვის;
- დანიშნეთ ქვეშევრდომი პასუხისმგებლად ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის;
- აუცილებლობის შემთხვევაში ქვეშევრდომს მიეცით რჩევა;
- დაჯილდოება მოხდეს წარმატების ადეკვატურად;
- შეცდომისათვის არ დასაჯოთ, გამოიყენეთ ეს შემთხვევა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებისათვის.

3.3. კომერციული ბანკის ადმინისტრაციის ადეკვატურობის შეფასება

ბანკის მენეჯმენტის შეფასება იწყება სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, რომელიც პასუხისმგებელია ადეკვატური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაზე ბანკის აქციონერების წინაშე, მათი ინტერესების დაცვის მიზნით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უნდა იყოს დამოუკიდებელი ბანკის საქმიანობის მართვის პროცესში, რადგან სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია მენეჯმენტის სათანადოდ ფუნქციონირებაზე. ამიტომ, მან მხოლოდ მარტივად კი არ უნდა დაამტკიცოს მენეჯმენტის რეკომენდაციები, არამედ ყურადღებით უნდა განიხილოს ისინი. სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის ეფექტურობის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტორი, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ იმყოფებოდნენ მენეჯმენტის, ცალკეული დირექტორის ან აქციონერის გავლენის ქვეშ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის დიფერსიფიკაცია, რაც გულისხმობს იმ პირთა საბჭოს წევრთა შემადგენლობაში შეყვანას, რომლებიც არ წარმოადგენენ ბანკის აქციონერებს ან მათი ოჯახის წევრებს. ინსპექტორებმა უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად ასრულებს სამეთვალყურეო საბჭო შემდეგ მოვალეობებს:

ვინაიდან ბანკის აღმასრულებელი მენეჯმენტი წარმართავს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი კვალიფიციური კადრების შერჩევა და დანიშვნა, რომლებიც შეძლებენ ბანკის ეფექტურ მართვას. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ისეთი თანამშრომლების სამუშაოდან დათხოვნაზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ კომპეტენტურობის მოთხოვნებს. ზოგიერთ ბანკში სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის პასუხისმგებელ მუშაკთა ხელფასებს, მან, აგრეთვე, უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ბანკის პრეზიდენტის ხელფასი. მენეჯმენტის ზედა რგოლის [illegible]შვნელობის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭომ, ასევე, უნდა უზრუნველყოს ხელმძღვანელების შემცვლელთა შერჩევაც.

აუდიტური ზედამხედველობა მოითხოვს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ საკმარისად ინფორმირებული ბანკის საქმიანობის შესახებ. ამისათვის სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს/დირექტორატის სხდომებზე წევრთა დასწრება. კერძოდ, საქმიანობის ეფექტური წარმართვისათვის წევრი უნდა დაესწროს სხდომათა 75%-ს მაინც. შედარებით უფრო მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც საჭიროებენ პოლიტიკისა და ამოცანების განსაზღვრას შემდეგია: ინვესტიციები, სესხები, აქტივების და ვალდებულებების მართვა, მოგების დაგეგმვა, ბიუჯეტის შედგენა, კაპიტალის დაგეგმვა, ლიკვიდობა და საკადრო საკითხები. დასაწყისი მიზნების მისაღწევად ბანკს უნდა გააჩნდეს მენეჯმენტის ადეკვატური საინფორმაციო სისტემა, რადგან ზუსტი და დროული ინფორმაცია წარმოადგენს ეფექტური ზედამხედველობის ძირითად ფაქტორს. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ეფექტურობის შეფასების პროცედურები მოყვანილია ამ თავის II ნაწილში (მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადეკვატურობის შეფასება). ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ასევე, პასუხისმგებელნი არიან საბანკო საქმიანობის საბანკო კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. იმისათვის, რომ საბანკო ნორმატივებისა და წესების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა რეაგირებულ და დაუყოვნებლივ გამოსწორებულ იქნეს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მუდმივად უნდა იყვნენ ინფორმირებული განახლებული ინფორმაციის თაობაზე, რომელიც შეეხება საბანკო კანონმდებლობას და ნორმატივებს.

სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი მიზანია ბანკის პრეზიდენტისთვის/გენერალური დირექტორისთვის ბანკის მართვის შესახებ საყოველთაო ამოცანების და პოლიტიკის მიწოდება. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობა ამოცანებსა და პოლიტიკასთან. აღნიშნული ხშირად მიიღწევა ბანკის საქმიანობის ძირითადი სფეროების შესახებ პოლიტიკის ფორმირების, სტრატეგიული გეგმის და ბიუჯეტის გამოყენებით. სტრატეგიულ გეგმაში განხილულ უნდა იქნეს გრძელვადიანი და, ზოგ

შემთხვევაში, მოკლევადიანი მიზნები და ამოცანები, ასევე ის, თუ როგორ შეფასდება დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი. პოლიტიკისა და პროცედურების მიზანია ბანკის მიერ გაწეული რისკების სწორი მართვის და დაწესებული ლიმიტების დაცვის უზრუნველყოფა.

როგორც აღმასრულებელმა მენეჯმენტმა, ისე ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ თავიდან უნდა აიცილონ მიკერძოების ან პრივილეგიებით სარგებლობის ნებისმიერი შესაძლებლობა. ბანკის ადმინისტრაციის წევრებზე და მათთან დაკავშირებულ პირებზე გაუმართლებელი სესხების გაცემა ბანკისთვის უნდა იყოს სერიოზული საკითხი უსაფრთხო და ჯანსაღი ფუნქციონირების თვალსაზრისით. როდესაც წევრი იწყებს მიკერძოების გამოხენას, მას როგორც ადმინისტრაციის წევრს, აღარ შეუძლია სარგებლობის მოტანა ბანკისათვის. სხვა ტიპის თვითმომსახურების პრაქტიკა, რაზეც ინსპექტორმა უნდა გაამახვილოს ყურადღება არის შემდეგი:

• სამეთვალყურეო საბჭოს წევრისათვის არაკანონიერი სარგებლის მიცემა დაფინანსების მიღების ან გარკვეული მომსახურებით სარგებლობის მიზნით;

• ბანკის სახსრების გამოყენება სესხების მისაღებად ან სხვა საქმიანობის წარმართვისათვის;

• ინტერესთა კონფლიქტი.

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოითხოვოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის ყოველწლიური, დამოუკიდებელი გარე აუდიტის ჩატარება გარე აუდიტის შესახებ სებ-ის მოთხოვნათა შესაბამისად. დამოუკიდებელი ნიშნავს იმას, რომ აუდიტორული ფირმა არ უნდა იყოს დაკავშირებული ბანკთან რაიმე შიდა კავშირით, განსაკუთრებით, სესხების თვალსაზრისით (არც ფირმა და არც მისი აუდიტორი). ამისთან, სამეთვალყურეო საბჭო დამატებით პასუხისმგებელია ბანკის შიგნით ადეკვატური შიდა კონტროლის გარემოს უზრუნველყოფაზე და, როგორც წესი, მიიღწევა შიდა აუდიტის ფუნქციის საშუალებით. ოპტიმალურ შემთხვევაში შიდა აუდიტის ფუნქციები გამიჯნული უნდა იყოს ბანკის ყოველდღიური სასესხო საქმიანობისა და საბანკო ოპერაციებისაგან. თუმცა, ძალების შეზღუდვის შემთხვევაში, ბანკმა შეიძლება მიზანშეწონილად მიიჩნიოს ისეთი შიდა მეთვალყურეობის სისტემის გამოყენება, როდესაც ერთი განყოფილების (მაგ. სესხების გაცემის განყოფილების) თანამშრომელი ამოწმებს საბანკო ოპერაციებს სხვა განყოფილებაში (მაგ. სალაროში). ნებისმიერ შემთხვევაში, აუდიტის ჩატარების შედეგები პირდაპირ უნდა მოხსენდეს სამეთვალყურეო საბჭოს და არა ბანკის თანამშრომელს.

ბანკის ფუნქციონირებაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მონაწილეობის შესაფასებლად გამოიყენება ორი მეთოდი:

• სამეთვალყურეო საბჭოს/დირექტორატის სხდომების ოქმების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოსთვის ყოველთვიურად მომზადებულ დოკუმენტაციასთან ერთად (ეს, ასევე, აადვილებს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადეკვატურობის შეფასებას);

• შერჩეულ წევრთა გამოკითხვა ბანკის მენეჯმენტის ზედა ეშელონის წარმომადგენლების დასწრების გარეშე. შემმოწმებელმა თვითონ უნდა შეარჩიოს წევრები და არ უნდა იყოს დამოკიდებული მენეჯმენტის შესაძლო მიკერძოებულ არჩევანზე.

იმისათვის, რომ სამეთვალყურეო საბჭო იყოს აქტიური და ინფორმირებული დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულარული სხდომების ჩატარებას. სამეთვალყურეო საბჭომ, სულ ცოტა, უნდა განიხილოს ის დოკუმენტები, რომლებიც შეეხება ბანკის ფინანსურ მდგომარეობას და ბანკის მოგებას, საინვესტიციო პორტფელს, საკრედიტო საქმიანობას, ვადაგასული და პროლონგირებული, ჩამოწერილი და ამოღებული, დიდი მოცულობის ახალი სესხების და ინსაიდერებზე გაცემული სესხების ჩათვლით. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭომ დამატებით, ყოველწლიურად უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ბანკის ყველა პოლიტიკა, მათ შორის (ბანკის ქონების, თანამშრომლების) დაზღვევასთან დაკავშირებული პოლიტიკა მისი მიღების და განახლების პარალელურად. სამეთვალყურეო საბჭომ, ასევე, უნდა შეისწავლოს აუდიტის შედეგები და შემოწმების აქტები. წევრთა ინფორმირების უზრუნველ-

საყოფად მათ უნდა მოეთხოვოთ გარკვეული დოკუმენტის ხელმოწერა იმის დასადასტურებლად, რომ გაეცნენ შემოწმების შედეგებს. რადგან ადმინისტრაციის წევრები პასუხისმგებელი არიან ბანკის უსაფრთხო და ჯანსაღ ფუნქციონირებაზე, მათ უნდა წამოიწყონ ღონისძიებების განხორციელება ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ასევე, მათ მოვალეობებში შეიძლება შედიოდეს ბანკის მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო პროცესებისა და სამომავლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განხილვა. ყოველთვის უნდა არსებობდეს ზუსტი ჩანაწერები ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რათა დოკუმენტირებულ იქნეს მისი საქმიანობა და, ასევე, ინფორმაცია მიეწოდოს ადმინისტრაციის იმ წევრებს, რომლებიც სხდომას არ ესწრებოდნენ.

სხდომის ოქმები უნდა ასახავდეს შემდეგს: ადმინისტრაციის მიერ ისეთი თემების განხილვას, როგორიცაა მოგებიანობა, სესხების ხარისხი და სხვა ყველა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, რომლებიც არ განიხილება ჩვეულებრივ სხდომებზე. შემმოწმებლებმა ყურადღებით უნდა განიხილონ ადმინისტრაციის სხდომის ოქმები, ისევე როგორც სხდომისათვის მომზადებული დოკუმენტების პაკეტი, რათა დარწმუნდნენ, რომ წევრები იღებენ ადეკვატურ ინფორმაციას ჯანსაღი გადაწყვეტილებების მისაღებად.

შერჩეულ წევრთა გამოკითხვა წარმოადგენს ძალზე ეფექტურ საშუალებას იმის გასარკვევად, თუ რომელი წევრები არიან ჩართული საბანკო საქმიანობაში და რამდენად არიან გარკვეული ბანკის ფინანსურ მდგომარეობაში. ასევე, შესაძლებელია მენეჯმენტის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რისი მიღებაც შეუძლებელია ანგარიშგებების განხილვით ან ოფიციალური შეხვედრებით. იმისათვის, რომ ადმინისტრაციის წევრთა გამოკითხვა იყოს ნაყოფიერი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: ისეთი წევრების შერჩევა, რომელთაც არ ეკუთვნით საკონტროლო პაკეტი, ან, რომლებიც ნაკლებად ან საერთოდ არ

არიან ფინანსურად დაკავშირებული ბანკთან. გამოკითხვის მიზანია შემდეგის გარკვევა: როგორია წევრის მონაწილეობა ბანკის კონტროლში, ცალკეული წევრის და მენეჯმენტის წარმომადგენლების ეფექტურობა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცალკეული ჯგუფის ნებისმიერი ზედმეტი ან არასათანადო გავლენა.

ბანკის სიდიდის ზრდასთან ერთად სულ უფრო ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ბანკის საქმიანობის ადეკვატური მონიტორინგის ძნელი. შესაბამისად, ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო იძულებულია გადასცეს თავისი სამუშაოს ნაწილი შესაბამის კომიტეტებს. ასეთ შემთხვევებში დიდ როლს თამაშობს ადმინისტრაციის ყოველი წევრის კომპეტენტურობა, თუ რომელი კომიტეტის დაარსებაა აუცილებელი, ვინ იქნება ამა თუ იმ კომიტეტის წევრი და რა უფლებამოსილება მიენიჭება ამ კომიტეტს. ეს უფლებამოსილება შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ბანკის შემთხვევაში. არ არსებობს რაიმე გამოკვეთილი სტანდარტი. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც წესი, ყოველთვიურად აწყობს სხდომებს, მაშინ როდესაც კომიტეტის სხდომები შეიძლება ჩატარდეს უფრო იშვიათად, ან მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. სამეთვალყურეო საბჭო ქმნის შემდეგ კომიტეტებს:

აღმასრულებელ კომიტეტს შეიძლება მოქმედების უფლება მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება ადმინისტრაციის წევრთა მოწვევა, მაგ: თუ აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება სხდომებს შორის. აღმასრულებელი კომიტეტები, როგორც წესი, იქმნება დიდ ბანკებში და ისინი ათავისუფლებენ სამეთვალყურეო საბჭოს ფინანსური ანგარიშგებების და ოპერაციული საქმიანობის დეტალური განხილვისაგან. აღმასრულებელი კომიტეტი, ჩვეულებრივ, პასუხისმგებელია იმაზე, თუ რამდენად პასუხობს ბანკის ინსაიდერებთან და მფლობელებთან ურთიერთობა საბანკო ნორმატივების მოთხოვნებს.

აუდიტის კომიტეტი განიხილავს შიდა და გარე აუდიტის დასკვნებს, ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმების

აქტებს და ამზადებს მათზე პასუხს. კომიტეტი სრული მოცულობით ამოწმებს ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმიანობას, ბანკის ოპერაცია-ანგარიშგების პრაქტიკას, ადგენს მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, პოლიტიკასა და პროცედურებთან. სტრუქტურული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებული უნდა იყოს ბანკის სარევიზიო კომისიის წინაშე, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს სამსახურის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატისაგან.

საკრედიტო კომიტეტმა უნდა განიხილოს (შეამოწმოს) სესხის გაცემის სტანდარტები და არსებული სესხების მდგომარეობა, უზრუნველყოს საკრედიტო პოლიტიკის და პროცედურების ადეკვატურობა და დაცვა. მან უნდა შეამოწმოს საკრედიტო საქმიანობის შესაბამისობა საბანკო ნორმატივებთან და შექმნას მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სესხების გაცემას, რომელთა შესახებ გადაწყვეტილების მიღება აღემატება კრედიტების გაცემაზე პასუხისმგებელი ცალკეული მუშაკის უფლებამოსილებას (სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების გარეშე). გარდა ამისა, საკრედიტო კომიტეტმა უნდა განიხილოს ყველა მნიშვნელოვანი მოცულობის მქონე (სიდიდე დგინდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და გამოხატულია ლარებში), საკრედიტო ოფიცრის მიერ დამტკიცებული სესხი დაფინანსებამდე და დაფინანსების შემდეგ. თუ ბანკი იყენებს სესხის შიდა განხილვის ფუნქციას, ანგარიშგება უნდა მოხდეს საკრედიტო კომიტეტის წინაშე, მენეჯმენტის ზედა რგოლის ან ცალკეული საკრედიტო ოფიცრის მხრიდან არასათანადო გავლენის თავიდან ასაცილებლად. დამატებით მოვალეობებში, ასევე, შეიძლება შედიოდეს სშდრ რეზერვის ადეკვატურობის მონიტორინგი.

ინვესტიციებისა და აქტივ[illegible]ვალდებულებების მართვის კომიტეტი ახორციელებს ბანკის საინვესტიციო პოლიტიკის, პროცედურების და ბანკის საკუთრებაში მყოფი ფასიანი ქაღალდების

პორტფელის მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს დივერსიფიკაციის, საკრედიტო რისკის, მოგებიანობის, ლიკვიდობის შესაბამისობა საბანკო ნორმატივებთან და ლიმიტებთან. აქტივების/ვალდებულებების მართვის კომიტეტი, ასევე, ამოწმებს ბანკის ბალანსს, განსაკუთრებით, საპროცენტო განაკვეთებს და აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასებას, რათა დაეხმაროს ბანკის მენეჯმენტს აქტივების შეძენის კოორდინირების და დაფინანსების წყაროების გამოძებნის პროცესში.

რისკების მართვის კომიტეტი უფლებამოსილია და პასუხისმგებელი რეკომენდაციები მოამზადოს და მისცეს ბანკის გენერალურ დირექტორს მინიმუმ ქვემოთ მოცემულ საკითხებზე:

◆ რისკების მართვის პოლიტიკის ფორმულირება და მასში შესატანი ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის, რისკების მართვის სტრატეგია და გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმა, რომელიც გამოწვეულია გარეშე ანომალიური ფაქტორებით. ამგვარ ფორმულირებას ერთობლივად უზრუნველყოფენ ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და რისკების მართვის ქვედანაყოფის ხელმძღვანელები.

◆ გაუმჯობესებასა ან მიღწევებზე რისკების მართვის რეგულარულ გამოყენებაში, რაც გამოწვეულია ბანკის გარე თუ შიდა მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილებით, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე და რისკის პროფილზე.

◆ ჩვეულებრივი პროცედურებისგან განსხვავებულ (არატიპიურ) ბიზნესგადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბიზნესის მნიშვნელოვანი გაფართოება, რომელიც განსხვავდება ბანკის ადრე დამტკიცებული ბიზნეს–გეგმისგან, ან რისკის გაწევა დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით. ამ გარემოებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები უნდა მომზადდეს ბანკის ბიზნესის აუცილებლობების და იმ კონკრეტულ ოპერაციასა თუ ოპერაციებთან დაკავშირებული ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ბანკის მიერ დადგენილი პროცედურებიდან გადახვევას საჭიროებენ.

ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება აუცილებლად მიიჩნიოს სპეციალური კომიტეტის შექმნა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული მნიშვნელობა მათი ბანკისათვის. მაგ. ტრასტი, ფილიალების მართვის, ახალი მიმართულებების, საკადრო რესურსების ან მონაცემთა ელექტრონული დამუშავების კომიტეტი.

როგორც ადმინისტრაციის შემთხვევაში, კომიტეტების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების ამსახველი ოქმების წარმოება რეგულარულად უნდა ხდებოდეს და წარედგინებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო, ისევე ლებრივ, სრული შემადგენლობით განიხილავს ოქმებს, სხდომის ჩატარების პროცედურების შემადგენელი ნაწილის სახით.

3.4. რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ რისკების მართვის სისტემა იცვლება ბანკის სიდიდის და სირთულის მიხედვით, რისკების მართვის სისტემა ყოველი ბანკის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. სამეთვალყურეო საბჭო/დირექტორატი პასუხისმგებელია დასაშვები რისკის დონის განსაზღვრასა და შესაბამისი პარამეტრების დადგენაზე. რისკის ადეკვატური იდენტიფიკაციის, მონიტორინგის და კონტროლის უუნარობა სერიოზული სისუსტეა და მოითხოვს დაუყოვნებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას და ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან გაძლიერებულ მონიტორინგს.

ცალკეული ბანკის რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობის შეფასებისას, შემმოწმებელი კარგად უნდა გაერკვეს ბანკთან დაკავშირებულ რისკში, რათა შეაფასოს ბანკის მიერ რისკების მართვის ადეკვატურობა. ძირითადად, საბანკო საქმიანობაში ჩართული პატარა ბანკებისათვის, სადაც მენეჯმენტის ზედა რგოლი უშუალოდ მონაწილეობს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში, ძირითადი სისტემების არსებობა საკმარისი იყოს. სხვადასხვა საქმიანობაში ჩართული, მენეჯმენტის დეცენტრალიზებული სტრუქტურის მქონე კომპლექსური ბანკისათვის, სადაც სამეთვალყურეო საბჭო არ მონაწილეობს ბანკის ოპერაციებში, უფრო ფორმალური სისტემებია საჭირო.

რისკების მართვის სისტემის შემოწმების პროცედურები მოიცავს:

1. სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი მენეჯმენტის ოპერაციულ კონტროლს

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა განხილულ უნდა იქნეს შემდეგი მიმართულებით:

– დაამტკიცა თუ არა საბჭომ საერთო საქმიანობის სტრატეგია (სტრატეგიული ბიზნეს – გეგმა).

– შეიმუშავა და დაამტკიცა თუ არა საბჭომ დასაშვები რისკის მნიშვნელოვანი პოლიტიკები.

– ახდენს თუ არა საბჭო რისკების საზღვრების პერიოდულ განსაზღვრას, რათა შესაბამისობაში იყოს ბანკის სტრატეგიის და საბაზრო პირობების ცვლილებასთან.

– შეესაბამება თუ არა საბჭოს ცოდნა და გამოცდილება ბანკის სიდიდეს და საქმიანობის მასშტაბს.

ბანკის მენეჯმენტის (ხელმძღვანელობა) საქმიანობის განხილვა შემდეგი მიმართულებით:

– დანერგა თუ არა მენეჯმენტმა ბანკის სტრატეგია სამეთვალყურეო საბჭოს/ დირექტორატის მიერ დამტკიცებული მიმართულებების შესაბამისად.

– სრულად მონაწილეობს თუ არა ბანკის მენეჯმენტი ბანკის საქმიანობაში და იცნობს თუ არა ბანკის საქმიანობის ყველა სფეროს, ისევე როგორც ამ სფეროებთან დაკავშირებულ რისკებს.

– აქვს თუ არა შემუშავებული მენეჯმენტს უფლებამოსილების და ანგარიშვალდებულების ხაზები ბანკში ძლიერი საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყოფისათვის.

– უზრუნველყოფს თუ არა მენეჯმენტი ბანკს კომპეტენტური საკადრო რესურსით.

– შესწევს თუ არა მენეჯმენტს რისკის ცვალებადი გარემოს მიმართ რეაგირების უნარი.

2. ადეკვატურ პოლიტიკას და ლიმიტებს

– შეესაბამება თუ არა პოლიტიკა ორგანიზაციის სიდიდეს, ოპერაციების სირთულეს და ბანკის მენეჯმენტის სტრუქტურას. თუ ორგანიზაციის კომპლექსურობის დონე იზრდება და მენეჯმენტის ზედა რგოლი ნაკლებადაა ჩაბმული ყოველდღიურ საბანკო საქმიანობაში საბანკო პოლიტიკა და პროცედურები უნდა გახდეს უფრო დეტალური.

– შეესაბამება თუ არა არსებული პოლიტიკა და ლიმიტები მენეჯმენტის უნარს და ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობას.

– ნათლად განსაზღვრავს, თუ არა პოლიტიკა პასუხისმგებლობის სფეროებს.

– ითვალისწინებს თუ არა პოლიტიკა ახალი საქმიანობის განხილვას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყოველი გაწეული რისკის მონიტორინგი და კონტროლი.

3. რისკების მართვის და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებს

– იძლევა თუ არა მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა საკმარის მონაცემებს ბანკის წინაშე არსებული ყველა ძირითადი რისკის მონიტორინგის და კონტროლისათვის.

– არის თუ არა რისკებზე მონიტორინგის მიზნით გამოყენებული მონაცემთა წყაროები და დაშვებები სათანადო, აღქმად დოკუმენტირებული და ხდება თუ არა მათი საიმედოობის რეგულარული შემოწმება.

– არის თუ არა ანგარიშგებები საკმარისად დეტალური, რომ ზუსტად მოახდინონ რისკების მონიტორინგი, უზრუნველყონ პოლიტიკით დაწესებული ლიმიტების და ამოცანების დაცვა და ხდება თუ არა ანგარიშგებებში დაგეგმილი და ფაქტიური მონაცემების შედარება.

არის თუ არა მენეჯმენტისა და ადმინისტრაციისათვის წარდგენილი ანგარიშგებები დროული, ზუსტი და საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს უარყოფითი ტენდენციების იდენტიფიკაცია და ბანკის წინაშე არსებული რისკების შეფასება.

4. შიდა კონტროლის და აუდიტის პროცედურებს

მოწმდება თუ არა შიდა კონტროლის სისტემა დამოუკიდებელი შიდა ან გარე აუდიტორების მიერ. თუ ბანკის სიდიდის გამო გაუმართლებელია შიდა ან გარე აუდიტორის დაქირავება, განხილება თუ არა შიდა კონტროლის სისტემები ბანკის იმ პერსონალის მიერ, რომელიც დამოუკიდებელია შესამოწმებელი ფუნქციისაგან.

– შეესაბამება თუ არა შიდა კონტროლის სისტემა ბანკის მიერ გაწეული რისკის სიდიდეს, დონესა და სერიოზულობას.

– უზრუნველყოფს თუ არა შიდა კონტროლის სისტემა ბანკისა და საბანკო საქმიანობის წესების დაცვას, ფინანსური და რისკის ანგარიშგების ზუსტ სტრუქტურას.

– ეძებენება თუ არა ბანკი დამოუკიდებელ გარე აუდიტორულ ყოველწლიურად შემოწმებას.

– შეიცავს თუ არა ბანკის აუდიტის ფუნქცია (შიდა ან გარე აუდიტი) შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვას და საინფორმაციო სისტემის შემოწმებას.

– შიდა აუდიტის შემთხვევაში, დამოუკიდებელია თუ არა აუდიტის ფუნქციები.

– იხილავენ თუ არა ადმინისტრაცია ან აუდიტის კომიტეტი აუდიტის ფუნქციების ეფექტურობას.

3.5. ბანკის მენეჯმენტის საქმიანობის შეფასება

ბანკის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ბანკის ოპერაციებზე, აქტივების ხარისხზე და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვაზე. შესაბამისად, მენეჯმენტი უნდა შეფასდეს, როგორც მისი მომავალი შესაძლებლობების, ისე ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მიხედ-

ვით. სამომავლო გეგმების შესწავლისას, შემმოწმებელმა უნდა შეაფასოს ის ღონისძიებები, რომლებსაც მენეჯმენტი გაატარებს ბანკის ხელმძღვანელ მუშაკთა ცვლის მოსამზადებლად. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია მენეჯმენტის მიერ შესრულებული მუშაობის შეფასება, ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა სამუშაოებს გეგმავს იგი მომავალში. ზედამხედველების მიერ მენეჯმენტის სამომავლო გეგმების შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ბანკების ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანა არის პრობლემების თავიდან აცილებისათვის სწორი მიმართულების დასახვა, ვიდრე უკვე წარმოქმნილ პრობლემებზე უარყოფითი რეაგირების გამოხატვა.

მენეჯმენტის ეფექტურობის და მისი გავლენის შესწავლისას, ძალზე მნიშვნელოვანია შეფასდეს მენეჯმენტის სტრუქტურა. შემოწმების პროცესში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სხვადასხვა სიდიდის და სირთულის ბანკების მენეჯმენტს მოეთხოვება შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის სხვადასხვა დონე. შემმოწმებელს უნდა ესმოდეს, რომ ბანკის მენეჯმენტის მუშაობაზე ახდენს გავლენას არა მხოლოდ შემმოწმებელები, იმისათვის, რომ გამოასწოროს ნაკლოვანებები და განახორციელოს მაკორექტირებელი ღონისძიებები, არამედ განიცდის კლიენტების, აქციონერთა და კონკურენტთა გავლენას. არსებობს რიგი საკითხები, მათ შორის, კლიენტებს (მეანაბრეებს) სურთ მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღება დეპოზიტებზე, აქციონერები მოითხოვენ უკუგებას თავიანთ ინვესტიციებზე, რომლებიც მენეჯმენტმა უნდა აწონ-დაწონოს და შეუსაბამოს ისინი იმ მოთხოვნებს, რომელსაც უყენებს მზარდი კონკურენცია. ხშირად მენეჯმენტისთვის რთულია მართვა კონკურენციის პირობებში, აგრეთვე, დაგეგმვის და მენეჯმენტსა და ადმინისტრაციას შორის კორდინაციის გარეშე ბანკისათვის თითქმის შეუძლებელია თავისი გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. ამ მიზნების ეფექტურად მიღწევისათვის, მენეჯმენტს მკაფიო უნდა ესმოდეს ბანკის მდგომარეობა ფინანსურ ბაზარზე. ამასთან, მენეჯმენტმა უნდა სცადოს

გამოიყენოს ბანკის ძლიერი მხარეები, რათა მიაღწიოს თავისი ხელმძღვანელობის განმტკიცებას და საქმიანობის გაფართოებას.

შემმოწმებელმა უნდა გამოიყენოს შემოწმების ყველა პროცედურა იმისათვის, რომ შექმნას ბანკის თითოეულ სტრუქტურაში მენეჯმენტის ძლიერი და სუსტი მხარეების ნათელი სურათი და წარმოადგინოს ბანკის სამომავლო მდგომარეობა. თითოეული კომპონენტის შეფასებასთან ერთად, მაგ: აქტივების ხარისხი, ლიკვიდობა და ა.შ. შემოწმება იძლევა მენეჯმენტის კომპეტენტურობის, აღწერილი საქმიანობის, წერილობით პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის დადგენის საშუალებას.

შემმოწმებელმა უნდა შეაფასოს მენეჯმენტისათვის დადგენილი სესხფასების დონე, რომელიც უნდა შეუდარდეს მსგავსი სიდიდის ბანკში არსებულ ხელფასებს. ეროვნული ბანკის მიერ ადმასრულებელი მენეჯმენტისათვის დაწესებული ხელფასების კონტროლი პარკვეულად შეზღუდულია, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ბანკის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თუმცა, შემმოწმებლებმა უნდა გააფრთხილონ მენეჯმენტის წარმომადგენლები (ძირითადად, უფროს სიტყვიერად და არა შემოწმების ანგარიშში აღნიშვნით), რომ ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში სებ-ი, პირველ რიგში, მოითხოვს მაღალი ხელფასების შემცირებას, როგორც ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას. ამასთანავე, ინსპექტორებმა უნდა აცნობონ მენეჯმენტს, რომ მიუხედავად ბანკის დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობისა, მოგების ნებისმიერი გაუარესება დამაკმაყოფილებელ შეფასებაზე ქვემოთ (3 ან ნაკლები), მოითხოვს მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას, ადმასრულებელი მენეჯმენტისთვის გადახდილი ხელფასების შემცირების ჩათვლით.

მენეჯმენტის ზედა რგოლი პასუხისმგებელია ბანკის კადრების კვალიფიკაციაზე და ცვლაზე. პერსონალის სწავლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ბანკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. შემმოწმებელმა უნდა განიხი-

ლოს აღნიშნული საკითხები მენეჯმენტის საერთო ხარისხის შეფასების თვალსაზრისით. კადრების ეფექტური მართვის ნიშნებია:

- სტრატეგიული გეგმა
- სამუშაოს დეტალური აღწერა;
- შტატების გაზრდისა ან შემცირების წინდახედული დაგეგმვა;
- პერსონალის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- ბანკის პერსონალის ფუნქციების შესრულებადობის შემოწმება;
- ძლიერი საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული გეგმა არის მენეჯმენტის მიერ შემუშავებული ბანკის სამომავლო განვითარების მონახაზი. სტრატეგიულ გეგმაში განხილული უნდა იყოს გრძელვადიანი და ზოგ შემთხვევაში მოკლევადიანი მიზნები და ამოცანები, ისევე როგორც მათი შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესის შეფასება. სტრატეგიული გეგმისა და ბიუჯეტის ეფექტურობა კლებულობს, თუ არ არსებობს მიზნის მიღწევის მონიტორინგის სისტემა. სხვადასხვა ბანკში შეიძლება განსხვავებული სტრატეგიული გეგმა არსებობდეს, რაც დამოკიდებულია ბანკის სიდიდესა და საქმიანობაზე, მაგრამ ყოველი მათგანი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ბიუჯეტის და/ან მოგების გეგმას;
- კაპიტალის გეგმას ,რომელშიც ნაჩვენები იქნება კაპიტალის ის ოდენობა, რომელიც აუცილებელია მიმდინარე და მომავალი ოპერაციების უზრუნველსაყოფად. ასევე, იმ ხარჯების გეგმას, რომელიც დაკავშირებული იქნება თავისუფალი სახსრების გამოყენებასთან;
- ბანკის შიგნით შემუშავებულ ყველა პროექტსა და პროგნოზს;
- დოკუმენტურად გაფორმებულ გეგმებს, რომლებიც ეხება ბანკის საერთო განვითარების მიმართულებას. ოპტიმალურ შემთხვევაში, საერთო გეგმა გამყარებული უნდა იყოს ბანკის სხვადასხვა განყოფილების მიერ წარდგენილი წერილობითი გეგმებით, რომლებშიც გაშიფრული იქნება ყოველი სტრუქტურული ერთეულის როლი ბანკის საერთო გახსნა-არებასა და მართვაში;

- ბანკის ზრდას და გაფართოებას;
- აქტივების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებებს;
- დაფინანსების წყაროების ცვლილებებს.

ბანკის მენეჯმენტი ვალდებულია იქონიოს კონტროლის და ინფორმაციის მძლავრი სისტემები, რომლებიც კავშირშია ფილიალების ქსელთან. ინფორმაცია ფილიალების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანია როგორც მენეჯმენტის, ისე შემმოწმებლისათვის, ამისათვის უნდა არსებობდეს მენეჯმენტის ძლიერი საინფორმაციო სისტემა. მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ფილიალების მართვის შემდეგი პროგრამები, რომლებიც ასევე შეესაბამებოდეს სათაო ოფისის პროგრამას:

- საშტატო მოთხოვნები;
- ბანკის ფილიალის პერსონალის სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების და შეფასების პროგრამა;
- სათავო ოფისის ხელმძღვანელობის წინაშე ანგარიშგების სისტემა.
- სათავო ოფისში მონაცემთა გადაცემის სიხშირე.

რადგან ყველა ფილიალი ვალდებულია გაატაროს მენეჯმენტის პოლიტიკა, ფილიალის ხელმძღვანელი მონაწილეობას უნდა იღებდეს და/ან სრულად იყოს ინფორმირებული სათაო ოფისის პოზიციის, სტრატეგიული მიმართულებების და დეპოზიტებზე/სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შესახებ.

◆ მენეჯმენტის შემოწმების პროცედურები ითვალისწინებს ინფორმაციების მოპოვებას:

- მარკეტინგული გეგმის თაობაზე;
- პასუხისმგებელი მუშაკების და განყოფილებათა უფროსების ბიოგრაფიის ან შრომის წიგნაკის თაობაზე;
- თითოეული აღმასრულებელი პირისათვის გადახდილი ხელფასის ან სხვა კომპენსაციის ჩამონათვალზე;
- მენეჯმენტის გეგმაზე, მენეჯმენტის თანმიმდევრული ცვლილების ჩათვლით.

• ბანკის ადმინისტრაციული სახელმძღვანელოს განხილვასა და პოლიტიკის ნაწილზე ასლების მიღების თაობაზე.

• მენეჯმენტის გეგმის განხილვასა და იმ დოკუმენტების ასლების მიღებაზე, რომელიც ეხება შტატების შემცირებას ან გაზრდას, დამატებით მისაღები ან გასათავისუფლებელი თანამშრომლების რაოდენობას. ამასთან,

◆ იმ შეთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ინსტრუქციები და/ან მენეჯმენტის გეგმა არ არის გაფორმებული წერილობითი სახით, შემმოწმებელი უნდა გაესაუბროს შესაბამის ხელმძღვანელ მუშაკებს და/ან ადმინისტრაციის წევრებს, რათა განსაზღვროს არაოფიციალური (ადმინისტრაციული ინსტრუქციების ნაცვლად) პროცედურების არსებობა ამგვარი საკითხების გადაწყვეტისთვის და მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები (მენეჯმენტის წერილობითი გეგმის ნაცვლად).

◆ სხვადასხვა თანამშრომლების ფუნქციური პასუხისმგებლობის დონეების განსაზღვრას და გარკვევას იმისა, ემთხვევა თუ არა უფლებამოსილებები ორგანიზაციული სტრუქტურის სქემას.

◆ ბანკის მარკეტინგის გეგმის განხილვას სპეციალური პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით, მაგ. საქმიანობის გაფართოების, ახალი ბაზრების ათვისებისა და რეკლამის წარმოების მხრივ.

◆ ბანკის საშტატო განაკვეთების განხილვასა და ანალოგიური სიდიდისა და სირთულის ბანკის შესაბამის მონაცემებთან შედარებას. განისაზღვროს, უხდის თუ არა ბანკი ხელფასებსა და პრემიებს უმოქმედოდ მყოფ პასუხისმგებელ მუშაკებს და დირექტორებს.

◆ განისაზღვროს, არსებობს თუ არა აღმასრულებული პერსონალისა და ხელმძღვანელ მუშაკთა მატერიალური წახალისების გეგმა (პრემიები) და დაადგინეთ მისი მიზანშეწონილობა.

◆ მენეჯმენტის საქმიანობის განხილვას ზედა რგოლის მენეჯმენტის ცვლილებისათვის [illegible]ორების მომზადების თვალსაზ-

[illegible]ისით. განხილვა უნდა მოიცავდეს მენეჯმენტის ქვედა რგოლების [illegible]არისხის შეფასებას და წინსვლის პოტენციალს.

◆ მას შემდეგ, რაც მოხდება აქტივების ხარისხის, მოგების, [illegible]კაპიტალის, ლიკვიდობის, აქტივ/ვალდებულებების მართვის პროცედურების დასრულება, დამხმარე შემმოწმებლებთან ერთად [illegible]ყია იქნეს განხილული შემდეგი საკითხები:

• როგორია მათი აზრი ბანკის თანამშრომელთა საერთო მოლალურ დონეზე;

• შესამოწმებელ სფეროში თანამშრომელთა ტექნიკური პროფესიონალიზმი;

• პასუხისმგებელ მუშაკთა გავლენა მათი საქმიანობის სფეროში არსებულ პირობებზე;

• მენეჯმენტის ზედა რგოლის როლი (გავლენა) ბანკის საქმიანობის თითოეულ სექტორში.

◆ ბანკის მიერ დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკისა და [illegible]ნების განხილვასთან ერთად:

• გააანალიზებულ უნდა იქნეს არსებული პოლიტიკა და განსაზღვრული ნებისმიერი შეუსაბამობა მართვის თვალსაზრისით.

• განხილულ იქნეს შიდა კონტროლის წესებიდან და საბანკო პოლიტიკიდან დაშვებული ნებისმიერი გამონაკლისი და ბანკის სხვა სფეროების შემოწმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კრიტიკული შენიშვნა.

• განხილულ იქნეს ბანკის აქტივების განაწილების მიზანშეწონილობა ბანკის დაფინანსების წყაროების გათვალისწინებით, [illegible]სკვე, ბანკის კაპიტალის პოზიციის შეფასება აქტივების ხარისხთან, ზრდისა და განვითარების გეგმებთან კავშირში.

◆ მენეჯმენტის შესაბამის წარმომადგენლებთან გასაუბრება იმ [illegible]ნით, რომ დადგენილ იქნეს მათი კვალიფიკაცია. გამოკითხვა [illegible]და ჩატარდეს ისეთი ფორმით, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია შემდეგის განსასაზღვრელად:

• ინფორმაციის წყაროები, რომლებსაც მენეჯმენტი იყენებს [illegible]ანკის მიმდინარე საქმიანობის წარმართვისათვის;

• ქვედა რგოლის მუშაკების სუსტი და ძლიერი მხარეები;

• მენეჯმენტისა და პასუხისმგებელ მუშაკთა საკადრო ცვლილებების პრაქტიკა;

• მენეჯმენტის მიერ გამოყენებული კონტროლის სხვადასხვა მეთოდი, მაგ., მაკორექტირებელი ღონისძიებები, პოლიტიკის დაცვა;

• სამუშაოს მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორები და პერსონალის ეფექტურობა;

• პერსონალის საერთო კრებების სიხშირე და ბანკის საკომუნიკაციო სისტემების ეფექტურობა;

• მენეჯმენტის მიერ შემუშავებული პროგნოზები და წინადადებები მოცემული წლისათვის;

• დირექტორებთან თანამშრომლობის ბუნება და ხარისხი.

◆ ზემოთ ჩამოთვლილის განხილვის და ნებისმიერი სხვა მიზანშეწონილი პროცედურების შესრულების შემდეგ, შემმოწმებელმა უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს (ჩვეულებრივ, ეს კითხვები გამოიყენება მოპოვებული ინფორმაციის შესაჯამებლად, რითაც დგება ფაქტობრივი მასალა მენეჯმენტის შესახებ შემმოწმებლის კომენტარების დასასაბუთებლად):

• ჩამოყალიბებულია თუ არა ბანკის მართვის მიზნები.

• აწარმოებს თუ არა ბანკი საკადრო მოთხოვნის პროგნოზირებას.

• ხდება თუ არა ბანკში კვალიფიცირებული პერსონალის დაწინაურება.

• იღებენ თუ არა მონაწილეობას ხელმძღვანელი მუშაკები ახალი კადრების შერჩევაში და აქვთ თუ არა კანდიდატის მიღების ან მის მიღებაზე უარის თქმის უფლება.

• წარმოებს თუ არა იმ პირთა სწავლება, რომლებმაც უნდა დაიკავონ მაღალი თანამდებობა.

• არის თუ არა ხელფასები კონკურენტული.

• ეთანხმება თუ არა მენეჯმენტის ზედა რგოლი ადმინისტრაციას სამომავლო მდგომარეობის შესახებ.

• ეთანხმება თუ არა დირექტორატი სამეთვალყურეო საბჭოს ძირან სთავაზობენ თუ არა მას პოლიტიკის გადაწყვეტილებების პროექტებს.

◆ იღებს თუ არა მენეჯმენტის ზედა რგოლი:

• მოკლე ანგარიშგებებს ყოველდღიური მდგომარეობის შესახებ.

• ყოველდღიურ ანგარიშგებებს ლიკვიდობის შესახებ.

• აქტივების ჩამონათვალს (საკურადღებო ან უფრო დაბალი კლასიფიკაცია) მინიმუმ ყოველთვიურად.

• მოგება-ზარალის უწყისს მინიმუმ ყოველთვიურად მაინც.

• რეგულარულად ტარდება თუ არა ბანკის თანამშრომელთა კრებები.

• იყენებს თუ არა ბანკი მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშგების სისტემას განსაკუთრებული პროექტების შემთხვევაში.

ბანკის შიდა კონტროლის სისტემის რისკის თვალსაზრისით შეფასებისას ინსპექტორებმა შეიძლება გამოიყენონ წინამდებარე სტანდარტები, რათა შეაფასონ მენეჯმენტთან და შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული რისკები. სტანდარტები წარმოადგენენ კონტროლისა და მუშაობის მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბანკის სტაბილური და უსაფრთხო მუშაობა და მისი მიზნების განხორციელება. დაკავშირებული რისკები წარმოადგენენ ბანკის წინაშე მდგომ პოტენციურ საშიშროებას იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სტანდარტების მიღწევა და შენარჩუნება. სტანდარტების მთავარი მიზანია, რომ დაეხმარონ ინსპექტორს მნიშვნელოვანი ფუნქციების ანალიზში. შესაძლებელია, რომ თითოეულმა ბანკმა არ გაითვალისწინოს ყველა სტანდარტი, ანუ, ესენი შეიძლება არ წარმოადგენდნენ კონტროლისა და მუშაობის ყველა იმ სტანდარტს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია თითოეული ბანკისთვის. რისკის შეფასებისას ინსპექტორებმა უნდა განაგრძონ საკუთარი განსჯის გამოყენება (იხ. ცხრ. 3.1.).

ცხრილი 3.1

ბანკების შიდა კონტროლის სისტემა

სტანდარტები	დაკავშირებული რისკები
მენეჯმენტი და კონტროლი	
დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭო ან კომიტეტი ანიჭებს პასუხისმგებლობას, გადასცემს უფლებამოსილებას და აწესებს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის საფუძვლებს.	დამოუკიდებელი კონტროლის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს სუსტი კონტროლის გარემო.
მენეჯმენტისა და თანამშრომლების უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების მიმართულება მკაფიოდ არის გამოკვეთილი და გაგებული მთელი პერსონალის მიერ	არასწორმა ან ხარვეზებიანმა საორგანიზაციო სტრუქტურამ შეიძლება პრობლემების გამოუსწორებლობა გამოიწვიოს.
სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ მენეჯმენტს გააჩნია საჭირო ცოდნა, გამოცდილება და ტრენინგი საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად. სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია მენეჯმენტის შენაცვლებადობის გეგმა, ოფიციალურად ან არაოფიციალურად	არაკვალიფიციური სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტის გუნდი შეიძლება არაქმედითუნარიანი იყოს. მენეჯმენტის არაადეკვატურმა შენაცვლებადობამ შეიძლება დაანგრიოს ბანკის ოპერაციები და ნეგატიურად იმოქმედოს მის ფინანსურ მდგომარეობაზე.
სამეთვალყურეო საბჭო იყენებს ეფექტურ დაგეგმვას და სწორ სტრატეგიას ახორციელებს.	დაგეგმვის არაადეკვატურმა პროცესმა შეიძლება სუსტი მუშაობა და შესაძლებლობების ხელიდან გაშვება გამოიწვიოს. მენეჯმენტმა შეიძლება რეაგირება არ მოახდინოს ეკონომიკურ, სამრეწველო და მარეგულირებელ გარემოში არსებულ ცვლილებებზე.

ცხრილი 3.1-ის გაგრძელება

სამეთვალყურეო საბჭო აწესებს [illegible] და პროცედურებთან [illegible] კონტროლს, რათა [illegible] დირექტივების [illegible]	კონტროლის უკმარისობამ შეიძლება ხელი შეუშალოს ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას. ბანკი შეიძლება დადგეს უფრო დიდი რისკის წინაშე, თუ არ განხორციელდება ის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ძირითად რისკებს უკავშირდებიან. სამეთვალყურეო საბჭომ და მენეჯმენტმა შეიძლება არ იცოდეს შეუსაბამობების შესახებ და შეიძლება არ მოხდეს მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება.
[illegible] გადასცემს შეტყობინებას, [illegible] დაცული იქნება მოუკრძალებლობისა და ეთიკის დარღვევები. [illegible] ახორციელებს აუდიტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ მაკორექტირებელ ღონისძიებებს. [illegible] ინარჩუნებს სისტემას, [illegible] ეფექტურად აფასებს და მონიტორინგს უწევს რისკებს.	თვითმომსახურების პრაქტიკამ და ინტერესთა კონფლიქტმა შეიძლება შელახოს ბანკის რეპუტაცია და გაზარდოს სამართლებრივი რისკისა და ზარალის საშიშროება. კაპიტალი, აქტივების ხარისხი, მოგება და ლიკვიდობა შეიძლება დაზარალდეს მაღალი რისკის გამო.
[illegible] ობს ისეთი პროცესი, რომელიც [illegible] ინფორმაციის [illegible], დამუშავება და მოხსენება [illegible] ინფორმაციო სისტემების მიერ. [illegible] ინფორმაციის ეფექტური [illegible] ორგანიზაციის მიერ.	არასაკმარისი ან არადროული ინფორმაცია ხელს უშლის პირებს მათი მოვალეობების ეფექტურად განხორციელებაში.

ცხრილი 3.1-ის გაგრძელება

მენეჯმენტი ან კომიტეტი ატარებენ შიდა კონტროლის მონიტორინგს, მათ შორის, თვალს ადევნებენ კანონებთან, ნორმატიულ აქტებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობას.	არაეფექტურმა მონიტორინგმა შეიძლება გამოიწვიოს სუსტი შიდა კონტროლი, რომელსაც იარსებებს ოპერატიული ზარალის დიდი ალბათობა.
მენეჯმენტი ან კომიტეტი ატარებს პოლიტიკასა და პროცედურებს.	პოლიტიკისა და პროცედურების გაუტარებლობამ შეიძლება პრობლემებისა და ბანკის არასწორი მენეჯმენტისადმი არასაკმარისი რეაგირება გამოიწვიოს.
სარეზიზიო კომისია იმუშავებს აუდიტის ეფექტურ პროგრამას	ოპერატიული სისუსტეები შეიძლება არ იქნეს აღმოჩენილი. ფინანსური ან საზედამხედველო ანგარიშგება შეიძლება არასაიმედო იყოს. კანონებთან, ნორმატიულ აქტებთან და შიდა პოლიტიკასთან შესაბამისობას შეიძლება საფრთხე შეექმნეს.

ინსპექტორებმა უნდა შეაფასონ ქვემოთ მოცემული ძირითადი ანალიზის მნიშვნელობა და განსაზღვრონ, საჭიროა თუ არა გაფართოვებული ანალიზის ჩატარება. ძირითადი ანალიზის ფაქტორებზე ნეგატიურმა პასუხებმა შეიძლება არ მოითხოვოს გაფართოვებული ანალიზის ჩატარების აუცილებლობა და პირიქით, ძირითადი ანალიზის ფაქტორებზე გაცემულმა დადებითმა პასუხებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ინსპექტორებს, რომ მათ გაფართოვებული ანალიზის გამოყენება ჩათვალონ საჭიროდ.

◆ **ძირითადი ანალიზის გადამწყვეტი ფაქტორებია:**

✓ სამეთვალყურეო საბჭო ადეკვატურ ზედამხედველობას უწევს თუ არა ბანკის საქმიანობას და უზრუნველყოფს თუ არა მენეჯმენტის ინტენსივობასა და შენაცვლებადობას.

✓ მენეჯმენტმა დააწესა თუ არა ადეკვატური კონტროლი ამოცნობ ორგანიზაციაში.

✓ მენეჯმენტი რეაგირებს თუ არა აუდიტორებისა და საზედამხედველო ორგანოების რეკომენდაციებზე.

✓ სწორად ხორციელდება თუ არა შიდა საქმიანობა.

✓ მენეჯმენტის შესაძლებლობები საკმარისია თუ არა ბანკის ზომის, მოცულობისა და პირობებისთვის.

✓ დადგენილი და შეფასებულია თუ არა მთავარი რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის წარმატებასა და წარუმატებლობაზე.

✓ ადეკვატურია თუ არა პოლიტიკა და პროცედურები, თუ გათვალისწინებთ ბანკის კომპლექსურობასა და მოცულობას.

✓ არსებობს თუ არა ადეკვატური კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის შესაბამისობას პოლიტიკასთან და სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებთან.

✓ არსებობს თუ არა ეფექტური საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები, რომელიც საშუალებას მისცემს კადრებს განახორციელონ საკუთარი მოვალეობები.

✓ არსებობს თუ არა სათანადო სისტემები, მათ შორის აუდიტი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ბანკის საქმიანობას.

◆ **გაფართოვებული ანალიზის გადამწყვეტი ფაქტორებია:**

✓ უმნიშვნელოა თუ არა მენეჯმენტის ხარვეზები ან პრობლემები.

✓ აქვს თუ არა მენეჯმენტს უნარი და მონდომება, რომ განახორციელოს მაკორექტირებელი ღონისძიებები არსებული პრობლემებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად. ეს პროცედურული ანალიზი არ წარმოადგენს ყველა შესაძლო ქმედებას, რომელიც შემოწმების დროს უნდა განხორციელდეს. აქ მოცემული საკითხები არ არის ყოვლისმომცველი და შეიძლება დამატების შეტანა. ბევრი ეს პროცედურა ერთზე მეტ სტანდარტს და საკვანძირებულ რისკებს ეხება. იმისათვის, რომ შემოწმების პრო-

ცესი წარმატებული იყოს, ინსპექტორებმა უნდა შეინარჩუნონ დია ურთიერთობები ბანკის მენეჯმენტთან და განიხილონ პრობლემები მათი წარმოშობისთანავე.

შემმოწმებელმა უნდა განიხილოს:

◆ სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტის წინა შემოწმების შემდგომი პერიოდის ოქმები, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს ყველაზე ახალი და წლის ბოლო შემაჯამებელი პაკეტები, რათა განსაზღვროს მათ მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ადეკვატურობა და მასშტაბები. უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი დეტალების დოკუმენტირება და განხილულ იქნეს შემდეგი საკითხები:

✓ დირექტორთა დასწრება;

✓ წინა შემოწმების შემდგომ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები;

✓ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობა აღმასრულებელი მენეჯმენტისგან;

✓ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, აქციონერის ან აღმასრულებელი მენეჯმენტის მიერ განხორციელებული დომინანტური კონტროლი;

✓ ბანკის დირექტივებსა თუ საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები;

✓ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ადეკვატურობა;

✓ პოლიტიკის განხილვა და დამტკიცება;

✓ ბანკის სტრატეგიული გეგმა.

◆ წინა შემოწმების შემდგომი პერიოდის ცვლილებები ბანკის მენეჯმენტში ან დირექტორატში და შეისწავლოს მენეჯმენტის შენაცვლებადობის გეგმები (რომელიც შეიძლება იყოს ოფიციალური ან არაოფიციალური). შესაბამისად უნდა:

✓ შეფასდეს მენეჯმენტის ცვლილების გავლენა ბანკის ოპერაციებზე;

✓ მოპოვებულ იქნეს ახალი აღმასრულებელი ოფიცრებისა და დირექტორების ბიოგრაფიული მონაცემები.

◆ წინა შემოწმების აქტები, სამუშაო დოკუმენტაცია და კორესპონდენცია მენეჯმენტთან დაკავშირებულ კომენტარებთან დაკავშირებაში.

მენეჯმენტის საქმიანობის შემოწმებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მენეჯმენტის შესაბამისობაზე ინტერესთა კონფლიქტის და მოსალოდნელ ქცევასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი გაცნობიერება და გაგება მთელ ორგანიზაციაში.

სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის საქმიანობის შემოწმების დროს უნდა განისაზღვროს:

✓ შეესაბამება თუ არა ოპერატიული გამოცდილება ბანკის მოცულობას, კომპლექსურობასა და რისკის პროფილს;

✓ კვალიფიცირებულნი არიან თუ არა აღმასრულებელი პირები და ასრულებენ თუ არა ისინი დაკისრებულ მოვალეობას;

✓ სათანადოა თუ არა ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგის გათვალისწინებით: ბანკის მოცულობა და კომპლექსურობა; ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმა.

✓ რამდენად ეყრდნობა სამთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი გარე აუდიტორებსა და კონსულტანტებს;

✓ გაატარა თუ არა მენეჯმენტმა სათანადო ღონისძიებები კანონმდებლობისა და სტაბილურობის შესახებ სებ-ის წესებთან, ნორმატიულ აქტებთან ან სახელმძღვანელო მითითებებთან შესაბამისობის მიზნით.

✓ ადეკვატურად განიხილავს თუ არა მენეჯმენტი მიუკერძოებლობის საკითხს ქცევის კოდექსში, ეთიკაში, პოლიტიკასა და პროცედურების გეგმებში.

◆ შემმოწმებლებმა უნდა განიხილონ და შეაფასონ შემდეგი:

✓ სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები ინტერესთა კონფლიქტთან და პერიოდულ ტრეინინგთან, მათ შორის, მისაღებ და მიუღებელ ბიზნეს-პრაქტიკასთან დაკავშირებით.

✓ შესაფერისი გამოსასწორებელი ღონისძიებები პოლიტიკისგან გადახვევებთან დაკავშირებით.

✓ ატარებს თუ არა მენეჯმენტი ადეკვატურ და დროულ ღონისძიებებს აუდიტორებისა და მარეგულირებელი ორგანოების რეკომენდაციების შესასრულებლად.

✓ მინიმუმამდე დაყავს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს ოპერატიული მენეჯმენტის მიერ პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევის შესაძლებლობა, ეფექტური მონიტორინგისა და დაწესებული ინსტრუქციების მეშვეობით.

✓ როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი მენეჯმენტის ხელფასებისა და ანაზღაურების სისწორე.

◆ შემმოწმებლებმა უნდა განიხილონ და შეაფასონ შემდეგი:

✓ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ კადრების ანაზღაურების დამტკიცება, მათ შორის, ინდივიდუალური ხელფასები და დახმარებები;

✓ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომპენსაციის დამტკიცება, მათ შორის, ინდივიდუალური ხელფასები და დახმარებები;

✓ ბანკის მიერ სიცოცხლის დაზღვევის პოლისის შეძენა;

✓ არსებობს თუ არა თვითმომსახურების პრაქტიკა ან ინტერესთა კონფლიქტი.

✓ აქვთ თუ არა ინსაიდერებს არასათანადო გავლენა კლიენტურის საქმიანობაზე;

✓ გასცემენ თუ არა ინსაიდერები საკუთარ თანხებს კლიენტურასა თუ მსესხებლებზე;

✓ შეესაბამება თუ არა ინსაიდერებზე გაცემული პრივილეგიები ან დახმარებები გაწეულ მომსახურებას;

✓ ადგილი ჰქონდა თუ არა გარე აუდიტორების ან იურიდიული საბჭოს ცვლილებას და რატომ.

ძირითადი და გაფართოვებული ანალიზი

ძირითადი ანალიზის განხორციელებისას განხილულ უნდა იქნეს გარე და შიდა ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა

იქონიონ ბანკის მიზნების განხორციელებაზე, დადგინდეს და გაანალიზდეს რისკები და ცვალებად გარემოებებზე რეაგირების შესაძლებლები.

◆ **შემმოწმებელმა აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა:**

✓ განიხილოს მენეჯმენტის მიერ რისკების გაწევასთან დაკავშირებული პრაქტიკა. შეაფასოს მენეჯმენტის შესაძლებლობები შემდეგ სფეროებში: აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი; განვითარება, ზრდა; არატრადიციული საბანკო მომსახურება; დეპოზიტების სტრუქტურა, განაკვეთები და პროდუქტები; სხვისთვის სხვა სფერო და განსაზღვროს:

არის თუ არა მენეჯმენტის მიერ რისკის გაწევასთან დაკავშირებული საქმიანობა კონსერვატიული, ზომიერი ან აგრესიული;

- არსებობს თუ არა კონტროლი, რომელიც შეარბილებს რისკის გაწევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემას.

არსებობს თუ არა რაიმე არსებითი ცვლილება მენეჯმენტის მიერ რისკების გაწევის პრაქტიკაში. მაგალითად, ცვლილებებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგ სფეროებში: სესხების გაცემა ადრე მსესხებლებზე, სასესხო პორტფელების შეერთება, ფასიანი ქაღალდების პორტფელის ვადიანობის განაწილება, ახალი სასესხო პროდუქტები, აქტივების ზრდა.

✓ დაადგინოს ეფექტურად გეგმავს თუ არა მენეჯმენტი შემდეგ საკითხებს:

სტრატეგიულ გეგმას, ბიუჯეტის პროცესს, მოგების დაგეგმვასა და ზრდაგანვითარების პროგნოზირებას;

- დაგეგმვის პროცესში ჩართულ პირებს;

- ვარაუდების მიზანშეწონილობას; - რევიზიების სიხშირეს;

- ახალი სტრატეგიული ინიციატივების გამოკვლევას, როგორიცაა ახალი პროდუქტები და ინვესტიციები, ფილიალების გაფართოვება, შერწყმა და შეძენა.

✓ განსაზღვროს, აფასებს თუ არა მენეჯმენტი რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ დასახული მიზნების წარმატებით

განხორციელებასა თუ განუხორციელებლობაზე. რისკების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

◆ რისკების გარეშე წყაროები, როგორიცაა:
- ✓ ტექნოლოგიური ცვლილებები;
- ✓ კონკურენტების ქმედებები;
- ✓ ეკონომიკური გარემოებები;
- ✓ პოლიტიკური და მარეგულირებელი გარემოებები;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის მტკიცებულება.

◆ რისკის შიდა წყაროები, როგორიცაა:
- ✓ ძირითადი მენეჯმენტისა და კადრების შენარჩუნება;
- ✓ თანხების ხელმისაწვდომობა;
- ✓ საინფორმაციო სისტემები;
- ✓ კორპორატიული რესტრუქტურიზაცია;
- ✓ სწრაფი ზრდა;
- ✓ ახალი პროდუქტები ან ბიზნეს-სიახლეები.

◆ დადგენილი რისკების მნიშვნელობა, მათი შესაძლო გავლენა ბანკზე და მენეჯმენტის მიერ რისკების შესამცირებლად გადადგმული ნაბიჯები.

✓ განსაზღვროს, განსახვავდება თუ არა შემოწმებისას დადგენილი რისკები მენეჯმენტის მიერ დადგენილი რისკებისგან.

✓ განსაზღვროს სხვა პოლიტიკის ადეკვატურობა, მათ შორის, ნებისმიერი თანამშრომლის სამსახურისადმი ერთგულების პოლიტიკა.

✓ განსაზღვროს ნებისმიერი საკითხი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით.

✓ გასაზღვროს, არის თუ არა პოლიტიკა, პროცედურები და პრაქტიკა ბანკის მოცულობის, კომპლექსურობისა და რისკის პროფილის ადეკვატური.

✓ განსაზღვროს, არსებობს თუ არა კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისობას დაწესებულ პოლიტიკასთან და

ასახულ იქნეს ის ღონისძიებები, რომლებიც გატარდა დაკვირვებულ რისკებთან მიმართებაში.

✓ განსაზღვროს, ინარჩუნებს თუ არა მენეჯმენტი კონტროლისა და უსაფრთხოების ეფექტურ სისტემებს იმ საქმიანობის საწინააღმდეგოდ, რომელიც ბანკს რისკის წინაშე აყენებს. ექსპერტებმა უნდა განიხილონ შემდეგი საკითხები:
- უფლებამოსილების მისაღებად აუცილებელი მოთხოვნები;
- ერთობლივი დაცვის ორგანიზება;
- ორმაგი კონტროლი;
- ვალდებულებების განაწილება.

✓ განსაზღვროს, აქვს თუ არა ბანკს ეფექტური კორპორატიული ბიზნესის აღდგენისა და გაუთვალისწინებელ გარემოებათა დაგეგმვის შესაძლებლობა, ინახავს თუ არა ბანკი სარეზერვო ფაილებს კრიტიკული აუცილებლობისთვის.

✓ განიხილოს, ატარებს თუ არა მენეჯმენტი სათანადო ღონისძიებებს მომქმედ კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის მიზნით.

✓ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოახდენს შიდა და გარეშე ინფორმაციის აღდგენას, მოპოვებას და ანგარიშგებას.

✓ შეფასებულ იქნეს ადეკვატურია თუ არა ეს სისტემა მალალი რისკის მქონე სფეროებში;

✓ რეგულარულად განიხილავს თუ არა მენეჯმენტი საინფორმაციო სისტემების ბიზნესს;

✓ განხილულ იქნეს ყოველკვარტალური ანგარიშგებების ადეკვატურობა.

✓ შეაფასოს, საკმარისია თუ არა პერსონალისადმი მიწოდებული ინფორმაცია მათ მიერ მოვალეობების შესასრულებლად.

✓ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ისეთი სისტემები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ იმ არსებით რისკებს, რომლებიც ახლავს ნებისმიერ ძირითად საქმიანობას, რომელსაც ბანკი

ახორციელებს. მონიტორინგის შედეგიდან გამომდინარე შეფასდეს შემდეგი რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საოპერაციო რისკი;
- სამართლებრივი რისკი;
- რეპუტაციის რისკი.

✓ განსაზღვროს, არის თუ არა გამოყოფილი შიდა აუდიტის სამსახური ბანკის სხვა სტრუქტურული დანაყოფებისგან, რომელიც სებ-ის ნორმატიული მოთხოვნების გარდა, უნდა დასაბუთდეს შემდეგნაირად:

- აუდიტის სამსახური გამოყოფილია ორგანიზაციულ სტრუქტურებში არსებული ოპერაციებიდან;

- აუდიტის თანამშრომლებს გააჩნიათ ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება ბანკის ოპერატიულ პერსონალთან ერთად, როგორიცაა: მთავარი დავთრის მომზადება, ყოველდღიური შედარებები და ორმაგი კონტროლი;

- აუდიტორის ანგარიშგების პროცედურები ოპერატიული პერსონალის გავლენისგან დამოუკიდებელია; აუდიტის სამსახური უშუალოდ მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წინაშე არის ანგარიშვალდებული; აუდიტორი პრიორულად სდება მათ, რათა ერთობლივად განიხილონ აუდიტორული დასკვნა.

- განსაზღვროს, რამდენად სწორადაა შემუშავებული შიდა აუდიტის გეგმა, რომელიც უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი ნიშნებით:

- აუდიტის გეგმა უნდა იყოს დამტკიცებული;
- ბანკის ყველა საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს აუდიტს;
- საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აუდიტორული პროცედურების განახლება;

- აუდიტორმა პერიოდულად უნდა მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში ბანკში მიმდინარე პროგრესის შესახებ;

განსაზღვროს, ადეკვატურია თუ არა შიდა აუდიტის დასკვნები.

- აუდიტის სამუშაო დოკუმენტაციაში დამტკიცებულია აუდიტის პროცედურებიდან მნიშვნელოვანი გადახვევები;

- სამუშაო დოკუმენტაცია მოიცავს იმ დოკუმენტს, რომ აუდიტის მენეჯერებმა განიხილეს სამუშაო დოკუმენტაცია შედეგებისა და საბოლოო დასკვნების გაკეთების მიზნით;

- ყველა მნიშვნელოვანი გადაუწყვეტი პრობლემა აღნიშნულია სამუშაო დოკუმენტაციაში და მას მოიცავს აუდიტის დასკვნა;

- აუდიტის დასკვნის დაცვაზე პასუხისმგებლობა ენიჭება სათანადო კადრებს.

✓ ადეკვატურია თუ არა აუდიტის სამსახურის ანგარიშგების პროცედურები. აუდიტორი გადასცემს ოფიციალურ აქტებს სარევიზიო კომისიას ყველა არსებით სისუსტესა თუ სხვა არაგანსაკმაყოფილებელ საკითხთან დაკავშირებით;

- სამეთვალყურეო საბჭო ან სარევიზიო კომისია ეხმარება აუდიტის თანამშრომლებს აუდიტთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში;

- სამსახურის მენეჯერები იღებენ ვალდებულებას, რომ აღმოფხვრებენ განსაკუთრებულ ღონისძიებებს აუდიტის დასკვნაში აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად;

- აუდიტორული დასკვნები მოიცავს სამსახურში არსებულ ხარვეზებას კონტროლის ქმედითუნარიანობის შესახებ;

- აუდიტორი აწარმოებს ოფიციალურ ჩანაწერებს ყველა აუდიტორულ ან სახედამხედველო რეკომენდაციაზე.

✓ განსაზღვროს, არიან თუ არა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები კომპეტენტურნი, ანუ, შეესაბამება თუ არა მათი აკადემიური მდგომარეობა და გამოცდილება ბანკის მოცულობასა და კომპლექსურობას.

✓ განიხილოს ბანკის გარე აუდიტის პროგრამა და განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა იგი „კომერციული ბანკების საქ-

მიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე, სებ-ის ნორმატიული აქტების, წესებისა და ინსტრუქციების მოთხოვნებს.

გაფართოვებული ანალიზისას გამოყენებული პროცედურები კონცენტრირებულ უნდა იქნან იმ პრობლემებზე, რომლებიც ძირითადი ანალიზისა და გადამწყვეტი ფაქტორებისას იქნა დადგენილი. ძირითად ანალიზსა და გადამწყვეტ ფაქტორებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას აუცილებლად გამოიყენება გაფართოვებული ანალიზი. ძირითადი ანალიზისას გამოყენებული ინსტრუქციები შეიძლება ამ შემთხვევაშიც იქნეს გამოყენებული. აღნიშნულის გათვალისწინებით შემმოწმებელმა უნდა:

- ✓ დაადგინოს, რატომ არ იქნა მიღებული ეთიკის პოლიტიკა. გაიგოს, როგორი რეაგირება მოახდინა მენეჯმენტმა ინსპექტორების რეკომენდაციებზე.
- ✓ განსაზღვროს სხვა მოდულებში დადგენილი ინსაიდერების დარღვევების მნიშვნელობა.
- ✓ დაადგინოს, რატომ არა აქვს ბანკს ვალდებულებების დარღვევისას გამოსაყენებელი დაზღვევის მექანიზმი და განიხილოს ის ღონისძიებები, რომლებსაც მენეჯმენტი ატარებს ამგვარი დაზღვევის არარსებობით გამოწვეული შედეგების გამოსასწორებლად.

ბანკის საერთო შიდა კონტროლის სისტემის შეფასებისას ინსპექტორებმა უნდა გაითვალისწინონ ძირითადი მახასიათებლები; აუდიტის პროგრამას არ მოეთხოვება ყველა მახასიათებლის დაკმაყოფილება იმისათვის, რომ მიენიჭოს კონკრეტული რეიტინგი: „ძლიერი“, „დამაკმაყოფილებელი“ ან „სუსტი“. ეს ძირითადი მახასიათებლები, როგორც წესი, ენიჭებათ რეიტინგების განსახვავების მიზნით, ხოლო ინსპექტორები ვალდებული არიან შეუსაბამონ ისინი ბანკის მოცულობას, საქმიანობის ტიპს და რისკის პროფილს და ამის საფუძველზე შეიმუშაონ საერთო რეიტინგი.

IV თავი

სტრატეგიული მართვისა და შინაგანსური დაგეგმვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში

შინაარსი:

4.1. სტრატეგიული მართვა და დაგეგმვა კომერციულ ბანკებში;
4.2. შინაგანსური დაგეგმვის არსი და ძირითადი ეტაპები;
4.3. ბიუჯეტირების პროცესი კომერციულ ბანკში;
4.4. შინაგანსური მენეჯმენტის საბაზისო მაჩვენებლები.

ძირითადი ელემენტები:

1. ბანკის საერთო ბიუჯეტი;
2. ბიუჯეტირების სისტემის ძირითადი პრინციპები;
3. ბიუჯეტირების მოდელების შემუშავება;
4. ბანკის ბიზნეს-ცენტრების მიხედვით ბიუჯეტის აგების საერთო პრინციპები;
5. ინვესტიციის ექსპლუატაციის ბრუტო-შედეგი;
6. ინვესტიციის ექსპლუატაციის ნეტო-შედეგი;
7. აქტივების ეკონომიკური რენტაბელობა.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 4.1. დაგეგმვის სისტემა კომერციულ ბანკში;
ცხრილი 4.2. რისკების ტიპები დროითი ინტერვალთან დამოკიდებულებაში.

IV თავი

სტრატეგიული მართვისა და ფინანსური დაგეგმვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში

შინაარსი:

1.1. სტრატეგიული მართვა და დაგეგმვა კომერციულ ბანკებში;
1.2. ფინანსური დაგეგმვის არსი და ძირითადი ეტაპები;
1.3. ბიუჯეტირების პროცესი კომერციულ ბანკში;
1.4. ფინანსური მენეჯმენტის საბაზისო მაჩვენებლები.

ძირითადი ელემენტები:

1. ბანკის საერთო ბიუჯეტი;
2. ბიუჯეტირების სისტემის ძირითადი პრინციპები;
3. ბიუჯეტირების მოდელების შემუშავება;
4. ბანკის ბიზნეს-ცენტრების მიხედვით ბიუჯეტის აგების საერთო პრინციპები;
5. ინვესტიციის ექსპლუატაციის ბრუტტო-შედეგი;
6. ინვესტიციის ექსპლუატაციის ნეტტო-შედეგი;
7. აქტივების ეკონომიკური რენტაბელობა.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 4.1. დაგეგმვის სისტემა კომერციულ ბანკში;
ცხრილი 4.2. რისკების ტიპები დროითი ინტერვალთან დამოკიდებულებაში.

4.1. სტრატეგიული მართვა და დაგეგმვა კომერციულ ბანკებში

კომერციულ ბანკებში **დაგეგმვის სისტემა**, თავისთავად, მრავალდონიან მექანიზმს წარმოადგენს (იხ. ცხრ. 4.1). საბანკო დაგეგმვის სისტემის **პირველ დონეზეა** სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც თავისთავში მოიცავს იდეის წამოყენებას, საკვანძო მიზნების, ამოცანების დასმას და მათი გადაწყვეტისადმი ძირითადი მიდგომების განსაზღვრას. **მეორე დონე**, თავისთავად, ტაქტიკურ დაგეგმას წარმოადგენს, რომელიც სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციასთან მიმართებებში დონისძიებებისა და ამოცანების განსაზღვრას ეხება. **მესამე დონეზე** ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება, რომელიც დაგეგმვის წინა ეტაპებზე კონკრეტულ ღირებულებით მაჩვენებლებში შემუშავებული სტრატეგიების, ამოცანებისა და ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს.

ცხრილი 4.1

დაგეგმვის სისტემა კომერციულ ბანკში

დაგეგმვის დონე	დაგეგმვის სახეობები	შინაარსი	გეგმები
პირველი დონე	სტრატეგიული დაგეგმვა	•მიზნების დასმა; •პროგრამისა და პოტენციალის დაგეგმვა.	•მიზნები; •სტრატეგიები.
მეორე დონე	ტაქტიკური დაგეგმვა	•ბიზნეს-დაგეგმვა; •ორგანიზაციული დაგეგმვა	•ბიზნეს-გეგმა; •ღონისძიებების გეგმა.
მესამე დონე	ფინანსური დაგეგმვა	•აქტივების, პასივების და მომსახურებების დაგეგმვა; •შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა.	•საანგარიშო ბალანსი და მომსახურებების პორტფელი; •ბიუჯეტი.

ამრიგად, დაგეგმვის ობიექტების სახით გამოდის კომერციული ბანკის საქმიანობის ყველა სფერო. დაგეგმვა, როგორც მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი, უწყვეტ ციკლისმომცველ მექანიზმს წარმოადგენს.

დაგეგმვა, თავისთავად, მრავალდონიან პროცესს წარმოადგენს, რომელიც ბანკის ყველა ქვედანაყოფს მოიცავს და წყაროებთან და ანახარჯებთან თანაზომადად მისი განვითარების, საქმიანობის მიზნების, სფეროს, მასშტაბებისა და შედეგების ლოკალური და საერთო პერსპექტივების განმსაზღვრელია. დაგეგმვის პროცესი არკვეულ მიზნებს და სტრატეგიას, საშუალოვადიან ბიზნეს-გეგმების პროგნოზირებას და შედგენას მოიცავს. იგი იმ ჩარჩოებს და საზღვრებს განსაზღვრავს, რომლშიც მოუწევს კლიენტს მუშაობა, ამასთან, ჯამური მაჩვენებლების მეშვეობით ბანკის საქმიანობის ყველა მხარის ურთიერთკავშირის დანახვის, ფინანსურ ბაზარზე კონკურენციის პირობებში საქმიანობის ახალი სფეროებისა და მეთოდების მოძიების მიმართულების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

დაგეგმვის შედეგს წარმოადგენს ბანკის განვითარების ნაერთი გეგმის, აგრეთვე, ბანკის პოლიტიკის ცალკეული მიმართულების მიხედვით: საკრედიტო, საინვესტიციო, დეპოზიტური, საპროცენტო, საკადრო და ა.შ. ოპერაციული გეგმების შემუშავება. აღნიშნული საბუთები ბანკის კოლექტივს არსებული რესურსების ფარგლებში საერთო ამოცანების გაგებაში, მათი შესრულების სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენებაში ეხმარება.

სტრატეგიული მართვა და დაგეგმვა, თავისთავად, მუდმივად ცვალებადი საბაზრო გარემოებისა და სახელმწიფო რეგულირების წესების პირობებში, ბანკის მიზნებსა და მის განკარგულებაში არსებულ რესურსებს შორის შესაბამისობის მხარდაჭერის მმართველობით პროცესს წარმოადგენს. სტრატეგიული მართვისა და დაგეგმვის მიზანია საქმიანობის ახალი მიმართულებებისა და საბანკო პროდუქტების დანერგვა და განვითარება ისე, რომ ისინი ხელს

უწყობდნენ ოპერაციების მოცულობის ზრდას, შემოსავლების გამრავლებას და აქციის საბაზრო ღირებულების გადიდებას.

სტრატეგიული მართვისა და დაგეგმვის არსი არის შემდეგი საკვანძო მომენტების განხორციელება:

1. ბანკის განვითარების პროგნოზის შედგენა:

- საბანკო საქმიანობის ცალკეული მიმართულების განვითარებასთან მიმართებაში;
- ეროვნული (ცენტრალური) ბანკის არსებულ მოთხოვნებთან საბანკო ოპერაციების შესაბამისობასთან მიმართებაში;
- საბანკო საქმიანობის მიმართულებისა და მოცულობების ბანკის სარესურსო ბაზის შესაძლებლობების შესაბამისობასთან მიმართებაში;
- რესურსების განაწილებისა და გადანაწილების სარესურსო უზრუნველყოფის განვითარებასთან მიმართებაში;
- ბანკის პრინციპების, გეგმებისა და მიზნების რეალიზაციასთან მიმართებაში;
- სტაბილური კონკურენტული უპირატესობისა და საბანკო საქმიანობის მიმართულების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფაზე მიმართულ გრძელვადიან დაგეგმვასთან მიმართებაში;
- ბანკის მთლიანი მასშტაბით ინოვაციების დანერგვისადმი პირობების უზრუნველყოფასთან მიმართებაში.

2. ბანკის ცალკეული ქვედანაყოფის მიერ სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულების საინვესტიციო პორტფელის მართვა. ბანკი საკუთარ ქვედანაყოფებს განიხილავს, როგორც საწარმოებს და წყვეტს საკითხს, თუ რომელი მათგანი განავითაროს, რომელს დაუჭიროს მხარი, ხოლო რომელი – შეზღუდოს ან თუნდაც ლიკვიდაცია გაუკეთოს. აღნიშნული ქვედანაყოფებიდან თითოეულს განსხვავებული პოტენციური რენტაბელობა გააჩნია. ამიტომ ოპერაციულმა მმართველობამ არსებული რესურსები აღნიშნული ქვედანაყოფების პოტენციური რენტაბელობის შესაბამისად, ანუ საბაზრო კრიტერიუმის საფუძველზე უნდა გაანაწილოს.

3. თითოეული ქვედანაყოფის მომავალი მოგების ზუსტი შეფასება ბაზრის ზრდის ტემპისა და მასზე ბანკის მდგომარეობის გათვალისწინებით.

4. თითოეული ცალკეული ქვედანაყოფის სტრატეგიული საქმიანობის დაგეგმვა.

სტრატეგიული მართვისა და დაგეგმვის პროცესი სამ იერარქიულ დონესთან მიმართებაში უნდა იქნეს განხილული:

1. ბანკის დონე მთლიანობაში. ბანკის დონეზე შემუშავდება სტრატეგიული პროგნოზი, რომლის მეშვეობითაც მომავალში განსაზღვრულებულ იქნება საერთო ხელმძღვანელობა და განისაზღვრება ბანკის საქმიანობის მიმართულება, მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და რესურსების განაწილება. აღნიშნულ დონეზე გადაწყვეტილებებს დირექტორთა საბჭო, პრეზიდენტი და უმაღლესი ოპერატიული ხელმძღვანელობა (მაგალითად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ან მმართველობა) მიიღებს.

2. ქვედანაყოფის დონე. აღნიშნულ დონეზე ხორციელდება საკვანძო სტრატეგიების რეალიზაცია, რომლებიც ხანგრძლივი დროს შენარჩუნების შემძლე კონკურენტული უპირატესობის შექმნაზეა გამიზნული. აღნიშნული განისაზღვრება შემდეგი საკითხების განსაზღვრის გზით:

- მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი მოთხოვნების;
- ოპერაციების, პროდუქტებისა და მომსახურებების ნაკრების, რომლებიც აღნიშნული ჯგუფების მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს;
- გეოგრაფიული მოცვის;
- წარმატების საკვანძო ფაქტორების;
- ბიზნესის მიზნების;
- მიზნების მიღწევის გაზომვის საშუალებების.

3. ფუნქციონალურ-საოპერაციო დონე. აღნიშნულ დონეზე შემუშავდება სტრატეგიები, რომლებიც ბანკებს ერთმანეთთან ურთი-

ერთდაკავშირებული ქვედანაყოფებისადმი წაყენებადი ფუნქციონალური/საოპერაციო მოთხოვნილების კონსოლიდირებას განახორციელებენ. აღნიშნულ დონეზე, ასევე, ფუნქციონალური პროცესების მარეგულირებელი მეთოდიკების, ინსტრუქციებისა და სხვა საბუთების ნაკრების შემუშავება ხორციელდება, რომელთა მეშვეობით ბანკი საკუთარ განსაკუთრებულ უპირატესობებს ავითარებს და ინარჩუნებს. კონკურენტული გადაწყვეტილებები მიიღება ქვედანაყოფების ხელმძღვანელების დონეზე არსებული საკადრო რესურსების, ინფორმაციული სისტემების, ტექნოლოგიებისა და ოპერაციების გათვალისწინებით.

4.2. ფინანსური დაგეგმვის არსი და ძირითადი ეტაპები

ფინანსური დაგეგმვა განავრცობს დაგეგმვის ყველა ადრეულ ეტაპს და მათ შედეგებს ღირებულებით მაჩვენებლებში გამოხატავს. კომერციულ ბანკში ფინანსური დაგეგმვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენს აქტივები და პასივები, საბანკო მომსახურების პორტფელი და მასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. ფინანსურ გეგმაში, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება – აქტივების, პასივებისა და მომსახურებების პორტფელის გეგმისაგან, ერთი მხრივ და შემოსავლებისა და ხარჯების (ბიუჯეტი) გეგმისაგან, მეორე მხრივ, ასახვას პოულობენ კომერციული ბანკის როგორც სამეწარმეო, ასევე, პორტფელური ფუნქციებიც.

ფინანსების მართვის ძირითადი ამოცანაა აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის მეშვეობით ბანკის ღირებულების მაქსიმიზაციის განხორციელება, რომელიც ბანკის მიერ განხორციელებადი ოპერაციების მოგებიანობითა და რისკის ხარისხით ხასიათდება.

ბანკის პოლიტიკის მიზანს ფინანსების მართვასთან მიმართებაში, რომელიც მისი საფინანსო სამსახურის მიერ ხორციელდება, წარმოადგენს რისკების თითოეული ტიპისათვის ზღვრების, სალიმიტო

ლიმიტების მკაცრი დადგენის მეშვეობით ფინანსური რისკების ეფექტიანად მართვის მკაფიო პროცესის ორგანიზაცია, რომლის [illegible] ქველა ქვედანაყოფისთვის მკაცრად სავალდებულოა.

ბანკის ფინანსური პოლიტიკა საფინანსო სამსახურის ძირითად ფუნქციებს განსაზღვრავს:

1. სტრატეგიული და საშუალოვადიანი ფინანსური დაგეგმვა (ბიუჯეტების შედგენა და შესრულება);
2. აქტივებისა და პასივების ოპერატიული მართვა;
3. ბანკის სალიმიტო პოლიტიკის ფორმირება;
4. ბანკის ერთიანი საინფორმაციო-ანალიტიკური სივრცის შექმნა.

ბანკის საფინანსო სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა ძირითადად ოპერაციული პროცესის კლასიკური კომპონენტების: ანალიზი-დაგეგმვა-მარეგულირებელი ზემოქმედების ფორმირება-აღრიცხვა და კონტროლის თანმიმდევრულ რეალიზაციას უნდა უწყობდეს ხელს. გარდა ამისა, ფინანსური სამსახურის სტრუქტურა მართვის ობიექტის თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს. ბანკის ფინანსების მართვა არის რისკების მართვა, რომლებსაც დროითი მახასიათებლები გააჩნიათ. სხვადასხვა დროითი დიაპაზონები ანალიზისა და პროგნოზის სხვადასხვა მიდგომასა და მეთოდს მოითხოვენ. ყველა რისკი შეიძლება სამ დროით ინტერვალზე დაიყოს (ის. ცხრ. 4.2.).

აქტივებისა და პასივების **ოპერატიული** (მიმდინარე) მართვიდან **სტრატეგიულზე** (საშუალო- და გრძელვადიანზე) გადასვლისას თვით მართვის ობიექტი იცვლება. უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში საჭიროა **ცალკეული გარიგების განხილვიდან** გადასვლა განხორციელდეს ბანკის **საქმიანობის სფეროების, მისი მასშტაბებისა და შესაძლო ფინანსური შედეგების** ანალიზზე და რეგულირებაზე.

კომერციულ ბანკში დაგეგმვის საკითხებს საფინანსო სამსახური ახორციელებს. ბანკის საფინანსო სამსახურის ძირითად ამოცანებს საშუალოვადიან პერსპექტივაში წარმოადგენს:

✓ გარემოებების განვითარების სხვადასხვა ვარიანტის ანალიზი და პროგნოზირება;

✓ საქმიანობის ფინანსური შედეგების მომავალი პერიოდისათვის და აღნიშნული შედეგების მისაღწევად საჭირო რესურსების დაგეგმვა.

ცხრილი 4.2.

რისკების ტიპები დროითი ინტერვალთან დამოკიდებულებაში

დროითი სარისკო პერიოდი	რისკების ტიპები	ანალიზის თავისებურებები
მოკლევადიანი რისკი (1 თვემდე)	მყისიერი ლიკვიდობის დაკარგვის რისკი; მიმდინარე საპროცენტო და სავალუტო რისკი; საკრედიტო რისკი.	საკვლევი პარამეტრების მაღალსიხშირიანი რეგისტრაცია
საშუალოვადიანი რისკი (1-თვიდან 1 წლამდე)	კაპიტალის საკმარისობის შემცირების რისკი; საშუალოვადიანი ლიკვიდობის დაკარგვის რისკი; საშუალოვადიანი პროცენტული და საკურსო რისკი; საკრედიტო რისკი.	საშუალოვადიანი ტენდენციების (ტრენდების) გამოვლენა და შეფასება.
გრძელვადიანი რისკი (ერთ წელზე ზევით)	კაპიტალის საკმარისობის შემცირების რისკი; გრძელვადიანი საპროცენტო და სავალუტო რისკი; საკრედიტო რისკი	მაკრო- და მიკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის შესახებ მონაცემების ანალიზში გამოყენება.

თვით კვლევის ობიექტის შეცვლა აუცილებლად მისი კვლევის მეთოდების შეცვლასაც მოითხოვს. საშუალოვადიან პერსპექტივაში საბანკო პორტფელის მოთხოვნისა და ვალდებულებების

ძირითადი პარამეტრების საშუალოვადიანი ტენდენციების (ტრენდების) გამოვლენისა და შეფასების ამოცანა პირველი რიგის საკითხი ხდება, რომლის ფორმირება „გაშუალებული კაპიტალის ბალანსის“ აგების პრინციპების გარკვეული მოდიფიკაციის საფუძველზე ხორციელდება:

✓ ბანკის ყველა აქტივი მომუშავედ და არამომუშავეებად დაიყოფა;

✓ პასივები დაიყოფა საკუთრად და მოზიდულებად;

✓ მოზიდული და განთავსებული რესურსების მოცულობები განისაზღვრება არა კონკრეტულ თარიღზე, არამედ როგორც საშუალოები ანალიზირებად (ან გეგმურ) პერიოდში;

✓ განთავსებული და მოზიდული რესურსების მიბმა ხორციელდება მიღებულ შემოსავლებთან და განხორციელებულ ხარჯებთან.

ასეთი მიდგომა დაბანდების თითოეული ჯგუფის მიხედვით საშუალო შემოსავლიანობის, საგალდებულო დარეზერვების ფონდში ანარიცხების გათვალისწინებით მოზიდული რესურსების საშუალო თვითღირებულების, აგრეთვე, ბანკის ზარალის გარეშე მუშაობის შესაძლებლობის მომცემი ნულოვანი შემოსავლიანი ხარჯის გაანგარიშების საშუალებას იძლევა. აღნიშნული გაანგარიშებები მიზანშეწონილია რეგულარულად ხორციელდებოდეს, რადგანაც სარესურსო ბაზის თვითღირებულება და ბანკის ნულოვანი მარჟა პორტფელის სტრუქტურის სამომავლოდ ფორმირებისათვის მნიშვნელოვან ამოსავალ პარამეტრებს წარმოადგენენ.

საბანკო პორტფელი შეკრულ სისტემად იქცევა, რომელშიც ერთი სახის პარამეტრების ცვლილება საჭიროებს სხვების შესაბამის რეგულირებას. მოცემული მარტივი მოდელი პრაქტიკაში დროის თანმიმდევრული პერიოდებისათვის ფაქტიური პორტფელების ძირითადი პარამეტრების საკმაოდ წარმატებულად შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ასე მაგალითად, ბანკის რესურ-

სების ძირითად წყაროებს, ჩვეულებრივად, კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშებზე სახსრების ნაშთები წარმოადგენს. თუმცა, დროის სხვადასხვა მომენტში საკლიენტო ანგარიშების ნაშთების მოცულობები შეიძლება ძლიერ ვარირებდეს. საშუალოვადიანი მართვის მიზნებისათვის, ფინანსურმა მენეჯერმა საკმარისია იცოდეს, თუ მომავალ პერიოდში, საშუალოდ, კლიენტების სახსრების რა მოცულობა არის მოსალოდნელი. რესურსების სამომავლო მოცულობების შეფასებისათვის სავსებით მისაღებია ექსტრაპოლაციის, ანუ წარსულში ჩამოყალიბებული ტენდენციების სამომავლო ვარაუდობის მეთოდი. ასეთი პროგნოზის შედეგები საკმაოდ კორექტულია იმ შემთხვევისათვის, თუ რიგი რეალური მონაცემები, როგორც მინიმუმ, საპროგნოზო პერიოდზე ორჯერ უფრო ხანგრძლივია.

მომავალი პარამეტრების პროგნოზული შეფასების შესახებ საკითხი ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორში მეტად რთული და არაერთგვაროვანია, განსაკუთრებით, ისეთი არამდგრადი, არასაკმარისად სიმწიფის ბაზრის პირობებში, როგორიცაა საქართველოს ბაზარი. თუმცა, ზემოთ წარმოდგენილი მოდელი შესაძლებლობას იძლევა:

- ✓ სხვადასხვა სცენარის მიხედვით საგარეო გარემოს სხვადასხვა საპროგნოზო პარამეტრის ჩადებით გაანგარიშებების ჩატარება;
- ✓ საბანკო პორტფელის ჩამოყალიბებული სტრუქტურის შეძლო პლუსებისა და მინუსების შეფასება;
- ✓ სასურველი შედეგების მიღწევისათვის პორტფელის სტრუქტურაში საჭირო ცვლილებების გატარების განსაზღვრა.

როდესაც გარემოებების განვითარების შესაძლო ვარიანტებია განხილული, ოპტიმალური (გარკვეული პარამეტრების მიხედვით) პორტფელია განსაზღვრული, ყველა არადამაკმაყოფილებელი ვარიანტია უარყოფილი, მაშინ პროგნოზული პორტფელი გეგმური (საბაზრო) ხდება მომავალი პერიოდისათვის.

4.3. ბიუჯეტირების პროცესი კომერციულ ბანკში

გეგმური პორტფელის მოთხოვნილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე ბანკის ბიუჯეტი (მისი შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვა) აიგება.

საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გეგმური პორტფელი და ბიუჯეტი საერთო-საბანკო ხარჯების ხარჯთაღრიცხვით შეიცვლება. ბანკის რენტაბელური მუშაობისათვის გეგმურ პერიოდში საერთო-საბანკო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა აუცილებლად ნაშთის პრინციპის მიხედვით უნდა ფორმდებოდეს, ანუ იმ მოსალოდნელი საოპერაციო შემოსავლებიდან გამომდინარე, რომლებიც საოპერაციო ხარჯების დაფარვის შემდეგ რჩება. საერთო-საბანკო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა მოიცავს შემდეგ ძირითად ჯგუფებს:

- ✓ შრომის ანაზღაურება და არასაბიუჯეტო ფონდებში ანარიცხები;
- ✓ გადასახადები, რომლებიც დანახარჯების შემადგენლობაში ჩაირთვება;
- ✓ შენობის, ინვენტარის, ტრანსპორტის შენახვაზე და მიმდინარე რემონტზე ხარჯები;
- ✓ ამორტიზაცია;
- ✓ სატელეკომუნიკაციო, საფოსტო, სატელეგრაფო ხარჯები;
- ✓ დანარჩენი ხარჯები.

ბანკის საერთო ბიუჯეტი არის საბუთი, რომელიც მხოლოდ გამსხვილებულ პოზიციებს მოიცავს. ისევე როგორც ბანკის ერთობლივი პორტფელი შედგება ქვედანაყოფების (ბიზნეს-ცენტრების) ლოკალური პორტფელების სისტემისაგან, ბანკის საერთო ბიუჯეტიც (ბიუჯეტირების პროცესი) ყალიბდება ქვედანაყოფების ქვებიუჯეტების სისტემისაგან. აქ შეიძლება ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის შემდეგი ძირითადი ქვებიუჯეტები გამოიყოს: ბანკის ხაზინის ქვებიუჯეტი (დილინგური ოპერაციები); საკრედიტო სამმართველოს ქვებიუჯეტი და ა.შ.

ბიუჯეტირების და ფინანსური დაგეგმვის პროცესები ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს, სტრატეგიული დაგეგმვის, აქტივებისა და პასივების მართვის ინსტრუმენტს, აგრეთვე, ბანკის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციის მომზადების ნაწილს წარმოადგენს.

ბიუჯეტირების სისტემის ძირითადი პრინციპები: ბიუჯეტირების პროცესი ბანკის საქმიანობის დაგეგმვის, კონტროლის, შეფასების შედეგების ეფექტიანი ინსტრუმენტის, ინფორმაციული გაცვლისა და მისი ქვედანაყოფის მუშაობის კოორდინაციას უნდა უზრუნველყოფდეს.

როგორც წესი, ბანკის ბიუჯეტი ყალიბდება ერთი წლის პერიოდით, კვარტალური დაყოფით. თუმცა, თანამედროვე პერიოდში ფინანსური სიტუაციის არასტაბილურობისას ბიუჯეტირების ინსტრუმენტი მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს ბანკის წინაშე მდგარი მოკლევადიანი პერსპექტივების გადასაწყვეტად. მიმდინარე ბიუჯეტის შესადგენად ოპტიმალური ვადა 1 თვეა. ბიუჯეტირების ინსტრუმენტი შეიძლება, ასევე, ბანკის ფინანსური გაჯანსაღების გეგმის შემუშავებისას და რეალიზაციისას იქნეს გამოყენებული.

ბიუჯეტირების სისტემის აგებისას საჭიროა რეგულარულად განხორციელდეს წინა და მიმდინარე ტენდენციებისა და ბაზარზე პირობების ანალიზი, რომლებსაც პროგნოზის რეალობაზე ზემოქმედების განხორციელება შეუძლიათ.

ბიუჯეტირების მოდელების შემუშავება ითვალისწინებს ანგარიშგების უნიფიცირებული ფორმების გაფორმებას, როგორებიცაა:

- ✓ ანგარიშგება რესურსების მოზიდვისა და განთავსების შესახებ, რომლის საფუძველზე საპროგნოზო ბალანსი აიგება;
- ✓ უშუალო საპროგნოზო ბალანსი;
- ✓ ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ;
- ✓ ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.
- ✓ კომერციულ ბანკში ბიუჯეტირების მოდელი ითვალისწინებს სხვადასხვა საკითხის დამუშავებას. ესენია:
- ✓ შიდასაბანკო მმართველობითი აღრიცხვის კონცეფცია;

- ✓ ბანკის აქტივებისა და პასივების (მოცულობებისა და ვადების მიხედვით) ანალიზი;
- ✓ შემოსავლებისა და ხარჯების (სუფთა პროცენტული ზარჯის) ანალიზი;
- ✓ ბანკის ქვედანაყოფებისა და საქმიანობის ცალკეული მიმართულებების ანალიზი, საბანკო პროდუქტების თვითღირებულებისა და კლიენტების რენტაბელობის შეფასების ანალიზის სათვლით;
- ✓ საქმიანობის თითოეული მიმართულების მიხედვით შეფასება, კონტროლი და მონიტორინგი;
- ✓ ბიზნეს-დაგეგმვა და ბიუჯეტირება მმართველობითი აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის საერთო სისტემის კონტექსტში.

ბანკის ქვედანაყოფის ბიზნეს-დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სისტემის აგება ითვალისწინებს რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს და მოიცავს:

- ◆ ქვედანაყოფების მიერ განხორციელებადი ოპერაციების, მიღებული შემოსავლებისა და საბალანსო ანგარიშების მიხედვით გაწეული ხარჯების აღრიცხვის ორგანიზაციას;
- ◆ ქვედანაყოფის მუშაობის ღონისძიებებისა და გეგმური მაჩვენებლების შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაციას.

ბიზნეს-გეგმის ფორმირების ძირითადი პრინციპებია:

1. საწყისი სიტუაციის, მიღწეული შედეგების, ძლიერი და სუსტი მხარეების სიღრმისეული ანალიზი.
2. შიდა რეზერვების გამოვლენა შემოსავლების ამაღლებასთან და ხარჯების შემცირებასთან მიმართებაში.
3. ბანკის ქვედანაყოფების უფლებამოსილებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მკვეთრი განსაზღვრა.
4. შერჩეული სტრატეგიის ბანკის განვითარების სტრატეგიასთან მთლიანობაში ოპტიმალური შეხამება.
5. დაგეგმვაში მრავალვარიანტული მიდგომის გამოყენება.

ბიზნეს-გეგმის ძირითადი განაყოფებია:

1. ბიზნეს-ცენტრის დახასიათება.
2. მიღწეული შედეგების ანალიზი.
3. მიზნები და ამოცანები.
4. განვითარების სტრატეგიის დასაბუთება.
5. ღონისძიებების გეგმა.
6. პროგნოზული ბალანსი.
7. შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვა, ანუ ბიუჯეტი.
8. დასკვნები და წინადადებები.

ამოცანები გეგმურ პერიოდზე შეიძლება შემდეგი სახით იქნეს წარმოდგენილი:

- ✓ რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ✓ მუშაობის ახალი მიმართულებები;
- ✓ ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება და პერსონალის მართვის ეფექტიანობის ამაღლება;
- ✓ რენტაბელობა (მოგების ცენტრებისათვის);
- ✓ შემოსავლების გადიდება ან ხარჯების შემცირება (მომსახურებების ცენტრებისათვის).

დამტკიცებული სტრუქტურული ამოცანებისა და შემუშავებული ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, თითოეული ბიზნეს-ცენტრი ადგენს ბიუჯეტს. ბიუჯეტი, თავისთავად, არის გეგმურ პერიოდზე შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების მიხედვით რაოდენობრივი მაჩვენებლები ღირებულებით განზომილებაში.

ბანკის ბიზნეს-ცენტრების მიხედვით ბიუჯეტის აგების საერთო პრინციპები შეიძლება შემდეგზე იქნეს დაყვანილი:

1. ბიუჯეტირების სისტემის განხორციელება ყველა ბიზნეს-ცენტრის მიხედვით;
2. შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელიც ამა თუ იმ ბიზნეს-ცენტრს მიეკუთვნება, ამასთან, იმ შემოსავლებისა და ხარჯების მაქსიმალური აღრიცხვის უზრუნველყოფა, რომელთა სიდიდეზე ბიზნეს-ცენტრს უშუალოდ ზემოქმედება შეუძლია;

3. შიდა (ტრანსფერული) ფასწარმოქმნის სისტემის დანერგვა მომგებისა და მომსახურების ცენტრების ეფექტიანი მუშაობის ხელშესაწყობად.

4.4. ფინანსური მენეჯმენტის საბაზისო მაჩვენებლები

ფინანსურ მენეჯმენტში დასავლეთის მრეწველებისა და ბანკირების მიერ საბაზრო ეკონომიკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ფინანსური მაჩვენებლების შემდეგი ოთხი ძირითადი სახეობა გამოიყოს:

პირველი მაჩვენებელი: დამატებული ღირებულება (დღ).

თუ საწარმოს მიერ **წარმოებული და არა მხოლოდ გარკვეულ პერიოდში რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას** (მზა პროდუქციის გაზრდილი მარაგების და დაუმთავრებელი წარმოების ჩათვლით), **გამოვაკლებთ მოხმარებული წარმოების მატერიალური საშუალებებისა** (ნედლეულის, ენერგიის და სხვ.) და **სხვა ორგანიზაციების მომსახურებების ღირებულებას,** მიიღება ღირებულება, რომელიც **სინამდვილეში ნედლეულის, ენერგიისა და მომსახურებების ღირებულებაზე იქნა დამატებული**. დამატებული ღირებულების სიდიდე მოწმობს საწარმოს საქმიანობის მასშტაბებისა და ეროვნული სიმდიდრის შექმნაში მისი წვლილის შესახებ. დამატებულ ღირებულებას (დღ) გამოვაკლოთ დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი და გადავიდეთ შემდეგი მაჩვენებლის კონსტრუირებაზე.

მეორე მაჩვენებელი: ინვესტიციის ექსპლუატაციის ბრუტტო-შედეგი (იებშ).

დამატებულ ღირებულებას დავაკლოთ საწარმოს შრომის ანაზღაურების ხარჯები და მასთან დაკავშირებული ყველა სავალდებულო გადასახადი (სოციალურ დაზღვევაზე, საპენსიო უზრუნველყოფაზე და სხვები), აგრეთვე, საწარმოს ყველა გადასახადი და საგადახდო დავალებები, მოგებაზე გადასახადის გარდა, მივიღებთ **ინვესტიციის ექსპლუატაციის ბრუტტო-შედეგს (იებშ).**

ინვესტიციის ექსპლუატაციის ბრუტტო-შედეგი (იებშ) გამოიყენება ფინანსურ მენეჯმენტში, როგორც საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი შუალედური შედეგი. იებშ-ის სიდიდე, **წარმოადგენს რა მოგებას** ამორტიზებული ანარიცხების, ნასესხები სახსრების მიხედვით ფინანსური დანახარჯებისა და მოგებაზე გადასახადის **გამოქვითვამდე**, იგი არის სახსრების საკმარისობის უპირველესი მაჩვენებელი ქვედა აღნიშნული ხარჯის გადაფარვასთან მიმართებაში (გადასახადები ხომ იგივე ხარჯებია). უფრო მეტიც, დამატებულ ღირებულებაში იებშ-ის ხვედრითი წილის მიხედვით შეიძლება საწარმოს ეფექტური მართვის შესახებ ვიმსჯელოთ და საწარმოს პოტენციური რენტაბელობისა და მოქნილობის შესახებ საერთო წარმოდგენა შევადგინოთ.

მესამე მაჩვენებელი: **ინვესტიციის ექსპლუატაციის ნეტტო-შედეგი (იენშ), ანუ მოგების სიდიდე კრედიტზე პროცენტებისა და მოგებაზე გადასახადის გადახდამდე.**

წინა მაჩვენებელს (იებშ) თუ ძირითადი საშუალებების აღდგენაზე ქვედა დანახარჯს გამოვაკლებთ, **მივიღებთ ინვესტიციის ექსპლუატაციის ნეტტო-შედეგს (იენშ)**. თავისი არსით, აღნიშნული არის საწარმოს მიერ დანახარჯებიდან მისაღები ეკონომიკური ეფექტი და იგი, თავისთავად, კრედიტზე და სესხებზე პროცენტებისა და მოგებაზე გადასახადის გადახდამდე მოგებას წარმოადგენს. ამიტომ პრაქტიკაში სწრაფად გაანგარიშებისათვის იენშ-ის სანაცვლოდ შეიძლება მიღებულ იქნეს ინვესტიციის ექსპლუატაციის ნეტტო-შედეგამდე აღდგენილი საბალანსო მოგება (სმ), მიმატებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურებების) თვითღირებულების შესაბამისი პროცენტები კრედიტებზე. ასეთი ხერხით შეიძლება პროცენტების ორმაგი აღრიცხვა იქნეს თავიდან აცილებული, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საწარმოს განკარგულებაში დარჩენილ წმინდა მოგებაზე გადატანილი მათი (პროცენტების) ნაწილი, თვით საბალანსო მოგებაშია ჩართული.

მეოთხე მაჩვენებელი: **აქტივების ეკონომიკური რენტაბელობა (ერ)**, ანუ, რაც იგივეა, **საწარმოს მთლიანი კაპიტალის ეკონომიკური რენტაბელობა**, ანუ მისი საკუთარი და ნასესხები სახსრების ჯამი.

წარმოების რენტაბელობის ქვედა ზე უფრო საერთო ფორმულაზე დაფუძნებული მაჩვენებელი, რომელიც დანახარჯებისა და დაბანდებების ეფექტიანობის მახასიათებელია, შეიძლება გამოსახულ იქნეს:

$$\text{წარმოების რენტაბელობა} = \frac{\text{წარმოების ქვედა}}{\text{დანახარჯები და დაბანდებები}} \text{ x100.}$$

აღნიშნული ფორმულის მრიცხველში შეიძლება ჩასმულ იქნეს ინვესტიციის ექსპლუატაციის ნეტტო-შედეგის (იენშ) მნიშვნელობა, მნიშვნელში კი – აქტივების მოცულობა (გამომდინარე იქედან, რომ საწარმოს ბალანსის აქტივში ასახულია სახსრების ხარჯებისა და დაბანდებების მიმართულებები):

$$\text{ეკონომიკური რენტაბელობა (ერ)} = \frac{\text{იენშ}}{\text{აქტივი}} \text{ x100} = \frac{\text{საბალანსო მოგება (სმ)} + \text{პროცენტები კრედიტებზე}}{\text{ა ქ ტ ი ვ ი}} \text{ x100.}$$

რამდენადაც აქტივი ტოლია პასივის, ხოლო ეს უკანასკნელი თავისთავად, საკუთარი და ნასესხები სახსრების ერთობლიობას წარმოადგენს:

$$\text{ეკონომიკური რენტაბელობა (ერ)} = \frac{\text{იენშ}}{\text{აქტივი}} \text{ x100} = \frac{\text{იენშ}}{\text{პასივი}} \text{ x100} =$$

$$= \frac{\text{ი ე ნ შ}}{\text{საკუთარი სახსრები + ნასესხები სახსრები}} \text{ X 100} =$$

$$= \frac{\text{ი ე ნ შ}}{\text{საწარმოს ერთობლივი კაპიტალი}} \text{ X 100.}$$

ეკონომიკური რენტაბელობა (ერ) საწარმოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რამდენადაც **ეკონომიკური რენტაბელობის საკმარისი დონე დღევანდელი და მომავალი წარმატებების საწინდარია.**

ეკონომიკური რენტაბელობის ფორმულის გარდაქმნა არის შესაძლებელი, მისი ბრუნვა/ბრუნვა=1-ზე გამრავლებით. აღნიშნული

ოპერაციის შედეგად რენტაბელობის სიდიდე არ იცვლება, მაგრამ ვლინდება რენტაბელობის ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტი: **კომერციული მარჟა (კმ)** და **ტრანსფორმაციის კოეფიციენტი (ტკ)**:

$$\text{ეკონომიკური რენტაბელობა (ერ)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{ბრუნვა}}{\text{ბრუნვა}^1} \times 100 =$$

$$= \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ბრუნვა}^1} \times 100 \times \frac{\text{ბრუნვა}}{\text{აქტივები}} =$$

$$= \text{კომერციული მარჟა (კმ)} \times 100 \times \text{ტრანსფორმაციის კოეფიციენტი (ტკ)}$$

კომერციული მარჟა მიუთითებს, თუ ექსპლუატაციის რა შედეგს იძლევა თითოეული 100 ლარის ბრუნვა (ჩვეულებრივად, კომერციული მარჟა (კმ) გამოიხატება პროცენტებში). თავისი არსით, აღნიშნული არის ბრუნვის ეკონომიკური რენტაბელობა, ანუ გაყიდვების რენტაბელობა, რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა. მოგების მაღალი დონის საწაროსათვის კომერციული მარჟის (კმ) მნიშვნელობა აჭარბებს 20% (30%-საც კი აღწევს), სხვების კი შეიძლება ძლივს აღწევდეს 3-5%-ს.

ტრანსფორმაციის კოეფიციენტი (ტკ) მიუთითებს, თუ თითოეული ლარის აქტივიდან რამდენი ლარის ბრუნვა მიიღება, ანუ თითოეული ლარის აქტივში როგორი ბრუნვა ტრანსფორმირდება, ანუ მოცემულ პერიოდში აქტივების თითოეულ ლარს რამდენჯერადი ბრუნვადობა ექნება.

პრაქტიკულ მუშაობაში ხშირად გამოყენებადი ვარიანტია:

ვიღებთ აქტივების წმინდა რენტაბელობის (მოგებიანობის) მაჩვენებელს (**მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ/აქტივი**) და ვამრავლებთ **ბრუნვა/ბრუნვა**[1]=1-ზე. ვღებულობთ:

$$\text{აქტივების სუფთა რენტაბელობა} = \text{ბრუნვის წმინდა რენტაბელობა (მოგებიანობა)} \times \text{აქტივების წმინდა ბრუნვადობა}$$

[1] საწარმოს ბრუნვა ჩამოყალიბებულია რეალიზაციიდან ამონაგებისა და არარეალიზებადი შემოსავლებისაგან.

...საული გზით ჩვენ ისევ მივდივართ **დიუპონის ცნობილ ფორ-...ულამდე**. აღნიშნული ფორმულა შესაძლებლობას იძლევა განვ-...საზღვროთ, თუ რომელმა ფაქტორებმა ყველაზე მეტი ხარისხით ...ახდინეს აქტივების წმინდა რენტაბელობაზე.

დიუპონის ფორმულას მეტად სასარგებლო მოდიფიკაციაც ...ნსია, რომელიც აქციონერული კაპიტალის **წმინდა რენტაბე-...ობის (მოგებიანობის, შემოსავლიანობის)** მაჩვენებლის ანალიზში ...ართავება. ეს არის ჩვეულებრივი აქციების მიხედვით წმინდა **შემოსავალი (წმინდა მოგება),** გაყოფილი **აქციონერული კაპი-ტალის ჯამზე**:

$$\text{აქციონერული კაპიტალის წმინდა რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქციონერული კაპიტალი}} =$$

$$= \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ბრუნვა}} \times \frac{\text{ბრუნვა}}{\text{აქტივი}} \times \frac{\text{აქტივი}}{\text{აქციონერული კაპიტალი}} \times 100.$$

აღნიშნული ფორმულა განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, თუ ყველაზე მეტი ხარისხით რომელმა ფაქტორებმა მოახდინეს ...ქტივების წმინდა რენტაბელობაზე ზემოქმედება: ბრუნვის თითო-...ულ ლარზე წმინდა მოგების გადიდების ხარჯზე? აქტივების ...ეტრო ეფექტიანად გამოყენების ხარჯზე? აქციონერული კაპიტა-...ის უფრო რაციონალურად გამოყენების ან ცვლილების ხარ-...ზე? აღნიშნული ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების ხარჯზე? და ა.შ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ **აქტივი/აქციონერული კაპიტალის** თანამამრავლი გვიჩვენებს, თუ აქციონერული კაპიტალის წმინდა რენტაბელობა რამდენჯერ მეტია კრედიტის გამოყენებისას, ვიდრე აქციონერული კაპიტალის წმინდა რენტაბელობა მხოლოდ თვით-დაფინანსებაზე დაყრდნობის ვარიანტში.

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მკითხველებს ინტერესი გავუჩინოთ დასავლეთის პრაქტიკაში ფინანსურ მენეჯმენტში ოპერირებად მაჩვენებლებზე:

ROA - Return on Assets – აქტივების წმინდა რენტაბელობა.

ROS - Return on Sales – ბრუნვის წმინდა რენტაბელობა.

Assets Turnover – აქტივების ბრუნვადობა.

ROE - Return on Common Equity – აქციონერული კაპიტალის წმინდა რენტაბელობა.

Net Income – წმინდა მოგება (გადასახადების გადახდის შემდეგ).

Earing Before Taxes – მოგება კრედიტზე პროცენტების გამოქვითვის შემდეგ, მაგრამ გადასახადებით დაბეგვრამდე.

სავსებით ნათელია, რომ მნიშვნელოვანი ბრუნვის მიღწევა ბევრწილად საწარმოს წარმატებაზე მიუთითებს. მაგრამ რა ფასად მიიღწევა აღნიშნული წარმატება? მაგალითად, თუ 5 მლნ ლარის ობშ-ის მიღებისათვის 50 მლნ ბრუნვაზე 100 მლნ ლარის აქტივი ამოქმედდება, მაშინ კომერციული მარჟის (კმ) სავსებით მნიშვნელოვანი დონე (5 მლნ ლარი : 50 მლნ ლარი X100=10%) აბსურდამდე დაყავს ტრანსფორმაციის კოეფიციენტის (ტკ) არასასურველ მნიშვნელობას (50 მლნ ლარი : 100 მლნ ლარი = 0,5). ამ შემთხვევაში ბრუნვის თითოეულ ლარზე ორ-ორი ლარის აქტივის ჩადება მოგვიწევს. ასეთი საწარმოს ეკონომიკური რენტაბელობა შეადგენდეს იქნება (მხოლოდ) (10%X0,5)=5%-ს.

ეკონომიკური რენტაბელობის რეგულირება შეიძლება მისი ორივე შემადგენლის ზემოქმედებამდე იქნეს დაყვანილი: კომერციულ მარჟაზეც და ტრანსფორმაციის კოეფიციენტზეც: „გაყიდვების დაბალი მოგებიანობისას საჭიროა კაპიტალისა და მისი ელემენტების ბრუნვის დაჩქარებისაკენ გაკეთდეს მისწრაფება და, პირიქით. სხვადასხვა მიზეზით განსაზღვრადი საწარმოს დაბალი საქმიანი აქტიურობა შეიძლება მხოლოდ პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების შემცირებით ან პროდუქციაზე ფასების გადიდებით, ანუ გაყიდვების რენტაბელობის ამაღლებით იქნეს კომპენსირებული“.

ამრიგად, **დიუპონის ფორმულა** შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს, თუ რენტაბელობის ცვლილება რის ხარჯზე განხორციელდა.



კომერციული ბანკის კაპიტალის, აქტივების ხარისხის შეფასება და ანალიზი

შინაარსი:

5.1. კომერციული ბანკის კაპიტალის ანალიზი და მისი ადეკვატურობის სტანდარტი;
5.2. საზედამხედველო კაპიტალის არსი და სტრუქტურა;
5.3. ხარისხობრივი და რაოდენობრივი მოსაზრებები ბანკის კაპიტალის შესახებ.

ძირითადი ელემენტები:

1. პირველადი და მეორადი კაპიტალი;
2. ბალანსგარეშე რისკი;
3. უცხოური ვალუტის კონტრაქტები;
4. კაპიტალის კოეფიციენტების გამოთვლის სიმეტრია;
5. ლევერიჯის კოეფიციენტი;
6. კაპიტალის განაწილება;
7. კაპიტალის პოლიტიკის შეფასება;
8. დივიდენდების პოლიტიკის შეფასება;
9. კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 5.1. საკრედიტო საკონვერსიო ფაქტორები;
ცხრილი 5.2. კაპიტალის შემოწმების მიზნები.

V თავი

კომერციული ბანკის კაპიტალის, აქტივების ხარისხის შეფასება და ანალიზი

შინაარსი:

5.1. კომერციული ბანკის კაპიტალის ანალიზი და მისი ადეკვატურობის სტანდარტი;
5.2. საზედამხედველო კაპიტალის არსი და სტრუქტურა;
5.3. ხარისხობრივი და რაოდენობრივი მოსაზრებები ბანკის კაპიტალის შესახებ.

ძირითადი ელემენტები:

1. პირველადი და მეორადი კაპიტალი;
2. ბალანსგარეშე რისკი;
3. უცხოური ვალუტის კონტრაქტები;
4. კაპიტალის კოეფიციენტების გამოთვლის სიმეტრია;
5. ლევერიჯის კოეფიციენტი;
6. კაპიტალის განაწილება;
7. კაპიტალის პოლიტიკის შეფასება;
8. დივიდენდების პოლიტიკის შეფასება;
9. კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 5.1. საკრედიტო საკონვერსიო ფაქტორები;
ცხრილი 5.2. კაპიტალის შემოწმების მიზნები.

5.1. კომერციული ბანკის კაპიტალის ანალიზი და მისი ადეკვატურობის სტანდარტი

კაპიტალი ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერ ლაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც უზრუნველყოფს მის არსებობას მომავალში. ადეკვატურად კაპიტალიზირებული ბანკები იზრდებიან და მომხმარებელს სთავაზობენ პროდუქციის და მომსახურების ფართო სპექტრს, რაც მათ კონკურენტუნარიანობას და მოგებიანობას განაპირობებს. ადეკვატურად კაპიტალიზირებულ ბანკებს შეუძლიათ:

- ✓ უკეთესად გაუძლონ დროებით უარყოფით ეკონომიკურ პირობებს;
- ✓ გაუმკლავდნენ მსესხებლების მხრიდან გადაუხდელი ვალის ზრდას;
- ✓ იოლად მოიზიდონ სახსრები ფულის ნაკლებობის შემთხვევაში;
- ✓ ერთდროულად გადაჭრან რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები;
- ✓ მოიზიდონ და შეინარჩუნონ კვალიფიციური მენეჯმენტი და თანამშრომლები.

სუსტად კაპიტალიზებული ბანკები ნაკლებად კონკურენტუნარიანნი არიან. მათ არსებობას ნებისმიერი პრობლემის წარმოქმნამ შეიძლება შეუქმნას საფრთხე. ცუდად კაპიტალიზებული ბანკების მფლობელებს მენეჯმენტისგან შეიძლება სურდეთ უფრო მაღალ რისკთან დაკავშირებული საქმიანობის წარმოების დაშვება სესხის გაცემის, ან ინვესტირების თვალსაზრისით. თუ სარისკო პრაქტიკა გაგრძელდება და ბანკი მოგებიანი გახდება, მფლობელი მიიღებს მოგებას. თუ სარისკო ოპერაციები წარუმატებლად დასრულდება, ბანკის კაპიტალი უარყოფითი გახდება და მფლობელები არ დაკარგავენ მნიშვნელოვან ინვესტიციას. დანაკარგების უმეტესობა

ბანკის კრედიტორების წილად, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ მოქალაქეები, სხვა ბანკები და/ან მთავრობა.

სერთაშორისო ბანკების საკმარისი კაპიტალით უზრუნველყოფისთვის არსებობენ კაპიტალის მინიმალური სტანდარტები. ბანკს უნდა ჰქონდეს კაპიტალის მინიმალური მონეტარული ოდენობა მანამ, სანამ ის დაიწყებს საქმიანობას და მუდმივად უნდა შეინარჩუნოს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტების ის მინიმალური ოდენობა, რომელიც დადგენილია „სებ„-ის მიერ. ბანკის ზრდასთან ერთად, მთლიანი აქტივების პარალელურად მისი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებიც იზრდება. თუმცა, ეს სტანდარტები უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ მინიმალური მოთხოვნილობა. ჩვეულებრივ, ბანკის ფუნქციონირების პროცესში მისი კაპიტალის რაოდენობა მინიმუმს უნდა აღემატებოდეს. საბანკო სფეროში, ალბათ, არცერთ სხვა ცნებას არ გააჩნია იმდენი განსხვავებული განმარტება, რამდენიც კაპიტალს. კაპიტალის ძირითადი განმარტება ძალზე მარტივია – კაპიტალი მთლიანი აქტივების და მთლიანი ვალდებულებების სხვაობის ტოლია.

ბანკის აქტივები ისეთი ღირებული ფასეულობაა, რომელსაც ჰქონდეს შემოსავალი ან შეიძლება მისი გაცვლა შემოსავალზე. აქტივები ბანკის კონტროლის ქვეშ იმყოფება, რადგან ამ უკანასკნელს მცირე შეზღუდვების გარდა, უფლება აქვს სურვილისამებრ შეიძინოს, გამოიყენოს, და გაყიდოს ისინი.

ბანკის აქტივებიდან მიღებულ შემოსავალზე არსებობს მოთხოვნა. მოთხოვნა შეიძლება იყოს სახელშეკრულებო, რომლის თანახმადაც ბანკმა განსაზღვრული თანხა უნდა გადაუხადოს მოთხოვნის მფლობელს განსაზღვრულ დროს. ასეთ მოთხოვნას ვალდებულება ან ვალი ეწოდება და მის მფლობელებს მიეკუთვნებიან დეპოზიტორები და მევალეები/კრედიტორები. ან მოთხოვნა შეიძლება იყოს ნარჩენი, იმ თვალსაზრისით, რომ ბანკი არ იქნება ვალდებული ოდესმე რამე გადაუხადოს მოთხოვნის მფლობელს. ეს უკანასკნელი მიიღებს იმას, რაც არის დარჩენილი მევალეთ

ებისთვის თანხების გადახდის შემდეგ. ამ მოთხოვნას ეწოდება კაპიტალი, ხოლო მის მფლობელებს – აქციონერები. რადგან აქტივების საერთო რაოდენობას შეესაბამება მისი ღირებულების ტოლი მოთხოვნები, აქტივები უდრის ვალდებულებების და კაპიტალის ჯამს. ეს წარმოადგენს საბალანსო უწყისის ძირითად ბუღალტრულ ტოლობას.

აღნიშნული ცნების პრინციპის შესწავლა მეტად იოლია. თუმცა, პრაქტიკულად, ზოგჯერ ძნელია კაპიტალის და ვალდებულებების მკვეთრი განსხვავება. ბანკის ზოგიერთ ვალს ისეთი მახასიათებლები აქვს, რომლებიც კაპიტალს გვაგონებენ. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს ვალის ტიპი, რომლის დაფარვაც შესაძლებელია მხოლოდ ყველა სხვა მევალის მთლიანად გასტუმრების შემდეგ. ამ ტიპის ვალს სუბორდინირებული ვალი ეწოდება. თუ ხდება ბანკის ლიკვიდაცია და აქტივებს აქვთ ნაკლები ღირებულება ვიდრე ვალდებულებებს, სუბორდინირებული ვალის მფლობელები მიიღებენ თავიანთ საწყის ინვესტიციაზე ნაკლებ თანხას სხვა მევალეებისგან განსხვავებით (აქციონერები საერთოდ ვერ მიიღებენ ვერაფერს). ამგვარად სუბორდინირებული ვალით წარმოდგენილი მოთხოვნები, ნაწილობრივ ნარჩენია და ნაწილობრივ – სახელშეკრულებო.

ბანკის ყველა აქტივი ხელმისაწვდომია ამ აქტივებიდან მიღებულ შემოსავალზე არსებული ყოველი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული ჭეშმარიტებას წარმოადგენს იმ შემთხვევებშიც, სადაც სპეციფიკური აქტივები გამოყენებულია გირაოდ სპეციფიკური ნასესხები სახსრებისთვის. არაკანონიერია სპეციფიკური აქტივების დაკავშირება სპეციფიკურ ვალდებულებებთან ან კაპიტალთან. მაგალითად, არაზუსტია იმის განცხადება, რომ ბანკის კაპიტალი შედგება აქტივების გარკვეული ტიპისაგან, მაგალითად, როგორიცაა ფული. ორი მონეტარული თანხა შეიძლება ტოლი იყოს უბრალო დამთხვევის შედეგად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაპიტალი და ფული ერთი და იგივეა. კაპიტალი

კონცეპტუალურად არის სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, ანალოგიურად მფლობელობაში არსებული აქტივების და ვალდებულების ტიპისა.

ჩვეულებრივ, როდესაც საუბარია ბანკის კაპიტალის რაოდენობაზე, იგულისხმება მისი საბალანსო ღირებულება. ბუღალტერული აღრიცხვის წესების საშუალებით დგინდება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, ხოლო კაპიტალის საბალანსო ღირებულება მათი სხვაობის ტოლია. საბალანსო ღირებულება ნაჩვენებია ბანკის საბალანსო უწყისში. საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტების თანახმად გამოთვლებისთვის გამოიყენება კაპიტალის და აქტივების საბალანსო ღირებულება. ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულება, მეორე მხრივ, არის ის თანხა, რომელსაც მყიდველი გადაიხდის ბანკის კაპიტალის ყველა აქციის შესასყიდად. იგი აქტივების და ვალდებულებების საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობის ტოლია. გაკოტრებული ბანკის საბაზრო ღირებულება თითქმის ყოველთვის უარყოფითია.

ბანკის კაპიტალის საბალანსო ღირებულება არასოდეს არ იქნება მისი საბაზრო ღირებულების ტოლი. აქტივების და ვალდებულებების უმრავლესობა ბალანსში აღრიცხულია თვითღირებულებით, რაც ნიშნავს ფულის იმ რაოდენობას, რომელიც ბანკმა გადაიხადა აქტივში ან მიიღო ვალდებულებისთვის. ეს თანხა შეიძლება მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი იყოს იმ თანხასთან შედარებით, რომელსაც მყიდველი დღეს გადაიხდის იგივე აქტივში ან ვალდებულებაში.

ბანკის შემმოწმებლისათვის საინტერესოა ბანკის აქტივების და ვალდებულებების საბაზრო ღირებულების ცოდნა. ხშირად მათი განსაზღვრა რთულია და მათი ყოველთვიური ან კვარტალური გადამოწმება ძალზე შრომატევადია. ამიტომ, ანალიტიკოსები იყენებენ კაპიტალის საბალანსო ღირებულებას კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისათვის და წყვეტენ, თუ რომელი ბანკი იმყოფება უარეს მდგომარეობაში. საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას

წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იმ ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულება, რომელიც განიცდის ზარალს გაცილებით ნაკლები იქნება მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით.

საზედამხედველო კაპიტალის შეფასება. კაპიტალის შეფასება, რომელიც გამოიყენება საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტებში, შეიძლება განსხვავდებოდეს სააქციო კაპიტალისგან, და მას ეწოდება საზედამხედველო კაპიტალი. მაგალითად, გარკვეული აქტივები შეიძლება გამოკლებული იყოს სააქციო კაპიტალიდან, ესენია, მაგალითად, არამატერიალური აქტივები, რომლებსაც არ გააჩნიათ საიმედო ღირებულება ბანკის გაყიდვის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში. ინვესტიციები სხვა ბანკებში შეიძლება ასევე გამოკლებულ იქნას, რათა ერთი ბანკის კრახმა არ გამოიწვიოს მეორის კაპიტალის შემცირება. ასევე, გარკვეული ვალდებულებები შეიძლება დაემატოს სააქციო კაპიტალს. ჩვეულებრივ, არსებობენ ვალდებულებები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით გვაგონებენ კაპიტალს, ასეთია, მაგალითად, სუბორდინირებული ვალი. დაბოლოს, გარკვეული მუხლები, რომლებიც არ შედიოდა ან გამოკლებული იყო მთლიანი აქტივების გამოთვლიდან შეიძლება დაემატოს სააქციო კაპიტალს. ყველაზე ჩვეულებრივი დასამატებელი მუხლია სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი. ზემოთ აღნიშნული კორექტირებების გამო, საზედამხედველო კაპიტალი შეიძლება უფრო მეტი ან ნაკლები იყოს, ვიდრე სააქციო კაპიტალი.

არსებობს კაპიტალის განსხვავებული მაჩვენებლები, მათ შორის: მინიმალური განაღდებული კაპიტალის, პირველადი კაპიტალის, მეორადი კაპიტალის, საზედამხედველო კაპიტალის და სხვა. დღეს მოქმედი მინიმალური კაპიტალის სტანდარტებს საფუძვლად უდევს ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული სისტემა. არსებული სტანდარტი განსაზღვრავს პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან და საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარ-

ფარდის მინიმალურ მოთხოვნებს. ეროვნულ ბანკს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია შემოიღოს კაპიტალის ადეკვატურობის ახალი სტანდარტები როგორც მინიმალური განაღდებული კაპიტალისათვის, ისე კაპიტალის სხვა მაჩვენებლებისათვის.

პირველადი და მეორადი (დამატებითი) კაპიტალი. საზედამხედველო კაპიტალი იყოფა პირველად და მეორად კაპიტალად. პირველადი კაპიტალი შედგება კაპიტალის ნაწილისგან, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ოთხ მოთხოვნას. პირველი, მისი გამოყენება ადვილი შესამოწმებელია. მეორე, მისი ღირებულება ემყარება ფაქტიურ საბაზრო ოპერაციებს, როგორიცაა აქტივების გაყიდვა და ვალდებულებების გაყიდვა, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში. მესამე, მის ღირებულებაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს სასესხო პორტფელთან დაკავშირებული მოულოდნელი ხარჯები. დაბოლოს, მას არა აქვს სახელშეკრულებო მოთხოვნა ბანკის აქტივებიდან მიღებულ შემოსავალზე. ამგვარად, პირველადი კაპიტალი მეანაბრეებისა და მევალეების დაცვის საშუალებაა ბანკის აქტივების ღირებულების მოულოდნელი ვარდნების შემთხვევაში.

საპირისპიროდ, მეორადი კაპიტალი შედგება ისეთი კომპონენტებისგან, რომლებიც მეანაბრეებს ან მევალეებს სრულად არ იცავენ. პირველადი და მეორადი კაპიტალის სპეციფიკური კომპონენტები განხილულ იქნება კაპიტალის დებულების განხილვისას.

კაპიტალი იცავს დეპოზიტორებს და კრედიტორებს ბანკის აქტივების ღირებულების მოულოდნელი შემცირებისაგან. რატომ ხდება ასე? ბანკები შეიძლება იდგნენ სხვადასხვა ტიპის რისკის წინაშე, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მათი აქტივების დიდი რაოდენობის გაუფასურება. თუ ეს რაოდენობა აღემატება ბანკის კაპიტალს, ბანკი ვერ შეძლებს ყველა მევალის გასტუმრებას და ეს უკანასკნელი განიცდის ზარალს. ასეთ შემთხვევაში მოხდება ბანკის ლიკვიდაცია ან მას შეისყიდის სხვა ბანკი. თუ სხვა ბანკებიც იქნებოდნენ მევალეები, მათი ზარალი შეიძლება ყოფილიყო

იმდენად დიდი, რომ გამოეწვია ამ უკანასკნელთა კრახი. თუ მთავრობა იქნებოდა ბანკის რომელიმე ვალდებულების გარანტორი, მაშინ მთავრობაც განიცდიდა ზარალს.

ბანკის კრახი ზიანის მომტანია სხვა თვალსაზრისითაც. ბანკები მნიშვნელოვან მომსახურებას უწევენ კლიენტებს, რადგან მათთვის საგადამხდელო ოპერაციებს ახორციელებენ. ასეთი ტიპის კომერციული მომსახურება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქალაქისა თუ რეგიონისათვის. როდესაც ბანკის ლიკვიდაცია ან გაყიდვა ხდება, მომსახურება წყდება, რაც შესაძლოა ზიანს აყენებს ადგილობრივ ეკონომიკას. ბანკის წარუმატებლობამ ქვეყანაში შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური დაღმავლობა, რაც მკვეთრად შეამცირებს კომპანიების და კერძო პირების ლიკვიდობას. ამგვარად, მთავრობა დაინტერესებულია ბანკის კრახის აღკვეთით მაშინაც კი, თუ იგი არ არის ბანკის ვალდებულების უშუალო გარანტორი. კრახისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა ბანკის აღჭურვა ჭარბი კაპიტალით.

საბანკო სისტემაში კაპიტალის ადეკვატურობის განხილვისას, რისკი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან ცნებას და საჭიროებს ზუსტ განმარტებას და ახსნას. როგორც წესი, საბანკო რისკი ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგია. როდესაც ბანკი გასცემს სესხს, მან არასოდეს არ იცის ამ სესხის დაფარვა მოხდება მთლიანად, ნაწლობრივ თუ საერთოდ არ მოხდება. ეს არის გადაწყვეტილება მრავალი შესაძლო შედეგით, რომელთაგან ზოგი დადებითი და ზოგი უარყოფითი შეიძლება იყოს. ბანკის მენეჯერები იღებენ მრავალ ასეთ ფინანსურ გადაწყვეტილებას, რომელსაც მრავალგვარი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ბანკი დროის ნებისმიერ მომენტში შეიძლება განვიხილოთ როგორც წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების კრებული, რომელთა შედეგებიც ქმნიან მის წმინდა შემოსავალს. წმინდა შემოსავალი შეიძლება შედარებით სტაბილური იყოს ან დროდადრო იცვლებოდეს.

სტანდარტული ფინანსური გადაწყვეტილებისთვის, შესაძლო შედეგის სპექტრი შეიძლება იყოს ფართო ან ვიწრო. განვიხილოთ ჰიპოთეტური მაგალითი: ბანკმა შეიძლება მოახდინოს 100 ლარის ინვესტირება ობლიგაციაში, საიდანაც შესაძლებელია ერთ წელიწადში 110, 100 ან 90 ლარის მიღება ან ბანკმა შეიძლება არჩიოს 100 ლარის ინვესტირება ისეთ ობლიგაციაში, საიდანაც შესაძლებელია 200, 100 ან 0 ლარის მიღება. მეორე ობლიგაცია ბანკს საშუალებას აძლევს მიიღოს უფრო დიდი შემოსავალი, მაგრამ აგრეთვე უფრო დიდი ზარალის მიღების შესაძლებლობაც არსებობს. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე ფასიანი ქაღალდი უფრო რისკიანია, ვიდრე პირველი. კომერციული სესხი უფრო რისკიანია ვიდრე სამთავრობო ობლიგაცია, რადგან ბანკში დაბრუნებული თანხა შეიძლება იცვლებოდეს ან ნულის ტოლი იყოს.

ასევე მნიშვნელოვანია განვასხვავოთ მოსალოდნელი და მოულოდნელი ზარალი. დროთა განმავლობაში, ბანკი დააგროვებს საკმარის გამოცდილებას გარკვეულ სარისკო საქმიანობაში და შეძლებს მიახლოებით გამოთვალოს ზარალი, რომელსაც იგი მიიღებს ამ საქმიანობიდან. მაგალითად, ბანკმა წარსული გამოცდილება შეიძლება გამოიყენოს, რათა წინასწარ განსაზღვროს, რომ მისი კომერციული სესხების 5%-ის დაბრუნება არ მოხდება. ბანკი ამ პროგნოზს გამოიყენებს საკრედიტო პორტფელის მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად. მოულოდნელი ზარალი არის ის დანაკარგი, რომელსაც ბანკი განიცდის პროგნოზირებული ზარალის ზევით.

არსებობს რამდენიმე გზა ბანკის მიერ მოსალოდნელი ზარალისგან თავის დასაცავად. მას შეუძლია დააწესოს მაღალი საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, იყიდოს დაზღვევა ან შექმნას სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი მოსალოდნელი ზარალისათვის. მოულოდნელი ზარალისგან თავის დაცვის ერთადერთი გზა არის კაპიტალის ფლობა.

რთული საკითხია, თუ რა რაოდენობის კაპიტალს უნდა ფლობდეს ბანკი. ადვილია იმის განსაზღვრა, რომ ბანკის კაპიტალი გარკვეულად მისი მთლიანი აქტივების პროპორციული უნდა იყოს. თუ ორი ბანკი ერთა მსგავს საქმიანობას და ერთი ორჯერ დიდია მეორესთან შედარებით, მას უნდა ჰქონდეს ორჯერ მეტი კაპიტალი, რადგან ორჯერ მეტ ინვესტიციას ემუქრება რისკის საფრთხე.

მაგრამ ბანკების საქმიანობა ერთმანეთისგან განსხვავდება და ზოგიერთი მათგანი უფრო მეტ რისკს უქმნის ბანკის კაპიტალს ვიდრე სხვები. ჩვეულებრივ, კომერციული სესხები უფრო მაღალ რისკიანია, ვიდრე სამთავრობო ფასიანი ქაღალდები. ერთ ბანკს შეიძლება უპირატესად კომერციული სესხები ჰქონდეს, ხოლო მეორე ფლობდეს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს. ორივე ბანკს შეიძლება ჰქონდეს მთლიანი აქტივების ერთნაირი რაოდენობა, მაგრამ კომერციული სესხების მქონე ბანკს უფრო მეტი კაპიტალი უნდა გააჩნდეს, რადგან ზარალის რისკი (არსებობს შესაძლებლობა, რომ მსესხებლები სრულად არ დაფარავენ ძირითად თანხას) კომერციული სესხებისთვის, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია, ვიდრე სამთავრობო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში.

ბანკები ერთმანეთისგან შეიძლება ასევე განსხვავდებოდნენ მათი საქმიანობის კონცენტრაციით. თუ ბანკის საკრედიტო პორტფელის დიდი ნაწილი მოდის ერთ სფეროზე ან ერთ გეოგრაფიულ რეგიონში მოქმედ ფირმებზე, იგი, ჩვეულებრივ, უფრო მეტ ზარალს მიიღებს, ვიდრე ის ბანკი, რომლის საკრედიტო პორტფელი უფრო დივერსიფიცირებულია. ამიტომ, ნაკლებ დივერსიფიცირებულ ბანკს მეტი კაპიტალი უნდა ჰქონდეს.

ბანკებს შეიძლება, ასევე, ემუქრებოდეთ სხვა ტიპის რისკებიც. მაგალითად, ბანკები განიცდიან მნიშვნელოვან ზარალს საპროცენტო განაკვეთების ან სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. უფრო მეტიც, ყველა რისკი როდია დაკავშირებული ფინანსურ საქმიანობასთან. ბანკი შეიძლება ჩაბმული იყოს სასა-

მართლო პროცესში, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს აქტივების [illegible]დება. ყოველთვის არსებობს თაღლითობის, დატაცების ან [illegible]ქაღების რისკი, განსაკუთრებით, მცირე ზომის ბანკებში. კაპიტალის ადეკვატური რაოდენობა საჭიროა ყველა აღნიშნული [illegible]ეცისგან თავის დასაცავად.

სებისმიერი ბანკისთვის არსებობს კაპიტალის დონე, რომლის [illegible]ებით შეუძლებელია ბანკის უსაფრთხო და ჯანსაღი ფუნქ[illegible]ონირება. კაპიტალის ეს დონე ცვალებადია სხვადასხვა ბანკში. [illegible] დამოკიდებულია ბანკის სიდიდეზე და საქმიანობის რისკი[illegible]ობაზე. ბანკის ზედამხედველებს შეუძლიათ თითოეული ბანკის [illegible]სკის პროფილის დეტალური ანალიზის განხორციელება და [illegible]თვის კაპიტალის მინიმალური დონის განსაზღვრა. თუმცა, [illegible]აქტიკულად, ეს ძალზე დიდ დროს მოითხოვს. ზოგიერთმა [illegible]ნკმა შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს კაპიტალის მოთხოვნების [illegible]დგენისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია ან განაცხადოს, [illegible]ომ ეს მეთოდოლოგია არასწორად და არაობიექტურად იქნა მის [illegible]მართ გამოყენებული.

მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებმა პრაქტიკული [illegible]დაწყვეტილების სახით მიიღეს ყველა ბანკისთვის კაპიტალის [illegible]ინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შედარებით მარტივი ფორ[illegible]ულა. ეს ფორმულა უმნიშვნელოდ განსხვავებულია სხვადასხვა [illegible]ქვეყანაში, მაგრამ ემყარება 80-იან წლებში საბანკო ზედამხედ[illegible]ველების საერთაშორისო კომიტეტის მიერ შემუშავებულ სისტემას. [illegible]ამ კომიტეტს ბაზელის კომიტეტი ეწოდება და მისი სხდომები [illegible]პერიოდულად ტარდება სიახლეების და სისტემის გადამუშავების [illegible]განხილვისათვის. სებ-ის მიერ განსაზღვრული კაპიტალის მი[illegible]ინიმალური სტანდარტები ემყარება ბაზელის კომიტეტის სისტემას.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი წარმოადგენს სებ-ის [illegible]ზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების [illegible]საფუძველს. ბანკების პირველადი კაპიტალი და ზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს, შესაბამისად, რისკის მიხედვით შეწონილი

აქტივების არანაკლებ 8%-ის და 12%-ის ტოლი. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გამოთვლისას, თითოეული აქტივი მრავლდება შეწონილ რისკზე, რომელიც გამიზნულია ასახოს აქტივის შეფარდებითი რისკი. სებ-ის მიერ გამოცემული „ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ თანახმად, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები იყოფა ოთხ კატეგორიად და განისაზღვრება შემდეგნაირად:

პირველი კატეგორიის აქტივები - 0% შეწონილი რისკი - რისკის კოეფიციენტი 0.

მეორე კატეგორიის აქტივები – 20% შეწონილი რისკი - რისკის კოეფიციენტი 0.2.

მესამე კატეგორიის აქტივები – 50% შეწონილი რისკი - რისკის კოეფიციენტი 0.5.

მეოთხე კატეგორიის აქტივები –100% შეწონილი რისკი - რისკის კოეფიციენტი 1.0.

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშებაში არ მონაწილეობენ ის აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვის კომპონენტებს.

საკრედიტო რისკის მიხედვით აქტივების შეწონვისას გაანგარიშებაში აიღება აქტივების წმინდა ღირებულება, გარდა სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა, რომლებიც აიღება მთლიანი ღირებულებით.

პირველი კატეგორიის - 0% რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს განეკუთვნება:

✓ ბანკში არსებული ნაღდი ფულადი სახსრები ლარებით და „ეგთო„-ს (ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია) წევრი ქვეყნების ვალუტით;

✓ საქართველოს ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო და სხვადასხვა რეზერვების ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაზღვეული დეპოზიტებით.

მეორე კატეგორიის – 20% რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებია:

✓ ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მიცვლილობა ლარებით და „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ვალუტით;

✓ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;

✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით წარმოქმნილი მოთხოვნები;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული და გარანტირებული სახაზინო ვალდებულებებით;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების რეზიდენტ ბანკებში დაჯავშნული დეპოზიტებით;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც არაპირდაპირ გარანტირებულია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ და რომლებიც ამ დებულების შესაბამისად კლასიფიცირებული არ არის 0%-იანი რისკის მატარებელი აქტივების კატეგორიაში;

✓ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით.

მესამე კატეგორიის – 50% რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებია:

✓ ნაღდი ფულადი სახსრები და ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მოცულობა „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების ვალუტებით;

✓ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს რეზიდენტი ბანკების მიერ;

✓ მოკლევადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყების) მიერ;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონმდებ-

ლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყების) მიერ გარანტირებული და გარანტირებული სხვა სავალო ფასიანი ქაღალდებით;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს და „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ადგილობრივი მთავრობების (მუნიციპალიტეტების) მიერ;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოს და „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ადგილობრივი მთავრობების (მუნიციპალიტეტების) მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით.

მეოთხე კატეგორიის – 100% რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებია:

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთოს“ არაწევრი ქვეყნების მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

✓ გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;

✓ კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდები;

✓ ინვესტიციები იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში;

✓ საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;

✓ მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით;

✓ ძირითადი საშუალებები;

✓ სესხები, რომლებიც ასახული არ არის 0, 20 და 50%-იანი საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების კატეგორიებში;

✓ დანარჩენი აქტივები, რომლებიც ასახული არ არის 0, 20 და 50%-იანი საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების კატეგორიებში.

ბალანსგარეშე რისკი. რისკთან დაკავშირებული კაპიტალის სტანდარტები ითვალისწინებენ ნებისმიერ შესაძლო საკრედიტო რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას და არ არის ასახული საბალანსო უწყისში. სებ-ის დებულების თანახმად „ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ შეწონილი რისკი ბალანსგარეშე მუხლებისთვის განისაზღვრება შემდეგნაირად:

ბალანსგარეშე ვალდებულებების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვისათვის ბალანსგარეშე ვალდებულებების კონტრაქტის მთლიანი თანხა გადაიყვანება საბალანსო უწყისის კრედიტ-ეკვივალენტურ თანხაში, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას იგივე კრიტერიუმებით, როგორც საბალანსო უწყისში რიცხული აქტივები.

ბალანსგარეშე ვალდებულებების კონტრაქტის მთლიანი თანხის საბალანსო უწყისის კრედიტ-ეკვივალენტურ თანხაში გადაყვანის მიზნით, ბალანსგარეშე ვალდებულებები კრედიტ-კონვერსიის ფაქტორების გათვალისწინებით იყოფა 4 კატეგორიად. თითოეული კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებს შეესაბამება შესაბამისი კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი:

პირველი კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები, საკრედიტო კონვერსიის ფაქტორი 100%, კოეფიციენტი 1.0.

მეორე კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები, საკრედიტო კონვერსიის ფაქტორი 50%, კოეფიციენტი 0.5.

მესამე კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები, საკრედიტო კონვერსიის ფაქტორი 20%, კოეფიციენტი 0.2.

მეოთხე კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები, საკრედიტო კონვერსიის ფაქტორი 0%, კოეფიციენტი 0.

პირველი კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები 100%-იანი საკრედიტო კონვერსიის ფაქტორით:

✓ გაცემული გარანტიები, საბანკო აქცეპტები და სასესხო ვალდებულებები, თუ ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს;

✓ ვალდებულებები აქტივის გაყიდვაზე უკან გამოსყიდვის ვალდებულებით, როდესაც საკრედიტო რისკს იღებს ბანკი და ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს;

✓ ვალდებულებები აქტივების შესყიდვაზე, თუ ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს. მეორე კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები, 50%-იანი საკრედიტო კონვერსიის ფაქტორით;

✓ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება 100%-იან კონვერსიას და რომელთა შესრულებამდე დარჩენილი ვადა აღემატება ერთ წელს;

მესამე კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები, 20%-იანი საკრედიტო კონვერსიის ფაქტორით;

✓ საჭიროებით უზრუნველყოფილი აკრედიტივები;

მეოთხე კატეგორია ბალანსგარეშე ვალდებულებები, 0%-იანი საკრედიტო კონვერსიის ფაქტორით;

✓ სხვა ვალდებულებები, რომლებიც უპირობოდ უნდა გაუქმდეს ბანკის არჩევანისამებრ.

უცხოური ვალუტის კონტრაქტები

ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები, მსგავსი კონტრაქტები და ბალანსგარეშე მუხლები, რომლებიც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთთან და სავალუტო კურსთან მოითხოვენ განსაკუთრებულ მიდგომას. ამ ინსტრუმენტებთან დაკავ-

შირებული საკრედიტო რისკი გავლენას ახდენს საქმიანობიდან მიღებულ შესაძლო ზარალზე და არა ბალანსგარეშე ანგარიშების მთლიან რაოდენობაზე.

ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები, სხვა მსგავსი კონტრაქტები და ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა კონტრაქტის ვადა 14 კალენდარულ დღეს არ აღემატება, არ ექვემდებარება რისკის მიხედვით შეწონვას.

ფიუჩერსების, ფორვარდების, სვოპების, ოფციონების და სხვა მსგავსი ბალანსგარეშე მუხლების ხელახალი გაანგარიშებისთვის საბალანსო უწყისის ეკვივალენტურ მუხლებად, შემდეგი საკრედიტო საკონვერსიო ფაქტორები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლებიც განისაზღვრება საწყისი ვადიანობის საფუძველზე (იხ. ცხრ. 5.1).

ცხრილი 5.1

საკრედიტო საკონვერსიო ფაქტორები

ვადა კონტრაქტის მიხედვით	კონტრაქტები საპროცენტო განაკვეთზე	კონტრაქტები სავალუტო კურსზე
ერთ წლამდე	0.5%	2.0%
ერთიდან ორ წლამდე	1.0%	5.0%
ყოველ დამატებით წელს	+1.0%	+3.0%

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გაიანგარიშება, როგორც საბალანსო უწყისის აქტივების თითოეული კატეგორია გამრავლებული ამ კატეგორიის აქტივების შესაბამის საკრედიტო რისკის კოეფიციენტზე, დამატებული ბალანსგარეშე ვალდებულებების თითოეული კატეგორია გამრავლებული შესაბამის კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტზე და მიღებული კრედიტ-ეკვივალენტური თანხა გამრავლებული შესაბამის საკრედიტო რისკის კოეფიციენტზე.

საბაზრო რისკი წარმოადგენს ზარალის მიღების რისკს როგორც საბალანსო, ისე გარებალანსურ მუხლებზე ბაზარზე ფასების ცვლილების შედეგად. ამჯერად, საბაზრო რისკი მოიცავს მხოლოდ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკი გულისხმობს ბან-

კის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების დევალვაციის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად, რაც უარყოფითად იმოქმედებს მოგებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობაზე და ბანკის გადახდისუნარიანობაზე. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ყველა ასხი, დარიცხული პროცენტები და დებიტორული დავალიანებები ექვემდებარება სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას გარდა:

✓ გაცემული სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა და/ან მათი ნაწილისა, რომელთა დაფარვის წყაროდ სასესხო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მსესხებელთა ექსპორტიდან მისაღები ფულადი სახსრები უცხოური ვალუტით და, თუ მსესხებელს აქვს ექსპორტიდან უცხოური ვალუტით მისაღები ფულადი სახსრების დამადასტურებელი დოკუმენტები;

✓ გაცემული სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა და/ან მათი ნაწილისა, რომელთა დაფარვა უზრუნველყოფილია ამავე ბანკში უცხოურ ვალუტაში ფორმირებული დაჯავშნული დეპოზიტებით;

ყველა აქტივი, რომელიც ექვემდებარება სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას აიღება მთლიანი ღირებულებით და ხვდება 100-პროცენტიანი რისკის კატეგორიაში. საბაზრო რისკის მიზნებით შეწონილი აქტივები გაიანგარიშება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული შეწონვას დაქვემდებარებული აქტივების გამრავლებით სავალუტო რისკის კოეფიციენტზე.

შენიშვნა: მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები – რისკის მიხედვით შესაწონი აქტივების მუხლების ნაკრები უნდა შეიცავდეს საბალანსო უწყისში არსებული ყველა აქტივის და სხვადასხვა ბალანსგარეშე მუხლის შესაბამისი პროცენტული ოდენობების ჯამს, რაც აღნიშნული იყო წინა ქვეთავში. მას შემდეგ, რაც ყოველი მუხლი გამრავლდება შესაბამის შეწონილ რისკზე, შეჯამებულ რაოდენობას ეწოდება მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები. იგი წარმოადგენს რისკთან დაკავშირებული კაპიტალის კოეფიციენტის მნიშვნელს.

5.2. საზედამხედველო კაპიტალის არსი და სტრუქტურა

რისკთან დაკავშირებული კაპიტალის კოეფიციენტის მრიცხველს საზედამხედველო კაპიტალი ეწოდება. მას ზოგჯერ მთლიანი კაპიტალი ეწოდება. როგორც იყო აღნიშნული წინა თავში, საზედამხედველო კაპიტალი შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს, ვიდრე სააქციო კაპიტალი. იგი იყოფა პირველად და მეორად კაპიტალად.

◆ **პირველადი კაპიტალი (საწყისი)**

პირველადი კაპიტალის გამოთვლა იწყება სააქციო კაპიტალიდან. როგორც განსაზღვრულია სებ-ის დებულებაში – „ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ" პირველადი კაპიტალი შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

✓ საკუთარი ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით

✓ არაკუმულატიური უვადო პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;

✓ აქციების ემისიით შექმნილი დამატებითი რესერვები

✓ სარეზერვო ფონდები, რომელიც შექმნილია წინა წლის გაუნაწილებული მოგებიდან მიღებული თანხებით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზარალის მიღების შემთხვევაში.

✓ წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)

საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვები პირველადი კაპიტალის გამოთვლის პროცესში – პირველადი კაპიტალის დაქვითვები უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისგან:

✓ ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვით, რომელიც აისახება ბანკის განაღდებულ კაპიტალში გადატანილი თანხით;

✓ არამატერიალური აქტივები.

არსებობს სხვადასხვა ტიპის არამატერიალური აქტივი, მაგრამ საბანკო სფეროში ყველაზე გავრცელებული არამატერიალური აქტივია **გუდვილი**.

როდესაც ერთი ბანკი აპირებს მეორის შესყიდვას, იგი ადგენს შესასყიდი ბანკის აქტივების და ვალდებულებების სიას და თითოეულისთვის განსაზღვრავს საბაზრო ფასს. შემდეგ ითვლის სხვაობას ბანკის აქტივების და ვალდებულებების საბაზრო ფასებს შორის. ამ სხვაობას ეწოდება **აქტივების წმინდა ღირებულება**. შემსყიდველი ბანკი წავიდეს რამდენის გადახდას აპირებს აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების შესაძენად. ზოგჯერ, მას სურს, რომ მხოლოდ აქტივების წმინდა ღირებულება გადაიხადოს. თუმცა, უფრო ხშირად იგი აქტივების წმინდა ღირებულებაზე მეტს იხდის. აქტივების წმინდა ღირებულებაზე ზევით გადახდილი თანხის რაოდენობაა გუდვილი. შედეგად, შემსყიდველი ბანკი განაცხადებს რომ მთლიანი ბანკის ღირებულება აღემატება მისი შემადგენელი ნაწილების ღირებულებათა ჯამს. მიზეზი არის ის, რომ გასაყიდი ბანკი წლების განმავლობაში ამყარებდა ურთიერთობებს კლიენტებთან, როგორც მსესხებლებთან, ისე დეპოზიტორებთან. რა თქმა უნდა, ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული სესხის გაცემა არსებულ მსესხებელზე, ვიდრე ახალი მსესხებლების ძებნა და დეპოზიტორებიც, რომლებიც ბანკის კლიენტები იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება დათანხმდნენ დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მიღებას ახალი დეპოზიტორებისგან განსხვავებით.

ამრიგად, გუდვილის შექმნა არის შემსყიდველი ბანკის მიერ რწმენის გამოხატვა, რომ გაგრძელდება ურთიერთობა კლიენტებთან. თუმცა გაურკვეველია, გაგრძელდება თუ არა რეალურად ეს ურთიერთობები. უფრო მეტიც, თუ შემსყიდველ ბანკს აქვს ფინანსური პრობლემები, კლიენტები ბანკს დატოვებენ და გუდვილის ღირებულება გაქრება. ასეთი გაურკვევლობების გამო, ბანკის კაპიტალის ნაწილი, რომელიც გუდვილს შეესაბამება, არ

შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრედიტორების და მთავრობის ზარალისგან დაცვის საშუალება.

◆ მეორადი კაპიტალი

სებ-ის დებულების – „ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ" თანახმად, ბანკის მეორადი კაპიტალი უნდა იყოს საზედამხედველო კაპიტალის დამატებითი წყარო, რომელიც შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- ✓ მიმდინარე წლის წმინდა მოგება (ზარალი)
- ✓ მიზნობრივი ფონდები
- ✓ საერთო რეზერვები, არაუმეტეს საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ის ოდენობისა;
- ✓ პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით, გარდა პირველად კაპიტალში ასახული არაკუმულატიური უვადო პრივილეგირებული აქციებისა;
- ✓ ბანკის აქციებში კონვერტირებადი ვალი, იმ პირობით, თუ იგი სრულად აკმაყოფილებს სუბორდინირებული ვალის შინაარსს და თუ ასეთი ვალის ბანკის აქციებში კონვერსიის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და თუ ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებით;
- ✓ სუბორდინირებული ვალი, მიღებული მინიმუმ 5 წლით სარგებლობის ვადით და ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ვალის 20%-ით შემცირებული ოდენობით, იმ პირობით, თუ სუბორდინირებული ვალი მიღებულია ყოველგვარი უზრუნველყოფისა და გამოყენებაზე შეზღუდვების გარეშე და რომელიმე მხარის მიერ ასეთი სუბორდინირებული ვალის პირობების შეცვლა და/ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებაში.

სპეციალური რეზერვები საბალანსო უწყისში ნაჩვენებია როგორც კონტრაქტივები. **კონტრაქტივი** წარმოადგენს იმ აქტივის

კატეგორიიდან გამოკლებულ თანხას, რომელსაც ის მიეკუთვნება. ამიდგან აქტივები მცირდება გარდაუვალი და მოსალოდნელი ზარალის ადიარების შედეგად, სააქციო კაპიტალი ასევე მცირდება რეზერვის რაოდენობით. საზედამხედველო კაპიტალის გამოთვლისას, საერთო რეზერვების შეზღუდული თანხა შეიძლება უკან დაემატოს მეორად კაპიტალს. ეს თანხა განისაზღვრება ბანკის მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მაქსიმუმ, 1.25%-ით. მიზეზი, რის გამოც ეს რეზერვი შეიძლება შედიოდეს საზედამხედველო კაპიტალის შემადგენლობაში, არის ის, რომ ის ხელმისაწვდომია საკრედიტო პორტფელში მოსალოდნელი ზარალის შთანთქმისათვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული. თუმცა, რეზერვებმა არ შეიძლება შთანთქან მოულოდნელი დანაკარგები. შესაბამისად, ისინი არ შეიძლება შედიოდნენ პირველადი კაპიტალის შემადგენლობაში.

მეორადი კაპიტალის მეორე კომპონენტი შედგება ვალდებულებებისგან, რომელთაც კაპიტალის მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ, როგორიცაა, მაგალითად, სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აიტანს მისი წილის პროპორციულ ზარალზე მეტ რაოდენობას ბანკის კრახის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში. თუმცა, მას უნდა ჰქონდეს სხვა მახასიათებლებიც, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრედიტორებისა და მთავრობის დაცვის საშუალება. თუ მას არ გააჩნია ასეთი მახასიათებლები, იგი არ უნდა შედიოდეს მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში.

ბანკს უნდა მიეცეს უფლება გამოტოვოს პროცენტის გადახდის განსაზღვრული რაოდენობა სუბორდინირებულ ვალზე, სანამ ვალის მფლობელები ბანკს აიძულებენ გაკოტრდეს. გაკოტრება ხანგრძლივი და ხარჯებთან დაკავშირებული პროცესია. ბანკის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება განადგურდეს, მაშინაც კი, თუ ბანკი პრობლემური ხდება. კლიენტებთან ურთიერთობები გაუქმდება. სხვა კრედიტორები და მთავრობა

უკეთესად იქნებიან დაცული, თუ სუბორდინირებული ვალის მფლობელები იძულებული არიან მიიღონ უფრო მეტი ზარალი გაკოტრების პროცესის დაწყებამდე.

ასევე, სუბორდინირებული ვალი არ უნდა უახლოვდებოდეს დაფარვის ვადას. კაპიტალის ერთერთი მახასიათებელია ის, რომ იგი ხელმისაწვდომია კრედიტორების და მთავრობის დასაცავად მომავალში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უნდა იყოს სახსრების საკმაოდ უწყვეტი წყარო. ბანკი, რომელსაც ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვს და იყენებს სუბორდინირებულ ვალს, რომლის ვადის დადგომაც ახლოვდება, რთულ მდგომარეობაშია. არავინ მოისურვებს ახალი სუბორდინირებული ვალის ყიდვას, როცა ძველის დაფარვა მოხდება. ბანკის საზედამხედველო კაპიტალი დაეცემა და სხვა კრედიტორები და მთავრობა ნაკლებად იქნებიან დაცული ზარალისაგან. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, მხოლოდ სუბორდინირებული ვალის ნაწილი, რომლის ვადის დადგომამდე სულ ცოტა ხუთი წელია დარჩენილი, უნდა შევიდეს მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში. ვადის დადგომისათვის ვალის ეს ნაწილი ნულს უნდა გაუტოლდეს.

დაბოლოს, სუბორდინირებული ვალის რაოდენობა, რომელიც შეიძლება შევიდეს მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში შეზღუდულია პირველადი კაპიტალის 50%-მდე.

საერთოდ, მეორადი კაპიტალი ისეთი ეფექტური არ არის, როგორც პირველადი კრედიტორების და მთავრობის დაცვაში ბანკის აქტივების ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირებისას. ამ მიზეზით, მეორადი კაპიტალის რაოდენობა, რომელიც შეიძლება შედიოდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში, განისაზღვრება პირველადი კაპიტალის 100%-ით.

ერთი მუხლი, რომელიც უნდა გამოაკლდეს საზედამხედველო კაპიტალს, არის ბანკის ინვესტიცია სხვა ბანკის აქციებში. არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც ეს ინვესტიციები არ უნდა

ყოფილიყვნენ მონაწილეობას, როგორც აქტივები, საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში. პირველი, თუ ბანკი „ა“ ფლობს „ბ“ ბანკის აქციებს, „ბ“ ბანკის კრახი გამოიწვევს ამ აქციების გაუფასურებას. მაშინ „ა“ ბანკმა უნდა აღრიცხოს ზარალი, რაც გამოიწვევს მისი კაპიტალის შემცირებას. თუ „ა“ ბანკი ცუდად იქნება კაპიტალიზებული, შეიძლება „ბ“ ბანკთან ერთად გაანიავალოს კრახი. ბანკებს შორის ისედაც მრავალი ურთიერთ არსებობს ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ ერთის გაკოტრება შეიძლება ამ დამატებითი რისკის გარეშეც გადადგეს ბანკიდან ბანკს. მეორე, თუ ამ ტიპის ინვესტიცია არ იქნება გამოკლებული სააქციო კაპიტალიდან, ორმა ბანკმა შეიძლება გაზარდოს კაპიტალის აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი, უბრალოდ, ერთმანეთის აქციების შესყიდვით.

ამასთანავე, არაკონსოლიდირებული ინვესტიცია შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში ასევე უნდა გამოაკლდეს საზედამხედველო კაპიტალს.

კაპიტალის კოეფიციენტების გამოთვლის სიმეტრია. რისკთან დაკავშირებული კაპიტალის კოეფიციენტის გამოთვლისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს რომ აქტივები, რომლებიც აკლდება საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებას, ასევე არ უნდა შედიოდეს მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშებაში. ეს ნიშნავს, რომ მათ უნდა მიიღონ ნულოვანი შეწონილი რისკი. მაგალითად, არამატერიალური აქტივები და გადახვასების რეზერვი გამოკლებულია სააქციო კაპიტალიდან პირველადი კაპიტალის გამოთვლისას. ასევე, სესხების შესაძლო დანაკარგების საერთო რეზერვები, რომლებიც ემატება სააქციო კაპიტალს, უნდა შედიოდეს მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში 100%-იანი რისკით.

კაპიტალის მოთხოვნები – მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბანკი რომელიც აკმაყოფილებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს, შეიძლება არ იყოს ადეკვატურად კაპიტალიზებული.

ერთი მიზეზია ის, რომ კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტები დაწესებულია საკრედიტო და საბაზრო რისკის გათვალისწინებით. არსებობენ სხვა რისკებიც, როგორიცაა მაგალითად საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი და ლიკვიდობის რისკი, რომლებიც არაა გათვალისწინებული. თუ ბანკს ექნებოდა რომელიმე ამ რისკთაგანი წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ოდენობით, ზედამხედველი განიხილავდა ბანკისთვის კაპიტალის მოთხოვნის გაზრდის შესაძლებლობას.

ლევერიჯის კოეფიციენტი. კიდევ ერთი კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კაპიტალის ადეკვატურობის შესაფასებლად არის ლევერიჯის კოეფიციენტი. იგი განისაზღვრება, როგორც პირველადი კაპიტალის მთლიან აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი. ლევერიჯის კოეფიციენტის მნიშვნელში, აქტივები არ არიან რისკის მიხედვით შეწონილი, მაგრამ შეკვეცილია მათი სრული საბალანსო ღირებულებით. ბალანსგარეშე მუხლები არ ღებულობენ მონაწილეობას კოეფიციენტის გამოთვლაში. პირველადი კაპიტალის გამოთვლაში სააქციო კაპიტალს გამოკლებული აქტივები არ არიან ჩართული.

ლევერიჯის კოეფიციენტი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი. ზოგიერთ ბანკს შეიძლება ჰქონდეს აქტივების დიდი რაოდენობა, რომელთაც აქვთ 0% ან 20% შეწონილი რისკი. ამ შემთხვევაში, მათი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები შეიძლება წარმოადგენდნენ მათი მთლიანი აქტივების მცირე ნაწილს. მათი საჭირო საზედამხედველო კაპიტალი იქნება მთლიანი აქტივების ძალიან მცირე ნაწილი. მაგალითად, თუ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები მთლიანი აქტივების 25%-ის ტოლია და კაპიტალი კი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8%-ია, კაპიტალი იქნება მთლიანი აქტივების მხოლოდ 2%-ის ტოლი. მიუხედავად იმისა, რომ ბანკს ძალიან მცირე საკრედიტო რისკი აქვს, შესაძლებელია რომ მისი მთლიანი აქტივების 2% გაუჩინარდეს თაღლითობის, დატაცების, დაკარგ-

ვების ან სხვა მიზეზის გამო. ვერცერთი ბანკი ვერ იმუშავებს ძალიან დაბალი ლევერიჯის კოეფიციენტით.

5.3. ხარისხობრივი და რაოდენობრივი მოსაზრებები ბანკის კაპიტალის შესახებ

ხარისხობრივი მოსაზრებები

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრის პროცესი იწყება კრიტიკული ცვლადების ხარისხობრივი შეფასებით, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე. სახელდობრ:

✓ აქტივები – მისი ხარისხი, ტიპი, ლიკვიდურობა და აქტივების დივერსიფიკაცია (ბალანსგარეშე ოპერაციების ჩათვლით), ნეგატიურად კლასიფიცირებულ აქტივებთან კავშირში, წარმოადგენენ ფაქტორებს წარმოადგენენ კაპიტალის და სესხების ზარალის დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობის განსაზღვრის პროცესში.

✓ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი - სესხების ზარალის დანაკარგების არაადეკვატური რეზერვი მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაწევას მიმდინარე პერიოდში, რაც შეამცირებს მოგების ოდენობას. რადგან საიმედო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, რომელიც უნდა შედიოდეს მეორად კაპიტალში შეზღუდულია მთლიანი რისკით შეწონილი აქტივების 1.25%-მდე, დამატებითმა ხარჯებმა შეიძლება გაზარდოს რეზერვის ოდენობა ამ ზღვრულ მნიშვნელობაზე მეტად, შედეგად, მნიშვნელოვანი რაოდენობა არ შევა მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში.

✓ მოგება – ბანკის მიმდინარე და ისტორიული მოგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც განხილულ უნდა იქნეს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესში. მაღალი მოგება ბანკს საშუალებას აძლევს დააფინანსოს საკუთარი ზრდა, ბაზარზე შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და ფლობდეს საკმარისი კაპიტალის მტკიცე პოზიციას. აქვე დავძენთ, რომ საეჭვო სესხებზე დადასახადო ხარჯები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალის-

წინებული მოგებიანობის შეფასებისას. ასევე, მნიშვნელოვანია ბანკის სადივიდენდო პოლიტიკა. ჭარბი დივიდენდები უარყოფით გავლენას იქონიებს მოგების საუკეთესო პოზიციაზეც კი და შეასუსტებს კაპიტალს. დაბალი დივიდენდები ამცირებენ ინვესტორების ინტერესს აქციების მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანის მომტანი იყოს, თუ ბანკი გადაწყვეტს დამატებითი აქციების გაყიდვას.

✓ ლიკვიდობა და სახსრების მართვა – სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო დაბალია ბანკის ლიკვიდობის დონე ან მაღალია საპროცენტო განაკვეთის რისკის საერთო დონე, მით უფრო მაღალი უნდა იყოს კაპიტალის მოთხოვნები. ბანკებს, რომლებიც შეზღუდული ლიკვიდობის მდგომარეობაში იმყოფებიან, შეიძლება არ გააჩნდეთ სხვა ალტერნატივა, გარდა ზარალით აქტივების გაყიდვისა იმისათვის, რომ შეავსონ ფულადი სახსრების გადინება და ასეთი დანაკარგების შთანთქმა მოახდინონ კაპიტალის ანგარიშების საშუალებით. ბანკის ლიკვიდობის პოზიციამ შეიძლება გავლენა იქონიოს საჭირო კაპიტალის დონეზე. მსგავსად ამისა, ბანკებმა, რომლებიც დგანან საპროცენტო განაკვეთის ჭარბი რისკის წინაშე, შეიძლება განიცადონ კაპიტალის დონის მნიშვნელოვანი კლება, როგორც საპროცენტო განაკვეთის არახელსაყრელი ცვლილების შედეგი.

✓ საბალანსო უწყისის სტრუქტურა – შესწავლილ უნდა იქნეს ბალანსის შედგენილობა, რომელიც გვიჩვენებს, წარმოიქმნა თუ არა ბანკში აქტივების და/ან ვალდებულებების ზედმეტი კონცენტრაცია და ხომ არ იწვნს მენეჯმენტი რისკისადმი ზედმეტ ტოლერანტობას. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არსებობს კაპიტალის შემცირების მაღალი რისკი. ბანკს, რომლიც იწვნს რისკისადმი მიდრეკილებას და რომლის ბალანსში კონცენტრაციის დონე მაღალია, სჭირდება უფრო დიდი მოცულობის კაპიტალი, შესაბამისად: უნდა დადგინდეს როგორც აქტივების, ასევე ვალდებულებათა კონცენტრაცია. ბანკს, რომლის შემოსავლიანი აქტივები არ არის დივერსიფიცირებული, ან რომლის საკრედიტო

პორტფელიც უფრო ტოლერანტულია რისკის მიმართ, უნდა ქონდეს კაპიტალის უფრო მაღალი დონე, ვიდრე იგივე სიდიდის ბანკს კარგად დივერსიფიცირებული ნაკლებად რისკიანი ინვესტიციებით. კაპიტალის ადეკვატურობა შეიძლება, ასევე, გაანალიზდეს ბანკის სადეპოზიტო ანგარიშების ისტორიული და დაგეგმილი ზრდის ტემპის ჭრილში. თუ ბანკი ემსახურება ბაზარს, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება და გაუნაწილებელი მოგების ზრდა ვერ აჭარბებს დეპოზიტების ზრდას, ნათელია, რომ მენეჯმენტმა უნდა იპოვოს პასუხისმგებლობა ქვემოთ შესაძლო ხერხით კაპიტალის გაზრდისათვის. ზრდის ტენდენციასთან ერთად, დეპოზიტების სტრუქტურაში ცვალებადი სადეპოზიტო ანგარიშების ან კონცენტრაციების არსებობა ასევე მნიშვნელოვანია. რაც უფრო მაღალია სადეპოზიტო ბაზის არასტაბილურობა, მით უფრო მაღალია საჭირო კაპიტალის დონე.

✓ ბალანსგარეშე მუხლები და საქმიანობა – ბალანსგარეშე მუხლები დაფინანსების შემდეგ, ექვემდებარება კაპიტალის მიმართ იგივე მოთხოვნებს, რასაც საბალანსო მუხლები. ამ მუხლების მნიშვნელოვანი ნაწილის დროის მოკლე მონაკვეთში დაფინანსების შემთხვევაში ბანკის კაპიტალის დონე საკმარისი უნდა იყოს აქტივების ხარისხის და რაოდენობის შესანარჩუნებლად. ასევე, სასამართლო პროცესი, სადაც ბანკი მოპასუხის როლში გამოდის ან სხვა პირობითი ვალდებულება, შეიძლება მიუთითებდეს კაპიტალის დაცვის აუცილებლობაზე.

✓ ადგილობრივი მახასიათებლები – კლიენტურის ტიპი და ადგილობრივი ბიზნესის, ინდუსტრიის ან სოფლის მეურნეობის სტაბილურობა და დივერსიფიკაცია, ასევე, საბანკო და არასაბანკო კონკურენცია ფინანსური მომსახურების გაწევის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

✓ ურთიერთობა ჰოლდინგურ კომპანიასთან - თუ ბანკი წარმოადგენს ჰოლდინგური კომპანიის შვილობილ საწარმოს და საჭიროებს დამატებით კაპიტალს, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მიდგომა შეიძლება იქნეს გამოყენებული პრობლემის გადასაჭრე-

ლად, რაც მდგომარეობს მშობლიური ორგანიზაციის მიერ ნასესხები სახსრების მოზიდვაში შვილობილი ბანკის ახლად გამოშვებული აქციების შესაძენად. ამ პროცესს „ორმხრივ ლევერიჯს" უწოდებენ. ინსპექტორს რომ შეემოწმებინა მხოლოდ ბანკის ფინანსური დოკუმენტები, ოპერაციის შედეგები, მთლიანობაში, ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა, რადგან თვალსაჩინო იქნებოდა კაპიტალის ზრდა. ჰოლდინგური კომპანიის პოზიციიდან გამომდინარე, დამატებით კაპიტალიზაციაზე გავლენას იქონიებდა ვალი და ამ ვალის მომსახურების ძირითადი საშუალება იქნებოდა შვილობილი ბანკის მიერ დივიდენდების გადახდა. ამგვარად, არასათანადო დასკვნები შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ანალიზი ფოკუსირებული იქნება მხოლოდ შვილობილ ორგანიზაციაზე. კერძოდ, უნდა გაირკვეს შესწევს თუ არა ბანკს უნარი შეინარჩუნოს კაპიტალის ადეკვატური დონე ჰოლდინგური კომპანიის მიერ მოთხოვნილი დივიდენდების გათვალისწინებით.

✓ მენეჯმენტის ხარისხი – მენეჯმენტის უნარი, გამოცდილება, ცოდნა, პატიოსნება და მონაცემები მეტად მნიშვნელოვანია ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას. რეალურად ძნელია კაპიტალის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც გაუძლებს მდგომარეობის გაუარესებას, რომელსაც გამოიწვევს მენეჯმენტის უუნარობა ან უპატიოსნო ქმედება. ჯანსაღი მართვა მოიცავს სესხებთან, ინვესტიციებთან, ოპერაციებთან, შიდა კონტროლთან, აუდიტთან და სხვა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკის და პროცედურების ფორმულირებას და დანერგვას. ასეთი პოლიტიკის ნაკლოვანებამ ან იმან, თუ როგორ ხდება მათი განხორციელება, შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის კაპიტალის პოზიციაზე.

✓ ბანკის შვილობილ კომპანიებთან დაკავშირებული ფინანსური და რეპუტაციის რისკი. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და გაანალიზდეს შვილობილი კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მათი ფინანსური ურთიერთობები ბანკთან და მასზე დამოკიდებულება, ოპერაციები ბანკსა და მის შვილობილ

კომპანიებს შორის და ზემოაღნიშნულის შესაძლო გავლენა ბანკის კაპიტალის პოზიციაზე. შესაძლებლობის შემთხვევაში, სუპერვიზორმა ასევე უნდა გააანალიზოს და განიხილოს კონსოლიდირებული ბანკის კონსოლიდირებული კაპიტალის კოეფიციენტები და ის ფაქტორები, რომლებიც კონსოლიდირებული კაპიტალის კოეფიციენტებს ზრდიან ან ამცირებენ;

✓ მსესხებელს, რომელიც იმავდროულად ბანკის აქციონერსაც წარმოადგენს, უფრო მეტი გავლენა აქვს ბანკზე, ვიდრე ჩვეულებრივ მსესხებელს. ამ გავლენის ბოროტად გამოყენებაც შესაძლებელია. მაგალითად, ბანკის მენეჯმენტი შეძლება დაარწმუნონ, რომ სესხი გაიცეს გავლენიან აქციონერზე ხელსაყრელი პირობებით, შემოვლითი გზით, ეს პრაქტიკა ეკვივალენტურია სხვა აქციონერებისგან განსხვავებით პრივილეგირებულ აქციონერზე უფრო მაღალი დივიდენდების გაცემისა. აღნიშნული ბანკიდან კაპიტალის გადინების კიდევ ერთი მეთოდია, რომლის აღმოჩენაც ასევე ადვილია. ეს, რა თქმა, უნდა უსამართლობაა სხვა აქციონერების მიმართ, რომელთაც შეიძლება არ სურდეთ დამატებითი სახსრების ინვესტირება საჭიროების შემთხვევაში.

რაოდენობრივი მოსაზრებები

ხარისხობრივი ფაქტორების გარდა, არსებობს სხვადასხვა რაოდენობრივი შეფასებაც, რომელიც მიუთითებს კაპიტალის ადეკვატურობაზე. მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია:

✓ კაპიტალის აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი სხვა არაფერია, თუ არა ბანკის უნარის განსაზღვრა გაუძლოს უარყოფით ზეგავლენას. მაღალი კოეფიციენტი, თავისთავად, არ მიუთითებს ბანკის სიმტკიცეზე, ისევე, როგორც დაბალი კოეფიციენტი აუცილებლად არ მიუთითებს ბანკის გარდაუვალ კრახზე;

✓ კაპიტალის ზრდის ფარდობა აქტივების ზრდასთან. ამ კოეფიციენტის მეშვეობით ხდება ბანკის რესურსების ზრდის და ბანკის კაპიტალის ზრდის ტემპების ერთმანეთთან შედარება. როდესაც ეს მაჩვენებელი ერთზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ

აქტივები კაპიტალთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება, ამიტომ კაპიტალის პოზიცია მცირდება და იზრდება ფინანსური ლევერიჯი;

✓ დივიდენდების მოგებასთან ფარდობა. ეს კოეფიციენტი ასახავს მენეჯმენტის გადაწყვეტილებას თუ მოგების რა ნაწილი უნდა გაიცეს აქციონერებზე დივიდენდების სახით და რა ნაწილი უნდა დაემატოს გაუნაწილებელ მოგებას. დივიდენდების მეტად ლიბერალურმა პოლიტიკამ შეიძლება კაპიტალის გამოფიტვა გამოიწვიოს. კოეფიციენტის ანალიზის გონივრული გამოყენება მოიცავს ინდივიდუალური კოეფიციენტების დონის და ცვლილების ტენდენციის გათვალისწინებას და ურთიერთდამოკიდებულებას კოეფიციენტებს შორის. ეს კოეფიციენტები უნდა შეუდარდეს მსგავსი ბანკების ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს და შესწავლილ იქნეს ჯგუფის საშუალოსგან მნიშვნელოვანი გადახრების ცვლილების ტენდენციები.

ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლადების მიმდინარე დონე მნიშვნელოვანია, მაგრამ ონსაიტის ანალიტიკოსმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, თუ რა მოხდება მომავალში. საკმარისი არ არის მარტო იმის ცოდნა, რომ კაპიტალი ადეკვატურია მიმდინარე კვარტლის განმავლობაში. ის პირობები, რომლებსაც ეს შეფასება ემყარება შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს მომავალი თვეების ან წლების განმავლობაში. ონსაიტის ანალიტიკოსმა, მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად, უნდა განიხილოს ბანკის გეგმა და მასთან დაკავშირებული დაშვებები. ასეთი განხილვა და მიმოხილვა საკმაოდ გონივრულია, რათა შემოწმდეს ბანკის პროგნოზები, შესაბამისობაშია თუ არა ისინი ონსაიტის ანალიტიკოსის მიერ შემჩნეული ისტორიული ფუნქციონირების ტენდენციასთან, დაურიცხავი და ხელახლა შეთანხმებული ვალის მოცულობასთან და სხვა არაშემოსავლიან ან ნაკლებად რენტაბელურ შემოსავლიან აქტივებთან, სესხებზე მოთხოვნასთან, დეპოზიტების ზრდასთან, კონკურენციასთან, ადგილობრივი ეკონომიკის ძირითად შედგენილობასა და მდგრადობასთან, გაფართოების გეგმებთან,

ს.ყიდ უფლებების გამოყენების გეგმასთან და სხვა მსგავს ფაქტორებთან. დაბოლოს, გეგმა უნდა იყოს გონივრული და რეალური, ბანკის მენეჯმენტის უნართან დაკავშირებით. მაგალითად, აღმოსავლის გაზრდის გეგმა, სავალუტო ოპერაციების საშუალებით. შეიძლება სკეპტიკურად იქნეს განხილული, თუ ბანკის მენეჯმენტს გამოცდილება არ გააჩნია ამ სფეროში. კიდევ უფრო ოპტიმისტური გეგმები შეიძლება ვერ განხორციელდეს, თუ მენეჯმენტი სუსტია და ამგვარად მომავალში ბანკის ჯანსაღი ფუნქციონირების ალბათობა შემცირებულია.

კაპიტალის განაწილება

ფინანსური ანგარიშგების პერიოდში, ბანკის კაპიტალის ცვლილება გაეწეულდება: ამ პერიოდისთვის მის წმინდა შემოსავალს ჯერ ახალი აქციების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, მინუს დივიდენდები და არსებული აქციების რაოდენობა, რომელსაც ბანკი უკან ყიდულობს. ფაქტიურად, განსხვავება არ არსებობს დივიდენდების გადახდასა და აქციების გამოსყიდვას შორის. ორივე მეთოდი ფულს უბრუნებს აქციონერებს, რასაც კაპიტალის განაწილება ეწოდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კაპიტალი იმ ფირმებისკენ მიედინება (ბანკების ჩათვლით), რომლებიც ინვესტორებს უკუგების მაღალ კოეფიციენტს სთავაზობენ. წარმატებულ, მოგებიან კომპანიებს შეუძლიათ აქციონერებისთვის სიმდიდრის გადაცემა მაღალი დივიდენდების სახით. ან, ისინი ახდენენ მოგების აკუმულირებას გაუნაწილებელი მოგების სახით და დროდადრო გამოისყიდიან აქციებს ხელსაყრელ ფასად. ყველაზე წარმატებულ კომპანიებში, აქციონერების მხრიდან არ არსებობს არანაირი ზეწოლა დივიდენდების გადახდის ან აქციების ხელახლა შესყიდვის შესახებ იმიტომ, რომ მათ იციან, მაღალი უკუგების ინვესტიციების სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ამიტომ ისინი კმაყოფილნი არიან ფირმის კაპიტალში არსებული ინვესტიციების ზრდით.

ჩვეულებრივ, ზეწოლა დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით მაღალია წარუმატებელ და არამომგებიან კომპანიებში.

აქციონერებს სურთ გამოიტანონ ფული, რათა ინვესტირება უფრო წარმატებულ კომპანიებში განახორციელონ. კრედიტორებს, მეორე მხრივ, არ სურთ კაპიტალმა რომ კომპანია დატოვოს. ისინი ხშირად შეზღუდვებს აწესებენ კაპიტალის განაწილებაზე, რაც კრძალავს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ ფირმა ზარალს განიცდის. ამ დროს, კაპიტალის მფლობელები იძულებულნი არიან განიცადონ ზარალი.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბანკები სხვა დაწესებულებებისგან არ განსხვავდებიან. მათ, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის“ 30-ე მუხლის, მე-3 (ს) პუნქტის თანახმად, არ უნდა ჰქონდეთ უფლება, გადაიხადონ დივიდენდები ან გამოისყიდონ აქციები, როდესაც მოგება ძალიან დაბალი ან უარყოფითია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაპიტალის გადინება ბანკიდან არ უნდა მოხდეს მაშინ, როცა ის ქვეყანაზე მეტადაა საჭირო. კაპიტალი ბანკში უნდა დარჩეს, როგორც სახსრების მუდმივი წყარო კრედიტორების და მთავრობის დასაცავად.

კაპიტალის შემოწმების მიზანია განისაზღვროს კაპიტალის ანგარიშების სისწორე, კაპიტალის პოლიტიკის დივიდენდების და ადეკვატურობის შეფასება და, შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, მისი რეიტინგის განსაზღვრა (იხ. ცხრ. 5.2.).

ცხრილი 5.2.

კაპიტალის შემოწმების მიზნები

I.	კაპიტალის პოლიტიკის შეფასება
II.	დივიდენდების პოლიტიკის შეფასება
III.	კაპიტალის ანგარიშების სისწორის განსაზღვრა
IV.	კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება
V.	კომერციული ბანკებისთვის დადგენილ წესებთან და დებულებებთან შესაბამისობის შეფასება
VI.	შემოწმების შედეგები
VII.	კაპიტალის რეიტინგის განსაზღვრა

კაპიტალის პოლიტიკის შეფასება

საყოველთაოდ მიღებული საბანკო პრაქტიკის თანახმად, ბანკის მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაოს კაპიტალის პოლიტიკა, რომელიც რეგულარულად უნდა განიხილებოდეს და მტკიცდებოდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კაპიტალის პოლიტიკა არის დოკუმენტი, რომელიც წარმოაჩენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის ფილოსოფიასა და მიზნებს ბანკის კაპიტალთან მიმართებაში.

მენეჯმენტის მიზნების აღწერა კაპიტალთან მიმართებაში მოიცავს:

✓ კაპიტალის მაქსიმალური და მინიმალური დონეების განსაზღვრას და დადგენას;

✓ არსებული პოლიტიკიდან გადახრის აღნიშვნის და მისი აქცეპტირების პროცედურებს;

✓ შესაძლო გზებისა და ალტერნატიული რესურსების წყაროების ჩამონათვალს, იმ შემთხვევისთვის, თუ კაპიტალის დონე დაეწევა დადგენილ ზღვარს ქვემოთ და/ან შეიქმნება რაიმე ფინანსური სიძნელეები;

✓ კაპიტალის მოცულობის სასურველი ზრდის ტემპსა და გაუნაწილებელი წმინდა მოგების ოდენობას. შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს პოლიტიკა არ არის წინააღმდეგობაში იმ ოფიციალურ დოკუმენტებთან, რომლებიც სავალდებულოა ამ ბანკისთვის (ბიზნეს გეგმასთან, წესებთან და სხვა დოკუმენტებთან).

დივიდენდების პოლიტიკის შეფასება

ნორმალური საბანკო პრაქტიკა მოითხოვს, რომ ბანკის მენეჯმენტმა შეიმუშაოს დივიდენდების ისეთი პოლიტიკა, რომელიც რეგულარულად გადამოწმდება და დამტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საერთოდ, მოგება, რომელიც წარმოადგენს ბანკის კაპიტალის ზრდის ძირითად საშუალებას, გაედინება ბანკიდან დივიდენდების გამოცხადების და გადახდის შემთხვევაში. დივი-

დენდების პოლიტიკამ ცხადად უნდა უჩვენოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს, თუ როგორ პირობებშია მისაღები დივიდენდების გადახდა. დივიდენდების პოლიტიკის შესაფასებლად შემოწმების პროცედურებმა უნდა მოიცვას:

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებული დივიდენდების პოლიტიკის ასლის მიღება, მისი განხილვა და ადეკვატურობის შეფასება;

შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს, რომ პოლიტიკაში:

✓ ნათლადაა გამოხატული დივიდენდების გადახდისა და/ან გამოცხადების მიზნები;

✓ ნათლად არის აღნიშნული გადასახდელი დივიდენდების მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა;

✓ პოლიტიკიდან გადახვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია სპეციალური პროცედურები და თანხმობის მიღება; შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს პოლიტიკა არ მოდის წინააღმდეგობაში სხვა ოფიციალურ ფინანსურ დოკუმენტებთან (წესდება, ბიზნეს-გეგმა, ხელშეკრულებები და სხვ.).

კაპიტალის ანგარიშების სისწორის დადგენა

ბანკის კაპიტალის შემოწმებისას, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს მენეჯმენტის მიერ მოწოდებული რიცხობრივი მონაცემების სისწორე. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ფინანსური ანგარიშები შემოწმებულია სანდო და სრულიდური რეპუტაციის მქონე გარე აუდიტორული ფირმის მიერ, ისინი შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული, თუმცა, ყველაფერი ამით არ ამოიწურება. შემმოწმებელს შეიძლება შეექმნას აუცილებლობა, მოამზადოს სწორი ფინანსური ინფორმაცია შემოწმების თარიღისათვის არსებული მდგომარეობით, რომელსაც იგი შემდგომში გამოიყენებს კაპიტალის კოეფიციენტების გაანგარიშებებისას. ამასთან, უნდა გადამოწმდეს ბანკის მიერ ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის კაპიტალის ანგარიშების შესახებ წარდგენილი ინფორმაცია. აღნიშნულ საკითხში აუცილებელია თანამშრომ-

ლობა იმ შემმოწმებელთან, რომელიც ახდენს წმინდა მოგების აუდიტს.

შემოწმების პროცედურები:

✓ მოპოვებულ უნდა იქნეს უკანასკნელად ჩატარებული აუდიტის დასკვნის ასლი. იმ შემმოწმებელთან ერთად, რომელიც ამოწმებს ბანკის გარე აუდიტს, უნდა დარწმუნდეთ იმაში, რომ აუდიტორული ფირმა კვალიფიცირებულია და აუდიტის დასკვნის მოსაზრებები სწორია.

✓ მიღებულ უნდა იქნეს მთავარი საბუღალტრო წიგნის იმ ჩანაწერთა ასლები, რომლებიც ეხება კაპიტალის ანგარიშებსა და ბალანსის ანგარიშებს, როგორც შემოწმების თარიღისათვის, ასევე პერიოდის ყველა იმ პერიოდისათვის, რომლებიც შეისწავლება შემოწმების ჩატარებისას. დამატებითი საბუღალტრო ჩანაწერები უნდა შეიცავდეს ჩვეულებრივი აქციების შემდეგ ანგარიშებს: პრივილეგირებული აქციების, ნომინალსა და ღირებულების, გაუნაწილებელი მოგების, კაპიტალის რეზერვის, სესხების შესაძლო ზიანაკარგების რეზერვის ჩათვლით.

✓ შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს, რომ საბუღალტრო ინფორმაცია სწორია და არ შეიცავს თანხების უცნაურ ან უჩვეულო მოძრაობას. მენეჯმენტისგან მიღებულ უნდა იქნეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია კაპიტალის ანგარიშებზე აღრიცხული თანხების შესახებ, იმ შემცირებებისა და ზრდის შესახებ, რომლებიც მოხდა შემოწმებებს შორის განვლილი პერიოდის განმავლობაში.

✓ მიღებულ უნდა იქნეს აქციონერთა ბოლო რეესტრის ასლი.

✓ უნდა მომზადდეს დიაგრამა, რომელიც აჩვენებს აქციონერთა კაპიტალის ზრდას, ბოლო შემოწმების თარიღიდან გასული დროის განმავლობაში. თუ შემოწმება პირველად ტარდება ბანკში, აქციონერთა კაპიტალის ცვლილება უნდა იყოს ასახული დაფუძნებიდან შემოწმების თარიღამდე. გარდა ამისა, უნდა მომზადდეს ანალოგიური დიაგრამა გასულ და მიმდინარე წელს

აქციონერთა კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

✓ კაპიტალის რიცხვითი მონაცემები უნდა შეუდარდეს ბანკის ბალანსს, დროის ყოველი პერიოდისათვის, რაც მოითხოვს თანამშრომლობას წმინდა მოგების ანალიზზე პასუხისმგებელ შემმოწმებელთან.

✓ განხილულ უნდა იქნეს ჩვეულებრივი აქციები, რომ დადგინდეს ბანკი იცავს თუ არა ძირითადი ხელშეკრულებების პირობებს და განისაზღვროს, არსებობს თუ არა ჩვეულებრივი აქციების ერთ კლასზე მეტი. თუ არსებობს ერთ კლასზე მეტი აქცია, განხილულ იქნეს ნებისმიერი უპირატესობის ან ხმის უფლების არქონის პირობები. თუ პირობები მოიცავს ასეთ ნიშნებს, უნდა განისაზღვროს, შეიძლება თუ არა ჩვეულებრივი აქციების მოცემული კლასი შედიოდეს პირველადი კაპიტალის შემადგენლობაში.

✓ უნდა განისაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე შეთანხმება ბანკის ორ ან მეტ აქციონერს შორის. მაგალითად, შეთანხმების საფუძველზე, ერთმა აქციონერმა შეიძლება შეიძინოს აქციები ბანკის სხვა აქციონერისგან, რომლის თანახმად აქციების შემძენს შეეძლება ამ აქციონერს მოსთხოვოს აქციების უკან გამოსყიდვა თავისვე მოთხოვნით. გარდა ამისა, აქციების შემძენმა პირმა შეიძლება თავის აქციებზე ხმის უფლება მიანიჭოს ძველ ან სხვა აქციონერს.

✓ უნდა განისაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე სახის შეთანხმება ბანკსა და არსებულ აქციონერებს შორის. მაგალითად, ბანკის სხვა აქციონერმა შეიძლება მოითხოვოს, რომ ბანკის მიერ შვილობილი საწარმოს შეძენამდე ან სხვა ბანკთან შერწყმამდე აუცილებელი გახდეს მისი წინასწარი თანხმობის მიღება.

✓ განხილულ უნდა იქნეს ნებისმიერი უვადო და ვადიანი პრივილეგირებული აქცია კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის, პირველად ან მეორად კაპიტალად სათანადო კატეგორიზაციისათვის, შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: პირველადი კაპიტალის უვადო პრივილეგირებულ აქციებს უნდა ჰქონდეთ ქვემდეგი მახასიათებლები:

✓ არ უნდა ჰქონდეთ ვადიანობა;

✓ აქციების მფლობელს არ უნდა შეეძლოს საკუთარი სურვილით აქციების მიყიდვა ბანკისათვის;

✓ არაკუმულატიურობა.

პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც ქვემდებარეობენ გარეშე შედიან მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში, არ გააჩნიათ ზემოთ ჩამოთვლილი, პირველადი კაპიტალის უვადო პრივილეგირებული აქციებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, კუმულატიური, ან ვადიანი პრივილეგირებული აქციები, რომლებიც არ შედიან პირველად კაპიტალში, უნდა შედიოდნენ მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში.

✓ განხილულ უნდა იქნეს სუბორდინირებული ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც შედიან მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში.

ასეთი ინსტრუმენტების კაპიტალში ჩართვასთან დაკავშირებულ შეზღუდვებთან შესაბამისობის დასადგენად უნდა შემოწმდეს, აღემატება თუ არა ამ ინსტრუმენტების საერთო მოცულობა პირველადი კაპიტალის 50%-ს და გააჩნიათ თუ არა მათ შემდეგი მახასიათებლები:

✓ არ არიან უზრუნველყოფილი;

✓ გამოშვებულია, მინიმუმ, 5 წლით სარგებლობის ვადით და ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ვალის 20 პროცენტით შემცირებული ოდენობით, იმ პირობით, თუ სუბორდინირებული ვალი მიღებულია ყოველგვარი უზრუნველყოფისა და გამოყენებაზე შეზღუდვების გარეშე;

✓ (1) ის არ არის დეპოზიტი, (2) ის არ არის მიღებული სახელშეკრულებო წესით მიერ, (3) შეუძლებელია მისი პირობების შეცვლა/ გაუქმება ვადაგასული ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე და (4) ბანკის

გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი დაფარვა მოხდება დეპოზიტორებისა და სხვა კრედიტორების გასტუმრების შემდეგ.

✓ შემოწმებულ უნდა იქნეს, აქვს თუ არა თითოეულ საბალანსო და ბალანსგარეშე მუხლს მინიჭებული შესაბამისი რისკის კატეგორია კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულების მოთხოვნების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მსესხებელს, გირაოს, გარანტიებს და რისკის კატეგორიის მინიჭებას მოთხოვნის ვადების საფუძველზე. მოთხოვნას უნდა მიენიჭოს რისკის კატეგორია ოპერაციის განხორციელების ვადების საფუძველზე. უნდა შემოწმდეს, ამართლებს თუ არა ბანკის დოკუმენტაცია რისკის კატეგორიის მინიჭებას. თუ საჭიროა, უნდა გადაანგარიშდეს რისკით შეწონილი აქტივების ღირებულება.

✓ უნდა შემოწმდეს, რომ ყველა ბალანსგარეშე მუხლი კონვერტირებული იყოს კრედიტ-ეკვივალენტურ თანხაში კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულების მოთხოვნების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გამოსყიდვის უფლებით გაყიდული აქტივების, ფინანსური და სტენდბაი აკრედიტივების, ბალანსგარეშე ოპერაციებში მონაწილეობის და ვალდებულებების სათანადო აღრიცხვას.

განხილულ უნდა იქნეს კაპიტალის დაქვითვები, როგორიცაა მაგალითად არამატერიალური აქტივები შემდეგი პროცედურების განხორციელებით:

✓ უნდა შემოწმდეს ადეკვატური ინფორმაციის არსებობა საწყის, საბალანსო ღირებულებასა და ამორტიზაციის მეთოდთან დაკავშირებით;

✓ შემოწმდეს, ხორციელდება თუ არა არამატერიალური აქტივების შემცირება ამორტიზაციის მეთოდის შესაბამისად და იმ შემთხვევაში, თუ საბალანსო ღირებულება აღემატება საბაზრო ღირებულებას, ხდება თუ არა მათ შორის სხვაობის, ან არამატერიალური აქტივის მთლიანად ჩამოწერა;

✓ დადგინდეს, ახორციელებს თუ არა ბანკი ყველა არამატერიალური აქტივის ხარისხის და ღირებულების კვარტალურ განხილვას;

✓ შემოწმდეს, ხდება თუ არა გადაფასების რეზერვის და არამატერიალური აქტივების გამოკლება პირველადი კაპიტალიდან.

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება

კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კაპიტალის ღირებულების ბანკის ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში, პრობლემური და უხარისხო აქტივებისა და ბალანსგარეშე საქმიანობის ბუნება, სიღრმე და მიმართულება; ბანკის ბალანსის შემადგენლობა; ბანკის არსებული და დაგეგმილი ზრდა და ბანკის მენეჯმენტის სიძლიერე. დამატებით გასათვალისწინებელია, ბანკის წმინდა შემოსავლის სიდიდე, ანუ ბანკის უნარი, მიიღოს და შეინარჩუნოს საკმარისი მოცულობის წმინდა მოგება, დივიდენდების გაცემის გონივრულობა, მენეჯმენტის მიერ ფინანსურ ბაზარზე დამკვიდრებისა და ფინანსური დახმარების სხვა წყაროების მოძიების უნარი, მენეჯმენტის სტრატეგია კაპიტალის შენარჩუნების ან ზრდის საკითხებში, ბანკის ადგილმდებარეობა და კონკურენტუნარიანობა.

შემოწმების პროცედურები მოიცავს:

◆ ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასებას, რისთვისაც:

✓ მიღებულ უნდა იქნეს შემოწმების შედეგები შემმოწმებლებისაგან, რომლებიც ამოწმებენ ბანკის საქმიანობის სხვა სფეროებს, აგრეთვე, მოპოვებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ბანკის კაპიტალზე;

✓ შესწავლილ უნდა იქნეს ბანკის მიმდინარე და წინა ფინანსური საქმიანობა. გაანალიზდეს ყველა მონაცემები იმ მიზნით, რომ დადგინდეს, ხომ არა აქვს ადგილი არათანაბარ ზრდას ან შემცირებას;

✓ გაანგარიშებულ უნდა იქნეს კაპიტალის და აქტივების ზრდის ტემპი და ყურადღებით განხილული ნებისმიერი პრიორიტეტული თანაფარდობა, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან ურთიერთკავშირში.

✓ იზრდება თუ არა კაპიტალი აქტივებთან შედარებით. ზრდის ტემპი გამოითვლება შემდეგნაირად: მიმდინარე კვარტლის ბოლოსათვის მთლიან მონაცემებს აკლდება წინა წლის იმავე კვარტლის მთლიანი მონაცემები და იყოფა წინა წლის იმავე კვარტლის მონაცემებზე.

◆ უახლესი ფინანსური ინფორმაციის გამოყენებით უნდა გაანალიზდეს კაპიტალთან დაკავშირებული შესაბამისი კოეფიციენტები, ეს კოეფიციენტები უნდა შეუდარდეს მსგავსი ბანკების ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს და შესწავლილ იქნეს ჯგუფის საშუალოსგან მნიშვნელოვანი გადახრების ცვლილების ტენდენციები.

◆ უნდა განისაზღვროს, არის თუ არა კაპიტალი საკმარისი აქტივებსა და ვალდებულებებში ნებისმიერი არასტაბილურობის ან დანაკლისის (რაც იწვევს ლიკვიდობის შემცირებას) კომპენსაციისათვის.

◆ უნდა შეფასდეს ბანკის დეპოზიტების და ნასესხები სახსრების ცვლილების ტენდენციები, რათა განისაზღვროს ხდება თუ არა კაპიტალის შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომ ბანკმა არ დაკარგოს დეპოზიტორების და კრედიტორების ნდობა.

◆ უნდა შეფასდეს აქტივების ხარისხის კაპიტალზე გავლენა. კაპიტალის ადეკვატურობა შეიძლება საეჭვო იყოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კაპიტალის კოეფიციენტები მაღალია, ხოლო აქტივების ხარისხი დაბალი;

◆ შესწავლილ უნდა იქნეს საკრედიტო პორტფელის შემოწმების შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ და პოტენციურ პრობლემურ სესხებს. ასეთი განხილვის საფუძველზე უნდა განისაზღვროს საკრედიტო პორტფელის ხარისხი, ასევე, პრობლემური სესხების რა პროცენტულ წილს შეადგენს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი;

◆ დადგინდეს ჩამოსაწერი სესხების დაგეგმილი მოცულობა;

◆ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის არაადეკვატურობის შემთხვევაში უნდა გაანალიზდეს მიმდინარე და პოტენციური დანაკარგების გავლენა ბანკის კაპიტალის სტრუქტურაზე;

◆ მოპოვებული და შესწავლილი უნდა იყოს საინვესტიციო პორტფელის შემმოწმებლის მიერ მიღებული შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მენეჯმენტის მიმდინარე საინვესტიციო აქტივობასთან დაკავშირებულ რისკის დონეს. განსილვის შედეგად უნდა განისაზღვროს, არის თუ არა შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელი;

◆ განისაზღვროს მენეჯმენტის კომპეტენტურობის დონე, არის თუ არა მენეჯმენტი ჩართული სარისკო საინვესტიციო საქმიანობაში, ახორციელებს თუ არა ბანკი ინვესტიციებს არამყარ ფასიან ქაღალდებში, რადგან ამ უკანასკნელის ღირებულების სწრაფმა ცვლილებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალის დონეზე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ჩართულია ჰეჯირების ოპერაციებში და/ან შესაფერისი კონტროლის განხორციელებისა და შესაბამისი უზრუნველყოფის გარეშე იძენს ფინანსურ ინსტრუმენტებს (ფასიან ქაღალდებს), ამან შეიძლება მოკლე პერიოდში დიდი დანაკარგები გამოიწვიოს, რაც ნეგატიურად იმოქმედებს ბანკის კაპიტალზე.

◆ გაანალიზებულ უნდა იქნეს ისეთი აქტივები, როგორიცაა სახაზინო ვალდებულებები, რომლებიც საბალანსო უწყისში სათანადოდ არ არის შეფასებული და ნაჩვენებია საბაზრო ღირებულებაზე დაბალი ღირებულებით. სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის შეიძლება დამატებით დამცავ მექანიზმს წარმოადგენდეს ბანკისათვის.

◆ განხილულ უნდა იქნეს დანაკარგების შთანთქმის მექანიზმი, რომელიც შეიძლება შექმნილი იყოს ნებისმიერი სუბორდინირებული ვალის მიერ, რომელიც არ შედის მეორადი კაპიტალის

შემადგენლობაში, რადგან პირველადი კაპიტალის მაქსიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს.

◆ გაანალიზებულ უნდა იქნეს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკი და დადგენილი, უნდა გააძლიეროს თუ არა ბანკმა თავისი კაპიტალის პოზიცია რისკის დონიდან გამომდინარე.

◆ შეაფასებულ უნდა იქნეს გარესაბალანსო მუხლების პოტენციური გავლენა. გარესაბალანსო ანგარიშები წარმოადგენს გარკვეული სახის ვალდებულებებს. ბანკს შეიძლება მოსთხოვონ მათი შესრულება. ამიტომ, ეს ანგარიშები შესწავლილ უნდა იქნეს საბალანსო ანგარიშების მსგავსად. სახელდობრ:

✓ გარესაბალანსო ოპერაციები შესწავლილ უნდა იქნეს ამ საკითხის შემოწმებაზე პასუხისმგებელ შემმოწმებელთან ერთად;

✓ მოიპოვებულ უნდა იქნეს ინფორმაცია გარესაბალანსო ანგარიშების მოცულობისა და სახეობების შესახებ;

✓ უნდა დადგინდეს მომავალი მოთხოვნილება სახსრებზე, ამ სახსრების წყაროები და მათი მიღების ვადები.

◆ შესწავლილ უნდა იქნეს ბალანსის შედგენილობა, რომელიც გვიჩვენებს, წარმოიქმნა თუ არა ბანკში აქტივების და/ან ვალდებულებების ზედმეტი კონცენტრაცია და ხომ არ იჩენს მენეჯმენტი რისკისადმი ზედმეტ ტოლერანტობას. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არსებობს კაპიტალის შემცირების მაღალი რისკი. ბანკს, რომლიც იჩენს რისკისადმი მიდრეკილებას და რომლის ბალანსში კონცენტრაციის დონე მაღალია, სჭირდება უფრო დიდი მოცულობის კაპიტალი, შესაბამისად, უნდა დადგინდეს როგორც აქტივების, ასევე ვალდებულებათა კონცენტრაცია, შემმოწმებელთა ჯგუფთან ერთად უნდა განისაზღვროს ბანკის საქმიანობის რისკიანობა.

◆ შესწავლილ უნდა იქნეს ბანკის შემოსავლების დაგეგმვა, რათა განისაზღვროს მიმდინარე და პოტენციური მოგების დონე. შემმოწმებელს უნდა შეეძლოს კაპიტალის უზრუნველყოფის სქემის განსაზღვრა ბანკის მოგებასთან მიმართებაში. დაბალმა შემოსავლებმა შეიძლება პირდაპირი გავლენა იქონიოს კაპიტალზე, რადგან ზარალიან ბანკს არ შეუძლია გაზარდოს, ან შეინარჩუნოს თავისი კაპიტალი საკუთარი სახსრებით, შესაბამისად, მოგების ანალიზზე მომუშავე შემმოწმებლისგან მოპოვებულ უნდა იქნეს ინფორმაცია მიმდინარე და მოსალოდნელი წმინდა მოგების ოდენობის შესახებ, შესწავლილ უნდა იქნეს, თუ როგორ ხდება მოგების განაწილება წარსულში, ბანკის მენეჯმენტთან ერთად განხილულ უნდა იქნეს მისი გეგმები შემოსავლების ზრდის შესახებ.

◆ უნდა შეფასდეს დივიდენდების გაცემის მიზანშეწონილობა. გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის მიმდინარე (არსებულ) დონეზე და მომავალ მოთხოვნებზე. უნდა განისაზღვროს, გონივრულია თუ არა ბანკის მიერ შემოთავაზებული დივიდენდების ოდენობა. კერძოდ,

✓ მოიპოვებულ უნდა იქნეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს იმ სხდომების ოქმების ასლები, რომლებშიც ასახულია დივიდენდების განაცხადება წინა შემოწმებიდან გასული პერიოდის განმავლობაში;

✓ გაანგარიშებულ უნდა იქნეს დივიდენდების კოეფიციენტი მიმდინარე პერიოდისათვის და შემოწმების აქტში წარმოდგენილი პერიოდის ბოლოსათვის: წლიურად გადაანგარიშებული გაცხადებული დივიდენდები, როგორც წლიურად გადაანგარიშებული წმინდა მოგების პროცენტი.

◆ უნდა შეფასდეს ბანკის უნარი, მოიპოვოს კაპიტალის დამატებითი წყაროები. იმ ბანკს, რომელსაც არა აქვს უნარი უზრუნველყოს საკმარისი ოდენობის კაპიტალი, გამუდმებით სჭირდება კაპიტალის გარეშე წყაროები. დიდ, დამოუკიდებელ ორგანიზაციებს კაპიტალის ბაზრებიდან სახსრების მოზიდვის მეტი შესაძლებლობა აქვთ. შედარებით მცირე ორგანიზაციები, დამატებითი სახსრების მოპოვებისას ან ახალი აქციების გამოშვებისას, ძირითადად, იმედებს ამყარებენ აქციონერებზე ან ბანკის მაკონტროლებელ ჯგუფზე. აღნიშნულის გათვალისწინებით:

✓ მენეჯმენტისგან მიღებულ უნდა იქნეს კაპიტალის ზრდის გეგმები გარეშე წყაროების გამოყენებით, თუ ეს ინფორმაცია არ არის ჩართული ბანკის კაპიტალის პოლიტიკაში, მენეჯმენტს მოეთხოვება მისი მომზადება;

✓ შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მენეჯმენტის მიერ მოყვანილი ინფორმაცია შესაბამისობაშია იმ ინფორმაციასთან, რომელიც მოყვანილია ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა ბანკის ბიზნეს გეგმა.

◆ პერიოდულად სებ-მა შეიძლება ცვლილებები შეიტანოს კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულებაში მოთხოვნით, რომ მომავალში, გარკვეული ტიპის აქტივებმა (ცალკე ერთად ან ეტაპობრივად), მონაწილეობა არ მიიღონ კაპიტალის გამოთვლაში. ასეთ შემთხვევაში ანალიტიკოსმა უნდა იცოდეს, თუ როდის უნდა განხორციელდეს ამ აქტივების დაქვითვა და უნდა განსაზღვროს სამომავლო დაქვითვების გაელენა ბანკის საზედამხედველო კაპიტალის პოზიციაზე.

◆ ანალიტიკოსმა უნდა იცოდეს, მოეთხოვება თუ არა ბანკს საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის გაზრდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს ბანკებს ჩვეულებრივ მოეთხოვებათ. მაღალი კოეფიციენტის მოთხოვნა შეიძლება საჭირო გახდეს იმ რისკების გამო, რომლებიც არაა აღნიშნული საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტებში. მაგალითად, ბანკს შეიძლება ჰქონდეს იმ კომპანიებზე გაცემული სესხების ჭარბი კონცენტრაცია, რომლებიც ეკონომიკის ერთსა და იმავე სექტორში ეწევიან საქმიანობას.

◆ ინფორმაციის შემოწმების შემდეგ უნდა შედგეს შეხვედრა მენეჯმენტთან, ბანკის კაპიტალის მდგომარეობის განხილვის მიზნით, განხილული საკითხებისა და მენეჯმენტის მიერ გაცემული პასუხების შესახებ ჩანაწერების განხორციელებით.

შემოწმების შედეგები

მას შემდეგ, რაც ინსპექტორი დაასრულებს შემოწმების ყველა პროცედურას და მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას, მან წერილობით უნდა მოამზადოს ბანკის კაპიტალის პოზიციის ადეკვა-

ტურობის ანალიზი, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგი: კაპიტალის და დივიდენდების პოლიტიკის შეფასების შედეგები, კაპიტალის ანგარიშების სისწორის შემოწმების შედეგები, კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული შედეგები. კაპიტალის პოლიტიკის შეფასების შემოწმების შედეგმა უნდა ასახოს ინფორმაცია:

◆ კაპიტალის პოლიტიკა იყო თუ არა სრული და შეიცავდა თუ არა ბანკის განაცხადს, თუ უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალის მოცულობის რეალურ ზედა და ქვედა ზღვრებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მინიმალური მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, ბანკის მენეჯმენტს განხორციელებული აქვს თუ არა ბანკის კაპიტალზე მოთხოვნილების ანალიზი და თუ აქვს ასახული რეალური და შესრულებადი მიზნები და ამოცანები.

◆ აღნიშნული პოლიტიკა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს ბანკისათვის სავალდებულო სხვა დოკუმენტებთან. თუ პოლიტიკა წარმოშობს კითხვებსა და შენიშვნებს, ის არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად და მენეჯმენტს უნდა მოეთხოვოს მისი შესწორება.

◆ პოლიტიკის მიზანია ბანკის მენეჯმენტი უზრუნველყოს ეფექტიანი რეკომენდაციებით და უჩვენოს მას მოქმედების სწორი მიმართულებანი კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფის საკითხში. განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა პოლიტიკა თავის დანიშნულებას, როგორც კაპიტალის მართვის ინსტრუმენტი.

◆ შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს, არღვევს თუ არა მენეჯმენტი ამ პოლიტიკას და თუ ასეა, რა ზომები იქნა მიღებული.

◆ გააანალიზოს დივიდენდების პოლიტიკის შეფასების შემოწმების შედეგები.

◆ ნათლად და მოკლედ უნდა განისაზღვროს, წარმოადგენს თუ არა დივიდენდების პოლიტიკა მენეჯმენტის, სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა გადაწყვეტილებებს, თუ როდის და როგორ უნდა მოხდეს დივიდენდების გაცხადება და გადახდა.

◆ უნდა განისაზღვროს, მიზანშეწონილია თუ არა დივი-
დენდების გადახდა.

◆ უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა ისეთი შემთხვევების
როდესაც ხდება პოლიტიკის დარღვევა და თუ ხდება, როგორ ღო-
რა ზომებს იღებენ ასეთ შემთხვევაში.

კაპიტალის ანგარიშების სისწორის შემოწმება

◆ უნდა დადგინდეს კაპიტალის ანგარიშების სისწორე.
კაპიტალის ანგარიშების გადამოწმების შემდეგ შემმოწმებელმა
შეიძლება განსაზღვროს, შეიცავს თუ არა ბანკის ანგარიშები
სწორ ინფორმაციას. ფინანსური ინფორმაციის უზუსტობა არის
სერიოზული შეშფოთების მიზეზი. თუ ასეთ შემთხვევებს აქვს
ადგილი, ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვან ხარვეზად
და უნდა მოხდეს მოთხოვნა დაუყოვნებელი ზომების მიღებისთვის
მენეჯმენტის მხრიდან. შემმოწმებელმა უნდა აღნიშნოს მენეჯ-
მენტის გეგმები ასეთი ზომების მიღებასთან დაკავშირებით.

◆ უნდა განისაზღვროს, არსებობს თუ არა უცნაური, ან
არაჩვეულებრივი მოძრაობა კაპიტალის ანგარიშებზე. წერილობით
ანალიზში უნდა აიხსნას ასეთი მოძრაობის და კაპიტალის
მოცულობის ცვლილების მიზეზები.

◆ უნდა დადგინდეს მყოფადი და სახედამხედველო კაპიტალის
გამოთვლების სისწორე.

◆ უნდა დადგინდეს კაპიტალის ადეკვატურობასთან
დაკავშირებული შემოწმების შედეგები

◆ უნდა განისაზღვროს ბანკის საერთო ფინანსური მდგო-
მარეობა, სახელდობრ:

✓ წარმოიშვა თუ არა ბანკის სხვა სფეროების შემოწმების
შედეგად ისეთი საკითხები, რომლებიც იწვევენ განსაკუთრებულ
შეშფოთებას, საჭიროებენ კომენტარს და რომლებმაც შეიძლება
ნეგატიურად იმოქმედონ ბანკის კაპიტალზე. თუ არსებობს ასეთი
შეშფოთების მიზეზები, მაშინ, შემმოწმებელმა უნდა დაადგინოს
მათი სერიოზულობა და მიუთითოს ამის შესახებ თავის ანა-
ლიზში;

✓ ახდენს თუ არა ბანკის მიერ ვალდებულებების შესრულება
ხელსაყრელით ან უარყოფით გავლენას ბანკის კაპიტალის მდგო-
მარეობაზე;

✓ დადებითია თუ არა კაპიტალის ზრდის ტემპი. ზოგ შემთ-
ხვევაში, როდესაც კაპიტალის ზრდა უსწრებს აქტივების ზრდას,
ეს კარგ მაჩვენებლად ითვლება. აქტივების ზრდა სასურველია,
მაგრამ, როდესაც აქტივები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე
ბანკის კაპიტალი, მენეჯმენტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ
ფაქტს, რადგან შეიძლება კაპიტალის ოდენობა შემცირდეს იმი-
ტომაც, რომ უზრუნველყოს ბანკის ოპერაციების წარმოება. გარდა
ამისა, როცა აქტივები კაპიტალზე უფრო სწრაფად იზრდება, ეს
შეიძლება მიუგვანიშნებდეს იმაზე, რომ მენეჯმენტი ინვესტირებას
ახორციელებს არაშემოსავლიან, ან შემოსავლიან უმოქმედო
ქონებაში. ინსპექტორი ამ საკითხებს დაწვრილებით უნდა შეეხოს
თავის დასკვნაში.

◆ აქტივების ხარისხის კაპიტალზე გავლენის დასადგენად
უნდა განისაზღვროს:

✓ პრობლემური სესხების გავლენამ კაპიტალზე. სესხების
ზარალის დანაკარგების რეზერვის არაადეკვატურობამ საკრედიტო
პორტფელის შემოწმების შედეგად რეკომენდირებულ სესხების
ჩამოწერასთან ერთად შეიძლება გავლენა იქონიოს კაპიტალის
ოდენობაზე. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ საყურად-
ღებოდ ან საეჭვოდ კლასიფიცირებულმა სესხებმა შეიძლება მომა-
ვალში ნეგატიურად იმოქმედონ ბანკის კაპიტალზე. შემოწმების
შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უნდა გაიზარდოს კაპიტალი
საკრედიტო პორტფელის და სესხების ადმინისტრირების არაადეკ-
ვატურობის გამო.

✓ ის გავლენა, რომელსაც მიმდინარე ინვესტიციები ახდენენ
კაპიტალზე. თუ საინვესტიციო პორტფელისა და საინვესტიციო
საქმიანობის შემმოწმებელი დაადგენს, რომ ბანკი ჩართულია
რისკიან საქმიანობაში, მან მაღალი რისკის განეიტრალების

მიზნით შეიძლება მიზანშეწონილად მიიჩნიოს კაპიტალის დონის გაზრდა.

◆ უნდა დადგინდეს, თუ რა გავლენას მოახდენს კაპიტალზე გარე საბალანსო საქმიანობა.

◆ უნდა განისაზღვროს გარესაბალანსო საქმიანობის დონე და დადგინდეს, როდის და რა სახის ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას და რა პოტენციურ გავლენას იქონიებენ ისინი კაპიტალის მდგომარეობაზე, თუ ამ ვალდებულებათა დაფარვის აუცილებლობა წარმოიქმნება.

◆ განისაზღვროს ის გავლენა, რომელსაც ბანკის ბალანსის შემადგენლობა ახდენს ბანკის კაპიტალზე. დადგინდეს, მოახდენს თუ არა გავლენას ბანკის კაპიტალზე აქტივებისა და ვალდებულებების კონცენტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მენეჯმენტი ცდილობს აწარმოოს საქმიანობა ეკონომიკის ერთ სექტორში, მაგ. მშენებლობასა და ნავთობში, ამასთან, ამ სექტორში იმყოფება ბანკის როგორც მეანაბრეთა, ასევე, მსესხებელთა შემოსავლის ძირითადი წყაროები, ბანკის რისკი ავტომატურად გაიზრდება. აგრეთვე, გაიზრდება რისკი იმ დარტყმებისა, რომლებიც შეიძლება განიცადოს ბანკის კაპიტალმა. ასეთ შემთხვევაში, თუ საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა მიჩნეული იქნება არაადეკვატურად, მენეჯმენტს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია გაზარდოს კაპიტალი.

◆ უნდა განისაზღვროს არსებული და მომავალი შემოსავლების გავლენა კაპიტალის მოცულობაზე. შესაბამისად:

✓ უნდა დადგინდეს, აპირებს თუ არა მენეჯმენტი მიმართოს ბანკის წმინდა შემოსავალი კაპიტალის გაზრდის გარდა სხვა მიზნებისთვის და რა გავლენას მოახდენს ეს კაპიტალზე;

✓ განისაზღვროს, წარმართავს თუ არა ბანკის მენეჯმენტი წმინდა მოგებას კაპიტალის საჭიროებისათვის და ახდენს თუ არა მოგების განაწილება ნეგატიურ გავლენას ბანკის კაპიტალზე;

✓ ანალიზში უნდა მიეთითოს მენეჯმენტის გეგმები [illegible] დონის შენარჩუნებასთან დაკავშირებით და [illegible] განისაზღვროს, რამდენად რეალურია ისინი.

◆ უნდა განისაზღვროს სტრეს-ტესტის შედეგები.

◆ განისაზღვროს დივიდენდების გაცემის მიზანშეწონილობა, [illegible] სულდობრ:

✓ ახდენს თუ არა ნეგატიურ გავლენას ბანკის კაპიტალზე [illegible] დივიდენდების გამოცხადება და/ან გადახდა. ახდენენ თუ არა [illegible] ბანკის აქციონერები დივიდენდების გადახდას თავისთვის მანამ, [illegible] არ დაკმაყოფილდება ბანკის მოთხოვნილება კაპიტალზე;

✓ ყველა გაანალიზებული ფაქტორის და კაპიტალის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, დადგენილ უნდა იქნეს მაღალია თუ [illegible] დივიდენდების გადახდის კოეფიციენტი. კოეფიციენტის [illegible] შეიძლება აჩვენოს, რომ დივიდენდების მოცულობა [illegible] ოპტიმალურია;

✓ იფარება თუ არა დივიდენდებისათვის განკუთვნილი თანხები მიმდინარე (არსებული) წმინდა შემოსავლის ხარჯზე, ან ხომ [illegible] ხდება მათი დაფარვა ნასესხები სახსრების ან უჩვეულო და [illegible] ერთჯერადი შემოსავლების ხარჯზე, მაგ. აქტივების გაყიდვის ხარჯზე. იმ დივიდენდებმა, რომელთა დაფარვა ხდება არა მიმდინარე წმინდა შემოსავლის ხარჯზე, შეიძლება მოახდინონ ნეგატიური გავლენა ბანკის კაპიტალის დონეზე. ეს განსაკუთრებით [illegible] ეხება ისეთ ბანკებს, რომლებშიც შემოსავლის დონე დაბალია, კაპიტალი არაადეკვატურია და არსებობს სხვა სერიოზული პრობლემები.

◆ განისაზღვროს, ბანკის მენეჯმენტის უნარი, გამოიძებნოს კაპიტალის დამატებითი წყაროები, სახელდობრ:

✓ რეალურია თუ არა მენეჯმენტის გეგმები, გაზარდოს ბანკის კაპიტალი გარეშე წყაროების ხარჯზე;

✓ გააჩნია თუ არა მენეჯმენტს რეალური შესაძლებლობა, შეასრულოს ის დასახული ამოცანები, რომლებიც მოცემულია მის

VI თავი

საინვესტიციო პორტფელის ანალიზი

შინაარსი:

- საკრედიტო პორტფელის განხილვა და კლასიფიკაცია;
- ბანკის ინსპექტორის მიერ სესხების განხილვა და კლასიფიცირება;
- ბანკის აქტივების ხარისხის შეფასების ამოცანები.

ძირითადი ელემენტები:

- საკრედიტო პოლიტიკის ამოცანები;
- საკრედიტო პოლიტიკის პასუხისმგებლობის სფეროები;
- ინსპექტირებაზე გაცემული სესხები;
- ტერიტორიული ლიმიტები;
- საკურველი/არასასურველი სესხები;
- კლასიფიცირებული სესხების ამოღება და ჩამოწერა;
- სულახალი გაყიდვის ხელშეკრულებით შესყიდული ფასიანი ქაღალდები;
- საკრედიტო პრინციპების დათმობა.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 6.1. გაცემული სესხის კლასიფიკაციის მაგალითი.

სტრატეგიულ გეგმაში. საბანკო კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობა

◆ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონისა და სხვა წესების ნებისმიერი დარღვევა უნდა იქნეს აღწერილი და შეტანილი შემოწმების აქტში ცალკე გვერდად – „კანონმდებლობისა და წესების დარღვევები“.

შემოწმების შედეგები და დასკვნითი წერილობითი ანალიზი უნდა გადაეცეს შემოწმების ხელმძღვანელს ან დანიშნულ პირს განსახილველად. შემოწმების ხელმძღვანელმა უნდა განიხილოს მთლიანი აქტი შინაარსის და თანმიმდევრულობის თვალსაზრისით. ანალიზში არსებული შეცდომები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა შესწორდეს შემოწმების ჯგუფის ბანკში მივლინების დასრულებამდე.

შემმოწმებლებმა უნდა მოამზადონ სამუშაო დოკუმენტები, სადაც დასაბუთებულია გამოტანილი დასკვნები. ამასთან, დამხმარე დოკუმენტებიდან სამუშაო დოკუმენტებში ინსპექტორს შეუძლია ჩაინიშნოს მენეჯმენტთან დისკუსიის შედეგები ან ე. წ „წითელი ალმები“, ანუ ის სფეროები, რომლებზეც ყურადღება უნდა გამხვილდეს მომდევნო შემოწმებებისას. სამუშაო დოკუმენტები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შემდეგი შემოწმების საწყისი წერტილი.

VI თავი

საკრედიტო პორტფელის ანალიზი

შინაარსი:

6.1. საკრედიტო პორტფელის განხილვა და კლასიფიკაცია;
6.2. ბანკის ინსპექტორის მიერ სესხების განხილვა და კლასიფიცირება;
6.3. ბანკის აქტივების ხარისხის შეფასების ამოცანები.

ძირითადი ელემენტები:

1. საკრედიტო პოლიტიკის ამოცანები;
2. საკრედიტო პოლიტიკის პასუხისმგებლობის სფეროები;
3. ინსაიდერებზე გაცემული სესხები;
4. გეოგრაფიული ლიმიტები;
5. სასურველი/არასასურველი სესხები;
6. ვადაგადაცილებული სესხების ამოღება და ჩამოწერა;
7. ხელახალი გაყიდვის ხელშეკრულებით შესყიდული ფასიანი ქაღალდები;
8. საკრედიტო პრინციპების დათმობა.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 6.1. გაცემული სესხის კლასიფიკაციის მაგალითი.

6.1. საკრედიტო პორტფელის განხილვა და კლასიფიკაცია

ინსპექტორის მიერ საფინანსო დაწესებულების საკრედიტო პორტფელის განხილვის მიზანია ბანკის საკრედიტო ოპერაციების საერთო შეფასება თითოეული საკრედიტო ფუნქციის მონაცემთა კონსოლიდაციის გზით. ასეთი შეფასების განსახორციელებლად ტარდება ოთხი საწყისი შეფასება: ბანკის სესხების საბოლოო დაბრუნებადობა, მენეჯმენტის ხარისხი, საბანკო წესებთან და დებულებებთან შესაბამისობა, მენეჯმენტის მიერ საკრედიტო პორტფელთან დაკავშირებული რისკის მართვის მიზნით გამოყენებული პოლიტიკის და პროცედურების ადეკვატურობა.

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასება ხორციელდება შემოწმების თაობაზე განკარგულებაში დაფიქსირებული თარიღისთვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. აღნიშნული თარიღის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ტრანზაქციები (მოთხოვნების დაფარვა და ა.შ.) შემოწმების შედეგებზე გავლენას არ იქონიებენ.

საკრედიტო პორტფელის და საკრედიტო ფუნქციის მიმოხილვა და შეფასება ბანკის მიზნით წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს ბანკის აქტივების ხარისხის და ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასებისას. ბანკში წარმოშობილი საკრედიტო რისკის უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია საკრედიტო პორტფელთან. მცირე გამონაკლისების გარდა, სუსტი მართვის ან სხვა პირობების შედეგად, საკრედიტო პორტფელში არსებული პრობლემები განაპირობებენ ბანკების წარუმატებლობას. სესხის გაცემის და თვით სესხების ადმინისტრირების პროცესი არის ბანკის რისკის მართვის ძირითადი ნაწილი. ამგვარად, საკრედიტო ფუნქცია და მასთან დაკავშირებული საქმიანობები უფრო დიდი ყურადღებით უნდა შემოწმდეს ბანკის სხვა სფეროებთან შედარებით. შემმოწმებლები განიხილავენ ცალკეულ სესხს მათი ხარისხის დასადგენად, მაგრამ ამ პროცესის ჭეშმარიტი მიზანი არის ბანკის მენეჯმენტის უნარის

შესაფასებლად – განახორციელოს საკრედიტო პორტფელის ადმინისტრირება. სესხების განხილვის შედეგად ბანკის მდგომარეობის და ოპერაციების ხარისხის შესახებ გამოტანილ დასკვნებს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ბანკის საბოლოო შეფასებისას. სესხების შეადგენენ უმეტესი ბანკების აქტივების სტრუქტურის ძირითად ნაწილს. მოგებიანობის ზრდის მოთხოვნა, ლიკვიდობასთან დაკავშირებული მისაზრებები და ცვალებადი საკრედიტო მოთხოვნები გაართულებენ პორტფელის შესწავლას, რადგან კონკურსული მიზნების მიღწევა ხშირად დაბალანსებული უნდა იყოს.

საკრედიტო პორტფელის შეფასება უფრო ფართო ამოცანაა, ვიდრე ცალკეული სესხის მიმოხილვა. მთლიანი სასესხო ანგარიშების გონივრულ მართვას და ადმინისტრირებას, სესხის გაცემის და ამოღების პოლიტიკების ჩათვლით, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება დამაკმაყოფილებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საქმეში.

საუკეთესო ბანკები თავიანთ საკრედიტო საქმიანობას წარმართავენ იმ სისტემების საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სესხების სიჯანსაღეს, დაბრუნებადობას და ბანკის ფულადი სახსრების მოგებიან ინვესტირებას. საკრედიტო რისკის მართვის პროცესი ოთხი ეტაპისაგან შედგება, მათ შორის:

- სესხის გაცემა, სადაც განისაზღვრება ბიზნესის შესაძლებლობები და ხდება საკრედიტო რისკის შეფასება, დამტკიცება და დოკუმენტურად გაფორმება;
- დებიტორების და პორტფელის კონცენტრაციის ზედამხედველობა, სადაც რისკის მონიტორინგი ხორციელდება;
- დავალიანების ამოღება;
- საკრედიტო რისკის განხილვა, რომელიც მოიცავს დამოუკიდებელ შემოწმებას სესხის გაცემის სტადიიდან მის ამოღებამდე.

ეს ეტაპები მხარდაჭერილი უნდა იქნეს ბანკის პოლიტიკით, პროცედურებით, კონტროლის მექანიზმებით და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებით.

საკრედიტო პოლიტიკა ნათლად უნდა განსაზღვრავდეს და აღწერდეს დაწესებულების საკრედიტო პორტფელის ამოცანებს; როგორც ეს განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ასეთი პოლიტიკა იძლევა ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების საშუალებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და ხელმძღვანელობის მხრიდან, რადგან საკრედიტო პოლიტიკის ფორმულირება და მისი განხორციელების კონტროლი მათი ფუნქციაა. წერილობითი პოლიტიკის არსებობა მნიშვნელოვანია სათანადო საკრედიტო პრაქტიკის დანერგვისათვის. პოლიტიკის არარსებობისას საკრედიტო ოფიცრებმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება ყოველგვარი მითითების გარეშე და არაგონივრულად გასცენ სესხი (ბანკის ბუნების და ოფიცრის ტექნიკური კომპეტენტურობის გათვალისწინებით). ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული წერილობითი საკრედიტო პოლიტიკის არსებობა მიუთითებს სესხის გაცემის მიმართ სერიოზული და გონივრული მიდგომის არსებობაზე; წერილობითი საკრედიტო პოლიტიკის არმქონე ბანკებმა შეიძლება წარუმატებლობა განიცადონ საერთო მიმართულების ან კონკრეტული მითითებების განსაზღვრაში. ასეთი სისუსტის არსებობა უნდა აღინიშნოს ადგილზე შემოწმების პროცესში.

ინსპექტორებმა, რეკომენდაციებისა და მოთხოვნების საფუძველზე, ხელი უნდა შეუწყონ საკრედიტო პოლიტიკის დახვეწას, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. პერიოდულად უნდა მოხდეს პოლიტიკის განახლება ბანკის კონკურენტული სტრატეგიების ცვლილების ან კლიენტთა ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად. ბანკის საკრედიტო პორტფელის შემადგენლობა უმეტესწილად დამოკიდებულია იმ საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელსაც ბანკი ემსახურება. არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერ საკრედიტო პოლიტიკაში, ბანკის სიდიდის და ადგილმდებარეობის მიუხედავად.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა შინაარსით და სტრუქტურით განსხვავებული იქნება სხვადასხვა ტიპის ბიზნესში, საკრედიტო პოლიტიკაში სულ ცოტა განხილული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

საკრედიტო პოლიტიკის ამოცანები – ნებისმიერი საკრედიტო პოლიტიკის ამოცანა ზოგადად მიმართულია აქციონერების გრძელვადიანი უკუგების მაქსიმიზაციისაკენ, ადეკვატური ლიკვიდობისა და ბიზნესის დივერსიფიკაციისაკენ, პოლიტიკისა და პროცედურების ერთგვაროვნების უზრუნველყოფისაკენ, კანონებთან და დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისაკენ და საზოგადოების კანონიერი საკრედიტო მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ. პოლიტიკა ფუნქციონირებს როგორც ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შედგენილი ინსტრუქციების ნაკრები, რომელიც მითითებებს აწვდის მენეჯმენტს ყოველდღიურ საკრედიტო და სესხების ადმინისტრირების საქმიანობაში.

საკრედიტო პოლიტიკის პასუხისმგებლობის სფეროები – სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია საკრედიტო პოლიტიკის შექმნაზე, დამტკიცებაზე, დანერგვასა და განხილვაზე. მის მიერ საკრედიტო პორტფელის მონიტორინგი, როგორც ეს განსაზღვრული უნდა იყოს პოლიტიკაში, ხორციელდება ხელმძღვანელობის კონტროლის მეშვეობით საკრედიტო კომიტეტის სხდომებზე დასწრებისას. საკრედიტო ოფიცრები ინდივიდუალურად არიან პასუხისმგებელი საკრედიტო პორტფელის შესაბამისობაზე არსებულ პოლიტიკასთან. ეს პასუხისმგებლობები ზოგადად განსაზღვრული უნდა იყოს საკრედიტო პოლიტიკაში.

საბანკო მიზნების მიღწევის სტრატეგიები – სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება განსაზღვროს ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის გეგმიური მაჩვენებლები, როგორიცაა ლიკვიდობის კოეფიციენტები, კაპიტალის კოეფიციენტები, პორტფელის შემადგენლობა, ბანკის შიდა საკრედიტო ლიმიტები და სხვა მსგავსი მაჩვე-

ნებლები, რომლებიც წარმართავენ მენეჯმენტის ყოველდღიურ საქმიანობას.

უფლებამოსილება – საკრედიტო პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს პრუდენციულ ლიმიტებს საკრედიტო ოფიცრებისთვის უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტებთან დაკავშირებით (გამოცდილებიდან და უნარიდან გამომდინარე). საკრედიტო პოლიტიკა უნდა აღწერდეს მეთოდს, რომლის საშუალებითაც მოხდება სესხების დამტკიცება და შემდგომ სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშგების წარდგენა.

ინსაიდერებზე გაცემული სესხები – ინსაიდერებზე გაცემული სესხები უნდა ექვემდებარებოდეს იმავე სტანდარტებს, რასაც ნებისმიერ მსესხებელზე გაცემული სესხები და შესაბამისობაში უნდა იყოს პრუდენციულ საბანკო ნორმატივებთან. უფლებამოსილებასა და დაფინანსებაზე დაწესებული კონტროლის სისტემების საშუალებით პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, ინსაიდერებზე გაცემული კრედიტების იურიდიულ ნორმებთან და სესხის გაცემის სტანდარტებთან შესაბამისობა.

გამონაკლისები – საკრედიტო პოლიტიკა იძლევა ძირითად სქემას იმ კრედიტებისათვის, რომლებსაც სამეთვალყურეო საბჭო სასურველად მიიჩნევს. ამან არ უნდა შეზღუდოს ბანკი კრედიტის გაცემისგან შემარბილებელი გარემოებების შემთხვევაში, თუკი საკრედიტო ოფიცერი თვლის, რომ მოცემული სესხი განხილვის ღირსია, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს შესაბამისობაში ბანკის საკრედიტო პოლიტიკასა და პროცედურებთან. პოლიტიკის პარამეტრების ფარგლებს გარეთ ნებისმიერი კრედიტის დამტკიცების შემთხვევაში, გამონაკლისის მიზეზი წერილობითი ფორმით დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს შესაბამის სტრუქტურას (სამეთვალყურეო საბჭოს). სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ყველა გამონაკლისი გარკვეული პერიოდულობით.

შეზღუდვების შენიშვნა – გამონაკლისების სიხშირე შეიძლება ასახავდეს სესხის გაცემის სტანდარტების შესუსტების შესახებ პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის შესახებ, რათა უზრუნველყოს დამატებითი მოქნილობა ჯანსაღი და უსაფრთხო საკრედიტო პარამეტრების შენარჩუნებით. ხშირი გამონაკლისების მიზეზების შეფასების შემდეგ უნდა მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები.

გეოგრაფიული ლიმიტები – სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ბანკის ჩვეულებრივი საქმიანობის არეალს გარდა იმ გარემოებებს, როდესაც მენეჯმენტმა შეიძლება გასცეს კრედიტი აღნიშნული არეალის ფარგლებს გარეთ.

სასურველი/არასასურველი სესხები – სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დანერგოს პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ბანკის საკრედიტო საქმიანობის სფეროებს და ამ სფეროებში მითითებებს სხვადასხვა ტიპის კრედიტების გაცემის შესახებ. ამასთან, უნდა იყოს აღწერილი დაკრედიტების იმ ტიპების აღწერა, რომლის განხორციელებაც არ სურს სამეთვალყურეო საბჭოს.

უზრუნველყოფა – პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს უზრუნველყოფის (უძრავი ქონება, ავტომანქანა და ა.შ) ღირებულების ლიმიტებს გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობის შესახებ. პოლიტიკა, ასევე, უნდა განსაზღვრავდეს სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფის შეფასების მეთოდებს და თითოეული უზრუნველყოფილი სესხისთვის საკრედიტო ფაილის მოთხოვნებს.

სესხის ფასწარმოქმნა – სესხის ფასწარმოქმნა არაზუსტი მეცნიერებაა, რომელზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. როცა სესხის ფასწარმოქმნა იცვლება ფულადი სახსრების ღირებულების და მოსალოდნელი ინფლაციის პროგნოზირებული განაკვეთის გამო, პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს განაკვეთის დადგენის სტანდარტები. სულ ცოტა, სესხებზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი საკმარისი უნდა იყოს რომ დაფაროს:

- გასესხებული სახსრების თვითღირებულება;

• ბანკის საკრედიტო მომსახურების ხარჯები (ზედნადები ხარჯების ჩათვლით);

• შესაძლო დანაკარგები;

• მოგების მარჟა.

პერიოდული განხილვა (ყოველთვიური ან უფრო ხშირი) საშუალებას იძლევა მოხდეს განაკვეთების კორექტირება თვითღირებულების, კონკურენტული ფაქტორების ან გარკვეული ტიპის კრედიტებთან დაკავშირებული რისკების ცვლილების შესაბამისად. კონკრეტული მითითებები სხვა დანარჩენი ფაქტორებისათვის, როგორიცაა საკომპენსაციო საბალანსო მოთხოვნები და საკომისიო (ერთეულები), ასევე, შეიძლება ახდენდეს გავლენას სესხების ფასწარმოქმნაზე.

კრედიტების კონცენტრაციები – საკრედიტო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მენეჯმენტის მიერ საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის შენარჩუნება, სექტორზე გაცემული მთლიანი სესხების მინიმალური და მაქსიმალური კონცენტრაციის დონეების (როგორც მთლიანი საკრედიტო პორტფელის პროცენტი) განსაზღვრით. როდესაც სისუსტე შეიმჩნევა გარკვეულ სექტორში, ეს გავლენას ახდენს ამ სექტორში გაცემულ თითოეულ სესხზე. როდესაც შესუსტებულ, ცვალებად ან გაუარესებული მდგომარეობის მქონე სექტორზე გაცემული სესხების ხვედრითი წილი მთლიან საკრედიტო პორთფელში ზომიერია ან მაღალი, ბანკი მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის. პოლიტიკა უნდა ასახავდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამატებითი რისკის შეფასებას სხვადასხვა კონცენტრაციის შემთხვევაში და განსაზღვრავდეს რომელი კონცენტრაცია უნდა იქნეს თავიდან აცილებული ან შეზღუდული. მისაღები კონცენტრაციებისათვის საკრედიტო პოლიტიკის დადგენილი მაქსიმუმი არ უნდა აღემატებოდეს პრუდენციული საბანკო ნორმატივებით დადგენილ შეზღუდვებს.

ვადაგადაცილებული სესხების ამოღება და ჩამოწერა – პოლიტიკა ნათლად უნდა განმარტავდეს კრედიტების ამოღებაზე პასუ-

სისრულებელი საკრედიტო ოფიცრის მიერ შესასრულებელ პროცედურებს. პოლიტიკა უნდა აღწერდეს სისტემას, რომელსაც მენეჯმენტი იყენებს ვადაგადაცილებულ სესხებთან მიმართებაში, ასევე, ინსტრუქციებს შეტყობინების/დავალიანების ამოღების პროცედურებს, რომლებიც უნდა იყოს სისტემური, კარგად დოკუმენტირებული და ეფექტური. ეს ბანკის საკრედიტო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. როდესაც სესხის გაცემა ხდება, მნიშვნელოვანია ადრეული ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭო ინფორმირებული იყოს ვადაგადაცილებული სესხების ამოღებისა და მათი ჩამოწერის შესახებ. საკრედიტო პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს ადრეული გაფრთხილების დავალიანებების შესახებ არსებული ინფორმაციის სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენის კრიტერიუმებს და პროცედურებს. სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენილი ანგარიშები უნდა შეიცავდეს საქმარის ინფორმაციას რისკის ფაქტორების, დანაკარგების პოტენციალის და ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ. უფრო მეტიც, უნდა განისაზღვროს მითითებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა ანგარიში წარდგენილი ან განხილული იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ან სესხების საკითხების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს განსაკუთრებული კომიტეტის მიერ.

კატეგორიის მიხედვით განაწილება – სხვადასხვა სასესხო კატეგორიაზე ლიმიტების (როგორც ხვედრითი წილი მთლიან სესხებში) დაწესება ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ლიმიტები პრუდენციული საბანკო ნორმატივების შესაბამისად. მაგ., ერთ ინსაიდერზე გაცემული კრედიტების მთლიანი ოდენობა, ერთ აუტსაიდერზე გაცემული სესხების მთლიანი რაოდენობა, ყველა ინსაიდერზე გაცემული სესხების მთლიანი ოდენობა და გრძელვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი. ბანკის საკრედიტო საქმიანობის ღახვეწასთან ერთად, დამატებითი ლიმიტები, როგორიცაა სესხების შეფარდება დეპოზიტებთან, აქტივებთან და კაპიტალთან (კრედიტების კონცენტრაციებთან კავშირში),

მენეჯმენტს მიაწვდის დამატებით ინსტრუმენტს პორტფელის ეფექტური მართვისათვის.

სესხების გაყიდვა და შესყიდვა – სესხების გაყიდვის ან შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, მათ შორის, ლიკვიდობასთან, პოლიტიკასთან ან პრუდენციული საბანკო ნორმატივების ლიმიტებთან, კონკრეტული სექტორის კონცენტრაციებთან, არსებულ კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნების სურვილთან ან აქტივების და ვალდებულების ფუნქციის მართვის სამართლებრივ სტრატეგიასთან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჭარბ შესყიდვას შეიძლება მოჰყვეს კრედიტების მიუღებელი კონცენტრაცია. პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს შესაბამის ლიმიტებს. პოლიტიკაში განხილული უნდა იყოს და ხორციელდებოდეს უსაფრთხო და ჯანსაღი ფუნქციონირების შემდეგი სტანდარტები:

გაყიდვა, რომელიც ბანკის მიერ უნდა განხორციელდეს შემდგომი მოთხოვნის უფლების გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ:

- გამყიდველი და მყიდველი ბანკები იზიარებენ რისკებს და ხელშეკრულებით გადასახდელ თანხებს პროპორციულად;
- გამყიდველი ბანკი უნდა იყოს ზოგადად პასუხისმგებელი საწყისი საკრედიტო ფაილის წარმოებაზე, მონაწილე ბანკისთვის ყველა სათანადო დოკუმენტის გაგზავნით;
- კავშირი მონაწილე ბანკებს შორის უნდა იყოს ორმხრივი, მდგომარეობის გაუარესების დროული აღნიშვნით. პრობლემურ კრედიტებთან დაკავშირებული გეგმები შეიძლება განხორციელდეს გამყიდველი ბანკის მიერ ან ორივე ბანკის შეთანხმებული მოქმედებით.

შესყიდვა, რომლის დროსაც ყველა შესყიდული კრედიტი უნდა ექვემდებარებოდეს იგივე საკრედიტო პარამეტრებს, როგორც იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მოახდენდა კრედიტის გაცემას:

- მეთოდი, რომელიც გამოყენებულ იქნება სესხების მომსახურებისათვის, ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული გამყიდველ და მონაწილე ბანკებთან კავშირში;
- უნდა განისაზღვროს მითითებები ინფორმაციის ტიპთან და გამყიდველი ბანკისგან საჭირო ინფორმაციის სიხშირესთან დაკავშირებით, რათა ინფორმაცია სრულად იყოს წარმოდგენილი კრედიტის სტატუსის შესახებ.

მაქსიმალური ვადიანობა – სესხების გაცემა უნდა მოხდეს დაფარვის რეალური გეგმის, დაფარვის სავარაუდო წყაროსთან დაკავშირებული ვადიანობის, სესხის მიზნობრიობის და უზრუნველყოფის მოხმარების ვადის გათვალისწინებით. სპეციფიკური მითითებები უნდა შემუშავდეს სესხის თითოეული ტიპისათვის, მაგ. კომერციული სესხებისათვის, იპოთეკური სესხებისათვის, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისათვის და ა.შ.

სესხის რაოდენობის გირაოს ღირებულებასთან ფარდობის მაქსიმალური კოეფიციენტი – საკრედიტო პოლიტიკა მისაღები გირაოსათვის უნდა განსაზღვრავდეს პროცედურებს, ისევე როგორც გირაოს სანაცვლოდ გაცემული სესხის ოდენობას (პროცენტულად). ბანკის საკრედიტო პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს მითითებებს გირაოს ღირებულების შეფასებისათვის და განახლების და გადავადების შემთხვევაში მისი ხელახალი შეფასებისათვის.

სხვა – საკრედიტო პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს იმ სესხების ტიპებს, რომლებსაც მენეჯმენტი სასურველად ან დაუშვებლად თვლის. მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი პოლიტიკა, პროცედურები და საინფორმაციო სისტემები, რათა უზრუნველყოს ბანკის საკრედიტო საქმიანობის საპროცენტო განაკვეთის რისკზე გავლენის ანალიზი, მონიტორინგი და მართვა. ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მიექცეს ბალანსგარეშე ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საკრედიტო შეთანხმებებთან, ვალდებულებების, აკრედიტივების ან სვოპების ჩათვლით.

საკრედიტო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს, თუ რა ინფორმაციის წარმოდგენა მოეთხოვება მსესხებელს განაცხადის შეტანისას და რა ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მსესხებელმა კრედიტის დაფარვამდე. პოლიტიკაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ სიდიდის მიუხედავად ყველა მსესხებლისათვის იწარმოება საკრედიტო ფაილები და მასში უნდა შედიოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- მსესხებლის საქმიანობის იდენტიფიკაცია;
- მსესხებლის წარსული და მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები; მსესხებელზე გაცემული ყველა სესხის მიზნობრიობა, დაფარვის წყარო და დაფარვის პროგრამა;
- გირაო, მისი ღირებულება და შემფასებელი. მსესხებელთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი ოფიცერი, ასევე, უნდა აწარმოებდეს საკრედიტო ფაილებს. საკრედიტო ფაილის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ყველა ფინანსური დოკუმენტი, გირაოს შემოწმების დოკუმენტები, სარეკომენდაციო წერილები, ძველი საკრედიტო განაცხადები, კორესპონდენცია და შეფასების დოკუმენტები.

იმ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა სახის სესხი მოითხოვს ინფორმაციის განსხვავებულ ნაკრებს, საკრედიტო პოლიტიკა ნათლად უნდა განსაზღვრავდეს ბანკის მიერ გაცემული სესხების შესახებ საჭირო ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:

სამომხმარებლო და იპოთეკური სესხები – სესხის გაცემის დროს, ჩვეულებრივ, ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: მსესხებლის შემოსავალი და სამსახურის სტაბილურობა, საკრედიტო ისტორია (თუ ხელმისაწვდომია), ვალის სიმძიმე, რომელიც განისაზღვრება როგორც სესხი/შემოსავალის წმინდა შემოსავალი და სესხი/გირაო თანაფარდობა.

აქტივებით გამყარებული საკრედიტო საქმიანობა – მაშინ, როცა ფინანსური ინფორმაცია ასრულებს გარკვეულ როლს სესხის გაცემის პროცესში, გირაო (განსაკუთრებით, ისეთი აქტივები, როგორებიცაა დებიტორული დავალიანება, მარაგები, მანქანები

[illegible]ვალდებულება) საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვეულებრივ განახლებად (რევოლვერულ) საკრედიტო ხაზებთან დაკავშირებული საკრედიტო გადაწყვეტილების ემყარება მსესხებლის არსებულ გირაოს, სადაც გადავადება ან გადახდა დამოკიდებულია უფრო გირაოს ხელმისაწვდომობაზე, ვიდრე გადახდისუნარიანობაზე. ასეთი ტიპის საკრედიტო საქმიანობის წარმატება მდგომარეობს მსესხებლის საბანკო უწყისის მთლიანობაში და გირაოს არსებობაში (რომელიც ყოველთვიურად ან უფრო ხშირად ხორციელდება), ბალანსის ანგარიშსწორებულებისა და ლიკვიდურობის მონიტორინგში. რამდენადაც სესხის დაფარვა დამოკიდებულია უფრო გირაოზე, ვიდრე ფულის ნაკადებზე, გირაოს ღირებულების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია.

ფაქტორინგი – ფაქტორინგი არის ბანკის კლიენტის დებიტორული დავალიანების შესყიდვა შემდგომი მოთხოვნის უფლების [illegible]. ჩვეულებრივ, ბანკი ასეთ დავალიანებას დისკონტით იძენს. ფაქტორინგი განსხვავდება დებიტორული დავალიანების დაფინანსებისაგან იმით, რომ ბანკი იღებს ამ დავალიანებასთან დაკავშირებულ საკრედიტო და ამოღების რისკს; დებიტორული დავალიანების (აქტივებით გამყარებული) დაფინანსების დროს აღნიშნული რისკები კლიენტიდან ბანკზე არ გადადის. ტიპური ფაქტორინგული ხელშეკრულებით ბანკი იძენს კლიენტის დებიტორულ დავალიანებას. იმის გამო, რომ ბანკი საკუთარ თავზე იღებს საკრედიტო რისკს, ბანკის საკრედიტო განყოფილებამ უნდა აწარმოოს საკრედიტო ფაილი კლიენტის თითოეული დებიტორისათვის, რომლის განახლებაც უნდა მოხდეს განუწყვეტლივ, რამდენადაც შესყიდვები და გადახდა ხორციელდება დებიტორთა მიერ. ამასთან, თითოეული კლიენტის დებიტორს უნდა ჰქონდეს მინიჭებული საკრედიტო ხაზი. შეძენილი დებიტორული დავალიანების [illegible]დიანობა და თითოეული დებიტორის ინდივიდუალური საკრე-

დიტო ხაზის ხელმისაწვდომობა აუცილებელია აქტივების გასა-
ანალიზებლად.

კომერციული იპოთეკური და სასოფლო-სამეურნეო სესხები – მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სესხის დაფარვის პროცესში წარმოებული ბიზნესის ფინანსურ სიძლიერეს, მოგებიანობას და ფულადი სახსრების მიმოქცევას. რადგან გირაო არის სესხის დაფარვის მეორადი წყარო, ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის და მოგებიანობის მონიტორინგი (ბიზნესის ტიპიდან გამომდინარე, შეიძლება იცვლებოდეს ყოველთვიურად ან ყოველწლიურად) მნიშვნელოვანი ფაქტორია ასეთი ტიპის კრედიტების ჯანსაღი ადმინისტრირების პროცესში. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისთვის გირაოს შემოწმების დოკუმენტაცია ან შემოსავლიანი კომერციული იპოთეკური კრედიტებისთვის საიჯარო/ქირის ინფორმაცია შეიძლება, ასევე, საჭირო იყოს სესხების ადმინისტრირების პროცესში. ბანკი შეიძლება ითხოვდეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ბიზნესმა უნდა შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა, წარმოადგინოს პერიოდული ფინანსური დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

ფინანსური დოკუმენტები – რადგან მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ დოკუმენტებში არსებული მონაცემები შეიძლება იცვლებოდეს კრედიტის ტიპიდან გამომდინარე, საკრედიტო პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს მოთხოვნებს ფინანსურ დოკუმენტებთან დაკავშირებით (ბიზნესისა და ფიზიკური პირებისათვის). კერძოდ, წლიური და შუალედური საბალანსო უწყისების მოთხოვნა, მოგება-ზარალის და ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისები, დოკუმენტი კაპიტალის ანგარიშების ცვლილების შესახებ, აგრეთვე, ნებისმიერი დამხმარე ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი. გაცემული კრედიტის ტიპის ან მოთხოვნილი ფინანსური დოკუმენტების მიუხედავად, გონივრული საკრედიტო პრაქტიკა მოითხოვს, რომ საკრედიტო ოფიცერმა მოიპოვოს ახალი

ფინანსური დოკუმენტები მსესხებლისთვის სესხის განახლებამდე, ...ის გაგრძელებამდე ან დამატებითი თანხის გაცემამდე.

საკრედიტო პოლიტიკის და პროცედურების განხილვის და ...ვასების შემდეგ, ინსპექტორი მომზადებულია განიხილოს და ...ვასოს ბანკის მიერ გაცემული ინდივიდუალური სესხები და ...არკვიოს იცავს თუ არა მენეჯმენტი საკრედიტო პოლიტიკას. ...სპექტორმა უნდა ჩაინიშნოს საკრედიტო პოლიტიკის შეუსრულებლობის ყველა შემთხვევა და მზად უნდა იყოს მენეჯმენტთან ...ი განსახილველად.

ბანკებს შეიძლება ჰქონდეთ ცალკე საკრედიტო პროცედურები, ...ებიც დაწვრილებით მითითებებს შეიცავენ ცალკეული ტიპის სესხებთან დაკავშირებული პოლიტიკის დანერგვისათვის და ...იცავენ საკრედიტო ადმინისტრირების გარკვეულ სფეროებს. ...ედურები, ძირითადად, ეხება ბიზნესის ტიპებს, მსესხებელთან ...კავშირებულ სათანადო ფინანსურ ინფორმაციას, საკრედიტო ...ების წარმოებას, სესხის დაფარვის გრაფიკებს, პროცედუ...ების გატარებას, პერიოდულ განხილვას, წარმოებულ და ...სავრცელებელ ანგარიშგებებს.

ბანკის პოლიტიკა და პროცედურები უნდა მოიცავდეს სესხის წარმოების ყველა საფეხურს. ესენია: საწყისი სტადია, გამოკვლევა და ანალიზი, დამტკიცების პროცედურები, განახლება და ვადის გაგრძელება, დოკუმენტაცია, გირაოს კონტროლი და შემოსული თანხის განაწილება. სისტემებსა და პროცედურებში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს საკრედიტო ანალიზზე, გირაოს შეფასებაზე, საკრედიტო გადაწყვეტილებაზე და დამტკიცების შემდგომ განხილვის სისტემაზე. საკრედიტო ანალიზის პროცესში ფულადი სახსრების მიმოქცევის სრულყოფილი შესწავლის მეშვეობით ყურადღება უნდა გამახვილდეს მსესხებლის სამომავლო ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრაზე. როდესაც საკრედიტო გადაწყვეტილება ემყარება გირაოს ღირებულებას, დამოუკიდე-

ბელი დროული შეფასება საჭიროებულია საკმარისი უზრუნველყოფის არსებობის ჩათვლით.

ჩვეულებრივმა მსესხებელმა საკუთარი საქმიანობიდან უნდა მიიღოს შემოსავალი, რათა დაფაროს დავალიანება საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად. ზოგიერთი მსესხებელი საქმიანობის წარმართვის მიზნით იყენებს ნასესხებ სახსრებს იმ მოცულობით, რომლის მომსახურებაც შესაძლებელია არსებული ბიზნესით. მსესხებელზე კრედიტის გაცემა ხდება ჩვეულებრივი საბანკო ურთიერთობებიდან გამომდინარე კონკრეტული ბანკის ან სხვა ბანკების მიერ. სესხის განახლება და გახანგრძლივება, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, უნდა ექვემდებარებოდეს იგივე პროცედურებს, როგორც ახალი ოპერაცია აუტომატური დამტკიცების გარეშე. აღნიშნული უნდა მოიცავდეს საფუძვლიან, ხელახალ შეფასებას და საკრედიტო ანალიზს.

კრედიტების კონცენტრაცია არის სესხის გაცემა ერთ მსესხებელზე, დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე, ერთ სფეროში ან ეკონომიკურ სექტორში დასაქმებულ მსესხებლებზე ან ბანკის ჩვეულებრივი საქმიანობის სფეროს გარეთ დაკავებულ მსესხებლებზე.

რისკის ჭარბი კონცენტრაცია ერთ მსესხებელზე, დარგზე თუ ეკონომიკურ სექტორზე, ქვეყანაზე თუ საქმიანობაზე წარმოადგენს ბანკის დანაკარგების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. ისტორიულად, ბანკები კრახს განიცდიდნენ, რადგან დიდი ოდენობის კრედიტებს გასცემდნენ კლიენტთა ჯგუფზე, უძრავი ქონების ან სამომხმარებლო ბაზრებზე ან სპეკულაციურ ოპერაციებში მონაწილეებზე, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იყო სავალუტო ოპერაციების მაღალ რისკიანობასთან. მსხვილ მსესხებლებზე დიდი მოცულობის კრედიტების გაცემის შეზღუდვა ერთგვარი ზომაა, რომელსაც შეიძლება დადებითი გავლენა ჰქონდეს იმ თვალსაზრისით, რომ კრედიტები ხელმისაწვდომი გახდება მსესხებელთა ფართო ჯგუფისათვის.

კრედიტების კონცენტრაციის ეკონომიკური ნორმატივის უკან არსებული პრინციპი არის რისკების დივერსიფიკაცია. იმდენადაც სესხები, ჩვეულებრივ, შეადგენენ ბანკის აქტივების ოდენ ნაწილს, რისკის კონცენტრაცია, ძირითადად, უტოლდება კრედიტის კონცენტრაციას, კერძოდ, ცალკეულ კლიენტზე და დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ კრედიტს. ეს ხშირად იწვევს:

◆ ისეთი კრედიტის გაცემას, როდესაც ბანკის მენეჯმენტმა შეიძლება დაკარგოს ობიექტურობა მსხვილ მსესხებლებზე კრედიტის გაცემის თვალსაზრისით, რომლებმაც შეიძლება მიიღონ კრედიტი ხელსაყრელი პირობებით და დაბალი საპროცენტო განაკვეთით და, ამგვარად, მენეჯმენტმა უარი უთხრას კრედიტის გაცემაზე სხვა ეფექტურ და სიცოცხლისუნარიან პროექტებს.

◆ პრობლემური სესხების დიდი მოცულობის წარმოშობას – როდესაც ბანკი დიდი ოდენობის თანხებს გასცემს ერთი მსესხებლის დასაფინანსებლად (ან ერთმანეთთან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფის), ამ უკანასკნელის კრახმა შეიძლება ბანკზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. ბანკი შეიძლება იძულებული გახდეს გასცეს კრედიტი წარუმატებელ მსხვილ მსესხებელზე, რათა გაუხანგრძლივოს მას არსებობა „მარადმწვანე“ სესხების მუდმივი განახლების გზით, რათა თავიდან აიცილოს საკუთარი გადახდისუუნარობა.

კრედიტების გაცემაზე შეზღუდვების დაწესება მიზნად ისახავს ერთი მსესხებლის, დაკავშირებული ჯგუფის, ან ეკონომიკური ან გეოგრაფიული სექტორის დაფინანსებით გამოწვეული რისკის შეზღუდვას. მსხვილმა მსესხებლებმა, რომელთაც სურთ დიდი მოცულობის თანხების სესხება, უნდა აიღონ სინდიკატური კრედიტები სხვადასხვა ბანკისგან.

ეკონომიკურ სექტორში კონცენტრაციას აქვს ადგილი, თუ ბანკის აქტივები კონცენტრირებულია კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორში, როგორიცაა უძრავი ქონება, სოფლის მეურნეობა ან საცალო ვაჭრობა. ეს ბანკს მგრძნობიარეს ხდის ფასების ცვლი-

ლების მიმართ. მაგალითად, სასაქონლო ფასების შემცირებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის მიერ სასაქონლო ვაჭრობის ან წარმოების დაფინანსებაზე. აქტივების დივერსიფიკაციის გარკვეული დონე, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ინვესტიციების ჩათვლით, შეამცირებს ასეთი კონცენტრაციების რისკს. ბანკები ხშირად იღებენ თავიანთ მოგებას ბაზრის გარკვეულ სეგმენტებში კონცენტრაციის შედეგად. ბანკის უნარი დაიცვას თავი რისკისაგან დამოკიდებულია კაპიტალის ადეკვატურობაზე, მენეჯმენტის ხარისხზე, ტექნიკურ ექსპერტიზასა და გამოცდილებაზე, რომელსაც იგი იყენებს ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისას. ბანკს უნდა ჰქონდეს რისკის მონიტორინგის და კონტროლის ადეკვატური და ეფექტური შიდა სისტემა.

ვადაგადაცილებულ სესხებთან და გადახდასთან დაკავშირებული პრობლემების დროული გამოვლენისათვის და ამ ფაქტის შესახებ სათანადო რგოლისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, ბანკებმა უნდა გამოიყენონ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები, რომლითაც განახორციელებენ ანგარიშგებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ✓ სესხები, რომელთა დაფარვის ვადა მოახლოვდა;
- ✓ ვადადამდგარი და გადაუხდელი სესხები და პროცენტები;
- ✓ ვადაგადაცილებული გადასახდელების ვადიანობის დინამიკა;
- ✓ დავალიანების მქონე კლიენტებთან დაკავშირებული სხვა რისკები;
- ✓ სესხების განახლება, ვადის გაგრძელება და ახალი გრაფიკის შედგენა;
- ✓ სესხებზე გადასახდელი პროცენტის სტატუსი;
- ✓ სესხის ხარისხი კლასიფიკაციის კატეგორიის მიხედვით;
- ✓ ჩამოწერილი სესხები და დარეზერვების ტენდენციები.

სესხის გაცემამდე ან განახლებამდე, ბანკის პოლიტიკა მსესხებლისგან უნდა მოითხოვდეს საკუთარი რესურსებით ან მესამე მხარის საშუალებით სესხის დაფარვის უნარის დემონსტრირებას.

[illegible] შემთხვევაში მსესხებლის მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს და ბანკს დასჭირდეს სესხის ამოღებაზე ზრუნვა. [illegible]შული კრედიტის ადმინისტრირების პროცესის გადამწყვეტი [illegible]დიაა ის ეტაპი, სადაც სესხები, რომლებიც პრობლემურად არ [illegible]ულებოდნენ, უნდა დაექვემდებარონ მონიტორინგს, რესტრუქტურიზაციას ან ლიკვიდაციას დადგენილი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. თუ არსებობს სესხის სრული ამოღების [illegible]ობა, ბანკმა უნდა სცადოს რისკის ხარისხის გაუმჯობესება მსესხებლის ვალის რესტრუქტურიზაციით და დამატებითი გირაოს [illegible]შუალებით. თუ ფინანსური მდგომარეობის გაუარესება შეუქცევადია, ბანკმა უნდა დაიწყოს აქტიური მოქმედება ძირითადი თანხის [illegible] პროცენტის ამოსაღებად. აღნიშნული გულისხმობს სასამართლო პროცესის წარმართვას, დაყადაღებას ან დასაკუთრებას. ამ სტადიაზე სესხი გადაყვანილ უნდა იქნეს ნეგატიურ კატეგორიაში [illegible] მოხდეს მისი კლასიფიცირება და დარეზერვება ამოსაღები [illegible]ერებულების ასახვით.

ბიზნესზე და კერძო პირებზე კომერციული და საწარმოო მიზნით გაცემულ სესხებს, ჩვეულებრივ, „კომერციულ სესხებს“ უწოდებენ, რომლებიც შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ან [illegible]აუზრუნველყოფილი, გრძელვადიანი ან მოკლევადიანი.

მოკლევადიანი საბრუნავი კაპიტალის შევსების მიზნით გაცემული და სეზონური სესხები წარმოადგენენ დროებით კაპიტალს. ისინი გამოიყენება სეზონური მოთხოვნების დასაფინანსებლად და მათი დაფარვა სეზონის ბოლოს ხდება მარაგებისა და დებიტორული დავალიანების ფულად ქცევით. ასეთი სესხები შეიძლება არ იყოს უზრუნველყოფილი; საბრუნავი კაპიტალის შევსების მიზნით გაცემული მრავალი სესხი გაიცემა დებიტორული დავალიანების და/ან მარაგების გირაოს ქვეშ. ფირმები, რომლებიც მონაწილეობენ წარმოებაში, დისტრიბუციაში, საცალო ვაჭრობაში და მომსახურებაზე ორიენტირებულ ბიზნესში, იყენებენ მოკლევადიან სესხებს საბრუნავი კაპიტალის შესავსებად.

გრძელვადიანი ბიზნეს-სესხები, ძირითადად, განკუთვნილია კაპიტალური აქტივების (როგორიცაა ქარხნები და მოწყობილობები), შესაძენად. გრძელვადიან სესხებთან უფრო მეტი რისკია დაკავშირებული, ვიდრე მოკლევადიანთან, რადგან სესხი უფრო ხანგრძლივი პერიოდის განავლობაში რჩება დაუფარავი. უფრო მაღალი პოტენციური რისკის გამო გრძელვადიანი სესხები, ჩვეულებრივ, გირაოთია უზრუნველყოფილი და საჭიროებს ძირითადი თანხის რეგულარულ გადახდას, რათა ძირითადი თანხის ოდენობა შემცირდეს დროთა განმავლობაში. ზოგიერთ შემთხვევაში, ბიზნეს-სესხები შეიძლება გამოყენებული იყოს დროთა განმავლობაში აკუმულირებული და გადაუხდელი სეზონური სესხების ლიკვიდაციისათვის. ასეთი სესხი შეიძლება წარმოადგენდეს მსესხებლის წარსულ საოპერაციო პრობლემას და შეიძლება აღმოჩნდეს ამ პრობლემის გადაჭრის ქვეშ ეფექტური გზა.

დებიტორული დავალიანების საფუძველზე სესხის გაცემა კომერციული დაკრედიტების სფეციფიკური სფეროა, სადაც მსესხებელი სესხის მისაღებად დებიტორულ დავალიანებას იყენებს, როგორც გირაოს. კომპანიებს, რომლებიც დებიტორული დავალიანების საშუალებით იღებენ სესხს, მიეკუთვნებიან სწრაფად მზარდი კომპანიები, რომლებიც საჭიროებენ დაფინანსებას წლის განმავლობაში ისეთი ოდენობით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მათ მიერ არაუზრუნველყოფილი სესხის მოზიდვის შესაძლებლობას, ასევე, არასეზონური კომპანიები, რომელთა საბრუნაო კაპიტალი არასაკმარისია საკრედიტო ხაზის პერიოდული დაფარვისათვის და კომპანიები, რომლებიც წარსულში იღებდნენ არაუზრუნველყოფილ სესხებს, მაგრამ ამას ვეღარ ახერხებენ სესხის გაცემის სტანდარტების გამო.

ასეთი ტიპის დაფინანსებას რამდენიმე უპირატესობა გააჩნია როგორც მსესხებლის, ასევე, კრედიტორისათვის. მსესხებლის პოზიციიდან გამომდინარე, ეს არის საქმიანობის დაფინანსების და გაფართოების ეფექტური გზა, რადგან საგირავნო ბაზა ფართოვდება გაყიდვების ზრდასთან ერთად, რაც საშუალებას აძლევს მსესხებელს გამოიყენოს დისკონტი შესყიდვისას, ასევე, უზრუნველყოფს რევოლვერულ და განვრცობად საკრედიტო ხაზს და გადახდილი პროცენტი შეიძლება არ აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც გადახდილი იქნებოდა არაუზრუნველყოფილი სესხის უზრუნველსაყოფად.

ბანკის პოზიციიდან გამომდინარე, არსებობს რამდენიმე ხელსაყრელი გარემოება. იგი გასცემს შედარებით მაღალ-მომგებიან სესხს, აფინანსებს ბიზნესს და ახალ კლიენტებს. ის, ასევე, ამცირებს დანაკარგების რისკს, რადგან გაცემული თანხა დაკავშირებულია გირაოს-დებიტორული დავალიანების პროცენტულ ნაწილთან, რაც საშუალებას აძლევს ბანკს ურთიერთობა შეინარჩუნოს ძველ კლიენტებთან, რომლებიც თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ იღებენ არაუზრუნველყოფილ სესხებს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკამ, რომელიც ეხება დებიტორული დავალიანების სანაცვლოდ გაცემულ სესხებს, ყურადღება უნდა გაამახვილოს ფინანსური ინფორმაციის მოპოვებაზე და საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებაზე, რომელიც განსაზღვრავს: პროცენტულ რაოდენობას, მისაღებ დებიტორულ დავალიანებას, ერთი დებიტორული დავალიანების მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც გირაოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს, ანგარიშების შესახებ ინფორმაციას პერიოდების მიხედვით და დებიტორული დავალიანების მისაღებ განმარტებას, რომელიც ითვალისწინებს „ბრუნვას" ანგარიშებზე.

ფაქტორინგი – ფაქტორინგი დებიტორულ დავალიანებაზე დამყარებული საკრედიტო საქმიანობის კიდევ ერთი ფორმაა, მაგრამ კლიენტის დებიტორული დავალიანების მოცულობის საფუძველზე სესხის გაცემის ნაცვლად, ბანკი კლიენტისგან ყიდულობს ცალკეულ დებიტორულ დავალიანებას დისკონტით. ფაქტორინგით ხდება დებიტორული დავალიანების შესყიდვა შემდგომში მისი გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების გარეშე, იმ

შემთხვევაში თუ დებიტორი ვალს არ გადაიხდის. ბანკი მთლიანად იღებს საკრედიტო რისკს თითოეული დებიტორული დავალიანებისათვის. ფაქტიურად, ბანკი აფინანსებს ბანკის კლიენტის მომხმარებელს.

მაგალითად, კომპანია „A“ ყიდის 1,000,000 ლარის საქონელს შეთანხმების საფუძველზე, რომ მყიდველი დავალიანებას დაფარავს 90 დღის განმავლობაში. შემდეგ კომპანია ბანკს მიჰყიდის ამ დავალიანებას 950,000 ლარად. ბანკი კი „კომპანიის მომხმარებლისგან 90 დღეში მიიღებს 1,000,000 ლარს. ეს დისკონტი ბანკის წლიურად გადაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის (21%) ეკვივალენტურია.

ბანკის უნარი, შეისყიდოს დებიტორული დავალიანება მიყიდვის უფლების გარეშე, ეფუძნება მის უნარს მიიღოს ჯანსაღი საკრედიტო გადაწყვეტილება დებიტორული დავალიანების ხარისხთან დაკავშირებით. ამგვარად, ბანკი ასრულებს გამყიდველის საკრედიტო და საბუღალტრო განყოფილებების მოვალეობებს. ამიტომ აუცილებელია ბანკს ჰქონდეს სათანადო პოლიტიკა და პროცედურები დებიტორული დავალიანების ფაქტორინგის მართვისათვის, რაც გულისხმობს, საკრედიტო ინფორმაციის მოპოვებას, მისაღები ან დამაკმაყოფილებელი დებიტორული დავალიანების განსაზღვრას, დებიტორული დავალიანების მაქსიმალურ ვადიანობას, ნებისმიერი ერთი წყაროდან შესყიდულ მაქსიმალურ დებიტორულ დავალიანებას, ამოღების პრაქტიკას, შეფასების მექანიზმს და მოთხოვნასთან დაკავშირებულ სასურველ შეთანხმებას.

ოვერდრაფტი – ოვერდრაფტის წარმოქმნა ხდება მაშინ, როდესაც დეპოზიტის მფლობელი თავისი საბანკო ანგარიშიდან დახარჯავს დეპოზიტის ოდენობაზე მეტ თანხას. ამის გამო საბანკო ანგარიშზე წარმოიქმნება უარყოფითი ნაშთი, ანუ ოვერდრაფტი.

ოვერდრაფტების გამოყენება დაფინანსების მიზნით მართებული არ არის. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ფულადი სახსრები საჭიროა ხანგრძლივი ვადით. ოვერდრაფტების, როგორც დაფინანსების საშუალებად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დაფარვის ვადაც და ვადა არ არის განსაზღვრული, ასევე, სუსტი სტრუქტურის მქონე სესხების ადმინისტრირება რთულია. ამასთან, სესხი, რომელსაც არასათანადო სტრუქტურა აქვს, პრობლემებთან იქნება დაკავშირებული დაფარვის თვალსაზრისით, თუ საკრედიტო ინსპექტორი მუდმივ კავშირში არ იმყოფება მსესხებელთან. უპირველესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს სპეციფიკურ და შეთანხმებულ საკრედიტო პირობებს, ვიდრე თანხის გაცემას ყოველგვარი სტრუქტურის გარეშე.

სასოფლო-სამეურნეო სექტორზე გაცემული სესხები – ზოგადად სასოფლო-სამეურნეო ტიპის სესხები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად. ესენია: სეზონური, საშუალო და გრძელვადიანი სესხები.

სეზონური სესხების გამოყენება ხდება მარცვლეულის, საქონლის, ქიმიური ნივთიერებების შესაძენად, ასევე, მუშახელის და წლიური მოსავლის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების გასაწევად. დაფარვა, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია კარგ მოსავალზე ან საქონლის გაყიდვაზე. გრძელვადიანი სესხები, ჩვეულებრივ, გამოიყენება მანქანა-დანადგარების, სანაშენე პირუტყვის, მეწველი საქონლის შესაძენად და უძრავი ქონების დამატებით შესყიდვის ან შეკეთებისათვის. ამ სესხების დაფარვა ხდება ფულადი ნაკადებიდან მიღებული შემოსავლით. არსებობს სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტებასთან დაკავშირებული ორი ძირითადი რისკი, ესენია არახელსაყრელი კლიმატური პირობები და პროდუქციის ფასის ცვლილება. ეს ფაქტორები, ზოგად ეკონომიკურ გაურკვევლობასთან ერთად, რომელიც ნებისმიერ ბიზნესს ართულებს, ბანკებისთვის აუცილებელს ხდის სასოფლო-სამეურნეო სესხების სათანადო სტრუქტურის უზრუნველყოფას, რათა გან-

ხორციელდეს კერძო პირის არსებული და სამომავლო გადახდისუნარიანობის შეხამება. ეს ნიშნავს გადახდის პირობების შეხამებას მსესხებლის ფულის ნაკადის შემოდინების დროსთან და მოცულობასთან, რაც ემყარება მოსავლის აღების, ფასების, ხარჯების და საპროცენტო განაკვეთების პროგნოზირებას.

ბანკის სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტების პოლიტიკაში ქვემოთ რადღება გამახვილებულ უნდა იქნეს სულ ცოტა შემდეგ სფეროებზე: საკრედიტო ინფორმაციის მოპოვებაზე, სესხებისთვის გირაოთი უზრუნველყოფის აუცილებლობის ფაქტორებზე, გირაოს მისაღებ დირებულებაზე, გირაოსთან დაკავშირებულ ადეკვატურ დოკუმენტაციასა და შესაბამის საკრედიტო პირობებზე.

ბანკთაშორისი სესხები – ბანკთაშორის ბაზარზე გაცემული სესხები ხშირად ბანკის კრედიტების დიდ პროცენტულ ნაწილს შეადგენს. ეს სესხები წარმოადგენენ ჭარბი ლიკვიდობის მქონე ბანკების სახსრების განაწილებას იმ ბანკებზე, რომელთა დაფინანსების მოთხოვნილებას არ შეესაბამება სადეპოზიტო წყაროები. დაფინანსების ეს ტიპი მრავალი ბანკისთვის მათი ვალდებულებების დაფინანსების ძირითადი წყაროა.

ბანკთაშორის ბაზარზე სესხები არ არიან „რისკისგან თავისუფალი“, როგორც ეს ხშირად ითვლება, და ბანკირებმა, ისევე, როგორც საბანკო ზედამხედველებმა, უნდა გაითვალისწინონ ბაზარზე არსებული რისკი. როცა მოკლევადიანი სესხის გაცემა ხდება, ეს ოპერაცია შეიძლება გადაიზარდოს გრძელვადიან ოპერაციაში. საბანკო ზედამხედველმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ კრედიტორმა ბანკმა შეიძლება დაუშვას, რომ მსესხებელი ბანკის ფინანსური მდგომარეობა ეჭვს არ იწვევს სათანადო კვლევის და ანალიზის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორი ბანკი შეიძლება უნებურად აღმოჩნდეს გაუთვალისწინებელი რისკის წინაშე.

ინსპექტორებმა უნდა ურჩიონ ბანკის მენეჯმენტს ბანკთაშორისი დაკრედიტების მართვის პოლიტიკის დანერგვა. ეს პოლიტიკა

[illegible] განიხილავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ერთჯერადად გაცემული სესხის მაქსიმალური ოდენობა, ერთ ნებისმიერ პირზე გაცემული სესხის მაქსიმალური ოდენობა, ერთ ბანკზე გაცემული სესხის მაქსიმალური ოდენობა, მისაღები და დამტკიცებული მსესხებლების სია და სესხის სათანადო პირობები. როგორც სხვისმიერი სხვა ტიპის დაკრედიტების შემთხვევაში, მსესხებლის შეფასებისმარეობის სრულყოფილი საკრედიტო ანალიზი აუცილებელია როგორც სესხის გაცემამდე, ასევე, მის შემდეგ. ანალიზში, [illegible] თქმა უნდა, ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს მსესხებლის გადახდის უნარზე. ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული დაფარვის პირველწყარო და, ასევე, განსაზღვრული უნდა იყოს დაფარვის ალტერნატიული წყაროები, თუ პირველწყარო არ არის ლიკვიდებული ან არ არის საკმარისი. ბანკთაშორისი სესხების [illegible]ვალესობა არ არის უზრუნველყოფილი. გირაოთი უზრუნველყოფა არ უნდა გამოიწვიოს საფუძვლიან საკრედიტო ანალიზს, კრედიტორმა ბანკმა უნდა განიხილოს გირაოს მოთხოვნის შესაძლებლობა, თუ საკრედიტო შეთანხმებებს განმეორებადი ხასიათი აქვთ. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა მოკლევადიანი კრედიტი გრძელვადიანად იქცევა. როდესაც გადაწყვეტილების მიღება ხდება გირაოს გარეშე, სესხის გაცემის შესახებ კრედიტორ ბანკს უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთების წარმოდგენა, რომელიც ემყარება ბანკის მიერ ჩატარებული მსესხებლის საკრედიტო ანალიზის დასკვნებს.

როდესაც ბანკს არა აქვს ჩამოყალიბებული ბანკთაშორის დაკრედიტებასთან დაკავშირებით ოფიციალური პოლიტიკა ან არ ახორციელებს საკრედიტო ანალიზს ბანკებისთვის კრედიტის გაცემამდე და მის შემდეგ, ინსპექტორმა ეს საკითხი უნდა განიხილოს მენეჯმენტთან ერთად და სათანადო შენიშვნა ჩამოაყალიბოს შემოწმების აქტში. მნიშვნელოვანია ინსპექტორმა განუმარტოს მენეჯმენტს, რომ მათი შენიშვნები მიმართული არ არის იქით რომ მენეჯმენტმა ეჭვი შეიტანოს მსესხებელი ბანკის ფი-

ნანსურ მდგრადობაში, არამედ ისინი მიმართულია იქით, რომ მენეჯმენტმა გააცნობიეროს ბანკთაშორის ბაზარზე დაკრედიტების რისკი და მიიღოს სათანადო ზომები მის შესამცირებლად.

ხელახალი გაყიდვის ხელშეკრულებით შესყიდული ფასიანი ქაღალდები – ხელახალი გაყიდვის ხელშეკრულებით შესყიდულ ფასიან ქაღალდებს, ხშირად ხელახალი გაყიდვის ხელშეკრულებებს, ან უკურეპოს უწოდებენ. ეს ოპერაციები წარმოადგენენ უზრუნველყოფილი დაკრედიტების კიდევ ერთ ფორმას. ამ ოპერაციებში ბანკი (კრედიტორი) თანახმაა იყიდოს ფასიანი ქაღალდები, ჩვეულებრივ, სახაზინო ვალდებულებები და როგორც იგივე ოპერაციის ნაწილი, თანახმაა მომავალში ხელახლა გაყიდოს ეს ფასიანი ქაღალდები გამყიდველ ბანკზე (მსესხებელი ბანკი) განსაზღვრულ დღეს, გარკვეული თანხის საფასურად. თანხა, რომლითაც ფასიანი ქაღალდების მიყიდვა ხდება მსესხებელ ბანკზე, ჩვეულებრივ, საწყისი გაყიდვის ფასია და დარიცხული პროცენტი იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც სესხებას ჰქონდა ადგილი.

მაგალითად, დავუშვათ რომ ბანკი ახორციელებს შეკუ რეპო ოპერაციას. მეორე ბანკთან ხელშეკრულების მიხედვით გამყიდველი ბანკი (მსესხებელი) ყიდის 1,000,000 ლარის ღირებულების სახაზინო ვალდებულებებს 900,000 ლარად, მყიდველ (კრედიტორი) ბანკზე 30 დღის ვადით. შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთია 10%. ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ვადის დადგომისას. ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს, რომ კრედიტორი ბანკი გაყიდის ფასიან ქაღალდებს მსესხებელ ბანკზე 30 დღის გასვლის შემდეგ. თანხა, რომლის გადახდაც მოხდება ვადის დადგომისას 907,500 ლარის ტოლია, ანუ ძირითადი თანხას 900,000 ლარს პლუს პროცენტი 7,500 ლარი. ეს ოპერაცია სხვა არაფერია, თუ არა ერთი ბანკის მიერ მეორესთვის უზრუნველყოფილი სესხის გაცემა. ამ შემთხვევაში სახაზინო ვალდებულებების ნომინალური ღირებულება ფასების დაწესების

[illegible] არ წარმოადგენს; ნასესხები თანხა, ვადა და საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ფასების დაწესების საფუძველს.

[illegible] მოსაზრებები, ჩვეულებრივ, ხელახალი გაყიდვის ხელშეკრულებებსაც ეხება. მყიდველი (კრედიტორი) ბანკი კმაყოფილი [illegible] იყოს იმით, რომ გამყიდველი (მსესხებელი) ბანკი შეძლებს ფასიანი ქაღალდების გამოსასყიდი სახსრების მოპოვებას. ამ [illegible] დაკრედიტებასთან დაკავშირებული პოლიტიკის მითითებები [illegible] ეხებოდეს ერთ გამყიდველზე გაცემული თანხის მაქსიმალურ [illegible] ოდენობას, ისევე როგორც გირაოს მისაღებ ოდენობას. გამოყენებული უნდა იქნეს გირაოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების [illegible] ები, რაც შეესაბამება ყველა ტიპის ლიკვიდურ გირაოს.

[illegible] შეთანხმებით მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები არ უნდა იქნეს განხილული საბანკო აქტივების ნაწილად; ისინი არ წარმოადგენენ ბანკის საინვესტიციო პორტფელის ნაწილს. ეს არის სხვა ბანკზე გაცემული სესხი, რომლის ანგარიშგებაც ხდება როგორც გამსესხებელი ბანკის აქტივი. აღნიშნული ოპერაციები ფინანსურ დოკუმენტებში აისახება, როგორც ბანკებზე გაცემული სესხები. ასეთი ტიპის ოპერაციები არ მოითხოვენ ბუღალტრულ გატარებებს არცერთი ბანკის საინვესტიციო პორტფელში, ხოლო გამყიდველი ბანკი ავრძელებს ფასიანი ქაღალდების პროცენტის ამოღებას და აღნიშნულ თანხებს აწვდის [illegible] ყიდველ ბანკს.

შეუძლებელია სესხებთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი ყველა მიზეზის ჩამოთვლა, მაგრამ ამ პრობლემების უმრავლესობა შეიძლება მივაწეროთ ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ მიზეზს.

საკუთარი თავის [illegible]ფინანსება დაკავშირებულია მრავალ მნიშვნელოვან პრობლემასთან. ეს ფაქტი, ძირითადად, ვლინდება კრედიტების ზედმეტი ოდენობით გაცემაში დირექტორებზე ან მსხვილ [illegible] ქციონერებზე, ან მათთან დაკავშირებულ პირებზე, ვინც ბო-

როტად იყენებს საკუთარ თანამდებობას, რათა მოიპოვოს ფული ლადი სახსრები გაუმართლებელი სესხების (ან ზოგჯერ საკომი სიოს, ხელფასის ან საქონლისა და მომსახურებისათვის მიღე ბული თანხების) სახით. ის ოფიცრები, რომლებიც დანიშნული არიან თანამდებობაზე სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მიერ, შეიძლება ვერ ახერხებდნენ აღნიშნული კრედიტების შეფა სებას იგივე პრინციპებით, როგორც, ჩვეულებრივ, მსესხებლებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. ასეთ დროს მენეჯმენტი გამა ლებით იცავს არაჯანსაღ სესხებს ან სხვა ქმედებას, რაც მფლო ბელთა ინტერესების დაკმაყოფილებაში მდგომარეობს. ასეთ შემთხ ვევაში პრობლემის მიზეზი ბანკის შიგნით შეიძლება წარმოიშვას.

ზედმეტი ყურადღების გამახვილება მოგებაზე – საკრედიტო პორტფელი ჩვეულებრივ ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავლიანი აქტივია. მოგების ფაქტორმა არასოდეს არ უნდა გადაწონოს ჯანსაღი ფუნქციონირების პრინციპი და არ უნდა მოხდეს გაუმართლებელი რისკის მატარებელი კრედიტების გაცემა ან არადამაკმაყოფილებელი გადახდის პირობების დაწესება. არაჯანსაღი სესხების გაცემა, ჩვეულებრივ, უფრო ძვირი შეიძლება დაუჯდეს ბანკს, ვიდრე მათგან მიღებული შემოსავალი.

საკრედიტო პრინციპების დათმობა – ბანკის მენეჯმენტმა შეიძლება სრულიად შეგნებულად გასცეს ზედმეტი რისკის მატარებელი სესხები არადამაკმაყოფილებელი პირობებით და დაარღვიოს დაკრედიტების ჯანსაღი პრინციპები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს გაუბედაობა იმ პირთა მიმართ, რომელთაც წამყვანი პოზიციები უკავიათ ბანკში ან აქვთ გავლენიანი კავშირები (ინტერესთა კონფლიქტი). საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებამ, მომხვეჭელობის სურვილმა და კონკურენტულმა ზეწოლამ შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო პრინციპების დარღვევა.

არასრული საკრედიტო ინფორმაცია – სრული საკრედიტო ინფორმაციის მოპოვება არის მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრის ერთადერთი მისაღები და ზუსტი მეთოდი.

საკრედიტო ინფორმაციის არარსებობა კრედიტების „პრობლემურობის“ მნიშვნელოვანი მიზეზია. წინა წლების შესახებ ფინანსური დოკუმენტები, საოპერაციო დოკუმენტები და სხვა სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სხვა აუცილებელი ინფორმაცია, როგორიცაა: სესხის მიზნობრიობა და დაბრუნების წყარო, ანგარიშგება პროგრესის შესახებ, შემოწმებები და ინსპექტირებები გარე ინფორმაციის და სესხების განხილვის შესახებ, წარმოდგენილი უნდა იყოს ბანკის საკრედიტო ფაილებში. ასეთი ინფორმაციის გარეშე კრედიტის სათანადო ადმინისტრირება და კრედიტის ზუსტი შეფასება შეუძლებელია. ყველაზე სენსიტიურია და, ზოგადად, უარყოფითი შემთხვევაა, როდესაც ბანკს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მსესხებელთან დაბრუნების ან სესხის პროგრესული ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ვერ ახერხებს ძირითადი თანხის ამოღებას. სასესხო დანაკარგების ისტორია უჩვენებს, რომ მრავალ შემთხვევაში, ამორტიზაცია არასოდეს იყო ძირითადი თანხის იმ ნაწილის ტოლი, რის გადახდასაც დაეთანხმა მსესხებელი. ხელსაყრელი სესხება და ზედმეტად კრედიტება მოითხოვს სესხის თანმიმდევრულ დაფარვას.

თვითკმაყოფილება – ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები ყოველთვის უნდა იქნეს თავიდან აცილებული:

✓ ძველ და ნაცნობ მსესხებლებზე ზედამხედველობის შესუსტება;

✓ მსესხებლისგან მიღებულ ზეპირ ინფორმაციაზე დაყრდნობა საიმედო ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის ნაცვლად.

✓ ცნობილი საკრედიტო სისუსტეების ოპტიმისტური წარმოდგენა წარსულში დაძლეული მსგავსი საფრთხის გამო.

ზედამხედველობის არარსებობა – მრავალი სესხი, რომელიც გაცემის პროცესში სტანდარტულია, პრობლემური ხდება და იწვევს დანაკარგებს საკრედიტო პერსონალის მხრიდან ეფექტური ზედამხედველობის არარსებობის გამო. ეს თითქმის უცვლელად

არის სესხის არსებობის განმავლობაში მსესხებლის საქმიანობის არცოდნის შედეგი.

ტექნიკური არაკომპეტენტურობა – ბანკის შიგნით საკრედიტო პერსონალის წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ ტექნიკური უნარი გააანალიზონ ფინანსური დოკუმენტები, მოიპოვონ და შეაფასონ სხვა საკრედიტო ინფორმაცია, დაიცვან ბანკი სესხების გაცემისას და მათზე ზედამხედველობის განხორციელებისას. საკრედიტო არაკომპეტენტურობის შემთხვევაში, გაუთვალისწინებელ დანაკარგებს ექნება ადგილი, ამიტომ ეს ფაქტი მენეჯმენტმა სათანადოდ უნდა განიხილოს სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად.

რისკების სუსტი შერჩევა – ბანკების უმრავლესობას გააჩნია რამდენიმე მსხვილი სესხი ან შედარებით პატარა სესხების დიდი რაოდენობა. ისინი, მთლიანობაში, უმნიშვნელოა ბანკისათვის, რომლებსაც არსებული სისუსტეების გამო განიხილავენ, როგორც არამარტო გამართლებულ სესხებს, არამედ როგორც გამონაკლისებს საკრედიტო პოლიტიკიდან. ვინაიდან ეს სესხები განიხილება, როგორც გადახვევა ჯანსაღი საკრედიტო პრინციპებიდან და თუ მათი მთლიანი მოცულობა ზომიერია, ინსპექტორი არ უნდა იყოს შეშფოთებული ამ ფაქტით. მაგრამ როდესაც აღიარებული თუ აუღიარებელი გამონაკლისი წესის სახეს იღებს, მაშინ მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოიქმნება. ქვემოთ მოცემულია სესხების ძირითადი ტიპების სია, რომლებიც შეიძლება მოხვდეს რისკების ცუდი შერჩევის კატეგორიაში:

✓ ბიზნესის დასაფუძნებლად გაცემული სესხები, როცა ბანკი აფინანსებს საჭირო კაპიტალის განსაკუთრებით დიდ მოცულობას.

✓ სესხები, რომლებიც გაცემულია ბიზნესის წარმატებული წარმართვის მოლოდინის და არა არსებული რეალობის საფუძველზე.

✓ სესხები, რომლებიც გაცემულია ფასიანი ქაღალდების და საქონლის სპეკულაციური შესყიდვისათვის.

✓ გირაოთი უზრუნველყოფილი სესხები უზრუნველყოფის ოპტიმალური მარჟის გარეშე.

✓ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად გაცემული სესხები, რაც უზრუნველყოფილია უმნიშვნელო კაპიტალით.

✓ სხვა სარგებლის მისაღებად გაცემული სესხები, როგორც წესი მნიშვნელოვანი სადეპოზიტო ნაშთების შენარჩუნების საშუალებით.

✓ მორალური რისკით შესუსტებული სესხები.

✓ ადგილობრივი კორპორაციის არასაბაზრო აქციების შესაძენად გაცემული სესხები უშუალოდ ამ კორპორაციაზე გაცემულ სესხებთან ერთად. ბანკმა შეიძლება თავი იძულებულად ჩათვალოს და დააფინანსოს კორპორაცია დადგენილ ლიმიტებზე მეტად, სასესხო დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.

✓ სესხები, რომლებიც დამოკიდებულია პრობლემურ სალიკვიდაციო ღირებულების მქონე გირაოზე. ასეთი სესხების ზომიერი მოცულობა, როდესაც ბანკის მენეჯმენტი აღიარებს არსებულ სისუსტეს, შეიძლება იწვევდეს გარკვეულ პრობლემებს. თუ აღნიშნული მიიღებს წესის სახეს, ის ბანკს უკვე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

ჭარბი დაკრედიტება – ეს პუნქტი უნდა გაერთიანდეს ტექნიკურ არაკომპეტენტურობასთან. ჯანსაღი ფინანსური რისკის მატარებელი მსესხებლისთვის ჭარბი კრედიტის გაცემა ისევე სერიოზულია, როგორც არაჯანსაღი რისკის მატარებელი მსესხებლის შემთხვევაში. სესხები, რომელთა რაოდენობა აღემატება მსესხებლის დაფარვის უნარს, არაჯანსაღია. არსად არაა ტექნიკური კომპეტენტურობა და სადი აზრი საჭირო ისე, როგორც მსესხებლისთვის უსავრთხო, სესხის მაქსიმალური დონის განსაზღვრისას. კონკურენცია – ბანკებს შორის კონკურენციას საზოგადოებაში გავლენის მოსაპოვებლად შეიძლება შედეგად მოჰყვეს საკრედიტო პრინციპების დათმობა და არაჯანსაღი სესხების გა-

ცემა. არაჯანსაღი სესხის ღირებულება ყოველთვის გადაწონის ნებისმიერ დროებით სარგებელს.

ვადაგადაცილებული სესხების დიდი მოცულობა თითქმის ყოველთვის მიუთითებს სესხის გაცემის ან ამოღების პრაქტიკის სისუსტეზე ან ორივეზე ერთად. ვინაიდან სესხის განახლების და გაცემის პოლიტიკა ყოველი ბანკისათვის განსხვავებულია, ბანკების ვადაგადაცილებული სესხების კოეფიციენტების (მთლიანი ვადაგადაცილებული სესხები/მთლიანი სესხები) მარტივი შედარება შეიძლება ყოველთვის ისეთი მიზანშეწონილი არ იყოს, როგორც კონკრეტულ ბანკში ცვლილების ტენდენციის ანალიზი. ვადაგადაცილებული სესხების შეფასების პროცესში ინსპექტორმა უნდა გაითვალისწინოს შესაძლო სეზონური და ეკონომიკური პირობების გავლენა. ინსპექტორმა გულდასმით უნდა განიხილოს ვადაგადაცილებული სესხების შემადგენლობა და მისი მოცულობის მიზეზები, საკრედიტო პორტფელის ხარისხთან, მენეჯმენტის კომპეტენტურობასთან და ეფექტურობასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. სესხი არის ვადაგადაცილებული, როცა მსესხებელი ვერ ახერხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ძირითადი თანხის ან პროცენტის მომსახურებას. საზედამხედველო და საანგარიშგებო მიზნებისათვის სესხი ითვლება ვადაგადაცილებულად, როცა ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდის ვადა დამდგარია და ის გადაუხდელია 30 დღის ან მეტი ხნის განმავლობაში. ოვერდრაფტები სადეპოზიტო ანგარიშებზე და სხვა ტიპის კრედიტები წინასწარ განსაზღვრული დაფარვის პროგრამის გარეშე განიხილება უმოქმედოდ შემდეგ გარემოებებში:

✓ გაცემული თანხა აღემატება საკრედიტო ხაზით გათვალისწინებულ ლიმიტს და გადაუხდელია 30 დღის ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ან საკრედიტო ხაზი ვადაგასულია 30 დღის ან მეტი ხნის განმავლობაში;

✓ პროცენტის გადახდის ვადა დამდგარია და გადაუხდელია 30 დღის ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;

✓ ანგარიში არააქტიური იყო 30 დღის განმავლობაში და დეპოზიტები არასაკმარისია პერიოდის განმავლობაში გადაუხდელობის გამო ძირითად თანხას დამატებული პროცენტის თანხის ასაკრეფად ოდენობის დასაფარავად.

დოკუმენტალური ზედამხედველობის გაადვილების მიზნით ბანკის ანგარიშგებებში წარმოდგენილი ვადაგადაცილებული სესხები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1-დან 30 დღემდე, 30-დან 60 დღემდე, 60-დან 90 დღემდე, 90-დან 120 დღემდე, 120-დან 150 დღემდე. 150 დღეზე ზევით გასათვალისწინებელია, რომ სესხის ძირითადი თანხა, და არა ვადაგადაცილებული გადასახდელი, უნდა იქნეს გამოყენებული ვადაგადაცილებული ვალდებულებების მთლიანი თანხის გაანგარიშებაში. ცალკე კატეგორიად უნდა გამოიყოს ის სესხები, რომლის პირობებიც იქნა გადახედილი. შეფერხების აქტებში და ოფსაიტის ანგარიშგებებში წარმოდგენილი ვადაგადაცილების მაჩვენებლები უნდა მოიცავდეს ყველა ვადაგადაცილებული სესხის რაოდენობას და მთლიან ნაშთებს ყველა კატეგორიაში. ვადაგადაცილებული გადასახდელების ჩვენება ცალკეულ ჯგუფებში არ წარმოადგენს ფასეულ ინფორმაციას ანალიტიკური თვალსაზრისით, რადგან მაჩვენებლებზე გავლენას ახდენს სესხის სტრუქტურის მიხედვით ცვალებადი გადასახდელი თანხები. ამასთან, ინსპექტორისთვის აუცილებელია სესხის განახლების შესახებ ბანკის პოლიტიკის და განახლებამდე პროცენტის ამოღების პროცედურების შესწავლა (სანამ განსაზღვრავდეს ვადაგადაცილებულ სესხს), რამდენადაც ასეთი პრაქტიკა მნიშვნელოვნად იცვლება ბანკების მიხედვით. აღნიშნული მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გასარკვევად, თუ რომელი სესხია ნამდვილად ვადაგადაცილებული, არამედ ასეთი პოლიტიკის სიჯანსაღის შეფასების თვალსაზრისით. განახლების სტანდარტები უნდა ემყარებოდეს სესხების თანმიმდევრულად დაფარვის მიღწევას და არა ვადაგასულ

დაცილებული სესხების დაბალი კოეფიციენტის შენარჩუნებას სესხების გაუმართლებელი გაცემით ან განახლებით. ინსპექტორებმა ანალიზის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია შეიძლება მიიღონ ვადაგადაცილებული სესხების წყაროს განსაზღვრით განყოფილების ან ფილიალის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების ამსახველი ცხრილების მიღება სასურველია, თუკი ის დაეხმარება ინსპექტორს პრობლემის წყაროს გამოვლენაში ან ბანკზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

დარიცხვის შეწყვეტა ნიშნავს, რომ სესხი გადატანილია საკასო მეთოდით აღრიცხვაზე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის თანახმად, 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დარიცხული მიუღებელი პროცენტები ჩამოიწერება კონტრგატარებით შემოსავლების ანგარიშიდან და გადაიტანება გარესაბალანსო ანგარიშზე. დარიცხვა შეწყვეტილი სტატუსის მინიჭების შემდეგ, ვალის ნებისმიერი მომსახურება პირველად ეხება გარესაბალანსო ანგარიშზე დარიცხულ პროცენტს, რისი სრულად დაფარვის შემდეგ ბანკს შეუძლია მოუხსნას სესხს დარიცხვა შეწყვეტილი სესხის სტატუსი.

სებ-ი ბანკებისგან მოითხოვს სესხების განხილვის სრულყოფილი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს მენეჯმენტს პრობლემური კრედიტების აქტიურ განსაზღვრასა და მონიტორინგში. განხილვის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სესხის განხილვის პროცედურების მასშტაბს, სიხშირეს და ფორმას. ასევე, უნდა იქნეს განსაზღვრული განხილვის და ანგარიშგების პასუხისმგებლობა. საკრედიტო რისკის წარმატებული მართვა ნაწილობრივ კონტროლთან არის დაკავშირებული. საკრედიტო ოფიცრების მიერ განხორციელებული მუდმივი ზედამხედველობის გარდა, ბანკის მენეჯმენტს სჭირდება სესხების შიდა განხილვის ფუნქციის შექმნა. ამ ფუნქციის ორგანიზაცია დამოკიდებულია თითოეული ბანკის საკრედიტო ოპერაციების სიდიდესა და სირთულეზე.

საქმიანობის ეფექტური წარმართვისათვის, სესხების განხილვის ფუნქციის მეშვეობით:

- ✓ სესხის განხილვის პროცესი დამოუკიდებელი უნდა იყოს;
- ✓ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ანგარიშგების წარდგენა საკოორდინაციო საბჭოს ან მენეჯმენტის ზედა რგოლებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული სესხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ✓ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკრედიტო პორტფელის ადეკვატური განხილვა;
- ✓ სამუშაო პროგრამა უნდა განხორციელდეს კვალიფიციური და სათანადოდ მომზადებული თანამშრომლებით.

სესხის განხილვის ამოცანები ერთი და იგივეა სებ-ისა და ბანკებისათვის, კერძოდ კი, ეს არის საკრედიტო პორტფელში არსებული რისკის შეფასება ამ რისკის მართვის გაუმჯობესების მიზნით.

განხილვის პროცესი უნდა მოიცავდეს: ბანკის პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობის შეფასებას; საკრედიტო პროცესში არსებულ სისუსტეებს, საკრედიტო ოფიცრების ჩვევებს, უნარსა და საქმიანობას; გირაოს შეფასებას და დოკუმენტაციის ადეკვატურობას; რეალური დაფარვის გრაფიკების არსებობას და მათ განხორციელებას; მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის და ეკონომიკური ფუნქციონირების ანალიზს; არსებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობას და მსესხებლის მიერ პროცენტის დაფარვის სტატუსს; კრედიტებთან დაკავშირებული რისკების სათანადო კლასიფიკაციას.

ბანკის სესხების განხილვის პოლიტიკა უნდა მოითხოვდეს იმ სესხების წერილობითი სიის შემუშავებას და წარმოებას, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას (საყურადღებო სესხების სია). სია უნდა მოიცავდეს როგორც ნეგატიურად კლასიფიცირებულ სესხებს, ისე პოტენციურ პრობლემურ სესხებს. ასეთებს მიეკუთვნება არანეგატიურად კლასიფიცირებული სესხები,

რომლებიც მოითხოვენ გაძლიერებულ მომსახურებას ან მონიტორინგს მსესხებლის ინდივიდუალური მახასიათებლების, მისი საქმიანობის, კრედიტუნარიანობის გამო. საყურადღებო სესხების სია არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც მენეჯმენტის ყურადღებას ამახვილებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე. ასევე, სრული და კარგად დოკუმენტირებული სია დადებითად ახასიათებს მენეჯმენტს, იგი გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად ახერხებს მენეჯმენტი პრობლემური სესხების იდენტიფიცირებას და მართვას. აღნიშნული სია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინსპექტორების მიერ, როგორც ორმაგი შემოწმების მექანიზმი. იგი საშუალებას აძლევს მათ, აღნიშნული სია შეადარონ სესხების საკუთარ მიმოხილვას, რათა შეაფასონ შიდა განხილვის პროცედურების ეფექტურობა. სია, ასევე, მნიშვნელოვანია სშდრ-ს ადეკვატუობის შეფასებისათვის.

ყველა ბანკს უნდა ჰქონდეს „საყურადღებო სესხების სია". პატარა ბანკებში პროცესს შეიძლება წარმართავდეს აღმასრულებელი დირექტორი ან საკრედიტო ოფიცერი, რომელიც განსაზღვრავს ნეგატიურ სესხებს და პოტენციურ პრობლემურ სესხებს. იგი ადგენს სიას, რომ გააფართოვოს მენეჯმენტის მიერ ამ სესხების მონიტორინგის უნარი. სია, ასევე, მოკლედ უნდა გადმოსცემდეს მიზეზებს, თუ რატომ არის სესხები ჩამოთვლილი. კრედიტების სტატუსის შესახებ ინფორმაცია პერიოდულად უნდა ხსენდებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს. დიდ ბანკებში პროცესი შეიძლება ხორციელდებოდეს სესხების განხილვის ცალკე განყოფილების მიერ. თუ სესხის განხილვის ფუნქცია ხორციელდება, პროცესი უნდა იყოს სრულყოფილი და მოიცავდეს ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს გარკვეული ფორმით.

6.2. ბანკის ინსპექტორის მიერ სესხების განხილვა და კლასიფიცირება

სესხის ანალიზის და შეფასების მიზნით ინსპექტორმა უნდა მოიპოვოს ძირითადი ინფორმაცია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის, კრედიტის მიზნობრიობის, ვადების და ვალის თანმიმდევრული დაფარვის შესაძლებლობის შესახებ. მონაცემების მოპოვებასთან დაკავშირებული პროცესი შეიძლება იცვლებოდეს ბანკის სიდიდის და სირთულის მიხედვით, ასევე, ბანკის მიერ გამოყენებული ჩანაწერების ტიპის მიხედვით. სესხების დიდი რაოდენობის გამო, აუცილებელია ყურადღების გამახვილება უფრო დიდი საკრედიტო ხაზების სიჯანსაღეზე. შედარებით პატარა სესხები, რომლებიც შემოსავლიანია, შეიძლება გამოტოვებულ იქნეს ინდივიდუალური შეფასებიდან. განსახილველი სესხის მიმალური ოდენობა დამოკიდებულია ცალკეული ბანკის მახასიათებლებზე. სესხის მოცულობა უნდა იყოს საკმარისად მცირე, რომ შესაძლებელი გახადოს მთლიანი საკრედიტო პორტფელის სესტი შეფასება, მაგრამ არც ისე მცირე მოცულობის, რომ სედმეტად დატვირთოს ინსპექტორი. პროცედურა ინსპექტორს არ უშლის ხელს პატარა სესხების გაანალიზებაში, რომლებიც ინარჩუნებენ საკმაო მდგრადობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, არიან ვადაგადაცილებული, გირაოს მოკლებული და, არსებული მახასიათებლების გამო, ექვემდებარებიან შემდგომ შემოწმებას. უმეტეს შემთხვევებში, უნდა მოხდეს განხილული სესხების პროცენტული მაჩვენებლის, აქტივების ხარისხის და მენეჯმენტის უნარის შეფასების შედარება წინა შემოწმების მონაცემებთან. თითოეული შემოწმების დროს უნდა იქნეს გაანალიზებული შემდეგი სესხები და საკრედიტო ხაზები:

- ✓ წინა შემოწმების დროს კლასიფიცირებული სესხები ან საკრედიტო ხაზები;
- ✓ ბანკის პრობლემური სესხების სიაში წარმოდგენილი სესხები, თუ ასეთები არსებობენ;

✓ ბანკის ვადაგადაცილებული სესხების სიაში არსებული სესხები, თუ ასეთები არსებობენ ან განსაზღვრული არიან ინსპექტორის მიერ;

✓ მაღალ რისკთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სესხები, რომლებზეც ინსპექტორი ამახვილებს ყურადღებას საშეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების, აუდიტის დასკვნის და სხვა წყაროების განხილვის შედეგად;

✓ ბანკის ინსაიდერებზე, მათთან დაკავშირებულ პირებზე და სხვა ბანკის ინსაიდერებზე გაცემული სესხები. სესხების განხილვის პროცესის პროცედურები და განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი მოცემულია ამ თავის ბოლოს.

თითოეული სესხის შეფასებას ბანკი რეგულარულად ახორციელებს და მას სებ-ის ინსპექტორები განიხილავენ შემოწმების პროცესში. სესხების და აქტივების კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მონაცემებს ცალკეული სესხის შესახებ, რომელიც სულ ცოტა, უნდა მოიცავდეს:

✓ მსესხებლის საერთო ფინანსური მდგომარეობის და რესურსების შესახებ ინფორმაციას, ფულადი სახსრების მიმდინარე და გრძელვადიანი მიმოქცევის ჩათვლით;

✓ მსესხებლის საკრედიტო ისტორიას;

✓ ინფორმაციას მსესხებლის ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის საიმედოობის შესახებ;

✓ სესხის დანიშნულებას გადახდის წყაროსთან კავშირში;

✓ გადახდის მეორადი წყაროების ტიპებს, როგორებიცაა: გარანტორი, გირაოს ღირებულება და ფულადი სახსრების მიმოქცევა, როდესაც ისინი გადახდის პირველად წყაროს არ წარმოადგენენ (ეჭვის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული გადახდის მეორად წყაროებზე ზედმეტად დამოკიდებულება და უნდა გადაისინჯოს ბანკის პოლიტიკა, რომელიც უშვებს ასეთი პრაქტიკის არსებობას). რაც უფრო ხანგრძლივი დროითაა სესხი გაცემული ან სახელშეკრულებო უფლება ფულადი სახსრების მიღების შესახებ, მით უფრო დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ნეგატიური მოვლენების

გამო მსესხებელი ვერ შეძლებს სესხის დაბრუნებას. მსესხებლის გადახდისუნარიანობისადმი რწმენა ემყარება მის წარსულ ფინანსურ საქმიანობას, ისევე, როგორც მისი სამომავლო საქმიანობის პროგნოზს. მსესხებლის წარუმატებლობა შეასრულოს დასახული ფინანსური გეგმები არის სისუსტე, მაგრამ აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ გაცემული სესხი განიხილებოდეს, როგორც საეჭვოდ ან იყოს ნეგატიურად კლასიფიცირებული. მეორე მხრივ, ვალის დასაფარად ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობის გენერაციის უუნარობა სისუსტეს წარმოადგენს, რაც საფრთხეში აგდებს ვალის გადახდას და, ბევრ შემთხვევაში, იწვევს ნეგატიურ კლასიფიკაციას. ადგილზე შემოწმების პროცესში სესხის შესაფერისი კლასიფიკაციის განსაზღვრისას ინსპექტორმა უნდა გაითვალისწინოს საოპერაციო მონაცემების ანალიზი, გირაო, თავდებობა, ინდოსანტი ან გარანტორი. საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული ბანკი განსაზღვრავს აქტივების კლასიფიკაციის სტანდარტებს. ეროვნულ ბანკს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია შეიტანოს ცვლილებები აღნიშნულ სტანდარტებში, ასევე შემოიღოს დამატებითი სტანდარტები კლასიფიკაციის მიზნით. აქტივების კლასიფიკაციის შესახებ სებ-ის დებულების შესაბამისად, ბანკებმა სათანადოდ და ზუსტად უნდა გააანალიზონ თავიანთი საკრედიტო პორტფელი და თითოეული სესხს, ისევე, როგორც სხვა აქტივებს, მიანიჭონ რეიტინგი საკრედიტო რისკის მიხედვით. არსებობს კლასიფიკაციის ხუთი კატეგორია:

სტანდარტული სესხები

◆ სესხი კლასიფიცირდება „სტანდარტულად“, თუ მისი ძირითადი თანხის და პროცენტის მუდმივად გადახდა დროულად წარმოებს, ამასთან, მსესხებლის კაპიტალი და გადახდის უნარი სტაბილურია. ეს კლასიფიკაცია მისაღებია, როდესაც მსესხებელი ფინანსურად ძლიერია და აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა მოულოდნელი მოვლენები-

საგან, ასრულებს მოგებიანობასთან დაკავშირებულ თავის მიზნებს და აქვს საკმარისი ნაღდი ფული, რათა დროულად დააკმაყოფილოს ყველა ვალდებულება, მათ შორის, აღნიშნული აქტივიც.

◆ „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისთვის მიღებული გირაო ან იპოთეკა გამოყენებულ იქნება როგორც უსაფრთხოების დამატებითი კომპონენტი, თუმცა მაინც საჭიროა მისი სწორად რეგისტრაცია და დოკუმენტურად დადასტურება.

◆ ბიზნესისათვის გაცემული სესხის შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილ ფინანსურ მახასიათებლებთან ერთად, მსესხებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ბიზნეს-გეგმა რეალურია და, პრაქტიკულად, განხორციელებადი და რომ მისი ძირითადი პროდუქცია და მარკეტინგული სტრატეგია სტაბილურია და კონკურენტუნარიანი.

◆ „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხი წარმოადგენს ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ ყველა კომერციულ ბანკს მაინც მოეთხოვება საერთო რეზერვის შექმნა თითოეული „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%-ის ოდენობით.

საყურადღებო სესხები

სესხი კლასიფიცირდება საყურადღებოდ, თუ ქვემოთ მოყვანილი რომელიმე შემთხვევა სახეზეა:

◆ იგი ადეკვატურად არის დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემის დროს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და გადახდის უნარი სტაბილური ჩანდა, შემდეგში გამოჩნდა განსაზღვრული ნაკლოვანებები და ტენდენციები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გამოსწორდება, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი მსესხებლის მიმართ, გააგრძელოს სესხის დროული დაფარვა. ასეთი სესხი ქმნის გაუმართლებელ საკრედიტო რისკს, მაგრამ არა ისეთს, რომ მიენიჭოს კლასიფიკაცია „არასტანდარტული“, იმიტომ, რომ საკრედიტო რისკი მოცემულ მომენტში მცირეა. ასეთი ნაკლოვანებების მაგალითებია ისეთი

ფაქტორები, როდესაც საკრედიტო დოკუმენტაცია (ან მათი ნაწილი) დაკარგულია, არასრული ან მოძველებულია; როდესაც ბანკს არ ძალუძს აქტივების შესაბამისად მართვა ან მსესხებელთან საკმარისი ურთიერთობა, ან როდესაც მთლიანად უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირაო ან იპოთეკა დოკუმენტურად არ არის სწორად გაფორმებული, გადაცემული ან რეგისტრირებული, ანდა როდესაც არსებობს ინფორმაცია გირაოს ან იპოთეკის საკითხი მდგომარეობასთან ან მის მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებით;

◆ ბანკის განმეორებითი მოთხოვნის მიუხედავად მსესხებელმა ვერ მოახერხა ფინანსური ანგარიშგებების, მათ შორის, საბალანსო უწყისის ან მოგება-ზარალის უწყისის, ან სამუშაო ან ბიზნეს-გეგმის მიწოდება, რაზეც არსებობდა შეთანხმება;

◆ მოსალოდნელია ისეთი მოვლენები მსესხებლის საქმიანობაში ან წარმოებაში, ან ისეთი მიმართულებები ბაზარზე, რომელთა გამოც შესაძლოა, რომ მსესხებლის მომავალი მოგება ან ბიზნესი გახდეს არასტაბილური, ანდა აღმოჩნდეს მნიშვნელოვნად გაუარესებული;

◆ გირაოსთან ან იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის სწორად გაფორმებული, ან როდესაც გირაო ან იპოთეკა არ არის სწორად რეგისტრირებული და ამ ორიდან რომელიმეს თან ერთვის გადახდის პირველადი წყაროს საშუალებით ამ ვალის სათანადო დაფარვის უნარის დაქვეითება;

◆ სესხის ვადაგადაცილებული პროცენტი დაუფარავია და დამატებულია ძირითად თანხაზე;

◆ ნებისმიერი შეთანხმებული გადახდა ვადაგადაცილებულია 30 დღეზე ნაკლები პერიოდით. თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საყურადღებოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 10%-ის ოდენობით.

არასტანდარტული სესხები

სესხი კლასიფიცირდება „არასტანდარტულად“, თუ სახეზეა ქვემოთ მოყვანილი რომელიმე შემთხვევა:

◆ იგი არაადეკვატურად არის დაცული მსესხებლის კაპიტალითა და გადახდის უნარით, ანდა გირაოს ან იპოთეკის ღირებულებით. „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებულ სესხს გააჩნია ისეთი სისუსტეები ან პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დავალიანების დაფარვას ან საეჭვოს ხდიან მთლიან გადახდას;

◆ სესხის გადახდის ძირითადი წყაროები, მათ შორის, კაპიტალი და მოგება, არ არის საკმარისი ვალის დასაფარად. ამიტომაც ბანკმა უნდა გამოიყენოს გადახდის სხვა წყაროები, როგორებიცაა გირაოს ან იპოთეკის გაყიდვა, მსესხებლის სხვა აქტივების გაყიდვა ან მსესხებლის სხვა ვალ(ებ)ის რესტრუქტურიზაცია. ამასთან, არსებობს სხვა ისეთი მნიშვნელოვანი უარყოფითი პირობები, როგორებიცაა: ღირებულების მქონე და რეალიზებადი გირაოს ან იპოთეკის არარსებობა, მსესხებლის აუხსნელი და ხანგრძლივი არყოფნა, ან საკუთარი ბიზნესისადმი უყურადღებობა. საბლანკო ან ნაწილობრივ უსრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია, სულ ცოტა, 30 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „არასტანდარტული“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა, ასეთი ვადაგადაცილება არ არის ასეთი კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი; მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია, სულ ცოტა, 60 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „არასტანდარტული“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა, ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 30%-ის ოდენობით.

საეჭვო სესხები

სესხი კლასიფიცირდება „საეჭვოდ“, თუ მას აქვს „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხის მახასიათებლები, მაგრამ არსებულ პირობებში მისი გადახდა საეჭვოა ერთ-ერთი ისეთი სისუსტის გამო, როგორიცაა გარკვეული და მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობა, რომლიდანაც გამომდინარეც მოსალოდნელია ნაწილობრივი გადახდა უახლოეს პერიოდში და ამიტომ „უიმედო“ კლასიფიკაციის მინიჭება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის, სანამ ფაქტები უფრო არ გაირკვევა. „გარკვეული და მნიშვნელოვანი“ ფაქტორებია: სესხის მიმდინარე ნაწილობრივი გადახდა გირაოს (იპოთეკის) დასაკუთრებისა და გაყიდვის პროცედურების დაწყება და განხორციელება უახლოეს მომავალში, ასევე, დამატებითი გირაოს ან იპოთეკის ჩადების შესაძლებლობა, რითაც სესხი მთლიანად უზრუნველყოფილი გახდება. საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია, სულ ცოტა, 90 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა, ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი. მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია, სულ ცოტა, 120 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საეჭვოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 50%-ის ოდენობით.

უიმედო სესხები

სესხი კლასიფიცირდება „უიმედოდ“, თუ სახეზეა ქვემოთ მოყვანილი რომელიმე შემთხვევა:

◆ მსესხებლის გადახდისუუნარობის გამო შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებადი თანხა იმდენად მცირეა, რომ იგი ბანკის ბალანსზე არ უნდა დარჩეს;

◆ გირაოს ან იპოთეკის მიუხედავად, მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია 150 დღით;

◆ 150 დღეზე ნაკლები პერიოდით ვადაგადაცილების მიუხედავად, მსესხებლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სესხის ამოღება მთლიანად შეუძლებელია ან ამოსაღებად მოსალოდნელი თანხები არ შეესაბამება ამოღებისათვის დახარჯულ დროსა და ხარჯებს. სესხების დანაკარგები ბალანსზე აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დადგინდა, რომ მათი ამოღება შეუძლებელია. მათი საბუღალტრო აღრიცხვა უნდა შეწყდეს და ისინი უნდა ჩამოიწეროს ამავე პერიოდის ბალანსიდან. ბანკებმა ძალისხმევა უნდა მიმართონ „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხების კანონიერად ამოღებისაკენ სათანადო ზომების გამოყენებით, ყველა არსებული გირაოს ან იპოთეკის დასაკუთრებასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული (კანონმდებლობით გათვალისწინებული) პროცედურების დაცვის ჩათვლით. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100%-ის ოდენობით.

ინსპექტორები ამზადებენ წერილობით დასკვნას სესხების ნეგატიურად კლასიფიკაციის დასასაბუთებლად. შენიშვნები უნდა იყოს მოკლე და ნათელი, მაგრამ არ უნდა იქნეს გამოტოვებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სესხებთან დაკავშირებული შენიშვნები უნდა შედგებოდეს შემდეგი ელემენტებისაგან:

◆ იდენტიფიკაცია – მითითებული უნდა იყოს მსესხებლის სახელი, პროფესია და საქმიანობა. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირები და გარანტორები უნდა იყვნენ მითითებული.

◆ აღწერა – ვალი აღწერილ უნდა იქნეს სესხის ტიპის, რაოდენობის, წყაროს და პირობების ჩათვლით. ისტორია, მიზნობრიობა და დაფარვის წყარო, ასევე, განხილული უნდა იქნეს.

◆ გირაო – გირაოს მოკლე აღწერა ტიპის, ღირებულების და შეფასების მეთოდის, შეფასების თარიღის და გირაოს მდგომარეობის ჩათვლით.

◆ ფინანსური ინფორმაცია – მოკლედ უნდა იქნეს აღწერილი და გაანალიზებული მსესხებლის ფინანსური დოკუმენტები, რათა წარმოდგენილ იქნეს მისი ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდურნარიანობა.

◆ პრობლემების შეჯამება – ბანკის წინაშე არსებული პრობლემების შეჯამება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის, გირაოს, გარანტორების და სხვა სათანადო ფაქტორების გათვალისწინებით.

◆ მენეჯმენტის გეგმები – ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი მენეჯმენტის მოსაზრება სესხთან დაკავშირებით და, ასევე, გეგმები ბანკის პოზიციის გაუმჯობესების შესახებ სესხთან/მსესხებელთან მიმართებაში.

პროცენტის კაპიტალიზაცია წარმოადგენს პროცესს, სადაც დაუფარავი პროცენტი ემატება გადასახდელ ძირითად თანხას სესხის დაფარვის ვადის დადგომისას. პროცენტის კაპიტალიზაცია ითვალს გადაუხდელ პროცენტს, რომლის რეფინანსირება ან რეფლონგაცია ხდება ახალ საბანკო კრედიტად. ბანკს უნდა ჰქონდეს კონკრეტული პოლიტიკა ძირითად თანხაზე დამატებულ პროცენტთან დაკავშირებით და განსაზღვრული უნდა ჰქონდეს მინიმალური სტანდარტები მსესხებლის მოქმედებასთან დაკავშირებით. კრედიტების უმრავლესობისათვის, გადაუხდელი პროცენტის დამატება ძირითად თანხაზე არ უნდა იქნეს დაშვებული, გარდა შემთხვევებისა, როცა:

◆ მსესხებელს შესწევს ვალის დაფარვის უნარი საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე;

◆ პროცენტის კაპიტალიზაცია მოსალოდნელი იყო საწყისი სესხის დამტკიცების დროს და წარმოადგენდა მსესხებლის დაგეგმილი დროებითი ფულადი სახსრების მიმოქცევის ნაკლებობის ნაწილს;

- ვალი კარგადაა უზრუნველყოფილი;
- დაფარვა, დამატებული პროცენტის ჩათვლით, მოსალოდნელია დაზუსტებული სამომავლო თარიღისათვის;
- განაკვეთები და პირობები შესაბამისობაშია მსგავსი სესხების ბაზართან;
- ეჭვს გარეშეა ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა.

მიმდინარე ანგარიშებზე ოვერდრაფტებისათვის და სხვა ვინასწარი დაფარვის პროგრამის არმქონე კრედიტებისათვის, სადაც პროცენტი, ჩვეულებრივ, ანგარიშზეა დამატებული, პერიოდის განმავლობაში ანგარიშზე შეტანილი დეპოზიტები საკმარისი უნდა იყოს მოცემული პერიოდისათვის პროცენტის დასაფარად. ბანკებში, სადაც პროცენტი არასწორად იქნა დამატებული სესხის თანხაზე, პროცენტს მიენიჭება „უიმედო“ კლასიფიკაცია. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევებში, პროცენტის დამატების საკითხი კრიტიკულ შენიშვნას იმსახურებს ინსპექტორის შენიშვნებისა და დასკვნების ნაწილში.

რესტრუქტურიზებული სესხი არის კრედიტი, რომლის ვადები და პირობები შეიცვალა (ძირითადად, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო), რაც გამოიხატება საპროცენტო განაკვეთის ან ძირითადი თანხის შემცირებაში, ან გადაუხდელი პროცენტის ძირითად თანხაზე დამატებაში. ბანკის მსესხებლების წინაშე არსებულმა ფართოდ გავრცელებულმა ფინანსურმა სიძნელეებმა შეიძლება გამოიწვიონ ვალის რესტრუქტურიზაცია. ეს ხშირად გულისხმობს მსესხებლისთვის საკრედიტო პირობების შეცვლას. შეიძლება საჭირო გახდეს გირაოს ოდენობის გაზრდა, დაფარვის გრაფიკის გახანგრძლივება, საპროცენტო განაკვეთის, დარიცხული პროცენტის, ძირითადი თანხის შემცირება, კრედიტის შემდგომი გაგრძელება ან ნაწილობრივ დაფარვა დაყადაღების ან ბანკზე აქტივების გადაცემის გზით. ბანკირები პრობლემური ვალის რესტრუქტურიზაციას მაშინ მიმართავენ, როდესაც მსესხებლები სიძნელეების გამო ვერ ასრულებენ თავიანთ ფინანსურ ვალდებულებებს. როცა ხდება სესხების

სტრატეგიულად კლასიფიცირება და ბანკებს ესაჭიროებათ სესხებზე ზუსტი დანაკარგების რეზერვის დიდი ოდენობით შექმნა, ვიდრე სხვა ბანკმა შეიძლება განახორციელოს პრობლემური ვალების რესტრუქტურიზაცია. ეს ამცირებს დარიცხვამუშავებული სესხების გავლენას მათ წმინდა მოგებაზე. აღნიშნული ჭეშმარიტებას წარმოადგენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სესხების ვადა დაკავშირებულია ვალის მომსახურების პერიოდთან. მაგალითად, თუ დარიცხული პროცენტის გადაგადაცილებამ 30 დღეს ან მეტი შეადგინა, მაშინ სესხზე დარიცხვა უნდა შეწყდეს. დარიცხვის შეწყვეტის წმინდა მოგებაზე გავლენის თავიდან ასაცილებლად, ბანკებმა შეიძლება განახორციელონ პრობლემური ვალის რესტრუქტურიზაცია, გადაუხდელი პროცენტის ძირითად თანხაზე დამატება ან დაფარვის პირობების შეცვლა. აღნიშნული „კოსმეტიკური აღრიცხვის“ მაგალითია, რომელსაც ბანკირები ახორციელებენ ჭეშმარიტი სასესხო დანაკარგების მოგვიანებით აღიარების მიზნით.

პირობების მოდიფიკაცია: როდესაც ვალის პირობები იცვლება, ბანკს არ შეუძლია ვალის საბალანსო ღირებულების შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბალანსო ღირებულება აღემატება ახალ პირობებში მთლიანი სამომავლო ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულებას (ახალი პირობების თანახმად დარიცხული პროცენტის ჩათვლით). ვალის მიმდინარე ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების საფუძველზე.

დებიტორების შეცვლა: როდესაც პრობლემური ვალის ჩანაცვლება ხდება სხვა ბიზნესის, კერძო პირის, ან სამთავრობო ორგანიზაციის კრედიტუნარიანობით, აღრიცხვა უნდა განხორციელდეს ოპერაციის არსის შესაბამისად. თუ შემცვლელი ან დამატებითი დებიტორი კონტროლდება ან იმყოფება საწყისი დებიტორის კონტროლის ქვეშ (მშობლიური კომპანია/შვილობილი კომპანია), ბანკი განაგრძობს ვალის, როგორც „რესტრუქტურიზებული პრობლემური ვალის“ აღრიცხვას. თუ რესტრუქტურიზაციის შემ-

დეგ, შემნაცვლებელი ან დამატებითი დებიტორი და საწყისი დებიტორი დაკავშირებული არიან ორგანიზაციული, სტრასტო ან სხვა ურთიერთობებით, რაც უზრუნველყოფს საწყისი დებოტორის სახსრების გარკვეული ნაწილის ბანკში შემოდინებას (მიუხედავად იმისა, რომ მიმდები შეიძლება იყოს შემცვლელი ან დამატებითი დებიტორი), მაშინ ბანკმა ვალი უნდა აღრიცხოს, როგორც „რესტრუქტურიზებული პრობლემური ვალი„. თუ შემცვლელ ან დამატებით დებიტორს არ აქვს საწყის დებიტორთან რაიმე ურთიერთობა, მაშინ ბანკს შეუძლია აღრიცხოს რესტრუქტურიზებული ვალი ჭეშმარიტი საბაზრო ღირებულებით.

ყველა რესტრუქტურიზებული სესხი უნდა ექვემდებარებოდეს რისკის შეფასებას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად, იმ დროისათვის როდესაც გადავადების პროცედურა დასრულდება. ამ სესხების განხილვა პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს. როდესაც რესტრუქტურიზაცია ხდება ვალის საწყის პირობებთან შედარებით უფრო ლიბერალური პირობებით, რეზერვი იქმნება დამატებით იმ რეზერვებისაგან, რომელთა ფორმირებაც შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს ობიექტური ანალიზის საფუძველზე. საწყისი ვალის კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს კლასიფიკაციის არსებული სტანდარტების შესაბამისად, როგორც არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო. თუ საწყისი დებიტორი ფლობს შემცვლელ ან დამატებით დებიტორს ან დაკავშირებულია მასთან, მაშინ საწყისი სესხის კლასიფიკაცია არ შეიძლება შეიცვალოს, თუ ვალის შემდგომი მომსახურება ახალი მსესხებელის მიერ არ იძლევა სესხის ხელახალი კლასიფიკაციის საფუძველს. თუ შემცვლელ ან დამატებით დებიტორს მხოლოდ ლიკვიდური აქტივების გირაოს სახით შეთავაზების უნარი შესწევს, მაშინ სესხების კლასიფიკაცია უცვლელი რჩება. რეზერვი შეიძლება შემცირდეს გირაოს „ჭეშმარიტი ღირებულებით“. თუ შემცვლელი ან დამატებითი დებიტორი სრულიად არ არის დაკავშირებული საწყის მსესხებელთან, მაშინ სესხების კლასიფიკაციის კრიტერიუმები გამოყენებული იქნება შემცვლელი ან დამატებითი დებიტორის

მიმართ. აღნიშნული ხორციელდება მსესხებლის უნარის შესაბამისად დაფაროს სესხი ბიზნესის ნორმალური მსვლელობის პროცესში. თუ ახალ დებიტორს შესწევს უნარი მთლიანად გადაიხადოს ვადაგადაცილებული პროცენტი, მაშინ სესხის კლასიფიკაციის გაუმჯობესება შეიძლება შესაბამისად განხორციელდეს. სესხების კლასიფიკაციის განხილვა და რეკლასიფიცირება მოხდება (შემცვლელი ან დამატებითი დებიტორის) კლასიფიკაციის მიმდინარე განხილვისას, ვალის მომსახურების გამოცდილების მიხედვით.

თითოეულ ბანკს უნდა ჰქონდეს პოლიტიკა, რომლის თანახმადაც მოხდება სესხის რესტრუქტურიზაციის დაშვება. რესტრუქტურიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს ბანკის საერთო საკრედიტო პოლიტიკის ნაწილს და მოიცავს ვალის ამოღების, სესხის დაბრუნების, ჩამოწერის საკითხებს. პრობლემური ვალის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით, ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული სესხებზე დარიცხვის შეწყვეტის, დაუფარავი პროცენტის, ადეკვატური რეზერვების შექმნის, პრობლემური აქტივების ღირებულების განსაზღვრის ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები. მითითებები უნდა იქნეს შემუშავებული პრობლემური ვალის რესტრუქტურიზაციის მექანიზმებთან და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. აღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს კრედიტის ბუნებას, დამტკიცების პროცესს, გადაწყვეტილების მიღების პროცესს, აღრიცხვის პროცედურებს, ანგარიშგების მოთხოვნებს და მენეჯმენტის ზედამხედველობას. დამატებითი პროცედურები უნდა განისაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, თუ მსესხებელს რესტრუქტურიზაციის შემდგომ არ შესწევს ვალის მომსახურების უნარი. პოლიტიკის შესაბამისი ნაწილები უნდა დაურიგდეს ყველა ოფიცერს საკრედიტო, საბუღალტრო, შიდა აუდიტის, კონტროლის და სხვა სათანადო განყოფილებებში. რესტრუქტურიზებული სესხები შეტანილ უნდა იქნეს ბანკის საყურადღებო სიაში. დოკუმენტური შემოწმების ანალიტიკოსმა უნდა განახორციელოს

პრობლემური ვალის რესტრუქტურიზაციის მონიტორინგი რეგულარულად და განიხილოს პრობლემური ვალის რესტრუქტურიზაციის გავლენა ბანკის შემოსავალზე და მისი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. ადგილზე შემოწმების ინსპექტორებმა შემოწმების პროცესში უნდა განიხილონ ყველა მნიშვნელოვანი სესხის რესტრუქტურიზაცია, რათა განსაზღვრონ, ხდებოდა თუ არა აღრიცხვის სათანადო პროცედურების შესრულება, ასევე, და რამდენად ადეკვატურია და შესაბამისობაშია პოლიტიკა სებ-ის მითითებებთან.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღებასთან ერთად, აუცილებელი ხდება სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის არსებობა, რომელსაც ზოგჯერ ცუდი ვალების რეზერვსაც უწოდებენ. საკრედიტო პორტფელში ყოველთვის არსებობს დანაკარგი, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული, ამასთან, აუცილებელია მისი შეფასება, რათა განხორციელდეს სესხების შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნა. ბანკებმა აქტივებად უნდა განიხილონ მხოლოდ ის სესხები და დებიტორული დავალიანება, რომელთა ამოღებაც შესაძლებლად განიხილება. საქართველოში ყველა ლიცენზირებულ ბანკს მოეთხოვება ჰქონდეს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, რომელიც ადეკვატური იქნება საკრედიტო პორტფელთან, გარე საბალანსო საკრედიტო ინსტრუმენტებთან (როგორიცაა სარეზერვო აკრედიტივები და სასესხო ვალდებულებები) დაკავშირებული დანაკარგების დაფარვისათვის. სახელმძღვანელო პოლიტიკის მიზნებისათვის, ამოუღებელი სესხების საპროგნოზო მაჩვენებელი გვიჩვენებს სესხების იმ ოდენობას, რომლის ჩამოწერის ალბათობაც არსებობს საკრედიტო პორტფელში, შეფასების თარიღის მდგომარეობით არსებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებული სასესხო დანაკარგები სათანადოდ უნდა ჩამოიწეროს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშიდან, ეი უნდა მოხდეს სესხის ანგარიშის დაკრედიტება და რეზერვის ანგარიშის დადებეტება, როდესაც დასტურდება, რომ ცალკეული სესხის ან მათი ნაწილის ამოღება შეუძლებელია. ბანკის მენეჯმენტის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობაშია შედის სასესხო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურ დონეზე შენარჩუნების უზრუნველყოფა. ბანკის ფინანსური დოკუმენტების სებ-ში წარდგენის მიზნით, შეფასების თარიღის მდგომარეობით არსებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით, ყველა „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხის ან სესხის ნაწილის ჩამოწერის შემდეგ ადეკვატური რეზერვი არ უნდა იყოს შემდეგი პუნქტების ჯამზე ნაკლები:

◆ „საყურადღებოდ“, „არასტანდარტულად“ და „საეჭვოდ“ კლასიფიცირებული სესხებისთვის, რეზერვის ოდენობა უნდა იყოს შეფასებული სასესხო დანაკარგების ტოლი ამ სესხების არსებობის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში: სებ-ის დებულება მოითხოვს მინიმუმ 10%-იან რეზერვს საყურადღებო სესხებისათვის, 30%-იან რეზერვს არასტანდარტული სესხებისათვის და 50%-იან რეზერვს საეჭვო სესხებისათვის; თუმცა, თუ შეფასებული დანაკარგები სესხების არსებობის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში უფრო მაღალია, ვიდრე აუცილებელი მინიმუმი, მაშინ რეზერვის უფრო დიდი ოდენობა იქნება საჭირო.

◆ „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხებისთვის რეზერვი განისაზღვრება მინიმუმ 2%-ის ოდენობით, თუმცა, იმ ბანკებში, სადაც სესხის გაცემის პრაქტიკა სუსტია და პოტენციური დანაკარგები უფრო მაღალია, რეზერვის რაოდენობა მინიმალურზე მაღალი უნდა იყოს.

◆ სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შეფასება უნდა იყოს კონსერვატიული, გამომდინარე იქიდან, რომ საკრედიტო დანაკარგების შეფასებების უმრავლესობა მიახლოებითი ხასიათისაა. რეზერვების ადეკვატურობა უნდა შეფასდეს არანაკლებ თვეში ერთხელ. მენეჯმენტის მიერ რეზერვის შეფასება კონსერვატიული უნდა იყოს და ითვალისწინებდეს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასების უზუსტობას. რეზერვის ადეკვატურობა უნდა ფასდებოდეს, არანაკლებ, თვეში ერთხელ. რეზერ-

ცხრილი 6.1.

გაცემული სესხის კლასიფიკაციის მაგალითი

მონაცემები:
1. გაცემული სესხის მოცულობა – 20000 ლარი.
2. წლიური საპროცენტო განაკვეთი – 12%
3. სესხის გაცემის ხანგრძლივობა – 3 თვე
4. გაცემული სესხის რაოდენობა – 1
5. სესხის გაცემის თარიღი – 01.01.2015
6. ფასიანადაცდებელ სესხებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი ორმაგდება.

№ რიგზე	სესხების კლასიფიკაცია საერთაშორისო მიხედვით	ფასიანადაცდებების ხარისხობრივი	სარეზერვო განაკვეთი %	რეზერვის თანხა ლარებში	დაფასიანების მოცულობა			
					პერიოდი	ძირითადი თანხა ლარებში	% ლარებში	სულ, ლარებში
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	სტანდარტული სესხი	ვადაგადაცილება არ არის	2%	400	01.01.2015 01.04.2015	20000	600	20600
2	საეჭვოსიკეთო სესხი	ვადაგადაცილება 30 დღემდე	10%	2000	01.04.2015 01.05.2015		+400	21000
3	არასტანდარტული სესხი	ვადაგადაცილება 60 დღემდე	30%	3000	01.05.2015 01.06.2015		+400	21400
4	საეჭვო სესხი	ვადაგადაცილება 120 დღემდე	50%	5000	01.06.2015 01.08.2015		+800	22200
5	ფიქტიური სესხი	ვადაგადაცილება 150 დღეზე მეტი	100%	20000	01.08.2015 01.09.2015		+400	22600
ჯამი						20000	2600	22600

ვის ადეკვატურობის შეფასებისას ინსპექტორები განიხილავენ ბანკის საკრედიტო პოლიტიკის და პრაქტიკის ადეკვატურობას, გირაოს ნორმებს, ბანკის უნარს, ამოიღოს პრობლემური სესხები, სესხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ადეკვატურობას, მსხვილი კონცენტრაციების არსებობას, ეკონომიკური მდგომარეობის ზოგად მახასიათებლებს, კერძოდ კი, ერთ ან რამდენიმე სფეროში მსხვილი მსესხებლის კონცენტრაციებს. ბანკის მენეჯმენტს უნდა გააჩნდეს პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობაზე პასუხისმგებელ პირს, განსახილველ ფაქტორებს, ანალიზის განხორციელების სიხშირეს, ჩამოწერილ და ამოღებულ სესხებთან დაკავშირებულ აღრიცხვის პროცედურებს, სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე პერიოდული მონაცემების ანგარიშგებას და სებ-ის წინაშე ადეკვატურ ფინანსურ ანგარიშგებას.

6.3. ბანკის აქტივების ხარისხის შეფასების ამოცანები

შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს აქტივების ხარისხის კომპონენტური რეიტინგი, საკრედიტო რისკის ოდენობა, საკრედიტო რისკის მართვის ხარისხი და სესხების შესაძლო დანაკარგების (სშდ) რეზერვის ადეკვატურობა.

შემოწმების დასაწყისში, მენეჯმენტთან ერთად განხილული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

- ცვლილებები საკრედიტო პორტფელის ადმინისტრირებაში;
- ცვლილებები საკრედიტო განყოფილების მენეჯმენტის ან თანამშრომლების შემადგენლობაში;
- საკრედიტო პროდუქტების, მარკეტინგის, სესხების შესყიდვის გზების (მესამე მხარესთან ურთიერთობების ჩათვლით), პოლიტიკის ან პრაქტიკის, ან სესხების ზრდის ცვლილებები.
- საკრედიტო პოლიტიკასთან, კრედიტებსა და გირაოსთან დაკავშირებით დაშვებული გამონაკლისების ცვლილება.
- კრედიტების ხარისხზე მოქმედი გარე ან შიდა ფაქტორები.

შემმოწმებელთა ჯგუფის მიერ მოპოვებული და განხილული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

- ზედამხედველობის დეპარტამენტის დოკუმენტური შემოწმების შედეგები და წინა შემოწმების შედეგები;
- UUBPR და off საიტის მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტები;
- ვადაგადაცილების და დარიცხვის შეწყვეტის ანგარიშგებები;
- პრობლემური და „საყურადღებო“ სესხების ჩამონათვალი;
- ინსაიდერებზე გაცემული სესხების ჩამონათვალი;
- ანგარიშგებები კრედიტების კონცენტრაციების, მათ შორის, 40 უმსხვილესი დებიტორის შესახებ;
- სშდ რეზერვის ანალიზი;
- წინა შემოწმების შემდგომ არსებული სესხების განხილვის ანგარიშგებები და ნებისმიერი პასუხები;

- სებისმიერი „სხვა აქტივების“ ანგარიშების დეტალები, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური დოკუმენტებისათვის;
- მთლიანი სესხების 80%, რომელიც სასურველია მოიცავდეს, ანალიზს, ხუთ ახლად გაცემულ სესხს;
- ინსაიდერებზე გაცემული დიდი მოცულობის სესხები;
- ვადაგადაცილებული და დარიცხვაშეწყვეტილი სესხები;
- ადრე გაკრიტიკებული და ბანკის პრობლემური და „საყურადღებო“ სესხების სიაში არსებული სესხები.

სამუშაოს მოცულობა უნდა ემყარებოდეს საკრედიტო პორტფელის სეგმენტებით განსაზღვრულ საერთო რისკს და ცვლილებების ტენდენციებს. მიმოხილვის მიზანია იმის განსაზღვრა, დასტურდება თუ არა სესხების საშუალებით ნებისმიერი ცვლილება ბანკის მიერ რისკების შერჩევაში, ბანკის სესხების გაცემის პრაქტიკაში, კრედიტების ადმინისტრირებაში, რისკის შეფასების კრიტერიუმებში ან საკრედიტო რისკის მართვის ნებისმიერ სხვა ასპექტში. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს საკრედიტო ფაილების, დოკუმენტების დამტკიცების და საკრედიტო კომიტეტის ოქმების განხილვით. საკრედიტო ფაილის დოკუმენტაციის განხილვა შეიძლება, ჩვეულებრივ, შემოიფარგლებოდეს სესხების კლასიფიკაციის შესახებ შენიშვნების შეჯამებით და მისი დამადასტურებელი ფაქტებით. სესხების განხილვა და შედეგების შეჯამება უნდა მოხდეს ადგილზე შემოწმების პროცესში.

თუ ბანკის საქმიანობა, მისი რისკის პროფილი ან რისკის კონტროლი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ან თუ გამოიკვეთა არსებითი საკითხები, შემოწმების მინიმალური ამოცანების შესრულების მიუხედავად, შემოწმების მასშტაბი უნდა გაფართოვდეს და მოიცვას სესხების მეტი რაოდენობა, სტანდარტული შეფასების შესაბამისი ამოცანები ან სხვა გაფართოებული პროცედურები.

ამოცანა 1. განისაზღვროს აქტივების ხარისხის მიმოხილვის მასშტაბი. – განიხილეთ წინა შემოწმების ინფორმაცია, რათა განისაზღვროს ნებისმიერი ადრე არსებული პრობლემა, რომელიც მოითხოვდა შემდგომ ყურადღებას; თუ წინასწარ არ იქნა წარმოდგენილი, მოიპოვეთ და განიხილეთ ის ანგარიშგებები, რომლებიც ბანკის მენეჯმენტი იყენებს საკრედიტო პორტფელის ზედამხედველობის მიზნით, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ✓ სესხების საწყისი ბალანსი;
- ✓ რისკის შეფასების ანგარიშგება;
- ✓ ვადაგადაცილების და დარიცხვის შეწყვეტის ანგარიშგებები;
- ✓ პრობლემური და „საყურადღებო" სესხების ჩამონათვალი, გამოსასწორებელი პროგრამის ჩათვლით;
- ✓ კრედიტების კონცენტრაციების ანგარიშგებები;
- ✓ ინსაიდერებზე გაცემული სესხების ჩამონათვალი;
- ✓ ოვერდრაფტების ჩამონათვალი;
- ✓ სშდრ – ის უახლესი ანალიზი;
- ✓ ანგარიშგებები საკრედიტო პოლიტიკასთან, სესხის გაცემის სტანდარტებთან, კრედიტებთან და გირაოსთან დაკავშირებული გამონაკლისების შესახებ;
- ✓ მონიტორინგის შედეგები;
- ✓ სესხების უკანასკნელი მიმოხილვა, ბანკის ოფიცრებისგან მიღებული პასუხების ჩათვლით.

◆ შემმოწმებელთა მიერ განხილულ იქნეს UBPR და off-საიტის მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტები და მოთხოვნილი ინფორმაცია საკრედიტო პორტფელის მოცულობის, შემადგენლობის, ცვლილების ტენდენციების და ნებისმიერი ბალანსგარეშე რისკის შესაფასებლად. განხილვას საჭიროებს:

- ✓ სესხების მიმდინარე და დაგეგმილი ზრდა ბანკის კაპიტალთან და მოსალოდნელი რისკის ლიმიტებთან კავშირში;
- ✓ მაღალი ზრდის სფეროები;
- ✓ ანგარიშგებები პორტფელის შიდა მართვის შესახებ (გამონაკლისები საკრედიტო პოლიტიკასთან, კრედიტებთან, გირაოსთან, კრედიტების კონცენტრაციასთან დაკავშირებით და ა.შ.);
- ✓ ნაკისრი და დაუფინანსებელი სასესხო ვალდებულებები;
- ✓ აქტივების ხარისხის გაუარესების ნიშნები;
- ✓ საკრედიტო პორტფელის რისკის მახასიათებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია შემდეგის ჩათვლით:
  - ადგილობრივი/სახელმწიფო ეკონომიკური მაჩვენებლები;
  - სხვა ადგილობრივ ფინანსურ დაწესებულებებში არსებული ტენდენციები;
  - დაგეგმილი ან უკვე დაწყებული ახალი პროდუქტები.

◆ მენეჯმენტთან დისკუსიის დროს შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს:

✓ მნიშვნელოვნად შეიცვალა თუ არა საკრედიტო პროდუქტები, საკრედიტო პრაქტიკა (სესხის გაცემის და რისკის შერჩევის სტანდარტები, დაკრედიტების ჩვეულებრივი სფეროს გარეთ სესხების გაცემა და ა.შ), ან მომსახურების გაწევის გზები.

✓ ახდენენ თუ არა გარე და შიდა ფაქტორები გავლენას კრედიტების ხარისხზე (მაგ. ადგილობრივი მრეწველობის შესუსტება ან გაფართოება, საკრედიტო განყოფილების მენეჯმენტის და თანამშრომლების შეცვლა, კრედიტების კონცენტრაციის ცვლილება, პროდუქტების ცვლილება).

◆ ბანკის საკრედიტო პრაქტიკის შესასწავლად შემმოწმებელი უნდა გაეცნოს საკრედიტო კომიტეტის სხდომის ოქმებს, მან უნდა მოითხოვოს ბანკის მიმდინარე საკრედიტო პოლიტიკა და განიხილოს წინა შემოწმების შემდეგ მომხდარი ნებისმიერი ცვლილება.

შენიშვნა: პოლიტიკა, უმთავრესად, გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც სახელმძღვანელო სესხების ნიმუშების შევსებისას და გამონაკლისების განსაზღვრისას.

◆ შემოწმების პროცესში გამოიყენეთ ბანკის ანგარიშგებები, რათა ბანკის საკრედიტო პორტფელიდან შეარჩიოთ შესაბამისი სესხების ნიმუშები. განიხილეთ:

✓ დოლარში გაცემული დიდი მოცულობის სესხები;

✓ ნაყიდი ან გაყიდული სესხების (ნაწილობრივი ან მთლიანი) კონცენტრაცია;

✓ სესხების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია;

✓ ახალი საკრედიტო და სეზონური პროდუქტები, ან სწრაფად მზარდი პორტფელები;

✓ ინსაიდერებზე და შვილობილ კომპანიებზე გაცემული სესხები;

✓ „სტანდარტულ" კლასიფიკაციაზე დაბალი შეფასების მქონე სესხები;

✓ სტრუქტურული თვალსაზრისით, წინათ სუსტად შეფასებული სესხები, სესხები რომლებიც მიეკუთვნებიან საკრედიტო პოლიტიკიდან, რისკის შერჩევიდან და სესხის გაცემის სტანდარტებიდან დაშვებულ გამონაკლისებს;

✓ მაღალი რისკის მატარებელი საკრედიტო პროდუქტები, როგორიცაა გირაო/ სესხის ღირებულებასთან მაღალი ფარდობის მქონე იპოთეკური სესხები;

✓ ისეთი ბიზნესის ან დარგის დასაფინანსებლად გაცემული სესხები ან კრედიტების კონცენტრაციები, რომლებიც ავლენენ სისუსტის ნიშნებს ან დაკავშირებული არიან მაღალ რისკთან;

✓ პრობლემური სესხების სიაში არსებული სესხები და ადრე კლასიფიცირებული სესხები, მნიშვნელოვნად ვადაგადაცილებული სესხები, დარიცხვაშეწყვეტილი, პრობლემური და რესტრუქტურიზებული სესხები.

სესხები, რომელთა დეტალური შესწავლა არ ხდება, განხილული უნდა იქნეს სესხების აღწერის მომზადების გარეშე.

სესხის ნიმუშის მოცულობა და შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს პორტფელისათვის დამახასიათებელ საკრედიტო რისკს (რისკის ოდენობის, ხარისხის და მიმართულების ჩათვლით), რისკის ადეკვატურ მართვას, ბანკის მდგომარეობას და აქტივების ხარისხის განხილვის ამოცანებს.

რამდენადაც საკრედიტო რისკი ბანკის მოგებას და კაპიტალს ექვემდებარება უდიდესი რისკის წინაშე, სესხები კი ბანკების უმრავლესობაში წარმოადგენენ აქტივების უდიდეს კონცენტრაციას, სებ–ი ხშირად ამოწმებს საკრედიტო პორტფელების მნიშვნელოვან კონცენტრულ ნაწილს. ინსპექტორები იყენებენ სტატისტიკური შერჩევის მეთოდს და შერჩევას ახდენენ სებ-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შესაბამისად.

სტაბილურ, კარგად მართულ ბანკში, სადაც წარმოდგენილია ოპერაციების რამდენიმე ნიშანი, შემმოწმებლებმა უნდა შეარჩიონ საკმარისი გაცემული, სტანდარტულად შეფასებული კრედიტების საკმარე რაოდენობა, რათა განსაზღვრონ კრედიტების ხარისხის და საკრედიტო რისკის მართვის ადეკვატურობა.

თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან გამონაკლისებს სესხის გაცემის პრაქტიკიდან ან რისკის შერჩევის პროცესში, ან თუ წარმოდგენილია ნაკლოვანებები ბანკის რისკის იდენტიფიკაციის და კრედიტების ადმინისტრირების პროცესში, შემმოწმებელმა უნდა განავრცოს შესასწავლი ნიმუში, რათა განსაზღვროს პრობლემის გამომწვევი მიზეზები, მათი სერიოზულობა და გავლენა კრედიტების ხარისხზე. დამატებითი ნიმუშები შეიძლება, აგრეთვე, საჭირო იყოს მაშინ, როცა ბანკები განიცდიან მნიშვნელოვან ზრდას, სესხების ან პროდუქტების ნაკრები იცვლება, კრედიტები ან ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება, იცვლება სტრატეგიული მიმართულება ან პერსონალი, ან საკრედიტო პორტ-

ფელის მართვა სათანადოდ არ ხორციელდება. დამატებითი ნიმუში მიმართული უნდა იყოს ისეთი საკრედიტო სფეროებისკენ, რომლებმაც განაპირობეს სესხების გაფართოებული შესწავლა.

ნიმუშში წარმოდგენილი სესხების ტიპები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ის ფაქტი, თუ პორტფელის რა ნაწილი იქნა განხილული. ნიმუში მიმართული უნდა იყოს პორტფელში წარმოდგენილი უპირატესი რისკისკენ. რაც უფრო მაღალი რისკი ემუქრება ბანკს, მით უფრო სრულყოფილი უნდა იყოს ტესტირების პროცესი.

ამოცანა 2. სესხების დამოუკიდებლად ტესტირებით შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს საკრედიტო პორტფელში წარმოდგენილი საკრედიტო რისკი, რისთვისაც:

◆ უნდა გააანალიზოს კრედიტები და განიხილოს სესხები, რათა განსაზღვროს რისკის დონე თითოეული სესხისათვის. ანალიზი უნდა მოიცავდეს დაკავშირებული ვალის მიმოხილვას.

◆ დოკუმენტურად იქნეს დასაბუთებული თითოეული სესხის შეფასება.

◆ ცალკეული კრედიტის ანალიზის პროცესში შემმოწმებლის მიერ შედგენილ იქნეს სტრუქტურული სისუსტეების მქონე სესხების სია. მაშინ როცა სტრუქტურულად სუსტი სესხების შესწავლა, ჩვეულებრივ, მოითხოვს, სულ ცოტა, 10 ახალი სესხისგან შემდგარი ნიმუშის განხილვას, ბანკის საკრედიტო პორტფელის მნიშვნელობიდან და ახალი სესხების მოცულობიდან გამომდინარე, შემმოწმებლებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება სესხების რაოდენობის ცვლილების შესახებ.

◆ უნდა შედგეს იმ სესხების სია, რომელთათვისაც შემმოწმებლის ან მენეჯმენტის შეფასების უნარი შეზღუდული იყო სესხის ან გირაოს შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის უკმარისობის გამო. განხილულ უნდა იქნეს:

✓ გამონაკლისების ნიმუშები ან მათი ძირეული მიზეზები;

✓ გამონაკლისების კავშირი საკრედიტო პროცესთან;

✓ გავლენა საკრედიტო რისკზე.

◆ პორტფელის ანალიზის პროცესში განხილულ უნდა იქნეს:

✓ პორტფელის მოცულობა და ზრდის ტემპი;

✓ პროდუქტების, მარკეტინგული ხერხების, სესხის გაცემის სტანდარტების, ოპერაციების და ტექნოლოგიების ცვლილება;

✓ პროდუქტის მიხედვით ვადაგადაცილების და დანაკარგების დონე და ცვლილების ტენდენციები;

✓ გავლენა საკრედიტო რისკზე;

✓ სესხის გაცემის, ვადაგადაცილების, განახლების და რესტრუქტურიზაციის დონე და ცვლილების ტენდენციები.

აღნიშნულის გარდა:

✓ შესწავლილ უნდა იქნეს ვადაგადაცილებული სესხები და განხილული მენეჯმენტთან ერთად (თუ დასაბუთებული არ არის, სესხების დეტალური აღწერა არ უნდა მომზადდეს).

✓ საჭიროების შემთხვევაში განხილულ უნდა იქნეს პოლიტიკა და კონტროლის მექანიზმები და განსაზღვრული სესხების რესტრუქტურიზაციის პრაქტიკა.

◆ შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს საკრედიტო პორტფელში არსებული რისკი, რისკის შეფასების პროფილის, სესხის გაცემის და რისკის შერჩევის პრაქტიკის, კონცენტრაციების, საკრედიტო პოლიტიკის გამონაკლისების, საკრედიტო და საგირავნო გამონაკლისების, ფასწარმოქმნის, გირაოს, ანალიზის ადეკვატურობის და კრედიტების ადმინისტრირების პრაქტიკის, ეკონომიკური მაჩვენებლების და ა.შ გათვალისწინებით.

ამოცანა 3. სხვა აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის რაოდენობის განსასაზღვრავად, საჭიროების შემთხვევაში, მოპოვებულ და განხილულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტების სია:

✓ სხვა უძრავი ქონება;
✓ დასაკუთრებული აქტივები;
✓ ფულადი სახსრები;
✓ არსებითი ნაშთების მქონე სხვა აქტივების ანგარიშები;

◆ თუ სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის დონე მნიშვნელოვანია, შემმოწმებელმა უნდა განიხილოს მისი ნიმუში, რათა განსაზღვროს, იყენებს თუ არა მენეჯმენტი აღრიცხვის სათანადო სისტემას. განიხილოს:

✓ დანაკარგების მიღების და აღიარების დრო;
✓ ხარჯების აღრიცხვა;
✓ კაპიტალის წინაშე არსებული რისკი ან სხვა უძრავი ქონებისთვის შექმნილი რეზერვების ადეკვატურობა.

◆ ინვესტიციებზე მომუშავე შემმოწმებლისგან მოპოვებულ უნდა იქნეს კლასიფიცირებული ინვესტიციების ჩამონათვალი და ინვესტიციების ხარისხთან და შედგენილობასთან დაკავშირებული სხვა სათანადო მონაცემები.

◆ ბანკის მენეჯმენტთან საუბრის დროს და ზემოთ მოყვანილი აქტივების განხილვის საფუძველზე შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს, რომელი კომპონენტების კლასიფიცირება და ჩამოწერა უნდა მოხდეს.

ამოცანა 4. შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს სშდრ–ს ადეკვატურობა, რისთვისაც უნდა.

◆ შეაფასოს სშდრ-ს ნაშთის განსასაზღვრად გამოყენებული მეთოდი. მის მიერ განხილული უნდა იყოს:

✓ მართვის პროცესის მიზანშეწონილობა;
✓ დამხმარე დოკუმენტაციის ხარისხი და ადეკვატურობა;
✓ აქტივების ხარისხის განხილვის შედეგები;
✓ სებ-ის შესაბამისი მითითებები.

◆ თუ სშდრ მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი, შემმოწმებელი უნდა გაესაუბროს უფროს შემმოწმებელს, რათა დამოუკიდებლად განსაზღვროს სშდრ ნაშთის ადეკვატურობა. თუ სშდრ არაადეკვატურია, შემმოწმებელმა უნდა:

✓ გამოთვალოს დარეზერვების ხარჯების რაოდენობა სშდრ-ს ნაშთამდე დონემდე გასაზრდელად;
✓ ბანკის მენეჯმენტს მიუთითოს საზედამხედველო ანგარიშში შესატანი კორექტირებების შესახებ;
✓ გაუზიაროს შედეგები შემოწმების ჯგუფის სხვა წევრებს.

ამოცანა 5. განსაზღვროს საკრედიტო რისკის მართვის სისტემების ხარისხი. რისკის საკითხებზე მომუშავე მენეჯერებთან საუბრის, შიდა და გარე აუდიტის დასკვნების და სესხების განხილვის ანგარიშგებების საშუალებით, შემმოწმებელმა უნდა:

◆ განსაზღვროს კრედიტების რაოდენობა, ბუნება და გირაოსთან დაკავშირებული გამონაკლისები, პოლიტიკიდან დაშვებული გამონაკლისები, რისკის შეფასების ცვლილება, ან სესხებთან დაკავშირებული სხვა მონაცემები მოითხოვენ თუ არა განსაკუთრებულ ყურადღებას კრედიტების ადმინისტრირების ფუნქციის ხარისხის თვალსაზრისით.

◆ განსაზღვროს, ადეკვატურია თუ არა საკრედიტო განყოფილების მენეჯმენტი და პერსონალი საკრედიტო პორტფელში არსებული რისკების ეფექტური კონტროლისათვის. განიხილოს:

✓ შტატების რაოდენობა;
✓ პერსონალის გამოცდილება;
✓ საკომპენსაციო სისტემები.

◆ საკრედიტო რისკის თვალსაზრისით, უნდა შეფასდეს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების დროულობა, სისრულე, სიზუსტე და შესაბამისობა. ასევე, განხილულ უნდა იქნეს ანგარიშგებების წყაროები, ანგარიშგებების მომზადებაზე დაწესებული

კონტროლი და ის, თუ რამდენად დამოუკიდებლად მოწმდება ანგარიშგებების სიზუსტე. რისკის მართვის ანგარიშგებები უნდა მოიცავდეს მე-2 და მე-3 ამოცანებში განსაზღვრული საკრედიტო რისკის ძირითად წყაროებს.

◆ ჩამოთვლილი ამოცანების განხორციელების შედეგების გამოყენების საშუალებით, შემმოწმებელი უნდა მოეთათბიროს უფროს ინსპექტორს და შემოწმების ჯგუფის სხვა წევრებს, რათა გამოტანილ იქნეს წინასწარი დასკვნები პორტფელში არსებული რისკის მართვის სისტემების ადეკვატურობის შესახებ. განხილულ უნდა იქნეს:

✓ არსებული რისკის შესწავლასა და აღიარებაში არსებული სისუსტეები;

✓ მტკიცებულება, რომ რისკის შეფასება არ ხდება დროულად და ზუსტად;

✓ რამდენად ზუსტად და სათანადოდ აწარმოებს მენეჯმენტი არსებული რისკის მონიტორინგს;

✓ რისკის ლიმიტების დადგენის და კონტროლის უუნარობა.

◆ შეაფასებულ უნდა იქნეს ბანკის შიდა კონტროლის სისტემა საკრედიტო ფუნქციასთან დაკავშირებით. შემმოწმებლებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ საკრედიტო ფუნქციასთან დაკავშირებული სხვა კონტროლის სისტემები.

ამოცანა 6. ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს, მნიშვნელოვანია თუ არა ბანკის რისკი აქტივების ხარისხიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკის ოდენობასთან, საკრედიტო რისკის მართვის ხარისხთან, მთლიან საკრედიტო რისკთან და საკრედიტო რისკის მიმართულებასთან დაკავშირებით შემუშავებული უნდა

იქნეს წინასწარი დასკვნები. საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს შენიშვნები.

უფროს ინსპექტორთან და სხვა შემმოწმებლებთან კონსულტაციების შემდეგ უნდა განისაზღვროს ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს რისკის შეფასების დასკვნებში.

ამოცანა 7. შემმოწმებლებმა უნდა განსაზღვრონ, მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის უნდა მოხდეს პროცედურების გაფართოება, თუ გეგმის შემუშავება. შესაბამისად, განხილულ უნდა იქნეს:

✓ შესწევს თუ არა მენეჯმენტს ბანკის წინაშე არსებული რისკების ადეკვატური მართვის უნარი;

✓ შესწევს თუ არა მენეჯმენტს ბანკის ფუნდამენტალური პრობლემების გამოსწორების უნარი;

✓ აუცილებელია თუ არა ბანკის სისუსტეებთან დაკავშირებით სტრატეგიის შემუშავება და განხილულ უნდა იქნეს სტრატეგია სამეთვალყურეო საბჭოს დეპარტამენტთან ერთად.

ამოცანა 8. აქტივების ხარისხის განხილვის დასახელება.

◆ შემმოწმებელთა ჯგუფმა მენეჯმენტს უნდა წარმოუდგინოს და მასთან ერთად განიხილოს კრედიტებთან და გირაოსთან დაკავშირებული გამონაკლისების სია, სტრუქტურული სისუსტეების მქონე სესხები, კლასიფიცირებული აქტივები, განსაკუთრებულად გამოყოფილი აქტივები და სესხების აღწერა.

◆ ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურების განხორციელების შედეგების და შემოწმების ნებისმიერი სხვა შედეგების გამოყენებით შემოწმების აქტისათვის უნდა მომზადდეს შენიშვნები (მაგ., აქტივების ხარისხთან, კონცენტრაციებთან დაკავშირებით).

◆ შემმოწმებელმა, ასევე, უნდა განაახლოს და მოაწესრიგოს სამუშაო დოკუმენტები;

◆ უფროს ინსპექტორთან ერთად მოამზადოს წინასწარი დასკვნები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

✓ საკრედიტო რისკის ოდენობა;

✓ საკრედიტო რისკის მართვის ხარისხი;

✓ საკრედიტო რისკის ან ნებისმიერი სხვა რისკის დონე და მიმართულება

VII თავი

კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის მენეჯმენტი

შინაარსი:

1. საინვესტიციო სტრატეგია და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა;
2. კომერციული ბანკის საკალო ფასიანი ქაღალდების პორტფელის და რისკის მართვის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. შემოსავლიანობა და ლიკვიდობა;
2. საინვესტიციო პორტფელის „პორტფელური“ ხერხით შეკვება;
3. წილობრივი და საკალო ფასიანი ქაღალდები;
4. საპროცენტო განაკვეთის რისკი;
5. უცხოური ვალუტის რისკი;
6. საბაზრო რისკის ლიმიტები;
7. საოპერაციო და სამართლებრივი რისკები ;
8. ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტები;
9. ბალანსის კაპიტალური მართვის მოდელი.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

სქემა 7.1. ფინანსური ნაკადები, რომლებიც ფირმებს კაპიტალის ბაზრებთან აკავშირებს.

◆ შემმოწმებელმა, ასევე, უნდა განაახლოს და მოაწესრიგოს სამუშაო დოკუმენტები;

◆ უფროს ინსპექტორთან ერთად მოამზადოს წინასწარი დასკვნები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

✓ საკრედიტო რისკის ოდენობა;

✓ საკრედიტო რისკის მართვის ხარისხი;

✓ საკრედიტო რისკის ან ნებისმიერი სხვა რისკის დონე და მიმართულება

VII თავი

კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის მენეჯმენტი

შინაარსი:

7.1 საინვესტიციო სტრატეგია და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა;

7.2. კომერციული ბანკის სავალო ფასიანი ქაღალდების პორტფელის და რისკის მართვის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. შემოსავლიანობა და ლიკვიდობა;
2. საინვესტიციო პორტფელის „პორტფელური“ ხერხით შეფასება;
3. წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდები;
4. საპროცენტო განაკვეთის რისკი;
5. უცხოური ვალუტის რისკი;
6. საბაზრო რისკის ლიმიტები;
7. საოპერაციო და სამართლებრივი რისკები ;
8. ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტები;
9. ბალანსის კაპიტალური მართვის მოდელი.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

სქემა 7.1. ფინანსური ნაკადები, რომლებიც ფირმებს კაპიტალის ბაზრებთან აკავშირებს.

7.1. საინვესტიციო სტრატეგია და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა

ბაზარზე მკაცრი კონკურენციის პირობებში კომერციული ბანკის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას **საინვესტიციო სტრატეგიის** შემუშავება წარმოადგენს. **ბანკების ინვესტიციებს** უწოდებენ სახსრებს, რომლებიც შედარებით ხანგრძლივი პერიოდით კერძო და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებშია დაბანდებული.

ინვესტირებისას კომერციული ბანკი, რომელიც წარმოადგენს **კრედიტორს**, იმავე დროს, იგი საწარმოს, კორპორაციის, კომპანიის და სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში სახსრების **ინვესტორიცაა.**

შემოსავლიანობა და ლიკვიდობა კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც მათი სახსრების ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახეობაში: აქციების, კერძო ობლიგაციების, სახელმწიფო სავალო ვალდებულებებისა და სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის (დეპოზიტური სერტიფიკატები, თამასუქები და სხვ.) დაბანდების გზით არის განხორციელებული.

ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის ბანკები შედარებით მცირე თანხებს სხვა ფასიან ქაღალდებშიც – ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმოქცევად საბანკო აქცეპტებში, კომერციულ ქაღალდებში, საბროკერო სესხებში და სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციების სერტიფიკატებშიც განათავსებენ. შემოსავლების გასაზრდელად, მაგრამ ლიკვიდობის საზიანოდ ბანკები სახსრების შეზღუდული რაოდენობით ინვესტირებას ზოგიერთი სამთავრობო დაწესებულების ობლიგაციებშიც – კორპორაციის პირველი კლასის ობლიგაციებშიც ახორციელებენ. კომერციული ბანკების შემოსავლის მიღებასთან მიმართებაში ინვესტიციების აღნიშნული წყარო, კრედიტების მიხედვით მიღებული პროცენტების შემდეგ, საბანკო მოგების მეორე წყაროა. კომერციული ბანკის საინვესტიციო საქმიანობის შემოსავლიანობა რიგ ეკონომიკურ ფაქტორებზე და ორგანიზაციულ პირობებზეა დამოკიდებული, რომელთა

ძირითად განმსაზღვრელებს წარმოადგენენ: წარმოებისა და მომსახურების სფეროში სტაბილურად განვითარებადი სახელმწიფო პოლიტიკა, საბანკო საქმიანობის სფეროში, საკუთრების სხვადასხვა ფორმის, გამართული საკრედიტო სისტემის არსებობა, ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზრისა და მისი საბაზრო ინფრასტრუქტურის არსებობა, ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის, ასევე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებისა და დებულებების მოწესრიგებული სისტემა, მიმოქცევაში მაღალხარისხიანი კლასებისა და სახეობების ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირება.

საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობით განპირობებული ფასიანი ქაღალდების ცალკეული სახეობის შემოსავლიანობა, ისევე როგორც წესი, ფასიანი ქაღალდების კურსზე და მათი დაფარვის ვადაზე არის დამოკიდებული. რამდენად მოკლეა ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადა, იმდენად სტაბილურია მისი საბაზრო ფასი, იმდენად ნაკლებ ცვალებადობას ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების ღირებულება.

მაღალი ლიკვიდობის დონისა და ბაზარზე მუშაობის მოქნილობის უზრუნველყოფისაკენ მისწრაფებით, კომერციულმა ბანკმა საკუთარი საინვესტიციო სტრატეგიის ერთ-ერთი პრობლემა ბანკის მეანაბრეებისა და მისი აქციების მფლობელების არათანაბარი ინტერესების დაკმაყოფილება უნდა გადაწყვიტოს.

კომერციული ბანკის მზადყოფნა მოგების მიღების მიზნით საწყისობრივ შეიმციროს ლიკვიდობა და, პირიქით, ნიშნავს მეტ ან ნაკლებ საინვესტიციო რისკზე წასვლას. ფასიანი ქაღალდების ოპერაციებისაგან რისკთან პირდაპირ დაკავშირებული კომერციული ბანკის საინვესტიციო საქმიანობა ბანკის ხელმძღვანელობისაგან საბანკო საქმიანობის მოცემულ სფეროში გარკვეული სტრატეგიის, ტაქტიკისა და კონკრეტული ქმედებების შემუშავებას მოითხოვს.

საინვესტიციო სტრატეგია, თავისთავად, ბანკის შემოსავლების გადიდების მიზნით ბაზარზე დაბანდებების გაფართოებას წარმოადგენს.

საინვესტიციო საქმიანობის პრინციპული დებულებებიდან და ფასიან ქაღალდებში სახსრების დაბანდების ძირითად ფაქტორებს – შემოსავლიანობას, ლიკვიდობასა და რისკს შორის რეალურად არსებული ურთიერთკავშირისგან გამომდინარე, ნებისმიერი ბანკი ამა თუ იმ სახის საინვესტიციო პოლიტიკას უარესად ან უკეთესად ახორციელებს.

ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის შემცირების ერთ-ერთი მეთოდია **დივერსიფიკაცია**. იგი ბანკის პორტფელში მრავალი სახეობის ფასიანი ქაღალდების არსებობას ნიშნავს.

საინვესტიციო სტრატეგიის რეალიზაცია ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- კონტროლის (ძირითადად, ფინანსურის) საფუძველზე მართვა სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად;
- ექსტრაპოლაციის საფუძველზე მართვა, როდესაც პერსპექტივაში იგივე ტენდენციებია მოსალოდნელი, რაც წინა პერიოდში იყო;
- პრინციპულად ახალი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე მართვა, როდესაც ბაზარზე განვითარების აბსოლუტურად ახალი ტენდენციები წარმოიშობა;
- მიღებული ოპერატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე მართვა, საგანგებო გაუთვალისწინებელი გარემოებებისას.

საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი რეალიზაციისას მსხვილი კომერციული ბანკები მართვის სტრუქტურაში სპეციალურ საინვესტიციო განყოფილებებს ქმნიან. რამდენად მაღალია აღნიშნული განყოფილებების თანამშრომლების კვალიფიკაცია, იმდენად მაღალია შესრულებადი მუშაობის ხარისხიც.

ბანკის ინვესტიციები შედგება ფასიანი ქაღალდებისაგან, რომელთა მეორად რეზერვში ჩართვა არ შეიძლება. ისინი, მათი დაფარვის საფეხურიანი ვადების საფუძველზე, მეორადი რეზერვის

ინსტრუმენტის ამოცანას წყვეტენ, ამიტომ მათ შეიძლება მეორადი რეზერვის საყრდენი ვუწოდოთ.

ინვესტიციები ორ შეუთავსებად მიზანს – შემოსავლებს და ლიკვიდობას მისდევენ. აღნიშნულ მიზნებს შორის დაბალანსება ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან უდიდეს დაძაბულობას და ინვესტიციის სფეროში და საბანკო ბალანსის ლიკვიდურობის სფეროში მკაფიო პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს.

თუ მეორადი რეზერვი, ანაბრების გატანისა და სესხებზე მოთხოვნის გადიდებასთან დაკავშირებით, ამოწურულია, მაშინ ბანკის ლიკვიდობის აღსადგენად იგი მოკლე დროის განმავლობაში უნდა გაყიდოს. თუ აღნიშნულის შესრულება სახსრების მოზიდვის ფასით ვერ ხორციელდება, მაშინ პორტფელიდან ფასიანი ქაღალდების გაყიდვა გახდება აუცილებელი. ასეთი გაყიდვა გახდება საკმარო ფულად ბაზარზე მდგომარეობის გაუარესებისა და კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის პერიოდშიც, როდესაც ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა ეცემა. ასეთ სიტუაციაში ბანკმა საკუთარი ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია თავისთვის გარკვეული ზარალით უნდა მოახდინოს, მაგრამ იმის იმედით, რომ ალტერნატიულ პერიოდში გაცემული კრედიტების მიხედვით პროცენტები გადაფარავს დაბალი ფასების მიხედვით ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებულ ყველა დანაკარგს და ამით რისკის კომპენსაცია მოხდება.

ინვესტიციებს უნდა შემოჰქონდეს შემოსავალი, რომელიც სხვა ტიპის დანარჩენი დაბანდებებიდან (მათ შორის, საკრედიტოდანაც) მიღებულ შემოსავლებთან იქნება შედარებადი. მაგრამ, მეორე მხრივ, ინვესტიციები, თავისთავად, საბანკო აქტივს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ნაღდ ფულად.

სახსრებში უეცარი მოულოდნელი მოთხოვნის წარმოშობისას შეიძლება პირველადი რეზერვის ნაწილი იქნეს გამოყენებული და, საჭიროების შემთხვევაში, მეორადი რეზერვი შემცირდეს. შეიძლება მოთხოვნამდე გაცემული სესხების დაფარვა იქნეს განხორციელებული და ვადაგასული სესხების განახლებაზე ითქვას უარი.

საკმაოდ კომპეტენტური ქმედებების შედეგად სესხი ცენტრალური ბანკიდანაც შეიძლება იქნეს აღებული. მაგრამ პირველადი და მეორადი რეზერვების მინიმალური სიდიდისას ნაღდი ფულადი სახსრების მიღების ყველაზე მისაღები ხერხია არსებული საინვესტიციო პორტფელის ნაწილის გაყიდვა.

ბანკის საინვესტიციო პოლიტიკის მიზნების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია: შემოსავალში და ლიკვიდობაში მოთხოვნა, ბანკის სრულ ლიკვიდობაში დამაჯერებლობადობისათვის ხელმძღვანელობის მხრიდან შემოსავლების შეწირვისათვის მზადყოფნა და პირიქით. ერთ ან მეორე მხარეზე გადახრა ნიშნავს ან სახსრების არარაციონალურად გამოყენებას და რისკის არარსებობას მოგების მინიმუმით, ან მოგების ნებისმიერი გზით მაქსიმიზაციისკენ მისწრაფებას, რასაც, თავის მხრივ, რისკის გაზრდისაკენ მივყავართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ **ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა ლიკვიდურ აქტივებში და ინვესტიციების შემოსავლიანობაში მოთხოვნილებების დაბალანსებულ დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს მიმართული.**

საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას ბანკის ხელმძღვანელობა, ჩვეულებრივ, ინვესტირების უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან – დივერსიფიკაციიდან გამომდინარეობს. ბანკის ხელმძღვანელობამ ინვესტირების ისეთი ძირითადი მახასიათებლები უნდა გამოიმუშაოს, რომლებიც ინვესტიციის განკოფილების მმართველობისათვის სტანდარტების ჩარჩოები იქნება. იგი, როგორც წესი, საკუთარ საქმიანობაში ხელმძღვანელობს:

- არსებული რესურსებით, რომელთა ლიმიტი დირექტორთა საბჭოს მიერ დგინდება;
- წინასწარ დადგენილი შესაძენი ფასიანი ქაღალდების ხარისხის დონით;
- შესაძენი ფასიანი ქაღალდების ვადიანობის ლიმიტით;
- სურვილით, დირექტორთა საბჭოს მხრიდან სავაჭრო სპეკულაციური ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში.

ბანკის ანალიტიკური განყოფილება **ბაზარზე შესაძლო ცვლილებების პროგნოზირებისაკენ** მიისწრაფვის. ამასთან, გაყიდვის ფასი უფრო მაღალი უნდა იყოს შეძენის ფასზე. სხვაობამ, თავის მხრივ, უნდა გადაფაროს:

- გადასახადის სიდიდე ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე;
- ბირჟაზე გადახდილი საკომისიოები;
- სხვა დანახარჯები შეძენასთან მიმართებაში.

თუ ფასების ცვლილების პროგნოზი შეძენისა და გაყიდვის პერიოდში სხვაობის ხარჯზე დანახარჯების ასეთ გადაფარვას არ ითვალისწინებს, მაშინ ასეთი ინვესტიციები არ უნდა განხორციელდეს.

ინვესტირებასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობა მდგომარეობს საინვესტიციო დაბანდებების **შემოსავლიანობის** გაანგარიშებაში:

$$R = \frac{\frac{100 - P}{P} \times \frac{365}{D}}{0{,}7},$$

სადაც: R არის ობლიგაციის შემოსავლიანობა გაანგარიშებული წლიურ პროცენტებში;

P – 100 დოლარზე გადახდილი ფასი;

D – დღეთა რაოდენობა დაფარვამდე.

ობლიგაციების ვაჭრობასთან მიმართებაში ოპერაციის შემოსავლიანობის გაანგარიშების ორი ხერხი არსებობს: **„პორტფელური“**, რომელიც დაფუძნებულია გამოქვითვის მეთოდით მოგების გაანგარიშებაზე“, როგორც ობლიგაციის გაყიდვიდან მიღებული წმინდა საბოლოო თანხას მინუს შეძენაზე დახარჯული საწყისი თანხა, პლუს დარჩენილი პორტფელის შეფასება და **„სპეკულაციო“**, რომელიც თითოეული გარიგებიდან მოგების გაანგარიშებაზეა დაფუძნებული.

- **საინვესტიციო პორტფელის „პორტფელური“ ხერხით შევსება:** შესაბამისი გამოშვების ობლიგაციის რაოდენობა მრავლდება

საკმაოდ კომპეტენტური ქმედებების შედეგად სესხი ცენტრალური ბანკიდანაც შეიძლება იქნეს აღებული. მაგრამ პირველადი და მეორადი რეზერვების მინიმალური სიდიდისას ნაღდი ფულადი სახსრების მიღების ყველაზე მისაღები ხერხია არსებული საინვესტიციო პორტფელის ნაწილის გაყიდვა.

ბანკის საინვესტიციო პოლიტიკის მიზნების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია: შემოსავალში და ლიკვიდობაში მოთხოვნა, ბანკის სრულ ლიკვიდობაში დამაჯერებლობადობისათვის ხელმძღვანელობის მხრიდან შემოსავლების შეწირვისათვის მზადყოფნა და პირიქით. ერთ ან მეორე მხარეზე გადახრა ნიშნავს ან სახსრების არარაციონალურად გამოყენებას და რისკის არარსებობას მოგების მინიმუმით, ან მოგების ნებისმიერი გზით მაქსიმიზაციისკენ მისწრაფებას, რასაც, თავის მხრივ, რისკის გაზრდისაკენ მივყავართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ **ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა ლიკვიდურ აქტივებში და ინვესტიციების შემოსავლიანობაში მოთხოვნილებების დაბალანსებულ დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს მიმართული.**

საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას ბანკის ხელმძღვანელობა, ჩვეულებრივ, ინვესტირების უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან – დივერსიფიკაციიდან გამომდინარეობს. ბანკის ხელმძღვანელობამ ინვესტირების ისეთი ძირითადი მახასიათებლები უნდა გამოიმუშაოს, რომლებიც ინვესტიციის განკოფილების მმართველობისათვის სტანდარტების ჩარჩოები იქნება. იგი, როგორც წესი, საკუთარ საქმიანობაში ხელმძღვანელობს:

- არსებული რესურსებით, რომელთა ლიმიტი დირექტორთა საბჭოს მიერ დგინდება;
- წინასწარ დადგენილი შესაძენი ფასიანი ქაღალდების ხარისხის დონით;
- შესაძენი ფასიანი ქაღალდების ვადიანობის ლიმიტით;
- სურვილით, დირექტორთა საბჭოს მხრიდან სავაჭრო სპეკულაციური ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში.

ბანკის ანალიტიკური განყოფილება **ბაზარზე შესაძლო ცვლილებების პროგნოზირებისაკენ** მიისწრაფვის. ამასთან, გაყიდვის ფასი უფრო მაღალი უნდა იყოს შეძენის ფასზე. სხვაობამ, თავის მხრივ, უნდა გადაფაროს:

- გადასახადის სიდიდე ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე;
- ბირჟაზე გადახდილი საკომისიოები;
- სხვა დანახარჯები შეძენასთან მიმართებაში.

თუ ფასების ცვლილების პროგნოზი შეძენისა და გაყიდვის პერიოდში სხვაობის ხარჯზე დანახარჯების ასეთ გადაფარვას არ ითვალისწინებს, მაშინ ასეთი ინვესტიციები არ უნდა განხორციელდეს.

ინვესტირებასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობა მდგომარეობს საინვესტიციო დაბანდებების **შემოსავლიანობის** გაანგარიშებაში:

$$R = \frac{\frac{100 - P}{P} \times \frac{365}{D}}{0{,}7},$$

სადაც: R არის ობლიგაციის შემოსავლიანობა გაანგარიშებული წლიურ პროცენტებში;

P – 100 დოლარზე გადახდილი ფასი;

D – დღეთა რაოდენობა დაფარვამდე.

ობლიგაციების ვაჭრობასთან მიმართებაში ოპერაციის შემოსავლიანობის გაანგარიშების ორი ხერხი არსებობს: **„პორტფელური“**, რომელიც დაფუძნებულია გამოქვითვის მეთოდით მოგების გაანგარიშებაზე“, როგორც ობლიგაციის გაყიდვიდან მიღებული წმინდა საბოლოო თანხას მინუს შეძენაზე დახარჯული საწყისი თანხა, პლუს დარჩენილი პორტფელის შეფასება და **„სპეკულაციო“**, რომელიც თითოეული გარიგებიდან მოგების გაანგარიშებაზეა დაფუძნებული.

- **საინვესტიციო პორტფელის „პორტფელური“ ხერხით შევსება:** შესაბამისი გამოშვების ობლიგაციის რაოდენობა მრავლდება

დახურვის ფასზე, რომელიც ბირჟაზე უკანასკნელი გარიგების ფასს წარმოადგენს.

მოგების გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$P = (C + B) - A,$$

სადაც: P არის მოგება, დილერის მიერ ანალიზის განხორციელების პერიოდში მიღებული;

C – ბანკის ბალანსზე ასახული პორტფელის შეფასება;

B – ობლიგაციის გაყიდვიდან ამონაგების თანხა მთლიანად შეფასების პერიოდში;

A – ობლიგაციის შეძენაზე დახარჯული თანხა ანალიზის განხორციელების პერიოდში.

აღნიშნული ხერხის ძირითადი ნაკლოვანება პორტფელის ღირებულების კონკრეტულ თარიღზე რეალური შეფასების პირობითობაში მდგომარეობს. გადაფარვის ფასს არ შეუძლია ყველა არსებული ობლიგაციის რეალური ღირებულების ასახვა: სიტუაცია ბაზარზე მუდმივად იცვლება, გარიგების უკანასკნელი ფასი შეიძლება არც ერთხელ არ განმეორდეს, ამასთან, მთლიანად საინვესტიციო პორტფელის გაყიდვისას ფასი შეიცვლება გაყიდვების მოცულობისა და ფასიანი ქაღალდების არსებული რაოდენობის ბაზრის მიერ „ჩაყლაპვის“ შესაძლებლობის ზემოქმედების ქვეშ.

◆ **საინვესტიციო პორტფელის „საოპერაციო“ ხერხით შეფასება:**

მოგების გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$P_1 = A - B - C,$$

სადაც: P_1 არის მოგება, მიღებული გარკვეული ობლიგაციების გაყიდვიდან;

A – დილერის მიერ თითოეული გარიგების მიხედვით ობლიგაციის შეძენაზე დახარჯული ფულადი თანხა;

B – ამონაგები ფულადი თანხა A თანხით შეძენილი ობლიგაციების გაყიდვიდან;

C – დანახარჯები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების შეძენისა და რეალიზაციისას არის წარმოშობილი.

აღნიშნული ოპერაციის **შემოსავლიანობა** შეიძლება შემდეგი სახით იქნეს გაანგარიშებული:

$$Y = \frac{\frac{(A-B)X100}{A} \times \frac{360}{K}}{0,7},$$

სადაც: Y არის ოპერაციის შემოსავლიანობა;

A – დილერის მიერ თითოეული გარიგების მიხედვით ობლიგაციის შეძენაზე დახარჯული ფულადი თანხა;

B – ამონაგები ფულადი თანხა, მიღებული A თანხაზე შეძენილი ობლიგაციის გაყიდვიდან;

K – დღეთა რაოდენობა, რომელიც შეძენის მომენტიდან გაყიდვის მომენტამდეა გასული.


გაყოფა 0,7-ზე ნიშნავს, რომ შემოსავლიანობის შეფასებისას საჭიროა საგადასახადო შეღავათი იქნეს გათვალისწინებული, რომელიც დილერებს უფლებას აძლევს კუპონგარეშე ობლიგაციების ოპერაციებისაგან მიღებულ შემოსავალზე გადასახადი არ გადაიხადონ.

აღნიშნული მეთოდის მთლიანი სირთულე მდგომარეობს ისეთი პრობლემის გადაწყვეტაში, თუ სწორედ რომელი ობლიგაციები უნდა გაიყიდოს. ნებისმიერ შემთხვევაში, „ძვირი“ ობლიგაციების გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება, „იაფი“ ობლიგაციების შემდგომი გაყიდვისას იქნება რეალიზებული, თუმცა, გარკვეული პერიოდი განყოფილებას ზარალზე მოუწევს მუშაობა ან დაგეგმილ მოგებას ვერ მიიღებს.

კაპიტალის ბაზარი. კაპიტალის ბაზარი (Capital Market) წარმოადგენს ბაზარს, სადაც აკუმულირდება და მიმოიქცევა გრძელვადიანი კაპიტალები და საკალო ვალდებულებები. ეს არის ფინანსური ბაზრის ძირითადი სახეობა საბაზრო ეკონომიკის პირო-

ბებში, რომლის მეშვეობითაც კომპანიები ეძებენ თავიანთი საქმიანობის დაფინანსების წყაროებს. იგი შეიძლება დაიყოს წილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრად (Stock market) და სასესხო კაპიტალის ბაზრად (Bond market, Redit market).

კაპიტალის ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტია კაპიტალური ფინანსური აქტივების ბაზარი, რომელსაც მიეკუთვნება წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარი. შედარებით საერთო სახით ფულადი ნაკადების მოძრაობის სქემა, რომელიც აკავშირებს ფირმას კაპიტალის ბაზართან, წარმოდგენილია ნახაზ 6.1.-ზე.



სქემა 7.1. ფინანსური ნაკადები, რომლებიც ფირმებს კაპიტალის ბაზრებთან აკავშირებს.

წარმოდგენილი სქემა მიეკუთვნება ღია ტიპის სააქციო საზოგადოების, საკუთრების სხვა ფორმის საწარმოებს ასევე შეუძლია ურთიერთობა ჰქონდეთ კაპიტალის ბაზართან და გამოვიდეს აქ ინვესტორის ან სპეკულანტების როლში.

კაპიტალური ფინანსური აქტივების ბაზარი იყოფა პირველად და მეორად ბაზრებად.

პირველადი ბაზარი. ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი (Primary Market) წარმოადგენს ბაზარს, რომელიც ემსახურება წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას (ემისია) და პირველად განთავსებას. სწორედ ამ ბაზარზე კომპანიები ღებულობენ აუცილებელ ფინანსურ რესურსებს თავიანთი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით. კომპანიების გასვლა ბაზარზე თავიანთი ფასიანი ქაღალდებით შეიძლება მხოლოდ მისი ჩართვით მოცემული ბირჟის ლისტინგში, რაც, თავის მხრივ გულისხმობს კომპანიის მიერ რიგი პირობების შესრულებას ობლიგაციებისა და აქციების ოდენობასთან, კაპიტალიზაციის და მოგების დონესთან მიმართებაში.

შენიშვნა: ფულადი ნაკადების ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს:

1. ფირმის საქმიანობის დაფინანსება მისი დამფუძნებლების კაპიტალის ხარჯზე (ეს ხდება ფირმის ჩამოყალიბებისა და შექმნის პროცესში).

2. ფირმა გამოდის კაპიტალის ბაზარზე თავისი ფასიანი ქაღალდებით და ფინანსების გრძელვადიანი წყაროების მოზიდვის მიზნით (პერიოდულად ეს ხდება ფირმის ფუნქციონირების ეტაპზე).

3. ინვესტორების სახსრების მოზიდვა, რომლებიც იძენენ ფირმის მიერ ემიტირებულ წილობრივ და სავალო ფასიან ქაღალდებს.

4. მიღებული ფინანსური რესურსების ინვესტირება ძირითად საშუალებებში და საბრუნავ აქტივებში.

5. ფულადი ნაკადის გენერირება, როგორც ფირმის წარმატებული საქმიანობის შედეგი

6. კანონით გათვალისწინებული გადასახადების და სხვა გადარიცხვების გადახდა.

7. ფაქტიური ინვესტირებისათვის (მესაკუთრეებისა და ლენდერების) გადახდა მათზე დარიცხული რეგულარული შემოსავლის სახით საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების მიხედვით; მხედველობაში მიიღება: ა) მესაკუთრეების დივიდენდები (იგი არის ერთიანი მოგების ნაწილი, რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება: საანგარიშო პერიოდის მოგება და ფირმის აქტივებში რეინვესტირებული მოგება გასული პერიოდების შედეგების მიხედვით) და ბ) პროცენტები ლენდერებს.

8. მოგების ნაწილის ფირმის აქტივებში რეინვესტირება (ე.ი. ფულადი სახსრები არ უნაწილდება მესაკუთრეებს, არამედ ჩაიდება ფირმის არაფინანსურ აქტივებში).

9. კაპიტალის ბაზარზე მოგების ნაწილის წარმართვა ფინანსური ინვესტიციების სახით (ე.ი. ფულადი სახსრები, როგორც მოგებიანი მუშაობის შედეგი გამოიყენება ფასიანი ქაღალდების შესაძენად ფულადი ექვივალენტების სადაზღვევო მარაგის შესაქმნელად ან დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირება მომდინარე შემოსავლის მისაღებად).

10. ინვესტორების მიერ თავისუფალი ფულადი სახსრების წარმართვა კაპიტალის ბაზრებზე.

მეორადი ბაზარი. მეორადი ბაზარი **(Secondary Market)** გამიზნულია ადრე გამოშვებული სავალო და წილობრივი ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისათვის. მეორად ბაზარზე კომპანიები უშუალოდ არ ღებულობენ რესურსებს, მაგრამ ეს ბაზარი მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც შესაძლებლობას იძლევა ინვესტორებმა აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღონ როგორც ფასიან ქაღალდებში დაბანდებული ფულადი სახსრები, ასევე მათთან დაკავშირებული ოპერაციებიდან შემოსავლები. ფასიანი ქაღალდების ხელახლა გაყიდვის შესაძლებლობა ემყარება იმას, რომ პირველსაწყისი ინვესტორი თავისუფალია თავისი უფლებით ფლობდეს და განკარგავდეს ფასიან ქაღალდებს და შეუძლია ისინი ხელახლა მიყიდოს სხვა ინვესტორს. მეორადი ბაზრის არსებობა თავისთავად სტიმულს აძლევს პირველადი ბაზრის საქმიანობას.

ფასიანების მეორადი ბაზრები ნახმარი ავტომობილების ბაზრის მოგვაგონებს: ისინი ფულის მიღების შესაძლებლობას იძლევა „ხმარებაში ნამყოფი“ (ე.ი. ადრე ემიტირებული) ფასიანი ქაღალდების გაყიდვით, იმ განსხვავებით, რომ ფასები მეორად ბაზარზე, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე პირველი განთავსების დროს. ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრების დანიშნულებაა უკვე არსებული რესურსების გადანაწილება ბაზრის მონაწილეების მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ფინანსების მეორადი ბაზრების არსებობის წყალობით ხდება პირველად ბაზრებზე ინვესტორების მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვის მოცულობები.

ფინანსების ბაზრების კლასიფიკაციისას უნდა დავასახელოთ სადაზღვევო პოლისებისა და საპენსიო ანგარიშების ბაზრები და ინოვაციური ბაზრები. ეს განსაკუთრებული ბაზრებია თავიანთი ფინანსური ინსტრუმენტებითა და საფინანსო ინსტიტუტებით – სესხშეკრულების საფუძველზე მოქმედი შემნახველი დაწესებულებებით. მთლიანი ფინანსური აქტივების მოცულობით ისინი აშშ-ში ამჟამად 1,5-ჯერ მეტად ჭარბობენ კომერციული ბანკების, შემნახველი ინსტიტუტებისა და საკრედიტო კავშირების მთლიან აქტივებს.

სადაზღვევო კომპანიებისა და საპენსიო ფონდების საინვესტიციო პოლიტიკა დაფარვის ისეთი ვადის მქონე გრძელვადიანი ფინანსური ინსტიტუტების შეძენისკენაა მიმართული, რომლებიც ველარაზე ახლოს ემთხვევა მათ გრძელვადიან ვალდებულებებს.

წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდები – ეს არის კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტები გრძელვადიან პერიოდში. ამის გარდა, არსებობს არა მარტო საფონდო ხასიათის ოპერაციები (ე.ი. ფირმის ფონდების ფორმირების ოპერაციები, როგორც მისი საქმიანობის დაფინანსების გრძელვადიანი წყაროები), ასევე მოკლევადიანი ხასიათის, კერძოდ, სპეკულაციური შემოსავლის მიღების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით,

რომლებიც, ასევე, წარმოადგენენ ფასიან ქაღალდებს, რომლითაც ვაჭრობენ სპეციალურ ბაზრებზე და რომელთაც დერივატივები ჰქვია.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი (Securities Markets), როგორც კაპიტალური ფინანსური აქტივების და წარმოებული ფასიანი ქაღალდების (anu dervativebis) ბაზრების გაერთიანებული ცნება, თავის მხრივ, წარმოადგენს ბაზრებს, რომლებიც იყოფიან საბირჟო და არასაბირჟო, ვადიან და სპოტების ბაზრებად.

საბირჟო ბაზარი წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, რომელიც ხორციელდება საფონდო ბირჟების მიერ. ემიტენტების, ინვესტორების და შუამავლების ვაჭრობაში მონაწილეობის წესი განისაზღვრება თვითონ ბირჟების მიერ. **არასაბირჟო ბაზარი** წარმოადგენს ბაზარს, რომელიც გამიზნულია იმ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისათვის, რომლებიც საფონდო ბირჟებზე არ არიან დაშვებული, ეი არ მიუღიათ ბირჟებზე ოფიციალურ ვაჭრობაში მონაწილეობის ნებართვა. ვინაიდან საბირჟო კოტირების მიღების პირობები დგინდება თვითონ ბირჟის მიერ და ზოგიერთი ემიტენტისათვის შეიძლება საკმაოდ რთული იყოს, არსებობს არასაბირჟო ბაზარი (Oven-the-Counter Stock Market), სადაც მიმოიქცევიან ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ კოტირდებიან საფონდო ბირჟებზე.

72. კომერციული ბანკის საშალო ფასიანი ქაღალდების პორტფელის და რისკის მართვის შეფასება

შემმოწმებლებს მოეთხოვებათ ადეკვატურად შეაფასონ რისკის მართვის პროცესი, რომელსაც ორგანიზაცია ფასიანი ქაღალდების შეძენისა და მართვის მიზნით იყენებს. ამგვარი ანალიზის დროს, შემმოწმებლებმა უნდა შეაფასონ სტაბილური რისკის მართვის პროცესის ოთხი ძირითადი ელემენტი:

- ✓ საბჭოსა და უფროსი მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ზედამხედველობა;
- ✓ რისკის მართვის ადეკვატური პოლიტიკა და ლიმიტები;

- ✓ რისკის მართვის და ანგარიშგების სათანადო სისტემები;
- ✓ ყოვლისმომცველი შიდა კონტროლი.

ბანკში რისკის მართვის შეფასებისას, შემმოწმებლებმა უნდა გაითვალისწინონ ფასიანი ქაღალდების პორტფელის ტიპი და მოცულობა. შემმოწმებლების დასკვნა მთავარ როლს ასრულებს ბანკის ფასიანი ქაღალდების რისკის მართვის პროცესის ადეკვატურობის შეფასებისას. მიუხედავად იმისა, თუ როგორია დილერის ან პარტნიორის (ოპერაციაში მონაწილე მეორე მხარე) მიერ კონკრეტულ ოპერაციასთან დაკავშირებით ნაკისრი პასუხისმგებლობისა, სამართლებრივი თუ სხვა, საბოლოოდ მაინც შემსრულებელი ბანკი არის პასუხისმგებელი მისი მონაწილეობით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების დადგენასა და მართვაზე. ბანკის მიერ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური დადგენის, მონიტორინგისა და შეფასების განუხორციელებლობა წარმოადგენს არასაიმედო და არაჯანსაღ საბანკო პრაქტიკას, რაც შეიძლება იყოს არაკომპეტენტურობის ან გარედან მიღებული არაადეკვატური კონსულტაციების შედეგი.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მიერ გაწეული რისკის დონეზე. შესაბამისად, საბჭომ უნდა დაამტკიცოს ზოგადი ბიზნეს-სტრატეგია და ძირითადი პოლიტიკური კურსი, რომელიც რისკის, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების რისკის, გაწევას უკავშირდება. კერძოდ, საბჭომ უნდა დაამტკიცოს მენეჯმენტის მიერ განსახორციელებელი საზედამხედველო პოლიტიკა და მკაფიოდ განსაზღვროს ფასიანი ქაღალდებისათვის დასაშვები რისკი, შეიმუშაოს საოპერაციო ლიმიტები. გარდა ამისა, საბჭომ აქტიური მონიტორინგი უნდა გაუწიოს ორგანიზაციის მუშაობასა და რისკის პროფილს და მისი სხვადასხვა ფასიანი ქაღალდის პორტფელს. დირექტორებმა პერიოდულად უნდა განიხილონ ინფორმაცია, რომელიც საკმარისად დეტალური და დროული იქნება მათ მიერ მთელი ორგანიზაციის, კონკრეტულად კი ფასიანი ქაღალდების წინაშე მდგარი საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკის დასადგენად და შესაფასებლად. საბჭომ პერიოდულად

უნდა მოახდინოს ორგანიზაციის ბიზნეს-სტრატეგიისა და მნიშვნელოვანი რისკების, მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ხელახალი შეფასება, გაამახვილებს რა განსაკუთრებულ ყურადღებას ორგანიზაციის ფინანსურ მიზნებსა და რისკისადმი ამტანობაზე.

ბანკებს უნდა გააჩნდეთ დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული მათი მიდგომა ფასიანი ქაღალდების მართვისადმი. ეს პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ბანკის საერთო ბიზნეს-სტრატეგიას, კაპიტალის ადეკვატურობას, ტექნიკურ გამოცდილებას და მის ზოგად მზადყოფნას რისკის გაწევასთან დაკავშირებით. მათ უნდა დასახონ შესაბამისი მიზნები და მითითებები როგორც ინსტრუმენტების შეძენასთან, ისე პორტფელის მართვასთან დაკავშირებით. პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები.

ბანკებმა ფასიანი ქაღალდები შეიძლება სხვადასხვა ძირითადი, თუ დამატებითი მიზნით გამოიყენონ, მათ შორის, მოგების მიღების, დაფინანსების შესაძლებლობების შექმნის, ლიკვიდობის უზრუნველყოფის, რისკის ჰეჯირების, რისკის გაწევისა და სხვა მიზნებით. ბანკებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ თავიანთი მიზნები და დაადგინონ მათი განხორციელებისთვის აუცილებელი ფასიანი ქაღალდების ტიპები. აუცილებელია მიზნების დადგენა როგორც შესაბამისი პორტფელის და ინსტიტუციონალურ დონეზე. ამ მიზნების საფუძველზე უნდა მოხდეს ცალკეული ინსტრუმენტის შეძენა და ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის, სტრატეგიისა და პროგრამების მუშაობისა და ეფექტურობის პერიოდული შეფასება.

ბანკის პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ამ ორგანიზაციის რისკისადმი ამტანობა (ტოლერანტობა) და დადგინდეს მისი მზადყოფნა ფასიანი ქაღალდების პორტფელთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკის გასაწევად. ნებადართული ინსტრუმენტებისა და საქმიანობის სახეების განსაზღვრა რისკისადმი ამტანობის (ტოლერანტობის) დადგენის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. განაცხადში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული დასაშვები ინსტრუმენტები, ან მათი სახეობები და ბანკის მიერ ამ ინსტრუმენტების შესაძლო გამოყენების მიზნები. განაცხადში ასევე უნდა იყოს დადგენილი გამოყენებული ინსტრუმენტებისა და პორტფელებისათვის დასაშვები საკრედიტო ხარისხის, საბაზრო რისკისადმი მგრძნობელობისა და ლიკვიდობის მახასიათებლები. მაგალითად, საბაზრო რისკის შემთხვევაში, პოლიტიკა უნდა შეეხოს ფასისადმი მგრძნობელობის დასაშვებ დონეს, ან დაფარვის ვადის ცვალებადობას, ინსტრუმენტისა და პორტფელის მახასიათებლების გათვალისწინებით. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის ბუნებისა და შესაძლებლობების დონიდან გამომდინარე, ლიმიტები შეიძლება დადგინდეს ბიზნესის ცალკეული სექტორის, პორტფელის, ინსტრუმენტების ტიპისა თუ კონკრეტული ინსტრუმენტებისთვის.

ბანკის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ნებისმიერი ახალი პროდუქტის ეფექტურ განხილვას. ბანკმა არ უნდა დაიკავოს მნიშვნელოვანი პოზიცია ახალ ინსტრუმენტთან მიმართებაში მანამ, სანამ უფროსი მენეჯმენტი და ყველა შესაბამისი თანამშრომელი (მათ შორის, შიდა კონტროლის, იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განყოფილებებიდან), არ გაეცნობა პროდუქტს და არ ჩართავს მას ბანკის რისკის მართვის და კონტროლის სისტემაში. ბანკის პოლიტიკაში უნდა განისაზღვროს ტერმინები „ახალი პროდუქტი“ და „მნიშვნელოვანი პოზიცია“ ამ ბანკის მოცულობასთან, კომპლექსურობასთან და შესაძლებლობებთან შესაბამისობაში. ბანკებმა არ უნდა შეიკავონ თავი ინსტრუმენტის „ახალ პროდუქტად“ განსაზღვრისგან. ანგარიშსწორების ფორმულასა თუ შედარებით მარტივ ან სტანდარტულ პროდუქტებში მცირედი ცვლილებების შეტანამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს ფასიანი ინსტრუმენტის რისკი და ამით მათი ახალ პროდუქტად კლასიფიცირება გამართლებული იქნება.

რისკების შეფასებისა და მონიტორინგის მკაფიო პროცედურები რისკის ჯანსაღი მართვის საფუძველს წარმოადგენს. ბანკის მიერ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და სხვა რისკების შეფასების სისტემა უნდა იყოს არა მარტო ყოვლისმომცველი და ზუსტი, არამედ პრაქტიკული. ბანკებმა უნდა შეიმუშავონ რისკის შეფასების მკაფიო სტანდარტები, ფასიანი ქაღალდების როგორც შეძენის, ისე შემდგომი მართვის მიზნით.

ბანკებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდებით ან დერივატივებით საქმიანობას ეწევიან, უნდა შეეძლოთ ინსტრუმენტების რისკების შეფასება მათ შეძენამდე. ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე, ბანკმა უნდა შეაფასოს ინსტრუმენტი, რათა უზრუნველყოს მის მიერ სხვადასხვა მიზნის, რისკისადმი ამტანობისა და ბანკის პოლიტიკით გათვალისწინებული მითითებების შესრულება. საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკების შეფასება მკაფიოდ და ადეკვატურად უნდა იყოს დოკუმენტირებული თითოეულ შეძენასთან მიმართებაში. დოკუმენტირება უნდა შეესაბამებოდეს ინსტრუმენტის თვისებებსა და სახეობას.

ბანკებმა პერიოდულად უნდა განიხილონ ინსტრუმენტების, პორტფელების, ინსტიტუციონალური პროგრამებისა და სტრატეგიების შესრულება და ეფექტურობა. ამგვარი განხილვა უნდა განხორციელდეს მინიმუმ კვარტალში ერთხელ და უნდა შეფასდეს, აკმაყოფილებს თუ არა ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი პოლიტიკით გათვალისწინებულ სხვადასხვა მიზანს, რისკისადმი ამტანობასა და მითითებებს. უნდა აღინიშნოს, რომ რისკის ეფექტური შეფასება მოითხოვს ფასიანი ქაღალდის პერიოდულ გადაფასებას. შესაბამისად, პერიოდული გადაფასება სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ფაქტიური საბაზრო ფასები. შედარებით ნაკლები ლიკვიდობის, ან კომპლექსური ინსტრუმენტების მქონე ბანკებმა, რომელთა ფასიანი ქაღალდების პორტფელი შეზღუდულია, დილერების ან პარტნიორების (ოპერაციაში მონაწილე მეორე მხარის) მიერ მოწოდებული, სათანადოდ დოკუმენტირებული პერიოდული ფასები და ანალიზი უნდა გამოიყენონ. ბანკმა უნდა გააცნობიეროს, რომ ინდიკატური ფასები და მოდელირებული შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ოპერაციების რეალურად განხორციელებისას დაფიქსირებული ღირებულებისგან.

რისკის ზუსტი, ინფორმატიული და დროული მართვის საინფორმაციო სისტემის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ანგარიშგების ფორმები ისეთი სიხშირით უნდა მიეწოდოს მენეჯმენტს, რომ მათ შეძლონ ბანკის რისკის პროფილის ცვალებადობის, მისი პოლიტიკით გათვალისწინებულ მიზნებსა და შესაძლებლობებთან შესაბამისობის დადგენა. მართვის ანგარიშგების ფორმაში რისკის შეფასების ტექნიკური და რაოდენობრივი ფორმატი ისეთი ფორმით უნდა შეიცვალოს, რომელიც ადვილად წასაკითხი და გასაგები იქნება უფროსი მენეჯმენტისა და დირექტორებისთვის, რომელთაც შესაძლოა არ გააჩნდეთ სპეციფიკური ტექნიკური ცოდნა ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ.

მენეჯმენტმა რეგულარულად უნდა განიხილოს ბანკის მიდგომა რისკებისადმი და რისკების მართვის პროცესი. ეს გულისხმობს რისკებისა და ლიმიტების დაცვის შეფასების მიზნით გამოყენებული მეთოდოლოგიის, მოდელებისა და დაშვებების რეგულარულ შეფასებას. რისკის შეფასების ელემენტების სათანადო დოკუმენტირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს განხილვებისთვის. ლიმიტები უნდა შედარდეს ფაქტიურ რისკებს. რისკის შეფასების არსებული მექანიზმის ადეკვატურობის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბანკის ფასიანი ქაღალდების პორთფელი, წარსული საქმიანობა და კაპიტალის მიმდინარე პოზიცია.

ბანკებს უნდა გააჩნდეთ ადეკვატური შიდა კონტროლი, რათა უზრუნველყონ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული მართვის პროცესის ქმედითობა. შიდა კონტროლი გულისხმობს: პროცედურებს, დამტკიცებას, შედარებას, განხილვას და სხვა მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის მიერ ამ სახის

საქმიანობისთვის შემუშავებული რისკის მენეჯმენტთან დაკავშირებული მიზნების განხორციელებას. სათანადო შიდა კონტროლმა უნდა განიხილოს რისკის მართვის პროცესის სხვადასხვა ელემენტი, მათ შორის, პოლიტიკისა და პროცედურების დაცვა, რისკის დადგენის ადეკვატურობა, რისკის შეფასება და ანგარიშგება. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ განხორციელებული კომპლექსური შეფასება და განხილვა. მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს რისკის მართვის პროცესის სხვადასხვა ელემენტის რეგულარული განხილვა და შეფასება იმ პირების მიერ, რომლებიც დამოუკიდებლები არიან მათ მიერ შესაფასებელი ფუნქციისგან. მიუხედავად იმისა, რომ ლიმიტების დაწესების პროცედურები და მუშაობის პროცესში მათი გამოყენება შეიძლება ყველა ბანკში განსხვავებული იყოს, აუცილებელია, რომ მენეჯმენტმა განახორციელოს პერიოდული განხილვები, რათა დადგინდეს, თუ რამდენად ასრულებს ბანკი საკუთარ საინვესტიციო და რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს. აუცილებელია შესაბამისი მენეჯმენტის დაუყოვნებელი რეაგირება ნებისმიერ პოზიციაზე, რომელიც დადგენილ ლიმიტებს აღემატება; ამ პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს დამტკიცებული პოლიტიკით გათვალისწინებული პროცესის შესაბამისად. რისკის მართვის პროცესის პერიოდული განხილვა, ასევე, უნდა შეეხოს შეძენილ ინსტრუმენტებში, ლიმიტებსა და შიდა კონტროლში განხორციელებულ ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელსაც ბოლო განხილვის შემდგომ ჰქონდა ადგილი.

ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ჯანსაღი სისტემის ძირითადი ელემენტების შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

საკრედიტო რისკი ფართო გაგებით, არის ისეთი რისკი, როდესაც ფასიანი ქაღალდების გამომშვები ან პარტნიორი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას ბანკის წინაშე. ბანკის პოლიტიკამ უნდა აღიაროს საკრედიტო რისკი, როგორც ბანკის ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების დროს მის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი რისკი. შესაბამისად, პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკზე შეზღუდვები, რისკისადმი ამტანობა და ლიმიტები სათანადო ინსტრუმენტების, პორტფელის და ინსტიტუციონალურ დონეებზე. ზოგადი პოლიტიკის თანახმად, ბანკმა არ უნდა შეიძინოს ფასიანი ქაღალდები მანამ, სანამ იგი არ შეაფასებს გამომშვები მხარის ან პარტნიორის კრედიტუნარიანობას და არ დაადგენს, რომ რისკი ბანკის პოლიტიკას შეესაბამება. სემიადმინისტრირებული საკრედიტო რისკი, შეძლებისდაგვარად, სრულად უნდა ჩაირთოს მთელი ბანკის საკრედიტო რისკის საერთო პროფილში. საკრედიტო რისკის მართვისას, ბანკებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ ანგარიშსწორებისა და წინასაანგარიშსწორებო საკრედიტო რისკი. წინასაანგარიშსწორებო რისკი არის ზარალის რისკი, რომელიც ოპერაციის მიმდინარეობის დროს პარტნიორის მხრიდან კონტრაქტის ან ხელშეკრულების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს. ფულადი ინსტრუმენტების უმეტესობისთვის, ამ რისკის ხანგრძლივობა შემოიფარგლება ოპერაციაზე შეთანხმების მიღწევის საათებიდან ან დღეებიდან დაწყებული და ანგარიშსწორების განხორციელებამდე. ანგარიშსწორების რისკი არის ზარალის რისკი, როდესაც ბანკი ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ საკუთარ ვალდებულებებს (თანხების ან ფასიანი ქაღალდების ავანსირებით) პარტნიორის მიერ ვალდებულებების დაფარვამდე. ანგარიშსწორების შეუსრულებლობა შეიძლება გამოიწვიოს პარტნიორის გაკოტრებამ, საოპერაციო პრობლემებმა, ბაზარზე ლიკვიდობის შეზღუდვებმა და სხვა ფაქტორებმა. ანგარიშსწორების რისკი წარმოიქმნება იმ დროიდან, როდესაც შეუძლებელი ხდება გამავალი საანგარიშწორებო ინსტრუქციის ანულირება შემომავალი ანგარიშსწორების საბოლოო მიღებამდე. რისკი თან ახლავს ნებისმიერ სავაჭრო პროდუქტს.

როგორც ტრადიციული საბანკო ოპერაციების შემთხვევაში, დამოუკიდებელმა საკრედიტო განყოფილებამ უნდა განახორციელოს სავარაუდო პარტნიორთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შეფასება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკრედიტო რისკის მართვის მიზნით შემუშავებული მითითებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ლიმიტების დამტკიცება მხოლოდ იმ პარტნიორებისთვის, რომლებიც შესაბამის საკრედიტო კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. საკრედიტო რისკის მართვის ფუნქციაა შეამოწმოს, დამტკიცებულია თუ არა ლიმიტები კრედიტების ისეთი სპეციალისტის მიერ, რომელსაც ხელმოწერის უფლებამოსილებები გააჩნია. შესაბამისად, შემმოწმებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბანკის პარტნიორის საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა საკმარისად იყოს განსაზღვრული და ადეკვატურად გამოხატავდეს პარტნიორებისა და ინსტრუმენტების კონკრეტული სახის რისკის პროფილებს. პოლიტიკაში ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული:

◆ პარტნიორთა ტიპები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ;

◆ ამგვარი პარტნიორებისგან ინფორმაციის მიღების სიხშირე;

◆ ჩასატარებელი ანალიზის სახეობები და სიხშირე, მათ შორის, ნებისმიერ სტრეს-ტესტის ანალიზის აუცილებლობა და სახეობა;

◆ რა სახით უნდა მოიცავდეს მიღებული ინფორმაცია და ჩატარებული ანალიზი კონკრეტული პარტნიორის რისკის პროფილს. რისკის ეფექტური მონიტორინგის სისტემა გულისხმობს ლიმიტის დაწესებას რისკზე, რომლის გაწევასაც ორგანიზაცია აპირებს, აგრეთვე, ლიმიტდაწესებული რისკის მუდმივ მონიტორინგს და ადეკვატურ კონტროლს, რომელიც, დაწესებული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, რისკის შესამცირებელი კომპლექსური ღონისძიებების გატარებას უზრუნველყოფს. სადეპოზიტო დაწესებულებებმა, პარტნიორის შერჩევისა და შენარჩუნებისას, მინიმუმ, შემდეგი უნდა გაითვალისწინონ:

◆ ფასიანი ქაღალდების დილერისა და მისი შვილობილი საწარმოებისა და ფილიალების მიერ ვალდებულებების შესრულების უნარი, რასაც ადასტურებს მათი კაპიტალის სიძლიერე, ლიკვიდობა და საოპერაციო შედეგები;

◆ დილერის ზოგადი რეპუტაცია ან ფინანსური სტაბილურობა და მისი სამართლიანი და პატიოსანი ურთიერთობები კლიენტებთან;

◆ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მარეგულირებლებისა და ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიიდან მიღებული ინფორმაცია.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში მითითებული უნდა იყოს მის მიერ პორტფელში არსებული თითოეული სახის ფასიანი ქაღალდის ხარისხი და რაოდენობა. პოლიტიკაში მოცემული უნდა იყოს საკრედიტო რისკის დივერსიფიკაციისა და კონცენტრაციის ლიმიტები, რომლებიც განსაზღვრავენ კონცენტრაციას ერთ ან დაკავშირებულ ემიტენტსა და პარტნიორზე რომელიმე გეოგრაფიულ არემარეში, ან მსგავს ვალდებულებებზე. პოლიტიკაში, ასევე, უნდა განიხილებოდეს ისეთი პროცედურები, როგორიცაა მზარდი მონიტორინგი და ზარალის შემაჩერებელი ლიმიტები, რომლებიც კრედიტის ხარისხის გაუარესებას უკავშირდება. საკრედიტო რისკის ჯანსაღი მართვა საჭიროებს საკრედიტო რისკის შემუშავებას ისეთი პერსონალის მიერ, რომელიც შეძენის ფუნქციისგან დამოუკიდებელი იქნება. ემიტენტისა და პარტნიორის საკრედიტო ხაზების სანქციონირებისას, ამ პერსონალმა ისეთი სტანდარტები უნდა გამოიყენოს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბანკში სხვა საქმიანობის დროს გამოყენებულ სტანდარტებსა და ბანკის ერთიან პოლიტიკასა და კონსოლიდირებულ რისკთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი საპროცენტო განაკვეთის რისკი არის შესაძლებლობა, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები ნეგატიურ გავლენას მოახდენენ ფინანსური ინსტრუმენტის ან პორტფელის ღირებულებაზე, ან მთლიანად ბანკის მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთის რისკი ყველა სახის ფინანსურ ინსტრუმენტში შეიძლება წარმო-

იქმნას, იგი ყველაზე დამახასიათებელი მაინც სავალო ინსტრუმენტებისთვის არის. ზოგადად, გრძელვადიანი ინსტრუმენტების ღირებულება უფრო მგრძნობიარეა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი, ვიდრე მოკლევადიანი ინსტრუმენტების ღირებულება. სავაჭრო საქმიანობაში რისკი შეიძლება წარმოიქმნას ღია ან არაჰეჯირებული პოზიციებიდან და ერთმანეთის დასახურად შექმნილ პოზიციებს შორის არასრულყოფილი კორელაციიდან. გადაფასების რისკი ხშირად საპროცენტო რისკის ყველაზე აშკარა წყაროს წარმოადგენს, რომელიც ბანკის იმ აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობების შედარების საფუძველზე იზომება, რომელთა გადაფასებაც ერთსა და იმავე პერიოდში ხდება. ერთმანეთის დასახურად შექმნილ პოზიციებს შორის ან ჰეჯირებულ ინსტრუმენტებს შორის არასრულყოფილმა კორელაციამ, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას, როგორც საშემოსავლო განაკვეთების მრუდის გასწვრივ, ისე ერთი და იგივე ვადიანობის ან გადაფასების კატეგორიებს შიგნით, შეიძლება საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიოს. შემოსავლის განაკვეთების მრუდის რისკი შეიძლება წარმოიქმნას ისეთ პორტფელებში, რომლებშიც გრძელი და მოკლე პოზიციები კარგად არიან ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ცვლილების მიმართ, მაგრამ არა საშემოსავლო განაკვეთების მრუდის ფორმის ცვლილების შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ოდენობით იცვლება. არასრულყოფილი კორელაცია ერთმანეთის დასახურად შექმნილი პოზიციების საპროცენტო განაკვეთებსა და საბაზრო ღირებულებებს შორის, ვადიანობის ან გადაფასების კატეგორიების ჭრილში, ასევე, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი რისკის წყარო. ამგვარი საბაზო რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთმანეთის დასახურად წარმოქმნილ პოზიციებს სხვადასხვა და ნაკლებად სრულყოფილი კორელაციის მქონე კუპონური ან ძირითადი (ნორმატიული) განაკვეთები გააჩნიათ. მაგალითად, სამთვიან ბანკთაშორის დეპოზიტებზე, სამთვიან ევროდო-

ლარებსა და სამთვიან სახაზინო ვალდებულებებზე სამთვიანი საპროცენტო განაკვეთია დაწესებული. ამასთან, ამ სამთვიან განაკვეთებს შორის არ არსებობს სრულყოფილი კორელაცია და პორტფელის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სპრედი მათგან მიღებულ შემოსავლებს შორის. შესაბამისად, სამთვიანი სახაზინო ვალდებულებები, რომელთა დაფინანსება შეიძლება ევროდოლარებში გაცემული სამთვიანი დეპოზიტებით მოხდეს, ერთმანეთის დასახურად შექმნილ არასრულყოფილ ან ჰეჯირებულ პოზიციებს წარმოადგენს.

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის შესაძლებლობა, რომლის დროსაც საკურსო განაკვეთის ცვლილებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელზე და, აქედან გამომდინარე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე. უცხოური ვალუტის კურსს შეიძლება ძალზე დიდი და მოულოდნელი ცვალებადობა ახასიათებდეს, როდესაც კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკის დადგენა და მართვა განსაკუთრებულად ითვლდება. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საკურსო განაკვეთის აღიარებას კონკრეტული საბაზრო რისკის მქონე ფაქტორად, უცხოური ვალუტის ინსტრუმენტების ღირებულების დადგენისას აუცილებელია როგორც სპოტ კურსის, ისე საპროცენტო განაკვეთების კარგი ცოდნა. ნებისმიერი ფორვარდული პრემია ან დისკონტი უცხოური ვალუტის ღირებულებაში, ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში, უმეტესწილად, ამ ქვეყნებში არსებული საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე განისაზღვრება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ის საფრთხე, რომელიც ექმნება ბანკის ფინანსურ მდგომარეობას საკუთარი ფასიანი ქაღალდების პორტფელის საბირჟო კურსის ნეგატიური ცვლილებების შედეგად, ამ პორტფელის ლიკვიდაციამდე ან დაფარვამდე. საბაზრო რისკი

იზომება ცალკეული ინსტრუმენტის, პორტფელის, ან მთლიანად ბანკის შემოსავლებზე, ან ეკონომიკურ ღირებულებაზე განაკვეთების, ან ფასების ცვლილებით გამოწვეული ეფექტის შეფასებით. ბანკებმა უნდა მართონ და აკონტროლონ საკუთარი საბაზრო რისკები შემოსავლებისა და ეკონომიკური ღირებულების მეთოდების გამოყენებით. ორი, ყველაზე გავრცელებული საბაზრო რისკის ფაქტორია საპროცენტო განაკვეთი და უცხოური ვალუტის კურსი. ფინანსური ინსტრუმენტისა და ინსტრუმენტთა პორტფელის საბაზრო რისკი შეიძლება იყოს ერთი ან ორივე ფაქტორის ფუნქცია, ამასთან, საბაზრო რისკი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვნად კომპლექსური იყოს.

ძირითადი საზომები ახდენენ ინსტრუმენტის ან პორტფელის ღირებულების მგრძნობელობის შეფასებას მთავარ რისკ-ფაქტორებში ცვლილების მიმართ, ასეთებია შემოსავლიანობა და ხანგრძლივობა. რისკ-ფაქტორებში ცვლილების ვარიანტები შეიძლება განისაზღვროს როგორც თვითნებურად (მაგალითად დააკვირდით ისტორიულ ცვლილებებს და წარმოიდგინეთ, რომ მომავალში მათი მოხდენის ალბათობა იგივეა, რაც მათი წარმოქმნის ისტორიული სიხშირე), ისე სტატისტიკურად, რისკ-ფაქტორში ცვლილების შესახებ ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. სტატისტიკურ დასკვნაში სცენარის არჩევა ხდება დროის განსაზღვრულ პერიოდში მისი მოხდენის ალბათობის საფუძველზე. მარტივი სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც ალბათობის განსაზღვრისას გამოიყენება, არის სტანდარტული გადახრა, ეს უკანასკნელი ახასიათებს შემთხვევითი სიდიდის ცვალებადობას, მაგალითად, ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო ფასი. სტანდარტული გადახრის მოცულობა, შემთხვევითი სიდიდის განაწილებასთან ერთად, საშუალებას აძლევს ანალიტიკოსს მოახდინოს რისკის შეფასება კონკრეტული სცენარის მოხდენის ალბათობის დადგენის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებს, რომლებიც აქტიურ ოპერაციებს ახორციელებენ სავალო ინსტრუმენტებით, უნდა გააჩნდეთ ისეთი კვალიფიციური

პერსონალი, რომელიც ზემოხსენებულ სტატისტიკურ ანალიზს განახორციელებს.

სტრეს-ტესტირება – ყოველდღიური რისკის შესაფასებლად გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები ავლამებენ რისკებს, რომელთაც ბაზრის ყველაზე შესაძლო პირობებში აქვთ ადგილი. ბანკის მოწილეებმა პერიოდულად უნდა განახორციელონ მოდელირება, რათა დაადგინონ საკუთარი პორტფელების მდგომარეობა საგანგებო პირობებში. ამგვარი სტრეს-ტესტირების სტრუქტურა ოპტიმალურად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული რისკის მართვის პოლიტიკაში, ხოლო უფროსმა მენეჯმენტმა რეგულარულად უნდა მოახდინოს შედეგების შეფასება. უნდა მოხდეს დაშვებების კრიტიკული შესწავლა, ხოლო მონაცემთა ბაზაში უნდა აისახოს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები.

საბაზრო რისკის ლიმიტები ბანკის საოპერაციო საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკის კონტროლის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ საშუალებას წარმოადგენს. ბანკებმა უნდა დააწესონ საბაზრო რისკის იმგვარი ლიმიტები, რომლებიც კონკრეტული რისკების მახასიათებლებთან იქნება დაკავშირებული და უფროსი მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაშვებული რისკის დონესთან იქნება შესაბამისობაში. ამგვარი ლიმიტები უნდა განაწილდეს საქმიანობის თითოეულ უბანზე და ცალკეულ მაკლერს (ბროკერს) შორის და ადვილად გასაგები იყოს ყველა შესაბამისი პარტნიორისთვის. შიდა კონტროლმა უნდა უზრუნველყოს, რომ ლიმიტების მიმართ დაშვებული გამონაკლისები დროულად გამოაშკარავდეს და ადეკვატურად იქნეს განხილული მენეჯმენტის მიერ. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ლიმიტი, რომელსაც ფინანსური დაწესებულებები იყენებენ:

◆ ლიმიტები ნეტო და ბრუტო პოზიციებზე – ლიმიტები შეიძლება დაწესდეს ბრუტო პოზიციებზე, ნეტო პოზიციებზე, ან ორივეზე ერთად. ლიმიტები ბრუტო პოზიციებზე ზღუდავენ მოცემული ინსტრუმენტის გრძელი ან მოკლე პოზიციების მოცულობას. მეორე მხრივ, ლიმიტები ნეტო პოზიციებზე ცდილობენ

აღიარონ გრძელი და მოკლე პოზიციების ბუნებრივი გადახურვა. ორგანიზაციებმა, საკუთარი რისკების მართვისას, ორივე ტიპის ლიმიტი უნდა გამოიყენონ.

◆ მაქსიმალურად დასაშვები ზარალი („სტოპ-ზარალი") – ლიმიტები შეიძლება დაწესდეს პოზიციაში გადაჭარბებული ზარალის აკუმულირების თავიდან აცილების მიზნით. ამგვარი ლიმიტების მიღწევის შემთხვევაში, აუცილებელია უფროსი მენეჯმენტის რეაგირება პოზიციის ჰეჯირების ან ლიკვიდაციის მიზნით.

◆ ვადიანობის გეპის ლიმიტები – ამგვარი ლიმიტები საშუალებას აძლევენ ორგანიზაციას გააკონტროლოს საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებით გამოწვეული რისკი იმ პერიოდში, რომელიც ამ ორგანიზაციის გეგმითაა გათვალისწინებული.

◆ მერყევი (ცვალებადი) ან არალიკვიდური ბაზრების ლიმიტები. – მენეჯმენტმა შეიძლება გადაწყვიტოს ვაჭრობის ლიმიტირება ან განსაკუთრებით ცვალებად ბაზრებზე, სადაც შეიძლება მოხდეს ზარალის სწრაფი აკუმულირება, ან არალიკვიდურ ბაზრებზე, სადაც მენეჯმენტი შეიძლება იძულებული გახდეს გასწიოს ზარალი დაუფარავი პოზიციის დასახურად.

ლიკვიდობის რისკი

ფასიანი ქაღალდებით ოპერირებისას ბანკები დადგნენ ორი ტიპის ლიკვიდობის რისკის წინაშე: სპეციფიკურ პროდუქტებთან/ბაზრებთან დაკავშირებული რისკები და მათი საქმიანობის საერთო დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები. ამ ორიდან პირველი – ბაზრის ლიკვიდობის რისკი, არის რისკი, რომ ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის არასაკმარისი სიღრმისა და არასტაბილურობის გამო ადვილად ვერ გაყიდის ფასიან ქაღალდებს ან ვერ დახურავს ფასიანი ქაღალდებისგან შექმნილ პოზიციას წინა საბაზრო ან მასთან მიახლოებულ ფასით. მეორე, ესაა დაფინანსება-ლიკვიდობის რისკი, ანუ ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების ანგარიშსწორების თარიღზე დაუფარაობის რისკი. ვინაიდან ლიკვიდობის რისკის არცერთი

ტიპი არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისთვის, მენეჯმენტმა ეს რისკები უფრო გლობალურად, ორგანიზაციის საერთო ლიკვიდობის ფონზე უნდა შეაფასოს. როდესაც ხდება დასაშვები ფასიანი ქაღალდების შერჩევა კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მოცემული ინსტრუმენტების ბაზრის სიდიდე, ინტენსივობა, ლიკვიდობა და ის ეფექტი, რომელიც ამ მახასიათებლებმა შეიძლება იქონიონ მიზნის მიღწევაზე. ზოგიერთი ფასიანი ქაღალდის ბაზრის ლიკვიდობამ შეიძლება აბსოლუტურად არაშესაფერისი გახადოს ისინი დასახული მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ის ეფექტი, რომელიც საბაზრო რისკმა შეიძლება იქონიოს სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტების ლიკვიდობაზე. ორგანიზაციის დაფინანსების რისკი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, როდესაც მისი არა-რეალიზებული ზარალი მატერიალური (არსებითი) ხდება. აქედან გამომდინარე, ეს რისკი კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას ერთ-ერთი ფაქტორი უნდა იყოს. სუსტი ლიკვიდური პოზიციის მქონე ორგანიზაციები უფრო მეტად დგანან ამ ზარალის აღიარებისა, ბუღალტრული და საზედამხედველო კაპიტალის შემცირების საშიშროების წინაშე.

საოპერაციო და სამართლებრივი რისკები

საოპერაციო რისკი არის საინფორმაციო სისტემებში ან შიდა კონტროლში არსებული ხარვეზების გამო გაუთვალისწინებელი ზარალის გამოწვევის რისკი. საოპერაციო რისკის გამომწვევ კონკრეტულ წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს არაადეკვატური პროცედურები, ადამიანური შეცდომა, სისტემის გაუმართაობა ან თაღლითობა. ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განმახორციელებელი ბანკის წინაშე მდგარ ერთ-ერთ ყველაზე სავარაუდო პრობლემას წარმოადგენს არასწორად შეფასებული ან კონტროლირებული საოპერაციო რისკი. ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებთან დაკავშირებული საოპერაციო რისკის გაკონტროლების უპირ-

ველესი საშუალებაა ადეკვატური შიდა კონტროლი. შიდა კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და უზრუნველყოფს ოპერაციების განმახორციელებელი პირების გამოყოფას იმ პირებისგან, რომლებიც კონტრაქტების დამუშავებაზე, ოპერაციების დამოწმებაზე, სხვადასხვა საკლირინგო ანგარიშებზე, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიაზე და გადაფასებაზე არიან პასუხისმგებელნი. ბანკებს უნდა გააჩნდეთ დამტკიცებული პოლიტიკა, რომელიც სამართლებრივ მოთხოვნებთან და ბანკის შიდა ნორმატიულ აქტებთან იქნება შესაბამისობაში და რომლებშიც დაკონკრეტებული იქნება მოთხოვნები ოპერციებსა და ოფიცილურ პროცედურებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტების შენახვისა და დაცვის შესახებ. სამართლებრივი რისკი არის რისკი, რომ ბანკის მიერ გაფორმებული კონტრაქტები არ არის იურიდიული ძალის მქონე ან სწორად დოკუმენტირებული. ამგვარი რისკი ბანკის იურიდიული საბჭოს მიერ შემუშავებული პოლიტიკის თანახმად უნდა იქნეს ლიმიტირებული და მართული. ბანკში უნდა არსებობდეს, მინიმუმ, ისეთი სახელმძღვანელო მითითებები და პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღსრულებადობას. შემმოწმებლებმა, ცალკეული ოპერაციების დამთავრებამდე, უნდა დაადგინონ, ადეკვატურად ახდენს თუ არა ბანკი საკუთარი ხელშეკრულებების აღსრულებადობის შეფასებას. ბანკებმა, ასევე, უნდა დაადგინონ, აქვს თუ არა შემხვედრ მხარეს (პარტნიორს) საკმარისი უფლებამოსილება სავარაუდო კონტრაქტის გაფორმებაზე და არის თუ არა ხელშეკრულების პირობები იურიდიულად მყარი.

კაპიტალის ბაზრები და სავაჭრო ოპერაციები მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციაში, რაც დამოკიდებულია: სავაჭრო ოპერაციის მოცულობაზე, სავაჭრო და მმართველობით გამოცდილებაზე, ორგანიზაციის სტრუქტურაზე, თანამედროვე კომპიუტერულ სისტემაზე და ორგანიზაციის ორიენტირებსა და სტრატეგიაზე, ისტორიულ და მოსალოდნელ შემოსავალზე, წარსულ პრობლემებსა და ზარალზე, რისკებზე და საქმიანობის პროდუქციისა და საქმიანობის დახვეწილობაზე. ამგვარად, ცალკეული რომელიმე ორგანიზაციის რისკის მართვის სავარაუდო ტაქტიკა, პოლიტიკა და პროცედურები შეიძლება არ იყოს აუცილებელი მეორე ორგანიზაციაში. გვახსოვს რა ეს ფაქტები, საფინანსო ორგანიზაციის ჯანსაღი საქმიანობის ჩამონათვალი იმ საფინანსო ორგანიზაციებში, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კაპიტალის ბაზრებსა და სავაჭრო ოპერაციებში, ასე უნდა გამოიყურებოდეს:

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს რისკის მართვის ისეთი ფუნქცია, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ვაჭრობაში ჩაბმული პერსონალისგან.

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს რისკის მართვის ისეთი პოლიტიკა, რომელსაც ყოველწლიურად დაამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. პოლიტიკაში განსაზღვრული უნდა იყოს სებადართული ინსტრუმენტები, სარისკო საქმიანობის პარამეტრები, ლიმიტების სტრუქტურა, ლიმიტ-სემოთ დამტკიცების პროცედურები და განხილვის სიხშირე. გარდა ამისა, ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ლიმიტთან დაკავშირებული პოლიტიკის და ფასწარმოქმნის პერიოდული განხილვის პროცესი, ცვალებადი ბაზრის პირობებში. ზოგიერთ ბაზარზე, შესაძლოა გამართლებული იყოს ამგვარი ფაქტორების ხშირი და მაღალი დონის განხილვა.

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ახალ პროდუქციასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც ამგვარი ოპერაციებთან შეხებაში მყოფი ყველა სტრუქტურის (მაგალითად რისკის მართვის, კრედიტების მართვის, ბუღალტრული აღრიცხვის, სამედამხედველო ანგარიშგებების, Back-Office-ის, აუდიტის, ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის) განხილვასა და დამტკიცებას საჭიროებს. ეს პოლიტიკა, ახალი პროდუქტის დანერგვამდე, დასაბუთებული უნდა იყოს აუდიტის მასალებით.

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მეთოდოლოგია, რომელიც მოახდენს ორგანიზაციის პორტფელის სტრეს-ტესტირებას მთავარ რისკ ფაქტორებში ცვლილებაზე რათა დამუშავდეს მოვლენათა განვითარების ყველაზე ცუდი სცენარი, რომელსაც უფროსი მენეჯმენტი განიხილავს. ორგანიზაციის ლიმიტების სტრუქტურამ უნდა გაითვალისწინოს სტრეს-ტესტის შედეგები.

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც საბაზრო რისკებს გააკონტროლებს და ყოველისმომცველ ანგარიშგებას უზრუნველყოფს. სისტემის სტრუქტურა რისკის დონესა და სავაჭრო საქმიანობის სირთულეს უნდა შეესაბამებოდეს. ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ფინანსური მონაცემების გამოყენების ადეკვატური სისტემა, რომელიც რისკის პოზიციების შეფასებასა და მონიტორინგს განახორციელებს და მიმდინარე ეტაპზე გამოყენებული ინსტრუმენტების მრავალფეროვნებას დაამუშავებს. ოპერაციების დამუშავებასა და მონიტორინგში ხელით (არაკომპიუტერული) ჩარევა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი.

◆ რისკის მენეჯმენტს ან კონტროლის ფუნქციას უნდა შეეძლოს რისკის მართვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა, რომელშიც აღნიშნული იქნება სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული პოზიციები, ლიმიტები და ზედმეტობა. ეს ანგარიში უნდა გაეგზავნოს უფროს მენეჯმენტს, რომელიც განიხილავს, ხელს მოაწერს და დაუბრუნებს მას კონტროლის განყოფილების თანამშრომლებს.

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს საშუალო დონის და უფროსი მენეჯმენტის წარმომადგენელი საბროკერო ოთახში, ან მის გარეთ. ისინი კარგად უნდა იცნობდნენ ბაზრის სისტემასა და საკრედიტო რისკს. გარდა ამისა, მათ კარგად უნდა ესმოდეთ ბროკერების მიერ გამოყენებული ფასწარმოქმნის მეთოდები.

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია რაოდენობრივად დაუდგენელი რისკების შესახებ (როგორიცაა საოპერაციო რისკები), უნდა შეეძლოს მათი შეფასება და გააჩნდეს

სახელმძღვანელო მითითებები და სავაჭრო პრაქტიკა, რათა შეკრიოს მათი გაკონტროლება.

◆ ყველა ორგანიზაციას, რომელიც მაღალი დონის საბროკერო საქმიანობას ახორციელებს, უნდა შეეძლოს წარმოაჩინოს, რომ მას შეუძლია სტრატეგიებისა და პოზიციების დროული კორექტირება, სწრაფად ცვალებადი საბაზრო პირობებისა და კრიზისული მდგომარეობის შესაბამისად.

◆ ფასიანი ქაღალდებით დიდი მოცულობის ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში ორგანიზაციის რისკის მართვის სამსახურს უნდა შეეძლოს არსებული რისკების ერთ დღეში განხილვა/შეფასება.

◆ მართვის საინფორმაციო სისტემებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი ინფორმაციის მიწოდება საბაზრო და საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, აგრეთვე, ოპერატიული მონაცემები, მათ შორის, რენტაბელობის, დაუფარავი მუხლებისა და ანგარიშსწორებების შესახებ.

◆ პერიოდულად უნდა განხორციელდეს განხილვები, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას ფედერალურ და უცხოური ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონებსა და მარეგულირებელ სახელმძღვანელო მითითებებთან.

◆ ყველა ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს კომპენსაციის სისტემა, რომელიც ხელს არ შეუშლის რისკის კონტროლის სისტემის მიუკერძოებლობის შენარჩუნებას. შემმოწმებლებმა ყოველწლიურად უნდა განახორციელონ რისკის მართვის კომპლექსური განხილვა, რომელშიც ხაზგასმით იქნება აღნიშნული მოვალეობათა გამიჯვნისა და მონაცემთა ერთობლიობის უტყუარობის შესახებ. ახალი პროდუქტებისა და მოდელების დანერგვისას აუცილებელი დამატებითი ტესტირების ჩატარება. პერიოდულად უნდა მოხდეს დირექციისა და დამხმარე პერსონალის მიერ გამოყენებული მოდელების ხელახალი შეფასება ზუსტი შედეგების მიღების მიზნით.

არსებობს ორი ტიპის სავალო ინსტრუმენტი: საინვესტიციო და სუბ-საინვესტიციო ხარისხის. საინვესტიციო ხარისხის მქონე სავალო ინსტრუმენტებს აქვთ იგივე რაოდენობის საკრედიტო რისკი, რაც სტანდარტულ სესხებს". ბანკებს უფლება აქვთ შეიძინონ მხოლოდ საინვესტიციო ხარისხის მქონე სავალო ფასიანი ქაღალდები. სავალო ინსტრუმენტები კლასიფიკაციის იგივე სტანდარტებს ექვემდებარებიან, როგორსაც სესხები. შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს მათთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის მოცულობის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბანკის მოგებასა და ბიზნეს-ურთიერთობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახის ინვესტიციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ბანკის მოგების ფორმირებაში, როდესაც ბაზარზე პირობები ხელსაყრელია, მათ, ამავდროულად, შეუძლიათ ბაზრის, ლიკვიდობისა და სხვა რისკების გამოწვევა, რაც ზრდის მოგებისა და კაპიტალის არასტაბილურობას. შესაბამისად, საწესდებო კაპიტალში წარმატებული ინვესტიციების განხორციელებისათვის აუცილებელია ინვესტიციებისა და რისკების მართვის ჯანსაღი სისტემა. საბანკო ორგანიზაციებს შეუძლიათ სხვადასხვა მახასიათებლისა და რისკის ინვესტიციების განხორციელება. საწესდებო კაპიტალში ინვესტიციებს შეუძლიათ უზრუნველყონ საწარმოთა ასამუშავებლად საჭირო საწყისი ან ადრეულ სტადიაზე აუცილებელი თანხები, ან მათი მეშვეობით შეიძლება დაფინანსდეს ცვლილებები საკუთრების ფორმებში, ბაზარზე ბიზნესის გაფართოება და საწარმოთა შეძენა და შერწყმა.

საბანკო ორგანიზაციები, ასევე, შეიძლება დაინტერესდნენ უკვე მოქმედი საწარმოებით, მათში გრძელვადიანი ინვესტირების განხორციელების მიზნით. ფასიანი ქაღალდების ინვესტიციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს პირდაპირი, ანუ კომპანიის ჩვეულებრივი, პრივილეგირებული ან სხვა სახის აქციების ფორმით და არაპირდაპირ – იმ საინვესტიციო ფონდის აქციების შეძენით,

რომელთაც ინტერესი აქვთ სხვა კომპანიებში. იმ მსხვილი და კომპლექსური საბანკო ორგანიზაციების საინვესტიციო საქმიანობა და შეფასების მეთოდები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ინვესტიციები სხვა ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში, პერიოდულად და დამოუკიდებლად უნდა განიხილებოდეს შიდა აუდიტორების ან აუტსაიდერი მხარეების მიერ. შედარებით პატარა საკლებად კომპლექსურ დაწესებულებებში, რომელთა ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში არამატერიალურია, ამასთან, რესურსები შეზღუდული, ინვესტიციების დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება შეიძლება ვერ ხორციელდებოდეს. შესაბამისად, უნდა იქნეს გამოყენებული ალტერნატიული კონტროლისა და დაბალანსების მეთოდები.

კერძო ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში ინვესტიციების შეფასების სტანდარტულ მეთოდს წარმოადგენს შემოსავლების შიდა განაკვეთი („შშგ"). „შშგ"-ს გამოყენებას ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია რენტაბელობის ტრადიციულ შეფასებასთან შედარებით: იგი ითვალისწინებს როგორც ფინანსურ ნაკადებს, ისე ფულის დროით ღირებულებას, რის გამოც შეფასება უფრო ზუსტია. „შშგ" აფასებს როგორც ინვესტირებული კაპიტალის ზრდის დონეს, ისე იმ დროს, რომელიც ზემოაღნიშნული კაპიტალის ზრდას დასჭირდა. თუ ინვესტირებული კაპიტალის ზრდას თავისი წვლილი შეაქვს შემოსავლიანობის მაჩვენებლის ზრდაში, დროის ეფექტი უკუპროპორციულად არის დაკავშირებული შემოსავლიანობის მაჩვენებელთან. როდესაც ინვესტიციებიდან მიღებული ფინანსური ნაკადების დღევანდელი ღირებულება უდრის ამ ინვესტიციაზე გაწეული დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, ანუ მათი წმინდა ღირებულების ტოლია, სადისკონტო განაკვეთი უდრის შემოსავლების შიდა განაკვეთს. საწესებო კაპიტალში მნიშვნელოვანი ინვესტიციების მქონე საბანკო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი პოლიტიკა, პროცედურები და დოკუმენტები, ხოლო მათი სისტემები შემდეგს უნდა ემსახურებოდეს:

◆ დასაშვები ინვესტიციების სახეობებისა და მოცულობის განსაზღვრას;

◆ გასათვალისწინებელია სხვადასხვა ტიპის ინვესტიციებში თანხების განთავსების მიზანშეწონილი პერიოდი;

◆ პორტფელის დივერსიფიკაციის პარამეტრების განსაზღვრას;

◆ თითოეული ინვესტიციისა და ერთობლივი პორტფელის საბაზრო ღირებულების მონიტორინგსა და შეფასებას;

◆ ბაზრის, საკრედიტო, კონცენტრაციისა და სხვა რისკების დადგენას და მართვას;

◆ კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

პორტფელის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში დადგენილ უნდა იქნეს დაბანდებული ინვესტიციების რისკის პროფილისთვის დამახასიათებელი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სამრეწველო, დარგობრივი, გეოგრაფიული და საბაზრო ფაქტორები. სახსრების განთავსების სავარაუდო პერიოდთან დაკავშირებით პოლიტიკაში დაკონკრეტებული უნდა იყოს ინვესტიციების ლიკვიდაციის ზოგადი კრიტერიუმები და ინსტრუქციები წარუმატებელი ინვესტიციებიდან თანხების ამოღების შესახებ. გადაწყვეტილება წარუმატებელი ინვსტიციების ლიკვიდირების შესახებ უნდა გაკეთდეს ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, რომლის დროსაც გათვალისწინებულ იქნება ყველა ფაქტორი. ამასთან, გამოიყენება ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც გულისხმობს წარუმატებელი ან პორტფელში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული ინვესტიციების უფრო ხშირ განხილვასა და ანალიზს.

პოლიტიკაში განსაზღვრულ უნდა იქნეს ერთობლივი რისკი, რომლის გასაწევადაც ორგანიზაცია მზად არის, ინვესტიციის სახეობებისა და ბუნების მიხედვით. რისკების ლიმიტების დაცვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც დაფინანსებელი, ისე დაფინანსებული ვალდებულებები. მართვის ადეკვატურ და დეტალურ საინფორმაციო სისტემას („მსს“) არსებითი მნიშვნელობა აქვს ფასიანი ქაღალდების ინვესტიციების მართ-

ვისთვის, რაც საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს აქტიური მონიტორინგი გაუწიოს ფასიანი ქაღალდების ინვესტირებას ასახული მიზნების, სტრატეგიებისა და პოლიტიკის განხორციელების ჭრილში. „მსს“-ს ანგარიში შეიძლება აუცილებელი იყოს ისეთი საბანკო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საწესდებო კაპიტალში ინვესტირებას ახორციელებენ. წლიურ ანგარიშებში შემდეგი საკითხები უნდა იქნეს განხილული:

◆ სტრატეგიული გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება მითითებული ლიმიტები როგორც ქვეყნების, ისე დარგობრივ ჭრილში, დასაშვები კონცენტრაცია, შემოსავლიანობასთან დაკავშირებული მიზნები და საინვესტიციო გეგმები;

◆ ბიუჯეტი, რომელშიც ასახული იქნება შესრულების შედეგები და გეგმური ორიენტირები და დადგენილი იქნება მომდევნო წლის განმავლობაში მოსალოდნელი ინვესტიციები;

◆ წლიური შესრულების განხილვა, რომელშიც მკაფიოდ იქნება დადგენილი შემოსავლის წყაროები (როგორიცაა არარეალიზებული მოგება და ზარალი, შემოსავალი დივიდენდებიდან ან რეალიზებული მოგება და ზარალი). ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშები უნდა მოიცავდნენ:

◆ ანგარიშს პორტფელის შეფასების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მოკლე ანოტაციას ყოველ მატერიალურ ინვესტიციასთან მიმართებაში, არარეალიზებული მოგების ან ზარალის ანგარიშს და ინვესტიციის ლიკვიდაციის სავარაუდო განრიგს;

◆ პორტფელის ანალიზსა და სტატისტიკურ მონაცემებს, მათ შორის, პორტფელის მოგებას ან ზარალს მოცემული პერიოდისთვის და ნებისმიერი ჰეჯირების სტრატეგიას;

◆ ნებისმიერი სტრეს-ტესტის ანალიზს;

◆ კონცენტრაციის ანალიზს სექტორების, დარგების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და ინვესტიციების ტიპის მიხედვით;

◆ ანგარიშებს ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ;

◆ მენეჯმენტის და ინვესტიციების კომიტეტის ანგარიშებს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ახალ ოპერაციებზე ნაკისრი

ვალდებულებების, კორპორატიული გეგმების შეცვლის ან მათი დამტკიცების თაობაზე;

◆ საინვესტიციო პორტფელის გადასინჯვა ექვს თვეში ერთხელ, რომელიც წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების პორტფელის სრულყოფილ განხილვას, ხდება აქტივების ხარისხის (ღირებულების) განსაზღვრა, ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, მენეჯმენტის შეფასება, მომავალი გეგმების დასახვა, სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა და სტრატეგიის შემუშავება.

ბანკის მიერ საწესდებო კაპიტალში ინვესტიციების განხორციელებასა და ფლობასთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის შესაფასებლად აუცილებელია შეფასდეს სამეთვალყურეო საბჭოსა და უფროსი მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ხარისხი, რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურების ადეკვატურობა, რისკების შეფასებისა და მათი ანგარიშგების სისტემების შესაბამისობა და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობა. აღნიშნულის შესაბამისად, შემოწმების მიზნებს წარმოადგენს:

საკრედიტო რისკთან დაკავშირებით:

◆ საკრედიტო რისკების მართვის ფუნქციის ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვა;

◆ სავალო ინსტრუმენტების საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობის შეფასება;

◆ ამ პოლიტიკის მიერ ფაქტიური ოპერაციების ასახვის უზრუნველყოფა;

◆ ორგანიზაციის საკრედიტო რისკების დადგენა;

◆ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სწორად დაინერგა ორგანიზაციის საკრედიტო რისკების შეფასების სისტემა და ადეკვატურად აფასებს თუ არა ორგანიზაცია საკრედიტო რისკს;

◆ მაკორექტირებელი ღონისძიებების რეკომენდირება, როდესაც პოლიტიკა, პროცედურები, პრაქტიკა, შიდა კონტროლი ან მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები არაადეკვატურია.

საკრედიტო რისკთან დაკავშირებული შემოწმების მიზნებიდან გამომდინარე შემოწმების პროცედურებმა უნდა მოიცვას:

◆ საკრედიტო რისკების მართვის ორგანიზაციის განხილვა.

✓ ორგანიზაციის საკრედიტო რისკის მართვის ფუნქციას გააჩნია თუ არა მაკლერებისა და ბროკერებისაგან დამოუკიდებელი ანგარიშგების სისტემა;

✓ გააჩნია თუ არა საკრედიტო რისკის კონტროლის განყოფილების თანამშრომლებს საკმარისი უფლებამოსილება მაკლერებისა და ბროკერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებაზე;

✓ მონაწილეობს თუ არა ორგანიზაციის საკრედიტო რისკის მენეჯმენტი ახალი პროდუქტის შესახებ დისკუსიებში.

◆ სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკის საქმიანობის, ასევე, მის წინაშე არსებული რისკების საფრთხის მასშტაბების, სფეროს და მოცულობის დადგენა;

◆ რისკების მართვის შესახებ ორგანიზაციის მიერ მომზადებული ყველა აქტის ასლის მოპოვება და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით იმის შეფასება, თუ რამდენად კარგად ესმის საკრედიტო რისკების მართვის პერსონალს ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ორგანიზაცია ახორციელებს, ასევე, როგორ აფასებენ არსებულ და პოტენციურ რისკებს.

◆ მოპოვებულ და შეფასებულ უნდა იქნეს სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობა. შესაბამისად, შემმოწმებელმა უნდა:

✓ განიხილოს საკრედიტო რისკების პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტები. განსაზღვროს ადეკვატურად განიხილავს თუ არა რისკების შეფასების მოდელი და მეთოდოლოგია ყველა დადგილ საკრედიტო რისკს და შეეფერებიან თუ არა ისინი ორგანიზაციის საქმიანობას. განიხილოს მიმდინარე და მოსალოდნელი საფრთხის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია;

✓ განსაზღვროს, რამდენჯერ ხდება ემიტენტისა და პარტნიორის (შემხვედრი მხარის) მიერ საკრედიტო პირობების ანალიზი

და განხილვა, რაც წელიწადში, არანაკლებ, ერთხელ უნდა გაკეთდეს;

✓ შეაფასოს, წარმოაჩინა თუ არა მენეჯმენტმა განხილვების დროს კრედიტუნარიანობის ვარდნის დადგენის უნარი;

✓ განსაზღვროს, აქვს თუ არა საკრედიტო რისკის მენეჯმენტს პრობლემების გადაჭრის უნარი იმ პარტნიორებთან, რომელთა საკრედიტო ხარისხი გაუარესდა;

✓ შეამოწმოს, დაუწესდათ თუ არა ლიმიტები პარტნიორებს გარიგების განხორციელებამდე. თუ ორგანიზაცია ეყრდნობა ერთჯერად მტკიცებას, შემოწმდეს არის თუ არა დამტკიცების პროცესი ისეთივე ოფიციალური, როგორიც პარტნიორის ლიმიტების შემთხვევაში.

◆ მოიპოვოს მენეჯმენტის მთელი ინფორმაცია საკრედიტო რისკის ანალიზის შესახებ.

✓ განსაზღვროს, არის თუ არა ანალიზი ყოვლისმომცველი, ზუსტი და მიუკერძოებელი;

✓ განიხილოს შეფასების მეთოდები;

✓ განიხილოს სტრეს-ტესტები საკრედიტო ხარისხის ცვლილებების ანალიზის ფონზე, მათ შორის, მაკროეკონომიკური პირობების შეცვლით გამოწვეული კრედიტების გაუარესება;

✓ განსაზღვროს, ზუსტად აისახება თუ არა მენეჯმენტის ანგარიშებში რისკები და მიეწოდება თუ არა აქტები სათანადო მენეჯმენტს.

◆ შემმოწმებელმა უნდა განიხილოს დოკუმენტაცია, რომელიც ასაბუთებს, რომ საკრედიტო რისკის მენეჯმენტი მკაცრად იცავს საკუთარ პროგრამას. მაგალითად, მოპოვებულ იქნეს დამტკიცებული წერილობითი დოკუმენტაციის ასლები ლიმიტების გადაჭარბების შესახებ, ან ერთჯერადი დოკუმენტის ასლი. განისაზღვროს მათი დროულობა.

◆ შემმოწმებელმა ბანკს უნდა მისცეს რეკომენდაცია მაკორექტირებელი ღონისძიების გატარების შესახებ, როდესაც პოლიტიკა,

პროცედურები, პრაქტიკა, შიდა კონტროლი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები არაადეკვატურია.

შემოწმების მიზნები საბაზრო რისკთან დაკავშირებით მოიცავს:

✓ • საბაზრო რისკის მართვის ფუნქციის ორგანიზაციული სტრუქტურის შეფასებას;

✓ სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობის შეფასებას, სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციის სიზუსტის დადგენას და მათთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის კომპენსაციის მიზნით შექმნილი რეზერვების ადეკვატურობის დადგენას;

✓ ბანკის საბაზრო რისკის დადგენას;

✓ საბაზრო რისკების შეფასების სისტემის სწორად დანერგვას და ამ რისკების ადეკვატურ შეფასებას;

✓ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების განხილვას საბაზრო რისკების კომპლექსური შესწავლის მიზნით;

✓ მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების რეკომენდირებას პოლიტიკის, პროცედურების, პრაქტიკის, შიდა კონტროლისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების არაადეკვატურობის შემთხვევაში.

შემოწმების პროცედურები საბაზრო რისკთან დაკავშირებით, მოიცავს საბაზრო რისკის მართვის ორგანიზაციის განხილვას:

◆ შემოწმდეს, რომ ორგანიზაციის საბაზრო რისკების მართვის ფუნქციას გააჩნია მაკლერებისა და ბროკერებისაგან დამოუკიდებელი ანგარიშგების სისტემა;

◆ განისაზღვროს, გააჩნია თუ არა საბაზრო რისკის კონტროლის განყოფილების თანამშრომლებს საკმარისი უფლებამოსილება მაკლერებისა და ბროკერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებაზე;

◆ განისაზღვროს, ჩართულია თუ არა საბაზრო რისკის მენეჯმენტი ახალი პროდუქტის შესახებ დისკუსიებში.

◆ ორგანიზაციის საქმიანობის დადგენა სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე:

✓ ბანკის მიერ სავალო ინსტრუმენტების გამოყენების და მიზნის განსაზღვრა;

✓ ბანკის წინაშე არსებული რისკის საფრთხის მასშტაბების, სფეროს და მოცულობის განსაზღვრა. დადგენა იმ პროდუქტებისა, რომლის ბაზარსაც ბანკი ქმნის;

✓ შეფასდეს, რამდენად გამოამჟღავნა საბაზრო რისკის კონტროლის განყოფილების პერსონალმა საკუთარი ცოდნა საფინანსო დაწესებულების მიერ სავაჭროდ გამოტანილ პროდუქტებთან მიმართებაში და რამდენად ესმით მათ მიმდინარე და პოტენციური საფრთხე.

◆ უნდა დადგინდეს და შეფასდეს საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობა სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რისთვისაც:

✓ განხილულ უნდა იქნეს საბაზრო რისკის პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტები. განისაზღვროს, ადეკვატურად განიხილავს თუ არა რისკის შეფასების მოდელი და მეთოდოლოგია ყველა დადგენილ საბაზრო რისკს და შეეფერება თუ არა იგი დაწესებულების საქმიანობას;

✓ შემოწმდეს, დაწესებულია თუ არა საბაზრო რისკის საფრთხის ლიმიტები გარიგების განხორციელებამდე. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ეყრდნობა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, შემოწმდეს, კარგად არის თუ არა დოკუმენტირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი;

✓ განხილულ იქნეს ბუღალტრული აღრიცხვისა და გადაფასების პოლიტიკა და პროცედურები. განისაზღვროს, ადეკვატურია თუ არა გადაფასების პროცედურები.

◆ შემმოწმებლებმა მოიპოვოს მენეჯმენტის მთელი ინფორმაცია საბაზრო რისკის ანალიზის შესახებ:

✓ განისაზღვროს, არის თუ არა ანალიზი ყოვლისმომცველი, ზუსტი და მიუკერძოებელი;

✓ განხილულ იქნეს შეფასების და მოდელირების მეთოდები;

✓ განხილულ იქნეს სტრეს-ტესტები საბაზრო პირობების ცვლილებათა ფონზე;

✓ განისაზღვროს, ზუსტად აისახება თუ არა მენეჯმენტის ანგარიშებში რისკები და მიეწოდება თუ არა ეს აქტები მენეჯმენტის სათანადო დონეებს.

◆ დადგინეს, იცავს თუ არა საფინანსო დაწესებულება საკუთარ შიდა პოლიტიკასა და პროცედურებს.

✓ განისაზღვროს, ადეკვატურად აკონტროლებს თუ არა დაწესებული ლიმიტები საბაზრო რისკებს;

✓ განისაზღვროს, იცის თუ არა მენეჯმენტმა ლიმიტების გადაჭარბების შესახებ და ატარებს თუ არა იგი შესაბამის ღონისძიებებს საჭიროების შემთხვევაში.

◆ გაიცეს რეკომენდაცია მაკორექტირებელი ღონისძიების გატარების შესახებ, როდესაც პოლიტიკა, პროცედურები, პრაქტიკა, შიდა კონტროლი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები არაადეკვატურია.

შემოწმების მიზნები ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებით მოიცავს:

◆ ლიკვიდობის რისკის მართვის ფუნქციის ორგანიზაციული სტრუქტურის შეფასებას;

◆ არალიკვიდურ ბაზრებზე ვაჭრობის შედეგად ორგანიზაციის წინაშე მდგარი საფრთხისა და პოტენციური რისკის ღადგენას;

◆ ორგანიზაციის პოტენციური რისკების განსაზღვრას ლიკვიდური ბაზრის მოულოდნელად არალიკვიდურად გადაქცევის შემთხვევაში;

◆ საფინანსო დაწესებულების უფროსი მენეჯმენტისა და ღირექტორატის მიერ ორგანიზაციის სავაჭრო საქმიანობასთან

დაკავშირებული ბაზრის ლიკვიდობის პოტენციური რისკების საფრთხის დადგენას;

◆ ორგანიზაციის სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ბაზრის ლიკვიდობის პოტენციური რისკების საფრთხის განსაზღვრას;

◆ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების მიერ მოწოდებული ბაზრის ლიკვიდობის რისკის საფრთხის ანალიზის ყოვლისმომცველობის, სიზუსტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას;

◆ ორგანიზაციის მიერ ლიკვიდობის რისკის მართვის სისტემის განხორციელების სისწორისა და მის მიერ საფრთხის შეფასების ადეკვატურობის დადგენას;

◆ იმის დადგენას, თუ რამდენად იცის მენეჯმენტმა ლიმიტების გადაჭარბების შესახებ და ატარებს თუ არა იგი შესაბამის ღონისძიებებს საჭიროების შემთხვევაში;

◆ მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების რეკომენდირებას პოლიტიკის, პროცედურების, პრაქტიკისა და შიდა კონტროლის არაადეკვატურობის შემთხვევაში.

შემოწმების პროცედურები ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებით უნდა ასახავდეს:

◆ ლიკვიდობის რისკის მართვის ორგანიზაციის განხილვას;

◆ შემოწმებას იმისა, რომ ორგანიზაციის ლიკვიდობის რისკის მართვის ფუნქციას გააჩნია მაკლერებისა და ბროკერებისაგან დამოუკიდებელი ანგარიშგების სისტემა;

◆ დადგენას, რამდენად საიმედოა საფინანსო დაწესებულების ლიკვიდობის რისკის კონტროლის განყოფილების პერსონალი ბროკერებისა და მაკლერების გადაწყვეტილებების შესამოწმებლად;

◆ განსაზღვრას, ჩართულია თუ არა ლიკვიდობის რისკის მენეჯმენტი ახალი პროდუქტის შესახებ დისკუსიებში.

✓ შემმოწმებლის მიერ უნდა დადგინდეს ბანკის სავაჭრო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული საბალანსო და ბალანსგარეშე ინსტრუმენტები და ბანკის მიერ მოპოვებული რისკების

ანალიზის შესახებ მომზადებული ყველა აქტის ასლი იმის დასადგენად, თუ რამდენად გამოამუშავებს ლიკვიდობის რისკის კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა იმ პროდუქტების ცოდნა, რომლითაც ორგანიზაცია ვაჭრობს და რამდენად ესმით მათ მიმდინარე და პოტენციური რისკების საფრთხე.

✓მოპოვებულ და შეფასებულ იქნეს სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობა. განხილულ იქნეს:

- ბაზრის ლიკვიდობის რისკის პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტები;

- ბაზრის ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი გაუარესების შემთხვევაში სამოქმედო გეგმა, თუ ასეთი არსებობს.

✓ მოპოვებულ იქნეს მენეჯმენტის ინფორმაცია ბაზრის ლიკვიდობის რისკის ანალიზის შესახებ.

- განისაზღვროს ანალიზის ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიუკერძოებლობა;

- განხილულ იქნეს დაშვებები ნორმალური ბაზრის პირობებში;

- განხილულ იქნეს სტრეს-ტესტები, რომლებშიც გაანალიზებულია შესყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორის სპრედის ზრდა და განისაზღვროს ამ დაშვებების (ვარაუდების) მიზანშეწონილობა;

- განისაზღვროს, ზუსტად აისახება თუ არა მენეჯმენტის ანგარიშებში რისკები და მიეწოდება თუ არა ეს აქტები მენეჯმენტის სათანადო დონეებს.

✓ უნდა განისაზღვროს, იქონია თუ არა ბაზარზე ბოლო დროინდელმა არასტაბილურობამ რაიმე გავლენა ბანკის სავაჭრო საქმიანობაზე. თუ მოახდინა, მოსაკვლევია, რა რეაგირება მოახდინა ამაზე ბანკმა.

✓ უნდა დადგინდეს, იცავს თუ არა საფინანსო დაწესებულება შიდა პოლიტიკასა და პროცედურებს.

✓ უნდა განისაზღვროს, შეესაბამება თუ არა დაწესებული ლიმიტები ორგანიზაციის საქმიანობის დონეს. უნდა დადგინდეს,

იცის თუ არა მენეჯმენტმა ლიმიტების გადაჭარბების შესახებ ცნო ატარებს თუ არა შესაბამის ღონისძიებებს საჭიროების შემთხვევაში.

✓ უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა ორგანიზაციას აუდიტის ჟურნალი, რომელშიც განხილულია რისკის საფრთხე და რა სიხშირით ახდენს მენეჯმენტი მათ დამტკიცებას.

✓ უნდა გაიცეს რეკომენდაცია მაკორექტირებელი ღონისძიების გატარების შესახებ, როდესაც პოლიტიკა, პროცედურები, პრაქტიკა, შიდა კონტროლი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები არაადეკვატურია.

შემოწმების მიზნები საოპერაციო და სისტემურ რისკებთან დაკავშირებით მოიცავს:

◆ აუდიტის ფუნქციის მასშტაბებისა და ადეკვატურობის დადგენას მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებისა და ანგარიშგების ჭრილში.

◆ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებისა და ანგარიშგების თვალსაზრისით პოლიტიკის, პროცედურებისა და შიდა კონტროლის ადეკვატურობის განსაზღვრას.

◆ ავტომატურ საინფორმაციო სისტემებთან მხოლოდ უფლებამოსილ მომხმარებელთა დაშვების უზრუნველყოფას.

◆ კომპიუტერული სისტემების, საკომუნიკაციო ქსელისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შეფასებას, მათი მეშვეობით სავაჭრო საქმიანობის დახმარებისა და კონტროლის უნარის დადგენის მიზნით.

◆ თანამშრომლების მიერ ავტომატური საინფორმაციო სისტემებისა და ანგარიშგების პროცესების ფუნქციის სათანადოდ გაგების განსაზღვრას და სრულ დოკუმენტირებას.

◆ სტრატეგიული დაგეგმარების მიზნით მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ადეკვატურობის დადგენას.

◆ ოპერაციების შესახებ შემაჯამებელი ანგარიშების ადეკვატურობის შეფასებას.

◆ მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების რეკომენდირებას პოლიტიკის, პროცედურების, შიდა კონტროლის ან მენეჯ-

ქის საინფორმაციო სისტემების არაადეკვატურობის შემთხვევაში.

შემოწმების პროცედურები, საოპერაციო და სისტემურ რისკებთან დაკავშირებით, მოიცავს:

◆ შიდა და გარე აუდიტის აქტების მოპოვებას მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებსა ("მსს") და ანგარიშგებასთან დაკავშირებით. დასკვნებისა და მენეჯმენტის პასუხების განხილვას და იმის განსაზღვრას, იქნა თუ არა გატარებული სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიება;

◆ „მსს"-ს პოლიტიკასა და პროცედურების განხილვას;

◆ სისტემის ფუნქციონალური მახასიათებლების მიმოხილვის მოპოვებას, ამ სისტემის გადახედვას მის ადმინისტრატორთან ერთად. განსაზღვრას იმისა, გამოიყენება თუ არა „პაროლები" და არის თუ არა ავტომატური სისტემა შეზღუდული შეკვეთებული მომხმარებლებისთვის;

◆ პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელო მითითებების განხილვას მენეჯმენტის ანგარიშგების მოთხოვნებთან დაკავშირებით;

◆ განსაზღვრას იმისა, ხორციელდება თუ არა შესაბამისი აუდიტი ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერულ და არაკომპიუტერულ პროცესებზე, რათა აუზრუნველყოფილ იქნეს მონაცემთა შეფასება და მათი ერთობლიობა ფუნქციონალური გამოყენების მიზნით. ასევე, როგორ ახდენენ კონტროლის განყოფილების თანამშრომლები აქტის შინაარსის დამტკიცებას და კარგად ესმის თუ არა ამ აქტის შემდგენელს მისი შინაარსი;

◆ განსაზღვრა და შეფასება იმისა, ადეკვატურად არის თუ არა დოკუმენტირებული რისკის მართვის შესახებ მასალები (მონაცემთა ბაზა, ორგანიზაციის გარედან მონაცემთა მიწოდება, ეკონომიკასთან და ბაზართან დაკავშირებული პროგნოზები), გამოთვლითი მექანიზმებითა და მიღებული შედეგით (აქტის ფორმა, განმარტებები), ზუსტად და ყოვლისმომცველად.

◆ განსაზღვრას იმისა, იძლევა თუ არა მიღებული ანგარიშგებები (რისკის მართვის, ფინანსური მდგომარეობის და საოპერაციო კონტროლის) სრულ სურათს, რის საფუძველზეც მოხდება გაწეული საქმიანობის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმარება.

◆ რეკომენდაციის გაცემას მაკორექტირებელი ღონისძიების გატარების შესახებ, როდესაც პოლიტიკა, პროცედურები, პრაქტიკა, შიდა კონტროლი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები არაადეკვატურია.

სამართლებრივ რისკთან დაკავშირებით უნდა განისაზღვროს:

◆ ადეკვატურად არის თუ არა დადგენილი ბანკის შიდა პოლიტიკასა და პროცედურებში პოტენციური სამართლებრივი რისკები და უზრუნველყოფილია თუ არა დოკუმენტაციის, პარტნიორებისა და პროდუქტების სათანადო შესწავლა სამართლებრივი კუთხით.

◆ დაწესებულია თუ არა სათანადო მოთხოვნები დოკუმენტაციაზე და არსებობს თუ არა პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოპერაციების სწრაფ დოკუმენტირებას.

◆ ადეკვატურად განიხილავს თუ არა ორგანიზაციის შიდა პოლიტიკა და პროცედურები პარტნიორთან დაკავშირებული ოპერაციების შესწავლის აუცილებლობას.

◆ ადეკვატურად განიხილავს თუ არა ორგანიზაციის შიდა პოლიტიკა და პროცედურები ახალი პროდუქტების დამტკიცებას, მათ შორის, მოთხოვნას იურიდიული საბჭოს მიერ საკითხის სათანადოდ განხილვასთან დაკავშირებით.

◆ შემოწმების პროცედურები სამართლებრივი რისკთან დაკავშირებით მოიცავს:

◆ პოლიტიკისა და პროცედურების ასლების მოპოვებას, რომლებშიც მოცემულია ახალი პროდუქტების შესახებ სათანადო იურიდიული დასკვნები. შესაბამისად, უნდა დადგინდეს:

✓ მოითხოვს თუ არა ორგანიზაცია ახალი პროდუქტების, ასევე, არსებული პროდუქტების გადასინჯვისა და მოდიფიცირების

სამართლებრივ შეფასებას, როგორც პროდუქტის შესწავლის პროცესის შემადგენელ ნაწილს.

✓ უზრუნველყოფენ თუ არა პროცედურები განსხვავებული იურისდიქციის ტერიტორიაზე, ან პარტნიორების ახალი ჯგუფებისთვის შეთავაზებული პროდუქტების განხილვას.

◆ ახალი პარტნიორების შესწავლასთან დაკავშირებით პოლიტიკისა და პროცედურების ასლების მოსაპოვებლად. უნდა დადგინდეს:

✓ მოითხოვს თუ არა ორგანიზაცია ახალი პარტნიორების შესწავლას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პარტნიორის ადეკვატური უფლებამოსილება საგარაუდო ოპერაციაში მონაწილეობაზე.

✓ გულისხმობენ თუ არა ორგანიზაციის პროცედურები ამავე ბანკის მიერ პარტნიორისთვის რეკომენდირებული თუ ფორმირებული ნებისმიერი ოპერაციის ვარგისიანობის შეფასებას.

✓ უზრუნველყოფენ თუ არა ბანკის პროცედურები პარტნიორის უფლებამოსილების შემდგომ გადასინჯვას ახალი ოპერაციების დანერგვისას.

◆ დოკუმენტირების შესახებ პოლიტიკისა და პროცედურების ასლების მოსაპოვებლად. ყურადღება უნდა მიექცეს:

✓ დააწესა თუ არა ორგანიზაციამ მოთხოვნები საგაჭრო სფეროში ნებისმიერი ოპერაციის დოკუმენტირების შესახებ.

✓ მოითხოვს თუ არა ორგანიზაცია ხელშეკრულებების ახალი ფორმების სამართლებრივ შესწავლას.

✓ ვინ არის უფლებამოსილი დაამტკიცოს ხელშეკრულებების ახალი ფორმების გამოყენება.

✓ როგორ უზრუნველყოფს ბანკი პარტნიორებთან და ახალ პროდუქტებთან დაკავშირებული დოკუმენტების დროულ გაფორმებას.

✓ აქვს თუ არა ორგანიზაციას დოკუმენტების მართვის ადეკვატური სისტემა, რაც საშუალებას მისცემს მას თვალი ადევნოს დასრულებულ და მუშაობის პროცესში მყოფ (დაუმთავრებელ)

დოკუმენტაციას. როგორ ადევნებს ორგანიზაცია თვალს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ დოკუმენტაციას.

✓ რა ტიპის კონტროლი არსებობს ბანკში მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის, მაგალითად იურიდიული დასკვნის შესრულებასთან დაკავშირებით (დოკუმენტაცია არ ითვლება გაფორმებულად ოპერაციაში მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელი სათანადო პირების ხელმოწერამდე).

✓ რეალურად, ხდება თუ არა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის დროული შესრულება.

✓ ვინ არის უფლებამოსილი დაუშვას გამონაკლისები იმ მოთხოვნებიდან, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე არსებობს დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

✓ უზრუნველყოფენ თუ არა პროცედურები დოკუმენტაციის გადასინჯვას მათი ბანკის პოლიტიკასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

✓ ვინ განიხილავს დოკუმენტაციას.

◆ გირაოსთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების ასლების მოპოვება და გაცნობა. უნდა დადგინდეს:

✓ აქვს თუ არა ბანკს სახელმძღვანელო მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და რომელი იურისდიქციიდან უნდა იქნეს მოპოვებული გირაოს აღსრულებასთან დაკავშირებული იურიდიული დასკვნა საკრედიტო რისკის მართვის მიზნით ოპერაციის განხორციელებამდე.

✓ ვინ განიხილავს ზემოხსენებულ იურიდიულ დასკვანას.

✓ ვინ ღებულობს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როდის არის საიმედო (სანდო) გირავნობა ბანკისთვის, საკრედიტო რისკის მართვის მიზნით.

✓ ითვალისწინებენ თუ არა პროცედურები ბანკის მიერ საიმედოდ მიჩნეული იურიდიული დასკვნების პერიოდულ გადასინჯვას.

VIII თავი

კომერციული ბანკის მოგების ანალიზი

შინაარსი:

8.1. მოგებიანობის შეფასება და გაანალიზება;
8.2. კომერციული ბანკის საკომისიო შემოსავალი და მოგება სხვა ოპერაციებიდან;
8.3. კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდები;
8.4. ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლების სრულყოფის საკითხები;
8.5. მოგების საკუთარ კაპიტალზე შეფარდების დეკომპოზიციური ანალიზი – დიუპონის მოდელი;
8.6. მოგების ფინანსური ანალიზის პროცედურების შეჯამება.

ძირითადი ელემენტები:

1. შემოსავალი, ხარჯები და მოგება;
2. ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები;
3. საშუალო აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი;
4. უკუგება საშუალო კაპიტალზე;
5. საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი;
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი;
7. ბანკის სპრედი;
8. სხვა მოგება (ზარალი) და ექსტრაორდინალური მუხლები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 8.1. ბანკის მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების მიხედვით ოპერაციებისა და მომსახურებების შეჯამებული ბალანსი;

ნახაზი 8.1. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საბანკო მოგების დონეს საკუთარი კაპიტალის ერთეულზე გაანგარიშებისას.

დოკუმენტაციას. როგორ ადევნებს ორგანიზაცია თვალს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ დოკუმენტაციას.

✓ რა ტიპის კონტროლი არსებობს ბანკში მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის, მაგალითად იურიდიული დასკვნის შესრულებასთან დაკავშირებით (დოკუმენტაცია არ ითვლება გაფორმებულად ოპერაციაში მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელი სათანადო პირების ხელმოწერამდე).

✓ რეალურად, ხდება თუ არა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის დროული შესრულება.

✓ ვინ არის უფლებამოსილი დაუშვას გამონაკლისები იმ მოთხოვნებიდან, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე არსებობს დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

✓ უზრუნველყოფენ თუ არა პროცედურები დოკუმენტაციის გადასინჯვას მათი ბანკის პოლიტიკასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

✓ ვინ განიხილავს დოკუმენტაციას.

◆ გირაოსთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების ასლების მოპოვება და გაცნობა. უნდა დადგინდეს:

✓ აქვს თუ არა ბანკს სახელმძღვანელო მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და რომელი იურისდიქციიდან უნდა იქნეს მოპოვებული გირაოს აღსრულებასთან დაკავშირებული იურიდიული დასკვნა საკრედიტო რისკის მართვის მიზნით ოპერაციის განხორციელებამდე.

✓ ვინ განიხილავს ზემოხსენებულ იურიდიულ დასკვანას.

✓ ვინ ღებულობს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როდის არის საიმედო (სანდო) გირავნობა ბანკისთვის, საკრედიტო რისკის მართვის მიზნით.

✓ ითვალისწინებენ თუ არა პროცედურები ბანკის მიერ საიმედოდ მიჩნეული იურიდიული დასკვნების პერიოდულ გადასინჯვას.

VIII თავი

კომერციული ბანკის მოგების ანალიზი

შინაარსი:

8.1. მოგებიანობის შეფასება და გაანალიზება;
8.2. კომერციული ბანკის საკომისიო შემოსავალი და მოგება სხვა ოპერაციებიდან;
8.3. კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდები;
8.4. ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლების სრულყოფის საკითხები;
8.5. მოგების საკუთარ კაპიტალზე შეფარდების დეკომპოზიციური ანალიზი – დიუპონის მოდელი;
8.6. მოგების ფინანსური ანალიზის პროცედურების შეჯამება.

ძირითადი ელემენტები:

1. შემოსავალი, ხარჯები და მოგება;
2. ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები;
3. საშუალო აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი;
4. უკუგება საშუალო კაპიტალზე;
5. საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი;
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი;
7. ბანკის სპრედი;
8. სხვა მოგება (ზარალი) და ექსტრაორდინალური მუხლები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 8.1. ბანკის მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების მიხედვით ოპერაციებისა და მომსახურებების შეჯამებული ცხრილი;

ნახაზი 8.1. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საბანკო მოგების დონეს საკუთარი კაპიტალის ერთეულზე გაანგარიშებისას.

8.1. მოგებიანობის შეფასება და გაანალიზება

ბანკის მოგება და კაპიტალი ერთმანეთს აძლიერებენ. კაპიტალის მტკიცე პოზიცია ბანკის მოგებიანობას აძლიერებს ორი გზით. პირველი, კაპიტალი ბანკისათვის წარმოადგენს უპროცენტო ფულადი სახსრების წყაროს, თუ ბანკი გაზრდის თავის კაპიტალს ახალი აქციების გამოშვებით და მიღებულ შემოსავლებს გამოიყენებს ვალდებულებების დასაფარად, მისი საპროცენტო ხარჯები შემცირდება. მეორე, კრედიტორებს ურჩევნიათ დააფინანსონ კარგად კაპიტალიზებული ბანკები სუსტად კაპიტალიზებულ ბანკებთან შედარებით. შედეგად, უკეთესად კაპიტალიზირებული ბანკები იხდიან უფრო დაბალ საპროცენტო განაკვეთს თავიანთ ნასესხებ სახსრებზე და ამით საპროცენტო ხარჯებს ამცირებენ. კარგად კაპიტალიზებულ ბანკებს, ასევე, შეუძლიათ ნაკლები ოდენობის ლიკვიდური აქტივებით ფუნქციონირება, რადგან მათ ადვილად შეუძლიათ ნასესხები სახსრების მოზიდვა საჭიროების შემთხვევაში. მათ შეუძლიათ განათავსონ უფრო მეტი ინვესტიციები მაღალი საპროცენტო განაკვეთის მომტან აქტივებში და გაზარდონ საპროცენტო შემოსავალი.

თავის მხრივ, სტაბილური მოგება აძლიერებს ბანკის კაპიტალის პოზიციას. მოგებიან ბანკს შეუძლია თავისი წმინდა მოგება გამოიყენოს კაპიტალის გაზრდისთვის ან წმინდა მოგების ნაწილი გამოიყენოს აქციონერებზე დივიდენდების გასაცემად. ასეთ შემთხვევაში, აქციონერებს აქვთ მეტი შესაძლებლობა, მიიღონ უფრო დიდი უკუგება, ვიდრე მსგავსი სახის ინვესტიციებიდან და დაინტერესებული არიან დამატებითი აქციების შეძენით.

მოგების ცნება ყველასთვის გასაგებია, იგი შემოსავლისა და ხარჯების სხვაობის ტოლია. შემოსავალი, ხარჯები და მოგება განისაზღვრება დროის გარკვეული პერიოდისათვის.

შემოსავალი არის ბანკის აქტივების ზრდის ერთ-ერთი წყარო, რასაც თან არ ახლავს ბანკის მთლიანი ვალდებულებების მატება. მაგალითად, ბანკი იღებს საპროცენტო შემოსავალს სესხებიდან, რაც ზრდის მის ფულად სახსრებს. შემოსავლის განმარტებიდან

გამომდინარე, ადვილი შესამჩნევია, რომ სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის იზრდება, როცა ხდება შემოსავლის მიღება. რამდენადაც კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, კაპიტალი იზრდება, როდესაც ხდება შემოსავლის მიღება.

ხარჯი წარმოადგენს ბანკის აქტივების შემცირების ერთ-ერთ მიზეზს, რასაც თან არ ახლავს ბანკის მთლიანი ვალდებულებების კლება. მაგალითად, ბანკმა ხელფასი უნდა გადაუხადოს თანამშრომლებს, რაც ამცირებს მის ფულად სახსრებს. ხარჯები, ასევე, წარმოადგენს ბანკის მთლიანი ვალდებულებების ზრდის მიზეზსაც, რასაც არ მოყვება ბანკის აქტივების მატება. მაგალითად, ბანკმა შეიძლება გაზარდოს კლიენტის დეპოზიტი მისთვის პროცენტის გადახდის შემთხვევაში. სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის მცირდება, როდესაც ადგილი აქვს ხარჯების გაწევას; ამგვარად, ხარჯები ამცირებენ კაპიტალს.

მოგების, შემოსავლის და ხარჯების ზემოთმოყვანილი განმარტებები ეკონომიკური ცნებებია. არსებობს ამ სამი ტერმინის ბუღალტრული ცნებებიც, რომლებიც ეკონომიკურის მსგავსია. თუმცა, არსებობს არსებითი სხვაობაც. მაგალითად, ეკონომიკური თვალსაზრისით, კაპიტალი იზრდება მაშინვე, როდესაც შემოსავლის მიღება ხდება. საანგარიშვო პერიოდში შემოსავლის და ხარჯების მუხლების გატარება განუწყვეტლივ ხდება, მაგრამ კაპიტალის ჯამური ცვლილება აღირიცხება მხოლოდ პერიოდის ბოლოს, როდესაც დავთრები იხურება.

ზოგჯერ, კაპიტალი იზრდება ან მცირდება, მაგრამ აღრიცხვის პოლიტიკა არ უშვებს, რომ კაპიტალის ცვლილების მიზეზი აღირიცხოს როგორც შემოსავალი ან ხარჯი ბანკის მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ შემთხვევებს არარეგულარული ხასიათი აქვთ და ძირითადი ბიზნესის (საქმიანობის) შემადგენელ ნაწილს შეიძლება არ წარმოადგენდნენ. ბუღალტრებმა გადაწყვიტეს, რომ შესაძლოა მცდარი იყოს ასეთი მუხლების შეტანა მოგება-ზარალის უწყისში. საბანკო სფეროში აღნიშნულის თვალსაჩინო მაგა-

ლითი გადაფასების რეზერვია. ბანკის შენობების და აღჭურვილობის საბაზრო ფასის ზრდა შესაძლოა საბალანსო უწყისში აღირიცხოს, როგორც აქტივების და კაპიტალის ზრდა, თუმცა, ზრდის ოდენობას, ჩვეულებრივ, მთლიან შემოსავალში არ თვლიან.

გარკვეულ შემთხვევებში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) უშვებს, რომ შემოსავალი აღირიცხოს მის ფაქტიურ მიღებამდე და მოითხოვს ხარჯების აღრიცხვას, უშუალოდ, მათ გაწევამდე. აღრიცხვის ამ სახეობას დარიცხვა ეწოდება. ეკონომიკური თვალსაზრისით, შემოსავლის მიღება და ხარჯების გაწევა განუწყვეტლივ ხდება. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ფაქტობრივი მიღება და გადახდა დროის გარკვეული შუალედებით ხდება. ამ შუალედების განსაზღვრა ხდება მხარეთა მიერ ოპერაციების განხორციელებისას, მაგრამ მათ რეალური ეკონომიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. დარიცხვა, მიუხედავად გადახდის გრაფიკებისა, არის შემოსავლების და ხარჯების განუწყვეტელი ხასიათის აღიარების მეთოდი.

დარიცხვის ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითებს საბანკო სფეროში საპროცენტო ხასიათის შემოსავლები და ხარჯები წარმოადგენენ. დავუშვათ საფინანსო ორგანიზაცია იღებს 200 ლარის საპროცენტო შემოსავალს კომერციული სესხიდან 30 ივნისს და 31 დეკემბერს, მაგრამ ფინანსურ დოკუმენტებს ამზადებს ყოველი კვარტლის ბოლოს. ლოგიკური იქნებოდა 100 ლარის ოდენობის საპროცენტო შემოსავლის გატარება ყოველ კვარტალურად. 31 მარტს ორგანიზაციას შეუძლია 100 ლარი გაატაროს საპროცენტო შემოსავლის სახით, მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხის მიღება ჯერ არ მომხდარა. რამდენადაც ფაქტიურად არ მომხდარა აღნიშნული თანხის მიღება, 100 ლარი გატარდება საბალანსო უწყისში, როგორც დარიცხული მისაღები პროცენტი. 200 ლარის მიღება მოხდება 30 ივნისს. ამ დროისათვის, ორგანიზაციას გატარებული ექნება კვარტალური საპროცენტო შემოსავალი 100 ლარის ოდენობით, 200 ლარი

ისევე როგორც წასულად სახსრების ზრდა საბალანსო უწყისში და დარიცხული მისაღები პროცენტის კლება 100 ლარის ოდენობით.

არასწორი იქნებოდა 200 ლარის ოდენობის საპროცენტო შემოსავლის გატარება იმ კვარტლების ბოლოს, რომლებიც მთავრდება 30 ივნისს და 31 დეკემბერს და სხვა კვარტლებში არაფრის გატარება. ამგვარად რომ მომხდარიყო საპროცენტო შემოსავლის გატარება, მაშინ ის კვარტლები, რომლებიც მთავრდება ივნისის და დეკემბრის ბოლოს, უფრო მოგებიანი გამოჩნდებოდა იმ კვარტლებთან შედარებით, რომლებიც მთავრდება მარტის და სექტემბრის ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის საერთო მოგებიანობა უცვლელია კვარტლიდან კვარტლამდე. საპროცენტო შემოსავლის და ხარჯების დარიცხვა იძლევა ორგანიზაციის ძირითადი მოგებიანობის შესახებ გაცილებით უფრო ჭეშმარიტ სურათს, ვიდრე მათი გატარება უშუალოდ შემოსავლის მიღების დროს. თუმცა, საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა წარმოშობს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორია ორგანიზაციის მიერ ამ შემოსავლის მიღების ალბათობა. ორგანიზაციამ არ უნდა მოახდინოს პროცენტის დარიცხვა, როცა არ არსებობს მსესხებლის მიერ პროცენტის გადახდის შესაძლებლობა.

დარიცხვის საწინააღმდეგოა მომავალი პერიოდის შემოსავლების და ხარჯების ცნება. ამ შემთხვევაში, შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მას შემდეგ, რაც შემოსავალი მიღებულია და ხარჯები გაწეული. ხარჯებს, რომელთა აღრიცხვა გადადებულია, ზოგჯერ უწოდებენ წინასწარ გადახდილ ხარჯებს. მიზანი იგივეა, რაც დარიცხვის შემთხვევაში. დავუშვათ, რომ ბანკმა საოფისე ფართის წლიური ქირა წინასწარ უნდა გადაიხადოს. პირველ იანვარს ის იხდის 400 ლარს. რამდენადაც ბანკი შენობას წლის განმავლობაში იყენებს, ლოგიკური იქნება 100 ლარის ოდენობით საოფისე ხარჯების გატარება კვარტალურად. არამართებული იქნებოდა 400 ლარის ხარჯის სახით გატარება კვარტლის ბოლოს, 31 მარტს, რადგან მაშინ ბანკის მოგებიანობა ამ კვარტალში უფრო დაბალი იქნებოდა სხვა კვარტლებთან შედარებით.

ბანკებმა არ უნდა მოახდინონ იმ შემოსავლის დარიცხვა, რომლის მიღების შესაძლებლობაც არ არსებობს. მაგრამ ყოველთვის არსებობს ცდუნება, რომ გავზარდოთ მიმდინარე მოგება. ასევე, ბანკებმა ხარჯების გატარება შორეული მომავლისთვის არ უნდა გადადონ. ეს, ასევე, ზრდის მიმდინარე მოგებას. ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ მომსახურება რომლისთვისაც წინასწარ არის გაწეული ხარჯი, შეიძლება უსარგებლო გახდეს მომავალში. მომავალი პერიოდის შემოსავლის და ხარჯების ბოროტად გამოყენების ჩვეულებრივი მაგალითია საორგანიზაციო ხარჯები. ბანკისთვის ახალი ტიპის საქმიანობის წამოწყება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამის გამო ბანკმა შეიძლება გაახანგრძლივოს ხარჯების აღიარება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მაგალითად 10 ან 15 წლის განმავლობაში. შესაძლოა, ახალი საქმიანობა წარმატებული არ იყოს. მიმდინარე მოგების და კაპიტალის ოდენობის ზემდეტი რაოდენობით აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად, ხარჯების აღიარება დროის უფრო მოკლე შუალედებით უნდა ხდებოდეს.

საშუალო აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის შეფარდებას აქტივების საშუალო ღირებულებასთან. ამიტომ ის წარმოადგენს სხვადასხვა აქტივის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთს. ანალოგიური ცნებაა საპროცენტო ხასიათის **ვალდებულებების კოეფიციენტი,** რომელიც წარმოადგენს ვალდებულებებზე გადახდილი საპროცენტო ხარჯის შეფარდებას ვალდებულებების საშუალო ღირებულებასთან. ის გამოიყენება საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის შესაფასებლად, რომელსაც ბანკი იხდის ვალდებულებებზე.

რადგან ბანკები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სიდიდით, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები იშვიათად ანალიზდება თანხობრივი ოდენობით. საჭირო ხდება საერთო საზომი ერთეულის არსებობა. ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, კოეფიციენტის გამოსაყვანად მოგებისა და ხარჯების მუხლებს ყოფენ

საშუალო მთლიან აქტივებზე. თუ საანგარიშგებო პერიოდი ერთ წელზე ნაკლებია, წლიური მნიშვნელობის მისაღებად კოეფიციენტები მრავლდება სათანადო რიცხვზე. მაგალითად, კვარტალური კოეფიციენტები მრავლდება ოთხზე, ხოლო კოეფიციენტის გამოსაყვანად ნახევარი წლისთვის მრავლდება ორზე. შემდეგში აღნიშნული კოეფიციენტები გამოიყენება ბანკების ერთმანეთთან შესადარებლად.

სხვა იურიდიული ფირმების მსგავსად, ბანკებიც განიცდიან იმ ცვლილებების ზემოქმედებას, რომელთაც შეიძლება იქონიონ დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოგებაზე მხოლოდ ერთი კონკრეტული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, რაიმე ოპერაციული საკითხის მოსაგვარებლად ბანკმა მიაღწია შეთანხმებას მოწინააღმდეგე მხარესთან, რომელიც მისგან მოითხოვს მნიშვნელოვანი ოდენობის თანხის გადახდას. ეს უარყოფით გავლენას იქონიებდა ბანკის მოგებაზე ამ მოცემული პერიოდისათვის, მაგრამ მისი განმეორების ალბათობა არ არსებობს. მეორე მაგალითის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ სამედამხედველო პრძანების პასუხად ბანკმა შეიძლება აღრიცხოს უჩვეულოდ დიდი მოცულობის დარეზერვების ხარჯები ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში სესხებიდან მიღებული ფაქტიური ზარალი. ბანკის მოგებიანობის შეფასების დამყარება მხოლოდ ამ ცუდი პერიოდის მონაცემებზე არაზუსტი იქნებოდა. სანაცვლოდ, ზედამხედველებმა უნდა განიხილონ ბანკის მთლიანი მოგება უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, მაგალითად ოთხი-ხუთი კვარტლისთვის საბოლოო დასკვნის გამოტანამდე.

კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ზედამხედველებმა უნდა მიიღონ მოგების შეფასებისას, არის შემდეგი – დაეყრდნონ წარსულ შედეგებს, თუ ყურადღება მიაქციონ მოგების პროგნოზს ახლო მომავლისათვის. მისი გამოთვლა, ასევე, შესაძლებელია მნიშვნელში საპროცენტო ხასიათის შემოსავლიანი აქტივების ჩასმით; თუმცა, UBPR-ში წარმოდგენილი ინფორმაციის უმეტესობა საშუალო აქტივებს ემყარება. ჩვეულებრივ, პროგნოზებს ნაკლები

ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ისინი ემყარება დაშვებებს, რომლებიც შეიძლება ზედმეტად ოპტიმისტური იყოს და არ გამართლდეს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა შესაძლოა ჩაითვალოს, რომ მომავალი უკეთესი იქნება წარსულთან შედარებით. მაგალითად, დავუშვათ რომ ბანკმა განიცადა სერიოზული ზარალი ბოლო ორი წლის განმავლობაში სამშენებლო სესხებიდან, რომლებიც აღარ ირიცხება საბალანსო უწყისში. აღარ ირიცხება იმიტომ, რომ შესაძლოა ბანკმა მიჰყიდა უმოქმედო სესხები მეორე ბანკს ან მთლიანად ჩამოწერა. მომავალში, ბანკს აღარ შეაწუხებს ამ სესხებიდან მიღებული ზარალი და შეიძლება მოგებიანიც გახდეს. მოგებიანობის შესახებ დასკვნის გამოტანისას, შემმოწმებლის მხრიდან მართებული იქნება ბანკის მენეჯმენტის გაკრიტიკება სამშენებლო სესხებიდან მიღებული ზარალის გამო, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მომავალში მოგებიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს. ბანკი არ უნდა შეფასდეს ისევე მკაცრად, როგორც სხვა ბანკი, რომელსაც გადაუჭრელი პრობლემები აქვს.

ყოველთვის ძნელია ბანკის მოგებიანობის ადეკვატურობის შეფასებლად სტანდარტების განსაზღვრა. მოგების მნიშვნელობა, როგორც უკვე აღინიშნა, კაპიტალის შენარჩუნება და გამყარებაა. არსებობის პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში ბანკი შეიძლება მოგებიანი არ იყოს. ბაზრის შესწავლას, სესხის მოგებიანად გაცემას და დაფინანსების იაფი წყაროების გამონახვას დრო სჭირდება. ამიტომაცაა, რომ ბანკმა საქმიანობა უფრო მეტი ოდენობის კაპიტალით უნდა დაიწყოს, ვიდრე ეს უკვე ფუნქციონირებად ბანკს სჭირდება. განვითარების საწყისი სტადიიდან გამოსვლისას ბანკის მოგებიანობა უნდა გაიზარდოს. გამუდმებული დანაკარგები, რა თქმა უნდა, არასასურველია, რადგან ისინი ფიტავენ კაპიტალს და აუცილებელს ხდიან ახალი კაპიტალის ინიექციას. მოგების ოდენობა, რომელიც არ არის საკმარისი კაპიტალის ერთ დონეზე შესანარჩუნებლად, ასევე, არადამაკმაყოფილებელია, რადგან აქციონერები ვერ იღებენ ადეკვატურ უკუგებას ინვესტიციებზე. განვითარებადი საბაზრო

ეკონომიკის პირობებში, მრავალი წელია საჭირო, სანამ აქციონერები გააცნობიერებენ სხვადასხვა სფეროში ინვესტირებასთან დაკავშირებულ შეფარდებით რისკებს და უკუგებას. შესაძლებელია, რომ უკუგება მათ ინვესტიციებზე, რაც აქციონერების მიერ ადეკვატურად შეიძლება განიხილებოდეს, შეიცვალოს დროთა განმავლობაში. ზოგადად, მოგების დონე შეიძლება ადეკვატურად ჩაითვალოს, თუ ის ბანკს საშუალებას აძლევს შესაბამისობაში იყოს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან და თანდათანობით გაზარდოს კაპიტალი. ერთი და იგივე მოცულობის მოგების მქონე ბანკებს შორის უფრო დადებითად უნდა შეფასდეს ის ბანკი, რომელშიც შეინიშნება ზრდის ტენდენცია, ვიდრე ბანკი რომელშიც შეინიშნება კლების ტენდენცია. ბანკის მოგებიანობა არ უნდა იყოს დამოკიდებული შემოსავლის ცვალებად წყაროებზე, როგორიცაა მოგება სესხების ან უძრავი ქონების გაყიდვიდან. პირიქით, ბანკის მოგებიანობა უნდა შეფასდეს მათ გარეშე.

კაპიტალი ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ხანგრძლივი დროის განმავლობაში კაპიტალის მტკიცე პოზიციის შენარჩუნება შეუძლებელია ადეკვატური მოგებიანობის გარეშე. რაც უფრო მოგებიანია ბანკი, მით უფრო გაზრდის იგი კაპიტალს ყოველწლიურად და მით უფრო მეტ შემოსავალს მიიღებენ აქციონერები. თავის მხრივ, აქციონერები დაინტერესებული იქნებიან მოახდინონ ბანკში დამატებითი კაპიტალის ინვესტირება და ბანკს ექნება ზრდის შესაძლებლობა. დანაკარგებს, მეორე მხრივ, შეუძლიათ ბანკის კაპიტალის სწრაფი გამოფიტვა და შემცირება. თუ აქციონერები ვერ დაინახავენ მოგების დონის აღდგენის შესაძლებლობას, მათ სურვილი არ ექნებათ მოახდინონ დამატებითი კაპიტალის ინვესტირება და ბანკი გაკოტრდება. ამგვარად, დოკუმენტალური ზედამხედველობის ანალიჩიკოსის მიერ ბანკის მოგების დონის განუწყვეტლივ მონიტორინგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დოკუმენტალური ზედამხედველობის ანალიტიკოსისათვის მოგებიანობის ანალიზი, აქტივების ხარისხისაგან განსხვავებით, შედარებით იოლი განსა-

ხორციელებელია. მიუხედავად ამისა, პერიოდულად ადგილზე შემოწმება მნიშვნელოვანია, რადგან ადგილზე შემოწმების შედეგად ინსპექტორებმა უნდა განსაზღვრონ გამოვლენილი პრობლემების შესაძლო გავლენა მოგებიანობაზე და მიუთითონ ამის შესახებ შემოწმების აქტში. შემოწმების პროცესში მოგების სიდიდე, ხშირ შემთხვევებში, განიცდის კორექტირებას, ვინაიდან ბანკის ფუნქციონირების თითქმის ყველა ასპექტი გავლენას ახდენს მოგებაზე და გათვალისწინებულ უნდა იქნას. ასევე, შემოსავლისა და ხარჯების აღიარების ბუღალტრული წესები საკმაოდ რთულია, ზოგჯერ ეს წესები ზოგადია და ადგილს ტოვებს მსჯელობისა და განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის. ზოგჯერ, ბანკები შეიძლება სწორად არ იცავდნენ წესებს. შედეგად, მოგება ერთი გარკვეული პერიოდისათვის შეიძლება გაცილებით ზედმეტი ან ნაკლები რაოდენობით იყოს წარმოდგენილი. ანალიტიკოსმა ყურადღება უნდა გაამახვილოს შემოსავლების და ხარჯების იმ მუხლებზე, რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო აღიარების თვალსაზრისით. ასევე, ბუღალტრული გადაწყვეტილებების მიუხედავად, მან უნდა გაითვალისწინოს ოპერაციების ეკონომიკური არსი. ქვემოთ მოცემულია სამი ძირითადი კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გასცეს ანალიტიკოსმა ბანკის მოგების გაანალიზებისას: 1. როგორია ბანკის მოგების დონე, საკმარისია თუ არა იგი ბანკის კაპიტალის ზრდისათვის. 2. როგორია მოგების ცვლილების ტენდენცია, იზრდება იგი თუ მცირდება, არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგება გაიზრდება თუ შემცირდება მომავალი წლის განმავლობაში. 3. რამდენად სტაბილურია მოგება, დარჩება თუ არა იგი შედარებით მუდმივ დონეზე, თუ გაიზრდება ან შემცირდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, დარჩება თუ არა იგი მუდმივ დონეზე სავალუტო კურსის ზრდის ან შემცირების პირობებში.

ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფულადი სახსრების მოზიდვა და შემდგომ მათი გამოყენება სესხების გასაცემად, ინვესტიციების განსახორციელებლად ან ფასიანი ქაღალდების შესაძენად. საერთოდ, ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტი ინვესტირებული თანხებიდან მიღებულ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები უნდა იყოს. საპროცენტო შემოსავალსა და საპროცენტო ხარჯს შორის სხვაობას ეწოდება **წმინდა საპროცენტო შემოსავალი**, რომელიც ბანკისთვის წარმოადგენს ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის ძირითად წყაროს. ასევე, ბანკი კლიენტებისათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან იღებს საკომისიოს. მას, ასევე, შეუძლია ფასიანი ქაღალდების, ძვირფასი ლითონების და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა. ამ ოპერაციების წარმატებით განხორციელების საშუალებით ბანკი მიიღებს წმინდა მოგებას ფინანსური ოპერაციებიდან. რამდენადაც ბანკს მრავალფეროვანი ფინანსური ოპერაციების შესასრულებლად სჭირდება პერსონალი, შენობები და მოწყობილობა, მას მოუწევს ადმინისტრაციული ხარჯების გაწევა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკის მსახებლებმა შეიძლება არ დაფარონ ვალი. ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება თუ არა ამ ხარჯების წინასწარ აღიარება ფაქტიური ზარალის მიღებამდე, თუ შემდეგ, ეს სასესხო დანაკარგები ბანკის მოგებიანობაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ბანკის მოგებიანობისათვის, წმინდა პროცენტულ შემოსავალს დამატებული საკომისიო შემოსავლები და მოგება ფინანსური ოპერაციებიდან, გამოკლებული ადმინისტრაციული ხარჯები, საკმარისი უნდა იყოს სასესხო დანაკარგების დასაფარად. შეიძლება არსებობდეს შემოსავლის და ხარჯების სხვა წყაროებიც, მაგალითად როგორიცაა, გადასახადები, მაგრამ ჩამოთვლილი ყველაზე მნიშვნელოვანია.

ბანკებმა გარკვეული კომპონენტების ნაკლებად შესრულება შეიძლება გააწონასწორონ სხვა მაჩვენებლების მაღალ დონეზე შესრულებით. მაგალითად, ბანკი, რომელსაც სხვა ბანკებთან შედარებით დაბალი საპროცენტო შემოსავალი აქვს, შეიძლება მაინც მოგებიანი იყოს, თუ მას დაბალი ადმინისტრაციული ხარჯები ექნება. ან, ბანკმა მაღალი სასესხო დანაკარგები შეიძლება

დააბალანსოს მაღალი წმინდა საპროცენტო შემოსავლით, მაგრამ არცერთ ბანკს არ შეუძლია სრულად აარიდოს თავი ამ ძირითადი უთანასწორობის გავლენას.

ბანკს თავისი ფუნქციონირებით შეუძლია გავლენა იქონიოს ჩამოთვლილ კომპონენტებზე, მაგრამ მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯების სრული კონტროლია შესაძლებელი. ბანკის მიერ მიღებული წმინდა საპროცენტო შემოსავალი, საკომისიო შემოსავალი ან ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული მოგება კლიენტების მოთხოვნით შეზღუდულია ასეთ პროდუქტებსა და მომსახურებაზე. ამგვარად, ბანკი, რომელიც განიცდის მაღალ სასესხო დანაკარგებს ვერ შეძლებს მომენტალურად და ავტომატურად მიიღოს დიდი შემოსავალი დანაკარგების დასაფარად. ერთადერთი არჩევანია, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. მოგებიანობის ძირითადი კომპონენტებია:

წმინდა საპროცენტო შემოსავალი, რომელიც მარტივად შემდეგი ტოლობით გამოისახება.

წმინდა საპროცენტო შემოსავალი = მთლიანი საპროცენტო შემოსავალი – მთლიანი საპროცენტო ხარჯი,

ანუ წმინდა საპროცენტო შემოსავალი = (საპროცენტო ხასიათის აქტივებზე მიღებული უკუგების კოეფიციენტი) × (საპროცენტო ხასიათის აქტივების თანხაზე) მინუს (საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი) × (საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების თანხაზე).

არსებობს ორი პირობა, რომელიც განსაზღვრავს საპროცენტო შემოსავალის ოდენობას:

- საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი;
- საპროცენტო ხასიათის აქტივების რაოდენობა შეიძლება იყოს მაღალი საპროცენტო ხასიათის ვალდებულებებთან შედარებით. თუ ბანკი აკმაყოფილებს პირობას, მაშინ მას მეტად ხელსაყრელი პოზიცია აქვს.

საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტის და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტის სხვაობას წმინდა ეწოდება. საპროცენტო ხასიათის აქტივების და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების სხვაობას წმინდა საპროცენტო მარჟა ეწოდება. თითოეული ამ ცნებათაგანი მნიშვნელოვანია ცალკე ანალიზს მოითხოვს.

სპრედი ფორმალურად წარმოადგენს უბრალო სხვაობას საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტსა და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორების რაოდენობა, რომლებიც გავლენას ახდენენ სპრედზე ძალზე მრავალია და კონკრეტული ბანკის სპრედის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, ყოვლისმომცველი, დეტალური ანალიზის ჩატარება მაინც აუცილებელია. შეიძლება ითქვას, რომ ბანკის მთელი საქმიანობის შედეგი ვლინდება საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტის და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტის ანალიზით. საბედნიეროდ, ორივე კომპონენტის ანალიზის მეთოდი ერთი და იგივეა.

საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი სამი ფაქტორის მოქმედების შედეგია, მათ შორის: აქტივების სტრუქტურა, ცალკეული ტიპის აქტივზე უკუგების კოეფიციენტი და აქტივების შემადგენლობა ვადიანობის მიხედვით. ზოგიერთი ტიპის საპროცენტო ხასიათის აქტივები, როგორიცაა მაგალითად, კომერციული სესხები, უფრო რისკიანია, ვიდრე სამთავრობო ფასიანი ქაღალდები. რა თქმა უნდა, რაც უფრო მაღალ-რისკიანია აქტივი, მით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი გააჩნია. ბანკი, რომელიც უფრო მეტ კომერციულ სესხს შეიცავს და ნაკლებ სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, ვიდრე სხვა ბანკი, ექნება უფრო მაღალი საპროცენტო ხასიათის აქტივების უკუგების კოეფიციენტი. ბანკისთვის ცდუნებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტის გაზრდა მაღალრისკიან აქტივებში ან ფასიან ქაღალდებში

ინვესტირებული აქტივების წილის ზრდით. ეს სტრატეგია გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმატებული იქნება, მაგრამ ბანკმა შეიძლება გაცილებით დიდი ზარალი განიცადოს მომავალში. თუ შედარებით უფრო რისკიანი აქტივების რაოდენობა მაღალია ან მათი წილი მთლიან აქტივებში იზრდება, ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტი და დააკვირდეს პრობლემების განვითარებას აქტივების ხარისხთან დაკავშირებით.

საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტის ანალიზის შემდეგ საფეხურს წარმოადგენს მთლიან პორტფელში ცალკეული ტიპის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტების განხილვა. მაგალითად, ერთ ბანკს შეიძლება ჰქონდეს აქტივების იგივე პროცენტული რაოდენობა ინვესტირებული რისკის მქონე კომერციულ სესხებში, როგორც მეორე ბანკს, მაგრამ დაწესებული ჰქონდეს უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი ამ სესხებზე. პირველ ბანკს ექნება საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების უფრო დაბალი კოეფიციენტი, რაც მოგებიანობას შეამცირებს. ამასთან, უფრო დაბალი განაკვეთის დაწესებამ იმავე ტიპის სესხზე, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ბანკი სრულად არ ახდენს ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკის კომპენსაციას. ინსპექტორმა უნდა სცადოს მიზეზის გამოკვლევა, თუ რატომ არის დაწესებული ასე დაბალი საპროცენტო განაკვეთი.

დაბოლოს, საპროცენტო განაკვეთები, ჩვეულებრივ, განსხვავდება ერთი და იმავე ტიპის აქტივებისათვის ვადიანობიდან გამომდინარე. უმეტეს შემთხვევებში, გრძელვადიანი განაკვეთები უფრო მაღალია, ვიდრე მოკლევადიანი. ასეთ შემთხვევაში, ერთმა ბანკმა შეიძლება მიიღოს უფრო მაღალი უკუგება საპროცენტო ხასიათის აქტივებიდან, ვიდრე მეორემ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ბანკს ერთი და იგივე განაკვეთი აქვს დაწესებული იგივე ოდენობის მსგავსი ტიპის სესხებზე ან ფასიან ქაღალდებზე, იმიტომ რომ მისი ვადიანობა უფრო დიდია.

შემმოწმებელმა უნდა განიხილოს სამივე ჩამოთვლილი ფაქტორი იმის გარკვევისას, თუ რატომ არის ბანკის საპროცენტო

ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი უფრო მაღალი ან დაბალი მსგავსი ბანკების ჯგუფთან შედარებით დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის. იგივე ფაქტორები გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ იზრდება ან კლებულობს საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი უფრო სწრაფად, ვიდრე მსგავსი ბანკების ჯგუფის შემთხვევაში. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების შემცირების პერიოდში ყველა ბანკის უკუგების კოეფიციენტი საპროცენტო ხასიათის აქტივებზე კლებულობს. მაშინ, როცა საპროცენტო განაკვეთები მცირდება, ბანკმა შეიძლება გაზარდოს რისკიანი სესხების რაოდენობა, ან სესხებისა და ფასიანი ქაღალდებისთვის გაახანგრძლივოს ვადიანობა. საპროცენტო ხასიათის აქტივებზე მისი უკუგების კოეფიციენტი უფრო ნელა შეცვირდება, ვიდრე სხვა ბანკების შემთხვევები.

აღნიშნული სამი მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული ბანკის საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტის ანალიზის პროცესშიც. აქ, ძირითადი საკითხი, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, რა თქმა უნდა, არის ის, თუ რაოდენ მაღალია საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი. ღირს აღინიშნოს, რომ საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების მაღალი კოეფიციენტის არსებობა უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების დაბალი კოეფიციენტი. თუ ბანკი იხდის უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს იგივე ტიპის ნასესხებ სახსრებზე, ვიდრე სხვა ბანკები, ეს ნიშნავს, რომ მას სიძნელეები აქვს სახსრების მოზიდვის თვალსაზრისით, ხოლო კრედიტორი შესაძლოა ფიქრობს, რომ ბანკის ფინანსური მდგომარეობა სუსტია. ეს, ასევე, შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბანკი უფრო სწრაფად იზრდება სხვა ბანკებთან შედარებით და უნდა გადაიხადოს უფრო მაღალი განაკვეთი სახსრების სწრაფად მოსაზიდად. სწრაფი ზრდა აუცილებელი არ არის უარყოფითი ნიშანი იყოს, თუ ბანკი სიფრთხილეს იჩენს და სესხის გაცემის სრულყოფილ შესაძლებლობებს იყენებს. თუმცა, სწრაფად მზარდი ბანკი შეიძლება შეცდომებს უშვებდეს ახალი მსესხებლების

შერჩევის თვალსაზრისით. მიზეზის მიუხედავად, ანალიტიკოსმა უნდა სცადოს იმის გარკვევა, თუ რატომ იხდის ბანკი უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს სხვა ბანკებთან შედარებით.

ბანკს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების მაღალი კოეფიციენტი იმიტომ, რომ მან შეიძინა მისი მთლიანი სახსრების დიდი პროცენტული ნაწილი მაღალი საპროცენტო განაკვეთის მქონე წყაროებიდან. მაგალითად, სახსრების მიღება სხვა ბანკების ან არასაბანკო ფინანსური კომპანიებისგან შეიძლება უფრო ძვირი იყოს, ვიდრე დეპოზიტების მოზიდვა მოსახლეობისაგან. თუ ბანკი არ იყენებს ნაკლებ ხარჯიან რესურსებს იმავე დონეზე, როგორც მსგავსი ბანკები, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ბანკის მენეჯმენტი სათანადო დონეზე არ მუშაობს, რათა გააკონტროლოს საპროცენტო ხარჯები, ან შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბანკს ხელი არ მიუწვდება ამ იაფ სახსრებზე. ორივე შემთხვევა არასახარბიელოა ბანკისთვის, რაც ამართლებს გაძლიერებულ საზედამხედველო ყურადღებას მის მიმართ.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ბანკს ხშირად შეუძლია საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტის გაზრდა გრძელვადიანი სესხების ან ინვესტიციების საშუალებით. ამის მსგავსად, მას შეუძლია შეამციროს საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი მოკლევადიანი სახსრების მოზიდვით. ბანკს შეუძლია მიიღოს ხელსაყრელი სპრედი, მაგალითად, ერთობიანი ვადიანობის მქონე სახსრების მოზიდვით და ინვესტირებით ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ცხრათვიან ობლიგაციებში. თუმცა, შემდეგ ბანკს ემუქრება რისკი, რომ ერთთვიანი განაკვეთები გაიზრდება და გააგრძელებს მნიშვნელოვან ზრდას. ყოველთვიურად, ბანკის ხარჯები ნასესხებ სახსრებათან დაკავშირებით გაიზრდება, მაშინ როცა, უკუგება ობლიგაციებზე უცვლელი დარჩება ვადიანობის დადგომამდე ცხრა თვის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, ბანკის სპრედი დროის განმავლობაში შემცირდება და შეიძლება უარყოფითიც გახდეს. სპრედის საბაზრო

საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკი ეწოდება.

ბანკებმა შეიძლება აირჩიონ საპროცენტო განაკვეთის რისკის ქონა ორი მიზეზის გამო. პირველი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გრძელვადიანი განაკვეთები შეიძლება უფრო მაღალი იყოს ღღევანდელ მოკლევადიან განაკვეთებთან შედარებით. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ხელსაყრელი სპრედის მიღება მაშინვე. მეორე, ბანკმა შეიძლება მოახდინოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების პროგნოზირება და შექმნას ხელსაყრელი სპრედის მიღების პოზიცია მომავალში. ბანკს შეუძლია ეს განახორციელოს მაშინაც კი, თუ გრძელვადიანი განაკვეთები დღეს მოკლევადიანი განაკვეთების ტოლია.

მაგალითად, ბანკს შეიძლება ჰქონდეს საპროცენტო განაკვეთების ზრდის მოლოდინი. თუ ბანკს სურს მოგების მიღება მოსალოდნელი ზრდისგან, იგი განახორციელებს მოკლევადიან სესხებს ან ინვესტიციებს და მოიზიდავს გრძელვადიან სახსრებს. შემდეგ, თუ საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება, საპროცენტო ხასიათის აქტივებზე მისი უკუგების კოეფიციენტი დროთა განმავლობაში გაიზრდება. თუ საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი დაეცემა მოკლევადიანი სესხების ვადის დადგომისას და მისი საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი უცვლელი დარჩება. ბანკის სპრედი შემცირდება და შეიძლება უარყოფითი გახდეს.

ბანკს შეუძლია აიცილოს საპროცენტო განაკვეთის რისკი მისი აქტივების და ვალდებულებების საშუალო ვადიანობის სრული შეხამებით. თუმცა, ნორმალურია, რომ ბანკს ჰქონდეს მცირე ოდენობის საპროცენტო განაკვეთის რისკი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკის ერთერთი ფუნქციაა ისეთი რისკების მართვა, რომლის თავიდან აცილებასაც სხვები ცდილობენ. თუ ბანკი მაღალი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე დგას, ანალიტიკოსს უნდა ახსოვდეს, რომ ხელსაყრელი სპრედი შეიძლება

გაქრეს ან, თუ სპრედი უკვე სუსტია, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს მდგომარეობა.

წინამდებარე მიმოხილვის გასამარტივებლად, დაშვებულ იქნა, რომ ყველა აქტივსა და ვალდებულებას ჰქონოდა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შედარება, რათა განისაზღვროს, დგას თუ არა ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო განაკვეთები აქტივებზე და ვალებულებებზე ყოველთვის არ არის ფიქსირებული. მაგალითად, ექვსთვიანი ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს თვეში ერთხელ საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ცვლილების საფუძველზე. განაკვეთების ასეთ ცვლილებას გადაფასება ეწოდება. ბანკი არ დადგებოდა რისკის წინაშე, თუ ამ ობლიგაციას შეიძენდა ყოველთვიური ვადიანობის მქონე სახსრებით. უფრო ზოგადად, აქტივებისა და ვალდებულებების გადამწყვეტი შედარებისათვის უნდა განისაზღვროს დრო, რომელიც დარჩენილია გადაფასებამდე ან ვადის დადგომამდე (რომელიც უფრო მალე მოხდება).

თუ მონაცემები ხელმისაწვდომია, ანალიტიკოსს შეუძლია განსაზღვროს საპროცენტო რისკი ცხრილის საშუალებით. ეს ცხრილი, რომელსაც ვადიანობის პროფილი ეწოდება, განიხილავს ფინანსური აქტივის და ვალდებულების თითოეულ ძირითად ტიპს და ანაწილებს მთლიან თანხას კატეგორიების მიხედვით. ეს კატეგორიები წარმოადგენენ სპეციფიკური აქტივების და ვალდებულებების ვადის დადგომამდე დარჩენილ დროს. კატეგორიების ერთი შესაძლო ნაკრები იქნება: ნულიდან ერთ თვემდე, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ექვს თვემდე, ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ერთი წელზე ზევით. ცხრილმა, ასევე, ცალკე შეიძლება აჩვენოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების და ვალდებულებების რაოდენობა. ანალიტიკოსმა შეიძლება დაუშვას, რომ ამ აქტივების და ვალდებულებების ხელახალი გადაფასება ორ თვეში მოხდება. ამ ცხრილის გამოყენებით, ანალიტიკოსს შეუძლია გამოთვალოს აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა, რომლის გადაფასება გარკვეული დროის პერიოდში მოხდება. ამ სხვაობას GAP-ი ეწოდება. თუ ის დადებითია, მაშინ ვალდებულებებთან შედარებით უფრო მეტი აქტივების გადაფასება მოხდება ამ პერიოდში. ასეთ შემთხვევაში, ბანკს შეიძლება ზიანი მიადგეს საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, რადგან საპროცენტო ხასიათის აქტივებზე შეკუმშვის კოეფიციენტი უფრო სწრაფად შემცირდება, ვიდრე საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი.

ბევრი მიზეზის გამო, ბანკებს აქტივები და ვალდებულებები შეიძლება გამოსახული ჰქონდეთ სხვადასხვა ვალუტაში. ზოგჯერ, ბანკმა შეიძლება მიიღოს ხელსაყრელი სპრედი სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვებით იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც საპროცენტო განაკვეთები დაბალია და ამ ნასესხები სახსრებიდან მიღებული სახსრები გამოიყენოს ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან სესხების გასაცემად იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც საპროცენტო განაკვეთები მაღალია. რისკი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ ის ვალუტა რომელშიც დენომინირებულია აქტივები შეიძლება გაუფასურდეს მეორე ვალუტის მიმართ. ამ რისკს სავალუტო რისკი ეწოდება.

სავალუტო რისკის მარტივი მაგალითის სახით წარმოვიდგინოთ, რომ ბანკის გარკვეული ვადიანობის აქტივები დენომინირებულია აშშ დოლარებში და იგივე ვადიანობის მქონე ვალდებულებები დენომინირებულია მხოლოდ ლარებში. თუ დოლარის ღირებულება ლარის მიმართ მცირდება, მაშინ ბანკის მიერ აშშ დოლარში მიღებული საპროცენტო შემოსავალი გადაცვლის შედეგად შეისყიდის ლარის უფრო ნაკლებ რაოდენობას. ბანკის მიერ ლარებში გადახდილი საპროცენტო ხარჯი არ შეიცვლება. შესაბამისად, ბანკის სპრედი შემცირდება. (ასევე, აღსანიშნავია, დოლარის ღირებულების გაუფასურების ეფექტი აქტივების და ვალდებულებების ძირითადი თანხის ღირებულებაზე, რომელიც განხილულია მოგების ანალიზის სხვა განყოფილებაში).

რისკი არ იარსებებდა, თუ ბანკის მთელი ვალდებულებები აქტივებთან ერთად წარმოდგენილი იქნებოდა აშშ დოლარებში. ასეთ შემთხვევაში, დოლარის გაუფასურება შეამცირებდა საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებს დაახლოებით იგივე ოდენობით და ბანკის სპრედი დაახლოებით უცვლელი დარჩებოდა.

სავალუტო რისკი ყოველთვის არსებობს, როცა გარკვეულ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობას შორის არსებობს სხვაობა. ამ სხვაობას უწოდებენ მოცემულ ვალუტაში ღია სავალუტო პოზიციას. არსებობს კიდევ ერთი გარემოება, როდესაც სავალუტო რისკი მაინც არსებობს მაშინაც კი, თუ მოცემულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ტოლია. ამ დროს, აქტივების და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. სრული ახსნა იმისა, თუ რატომ ხდება ეს ასე, რთულია მაგრამ მოვლენათა ჯაჭვი შემდეგნაირია: დავუშვათ, რომ აშშ დოლარებში დენომინირებული აქტივები უფრო გრძელვადიანია, ვიდრე იგივე ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები. თუ დოლარი უფასურდება, ბანკის საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების უკუგების კოეფიციენტი შემცირდება, დასაწყისისთვის უცვლელი სპრედის შენარჩუნებით. ვალდებულებების ვადის დადგომისას მათი რეფინანსირება უნდა მოხდეს, საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების უკუგების კოეფიციენტი საწყის დონეს დაუბრუნდება და სპრედს შეამცირებს.

თუ მონაცემები ხელმისაწვდომია, ანალიტიკოსს შეუძლია განსაზღვროს სავალუტო რისკი ცხრილის გამოყენებით, რომელიც გვიჩვენებს ღია პოზიციას სხვადასხვა ვალუტაში. თუ მოცემულ ვალუტაში უფრო მეტი აქტივები და ვალდებულებები იქნებოდა დენომინირებული, ბანკის სპრედი შემცირდებოდა ამ ვალუტის ღირებულების შემცირებასთან ერთად. ინსპექტორმა უნდა განსაზღვროს ის ვალუტები, რომლებშიც ბანკს აქვს სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის და გაარკვიოს, ვალუტის როგორი

ცვლილება (ღირებულების ზრდა თუ გაუფასურება) მოუტანს ზიანს ბანკს. შემმოწმებელმა, ასევე, უნდა აღნიშნოს, მნიშვნელოვანია რისკი თუ არა. ბანკის **წმინდა ღია პოზიცია** (სხვაობა მთლიან ღია გრძელ პოზიციასა და მთლიან ღია მოკლე პოზიციას შორის) არ უნდა აღემატებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ ლიმიტს.

ბანკის სპრედი ორი გადამწყვეტი ფაქტორიდან ერთ–ერთია, რომელიც განსაზღვრავს წმინდა საპროცენტო შემოსავალს. ანალიტიკოსმა ბანკის სპრედი უნდა შეადაროს მსგავსი ბანკების სპრედს და უნდა იცოდეს, თუ როგორ იცვლებოდა ეს უკანასკნელი დროში. შემდეგ, ანალიტიკოსმა საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი უნდა შეუდაროს მსგავსი ბანკების ჯგუფს და გაარკვიოს, რით არის გამოწვეული განსხვავება მსგავსი ბანკების ჯგუფის საშუალო მაჩვენებლისგან. დაბოლოს, ანალიტიკოსს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკების შესახებ, რასაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია სპრედზე, თუ საპროცენტო განაკვეთები ან სავალუტო კურსი იცვლება.

თუ ბანკის საპროცენტო ხასიათის ვალდებულებები გაცილებით მაღალია, ვიდრე მისი საპროცენტო ხასიათის აქტივები, მაშინ ძალზე ძნელი იქნება ადეკვატური წმინდა საპროცენტო შემოსავლის მიღება. ასეთ შემთხვევაში, ბანკის სპრედი უარყოფითი წმინდა საპროცენტო პოზიციის გაწონასწორებისათვის უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე მსგავსი ბანკების ჯგუფისა.

წმინდა საპროცენტო პოზიცია, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიხატება როგორც მთლიანი აქტივების პროცენტი, შეიძლება იყოს სუსტი ან უარყოფითი რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, ბანკს შეიძლება ჰქონდეს ისეთი სესხების უჩვეულოდ დიდი რაოდენობა, რომლებზეც მსესხებლებს პროცენტი დიდი ხნის განმავლობაში არ გადაუხდიათ. მეორე, ბანკს შეიძლება ჰქონდეს უჩვეულოდ დიდი ინვესტიციები, მიწაში, შენობებში, მოწყობილობებში და სხვა ძირითად საშუალებებში. დაბოლოს, თუ ბანკს აქვს მცირე

კაპიტალი, მისი მთლიანი დაფინანსების უფრო დიდი პროცენტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების სახით. ანალიტიკოსმა უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად უარესია ბანკის წმიდა საპროცენტო პოზიცია მსგავსი ბანკების ჯგუფთან შედარებით და გაარკვიოს აღნიშნულის მიზეზები.

ბანკის ადგილზე შემოწმების ინსპექტორმა უნდა განიხილოს და შეისწავლოს ვადაგადაცილებულ სესხებზე ბანკის მიერ განხორციელებული დარიცხვის პოლიტიკა ადგილზე შემოწმების პროცესში და მოპოვებული ინფორმაცია გააცნოს დოკუმენტალური ზედამხედველობის ანალიტიკოსს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და სებ-ის დებულებები დაცული უნდა იქნას. ამ წესების თანახმად, შეიძლება კვლავ დასაშვები იყოს პროცენტის დარიცხვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გადახდა არ ხდება სესხებზე, რომლებიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე ნაკლები დროით; თუმცა, პროცენტის დარიცხვა არ უნდა მოხდეს სესხებზე, რომლებიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ხნით. შემოსავლის აღიარება მოხდება პროცენტების რეალურად დაფარვის მომენტში. ბანკმა შეიძლება აირჩიოს ან იძულებული გახდეს დაამტკიცოს უფრო კონსერვატიული პოლიტიკა. სესხებს, რომლებზეც პროცენტის დარიცხვა აღარ ხდება უწოდებენ დარიცხვაშეწყვეტილ სესხებს და ისინი აღარ შედიან საპროცენტო ხასიათის აქტივების შემადგენლობაში. დარიცხვაშეწყვეტილი სესხების დიდი მოცულობა ბანკის სუსტი წმინდა საპროცენტო პოზიციის ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

ბანკის მოგების შემოწმებისას, ინსპექტორმა, ასევე, უნდა გაარკვიოს, თუ რამდენად კარგად ხდება საშემოსავლო ნაკადების დივერსიფიკაცია. იდეალურ შემთხვევაში, ბანკს უნდა გააჩნდეს კლიენტთა ფართო ქსელი, რომელიც წარმოადგენს ინდუსტრიათა ფართო სპექტრს, რათა ეკონომიკაში ცვლილებების შემთხვევაში, არ მოხდეს საშემოსავლო ნაკადების შეწყვეტა. ამასთანავე, ბანკი უნდა შეეცადოს, აიცილოს თავიდან კრედიტების კონცენტრაცია ერთ გეოგრაფიულ რეგიონში.

თუ ბანკის კრედიტების გაცემის პრაქტიკა ფოკუსირებულია ადგილობრივი სამშენებლო სექტორში კლიენტთა მცირე რაოდენობაზე, ეკონომიკაში ცვლილებების შემთხვევაში, ბანკის მოგებამ შესაძლოა განიცადოს მნიშვნელოვანი ცვლილებები. როდესაც ინსპექტორი შენიშნავს ბანკს შემოსავლების ასეთი კონცენტრაციის, მან უნდა ურჩიოს ბანკს, რომ ამ უკანასკნელმა, რამდენადაც შესაძლებელია, მოახდინოს კლიენტების და შემოსავლების დივერსიფიკაცია.

დივერსიფიკაციის პრინციპი არ შემოიფარგლება ბანკის მოგებით ასევე შესაძლოა, ასევე, გამოყენებულ იქნეს ბანკის ხარჯებთან მიმართებაში. თუ ბანკი ზედმეტად არის დამოკიდებული დეპოზიტორების მცირე რაოდენობაზე ან მხოლოდ ერთი ან ორი ტიპის დეპოზიტზე, ბანკმა შეიძლება განიცადოს დაფინანსების შეწყვეტა, რისაც, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს პრობლემები ბანკის მოგებასთან დაკავშირებით. როდესაც მოხდება ბანკის დაფინანსების კონცენტრაციების დადგენა, ინსპექტორმა ბანკს უნდა გაუწიოს რეკომენდაცია, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს დაფინანსების მაქსიმალური დივერსიფიკაცია.

დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, ბანკი აღიარებს აქტივიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს გამომუშავების პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია შემოსავალი ჯერ მიღებული არ იყოს. ამ შემთხვევაში, მოგება-ზარალის უწყისში ბანკი ახდენს საპროცენტო შემოსავლის დაკრედიტებას და საბალანსო უწყისში დარიცხული პროცენტის დადებეტებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლის აღრიცხვის სწორ გზას, პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, როცა ბანკი ახდენს ისეთი სესხების დიდი მოცულობით გაცემას, რომელთა ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის გადახდაც უნდა მოხდეს ერთად, ვადის დადგომისას და აღრიცხავს დარიცხული პროცენტის დიდ რაოდენობას, მაგრამ შემოსავალი, ფაქტიურად, მიღებული არ არის. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ბანკმა პერიოდულად

უნდა შეამოწმოს შესაბამისი აქტივების ცვეთა. თუ დადგინდება, რომ აქტივის ხარისხი გაუარესდა, ბანკმა ამ აქტივისთვის უნდა შექმნას შესაბამისი რეზერვი. ამასთან, ბანკმა, ასევე, უნდა შეამციროს დარიცხული მისაღები პროცენტის რაოდენობა იმავე პროპორციით. თუ კრედიტის ხარისხის პრობლემები დაკავშირებულია აქტივებთან, მაშინ შეიძლება ბანკმა ზედმეტი რაოდენობით წარმოადგინა მოგება და, შესაბამისად, მისი წილი კაპიტალში.

ფინანსურ დოკუმენტებში მიღებული საპროცენტო შემოსავლის ზუსტი ასახვის უზრუნველსაყოფად ინსპექტორი უნდა შეხვდეს აქტივების ხარისხის განხილვაზე მომუშავე ჯგუფს და მოიპოვოს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივების ჩამონათვალი. თუ აქტივი დარიცხული პროცენტით ნეგატიურადაა კლასიფიცირებული, მაშინ ბანკმა დარიცხული საპროცენტო შემოსავლის ანგარიში უნდა შეამციროს შესაბამისი თანხით. მაგალითად, ბანკს აქვს 1 000 ლარის ოდენობის სესხი 100 ლარის ოდენობის დარიცხული საპროცენტო შემოსავლით და კლასიფიცირებულია არასტანდარტულად. სესხის ღირებულების 30%-ის ოდენობით რეზერვის შექმნის გარდა, ბანკმა დარიცხული მისაღები პროცენტის შემცირება უნდა განიხილოს 30%-ით, ანუ, ამ შემთხვევაში, 30 ლარით.

8.2. კომერციული ბანკის საკომისიო შემოსავალი და მოგება სხვა ოპერაციებიდან

ძირითადი საბანკო საქმიანობის გარდა, რაც მდგომარეობს დეპოზიტებზე და ნასესხებ სახსრებზე პროცენტის გადახდაში და სესხებიდან და ინვესტიციებიდან შემოსავლების მიღებაში, ბანკები კლიენტებს შეიძლება სთავაზობდნენ სხვადასხვა ტიპის მომსახურებას. ეს მომსახურებებია: ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, აკრედიტივები, გადარიცხვები. საზოგადოებას ბანკები სთავაზობენ საკრედიტო ბარათებით მომსახურებას, გადარიცხვებს, სეიფებს და სხვა, საიდანაც მიღებული საკომისიოები ბანკის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. ბანკებს საკომისიოს მიღება, ასევე, შეუძ-

ლიათ სადეპოზიტო ანგარიშებიდან, ყოველთვის, როცა კლიენტს შემოაქვს დეპოზიტი ან გააქვს თანხა. რიგ შემთხვევებში საკომისიო შემოსავალი შეიძლება საკმაოდ მაღალიც იყოს, რათა ბანკმა გაანეიტრალოს კლიენტისთვის დეპოზიტზე გადახდილი პროცენტული ხარჯი.

ანალიტიკოსმა ბანკის საკომისიო შემოსავალი, როგორც მთლიანი აქტივების პროცენტული ნაწილი, უნდა შეუდაროს მსგავსი ბანკების ჯგუფის მაჩვენებელს. მან, ასევე, უნდა განსაზღვროს, რამდენად სტაბილური და პროგნოზირებადია საკომისიო შემოსავალი. იმისათვის, რომ მოხდეს საკომისიო შემოსავლების წყაროების საიმედოობის დადგენა, ინსპექტორმა უნდა შეისწავლოს საკომისიო შემოსავლებთან დაკავშირებული საქმიანობა და დაადგინოს, თუ რამდენად გამართლებულია ბანკის პროგნოზი, რომ მომავალში დაეყრდნოს აღნიშნულ საქმიანობას. მაგალითად, საკომისიო შემოსავლები შემნახველი სადეპოზიტო სეიფებიდან, გადარიცხვებიდან, სესხებისა და დეპოზიტების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება გარვიხილოთ, როგორც შემოსავლის სტაბილური წყაროები, რადგან ისინი უკავშირდებიან ბანკის ძირითად საქმიანობას და საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლით, არ განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებას. აღნიშნულის მიუხედავად, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან ან სხვა სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული საკომისიოები არ ექვემდებარებიან ბანკის კონტროლს და პერიოდიდან პერიოდამდე შესაძლოა განიცდიდნენ მნიშვნელოვან ცვლილებებს. მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტით ვაჭრობა მრავალი კომერციული ბანკისათვის მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს, ინსპექტორი კრიტიკულად უნდა მოეკიდოს ბანკს, სადაც უცხოური ვალუტით ვაჭრობა ან სხვა ცვალებადი საკომისიოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბანკის წმინდა მოგების ფორმირებაში.

კიდევ ერთი პოტენციურად ცვალებადი საკომისიო შემოსავლების წყაროა სამთავრობო ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი, მაგალითად, როგორიცაა საპენსიო უზრუნველყოფის

პროგრამა ან ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება. ასეთი სახის ხელშეკრულებები ბანკებისათვის, შესაძლოა, ძალიან შემოსავლიანი იყოს, მაგრამ პოლიტიკური გარემოს ცვლილების შემთხვევაში, ბანკმა შესაძლოა აღმოაჩინოს, რომ დაკარგა პრივილეგირებული პოზიცია და ხელშეკრულებები. ამგვარად, ინსპექტორი კრიტიკულად უნდა მოეკიდოს ბანკს, სადაც სამთავრობო ხელშეკრულებებს ბანკის წმინდა მოგების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და გაუწიოს ბანკს რეკომენდაცია, რათა ამ უკანასკნელმა, უმოკლეს ვადებში, მოახდინოს არასაპროცენტო შემოსავლების წყაროების მაქსიმალური დივერსიფიკაცია.

თუ საპროცენტო შემოსავალი სტაბილურად მაღალია, დაბალი და არასტაბილური საკომისიო შემოსავალი აუცილებლად საგანგაშო არ არის. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბანკი არ არის ორიენტირებული და დაინტერესებული ასეთი მომსახურების გაწევით. დროთა განმავლობაში, ბანკებს შორის კონკურენციის ზრდის პირობებში, ფოკუსირება მოხდება კლიენტების მომსახურებაზე და საკომისიო შემოსავლების მნიშვნელობა შეიძლება გაიზარდოს.

ფულადი სახსრების მოზიდვის, სესხების გაცემის და ინვესტირების პროცესში, ბანკები ახდენენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის აკუმულირებას ისეთი ეკონომიკური პირობების შესახებ, როგორიცაა აქციების ფასი, სავალუტო კურსი და ძვირფასი ლითონების ფასი. ბანკები იყენებენ ამ ინფორმაციას იმ ბაზარზე შესაღწევად, სადაც აქტივების ყიდვა-გაყიდვა წარმოებს. ბანკები შეიძლება ვაჭრობდნენ ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით და ძვირფასი ლითონებით და თან ცდილობდნენ მოგების მიღებას ერთდროულად, სხვადასხვა ადგილას არსებული ფასთა სხვაობიდან. ამ პროცესს ეწოდება არბიტრაჟი. ან მათ შეიძლება შეისყიდონ აქტივები და დაიტოვონ დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაში იმ იმედით, რომ მოგებას მიიღებენ მათი ღირებულების მოკლევადიანი ზრდიდან. ამ პროცესს ეწოდება სპეკულაცია. ასევე, ბანკებმა შეიძლება იყიდონ ცალკეული აქტივი, თუ მათ სჯერათ, რომ მათი ღირებულების ცვლილება დააბალანსებს

მათი გრძელვადიანი ინვესტიციების ღირებულების ცვალებადობას. ამ პროცესს ეწოდება ჰეჯირება. მოგება ფინანსური ოპერაციებიდან არის ყველა ჩამოთვლილი საქმიანობიდან მიღებული მოგების ჯამი.

ფინანსური ბაზრები ცვალებადია და ის ბანკებიც კი, რომელთაც გააჩნიათ აქტივებით ვაჭრობის დიდი გამოცდილება, ხანდახან განიცდიან ზარალს. საუკეთესო შემთხვევებშიც კი, ასეთი საქმიანობიდან მიღებული მოგება მნიშვნელოვნად იცვლება. ანალიტიკოსი უნდა დააკვირდეს ასეთი შემოსავლების დონეს და სტაბილურობას მსგავს ბანკებთან შედარებით. თუ მოგება ცვალებადია, ანალიტიკოსმა უნდა განიხილოს ბოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში საშუალო მოგება, რათა განსაზღვროს სავაჭრო საქმიანობის წილი ბანკის მოგებიანობაში. თუ ბანკი განუწყვეტლივ კარგავს ფულს თავისი საქმიანობის შედეგად, ანალიტიკოსის რეკომენდაცია უნდა იყოს სავაჭრო განყოფილების ადგილზე შემოწმება.

ნებისმიერი სხვა ბიზნესის მსგავსად, ბანკებს მომსახურების გაწევის პროცესში გააჩნიათ სხვადასხვა ხარჯი. ადმინისტრაციული ხარჯებია: ხელფასები, თანამშრომელთა დახმარებები, პენსიები და სხვა ხარჯები კვალიფიციური პერსონალის შესანარჩუნებლად. ადმინისტრაციული ხარჯები შეიცავს იურიდიული, ბუღალტრული, მარკეტინგული და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის გადახდილ საკომისიოებს. ასევე, ისეთ მოწყობილობებზე გადახდილ ხარჯებს, როგორიცაა კომპიუტერები და ავტომობილები.

ადმინისტრაციული ხარჯები ბანკების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება. ბანკები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზომისა და საქმიანობის მიხედვით, მაგრამ ერთი ზომის ორი ბანკიც კი, რომლებიც იმავე საქმიანობას ეწევიან, შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდნენ ადმინისტრაციული ხარჯების მიხედვით. ბანკებს, რომლებიც არაეფექტურად ფუნქციონირებენ, შეუძლიათ ადვილად გაქვითონ წმინდა საპროცენტო შემოსავალი, საკომისიო შემო-

სავალი ან სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი, ან მისი უდიდესი ნაწილი. მაგრამ ყველა ბანკს, მიუხედავად იმისა, ეფექტურად ასრულებს თუ არა თავის საქმიანობას, რაღაც აქვს საერთო. მათი ადმინისტრაციული ხარჯები შემოსავლების და ხარჯების ერთადერთი მუხლია, რომლის გაკონტროლებაც ბანკს სრულად შეუძლია.

ეფექტურობის შეფასება. ბანკების ერთმანეთთან შესადარებლად შემოსავლები და ხარჯები იყოფა მთლიან აქტივებზე კოეფიციენტების მისაღებად. ბანკის მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება, ასევე, გაიყოს მთლიან აქტივებზე და მიღებული კოეფიციენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბანკის ეფექტურობის შესადარებლად მსგავსი ბანკების საშუალოსთან. ამ მეთოდის გამოყენება პირველი კარგი ნაბიჯია.

ზოგიერთი აქტივის და ვალდებულების ადმინისტრირება ბანკისთვის უფრო ხარჯიანია სხვებთან შედარებით. კომერციული სესხები, მაგალითად, მოითხოვენ დიდ სამუშაო დროს ადმინისტრირებისათვის. ბანკმა უნდა განახორციელოს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი და რეგულარულად შეამოწმოს გირაო. შესაძლოა, საჭირო გახდეს ხშირი შეხვედრები მსესხებელთან. საპირისპიროდ, ძალზე ცოტა სამუშაო დროა საჭირო ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და ფლობისათვის. კიდევ ერთი მაგალითის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დეპოზიტები, ადმინისტრირების თვალსაზრისით, უფრო ხარჯიანია, ვიდრე სხვა ნასესხები სახსრები. ბანკმა თვალყური უნდა ადევნოს მრავალ მცირე ანგარიშს და თანხის და დეპოზიტების ხშირ გატანას კლიენტების მიერ.

მოსალოდნელია, რომ ბანკებს, რომელთაც საზოგადოებისგან მიღებული აქვთ დეპოზიტები და გასცემენ კომერციულ სესხებს უნდა ჰქონდეთ უფრო მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები, ვიდრე ბანკებს, რომლებიც ამ სფეროებში არ ეწევიან აქტიურ საქმიანობას. მაგრამ აქ შეიძლება არსებობდეს გაქვითვით გამოწვეული სარგებელი. ჩვეულებრივ, ბანკს შეუძლია მიიღოს უფრო მაღალი

საპროცენტო შემოსავალი კომერციული სესხიდან, ვიდრე ფასიანი ქაღალდებიდან. საზოგადოების დეპოზიტებზე გადახდილი საპროცენტო განაკვეთი შეიძლება უფრო დაბალი იყოს, ვიდრე სხვა წყაროების ვალზე. ამ დადებითი მხარეების გამო, ხარჯების დიდი მოცულობა აუცილებლად არ მიუთითებს ბანკის არაეფექტურობაზე. ანალიტიკოსს ეს უნდა ახსოვდეს, როდესაც ხარჯების აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტს ადარებს მსგავსი ბანკების მაჩვენებელს.

ასევე, ბანკის მიერ განხორციელებული მრავალი ხარჯიანი საქმიანობა არ არის დაკავშირებული საბალანსო უწყისში აქტივების ან ვალდებულებების რაოდენობასთან. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ბანკმა შეიძლება მიიღოს საკომისიო შემოსავლის მნიშვნელოვანი ოდენობა კლიენტებისთვის მომსახურების გაწევით. ამ მომსახურეობების გაწევა გაზრდის მთლიან ადმინისტრაციულ ხარჯებს, მაგრამ არა მთლიან აქტივებს და შედეგად, გამოიწვევს ადმინისტრაციული ხარჯების მთლიან აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტის მატებას. მაღალი კოეფიციენტი აუცილებლად არ მიუთითებს არაეფექტურობაზე.

ეფექტურობის შეფასების უფრო პირდაპირი საზომი უნდა კონკრეტებდეს გარკვეულ კავშირს მიღებულ შემოსავალსა და გაწეულ ხარჯებს შორის. კერძოდ, ანალიტიკოსმა უნდა გამოთვალოს ადმინისტრაციული ხარჯების ფარდობა წმინდა საპროცენტო შემოსავლის, საკომისიო შემოსავლის და ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული მოგების ჯამთან. ამ კოეფიციენტს ეფექტურობის კოეფიციენტი ეწოდება. რაც უფრო დაბალია ეფექტურობის კოეფიციენტი, მით უფრო დაბალია შემოსავლის მოცულობის ოდენობის მისაღებად აუცილებელი ფინანსური რესურსების რაოდენობა. ბანკები, რომელთა ეფექტურობის კოეფიციენტი უახლოვდება ან აღემატება 1-ს, ხარჯავენ დიდ თანხებს მცირე შემოსავლის მისაღებად.

ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტები. თუ ბანკის მთლიანი ხარჯების კოეფიციენტები მსგავსია ჯგუფის მონაცემებისა, მაშინ არ არსებობს ხარჯების ცალკეული კომპონენტის

დაწვრილებით შესწავლის აუცილებლობა. რამდენადაც მთლიანი ხარჯების რაოდენობა მისაღებია, შემმოწმებლებმა არ უნდა დასვან შეკითხვა, თუ როგორ ხარჯავს მენეჯმენტი ფულს. მაგრამ თუ მთლიანი ხარჯები უჩვეულოდ მაღალია, მაშინ ინსპექტორმა უნდა განსაზღვროს მთლიანი ხარჯების კომპონენტები, როგორიცაა ხელფასები, ქირა ან ცვეთა ხომ არაა უჩვეულოდ მაღალი. ეს შეიძლება განხორციელდეს ხარჯების თითოეული კომპონენტის მთლიან აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტის გამოთვლით და ჯგუფის მაჩვენებლებთან შედარებით.

ნებისმიერ ბანკში ხელფასები და თანამშრომელთა დახმარებები მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯების უდიდესი კომპონენტია. თუ ხელფასის ხარჯი შედარებით მაღალია, ანალიტიკოსმა უნდა განსაზღვროს, რით არის ეს განპირობებული – თანამშრომლების დიდი რაოდენობით თუ მაღალი საშუალო ხელფასით. თანამშრომელთა რაოდენობა შეიძლება გაიყოს მთლიან აქტივებზე ან წმინდა საპროცენტო შემოსავლის, საკომისიო შემოსავლის და ფინანსური ოპრაციებიდან მიღებული მოგების ჯამზე, რათა მივიღოთ კოეფიციენტი, რომელიც შეუდარდება ჯგუფის მონაცემებს. თუ კოეფიციენტი მაღალია, მაშინ ბანკს ალბათ ზედმეტად აქვს გაზრდილი საშტატო ერთეულები. შემდეგ, ხელფასის მთლიანი ხარჯი შეიძლება გაიყოს თანამშრომლების რიცხვზე საშუალო ხელფასის გამოსაყვანად, რომელიც შეუდარდება მსგავსი ბანკების მაჩვენებლებს. თუ ბანკს ზედმეტი საშტატო ერთეულები აქვს ან საშუალო ხელფასი მაღალია, ეს საკითხი შეიძლება შესწავლილ იქნეს ადგილზე შემოწმების დროს. მენეჯმენტმა უნდა დაასაბუთოს საშტატო ერთეულების რაოდენობის ან ხელფასის დონის მართებულება, ან შეიმუშაოს მათი შემცირების გეგმა.

მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯი შეიძლება, ასევე, მაღალი იყოს ძირითად (მატერიალურ აქტივებში) საშუალებებში ზედმეტი ინვესტირებით. გადახდილი ქირის და ამორტიზაციის ხარჯის ჯამი შეიძლება გაიყოს მთლიან აქტივებზე სხვა ბანკებთან შესა-

ფერებელი კოეფიციენტის მისაღებად. ბანკის მატერიალური აქტივების მთლიან აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი შეიძლება, ასევე, შეუდარდეს მსგავს ბანკებს, თუ რომელიმე კოეფიციენტი უჩვეულოდ მაღალია, მენეჯმენტმა უნდა დაასაბუთოს ხარჯების მართებულობა.

ადმინისტრაციული ხარჯების ანალიზის დასკვნა. ანალიტიკოსმა ადმინისტრაციული ხარჯების ანალიზი უნდა დაიწყოს ბანკის საქმიანობის შესწავლით. მან უნდა იცოდეს, მონაწილეობს თუ არა ბანკი საბალანსო უწყისში ასახულ ისეთ მაღალ ხარჯიან საქმიანობაში, როგორიცაა კომერციული სესხების გაცემა ან ოპოზიტების მიღება. მან, ასევე, უნდა იცოდეს საქმინობათა ის სექტორი, რომელიც საბალანსო უწყისში არ ჩანს, მაგალითად, ოპერაციაა, კლიენტებისთვის მომსახურების გაწევა ან ფასიანი ქაღალდებით ან სხვა აქტივებით ვაჭრობა. შემდეგ, მან ბანკის ადმინისტრაციული ხარჯების მთლიან აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი უნდა შეუდაროს მსგავსი ბანკების მაჩვენებლებს. თუ ის მაღალია, მან ბანკის ეფექტურობის კოეფიციენტი უნდა შეუდაროს ჯგუფის მაჩვენებელს, რათა გაარკვიო' მაღალ ხარჯს შედეგად მაღალი მოგება მოჰყვება, თუ ეს ზედმეტად გაწეული ხარჯია. თუ ეფექტურობის კოეფიციენტი მაღალია, ანალიტიკოსმა უნდა შეისწავლოს ადმინისტრაციული ხარჯების ძირითადი კომპონენტები, რათა გამოავლინოს, თუ რომელი კომპონენტი სჭარბობს სხვებს.

წმინდა საპროცენტო შემოსავლის, საკომისიო შემოსავლის და ფინანსური ოპრაციებიდან მიღებული მოგების ჯამს მინუს ადმინისტრაციული ხარჯები იწოდება, როგორც ბანკის ძირითადი მოგება. ძირითადი მოგების კომპონენტები იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან ისინი წარმოადგენენ ნებისმიერი ბანკის ქცევაზე მნიშვნელოვანი საქმიანობის შედეგს. ამასთან, ძირითადი მოგების გარდა, შეიძლება არსებობდეს შემოსავლის და ხარჯების სხვა უმნიშვნელო, ჩვეულებრივი წყაროები. ეს შეიცავს შემოსავლების კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებიდან, შემოსავლის თანხიდან, არამატერიალური აქტივების ამორტიზა-

ციის ხარჯებს და სხვა მუხლებს. როდესაც ეს მუხლები ჩათვლილია ძირითადი მოგებიანობის გაანგარიშებაში ძირითად მოგებასთან ერთად, შედეგს ეწოდება წმინდა საოპერაციო მოგება.

როგორც თითოეული კომპონენტის შემთხვევაში, ანალიტიკოსმა უნდა შეიმუშაოს მოსაზრება ბანკის საერთო წმინდა საოპერაციო მოგების ადეკვატურობის შესახებ და შეუდაროს ჯგუფის მაჩვენებელს. ბანკისთვის სიძნელეს წარმოადგენს წმინდა საოპერაციო მოგების სწრაფი გაუმჯობესება, ამიტომ სუსტი ან უარყოფითი წმინდა საოპერაციო მოგების მქონე ბანკი პრობლემების წინაშე დგას. ეს განპირობებულია იმით, რომ მას უნდა გამოაკლდეს საკრედიტო დანაკარგები, რათა განისაზღვროს წმინდა მოგების ოდენობა, რომელიც გამოყენებული იქნება აქციონერებისთვის დივიდენდების გადასახდელად და კაპიტალის ზრდისთვის.

საკრედიტო დანაკარგებმა შეიძლება სწრაფად გაქვითოს წმინდა საოპერაციო მოგება და საფრთხე შეუქმნას ბანკის მოგებას. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა საპროცენტო შემოსავლის ანალიზი რთულია, სასესხო დანაკარგების ანალიზი კიდევ უფრო რთული პროცესია. ეს გამოწვეულია იმით, რომ წმინდა საპროცენტო შემოსავლის კომპონენტები, ჩვეულებრივ, საკმაოდ სტაბილური და პროგნოზირებადია, მაშინ როცა სასესხო დანაკარგები მეტად ცვალებადია და ხშირად მოულოდნელიც. ამიტომ ინსპექტორისთვის სირთულეს წარმოადგენს გამოიტანოს დასკვნა, იქნება თუ არა წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკმარისზე მეტი, უახლოეს მომავალში სასესხო დანაკარგების დასაფარად.

სასესხო დანაკარგების თემა გვიჩვენებს მოგების ფინანსურ ანალიზსა და აქტივების ხარისხის ფინანსურ ანალიზს შორის ურთიერთკავშირს. აქტივების ხარისხის ანალიზისას, ანალიტიკოსმა უნდა აღწეროს უმოქმედო აქტივების დონე, ცვლილების ტენდენცია და შედგენილობა. ამ მონაცემების საფუძველზე, ანალიტიკოსმა უნდა სცადოს სასესხო დანაკარგების ზრდის, შემცირების ან უცვლელობის პროგნოზირება და გამოიყენოს იგი მოგების ანალიზის დროს.

აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესაქმნელად გაწეული ხარჯები და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი წარმოადგენენ მენეჯმენტის მიერ საკრედიტო პორტფელში, სხვა გარებალანსურ ვალდებულებებში (გარანტიები, აკრედიტივები, და ა.შ) არსებული პოტენციური დანაკარგების შეფასებას. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი განისაზღვრება როგორც საბალანსო უწყისში სესხების კატეგორიის მიმართ აქტივების კონტრანგარიში, მაშინ როცა სესხების შესაძლო დანაკარგების შესაქმნელად გაწეული ხარჯები განეკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში ბანკის ხარჯებს.

აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი იქმნება კლასიფიცირებული სესხების ძირითადი თანხისთვის, სხვა აქტივებისთვის, ინვესტიციებისთვის და გარებალანსური ვალდებულებების (გარანტიების, აკრედიტივების და ა.შ) ჩათვლით. აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის თანხა დამოკიდებულია აქტივის კლასიფიკაციაზე, რომლისთვისაც ის არის შექმნილი (სტანდარტული – 2%, საყურადღებო – 10%, არასტანდარტული – 30%, საეჭვო – 50%, უიმედო – 100%).

აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესაქმნელად გაწეული ხარჯები არის ხარჯი, რომლის თანხა ამცირებს ბანკის მოგებას.

თუ ბანკი ახდენს უზრუნველყოფის დასაკუთრებას, რათა სესხი დაიფაროს სრულად ან ნაწილობრივ, უზრუნველყოფა, როგორც აქტივი, განიხილება ნარჩენი გასაყიდი ღირებულებით. ნარჩენი გასაყიდი ღირებულება არის უზრუნველყოფის ფასს მინუს აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. ეს ღირებულება უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნის საფუძველზე.

თუ უზრუნველყოფის ნარჩენი გასაყიდი ღირებულება ნაკლებია სესხის წმინდა ღირებულებაზე (ისტორიულ ღირებულებას + დარიცხული მისაღები პროცენტები – სესხის ჩამოწერილი ნაწილი – დარეზერვების ხარჯები), სხვაობა განიხილება, როგორც ხარჯი

(დარეზერვების ხარჯების ანგარიშის საშუალებით). თუ ნარჩენი გასაყიდი ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე სესხის ღირებულება, მაშინ უზრუნველყოფა განიხილება სესხის ღირებულებით.

თუ სესხი არის უიმედო, მისი ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილება ბანკის სათანადოდ უფლებამოსილმა მენეჯმენტმა უნდა მიიღოს. როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია, ძირითადი ვალი ჩამოწერილ უნდა იქნეს საბალანსო უწყისიდან და გადატანილ იქნეს ბალანსგარეშე ანგარიშზე, ამასთან, არანაკლებ, ხუთი წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს მცდელობა მის დასაბრუნებლად. სესხების ჩამოწერა უნდა მოხდეს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშიდან. ყველა კანონიერი შესაძლებლობა უნდა იქნეს გამოყენებული სესხის დასაბრუნებლად. აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშიდან ადრე ჩამოწერილი სესხები უნდა აღდგეს იმავე ოდენობით, იმავე ანგარიშზე.

ანალიტიკოსმა ბანკის მთლიანი ჩამოწერილი სესხების საშუალო მთლიან სესხებთან ფარდობის კოეფიციენტი უნდა შეუდაროს ჯგუფის საშუალოს. მან, ასევე, მთლიანი ჩამოწერილი სესხები უნდა შეუდაროს წმინდა საოპერაციო შემოსავალს. ამ შედარების მიზანია დასკვნის ფორმირება ბანკის მომავალი შესაძლებლობის შესახებ. ამის გამო, ანალიტიკოსმა წმინდა საოპერაციო შემოსავალი უნდა შეუდაროს არამარტო სასესხო დანაკარგების მიმდინარე დონეს, არამედ სასესხო დანაკარგების სამომავლო პროგნოზს, რაც აქტივების ხარისხის ანალიზიდან შეიძლება იქნეს მიღებული.

მოგების ძირითადი მოდელი აჯამებს შემოსავლებისა და ხარჯების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც განუყოფელია ბანკის საქმიანობისგან. კიდევ არსებობს მოგება-ზარალის უწყისის ორი მუხლი, რომელთა გაანალიზებაც უნდა მოხდეს: მოგების გადასახადი და გაუთვალისწინებელი შემოსავლები – ხარჯები. ეს მუხლები ერთად რომ განვიხილოთ, თითქმის ყოველთვის ან უმნიშვნელოა, ან მათი წმინდა მნიშვნელობა უარყოფითია. ამის გამო, წმინდა საპროცენტო შემოსავალი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს სასესხო დანაკარგების რაოდენობას, რათა მოგება საკმარისი იქნეს კაპიტალის ზრდისა და აქციონერებისთვის დივიდენდების გასაცემად. შემოსავლის სხვა წყაროები, უბრალოდ, არ არსებობს.

სხვა მოგება (ზარალი) და ექსტრაორდინალური მუხლები. ეს კატეგორია განკუთვნილია შემოსავლების და ხარჯების იმ მუხლებისთვის, რომლებიც ძალზე იშვიათად ხდება. ბანკებისთვის ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა ტიპის აქტივები, როგორიცაა: სესხების, უძრავი ქონების და შვილობილი კომპანიების გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი. მაგალითად, ბანკებმა შეიძლება გაყიდონ უძრავი ქონება, რაც მათ მიიღეს მსესხებლებისგან, რომელთაც არ დაფარეს სესხი, ან მათ შეიძლება გაყიდონ უძრავი ქონება, რომელიც ადრე გამოიყენებოდა საბანკო მიზნებისათვის, მაგრამ აღარ გამოიყენება. ასეთ ოპერაციებს თუ აქვს ადგილი, ძალზე იშვიათად.

მაღალი ინფლაციის პირობებში, ბანკებმა შეიძლება აღრიცხონ მნიშვნელოვანი მოგება ან ზარალი თავიანთ წმინდა პოზიციაში. თუ ბანკს აქვს ღია პოზიცია უცხოურ ვალუტაში, ამ ვალუტის ღირებულების ცვლილებამ შეიძლება, ასევე, გამოიწვიოს მოგება ან ზარალი, გარდა იმისა, რომ გავლენას მოახდენს წმინდა საპროცენტო შემოსავალზე. მაგალითად, თუ ბანკს აქვს აშშ დოლარებში დენომინირებულ ვალდებულებებზე მეტი აქტივები, დოლარის ღირებულების კლება შეამცირებს ლარში შეფასებული აქტივების ძირითად თანხას უფრო მეტად, ვიდრე ვალდებულებების მთლიან ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში, ბანკი აღრიცხავს ზარალს მის წმინდა სავალუტო პოზიციაში.

არსებობს შემოსავლებისა და ხარჯების სხვა მუხლებიც, რომლებიც იმდენად იშვიათად გვხვდება, რომ მათ **ექსტრაორდინარულ, გაუთვალისწინებელ მუხლებს** უწოდებენ. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, რომელიმე ოპერაციის ან მოვლენის საწარმოს ჩვეულებრივი

სამეურნეო საქმიანობისგან აშკარა განსხვავება განისაზღვრება მოცემული მოვლენის ან ოპერაციის შინაარსის შედარებით საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან და არა ამგვარი მოვლენების მოხდენის შესაძლო სიხშირით. ამდენად, სხვადასხვა საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის განსხვავებული ხასიათიდან გამომდინარე, ერთი საწარმოსათვის განსაკუთრებული მოვლენა ან ოპერაცია, შესაძლოა სხვა საწარმოსთვის არ იყოს განსაკუთრებული. კერძოდ, მიწისძვრის შედეგად მიღებული ზარალი ბევრი საწარმოსთვის განსაკუთრებული საბალანსო მუხლია. მაგრამ სადაზღვევო კომპანიისთვის, რომელიც მიწისძვრის შემდეგ სადაზღვევო პოლისის მფლობელებს უხდის გარკვეულ კომპენსაციას, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მუხლს.

საწარმოთა უმრავლესობისათვის განსაკუთრებული მუხლების არსებობის განმაპირობებელი მოვლენებისა და ოპერაციების მაგალითებია:

- აქტივების ექსპროპრიაცია;
- მიწისძვრა ან სხვა სტიქიური უბედურება.

გაუთვალისწინებელი მოგება ან ზარალი შეიძლება წარმოიშვას ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეცვლისას ან იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა წინა პერიოდების აღრიცხვაში. აღნიშნული მოგებისა და ზარალის ბუღალტრული აღრიცხვა განსხვავდება და წარმოებს გარემოებებიდან გამომდინარე. ინსპექტორმა უნდა მიმართოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს" და არსებულ კანონმდებლობას, სადაც მოცემულია განსაკუთრებული მუხლების აღრიცხვის პრინციპები. ამასთანავე, ინსპექტორმა უნდა დააღგინოს, თუ რაოდენ სწორად განახორციელა ბანკმა აღნიშნული ოპერაციების აღრიცხვა.

უმეტეს შემთხვევებში, ეს გაუთვალისწინებელი მუხლები შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი. ზოგჯერ, მათ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ მოგებაზე. ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი მუხლი და გაარკვიოს, რატომ მოხდა მისი აღრიცხვა. როდესაც ბუღალტრული აღრიცხვის წესები იცვლება და ძალაში შედის, ანალიტიკოსმა უნდა შეამოწმოს, მოხდა თუ არა შემოსავლის და ხარჯების გაუთვალისწინებელი მუხლის გატარება ცვლილების ასახვისთვის. ზოგჯერ, ბანკებმა შეიძლება შეცდომით გაატარონ გაუთვალისწინებელი მუხლები და ჩართონ როგორც ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეცვლის შედეგად მიღებული შემოსავალი, რომელიც ნაჩვენები უნდა ყოფილიყო, როგორც კაპიტალის კორექტირება. როგორც შეცდომის კიდევ ერთი წყარო, ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულების კორექტირებით გამოწვეული გადაფასების რეზერვის ზრდა, ჩვეულებრივ, ნაჩვენები უნდა იყოს როგორც კაპიტალის კორექტირება. თითქმის ყოველთვის დაუშვებელია აღნიშნული ზრდის, როგორც შემოსავლის გატარება.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახდი წარმოადგენს მოგება-ზარალის უწყისის მნიშვნელოვან კომპონენტს. უმეტეს შემთხვევებში არ არის აუცილებელი მოგების გადასახადის ხარჯის ანალიზი და მისი შედარება სხვა ბანკების მაჩვენებლებთან. ეს, ნაწილობრივ, იმით არის გამოწვეული, რომ საშემოსავლო გადასახადის ხარჯის გატარების წესები მეტად რთულია. საგადასახადო წესები შეიძლება, ასევე, რთული იყოს და იგივე ჯგუფის ბანკებზე სხვადასხვაგვარი გავლენა იქონიოს, მათი სპეციფიკური საქმინობიდან და წარსულში მიღებული მოგება-ზარალიდან გამომდინარე.

სხვა ბანკებთან შესადარებელი კოეფიციენტების მისაღებად მოგება შეიძლება გაიყოს მთლიან აქტივებზე ან მთლიან კაპიტალზე. როგორც შემოსავლებისა და ხარჯების სხვა მუხლების შემთხვევაში, ჩვეულებრივია მოგების გაყოფა მიმდინარე და წარსული პერიოდის საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე. შედეგად მიღებულ კოეფიციენტებს ეწოდება უკუგება საშუალო აქტივებზე და უკუგება საშუალო კაპიტალზე, რომლებიც ბანკების მოგებიანობის სტანდარტულ საზომად გამოიყენება.

ბანკების ერთმანეთთან შესადარებლად, უკუგება საშუალო აქტივებზე საერთო მოგებიანობის უკეთეს საზომს წარმოადგენს ვიდრე უკუგება საშუალო კაპიტალზე. მიზეზი ის არის, რომ უკუგება საშუალო კაპიტალზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ბანკის მოგებაზე, არამედ, ასევე, კაპიტალის აქტივებთან შეფარდების რაოდენობაზე. ურთიერთდამოკიდებულება საშუალო აქტივების უკუგებასა და საშუალო კაპიტალის უკუგებაზე შეიძლება გამოისახოს შემდეგი ტოლობით:

უკუგება საშუალო კაპიტალზე = წმინდა მოგება/საშუალო სააქციო კაპიტალი.

თუ ორი ბანკი იწყებს საქმიანობას მოგების, საშუალო აქტივების და საშუალო კაპიტალის იდენტური დონით და ერთი ბანკი გაანახევრებს თავის კაპიტალს, მაშინ ის ბანკი გააორმაგებს თავის უკუგებას საშუალო კაპიტალზე. არასწორი იქნებოდა დასკვნის გაკეთება, რომ ბანკს სხვა ბანკების მიმართ უკეთესი პოზიცია გააჩნია. არა მარტო მისი კაპიტალის პოზიცია შესუსტდება, არამედ უკუგება საშუალო კაპიტალზე შეიცვლება მოგების ცვალებადობასთან ერთად, წარსულთან შედარებით.

უკუგება საშუალო კაპიტალზე მოხერხებული საზომია იმისა, თუ რაოდენ მიმზიდველია ბანკი პოტენციური ინვესტორებისათვის. იმის მიუხედავად, მოგება ნაწილდება დივიდენდების სახით, თუ წარმოდგენილია გაუნაწილებელი მოგების სახით, მისი განხილვა შეიძლება როგორც აქციონერების საკუთრებისა. თუ ბანკი სთავაზობს 20%-იან უკუგებას, ვიდრე მეორე ბანკი, რომელსაც 10%-იანი უკუგების შეთავაზება შეუძლია, ინვესტორები არჩევენ პირველი ბანკის დამატებითი აქციების შეძენას. მაგრამ კიდევ მრავალი ფაქტორი არსებობს, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას, მაგალითად, როგორიცაა კაპიტალის საწყისი დონე. თუ ის ძალიან დაბალია, ინვესტორებს შეიძლება გაუჩნდეთ შიში, რომ ბანკს ექნება დიდი, მოულოდნელი ზარალი, რაც მათ ინვესტიციას მთლიანად შთანთქავს.

თუ უკუგება საშუალო კაპიტალზე არსებითად აღემატება ჯგუფის საშუალოს, ანალიტიკოსმა უნდა განსაზღვროს, რის გამო ხდება ეს, მაღალი მოგებით თუ დაბალი კაპიტალის გამო. მან თავის რეკომენდაციებში ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ უკუგება საშუალო აქტივებზე საერთო ფუნქციონირების უკეთესი საზომია.

8.3. კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდები

თანამედროვე კომერციული ბანკი წარმოადგენს რთულ საფინანსო-ეკონომიკურ წარმონაქმნს, ამიტომ მისი განხილვა უნდა განხორციელდეს როგორც სისტემისა, რომელსაც საკუთარი მიზნები, ამოცანები და ფუნქციები გააჩნია. ბანკის საქმიანობის ანალიზისადმი ძირითად მიდგომას წარმოადგენს ჩასატარებელი ანალიზის მიზნების განსაზღვრა, ანუ იმისა, თუ როგორ ურთიერთკავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებას ავლენს ანალიზი და, საბოლოო ჯამში, როგორ ამოცანას წყვეტს იგი. XVI საუკუნიდან დაგროვებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის თეორიასა და პრაქტიკას 'საბალანსო გავრცობის სფეროში შემდეგი ძირითადი მიდგომები გააჩნია:

- **ბალანსის კაპიტალური მართვის მოდელი** (საკუთარი კაპიტალის ანალიზი, რომლის დროსაც ცალკეული სამეურნეო ოპერაციის ზემოქმედება განიხილება კაპიტალზე და არა მარტო ბალანსის აქტივისა და პასივის სიდიდეებზე);
- **დინამიური ბუღალტრული ბალანსის მართვის მოდელი** (მოგებისა და ზარალის ანგარიში);
- **მოდიფიცირებული საბალანსო მართვის მოდელი** (საბრუნავი კაპიტალის ანალიზი);
- **ძირითადი საბალანსო მართვის მოდელი** (მეურნე საზოგადოების ბალანსის ანალიზი, რომელშიც საზოგადოება გამოყოფილია მესაკუთრისაგან);

◆ **მოდიფიცირებული კაპიტალური მართვის მოდელი** (საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგების სახით მოძრაობის მოდელი).

გაუნაწილებელი (რეინვესტირებული) მოგება = საანგარიშგებო პერიოდის მოგება − საქმიანი ბრუნვიდან გავრცობილი მოგება

სადაც, საქმიანი ბრუნვიდან გავრცობილი მოგება მოიცავს: დივიდენდებს, ჯარიმებს, პენიებს, მოსაკრებლებს, არაწარმოებრივ ბრუნვაში იმობილიზაციას.

ბალანსის კაპიტალური მართვის მოდელი. მოცემული მოდელი ცნობილია, როგორც „მესაკუთრის პრიორიტეტის“ თეორია და მის საფუძველში ჩადებულია ტოლობა:

საკუთარი კაპიტალი = აქტივები − ფასიანი მოსალიანი პასივები

აღნიშნული თეორიის თანახმად, ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრის (მეპაიეების, აქციონერების) მდგომარეობას უნდა გამოხატავდეს ანალიზის სუბიექტივისადმი (კომერციულ ბანკთან) მიმართებაში, ანუ ანალიზის მოდელმა უნდა გვიჩვენოს ბანკის საკუთარი კაპიტალის ფასეულობის (ღირებულების, სიდიდის, ნაზარდის) ცვლილებები.

საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური შეგება, თავისთავად, წარმოადგენს გადასახადდაბეგრილი მოგების თანაფარდობას ბანკის საკუთარ კაპიტალთან. საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური შეგების ფორმულა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$N = ExH_1xH_2xH_3,$$

სადაც: N არის ეკონომიკური შეგება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც გაიანგარიშება როგორც გადასახადდაბეგრილი მოგება: საკუთარ კაპიტალთან;

E – მოგებიანობა, რომელიც გაიანგარიშება როგორც გადასახადდაბეგრილი მოგება: გადასახადდაბეგრამდე მოგებასთან;

H_1 – მოგების მარჯა, რომელიც გაიანგარიშება როგორც გადასახადდაბეგრილი მოგება: საოპერაციო შემოსავლები;

H_2 – აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე, რომელიც გაიანგარიშება როგორც საოპერაციო შემოსავლები: აქტივებზე;

H_3 – კაპიტალის მულტიპლიკატორი, რომელიც გაიანგარიშება როგორც აქტივები: საკუთარ კაპიტალზე.

საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური შეგების ეკონომიკური შინაარსია:

გადასახადის მართვის ეფექტიანობა × ხარჯებზე კონტროლის ეფექტიანობა × აქტივების მართვის ეფექტიანობა × რესურსების მართვის ეფექტიანობა.

საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური შეგებაზე ფაქტორული ზემოქმედების გაანგარიშება ხორციელდება:

◆ კაპიტალის ეკონომიკური შეგების საერთო ცვლილება ტოლია:

$$N - N_0,$$

სადაც: N – არის კაპიტალის ეკონომიკური შეგება საანგარიშგებო (მიმდინარე) წელს;

N_0 – კაპიტალის ეკონომიკური შეგება წინა პერიოდში.

◆ კაპიტალის ეკონომიკურ შეგებაზე მოგებიანობის ცვლილების ზემოქმედება ტოლია:

$$(E - E_0)xH_1xH_2xH_3,$$

სადაც: E არის საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის მოგებიანობა;

E_0 – წინა პერიოდის მოგებიანობა;

H_1 – საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის მოგების მარჯა;

H_2 – საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე;

H_3 – საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის კაპიტალის მულტიპლიკატორი.

◆ კაპიტალის ეკონომიკურ შეკუმშვაზე მოგების მარჟის სიდიდის ზემოქმედება ტოლია:

$$(H_1 - H_1^0) - \text{ვლ}_{\text{მთ.}} - H_2 x H_3,$$

სადაც: H_1^0 არის წინა პერიოდის მოგების მარჟა;

$\text{ვლ}_{\text{მთ.}}$ – ვალდებულება მოთხოვნამდე.

◆ კაპიტალის ეკონომიკურ შეკუმშვაზე აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ცვლილების ზემოქმედება ტოლია:

$$(H_2 - H_2^0) x E_0 x H_1^0 x H_3,$$

სადაც: H_2^0 არის აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე წინა წელს;

◆ კაპიტალის ეკონომიკურ შეკუმშვაზე კაპიტალის მულტიპლიკატორის ცვლილების ზემოქმედება ტოლია:

$$(H_3 - H_3^0) x E_0 x H_1^0 x H_2^0,$$

სადაც: H_3^0 არის საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკატორი წინა წელს.

კაპიტალის მულტიპლიკატორი. კაპიტალის მულტიპლიკატორი (განხილვადი მოდელის მიზნებისათვის) არის ბანკის მიერ დეპოზიტების მაქსიმალური მოცულობის მოზიდვის და კრედიტების გაცემის, ანუ „დეპოზიტი-სესხის“ ჯაჭვის (ბანკის კაპიტალის ერთ ფულად ერთეულზე გაანგარიშებით) გაფართოების შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით, ეს არის ბანკის კაპიტალის შესაძლებლობა, ბანკის მდგრადი და შემოსავლიანი მუშაობის დარღვევის გარეშე მოიზიდოს ფულადი რესურსები. ბანკის კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტი ფასიანი ფულადი რესურსების მოზიდვაში და ეფექტურ გამოყენებაში მდგომარეობს. ბანკის უწყვეტად ფუნქ-

ციონირება სამეურნეო ბრუნვაში დამატებითი ფულადი რესურსების შემოდინებას მოითხოვს. ფულადი რესურსების შემოდინების სულოვნურ „დამუხრუჭებას“ მივყავართ სახსრების მოზიდვის კრიზისამდე, საინვესტიციო შიმშილამდე და იგი საბანკო საქმიანობის გაფართოების კლავწარმოების სტიმულებს არღვევს.

ბანკის კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტის შეფასებისათვის შეიძლება გაანგარიშების შემდეგი მოდელი იქნეს გამოყენებული:

კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტი = [(მოგება+პროცენტული ხარჯები) : აქტივები] × × 100 – (ფასიანი მოზიდული სახსრების ღირებულება) × (აქტივები : კაპიტალი)],

ანუ, აგრეგირებულ ფორმაში:

$$[(\text{მ+პრხ})/\text{ა})] \times 100 - (\text{სდ} \times \text{კმ}),$$

სადაც: [(მ+პრხ)/ა)] × 100 არის ბანკის ეკონომიკური რენტაბელობა (ერ), ანუ საკუთარი საქმიანობის პროცესში დამატებული ღირებულების შექმნის (გამოხატული პროცენტებში) შესაძლებლობა;

მ – მოგება;

პრხ – პროცენტული ხარჯები;

ა – ერთობლივი აქტივები;

სდ – საპროცენტო განაკვეთის დონე ბანკის მოზიდული ფასიანი სახსრების მიხედვით, რომელიც ტოლია პროცენტული ხარჯების (პრხ) ფასიან მოზიდულ თანხებთან (მს) თანაფარდობის და გამოისახება პროცენტებში;

კმ – კაპიტალის მულტიპლიკატორი, ანუ ბანკის ერთობლივი აქტივების თანაფარდობა მის საკუთარ კაპიტალთან.

კაპიტალის მულტიპლიკატორი არის ინსტრუმენტი, რომელმაც ბანკისათვის კაპიტალის სტრუქტურის შერჩევა (საკუთარი და მოზიდული კაპიტალების თანაფარდობა), ანუ ბანკის კაპიტალურ ბაზასა (საკუთარი კაპიტალი) და დამატებითი ფულადი და ფინან-

სური რესურსების შემდგომ მოზიდვასთან მიმართებაში მის შესაძლებლობებს შორის დამაბალანსებლის როლი უნდა შეასრულოს.

დამატებული ღირებულების (დღ) შეფასება არის საბანკო დაწესებულების საქმიანობის რენტაბელობის და ხარისხობრივი ცვლილებების საერთო შეფასებითი მაჩვენებელი.

დამატებული ღირებულება გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

დღ = (პროცენტული შემოსავალი საკუთარ კაპიტალზე –
– პროცენტული ნორმა მოზიდულ კაპიტალზე) ×
× საკუთარი კაპიტალი,

ანუ აგრეგირებულ ფორმაში:

$$\text{დღ}=(\text{სკმ} - \text{შმს}) - \text{კ},$$

სადაც: კ არის ბანკის საკუთარი კაპიტალი;

სკმ – მოგების თანაფარდობა ბანკის საკუთარ კაპიტალთან (საკუთარი კაპიტალის მოგებიანობა);

შმს – ბანკის საპროცენტო ხარჯების თანაფარდობა ფასიან მოზიდულ კაპიტალთან (ბანკის ფასიანი მოზიდული სახსრები).

დამატებული ღირებულების ეკონომიკური შინაარსი არის ბანკის მიერ საკუთარ კაპიტალზე მიღებული შემოსავლის დონესა და მოზიდული კაპიტალის მიხედვით გადახდილ შემოსავლებს შორის სხვაობა, რომელიც ინვესტორებისათვის (ბანკის კლიენტები) დაბანდებების რისკის კომპენსაციას უზრუნველყოფს. როდესაც სახსრების მოზიდვაზე გადახდილი პროცენტი აჭარბებს საკუთარ კაპიტალზე შემოსავალს, კაპიტალის მართვა ბანკს არანაირ ეკონომიკურ ღირებულებას არ მატებს.

კაპიტალური მართვის მოდელი ბანკის საკუთარი კაპიტალით მართვის ხარისხის შეფასების, ანუ ახალი დამატებული კაპიტალის მომტანი კაპიტალის საწყისი დაბანდების მიხედვით ბანკის საქმიანი აქტიურობის გამოვლენის, ანუ, რაც იგივეა, ბანკის საკუთარი კაპიტალის ნაზარდის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

დინამიკური ბულალტრული ბალანსის უნიფიცირებული მართვის მოდელის საფუძველზე (ბულალტრული ბალანსის დანართი, ფორმა

„მოგების და ზარალის შესახებ ანგარიშგება“) საბანკო საქმიანობის მოგებიანის ანალიზი ხორციელდება.

საქმიანობის სახეობის მიხედვით მოგების მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა – ბანკის მოგების შეფასებისას გამოიყენება ერთობლივი მოგების დაყოფა მისი მიღების სამ მიმართულებაზე:

1. საოპერაციო მოგება (ზარალი) არის მოგება (ზარალი), რომელიც იქმნება კრედიტებისა და პროცენტული შემოსავლების მიხედვით (გადახდილი პროცენტების გამოქვითვით).

2. მოგება (ზარალი) ფასიან ქაღალდებთან ოპერაციებისაგან არის სხვაობა ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აღნიშნული ოპერაციების განხორციელებაზე გაწეულ ხარჯებს შორის.

3. მოგება (ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან არის მისაღები საკომისიოების, ფასეულობის ინკასირების საფასურის, მიღებული ჯარიმებისა და ა.შ. შედეგად ფორმირებული შემოსავლებისა და ფუნქციონალური საქმიანობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში ხარჯებს (ხარჯები ადმინისტრაციულ-მმართველობით პერსონალზე, სამეურნეო ხარჯები, ამორტიზებული ანარიცხები და ძირითადი ფონდების რემონტზე გაწეული ხარჯები) შორის სხვაობიდან მიღებული მოგება.

საქმიანობის სახეობების მიხედვით მოგების შეფასება ხორციელდება:

◆ **ჰორიზონტალურად** – საკვლევი პერიოდების მიხედვით დინამიკაში, რაც ერთობლივი მოგების მიმდინარე ცვლილებებისა და საქმიანობის სახეობების მიხედვით მოგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა;

◆ **ვერტიკალურად** – ბანკის საქმიანობის სახეობების მიხედვით მოგების სტრუქტურის დინამიკის ცვლილებები.

კაპიტალზე მოგების ნორმის დინამიკა და სტრუქტურა ბანკის საქმიანობის შედეგიანობის განმაზოგადოებელი მაჩვენებელია და მისი ძირითადი კომპონენტებია:

კაპიტალზე მოგების ნორმა არის ბანკის კომერციული საქმიანობის შედეგობრივი ფაქტორი. იგი განისაზღვრება მოგების შეფარდებით კაპიტალთან.

მოგების მარჟა არის ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც ერთობლივი შემოსავლის თითოეულ ფულად ერთეულზე მოგების სიდიდის ცვლილების შედეგობრივ ფაქტორზე ზემოქმედებას გამოხატავს და იზომება ერთობლივ შემოსავალთან მოგების თანაფარდობით.

აქტივების გამოყენება არის ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ბანკის აქტივობის გამოყენების საერთოეფექტიანობას და განისაზღვრება, როგორც ერთობლივი შემოსავლის თანაფარდობა აქტივების მთლიან თანხასთან.

კაპიტალის მულტიპლიკატორი არის ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც კაპიტალის სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე შედეგობრივ ფაქტორზე ზემოქმედებას ახდენს და განისაზღვრება მთლიანი ერთობლივი კაპიტალის თანაფარდობით საკუთარ კაპიტალთან.

კაპიტალზე მოგების ნორმის გაანგარიშების მოდელი შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

(მოგება/საკუთარი კაპიტალი) = (მოგება/შემოსავალი) ×

× (შემოსავალი/აქტივები) × (აქტივები/საკუთარი კაპიტალი).

საკუთარ კაპიტალზე მოგების ნორმის დეკომპოზიციური ანალიზი არის მოგების მარჟის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების, აქტივების გამოყენების ეფექტიანობისა და კაპიტალის მულტიპლიკატორის საფუძველზე საბანკო ფინანსური ინფორმაციის ანალიზის მრავალეტაპიანი მეთოდი.

დეკომპოზიციური ანალიზის მოდელი ანალიზის სამ სტადიას ითვალისწინებს:

ანალიზის პირველი სტადია ერთმანეთთან აკავშირებს კაპიტალზე გასაანგარიშებელ მოგებას (მოგების ნორმა – H_1) აქტივებზე მოგებასთან (მა) და საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკატორთან (H_3) შემდეგი ტოლობის მიხედვით:

$$H_1 = \text{მა} \times H_3,$$

სადაც: H_1 – ეკვივალენტურია მოგება, გაყოფილი ბანკის საკუთარ კაპიტალზე და გამოხატავს მოგების სიდიდეს საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე გაანგარიშებით (H_1=მოგება/საკუთარი კაპიტალი);

მა – ეკვივალენტურია მოგება, გაყოფილი ბანკის ჯამური აქტივების სიდიდეზე და გამოხატავს მოგების სიდიდეს ერთობლივი აქტივების ერთ ლარზე გაანგარიშებით (მა=მოგება/აქტივები).

ანალიზის მეორე სტადია H_1-ზე შემოსავლის ზემოქმედების თვალსაზრისით, მა-ს ყოფს ორ კომპონენტად:

1. მოგების მარჟა (H_4=მოგება/შემოსავლები);
2. აქტივების გამოყენება (H_2=შემოსავალი/აქტივები).

აგრეგირებული სახით მოგების თანაფარდობა აქტივებთან გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\text{მა} = H_4 \times H_2,$$

სადაც: H_4 = (მოგება/შემოსავალზე);

H_2=(შემოსავალი/აქტივებზე).

ანალიზის მესამე სტადია მდგომარეობს კაპიტალზე მოგების ნორმის შემადგენლების ზემოქმედების დეტალურ ანალიზში:

$$H_1 = H_4 \times H_2 \times H_3,$$

სადაც: H_1=(მოგება/საკუთარი კაპიტალი);

H_3=(აქტივები/საკუთარი კაპიტალი).

მოგების ფაქტორული ანალიზი. ჯამური მოგება გამოხატავს ბანკის კომერციული საქმიანობის საერთო ფინანსურ შედეგს და მისი ფორმირება შემდეგი ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ ხორციელდება:

- საკუთარი კაპიტალის სიდიდის ცვლილებებზე (C_1);
- მოგების მარჟის ცვლილებებზე (H_4);
- აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონის ცვლილებებზე (H_2);

◆ კაპიტალის მულტიპლიკატორის დონის ცვლილებებზე (H_3).

მოგების ფაქტორული ანალიზის მოდელის მიხედვით:

მოგება = საკუთარი კაპიტალი × (მოგება/შემოსავალი) × × (შემოსავალი/აქტივები) × (აქტივები/საკუთარი კაპიტალი),

ან აგრეგირებულ ფორმაში:

$$\text{მ} = C_1 - H_4 \times H_2 \times H_3.$$

ბანკის საქმიანობის ანალიზი დინამიკური ბალანსის მართვის მოდელის საფუძველზე ხელს უწყობს ისეთი პარამეტრების გამოყ-ლენას, რომლებიც ბანკის მოგების ცვლილებებზე ზემოქმედებენ, ამასთან, მოგებაზე და მოგების ნორმის კაპიტალზე ზემოქმედი ფაქტორების მართვის ხარჯზე, მოგების სიდიდისა და ბანკის საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის რეგულირების პარამეტრ-ბის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევიან.

ბანკის საქმიანობის ანალიზისადმი არსებული მიდგომები ბევ-რად განისაზღვრება მისი სხვადასხვა სახეობითა და მეთოდით. დაკრედიტების საკითხების გადაწყვეტისას და სხვა კომერციულ ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების დადგენისას ლიკ-ვიდობისა და მოგებიანობის (შემოსავლიანობის) საერთო მდგომა-რეობა უნდა განისაზღვროს, ცალკეული ბანკის საქმიანობის სა-ხეობების სპეციალიზაცია და მნიშვნელობა უნდა დადგინდეს.

ანალიზის მოდელის საფუძველში ჩადებულია მოდიფიცირე-ბული საბალანსო განტოლება:

აქტივები = პასივებს,

ანუ ბანკის საბრუნავი სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზისათვის ბალანსის აქტიური და პასიური მხარეების ტოლობის მეთოდია გამოყენებული. ანალიზის მოდელის მთავარი მიზანი მდგომარეობს არა ბანკის მოგებიანობის სიდიდისა და ლიკვიდობის დონის გამოვლენაში, არამედ ბანკის განკარგულე-ბაში არსებული პასივების კვალიფიციურ გამოყენებაში და მოგე-ბიანობასა და ლიკვიდობას შორის დაბალანსებულობის პოზიცი-იდან ბანკის ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა მხარის გან-სახღვრაში. ანალიზის მოდელი ბანკის მოგებიანობისა და ლიკ-

ვიდობის ოპტიმალური თანაფარდობის გამოვლენის შესაძლებ-ლობას, ანუ ბანკის მენეჯმენტის მიერ აქტიურ და პასიურ ოპე-რაციებში ბანკის პორტფელის მართვის საჭირო დივერსიფიკაციის და რაციონალურობის დაცვა-არდაცვას განსაზღვრავს.

ბანკის მოგებიანობისა და ლიკვიდობის თანაფარდობის ანალი-ზისადმი მიმართებაში განსახილველი მიდგომა დაფუძნებულია იმაზე, რომ ლიკვიდობის მართვის პროცესში აქტივებში და პა-სივებში გარკვეული თანაფარდობა უნდა იყოს დაცული, ანუ პასი-ვების ცალკეული მუხლის აქტივების გარკვეულ მუხლებზე მიმაგ-რების მეთოდის გამოყენება არის საჭირო. დაჯგუფების მეთოდი ბალანსის მონაცემების სისტემატიზაციის გზით ანალიზირებადი მოვლენებისა და პროცესების არსში გარკვევის შესაძლებლობას იძლევა.

ბანკის საკუთარი სახსრები განსახილველი ანალიზის მიზეზი-სათვის შეიძლება განაწილებულ იქნეს ორი შემადგენლის მიხედ-ვით: საკუთარი სახსრები – ბრუტტო და საკუთარი სახსრები – ნეტტო. ბანკის საკუთარი სახსრები – ბრუტტოს სიდიდე მეტია, რადგანაც ისინი თავისთავში მოიცავენ იმობილიზებულ საკუთარ სახსრებსა და საკუთარი სახსრები – ნეტტოს ფაქტიური ნაშთების სიდიდეს.

საკუთარი სახსრები – ბრუტტო ბანკის შემოსავლიანი აქტი-ური ოპერაციების რესურსს წარმოადგენენ მხოლოდ პოტენციალ-ურად, რადგანაც, ბალანსის აქტივის მიხედვით, მუხლებში მათი ნაწილის გავრცობა (იმობილიზაცია) ხორციელდება. შემოსავ-ლიანი აქტიური ოპერაციების რეალურ წყაროს წარმოადგენს საკუთარი სახსრები – ნეტტო, რომელთა სიდიდე, თავისთავად, საკუთარი სახსრები – ბრუტტო და მათი იმობილიზაციის თანხის ჯამს შორის სხვაობას წარმოადგენს. ბანკის საკუთარი სახსრების აღნიშნული დაყოფა წარმოადგენს საცნობაროს და ბანკ-მსესხებლისათვის დაკრედიტების ლიმიტების დადგენისათვის შეიძლება საფუძვლის სახით იქნეს გამოყენებული.

მოდიფიცირებული საბალანსო მართვის მოდელის საფუძველზე, ბანკის საქმიანობის ანალიზი ბანკის მიერ კონკრეტულ პერიოდზე სტრატეგიის სახით არჩეული პორტფელური შეზღუდვების დაცვასთან და რეგულირებასთან მიმართებაში ბანკის მონიტორინგს ემსახურება.

ბანკის ძირითადი საბალანსო მართვის მოდელი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც „საწარმოს პრიორიტეტის“ თეორია, რომლის საფუძველში ჩადებულია ძირითადი საბალანსო განტოლება (ტოლობა):

აქტივები=საკუთარი კაპიტალი + პასივები.

მოცემული საბალანსო განტოლების საფუძველში ანალიზირებადი სუბიექტის, ჩვენს შემთხვევაში – ბანკის კუთვნილებაში არსებული ყველა აქტივის ფლობისა და განკარგვის პრინციპია ჩადებული. ანალიზის მოდელის გამოყენების ყველაზე მისაღები მიმართულება მოცემული საბალანსო გაერცობის მიხედვით არის ბანკი-გარანტის ანალიზი და წინასწარი მონიტორინგი რაიმე სახის ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობის გამოსავლენად. მაგალითად, ეს მიმართულება რესურსების მიზიდვასთან და განთავსებასთან მიმართებაში კაპიტალური ბაზის, აგრეთვე, საქმიანი აქტიურობის, ლიკვიდობის, ფინანსური მდგრადობისა და საკუთარი ბანკის მართვის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების მოცემული წესი მისი შედარებითი ანალიტიკური ბალანსის, აგრეთვე, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების ანალიზზეა დაფუძნებული.

კომერციული ბანკის შეფასების წესი თავის თავში მოიცავს ანალიზის შემდეგ ბლოკებს:

1. ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურისა და დინამიკის შეფასებას შედარებითი-ანალიტიკური ბალანსის საფუძველზე.
2. ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის შეფასებას.
3. საქმიანი აქტიურობის შეფასებას.

4. მართვის ეფექტიანობის შეფასებას.
5. ლიკვიდობის შეფასებას.
6. ბანკის შეფასება მისი საქმიანობის მაჩვენებლების ოპტიმალური ტენდენციის დინამიკასთან შეუსაბამობისას.
7. ფინანსური მდგომარეობის დინამიკისა და დასაშვები ზღვრების შეფასებას.

საბალანსო მართვის წინამდებარე მოდელი იყენებს ფინანსური ანალიზის შემდეგ მეთოდებს:

◆ **ჰორიზონტალურ (დროით) ანალიზს** – ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება წინა პერიოდის მონაცემებთან;

◆ **ვერტიკალურ (სტრუქტურული) ანალიზს** – ჯამური ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა ანგარიშგების თითოეული პოზიციის მთლიან შედეგზე ზემოქმედების გამოვლენით;

◆ **ტენდერულ ანალიზს** – ანგარიშგების თითოეული პოზიციის რიგ წინა პერიოდებთან და ტრენდის, ანუ მაჩვენებლის დინამიკის ძირითადი ტენდენციის განსაზღვრა;

◆ **შეფარდებით მაჩვენებლების (კოეფიციენტების) ანალიზს** – ანგარიშგების ცალკეულ პოზიციას შორის ან ანგარიშგების სხვადასხვა ფორმას შორის პოზიციების თანაფარდობების გაანგარიშება, მაჩვენებლების ურთიერთკავშირების განსაზღვრა.

ამასთან, შემდეგი შეფარდებითი მაჩვენებლები (ფინანსური კოეფიციენტები) გამოიყენება:

◆ **განაწილების კოეფიციენტები**, რომლებიც განსაზღვრავენ მის ჯგუფებში ჩართული აბსოლუტური მაჩვენებლების ჯამიდან რა ნაწილი შეადგენს ფინანსური მდგომარეობის ამა თუ იმ აბსოლუტურ მაჩვენებელს;

◆ **კოორდინაციის კოეფიციენტები**, რომლებიც გამოხატავენ, რომ ფინანსური მდგომარეობის აბსოლუტური მაჩვენებლები, თავისი არსით, სხვადასხვა ურთიერთობის ან სხვადასხვა ეკონომიკური არსის მქონე მათი ხაზობრივი კომბინაციების ურთიერთობების გამომხატველებია.

კომერციული ბანკის შედარებითი ანალიტიკური ბალანსის აგების საფუძველზე ხორციელდება მისი ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასება ანალიზურ პერიოდებში (ანალიზური პერიოდების მინიმალური რაოდენობა – სამი კვარტალი) ცვლილებების გათვალისწინებით.

საოპერაციო-ღირებულებითი ანალიზის მოდელი დაიყვანება აქტიური ოპერაციების მიხედვით შემოსავლებისა და პასიური ოპერაციების მიხედვით ხარჯების შედარების ბაზაზე, ბანკის შემოსავლიანობის (მოგებიანობის) ანალიზის განსაზღვრამდე. საოპერაციო-ღირებულებითი ანალიზი წარმოდგენის საშუალებას იძლევა ბანკის კონკრეტული ოპერაციების, მომსახურებებისა და ბანკის ქვედანაყოფების ღირებულებისა და რენტაბელობის (ზარალიანობა) შესახებ, აგრეთვე, ქვედანაყოფებში განხორციელებადი კონკრეტული მომსახურებებისა ან ჩატარებული ოპერაციების ბანკში დამუშავების ღირებულებას ითვალისწინებს.

ანალიზის აღნიშნული სახეობის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში იზრდება შემდეგი მიზეზების გამო:

◆ ბანკებს შორის კლიენტურაზე კონკურენტული ბრძოლის გაძლიერების;

◆ არაფასობრივი კონკურენციის მეთოდების გაფართოების;

◆ საბანკო დაწესებულებებსა და არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებს შორის საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის არსებობის;

◆ ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების ოპერაციების რეგულირებასთან მიმართებაში მოთხოვნილებების გაძლიერების გამო.

საოპერაციო-ღირებულებითი ანალიზის ჩატარება საბანკო ოპერაციებისა და მომსახურებების, მათი შესაძლებლობების გამოსავლენად სპეციალურ კლასიფიკაციას მოითხოვს. აღნიშნული მიზნებისათვის მომსახურებები საჭირო გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით უნდა იქნეს კლასიფიცირებული. მომსახურების სამი

სახეობა არსებობს, მათ შორის, ურთიერთქმედებებზე დამოკიდებულებებში:

◆ **თანმდევი მომსახურებები,** ანუ მომსახურებები, რომლებიც ძირითადი მომსახურებისა ან ოპერაციის განხორციელებისას შეიძლება იქნეს ამოქმედებული;

◆ **დაკავშირებული მომსახურებები,** რომლის დროსაც ერთი მომსახურების განსახორციელებლად რიგი სხვა მომსახურების ან ოპერაციის ჩატარება არის საჭირო;

◆ **დამოუკიდებელი მომსახურებები,** ანუ მომსახურებები, რომლებიც პარალელურად ხორციელდება და ერთმანეთთან დაკავშირებულები არ არის.

საერთო სახით **მომსახურების ან ოპერაციის მოგებიანობის განმსაზღვრელ** ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$მ_{მომ.} = (ს^{(ო)}პ_{ზგ.} - ს^{(ო)}პ_{ხგ}) - ასპხ,$$

სადაც: $ს^{(ო)}პ_{ზგ.}$ არის საოპერაციო შემოსავლები მომსახურებიდან (ოპერაციიდან);

$ს^{(ო)}პ_{ხგ.}$ – საოპერაციო ხარჯები მომსახურების (ოპერაციის) მიხედვით;

ასპხ – არასაოპერაციო ხარჯები მომსახურების (ოპერაციის) მიხედვით.

სარესურსო სახეობის მომსახურებისათვის აღნიშნული ფორმულა შემდეგ სახეს იძენს:

$$მ_{მომ.} = (ს^{(ო)}პ_{ზგ.} - აბ) + (აბ - ს^{(ო)}პ_{ხრ}) - ასპხ_{სთ},$$

სადაც: $ს^{(ო)}პ_{ზგ.}$ არის საოპერაციო შემოსავლები მომსახურებებიდან რესურსების განთავსებასთან მიმართებაში;

აბ – ალტერნატიული საპროცენტო განაკვეთი მოცემული მომსახურებისათვის, ანუ რესურსების სწრაფად გაყიდვის/შეძენის საპროცენტო განაკვეთი;

სოპ$_{ხრ.}$ – საოპერაციო ხარჯები მომსახურების მიხედვით, დაკავშირებული რესურსების მოზიდვასთან;

ასახ$_{სთ.}$ – საერთო არასაოპერაციო ხარჯები დანახარჯებისა და მოგების ცენტრების.

საოპერაციო-ღირებულებითი ანალიზის შედეგების სიტუაციური კვლევა: მოდელი „გეპი“.

სიტუაციური კვლევის შედეგი საოპერაციო-ღირებულებითი ანალიზის ჩარჩოებში შეიძლება იყოს:

1. მოგება (ზარალი) – დანახარჯების ცენტრისა და მოგების ცენტრის კონკრეტული მომსახურების მიხედვით.

2. კომერციული ბანკის მარჟა – საოპერაციო შემოსავალსა და ჯამურ ხარჯებს შორის სხვაობა კონკრეტული მომსახურების (მომსახურების პორტფელის) მიხედვით.

3. გადაწყვეტილების მიღება კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების სტრუქტურის ცვლილების შესახებ „გეპის“ მოდელის ანალიზის საფუძველზე (იხ. ცხრ. 8.1.).

„გეპი“ არის ბანკის აქტივებისა და პასივების დაუბალანსებლობა მერყევ და ფიქსირებულ განაკვეთთან მიმართებაში.

„გეპის“ ფორმულურ გამოხატულებას შემდეგი სახე აქვს:

$$\text{გეპი} = \text{ა}_{\text{გგ}} - \text{პ}_{\text{გგ}}$$

სადაც: ა$_{გგ}$ არის პროცენტის ცვლილებისადმი მგრძნობიარე აქტივების მოცულობა;

პ$_{გგ}$ – პროცენტის ცვლილების მგრძნობიარე პასივების მოცულობა.

„გეპის“ მგრძნობიარობის ქვეშ გაიგება თანაფარდობა ა$_{გგ}$/პ$_{გგ}$. მართვის თვალსაზრისიდან გამომდინარე, საჭიროა სიტუაციების სამი კლასი განვასხვავოთ.

1. ნულოვანი გეპი:

$$(\text{ა}_{\text{გგ}} - \text{პ}_{\text{გგ}}) = 0, \text{ ანუ } \text{ა}_{\text{გგ}} / \text{პ}_{\text{გგ}} = 1.$$

პროცენტის გადიდებისას უზრუნველყოფილია მოსალოდნელი მოგების მოცულობის ზრდა, ხოლო პროცენტის შემცირებისას მოგების მოცულობის შემცირება არის მოსალოდნელი.

2. დადებითი გეპი:

$$(\text{ა}_{\text{გგ}} - \text{პ}_{\text{გგ}}) > 0, \text{ ანუ } \text{ა}_{\text{გგ}} / \text{პ}_{\text{გგ}} > 1.$$

სიტუაცია ხასიათდება აქტივების პასივებზე ადრე გადაფასების შესაძლებლობით.

3. უარყოფითი გეპი:

$$(\text{ა}_{\text{გგ}} - \text{პ}_{\text{გგ}}) < 0, \text{ ანუ } \text{ა}_{\text{გგ}} / \text{პ}_{\text{გგ}} < 1.$$

სიტუაცია ხასიათდება პასივების აქტივებზე ადრე გადაფასების შესაძლებლობით.

ცხრილი 8.1.

ბანკის მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების მიხედვით ოპერაციებისა და მომსახურებების შემადგენლობა

მომსახურება და ოპერაციები მგრძნობიარე აქტივების მიხედვით	მომსახურება და ოპერაციები მგრძნობიარე პასივების მიხედვით
გაცემული საბანკო კლიენტურაზე	მოზიდული დეპოზიტები საბანკო კლიენტურისაგან
ბანკის მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდები და სავალო ვალდებულებები, ბაზარზე მიმოქცევადები	ემისია საკუთარი ფასიანი ქაღალდების და სავალო ვალდებულებების ბაზარზე მიმოქცევისათვის
გაცემული ბანკთაშორისი კრედიტები	მოზიდული ბანკთაშორისი კრედიტები
ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოებული ინსტრუმენტების შეძენა (პროცენტული ფიუჩერსები, ოფციონები, კონტრაქტები სვოპი, რეპო და ა.შ.)	ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოებული ინსტრუმენტების გაყიდვა (პროცენტული ფიუჩერსები, ოფციონები, კონტრაქტები სვოპი, რეპო და ა.შ.)

კომერციული ბანკის სიტუაციის „გეპის“ მოდელის საფუძველზე ანალიზი მისი პროდუქციული შემადგენლობის ცვლილებასთან, ანუ ბანკის საქმიან ბრუნვაში ახალი მომსახურებისა და ოპერაციების შეყვანასთან, ბაზრის სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტში საკუთარი და მოზიდული საბრუნავი სახსრების განაწილების დიფერენცირებასთან, აგრეთვე, შიდასაბანკო ფასებისა და ტარიფების საფუძველზე ფასობრივი პოლიტიკის მართვასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

კომერციული ბანკის ოპერაციებისა და მომსახურებების შიდასაბანკო ფასობრივი რეგულირება: ბანკის ფინანსური სიმტკიცე და მოდელი „სპრედი“.

კომერციული ბანკის ფინანსური სიმტკიცე, ანუ შემოსავლიანობის „მკვდარი წერტილი“ არის ბანკის მდგომარეობის მაჩვენებელი, რომელიც საკრედიტო ორგანიზაციის უზარალო მუშაობის უზრუნველსაყოფად ერთობლივ შემოსავალში ბანკის მინიმალურად დასაშვები შემოსავლის ხვედრითი წონის ტოლია. რამდენად დაბალია ბანკის მინიმალურად დასაშვები შემოსავლის ხვედრითი წონის დონე ერთობლივ შემოსავალში, იმდენად მაღალია ბანკის ფინანსური სიმტკიცის მარაგი.

ბანკის ფინანსური სიმტკიცე ბანკის მინიმალური საშემოსავლო მარჟის, ანუ აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით განაკვეთებში წყვეტადობის გაანგარიშების, ბანკისათვის მოგების მიღების გარეშე საჭირო ხარჯების გადაფარვის საშუალებას იძლევა.

ბანკის ფინანსური სიმტკიცის საანგარიშო ფორმულებია:

$$შ_{ერთ.} = შ_{შდ.} = შ_{ერთ.} - ხ_{პც};$$

$$მკ = შ_{შდ.} / შ_{ერთ.};$$

$$შ_{უზ.} = ხ_{ჯმ.} / მკ;$$

$$ფსდ = (შ_{ერთ.} - შ_{უზ.}) / შ_{ერთ.}$$

სადაც: $შ_{ერთ.}$ არის ერთობლივი შემოსავალი;

$შ_{შდ.}$ – შუალედური შემოსავალი;

$შ_{უზ.}$ – შემოსავალი, უზარალობის უზრუნველმყოფელი;

$ხ_{პც}$ – პირობითად ცვალებადი ხარჯები;

$ხ_{ჯმ.}$ – პირობითად მუდმივი ხარჯები;

მკ – მოგების კოეფიციენტი;

ფსდ – ფინანსური სიმტკიცის დონე.

ბანკის ფინანსური სიმტკიცის მაჩვენებლის ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში გამოყენება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რაც გულისხმობს არა მარტო ბანკის ოპერაციებისა და მომსახურებების მოცულობის ცვლილებებს, არამედ მისი, პირობითად, მუდმივი (ადმინისტრაციული) და პირობითად, ცვალებადი ხარჯების რეგულირებასაც.

„სპრედის“ მოდელი. „სპრედის“ მოდელი ფულად ბაზარზე საგარეო პირობების ცვლილებებთან დამოკიდებულებაში, ფულად რესურსებზე შიდასაბანკო ფასების რეგულირების ხარჯზე პროცენტული მარჟისა და პროცენტული რისკის საერთო-საბანკო მარჟის მიხედვით, აგრეთვე, ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით, ერთობლივი საბანკო დანახარჯების განაწილების მიხედვით გადაწყვეტილების შეფასებისათვის არის მოწოდებული. მართვა ფულადი სახსრების გადარიცხვაზე (ბანკის შიგნით ფულადი რესურსების შეძენასა და გაყიდვაზე) შიდასაბანკო ფასების ცვლილების გზით ხორციელდება.

„სპრედის“ შეფასების მოდელი, შიდასაბანკო ბრუნვაში ახლად შექმნილი ღირებულებების აღრიცხვის ხარჯზე და ბანკის საკუთარი კაპიტალის დაკრედიტებისას ფილიალებისა და კომერციული ბანკის მთლიანობაში, მოგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

„სპრედი“ არის ბანკის აქტიურ ოპერაციებში განთავსების ტიპის მომსახურების მიხედვით და პასიური ოპერაციებისას ამავე ტიპის მომსახურების განაკვეთებს შორის სხვაობა. აღნიშნულ სხვაობას, ასევე, **ბანკის პროცენტული მარჟის** სახელწოდებაც გააჩნია.

„სპრედის“ მოდელის მართვის მეშვეობით ფულადი სახსრების გადარიცხვის შიდასაბანკო ფასების (ბანკის შიგნით ფულადი რესურსების შეძენა და გაყიდვა) ცვლილებების, ფულად ბაზარზე

საგარეო პირობების ცვლილებებთან დამოკიდებულებაში ფულად რესურსებზე შიდასაბანკო ფასების რეგულირების, აგრეთვე, ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით „ერთობლივი საბანკო“ დანახარჯების განაწილების ხარჯზე, პროცენტული მარჟისა და პროცენტული რისკის საერთო-საბანკო მართვა ხორციელდება.

8.4. ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლების სრულყოფის საკითხები

თეორიული თვალსაზრისით, აქციების ფასის ზრდა არის საწარმოს საქმიანობის საუკეთესო მაჩვენებელი, რადგანაც იგი მისი საქმიანობის საბაზრო შეფასებას ასახავს. მოცემული მაჩვენებელი საბანკო საქმეში ხშირად არასაკმარისად ზუსტია. ამის მიზეზია ის, რომ საერთაშორისო თუ ეროვნულ ბაზრებზე უმეტეს საბანკო აქციებზე ხდება საკმაოდ ბევრი გარიგება. ეს ფინანსურ ანალიტიკოსებს აიძულებს მიმართონ ინდიკატორებს, კერძოდ, მოგებიანობის სხვადასხვა ფარდობით მაჩვენებელს, რომლებიც ცვლიან საბაზრო ღირებულების მაჩვენებლებს.

ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები. დღეისათვის ბანკის მოგებიანობის მნიშვნელოვანი ფარდობითი მაჩვენებლები ასეთია:

$$\text{მოგება საკუთარ კაპიტალზე (ROE)} = \frac{\text{წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{საქციო კაპიტალი}}$$

$$\text{მოგება აქტივების ერთეულზე (ROE)} = \frac{\text{წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{ერთობლივი აქტივები}}$$

$$\text{წმინდა საპროცენტო მარჟა} = \frac{\text{კრედიტებიდან და ფასიან ქაღალდებში ინვესტიციიდან საპროცენტო შემოსავალი} - \text{დეპოზიტებისა და სხვა ემიტირებული სავალო ვალდებულების მიხედვით საპროცენტო ხარჯები}}{\text{აქტივები}^1}$$

[1] საბანკო სფეროს რეგულირების ბევრი ორგანო წმინდა საპროცენტო მარჟის და წმინდა არასაპროცენტო მარჟის გათვლისას მნიშვნელში გულისხმობს შემოსავლიან აქტივებს. ეს ის აქტივებია, რომლებსაც შემოსავალი მოაქვთ პროცენტისა და საკომისიოს ფორმით.

$$\text{წმინდა არასაპროცენტო მარჟა} = \frac{\text{არასაპროცენტო შემოსავალი} - \text{არასაპროცენტო ხარჯები}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{ბანკის ოპერაციული მოგების წმინდა მარჟა} = \frac{\text{ოპერაციული შემოსავალი} - \text{ოპერაციული ხარჯები}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{წმინდა მოგება სპეციალური ოპერაციების ჩატარებამდე (NRST)} = \frac{\text{წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ და იმ მოგების ან ზარალის გაუთვალისწინებლად, რომელიც საგანგებო ხასიათს ატარებს}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{წმინდა მოგება გაანგარიშებული ერთ აქციაზე (NRST)} = \frac{\text{წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციები}}$$

როგორც ყველა ფინანსური მაჩვენებელი, ასევე, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელიც გარკვეული ხარისხით ვარირებას ახდენს სხვადასხვა დროისა და საბანკო მომსახურების სხვადასხვა ტიპის მიხედვით.

მოგებიანობის მაჩვენებლების განმარტება. ზემოთ აღნიშნული ოთხი ფინანსური მაჩვენებელი ახასიათებს ბანკის მოგებიანობის ამა თუ იმ ასპექტს.

ROA, პირველ რიგში, არის მენეჯერების საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი. ის აჩვენებს, თუ რამდენად შეძლეს ბანკის მენეჯერებმა ბანკის აქტივებიდან წმინდა მოგების მიღების უზრუნველყოფა.

ამასთან, **ROE** არის ბანკის აქციონერების შემოსავლიანობის საზომი. ის დაახლოებით ადგენს წმინდა მოგების სიდიდეს, რომელსაც აქციონერები ღებულობენ საკუთარი კაპიტალის ინვესტირებით (ე.ი. იმ რისკს, რომელზეც მიდიან იმ იმედით, რომ საკუთარი სახსრების დაბანდებით მიიღონ დასაშვები დონის მოგება).

ოპერაციული მოგების წმინდა მარჟა, წმინდა პროცენტული მარჟა და არასაპროცენტო მარჟა არის როგორც ეფექტიანობის, ასევე, მოგებიანობის მაჩვენებლები, თუ რამდენად წარმატებით უზრუნველყოფენ მენეჯერები და ბანკის თანამშრომლები შემოსავლების ზრდის წინმსწრები ტემპის შენარჩუნებას (პირველ რიგში, საბანკო კრედიტების, ინვესტიციებისა და მომსახურების საკომისიოს მიხედვით) დანახარჯების ზრდის ტემპთან შედარებით.

წმინდა საპროცენტო მარჟა განსაზღვრავს სხვაობის სიდიდეს პროცენტების მიხედვით შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, რომელიც მიღებულ იქნა მენეჯერების მიერ ბანკის შემოსავლიან აქტივებზე ძირეული კონტროლისა და სახსრების მეტად იაფი წყაროების გამოძებნის გზით.

არასაპროცენტო მარჟა განსაზღვრავს არასაპროცენტო შემოსავლებს (დეპოზიტების მომსახურებისათვის გადასახადი, სხვა სახის საკომოსიო) და არასაპროცენტო ხარჯებს (მათ შორის: შრომის ანაზღაურება, რემონტზე დანახარჯები და საბანკო მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება, კრედიტების მიხედვით ზარალის დაფარვის ხარჯები). ბანკების უმეტესობას არასაპროცენტო მარჟა უარყოფითი აქვთ, რადგანაც არასაპროცენტო ხარჯები, ჩვეულებრივ, ჭარბობენ შესაბამის შემოსავლებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროისათვის ბანკების მიერ მიღებული საკომისიოს სიდიდე სწრაფად იზრდება.

მაჩვენებელი – **წმინდა მოგება სპეციალური ოპერაციის ჩატარებამდე (NRST)** აფასებს ბანკის მოგებას, რომელიც მიღებულია შემოსავლების ჩვეულებრივი, რეგულარულად გამოყენებადი წყაროების ხარჯზე (მათ შორის, ისეთი შემოსავლების წყაროები, როგორებიცაა: კრედიტები, ინვესტიციები, მომსახურებისათვის საკომისიო, მაგალითად, ჩეკების ანგარიშის წარმოება) და შეეფარდება ბანკის ერთობლივ აქტივებს. ისეთი არაჩვეულებრივი ან საგანგებო მუხლები, როგორებიცაა ბანკის ქონებისა და მოწყობილობების გაყიდვიდან შემოსავალი, ფასიანი ქაღალდების მიხედვით მოგება ან ზარალი, ჩვეულებრივ, ფინანსური ანალიტიკოსების მიერ ბანკის მოგებიანობის მაჩვენებლების გაანგარიშების ეროს გამოირიცხება.

მაჩვენებელი – **წმინდა მოგება, გაანგარიშებული ერთ აქციაზე (EPS)** წარმოადგენს ბანკის ძირითადი მფლობელების – მისი აქციონერების სასარგებლოდ გადასახდელების შეფასებას შეფარდებულს ბანკის მიერ რეალიზებული აქციების რაოდენობასთან.

ბანკის მოგებიანობის სხვა ტრადიციული მაჩვენებელია **მოგების სპრედი** (ან, უბრალოდ, სპრედი), რომელიც გაითვლება შემდეგი სახით:

$$\text{მოგების სპრედი} = \frac{\text{საპროცენტო შემოსავლები}}{\text{შემოსავლიანი აქტივები}} - \frac{\text{საპროცენტო ხარჯები}}{\text{ბანკის პასივი, რომელზეც ხდება პროცენტის გადახდა}}$$

სპრედის საშუალებით ფასდება, თუ რამდენად წარმატებით ასრულებს ბანკი შუამავლის ფუნქციას მეანაბრეებსა და მსესხებლებს შორის და რამდენად მძაფრია კონკურენცია საბანკო მომსახურების ბაზარზე. ბანკის სპრედი მცირდება კონკურენციის გაძლიერების კვალობაზე, რაც მის მენეჯერებს აიძულებს ეძიონ მოგების მიღების სხვა გზები (მაგალითად, ახალი საბანკო მომსახურებისათვის საკომისიოს ფორმის სახით) მოგების სპრედის შემცირების კომპენსაციის მიზნით. ე.ი. სპრედი არის სხვაობა ბანკის აქტიურ ოპერაციებში განსაზღვრული მომსახურების და ასევე მომსახურების ტიპის პასიურ ოპერაციებში განლაგების მიხედვით მომსახურების განაკვეთებს შორის.

მოგებიანობის (ან აქტივების გამოყენების) სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებელია **ოპერაციული მოგების წმინდა მარჟა** – ერთობლივი ოპერაციული მოგების ერთობლივ აქტივებთან თანაფარდობა. მოგებიანობის მოცემული მაჩვენებელი შეიძლება დაიყოს ორ შემადგენლად – საშუალო პროცენტული მოგება აქტივების მიხედვით და საშუალო არასაპროცენტო მოგება აქტივების მიხედვით. ბოლო ელემენტის ჩამოყალიბება ხდება სხვადასხვა მომსახურების საკომისიოს ხარჯზე:

$$\frac{\text{ოპერაციული მოგება}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{საპროცენტო მოგება}}{\text{აქტივები}} + \frac{\text{არასაპროცენტო მოგება}}{\text{აქტივები}}$$

კრედიტებისა და სხვა შემოსავლიანი აქტივების ბაზარზე კონკურენციის გამწვავებასთან ერთად და ბევრი კრედიტის ვადაგასვლასთან დაკავშირებით, ბანკების უმეტესობა ყურადღებას აქცევს საკომისიოს ფორმით არასაპროცენტო მოგების გაზრდას. ამგვარი შემოსავლები მნიშვნელოვნად ზრდის ერთობლივი მოგების სიდიდეს და ხელს უწყობს წმინდა მოგების ზრდას, რომელიც მიმართულია აქციონერებზე გადასახდელად. დღეისათვის ბანკის მენეჯერები ძალისხმევას მიმართავენ იმ ერთობლივი რესურსების წილის შემცირებისაკენ, რომელიც მიმართულია შემოსავლის არ მომტან აქტივებზე (მათ შორის, ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში). ამ საკითხთან დაკავშირებით ფართოდ გამოიყენება ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა აქტივების შემოსავლიანი ბაზა:

$$\text{აქტივების შემოსავლიანი ბაზა} = \frac{\text{შემოსავლიანი აქტივები}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{კრედიტი} + \text{ლიზინგი} + \text{ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში}}{\text{აქტივები}}$$

$$= \frac{\text{ერთობლივი აქტივები} - \text{აქტივები, რომლებსაც შემოსავალი არ მოაქვთ}}{\text{ერთობლივი აქტივები}}$$

იმ ბანკში, სადაც მცირდება შემოსავლიანი ბაზა, მენეჯერებმა და თანამშრომლებმა უნდა იმუშაონ დიდი ინტენსიურობით მიღწეული შემოსავლიანობის დონის შენარჩუნებისათვის.

ანალიზის დროს – თუ რამდენად წარმატებით ფუნქციონირებს ნებისმიერი კონკრეტული ბანკი, ზოგჯერ საჭირო ხდება მოგებიანობის მაჩვენებლების დაყოფა, მაგალითად, რთული არ არის იმის შენიშვნა, რომ ROE და ROA – ორი მეტად პოპულარული და დღეისათვის ფართოდ გამოყენებული მაჩვენებლები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ორივეს ერთი და იგივე მრი(ხ

ხველი აქვთ – მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ. ამიტომ მოგებიანობის ეს ორი მაჩვენებელი შეიძლება დაკავშირებულ იქნეს პირდაპირ:

$$\text{ROE} = \text{ROA} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

სხვა სიტყვებით:

$$\frac{\text{მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

აღვნიშნავთ, რომ ბანკის წმინდა მოგება ტოლია მის ერთობლივ შემოსავალს მინუს ოპერაციული ხარჯები და გადასახადები. აქედან გამომდინარე:

$$\text{ROE} = \frac{\text{შემოსავალი} - \text{ოპერაციული ხარჯები} - \text{გადასახადები}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

აღნიშნული დამოკიდებულება მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქციონერებზე მიმართული მოგება უდიდესი ხარისხით მგრძნობიარეა იმაზე, თუ რომელი წყაროების ხარჯზე ხდება ბანკის რესურსების გაფართოება, რა უფრო მეტად გამოიყენება – საკალო ვალდებულებები, თუ ბანკის მფლობელთა სახსრები. ROA-ს დაბალი დონის პირობებში ბანკმა შეიძლება მიაღწიოს შედარებით მაღალი დონის ROE-ს საკალო ვალდებულებების ფართო გამოყენებისა (საკუთარი და სესხებული სახსრების თანაფარდობის გაზრდა) და აქციონერების კაპიტალის ნაკლებად გამოყენების გზით.

ზოგადობრივად, ROE-ს და ROA-ს ურთიერთკავშირი ერთმნიშვნელოვნად რისკიანობასა და მოგებიანობას შორის იმ ფუნდამენტალურ ურთიერთდამოკიდებულებას აჩვენებს, რომელსაც ბანკის მენეჯერები აწყდებიან. ბანკისათვის, რომლის პროგნოზირებადი მაჩვენებელი ROA მიმდინარე წელს შეადგენს დაახლოებით 1%-ს, ყოველი ლარზე 10 ლარის აქტივები იქნება საჭირო,

იმისათვის, რომ ROE-ს მაჩვენებელმა მიაღწიოს 10%-ს. ამრიგად, ROE-ს მნიშვნელობა ტოლი იქნება:

$$ROE = ROA \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საქციო კაპიტალი}} = \frac{0.01 \times 10 \times 100}{1} = 10\%.$$

მაგრამ, თუ მოსალოდნელია, რომ საბანკო მაჩვენებლის – ROA-ს შემცირება მოხდება 0,5%-მდე, მაშინ ROE-ს დონის 10%-მდე მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალის ყოველი ლარი უზრუნველყოფს 20 ლარის აქტივს. სხვა სიტყვებით:

$$ROE = \frac{0{,}005 \times 20 \times 100}{1} = 10\%.$$

8.5. მოგების საკუთარ კაპიტალზე შეფარდების დეკომპოზიციური ანალიზი – დიუპონის მოდელი

საბანკო ფინანსების ანალიზის სხვადასხვა მიდგომა არსებობს. თანამედროვე მიმართულებაა მოგების საკუთარ კაპიტალზე შეფარდების დეკომპოზიციური ანალიზი კომპანია დიუპონის მიხედვით. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს დოქტრინა Return of Investment (ROI), ე.ი. ორგანიზაციის შემოსავლიანობის საკუთარ კაპიტალზე გაანგარიშების ანალიზი. დიუპონის ფორმულაში გაერთიანებულია რენტაბელობისა და აქტივების გამოყენების მაჩვენებლები. მისი საშუალებით შეიძლება ერთ მთლიანობაში იქნეს დაკავშირებული ყველა ძირითადი ფინანსური პარამეტრი. ამ მოდელის კომპონენტები არის კოეფიციენტები, ე.ი. თანაფარდობები. კოეფიციენტები მოსახერხებელი ფორმაა ორი სახის ინფორმაციის ერთში შეკუმშვისათვის. ამ დროს ახალი ინფორმაცია არ იქმნება, ხოლო არსებული ინფორმაცია შეიძლება დაიკარგოს შემდგომი ანალიზის გარეშე. კოეფიციენტები მოიცავენ შეზღუდულ ინფორმაციულ შინაარსს. ამიტომ საჭიროა სტანდარტები ან ნორმები, რომლებსაც ის შეიძლება შეუდარდეს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშ-

ების შეფასებისას ხდება საქმიანობის ტენდენციების ანალიზი ან შედარება იმავე პერიოდისათვის ანალოგიურ ორგანიზაციებთან. კოეფიციენტების ანალიზის დროს გამოიყენება მხოლოდ მიმდინარე და გასული საბუღალტრო და არა მომავლისათვის გაანგარიშებული მონაცემები.

რა თქმა უნდა, ხშირად საბანკო საბალანსო შეფასებები არ ემთხვევა საბაზრო შეფასებებს, მაგრამ მათი ანალიზი საბანკო საქმიანობის შედეგების გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია. იმისათვის, რომ საბუღალტრო მონაცემებმა არ გამოიწვიოს შეცდომაში შეყვანა, აუცილებელია რისკების მიხედვით აქტივების შეფასების კორექტირება.

ROE-ს ბაზაზე მოგებიანობის მეტად მნიშვნელოვანი ფორმულა იებულობს შემდეგ სახეს:

$$ROE = \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{ოპერაციული შემოსავალი}} \times \frac{\text{ოპერაციული შემოსავალი}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საქციო კაპიტალი}}$$

ან ROE = მოგების წმინდა მარჟა × აქტივების გამოყენების კოეფიციენტზე × სააქციო კაპიტალის მულტიპლიკატორზე,

სადაც:

$$\text{ბანკის მოგების წმინდა მარჟა (NPM)} = \frac{\text{მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ}}{\text{ოპერაციული შემოსავალი}}$$

$$\text{ბანკის აქტივების გამოყენების კოეფიციენტი (AV)} = \frac{\text{ოპერაციული შემოსავალი}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{კაპიტალის მულტიპლიკატორი (EM)} = \frac{\text{აქტივები}}{\text{საქციო კაპიტალი}}$$

მოცემული არცთუ რთული ტოლობების ყოველი ელემენტი წარმოადგენს საბანკო ოპერაციის ამა თუ იმ ასპექტს (ნახაზი 8.1.).


მაგალითად:

ბანკის მოგების წმინდა მარჯა (NPM)	ასახავს →	დანახარჯების მართვის ეფექტიანობას და საბანკო მომსახურებაზე ფასების დადგენის პოლიტიკას.
ბანკის აქტივების გამოყენების კოეფიციენტი (AV)	ასახავს →	პორტფელის მართვის პოლიტიკას (განსაკუთრებით, აქტივების სტრუქტურის და მასზე შემოსავლების მიხედვით).
კაპიტალის მულტიპლიკატორი (EM)	ასახავს →	საფინანსო ბერკეტს, ანუ პოლიტიკას დაფინანსების სფეროში: საბანკო რესურსების ფორმირების შერჩეული წყაროები (სავალო ვალდებულება ან საკუთარი კაპიტალი).

აღნიშნული მაჩვენებლებიდან თუ რომელიმე დაიწყებს შემცირებას, მაშინ მენეჯერებმა უნდა მიაქციონ ამას საფუძვლიანი ყურადღება და გამოავლინონ ცვლილებების მიზეზები.

კაპიტალის მულტიპლიკატორი (EM) წარმოადგენს ბანკის ფინანსური ბერკეტის დონის პირდაპირ მაჩვენებელს, ე.ი. იმას, თუ აქციების რა რაოდენობის დოლარმა უნდა უზრუნველყოს სააქციო კაპიტალის ყოველი დოლარი და, შესაბამისად, ბანკის რესურსების რომელი ნაწილი შეიძლება წარმოიწნდეს სავალო ვალდებულების ფორმით. რამდენადაც სააქციო კაპიტალმა უნდა დაფაროს აქტივების მიხედვით ბანკის ზარალი, იმდენად, რაც უფრო მაღალია მულტიპლიკატორის დონე, მით უფრო მაღალია ბანკის გაკოტრების რისკის ხარისხი. მაგრამ, რაც უფრო მაღალია მულტიპლიკატორის მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ბანკის პოტენციალი აქციონერთათვის უფრო მაღალი დონის დივიდენდების გადახდისათვის.

კაპიტალის მულტიპლიკატორი, ეს არის ბანკის უნარი, მოახდინოს მაქსიმალური მოცულობის დეპოზიტების მოზიდვის და კრედიტების გაცემის შესაძლებლობის რეალიზაცია, ანუ ჯაჭვის – „დეპოზიტი-სესხის“ გაფართოება ბანკის კაპიტალის ერთ ფულად ერთეულზე. სხვა სიტყვებით, ეს არის ბანკის კაპიტალის უნარი, ისე მოიზიდოს ფულადი რესურსები, რომ არ დაარღვიოს ბანკის საქმიანობის მდგრადობა და შემოსავლიანობა.



სახაზი 8.1. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საბანკო მოგების დონეს სააქციო კაპიტალის ერთეულზე გაანგარიშებისას (ROE)

მოგების წმინდა მარჯა (NPM), ანუ წმინდა მოგების თანაფარდობა ერთობლივ შემოსავლებთან, აგრეთვე, ნაწილობრივ არის მენეჯერების მხრიდან მართვისა და კონტროლის ობიექტი. მოცემული მაჩვენებელი მიგვანიშნებს, რომ ბანკს შეუძლია გაზარდოს საკუთარი შემოსავლები და აქციონერებისათვის გადახდების სიდიდე დანახარჯებზე ეფექტიანი კონტროლისა და შემოსავლების მაქსიმიზაციით.

მენეჯერებს ანალოგიური სახით შეუძლიათ გაზარდონ **ბანკის აქტივების საშუალო შემოსავლიანობა (AV)**, ანუ აქტივების გამოყენება მეტად შემოსავლიანი კრედიტებისა და ინვესტიციების სასარგებლოდ ბანკის აქტივების შეწონილი გადანაწილების გზით, რისკების ზრდის თავიდან აცილების პირობებში.

ROE-ს გაანგარიშების ფორმულაში უმნიშვნელო კორექტივების შეტანა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ შემდეგი განტოლება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბანის მართვის ოთხ სფეროში პრობლემების გამოსავლენად:

$$\mathbf{ROE} = \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{მოგება გადასახადების გადახდამდე და ფასიანი ქაღალდების მიხედვით მოგების (ზარალის) გაუთვალისწინებლად}} \times \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდამდე და ფასიანი ქაღალდების მიხედვით მოგების (ზარალის) გაუთვალისწინებლად}}{\text{ოპერაციული შემოსავალი}} \times$$

$$\times \frac{\text{ოპერაციული შემოსავალი}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

ან

$$\mathbf{ROE} = \text{გადასახადების მართვის ეფექტიანობა} \times \text{დანახარჯების კონტროლის ეფექტიანობა} \times \text{აქტივების მართვის ეფექტიანობა} \times \text{რესურსების მართვის ეფექტიანობა}$$

მაგალითად, ვივარაუდოთ, რომ ბანკის საბოლოო ბალანსი და მოგების, ხარჯებისა და შემოსავლების ანგარიში შეიცავს შემდეგ ციფრებს:

- მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ = 1,0 მლნ ლარს.
- მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ და ფასიანი ქაღალდების მიხედვით მოგების (ზარალის) გაუთვალისწინებლად 1,3 მლნ ლარს.
- ოპერაციული შემოსავალი = 39,3 მლნ ლარს.
- აქტივები = 122,0 მლნ ლარს.
- სააქციო კაპიტალი = 7,3 მლნ ლარს.

მოცემული ბანკის ROE-ს მაჩვენებელი უნდა გამოიყურებოდეს შემდეგი სახით:

$$\mathbf{ROE} = \frac{1.0}{1.3} \times \frac{1.3}{39.3} \times \frac{39.3}{122.0} \times \frac{122.0}{7.3} =$$

$$= 0.769 \times 0.033 \times 0.322 \times 16.71 = 0.137,$$

ანუ 13.7%.

ნათელია, თუ დასახელებული ოთხი მაჩვენებლიდან ერთ-ერთი იკლებს შემცირებას, მაშინ მენეჯერებმა აუცილებლად უნდა მოახდინონ ამ სფეროში საქმიანობის ორგანიზაციის ეფექტიანობის ანალიზი. მაგალითად, თუ თანაფარდობა – „წმინდა მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ / მოგება გადასახადის გადახდამდე და ფასიანი ქაღალდების მიხედვით მოგების (ზარალის) გაუთვალისწინებლად“ მცირდება 0.769-დან 0.610-მდე მომავალ წელს, მაშინ მენეჯერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ როგორ ხორციელდება საგადასახადო დაგეგმვა და მისი შესრულების კონტროლი.

თუ გადასახადის გადახდამდე და სპეციალური ღონისძიებების ლიკვიდაციამდე წმინდა მოგების თანაფარდობა ოპერაციულ შემოსავლებთან მცირდება 0.033-დან 0.025-მდე შემდეგი წლისათვის, მაშინ ბანკმა აუცილებლად უნდა განიხილოს ოპერაციულ დანახარჯებზე კონტროლის ეფექტიანობის საკითხი.

თუ ოპერაციული შემოსავლების აქტივებთან თანაფარდობა მკვეთრად მცირდება (0.322-დან 0.270-მდე), მაშინ აუცილებელია აქტივების პორტფელის ფორმირების პოლიტიკის საფუძვლიანი ანალიზი იმის დასადგენად, ხომ არ არის მოცემული დაცემა გამოწვეული იმ ფაქტორებით, რომლებიც შეიძლება იყოს მენეჯერების კონტროლის ობიექტი.

საქართველოს საბანკო სექტორში თანამედროვე პირობებში კოეფიციენტები ROE და ROA ბანკების ანალიზისათვის საკმაოდ ფართოდ გამოიყენება, თუმცა ისინი რისკის ასპექტებს არ ითვალისწინებენ.

ევროპული ბანკები ამერიკულებთან შედარებით საკუთარი კაპიტალის უფრო დაბალი შემოსავლიანობის დემონსტრირებას ახდენენ. ამავე დროს, მოგებისა და აქციების კურსის მზარდი ტენდენციებიდან გამომდინარე, ამერიკული ბანკების აქციონერების ფასიანი ქაღალდების ღირებულება მრავალჯერადად გაიზარდა.

ამასთან, საინტერესოა, რომ ევროპული ბანკების ფასის (ღირებულება) თანაფარდობა მოგებასთან, საშუალოდ, რამდენადმე მაღალია, ვიდრე ამერიკელების. შვეიცარიის და გერმანული ბანკების. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მაჩვენებლები ამერიკულთან შედარებით გვიჩვენებს, რომ ევროპული ბანკების ფასის თანაფარდობით მოგებასთან, საშუალოდ, 20%-ით უფრო მაღალია. თუმცა მიგვაჩნია, რომ ასეთი სიტუაცია ევროპის ბანკებისათვის მომავალში, გლობალური დარგობრივი ანალიზისას, კაპიტალისადმი მოგებიან პირობებში მიღწევადობაზე კონკურენტული ბრძოლის პირობებში შეიძლება ძალიან საშიში აღმოჩნდეს. ის, ვინც მხოლოდ „აქტივების აკუმულაციაზე“ ორიენტირდება და კაპიტალის განთავსების რაციონალურობის შესახებ ავიწყდება, აქციონერების მიერ იქნება დასჯილი.

ისმება კითხვა: ბანკები, როგორც კაპიტალის აქტიური მომხმარებლები, ართმევენ თუ არა თავს მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას? უნდა აღინიშნოს, რომ ერთ თანამშრომელზე საკუთარი კაპიტალის სიდიდე ბანკებში 3-10-ჯერ უფრო მაღალია,

ვიდრე სხვა დარგებში, და ეს მაშინ, როდესაც საკუთარი კაპიტალის წილი დაბალია: სულ, მიახლოებით, 7%-მდეა. მაგალითად, Credit Suisse Group-ში ერთ თანამშრომელზე ბანკის საკუთარი კაპიტალის, მიახლოებით, 500 ათ. ფრანკი მოდის.

რამდენად რაციონალურად და პერსპექტიულად არის განთავსებული კაპიტალი, როგორც დაბანდებულ კაპიტალზე კომპანიის ეფექტური შემოსავლის უმნიშვნელოვანესი გრძელვადიანი საფუძველი? როგორია საერთაშორისო კონვერგენციის პირობებში საკუთარ კაპიტალში და საქმიანობის საერთო ორიენტირებაში მოთხოვნილებების ფინანსური დარგის ჩარჩოებში განთავსების შესაძლებლობები? არ არსებობს ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც ბანკის გარეშე მთლიანად დარგისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული.

შემოსავალი აქციონერულ კაპიტალზე (return on equity-ROE), ანუ საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობა, აგრეთვე, **მოგება აქტივებიდან** (return on assets - ROA) – როგორც შემოსავალი ჯამური აქტივებიდან (პროცენტებში გამოსახული სიდიდე), როგორც ადრეც, ბანკებისათვის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის ყველაზე ხშირად და ყველაზე ხშირად გამოყენებად ფარდობით მაჩვენებლებს წარმოადგენენ. ROE და ROA-ს მაღალ მნიშვნელობებს, ჩვეულებრივად, კომპანიის აქციონერული ღირებულების ამაღლებამდე მივყავართ.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, ROE მაჩვენებელს გადამწყვეტი უპირატესობა გააჩნია ROA-ს წინაშე: საკუთარი კაპიტალი „მანიპულაციებთან“ მიმართებაში ნაკლებად შეიქნილია, ვიდრე მისი შედგენის დღისათვის ბალანსის ჯამი. საბალანსო ჯამის მნიშვნელობა მცირდება კრედიტებისა და ფასიან ქაღალდებში სესხების ზრდით, რეპორტული გარიგებებით, დერივატებითა და დამატებითი გარესაბალანსო გარიგებებით. ამავე დროს, ROA საკუთარი კაპიტალის დანახარჯებს არ მოიცავს.

ცალკეული მკვლევარი ROE და ROA კონცეფციების შემდეგ ექვს ნაკლოვანებაზე მიუთითებს:

1. ROE/ROA-ს საფუძვლად საბალანსო ღირებულებას და გასული წლების მაჩვენებლებს იყენებენ. ანარიცხებმა სარეზერვო ფონდში შეიძლება მოგებისა და საბალანსო ღირებულების მნიშვნელობები დაამახინჯონ.

2. საბაზრო შეფასებას, პრინციპში, თეორიაშიც უპირატესობა ენიჭება საბალანსო შეფასებასთან შედარებით.

3. ROE/ROA თავს არიდებენ მოქნილობას, ანუ ძირითადი პირობის ცვლილებების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის გათვალისწინებას.

4. მაჩვენებლები ROE/ROA არსებულ რისკებს არ ითვალისწინებენ. ROE-ს მაღალი მნიშვნელობა რეზერვების არარსებობისას შეიძლება ეფექტიანობის შესახებაც და რისკებისადმი მიდრეკილების შესახებაც მოწმობდეს.

5. ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისი საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობა (ROE), მთლიანობაში, უფრო საიმედო სიდიდეა, ვიდრე ROA, რომელიც ბუღალტერიაზეა დამოკიდებული.

6. კომპანიის ღირებულების შეფასება, როგორც აქციონერული ღირებულება პლუს გადახდები, მაინც უფრო ჯობია ROE/ROA-ს კონცეფციაზე.

თუმცა, აღნიშნულ უდავო ნაკლოვანებებს ბანკებისათვის ROE/ROA კონცეფციების **ექვსი მნიშვნელოვანი უპირატესობა უპირისპირდება:**

1. იმისთვის, ვინც „ბაზარზე" მუშაობს, ცნობილია, თუ როგორ და რა მიზეზებით წარმოიშობა „საბაზრო ფასები". საბანკო აქციის ფასის მკვეთრად დაცემის თანმხლები საბანკო საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა ნამდვილად გვიჩვენებს საბაზრო ღირებულებას? რამდენად საიმედოა საბაზრო ღირებულება, თუ შესაბამის ბანკს ჰქონდა გარანტიები? რამდენად რთულია, თუკი საერთოდ შესაძლებელია, ცალკეული პროდუქტის საბაზრო ფასების მიღება? საბაზრო ღირებულება სუფთა აკადემიური თეორიისათვის ზედმეტად მიმზიდველია, მაგრამ, პრაქტიკაში, ხშირად გაანგარიშებებისათვის ბაზის სახით არასაიმედოა.

2. სხვა დარგებისაგან განსხვავებით ბანკის საკუთარ კაპიტალს უპირისპირდებიან სრულიად „გაზომვადი" ფული ან ინვესტიციები და გარკვეული ხარისხით – რეპუტაცია (Goodwill), აგრეთვე, გაანგარიშებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმოების საშუალებებზე ამორტიზებული ანარიცხები.

3. ერთი ქვეყნის ბანკები, როგორც არცერთი სხვა დარგი, ვალდებულებები არიან საკუთარი კაპიტალის მინიმალური რეზერვების შესახებ მიწერილობები დაიცვან. რეზერვების გარკვეული სახეობებისათვის, ისეთების, როგორიცაა ეროვნული საბანკო რეზერვები, ყველასათვის ერთნაირი, ან მსგავსი მინიმალური მიწერილობები არსებობენ. ამიტომ, სწორედ აღნიშნული ქვეყნების „ელიტა" ანალოგიური ყოველწლიური რისკით და ინფლაციის იდენტური პარამეტრებით ROE/ROA-თან მიმართებაში სავალდებულო შედარებებს ექვემდებარება.

4. აქციონერებისათვის ბანკმა უნდა უზრუნველყოს მოგება, რომ კაპიტალისადმი მოთხოვნა და ახალი საკრედიტო ხაზების მიღების შესაძლებლობა შეინარჩუნოს. საბანკო ზედამხედველი, ანგარიშგების საიმედო გაძღოლაზე და კრედიტორის სამართლებრივ დაცვაზე ახორციელებს დაკვირვებას, ანუ მოგება არ შეიძლება შეგნებულად გადიდდეს ან შემცირდეს.

5. წინა წლების შემოწმებულ მონაცემებს უპირისპირდებიან სააღრიცხვო პროცენტის მოსალოდნელი განაკვეთიანი სამომავლო სააღრიცხვო სიდიდეების არასაიმედო პროექციები, რომლებიც „ძალიან მოშორებულ მომავალზე" არიან ნაწილობრივ ორიენტირებულები.

6. კონცეფციები ROE და ROA თავისკენ მიგვიმხრობენ სიმარტივით, მკაფიობით და თვალსაჩინოებით და, სხვა დარგების საპირისპიროდ, მსგავსი სტრუქტურიანი ბანკების შედარებისათვის სწორედ სამართლებრივებს და მოხერხებულებს წარმოადგენენ.

კონცეფცია ROE შეიძლება, მაგალითისათვის, არა მარტო ჯამური საკუთარი კაპიტალის ეფექტიანობის შეფასებისათვის იქნეს გამოყენებული, არამედ ბანკის საქმიანობის ცალკეულ სფეროზეც იქნეს გადატანილი. ROE, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სახსრების დიდწილიანი დარგებისათვის არის მისაღები.

ROE-ს მარტივი ფორმულის გაფართოებული ფორმა აღნიშნულ სიდიდეს განიხილავს, როგორც მეორეს საკუთარ კაპიტალში დანახარჯების მოთხოვნილების მაჩვენებლის შემდეგ. კაპიტალის სფეროების საქმიანობის მიხედვით მხოლოდ ნორმატიული დებულებების საფუძველზე განაწილება მხედველობიდან უშვებს რისკთან დაკავშირებულ ეკონომიკურ თვალსაზრისებს.

უფრო მეტიც, კონცეფციები ROE და ROA საქმიანობის სხვადასხვა სახეობისათვის სხვადასხვა რისკის ასპექტებს იგნორირებენ. ამიტომ სულ უფრო აქტიურად ინერგება მეთოდი **„მოგების შეფასება რისკის ხარისხის გათვალისწინებით“** (risk adjusted profitability measurement - **RAPM**). მეთოდი RAPM-ის მიზანს, შეთავსებადობისა და შედარებადობის საფუძველზე, სხვადასხვა რისკიანი და შემოსავლიანი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიხედვით კაპიტალის განთავსება წარმოადგენს.

დამატებით მეთოდიკა RAPM შეიძლება გამოყენებულ იქნეს: ფასების, ლიმიტების კალკულაციისათვის, შედეგიანობის განსაზღვრისათვის, საქმიანობის სფეროების მიხედვით პორტფელის მართვისათვის და კაპიტალის მოთხოვნილების შეფასებისათვის. RAPM-ი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სფეროში: ბანკისათვის მთლიანობაში, დეპარტამენტებისათვის, რეგიონებისათვის, გეოგრაფიული რეგიონისათვის ან საკლიენტო სეგმენტებისათვის.

RAPM-ი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ტრადიციული ROE-ს ვარიანტი, ამასთან, გამოიყოფა ორი ძირითადი მეთოდი:

1. შემოსავალი შეფარდებული კაპიტალთან, შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით (return on risk adjusted capital-RORAC):

$$\text{RORAC} = \frac{\text{შემოსავალი}}{\text{კაპიტალი, შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით}} = X\%$$

2. შემოსავალი შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით შეფარდებული კაპიტალთან (risk adjusted return on capital - RORОC):

$$\text{RORОC} = \frac{\text{შემოსავალი, შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით}}{\text{კაპიტალი}} = X\%$$

მეთოდები RORAC და RORОC კაპიტალის როგორც საბაზრო, ასევე, საკრედიტო რისკებსაც ითვალისწინებენ.

მეთოდიკა RAPM-კენ მიგიმხრობს ძირითადი მიზანი – რისკის ხელფასებისათვის საერთო ბაზის შექმნა. თუმცა, პრაქტიკაში, სასარგებლო და შედარებადი შედეგების მიღებაში არსებითი პრობლემები წარმოიშობა. RORAC-ი, მაგალითისათვის, მენეჯმენტისათვის შემდეგი სახის სირთულეებს ქმნის:

- შემოსავლებისა და დანახარჯების დადგენა პროდუქტების, ოპერაციონების, კლიენტების და ა.შ. მიხედვით;
- რისკის სხვადასხვა კატეგორიის დადგენა, შესაბამისი კორექტირებების ჩართვით;
- რისკის მნიშვნელობის დადგენა და გაანგარიშება;
- კაპიტალის შეფასებაზე პასუხისმგებლობა რისკის ხარისხის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებულმა „ROE-ს კულტურამ“ ფასების დადგენის სფეროში მგრძნობიარობის ამაღლებაში უკვე შეუწყნარა და საკრედიტო შეთანხმებები უფრო რაციონალური

გახადა. თუმცა ROE-ს კონცეფციას დღეს გაუმჯობესებული და მეთოდური გამოყენება სჭირდება.

რაც შეეხება მეთოდიკა RAPM-ს, რომელიც თანამედროვეს და ახალ ინსტრუმენტს წარმოადგენს, საერთო საბანკო ტენდენციების ანალიზით და ყველაზე პერსპექტიული მიმართულებების შერჩევით (top-down) – ზევით-ქვევით, საკუთარი უტყუარობის წყალობით, თავისთავში სრულყოფის შესაძლებლობებს მალავს, რაც მეტად სასარგებლოა.

მხოლოდ „თანასწორ“ კონკურენტულ გარემოში კონკურენცია წარმოადგენს გარკვეულ ხარისხამდე, შეუბღალავს (პატიოსანი), ხოლო ფინანსური ბაზარი – ეფექტიანს: ქვეყნისათვის და ბანკებისათვის კაპიტალის უფრო რაციონალური განთავსება არა არჩევის, არამედ აუცილებლობის საკითხია. მხოლოდ კაპიტალის განთავსების გაუმჯობესება უზრუნველყოფს დროის ხანგრძლივ განმავლობაში შესაბამისი რისკიანი კაპიტალის შედარებით მიმზიდველ შეფასებას. თუ საკუთრებაში შესაბამისი მოგების არმომტანი დიდი მოცულობის საკუთარი კაპიტალი არსებობს, ROE-ს მნიშვნელობის ამაღლება საკმაოდ ადვილია: კაპიტალის დაფარვის (ჩამოწერის) გზით ან საკუთარი კაპიტალის ამორტიზაციაზე პირდაპირი არაგეგმიური ჩამოწერის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი.

1. **შესწავლილია** ბანკის მოგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები: **შემოსავალი აქციონერულ კაპიტალზე** (return on equity - ROE):

$$ROE = \frac{\text{წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{საქციო კაპიტალი}},$$

და **მოგება აქტივებიდან** (return on assets - ROA):

$$ROA = \frac{\text{წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{ერთობლივი კაპიტალი}},$$

როგორც ბანკებისათვის, ანუ ბანკირებისათვის დღეს მოქმედი ეფექტურობის განსაზღვრული ფარდობითი მაჩვენებელი, რომლებიც არსებულ რისკებს არ ითვალისწინებენ.

2. **აღნიშნულია,** რომ მაჩვენებელ ROE-ს უფრო გადამწყვეტი უპირატესობა გააჩნია მაჩვენებელ ROA-სთან მიმართებაში: საკუთარი კაპიტალი „მანიპულაციებთან“ მიმართებაში ნაკლებად მოქნილია, ვიდრე ბალანსის ჯამი მისი შედგენის დღისათვის.

3. **ჩამოყალიბებულია** ROE და ROA კონცეფციების ძლს-ძლსი ნაკლოვანება და უპირატესობა. ნაკლოვანებებში მითითებულია: მაჩვენებლებს საფუძვლად საბალანსო ღირებულება და გასული წლის მაჩვენებლები უდევს და არა საბაზრო შეფასება, ასევე, ისინი არსებულ რისკებს არ ითვალისწინებენ. უპირატესობებში აღნიშნულია: საბანკო აქციების ფასის მკვეთრად დაცემას თან ახლავს საბანკო საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი ზრდა.

4. **შემოთავაზებულია** საბანკო კაპიტალის რისკიანობისა და შემოსავლიანი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ახალი მეთოდი: „მოგების შეფასება რისკის ხარისხის გათვალისწინებით“ (risk adjusted profitability measurement - RAPM) ორი მეთოდოლოგიით:

- **შემოსავალი** შეფარდებული **კაპიტალთან შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით** (return on risk adjusted capital - RORAC):

$$RORAC = \frac{\text{შემოსავალი}}{\text{კაპიტალი, შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით}} = X\%$$

- **შემოსავალი შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით** შეფარდებული **კაპიტალთან** (risk adjusted return on capital - ROROC):

$$ROROC = \frac{\text{შემოსავალი, შეფასებული რისკის ხარისხის გათვალისწინებით}}{\text{კაპიტალი}} = X\%$$

8.6. მოგების ფინანსური ანალიზის პროცედურების შეჯამება

შემმოწმებელმა უნდა მოიპოვოს და/ან განიხილოს შემდეგი ინფორმაცია:

– ბანკის მიმდინარე ფინანსური უწყისი და სებ-ში წარსადგენი უახლოესი კვარტლის დამატებითი ცხრილები. შიდა სამუშაო უწყისებთან შედარების საფუძველზე შემოწმებულ იქნეს სებ-ში წარდგენილი ყველა ანგარიშგება სწორად არის თუ არა მომზადებული. ამ პროცედურის კოორდინაცია უნდა განხორციელდეს ბანკის კაპიტალის შეფასებაზე მომუშავე ინსპექტორთან.

– იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი შეცდომებია გამოვლენილი სებ-ში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში, უზრუნველყოფილ იქნეს ბანკის მიერ ფინანსური ფორმების ხელახალი წარდგენა შეცდომების გარეშე.

– შემოწმების პროცესში უნდა გაანალიზდეს წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

– ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალი, როგორც საშუალო აქტივების პროცენტი, უნდა შეუდარდეს მსგავსი ბანკების ჯგუფის მაჩვენებელს, რომ დადგინდეს, რამდენად ძლიერი ან სუსტია ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალი ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

– განხილულ უნდა იქნეს სპრედი საპროცენტო ხასიათის აქტივების უკუგების და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტებს შორის. ბანკის სპრედი შედარებულ უნდა იქნეს ჯგუფის მონაცემებთან და განისაზღვროს, თუ რითია განპირობებული ეს სხვაობა საპროცენტო ხასიათის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტის განსხვავებით, საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტის განსხვავებით, თუ ორივეთი. უნდა გაანალიზდეს ბანკის საპროცენტო შემოსავალი, როგორც საშუალო აქტივების პროცენტი.

– განხილულ უნდა იქნეს UBPR-ის ინფორმაცია ცვლილების ტენდენციის შესახებ, შეიმჩნეოდა თუ არა საპროცენტო შემოსავლის, როგორც საშუალო აქტივების პროცენტის, მნიშვნელოვანი ცვლილება. შემმოწმებელმა, ასევე, უნდა განსაზღვროს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან ერთად სხვა ფაქტორი, მაგალითად აქტივების სტრუქტურის ცვლილება ხომ არ ახდენდა გავლენას უკუგების კოეფიციენტის ცვლილებაზე.

– ბანკის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი შედარებულ უნდა იქნეს ჯგუფის მონაცემებთან და დადგინდეს, ცვლილება გამოწვეული იყო აქტივების ცვლილებით, თუ სხვადასხვა ტიპის აქტივებზე უკუგების კოეფიციენტების ცვლილებით. განსაზღვრულ უნდა იქნეს ბანკის აქტივები ზოგადად უფრო გრძელვადიანია, თუ მოკლევადიანი ჯგუფთან შედარებით და მისი საშუალებით არის თუ არა შესაძლებელი ცვლილების ახსნა.

– გაანალიზებულ უნდა იქნეს საბალანსო უწყისში ბანკის დარიცხული საპროცენტო შემოსავლის ანგარიში.

– აქტივების ხარისხის შეფასებაზე მომუშავე ინსპექტორებთან ერთად განსაზღვრულ უნდა იქნეს, ხომ არ არის დარიცხულ საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებული რომელიმე აქტივი სპეციფიურად კლასიფიცირებული.

– უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დარიცხული საპროცენტო შემოსავლის სათანადოდ შემცირება, რათა ასახოს ცვლილებები შესაბამისი აქტივების საკრედიტო ხარისხში.

– გაანალიზებულ უნდა იქნეს ბანკის საპროცენტო ხარჯი, როგორც საშუალო აქტივების პროცენტი.

– განხილულ უნდა იქნეს UBPR-ის ინფორმაცია ცვლილების ტენდენციის შესახებ, ჰქონდა თუ არა ადგილი საპროცენტო ხარჯის, როგორც საშუალო აქტივების პროცენტის მნიშვნელოვან ცვლილებას. განსაზღვრულ უნდა იქნეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გარდა, როგორიცაა ვალდებულებების

ნაკრების ცვლილება, რამ განაპირობა საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტის ცვლილება.

– შედარებულ უნდა იქნეს ბანკის საპროცენტო ხასიათის ვალდებულებების კოეფიციენტი ჯგუფის მონაცემებთან. დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი ცვლილებას, რით იყო იგი გამოწვეული ვალდებულებების ცვლილებით, თუ სხვადასხვა ტიპის ვალდებულებებზე მიღებული შემოსავლის ცვლილებით.

– თუ ბანკი დეპოზიტებზე ან სხვა ვალდებულებებზე იხდის უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს მსგავს ბანკებთან შედარებით, უნდა დადგინდეს სხვაობის მიზეზები (სწრაფი ზრდა, დეპოზიტების მიღების სირთულე და სხვ).

– ბანკის მიერ სებ-თვის ყოველთვიურად წარდგენილი GAP-ის ანგარიშგების გამოყენებით განსაზღვრულ უნდა იქნეს, გაიზრდება თუ შემცირდება ბანკის სპრედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ან შემცირების შემთხვევაში.

– უნდა შეუდარდეს ბანკის წმინდა საპროცენტო პოზიცია ჯგუფის მაჩვენებლებს. დადგინდეს ნებისმიერი შედარებითი სისუსტის მიზეზები (კაპიტალის დაბალი დონე, უმოქმედო აქტივების დიდი რაოდენობა და ა.შ.).

– ბანკის საკომისიო შემოსავალი შედარებულ უნდა იქნეს ჯგუფის მაჩვენებელთან და აღიწეროს ნებისმიერი შესამჩნევი ტენდენცია.

– განსაზღვრულ უნდა იქნეს, წარმოებს თუ არა საკომისიოს მიღება სტაბილური წყაროებიდან, როგორიცაა გადარიცხვები ან სადეპოზიტო სეიფის ყუთები, ან ცვალებადი წყაროებიდან, როგორცაა საკომისიო შემოსავალი სამთავრობო ხელშეკრულებებიდან ან სხვა მსხვილი კლიენტებიდან. თუ სამთავრობო ხელშეკრულებებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბანკის მოგების ფორმირებაში, შემოწმების აქტში

აღნიშნულ უნდა იქნეს ბანკზე ამ ფაქტის შესაძლო უარყოფითი გავლენის შესახებ.

– გაანალიზებულ უნდა იქნეს ბანკის ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული მოგება (ეი მოგება/ზარალი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან და უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან).

– ბანკის მენეჯმენტთან ერთად განხილულ უნდა იქნეს უჩვეულოდ მაღალი მოგების ან ზარალის მიზეზები.

– ბანკის მიერ ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული მოგება შედარებულ უნდა იქნეს ჯგუფის მაჩვენებლებთან.

– განხილულ უნდა იქნეს UBPR-ში მოცემული ცვლილების ტენდენცია და განსაზღვრული მოგების წყარო შედარებით სტაბილურია, თუ ძლიერ იცვლება კვარტლიდან კვარტლამდე. თუ იცვლება, გამოთვლილ უნდა იქნეს, ბოლო რამდენიმე კვარტლის განმავლობაში მიღებული საშუალო მოგება და შედარებული ჯგუფის მაჩვენებელთან.

– გაანალიზებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ხარჯები.

– ბანკის ადმინისტრაციული ხარჯების საშუალო აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი უნდა შეუდარდეს მსგავსი ბანკების ჯგუფს და აღიწეროს ნებისმიერი შესამჩნევი ტენდენცია. თუ ადმინისტრაციული ხარჯები უჩვეულოდ მაღალია, გარკვეულ უნდა იქნეს, მონაწილეობს თუ არა ბანკი მაღალ ხარჯებთან დაკავშირებულ ოპერაციებში ჩვეულებრივზე უფრო მეტად. ეს ოპერაციები შეიცავენ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და მომსახურებებს, საიდანაც საკომისიო შემოსავლის მიღება ხდება.

– თუ ადმინისტრაციული ხარჯები მაღალია, ადმინისტრაციული ხარჯების ძირითადი კომპონენტები, როგორც მთლიანი აქტივების პროცენტი, უნდა შეუდარდეს ჯგუფის მაჩვენებლებს, რათა განისაზღვროს, თუ რომელი კომპონენტია უჩვეულოდ განსხვავებული.

– თუ მთლიანი პერსონალის კომპენსაცია და ხარჯები (საოფისე ხარჯები UBPR-ში) მაღალია, უნდა დადგინდეს ამის მიზეზი უჩვეულოდ მაღალი ხელფასებია, თუ თანამშრომელთა ზედმეტი რაოდენობა.

– ბანკის წმინდა საოპერაციო შემოსავლის (წმინდა შემოსავალი დარეზერვებამდე UBPR-ში) საშუალო აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი უნდა შეუდარდეს ჯგუფის მაჩვენებლებს და აღიწეროს მისი ცვლილების ნებისმიერი შესამჩნევი ტენდენცია. შემმოწმებელმა უნდა შეაჯამოს უჩვეულოდ მაღალი ან დაბალი წმინდა საოპერაციო შემოსავლის ძირითადი მიზეზები.

– შემმოწმებელმა უნდა გააანალიზოს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესაქმნელად გაწეული ხარჯები.

– ბანკის ამ ტიპის ხარჯების საშუალო აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი შედარებულ უნდა იქნეს ჯგუფის მაჩვენებლებთან და აღწერილი ნებისმიერი შესამჩნევი ტენდენცია. შედარება უნდა განხორციელდეს მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების პერიოდისთვის და საშუალო წინა სამი-ოთხი პერიოდისთვის.

– უნდა დადგინდეს, ბანკის მიერ გატარებული ზარალი აღემატება თუ არა არსებულ რეზერვებს.

– უნდა აღინიშნოს აქტივების ხარისხის ანალიზის გამოყენებით, დარეზერვების ხარჯები გაიზრდება თუ შემცირდება ახლო მომავალში.

– უნდა განისაზღვროს, ბანკის წმინდა საოპერაციო შემოსავალი აღემატება თუ ნაკლებია დარეზერვების ხარჯებზე.

– განხილულ უნდა იქნეს აქტივების გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება (ზარალი), მოგება (ზარალი) წმინდა საგალუტო პოზიციიდან, გაუთვალისწინებელი მუხლებიდან და უჩვეულო საქმიანობისთვის დაწესებული საშემოსავლო გადასახადიდან.

– განხილულ უნდა იქნეს შეფასებული დარიცხული გადასახადები მათი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ

მათი გათვალისწინება მოხდეს ბანკის წმინდა მოგების გაანალიზების პროცესში. – ბანკის უკუგება საშუალო აქტივებზე შედარებულ უნდა იქნეს ჯგუფის მაჩვენებლებთან და აღწერილი ნებისმიერი შესამჩნევი ტენდენცია. შემმოწმებელმა მოკლედ უნდა შეაჯამოს, რატომ იყო ბანკის მოგება უჩვეულოდ მაღალი ან დაბალი.

– განხილულ უნდა იქნეს ბანკის სტრატეგიული გეგმა ბანკის საერთო მიზნების განსაზღვრისათვის.

– ბანკის საბიუჯეტო ამოცანები შედარებულ უნდა იქნეს სტრატეგიული გეგმის ამოცანებთან. ბანკის ბიუჯეტი უნდა აკმაყოფილებდეს სტრატეგიულ გეგმას. მაგ, თუ მენეჯმენტი აპირებს საკრედიტო პორტფელის გაზრდას, ბიუჯეტმა უნდა ასახოს სესხებიდან საპროცენტო შემოსავლების ზრდა, თუ მენეჯმენტი აპირებს ახალი ტიპის საქმიანობის დაწყებას, ბიუჯეტმა უნდა ასახოს როგორც ახალი ოპერაციიდან მიღებული შემოსავალი, ისე ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საწყისი ხარჯები.

– საანგარიშგებო წლის ბიუჯეტი შედარებულ უნდა იქნეს წინა წლის ბიუჯეტთან და ფაქტიურ შესრულებასთან იმ მიზნით, რომ განისაზღვროს შემდეგი: მიმდინარე წლის ბიუჯეტი ემყარება თუ არა წლების ბიუჯეტებს და რომ იგი რეალურია. მიზანშეწონილობის განსაზღვრისათვის განსახილველია ბანკის მიერ წინა წლის ბიუჯეტის შესრულება. თუ წინა წლის ბიუჯეტით დასახული პარამეტრები არ შესრულდა, უნდა განისაზღვროს მიზეზები, მაგ., მოულოდნელი ზარალის, არარეალური პროგნოზების გამო.

– შედარებულ უნდა იქნეს მოცემული თარიღისათვის ბანკის ბიუჯეტის გეგმები და ფაქტიური მაჩვენებელი. თუ ფაქტიური შესრულება არ შეესაბამება ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმას და ბიუჯეტი რეალურია, მაშინ შემმოწმებელმა უნდა დასახოს მაკორექტირებელი ღონისძიებები. თუ ბიუჯეტი არარეალურია, შემმოწ-

მებელმა მენეჯმენტისგან უნდა მოითხოვოს ბიუჯეტის შეცვლა, რათა იგი უფრო რეალურად ასახავდეს ბანკის ფუნქციონირებას.

– მას შემდეგ, რაც მოგების ანალიზზე მომუშავე შემმოწმებელი დაასრულებს მოგების შეფასებას, მან შედეგები უნდა გააცნოს უფროს ინსპექტორს და ბანკის მენეჯმენტს. დისკუსია უნდა ემყარებოდეს მოგების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ბიუჯეტს; დაგეგმილ ხარჯებს, საქმიანობის გაფართოებას (თუკი აქვს ადგილი). ამ შეხვედრაზე, ასევე, უნდა იქნეს განხილული ინსპექტორის მიერ შემოთავაზებული მაკორექტირებელი ღონისძიებები.

– მოგების რეიტინგის განსაზღვრა.

IX თავი

კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზი

შინაარსი:

9.1. ლიკვიდობის ცნება, ფული და მისი ეკვივალენტები;
9.2. კომერციული ბანკის აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდობა და ვადიანობა;
9.3. ლიკვიდობის მართვა და სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის კონტროლი მის მართვაზე;
9.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შემოწმების პროცედურები.

ძირითადი ელემენტები:

1. დეპოზიტების გადინება;
2. რეპუტაციის რისკი;
3. სტრატეგიული რისკი;
4. საპროცენტო განაკვეთის რისკი;
5. ფასის რისკი, ან საბაზრო რისკი;
6. საოპერაციო რისკი;
7. ეკონომიკურ ნორმატივებთან შესაბამისობა.

მებელმა მენეჯმენტისგან უნდა მოითხოვოს ბიუჯეტის შეცვლა, რათა იგი უფრო რეალურად ასახავდეს ბანკის ფუნქციონირებას.

– მას შემდეგ, რაც მოგების ანალიზზე მომუშავე შემმოწმებელი დაასრულებს მოგების შეფასებას, მან შედეგები უნდა გააცნოს უფროს ინსპექტორს და ბანკის მენეჯმენტს. დისკუსია უნდა ემყარებოდეს მოგების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ბიუჯეტს; დაგეგმილ ხარჯებს, საქმიანობის გაფართოებას (თუკი აქვს ადგილი). ამ შეხვედრაზე, ასევე, უნდა იქნეს განხილული ინსპექტორის მიერ შემოთავაზებული მაკორექტირებელი ღონისძიებები.

– მოგების რეიტინგის განსაზღვრა.

IX თავი

კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზი

შინაარსი:

9.1. ლიკვიდობის ცნება, ფული და მისი ეკვივალენტები;
9.2. კომერციული ბანკის აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდობა და ვადიანობა;
9.3. ლიკვიდობის მართვა და სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის კონტროლი მის მართვაზე;
9.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შემოწმების პროცედურები.

ძირითადი ელემენტები:

1. დეპოზიტების გადინება;
2. რეპუტაციის რისკი;
3. სტრატეგიული რისკი;
4. საპროცენტო განაკვეთის რისკი;
5. ფასის რისკი, ან საბაზრო რისკი;
6. საოპერაციო რისკი;
7. ეკონომიკურ ნორმატივებთან შესაბამისობა.

9.1. ლიკვიდობის ცნება, ფული და მისი ეკვივალენტები

ხშირად, ბანკებს აქტივების ძალიან მცირე ნაწილი აქვთ წარმოდგენილი ნაღდი ფულის სახით. ნაღდ ფულს არანაირი წვლილი არ შეაქვს ბანკის მთლიან შემოსავალში და, მისი შენახვისა და დაცვისთვის საჭირო უმნიშვნელო ხარჯების გარდა, არაფერს მატებს ადმინისტრაციულ ხარჯებს. თუმცა, საბანკო საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, ფულის ყოველდღიური მიმოქცევა ბანკში და ბანკიდან გაცილებით დიდია, ვიდრე მოცულობა. ჩვეულებრივ, ნებისმიერ დღეს, პატარა ბანკმაც შეიძლება განახორციელოს და მიიღოს ასობით გადახდის ოპერაცია. ბანკის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს განუწყვეტელი უნარი, დაგვიანების და საბალანსო უწყისში ხარვეზიანი კორექტირებების გარეშე განახორციელოს სხვადასხვა საგადამხდელო ოპერაცია. ამ უნარს ეწოდება ლიკვიდობა.

საგადასახდელო სისტემაში ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ყოველი ბიზნესი, კერძო პირი და სამთავრობო ორგანიზაცია სადეპოზიტო ანგარიშებს იყენებს სხვა მხარეებისთვის თანხების გადასახდელად. თუ ბანკი არალიკვიდურ მდგომარეობაში იმყოფება და არ შესწევს უნარი შეასრულოს კლიენტის ჩვეულებრივი მოთხოვნა, გადახდის შესახებ, მისი რეპუტაცია საფრთხეში აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში კლიენტები დაიჯერებენ, რომ ბანკი გადახდისუუნაროა, რამაც შეიძლება განაპირობოს დეპოზიტორების მხრიდან საბანკო ანგარიშებიდან მთელი ფულადი რესურსების გატანის სურვილის გაჩენა. თითოეული დეპოზიტორი შეეცდება პირველმა გაიტანოს თანხა ბანკიდან, იმის შიშით, რომ ბანკი გადახდისუუნაროა და შეიძლება არ ჰქონდეს აქტივების საკმარისი ოდენობა ყველა დეპოზიტორის დასაკმაყოფილებლად. ამ მეტად კრიტიკულ მდგომარეობას **დეპოზიტების გადინება** ეწოდება, რომელსაც ხშირად ბანკის დახურვა მოსდევს. შეიძლება წარმოიშვას ისეთი პრობლემა, რომ დეპოზიტების გადინების შედეგად ერთი ბანკის დახურვას მოჰყვეს

საზოგადოების მხრიდან ნდობის შესუსტება მთლიანი საბანკო სისტემის მიმართ, რამაც გადინების იგივე პროცესი შეიძლება გამოიწვიოს სხვა ბანკებში.

ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, ბანკებმა შეიძლება რამდენიმე ზომას მიმართონ. პირველია, ფულის მიმოქცევის სათანადო მონიტორინგი. მეორე, მათ უნდა შეძლონ ფულის მიმოქცევის დამაჯერებელი პროგნოზირება. შემდეგ, მათ უნდა შეეგუონ ფულის სათანადო რაოდენობის ან ისეთი აქტივების ქონა, რომელთა ფულად ქცევა სწრაფად მოხდება, რათა გაუმკლავდნენ ფულის დროებით გადინების მოულოდნელ სიჭარბეს ვალდებულებასთან შედარებით. ფულის მოულოდნელი გადინების შემთხვევაში ბანკმა უნდა შეძლოს ფულადი სახსრების ალტერნატიული წყაროების გამოძებნა, როგორიცაა, მაგალითად, ნასესხები სახსრები.

ფული ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში წარმოადგენს გადახდის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ, მაგრამ არა ერთადერთ საშუალებას. როდესაც დიდი ოდენობის თანხაა გადასახდელი, ფული არ წარმოადგენს ყველაზე მოსახერხებელ საგადამხდელო საშუალებას დიდი რაოდენობის და დატაცება-დაყაჩაღების შესაძლებლობის გამო. ბანკებისთვის, ასეთ შემთხვევებში არსებობს ალტერნატიული აქტივები გადახდის განსახორციელებლად, როგორიცაა სადეპოზიტო ანგარიშები საკორესპონდენტო ბანკებში, სებ-ში, რომელთაც ნაღდი ფულის მახასიათებლები გააჩნია. ეს ანგარიშები ადვილად ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში და კარგი რეპუტაციის მქონე საკორესპონდენტო ბანკებში არსებული ანგარიშებზე გამოწერილი ჩეკები ან ტრატები (თამასუქები) გადახდის მიღებულ მეთოდებს წარმოადგენენ. სებ-ში არსებული სადეპოზიტო ანგარიშები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი ბანკის მიერ მეორესთვის თანხის გადასახდელად. ეს აქტივები ნაღდი ფულის ეკვივალენტებად შეიძლება განვიხილოთ. ტერმინები ფული, ფულის შემოდინება და გადინება გამოყენებული იქნება ამ თავში გადახდის სამ ტიპთან დაკავშირებით.

ბანკში ფული მრავალი წყაროდან შემოედინება. მის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ: ახალი სადეპოზიტო ანგარიშები და არსებულ ანგარიშებზე თანხის დამატება, სესხებთან დაკავშირებული გადახდის პროცესი, ფულის სახით მიღებული მრავალნაირი შემოსავალი, როგორიცაა საკომისიო შემოსავალი, ბანკებისა და ეროვნული ბანკიდან ახალი ნასესხები სახსრები და ბანკის პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების გაყიდვიდან შემოსული თანხები; ფულის შემოდინების სხვა წყაროები, როგორიცაა, მაგალითად, სესხების და უძრავი ქონების ან დაყადაღების შედეგად მიღებული ქონების გაყიდვა. ფულის კიდევ ერთი წყაროა ახალი აქციების გაყიდვა.

ფულის გადინების მონიტორინგი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე შემოდინების. ამ შემთხვევაში, არსებობს ორი წყარო, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია. გადინების ყველაზე არაპროგნოზირებადი ფორმაა სადეპოზიტო ანგარიშებიდან თანხების გადინება. ეს შეიძლება განხორციელდეს პირადად ან დეპოზიტორის მიერ მის ანგარიშზე ჩეკის ან თამასუქების გამოწერით. ბანკების ლიკვიდობის მართვის ძირითადი ამოცანაა დეპოზიტების გაუთვალისწინებელი გატანისთვის ან ასეთი გატანის საშიშროებისთვის ლიკვიდობის დაგეგმვა.

ახალი სესხების გაცემა ფულის გადინების ასევე მნიშვნელოვანი სახეა. ბანკებისთვის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სასესხო ბაზრებზე, სესხის გაცემა ფულის უფრო მნიშვნელოვან გადინებას იწვევს ყოველ პერიოდში, ვიდრე დეპოზიტების გატანა. თუმცა, სესხების გაცემა ბანკის კონტროლის ქვეშაა და, ამგვარად, უფრო პროგნოზირებადია და კონტროლირებადიც, ვიდრე დეპოზიტების გადინება. მაგრამ მაინც, ბანკისთვის მნიშვნელოვანია შესწევდეს უნარი დროულად უპასუხოს ახალი და არსებული კლიენტების მხრიდან სესხებზე მოთხოვნის ზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი ამ შესაძლებლობას დაკარგავს სხვა ბანკების სასარგებლოდ. ამასთან, მსესხებლებმა შეიძლება მოითხოვონ წარსულში მათზე ბანკის მიერ გაცემული სესხების ან საკრედიტო ხაზების

[illegible] დაფინანსების მიღება. ბანკმა უნდა შეძლოს აღნიშნული სესხების დაფინანსება მაშინ, როცა მსესხებელი მოითხოვს ფულის მიღებას.

ფულის გადინების კიდევ ერთი ტიპია დეპოზიტებსა და ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯის გადახდა. დეპოზიტებზე საპროცენტო ხარჯის გადახდა ხორციელდება ჩვეულებრივ, დეპოზიტორის ანგარიშის დაკრედიტებით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება [illegible] ანგარიშსწორებითაც განხორციელდეს. ადმინისტრაციული ხარჯების გადახდა, როგორიცაა ხელფასები, ქირა და კომუნალური გადასახადები, ასევე, იწვევს ფულის გადინებას. ასევე, ფულის გადინება ხდება, როცა ბანკები ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს ან ძირითად საშუალებებს, ან რესურსებს განათავსებენ [illegible] ბაზარზე. ფულის ეს გადინება, გარკვეულწილად, [illegible] არის.

ლიკვიდობის პოზიციის მართვისთვის ბანკებმა უნდა განახორციელონ ფულის მიმოქცევის პროგნოზირება. მოსალოდნელი შემოდინება და გადინება შეიძლება აუცილებელი არ არის ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული. ბანკები ახდენენ პროგნოზირებას და დასაშვებად თვლიან [illegible] ხელთ არსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ნასესხები სახსრების მცირე ზრდას ან შემცირებას, როცა მათ [illegible] ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება. როცა ხდება წმინდა გადინება, მაშინ ბანკები უშვებენ ფულის ნაშთების შემცირებას და შეიძლება დროებით გაზარდონ ნასესხები სახსრები. [illegible] თვიდან მეორემდე ბანკებმა ისე უნდა დაგეგმონ ფულის შემოდინება და გადინება, რომ მათი მთლიანი ფულის ნაშთები და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები შედარებით უცვლელი დარჩეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკებმა ყოველთვიურად უნდა აწარმოონ დაგეგმვა ფულის ნაშთების და მოკლევადიანი ნასესხები სახსრების მუდმივ დონეზე შესანარჩუნებლად, ბანკმა შეიძლება [illegible] დიდი, ფულადი სახსრების წმინდა გადინება კონკრეტული თვის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, მოსა-

ლოდნელია, რომ ბანკი შეამცირებს მის ხელთ არსებულ ფულად სახსრებს ან გაზარდის მოკლევადიან ნასესხებ სახსრებს. ამ დროს უნდა დაისვას შემდეგი კითხვა – წმინდა გადინება ერთჯერადი მოვლენა იყო, თუ მეორდებოდა მომდევნო თვეების განმავლობაში.

ფულის ქრონიკული ან განმეორებადი წმინდა გადინება შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორით. ზოგიერთი ამ ფაქტორთაგან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ჯანსაღი საბანკო გარემოს შესახებ მიუთითებს.

ბანკი შეიძლება განიცდიდეს საოპერაციო ზარალს. მაგალითად, ბანკს შეიძლება ჰქონდეს ისეთი სესხების დიდი რაოდენობა, რომელზეც მსესხებლები პროცენტს არ იხდიან. მაშინ, არსებულ ვალდებულებებზე პროცენტის გადასახდელად ბანკმა ახალი ვალდებულებები უნდა აიღოს. მას შეუძლია მიიღოს ახალი დეპოზიტები ან გაზარდოს სხვა ბანკებისგან მიღებული ნასესხები სახსრები, ან შეიძლება სცადოს ობლიგაციების გამოშვება.

ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, სანამ დეპოზიტარებს სურვილი ექნებათ დამატებითი სახსრები განათავსონ ბანკში ან სხვა ბანკებს ექნებათ სურვილი გაზარდონ გაცემული სესხების რაოდენობა. მაგრამ ბანკის კაპიტალი მცირდება და შეიძლება უარყოფითიც კი გახდეს. შედეგად, ბანკი ვერ გამოინახავს ახალ დეპოზიტარებს ან ახალ ბანკებს, რომლებიც მოისურვებენ მისთვის ფულის სესხებას.

განუწყვეტლად ფულის წმინდა გადინების შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს სესხებზე მოთხოვნის სეზონური ზრდა. მაგალითად, ბანკი შეიძლება მდებარეობდეს სასოფლო-სამეურნეო რეგიონში და შეიძლება საჭირო გახდეს მოკლევადიანი სესხი დათესვის პერიოდში, რომლის დაფარვაც მოსავლის აღებისას მოხდება. დაბალია იმის ალბათობა, რომ ბანკში ახალი დეპოზიტების შემოდინება მოხდება მაშინვე, როცა ახალი სესხების დაფინანსება უნდა მოხდეს. ამგვარად, ბანკმა უნდა გაზარდოს

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები ახალი სესხების დასაფინანსებლად.

რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიონ ბანკიდან ფინანსური ნაკადების წმინდა გადინება. ასე, რეგიონალური ეკონომიკის სწრაფი ზრდის პირობებში სესხებზე მოთხოვნილება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სადეპოზიტო ბაზა. ასეთ პირობებში ბანკებს დასჭირდებათ მოკლევადიანი სახსრების მოზიდვა, სანამ სადეპოზიტო ბაზა ვერ უზრუნველყოფს ახალი სესხების დაფინანსებას.

ბანკირებმა და შემმოწმებლებმა უნდა შეისწავლონ და შეაფასონ, თუ როგორ გავლენას იქონიებს სხვადასხვა ტიპის რისკი ბანკის ლიკვიდობაზე. ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით შესაძლოა განისაზღვროს და შეფასდეს რისკების ცხრა კატეგორია. ესენია: საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთის, ლიკვიდობის, ფასის, სავალუტო, საოპერაციო, მოთხოვნებთან შესაბამისობის, სტრატეგიული და რეპუტაციის რისკები. ეს კატეგორიები არ არიან ურთიერთგამომრიცხავი – ნებისმიერმა პროდუქტმა ან მომსახურებამ შეიძლება ბანკი დააყენოს მრავალი რისკის წინაშე და ნებისმიერმა რეალურმა ან წარმოსახვითმა პრობლემამ შეიძლება ხელი შეუშალოს ბანკს სახსრების მოზიდვაში ხელსაყრელ ფასად და, ამგვარად, გაზარდოს ლიკვიდობის რისკი. ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლიკვიდობაზე, არიან: რეპუტაციის, სტრატეგიული, საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთის, ფასის და საოპერაციო რისკები. თუ არ ხორციელდება ამ რისკების სათანადო მართვა და კონტროლი, ისინი, დროთა განმავლობაში, შეარყევენ ბანკის ლიკვიდობის პოზიციას. ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული რისკების ლიკვიდობაზე გავლენის მოკლე აღწერა.

რეპუტაციის რისკი არის უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მიმდინარე და სამომავლო გავლენა მოგებასა და კაპიტალზე. ბანკის რეპუტაცია, დროულად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და წარმართოს ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობა,

აუცილებელია ფულადი სახსრების ხელსაყრელ ფასად მოსაზიდად და რთული პერიოდის დროს მათ შესანარჩუნებლად. უარყოფითმა საზოგადოებრივმა აზრმა, მიზეზის მიუხედავად, შეიძლება აიძულოს დეპოზიტორები, სხვა კრედიტორები და ინვესტორები მოითხოვონ უფრო დიდი კომპენსაცია, როგორიცაა მაღალი საპროცენტო განაკვეთები ან დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა დეპოზიტების ნაშთების შესანარჩუნებლად ანდა ბანკთან ნებისმიერი სხვა საქმიანობის წასამართად. თუ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი არსებობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თანხების გადინებამ შეიძლება ბანკის ძლიერი შესუსტება გამოიწვიოს. რეპუტაციის რისკის და ლიკვიდობაზე მისი გავლენის შესამცირებლად, ბანკის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს ბანკის დამოკიდებულება სახსრების საკრედიტო რისკისადმი მგრძნობიარე მომწოდებლებზე. ბანკმა, რომელიც დგას მნიშვნელოვანი რეპუტაციის რისკის წინაშე, უნდა სცადოს ლიკვიდობის რისკის შემცირება საბაზრო დაფინანსების წყაროების და ვადების დივერსიფიკაციით და აქტივების ლიკვიდობის სათანადოდ გაზრდით.

სტრატეგიული რისკი არის მიმდინარე და სამომავლო გავლენა მოგებასა და კაპიტალზე, რომელიც მომდინარეობს არასწორი საქმიანი გადაწყვეტილებებიდან, გადაწყვეტილებების შეუსაბამოდ განხორციელებიდან ან მოცემულ დარგში მიმდინარე ცვლილებებისადმი რეაგირების უქონლობიდან. არცერთი სტრატეგიული მიზანი ან ამოცანა არ უნდა დაიგეგმოს ბანკის დაფინანსების უნარზე გავლენის გაუთვალისწინებლად. ბანკმა მისაღებ ფასად უნდა შეძლოს საჭირო სახსრების მოზიდვა ვალდებულებების შესასრულებად. საკმარისი ლიკვიდობის მოზიდვა და შენარჩუნება მნიშვნელოვანი საკითხია იმ ბანკებში, რომლებიც სწრაფ ზრდას განიცდიან. თუ მენეჯმენტი სათანადოდ არ აფასებს ახალი საქმიანობის დაწყების გავლენას ლიკვიდობაზე, ბანკის სტრატეგიული რისკი იზრდება. მენეჯმენტმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს, ხომ არ გაზრდის სტრატეგიული ინიციატივის განსახორციელებ-

ლად დაგეგმილი დაფინანსება ლიკვიდობის რისკს დაუშვებელ დონემდე.

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომელიც ემუქრება მოგებას და კაპიტალს მსესხებლის უუნარობის გამო შეასრულოს ბანკთან დადებული ხელშეკრულების პირობები. ბანკი, რომელიც იღებს ზედმეტად მეტ საკრედიტო რისკს აქტივების კონცენტრაციის ან სესხის გაცემის ახალი სტანდარტების დანერგვით, გამოუცდელი საქმიანობების წამოწყებასთან ერთად, შეიძლება ზრდიდეს ლიკვიდობის რისკსაც. სახსრების საკრედიტო რისკისადმი მგრძნობიარე მომწოდებლების შეშფოთება შეიძლება გამოიწვიოს ბანკის წინაშე არსებული საკრედიტო რისკის ზრდამ, რასაც შეიძლება მოჰყვეს საკრედიტო პრობლემები და არასაკმარისი მოგება. ბანკის მიერ ვალდებულებების შესრულების უნარი საბოლოოდ შეიძლება დაქვეითდეს. საბითუმო სახსრების მომწოდებლები და სარეიტინგო ორგანიზაციები ვადაგადაცილებული სესხების, უმოქმედო სესხების, დარეზერვების ხარჯების და ჩამოწერილი სესხების დონეს განიხილავენ, როგორც საკრედიტო ხარისხის ცვლილების ტენდენციას და პოტენციურ პრობლემებს ლიკვიდობის კუთხით. თუ საკრედიტო რისკი იზრდება ბანკს შეიძლება მოუწიოს გაზრდილი პრემიის გადახდა, რათა მოიზიდოს სახსრები და დეპოზიტორები. თუ საკრედიტო რისკი საფრთხეს უქმნის ბანკის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას, დაფინანსება შეიძლება მიუწვდომელი იყოს ნებისმიერი ფასის შემთხვევაში. მრავალი მსხვილი ბანკის წარუმატებლობა საკრედიტო ხარისხის და ლიკვიდობის მკვეთრი გაუარესების ერთობლივი შედეგი იყო.

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომელიც ემუქრება მოგებას ან კაპიტალს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას ახდენს აქტივებიდან მიღებულ შემოსავალზე და ამ აქტივების ღირებულების დანახარჯებზე. თუ ბანკი განიცდის მოგების შემცირებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო, ფულადი სახსრების მომწოდებლებმა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ

დააყენონ ბანკის ფინანსური მდგომარეობა და მოითხოვონ პრემია, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ბანკის ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. მათ შეიძლება უარიც განაცხადოს ბანკის დაფინანსებაზე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ასევე, გავლენას ახდენს ბალანსის ეკონომიკურ ღირებულებაზე. მაგალითად, უმეტესი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მიმდინარე ღირებულება მცირდება საპროცენტო განაკვეთების ზრდის პირობებში. რეპო ოპერაციებში გირაოდ გამოყენებული ან დეპოზიტების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების მთლიანი ღირებულების შესანარჩუნებლად, ბანკს შეიძლება მოუხდეს დამატებითი ფასიანი ქაღალდების დაგირავება და ამით სახსრების ღირებულების გაზრდა. დაფინანსების ალტერნატიული წყაროების ღირებულება, ასევე, შეიძლება გაიზარდოს, როდესაც დეპოზიტორები და სხვა კრედიტორები მოითხოვენ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს მზარდი საპროცენტო განაკვეთების პირობებში. ბალანსგარეშე ინსტრუმენტები, რომლებსაც ბანკი იყენებს საპროცენტო განაკვეთის სამართავად, შეიძლება, ასევე, წარმოშობდეს ლიკვიდობის რისკს. ამ ინსტრუმენტების ფულის მიმოქცევა ხშირად ძალიან მგრძნობიარეა განაკვეთების ცვლილების მიმართ და თუ სათანადოდ არ იმართება, შეიძლება გამოიწვიოს დაფინანსების მოულოდნელი მოთხოვნა ან ფულის გადინება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების არსებობის პერიოდში.

ფასის რისკი, ან საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც ემუქრება მოგებას ან კაპიტალს ფინანსური ინსტრუმენტების, მაგალითად, როგორიცაა სავალო ფასიანი ქაღალდები და აქციები, ისევე, როგორც სესხები, რომელთათვისაც არსებობს მოქმედი მეორადი ბაზრები, სავაჭრო პორტფელის ღირებულების ცვლილებიდან გამომდინარე. ფასის რისკს შეიძლება შედეგად მოჰყვეს ცვალებადი მოგება. ეს რისკი უფრო მეტად გვხვდება დიდ ბანკებში, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ფასიანი ინსტრუმენტებით ვაჭრობაში. ფასის რისკის მონიტორინგი ხორციელდება ფულადი სახსრების მომწოდებლების მიერ, როდესაც ისინი აფასებენ

ბანკის ფინანსურ მდგომარეობას და კრედიტუნარიანობას. თუ ფასის რისკი და მისი გავლენა მოგებასა ან კაპიტალზე ძალიან მაღალია, მომწოდებლებმა შეიძლება ბანკს მოსთხოვონ გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების გადახდა, შეიძლება არ ისურვონ ბანკის ინვესტირება გრძელვადიან ინსტრუმენტებში, ან არ ისურვონ ოპერაციების განხორციელება ნებისმიერი პირობის მიუხედავად.

საოპერაციო რისკი არის მიმდინარე და სამომავლო რისკი, რომელიც ემუქრება მოგებას ან კაპიტალს თაღლითობიდან, შეცდომებიდან, პროდუქტების მიწოდების და მომსახურების გაწევის, ასევე, კონკურენტული პოზიციის შენარჩუნების და ინფორმაციის მართვის უუნარობიდან გამომდინარე. სისტემები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ლიკვიდობაზე, მოიცავენ გადახდების სისტემებს ჩეკებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის, ელექტრონული საბანკო საქმიანობისათვის, საკრედიტო და სადეპოზიტო ბარათების ოპერაციებისათვის. თუ პროდუქციის ხაზი იცვლება, მენეჯმენტმა უნდა მოახდინოს სისტემების მობილიზება, რათა უზრუნველყოს ოპერაციების განხორციელება. მნიშვნელოვანი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ძალიან სწრაფად, თუ ოპერაციების დამუშავების სისტემები დროულად ვერ ახორციელებენ ან არ ასრულებენ ოპერაციას. თუ კლიენტებს პრობლემები შეექმნებათ თავიანთ ანგარიშებთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მათ შეიძლება დახურონ ისინი, რაც შეამცირებს ლიკვიდობას. საოპერაციო რისკი უნდა განიხილებოდეს ბანკის ლიკვიდობაში გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრის გზების ძებნის პროცესში.

მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს ლიკვიდობის შესაძლო ცვლილებების როგორც შიდა, ისევე საბაზრო მაჩვენებლების მონიტორინგი. ეს მაჩვენებლები აუცილებელი არ არის მოითხოვდნენ მკვეთრ მაკორექტირებელ ღონისძიებებს, მაგრამ შეიძლება აიძულებდნენ მენეჯმენტს და სამეთვალყურეო საბჭოს განახორციელოს დამატებითი მონიტორინგი ან ანალიზი. ლიკვიდობის საწყისმა პრობლემამ შეიძლება თავი პირველად იჩინოს

ბანკის ფინანსური მონიტორინგის სისტემაში, როგორც დაღმავალმა ტენდენციამ შესაძლო სამომავლო შედეგებით მოგებასა ან კაპიტალზე. ასეთი შიდა მაჩვენებლების მაგალითებია:

• ნებისმიერ სფეროში ან ნებისმიერი საბანკო პროდუქტის შემთხვევაში უარყოფითი ტენდენცია ან მნიშვნელოვნად მზარდი რისკი.

• კონცენტრაციები აქტივებში ან ვალდებულებებში.

• აქტივების ხარისხის მაჩვენებლების კლება.

• დარიცხული პროცენტის განსაკუთრებით მაღალი მოცულობა ჯგუფთან შედარებით.

• მიღებული მოგების და მოგების პროგნოზის კლება.

• ცვალებადი საბითუმო ვალდებულებებით დაფინანსებული აქტივების სწრაფი ზრდა.

• პროფესიონალმა ანალიტიკოსებმა და ბაზრის სხვა მონაწილეებმა შეიძლება გამოხატონ შეშფოთება ბანკის საკრედიტო რისკის შესახებ. აღნიშნული მესამე მხარის შეფასებების მაგალითებია:

• ხმების გავრცელება ბანკის „პრობლემურობის" შესახებ.

• სარეიტინგო ორგანიზაციების მიერ დაბალი საკრედიტო რეიტინგის მინიჭება.

• კლიენტები უკავშირდებიან საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერებს და ფილიალის თანამშრომლებს და ითხოვენ ინფორმაციას.

• მეორად ბაზარზე ბანკის ფასიანი ქაღალდებით საქმიანობის დაქვეითება შეიძლება მიუთითებდეს ღირებულების შემცირებას. ასეთი საბაზრო მოვლენების მაგალითებია:

• აქციის ფასის შემცირება

• მეორად ბაზარზე ბანკის ძირითად და სუბორდინირებულ ვალზე შემოსავლიანობის ზრდა და ბანკის ვალით ვაჭრობის ზრდა.

• ბანკის კრედიტორებმა შეიძლება შეზღუდონ ოპერაციები ან მოითხოვონ საკრედიტო მხარდაჭერა, უკეთესი საკრედიტო პირო-

[illegible] დაფინანსების ხანგრძლივობის შემცირება. ნებისმიერმა [illegible]ილთაგანმა შეიძლება გაზარდოს ლიკვიდობის ხარჯები. [illegible] დაფინანსების გაუარესების მაგალითებია:

• საერთო დაფინანსების ხარჯების ზრდა

• პარტნიორების მიერ გირაოს მოთხოვნის დაწყება ბანკის საკრედიტო რისკის გამო

• საკორესპონდენტო ბანკების მიერ საკრედიტო ხაზის [illegible]ება ან შემცირება, რაც ბანკს აიძულებს განახორციელოს [illegible] შესყიდვა საბროკერო საფონდო ბაზარზე.

• პარტნიორებს და ბროკერებს არ სურთ არაუზრუნველყოფილ [illegible] ვადიან ოპერაციებში მონაწილეობა.

• ოპერაციის მოცულობა მცირდება და ზოგიერთ პარტნიორს [illegible] სურს უფრო მოკლევადიან ოპერაციებში მონაწილეობა.

• ბანკი იღებს მოთხოვნას დეპოზიტორებისგან მათი სახსრების [illegible] გატანის შესახებ ან ბანკმა უნდა გამოისყიდოს საკუთარი ფასიანი ქაღალდები ბაზარზე.

• ბანკის პოტენციური ლიკვიდობის რისკის შეფასებისას სებ-ის შემმოწმებელი განიხილავს არამარტო ბანკის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებულ ფაქტორებს, არამედ ლიკვიდობასთან დაკავშირებულ მიმდინარე მდგომარეობას და რიგი კოეფიციენტების ცვლილების ტენდენციას;

• სესხები/დეპოზიტები;

• წმინდა სესხები/მთლიანი ვალდებულებები;

• საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი;

• ლიკვიდური აქტივების სტრუქტურული შედგენილობა;

• დამოკიდებულება საბითუმო დაფინანსებაზე.

9.2. კომერციული ბანკის აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდობა და ვადიანობა

თუ ბანკს სჭირდება ფული, ერთ-ერთი არჩევანი იქნებოდა აქტივების გაყიდვა. ზოგიერთი ტიპის აქტივის ყიდვა-გაყიდვა ხშირად ხდება და ასეთი აქტივების საბაზრო ფასი კარგადაა ცნო-

ბილი. ასე, რომ ბანკმა შეიძლება იოლად და რეალურ საბაზრო ფასად გამონახოს მოცემული აქტივის მყიდველი დროის მოკლე მონაკვეთში. ამ აქტივებს **ლიკვიდური აქტივები** ეწოდება, რადგან მათი ფულად ქცევა ადვილია. რა თქმა უნდა, საკუთრივ ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია. სხვა ბანკებზე გაცემული მოკლევადიანი სესხები ან მათში განთავსებული დეპოზიტები, ასევე, ლიკვიდურ აქტივებად განიხილება ბანკთაშორის ბაზარზე, რადგან, ჩვეულებრივ, ძნელი არ არის ისეთი ბანკის პოვნა, რომელიც შეისყიდის ამ სესხებს ან დეპოზიტებს. ფასიანი ქაღალდების კარგად განვითარებული ბაზრის მქონე ქვეყნებში სამთავრობო ან კომპანიების ფასიანი ქაღალდები, ასევე, ლიკვიდურია. რამდენადაც ლიკვიდური აქტივები წარმოდგენილია საბალანსო უწყისში, მათ ლიკვიდობის ხილულ წყაროს უწოდებენ.

სხვა ტიპის აქტივების ყიდვა-გაყიდვა ხშირად არ ხდება. მაგრამ როდესაც ადგილი აქვს ამ პროცესს, ფასზე შეთანხმება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს მყიდველსა და გამყიდველს შორის. ამ დროს კოტირებული საბაზრო ფასი არ არსებობს. დროის მოცემული მომენტისათვის ასეთი აქტივების მხოლოდ რამდენიმე დაინტერესებული მყიდველი შეიძლება არსებობდეს. მოცემული ტიპის აქტივები შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, რაც შედარებას ართულებს. ასეთი ტიპის აქტივებს არალიკვიდური აქტივები ეწოდება. არალიკვიდური აქტივების შემთხვევაში დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც აქტივი უნდა გაიყიდოს, ფასის განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც ბანკმა უნდა მიიღოს ამ აქტივის სანაცვლოდ. რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეძლებს ბანკი დაელოდოს ბაზარზე დაინტერესებული მყიდველის გამოჩენას, მით უფრო მაღალი იქნება აქტივის ფასი, ანუ, თუ ბანკს მოკლე დროში სჭირდება აქტივის გაყიდვა ფულის მისაღებად, მან აქტივი შეიძლება ზარალიანად გაყიდოს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს შორის ხდება ბიზნესზე და კერძო პირებზე გაცემული სესხების ყიდვა-გაყიდვა, სესხები მაინც არალიკვიდურ აქტივად განიხილება.

ძირითადი საშუალებები, შენობები, ავეჯი და მოწყობილობა, რომლითაც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას, კიდევ უფრო არალიკვიდურია. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ასეთი აქტივები ინდივიდუალურად უნიკალურია. მაგალითად, მხოლოდ საოფისე ტიპობას ასობით დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია, როგორიცაა ზომა და მდებარეობა, რაც მას სხვა შენობებისგან განასხვავებს. ამის გამო, პოტენციურმა მყიდველმა უნდა დახარჯოს დრო და ენერგია, რომ ეს მახასიათებლები შეამოწმოს და გადაწყვიტოს, რამდენის გადახდას მოისურვებს. არჩევანის გასაკეთებლად, მყიდველმა შენობის მახასიათებლები უნდა შეუდაროს სხვა ტიპობების ნიშნებს. გაყიდვის დასაჩქარებლად გამყიდველმა შეიძლება წაახალისოს მყიდველი ნაკლები ფასის შეთავაზებით. მეორე მხრივ, ბანკების მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების შედარებითი არალიკვიდურობისა არის ის, რომ ბანკის ძირითადი საშუალებები, როგორიცაა საცავი და ფულის დასათვლელი მანქანები, შექმნილი იყო მხოლოდ ბანკების მიერ გამოსაყენებლად. ეს, რა თქმა უნდა, ამცირებს ამ ტიპის აქტივების პოტენციურ მყიდველთა რაოდენობას.

ლიკვიდურ და არალიკვიდურ აქტივებს შორის ზემოთ მოყვანილი ნათელი განსხვავება მხოლოდ განხილვის თვალსაზრისით არსებობდა. სინამდვილეში, უფრო ზუსტი იქნებოდა, ლიკვიდურობის სპექტრის შესახებ საუბარი. აქტივების სხვადასხვა ტიპი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სპექტრი ყველაზე ლიკვიდური აქტივიდან, რომელიც ფული, ყველაზე ნაკლებად ლიკვიდურ აქტივებამდე, რომელიც ძირითადი საშუალებები. სხვა ბანკებზე გაცემულ სესხებს, სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, ბიზნესზე და კერძო პირებზე გაცემულ სესხებს, მათი ხარისხიდან გამომდინარე გააჩნიათ ლიკვიდობის სხვადასხვა დონე. საპროცენტო ხასიათის აქტივებისთვის, ჩვეულებრივ, ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ მაღალი ლიკვიდობის მქონე აქტივებს გააჩნიათ უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ვიდრე ნაკლებად ლიკვიდურ აქტივებს.

სხვა ბანკებზე გაცემული სესხები და ფიქსირებული ვადიანობის და განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდები შეიძლება ბანკის ლიკვიდური აქტივების პორტფელის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყოს. თუმცა ასეთი აქტივები, რომელთა ვადიანობა ერთ წელს აღემატება, არ განიხილება ისევე ლიკვიდურად, როგორც ხანმოკლე ვადიანობის მქონე აქტივები. თუ საბაზრო საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების საბაზრო ღირებულება შემცირდება. რაც უფრო მეტია ვადის დადგომამდე დარჩენილი დრო, მით უფრო შემცირდება აქტივის საბაზრო ღირებულება საპროცენტო განაკვეთების მოცემული ზრდის ოდენობით. გრძელვადიანი აქტივებისთვის შეიძლება არსებობდეს დამკვიდრებული ბაზრები, ისეთი ფასებით, რომლებიც ცნობილია და ადვილად შეიძლება მათი გადამოწმება. ბანკი, რომელიც განიცდის ლიკვიდობის ნაკლებობას ადვილად გაყიდის ასეთ აქტივს. მაგრამ მას შეიძლება არ სურდეს ამ აქტივის გაყიდვა, თუ მისი საბაზრო ფასი შესყიდვის ფასზე დაბალია, რადგან შედეგად მიღებული სხვაობა უნდა გაატაროს, როგორც ხარჯი. ამ მიზეზის გამო, გრძელვადიანი აქტივები განხილულ უნდა იქნას, როგორც ბანკის ლიკვიდობის უფრო მეორადი, ვიდრე პირველადი წყარო.

აქტივების გაყიდვასთან ერთად, ბანკმა, რომელსაც სჭირდება ფულადი სახსრები დროის მოკლე მონაკვეთში, შეიძლება ეცადოს ნასესხები სახსრების მოზიდვას სხვა ბანკებისგან ანდა ეროვნული ბანკისგან. ბანკისთვის მეტად მნიშვნელოვანია წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული ალტერნატიული სახსრების წყაროები, რათა ყოველთვის იცოდეს, საჭიროების შემთხვევაში, საიდან და რა რაოდენობის თანხის სესხება შეუძლია. ამ ოდენობას ეწოდება ბანკის გამოუყენებელი ნასესხები სახსრები. იგი წარმოადგენს ლიკვიდობის წყაროს, რომელიც არ ჩანს ბანკის ბალანსში და შეიძლება განვიხილოთ, როგორც უხილავი ლიკვიდობა.

ბანკის გამოუყენებელ ნასესხებ სახსრებს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი, რა თქმა უნდა, ის ოდენობაა რომელიც ბანკმა უკვე მოიზიდა სხვადასხვა წყაროდან. შემდეგია ბანკის

მიმდინარე კაპიტალის პოზიცია. გარკვეული მიზეზების გამო, კარგად კაპიტალიზირებულ ბანკს უფრო ადვილად მიუწვდება ხელი სახსრებზე, ვიდრე ცუდად კაპიტალიზირებულ ბანკს. მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორია აქტივების ოდენობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირაოდ დამატებითი ნასესხები სახსრების მოსაზიდად, თუ ასეთი გირაო აუცილებელია. ამ თანხის განსაზღვრისას, ბანკმა არ უნდა ჩათვალოს აქტივები, რომლებიც უკვე გამოყენებულია გირაოდ არსებული ნასესხები სახსრებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, არ ჩაითვალოს ის ლიკვიდური აქტივები, რომლებიც ბანკს გამოყოფილი აქვს დასაყოდად ფულის მოულოდნელი საჭიროების შემთხვევაში.

უკანასკნელი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის მიერ სახსრების მოზიდვის უნარზე, არის სხვა კომერციული ბანკების და სებ-ის პოლიტიკა იმ ბანკებზე სესხების გაცემასთან დაკავშირებით, რომლებსაც ლიკვიდობის პრობლემა აქვთ. თუ სესხის გამცემი, მაგალითად სებ-ი, იხელმძღვანელებდა მხოლოდ საკუთარი ფინანსური ინტერესით ბანკის თხოვნასთან დაკავშირებული (რომელიც ეხება მოკლევადიან სესხს ლიკვიდობასთან კავშირში) გადაწყვეტილების მიღებისას, იგი განახორციელდებდა შემდეგ ანალიზს: პირველი, სესხის გამცემი განსაზღვრავდა ლიკვიდობის ნაკლებობის მიზეზს. თუ იგი გამოწვეული იქნებოდა ბანკის პრობლემით, როგორიცაა საოპერაციო ზარალი ან დეპოზიტების მდგრადი გადინება, სებ-ი ან სხვა ბანკი არ მოისურვებს სესხის გაცემას. ისინი მოითხოვდნენ მაღალი ხარისხის აქტივით წარმოდგენილ გირაოს, რომლის გაყიდვაც იოლი იქნებოდა. საპირისპიროდ, თუ ლიკვიდობის ნაკლებობა გამოწვეული იქნებოდა რაიმე დადებითი მოვლენით, მაგალითად, როგორიცაა სესხებზე მოთხოვნის ზრდა, ბანკის მიერ ნასესხები სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა უფრო დიდი იქნებოდა. შემდეგ, გამსესხებელი განიხილავდა ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობას და განსაზღვრავდა, რა რაოდენობის თანხის სესხად გაცემას განახორციელებდა და რა პირობებით.

საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც ცენტრალურ ბანკს აკისრია საფინანსო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. შესაბამისად, მას შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკა, რომელიც უშვებს ლიკვიდობის ნაკლებობის მქონე ბანკებისთვის სესხების გაცემას ისეთი პირობებით, რაც არ შედის სებ-ის ფინანსურ ინტერესებში.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დეპოზიტების გადინება ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემების ყველაზე გავრცელებული მიზეზია, რადგან მისი წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და ბანკის კონტროლს არ ექვემდებარება. როგორც წესი, ბანკის ფულადი სახსრების წყაროების სტაბილურობა განსაზღვრავს ლიკვიდური აქტივების ოდენობას და მოკლევადიანი ნასესხები სახსრების ხელმისაწვდომობას.

როგორც ბანკის აქტივები შეიძლება განვალაგოთ მათი ლიკვიდურობის მიმდევრობით, ასევე, ბანკის ვალდებულებებიც შეიძლება განლაგდნენ მიმდევრობით სტაბილურობის მიხედვით. როგორც წესი, გრძელვადიანი ვალდებულებები უფრო სტაბილურია, ვიდრე მოკლევადიანი. მოკლევადიანი ვალდებულების ვადის დადგომისას, ბანკი ვერასდროს ვერ იქნება აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ შესაძლებელი იქნება ვალდებულების განახლება ან რეფინანსირება მისაღები საპროცენტო განაკვეთით. თუ ვალდებულების უკანასკნელი რეფინანსირებიდან ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა, შეიძლება საერთოდ ვერ მოხერხდეს რეფინანსირება.

სხვა ნასესხები სახსრები, როგორიცაა ობლიგაციები, გაცილებით სტაბილურია, ვიდრე დეპოზიტები. ძალზე იშვიათია, ობლიგაციის მფლობელს ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს ობლიგაციის განაღდება ვადის დადგომამდე. უკიდურეს შემთხვევაში, მფლობელმა ასეთი მოთხოვნისას შეიძლება მიიღოს ობლიგაციის საბაზრო ღირებულება და არა მისი ნომინალური ღირებულება. საბაზრო ღირებულება შეიძლება ნომინალურზე დაბალი იყოს, რის გამოც ობლიგაციის მფლობელი არ მოისურვებს განაღდებას.

საპირისპიროდ, ფიქსირებული ვადიანობის მქონე დეპოზიტების მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ ნომინალური ღირებულება ვადის დადგომამდე, ხშირად ძალზე მცირე ჯარიმის ფასად, რაც დეპოზიტის საბაზრო ღირებულებასთან არ არის დაკავშირებული.

კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც ვალდებულებების სტაბილურობას ეხება, არის ის, რომ კერძო პირთა დეპოზიტები, ჩვეულებრივ, უფრო სტაბილურია, ვიდრე კომპანიების, სხვა ბანკების ან სამთავრობო დეპოზიტები. ჩვეულებრივ, კერძო პირები ბანკს ირჩევენ მოხერხებულობის, მომსახურების და რეპუტაციის მიხედვით. ბანკის შერჩევის შემდეგ ისინი ფულს ტოვებენ ბანკში მანამდე კი, თუ სხვა ბანკები იხდიან უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს ან იღებენ უფრო დაბალ საკომისიოს. ასევე, კერძო პირებს, კომპანიებისგან განსხვავებით, ხელი არ მიუწვდებათ ბანკის შესახებ ფინანსურ ინფორმაციაზე. ამის გამო, ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ კერძო პირები გაიტანენ თავიანთ რესურსებს გაუარესებული ფინანსური მდგომარეობის მქონე ბანკიდან.

საპირისპიროდ, კომპანიები ირჩევენ ისეთ ბანკებს, რომლებიც კლიენტებს სთავაზობენ უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს და მომსახურებისთვის იღებენ დაბალ საკომისიოს. ისინი უმალვე გადაიტანენ თავიანთ ანგარიშებს სხვა ბანკებში, თუ ეს უკანასკნელნი უკეთეს პირობებს შესთავაზებენ და ისინი ფინანსური პრობლემების პირველი ნიშნის შემჩნევისთანავე ტოვებენ ბანკს. სამთავრობო ორგანიზაციების დეპოზიტები შეიძლება იყოს არასტაბილური სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, ბანკის შერჩევაზე პოლიტიკურმა მოვლენებმა შეიძლება იქონიონ გავლენა. ან, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში მოკრებილი გადასახადების დონე შეიძლება მოსალოდნელზე დაბალი იყოს, რაც სამთავრობო ორგანიზაციებისგან მოითხოვს მათი სადეპოზიტო ანგარიშების მნიშვნელოვან შემცირებას.

სხვა ბანკების დეპოზიტები ფულადი სახსრების ასევე არასტაბილურ წყაროდ უნდა განვიხილოთ. დავუშვათ, რომ „ა“ ბანკს

დიდი ოდენობის დეპოზიტი აქვს განთავსებული „ბ“ ბანკში. ბანკი „ა“ აღნიშნულ დეპოზიტს ლიკვიდობის წყაროდ განიხილავს, რომელსაც ფულის მოულოდნელი გადინების შემთხვევაში გამოიტანს „ბ“ ბანკიდან. ბანკი „ბ“, ასეთ შემთხვევაში, განიცდის ფულის მოულოდნელ გადინებას, რისი გაწონასწორებაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს. აღნიშნული წარმოადგენს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც პრობლემები ერთი ბანკიდან მეორეს გადაეცემა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მართავს ვალდებულებების სტაბილურობას, არის ის, რომ მცირე ოდენობის დეპოზიტები უფრო სტაბილურია, ვიდრე დიდი ოდენობის. დიდი დეპოზიტის გადატანის ხარჯი იგივეა, რაც მცირე დეპოზიტის გადატანისა, მაგრამ დეპოზიტორისათვის დიდი დეპოზიტის გადატანას უფრო მეტი დადებითი მხარე აქვს, ვიდრე პატარა დეპოზიტისას. მაგალითად, საპროცენტო შემოსავლის ზრდა უფრო დიდია, როცა კლიენტს დიდი დეპოზიტი გადააქვს ბანკში, რომელიც უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს იხდის, ვიდრე მცირე დეპოზიტის გადატანის შემთხვევაში. ასევე, სხვადასხვა ანგარიშებზე თანხების შეტანა და გატანა, როცა სადეპოზიტო ბაზა 1000-მდე მცირე ანგარიშისგან შედგება, უფრო ნაკლებად დაეტყობა ბანკს, ვიდრე 100 დიდი ანგარიშისგან შემდგარი სადეპოზიტო ბაზის შემთხვევაში.

დაბოლოს, ვადიანი დეპოზიტები უფრო სტაბილურია, ვიდრე მოთხოვნამდე დეპოზიტები. რადგან მოთხოვნამდე დეპოზიტებს არა აქვთ განსაზღვრული ვადიანობა და მათ იყენებენ კერძო პირები, კომპანიები და სამთავრობო ორგანიზაციები ოპერაციების საწარმოებლად, შესაძლებელია დიდი ოდენობის დეპოზიტების გატანა სხვადასხვა ანგარიშიდან ბანკისთვის წინასწარი შეტყობინების მიწოდების გარეშე. ვადიანი დეპოზიტები, გამოიყენება მათი მფლობელების მიერ ინვესტიციების განსახორციელებლად და იშვიათად ხდება მათი გატანა განსაზღვრული ვადის დადგომამდე. შემნახველი დეპოზიტები ნაკლებ სტაბილურია, ვიდრე

ვადიანი დეპოზიტები, მაგრამ უფრო სტაბილურია, ვიდრე მოთხოვნამდე დეპოზიტები. მიუხედავად იმისა, რომ შემნახველ დეპოზიტებს არ გააჩნიათ განსაზღვრული ვადიანობა, ბანკებმა კლიენტს შეიძლება მოსთხოვონ ფულის გატანის შესახებ შეტყობინების გაგზავნა რამდენიმე დღით ადრე. ასევე, შემნახველი დეპოზიტები, ვადიანის მსგავსად, მათი მფლობელების მიერ გამოიყენება ინვესტიციების განსახორციელებლად და თანხის გატანა ამ ანგარიშებიდან, ჩვეულებრივ, ხშირად არ ხდება.

9.3. ლიკვიდობის მართვა და სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის კონტროლი მის მართვაზე

არსებობს გარკვეული დათმობა ლიკვიდობის მართვის პროცესში. ბანკმა შეიძლება სრულიად გამორიცხოს ლიკვიდობის ნაკლებობის შესაძლებლობა, თუ მთელი მისი აქტივები წარმოდგენილი იქნება ნაღდი ფულის, სხვა ბანკებში არსებული დეპოზიტების და სხვა ლიკვიდური აქტივების სახით. თუმცა, აქტივების ასეთი პორტფელიდან შესაძლებელია მხოლოდ ძალიან მცირე ოდენობის საპროცენტო შემოსავლის მიღება. ბანკებს შეუძლიათ გაახარდონ თავიანთი საპროცენტო შემოსავალი, თუ ექნებათ მხოლოდ სესხები და ძირითადი საშუალებები, ასევე, ხელთარსებული ნაღდი ფული ყოველდღიური ხარჯების დასაფარად და მცირე ოდენობის გატანილი დეპოზიტების დასაბალანსებლად. ასეთი პოზიცია, რა თქმა უნდა, ბანკს განსაკუთრებით მგრძნობიარეს გახდის დიდი მოცულობის მოულოდნელი გადინების მიმართ.

ამგვარად, ბანკებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ფული და სხვა ლიკვიდური აქტივები საკმარისი ოდენობით, რომ მოახდინონ მოულოდნელი გადინების სათანადო გაწონასწორება. თუმცა, ეს ოდენობა ძალზე დიდი არ უნდა იყოს, რომ არ შეამციროს საპროცენტო შემოსავალი. ბანკის მენეჯმენტს არასოდეს ეცოდინება, აქვს თუ არა ბანკს ლიკვიდობის საჭირო რაოდენობა.

მაგრამ არსებობს რამდენიმე მაჩვენებელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადაწყვეტილების მისაღებად.

ლიკვიდური აქტივების ოდენობა მთლიანი ვალდებულებების პროპორციული უნდა იყოს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დეპოზიტების მოულოდნელი გადინება ან გარკვეული ვადადამდგარი ვალდებულებების განახლების უუნარობა ლიკვიდობის პრობლემების ორი ძირითადი მიზეზია. ლიკვიდობის მართვის მარტივი წესი, მაგალითად, შეიძლება იყოს ის, რომ ბანკს ჰქონდეს მთლიანი ვალდებულებების გარკვეული პროცენტის შესაბამისი ლიკვიდური აქტივები.

თუმცა, ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ზოგიერთი ვალდებულება უფრო სტაბილურია სხვასთან შედარებით. ვთქვათ, არსებობს ორი ბანკი და თითოეულის ლიკვიდური აქტივები ვალდებულებების 15%-ია. ერთი ბანკის ვალდებულებები, უმეტესად, წარმოდგენილია კომპანიების და სხვა ბანკების მოთხოვნამდე დეპოზიტებით, მაშინ როცა მეორე ბანკის ვალდებულებები წარმოდგენილია, უმეტესად, კერძო პირების 6-თვიანი ვადიანი დეპოზიტებით. ცხადია, რომ პირველი ბანკი უფრო მგრძნობიარეა ლიკვიდობის ნაკლებობის მიმართ ვიდრე მეორე და უნდა ჰქონდეს უფრო მეტი ლიკვიდური აქტივი.

ლიკვიდური აქტივების სათანადო ოდენობის განსასაზღვრად გამოსაყენებელი კარგი ფორმულა ითვალისწინებს ვალდებულებების სხვადასხვა ტიპებს. მაგალითად, ბანკმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ჰქონდეს მოთხოვნამდე დეპოზიტების 40%-ის, შემნახველი დეპოზიტების 25%-ის, ვადიანი დეპოზიტების 15%-ის და სხვა ნასესხების სახსრების 5%-ის ლიკვიდური აქტივები. ფორმულა შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, კერძო პირების, კომპანიების, სხვა ბანკების და სამთავრობო ორგანიზაციების დეპოზიტებისთვის სხვადასხვა პროცენტული ოდენობის მიკუთვნებით.

თუმცა, ბანკისთვის საკმარისი არ არის აირჩიოს ლიკვიდური აქტივების დონე და არაფერი გააკეთოს ლიკვიდობის პოზიციის მართვისთვის. ბანკებს კვლავ სჭირდებათ ფულის შემოდინების და

გადინების ყოველდღიური მონიტორინგი და მისი სამომავლო პროგნოზირება გარკვეული სიზუსტით.

ლიკვიდობის რისკის ეფექტური მართვა მოითხოვს ინფორმირებულ სამეთვალყურეო საბჭოს, უნარიან მენეჯმენტს და სათანადოდ დაკომპლექტებული თანამშრომლების არსებობას. სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი პასუხისმგებელი არიან ლიკვიდობის რისკის ბუნების და დონის შესწავლაზე და რისკების მართვის ინსტრუმენტების შერჩევაზე. მათ, ასევე, უნდა უზრუნველყონ ბანკის დაფინანსების სტრატეგიის და მისი განხორციელების შესაბამისობა რისკის დასაშვებ დონესთან. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია შემდეგზე:

• განსაზღვროს ბანკის სტრატეგიული მიმართულება და ლიკვიდობის რისკის დასაშვები დონე.

• შეარჩიოს მენეჯერები, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა მართონ, ლიკვიდობის რისკი.

• აწარმოოს ბანკის ფუნქციონირების და საერთო ლიკვიდობის რისკის პროფილის მონიტორინგი.

• უზრუნველყოს ლიკვიდობის რისკის განსაზღვრა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. მენეჯმენტი აკონტროლებს ლიკვიდობის რისკის ყოველდღიურ და გრძელვადიან მართვას. მენეჯერებმა უნდა:

• შეიმუშაოს და დანერგოს პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც საბჭოს მიზნებს, ამოცანებს და რისკების დასაშვებ დონეს აქცევენ საოპერაციო სტანდარტებად, რომლებიც გათავისებული იქნებიან ბანკის პერსონალის მიერ და შეესაბამებიან საბჭოს განზრახვას.

• დაიცვას უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინა ლიკვიდობის რისკის მართვისათვის.

• განახორციელოს მენეჯმენტის საინფორმაციო და სხვა სისტემების დანერგვის კონტროლი, რომლებიც განსაზღვრავენ, აფასებ-

ბენ, ახორციელებენ მონიტორინგს და აკონტროლებენ ბანკის ლიკვიდობის რისკს.

• დაამყაროს ეფექტური შიდა კონტროლი ლიკვიდობის რისკის მართვის პროცესზე.

ორგანიზაციული სტრუქტურის მიუხედავად, ბანკის რისკების მართვის პროცესი უნდა მოიცავდეს სისტემებს, რომლებიც განსაზღვრავენ, აფასებენ და აკონტროლებენ ლიკვიდობის რისკს. რისკების ეფექტური მართვის გადამწყვეტი ელემენტებია: მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები, რისკების ლიმიტები, შიდა კონტროლი, მენეჯმენტის ანგარიშგება და ლიკვიდობის თვალსაზრისით განსაკუთრებული პრობლემების გადაჭრის გეგმა.

ეფექტურმა საინფორმაციო სისტემამ დროული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მენეჯმენტს ლიკვიდობის ყოველდღიური მართვისა და რისკების კონტროლის შესახებ. იდეალურ შემთხვევაში, რეგულარული ანგარიშგებები, რომლებსაც ბანკი ამზადებს, საშუალებას აძლევს მას განახორციელოს ლიკვიდობის მონიტორინგი კრიზისის დროს. მენეჯერებმა, უბრალოდ, უფრო ხშირად უნდა მოამზადონ ანგარიშგებები. ანგარიშგებების შინაარსი და ფორმატი დამოკიდებულია ბანკის ლიკვიდობის მართვის პრაქტიკაზე, რისკებზე და სხვა მახასიათებლებზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

• ფინანსური ნაკადების ანალიზს.
• აქტივების ხარისხს და ტენდენციებს.
• მოგების პროგნოზირებას.
• ბაზარზე ბანკის საერთო რეპუტაციას და თვით ბაზრის მდგომარეობას.
• მენეჯმენტის ცვლილებას.
• ბალანსის საერთო სტრუქტურის ტიპს და შედგენილობას.
• მოზიდული ფულადი სახსრების ტიპს, წყაროს და ფასს.

სამეთვალყურეო საბჭომ და მენეჯმენტმა უნდა განსაზღვრონ მისაღები ლიკვიდობის რისკის ბუნებისა და ოდენობის ლიმიტები. როდესაც ხდება რისკის შეზღუდვა, მენეჯმენტმა უნდა განი-

საზღვროს ბანკის სტრატეგიებისა და საქმიანობის ბუნება, მოგების ოდენობა, პოტენციური ზარალის შთანთქმისათვის აუცილებელი ზედმეტობისა და კაპიტალის დონე და სამეთვალყურეო საბჭოსათვის მისაღები რისკების დონე.

მენეჯმენტს და სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეთ სანდოება, რომ განიხილონ შესაბამისობა დადგენილ ლიმიტებთან და საოპერაციო პროცედურებთან. ყველაზე წარმატებული ბანკებიც კი შეიძლება დადგნენ დაფინანსების პრობლემის წინაშე ეფექტური კონტროლის მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში. განხილვა უნდა ხდებოდეს რეგულარულად, დაფინანსების სფეროსგან დამოუკიდებელი პირის მიერ.

მენეჯმენტმა და სამეთვალყურეო საბჭომ, ან კომიტეტმა, უნდა მიიღონ ანგარიშგებები ბანკის ლიკვიდობის რისკის დონის და ცვლილების ტენდენციის შესახებ, სულ ცოტა, ყოველკვარტალურად. თუ რისკი მაღალია, ან ზომიერია და იზრდება, ანგარიშგებები უფრო ხშირად უნდა მომზადდეს. ამ ანგარიშგებებიდან, მენეჯმენტმა და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გაარკვიონ, რა ოდენობის ლიკვიდობის რისკს იღებს ბანკი, შესაბამისობაშია თუ არა მენეჯმენტი რისკის ლიმიტებთან და შეესაბამება თუ არა მენეჯმენტის სტრატეგიები სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ რისკის მისაღებ დონეს.

როგორც სრულყოფილი ლიკვიდობის მართვის პროგრამის ნაწილი, ბანკებმა უნდა შეიმუშაონ და შეინარჩუნონ განსაკუთრებული შემთხვევების დაფინანსების გეგმა (გდგ). გდგ არის ფულადი სახსრების მიმოქცევის პროგნოზი და დაფინანსების გეგმა, რომელიც ახდენს დაფინანსების საჭიროებისა და დაფინანსების წყაროების პროგნოზირებას ისეთ საბაზრო პირობებში, რომლებსაც ადგილი აქვს აქტივების აგრესიულ ზრდას ან ვალდებულებების სწრაფ შემცირებას. გდგ უნდა იყოს მენეჯმენტის საუკეთესო შეფასება ბალანსის ცვლილებისა, რაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ლიკვიდობის ან საკრედიტო სფეროებში განვითარებულ მოვლენებს. გდგ-ს დახვეწა შესაბამისობაში უნდა იყოს

ბანკის კომპლექსურობასთან და მის წინაშე არსებულ რისკთან, საქმიანობასთან, პროდუქტებთან და ორგანიზაციულ სტრუქტურასთან. გდგ უნდა ითვალისწინებდეს ბანკის დაფინანსების და ლიკვიდობის ყველა საჭიროებას შემდეგის ჩათვლით:

• ყველა მნიშვნელოვანი საბალანსო და ბალანსგარეშე სახსრების მიმოქცევის ანალიზს და მათი რაოდენობრივი პროგნოზის და მიღებული შედეგების შეფასებას.

• პოტენციური ფინანსური ნაკადების გამოყენებისა და დაფინანსების წყაროების თანხვედრას.

• მაჩვენებლების განსაზღვრას, რათა მენეჯმენტმა შეიტყოს პოტენციური რისკის დონის შესახებ. გდგ ნათლად უნდა განსაზღვრავდეს, რაოდენობრივად აფასებდეს და ახარისხებდეს დაფინანსების წყაროებს უპირატესობის მიხედვით, მათ შორის:

• აქტივების შემცირებით

• ვალდებულებების სტრუქტურის შეცვლით ან ვალდებულებების გაზრდით.

• ბალანსგარეშე წყაროების გამოყენებით.

• ბალანსის ცვლილებების კონტროლისათვის სხვა ალტერნატივების გამოყენებით. გდგ უნდა გულისხმობდეს აქტივების მხარის სტრატეგიებს ლიკვიდობის კრიზისის საპასუხოდ:

• უნდა მოხდეს თუ არა ფულადი ბაზრის ჭარბი აქტივებისl ლიკვიდაცია.

• როდის შეიძლება ფასიანი ქაღალდების ლიკვიდაცია.

• უნდა მოხდეს თუ არა ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გაყიდვა რეპო ბაზრებზე.

• როდის მოხდეს გრძელვადიანი აქტივების, ძირითადი საშუალებების ან ცალკეული ბიზნესის გაყიდვა. გდგ უნდა ასახავდეს ვალდებულებების დაფინანსების სტრატეგიებს. ეს შეიძლება მოიცავდეს:

• დაფინანსებისთვის საერთო ფასების პოლიტიკის განსაზღვრას. პოლიტიკა შეიძლება განსაზღვრავდეს მაქსიმალურ

ოდენობას ან შეიძლება უარყოფდეს ნებისმიერ პრემიას (მზარდი რისკის გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით).

• დილერების განსაზღვრას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ბაზრების შენარჩუნებაში, ბანკის სავაჭრო ინსტრუმენტებისათვის.

• დაფინანსების ცალკეული ბაზრის განსაზღვრას, მაგალითად, მცირე ხილვადობის ანგარიშების თავიდან ასაცილებლად (ინდივიდუალური კერძო ხელშეკრულებების სასარგებლოდ).

• სტრატეგიების შემუშავებას, თუ როგორ წარიმართოს ურთიერთობა არატრადიციული დაფინანსების წყაროებთან (მაგ, ვისთან მოხდეს დაკავშირება, რა ტიპის ინფორმაცია და როგორი ობიექტები უნდა იყოს წარმოდგენილი, ვინ გასცემს პასუხს შემდგომ კითხვებს და როგორ მოხდება კავშირების შესაბამისობის უზრუნველყოფა). ფულადი ბაზრის აქტივები მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: სახაზინო ვალდებულებები, ბანკთაშორისი სესხები, კრედიტები ეროვნული ბანკიდან, კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სადეპოზიტო სერტიფიკატები, რეპო ოპერაციები და სხვა.

• პოლიტიკის განსაზღვრას ცალკეული კლიენტის მიერ ადრეული გამოსყიდვის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ეს პრაქტიკა უნდა გამორიცხავდეს ფავორიტიზმს და დისკრიმინაციას. პოლიტიკა, ასევე, უნდა მოიცავდეს საბითუმო კლიენტებს, რომლებიც მოითხოვენ თავიანთი ხელშეკრულებების ადრეულ გამოსყიდვას.

• ბანკის მიერ ეროვნული ბანკიდან ნასესხები სახსრების შეფასებას, დროის, ხანგრძლივობის და გადახდის წყაროს მითითებით.

• ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ადმინისტრაციულ პოლიტიკასა და პროცედურებზე, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული ლიკვიდობის კრიზისის დროს:

• მენეჯმენტის პასუხისმგებლობები დაფინანსების კრიზისის პერიოდში. კრიზისზე მომუშავე გუნდის წევრების სახელები, მისამართები და ტელეფონის ნომრები

• გეოგრაფიულად სად მოხდება გუნდის წევრების მოვლინება.

• ვის ექნება მინიჭებული პასუხისმგებლობა, დაამყაროს გარეშე კავშირები ზედამხედველებთან, ანალიტიკოსებთან, ინვესტორებთან, გარე აუდიტორებთან, პრესასთან, მნიშვნელოვან კლიენტებთან და სხვებთან.

• როგორ წარიმართება შიდა კავშირები მენეჯმენტის და აქტივ/პასივების მართვის კომიტეტის (ALCO) წევრებს, საინვესტიციო პორტფელის მენეჯერებს, მოვაჭრეებს, თანამშრომლებს და სხვათა შორის.

• როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ALCO-სთვის მენეჯმენტის ანგარიშგებების მიწოდება, რომლებიც დროულია და მნიშვნელოვანი და საშუალებას აძლევს წევრებს, გაითავისონ ბანკის მოვლენების მნიშვნელობა და დასახონ შესაბამისი ღონისძიებები. გდგ-ს სრულყოფილი მონახაზის შედგენა საკმაოდ შრომატევადია. ბანკებმა მნიშვნელოვანი დრო უნდა დაუთმონ ისეთ გარემოებებს, რომლებიც კავშირშია მათ საქმიანობასთან. მაგალითად, ბანკები, რომელნიც მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე დგანან, საჭიროებენ პოლიტიკას და პროცედურებს, რომლებიც შეესაბამება მათ გეოგრაფიას ან სავალუტო მოთხოვნებს.

სებ-ი კომერციულ ბანკებს უდგენს ლიკვიდური აქტივების მინიმალურ ოდენობას. **„ლიკვიდური აქტივები"** ნიშნავს ხელთ არსებული ნაღდი ფულის და სხვა აქტივების ჯამს, რომელიც სწრაფად შეიძლება იქცეს ფულად მათი ისტორიული ღირებულების შემცირების გარეშე. იგი შეიცავს:

• დაუგირავებელ თავისუფალ ფულად სახსრებს;

• ნაშთებს სებ-ში არსებულ ანგარიშებზე;

• მყარად კონვერტირებად ვალუტაში გამოსახულ წმინდა ნაშთებს აშშ ფედერალური რეზერვების ბანკში ან ევროგაერთიანების წევრი ქვეყნის ცენტრალურ ბანკში;

• დაუგირავებელ ფასიან ქაღალდებს, რომელიც გამოშვებულია ან უპირობოდ არის გარანტირებული საქართველოს მთავრობის, აშშ მთავრობის ან ევროგაერთიანების წევრი ქვეყნის მთავრობის მიერ.

• ლიკვიდური აქტივები არ უნდა შეიცავდეს ყადაღადადებულ კორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხულ თანხებს, ნეგატიურად კლასიფიცირებულ ბანკთაშორის დეპოზიტებს, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული მინიმალური რეზერვების თანხას ამ თანხის ნაწილს, რომლის უზრუნველყოფითაც ბანკს აღებული აქვს კრედიტი.

სებ-ის მიერ დადგენილი ყველა მინიმალური სტანდარტი განსაკუთრებულ უნდა იქნეს, როგორც მხოლოდ აბსოლუტური მინიმუმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკის ლიკვიდობის პოზიცია უნდა ექვემდებარებოდეს ინსპექტორების და ფინანსური ანალიტიკოსების მიერ ჩატარებულ კი, თუ ბანკი აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს.

ჭარბი კაპიტალის მქონე ბანკებს უფრო ადვილად მიუწვდებათ ხელი ნასესხებ სახსრებზე და, ამგვარად, უკეთესი პოზიცია აქვთ გაუთვალისწინებელი გადინების დასაძლევად, ვიდრე ბანკებს, რომელთაც სუსტი კაპიტალი აქვთ. ამასთან, როგორც ფულადი სახსრების მუდმივი წყარო, კაპიტალი გაცილებით სტაბილურია ვიდრე ფულადი სახსრების სხვა წყაროები, როგორიცაა მაგალითად, დეპოზიტები. აქტივების ხარისხი, ასევე, გავლენას ახდენს ლიკვიდობაზე, თუ მსესხებლები არ იხდიან სესხის ძირითად თანხას ან პროცენტს, მაშინ ბანკს შეიძლება არ ჰქონდეს ხელთ საკმარისი ფული, რომ დაფაროს ძირითადი თანხა და პროცენტი მის ვალდებულებებზე. დაბალი მოგება, რომელიც განპირობებულია უარყოფითი წმინდა საპროცენტო შემოსავლით ან ჭარბი ადმინისტრაციული ხარჯებით, ასევე შეამცირებს ბანკის ფულად სახსრებს. თუ ბანკს აქვს ფულის ზედმეტი ოდენობა, შეიძლება მან მოგებაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. ლიკვიდობის ფინანსური ანალიზი და მონიტორინგი ითვალისწინებს ყოველ ზემოთქმულ ურთიერთგავლენას და, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ბანკის ლიკვიდობის პოზიციის ობიექტურ მაჩვენებლებზე, როგორიცაა ლიკვიდური აქტივების ოდენობა და ვალდებულებების სტრუქტურა. რა თქმა უნდა, ბანკის ლიკვიდობის პოზიციის სიღრმისეული ანალიზი, ასევე, უნდა შეიცავდეს იმის მიმოხილვას,

თუ რაოდენ კარგად ესმის ბანკის მენეჯმენტს და მართავს ლიკვიდობის პოზიციას. ბანკის ზედამხედველებმა, ასევე, უნდა იცოდნენ, აქვს თუ არა ბანკს წინასწარი შეთანხმება, მაგალითად, სხვა ბანკებთან, რომ საჭიროების შემთხვევაში მოიზიდონ დამატებითი სახსრები. მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება შესწავლილ იქნეს ადგილზე შემოწმების დროს.

On site-ის ანალიტიკოსმა ბანკის ლიკვიდობის ანალიზის პროცესში უნდა დასვას შემდეგი კითხვები:

• ბანკი ამცირებს თუ ზრდის მის მფლობელობაში არსებულ ლიკვიდურ აქტივებს.

• ლიკვიდობის სხვადასხვა საზომის მიხედვით, გააჩნია თუ არა ბანკს უფრო მეტი ან ნაკლები ლიკვიდური აქტივი ჯგუფთან შედარებით.

• ამცირებს თუ ზრდის ბანკი დამოკიდებულებას ფულადი სახსრების არასტაბილურ წყაროებზე, როგორიცაა დიდი დეპოზიტები ან სხვა ბანკების ან სამთავრობო დეპოზიტები?[1] და უფრო მეტად ეყრდნობა თუ არა ბანკი ამ რესურსებს ჯგუფთან შედარებით.

• აქვს თუ არა ბანკს დასაფარი ვალის ის ოდენობა ახლო მომავალში, რომელიც აღემატება იმ აქტივებს, რომელთა ვადაც დადგება იგივე პერიოდში.

• აკმაყოფილებს თუ არა ბანკი სებ-ის მინიმალურ საზედამხედველო მინიმუმს ლიკვიდობასთან დაკავშირებით.

On site-ის ანალიტიკოსმა უნდა გამოთვალოს ბანკის საბალანსო უწყისში აღრიცხული ლიკვიდური აქტივების ოდენობა და გაარკვიოს, იზრდება თუ მცირდება იგი. ლიკვიდური აქტივებიც შეიძლება შეიცავდნენ ფულს, სებ-ში ბანკის სადეპოზიტო

[1] ტერმინი „ფულადი სახსრების არასტაბილური წყაროები“ ეხება დეპოზიტორებს, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება მიუწვდომელი იყოს ფართო საზოგადოებისთვის და ამიტომ საშუალება აქვთ გამოიტანონ თავიანთი დეპოზიტები უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა დეპოზიტორებმა.

საქართველოს და დეპოზიტებს სხვა ბანკებში. ბანკის შესადარებლად სხვა ბანკებთან, ონსაიტის ანალიტიკოსმა უნდა განიხილოს საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი და შეუდაროს იგი ჯგუფის საშუალოს, ამასთან ერთად, დააკვირდეს კოეფიციენტის ცვლილების ტენდენციას ბოლო პერიოდის განმავლობაში.

თუ ეს კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი, On site-ის ანალიტიკოსმა უნდა აღნიშნოს მცირებს თუ არა ლიკვიდობის მაღალი დონე მოგებას. იგი, ასევე, უნდა დაუკავშირდეს ბანკს, რათა განსაზღვროს, აპირებს თუ არა მენეჯმენტი შეინარჩუნოს ლიკვიდობის მაღალი დონე, თუ იგი განპირობებულია სესხების მოგებიანი გაცემის ან ინვესტირების შესაძლებლობების დროებითი ნაკლებობის გამო.

თუ ეს კოეფიციენტი ჯგუფის საშუალოზე დაბალია, ანალიტიკოსმა უნდა შეატყობინოს მენეჯმენტს პოტენციური საფრთხის შესახებ. მან, ასევე, უნდა დასვას კითხვა: აქვს თუ არა მენეჯმენტს ბანკის ლიკვიდობის გაზრდის გეგმა, არსებობს თუ არა გართლება ბანკის დაბალი ლიკვიდობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

შემდეგ, ანალიტიკოსმა უნდა გამოთვალოს ბანკის სხვა აქტივების ოდენობა, რომელიც, ზემოხსენებულისგან განსხვავებით, ნაკლებად ლიკვიდურია, მაგრამ რომლის გაყიდვაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი გახდეს ან შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც გირაო ნასესხები სახსრებისთვის. ამ აქტივებს მიეკუთვნება ეროვნული სახაზინო ვალდებულებები, სხვა სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, საშინაო კორპორაციული ვალი და უცხოეთის სამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები.

ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს, იზრდება თუ მცირდება ამ აქტივების საერთო ოდენობა და გამოთვალოს მისი ვალდებულებებთან ფარდობის კოეფიციენტი ჯგუფის საშუალოსთან შედარების მიზნით. ლიკვიდობის შეფასებისას, ამ აქტივების შედარებით მაღალ ოდენობას შეუძლია ანალიტიკოსის მონაცემებში

არსებული ლიკვიდური აქტივების შედარებით დაბალი რაოდენობის კომპენსირება.

ლიკვიდობის მონიტორინგის შემდეგი სტადიაა ვალდებულებების შედგენილობა. აღსანიშნავია ოთხი ძირითადი მაჩვენებელი, რომელთა მონიტორინგიც უნდა მოხდეს. ამ მაჩვენებელთაგან ერთერთის მაღალი მნიშვნელობა ან ზრდა, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, თუ რა არის ტიპური ჯგუფის ბანკებისთვის, მიუთითებს დაფინანსების წყაროების შესაძლო არასტაბილურობაზე და არახელსაყრელია. თითოეული მაჩვენებლისთვის ანალიტიკოსმა ბანკი უნდა შეუდაროს ჯგუფის საშუალოს და აღწეროს ნებისმიერი შესამჩნევი ტენდენცია:

• მოკლევადიანი ვალდებულებები, როგორც მთლიანი ვალდებულებების პროცენტი. თუ ეს პროცენტი მაღალია, და ბანკის ვალდებულებების წილი, რომლის ვადაც დადგება, ნებისმიერ დღეს მაღალია, ბანკმა უნდა განაახლოს ეს ვალდებულებები ან ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მათ დასაფარად. ამ მიზნით, მოკლევადიანი ვალდებულებები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვალდებულებები რომლის ვადის დადგომამდე დარჩენილია 30 დღე ან უფრო ნაკლები.

• სამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ბანკების დეპოზიტები როგორც მთლიანი ვალდებულებების პროცენტი. ეს დეპოზიტები შეიძლება არ იყოს ბანკისთვის ფულადი სახსრების სტაბილური წყარო.

• კლიენტთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე. საშუალო სიდიდის გამოსათვლელად, ანალიტიკოსმა უნდა გაყოს კლიენტთა მთლიანი დეპოზიტები სადეპოზიტო ანგარიშების რაოდენობაზე. დიდი ოდენობის დეპოზიტები ფულადი სახსრების ნაკლებად სტაბილური წყაროა, ვიდრე მცირე ოდენობის დეპოზიტები.

• მოთხოვნამდე დეპოზიტები, როგორც კლიენტთა მთლიანი დეპოზიტების პროცენტი. მოთხოვნამდე დეპოზიტები, განმარტების თანახმად, უფრო ადვილად შეიძლება იქნეს გატანილი, ვიდრე შემნახველი ან ვადიანი დეპოზიტები და მათ კლიენტები იყენებენ

ნებისმიერ გადახდის საშუალებას. ამ მიზეზების გამო, მოთხოვნამდე დეპოზიტები ფულადი რესურსების ნაკლებად სტაბილური წყაროა ვიდრე სხვა ტიპის დეპოზიტები.

◆ **ახლო მომავალში დასაფარი ვალი**

ანალიტიკოსმა, ასევე, უნდა შეისწავლოს ბანკის ლიკვიდობის პოზიცია იმის გათვალისწინებით, აქვს თუ არა ბანკს ვალდებულებების მნიშვნელოვანი ოდენობა, რომელიც ახლო მომავალში უნდა დაიფაროს. მაგალითად, ბანკს შეიძლება ჰქონდეს ერთი ოდენობის ვადიანი დეპოზიტი, სებ-ისგან მიღებული ნასესხები სახსრები, რომლის ვადაც დგება, ან გამოშვებული ობლიგაცია დიდ თანხაზე, რომლის ვადაც დადგება მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში. თუ ბანკის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა დიდი მოცულობის ვალდებულებების გაცემის დასაწყისიდან, არსებობს შესაძლებლობა, რომ ბანკი ვერ შესძლებს ვალდებულების რეფინანსირებას და შეიძლება წარმოიშვას ლიკვიდობის კრიზისი, რაც გაძლიერდება თუ ეკვივალენტური ოდენობის აქტივების დაფარვის ვადა არ დადგება დროის იგივე პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგების გამოყენებით, რომელიც გვიჩვენებს აქტივებს და ვალდებულებებს მათი ვადის დადგომამდე დარჩენილი დროის მიხედვით, ანალიტიკოსმა უნდა გამოიანგარიშოს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა „0-30“ დღიან, „31-90“-დღიან, „91-180“-დღიან და 1 წელზე მეტ პერიოდებში. თუ არსებობს ვალდებულებების მნიშვნელოვანი სიჭარბე აქტივებთან შედარებით ნებისმიერი ჩამოთვლილი დროის კატეგორიაში, ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტი, როგორც ლიკვიდობის პოტენციური პრობლემა, დაუკავშირდეს ბანკს და გაარკვიოს, აქვს თუ არა მენეჯმენტს შემუშავებული გეგმა ვალდებულებების რეფინანსირების განახლების შესახებ. ამასთან, თუ ანალიტიკოსმა იცის განსაკუთრებით დიდი ერთი ვალდებულება, რომლის ვადაც დგება და რომელიც აღემატება ან ტოლია ბანკის მთელი აქტივების 10%-ის, მან უნდა აღნიშნოს ეს, როგორც

ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაშინაც კი თუ აქტივების ადეკვატური ოდენობის ვადის დადგომა ხდება იგივე დროს.

ლიკვიდობის ფინანსური მიმოხილვის უკანასკნელი ნაწილი არის იმის განსაზღვრა, ასრულებს თუ არა ბანკი სებ-ის მინიმალურ საზედამხედველო მოთხოვნებს ლიკვიდობასთან დაკავშირებით. თუ სებ-ის მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად გაანგარიშებული ბანკის ლიკვიდობის საზედამხედველო კოეფიციენტი ნაკლებია მინიმუმზე, ანალიტიკოსმა უნდა გააფრთხილოს სებ-ის მენეჯმენტი, განსაზღვროს დანაკლისის ოდენობა და დაუკავშირდეს ბანკს, რათა გაარკვიოს, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ბანკის მიერ დანაკლისის შესავსებად.

ანალიტიკოსმა ფინანსური ანალიზი უნდა დაასრულოს ბანკის ლიკვიდობის პოზიციის საერთო შეფასებით. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელობა სათანადოდ უნდა იქნეს შეფასებული. თუ ბანკს აქვს ლიკვიდური აქტივების შედარებით დაბალი დონე, მაგალითად ანალიტიკოსმა უნდა განსაზღვროს ვალდებულებების შედგენილობა ამართლებს თუ არა ასეთ დაბალ დონეს. თუ ვალდებულებები, უპირველესად, ფულადი სახსრების სტაბილური წყაროებია, როგორიცაა გრძელვადიანი მცირე მოცულობის ვადიანი დეპოზიტები, მაშინ ლიკვიდური აქტივების დაბალი დონე შეიძლება გამართლებულ იქნას. მეორე მხრივ, თუ ვალდებულებები შედგება, უპირატესად, რესურსების არასტაბილური წყაროებისგან, როგორიცაა დიდი მოცულობის დეპოზიტები ან სამთავრობო დეპოზიტები, ლიკვიდური აქტივების დაბალი დონე კიდევ უფრო შემაშფოთებელი იქნება.

ბოლოს, ანალიტიკოსმა უნდა განიხილოს მოგების, აქტივების ხარისხის და კაპიტალის ადეკვატურობის არსებული ტენდენციების გავლენა ბანკის ლიკვიდობის პოზიციაზე. თუ კაპიტალი მცირდება, მაგალითად, უფრო რთული იქნება ბანკისთვის საგანგებო შემთხვევაში მოიზიდოს სახსრები. თუ ბანკი განიცდიდა ზარალს გადაუხდელი პროცენტის ან უკონტროლო ადმინისტრაციული ხარჯების გამო და მოსალოდნელია ხარჯები მომავალშიც, ბანკის ლიკვიდური აქტივები მალე ამოიწურება.

9.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შემოწმების პროცედურები

ლიკვიდობის შემოწმების პროცედურები მოიცავს შემდეგს:

აქტივ/პასივების და ლიკვიდობის ეფექტური მართვისათვის ბანკმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის პოლიტიკა. ლიკვიდობის მართვისთვის, აუცილებელია შემუშავდეს გაუთვალისწინებელ გარემოებებში მოქმედების ეფექტური გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება ლიკვიდობის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები და მოქმედების ალტერნატიული გზები. ბანკმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის პოლიტიკა და შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ლიკვიდობაზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეგულარულ მონიტორინგს. აღნიშნულის გათვალისწინებით შემმოწმებელმა უნდა:

– მოიპოვოს მენეჯმენტისა და დირექტორატის მიერ მიღებული ლიკვიდობის პოლიტიკის ბოლო ასლი. საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ბანკის ლიკვიდობის პოლიტიკის წინა ასლებიც;

– შეამოწმოს, რამდენად მკაფიოდ განსაზღვრავს ლიკვიდობის პოლიტიკა ლიკვიდობის მართვის პროცესის კომპონენტებს: მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებს, რისკების ლიმიტებს, შიდა კონტროლის მექანიზმებს, მენეჯმენტის ანგარიშგებებს და გაუთვალისწინებელ გარემოებებში დაფინანსების გეგმას;

– მოიპოვოს დირექტორატის და კომიტეტების იმ სხდომათა ოქმები, რომლებიც შეეხებოდა ბანკის ლიკვიდობას;

– გაეცნოს ნებისმიერი კომიტეტის, განსაკუთრებით კი, იმ კომიტეტების სხდომების ოქმებს, რომლებიც შექმნილია მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის მონიტორინგის მიზნით;

– გაეცნოს იმ მოხსენებათა ასლებს, რომლებიც მომზადდა ლიკვიდობის მართვის მიზნებისათვის. საჭიროების შემთხვევაში,

მოიპოვოს მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ძველი საინფორმაციო სისტემის აღწერის ასლი;

– მოიპოვოს ის დოკუმენტაცია, რომელშიც აღწერილია, რომელი სტრუქტურული ერთეული უნდა იძლეოდეს ინფორმაციას.

– მოიპოვოს იმ პროგრამული უზრუნველყოფის დასახელება, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის შესაგროვებლად, თუ შემოწმებელი არ იცნობს ამა თუ იმ პროგრამას, მოითხოვოს ინფორმაცია მწარმოებელი ფირმის გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძლებლობების შესახებ.

– დაადგინოს, თუ რა ტიპის ინფორმაცია მიეწოდება ბანკის მენეჯმენტს და ამ ინფორმაციის მიწოდების განრიგი.

ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იყოს ბანკის მოთხოვნილება ლიკვიდურ სახსრებზე, ბანკის აქტივების/პასივების მართვის ეფექტურობა, გარესაბალანსო ანგარიშების მოცულობა და შემადგენლობა. აგრეთვე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა და ვადები, დეპოზიტების შედგენილობა და სტაბილურობა, სახსრების არამყარი წყაროების გამოყენების პრაქტიკა, ბანკის ახლანდელი და მომავალი მოთხოვნილება სახსრებზე და სახსრების ალტერნატიული წყაროების არსებობა. ბანკმა უნდა გამოიყენოს ის საშუალებები, რომლებიც მას დაეხმარება დაადგინოს, თუ როგორ იმოქმედებს ბანკის ვალდებულებებზე ბანკის აქტივები და გარე საბალანსო ვალდებულებანი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარეშე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის საქმიანობაზე. რადგანაც, ნებისმიერი ბანკი განიცდის ეკონომიკური კლიმატის ცვლილებათა ზეგავლენას. ლიკვიდობის დაგეგმვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი და საერთაშორისო ეკონომიკისა და ფინანსური ბაზრების ტენდენციების მონიტორინგს.

შესაბამისად, შემმოწმებელმა უნდა:

მოიპოვოს ანგარიშგება იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნილება არსებობდა ბანკში ლიკვიდობაზე წინა პერიოდების განმავლობაში;

შეამოწმოს ლიკვიდობის პრობლემებთან დაკავშირებით არსებული გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობა;

მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოცულობის სახსრები სჭირდება ბანკს ამჟამად და რა სახსრები დასჭირდება სალაროს მომავალში. მენეჯმენტი უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ბანკის იმ სადეპოზიტო ანგარიშებზე, რომლებზეც ირიცხება დიდი მოცულობის თანხები. ამასთან, ეს ინფორმაცია უნდა ფიქსირდებოდეს. იმ შემთხვევაში თუ არსებობს განსაკუთრებული პროექტები, რომლებიც ბანკმა უნდა დააფინანსოს, (მაგ. ახალი ფილიალის მშენებლობა, დაგეგმილი ინვესტიციები, მოსალოდნელი სესხი) მოიპოვოს ინფორმაცია, რომელშიც დეტალურად იქნება ნაჩვენები დაფინანსების საჭიროება, პროექტის შესრულების ვადები და აუცილებელი თანხების მოცულობა;

– აქტივების ხარისხის შემსწავლელი შემმოწმებლისგან მოიპოვოს ინფორმაცია დაბალი ხარისხის აქტივების მოცულობის შესახებ;

– მოახდინოს საქმიანობის კოორდინირება საპროცენტო განაკვეთის რისკების შეფასებაზე პასუხისმგებელ ინსპექტორთან და მიიღოს ინფორმაცია, თუ რამდენად არის დამოკიდებული ბანკის მოგება და კაპიტალი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე;

– მოახდინოს საქმიანობის კოორდინირება სავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტების ფასის რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელ ინსპექტორთან და მიიღოს ინფორმაცია, თუ რა გავლენას იქონიებს ამ ინსტრუმენტების ფასის ცვლილება ბანკის მოგებასა და ფინანსურ მდგომარეობაზე;

– მოახდინოს საქმიანობის კოორდინირება სტრატეგიული რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელ ინსპექტორთან და მიიღოს

ინფორმაცია, ადეკვატურად არის თუ არა გათვალისწინებული სტრატეგიული გეგმების ზეგავლენა ბანკის დაფინანსების უნარზე;

– მოახდინოს საქმიანობის კოორდინირება რეპუტაციის რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელ ინსპექტორთან და გაარკვიოს, რა გავლენას ახდენს არსებული საზოგადოებრივი აზრი ბანკის უნარზე – ხელსაყრელ ფასად მოიზიდოს ფულადი სახსრები და შეინარჩუნოს ისინი რთულ პერიოდში;

– მოახდინოს საქმიანობის კოორდინირება საოპერაციო რისკის შეფასებაზე მომუშავე ინსპექტორთან და მოიპოვოს ინფორმაცია საოპერაციო სისტემების მართვის ეფექტურობის შესახებ.

– მიიღოს ბანკის სახსრების ძირითად და ალტერნატიულ წყაროთა სია, მაგ. ნებისმიერი არსებული საკრედიტო ხაზის ან ისეთი აქციონერების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ შემოიტანონ დამატებითი კაპიტალი.

– მოიპოვოს მენეჯმენტის იმ წინადადებათა ასლები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივების, ვალდებულებების და/ან გარე საბალანსო ანგარიშების მოძრაობაზე, მაგ. სესხებზე და/ან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდაზე ან შემცირებაზე.

– მიიღოს ინფორმაცია არსებული და მომავალი გეგმების შესახებ. ლიკვიდობის მართვის ერთ-ერთი საშუალებაა აქტივების მართვა. მრავალ შემთხვევაში (პირველ რიგში მცირე ბანკებში) ბანკებს აქვთ ძალზე მცირე გავლენა მთლიან ვალდებულებებზე, რის გამოც, სახსრებზე გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი იყენებს ლიკვიდურ აქტივებს. შემმოწმებელმა უნდა მოიპოვოს ინფომაცია, რომელიც ეხება ბანკის აქტივების სტრუქტურას, სტრუქტურაში მოსალოდნელ ნებისმიერ ცვლილებათა ჩათვლით, რომლებიც გამოწვეულია ადვილად რეალიზებადი აქტივების რეალიზაციით, ან ასეთის გაყიდვის გეგმებით. მიღებულ უნდა იქნეს სრული ფინანსური ინფორმაცია

წლისული და მიმდინარე წლის ყოველი თვის შესახებ. სახელდობრ, ინფორმაციებულ უნდა იქნეს:

– მონაცემები ლიკვიდური აქტივების მთლიანი მოცულობის შესახებ. ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ბანკის საბუღალტრო წიგნების ანგარიშებზე დაყრდნობით. საჭიროა დარწმუნება იმაში, რომ მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე იყოს ასახული აქტივების სხვადასხვა ტიპი და შესაბამისი თანხები.

– მონაცემები თავისუფალი ნაღდი ფულადი სახსრების მოცულობის შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სესხებისა და ინვესტიციების ზრდის დაფინანსებისათვის. ამასთან, მენეჯმენტმა უნდა წარმოადგინოს იმ ანგარიშების სია, რომლებზეც ირიცხება ეს სახსრები.

– მენეჯმენტის იმ გამოთვლების ასლები, რომლებშიც ასახულია დაფინანსებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების დატოვების საფასური და სარგებელი.

– ფინანსური ინფორმაცია დეპოზიტებისა და მოზიდული სახსრების შესახებ. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი სახით, რომ შემმოწმებელმა ადვილად განსაზღვროს თითოეული სახის დეპოზიტისა და მოზიდული სახსრების მოცულობა და მოძრაობა.

– ინფორმაცია დეპოზიტებისა და მოზიდული სახსრების შემადგენლობის შესახებ, მათი ტიპებისა და ვადების მიხედვით.

– ინფორმაცია საკრედიტო პორტფელის შესახებ ეკონომიკის სხვადასხვა დარგისა და ვადიანობის მიხედვით. ამის შემდეგ, მოიპოვოს საკრედიტო პორტფელის მთლიანი მოცულობა გაცემული სესხების ვადებისა და საპროცენტო (ფიქსირებული და არაფიქსირებული) განაკვეთების მიხედვით.

– ხელშეკრულებათა მიხედვით (ბალანსგარეშე ანგარიშებზე რიცხული), გასაცემი სესხების სია. მოიყვანოს სესხების მოსა-

ლოდნელი გაცემის თარიღები და გაცემისთვის აუცილებელი სახსრების მოცულობა.

– დამოუკიდებელი და სანდო მესამე მხარის მიერ ბანკის აქტივების საბაზრო ღირებულების შეფასების უკანასკნელი დასკვნა. დადგენილ იქნეს ის რეალური დრო, რომლის განმავლობაშიც ბანკი შესძლებს ამ აქტივების რეალიზაციას.

– ბანკების პოტენციური ალტერნატული დაფინანსების წყაროებისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთების უახლესი სია. მაგ. საკრედიტო აუქციონზე სხვადასხვა პირობებში ნასესხები რესურსების საფასური და აქციონერების ან სხვა ინვესტორებისგან მიღებული სახსრების საფასური.

– გამოთვლილ იქნეს აქტივების კონცენტრაცია. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება საკრედიტო ან საინვესტიციო პორტფელს, დადგინდეს, მოდის თუ არა ეკონომიკის რომელიმე სექტორზე (მაგ. სოფლის მეურნეობაზე, მშენებლობაზე) საკრედიტო ან საინვესტიციო პორტფელის 25% ან მეტი.

– შეადგინოს ეკონომიკის იმ სექტორების ჩამონათვალი, რომლებშიც ბანკი აწარმოებს თავის საქმიანობას. მოიპოვოს ინფორმაცია ამ სექტორების ეკონომიკური მაჩვენებლებისა და განვითარების ტემპის შესახებ. ვალდებულებების მართვა, ასევე, წარმოადგენს ლიკვიდობის მართვის ერთ-ერთ საშუალებას. ეს მეთოდი გულისხმობს სახსრებზე ბანკის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ფინანსური ბაზრიდან თავისუფალი (დისკრეციული) სახსრების მოზიდვის გზით. დისკრეციული რესურსები, ეს არის ის სახსრები, როლებსაც სხვადასხვა ინვესტორი ანდობს თავის ბროკერებს მათი შემდგომი ინვესტირებისათვის. ამასთან, ბაზარზე არსებობს კონკურენცია სხვადასხვა ბანკს შორის, რომლებიც ცდილობენ საპროცენტო განაკვეთების კონკურენციის საშუალებით მოიზიდონ ამგვარი რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის მართვა, ძირითადად, მოიცავს საპროცენტო განაკვეთის სტრატეგიული გაზრდისა და შემცირების საშუალებით დეპოზიტებისა

... სახსრების სხვა წყაროთა მოზიდვას სახსრებზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, აქტივების რეალიზაციის შესაძლებლობა არ გამოირიცხება. ამასთან, ორი ამგვარი ვარიანტის არსებობა იწვევს იმას, რომ მცირდება ლიკვიდობის შენარჩუნების საფასური. ამგვარად, მოსაზიდი თავისუფალი რესურსების საფასური შეიძლება შედარდეს სხვადასხვა ტიპის აქტივების რეალიზაციის შესაძლებლობასთან. ამასთან, მცირე და დიდი ბანკების მიერ ლიკვიდობის უზრუნველყოფის გზები, ძირითადად, განსხვავდება იმით, რომ დიდი ბანკები უკეთ აკონტროლებენ თავიანთი ვალდებულებებისა და აქტივების საპროცენტო განაკვეთებსა და შემადგენლობას. როგორც წესი, სახსრების საჭიროების წარმოქმნისას, დიდ ბანკებს უფრო ფართო არჩევანი აქვთ, რადგან მათ შეუძლიათ აირჩიონ სახსრების შოვნის შედარებით უფრო იაფფასიანი გზა. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ბანკს აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს ფინანსურ ბაზრებზე არსებული თავისუფალი რესურსები, მან შეიძლება შეამციროს თავისი ლიკვიდური აქტივების „ბუფერი“, რომელიც აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ბანკი შეულობს აუცილებელ სახსრებს მხოლოდ და მხოლოდ თავისი აქტივების მართვის საშუალებით. შემმოწმებლის მიერ მოპოვებულ უნდა იქნეს სრული ინფორმაცია ბანკის ვალდებულებების სტრუქტურის შესახებ, სტრუქტურის სეზონიერ ცვლილებათა ჩათვლით. მიღებულ უნდა იქნეს ფინანსური ინფორმაცია გასული საფინანსო წლის თითოეული თვის ...ალოსათვის, ასევე, წლიურად გადაანგარიშებული ყოველთვიური ...ჩვენებლები. შემმოწმებელმა უნდა:

– მოიპოვოს ბანკის ცალკეული ან ტიპების მიხედვით დაჯგუფებული ვალდებულებების სია, შესაბამისი ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების ჩათვლით.

– გაითვალისწინოს დეპოზიტების სტრუქტურა, რათა განსაზღვროს, აქვს თუ არა ბანკს ძირითადი დეპოზიტების საიმედო და სტაბილური ბაზა, იმ დეპოზიტებისაგან განსხვავებით, რომლებიც

შეიძლება გატანილ იქნეს ბანკიდან ხანმოკლე შეტყობინების საფუძველზე ან სხვადასხვა ტიპის ნასესხები სახსრებისგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება იყოს ძვირი ან არ იყოს ყოველთვის ხელმისაწვდომი.

– განიხილოს სამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ბანკების დეპოზიტების მთლიან საშუალო აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი და შეადაროს ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან. აღწეროს ნებისმიერი შესამჩნევი ცვლილების ტენდენცია (UBPR).

– განიხილოს მოთხოვნამდე დეპოზიტები, როგორც მთლიანი საშუალო აქტივების პროცენტი და შეადაროს ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. აღწეროს ნებისმიერი შესამჩნევი ცვლილების ტენდენცია (UBPR).

– განიხილოს მოკლევადიანი ვალდებულებების მთლიან საშუალო აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი და შეადაროს ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. აღწეროს ნებისმიერი შესამჩნევი ცვლილების ტენდენცია (UBPR).

– განსაზღვროს ბალანსგარეშე ვალდებულებების რაოდენობა და მისი გავლენა ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან ლიკვიდობაზე; სესხის გაცემის, საკრედიტო ხაზით დაფინანსების ან ნებისმიერი სხვა ვალდებულება, სადაც ბანკმა უნდა გასცეს ფულადი სახსრები მომავალში, სრულად უნდა იქნეს აღიარებული ლიკვიდობის სათანადო გეგმაში (UBPR).

– განიხილოს ბანკის GAP-ის ანგარიშგება და განსაზღვროს, გააჩნია თუ არა ბანკს ვალდებულებების მნიშვნელოვანი სიჭარბე აქტივებთან შედარებით, რომლის ვადის დადგომაც მომავალი თვის განმავლობაში ხდება. შენიშნოს, მოხდება თუ არა ერთი დიდი ვალდებულების ვადის დადგომა იმ პერიოდში და გაარკვიოს, გააჩნია თუ არა ბანკს ვალდებულებების რეფინანსირების გეგმა.

– მოიპოვოს ყველა იმ რესურსის წყაროების, ვალდებულებების ტიპების და ვადიანობის სრული სია, რომელიც გამოიყენება საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მიუთითოს ვალდებულებათა ტიპები და საპროცენტო განაკვეთები. არსებული ან ახლად წარმოქმნილი წყაროების შემთხვევაში, უნდა აღნიშნოს მათი ტიპები და რესურსების გაცემის პირობები.

– გამოთვალოს ვალდებულებათა კონცენტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ სახსრების ერთი ტიპის წყაროზე მოდის ვალდებულებათა 25% ან უფრო მეტი, ადგილი აქვს ვალდებულებათა კონცენტრაციას. გაეცნოს იმ ინფორმაციას, რომელსაც ფლობს ბანკის მენეჯმენტი ბანკის რესურსების წყაროების შესახებ.

– მოიპოვოს უახლესი ინფორმაცია კონკურენტი ბანკების მიერ შეთავაზებულ (ვადიანი და მოთხოვნამდე) დეპოზიტებზე შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

– მოიპოვოს ბანკის მიერ შესრულებული GAP-ის ანალიზის ასლი და ბანკის აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურა ვადებისა და ტიპების მიხედვით. გაეცნოს იმ შიდა და გარე ანგარიშგებებს, რომლებსაც ბანკის მენეჯმენტი იყენებს ვალდებულებების ყოველდღიური მართვის პროცესში.

მოიპოვოს შესაბამისი დებულებები და მითითებები, რომლებიც ეხება ლიკვიდობის მართვას, სახელდობრ:

◆ **ეკონომიკურ ნორმატივებთან შესაბამისობა.**

გამოითვალოს შემდეგი კოეფიციენტები, რომლებიც გამოიყენება ბანკის ლიკვიდობის შეფასებისას: საშუალო თვიური ლიკვიდური აქტივები/საშუალო თვიურ ვალდებულებებთან –30%.

- მთლიანი სესხები/მთლიან აქტივები: რეკომენდირებულია 60%-დან 75%-მდე.
- მთლიანი სესხები/დეპოზიტები
- წმინდა სესხები/მთლიანი ვალდებულებები
- ხელთარსებული ლიკვიდობის სტრუქტურა
- მთლიანი დეპოზიტები/მთლიანი აქტივები: რეკომენდებულია 65%-დან 90%-მდე.

- მოთხოვნამდე დეპოზიტები/მთლიანი აქტივები
- ვადიანი დეპოზიტები/მთლიანი აქტივები.

მას შემდეგ, რაც დასრულდება შემოწმების პროცედურების განხორციელება და მოგროვდება ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაცია, შემმოწმებელმა უნდა მოამზადოს წერილობითი ანალიზი ლიკვიდობის პოლიტიკისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადეკვატურობასთან დაკავშირებული შემოწმების შედეგების გათვალისწინებით:

შემმოწმებელმა უნდა შეაფასოს და განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა პოლიტიკა ბანკის სპეციფიკას და მიზნებს. პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს: არსებულ მდგომარეობას, მომავალში მოსალოდნელ თუ მოულოდნელ საგარაუდო შემთხვევებს, ბანკის საინვესტიციო პორტფელის მართვის სტრატეგიას და ამ ინვესტიციების პოტენციალს ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში. პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ბანკისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებებს, ისე მის მიზნებს. ლიკვიდობის პოლიტიკა დამოკიდებულია ორგანიზაციის ზომაზე, ოპერაციების მოცულობაზე და მენეჯმენტის სურვილზე გაწიოს რისკი. მან უნდა დაადგინოს, უზრუნველყოფს თუ არა პოლიტიკა შესაბამის საბანკო განყოფილებებს შორის კოორდინირებას და გასაზღვროს, თუ ვინაა პასუხისმგებელი ლიკვიდობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაზე. ამასთან, უფროსი მენეჯმენტი რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული ბანკის ლიკვიდობის შესახებ. გარდა ამისა, პოლიტიკამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებიც დაადგენენ ლიკვიდობის შესაფერის დონეს.

მაგ. 1. ლიმიტები დეპოზიტების კოეფიციენტებისთვის; 2. ლიმიტები კაპიტალის კოეფიციენტებისთვის; 3. ლიმიტები თანაფარდობისთვის „სახსრებზე მოსალოდნელი მოთხოვნილება/მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი სახსრების წყარო-

[illegible] 4. სახსრებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არსებული პირველად წყაროთა ჩამონათვალი; 5. არაფიქსირებული ვალდებულებათა გარკვეული კატეგორიების პროცენტული ფარდობისათვის (მაგ. სახელმწიფო დეპოზიტების თანაფარდობა მთლიან ვალდებულებებთან); 6. ლიკვიდობის ლიმიტები, ცალკეული კლიენტის ან ცალკეული დარგის სახსრებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით, რომლებიც მიიღება მხედველობაში ბანკის ლიკვიდობის გამოანგარიშებისას; 7. სხვადასხვა კატეგორიის ვალდებულებებისათვის მაქსიმალური/მინიმალური საშუალო ვადიანობის მცურავი ლიმიტები; 8. დადგენილი მინიმალური ლიკვიდობა რაც უზრუნველყოფს ოპერაციების წარმოებას ბანკის საქმიანობაში გრძელვადიანი კორექტირებების შეტანისას.

დაადგინოს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადეკვატურობა. მენეჯმენტის ეფექტური საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სახსრების ნორმალურად მართვის განუყოფელ ნაწილს. ოპერატიულად უნდა მზადდებოდეს და იხილებოდეს ანგარიშგებები, რომლებიც შეიცავენ გარკვეულ საბაზისო ინფორმაციას. ამასთან, სხვადასხვა ბანკისათვის, სახსრების მართვის მეთოდებიდან, პრაქტიკიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ანგარიშგებების შემადგენლობა და ფორმატი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზოგადად, ადეკვატური მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა უნდა შეიცავდეს: ანგარიშგებას, რომელშიც მოყვანილ უნდა იყოს დაწვრილებითი ინფორმაცია ლიკვიდობაზე მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი სახსრების წყაროების შესახებ (ამ ანგარიშგების მომზადებისას სასარგებლოა მოპოვებულ იქნეს: აქტივებისა და პასივების სტრუქტურა ვადების მიხედვით და იმ სესხების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა გაიცეს). გარდა ამისა, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემამ უნდა შეძლოს, მოამზადოს და ნათლად აჩვენოს ლიკვიდობის მართვის ის გეგმა, რომელიც გამოიყენება საგანგებო გარემოების წარმოქმნის შემთხვევაში. შემმოწმებელმა უნდა დაადგინოს შემდეგი:

– ეფექტურად იმართება თუ არა ბანკის აქტივები/პასივები და ბალანსგარეშე ანგარიშები. ადეკვატურად იგეგმება თუ არა, როგორც არსებული, ასევე, პოტენციური მოთხოვნილება ლიკვიდობაზე.

– დაწესებულია, თუ არა ეფექტური პარამეტრები ბანკის ლიკვიდობის მოთხოვნილებისათვის და არის, თუ არა ისინი დაცული.

– შეიცავს, თუ არა მენეჯმენტის მიერ ლიკვიდობის მართვის მიზნებისათვის შესრულებული ანგარიშგებები იმ ინფორმაციას, რომელიც უზრუნველყოფს ლიკვიდობის შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა მიღებას და მათი შესრულების მონიტორინგს.

– იმ შემთხვევაში, თუ ლიკვიდობის პოლიტიკა, პრაქტიკა ან პროცედურები არ არის ადეკვატური, იღებს თუ არა მენეჯმენტი სათანადო ზომებს, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

– შემუშავებულია თუ არა რეკომენდაციები და პროცედურები: საგანგებო გარემოების დროს მოქმედების, ლიკვიდური აქტივების მოცულობის, ბანკის მიერ სესხების და საინვესტიციო პორტფელის შესაძლებლობის, ვადიანი დეპოზიტების მოცულობის, დამატებითი რესურსების წყაროებისა და დაფინანსების ხაზების საჭიროების შესახებ. ლიკვიდობის ადეკვატურობის შემოწმებისას შემმოწმებელმა უნდა დაადგინოს ბანკის მოთხოვნილება ლიკვიდობაზე, შეუძლია თუ არა ბანკის მენეჯმენტს ამ მოთხოვნილებათა დადგენა და დაკმაყოფილება. ამისათვის შემმოწმებელმა უნდა:

– განიხილოს არსებული და წინა მოთხოვნილება ლიკვიდობაზე. განსაზღვროს, თუ როგორი იყო წინა მოთხოვნილება სესხებზე, საინვესტიციო საქმიანობის დონე და რამდენად უწყობდა ხელს ამ საქმიანობას დაფინანსება, როგორია მოზიდული სახსრების ჩვეულებრივი ან საშუალო ვადები და როგორაა ისინი უზრუნველყოფილი მენეჯმენტის მხრიდან.

– განსაზღვროს, არსებობს თუ არა ლიკვიდობის პრობლემების დამადასტურებელი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები და დაასახელოს ისინი.

– შეაფასოს საკრედიტო რისკის გავლენა ლიკვიდობის პოზიციაზე.

– შეაფასოს სტრატეგიული რისკის გავლენა ლიკვიდობის პოზიციაზე.

– შეაფასოს რეპუტაციის რისკის გავლენა ლიკვიდობის პოზიციაზე.

– შეაფასოს საოპერაციო რისკის გავლენა ლიკვიდობის პოზიციაზე.

– განსაზღვროს ფულად სახსრებზე ბანკის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნის გავლენა ლიკვიდობის პოზიციაზე. განსაზღვროს, დიდი მოძრაობა მის ანგარიშებზე რა გავლენას იქონიებს ბანკის საერთო ლიკვიდობაზე. არსებობს თუ არა ისეთი პროექტები, რომლებსაც ბანკი აფინანსებს და როგორ იმოქმედებს ეს ფაქტი სახსრებზე ბანკის მოთხოვნილებაზე.

– განსაზღვროს, რა გავლენას იქონიებს ბანკის ლიკვიდობაზე ოპერაციული ხარისხის აქტივები. თუ ბანკის აქტივების დიდი ნაწილი ოპერაციული ხარისხისაა, მაშინ ძირითადი თანხისა და პროცენტების დროულად დაუბრუნებლობა ნეგატიურად იმოქმედებს ბანკის ლიკვიდობაზე.

– განსაზღვროს, ბანკის ლიკვიდობის გაუარესების შემთხვევაში საკმარისი იქნება თუ არა სახსრების არსებული ან ალტერნატიული წყაროები.

– შეაფასოს, რა გავლენას მოახდენს ბანკის აქტივებში, პასივებში და/ან გარე საბალანსო ანგარიშებში დაგეგმილი ცვლილებები სახსრებზე ბანკის მოთხოვნილებაზე. იმ შემთხვევაში, თუ სწორადაა განსაზღვრული სახსრებზე ბანკის მოთხოვნილება, მენეჯმენტმა იმგვარად უნდა მართოს აქტივები და პასივები, რომ უზრუნველყოს სახსრებზე მოთხოვნილებების და სახსრების წყაროების ურთიერთშესაბამისობა.

– განსაზღვროს კაპიტალზე მომავალი მოთხოვნილებისა და წმინდა მოგების გავლენა ბანკის აქტივებზე, პასივებზე და გარე საბალანსო ვალდებულებათა შესრულებაზე.

– იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტი: ახდენს ლიკვიდური აქტივების რეალიზაციას; იღებს მოკლევადიან სესხებს (და/ან უშვებს დამატებით მოკლევადიან ობლიგაციებს); ზრდის ნაკლებად ლიკვიდური აქტივების მარაგებს, ზრდის ვადიანი ვალდებულებების მოცულობას, ზრდის კაპიტალის ანგარიშებს, ყოველი ოპერაციისთვის დაადგინოს:

1. რა დაუჯდება ბანკს ამ ოპერაციის წარმოება;

2. მოხდა თუ არა ამის შედეგად შეუთანმებლობა აქტივების/პასივების ვადებსა და სხვა ფასებში გადაანგარიშებას შორის;

3. როგორია ეკონომიური და საბაზრო სიტუაციის პროგნოზი.

შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს, რამდენად ადეკვატურად მართავს ბანკის მენეჯმენტი ლიკვიდობას აქტივების მართვის საშუალებით. შესაბამისად, შემმოწმებელმა უნდა:

– განსაზღვროს, თუ რა შედეგი მოაქვს ბანკის ლიკვიდობის კონტროლს აქტივების მართვის საშუალებით. ის ბანკები, რომლებიც მთლიანად კონცენტრირებულნი არიან აქტივების მართვაზე, ძირითად ყურადღებას აქცევენ სესხების ფასებისა და ხელმისაწვდომობის კორექტირებას და ლიკვიდური აქტივების დონის მისადაგებას კლიენტთა მოთხოვნებთან. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ძნელია ლიკვიდურად მიჩნეული აქტივების რეალიზაცია. მაგალითად, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შეიძლება ჩაიდოს ხელშეკრულებათა გარანტად და მნიშვნელოვნად გაუფასურდნენ საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად.

– განსაზღვროს, გამოთვალა თუ არა მენეჯმენტმა ლიკვიდობის შენარჩუნების ეფექტი და საფასური. მაგ.: თუ სახსრებზე არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ბანკი ინარჩუნებს ნაღდი თანხების დიდ მოცულობას, შეაფასა თუ არა მენეჯმენტმა ის, თუ რა გავლენას მოახდენს ნაღდი ფულის

ნაკლებობა ბანკის შემოსავალზე. შესაძლებელია, რომ ბანკი ამჯობინებდეს მაღალ ლიკვიდობას შემოსავლების შემცირების ხარჯზე.

– განსაზღვროს ბანკისთვის აუცილებელი ლიკვიდური აქტივების მოცულობა დამოკიდებულია სადეპოზიტო სტრუქტურის და საკრედიტო პორტფელის ზრდის სტაბილურობაზე. თუ სადეპოზიტო ანგარიშები, ძირითადად, შედგება მცირე მოცულობის და სტაბილური ანგარიშებისაგან, ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად საჭიროა შედარებით ნაკლები სახსრები. გარდა ამისა, ლიკვიდურობის მოთხოვნილების დაგეგმვისას მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს საბანკო ზედამხედველობის მოთხოვნები და ნორმატივები.

– განსაზღვროს, საჭიროა თუ არა ლიკვიდურობის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს: მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, თუ იზრდება დეპოზიტების დეზინტერმედიაციის ალბათობა. (დეზინტერმედიაცია-კლიენტების მიმართვა, უშუალოდ, ფინანსური ბაზრებისადმი ბანკების გვერდის ავლით), თუ არსებობს დიდი მოცულობის დეპოზიტებისა ან სესხების მნიშვნელოვანი ზრდის ან შემცირების ტენდენცია, თუ დეპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს სპეციალურ მუნიციპალურ, მოკლევადიან, სხვა ფასში გადაანგარიშებად ანგარიშებს, თუ საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სესხები, რომელთა დაბრუნება უახლოეს დროში არაა მოსალოდნელი, თუ ახლო მომავალში მოსალოდნელია გამოუყენებელი საკრედიტო ხაზების ან სესხის გაცემაზე ვალდებულებების მიხედვით, დიდი მოცულობით სესხების გაცემა, თუ არსებობს დამოკიდებულება ცალკეულ სადეპოზიტო ანგარიშსა და სავაჭრო საქმიანობაში დაკავებულ იმ კლიენტს შორის, რომელსაც გაუჩნდა ფინანსური პრობლემები, თუ ადგილი აქვს კრედიტების კონცენტრაციას ისეთ

დარგში, რომელშიც მოსალოდნელია ფინანსური პრობლემების წარმოქმნა.

– დაადგინოს, თუ რა დროში და რა ფასად შეიძლება მოხდეს ბანკის აქტივების რეალიზაცია. ამ ფაქტორს გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა ბანკის აქტივების მართვის თვალსაზრისით. იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს ბანკის რენტაბელობა, მენეჯმენტმა ყურადღებით უნდა აწონდაწონოს ის ამონაგები, რომელსაც ბანკი მიიღებს ლიკვიდური აქტივების რეალიზაციის შედეგად (შემოსავალს პლუს ლიკვიდობის შენარჩუნების საფასური). ამასთან, ის უნდა შედარდეს ნაკლებად ლიკვიდური აქტივებიდან მიღებულ უფრო მაღალ ამონაგებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივებისაგან ბანკი იღებს უფრო მაღალ შემოსავლებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ბანკის ბალანსის მდგომარეობის გაუარესების გამო, შეიქმნება ამ აქტივების რეალურზე უფრო დაბალ ფასად რეალიზაციის აუცილებლობა.

– განსაზღვროს, თუ რა გავლენას ახდენს გაცემულ სესხებსა და დეპოზიტებზე სეზონური, ციკლური ან სხვა ფაქტორები. თუ მოთხოვნილება სესხის გაცემისთვის აუცილებელ სახსრებზე იზრდება, ხოლო ბანკის დეპოზიტების წყაროები მცირდება, ამან შეიძლება შეუქმნას პრობლემები ბანკის ლიკვიდობას. ბანკი, რომელიც ლიკვიდობის უზრუნველყოფისას ეყრდნობა მხოლოდ აქტივების მართვას, ზღუდავს სესხების მოცულობის ზრდას იმ სიდიდემდე, რომელიც უზრუნველყოფილია დეპოზიტების არსებული მოცულობით. აღნიშნულის ალტერნატივას წარმოადგენს ლიკვიდობაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ბანკის ვალდებულებების წყაროების გამოყენებით მაგ. საქართველოს ეროვნული ბანკის საკრედიტო აუქციონზე რესურსების შეძენით და/ან ბანკთაშორისი სესხებით. დასავლეთის მრავალ ქვეყანაში, მაგ. აშშ-ში, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა რეგრესის უფლებით საშუალებას აძლევს ბანკს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვ-

ნილება საკრედიტო რესურსებზე. გადაწყვეტილება ვალდებულებების წყაროების გამოყენების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სეზონური, ციკლური და სხვა ფაქტორებისა და ფასების სრულ ანალიზს. ამასთან, ლიკვიდობის უზრუნველყოფა, ვალდებულებების წყაროების საშუალებით, შეიძლება იყოს გამოყენებული, ვიდრე აქტივების წყაროების საშუალებით ლიკვიდობის უზრუნველყოფის ალტერნატივა.

შემმოწმებლების მიერ უნდა განისაზღვროს, ადეკვატურად ფასდება თუ არა ლიკვიდობა ვალდებულებების მართვის საშუალებით, რისთვისაც შემმოწმებელმა უნდა:

– განსაზღვროს, შეუძლია თუ არა ბანკს, მოიპოვოს ვალდებულებების ისეთი წყაროები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფა. ამასთან, ვიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიკვიდობის უზრუნველყოფის ანალიზს, ანუ საკრედიტო რესურსების მარჟულ ღირებულებას. დაადგინოს, თუ რამდენად ხშირად მოუწევს ბანკს ამ ვალდებულებების ვადების დადგომისას მათი რეფინანსირება და როგორია ბანკის უნარი, მოიპოვოს სახსრები ფინანსური ბაზრის ნორმალური მდგომარეობისას. უკანასკნელის დადგენა დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, რადგან საბოლოო დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი რეალურად დააპირებს სესხების. ამასთან, აუცილებელია, შემმოწმებლები გაეცნონ სახსრების მიღების შესაძლებლობას, რათა დაადგინონ, თუ რა ტიპის სახსრები მისცემს ბანკს საშუალებას, შეინარჩუნოს დადებითი მარჟა. ცვლილებებს ფინანსურ ბაზარზე შეიძლება მოყვეს ბანკის მიერ მისაღებ ფასებში რესურსების მოპოვების უნარის სწრაფი დეგრადაცია. ამ შემთხვევაში ლიკვიდობა დაკავშირებულია ბანკის უნართან, მოიპოვოს რესურსები ფინანსურ ბაზრებზე იმ ფასად, რომელიც მისაღებია ბანკის აქტივებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით.

– განსაზღვროს ბანკის სადეპოზიტო ბაზის სტაბილურობა და ბანკის დამოკიდებულება დაფინანსების ცვალებად წყაროებზე.

– შეაფასოს დამოკიდებულება სამთავრობო დეპოზიტებზე და მათი მგრძნობელობა პოლიტიკური გარემოს ცვალებადობის მიმართ.

– შეაფასოს დამოკიდებულება მოთხოვნამდე დეპოზიტებზე და სადეპოზიტო ბაზის შენარჩუნების და/ან გაფართოების სტრატეგიები.

– შეაფასოს დამოკიდებულება მოკლევადიან ვალდებულებებზე და მათი შენარჩუნების სტრატეგიები.

– განსაზღვროს ბალანსგარეშე ვალდებულებების გავლენა ლიკვიდობის პოზიციაზე და ხდება, თუ არა ასეთი ვალდებულებების დაფინანსება დაფინანსების ცვალებადი წყაროების საშუალებით.

– განსაზღვროს შეუსაბამობა არსებული აქტივ/ვალდებულებების სტრუქტურაში ლიკვიდობის თვალსაზრისით.

– დაადგინოს, მიუწვდება, თუ არა ბანკს ხელი თავისუფალი სახსრების წყაროებზე. განსაზღვრონ ამგვარი საქმინობის მასშტაბი და მოცულობა. დაადგინოს, შეზღუდულია თუ არა ამგვარ ოპერაციათა წარმოება. როგორც წესი, დიდ ბანკებს მეტად მიუწვდებათ ხელი თავისუფალ რესურსებზე, რაც გამოწვეულია მათი რეპუტაციით საბანკო სექტორში და ფინანსურ ბაზრებზე.

– განსაზღეროს იმ რისკების დონე, რომელიც დაკავშირებულია ბანკის ვალდებულებების მართვასთან. სახსრების შეძენა კონკურენტულ ფასად საშუალებას აძლევს ბანკებს დააკმაყოფილონ კლიენტების გაზრდილი მოთხოვნა სესხებზე, თუმცა, ვალდებულებათა არასწორმა მართვამ შეიძლება სავალალო შედეგები იქონიოს ბანკისთვის იმდენად, რამდენადაც პასივების მართვა არ წარმოადგენს ურისკო საქმიანობას. რისკების ფაქტორის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: შეიძლება ყოველთვის ვერ მოხერხდეს რესურსების შეძენა მისაღებ ფასად.

ასთან, თუ ბაზარი კარგავს ბანკისადმი ნდობას, მაშინ საფრთხე ექმნება შეძენილ სახსრებს; რესურსების წყაროთა კონცენტრაცია ზრდის ლიკვიდობის რისკს. მაგ. ბანკს, რომელიც დამოკიდებულია უცხოურ ბანკთაშორის დეპოზიტებზე, შეექმნება პრობლემები სახსრების შოვნისას, თუ უცხოური ბაზარი იგრძნობს საქართველოს ბანკების ან ეკონომიკის არასტაბილურობას. ასთან, უცხოურ წყაროთა შეცვლა დაკავშირებული იქნება გარკვეულ სიძნელეებთან, რადგან ადგილობრივი ბაზარი შეიძლება სპეციფიურად შეხვდეს სახსრებზე ბანკის მოულოდნელ მოთხოვნას. სეზონისმიერმა მოულოდნელმა მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს საკულაცია ადგილობრივი და საერთაშორისო საბანკო დაწესებულებების მხრიდან; პასივების მართვაზე ზედმეტად დაყრდნობამ ძლება გამოიწვიოს ის, რომ ბანკი ეცდება მინიმუმამდე დაიყვანოს მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების მარაგი, რის შედეგადაც შემცირდება აქტივების ლიკვიდურობის სტანდარტები და ჩნდება მოკლევადიანი პასივების დიდი კონცენტრაცია, რომლის ნაწილზე განხორციელდება ინვესტირება შედარებით გრძელვადიან აქტივებში, რამაც, რესურსების სიმცირის პერიოდში, შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლის შემცირება და არალიკვიდური მდგომარეობის წარმოქმნა; თუ ფინანსურ ბაზარზე განვითარდება კონკურენცია საპროცენტო განაკვეთებს შორის, ბანკი შეიძლება დათანხმდეს ძვირადღირებული რესურსების შეძენას და გამოიყენოს სესხის გაცემის უფრო სუსტი სტანდარტები, რათა გასცეს უფრო შემოსავლიანი სესხები და შეიძინოს მოგებიანი ფასიანი ქაღალდები. თუ ბანკი ზრდის ვალდებულებებს უკვე არსებული აქტივების უზრუნველყოფის მიზნით, ამან შეიძლება გამოიწვიოს სტატიური საშემოსავლო სპრედი; როდესაც ადგილი აქვს ბაზარზე პირობების გაუარესებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს ბანკების დისკრიმინაცია საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რის შედეგადაც, რესურსების საფასური გახდება მიუწვდომელი ბანკისათვის, გარდა ბანკების მცირე ჯგუფისა. ამის გამო, ის ბანკები,

რომელთა სახსრების წყაროები შეზღუდულია, უნდა ერიდოს შეძენილ სახსრებზე დაყრდნობას; იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი ისწრაფვის, მოიპოვოს სახსრები, რაც შეიძლება დაბალ ფასად და არ ითვალისწინებს ვადების განაწილებას, ბანკის რისკი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

– განსაზღვროს, ფლობს თუ არა ბანკის მენეჯმენტი ინფორმაციას დაფინანსების წყაროთა შემადგენლობის, მახასიათებლების და დივერსიფიკაციის შესახებ. დაადგინოს, რამდენად ადეკვატურია მენეჯმენტის მიერ მიღებული ინფორმაცია ბანკის პასივების სტრუქტურისა და შედგენილობის შესახებ.

– განსაზღვროს ბანკის დაფინანსების წყაროების შედგენილობა და სახსრების მომწოდებელთა ტოლერანტობა (დამოკიდებულება) რისკისადმი (რისკისადმი ტოლერანტობის დონე წარმოადგენს პიროვნების ან დაწესებულების შესაძლებლობას და სურვილს, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ წავიდეს გარკვეულ რისკზე სახსრების გაცემა/სესხებისას). დაადგინოს, ხომ არ ყიდულობს ან იზიდავს ბანკი ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც მგრძნობიარენი არიან ჭორების ან სპეკულაციის მიმართ. აქტივების დაბალი ხარისხის, უკანონო საქმიანობის ან ეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად ბანკის ფინანსური მდგომარეობის რეალურმა ან მოსალოდნელმა გაუარესებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს რესურსების საფასურზე. თუ ადგილი აქვს ბანკიდან სახსრების გადინებას, ამასთან ერთად, გაძნელებულია სახსრების სხვა წყაროების მოპოვება და რესურსების საფასური ბანკისთვის მიუწვდომელია, საფრთხე ექმნება ბანკის ლიკვიდობას.

ფულადი სახსრების მომწოდებლების რისკისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები: ვალდებულებები ტრასტული ინვესტორების, მაგ. ფინანსური ბაზრების ფონდების, სამეურნეო ფონდებისა და

საპენსიო ფონდების წინაშე; დამოკიდებულება ბანკის რეიტინგის დადგენ სააგენტოებზე, რადგან სახსრების მომწოდებლის წესდება ან ინსტრუქცია შეიძლება კრძალავდეს სახსრების განთავსებას დაბალი რეიტინგის მქონე ბანკებში; ვალდებულებები, რომლებსაც ინფორმაცია ბანკის ინვესტიციათა შესახებ; სტაბილური დეპოზიტების შენარჩუნების სურვილი, ამ მიზეზით დიდი ბანკები თანხებთან წყვეტენ სხვა ბანკებისთვის რესურსების მიწოდებას; არსებული პირადი კავშირები ბანკში, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ დროული და სწორი ინფორმაციის მიღება. სახსრების მომწოდებელთა სია, რისკისადმი მგრძნობელობის დონის შემცირების მიხედვით ასეთია:

1. სამთავრობო ორგანიზაციები;
2. ადგილობრივი ბანკები;
3. სადაზღვევო კომპანიები;
4. კორპორაციები;
5. ტრანსნაციონალური ბანკები;
6. კერძო პირები.

მას შემდეგ, რაც გაანალიზებულ იქნება ის ფაქტორი, რომელიც ახდენს გავლენას ბანკის აქტივების/ვალდებულებების მართვაზე ლიკვიდობაზე, შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს ლიკვიდობის საბოლოო რეიტინგი. მან უნდა განსაზღვროს შემდეგი:

– თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა რეიტინგი 1, ეს ნიშნავს, რომ ბანკის აქტივების/ პასივების მართვის ლიკვიდობის საერთო მდგომარეობა მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად.

– თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა რეიტინგი 2, ეს ნიშნავს იმას, რომ ბანკის მდგომარეობა ლიკვიდობის მხრივ დამაკმაყოფილებელია, თუმცა, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც იმსახურებს ბანკის მენეჯმენტის ყურადღებას.

– თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა რეიტინგი 3, ეს ნიშნავს, რომ აქტივების/პასივების მართვის-ლიკვიდობის საერთო მდგო-

მარეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. არსებობს ისეთი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს გაძლიერებულ ყურადღებას მენეჯმენტის მხრიდან.

– თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა რეიტინგი 4, ეს ნიშნავს, რომ აქტივების/პასივების მართვის-ლიკვიდობის საერთო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და იგი უარყოფითად მოქმედებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტმა უნდა გაატაროს სასწრაფო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

– თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა რეიტინგი 5, ეს ნიშნავს, რომ საერთო მდგომარეობა კრიტიკულია.

X თავი

ჰეჯირების მეთოდის შეფასება, ფორვარდები, სავალუტო სვოპები და ოპციონები

შინაარსი:

10.1. ჰეჯირება, სავალუტო ფორვარდის ინდექსი და რისკი;
10.2. საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო სვოპები, ოპციონები;
10.3. ჰეჯირების შემოწმების მიზნები.

ძირითადი ელემენტები:

1. საკრედიტო და საანგარიშწორებო რისკი;
2. სვოპები კერძო მხარეებს შორის;
3. საპროცენტო განაკვეთის რისკი;
4. ჰეჯირება იდეალური დამთხვევის პრინციპით;
5. ჰეჯირება ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორებით;
6. მთლიანი პორტფელის ოპტიმალური ჰეჯირება;
7. საკრედიტო რისკი;
8. ანგარიშსწორების რისკი;
9. ლიკვიდობის რისკი.

მარეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. არსებობს ისეთი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს გაძლიერებულ ყურადღებას მენეჯმენტის მხრიდან.

– თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა რეიტინგი 4, ეს ნიშნავს, რომ აქტივების/პასივების მართვის-ლიკვიდობის საერთო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და იგი უარყოფითად მოქმედებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტმა უნდა გაატაროს სასწრაფო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

– თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა რეიტინგი 5, ეს ნიშნავს, რომ საერთო მდგომარეობა კრიტიკულია.

X თავი

ჰეჯირების მეთოდის შეფასება, ფორვარდები, საკალუტო სვოპები და ოპციონები

შინაარსი:

10.1. ჰეჯირება, სავალუტო ფორვარდის ინდექსი და რისკი;
10.2. საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო სვოპები, ოპციონები;
10.3. ჰეჯირების შემოწმების მიზნები.

ძირითადი ელემენტები:

1. საკრედიტო და საანგარიშწორებო რისკი;
2. სვოპები კერძო მხარეებს შორის;
3. საპროცენტო განაკვეთის რისკი;
4. ჰეჯირება იდეალური დამთხვევის პრინციპით;
5. ჰეჯირება ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორებით;
6. მთლიანი პორტფელის ოპტიმალური ჰეჯირება;
7. საკრედიტო რისკი;
8. ანგარიშსწორების რისკი;
9. ლიკვიდობის რისკი.

10.1. ჰეჯირება, სავალუტო ფორვარდის ინდექსი და რისკი

ჰეჯირება წარმოადგენს საპროცენტო რისკის მართვისა და ბანკის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისაგან დაცვის ყველაზე საუკეთესო საშუალებას. ჰეჯირების წარმოებისას გამოიყენება ურთიერთმაკომპენსირებელი გარიგებები, რომელთა საშუალებითაც მნიშვნელოვნად მცირდება საბაზრო რისკი. ბანკის საპროცენტო განაკვეთსა და ღია სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებული რისკების, ან ნებისმიერი სხვა სახის რისკის სწორად მართვისათვის, მენეჯმენტი კარგად უნდა იცნობდეს ჰეჯირების ინსტრუმენტებს (ჰეჯირების პროდუქტებს). ამასთან, უნდა დაწესდეს გონივრული ლიმიტები, რათა გამოირიცხოს ამ ინსტრუმენტების გამოყენება სპეკულაციური მიზნებით. ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასებისას შემმოწმებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ რისკი შეიძლება ჰეჯირების საშუალებითაც შემცირდეს. აქედან გამომდინარე, უნდა შეფასდეს ბანკის ჰეჯირების სტრატეგია და ღია სავალუტო პოზიცია ბანკის მიერ წარმოებულ ოპერაციებსა და აქტივ/ვალდებულებების სტრუქტურებთან მიმართებაში. ჰეჯირება შეიძლება იყოს პირდაპირი და ადვილად გაზომვადი, ან ხორციელდებოდეს არაპირდაპირი მეთოდებით და არ იზომებოდეს. პირდაპირი ჰეჯირების ოპერაციებს წარმოადგენენ: საპროცენტო განაკვეთის სვოპები; ფიუჩერსული გარიგებები და ოპციონები. არაპირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება კომერციული სესხების საპროცენტო განაკვეთის ზედა და ქვედა ზღვრის დაწესება და საპროცენტო განაკვეთის კორექტირება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებისთვის.

ჰეჯირების წარმოების შემთხვევაში ბანკს უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრული იქნება ჰეჯირების სხვადასხვა სტრატეგია და რისკის შემცირების შესაძლებლობა ამა თუ იმ სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში. უნდა განისაზღვროს პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან

ჰეჯირების ეფექტურობაზე. გარდა ამისა, უნდა დაწესდეს საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტები და შემუშავდეს შიდა კონტროლის მექანიზმები. სწორი ანგარიშგება წამოადგენს მენეჯმენტის კონტროლის საუკეთესო საშუალებას. საპროცენტო განაკვეთის რისკის დამდგენი სისტემის გარეშე შეუძლებელია ჰეჯირების წარმოებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიღება და დასახული მიზნის მიღწევა. მენეჯმენტი რეგულარულად უნდა აწვდიდეს ანგარიშგებას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს. ეს ანგარიშგებები უნდა აჩვენებდნენ ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად მიღებულ მოგება/ზარალს და აფასებდნენ ჰეჯირების ეფექტურობას.

ნებისმიერი ბანკი, რომელსაც საკორესპონდენტო ანგარიშები (ე.წ. „ნოსტრო ანგარიშები“ უცხოურ ვალუტაში) აქვს სხვა ბანკებში, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ვალუტით ვაჭრობაში. ვინაიდან, ვალუტის გადაცვლა კლიენტის მომსახურებად განიხილება, ბანკები, უბრალოდ, გაყიდიან ვალუტას საბაზრო განაკვეთზე ოდნავ მაღალი კურსით და, შესაბამისად, გადაფარავენ ამ ოპერაციის თანხასა და ვადიანობას და იყიდიან ვალუტას საბაზრო განაკვეთით სხვა კორესპონდენტი ბანკებისგან. ასეთი საქმიანობა თითქმის არ არის დაკავშირებული რაიმე რისკთან, რადგანაც სავალუტო პოზიცია იხურება რამდენიმე წუთში. ასეთი ტიპის ბანკები, როგორც წესი, უმნიშვნელო მოგებას იღებენ, რადგანაც ამ საქმიანობის მიზანი მხოლოდ კლიენტების მომსახურებაა.

სპოტი წარმოადგენს უცხოური ვალუტის ყიდვას საბაზრო ფასებში, მისი დაუყოვნებელი გადახდისა და მიწოდების პირობით. ფაქტიურად, სპოტ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში გააჩნია „ღირებულების თარიღი“ (ორიდან ხუთ სამუშაო დღემდე დაფარვის, ან მიწოდების თარიღი). სავალუტო კურსს, რომელიც შეესაბამება ვალუტის არსებულ ღირებულებას, უწოდებენ სპოტის განაკვეთს. სპოტ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკი გამო-

წვეულია სავალუტო კურსის იმ ცვლილებებით, რომლებსაც ადგილი აქვთ იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ბანკის პოზიცია ამ უცხოური ვალუტების მიმართ არ არის დაბალანსებული ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის მიხედვით. ამ პოზიციას ეწოდება ღია სავალუტო პოზიცია და ის შემდეგნაირად განისაზღვრება: ბანკს აქვს წმინდა ღია სავალუტო პოზიცია რაიმე უცხოური ვალუტის მიმართ, როდესაც მისი აქტივები, შეძენის სპოტ და ფიუჩერსული ოპერაციების ჩათვლით და ვალდებულებები, გაყიდვის სპოტ და ფიუჩერსული ოპერაციების ჩათვლით, იგივე ვალუტაში განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ ბანკის აქტივები აღემატება მის ვალდებულებებს, ასეთ პოზიციას ეწოდება „გრძელი“ პოზიცია, ხოლო თუ ვალდებულებები აღემატება აქტივებს – „მოკლე“ პოზიცია. „გრძელმა“ პოზიციამ ისეთი უცხოური ვალუტის მიმართ, რომელიც გაუფასურებას განიცდის, შეიძლება ზარალი გამოიწვიოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ბანკის აქტივების ღირებულება ეროვნულ ვალუტაში დღითი-დღე ეცემა. ამასთან, ზარალი შეიძლება გამოიწვიოს „მოკლე“ პოზიციამაც ისეთი ვალუტის მიმართ, რომლის კურსი იზრდება, რადგან, ამ შემთხვევაში, იზრდება ვალდებულებების გასტუმრებისათვის საჭირო თანხის ოდენობაც.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას გასათვალისწინებელია როგორც საბალანსო, ისე გარესაბალანსო ანგარიშები და პოტენციური ვალდებულებები. ბანკების უმრავლესობაში „ნოსტრო“ ანგარიშები წარმოადგენენ უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივების ძირითად ნაწილს. ასევე, გასათვალისწინებელია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები და უცხოურ ვალუტაში არსებული სხვა აქტივები/ვალდებულებანი. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ყველა მომავალი კონტრაქტი გარესაბალანსო ანგარიშებზე აღირიცხება. კონტრაქტის ვადის დადგომისას სრულდება შესაბამისი გატარება „ნოსტრო“ ანგარიშებზე, შესაბამისი ვალუტის მიხედვით.

სებისმიერ დროს, როდესაც ბანკი მონაწილეობს უცხოური ვალუტის სპოტ ოპერაციაში, მისი წმინდა ღია სავალუტო პოზიცია იცვლება. მაგალითად, დავუშვათ, რომ „ა“ ბანკმა დაიწყო საოპერაციო დღე დაბალანსებული ღია სავალუტო პოზიციით. ჩირვანქა სტერლინგში აქტივებს პლუს შეძენილი კონტრაქტები ჩირის ვალდებულებებს პლუს გაყიდული კონტრაქტები). ასეთ პოზიციას უწოდებენ „ბრტყელ“ პოზიციას. ამის შემდეგ „ა“ ბანკს ოპერაციას „ბ“ ბანკიდან და სთხოვეს გირვანქა სტერლინგის „ბაზარი“, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბ“ ბანკი სთავაზობს „ა“ ბანკს ჩირვანქა სტერლინგის ყიდვისა და გაყიდვის კოტებს. ბაზრის არსებული მდგომარეობის შეფასებისას „ა“ ბანკის დილერმა უნდა შეაფასოს არსებული სიტუაცია (სხვა დილერების, ან სხვა ბანკების დახმარებით), სცადოს დაადგინოს, თუ რა მიმართულებით შეიცვლება ის და გააკეთოს პროგნოზი იმის შესახებ, ჰირებს თუ არა „ბ“ ბანკი ვალუტის გაყიდვას, ან ყიდვას.

ხშირად, ბანკთაშორის სპოტ-ოპერაციებში ჩართულ ბანკებს, დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში, აქვთ საკმაოდ დიდი ღია სავალუტო პოზიცია. კომპეტენტურმა დილერმა ყოველთვის იცის, თუ როდის უნდა დახუროს ღია პოზიცია. მრავალი ბანკი იყენებს ე.წ. „ზარალის შეჩერების პოლიტიკას“, რომლის დროსაც პოზიცია იხურება, თუ ზარალი მიაღწევს გარკვეულ ზღვარს. მიუხედავად იმისა, რომ დილერის პროგნოზი შეიძლება გამართლდეს დღის ან კვირის ბოლოსთვის, არ არის გამორიცხული, რომ კურსის სწრაფმა ცვლილებამ ზარალი დროის მოკლე პერიოდში გამოიწვიოს. სპოტ-ოპერაციების წარმოებისას, ასევე, მნიშვნელოვანია ყოველწუთიერი ინფორმაციის ქონა სავალუტო ბაზრის მდგომარეობის შესახებ. იმ ბანკებს, რომელთაც არ გააჩნიათ ინფორმაცია დიდი საერთაშორისო ბაზრების შესახებ, სპოტ-კურსის მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში საშიშროება ემუქრებათ. აქედან გამომდინარე, შემმოწმებელმა ყურადღებით უნდა

შეისწავლოს ის ბანკები, რომლებიც ვალუტით ვაჭრობას სპოტის გამოყენებით ეწევიან.

ფორვარდული გარიგება სპოტისგან განსხვავდება ოპერაციის ვადით, რომელიც აღემატება ორ ან ხუთ დღეს და შეიძლება იყოს გაცილებით უფრო გრძელი. ვადამ შეიძლება შეადგინოს რამდენიმე დღე, თვე ან, ზოგ შემთხვევაში, წელიც კი. გადაცვლის კურსი ფიქსირდება კონტრაქტის შედგენის დღისთვის, მაგრამ არ ხდება „ნოსტრო“ ანგარიშის დაკრედიტება ან დადებეტება, ეი ფულის გადარიცხვა არ ხდება მანამ, სანამ არ დადგება კონტრაქტის ვადა. ყველა ფორვარდული გარიგებისათვის არსებობს თავისი კურსი, რომელიც განსხვავდება სპოტის კურსისგან. თუ ფორვარდული გარიგების კურსი აღემატება სპოტის კურსს, ვალუტა იყიდება უფრო ძვირად, ხოლო თუ ფორვარდული გარიგების კურსი ნაკლებია სპოტის კურსზე, მაშინ ვალუტა იყიდება იაფად. მაგალითად, გირვანქა სტერლინგი იყიდება ფასდაკლებით, თუ სპოტ-კურსი არის $1.75, ხოლო სამთვიანი ფორვარდული გარიგების კურსია $1.72.

უცხოური ვალუტით ვაჭრობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. შემმოწმებლის ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ამ რისკის გაცნობიერება და დარწმუნება იმაში, რომ ბანკის მენეჯმენტი აკონტროლებს მას ბანკის პოლიტიკის, ლიმიტებისა და მონიტორინგის სისტემის მეშვეობით. ბანკის სავალუტო საქმიანობისა და კონტროლის შეფასების მიზნით, შემმოწმებელი კარგად უნდა იცნობდეს სავალუტო ბაზრის სპეციფიკას, ვალუტით ვაჭრობის საფუძვლებს და ძირითად რისკებს.

შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ გადაცვლის კურსის რისკი, რადგანაც ვალუტის კურსი განიცდის ცვლილებას ბაზარზე ვალუტის მიწოდებისა და მოთხოვნიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი დებს ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის გარიგებას სხვა ბანკთან, ან არასაბანკო მომწოდებელთან, წარმოიქმნება ღია სავალუტო პოზიცია. სანამ არ მოხდება ამ პოზიციის

დახურვა იმავე ვალუტით და იმავე ოდენობით, შესაბამისად, ყიდვის ან გაყიდვის საშუალებით, ბანკი განიცდის კუსის ცვლილების რისკს. ეს რისკი არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკის დილერი ახერხებს დაუყოვნებლივ დახუროს ბანკის ღია პოზიცია, რადგან საბაზრო კურსის განუწყვეტელი ცვლილების პირობებში, დროის ნებისმიერ მონაკვეთზე ძალზე მოკლე შუალედში, პოტენციურად მოგებიანმა ტრანზაქციებამ შეიძლება ზარალი გამოიწვიოს. კურსი რამდენიმე წუთის განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს ერთი მიმართულებით. დღე-ღამის (“ოვერნაითის“) ღია სავალუტო პოზიცია დაკავშირებულია უფრო მეტ რისკთან, ვიდრე პოზიცია, რომელიც რამდენიმე საათით ან წუთით იყო ღია.

ნებისმიერ დროს ვალუტით მოვაჭრე ბანკს შეიძლება ერთდროულად ჰქონდეს „გრძელი“ პოზიცია ერთი ვალუტის მიმართ და „მოკლე“ პოზიცია მეორე ვალუტის მიმართ. ეს პოზიციები არ აბალანსებენ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ვალუტის კურსი შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან, არსებობს იმის ალბათობა, რომ იმ ვალუტის კურსმა, რომლის მიმდევითაც ბანკის პოზიცია „გრძელია“, შეიძლება დაიწიოს, ხოლო იმ ვალუტის კურსმა, რომლის მიმართაც ბანკის პოზიცია „მოკლეა“, შეიძლება აიწიოს. ბანკის მთლიანი რისკი წარმოადგენს ორივე პოზიციის აბსოლუტური სიდიდეების ჯამს, გამოსახულს ლარებში. რისკის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ვაკონტროლოთ ბანკის ღია პოზიცია ცალკეული ვალუტის მიმართ და ბანკის საერთო საკურსო რისკი.

რისკისგან თავის დაზღვევის მიზნით, ბანკის მენეჯმენტმა უნდა შეზღუდოს ღია სავალუტო პოზიცია ცალკეული უცხოური **ვალუტის მიმართ. თითეული ბანკი უნდა ადგენდეს „ოვერნაითის“** ლიმიტებს. ზოგიერთ ბანკს დაწესებული აქვს ღია პოზიციის ლიმიტები, რომლებიც უნდა დაიცვას ბანკის დილერმა ოპერაციული დღის განმავლობაში. ასეთ ლიმიტებს ეწოდება „დღის ლიმიტები“. ზოგი კი აწესებს ლიმიტებს მთლიანი სავალუტო პოზიციისთვის,

მაშინ, როდესაც სხვა ბანკები ნაკლები სერიოზულობით, ფორმალურად უდგებიან საერთო სავალუტო რისკს. ასეთი ლიმიტების შეიძლება ატარებდეს მოქნილ ხასიათს, მაგრამ, როგორც წესი, ამ ლიმიტების დროებით გადაჭარბებაზე უფლება გაიცემა მხოლოდ უფროსი პასუხისმგებელი მუშაკის მიერ.

ბანკის მართვისა და კონტროლის მიზნებისათვის, უმეტეს ბანკებში ანსხვავებენ იმ ღია პოზიციას, რომელიც წარმოიქმნება წმინდა სავალუტო ოპერაციების წარმოების შედეგად (ვაჭრობის რისკი) და ბანკის საერთო სავალუტო რისკს. პირველი მოიცავს იმ რისკს, რომელიც წარმოიქმნება სათაო ბანკისა და ბანკის საზღვარგარეთული ფილიალების მიერ წარმოებული სავალუტო ოპერაციების შედეგად. სავაჭრო რისკისაგან განსხვავებით, საერთო რისკი მოიცავს ბანკის უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების მთლიან მოცულობას, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების, ინვესტიციების, დეპოზიტებისა და უცხოური ფილიალების კაპიტალის ჩათვლით. გეპი ვადების მიხედვით და საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ბანკის სავალუტო ფორვარდების წიგნში არსებობს ვადების შეუსაბამობა, ანუ გეპი. ვალუტით მოვაჭრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ვადების შეუსაბამობის მართვა. პრაქტიკულად, ეს პრობლემა ატარებს საკმაოდ რთულ ხასიათს. ცალკე აღებული კონტრაქტების დადებისას შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ ვადებში შეუსაბამობა, ანუ გეპი. სავალუტო ოპერაციების წიგნში შეიძლება აღრიცხულ იყოს ასობით მოქმედი კონტრაქტი. ამათგან ზოგიერთის ვადა შეიძლება დგებოდეს ოპერაციული დღის განმავლობაში. იმის გამო, რომ ახალი გარიგებების დადების შედეგად იცვლება ბანკის სავალუტო ოპერაციების წიგნი, ასევე, გამუდმებით იცვლება გეპის სტრუქტურაც.

უცხოური ვალუტით ვაჭრობისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ერთი ტიპის ვალუტის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები, არამედ სხვადასხვა ვალუტისათვის არსებული საპრო-

ცენტო განაკვეთებიც. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისათვის, ბანკის მენეჯმენტი ადგენს შეუსაბამობის ლიმიტებს ცალკეული ვალუტის ოპერაციათა წიგნისთვის. ამასთან, პროცედურა შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ, როგორც წესი, ლიმიტები დაწესდება ყოველდღე იმ კონტრაქტებისათვის, რომელთა ვადაც გასდება მომდევნო, ან ორი კვირის განმავლობაში. ამავე დროს, საპროცენტო განაკვეთის ტენდენციების ანალიზისას მენეჯერი ითვალისწინებს უცხოური ფილიალის პასუხისმგებელი მუშაკების, აგრეთვე ადგილობრივი ფინანსური ბაზრის ექსპერტების დასკვნებს.

ცალკეული უცხოური ვალუტის მიმართ ბანკის ლიკვიდობის სწორად მართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციას გეპის, ანუ ვადების შესახებ. ანგარიშებში ნაჭვენები უნდა იყოს ყოველდღიური გეპი, უკიდურეს შემთხვევაში, ორი კვირიდან ერთი თვემდე პერიოდის განმავლობაში. ანგარიში გეპის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ იმ დღისათვის, როდესაც ის იყო მომზადებული. მაგრამ, ბანკისათვის მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი იყოს ყოველდღიური ანგარიშის მომზადება. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს არსებულ სესხებს, დეპოზიტებს, ფიუჩერსულ კონტრაქტებს და ვალდებულებებს დეპოზიტების მიღებაზე, იმ ვადების ჭრილებით, რომლის შემდეგაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მათ განახლებასა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას. უმეტეს შემთხვევაში, სასურველია, რომ მომზადდეს დამატებითი ანგარიში, რომელშიც ნაჩვენები იქნება ბალანსის ამ მუხლების საბოლოო ვადები, რაც ხელს შეუწყობს დაფინანსების წყაროებზე ბანკის მოკლე და გრძელვადიანი დამოკიდებულების ანალიზს.

დაუყოვნებლივ უნდა დაიწეროს აქტი გამონაკლისი სიტუაციების შესახებ, როდესაც საქმე ეხება სავალუტო პოზიციისა და გეპის, კლიენტებთან ვაჭრობისა და ანგარიშსწორებების ლიმიტების გადაჭარბებას. ნებისმიერი ასეთი გადაჭარბება უნდა შეესაბამებოდეს საერთო პოლიტიკას და წინასწარ უნდა დამტკიცდეს პასუხისმგებელი პირების მიერ. თუ წინასწარი დამტკიცება შეუძ-

ლებელია, აუდიტორული შემოწმებისა და მენეჯმენტის მიერ ჩანაწერების გაკეთების მიზნით, ხელმისაწვდომი უნდა იქნეს პასუხისმგებელი ოფიცრის თანხმობის ან უარის და ნებისმიერი მაკორექტირებელი ღონისძიების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საკრედიტო და საანგარიშწორებო რისკი – როდესაც ბანკი დებს კონტრაქტს უცხოური ვალუტით ვაჭრობის შესახებ იგი დგება გარკვეული რისკის წინაშე, რაც გამოწვეულია იმით, რომ მეორე მხარემ შეიძლება ვერ შეასრულოს კონტრაქტის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებანი. საკრედიტო რისკის შეზღუდვის მიზნით, მნიშვნელოვანია კლიენტის კრედიტუნარიანობის შესწავლა. როგორც არცერთ ბანკს არ შეუძლია შეუზღუდავი ოდენობის თანხის გაცემა ერთ კლიენტზე, ასევე, არცერთ ბანკს არ ენდომება მხოლოდ ერთ პარტნიორთან აწარმოოს შეუზღუდავი ოდენობის უცხოური ვალუტით ვაჭრობა.

საკრედიტო რისკი წარმოიქნება მაშინ, როდესაც ბანკის პარტნიორს არ შეუძლია ან არ სურს შეასრულოს კონტრაქტის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებანი. ყველაზე ხშირად ეს ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ორგანიზაცია კოტრდება ან გადახდისუუნაროდ ცხადდება. ნებისმიერი სავალუტო ოპერაციის შემთხვევაში, ორივე მხარე დებს პირობას, რომ ერთი მხარე მეორეს გადასცემს ვალუტის გარკვეულ ოდენობას დადგენილი თარიღისათვის. ყოველი ამგვარი კონტრაქტი დაუყოვნებლივ აღირიცხება ბანკის სავალუტო ოპერაციების აღმრიცხველ ჟურნალში. თავისი სავაჭრო პოზიციის დაბალანსებისას ბანკი გულისხმობს, რომ კონტრაქტი შესრულდება თავისი პირობების თანახმად. კონტრაქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკის პოზიცია გახდება დაუბალანსებელი და ბანკი დადგება კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის წინაშე. იმისათვის, რომ აღადგინოს არსებული მდგომარეობა, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა დადოს ახალი ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება ბანკისთვის არახელსაყრელი სავალუტო კურსით დაიდოს. გაკოტრებული კომპანიის ნდობით

ექსპორტიორი პირი შეასრულებს მხოლოდ ისეთ კონტრაქტს, რომელიც მოგებიანი იქნება ამ კომპანიისთვის.

საკრედიტო და საანგარიშსწორებო რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოს ადგილობრივ დროსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივ დროს შორის სხვაობით. მაგალითად, ბანკი, რომელიც ყიდის რუსულ რუბლს, გადარიცხავს მას უფრო ადრე, ვიდრე თბილისში მოხდება მისი ანგარიშის კრედიტება ლარში. დროის ამ შუალედში შეიძლება მეორე მხარე გაკოტრდეს ან გადახდისუუნაროდ გამოცხადდეს, რის შედეგადაც ბანკი ვერაფერ მიიღებს ლარებს.

საკრედიტო რისკის მართვა წარმოადგენს ბანკის სავალუტო და საკრედიტო სამმართველოების საერთო პასუხისმგებლობას. ბანკი ყოველთვის ვაჭრობს ისეთ კომპანიებთან და კორპორაციებთან, რომლებთანაც მას ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს. ყოველი ასეთი პარტნიორისათვის წესდება გარკვეული ლიმიტი. ამ ლიმიტების კორექტირება ხდება ფინანსური სიტუაციის ცვლილების შესაბამისად. ამასთან, უმეტეს ბანკებში ცალკეული კლიენტისათვის დაწესებულია ლიმიტები იმ კონტრაქტების მოცულობაზე, რომელთა ვადა ერთ დღეზე ნაკლებია. ზოგ ბანკში, საკრედიტო რისკის ზრდის შემთხვევაში, ზოგიერთი კლიენტისათვის ნებადართულია ვაჭრობა მხოლოდ სპოტების გამოყენებით, ან არსებობს მოთხოვნა ფორვარდული ოპერაციების კომპენსირების შესახებ. შემოწმების პროცესში შემმოწმებელმა უნდა შეისწავლოს და შეაფასოს ბანკის საკრედიტო რისკის გაზომვისა და მინიმუმამდე დაყვანის პროცედურები.

ფორვარდული შეთანხმებები საპროცენტო განაკვეთის შესახებ, ესაა გარესაბალანსო ხასიათის შეთანხმება მომავალი საპროცენტო განაკვეთის შესახებ, რომლის დახმარებითაც მონაწილე მხარეები ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს მოლკევადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში. კერძოდ, ფორვარდული შეთანხმების მიხედვით გამყიდველი იღებს ვალდე-

ბულებას, გადაუხადოს მყიდველს სხვაობა შეთანხმებაში ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა (ფორვარდული საპროცენტო განაკვეთი) და კონტრაქტის ვადის დადგომისას არსებულ საპროცენტო განაკვეთს (სპოტ-განაკვეთი) შორის, იმ შემთხვევაში, თუ სპოტ განაკვეთი აღემატება ფორვარდულ განაკვეთს, ამ სხვაობას გამყიდველი უხდის მყიდველ მხარეს. იმ შემთხვევაში, თუ სპოტ განაკვეთი ნაკლებია ფორვარდულ საპროცენტო განაკვეთზე, მყიდველი მხარე უხდის სხვაობას გამყიდველს.

ფორვარდული შეთანხმება იდება კონკრეტული ვადით და ძალაში შედის დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. გადახდა ხდება ფორვარდული შეთახნმების საპროცენტო განაკვეთსა და გადახდის დროისთვის არსებულ საპროცენტო განაკვეთს შორის წარმოშობილი სხვაობის მიხედვით, რომელიც მრავლდება ხელშეკრულებაში მითითებულ ძირითად თანხაზე. მაგალითად, ექვსიდან ცხრა თვემდე ფორვარდული შეთანხმების მიხედვით, მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ საყოველთაოდ მიღებული საბაზრო განაკვეთის მიხედვით, სამი თვის განმავლობაში დარიცხულ პროცენტებს გამოაკლდება სამ თვეში დარიცხული პროცენტები, როგორიცაა LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთი (LIBOR ესაა ლონდონის ბანკთაშორისი ბირჟის საპროცენტო განაკვეთი). ფორვარდულ და სპოტ საპროცენტო განაკვეთებს შორის წარმოშობილი სხვაობა მრავლდება ძირითად თანხაზე და დგინდება ის თანხა, რომელსაც ერთი მხარე მეორეს გადაუხდის. როგორც წესი, ფორვარდული გარიგებები იდება ორივე მხარის კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, სხვადასხვა ვალუტისათვის, ძირითადი თანხებისათვის, სხვადასხვა პირობებით და პროცენტების დარიცხვის სხვადასხვა პერიოდით. საერთოდ, ასეთი ხელშეკრულების ვადა ორ წელზე, ხოლო პროცენტების დარიცხვის პერიოდი ერთ წელზე ნაკლებია.

ფორვარდული შეთანხმებები საპროცენტო განაკვეთის შესახებ გამოიყენება იმ ოპერაციების ჰეჯირების მიზნით, რომლებიც ბანკს საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე აყენებენ. ფიუჩერსების

მსგავსად, ისინი წარმოადგენენ საპროცენტო განაკვეთის რისკის ...ითვის ინსტრუმენტს, რომელიც არ აისახება ბანკის ბალანსზე. ...ის შედეგადაც, ბაზელის კომიტეტის კაპიტალის რისკის შესახებ ...სებული რეკომენდაციების შესაბამისად, ისინი ნაკლებ კაპიტალს ...ქიროებენ.

ფორვარდული შეთანხმებების საშუალებით მსესხებელი, ან ...ვესტორი, დროის რაღაცა მომენტიდან გარკვეული პერიოდის ...სვლობაში, „აფიქსირებენ“ საპროცენტო განაკვეთს, იმის ...რაუდით, რომ არ მოხდება ძირითადი პირობების შეცვლა. მაგა...ითად, თუ ბანკი ძნელად შოულობს ექვს თვეზე უფრო გრძელ...ადიან სესხებს და, ამავე დროს, მას აქვს გრძელვადიანი აქტი...ები, მან შეიძლება დადოს ფორვარდული გარიგება 6-დან 12 ...ვემდე და ამით გაზარდოს თავისი ვალდებულებების ვადები ისე, ...ომ მიაღწიოს თანხვედრას აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ...ადებში. ასეთი სტრატეგიის გამოყენებისას ბანკი ადგენს იმ ...ესურსების საფასურს, რომლებსაც მიიღებს ექვსი თვის შემდეგ. ...ალოგიურად, გამყიდველი იგებს იმით, რომ წინასწარ ...საზღვრავს მომავალი ინვესტიციებიდან მისაღებ შემოსავალს.

ვაჭრობა – ვაჭრობისას მსხვილი ბანკები იყენებენ საპროცენტო ...ანაკვეთის ფორვადულ ხელშეკრულებებს. როგორც წესი, „...არქვეთ მეიქერები“ ფორვარდული ხელშეკრულებების ყიდვა-...ყიდვისას, ცდილობენ ისარგებლონ მოთხოვნა/მიწოდების სხვა-...ობით (სპრედით). ვაჭრობამ შეიძლება მიიღოს არბიტრაჟის ფორმა ...ორვარდულ გარიგებებს, ფიუჩერსებსა და საპროცენტო განა-...კვეთის სვოპებს შორის. არბიტრაჟი არის ფინანსური სახსრების ...რასპეკულაციური გადაადგილება ერთი ფინანსური ბაზრიდან ...ეორეზე, საპროცენტო განაკვეთების სხვაობიდან შემოსავლის ...ღების მიზნით.

ფორვარდული გარიგებები, როგორც წესი, გამოიყენება ...ანკების მიერ. ასეთ შემთხვევაში ძირითადი მარქეთ მეიქერებია ...გლისის და ამერიკის მსხვილი ბანკები.

ფასები – ფორვარდული გარიგებების ფასები დგინდება სპოტური ფასების გათვალისწინებით. მაგალითად, ექვსიდან ცხრა თვემდე საპროცენტო განაკვეთის ფორვარდული ხელშეკრულების ფასი დგინდება ექვს- და ცხრათვიანი დეპოზიტების ფასების გათვალისწინებით. განაკვეთები გამოიანგარიშება შემოსავლიანობის მრუდის საფუძველზე და მათ უწოდებენ „სავარაუდო საპროცენტო განაკვეთებს“.

ჰეჯირება – ფორვარდული ხელშეკრულებების ჰეჯირებისას, ხშირად იყენებენ ევრო-დოლარის ფიუჩერსებს. ამასთან, ეკონომიკური თვალსაზრისით, ჰეჯირების საუკეთესო საშუალებაა დამაბალანსებელი ფორვარდული ხელშეკრულების დადება იმავე პირობებით.

საკრედიტო რისკი – ფორვარდული ხელშეკრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს საკმაოდ მაღალ რისკთან. იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ბანკს წარმოექმნება ზარალი, რომელიც შეიძლება უდრიდეს ახალი ხელშეკრულების დადების ხარჯებს. ზარალის რისკი დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: საპროცენტო განაკვეთის არასასურველ ცვლილებაზე და მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. მაგალითად, ბანკმა შეიძინა ფორვარდული შეთანხმება 10 პროცენტზე, რათა თავი დაეზღვია LIBOR-ის ზრდისგან. ანგარიშსწორების მომენტისათვის LIBOR-მა აიწია 12%-მდე, მაგრამ მეორე მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ამრიგად, ბანკი ვერ მიიღებს წლიური 2%-ის კომპენსაციას ძირითადი თანხის მიხედვით, შეთახმებაში აღნიშნული ვადის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბანკის რისკი განისაზღვრება არა მთლიანი საპროცენტო განაკვეთის, არამედ განაკვეთების სხვაობით.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რისკი ანალოგიურია იმ მოკლევადიანი სესხების რისკისა, რომელთა ვადაც უდრის ფორვარდული გარიგების პროცენტების დარიცხვის პერიოდს. მაგალითად, ექვსიდან ცხრა თვემდე ფორვარდულ გარიგებას

[illegible] მგრძნობელობა ახასიათებს საპროცენტო განაკვეთის [illegible]ებისადმი, როგორიც სამთვიან სასესხო ინსტრუმენტებს [illegible]ებით 1/4-წლიან სესხებს).

ფორვარდულ გარიგებებთან დაკავშირებული საკრედიტო [illegible]ის შემცირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ უზრუნველყოფა, [illegible]ედიტივები და სხვა საშუალებანი. ამასთან, პრაქტიკულად, ეს [illegible]შუალებანი იშვიათად გამოიყენება. საკრედიტო რისკის სიდიდე [illegible]დებულია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების სიდიდესა [illegible] მიმართულებაზე, ანგარიშსწორების თარიღამდე დარჩენილი [illegible]ის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, დასაწყისისათვის [illegible]ებელია ვიცოდეთ რისკის რეალური დონე. ამასთან, ის [illegible]ვის წარმოადგენს შეთანხმებაში მოყვანილი ძირითადი [illegible]ის რაღაც ნაწილს.

ფორვარდულ შეთანხმებასთან დაკავშირებული საკრედიტო [illegible]ის გაზომვა იგივე პრობლემებს წარმოქმნის, როგორსაც [illegible]ით განხილული საპროცენტო განაკვეთის სვოპის შემთხვევაში [illegible]ებით. იმის გამო, რომ ფორვარდული გარიგება გაცილებით [illegible]რო მოკლე ვადით იდება, რისკის გაანგარიშებისას იღებენ [illegible]არი საპროცენტო განაკვეთისა და მეორე მხარის საკრედიტო [illegible]იმიტის ჯამს. მაგალითად 5%-ს (ზოგჯერ, 10%-ს) ძირითადი [illegible]ანხიდან. 5%-იანი საკრედიტო რისკი წარმოადგენს საყოველთაოდ მიღებულ უსაფრთხოების ლიმიტს, ანუ იმ პოტენციურ ზარალს, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობით. იმ ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც ფარავს მომავალი ექვსი თვის ინტერვალს, მეორე მხარის საკრედიტო ლიმიტზე 5%-ის დამატების შემდეგ საერთო რისკი შეადგენს 10%-ს საპროცენტო განაკვეთის ზემოთ ნახსენები ცვლილებიდან. ფორვარდული შეთანხმების შედეგად წარმოქმნილი საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობელობა, ჩვეულებრივ, ბანკის საპროცენტო განაკვეთის გაზომვისა და მართვის სისტემის საშუალებით კონტროლდება.

სავალუტო ფორვარდის ინდექსი არის საქართველოს საფინანსო ბაზარზე კომერციული ბანკების სავალუტო ფორვარდის საბაზრო (საშუალო) ფასების საორიენტაციო მაჩვენებელი. მისი გამოთვლა ხდება ბანკთაშორის ფორვარდულ ბაზარზე კომერციული ბანკების მიერ დადგენილი განაკვეთების საფუძველზე. ფიზიკური და იურიდიული პირები ფორვარდული კონტრაქტების დადებას ახორციელებენ იმ კომერციულ ბანკებთან, ვინც სთავაზობს აღნიშნულ მომსახურებას (დღეისათვის ათი კომერციული ბანკი). კონკრეტული კონტრაქტისათვის ფორვარდის ფასს განსაზღვრავს კომერციული ბანკი, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინდექსი დაეხმარება მომხმარებელს წარმოდგენა ჰქონდეს სავალუტო ფორვარდის საბაზრო (საშუალო) ფასებზე.

სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში. ფორვარდის ინდექსი წარმოადგენს ორი ვალუტის საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობას. ფორვარდი არ არის გაცვლითი კურსის პროგნოზი.

მაგალითისათვის: კონკრეტული თარიღისათვის თუ რომელიმე X ბანკის 1 თვიანი სავალუტო ფორვადის ყიდვის ფასი არის 40.55, ხოლო კომერციული ბანკის მიერ აშშ დოლარის ყიდვის იმ დღის კურსი არის 1.6270, მაშინ ამ კომერციულ ბანკთან კლიენტს შეუძლია გააფორმოს სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი, რომლის ფორვარდული კურსი იქნება 1.6311 (1.6270+40.55/10000=1.6311).

სავალუტო ფორვარდის ინდექსი ყოველდღიურად განახლდება და მისი ნახვა შესაძლებელია ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კომპანიას, რომელსაც გააჩნია საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობა ვალუტაში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოექმნება გაცვლითი კურსის რისკი ანუ სავალუტო

რისკი. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებზე განსაკუთრებულად მოქმედებს სავალუტო რისკი თავიანთი ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე.

სავალუტო რისკი ართულებს კომპანიებისთვის ეკონომიკური ოპერაციების პროცესს და საბოლოო ფინანსური შედეგის განსაზღვრას.

ვინ დგას სავალუტო რისკის წინაშე?

ექსპორტიორები:

ექსპორტირებული საქონლის ღირებულებას მომწოდებელს უხდიან ეროვნული ვალუტით, ამონაგებს კი იღებენ უცხოური ვალუტით. ექსპორტიორისათვის, ეროვნული ვალუტის გამყარება აწვნავს ნაკლები ლარის მიღებას (პოტენციური ნაკლები შემოსავალი), რადგან ის ნაკლებ ლარს მიიღებს ექსპორტირებული საქონლის სანაცვლოდ და პირიქით, მიიღებს მეტ ლარს (პოტენციური დამატებითი შემოსავალი), თუ ეროვნული ვალუტა გაუფასურდება.

იმპორტიორები:

იმპორტირებული საქონლის ღირებულებას იხდიან უცხოური ვალუტით, ხოლო ამონაგებს იღებენ ეროვნული ვალუტით. ექსპორტიორებისგან განსხვავებით, ლარის კურსის გაუფასურება წამგებიანი იქნება იმპორტიორი კომპანიებისთვის, ვინაიდან იმპორტიორს მოუწევს მეტი ლარის გადახდა (პოტენციური დამატებითი ხარჯი), რათა გაისტუმროს უცხოური ვალუტით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო თუ ეროვნული ვალუტა გამყარდება, იმპორტიორს მოუწევს ნაკლები ლარის გადახდა (პოტენციური დამატებითი შემოსავალი).

ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლები წარმოდგენილია ეროვნული (უცხოური) ვალუტით, ვალდებულებების (სესხების) დაფარვა კი უხდებათ უცხოური (ეროვნული) ვალუტით;

სავალუტო რისკი ქმნის საბოლოო ფინანსური შედეგის გაურკვევლობას ექსპორტიორებისა და იმპორტიორებისთვის. აქედან

გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ ზუსტად გაითვალისწინონ საკუთარი ფულადი ნაკადების ცვალებადობა, რაც ართულებს ბიზნესის დაგეგმარების პროცესს.

საკუთარი ფულადი ნაკადების ცვალებადობის შემცირების საშუალებაა ფინანსური ბერკეტის ეფექტი, რომელიც საშუალებას იძლევა გაზარდოთ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა ნასესხები სახსრების მოზიდვის ხარჯზე. ფინანსური ბერკეტის ეფექტის ძალა პირდაპირ პროპორციულია ნასესხები სახსრების მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთის სხვაობისა საკუთარი კაპიტალის რენტაბელობასა და ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთს შორის. ფინანსური ბერკეტის ეფექტის ძალა უკუპროპორციულია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მნიშვნელობისა.

ფინანსური ბერკეტის ეფექტის ანალიზი საშუალებას იძლევა ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორ შეიცვლება საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა ნასესხები სახსრების მოცულობის ცვლილებისას. ფინანსური ბერკეტის ეფექტის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ფინანსური სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ზრდაზე.

ფინანსური ბერკეტის ეფექტის ანალიზის ინსტრუმენტია ფინანსური ბერკეტის ეფექტის ფორმულა:

$$ROE = (1 - T)[ROA + (ROA - r)\frac{D}{E}]$$

სადაც, ROE – საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;

T – მოგების გადასახადის განაკვეთი;

ROA – აქტივების რენტაბელობა;

r – ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთი;

D – ნასესხები სახსრების მოცულობა;

E – საკუთარი კაპიტალის მოცულობა.

ფინანსური ბერკეტის ეფექტის ფორმულის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ ფინანსური ბერკეტის ეფექტის ძალა, რომელიც ნასესხები სახსრების მოცულობის ერთეულზე საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ცვლილებას ახასიათებს.

ფინანსური ბერკეტის ეფექტის ძალა ტოლია:

$$(1 - T)(ROA - r)\frac{D}{E}$$

ფინანსური ბერკეტის ეფექტის ძალა ნულის ტოლია, თუ ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთი ტოლია აქტივების რენტაბელობის. ფინანსური ბერკეტის ეფექტის ძალა ნულზე ნაკლებია, თუ ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთი აქტივების რენტაბელობაზე მეტია. ფინანსური ბერკეტის ეფექტის ძალა ნულზე მეტია, თუ ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთი აქტივების რენტაბელობაზე ნაკლებია.

კომპანიებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ბუნებრივი ჰეჯირების საშუალებით დაიცვან თავი სავალუტო რისკისგან, მიმართავენ სავალუტო რისკის ჰეჯირების სხვა ინსტრუმენტებს: სავალუტო კონტრაქტებს, რომლის საშუალებით ისინი მომავალში იყიდიან ან გაყიდიან უცხოურ ვალუტას წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე. ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის სხვადასხვა სავალუტო კონტრაქტები წარმოადგენენ ფინანსურ ინსტრუმენტებს, ე.წ სავალუტო წარმოებულებს (დერივატივებს). სავალუტო ფინანსურ ინსტრუმენტებს განეკუთვნება: სავალუტო ფორვარდები, ოპციონები, სვოპები. აღნიშნული ინსტრუმენტების შეთავაზება ხდება ძირითადად ბანკების მიერ.

სავალუტო რისკის ჰეჯირებისათვის გამოიყენება შემდეგი ფინანსური ინტრუმენტები:

სავალუტო ფორვარდი - კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე ყიდულობს მეორე მხარისგან ერთ კონკრეტულ ვალუტას მეორე კონკრეტული ვალუტის სანაცვლოდ წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე.

სავალუტო სვოპი - ორი ვალუტის ერთდროულად ყიდვა და გაყიდვა მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, სხვადასხვა ანგარიშსწორების თარიღებზე.

სავალუტო ოფციონები - ოფციონის მყიდველს ეძლევა უფლება (და არა ვალდებულება), რომ იყიდოს ან გაყიდოს კონკრეტული ვალუტა წინასწარ შეთანხმებული კურსით წინასწარ შეთახმებულ დროის პერიოდში ან წინასწარ შეთახმებულ თარიღზე, რისთვისაც ოფციონის მყიდველი იხდის შესაბამის ფასს.

სავალუტო ფორვარდული გაცვლითი კურსის გამოთვლა ხდება შესაბამისი კალკულაციის საფუძველზე. ფორვარდული კურსი დამოკიდებულია შესასყიდი/გასაყიდი ვალუტის მიმდინარე გაცვლით კურსზე და ამ ორი ვალუტის საპროცენტო განაკვეთების სხვაობაზე. მაგალითად, თუ საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე ნაკლებია ლარის საპროცენტო განაკვეთებზე,

უცხოური ვალუტის მყიდველს მომავალში შეუძლია იყიდის ეს ვალუტა მიმდინარე კურსზე უფრო მაღალი კურსით. თუ საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე მაღალია ლარის საპროცენტო განაკვეთებზე, უცხოური ვალუტის მყიდველს მომავალში შეუძლია იყიდოს ეს ვალუტა მიმდინარე კურსზე უფრო დაბალი კურსით.

ფორვარდული კურსი შესაძლოა გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$$F = S \times \frac{1 + 0.01xRdxD/360}{1 + 0.01xRfxD/360}$$

სადაც, F - ფორვარდული კურსი

S - სპოტური კურსი (კონტრაქტის დადების დღეს არსებული)

Rd - წლიური საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით

Rf - წლიური საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით

D - ფორვარდის ვადიანობა (დღე)

ფორვარდული კურსი არ წარმოადგენს კონკრეტულ ვალუტებს შორის გაცვლითი კურსის პროგნოზს, არამედ ის არის ამ ვალუტების შესაბამისი საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობიდან გამოთვლილი გაცვლითი კურსი.

უცხოური ვალუტის ფორვარდული შესყიდვის შემთხვევაში, კომპანიას მოუწევს დამატებითი ხარჯების გაწევა თუ ვალუტირების დღეს მიმდინარე სავალუტო გაცვლითი კურსი დაბალია წინასწარ შეთანხმებულ ფორვარდულ კურსზე.

უცხოური ვალუტის ფორვარდული გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა დაკარგოს პოტენციური მოგება, თუ ვალუტირების დღეს სავალუტო გაცვლითი კურსი მაღალი იქნება წინასწარ შეთანხმებულ ფორვარდულ კურსზე.

ორივე შემთხვევაში ჩანს უცხოური ვალუტის ფორვარდულ ყიდვა/გაყიდვასთან დაკავშირებული ზედმეტი დანახარჯები. თუმცა, ეს არის მცირე ფასი, რომელიც კომპანიებმა შეიძლება გადაიხადონ უსაფრთხოებისა და განუსაზღვრელობის შემცირების სანაცვლოდ.

კომპანიებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ როგორც ექსპორტის ასევე იმპორტის ოპერაციებში ერთი და იმავე ვალუტით, ვალუტური კურსის რისკი იქნება უფრო მცირე, ვიდრე ეს მხოლოდ ექსპორტიორი ან, მხოლოდ იმპორტიორი კომპანიების შემთხვევაშია.

მაგალითად ავიღოთ კომპანია, რომელსაც საექსპორტოდ გაქვს პროდუქცია, რომლის წარმოებისათვის საჭირო რესურსების ნაწილიც იმპორტირებულია. თუ საწარმო იმპორტის ღირებულებას ფარავს უცხოური ვალუტით, ხოლო წარმოებული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე გატანის შედეგად მიღებული ამონაგებიც წარმოდგენილია იმავე უცხოური ვალუტით, მაშინ სავალუტო რისკი ნაწილობრივ მცირდება. ამრიგად, კომპანიის ხარჯების უმეტესი წილი და შემოსავლები დენომინირებულია ერთი და იგივე ვალუტით და შედეგად, კურსის მერყეობა არ წარმოადგენს დიდი რისკის ფაქტორს.

მაგალითები:

განვიხილოთ კომპანია, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს უცხოური ვალუტით და რეალიზაციას უწევს მას ადგილობრივ ბაზარზე, შესაბამისად, ეროვნული ვალუტით (ლარით). ასეთი კომპანიის დანახარჯების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოური ვალუტით, ხოლო შემოსავალს იღებს ლარით.

მაგალითად, კომპანიამ შემოიტანა 1 მლნ დოლარის ღირებულების საქონელი კრედიტით და მისი ფასნამატი წარმოადგენს 20%-ს. შესაბამისად მან უნდა მიიღოს 1,2 მლნ დოლარი ამონაგების სახით, რათა შესძლოს საქონლის თვითღირებულების დაფარვა და დარჩეს გათვალისწინებული მოგებაც. ამ გათვლების საფუძველზე იმპორტიორი ახდენს საქონლის ფასის განსაზღვრას ლარით. მაგრამ კომპანია დგას გაცვლითი კურსის ცვლილების რისკის წინაშე, ვინაიდან თუ 1 მლნ დოლარის ვალდებულების დაფარვის მომენტისთვის ეროვნული ვალუტის კურსი გაუფა-

სურდა, მაშინ იმპორტიორს დარჩება ნაკლები მოგება უცხოური ვალუტით, კონვერტირების შემდეგ, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვლილი.

აღნიშნული რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანიას შეუძლია დადოს სავალუტო ფორვარდის კონტრაქტი მომავალში 1 მლნ უცხოური ვალუტის შეძენის შესახებ. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, მას უკვე შეეძლება წინასწარ განსაზღვროს თუ რა კურსით მოუწევს ამონაგების კონვერტირება უცხოურ ვალუტაში და გაიმარტივებს ბიზნეს დაგეგმარების პროცესს. კონტრაქტის ვადიანობა კი დამოკიდებული იქნება ფირმის მიერ უცხოური ვალუტით ვალდებულების დაფარვის თარიღზე.

რომელი ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება სჯობს იმ შემთხვევებისთვის როცა კომპანიისთვის ჯერ გაურკვეველია დასჭირდება თუ არა სახსრები სხვა ვალუტით?

განვიხილოთ კომპანია, რომელმაც განაცხადი შეიტანა საქონლის მიწოდების შესახებ გამოცხადებულ ტენდერზე/აუქციონზე და წინასწარ მიუთითა ლარით განსაზღვრული ფასი. ტენდერის/აუქციონის შედეგები ცნობილი გახდება ერთ თვეში. გამარჯვების შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება შემკვეთს მიაწოდოს საქონელი განაცხადში დაფიქსირებულ ფასში და შესაბამისად ამონაგებს მიიღებს ეროვნული ვალუტით. თავად კი საქონელს შემოიტანს უცხოეთიდან და დახარჯავს 1 მლნ დოლარს. კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე თუ გამარჯვების შემთხვევაში, საქონლის მიწოდებისას ეროვნული ვალუტა იქნება გაუფასურებული განაცხადის შევსების თარიღთან შედარებით. მისი მოგება 1 მლნ დოლარის ვალდებულების დაფარვის შემდეგ დარჩება ნაკლები, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვლილი. აღნიშნული რისკის აღმოსაფხვრელად, კომპანიას შეუძლია შეიძინოს ოპციონი 1 მლნ დოლარის შესყიდვაზე 2 თვის განმავლობაში.

თუ ლარის კურსის გაუფასურებას ექნება ადგილი, გამარჯვების შემთხვევაში კომპანიას შეეძლება შეისყიდოს 1 მლნ დო-

ლარი ოპციონის მიხედვით წინასწარ დადგენილი გაცვლითი კურსით. ხოლო, თუ ლარის კურსი გამყარდა და/ან კომპანიამ ვერ გაიმარჯვა ტენდერში/აუქციონში, მაშინ მას ალარ დასჭირდება ოპციონის გამოყენება. ოპციონი საშუალებას აძლევს მფლობელს ლარი განაცხადოს კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოური ვალუტის შეძენაზე, თუმცა მას მაინც მოუწევს ბანკის მიერ დაწესებული შესაბამისი ტარიფის გადახდა.

როგორ უნდა მოიქცეს კომპანია/ფიზიკური პირი, რომელსაც მოცემულ მომენტში გააჩნია ჭარბი ფულადი სახსრები უცხოური ვალუტით და სჭირდება ეროვნული ვალუტა, მომავალში კი დასჭირდება კვლავ უცხოური ვალუტა?

მაგალითისთვის ავიღოთ კომპანია, რომელსაც მოცემული მომენტისთვის გააჩნია 10,000 დოლარი ანგარიშზე და მისი შემოსავლები დომინირებულია ეროვნულ ვალუტაში. თუ კომპანიას ამჟამად დასაფარი აქვს ვალდებულებები ეროვნული ვალუტით, მაგრამ მომავალში კვლავ დასჭირდება უცხოური ვალუტა, მას შეუძლია გააფორმოს სვოპ კონტრაქტი, რომელიც მისცემს საშუალებას არსებული უცხოური ვალუტით ეხლა შეიძინოს ლარი, მომავალში კი წინასწარ განსაზღვრული კურსით დაიბრუნოს გაყიდული უცხოური ვალუტა.

სვოპ გარიგების დადება შესაძლებელია კომერციულ ბანკთან. კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნა ვალუტების მიმართ, შეუძლიათ აგრეთვე სვოპ ოპერაციების განხორციელება ერთმანეთში.

10.2. საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო სვოპები, ოპციონები

პროდუქტის აღწერა საპროცენტო განაკვეთის სვოპები წარმოადგენს ორ მხარეს შორის დადებულ კერძო კონტრაქტებს, რომელთა მიხედვითაც მხარეები, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ერთმანეთს ძირითად თანხაზე დარიცხულ პროცენტებს უცვლიან. წინასწარ დადგენილი ძირითადი თანხა

გამოიყენება გადასახდელი პროცენტების გამოსაანგარიშებლად, ამასთან, არ ხდება ამ თანხების ურთიერთ-გაცვლა. იცვლება მხოლოდ დარიცხული პროცენტები. ტიპური საპროცენტო განაკვეთის სვოპი ეფუძნება პირობითი ძირითადი თანხის ნებისმიერ ოდენობას, რომელიც, როგორც წესი, დიდი მოცულობისაა და პროცენტის გადახდა ყოველკვარტალურად ხდება, ერთიდან სამი წლის განმავლობაში.

როგორც წესი, საბოლოო მომხმარებლები დებენ სვოპ გარიგებას საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, კერძოდ, ამ ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება იმ საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა, რომელიც აქტივების/ვალდებულების პოზიციის შედეგად წარმოიქმნება. სვოპი, ასევე, გამოიყენება საგადასახადო და საარბიტრაჟო დაფინანსების (მცურავი ან ფიქსირებული) ხარჯების შესამცირებლად, ან საპროცენტო განაკვეთის მოძრაობის შეფასების მიზნით.

სვოპები საპროცენტო განაკვეთის მართვისა და მის მომავალ ცვლილებებზე რეაგირების მიზნით გამოიყენება. ბოლო დროს, მრავალი ბანკის, როგორც საფინანსო, ისე არა-საფინანსო დაწესებულების, ფინანსური მენეჯერი იყენებს სვოპებს, როგორც თავიანთი აქტივ/ვალდებულებების მართვის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, 80-იანი წლების დასაწყისიდან, მნიშვნელოვნად გაიზარდა საპროცენტო განაკვეთის სვოპის ბაზარი და მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კაპიტალის ბაზრებზე.

საჯაროდ გამოცხადებული სვოპებით ვაჭრობა – სვოპების ფასწარმოქმნის შესახებ საბაზრო კონვენციის თანახმად, უნდა მოხდეს ფიქსირებულგანაკვეთიანი სპრედის კოტირება საბაზისო პუნქტისა და სტანდარტული განაკვეთის მიხედვით, როგორიცაა აშშ-ს ხაზინის საპროცენტო განაკვეთი ან საქართველოს ბანკთაშორის ბირჟაზე დადგენილი განაკვეთი (როდესაც მცურავ განაკვეთს არ ემატება და არც აკლდება საბაზისო პუნქტები). თუ ინვესტორს სურს მიიღოს ისეთი მცურავი საპროცენტო განაკვეთი, როგორიცაა მაგ. LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთი, მან უნდა გადაიხადოს ფიქსირებული განაკვეთი, რომელიც უდრის სახა-

სიო ვალდებულებების მიმდინარე შემოსავალს სვოპის მოქმედების ვადის განმავლობაში და დაუმატოს მას შესაბამისი საბაზისო პუნქტის სპრედი. ასეთ საბაზისო პუნქტს სვოპის სპრედი ეწოდება.

მაგალითად, დავუშვათ, რომ ორწლიანი სახაზინო ვალდებულების შემოსავალია 4%, ხოლო ორწლიანი სვოპის კოტირება ფორის 18-20%-ს (ყიდვა/გაყიდვა). ასეთ შემთხვევაში ფიქსირებული განაკვეთის მიმღები პირი დილერს გადაუხდის LIBOR-ს და მიიღებს 4.18%-ის ფიქსირებულ განაკვეთს, ხოლო ფიქსირებული განაკვეთის მიმღები პირი დილერს გადაუხდის LIBOR-ს და მიიღებს 4.18%-ის ფიქსირებულ განაკვეთს. ფიქსირებული განაკვეთის გადამხდელი პირი დილერს გადაუხდის 4.20%-ს და მიიღებს LIBOR-ს.

სვოპების ფასების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ორივე მონაწილე მხარისთვის სვოპის მოსალოდნელი წმინდა ღირებულება არის ნოლი. სვოპების ფასები დგინდება იმგვარად, რომ მათი დაწყებიდან მოსალოდნელი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით მიღებული თანხების ნაკადი ფორის მცურავი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით მიღებული თანხების ნაკადს. საწყის ეტაპზე აუცილებელი არაა რაიმე თანხის გადახდა.

სვოპები კერძო მხარეებს შორის - ცალკეული ბანკი მუშაობს შუამავალი აგენტების და „მარქეთ მეიქერების“ გარეშე. ასეთ შემთხვევაში სვოპის ფასი დგინდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საბაზრო ფასებისგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, მცურავი და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოიყენება სახელმწიფო ვალდებულებათა განაკვეთები და LIBOR-ი. მიუხედავად ამისა, ძირითადად, ფასი დგინდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მაგალითი - ჰეჯირება: „საბალანსო გეპის დახურვა“ - ბანკს გააჩია 30 მილიონი ლარის ხუთწლიანი ფიქსირებული განაკვეთის მქონე აქტივები სესხების სახით, რომლებზეც ყოველ ნახევარ

წლიწადში ერთხელ, ხდება 12.5% დარიცხვა. ეს სესხები გარ[illegible] მულია ფინანსურ ბაზარზე შეძენილი საკრედიტო რესურსების ხარჯზე. ამრიგად, ბანკს გააჩნია გეპი, ანუ მისი აქტივების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ხოლო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი იცვლება კვირაში ერთხელ (მცურავი განაკვეთი). რისკი გამოწვეულია იმით, რომ ბანკის რესურსების ღირებულების მოკლევადიანმა ცვლილებამ შეიძლება გადააჭარბოს სესხებიდან მიღებულ შემოსავალს და ნეგატიური სპრედი გამოიწვიოს. ბანკმა შეიძლება გამოიყენოს საპროცენტო განაკვეთის სვოპი იმ მიზნით, რომ შეამციროს შეუსაბამობა საპროცენტო შემოსავალსა და საპროცენტო ხარჯებს შორის. ამ მიზნით, ბანკი დებს სვოპის ხელშეკრულებას, რის მიხედვითაც იგი ადგენს საკრედიტო ხელშეკრულების პირობით ძირითად თანხას 30 მილიონი ლარის ოდენობით და ცვლის ფიქსირებული პროცენტების ნაკადს მცურავ შემოსავალზე.

სვოპები ფართოდ გამოიყენება იმ საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისათვის, რომელიც დაკავშირებულია ბანკის აქტივ/ვალდებულებებთან, მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციისთვის მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებსა და ვალდებულებებში. სვოპი გამოიყენება როგორც საბანკო, ასევე, არასაბანკო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, იმ ბანკმა, რომელმაც გასცა ხუთწლიანი ფიქსირებულ-პროცენტიანი სესხები, შეიძლება მოახერხოს ამ სესხების დაფინანსება მოკლევადიანი საკრედიტო რესურსების ხარჯზე. თუმცა, არსებობს რისკი, რომ ხუთი წლის განმავლობაში შეიძლება მოხდეს მოკლევადიანი რესურსების ფასების ზრდა, რამაც, პოტენციურად, შეიძლება ბანკის ზარალი გამოიწვიოს.

სვოპის ძირითადი რისკებია საპროცენტო განაკვეთისა და საკრედიტო რისკი. ამასთან, როდესაც ორივე მხარე იღებს მონაწილეობას ისეთ ოპერაციაში, რომლის პარამეტრებიც ბაზრისაგან დამოუკიდებლადაა განსაზღვრული, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიკვიდობის რისკს, რადგან ასეთი ხელშეკრულებების

[illegible]ცია შეიძლება გაძნელდეს. საპროცენტო განაკვეთისა და [illegible]ასევნა-მიწოდების სპრედის რისკის იდეალურად მართვის [illegible] დაუყოვნებლივ უნდა გაფორმდეს მაკომპენსირებელი [illegible], რის შედეგადაც მოხდება ხსენებული რისკების ნეიტრალი[illegible]. ამასთან, ბანკის დილერები, გარკვეული დროის განმავ[illegible]ობაში, რეალურად ინარჩუნებენ სვოპის შედეგად წარმოქმნილ [illegible] პოზიციას მანამ, სანამ შესაძლებელი გახდება მაკომპენ[illegible]ებელი ოპერაციის განხორციელება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – სვოპის წარმოებისას, ერთი მხარე იხდის, ხოლო მეორე მხარე იღებს გარკვეულ თანხას. ტიპიურად, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას, იცვლება გადასახადი მცურავი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რის შედეგადაც სვოპის ღირებულება იზრდება იმ მხარისათვის, რომელიც ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს იხდის, ხოლო მცირდება იმ მხარისათვის, რომელიც მცურავი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით იხდის. საკრედიტო ზარალი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც სვოპში მონაწილე მხარე ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში, ზარალი წარმოადგენს თანხას, რომელიც, ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მცურავ საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობის მიხედვით, დარჩენილი ვადის განმავლობაში დარიცხული პროცენტების ტოლია. ამ ზარალს ეწოდება სვოპის ჩანაცვლების საფასური. მაგალითად, დილერმა აიღო ფიქსირებული 8.5% და მოახდინა მათი სვოპი 6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით დარიცხულ პროცენტებზე, შვიდი წლის განმავლობაში. ამასთან, LIBOR-მა შეადგინა 10%. თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას პირველი წლის ბოლომდე, რეალური ზარალი იქნება კონტრაქტში ფიქსირებული ძირითადი თანხის 1.5% 6 წლის განმავლობაში. მთლიან საკრედიტო რისკზე გავლენას ახდენს როგორც არსებული, ისე პოტენციური საკრედიტო რისკი. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ნაჩვენები იყო არსებული საკრედიტო რისკით გამოწვეული დანაკარგები. პოტენ-

ციური რისკი დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის არასტაბილურობაზე, რომელიც უცნობ სიდიდეს წარმოადგენს. პოტენციურ რისკზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ: შემოსავლიანობის მრუდი, გადახდის პერიოდულობა, ხელშეკრულების ვადები, გირაოს არსებობა და მონაწილე მხარეთა აქტივების ხარისხი.

სავალუტო სვოპი წარმოადგენს ორი მხარის ხელშეკრულებას წინასწარ დადგენილ თანხაზე, გარკვეული დროის განმავლობაში სხვადასხვა ვალუტაში დარიცხული პროცენტების ურთიერთგაცვლაზე, ხელშეკრულებაში წინასწარ დადგენილი კურსით. ტერმინი „სავალუტო სვოპი“ გამოიყენება სხვადასხვა ვალუტაში არსებული საპროცენტო განაკვეთების სვოპის აღწერისთვის. ვიწრო გაგებით, სავალუტო სვოპი წარმოადგენს სხვადასხვა ვალუტაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მიხედვით დარიცხული პროცენტების გაცვლას. სავალუტო კროს-სვოპი – ესაა ისეთი სავალუტო სვოპი, როდესაც დარიცხული პროცენტებიდან ერთერთი ირიცხება მცურავი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. სავალუტო სვოპი წარმოადგენს გარესაბალანსო ფინანსურ ინსტრუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი თანხების გაცვლა ხელშეკრულების დამთავრებისას ხდება, ზოგიერთ შემთხვევაში, ძირითადი თანხები იცვლება სვოპის ინიცირებისას.

საპროცენტო განაკვეთის სვოპების წარმოებისას, საერთო რისკი დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთისა და საკურსო რისკებზე. სვოპები გამოიყენება იმისათვის, რომ დაიკავონ რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის ცვლილებების ნავარაუდევი მიმართულების თანახმად. სვოპის ჩატარებისას ბანკმა შეიძლება შეამციროს თავისი რისკი, ან გაზარდოს აქტივებიდან მიღებული შემოსავალი. აგრეთვე, შესაძლებელია შემცირდეს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივებისა და ვალდებულებების დირებულების შესაძლო ცვლილების რისკი აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ვალუტაში გადაცვლის საშუალებით. შესაძლებელია სესხების საფასურის შემცირება იმით, რომ ბანკმა მოიპოვოს უფრო ხელსაყრელი

ციები უცხოურ ვალუტაში და გამოიყენოს სავალუტო სვოპები შესაბამისი რისკების ჰეჯირებისათვის.

„მარქეთ მეიქერები“ - დღევანდელ სიტუაციაში სავალუტო სვოპების ბაზარზე იშვიათად გვხვდება მარქეთ მეიქერები, ანუ ბროკერები, რომლებიც ავალებენ სპეციალურ ფირმებს დაადგინონ სავალუტო სვოპების ყიდვა-გაყიდვის ფასი. როგორც წესი, ისინი წარმოადგენენ აქტიური შუამავლების მცირერიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც ძირითად ყურადღებას უთმობენ საპროცენტო განაკვეთის სვოპებს რამდენიმე ვალუტისთვის და განსაკუთრებული სახის სავალუტო კუპონურ სვოპებს აშშ დოლარსა და LIBOR-ს შორის. თუმცა ცალკეული ბანკი გამოდის დილერის როლში და სთავაზობს სავალუტო სვოპებს. ამ ინსტრუმენტებით სარგებლობენ ბანკები და კორპორაციები.

კოტირება - სავალუტო სვოპების კოტირება ხდება მთლიანი ფასის მიხედვით, ე.ი. წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. შუამავლები შეიძლება ახდენდნენ ყოველი ვალუტის სვოპის კოტირებას ორი ფასის მიხედვით, მაგ. 6.86-6.96%, რასაც ეწოდება ორმაგი კოტირება. ყოველი ფინანსური ინსტრუმენტისათვის განსაზღვრულია ყიდვისა და გაყიდვის ფასი. სავალუტო სვოპების შემთხვევაში, როდესაც ხდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გაცვლა, სვოპის ფასის გადამხდელი და მიმღები მხარე გამოკვეთილი არ არის. ამიტომ, ეს ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები.

ვაჭრობა - იმის გამო, რომ სავალუტო სვოპების ბაზარი ძალზე დამოკიდებულია მონაწილე მხარეების ურთიერთშეთანხმებაზე, უმეტეს შემთხვევაში, ვაჭრობა ხდება ტელეფონის საშუალებით. ეს ეხება, როგორც, უშუალოდ, ორ მხარეს შორის შეთანხმების შედეგად შესრულებულ, ასევე, მარქეთ მეიქერების დახმარებით შესრულებულ ოპერაციებს. მარქეთ მეიქერები ფლობენ ინფორმაციას ფასების შესახებ, რომლებსაც ისინი ავრცელებენ „როიტერისა“ და სხვა საკომუნიკაციო ქსელების საშუალებით.

მას შემდეგ, რაც ამ ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი გახდა რთული და დივერსიფიცირებული, კომერციულმა ბანკებმა დაიწ-

ყეს მთავარი შუამავლის როლის თამაში. შუამავლების აუცილებლობის წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საკრედიტო რისკის სწორად შეფასების აუცილებლობა, რადგან ბევრ მონაწილეს არ შეუძლია საკრედიტო რისკის სწორი ანალიზი, მათ ურჩევნიათ საქმის დაკავება რომელიმე მსხვილ შუამავალთან, ვიდრე ნაკლებად ცნობილ მეორე მხარესთან.

სვოპების მეორადი მსოფლიო ბაზარი ძალზე შეზღუდულია, რადგან ეს ოპერაციები დაკავშირებულია საკრედიტო რისკთან, მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც სვოპის მყიდველი, ფაქტიურად, ცვლის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს. ფაქტიურად, ხდება ძველი ხელშეკრულების გაუქმება და იდება ახალი ხელშეკრულება, რომლის პირობებიც ძველი ხელშეკრულების იდენტურია. სვოპების „გადაცემამ“ გამოიწვია შეზღუდული მეორადი ბაზრის წარმოქმნა.

ასახვა - სავალუტო სვოპების შედეგად მონაწილე მხერეთა ბალანსები იცვლება მხოლოდ ოპერაციის დასრულებისას, ძირითადი თანხების გადაცემის შემდეგ, ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან გარესაბალანსო ოპერაციებს.

სავალუტო სვოპები გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისათვის. მაგ. ფირმას, რომელიც შემოსავალს ძირითად ლარებში ღებულობს, აღებული აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი დოლარებში, რის შედგადაც ის დგება კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის წინაშე. დოლარის კურსის ზრდის შედეგად აუცილებელი გახდება მეტი ლარების მოპოვება, აღებული სესხის პროცენტებისა და ძირითადი თანხის დაფარვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, ფირმამ შეიძლება მოახდინოს თავისი რისკის ჰეჯირება დოლარის კურსის აწევის წინააღმდეგ, ლარი/დოლარის სავალუტო სვოპის საშუალებით. გარდა ამისა, თუ ფირმას მიაჩნია, რომ შეიძლება მოხდეს არა მარტო დოლარის კურსის ზრდა, არამედ საქართველოში საპროცენტო განაკვეთის კლება, მას შეუძლია გამოიყენოს სავალუტო კროსსვოპი, ანუ გაცვალოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დოლარული სესხი მცურავი საპროცენტო განაკვეთის

ფიქსირებულ სესხზე, რათა ერთდროულად ისარგებლოს საპროცენტო განაკვეთის შემცირებით და მოახდინოს საკურსო რისკის ჰეჯირება.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითში არ ხდება ძირითადი თანხის გაცვლა. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს დასჭირდება უცხოური ვალუტა, ან ერთ ვალუტაში აღებული სესხის შეცვლა მეორე ვალუტაში აღებული სესხით. თუ, დოლარის კურსის დაცემისას, მოსალოდნელია უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების გაუფასურება, ან ეროვნული ვალუტის კურსის აწევა, სავალუტო სვოპი შეამცირებს ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად მიღებულ მოგებას. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი რისკი, რომელიც საჭიროებს ჰეჯირებას, ესაა საპროცენტო განაკვეთის რისკი, რომლის გასანეიტრალებლად საჭიროა მონაწილეობა საპროცენტო განაკვეთის სვოპში, ეროვნულ ვალუტაში. აღსანიშნავია, რომ მხარეები აკეთებენ დაშვებას სავალუტო კურსის ცვლილების მიმართულების შესახებ, ამიტომ არსებობს სავალუტო კურსის რისკი, მაგრამ საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირება ხდება მხოლოდ ვალუტის კურსის ცვლილების შესახებ გაკეთებული დაშვებების საფუძველზე.

საკრედიტო რისკი - სავალუტო სვოპის შემთხვევაში არსებობს საკრედიტო რისკის პრობლემა. საპროცენტო განაკვეთის სვოპის შემთხვევაში არსებობს მხარეების მიერ დარიცხული პროცენტების გადაუხდელობის რისკი, სავალუტო სვოპის შემთხვევაში, საკრედიტო რისკი ვრცელდება ძირითადი თანხების გადახდაზეც. სვოპში მონაწილე მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნებით გამოიყენება სვოპი. თუ სავალუტო სვოპი გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირებისათვის, მაშინ ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, მეორე მხარე დადგება რისკის წინაშე.

ოპციონი წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც მყიდველს აძლევს უფლებას, მაგრამ არ აიძულებს მას, გარკვეულ ფასად შეიძინოს („ქოლ“ ოპციონი) ან გაყიდოს („პუთ“ ოპციონი) რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტი. ამას მოქმედი ფასი ეწოდება. ოპციონის გამყიდველი, ანუ ოპციონის გამომწერი, ვალდებულია ოპციონის მყიდველის მოთხოვნისას შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. იმ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელზედაც გამოიწერება ოპციონი, ჩართული აქტივი ეწოდება.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ოპციონის გამოწერა და ოპციონის შეძენა. ოპციონის მყიდველს უფლება აქვს აქტივის ყიდვა-გაყიდვაზე, ხოლო ოპციონის გამომწერი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, იყიდოს ან გაყიდოს ოპციონში ჩართული აქტივი.

ოპციონის მყიდველს უწოდებენ ოპციონის მესაკუთრეს. ოპციონის მიხედვით მას გააჩნია გრძელი პოზიცია. იმ თანხას, რომელსაც მყიდველი უხდის გამომწერს, ეწოდება ოპციონის ფასი ან პრემია.

თარიღს, რომლისთვისაც ოპციონის კონტრაქტს გასდის ვადა, ეწოდება ოპციონის ვადის გასვლის თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ ოპციონის მიხედვით მიღებული უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მისი ვადის დადგომისას, ის წარმოადგენს ევროპულ ოპციონს, თუ უფლების გამოყენება შეიძლება ამ ვადის დადგომამდე, მაშინ ესაა ამერიკული ოპციონი. ვინაიდან ამერიკული ოპციონი მყიდველს მეტ შესაძლებლობას აძლევს, მისი ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ევროპული ოპციონი.

ტერმინი „პოზიცია“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ცალკეულ უფლებასთან, მაგალითად, ერთი ოპციონის შემთხვევაში. ტერმინი „პორტფელი“ გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა რამდენიმე პოზიციის, ან რამდენიმე ოპციონის ერთობლიობა.

ოპციონების გამოყენება შეიძლება როგორც სპეკულაციური ვაჭრობისთვის, ისე ჰეჯირებისთვის. ბანკები, რომლებიც ოპციონებს სპეკულაციური ვაჭრობისთვის იყენებენ, ცდილობენ თავი დაიზღვიონ ოპციონში ჩართული აქტივების ფასების არასასურველი ცვლილებებისგან. ზოგიერთი ბანკი ქმნის ოპციონების ბაზარს, რათა დააკმაყოფილოს საკუთარი კლიენტების მოთხოვნილება რისკის მართვაზე. ამგვარმა ბანკებმა შეიძლება აწარმოონ ყიდი მოცულობის ოპციონებით ვაჭრობა, მაგრამ ეცდებიან მინიმუმამდე დაიყვანონ საკუთარი კლიენტების პოზიცია, მაკომპენსირებელი ოპციონების ყიდვის საშუალებით.

ბანკი, რომელიც იკავებს პოზიციას ოპციონის მიხედვით, ცდილობს ისარგებლოს ოპციონში ჩართული აქტივების ფასების ცვლილებით. თუ მას მიაჩნია, რომ ჩართული აქტივების ფასი გაიზრდება, ის იყიდის „ქოლ“ ოპციონს, მას შემდეგ, რაც ჩართული აქტივის ფასი გადააჭარბებს ოპციონის მოქმედ ფასს. ოპციონის შესრულებისას ბანკი მიიღებს მოგებას. თუ ის ვარაუდობს, რომ ჩართული აქტივის ფასი დაეცემა, ის წინასწარ შეიძენს „პუთ“ ოპციონს. შესაბამისად, როდესაც ფასი მოქმედ ფასზე ქვემოთ დაეცემა, ბანკი შეასრულებს ოპციონს და ჩართულ აქტივს საბაზროზე მეტ ფასში დაუბრუნებს ოპციონის გამომწერს.

ზოგიერთი ბანკი გამოწერს ოპციონებს პრემიიდან შემოსავლის მიღების მიზნით. ამგვარი პრაქტიკა ძალზე სარისკოა იმ შემთხვევაში, თუ ხდება არაუზრუნველყოფილი ოპციონების გამოწერა. არაუზრუნველყოფილია ოპციონი, როდესაც ჩართული ფინანსური ინსტრუმენტისთვის არ არსებობს მისი დამაბალანსებელი ფინანსური ინსტრუმენტი. მაგალითად, არაუზრუნველყოფილი „ქოლ“ ოპციონის გამოწერისას, არსებობს იმის რისკი, რომ ჩართული აქტივის ფასი აიწევს მოქმედ ფასზე უფრო მაღლა (და მოხდება ოპციონის შესრულება), გამომწერი ბანკი იზარალებს იმ თანხით, რომელიც უდრის სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და ოპციონის მომქმედ ფასს შორის. ამასთან, ბანკი, ასევე, იზარალებს არაუზრუნველყოფილი „პუთ“ ოპციონის გამოწერისას, თუ ოპციონის ფასი მოქმედ ფასზე დაბლა დაეცემა. ამასთან, ზარალი, ამ შემთხვევაშიც, საბაზრო ფასსა და ოპციონის მომქმედ ფასს შორის სხვაობის ტოლი იქნება. ბანკებს შეუძლიათ ამ რისკის შემცირება ჰეჯირების გამოყენებით.

ამასთან, ჰეჯირების საფასურს წარმოადგენს პრემიიდან მიღებული შემოსავლის ნაწილიც.

კლასიფიცირება ჩართული აქტივების მიხედვით – არსებობს ოპციონების კლასიფიცირების მრავალი საშუალება. ოპციონის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელზეც ოპციონის გამოწერა მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ ოპციონები გამოიწერება თითქმის ყველა ტიპის ფინასურ ინსტრუმენტზე. ოპციონების უმეტესობა გამოიწერება აქციებსა და აქციების კურსის ინდექსებზე, უცხოურ ვალუტაზე და საპროცენტო განაკვეთებზე. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ტიპის ოპციონი, რომლებიც კლასიფიცირებულია ჩართული აქტივების მიხედვით, ესენია: ფასიანი ქაღალდების, აქციების, საბირჟო ინდექსის, საბირჟო ინდექსის ფიუჩერსის, უცხოური ვალუტის, საპროცენტო განაკვეთის, სახელმწიფო სასესხო ვალდებულებათა, სახელმწიფო სასესხო ვალდებულებათა, ფიუჩერსების, ევროვალუტის ფიუჩერსების, საპროცენტო განაკვეთის ზედა და ქვედა ზღვრების ოპციონები.

როგორც ჩანს ამ სიიდან, ოპცინების გამოწერა ხდება, როგორც აქტივებზე, ასევე, ამ აქტივების ფიუჩერსულ ხელშეკრულებებზე. ამასთან, ფიუჩერსების ოპციონები უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ოპციონები ამ ფიუჩერსების აქტივებზე. ფიუჩერსების ოპციონების შეფასება ხდება ჩართული ფინასური ინსტრუმენტების ანალოგიურად.

კლასიფიცირება სავაჭრო მახასითებლების მიხედვით – ოპციონების კლასიფიცირება შესაძლებელია მათი ყიდვა-გაყიდვის მეთოდების მიხედვით. ოპციონები შეიძლება გაიყიდოს ბირჟებზე ან შუამვლების გარეშე. ბირჟაზე გაყიდული (ან ჩვეულებრივად გაყიდული) ოპციონები სტანდარტიზებულია ჩართული აქტივების, მოქმედების ვადებისა და ფასების მიხედვით. ასეთ ოპციონებს, როგორც წესი, კლიენტების სპეციფიკურ მოთხოვნილებებს უსადაგებენ.

ასე მაგალითად, ბევრი ბანკი საპროცენტო განაკვეთის ზედა და ქვედა ლიმიტებს თავის კლიენტებზე ყიდის. საპროცენტო განაკვეთის

სვოპი და ქვედა ლიმიტი წარმოადგენს კრედიტორებსა ან მსესხებლებზე მისადაგებულ საპროცენტო განაკვეთის ოპციონს. ზედა ზღვარი, რომელიც გამოიწერება საკრედიტო ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად, მოქმედებს, როგორც დაზღვევის პოლისი, რომელიც იცავს მსესხებელს უფრო მაღალი ხარჯებისაგან, თუ საპროცენტო განაკვეთი გადაჭარბებს გარკვეულ ზღვარს. ზედა ზღვარის გამოწერისას მსესხებელზე, რომელიც სესხს იღებს მცურავი საპროცენტო განაკვეთით, აღნიშნავენ საპროცენტო განაკვეთის ინდექსს, ვადას და დაზღვევის ზედა ლიმიტს. თუ საპროცენტო განაკვეთი აიწევს ზედა ლიმიტზე უფრო მაღლა, მსესხებელი მიიღებს შესაბამის კომპენსაციას.

ამის საწინააღმდეგოდ, კლიენტებმა (მცურავი საპროცენტო შემოსავლის მქონე ბანკებმა), რომლებმაც შეიძლება იზარალონ საპროცენტო განაკვეთის შემცირებისას, შეიძლება შეიძინონ საპროცენტო განაკვეთის ქვედა ზღვარი, რათა თავი დაიცვან მისი შემცირებისაგან თუ. საპროცენტო განაკვეთი ქვედა ზღვარს ქვეთ დაეცემა, ისინი მიიღებენ თავისი დაკარგული შემოსავლის კომპენსაციას.

ჩართული ოპციონები – გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევებისა, ოპციონების კლასიფიკაცია შესაძლებელია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან ისინი შესულნი სხვა სახის ფინანსურ ინსტრუმენტებში. ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული ოპციების ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს როგორც „ქოლ“-ის ტიპის, ისე ის ვალდებულებანი, რომლებზედაც დართულია ფასიანი ქაღალდების გარანტები. უკანასკნელი ტიპის ოპციონები, უპირატესად, იაპონური კორპორაციების მიერ გამოიწერება.

ოპციონს მოგების ასიმეტრიული პროფილი გააჩნია, რის გამოც იგი ჰეჯირების უნიკალურ საშუალებას იძლევა. მაგალითად, იმ ინვესტორს, რომელსაც გრძელი პოზიცია გააჩნია რაიმე ჩართული აქტივის მიმართ, შესაძლო ზარალის კომპენსაციისათვის შეუძლია იყიდოს ამ აქტივების „პუთ“ ოპციონი. თუ

აქტივების ფასების დაცემისას გრძელი პოზიცია ზარალს გამოიწვევს, ინვესტორის გრძელი პოზიცია შეიძლება დაცულ იქნეს ამ აქტივის მიმართ, ოპციონის მოქმედი ფასით. ამასთან, ინვესტორმა შეიძლება მოიგოს, თუ აქტივის ფასი მოქმედ ფასზე უფრო მაღლა აიწევს. რა თქმა უნდა, ფასების კლების წინააღმდეგ ამგვარი დაზღვევა და ფასების ზრდის შემთხვევაში მოგების მიღების ამგვარი შესაძლებლობა ანაზღაურების გარეშე არ ხდება. მისი საფასურია ის პრემია, რომელსაც ინვესტორი ოპციონის გამომწერს უხდის. ამრიგად, ოპციონის შეძენა დაზღვევის პოლისის შეძენის ანალოგიურია.

ოპციონების გამოყენებისას ბანკებმა შეიძლება გამოიყენონ ჰეჯირების სამი სტრატეგია:

1) ჰეჯირება იდეალური დამთხვევის პრინციპით;

2) ჰეჯირება ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორებით;

3) მთლიანი პორტფელის ოპტიმალური ჰეჯირება, ანუ ჰეჯირება ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორებით.

ჰეჯირება იდეალური დამთხვევის პრინციპით - ზოგიერთი ბანკი ირჩევს ჰეჯირების ისეთ სტრატეგიას, როდესაც ოპციონში მონაწილეობა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ისეთ მეორე დამაბალანსებელ ოპციონში მონაწილეობა, რომლის პირობებიც ზუსტად იდენტურია (მაგ: იდენტურია ჩართული აქტივები, ოპციონის თანხა, გამოწერის თარიღი და ვადები). იდეალური დამთხვევის პრინციპით მუშაობის შემთხვევაში, ბანკი ხელიდან უშვებს ხელსაყრელი გარიგების დადების შესაძლებლობას. მართალია, ასეთი პრაქტიკა ანეიტრალებს სხვადასხვა ტიპის რისკს, მაგრამ ბანკი საკრედიტო რისკს მაინც ექვემდებარება.

ჰეჯირება ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორებით - ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორების პრინციპით მუშაობისას, როგორც წესი, შეუძლებელია იდეალურად დავაბალნსოთ ყველა წარმოებული ოპერაცია, რადგან ძნელია მოინახოს ორი ისეთი კლიენტი, რომელთა მოთხოვნილებებიც იდეალურად

დამაბალანსებს ერთმანეთს. არაიდეალურ ჰეჯირებას „ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორებით ჰეჯირება“ ეწოდება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია იდეალურ ვარიანტთან დაახლოება, როდესაც დამაბალანსებელი ოპერაციების პირობები უახლოვდება, მაგრამ არ თანხვდება ერთმანეთს, ან როდესაც ერთ-ერთი ოპერაცია „დროებით“ აღირიცხება დამაბალანსებელი ოპერაციის გარეშე.

ბანკმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ოპციონში იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს მსგავსი პირობების დამაბალანსებელი ოპერაცია. ბანკმა შეიძლება დროებით მოახდინოს ოპციონის რისკის ჰეჯირება ფიუჩერსებისა და ვალუტით ვაჭრობის ოპციონების და/ან ფორვარდული კონტრაქტების საშუალებით. დამაბალანსებელი ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში, დროებითი ჰეჯირება უქმდება. რეალურ სიტუაციაში, ამ ოპერაციის ჩატარებამდე შეიძლება გავიდეს გარკვეული დრო, ან ის საერთოდ არ ჩატარდეს. ტიპურ შემთხვევაში, ბანკს, რომელიც ჰეჯირებას პორტფელის გაწონასწორებით ახდენს, საშუალება ეძლევა მოემსახუროს კლიენტებს ისე, რომ დაელოდოს დამაბალანსებელი ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობას.

მთლიანი პორტფელის ოპტიმალური ჰეჯირება - შედარებით ახალგაზრდა ბანკებს მიაჩნიათ, რომ უფრო პრაქტიკულია მთლიანი პორტფელის რისკის ოპტიმალური ჰეჯირება იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჭრობა ოპციონებითა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ხორციელდება ისეთ ლიკვიდურ ბაზრებზე, როგორიცაა მაგალითად, სავალუტო ბირჟები. ასეთი პრინციპით მუშაობისას ყოველი ოპერაციის დაბალანსებას კი არ ცდილობენ, არამედ ელოდება ღონეს ხმარობენ, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ მთლიანი პორტფელის რისკი.

ჰეჯირების სტრატეგიის შერჩევა გავლენას ახდენს ბანკის მთლიანი პორტფელის იმ საერთო რისკზე, რომელიც მას შემდეგ რჩება, რაც გათვალისწინებულ იქნება ყველა რეგისტრირებული დამაბალანსებელი ოპერაცია. ფიუჩერსების, სავალუტო ოპციო-

ნების, ჩართული აქტივების და სხვა დამაბალანსებელი ოპერაციების გამოყენების საშუალებით მთლიანი პორტფელის რისკი მცირდება ბანკისათვის მისაღებ დონემდე. პორტფელის ჰეჯირება ბანკს საშუალებას აძლევს იმოქმედოს უფრო მოქნილად და გამოვიდეს ოპციონებისა და სხვა ფინასური ინსტრუმენტების მარქეთ მეიქერის როლში და აწარმოოს ოპერაციები კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად. ეს მეთოდი უფრო ეფექტური და ნაკლებადღირებულია, ვიდრე ჰეჯირება ბანკის ოპერაციების პორტფელის გაწონასწორებით, რადგან არ არის აუცილებელი მოვნახოთ ყოველი ცალკე აღებული ოპერაციის დამაბალანსებელი ოპერაცია.

საკრედიტო რისკი - ოპციონის შემთხვევაში, ერთ-ერთ ძირითად რისკს წარმოადგენს მეორე მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი. შესაბამისად, საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ბანკის მიერ ოპციონის ყიდვისას და არა მისი გამოწერისას. მაგალითად, თუ ბანკი ყიდის „პუთ“ ან „ქოლ“ ოპციონებს, სანაცვლოდ იღებს შეუსრულებლობის რისკის საზღაურს. მეორე მხვრივ, თუ ბანკი ყიდულობს „პუთ“ ან „ქოლ“ ოპციონებს, არსებობს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.

ოპციონების საკრედიტო რისკის შეფასებისას, ზოგიერთი ბანკი რისკს ითვლის „ყველაზე ცუდი სცენარის“ მიხედვით: სცენარის შემუშავებისას ბანკი ეყრდნობა სტატისტიკურ ანალიზს. ძირითადად, ბანკი ცდილობს გარკვეული ალბათობით იწინასწარმეტყველოს ოპციონის შეუსრულებლობის და ოპციონის შეცვლით გამოწვეული ფინანსური შედეგები, ანუ პოტენციური ზარალის მაქსიმალური მოცულობა, რომელსაც „მაქსიმალურ პოტენციურ ზარალს“ უწოდებენ.

ანგარიშსწორების რისკი - ანგარიშსწორების რისკი სხვადასხვა ქვეყნისათვის შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, რაც დამოკიდებულია ქვეყანაში გამოყენებულ ანგარიშსწორების მეთოდებზე. მაგალითად, აშშ-ში ანგარიშსწორება ხდება წმინდად გადახდის საფუძველზე, ანუ როდესაც თანხას უშუალოდ უხდიან

[illegible] მონაწილე მხარეს. ამ შემთხვევაში ბენეფიციარი [illegible] მხარე) დგას რისკის წინაშე, რომ მეორე მხარე არ [illegible]ერიცხავს დადგენილ თანხას, მაგრამ, ამავდროულად, ადგი[illegible] არა აქვს ფასიანი ქაღალდების ცალმხრივი გაცვლის [illegible]ად წარმოქმნილ რისკს. შემმოწმებელმა უნდა დაადგინოს, [illegible] რა ტიპის ანგარიშსწორების მექანიზმი გამოიყენება ბაზარზე [illegible] რა პროცედურები უნდა შეიმუშავოს ბანკმა რისკის [illegible]ისამდე დასაყვანად.

ლიკვიდობის რისკი - ბანკის ოპციონებში მონაწილეობისას, [illegible]საძლოვანია შეფასდეს ბანკის მიერ არსებული ოპციონების [illegible]ვალდებულებების დაბალანსებისა თუ გაუქმების უნარი. უმეტეს [illegible]ხვევაში, ხელშეკრულებები ოპციონის წარმოებაზე არალიკვი[illegible]ია, რადგან მათი გაუქმება მხოლოდ ორმხრივი ნებართვის [illegible]ვეძველზე შეიძლება. თუ მეორე მხარე უარს იტყვის ხელ[illegible]კრულების გაუქმებაზე, ბანკი იძულებული იქნება მონახოს [illegible]სეთი პარტნიორი, რომელთანაც დამაბალანსებელი ხელშე[illegible]ულების დადებას შეძლებს, ან მიმართოს ბირჟას ასეთი ხელ[illegible]კრულების შესაძენად.

ამასთან, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ [illegible]ალდებულებას და ბანკი ვერ მოახერხებს დამაბალანსებელი [illegible]ხელშეკრულების დადებას ბაზრის არალიკვიდობის გამო, მაშინ [illegible] დადგება საბაზრო რისკის წინაშე. გასათვალისწინებელია ის [illegible]ქტორიც, რომ ბირჟა არ იძლევა ლიკვიდობის გარანტიას, [illegible]რადგან ყველა ტიპის ფინანსური ხელშეკრულებებით ვაჭრობა [illegible]თანაბარი ინტენსივობით არ ხდება. ზოგიერთი ტიპის კონტრაქ[illegible]ტებით ვაჭრობა უფრო ინტენსიურია, ვიდრე ჩართული აქტივებით [illegible]აჭრობა. გარდა ამისა, ფიუჩერსებისა და ოპციონების შემთ[illegible]ხვევაში, პიკი მოდის ოპციონის მოქმედების ვადის ბოლო ან [illegible]ოლოსწინა თვეზე, ამიტომ დამაბალანსებელი ხელშეკრულების [illegible]შესაძენად, ბანკმა მისი შეძენა ამ ერთი ან ორი თვის [illegible]განმავლობაში უნდა მოასწროს.

გასათვალისწინებელია, რომ ბირჟაზე ზოგიერთი კონტრაქტით ვაჭრობა იზღუდება ვაჭრობის დღისთვის დაწესებული „ზედა“ და „ქვედა“ ლიმიტებით. თუ ფასი ცდება ზედა ან ქვედა ზღვარს, ვაჭრობა წყდება მომავალ დღემდე. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ლიმიტები შეიძლება არალიკვიდობის მიზეზიც გახდნენ. ფასების ასეთი შეზღუდვის პირობებში წარმოებული ჰეჯირება, ჩართული აქტივების ფასების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ადეკვატურად ვერ დაიცავს მონაწილეებს. შემმოწმებელმა უნდა შეისწავლოს ბანკის პოლიტიკა და პროცედურები, რათა დააღგინოს, თუ რამდენად ესმის ბანკის მენეჯმენტს ის პრობლემები, რომლებსაც ასეთი ლიმიტები წარმოქმნის (მაგ: არაეფექტური ჰეჯირება). მან აგრეთვე, უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა ასეთ სიტუაციაში მოქმედების გეგმა.

10.3. ჰეჯირების შემოწმების მიზნები

ჰეჯირების შემოწმების მიზანია შეფასდეს: უცხოური ვალუტის, ფორვარდული განაკვეთების, სვოპების, ოპციონების ჰეჯირებები და ამ შეფასების გათვალისწინებით შემოწმების შედეგების შეჯამება.

◆ სავალუტო ოპერაციების შემოწმების პროცესში შემმოწმებელმა უნდა:

- დაადგინოს ვალუტასთან წარმოებული ოპერაციების დანიშნულება (ჰეჯირება, კლიენტების მომსახურება).
- შეისწავლოს გაყიდული და შეძენილი უცხოური ვალუტის ოდენობა, თუ ბანკი მხოლოდ კლიენტების მომსახურებას ეწევა, დაადგინოს, ბალანსდება თუ არა ხელშეკრულებანი ვალუტის გაყიდვაზე ვალუტის შეძენაზე დადებული ხელშეკრულებებით.
- მოიპოვოს ბანკის დოკუმენტური პოლიტიკა, თუ ბანკი ვალუტით ვაჭრობას ჰეჯირების მიზნით იყენებს, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ჰეჯირების მიზნები და უცხოური ვალუტის როლი ჰეჯირების პროცესში.

- მოიპოვოს ბანკის მენეჯმენტის მიერ ღია სავალუტო პოზიციისთვის დაწესებული ლიმიტები, თითეული ვალუტის მიხედვით.
- მოიპოვოს ინფორმაცია ბანკის მიერ ჰეჯირებული აქტივების/ვალდებულებების ანგარიშებისა და მათი ანალიზის შესახებ.
- შეისწავლოს, ჰეჯირების გამოყენების, მართვის და მონიტორინგის მიზნით ბანკის მენეჯმენტისთვის მიწოდებული საინფორმაციო პაკეტები. ასევე, შეისწავლოს სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდებული ინფორმაცია.

◆ საპროცენტო განაკვეთის ფორვარდული შეთანხმებების შემოწმებისას შემმოწმებელმა უნდა:

- დაადგინოს, იყენებს თუ არა ბანკი ფორვადულ ხელშეკრულებებს საბაზრო რისკის (საპროცენტო განაკვეთის რისკის) მართვისათვის.
- მოიპოვოს ბანკის დოკუმენტური პოლიტიკა ფორვარდული ხელშეკრულებების გამოყენების შემთხვევაში, ფორვარდული ხელშეკრულებების წარმოებასთან დაკავშირებით, ოპერაციების მიზნების, მიკრო ან მაკრო ჰეჯირებისა და ლიმიტების ჩათვლით.
- მოიპოვოს ჰეჯირებული აქტივების/ვალდებულებების ანგარიშებზე არსებული ინფორმაცია და მოახდინოს მისი ანალიზი.
- მოიპოვოს ინფორმაცია ბანკის მიერ ფორვადული კონტრაგენტების გამოყენების წინა ისტორიის შესახებ და შეაფასეთ ამ ოპერაციათა ეფექტურობა.
- განიხილოს ბანკის მენეჯმენტთან ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ბანკი ახდენს თავისი რისკის მართვას საპროცენტო განაკვეთის ფორვარდული ხელშეკრულებების გამოყენების შემთხვევაში.
- შეისწავლოს ბანკის მენეჯმენტისათვის მიწოდებული საინფორმაციო პაკეტები, ჰეჯირების გამოყენების, მართვისა და მონიტორინგის შესახებ. ასევე, შეისწავლეთ სამეთვალყურეო საბჭოსთვის მიწოდებული ინფორმაცია.

◆ საპროცენტო განაკვეთის სვოპების შემოწმებისას შემმოწმებელმა უნდა:

• დაადგინოს, თუ როგორ იყენებს ბანკი საპროცენტო განაკვეთის სვოპებს (ვაჭრობის თუ ჰეჯირების მიზნებისთვის).

• მოიპოვოს ბანკის დოკუმენტური პოლიტიკა ჰეჯირების მიზნებისა და მათი განხორციელების შესახებ, თუ ბანკი ჩაბმულია ნებისმიერი ტიპის სვოპებში.

• შეამოწმოს სვოპების მიმართ ბანკის საერთო პოზიცია და იმ კომპანიების სია, რომლებთანაც ბანკი ამ საქმიანობას აწარმოებს სვოპების დილერის როლში, კერძოდ:

• მოიპოვოს ბანკის ჩანაწერები, რათა დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად შეისწავლის ბანკი თავისი კლიენტების ფინანსურ მდგომარეობას და რამდენად სწორად ახდენს იგი საკრედიტო რისკის მონიტორინგს.

• შეისწავლოს ბანკის წმინდა პოზიცია სვოპების მიმართ, ანუ წმინდა მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ.

• დაადგინოს, რა გავლენას მოახდენს სვოპების მიმართ ბანკის პოზიცია მის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ მგრძნობელობაზე.

• მოიპოვოს ბანკის სადილინგო ოპერაციების სვოპები, ყველა და ცალკეული კლიენტისათვის, წმინდა აქტივების ან ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობელობის მიმართ დაწესებული ლიმიტები.

• მოიპოვოს: სვოპის პირობები, წარმოებული ოპერაციების მიზნები, ჰეჯირებული აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, ასევე, სვოპის გავლენა ბანკის მგრძნობელობაზე, თუ ბანკი აწარმოებს მიკრო სვოპ გარიგებებს.

• შეისწავლოს ბანკის მენეჯმენტისათვის მომზადებული საინფორმაციო პაკეტები ჰეჯირების გამოყენების, მართვისა და მონიტორინგის შესახებ. ასევე, შეისწავლოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთვის მიწოდებული ინფორმაცია.

◆ სავალუტო სვოპების შემოწმების პროცესში შემმოწმებელმა უნდა:

• დაადგინოს, იყენებს თუ არა ბანკი სავალუტო სვოპებს.

• მოიპოვოს ბანკის დოკუმენტური პოლიტიკა, თუ ბანკი აწარმოებს სავალუტო სვოპებს, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ჰეჯირების მიზნები და სავალუტო სვოპის როლი ამ მიზნების განხორციელებისას.

• მოიპოვოს შემდეგი ინფორმაცია სავალუტო სვოპების შესახებ:

• სვოპების პირობები;

• მიზნები, რომლებსაც ბანკი სვოპის წარმოებისას ისახავს;

• სვოპის გავლენა ბანკის საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობელობაზე, ე.ი. საპროცენტო განაკვეთის მართვა;

• ბანკის მიერ საკრედიტო რისკის მართვის მონიტორინგის პროცედურები;

• სვოპების საერთო ეფექტურობა.

• შეისწავლოს ბანკის მენეჯმენტისათვის მომზადებული საინფორმაციო პაკეტები ჰეჯირების გამოყენების, მართვის და მონიტორინგის შესახებ. ასევე, შეისწავლოს სამეთვალყურეო საბჭოსათვის მიწოდებული ინფორმაცია.

◆ ოპციონების შემოწმების პროცესში შემმოწმებელმა ყოველი ტიპის ოპციონისათვის უნდა ჩაატაროს შემდეგი პროცედურები:

• შეისწავლოს ოპციონების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, ოპციონებთან დაკავშირებული ბანკის პოლიტიკა, პრაქტიკა, არსებული პროცედურები და შიდა კონტროლი.

• დაადგინოს ბანკის რისკის მართვის ადეკვატურობა ოპციონებთან მიმართებაში. შეაფასოს ბანკის უნარი შემდეგი რისკების მართვის საკითხში:

• საკრედიტო რისკი;

• ანგარიშსწორების რისკი;

• ლიკვიდობის რისკი.

• დაადგინოს, რამდენად იცავს ბანკი დადგენილ ლიმიტებს, პოლიტიკას და პროცედურებს.

• შეისწავლოს ბანკის ოპციონების დოკუმენტაცია და დაადგინოს, რამდენად სრულდება მოთხოვნები აუცილებელი საბუთების შესახებ. შეუძლია თუ არა გარეშე პირს ამ საბუთებს დაყრდნობით დაადგინოს ბანკის პოზიცია ოპციონების მიმართ და ის, თუ როგორ გამოიყენება ეს ოპციონები ბანკის მიზნების მისაღწევად.

• შეისწავლოს ოპციონების ხელშეკრულებების საბუღალტრო ასახვა, ანგრიშგება და კონტროლი შემდეგ ასპექტებთან მიმართებაში:

• შესაბამისობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან;

• შემოსავლის ჩვენება (ან დაფარვა);

• საბალანსო ინფორმაცია;

• ინფორმაციის გაშლა;

• ინფორმაციის გაშლა საბანკო რეგულირების მიზნებისათვის.

• შეისწავლოს და შეაფასოს ბანკის აუდიტის ეფექტურობა შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

• პერიოდულობა;

• სიცხადე;

• აუდიტორების ჯგუფის გამოცდილება;

• აუდიტის აქტის ხარისხი.

• შეისწავლოს ოპციონების წარმოება შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

• კლიენტების მომსახურება;

• ბანკის აქტივების /ვალდებულებების პოზიციის მართვა;

• ვაჭრობა.

◆ **შემოწმების შედეგები:**

• ჰეჯირების შემოწმების საერთო შედეგებიდან გამომდინარე, შემმოწმებელმა უნდა:

• დაადგინოს დოკუმენტური პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობა;

• დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი შიდა პოლიტიკიდან, პროცედურებიდან გადახვევის შემთხვევებს.

• სავალუტო ოპერაციების შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, უნდა:

• დაადგინოს ბანკის მენეჯმენტის ეფექტურობა სავალუტო ოპერაციების გამოყენებით ჰეჯირებისას, საერთო ღია სავალუტო პოზიციის საკურსო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, საკრედიტო და საანგარიშსწორებო რისკის გათვალისწინებით.

• ფორვარდულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დაადგინოს ბანკის მენეჯმენტის ეფექტურობა სავალუტო ოპერაციების გამოყენებით ჰეჯირებისას, საკრედიტო და საბაზრო რისკების გათვალისწინებით.

• საპროცენტო განაკვეთის სვოპებთან დაკავშირებით დაადგინოს ბანკის მენეჯმენტის ეფექტურობა სავალუტო ოპერაციების გამოყენებით ჰეჯირებისას, საპროცენტო განაკვეთისა და საკრედიტო რისკების გათვალისწინებით.

• სავალუტო სვოპებთან დაკავშირებით დაადგინოს ბანკის მენეჯმენტის ეფექტურობა სავალუტო ოპერაციების გამოყენებით ჰეჯირებისას, ფასისა და საკრედიტო რისკების გათვალისწინებით.

• ხოლო ოპციონებთან დაკავშირებით დაადგინოს ბანკის მენეჯმენტის ეფექტურობა ოპციონების გამოყენებით ჰეჯირებისას, ლიკვიდობის, საკრედიტო და საანგარიშსწორებო რისკების გათვალისწინებით.

◆ **მას შემდეგ, რაც დასრულდება ჰეჯირების შემოწმების პროცედურები, შემმოწმებლის მიერ:**

• განხილულ უნდა იქნეს შემოწმების შედეგები ბანკის მენეჯმენტთან და ბანკის აქტივ/ვალდებულების მართვაზე პასუხისმგებელ მუშაკებთან. განხილვა უნდა წარიმართოს ისე, რომ შემმოწმებელმა გაიგოს, თუ როგორ ესმის ბანკის მენეჯმენტს

ჰეჯირება და მიღებულ იქნეს პასუხები აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით.

• დადგენილ უნდა იქნეს ჰეჯირების გავლენა ბანკის ლიკვიდობის და აქტივ/ვალდებულებების მართვის რეიტინგზე. აქტივ/ვალდებულებების მართვაზე ჰეჯირების ოპერაციათა გავლენის შეფასებისას, გასათვალისწინებელია დოკუმენტური პოლიტიკისა და პროცედურათა ადეკვატურობა, მათი დაცვა და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლის ეფექტურობა.

• განხილვის დამთავრებისა და მენეჯმენტის მიერ წარმოებული ჰეჯირების შეფასების შემდეგ, შემმოწმებელმა უნდა მოამზადოს შემდეგი კომენტარები შემოწმების აქტისათვის:

• ჰეჯირების ოპერაციების შემოწმების მასშტაბი;

• ჰეჯირების შიდა პოლიტიკის, პრაქტიკისა და პროცედურების ხარისხი და დაცვა;

• ჰეჯირებასთან მიმართებაში ბანკის მენეჯმენტის კომპეტენტურობა და ადეკვატურობა (შტატები);

• არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები;

• შემმოწმებლის რეკომენდაციები არსებული ხარვეზების გამოსწორების, ან ჯანსაღი პრაქტიკის გაგრძელების შესახებ;

• მენეჯმენტის დაპირებები შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებაზე.

• შემოწმების კომენტირებისთვის, დასკვნა უნდა გადაეცეს უფროს შემმოწმებელს.

• მომზადდეს მასალები შემმოწმებლის მიერ დასკვნების დასაბუთების და მომავალი შემოწმებისათვის ნიადაგის მომზადების მიზნით.

XI თავი

კომერციული ბანკის გარესაბალანსო ოპერაციების ანალიზი, აკრედიტივები, სალაროს ნაშთები და ძვირფასი ლითონები

შინაარსი:

11.1. საკრედიტო ხაზი და აკრედიტივის ფორმები;
11.2. აქტივების ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებათა შეფასება;
11.3. გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების პროცედურები;
11.4. სალარო ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე; (ფულადი დოკუმენტები), ძვირფასი ლითონები.

ძირითადი ელემენტები:

1. კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი;
2. სარეზერვო აკრედიტივების კლასიფიკაცია;
3. ბანკის სეიფებში კლიენტის ნივთების შენახვა;
4. სამეურვეო ანგარიშები;
5. საინკასაციო მომსახურება;
6. კონსიგნირებული დოკუმენტები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 11.1. გარესაბალანსო ოპერაციათა შემოწმების პროცედურები;
ცხრილი 11.2. გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების მიზნები;
ცხრილი 11.3. სალაროს და ძვირფასი ლითონებით განხორციელებული ოპერაციების შემოწმების მიზნები.

ჰეჯირება და მიღებულ იქნეს პასუხები აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით.

- დადგენილ უნდა იქნეს ჰეჯირების გავლენა ბანკის ლიკვიდობის და აქტივ/ვალდებულებების მართვის რეიტინგზე. აქტივ/ვალდებულებების მართვაზე ჰეჯირების ოპერაციათა გავლენის შეფასებისას, გასათვალისწინებელია დოკუმენტური პოლიტიკისა და პროცედურათა ადეკვატურობა, მათი დაცვა და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლის ეფექტურობა.
- განხილვის დამთავრებისა და მენეჯმენტის მიერ წარმოებული ჰეჯირების შეფასების შემდეგ, შემმოწმებელმა უნდა მოამზადოს შემდეგი კომენტარები შემოწმების აქტისათვის:
  - ჰეჯირების ოპერაციების შემოწმების მასშტაბი;
  - ჰეჯირების შიდა პოლიტიკის, პრაქტიკისა და პროცედურების ხარისხი და დაცვა;
  - ჰეჯირებასთან მიმართებაში ბანკის მენეჯმენტის კომპეტენტურობა და ადეკვატურობა (შტატები);
  - არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები;
  - შემმოწმებლის რეკომენდაციები არსებული ხარვეზების გამოსწორების, ან ჯანსაღი პრაქტიკის გაგრძელების შესახებ;
  - მენეჯმენტის დაპირებები შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებაზე.
- შემოწმების კომენტირებისთვის, დასკვნა უნდა გადაეცეს უფროს შემმოწმებელს.
- მომზადდეს მასალები შემმოწმებლის მიერ დასკვნების დასაბუთების და მომავალი შემოწმებისათვის ნიადაგის მომზადების მიზნით.

XI თავი

კომერციული ბანკის გარესაბალანსო ოპერაციების ანალიზი, აკრედიტივები, სალაროს ნაშთები და ძვირფასი ლითონები

შინაარსი:

11.1. საკრედიტო ხაზი და აკრედიტივის ფორმები;
11.2. აქტივების ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებათა შეფასება;
11.3. გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების პროცედურები;
11.4. სალარო ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე; (ფულადი დოკუმენტები), ძვირფასი ლითონები.

ძირითადი ელემენტები:

1. კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი;
2. სარეზერვო აკრედიტივების კლასიფიკაცია;
3. ბანკის სეიფებში კლიენტის ნივთების შენახვა;
4. სამეურვეო ანგარიშები;
5. საინკასაციო მომსახურება;
6. კონსიგნირებული დოკუმენტები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 11.1. გარესაბალანსო ოპერაციათა შემოწმების პროცედურები;
ცხრილი 11.2. გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების მიზნები;
ცხრილი 11.3. სალაროს და ძვირფასი ლითონებით განხორციელებული ოპერაციების შემოწმების მიზნები.

11.1. საკრედიტო ხაზი და აკრედიტივის ფორმები

გარე საბალანსო ოპერაციები წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმიანობა შეიძლება არ აისახოს საბალანსო უწყისში, იგი მაინც ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი. ასეთ ოპერაციათა შედეგად, ბანკი შეიძლება პირობითი ვალდებულებების წინაშე დადგეს. პირობითია ვალდებულება, რომელიც დამოკიდებულია მეორე მხარის ქმედებებზე, ან მომავალ მოვლენებზე. გარესაბალანსო ოპერაციების მთავარი წყაროებია: ვალდებულებები კრედიტების გაცემაზე და აკრედიტივები. აქვე იქნება განხილული გარესაბალანსო ოპერაციებიდან გამომდინარე პირობითი ვალდებულებები.

გარესაბალანსო ოპერაციათა შემოწმების მიზნით გამოიყენება შემდეგი პროცედურები (იხ. ცხრ. 11.1.):

ცხრილი 11.1

გარესაბალანსო ოპერაციათა შემოწმების პროცედურები

გარესაბალანსო ოპერაციები	ინსპექტირების პროცედურები
ფასიან ქაღალდების ანდერრაიტინგი	აქტივების ხარისხი (საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები)
კონტრაქტები უცხოურ ვალუტაში	უცხოური ვალუტა
კომერციული აკრედიტივები	საერთაშორისო
წარმოებული ფასიანი ქაღალდები	აქტივების ხარისხი (საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები)
სვოპები და ჰეჯირება	ჰეჯირების პროდუქტები

პირობით ვალდებულებათა გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს გარესაბალანსო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკი, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე, აქედან გამომდინარე, სრულმასშტაბიანმა შემოწმებამ უნდა მოიცვას ამ რისკის ანალიზი. ვინაიდან შეუძლებელია პირობით ვალდებულებათა ყველა სახეობის განხილვა, ამიტომ განხილული იქნება მხოლოდ ყველაზე გავრცელებული ტიპის გარესაბალანსო

ოპერაციები. ნებისმიერ შემთხვევაში, შემმოწმებელის მიზანი უნდა იყოს შეაფასოს გარესაბალანსო ოპერაციათა შესაძლო გავლენა ბანკის მდგომარეობაზე. ასეთი ოპერაციებიდან გამომდინარე, ვალდებულებებმა შეიძლება ბანკის ზარალი გამოიწვიოს. შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ბანკის მენეჯმენტს აქვს პირობით ვალდებულებათა დადგენისა და კონტროლის სათანადო სისტემა და რომ ამ სფეროში არ ირღვევა კანონის მოთხოვნები.

ტიპურ გარესაბალანსო ანგარიშებს, რომლებიც სესხების აღრიცხვისას მოწმდება, წარმოადგენენ ვალდებულებანი სესხების გაცემაზე და სარეზერვო აკრედიტივები. გარესაბალანსო ანგარიშების შეფასებისას, როდესაც რეიტინგის მინიჭება ხდება, შემმოწმებელმა უნდა შეამოწმოს, საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, ხომ არ აიღო ბანკმა თავის თავზე უპირობო ვალდებულება, დამატებითი თანხების გაცემაზე. თუ მსესხებელის ფინანსურ მდგომარეობაში არსებობს მნიშვნელოვანი სისუსტეები, რომლებმაც, მათი არგამოსწორების შემთხვევაში, შეიძლება სესხის დაბრუნების პერსპექტივებისა და ბანკის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიონ, ამგვარი ვალდებულებანი შეიძლება მიჩნეულ იქნენ საყურადღებოდ. თუ არსებობს აშკარა სისუსტეები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კრედიტის დაბრუნების შესაძლებლობას, ამგვარი ვალდებულება შეიძლება ნეგატიურად იქნეს კლასიფიცირებული ნეგატიურად კლასიფიცირების შემთხვევაში, ამ ვალდებულებებში ნახსენები თანხები უნდა გაიყოს ორ ნაწილად: პირდაპირი თანხები, ანუ თანხები, რომლებიც უკვე აღნიშნულია და არაპირდაპირი თანხები, ანუ თანხები, რომელთა აღნიშნება მოსალოდნელია მომავალში.

ვალდებულება სესხის გაცემაზე განისაზღვრება, როგორც ფორმალურად გაფორმებული ხელშეკრულება სესხის გაცემაზე. ასეთი ვალდებულებისთვის ბანკი იღებს საკომისიოს, ან რაიმე ტიპის სხვა კომპენსაციას. არსებობს ასეთ ვალდებულებათა

სხვადასხვა ტიპი. ისინი დამოკიდებულია გასაცემი კრედიტების ტიპებზე. ასეთ ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკი წარმოიქმნება იმის ალბათობიდან, რომ მსესხებლის გადახდისუნარიანობა შეიძლება გაუარესდეს ვალდებულების აღების დღიდან თანხების ავანსირებამდე. იურიდიულად გაფორმებული ვალდებულება სესხის გაცემაზე წარმოადგენს იურიდიულად დადასტურებულ წერილობით ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერენ მსესხებელი და კრედიტორი. მასში აღწერილია ის ვადები და პირობები, რომელთა თანახმად უნდა მოხდეს სესხის გაცემა. ხელშეკრულებაში მითითებულია თარიღი, რომლის შემდეგაც ის ძალას კარგავს. ვადის გაგრძელებაზე თანხმობის სანაცვლოდ ბანკი კლიენტისაგან ითხოვს გადასახადს და/ან რაიმე ტიპის კომპენსაციას.

საკრედიტო ხაზი (ძირითადად, წერილის სახით) ატყობინებს კლიენტს ბანკის მზადყოფნას ასესხოს გარკვეული თანხა განსაზღვრული ვადით. ეს საკრედიტო ხაზები (ცნობილია კლიენტისთვის და ისინი, ძირითადად, მოიხსენიება, როგორც „ავიზირებული“ ან „დადასტურებული“ ხაზები. მათგან განსხვავებით, „სახელმძღვანელო“ კრედიტები (ზოგჯერ უწოდებენ შიდა სახელმძღვანელო ხაზებს) არ არის ცნობილი კლიენტებისთვის. „სახელმძღვანელო“ კრედიტები, სხვა სესხებისა და ვალდებულებების მსგავსად, ოფიციალურად მტკიცდება და ეხმარება საკრედიტო განყოფილების მოხელეს, რომელიც ანგარიშს ემსახურება, სწრაფი რეაგირება გააკეთოს ფონდების მოულოდნელ მოთხოვნაზე. ზოგი საკრედიტო ხაზი შეიძლება გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება; სხვები კი, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ, უბრალოდ, გაუქმებას ექვემდებარება. საკრედიტო ხაზები, როგორც წესი, მოითხოვენ პერიოდულ ან წლიურ სასესხო მოწესრიგებას (გაწმენდას).

შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება იმის ირაობაზე, თუ რა არის იურიდიული ხასიათის ვალდებულება. მაგ. საკრედიტო შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს გამოთხოვადი საკრედიტო ხაზი,

ისევრამ, ამავდროულად, იგი შეიძლება იყოს იურიდიული ვალდებულება სესხის გაცემაზე, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გათვალისწინებული აქვს ბანკის დაპირება კრედიტზე და მხარეებს შორის შეთანხმების პირობები ასახულია კონტრაქტში. ბანკის მენეჯმენტმა მყარად უნდა განასხვავოს იურიდიული ხასიათის საკრედიტო ვალდებულებები და გამოთხოვადი საკრედიტო ვალდებულებები. სწორად წარმოებული დოკუმენტაცია არის იმის გარანტი, რომ სასესხო ვალდებულების გაუქმების აუცილებლობის შემთხვევაში, ბანკის პოზიცია სათანადოდ იქნება დაცული.

ზოგიერთი სასესხო შეთანხმება მოიცავს „მატერიალური მდგომარეობის გაუარესების“ მუხლს, რომლის თანახმად ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს საკრედიტო ხაზის ვალდებულების ანულირება კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. ეს მუხლი შეიძლება გარანტორების ფინანსურ მდგომარეობასაც მოიცავდეს. აღნიშნული მუხლის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, თუ ძალაში რჩება იურიდიული ხასიათის ურთიერთობანი, მიუხედავად სპეციფიკური ფინანსური შეთანხმებების დარღვევისა. ზოგიერთი დოკუმენტი ძალიან ბუნდოვნად ასახავს მსესხებლის ვალდებულებას დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ. შემმოწმებელმა ყურადღებით უნდა გადაისინჯოს სასესხო შეთანხმებები, რათა განსაზღვროს, არის თუ არა ბანკი იურიდიულად ვალდებული თანხების გაცემაზე.

მომავალი კრედიტების გაცემასთან დაკავშირებული ძირითადი რისკი იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება შეიცვალოს მსესხებლის მდგომარეობა ვალდებულების გაცემასა და უშუალო დაფინანსებას შორის. ამასთან, ვალდებულებებმა შეიძლება ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკიც გამოიწვიოს. შემმოწმებელმა უნდა შეაფასოს სავარაუდო მოთხოვნილება ემიტენტი ბანკის სასესხო ვალდებულებებზე და ბანკის დასაფინანსებელ წყაროებთან დაკავშირებული სავარაუდო საკრედიტო ხაზები.

საკრედიტო ხაზებს შეიძლება ჰქონდეს მსესხებლის სახელზე გამოშვებული აკრედიტივის ფორმა. ასეთ აკრედიტივებს იგივე გირაო აქვთ, როგორიც საკრედიტო ხაზებს. თითოეული შემოწმების დროს უნდა შეფასდეს გამოუყენებელი ვალდებულებებისა და ავიზირებული საკრედიტო ხაზების სავარაუდო გამოყენება. თუ დაუფინანსებელი ვალდებულებების მოცულობა უფრო დიდია, ვიდრე ბანკის ლიკვიდობა, შემდგომმა ანალიზმა უნდა დაადგინოს, იყო თუ არა გამოყენებული ნასესხები სახსრები და თუ იყო, ასეთი სახსრების ოდენობა და წყარო.

აკრედიტივები წარმოადგენს უცხოური ოპერაციების დაფინანსების ყველაზე ფართოდ გამოყენებულ ინსტრუმენტს. ძირითადად, იყენებენ ორი ტიპის აკრედიტივს: კომერციულ დოკუმენტურსა და სარეზერვოს.

კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი

კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება გამყიდველიდან მყიდველისთვის საქონლის გაგზავნის დაფინანსება. კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი არის წერილი, რომელიც ბანკის მიერ გამოიწერება საქონლის გამყიდველზე (ბენეფიციარზე) თავად ამ ბანკის ან მისი კლიენტის (საქონლის მყიდველის) სახელით. აკრედიტივის მიხედვით, გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ, გამყიდველს ეძლევა უფლება გამოწეროს გადასაყვანი თამასუქები დადგენილი მოცულობის თანხებზე. ამის შემდეგ, ის იღებს თანხებს ამ თამასუქების მიხედვით. ბენეფიციარს უნადდებენ თამასუქებს მხოლოდ ბანკის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ.

აკრედიტივების გამოწერისა და გაყიდვის (გადაცემის) წესები განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო კომერციული პალატის მიერ. ამ სტანდარტების მიხედვით, ყველა აკრედიტივი უნდა გამოიწეროს:

- კონკრეტული ბენეფიციარის სახელზე;
- განსაზღვრული რაოდენობის თანხაზე;

- ისეთი ფორმით, რომელშიც მკაფიოდ იქნება მითითებული, თუ როგორ და რა პირობებით მოხდება ბენეფიციართან ანგარიშსწორება;
- მოქმედების კონკრეტული ვადით.

კომერციული აკრედიტივები გამოიწერება გამოთხოვის უფლებით (გამოთხოვადი აკრედიტივი) და გამოთხოვის უფლების გარეშე (გამოუთხოვადი აკრედიტივი). **გამოუთხოვადი აკრედიტივი** წარმოადგენს ისეთ აკრედიტივს, რომლის პირობები არ შეიძლება შეიცვალოს ყველა მონაწილის თანხმობის გარეშე და პირიქით, **გამოთხოვადი აკრედიტივი** არის ისეთი აკრედიტივი, რომელიც შეიძლება გაუქმდეს, ან რომლის პირობებიც შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს გამომწერი ბანკის მიერ. ამასთან, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ შეატყობინოს ბენეფიციარს.

გამოუთხოვადი აკრედიტივი არის გამომწერი ბანკის ვალდებულება გადაუხადოს ბენეფიციარს დადგენილი თანხა აკრედიტივის პირობების შესრულების შემთხვევაში. გარდა ამისა, გამოთხოვადი აკრედიტივი არ წარმოადგენს ბანკის კრედიტს. ეს არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ხდება ანგარიშსწორება მყიდველსა და გამყიდველს შორის. ვინაიდან გამოთხოვადი აკრედიტივი შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს წინასწარი შეტყობინების გარეშე, ბენეფიციარი ეყრდნობა არა ბანკის, არამედ მყიდველის სურვილსა და შესაძლებლობას, შეასრულოს დადებული კონტრაქტის პირობები.

როგორც წესი, აკრედიტივი ეგზავნება, უშუალოდ, ბენეფიციარს ან მის გადასაგზავნად ბანკი იყენებს თავის კორესპონდენტ ბანკს, რომელიც განლაგებულია ბენეფიციარის მახლობლად. ხშირად, კორესპონდენტი ბანკი გამოდის „მრჩეველი“ ბანკის როლში, ანუ ასრულებს აკრედიტივის გამომწერი ბანკის აგენტის ფუნქციებს. გარდა ამისა, ის საკუთარ თავზე არ იღებს რაიმე ვალდებულებას. ავიზირებულ აკრედიტივზე კეთდება ბანკის წარწერა იმის შესახებ, რომ ის უშუალოდ არაა ჩართული ამ ოპერაციში.

ამრიგად, ავიზირებული აკრედიტივის მიხედვით, გადახდა წარმოებს გამომწერი და არა ავიზირებული ბანკის მიერ.

ზოგიერთი ბენეფიციარი, რომელიც არ იცნობს აკრედიტივის გამომწერ ბანკს, ითხოვს გამოუთხოვადი აკრედიტივების „დადასტურებას“ ადგილობრივი ბანკის მიერ. აკრედიტივის დადასტურებისას, დამადასტურებელი ბანკი, აკრედიტივის წინა მხარეს აწერს: „ვიღებ ვალდებულებას, გავანაღდო ამ აკრედიტივის მიხედვით გამოწერილი ყველა თამასუქი“, ან აკეთებს რაიმე მსგავს წარწერას. ამით, დამადასტურებელი აკრედიტივის ბენეფიციარი იღებს გარკვეულ ვალდებულებას დამადასტურებელი ბანკისგან და ადარ წუხს იმაზე, თუ რამდენად შეასრულებს აკრედიტივის გამომწერი ბანკი თავის ვალდებულებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი ბანკი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას. მაგალითად, აკრედიტივის ავიზირებისას ბანკი ახდენს მის დადასტურებას და თავის თავზე იღებს ამ თანხების გადახდას.

გამოწერილი თამასუქების განაღდება შეიძლება მოხდეს მათი წარდგენისას ან ერთიდან 180 დღემდე პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, ზოგჯერ გამოიყენება სხვა პირობებიც. აკრედიტივში განსაზღვრულია, თუ რომელ ბანკზე და რა პირობებით უნდა გამოიწეროს თამასუქი. როცა თამასუქი გამოიწერება წარმომდგენზე, ბანკი მას წარდგენისას ანაღდებს იმ პირობით, რომ აკრედიტივის პირობები შესრულებულია. ვადიანი თამასუქის გამოწერისას ბანკი ახდენს მის აქცეპტირებას და მას ზევიდან აწერს: „აქცეპტირებულია“. შემდეგ კლიენტი იტოვებს ამ თამასუქს განაღდების ვადის დადგომამდე ან ყიდის მას საბანკო აქცეპტების ბაზარზე, ნომინალური ღირებულებით, ან ფასდაკლებით.

ზოგიერთი სახის კომერციული აკრედიტივი, როგორიცაა „საკომპენსაციო“ და „წითელი პირობის აკრედიტივები“, შეიცავენ გარკვეული რისკის მქონე ელემენტებს. აქედან გამომდინარე, მათი გამოწერისას ან მომსახურებისას, ბანკებმა გარკვეული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. იგივე ეხება გადავადებული გადახდის მქონე აკრედიტივებს, ისინი უშუალოდ აისახებიან ბანკის აქტი-

ვებში და ვალდებულებებში ბანკში მათი და ბენეფიციარის წარმოდგენილი დოკუმენტების მიღების შემდეგ. ასეთ აკრედიტივთან დაკავშირებული რისკი იზრდება კრედიტის ვადიანობასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი აწარმოებს ოპერაციებს აკრედიტივების გამოყენებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აუცილებელ დოკუმენტებს. ამიტომ ბანკმა ყურადღებით უნდა შეამოწმოს ყველა საბუთი, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი აკრედიტივის ყველა პირობას აკმაყოფილებენ. ხშირ შემთხვევაში, ოპერაციის წარმოებისას, აკრედიტივებთან ერთად გამოიყენება წარმომდგენზე გამოწერილი თამასუქები, აქცეპტები, სასაწყობო ქვითრები ან ქვითარ-მინდობილობებზე გამოწერილი ავანსები. ამასთან, საბოლოო გადახდა ხშირად დამოკიდებულია ჩამოტანილი საქონლის საბოლოო რეალიზაციაზე. ამრიგად, აკრედიტივების გამოყენებით ოპერაციების დაფინანსებისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოყენებული დოკუმენტების სისწორეს და მათ სწორ თამუშავებას.

სარეზერვო აკრედიტივები

სარეზერვო აკრედიტივის თანახმად, გამომწერი ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბენეფიციარს დადგენილი თანხა იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთან, სარეზერვო აკრედიტივი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომერციული გარიგებების წარმოებისას, მაგრამ უშუალოდ ის არ არის დაკავშირებული გამყიდველიდან მყიდველამდე საქონლის გადაზიდვასთან. ის შეიძლება ეხებოდეს საამშენებლო კონტრაქტის შესრულებას ან გამოყენებულ იქნას, როგორც გარანტია ბანკის წინაშე, რომ საქონლის გამყიდველი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ან უკავშირდებოდეს წმინდა ფინანსური ვალდებულების შესრულებას, მაგალითად, როდესაც კრედიტი გამოიყენება როგორც გარანტია იმისა, რომ ფასიანი ქაღალდების განაღდება მოხდება

დაფარვის ვადის დადგომისას. ამრიგად, კომერციული აკრედიტივისგან განსხვავებით, სარეზერვო აკრედიტივის გამოწერისას ბანკი სხვა როლს ასრულებს. ნებისმიერი აკრედიტივის შემთხვევაში ბანკი გულისხმობს, რომ კლიენტს ექნება საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. როგორც წესი, მას შემდეგ, რაც ბანკი იხდის თანხებს კომერციული აკრედიტივის მიხედვით, კლიენტი დაუყოვნებლივ ახდენს ამ თანხების ანაზღაურებას და ეს თანხები არ იქცევა სესხებად. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი იხდის თანხებს სარეზერვო აკრედიტივის მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ კლიენტმა ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და ის სავარაუდოდ ამ თანხებს ვერ აანაზღაურებს.

კომერციული აკრედიტივების გამოწერასთან შედარებით, სარეზერვო აკრედიტივების გამოწერა დაკავშირებულია პოტენციურად უფრო მაღალ საკრედიტო რისკთან. თუ ოპერაცია არ არის მთლიანად უზრუნველყოფილი, სარეზერვო აკრედიტივის გამომწერ ბანკს არ გააჩნია რაიმე საშუალება მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად, მაშინ, როდესაც კომერციული აკრედიტივების შემთხვევაში, ბანკს რჩება საბუთები გამოგზავნილ საქონელზე. ამის, გარდა, სარეზერვო აკრედიტივებთან დაკავშირებული რისკის შემცირების მიზნით, აკრედიტივის გამომწერმა ბანკმა, ისევე, როგორც სესხის გაცემის შემთხვევაში ხდება ხოლმე, უნდა გააანალიზოს გადამხდელი მხარის კრედიტუნარიანობა. ანგარიშგების მიზნებისთვის, სარეზერვო აკრედიტივი აისახება, როგორც მოსალოდნელი (პოტენციური) ვალდებულება.

აკრედიტივი ეხება, მინიმუმ, სამ მხარეს და არსებობს სამი განსხვავებული კონტრაქტი:

• კონტრაქტი გადამხდელ მხარესა და ბენეფიციარს შორის, რომლის თანახმადაც გადამხდელი მხარე ღებულობს ვალდებულებას გადახდასა, თუ რაიმე პირობის შესრულებაზე.

• კონტრაქტი გადამხდელ მხარესა და აკრედიტივის გამხსნელს შორის (აკრედიტივის გამხსნელი – ეს არის მხარე, რომელიც

თავის თავზე იღებს ვალდებულებას გარკვეული თანხების გადახდაზე, როცა შესრულდება აკრედიტივის პირობები, ხოლო გადამხდელი მხარე იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის ანაზღაურებაზე).

• კონტრაქტი აკრედიტივის გამხსნელსა და ბენეფიციარს შორის, როდესაც აკრედიტივის გამხსნელი მხარე იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის აკრედიტივში ნახსენები პირობების შესრულების შემთხვევაში თანხების გადახდაზე.

აკრედიტივების უმრავლესობა არაგარანტირებულია და გულისხმობს გადამხდელი მხარის კრედიტის შეცვლას ბანკის კრედიტით. ეს ხდება მაშინ, როდესაც საჭიროა ბენეფიციარის დარწმუნება ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობასა და მის მიერ თავისი ვალდებულებების აკრედიტივში ნახსენები პირობებისა და ვადების თანახმად შესრულებაში. სარეზერვო აკრედიტივი ეს არის უპირობო ვალდებულება აკრედიტივის გამხსნელი მხარის (ბანკის) მხრიდან, გადაუხადოს კონკრეტულ ბენეფიციარს იმ შემთხვევაში, თუ ბანკის კლიენტი (გადამხდელი მხარე) ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

კრედიტების ანალიზის მიზნებისთვის, სარეზერვო აკრედიტივები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სესხები, რომელთა რისკიც ბანკის მიერ კლიენტზე სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკის ანალოგიურია. სარეზერვო აკრედიტივები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად – „ფინანსური ტიპისა“ და „არაფინანსური ტიპის“ სარეზერვო აკრედიტივებად.

„ფინანსური ტიპის“ სარეზერვო აკრედიტივები იძლევიან ფინანსური დოკუმენტების მიხედვით გადახდის გარანტიას.

„არაფინანსური ტიპის“ სარეზერვო აკრედიტივები, როგორც წესი, გამოიყენება, როგორც საკონტროლო გარანტიები, როდესაც საქმე ეხება გარკვეული პროექტების შესრულების გარანტიას (მაგალითად, როგორიცაა გზების მშენებლობა, ან ჯარიმის გადახდის გარანტია, როდესაც მომწოდებელი ვერ უზრუნველ-

ითანდებულია სხვა ობიექტებში. მხარეები ხშირად იყენებენ აკრედიტივს, რათა დააკმაყოფილონ მოთხოვნა კაპიტალზე, ნაღდი თანხების გამოყენების გარეშე.

თამასუქების უზრუნველყოფა. ზოგ შემთხვევაში კრედიტორმა შეიძლება მოსთხოვოს მოვალეს ჩვეულებრივი თამასუქის გარანტია სხვა ბანკის სარეზერვო აკრედიტივის საშუალებით.

ვაჭრობის აუცილებლობიდან გამომდინარე კონტრაქტების გარანტია. ამ შემთხვევაში სარეზერვო აკრედიტივი კონტრაქტის გარანტიის ანალოგიურია. ხშირად საქონლის მომწოდებელი სთხოვს მსესხებელს მოიპოვოს კომერციული აკრედიტივი გადახდის გარანტიისთვის. ამასთან, მყიდველმა შეიძლება მოსთხოვოს საქონლის მომწოდებელს სარეზერვო აკრედიტივი, რათა გარანტირებულ იქნეს საქონლის მოწოდება სათანადო ვადებში და სათანადო პირობების თანახმად.

ფასიანი ქაღალდების გარანტია. სარეზერვო აკრედიტივი გამოიყენება იმ ვალდებულებათა გარანტიისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან, როგორიცაა მუნიციპალური და სახელმწიფო ობლიგაციები. თუ ამ ვალდებულებათა შესრულება გარანტირებულია სარეზერვო აკრედიტივის თანახმად, მაშინ ამ ფასიანი ქაღალდების რეიტინგი უფრო მაღალი, ხოლო მათი საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალია.

მუნიციპალური ობლიგაციების გარანტიის მიზნით გამოწერილი სარეზერვო აკრედიტივები

სარეზერვო აკრედიტივი შეიძლება გამოწერილი იყოს მუნიციპალური ობლიგაციების გარანტირების მიზნით, ასეთი ობლიგაცები დაკავშირებულია რეგიონის განვითარების ისეთ პროექტებთან, რომლებიც გასდასახადებისგან თავისუფალი, ან ჩვეულებრივი სასესხო ობლიგაციების საშუალებით ფინანსირდება. ჩვეულებრივ შემთხვევაში, მუნიციპალური სააგენტო, მაგალითად, განაშენიანებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, ავრცელებს მუნი-

ყოფს საქონლის მიწოდებასა და სამუშაოს ჩატარებას კონტრაქტის პირობების მიხედვით). ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შემმოწმებლებმა სწორად შეაფასონ რისკების ის ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო დაწესებულებაში აკრედიტივების გაცემის არსებულ პრაქტიკასთან. შემმოწმებლებმა უნდა შეაფასონ საბნკო დაწესებულების კონტროლის სისტემა, რომელსაც რისკის შემცირება შეუძლია (აქ იგულისხმება პერსონალის გამოცდილება, დოკუმენტაციის სწორად წარმოება და რისკების ადეკვატური შეფასება). აკრედიტივის გახსნის სტანდარტები უნდა იყოს არანაკლებ მკაცრი, ვიდრე სესხის გაცემის სტანდარტები. ამიტომ, აკრედიტივების პორტფელი მოითხოვს ისეთივე დაწვრილებით შემოწმებასა და შესწავლას, როგორც სასესხო პორტფელი. გადამხდელი მხარის არასწორმა ქმედებამ ან მის მიერ აკრედიტივის პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება ისეთივე გავლენა იქონიოს, როგორც არასწორად გაცემულმა სესხებმა.

კომერციული აკრედიტივებისგან განსხვავებით სარეზერვო აკრედიტივის მიხედვით თანხების გადახდაზე მოთხოვნა მიუთითებს იმაზე, რომ მყიდველს ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, მაშინ როდესაც თანხების გადახდა კომერციული აკრედიტივის მიხედვით მიუთითებს იმაზე, რომ გადამხდელი მხარე აგრძელებს თავის ჩვეულებრივ საქმიანობას. სარეზერვო აკრედიტივები ძალზე გავრცელებულია, მაგრამ მათთან გარკვეული რისკია დაკავშირებული. ქვემოთ გთავაზობთ ინფორმაციას სარეზერვო აკრედიტივების გამოყენებისა და მათთან დაკავშირებული რისკის შესახებ.

სარეზერვო აკრედიტივის გამოყენების სფერო პრაქტიკულად შეუზღუდავია; ყველაზე გავრცელებულია შემდეგი შემთხვევები:

უძრავი ქონების განვითარების პროექტები. იპოთეკური კრედიტის გაცემა შეიძლება დასაბუთებულ იქნეს იმ თანხებით, რომლებიც ამ პროექტის შემსრულებლის მიერ პროექტშია ჩადებული. მიუხედავად ამისა, კრედიტორმა შეიძლება განაცხადოს, რომ მსესხებელს აქვს უძრავ ქონებაში დაბანდებული გარკვეული კაპიტალი და არ გააჩნია თავისუფალი სახსრები, რადგან ისინი

ციპალური სესხის ობლიგაციებს გარკვეული პროექტის დაფინანსების მიზნით. გამოშვებული ობლიგაციების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები ეძლევა პროექტის შემსრულებელ ორგანიზაციას, საბაზრო განაკვეთზე უფრო დაბალი პროცენტით.

კრედიტის საბაზროზე ნაკლები ღირებულება ობლიგაციების გამომშვებ მუნიციპალურ ორგანიზაციას საშუალებას აძლევს გადასახდების აკრეფიდან მიღებული თანხების გამოყენების გარეშე წაახალისოს ადგილობრივი განვითარების პროექტი. მუნიციპალური ორგანიზაცია თავის თავზე არ იღებს რაიმე ვალდებულებას და ინვესტორებს შეუძლიათ პრეტენზიები წაუყენონ მხოლოდ პროექტის შემსრულებლებს, რადგან ეს პროექტი ობლიგაციების ერთადერთ გარანტიას წარმოადგენს, ამიტომ ბენეფიციარი (ამ შემთხვევაში მუნიციპალური სააგენტო) ფინანსური დაწესებულებისაგან მოითხოვს სარეზერვო აკრედიტივს, რათა დამატებით დააზღვიოს ობლიგაციების მფლობელთა ინტერესები.

უმეტეს შემთხვევაში, სარეზერვო აკრედიტივი გამოიწერება ობლიგაციების ნომინალზე მაღალი თანხით და, ამგვარად, ხდება ობლიგაციების მფლობელთა პროცენტების გადახდა, პროცენტების გადახდის დღეებს შორის არსებული დროის შუალედებში. როგორც წესი, ასეთი სარეზერვო აკრედიტივი გარანტირებულია ბანკის პრიორიტეტული უფლებით იმ ქონებაზე, რომლითაც ძირითადი თანხაა გარანტირებული. სარეზერვო აკრედიტივების გამოწერისა და კრედიტების ანალიზის სტანდარტებში უნდა აისახოს მსგავსი სესხების გაცემაზე არსებული სტანდარტები. განვითარების პროექტის შემსრულებელი, პერიოდულად უხდის პროცენტებს ობლიგაციების მფლობელებს და ბანკს უხდის სარეზერვო აკრედიტივის საფასურს. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი არ შეასრულებს ობლიგაციების მფლობელთა წინაშე ნასკისრ ვალდებულებებს, მაშინ მფლობელებისთვის თანხების გადახდის მიზნით გამოიყენება სარეზერვო აკრედიტივი. ამრიგად, ბანკმა უნდა მოახდინოს სარეზერვო აკრედიტივის გამოწერასთან დაკავშირებული მთლიანი რისკის შეფასება. ობლიგაციების მიზანია

განვითარების წახალისება. ამ მეთოდით ფინანსდება ისეთი რისკიანი და ნაკლებად მოგებიანი პროექტები, რომელთა დაფინანსება ვერ ხერხდება ფინანსირების ჩვეულებრივი წყაროების გამოყენებით. აკრედიტივის გამოწერისას, პირველ რიგში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენადაა დაცული და გარანტირებული ის ქონება, რომელიც სესხის მომსახურებისას გამოიყენება. ქონების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი მუდმივ მონიტორინგს საჭიროებენ. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ახალი ობიექტების მშენებლობას, უნდა განხორციელდეს მიღწეული პროგრესის მონიტორინგი. გადახარჯვების ნებისმიერი შემთხვევა უნდა აღირიცხოს და გატარდეს შესაბამისი ზომები.

სარეზერვო აკრედიტივების განახლება. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში სარეზერვო აკრედიტივების გამოწერისას იგულისხმება, რომ აუცილებელია მათი პერიოდული განახლება, შემმოწმებელმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ბანკი ვერ აიცილებს თავიდან ვალდებულებას, რომელიც ეხება აკრედიტივის განახლებას. ყველა სასესხო ობლიგაციის გამოშვებისას, ობლიგაციის პირობებში ნახსენებია, რომ სარეზერვო აკრედიტივის არგანახლების შემთხვევაში, ბანკმა წინასწარ უნდა გამოგზავნოს შეტყობინება. ამგვარი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, იმ მუშაკმა, რომელიც პასუხისმგებელია აკრედიტივის მიხედვით სესხების გაცემაზე, შეიძლება ჩათვალოს ასეთი შეტყობინება ხელშეკრულების შეუსრულებლობის ნიშნად და გამოიტანოს თანხები არსებული აკრედიტივიდან. აქედან გამომდინარე, ბანკმა უნდა დაიცვას თავი არსებული პროექტისა და სასესხო ობლიგაციების მდგომარეობის გამუდმებული მონიტორინგის საშუალებით. ყველა დოკუმენტური მონაცემი უნდა გროვდებოდეს ბანკის საქმეებში, რათა დადასტურდეს არსებული უძრავი ქონების მდგომარეობა, საღდი თანხების ნაკადის სიდიდე და სესხის ობლიგაციების მდგომარეობა.

ბანკის მიერ უნდა სრულდებოდეს ყველა იმ მოთხოვნის მონიტორინგი, რომლებიც დაკავშირებულია სასესხო კონტრაქტში ნახსენები თანხების ათვისებასთან. ზოგიერთ შემთხვევაში, აკრედიტივის განახლება ხდება ავტომატურად, თუ აკრედიტივის გამომწერი ბანკი არ გამოუგზავნის ბენეფიციარს შეტყობინებას (ჩვეულებრივად, 30 დღით ადრე) აკრედიტივის მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ბანკი პასუხისმგებელია შეტყობინების გაგზავნაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საიმედო გარანტორი ან გირაოში არ არის ჩადებული რაიმე მნიშვნელოვანი კაპიტალი, ამგვარი აკრედიტივები ხასიათდებიან მაღალი რისკით. იმ შემთხვევაში, როდესაც სარეზერვო აკრედიტივი გადაიქცევა გაცემულ სესხად, ასეთი სესხი შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს, როგორც არასტანდარტული ან უფრო დაბალი კატეგორიის სესხი. ბანკმა შეიძლება დაიცვას თავი ასეთი რისკისაგან, თუ ის გააფორმებს წარმოების საშუალებათა ან საცხოვრებელი ფართის მფლობელთან ისეთ გრძელვადიან საიჯარო ხელშეკრულებას, რომელიც მთავრობის საგარანტიო ვალდებულებებით იქნება გარანტირებული.

აკრედიტივის გახსნასთან დაკავშირებული რისკი

ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა იცოდეს იმ საკრედიტო რისკის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია აკრედიტივის გახსნასთან. ბანკმა უნდა გახსნას აკრედიტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გააჩნია ადეკვატური რესურსები. მიუხედავად იმისა რომ აკრედიტივები ფორმალურად არ წარმოადგენენ სესხებს, ისინი შეიძლება გახდნენ სესხის წარმოქმნის მიზეზი, თუ გადამხდელი მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამიტომ, ბანკმა უნდა გამოიყენოს ისეთივე უსაფრთხოების სტანდარტები და წესები, რომლებიც გამოიყენება კომერციული კრედიტის გაცემისას. კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი ადეკვატური დოკუმენტაციის წარმოების მნიშვნელობას. კომერციული აკრედიტივი, წარმოადგენს იმ ფინანსური გარიგებების უწყვეტი სერიის ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია აკრედიტივის თანახმად

აკრედიტივით წარმოდგენილი ტრატების აქცეპტირებასთან. გადახდილი თანხების ოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რამდენად ადრე საჭიროა საქონელი, თუმცა საქონელი შეიძლება არ იყოს დაზღვეული. ამრიგად, დოკუმენტების სწორად წარმოება წარმოადგენს ბანკის უპირველეს საზრუნავს.

ხშირ შემთხვევაში, აკრედიტივების გახსნა ხდება ტელექსის საშუალებით, რომელიც იძლევა საშუალებას დადასტურებულ იქნეს გამგზავნის ვინაობა (როგორც წესი აქ იგულისხმება მეორე ბანკი). არავითარ შემთხვევაში ბანკმა არ უნდა მოახდინოს ბენეფიციარის მიერ წარდგენილი აკრედიტივის აქცეპტირება მანამ, სანამ ის არ მიიღებს მისი აუტენტურობის (სინამდვილის) დადასტურებას. ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ აკრედიტივი შეიძლება იქცეს ბენეფიციარის, ბანკის კლიენტის ან აკრედიტივის გამომწერი ბანკის ინსაიდერის თაღლითობის ობიექტად. გარდა ამისა, სარეზერვო აკრედიტივი შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც ინსტრუმენტი ბანკის დირექტორებისა და მენეჯერების მიერ სხვა ბანკში კრედიტების მიღებისათვის. საბანკო ნორმატივების თანახმად სარეზერვო აკრედიტივები უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, როდესაც ხდება მთლიანი სასესხო დავალიანების გაანგარიშება.

აქედან გამომდინარე, აკრედიტივის გამოწერისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთივე შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება სხვა ტიპის კრედიტების გაცემისას. ამგვარი კონტროლი გულისხმობს ორმაგ ნებართვას აკრედიტივის გამოწერაზე და აკრედიტივის რეგისტრაციის, აქცეპტირებისა და აკრედიტივის მიხედვით თანხების გაცემის ფუნქციათა გამიჯვნას.

აკრედიტივის აქცეპტირებასთან დაკავშირებული რისკი

სხვა ბანკების მიერ გახსნილი აკრედიტივების აქცეპტირებისას აუცილებელია მათი დეტალური გადამოწმება. უნდა არსებობდეს ორმაგი ნებართვა მის აქცეპტირებაზე. აკრედიტივის გამხსნელმა ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ან არ მოინდომოს თავისი აკრე-

დიტივის ან სარეზერვო აკრედიტივის აქცეპტირება იმ მოტივით, რომ ის მიიჩნიოს ყალბად ან განაცხადოს, რომ აკრედიტივზე ხელისმომწერს არ ჰქონდა ამის გაკეთების უფლება. აკრედიტივის აქცეპტირებამდე ბანკმა უნდა მიიღოს მისი სინამდვილის წერილობითი დადასტურება, რომ სათანადო პირობების შესრულებისას იგი იქნება აქცეპტირებული. ხელშეკრულება აკრედიტივის გამხსნელ ბანკთან უნდა გამოიგზავნოს დამოწმებული ტელექსით და უნდა მოიცავდეს იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელთა შესრულების შემთხვევაში მოხდება მისი აქცეპტირება. რისკის მინიმუმზე დაყვანის მიზნით, პირობები, რომლებიც არის ნახსენები ხელშეკრულებაში, ზუსტად და განუხრელად უნდა იქნეს დაცული. სარეზერვო აკრედიტივის შემოწმება უნდა ჩატარდეს დამოუკიდებლად ორი ან ორზე მეტი პირის მიერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ საქმეში დაკავებულ მუშაკთა არაკეთილსინდისიერი ქმედების შესაძლებლობა.

სარეზერვო აკრედიტივების კლასიფიკაცია. სარეზერვო აკრედიტივი იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება ნეგატიურად, თუ იმ კრედიტებს, რომლებიც გამოტანილია სარეზერვო აკრედიტივის თანახმად, გააჩნიათ ხარვეზები. მაგალითად, გადამხდელი მხარის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ შეიძლება ჩააგდოს საფრთხეში სარეზერვო აკრედიტივის პირობების შესრულება, რაც გამოიწვევს ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნას თანხების გადახდაზე. ასეთ პირობებში თანხის გადახდამ, შეიძლება გამოიწვიოს სესხისა და სესხის ამოღებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნა. საერთოდ, ნებისმიერ შემთხვევაში, სარეზერვო აკრედიტივის გირაოს აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მსესხებლისათვის, რადგან გირაოს რეალიზაციით შეუძლებელი ხდება სრულად ამოღებულ იქნეს სარეზერვო აკრედიტივით განსაზღვრული თანხები. იმ შემთხვევაში, როცა აკრედიტივის მიხედვით გადასახდელი თანხების გადახდის ალბათობა დიდია, მაგრამ გადამხდელ მხარეს არ შესწევს უნარი აუნაზღაუროს ბანკს ეს თანხები აკრედიტივის პირობების

ასრულებით, მაშინ აკრედიტივი შეფასებულ უნდა იქნეს ნეგატიურად. გარდა ამისა, თუ არსებობს ზარალის დიდი ალბათობა და შესაძლებელია ამ ალბათობის დადგენა, მაშინ უნდა მოხდეს ბანკის მოგებიდან თანხების გადარიცხვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებად. ზარალის ალბათობის დადგენა, უნდა იქნეს შესრულებული მენეჯმენტთან მოლაპარაკების შედეგების გამოყენებით.

11.2. აქტივების ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებათა შეფასება

ხშირად, ბანკის საერთო საინვესტიციო საქმიანობის, აქტივებისა და პასივების მართვის-ლიკვიდობის სტრატეგიის განხორციელებისას, ბანკის მენეჯმენტი თავის თავზე იღებს ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდების ყიდვაზე ან გაყიდვაზე, რაც აისახება ბანკის გარე საბალანსო ანგარიშზე. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში, შემმოწმებელმა ზუსტად უნდა დაადგინოს, არის თუ არა ბანკის საინვესტიციო პორტფელში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და ხომ არ ეწევა ბანკი სპეკულაციას. თუ ბანკი ვალდებულია გაყიდოს ისეთი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელიც არ არის ბანკის საინვესტიციო პორტფელში, მას მოუწევს ამ ქაღალდების შეძენა მისი გაყიდვის მიზნით, რაც დააყენებს მას იმ რისკის წინაშე, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასების ცვლილებასთან. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ბანკს მოუწიოს ფასიან ქაღალდებში იმაზე მეტის გადახდა, ვიდრე ის მიიღებს მათი გაყიდვიდან.

ტერმინი – „აქტივების გაყიდვა“ გულისხმობს სხვადასხვა ტიპის საქმიანობას, დაწყებული მთლიანი სესხების გაყიდვიდან, დამთავრებული სესხების დანაწილებით. აქტივების გაყიდვის პროგრამა მოიცავს როგორც ისეთი აქტივების პორტფელს, რომელთა რეალიზაცია ადვილია, ასევე, აქტივების რეალიზაციისათვის აუცილებელ სარეალიზაციო ქსელს. აქტივების გაყიდვამ შეიძლება ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ბანკის აქტივე-

ბის/პასივების მართვაში. მაგალითად სესხების გაყიდვა ამცირებს მოთხოვნილებას ბანკის კაპიტალზე, ხოლო თუ გარიგება აღმოჩნდა მოგებიანი, გაიზრდება ბანკის წმინდა მოგება. აქედან გამომდინარე, ბანკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, როდესაც ის გამოდის, როგორც მთლიანი, ასევე, დანაწილებული სესხების მყიდველის და/ან გამყიდველის როლში.

სესხების დანაწილება გულისხმობს სესხის ძირითად თანხაზე და პროცენტებზე საკუთრების უფლებათა დანაწილებას ორ ან ორზე მეტ საბანკო დაწესებულებას შორის. ჩვეულებრივად, სესხის გამცემი ბანკი გასცემს სესხს და შემდგომ ახდენს ამ სესხზე საკუთრების უფლების ნაწილის მიყიდვას ერთ ან რამოდენიმე ბანკზე. ამასთან, სესხის გამცემი ბანკი ინარჩუნებს სესხზე საკუთრების ნაწილს, იტოვებს სასეხო დოკუმენტაციას, აწარმოებს სესხის მომსახურებას და უშუალო მოლაპარაკებებს კლიენტთან, ყველა მხარის სასარგებლოდ. სესხების დანაწილება სესხის გამყიდველ ბანკს აძლევს საშუალებას, გაცილებით უფრო მეტად დააკმაყოფილოს მოთხოვნილება სესხების გაცემაზე, ვიდრე ეს იყო შესაძლებელი არსებული ლიმიტების პირობებში. სესხების დანაწილებით ბანკი ახდენს რისკის დივერსიფიკაციას და ამით აუმჯობესებს ლიკვიდობის პოზიციას. გარიგებაში მონაწილე ბანკებს ეძლევათ საშუალება, მოახდინონ სესხებზე და ინვესტიციებზე არსებული დაბალი მოთხოვნილების კომპენსაცია და განახორციელონ ინვესტიციები დიდი მოცულობის სესხებში; თავიდან აიცილონ სესხების გაცემაზე და მომსახურებაზე გასაწევი ხარჯები. ამასთან, თუ სესხების დანაწილება არ არის გონივრული, ხოლო სათანადო დოკუმეტაცია არ არის სწორად მომზადებული, ის შეიძლება გახდეს მყიდველისა და გამყიდველისათვის მოულოდნელი რისკის მიზეზი. შემმოწმებლებმა უნდა დაადგინონ სესხების დანაწილების ხელშეკრულებათა ხასიათი და ადეკვატურობა.

რეგრესის (დაბრუნების) უფლების გარეშე გაყიდული აქტივები, როგორც წესი, არ წარმოადგენენ მოსალოდნელ ვალ-

დებულებებს. ასეთ შემთხვევაში, ბანკი თავის საბუღალტრო წიგნებში ასახავს სესხის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც რჩება მის საკუთრებაში, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს დანაწილებული სესხის გამოსყიდვა, რათა ხელი შეუწყოს მათ საბოლოო ამოღებას. ზოგიერთმა ბანკმა შეიძლება გამოისყიდოს სესხი და აიღოს თავის თავზე ნებისმიერი ზარალი, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე არ არსებობს რაიმე იურიდიულად გაფორმებული ვალდებულება. ამიტომ, აუცილებლია დადგენილ იქნეს მენეჯმენტის პრაქტიკა, რათა შეფასდეს ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მენეჯმენტი ახდენს ისეთი აქტივების გამოსყიდვას, რომლებიც ფორმალურად გაყიდულია რეგრესის უფლების გარეშე, შეიძლება წარმოიქმნას პირობითი ვალდებულება. პირობითი ვალდებულება შეიძლება წარმოიქმნას, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკი გაყიდის სესხს რეგრესის უფლების გარეშე, მაგრამ არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს. პირობათა შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით: კერძოდ, როდესაც გამყიდველი ბანკი ვერ ახერხებს მიიღოს საგარანტიო ან გირავნობის ხელშეკრულება; მოიპოვოს აუცილებელი გარანტიები ან შეატყობინოს მყიდველს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შესახებ. ბოლო შემთხვევაში, სესხის მყიდველმა შეიძლება აღძრას სარჩელი იმ მოტივით, რომ მისთვის მოწოდებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზე მან გადაწყვეტილება მიიღო, არასწორი ან შეგნებულად გაყალბებული იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი გაყიდულია რეგრესის უფლების გარეშე, ნათლად ჩანს რისკის ფაქტორი. შემმოწმებლებმა უნდა გაითვალისწინონ ასეთი რისკის შესაძლებლობა და შეაფასონ მისი პოტენციური გავლენა ბანკის მდგომარეობაზე.

საბანკო რეგულირების მიზნებისათვის, ზოგიერთი ოპერაცია, რომელიც აქტივების „გაყიდვასთან" არის დაკავშირებული, გა-

ოპერაციების მოცულობა უნდა აღირიცხოს ბანკის ვალდებულებების ბალანსში. სხვა ტიპის გარანტიებში შედის: კლიენტის ვალების გარანტიები ან ვალდებულებები დადგენილი თანხის გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება იჯარის, გადასახადების ან საბაჟო მოსაკრებლების გადაუხდელობას, ტრანსპორტირების ხარჯების არ დაფარვას, ტრანსპორტირების საბუთების დაკარგვას ან მათი პირობების შეუსრულებლობას. ასეთ ვალდებულებებს ითვალისწინებენ სესხების ლიმიტების დაცვის შემოწმებისას.

გარანტიების ყველაზე გავრცელებულ მაგალითს წარმოადგენს სატრანსპორტო გარანტია. ხშირად საქონელი ჩადის იმპორტიორის პორტში კონოსამენტის ჩამოსვლამდე. ასეთ შემთხვევაში, იმპორტიორი (მყიდველი) ისაკუთრებს საქონელს და გადასცემს საბანკო გარანტიას/სატრანსპორტო გარანტიას. ამ გარანტიის საფუძველზე სატრანსპორტო კომპანია თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას იმ ზარალზე, რომელიც შეიძლება მოყვეს მყიდველზე ტვირთის გადაცემას ყველა აუცილებელი საბუთის გარეშე. როგორც წესი, ასეთი გარანტია გამოიწერება იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი კონტრგარანტიის საფუძველზე.

ყველა ტიპის გაცემული გარანტია უნდა აღირიცხოს, როგორც ბანკის მოსალოდნელი ვალდებულება. როგორც წესი, ის, მხარე, რომლის სახელზეც გარანტიაა გამოწერილი, ვალდებულია ბანკს აუნაზღაუროს გაწეული ხარჯები. ამასთან, გარკვეულ სიტუაციებში, ბანკის ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს სხვა მხარის მიერ, რომელიც შეიძლება განისაზღვროს საგარანტიო ხელშეკრულების ან კონტრ-გარანტიის პირობების მიხედვით. ბანკის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს დაგირავებული ქონების, გამოყოფილი დეპოზიტების ან კონტრ-გარანტიების გამოყენებით.

ხშირად ბანკები სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას, რომლებიც არ აისახება მთავარ საბუღალტრო წიგნებში. ასეთი მომსახურება მოიცავს კლიენტების ძვირფასეულობათა სეიფებში შენახვას, სადეპოზიტო სეიფების მიჭი-

ფორმებულ უნდა იქნეს, როგორც ფინანსური ოპერაცია (როგორიცაა „გაყიდული“ აქტივებით გარანტირებული სესხები), სხვები კი აისახება, როგორც სათანადო აქტივების გაყიდვა. ყველა ცალკე აღებული აქტივის გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციის გაფორმება დამოკიდებულია იმაზე, იტოვებს თუ არა აქტივის „გამყიდველი“ აქტივის გადაცემასთან დაკავშირებულ რისკს. ჩვეულებრივ, როდესაც აქტივის გადაცემა გაყიდვად ფორმდება, აქტივის გამყიდველმა ორგანიზაციამ არ უნდა დაიტოვოს ზარალის რისკი ან ვალდებულება ძირითადი თანხისა და პროცენტების გადახდაზე.

რეგრესის უფლებით შესრულებული ყველა გარიგება დოკუმენტირებულ უნდა იქნეს. იმ შემთხვევაში, თუ სესხი გაიყიდა რეგრესის (გამყიდველისათვის დაბრუნების) უფლებით, სესხის გამყიდველი ბანკი იტოვებს სესხთან დაკავშირებულ მთლიან რისკს და მისი სესხების ოდენობა არ მცირდება გაყიდული სესხის ოდენობით. რეგრესით გაყიდული სესხები უნდა განიხილებოდეს, როგორც გამყიდველი ბანკის ვალდებულება მყიდველი ბანკის მიმართ. შემმოწმებლებმა უნდა შეამოწმონ აქტივების გაყიდვის ის შემთხვევები, რომლებიც გამოსყიდვის ფორმალურ ან არაფორმალურ ხელშეკრულებებს ექვემდებარებიან (როდესაც „იგულისხმება“ აქტივების დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში შეიძლება საწინააღმდეგოც იყოს აღნიშნული). აქტივის გაყიდვის რეალური რეგრესის უფლების დადგენის მიზნით, შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა ოდენობით გადაეცა კრედიტის რისკი გამყიდველიდან მყიდველს. ჩვეულებრივ, თუ ძირითადი თანხის ან პროცენტების გადახდაზე ზარალის რისკი გამყიდველს რჩება ან უბრუნდება, ასეთი გარიგება გამყიდველმა უნდა ასახოს როგორც ვალდებულება, ხოლო მყიდველის მხრიდან გამყიდველისათვის მიცემული სესხი – როგორც აქტივი.

ობლიგაციების ან სხვა ტიპის ვალდებულებების გაყიდვის შემთხვევაში, ბანკმა შეიძლება მოახდინოს მათი გარანტირება ან ინდოსირება. გარანტირებული ან ინდოსირებული ვალდებუ-

რავებას, საინკასაციო მომსახურებას და საკორესპოდენტო მომსახურებას. ბანკის მოვალეობაში შედის, უზრუნველყოს გირაოსა და სხვა საბუღალტრო წიგნებში გაუტარებელ ანგარიშებზე მყოფი ქონების სწორი აღრიცხვა და შესაბამისი დაცვა. მიღებულ უნდა იქნეს სათანადო უსაფრთხოების ღონისძიებანი, რათა ბანკმა თავი დაიზღვიოს იმ პრეტენზიებისა და სარჩელებისგან, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ამ ქონების დაზიანების, დაკარგვის ან სხვა მოულოდნელი შემთხვევის შედეგად. ბანკი მიაღწევს კონტროლის და მონიტორინგის სათანადო დონეს იმ შემთხვევაში, თუ ის გამოიყენებს საბუღალტრო წიგნებში გაუტარებელი ქონებისათვის საკონტროლო და სამემორანდუმო ანგარიშებს. საბუღალტრო წიგნებში გაუტარებელი საკონტროლო ანგარიშები შედგება საბუღალტრო ბარათებისგან, რომლებიც გამოიყენება კლიენტების ბანკის სეიფებში შენახული ქონებისა და სადეპოზიტო სეიფების, დაგირავებული ქონების რეგისტრაციისთვის და სამგზავრო ჩეკების საინვენტარიზაციო ჟურნალებისგან. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებდეს სათანადო შიდა კონტროლსა და მუშაობის პროცედურებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს ჯამის გამოანგარიშება და გაკონტროლება, ასევე, ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს მათი გადამოწმება. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო უსაფრთხოების ღონისძიებები, რათა ბანკმა თავი დაიზღვიოს იმ პოტენციური სარჩელებისა და პრეტენზიებისაგან, რომლებიც ამ ქონებასთან არასწორი მოპყრობის გამო წარმოიქმნება, მისი დაზიანების, დაკარგვის ან სხვა მოულოდნელი შემთხვევების შედეგად. სათანადო ზომების მიუღებლობამ შეიძლება სარჩელებისა და პირობით ვალდებულებათა წარმოქმნა გამოიწვიოს. ამასთან, უცილობელმა სარჩელებმა, რომლებშიც ბანკი მოპასუხის როლში გამოდის, შეიძლება ზარალის დიდი რისკი გამოიწვიოს.

ქვემოთ ჩამოთვლილია კლიენტების მომსახურების ის ძირითადი სახეები, რომლებიც დაკავშირებულია კონსიგნირებულ ოპერაციებთან:

კლიენტების ნივთების შენახვა:

სადეპოზიტო სეიფების ყუთები - ბანკი და კლიენტი დებენ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ბანკი იღებს საფასურს სხვადასხვა ზომის სადეპოზიტო (საშემნახველო) ყუთების მიჭირავებისთვის. ამ საფასურის სანაცვლოდ ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ ყველა სათანადო ზომას მიიღებს ყუთში ჩადებული ნივთის დაცვისა და დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით. საგანგებო შემთხვევისას, თუ ბანკი ვერ დაამტკიცებს, რომ მან ყველა აუცილებელი უსაფრთხოების ღონისძიება გაატარა, იგი აგებს პასუხს კლიენტის წინაშე. სათანადო უსაფრთხოების ზომების სტანდარტი განისაზღვრება იმ ზომების მიხედვით, რომლებსაც მიიღებდა ამ სფეროში მომუშავე ჩვეულებრივ კეთილგონიერი და საღად მოაზროვნე პირი. სადეპოზიტო სეიფის ყუთი უნდა იღებოდეს ორი სხვადასხვა გასაღების საშუალებით, ბანკის კლიენტს უნდა გააჩნდეს ამ გასაღებებიდან ერთერთი, კლიენტს არ მოეთხოვება უწყვნოს ბანკს, თუ რას ინახავს ყუთში. ბანკს შეუძლია გააღოს ეს ყუთი კლიენტის დაუსწრებლად მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბანკის სეიფებში კლიენტის ნივთების შენახვა - ბანკმა შეიძლება შეინახოს კლიენტის ძვირფასეულობა დროის მცირე პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, კლიენტი მიემგზავრება შვებულებაში ან დროებით ტოვებს ქალაქს). მართალია, კლიენტებს აწყობთ ასეთი პრაქტიკა, მაგრამ მრავალი ბანკი ცდილობს თავი აარიდოს მას და გაუწიოს რეკლამა სადეპოზიტო სეიფების ყუთებს. იმ შემთხვევებში, როდესაც ბანკს არ სურს კლიენტის გაწბილება, ბანკმა უნდა გამოიყენოს ფასეულობის შენახვის ანალოგიური პროცედურა. შესანახი საგნების ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს ორი პირის თანდასწრებით და ისინი უნდა შეინახონ

ბანკის საცავში, ორმაგი კონტროლის ქვეშ. ამასთან, უნდა შედგეს საშემნახველო ქვითარი რამდენიმე ეგზემპლარად, რომელშიც მოცემული უნდა იყოს შენახული საგნების დეტალური აღწერა. შესანახად არ უნდა იღებდნენ ისეთ დაბეჭდილ პაკეტებს, რომელთა შიგთავსი ბანკისთვის უცნობია. ამგვარი მომსახურებისთვის ბანკმა შეიძლება მოითხოვოს ან არ მოითხოვოს გარკვეული საფასური, მაგრამ თუ ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს ასეთ მომსახურებას, შემუშავებულ უნდა იქნეს მომსახურების ტარიფები.

სამეურვეო ანგარიშები - ბანკი შეიძლება გამოდიოდეს საკუთარი კლიენტების მეურვის როლში და შეინახოს მათი ფასიანი ქაღალდები მაგ. აქციები, ობლიგაციები ან ოქრო. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მათი მხოლოდ ფიზიკური შენახვა ან ყიდვა-გაყიდვა და მიღებული პროცენტების აღრიცხვა, სათანადო ანგარიშების მართვა, ასევე, საინვესტიციო ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე რჩევების მიცემა, წერილობითი მოთხოვნების შესრულება. ასეთი მომსახურების შეთავაზებამდე ბანკი უნდა მოეთათბიროს თავის იურიდიულ კონსულტანტს იმ კანონებისა და წესების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ ბანკის სადეპოზიტო ურთიერთობებს კლიენტთან. გარდა ამისა, წერილობითი ხელშეკრულებები და კონტრაქტები დეტალურად უნდა აღწერდნენ ბანკის ფუნქციებს, რაც მნიშნელოვნად შეამცირებს პირობით ვალდებულებათა წარმოშობის შესაძლებლობას.

საინკასაციო მომსახურება - ბანკის საინკასაციო განყოფილება წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ყველაზე დივერსიფიცირებულ სფეროს. იგი მოიცავს ისეთი დოკუმენტების მიღებას, შეგროვებას და ლიკვიდაციას, რომლებიც ყოველთვის საჭიროებენ სპეციალურ მოპყრობას და რომლებზედაც კრედიტის გახსნა მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც საბოლოო გადასახადია მიღებული. აღნიშნულ დოკუმენტებთან მუშაობისას ბანკი გამოდის კლიენტის ან კორესპოდენტის აგენტი და იღებს მომსახურების საზღაურს. ინკასირებისას, საერთო საბუღალტრო წიგნი გამოიყენება მხოლოდ

იშვიათ შემთხვევებში. ბანკის განკარგულებაში მყოფი კლიენტის ფასეულობების ღირებულებისა და მნიშვნელობის გამო, აუცილებელია გამოყენებულ იქნეს აღრიცხვის ისეთი პროცედურები, რომლებიც ადეკვატურად უზრუნველყოფენ ყოველი დოკუმენტის წინა ისტორიის დეტალურ (თანიმიმდევრულ) შეჯამებას.

კონსიგნირებული დოკუმენტები - ყველაზე ჩვეულებრივი კონსიგნირებული დოკუმენტებია გაუცემელი სამგზავრო ჩეკები და ოქრო. სამგზავრო ჩეკები ბოლო დროს გახდა პოპულარული, ვინაიდან, დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში ადვილია მათი აღდგენა. ისინი გამოიწერება სათანადო საფასურის სანაცვლოდ. საფასურის თანხას ინაწილებენ კონსიგნანტი და გამომწერი ბანკები. ბანკი ითვიათად იღებს საკმარის საზღაურს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურების სანაცვლოდ, მაგრამ მეანაბრეთა მოსაზიდად მაინც ცდილობს უზრუნველყოს მომსახურების მთელი სპექტრი. ბანკი იღებს პასუხისმგებლობას და სხვა პირების აქტივობების სათანადო შენახვასა და ამ შენახვისთვის აუცილებელი ჩანაწერების სათანადოდ წარმოებასთან დაკავშირებულ შესაბამის პირობით ვალდებულებებს. თუ ბანკის თანამშრომელი არაკეთილსინდისიერების ან უყურადღებობის გამო დაუშვებს შენახული ქონების დაკარგვას ან არასწორად გამოწერს სამგზავრო ჩეკებს, ბანკმა პასუხი უნდა აგოს წარმოქმნილ ზარალზე. ამრიგად, როდესაც საქმე პირობით ვალდებულებებს ეხება, აუცილებელია ბანკის მიერ ადეკვატური კონტროლის ზომების გატარება.

11.3. გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების პროცედურები

- შემმოწმებელმა ბანკის მენეჯმენტისგან უნდა მოითხოვოს შემდეგი ინფორმაცია:
- ანგარიში, რომელშიც დეტალურადა იქნება აღწერილი ყველა ვალდებულება სესხების გაცემაზე და ყველა სარეზერვო აკრედიტივი. მონაცემები კომერციული აკრედიტივების შესახებ

უნდა გადაეცეს იმ შემმოწმებელს, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების შემოწმებაზე.

ანგარიში უნდა მოიცავდეს სესხების გაცემაზე ვალდებულებათა და სტენდბაი აკრედიტივების მოცულობას, დაფარვის თარიღსა და საპროცენტო განაკვეთებს. ამასთან, მითითებული უნდა იქნეს, თუ რამდენად უპირობოა ეს ვალდებულება და აქვს თუ არა ბანკს უფლება, არ გასცეს სესხი კლიენტის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში;

• ბანკის მენეჯმენტის ნებისმიერი ანგარიში, რომელსაც ბანკი იყენებს ფინანსური შესაძლებლობების და ლიკიდურობის ანალიზის მიზნებისათვის;

• ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება ყველა ის სარეზერვო აკრედიტივი; რომლისთვისაც სახსრები უკვე გამოიყო;

• გაყიდული სარეზერვო აკრედიტივებისა და სესხების გაცემაზე ვალდებულებების სია;

• ბანკის მენეჯმენტის მიერ საყურადღებოდ მიჩნეული სარეზერვო აკრედიტივებისა და სესხების გაცემაზე ვალდებულებათა სია;

• სარეზერვო აკრედიტივებისა და ინსაიდერებზე გაცემული იმ სესხების სია, რომლებიც ბანკმა გამოიყენა, როდესაც ის აწარმოებდა გაანგარიშებას საბანკო ნორმატივების დაცვის შემოწმების მიზნით;

• ყველა მონაცემი სესხების გაცემაზე ვალდებულებებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ უნდა გადაეცეს იმ შემმოწმებელს, რომელიც ამოწმებს კრედიტებს, რათა ისინი გათვალისწინებულ იქნენ კრედიტების ხარისხის შესწავლისას;

• შემოწმების პროცესში შემმოწმებელმა უნდა გაითვალისწინოს ლიმიტები, რომლებიც დაწესებულია სესხების იმ ტიპებისათვის, რომლებიც მოწმდება; შეაფასოს ვალდებულებები სესხების გაცემაზე და სარეზერვო აკრედიტივები კრედიტების ხარისხთან მიმართებაში;

• შეისწავლოს ყველა ის სარეზერვო აკრედიტივი, რომლისთვისაც უკვე მოხდა სახსრების გამოყოფა;

• შეისწავლოს ყველა სარეზერვო აკრედიტივი და დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავენ შემდეგ ინფორმაციას:

• საბუთს, რომ დოკუმენტი წარმოადგენს აკრედიტივს;

• აკრედიტივის მოქმედების ვადის დამთავრების თარიღს, აკრედიტივის პირობებს და თანხის ოდენობას;

• ვალდებულებას აკრედიტივის გამხსნელის მხრიდან, მოახდინოს თანხების გადახდა, რაც დამოკიდებულია აკრედიტივში განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენაზე და არა მხარეების მიერ ძირითადი ოპერაციის ფაქტობრივ განხორციელებაზე ან განუხორციელებლობაზე;

• გადამხდელი მხარის უპირობო ვალდებულებას, მოახდინოს აკრედიტივის თანახმად გამოწერილი თანხების ანაზღაურება.

ცხრილი 11.2.

გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების მიზნები

I.	სესხების გაცემასა და აკრედიტივებთან დაკავშირებული საკრედიტო და ლიკვიდობის რისკის დადგენა
II.	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის ვალდებულებათა შესწავლა ლიკვიდობის მიზნით
III.	აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული პოტენციური სარჩელების დადგენა
III.ა	სხვა გარესაბალანსო ოპერაციები
IV.	შემოწმების შედეგების შეჯამება

• შეისწავლოს ბანკის პოლიტიკა და პროცედურები შემდეგი კუთხით:

• ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა აკრედიტივებთან დაკავშირებით ადეკვატური პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე და აკრედიტივების მონიტორინგზე. შემუშავებულია თუ არა ასეთი პოლიტიკა და პროცედურები.

• აღწერილია თუ არა აკრედიტივებთან დაკავშირებულ პოლიტიკაში კომერციული და სარეზერვო აკრედიტივების გამოწერის პროცედურები. მასში ცხადად უნდა იქნეს მითითებული აკრედიტივის გახსნის სასურველი და არასასურველი პირობები. უნდა განისაზღვროს ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აკრედიტივის გახსნაზე და სესხების გაცემაზე. პოლიტიკაში უნდა იქნეს განსაზღვრული მოთხოვნები ჩანაწერების წარმოებაზე და ყოველი გამოწერილი აკრედიტივისთვის ცალკეული საქმის წარმოებაზე.

• შემმოწმებელმა უნდა შეისწავლოს სარეზერვო აკრედიტივების დოკუმენტაცია შემდეგი საკითხების დასადგენად: შეიცავს თუ არა სარეზერვო აკრედიტივის საქმე რაიმე დოკუმენტაციას აკრედიტივის მიხედვით გაცემული თანხების გადახდასთან ან ამ თანხების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა სარეზერვო აკრედიტივის საქმე ბენეფიციარის სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს, გადამხდელი მხარის მიერ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობას, ან ნაკისრ ვალდებულებებს; არის თუ არა საქმეში ბენეფიციარსა და გადამხდელ მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების ასლი.

• შემმოწმებელმა უნდა დაადგინოს, სრულდება თუ არა ბანკში შემდეგი საბუღალტრო პროცედურები, სახელდობრ:

• იმის გამო, რომ აკრედიტივები წარმოადგენენ მოსალოდნელ ვალდებულებას აკრედიტივის გამხსნელი ბანკისათვის, ისინი გაშიფრული არიან თუ არა ფინანსურ ანგარიშებში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. ამასთან, ბანკის ფინანსურ ანგარიშში უნდა აისახოს სარეზერვო აკრედიტივების ტიპები და მათი რაოდენობა. კომერციული აკრედიტივი და სარეზერვო აკრედიტივი უნდა აისახოს ბანკის ბალანსზე როგორც ვალდებულება. სარეზერვო აკრედიტივების უმრავლესობა არ აღირიცხება, როგორც ვალდებულებები, მაგრამ მათი არსებობა ასახული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშის შენიშვნებში.

◆ **საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის ვალდებულებათა შესწავლა მოიცავს სხვადასხვა პროცედურას. ესენია:**

• დოკუმენტაციის მიღება მენეჯმენტისგან:

• საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება;

• გარიგების მონაწილე მეორე მხარის დადგენა, ასევე, გარიგების თარიღი, ძირითადი თანხის ოდენობა და ყველა გაყიდვისა და ყიდვის ვალდებულებათა მიხედვით შეთანხმებული ფასები;

• ფასიანი ქაღალდების შეძენის ვალდებულებასთან დაკავშირებით შემმოწმებელმა უნდა

• განსაზღვროს აქვს თუ არა ბანკს საკმარისი სახსრები შეთანხმებით განსაზღვრული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესაძენად.

• ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე არსებული ვალდებულებებისათვის შემმოწმებელმა უნდა განსაზღვროს, გააჩნია თუ არა მენეჯმენტს პორტფელში ვალდებულებით განსაზღვრული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები;

• დაადგინოს მენეჯმენტის სტრატეგია საინვესტიციო ფასიანი ქაღადების ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებებთან დაკავშირებით.

• შემოწმების პროცედურები მოიცავს შიდა კონტროლის კითხვარის იმ ნაწილის გამოყენებას და სრულყოფას, რომელიც ეხება კონსიგნირებულ ანგარიშებსა და სხვა საბუღალტრო წიგნებში გაუტარებელ საკონტროლო ანგარიშებს;

• შიდა კონტროლის შეფასებაზე და შიდა/გარე აუდიტორების მიერ ჩატარებულ მუშაობაზე დაყრდნობით, შემოწმების მასშტაბის განსაზღვრა;

• შემოწმების დანარჩენი პროცედურების გათვალისწინებით, იმის შემოწმებას, თუ რამდენად არის დაცული საბანკო პრაქტიკა, პოლიტიკა, პროცედურები და შიდა კონტროლი; შიდა კონტ-

როლის შეფასებაზე პასუხისმგებელი ინსპექტორისგან შიდა/გარე აუდიტორის მიერ ნაკლოვანებების შესახებ შემუშავებული უახლესი ჩამონათვალის მოპოვება და იმის დადგენა, განხორციელდა თუ არა შესაბამისი კორექტირებები.

• კონსიგნირებულ ანგარიშებისა და სხვა საბუღალტრო წიგნებში გაუტარებელი საკონტროლო ანგარიშების სიის მოპოვება ბანკში;

• შიდა კონტროლის ანგარიშის შემოწმება მნიშვნელოვან გადახრათა აღმოჩენის და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით.

• მას შემდეგ, რაც დასრულდება გარესაბალანსო ოპერაციების შემოწმების პროცედურები, შემოწმების შედეგები განხილულ უნდა იქნეს მთავარ შემმოწმებელთან, აქტივების ხარისხის, აქტივების/ვალდებულების მართვის ლიკვიდობის შემმოწმებელთან და ბანკის უფროს მენეჯმენტთან. ეს განხილვა უნდა ეხებოდეს სუსტსა და ძლიერ მხარეებს და შემმოწმებლის მიერ რეკომენდირებულ ღონისძიებებს;

• აუცილებლობის შემთხვევაში, შემმოწმებელმა უნდა მოამზადოს კომენტარები „აქტივების ხარისხის ანლიზისათვის“ შემოწმების იმ შედეგებზე, რომლებიც სესხების გაცემაზე ვალდებულებებსა და სარეზერვო აკრედიტივებს ეხება, სახელდობრ:

• რამდენად ადეკვატურია წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები;

• არსებული პოლიტიკიდან, პრაქტიკიდან, პროცედურებიდან და კონტროლის წესებიდან გადახვევის შემთხვევები;

• ბანკის მიერ სესხების გაცემაზე ვალდებულებათა ვადის გასვლის მომენტის დადგენაში არსებული ნებისმიერი ხარვეზი;

• აქტივების ხარისხის შემმოწმებელს წარმოუდგინოს ნებისმიერი ნეგატიურად კლასიფიცირებული ვალდებულებანი სესხების გაცემაზე და სარეზერვო აკრედიტივები;

• შესაბამისი პირებისაგან წარედგინოს შემმოწმებელს კომენტარი აქტივების/ვალდებულებების მართვის – ლიკვიდობის

ასახებ, სესხების გაცემაზე ვალდებულებებისა და სარეზერვო კრედიტივის ვადების გრაფიკი და სახსრების გამოყოფის (ფონირების) ანალიზი;

• საჭიროების შემთხვევაში, შემმოწმებელმა უნდა მოამზადოს კომენტარები „აქტივების/პასივების მართვისა – ლიკვიდობის ანალიზის“ ანგარიშისათვის.

• შემოწმების იმ შედეგებისათვის, რომლებიც ეხება საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებებს:

• უნდა შეჯამდეს ყველა ვალდებულება საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე;

• დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ბანკის ვალდებულება ისეთი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე, რომლებიც ჯერ არ არიან ბანკის საინვესტიციო პორტფელში.

• საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოამზადოს კომენტარები შემოწმების იმ შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება აქტივების გაყიდვასა და სხვა გარესაბალანსო საქმიანობას, რისთვისაც შემმოწმებელმა უნდა:

• შეაჯამოს აქტივების გაყიდვის და გამოსყიდვის ყველა ფორმალური და არაფორმალური ვალდებულებანი;

• დეტალურად აღწეროს გარესაბალანსო ოპერაციების ის ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც შეიძლება პოტენციური ვალდებულების წარმოქმნის მიზეზი გახდეს.

• შემმოწმებელმა უნდა მიიღოს მენეჯმენტის დაპირებები აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების შესახებ და მოამზადოს ანგარიში მთავარი შემმოწმებლისთვის, ასევე, უნდა მოამზადოს მასალები თავისი დასკვნების დასასაბუთებლად და მომავალი შემოწმებებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად.

114. სალარო ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე (ფულადი დოკუმენტები), ძვირფასი ლითონები

ყველა ბანკს გააჩნია თანხების გარკვეული რაოდენობა ლარებში, ხოლო ზოგიერთს უცხოურ ვალუტაში. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არაშემოსავლიანი აქტივების ზედმეტი დაგროვება, ხოლო გაფლანგვის, დატაცებისა და ბანკის გაძარცვის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს, თითოეულმა ბანკმა უნდა შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სალაროს ნაშთების იმ მინიმალური დონით არსებობას, რომელიც აუცილებელია კლიენტების მომსახურებისთვის. ასეთი თანხების ოდენობა, კლიენტების სავარაუდო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ყველა ბანკში განსხვავებული იქნება, არაორდინარული მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი გამონაკლისების ფარგლებში. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ფულადი სახსრების გარკვეული მარაგი ამ უკანასკნელზე განსაკუთრებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ბანკებს გააჩნიათ დეპოზიტები სხვა ბანკებშიც, რაც აადვილებს თანხების გადარიცხვას და ყოველი ბანკის ძირითადი, არაინვესტირებული თანხების ნაწილს წარმოადგენს. ბანკებს შეუძლიათ გამოიყენონ საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთები საანგარიშსწორებო ოპერაციებისთვის, სინდიკატურ სესხებში ფონდების გადარიცხვისა თუ ბანკთაშორისი მომსახურების ანგარიშსწორების მიზნით. ფულად დოკუმენტებში შედის ჩეკები ან სხვა ინკასირებადი საფინანსო დოკუმენტები, რომელთა განაღდება მათი წარდგენისთანავე ხდება.

გარდა ზემოხსენებული ფულადი დოკუმენტებისა, ბანკების უმეტესობას გააჩნია სხვა ფონდებიც, რომლებშიც არარეგულარული ფულადი დოკუმენტების დამალვაა შესაძლებელი. ამგვარი დოკუმენტებია: ნებისმიერი სამსახურებრივი ბლანკი; გამოწერილი ჩეკები; სხვა ბანკების მიერ დაბრუნებული ჩეკები; დირექტორების, ოფიცრების, თანამშრომლებისა და მათ ინტერესებთან დაკავ-

შირებული ჩეკები; კონტროლირებადი საწარმოს ჩეკები, სადებეტო ბარათები, რომლებიც ადასტურებენ ვალუტის ან მონეტების გადატანას; ვადაგასული თამასუქები და ყველა მოძველებული და სებისმიერ სახის უჩვეულო დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს ოქტიურ გატარებებს, მაქინაციებს, მანიპულაციებს ან ამოუღებ ანგარიშებს. ამგვარი დოკუმენტები უნდა შემოწმდეს მათი განაღდების შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

ბანკს შეიძლება ჰქონდეს ოქროს ზოდები ან ძვირფასი ლითონები, რომლებიც აღებულია გაცემული სესხის სანაცვლოდ ან შესყიდულია ინვესტიციის სახით. ოქროს ზოდები ლიკვიდურია და ადვილია მისი საბაზრო ღირებულების დადგენა, მაშინ, როდესაც გაცილებით ძნელია ძვირფასეულობის ღირებულების დადგენა. შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ძვირფასი ლითონები სწორადაა აღრიცხული და სრულად არის გატარებული უსაფრთხოების ყველა აუცილებელი ღონისძიება ამ ძვირფასეულობის დასაცავად (იხ. ცხრ. 113).

სალარო შედგება ადგილობრივი (ლარი) ან უცხოური ვალუტისაგან (ამერიკული დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი). ბანკები, როგორც წესი, ცდილობენ, იქონიონ ნაღდი ფულის მინიმალური ოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება კლიენტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის და შემოსავლიანი აქტივების მაქსიმუმამდე გასაზრდელად.

სალაროს შემოწმების დღეს შემმოწმებელმა უნდა:

- სამუშაო დღის დასაწყისში (ბანკის გახსნამდე), სალაროში არსებული ნაშთებისათვის ან დღის ბოლოს, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის სალაროს ჟურნალში გატარების შემდეგ, მოიპოვოს მთავარი დავთრის მონაცემები სალაროს ანგარიშებზე, ასევე, დამატებითი ინფორმაცია სალაროს ქვეანგარიშებზე: წვრილი ფული, მოლარის ფული, სეიფის ფული, უცხოური ვალუტა – არსებული ნაშთებისათვის. უცხოურ ვალუტაში

დენომინირებული სალაროს ნაშთების გატარებისას, ბანკმა უცხოური ვალუტა უნდა აღრიცხოს როგორც ფაქტიური, ისე ლარებში მისი ექვივალენტური ღირებულების ოდენობით.

ცხრილი 11.3

სალაროს და ძვირფასი ლითონებით განხორციელებული ოპერაციების შემოწმების მიზნები

შემოწმების მიზნები:	
I	**სალარო**
I.ა	უნდა დადგინდეს, სწორად აღრიცხავს თუ არა ბანკი სალაროს ნაშთებს
II	**ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე:**
II.ა	უნდა დადგინდეს, სწორად არის თუ არა აღრიცხული საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული თანხები და ასახავს თუ არა ეს ჩანაწერები სხვა ბანკებში არსებულ დეპოზიტებსა და ფონდებს
II.ბ	საჭიროა უზრუნველყოფა იმისა, რომ ბანკის მენეჯმენტმა მოახდინოს იმ ბანკების კრედიტუნარიანობის შეფასება, რომლებშიც მას მოთხოვნამდე ანგარიში აქვს გახსნილი
III	**ფულადი დოკუმენტები:**
III.ა	საჭიროა განსაზღვრა იმისა, რამდენად ადეკვატურია ფულად დოკუმენტებზე შიდა კონტროლის სტრუქტურა
III.ბ	დასადგენია, აქვს თუ არა ბანკს ვადაგადაცილებული, ამოღებული თანხები ანგარიშზე
IV	**ოქროს ზოდები, ძვირფასი ლითონები და ა.შ.**
IV.ა	დასადგენია, აქვს თუ არა ბანკს ოქროს ზოდები ან ძვირფასი ლითონები
IV.ბ	დასადგენია, არსებობს თუ არა სათანადო კონტროლი ამ აქტივების უსაფრთხოებაზე
IV.გ	დასადგენია, სწორად არიან თუ არა ისინი შეფასებული საბალანსო უწყისში
V	**შემოწმების შედეგების შეჯამება**

- შედარებულ უნდა იქნეს შემმოწმებლის მიერ ქვეანგარიშებზე არსებული ნაშთების შესაბამისობა მთავარ დავთართან.
- მრავალფილიალიანი ბანკის შემთხვევაში, შვილობილი საწარმოების დავთრების ადგილზე შემოწმება და სალაროს დათვლა შეიძლება განხორციელდეს თავად ფილიალში, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად ძლიერია შიდა კონტროლის მექანიზმი.
- დაითვალოს სალაროში არსებული ფული. კომერციული ბანკის ის პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია სალაროზე, ყოველთვის უნდა ესწრებოდეს ფულის დათვლას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფულის ნებისმიერი შესაძლო არასწორი გამოყენება.
- შეამოწმოს, რომ ბანკს გააჩნდეს მინიმალური საწესდებო კაპიტალი, საბანკო ეკონომიკური ნორმატივების შესახებ დებულების თანახმად.
- შეამოწმოს, აქვს თუ არა ბანკს სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში.

საკორესპონდენტო ნაშთები წარმოადგენს სხვა ბანკებში, მათ შორის, ეროვნულ ბანკში, განთავსებულ სახსრებს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ვალუტაში. საკორესპონდენტო ნაშთები გამოიყენება ბანკებს შორის მათი კლიენტების სახელით თანხების გადასარიცხად, ან გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად. უცხოური ბანკების ("ნოსტრო") ანგარიშებზე არსებული საკორესპონდენტო ნაშთები არ განსხვავდება ადგილობრივ ბანკებში განთავსებული ნაშთებისაგან, მაგრამ ისინი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. როგორც სალაროს შემთხვევაში, ბანკი უნდა ეცადოს, რომ საკორესპონდენტო ანგარიშებზე შეინარჩუნოს თანხების მინიმალური ოდენობა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არაშემოსავლიანი აქტივების ოდენობა.

ბანკი უცხოურ ვალუტაში ანგარიშებს ისეთივე წესით მართავს, როგორც სალარე ანგარიშებს. ამასთან, ბანკს ემატება რომელიმე კონკრეტულ ვალუტაში გრძელი, ან მოკლე პოზიციის რისკი. ამან შეიძლება ზარალი გამოიწვიოს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ამ კონკრეტული ვალუტის მნიშვნელოვანი აფასება ან ჩამოფასება, ან ბანკი იძულებული იქნება იყიდოს ან ისესხოს მოცემული ვალუტა უფრო მაღალი კურსით.

საკორესპონდენტო ანგარიშების ნაშთების შემოწმება მოიცავს სხვადასხვა პროცედურას. ესენია:

- ბანკის ყველა საკორესპონდენტო ანგარიშიდან ბოლო ანგარიშგების მოპოვება;
- თითოეულ ანგარიშზე მოძრაობის განხილვა და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ოვერდრაფტების ჭარბ ოდენობაზე (რომლებზეც ბანკმა პროცენტი და ჯარიმები უნდა გადაიხადოს) ან ნებისმიერ მოძველებულ (ვადაგადაცილებულ) მუხლს. სალარე ანგარიშებზე არსებული ნაშთების შემოწმების მიზნით, შედარებულ უნდა იქნეს ცალკეულ ანგარიშებსა და მთავარ დავთარში არსებული ნაშთები და განხილული ყველა ვადაგადაცილებული მუხლის გატარება (ჩვეულებისამებრ, იმ მუხლების, რომელთა ვადაგადაცილება 90 დღეს აღემატება). იგივე პროცედურა უნდა განმეორდეს უცხოური („ნოსტრო“) ანგარიშების ნაშთებთან მიმართებაშიც. ამასთან, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალუტა უნდა აღირიცხოს ადგილობრივ ვალუტაში ეკვივალენტით, იმ დღის სავალუტო კურსით, რომელ დღესაც ანგარიშების შედარება მოხდება, რათა გარანტირებულ იქნეს ბანკის მიერ უცხოური ვალუტის ანგარიშების სწორი აღრიცხვა.

ფულადი დოკუმენტები წარმოადგენენ ფულის მსგავს დოკუმენტებს და შეიძლება მოიცავდნენ: ჩეკებს, თამასუქებს ან სადეპოზიტო სერტიფიკატებს. ფულად დოკუმენტებში შეიძლება იგულისხმებოდეს სამგზავრო ჩეკები, რომლებიც ჯერ არ წარუდგენიათ გასანაღდებლად, ან საბანკო ტრატები (ანგარიშები), როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო, რომელთა განაღდების ვადა ჯერ არ დამდგარა.

ფულადი დოკუმენტების შემოწმების პროცედურა ითვალისწინებს:

- ფულადი დოკუმენტების დეტალური ჩამონათვალის მოპოვებას;
- ამ ჩამონათვალის მთავარი დავთრის ნაშთებთან შედარებას;
- ამ ჩამონათვალის შემოწმებას ვადაგადაცილებულ ან საეჭვო მუხლების არსებობაზე.

ოქროს ზოდები და სხვა ძვირფასი ლითონები (ოქრო, ვერცხლი) წარმოადგენს სტანდარტული ან არასტანდარტული სისუფთავის მქონე ლითონებს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ზოდის, ოქროს სხმულის, თვითნაბადი ოქროს ან სხვა ფორმა. ამ ძვირფასი ლითონების, ჩვეულებისამებრ, ზოდის ფორმის, ღირებულება განისაზღვრება წონითა და სისუფთავით. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ძვირფასი ლითონები შეიძლება წარმოდგენილ იყოს მონეტების სახით.

ოქროს ზოდების, ძვირფასი ლითონების და ა.შ. შემოწმების პროცედურები ასახავს:

- თუ ბანკს გააჩნია ძვირფასი ლითონები, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოწმდეს, მიღებულია თუ არა უსაფრთხოების სათანადო ზომები. ვინაიდან ძალზე ადვილია ამ ლითონების გაყიდვა ნებისმიერ შავ ან სხვა ბაზარზე, ამიტომ ამ აქტივების კონტროლი ძალზე მნიშვნელოვანია;
- შემოწმებას, აქვს თუ არა ბანკს შეფასების სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს ძვირფასი ლითონების წონასა და სინჯს;
- ბანკის მიერ ძვირფასი ლითონების საკუთარ საბალანსო უწყისში სწორად ასახვის მდგომარეობის შემოწმებას.
- ძვირფასეულობის (საიუველირო ნაწარმის) შემთხვევაში, ბანკმა უნდა ჩაატაროს დამოუკიდებელი შეფასება და მხოლოდ

ამის შემდეგ ადრიცხოს მისი ღირებულება. ვინაიდან მსოფლიოს ცნობილ ბაზრებზე საიუველირო ნაწარმით ვაჭრობა არც თუ ისე აქტიურია, ამიტომ ბანკმა უნდა ასახოს მხოლოდ მათი შეფასების დროს დადგენილი ღირებულება და არ უნდა გაითვალისწინოს ბაზრის ფასების ცვალებადობა.

XII თავი

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება და საბანკო აქცეპტები

შინაარსი:

12.1. საერთაშორისო კრედიტებით დაფინანსების მიზნები;
12.2. დისკონტირებული და უცხოეთიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ გამოწერილი სავაჭრო აქცეპტები;
12.3. ფაქტორინგი და ფორფეიტინგი;
12.4. უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების შემოწმების პროცედურები და შედეგები.

ძირითადი ელემენტები:

1. ღია ანგარიშების დაფინანსება;
2. გაყიდვა კონსიგნაციის წესით;
3. უცხოეთიდან მისაღებ თანხებზე გაცემული ავანსები;
4. უცხოეთიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ გამოწერილი საბანკო აქცეპტები;
5. სადავო საკითხები და საქონლის დაბრუნება.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 12.1. უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსება, საბანკო აქცეპტები, აკრედიტივები და გაცემული გარანტიები.

ამის შემდეგ აღრიცხოს მისი ღირებულება. ვინაიდან მსოფლიოს ცნობილ ბაზრებზე საიუველირო ნაწარმით ვაჭრობა არც თუ ისე აქტიურია, ამიტომ ბანკმა უნდა ასახოს მხოლოდ მათი შეფასების დროს დადგენილი ღირებულება და არ უნდა გაითვალისწინოს ბაზრის ფასების ცვალებადობა.

XII თავი

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება და საბანკო აქცეპტები

შინაარსი:

12.1. საერთაშორისო კრედიტებით დაფინანსების მიზნები;
12.2. დისკონტირებული და უცხოეთიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ გამოწერილი სავაჭრო აქცეპტები;
12.3. ფაქტორინგი და ფორფეიტინგი;
12.4. უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების შემოწმების პროცედურები და შედეგები.

ძირითადი ელემენტები:

1. ღია ანგარიშების დაფინანსება;
2. გაყიდვა კონსიგნაციის წესით;
3. უცხოეთიდან მისაღებ თანხებზე გაცემული ავანსები;
4. უცხოეთიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ გამოწერილი საბანკო აქცეპტები;
5. სადაზღ საკითხები და საქონლის დაბრუნება.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 12.1. უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსება, საბანკო აქცეპტები, აკრედიტივები და გაცემული გარანტიები.

12.1. საერთაშორისო კრედიტებით დაფინანსების მიზნები

სესხების გაცემა ხდება ბანკის საერთაშორისო განყოფილების მიერ უშუალოდ ან სახელმწიფო ორგანიზაციების საშუალებით იმპორტიორებსა და ექსპორტიორებზე, უცხოურ კომპანიებზე, ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე, უცხოურ ბანკებსა და უცხო ქვეყნების მთავრობებზე. ამგვარი დაკრედიტების პირობები სრულად შეესაბამება დაფინანსების მიზანს. კომერციული საწარმოებისთვის საბრუნაო კაპიტალის სახით გაცემული მოკლევადიანი კრედიტები, ძირითადად, გამოიყენება ვაჭრობიდან გამომდინარე სასაქონლო მარაგებისა და დებიტორული დავალიანების დასაფინანსებლად. ასეთ შემთხვევებში, გირაოს სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დებიტორული დავალიანების გარანტიები, სასაწყობო ქვითრები და საკუთრების უფლება საქონლისა და ნედლეულის მარაგებზე. ამასთან, ზოგიერთი ქვეყანა იურიდიულად არ აღიარებს გირაოს ამგვარ ფორმას; აქედან გამომდინარე, ბანკმა დაწვრილებით უნდა შეისწავლოს ადგილობრივი კანონმდებლობები, ნორმატიული აქტები და არსებული პრაქტიკა. უცხოურ ბანკებზე გაცემული სესხები, როგორც წესი, მოკლევადიანი და არაუზრუნველყოფილია.

საშუალოვადიანი (ერთიდან ხუთ წლამდე) სესხები, ძირითადად, წარმოადგენს კაპიტალური საქონლის დაფინანსების, საქონლის გადაზიდვებისა და სხვადასხვა სპეციალური მიზნით გაცემულ კრედიტებს. გრძელვადიანი სესხები, რომლებიც ხუთ წელს აღემატება, ძირითადად, გამოიყენება ტრანსნაციონალური კორპორაციების, უცხო ქვეყნების მთავრობებისა და სახელმწიფო საწარმოების დიდი პროექტების დასაფინანსებლად. თუ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის, მთავრობა გასცემს კერძო გარანტიებს გრძელვადიან კრედიტებზე.

საერთაშორისო სესხების განყოფილება დაფინანსებისას იყენებს იგივე მეთოდებს, რასაც ადგილობრივი სესხების განყოფილება. საერთაშორისო სესხების განყოფილების მიერ გაცემული

კრედიტები შეიძლება იყოს პირდაპირი ან დისკონტური. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ბანკი იტოვებს უბრალო თამასუქს ან სხვა ისეთ ინსტრუმენტს, რომელიც დავალიანებას ადასტურებს. საერთაშორისო დაფინანსების სხვა სახეობები, რომლებიც სესხად შეიძლება იქნან განხილული, მოიცავენ შეძენილ (დისკონტურ) საკუთარ აქცეპტებს, შეძენილ სხვა საბანკო აქცეპტებს და დისკონტურ სავაჭრო აქცეპტებს.

საერთაშორისო სესხებზე იგივე საკრედიტო რისკი მოქმედებს, რაც ადგილობრივ სესხებზე. ამას ემატება ქვეყნის რისკი, რომელიც იმ უმთავრეს დამატებით კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო სესხს ადგილობრივისგან განასხვავებს. ქვეყნის რისკი, როგორც წესი, მოიცავს რისკების მთელ სპექტრს, რომელიც უცხო ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობებითაა განპირობებული, აგრეთვე იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელმაც შეიძლება დადებითი ან უარყოფითი გავლენა იქონიოს უცხო მსესხებლის მიერ ვალის დაფარვაზე. განსაკუთრებით, ეს ეხება იმ რისკს, რომელიც მსესხებლის მიერ ვალის დასაფარად საკმარისი ოდენობის უცხოური ვალუტის მიღების უნარს უკავშირდება (ე.წ. ტრანსფერტის რისკი). ვალდებულების მქონე პირს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ვალის დაფარვის ფინანსური საშუალება ადგილობრივ ვალუტაში, მაგრამ ნაციონალიზაციამ, ექსპროპრიაციამ, სახელმწიფოს მიერ საგარეო ვალებზე უარის თქმამ, ვალუტაზე კონტროლის დაწესებამ და ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება შეაფერხოს კრედიტორისთვის ვალების დაბრუნების პროცესი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფო უარს აცხადებს სახელმწიფოს საგარეო ვალების გადახდაზე, ამას შეიძლება არ მოჰყვეს არადაბრუნებადი კრედიტების გაცემა; ამასთან, სესხების დროულად დაუბრუნებლობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კრედიტორი ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ცხრილი 12.1.

უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსება, საბანკო აქცეპტები, აკრედიტივები და გაცემული გარანტიები.

საერთაშორისო სესხები / გაჭრობის დაფინანსების შემოწმების მიზნები	
I.	ბანკის საერთაშორისო საკრედიტო პოლიტიკის ადეკვატურობისა და შესაბამისობის შეფასება და დადგენა
II.	ბანკის შესაბამისობა საერთაშორისო საბანკო წესებსა და ნორმატიულ აქტებთან
III.	უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსება
	გააჩნია თუ არა ბანკს საკმარისი დოკმენტაცია არსებული დებიტორული დავალიანებების ღირებულების დასადგენად
	ღებულობს თუ არა ბანკი უსაფრთხოების ქველა ზომას არსებული დებიტორული დავალიანებების ავთენტურობისა და ამოღებადობის უზრუნველსაყოფად
IV.	საბანკო აქცეპტები
	პორტფელის შეფასება დოკუმენტაციისა და გირაოს საკმარისობის, კრედიტების ხარისხისა და ამოღებადობის დადგენის მიზნით
V.	აკრედიტივები
	აწარმოებს თუ არა ბანკი აკრედიტივებით გაცემული სესხების შესახებ დოკუმენტაციის კონტროლს
	შესრულებული და შეუსრულებელი აკრედიტივების პორტფელის შეფასება გირაოს საკმარისობისა და ამოღებადობის დადგენის მიზნით
VI	გაცემული გარანტიები
	სწორად აღრიცხავს თუ არა ბანკი ქველა გაცემულ გარანტიას, მაგალითად, აღრიცხავს თუ არა ვალდებულებებს ბანკის საბუღალტრო ჟურნალში
	დაზუსტებულია თუ არა გარანტიებთან დაკავშირებული მაქსიმალური ვალდებულებები
	გამაგრებულია თუ არა სავალო ვალდებულებებზე გაცემული გარანტიები იმპორტიორის მიერ გაცემული კონტრ-გარანტიებით
	შემოწმების შედეგების შეჯამება

უნდა მომზადდეს შემდეგი საკითხები აქტივების ხარისხზე პასუხისმგებელი ინსპექტორისათვის:

– ყველა კლასიფიცირებული საერთაშორისო კრედიტის ჩამონათვალი;

– საკრედიტო ფაილის დოკუმენტაციის მოთხოვნებიდან დაშვებული ყველა გამონაკლისის ჩამონათვალი.

– პასუხისმგებელმა ინსპექტორმა ბანკში აუდიტის შემმოწმებელ ინსპექტორს გადასცეს მასალები შიდა კონტროლისა და აუდიტის კუთხით გამოვლენილი სისუსტეებისა და ხარვეზების შესახებ, დასკვნის შესაბამის თავში გათვალისწინების მიზნით.

– „აქტივების ხარისხის ანალიზის“ თავში ჩართვის მიზნით მომზადდეს შემდეგი შენიშვნები:

• საერთაშორისო სესხების ფუნქციის შემოწმების მასშტაბი;

• საერთაშორისო სესხების შესახებ შიდა პოლიტიკის, პრაქტიკის, პროცედურების და კონტროლის ხარისხი და მათი ცვლა ყოველდღიურ საქმიანობაში;

• საერთაშორისო სესხების პორტფელის ხარისხი. შემმოწმებელმა საერთაშორისო აქტივების ხარისხი უნდა შეაფასოს შემდეგი ტერმინების გამოყენებით:

• სტანდარტული
• საყურადღებო
• არასტანდარტული
• საეჭვო
• უიმედო

– შემოწმდეს მენეჯმენტის კომპეტენტურობა და ადეკვატურობა საერთაშორისო სესხების კუთხით

– შემმოწმებლის მიერ დადგინდეს არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები

– შემმოწმებლის მიერ მიეცეს ბანკს რეკომენდაციები/მოთხოვნები არსებული ხარვეზების გამოსწორებისა და ეფექტური საკრედიტო პრაქტიკის გაგრძელების თაობაზე

– განხილულ იქნეს არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით მენეჯმენტის მიერ გადადგმული ნაბიჯები

– აქტივებზე პასუხისმგებელ ინსპექტორს გადაეცეს დასკვნა განსახილველად

– მომზადდეს დოკუმენტაცია მომავალი შემოწმებებისათვის.

საერთაშორისო განყოფილების მიერ კომერციული დაკრედიტების ერთერთ სპეციფიკურ სფეროს წარმოადგენს უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსება, რომელიც გულისხმობს ღია ანგარიშების დაფინანსებას, საქონლის გაყიდვას კონსიგნაციის წესით, ავანსების გაცემას მისაღები თანხების სანაცვლოდ, საბანკო აქცეპტებს, ფაქტორინგულ და ფორფეიტინგულ ოპერაციებს.

ქვემოთ წარმოდგენილია დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ყველაზე ტიპიური მეთოდები:

ღია ანგარიშების დაფინანსება

უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ყველაზე მარტივი მეთოდია **ღია ანგარიში**. ამგვარი მეთოდით ვაჭრობისას მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან, რომ ანგარიშსწორება მოხდება კონკრეტულ დღეს, ყოველგვარი გადასაყვანი ფულად-საკრედიტო დოკუმენტის გარეშე, როგორიცაა მაგალითად, ვალდებულების დამადასტურებელი გადასაყვანი თამასუქი ან აქცეპტი. უმეტეს შემთხვევაში, საქონლის ზედდებული დოკუმენტაცია ეგზავნება უშუალოდ მყიდველს, ბანკის ჩარევის გარეშე. იმპორტიორმა შეიძლება მოსთხოვოს მყიდველს თანხის იმ ბანკში გადარიცხვა, რომელშიც მას ანგარიში აქვს გახსნილი. ღია ანგარიშით ვაჭრობის უპირატესობაა მისი სიმარტივე და ბანკის საკომისიო გადასახადების არარსებობა, რომელსაც მრავალი ქვეყანა იყენებს გადასაყვან თამასუქებთან დაკავშირებით. ამასთან, ღია ანგარიშით ვაჭრობის დაფინანსება კონკრეტულ რისკებთან არის დაკავშირებული. კრედიტორი ბანკი და ექსპორტიორი ვერ აკონტროლებენ დოკუმენტებს, რის გამოც მყიდველი (იმპორტიორი) შეიძლება ბანკის ან ექსპორტიორის ნებართვის გარეშე დაეუფლოს საქონელს. გარდა ამისა, თუ იმპორტიორი არ მოახდენს საქონლის რეგისტრაციას სათანადოდ უფლებამოსილ უწყებაში, მაშინ ლარი ან სხვა ვალუტა შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ანგარიშსწორების მომენტში. ღია ანგარიშებით ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებულ უდიდს რისკს, ალბათ, წარმოადგენს ვაჭრობის დაფინანსების სტანდარტული დოკუმენტაციის არარსებობა, რომლის საფუძველზეც, დეფოლტის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სარჩელის აღძვრა იმპორტიორის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ღია ანგარიშით ვაჭრობა ყველაზე ხელსაყრელია მაშინ, როდესაც მყიდველი (იმპორტიორი) არის დაკავშირებული მხარის შვილობილი საწარმო ან გამყიდველი კარგად იცნობს მას და როდესაც იმპორტიორი ქვეყანა ფინანსურად ძლიერია, პოლიტიკურად და სოციალურად სტაბილური და არ განიცდის უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

გაყიდვა კონსიგნაციის წესით

კონსიგნაციის ხელშეკრულების თანახმად, საქონელი საზღვარგარეთ ეგზავნება იმპორტიორს (კონსიგნატორს) ხოლო ექსპორტიორი (კომიტენტი) იტოვებს მასზე საკუთრების უფლებას მესამე მხარისთვის მიყიდვამდე. ამასთან, თუ საქონელი არ ეგზავნება ექსპორტიორის საზღვარგარეთ არსებულ ფილიალს ან შვილობილ საწარმოს, მაშინ არსებობს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის საფრთხე. ისევე, როგორც ღია ანგარიშით ვაჭრობისას, ამ შემთხვევაშიც არსებობს ვაჭრობის დაფინანსების სტანდარტული დოკუმენტაციის ნაკლებობა, რომლის საფუძველზეც, კონსიგნატორის გაკოტრების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სარჩელის აღძვრა. ექსპორტიორს კარგად უნდა ესმოდეს საკრედიტო რისკების პრობლემა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქონელი ეგზავნება აგენტს, წარმომადგენელს ან საიმპორტო სახლს. თავისუფალი პორტებისა და თავისუფალი სავაჭრო ზონების მქონე ქვეყნებში კონსიგნირებული საქონლის შენახვა შესაძლებელია საბაჟო საწყობების კონტროლის ქვეშ, უცხოური ბანკის ან ბანკის ფილიალის სახელით. კონსიგნირებული საქონლის გაყიდვის დროს შეიძლება მისი საწყობიდან გაშვება.

გაყიდვის პროცესის დასრულების შემდგომ ხდება საქონლის გაგზავნა. ამასთან, ამ ტიპის კონსიგნაცია არ უნდა განხორციელდეს და არც იქნება მიღებული მრავალი უცხოური ბანკის მიერ მანამ, სანამ არ მოხდება ყველა შესაბამისი პირობის, წესისა და სასაწყობო მეურნეობის შემოწმება. გარდა ამისა, ექსპორტიორის ბანკმა უნდა დაადასტუროს, რომ გაუყიდავი საქონელი შეიძლება დაუბრუნდეს წარმოშობის ქვეყანას. ბანკის მიერ დაფინანსებული კონსიგნაციური ვაჭრობა უნდა შეიზღუდოს იმ ქვეყნებთან, რომელთაც არა აქვთ დაწესებული მკაცრი შეზღუდვები ვალუტის კონვერტაციაზე და რომელთაც საკმარისი უცხოური ვალუტა აქვთ იმპორტის დასაფინანსებლად.

ღია ანგარიშებით ან კონსიგნაციით ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით ექსპორტიორები ხშირად აგზავნიან საქონელს საბუთების მიღებამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონლის გაგზავნის დაფინანსება ხდება ექსპორტიორის მიერ, ვადიანი თამასუქის შემთხვევაში და ექსპორტიორისა და იმპორტიორის მიერ ერთად, წარმომდგენზე თამასუქის შემთხვევაში. ექსპორტიორსა და იმპორტიორს შეიძლება ჰქონდეთ გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები საკუთარ ბანკებში და შეეძლოთ საჭირო თანხების სესხად აღება ზემოხსენებული დაფინანსების საავაჭრო ოპერაციასთან ყოველგვარი დაკავშირების გარეშე. მიუხედავად ამისა, ხშირად ექსპორტიორებისა და იმპორტიორების საკრედიტო ხაზები მთლიანად ხმარდება სხვა ოპერაციების დაფინანსებას. შესაბამისად, მათ შეიძლება თხოვონ საკუთარ ბანკებს, გასცენ ავანსები: ინკასოს უზრუნველყოფით, საავაჭრო/საბანკო აქცეპტების დისკონტირებით, ფაქტორინგით ან ფორფეიტინგით.

უცხოეთიდან მისაღებ თანხებზე გაცემული ავანსები

მეწარმე ან გამყიდველი, რომელიც ქვეყნის შიგნით ეწევა საქმიანობას, ხშირად ღებულობს სესხს ბანკიდან, საფინანსო დაწესებულებიდან, საავაჭრო აგენტისგან (ფაქტორისგან) ან ფორფაიტერისაგან, რომლებიც დებიტორული დავალიანებებით არიან უზრუნ-

ველყოფილი. უცხოური დებიტორული დავალიანებების შემთხვევაში ექსპორტიორებს საშუალება აქვთ გამოიყენონ დაფინანსების ანალოგიური საშუალებები.

უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ზოგადი მეთოდი გულისხმობს ექსპორტიორის მიერ მათ დაგირავებას საკუთარ ბანკში. თუ უცხოეთიდან მისაღები თანხების დასაფინანსებლად გამოიყენება არა გადასაყვანი თამასუქები, არამედ მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, მათი განაღდება, ჩვეულებრივ, ძირითხოვნისთანავე ხდება, რაც საშუალებას აძლევს ექსპორტიორს, შეამციროს ან გაზარდოს სესხი საჭიროების და მისაღები თანხების არსებული მოცულობიდან გამომდინარე. სასურველია, რომ ექსპორტიორის ბანკში შეტანილი ყველა ამოღებული თანხა ბანკშივე დაგირავდეს. როდესაც ხდება კონკრეტული ოდენობის თანხის გადახდა, უცხოური ინკასატორი ბანკი გადაგზავნის ამ თანხას ავანსის გამცემ ადგილობრივ ბანკში, რომელიც მიღებულ ამონაგებს ექსპორტიორის სესხის შესამცირებლად იყენებს.

ზოგიერთ ექსპორტიორს არ სჭირდება მუდმივი დაფინანსება, მაგრამ ხანდახან შეიძლება უცხოეთიდან მისაღები, მხოლოდ ერთი დიდი მოცულობის თანხის დაფინანსების სურვილი გაუჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, ბანკმა შეიძლება გასცეს თანხა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ ამ მისაღები თანხის ოდენობით. ამასთან, ბანკი განსაზღვრავს გასაცემი სესხის ოდენობას, როგორც გადამყვანი თამასუქის მაქსიმალურ პროცენტს. როდესაც კლიენტს უფარავენ დებიტორულ დავალიანებას, ბანკი ამონაგების ნაწილს იყენებს სესხის დასაფარად, ხოლო დარჩენილ ნაწილს ექსპორტიორს უბრუნებს. ბანკის მიერ ავანსის გაცემა ექსპორტიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ საერთაშორისო ვაჭრობის მიღებულ ფორმას წარმოადგენს და არ ითვლება ფაქტორინგად.

გარდა იმისა, რომ ბანკი უზრუნველყოფის სახით იღებს საკუთრების უფლებას ექსპორტიორის მისაღებ თანხებზე, იგი ყოველთვის იტოვებს რეგრესის უფლებას ექსპორტიორზე, რომლის

საკრედიტო რეპუტაციასა და სტაბილურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ფაქტორებსაც. თუ უცხოელი იმპორტიორები არიან ძირითადი საწარმოები, რომელთა რეპუტაცია და ფინანსური სტაბილურობა არანაირ ეჭვს არ იწვევს, მაშინ ბანკმა შესაძლოა გაზარდოს გასაცემი თანხის ლიმიტი. ბანკმა შეიძლება, ასევე, გაზარდოს იმპორტიორებზე გასაცემი ავანსის ოდენობა იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც სწრაფად ფარავენ მათზე გამოწერილ თამასუქებს. ბანკმა შეიძლება შეამციროს ავანსად გასაცემი თანხების ლიმიტი იმ ქვეყნებისთვის, რომელთა იმპორტიორებიც, სუსტი ფინანსური მდგომარეობის ან ლარის ან სხვა უცხოური ვალუტის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, შედარებით დაგვიანებით იხდიან თანხებს. ასეთ შემთხვევაში, ბანკის სესხის ლიმიტი განისაზღვრება როგორც მისაღები თანხების უფრო ნაკლები პროცენტი. ბანკმა შეიძლება საერთოდ არ დააფინანსოს ტრადიციულად გვიან გადამხდელი იმპორტიორები ან ქვეყნები.

როდესაც ბანკი გასცემს ავანსს უცხოეთიდან მისაღები თანხების უზრუნველყოფის ქვეშ, მან დაწვრილებით უნდა შეისწავლოს საქონელთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ვინაიდან ბანკს სურს კონტროლის შენარჩუნება საქონელზე, ზედდებულის (კონოსამენტის) მიხედვით საქონლის გაცემა უნდა ხდებოდეს ან გამგზავნი ორგანიზაციის „შეკვეთით", რომლის ფორმაც დადასტურებულ უნდა იქნას, ან ბანკის შეკვეთით. ზედდებული არ უნდა გადაეცეს მყიდველს (იმპორტორს), რადგან ეს მას საქონლის გაკონტროლების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, საქონლის გაგზავნა შესაბამისად უნდა იყოს დაზღვეული.

12.2. დისკონტირებული და უცხოეთიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ გამოწერილი სავაჭრო აქცეპტები

საერთაშორისო საბანკო აქცეპტები საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს საბანკო აქცეპტის გამოყენება. ასეთი ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს

საგაჭრო ქსელში საქონლის გადაადგილების ყოველი მომდევნო ეტაპის დასაფინანსებლად, მისი წარმოების ადგილიდან საბოლოო დანიშნულების ადგილამდე.

საბანკო აქცეპტი არის დავალება, რომელსაც აქვს ვადიანი თამასუქის სახე. იგი შემუშავდება ერთი მხარის (ტრასანტის) მიერ საკუთარი თავის ან მეორე მხარის (თანხის მიმღები) სასარგებლოდ. თამასუქი გამოიწერება კონკრეტულ ბანკზე, რომელიც ახდენს მის აქცეპტირებას. ბანკი აქცეპტორი იღებს ვალდებულებას აღნიშნული თანხა გადაუხადოს ტრატის მფლობელს განსაზღვრული თარიღისათვის ან მის დადგომამდე. აქცეპტირებისას, ბანკი სვამს ბეჭედს დოკუმენტის პირველ ფურცელზე, რომელზეც წერია – „აქცეპტირებულია", ანუ მიღებულია და იქვე მიუთითებს აქცეპტირების თარიღს. ამის შემდეგ ეს დოკუმენტი წარმოადგენს ბანკის უპირობო ვალდებულებას განსაზღვრულ დღეს მოცემული თანხის გადახდაზე. ამ ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, ძირითად ვალდებულებას თავის თავზე იღებს ტრასატი ბანკი, ხოლო მეორად ვალდებულებას - თანხის მიმღები მხარე, რომელმაც მოახდინა თამასუქის პირველადი ინდოსირება. თუ იმპორტიორი არ არის საბანკო დაწესებულება, აქცეპტი მიიჩნევა არა საბანკო, არამედ სავაჭრო აქცეპტად. საბანკო აქცეპტი ხშირად გამოიყენება სავაჭრო ოპერაციების დასაფინანსებლად. აქცეპტის გამოწერა დაკავშირებულია აკრედიტივებთან, თუმცა ისინი შეიძლება გამოიწერონ განაღდების ან ღია ანგარიშებით ოპერაციების შემთხვევაშიც. როგორც წესი, აქცეპტის მიხედვით გაცემულ კრედიტს ახასიათებს თვითლიკვიდაცია, რადგან ის თავად უზრუნველყოფს ვადაზე განაღდების წყაროს. აქედან გამომდინარე, აქცეპტი დაკავშირებული უნდა იყოს ისეთ სავაჭრო ოპერაციასთან, რომლის დროსაც ხდება საქონლის ტრანსპორტირება, მის სავაჭრო ქსელში მოხვედრამდე. მიზანშეწონილია ისეთი დოკუმენტების არსებობა რომლის თანახმადაც აქცეპტი ეფუძნება საქონლის რეალურ გადაზიდვას/შენახვას და აქცეპტის ვადის დადგომისას საქონლის რეალიზაციის

შედეგად მიღებული შემოსავლები გამოყენებულ იქნება აქცეპტზე დავალიანების დასაფარავად. აქცეპტის მიხედვით გადასახდელი თანხების მიმღებმა შეიძლება შეინარჩუნოს აქცეპტი მისი ვადის დადგომამდე ან მიჰყიდოს ის ფასდაკლებით (დისკონტით) თავის ბანკს, ან გაყიდოს აქცეპტების ბაზარზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი ფასდაკლებით იძენს საკუთარ აქცეპტებს (ახდენს აქცეპტის დისკონტირებას), ის ამცირებს როგორც თავისი კლიენტის ვალდებულებებს (აქტივების მხარეს) აქცეპტების მიხედვით, ისე საკუთარ ვალდებულებას (პასივების მხარეს) აქცეპტების მიხედვით, რის შემდეგაც დისკონტირებული აქცეპტები აღირიცხება სხვა სესხებთან ერთად. ამის შემდეგ, თუ ბანკი გაყიდის აქცეპტს აქცეპტების ბაზარზე, იგი აღირიცხება, როგორც ბანკის კლიენტისა და თავად ბანკის ვალდებულება აქცეპტის მიხედვით, ხოლო სესხების ანგარიში შესაბამისად შემცირდება. ხელმეორედ დისკონტირებული აქცეპტები არ მიიჩნევა სესხის აღებად. კლიენტის ვალდებულებანი აქცეპტის მიხედვით მცირდება კლიენტისგან შემოსული, წინასწარ გადახდილი თანხებით.

უცხოელი მყიდველის მიერ მიღებული თამასუქი წარმოადგენს სავაჭრო აქცეპტს, რომლის გადახდის სრული პასუხისმგებლობა იმპორტიორს ეკისრება. ამგვარ სავაჭრო **აქცეპტს** ხშირად უწოდებენ **„სავაჭრო თამასუქს“**. აქცეპტი უბრუნდება ექსპორტიორს და მისი სრული საკუთრება ხდება, რის შემდეგაც ექსპორტიორი თხოვს თანხების ამომღებ ბანკს, წარუდგინოს იგი აქცეპტანტს გადახდის ვადის დადგომისთანავე. აქედან გამომდინარე, ექსპორტიორი გასცემს დაფინანსებას ან „ატარებს“ საკუთარ დებიტორულ დავალიანებებს. ამასთან, თუ ექსპოტიორს სჭირდება თანხები სავაჭრო აქცეპტის ვადის დადგომამდე, მან შეიძლება თხოვნით მიმართოს ბანკს თამასუქის „დისკონტით“ შეძენის თაობაზე, რეგრესის უფლებით ან მის გარეშე. თუ ძირითადი ვალდებულების ამღები (აქცეპტანტი) საყოველთაოდ ცნობილი, კარგი ფინანსური მდგომარეობის მქონე კომპანიაა, ბანკმა შეიძლება მოახდინოს თამასუქის დისკონტირება ექსპორტიორის

სიტის რეგრესის უფლების გარეშე. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც კრედიტორი ბანკი იძენს ექსპორტიორის აქცეპტებს რეგრესის უფლებით, რათა დაიზღვიოს თავი იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტი ვერ მოახერხებს დადგენილი თანხის ვადაზე გადახდას.

სავაჭრო აქცეპტის ფასდაკლებით (დისკონტით) შეძენის შემთხვევაში, ბანკი ექსპორტიორს უხდის თანხას, რომელიც უდრის თამასუქის ნომინალურ ღირებულებას მინუს დისკონტირების თანხა ვადის დადგომამდე. ასეთ შემთხვევაში, ბანკი „ყიდულობს“ სავაჭრო აქცეპტს და უფლებამოსილია მისგან მიღებულ ნებისმიერ სარგებელზე, მისი უშუალო აქცეპტანტისგან, როგორც, თავის დროზე, ამ საბრუნავი ფულად-საკრედიტო დოკუმენტის მფლობელისგან.

უცხოეთიდან მისაღები თანხების სანაცვლოდ გამოწერილი საბანკო აქცეპტები

სახსრების ნაკლებობის შემთხვევაში, ბანკებს შეუძლიათ მისაღები უცხოური თანხების დაფინანსება საბანკო აქცეპტების გამოყენებით. საბანკო აქცეპტები შემდგომში იქნება განხილული, ხოლო ამ ნაწილში მოცემული კომენტარები მხოლოდ უცხოური მისაღები თანხების დაფინანსებას ეხება. აქცეპტების დაფინანსების ყველა სხვა შემთხვევის მსგავსად, ექსპორტიორი, პირველ რიგში, საკუთარ ბანკს წარუდგენს ხელმოწერილ სააქცეპტო ხელშეკრულებას. უცხოურ დებიტორულ დავალიანებებზე სააქცეპტო დაფინანსების მისაღებად ექსპორტიორი გამოწერს ორ თამასუქს. აქედან, პირველი წარმოადგენს უცხოელ მყიდველზე (იმპორტიორზე) გამოწერილ ვადიან თამასუქს, რომელიც, ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად, ჩვეულებრივი წესით ეგზავნება იმპორტიორს მათი ამოღების უზრუნველყოფის მიზნით. მეორე, უფრო ნაკლები ან იგივე ოდენობის თამასუქი, რომელზეც ბანკი და ექსპორტიორი თანხმდებიან, გამოიწერება ამ უკანასკნელის მიერ საკუთარ ბანკზე და იგივე ვადები გააჩნია, როგორიც იმპორტიორზე გამოწერილ თამასუქს. ბანკი ღებულობს ამ უკანასკნელ

თამასუქს და ახდენს მის დისკონტირებას, აკრედიტებს რა თანხის წმინდა ოდენობას ექსპორტიორის ანგარიშზე. ამგვარად, ბანკი ქმნის საბანკო აქცეპტს, რომელიც შეიძლება გაიყიდოს მაღალი ლიკვიდობის მქონე აქცეპტების ბაზარზე იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია სტაბილური რეპუტაცია. იმპორტიორისგან თანხის მიღების შემდეგ, ბანკი იწყებს საკუთარი აქცეპტის განაღდებას, რომელიც, ბაზარზე გაყიდვის შემთხვევაში, გადასახდელად იქნება წარდგენილი. იმპორტიორის გაკოტრების შემთხვევაში, ბანკს შეუძლია გამოიყენოს რეგრესის უფლება ექსპორტიორის მიმართ და მოითხოვოს მისგან ამ თანხის დაფარვა.

12.3. ფაქტორინგი და ფორფეიტინგი

ფაქტორინგი

ფაქტორი, ანუ ფაქტორინგის მწარმოებელი, ყიდულობს დებიტორულ დავალიანებას რეგრესის უფლების გარეშე. კომერციული ბანკები, ასევე, იყენებენ ფაქტორინგს საგარეო ვაჭრობის დასაფინანსებლად. ნებისმიერი ფაქტორის უნარი, შეიძინოს დებიტორული დავალიანებები რეგრესის უფლების გარეშე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად შეაფასებს იგი მყიდველის კრედიტუნარიანობას. აქედან გამომდინარე, ფაქტორი ასრულებს გამყიდველის საკრედიტო და, ნაწილობრივ, დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის განყოფილებების ფუნქციას. საკრედიტო ინფორმაციის მოპოვება ადგილობრივ მყიდველებზე გაცილებით ადვილია, ვიდრე უცხოეთში არსებულ მყიდველებზე. ამასთან, უცხოური ფილიალების დაფუძნებით, ფაქტორები აუმჯობესებენ უცხოელი იმპორტიორების კრედიტუნარიანობის დადგენის შესაძლებლობას.

ფაქტორი, რომელიც უცხოურ დებიტორულ დავალიანებებს ყიდულობს, ვალდებულია კარგად შეისწავლოს კონკრეტული დებიტორის კრედიტუნარიანობა სავაჭრო კონტრაქტის გაფორმებამდე. თუ უცხოელი მყიდველის ფინანსური მდგომარეობა არ

ექსა მიჩნეული დამაკმაყოფილებლად, ექსპორტიორმა შეიძლება მაინც გაგზავნოს საქონელი საკუთარი რისკის ფასად. თუ საქონელი ეგზავნება დამტკიცებულ იმპორტიორს სათანადო საბუთების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში თამასუქი და დოკუმენტები გადაეცემა იმ ფაქტორს, რომელიც მათ ყოველგვარი რეგრესის უფლების გარეშე იძენს. ფაქტორი უხდის თანხას ექსპორტიორს: ოავალიანების საშუალო ვადიანობის მიხედვით, თანხის ფაქტიური მიღებისას ან, აუცილებელი დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ. ამის შემდეგ ხდება თამასუქისა და სხვა დოკუმენტაციის გაგზავნა კომერციული ბანკის მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელია თანხების ამოღებაზე. ფაქტორი, როგორც თამასუქებისა და დოკუმენტაციის მფლობელი, თანხების ამოღებას საკუთარი სახელით აწარმოებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ფაქტორმა შეიძლება გამოიყენოს კომერციულ ბანკში გახსნილი საკუთარი საკრედიტო ხაზი ექსპორტიორისგან დებიტორული დავალიანებების შესაძენად, მყიდველისგან თანხების მიღებამდე.

იმპორტის დაფინანსებისას, ფაქტორმა შეიძლება საკუთარი ბანკის საშუალებით გახსნას აკრედიტივი უცხოელი მიმწოდებლის სახელზე. ფაქტორი ხდება ერთგვარი შუამავალი საკუთარ კლიენტსა და ბანკს შორის, შედეგად ხდება კლიენტის კრედიტუნარიანობის ჩანაცვლება ფაქტორის კრედიტუნარიანობით. ვინაიდან ფაქტორი გამოდის აკრედიტივის „გარანტად“, ბანკი მზადაა გახსნას კრედიტი, რაზეც შეიძლება უარი ეთქვა, თუ მას მარტო იმპორტიორი მიმართავდა. როდესაც ხდება საქონლის გაგზავნა, დოკუმენტაცია გადაეცემა ფაქტორს. სამაგიეროდ, ფაქტორი გადასცემს საქონლის დოკუმენტაციას იმპორტიორს, მინდობილობის ან სასაწყობო ქვითრის სანაცვლოდ. გაყიდვიდან მიღებული თანხები გადაეცემა ფაქტორს. ფაქტორის თანხმობით კლიენტისთვის საქონლის მიყიდვის ოპერაციის დასრულების შემდგომ, იქმნება დებიტორული დავალიანება. ფაქტორი, კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ყიდულობს ამ

დებიტორულ დავალიანებას რეგრესის უფლების გარეშე, როდესაც კომერციული ბანკი გადასცემს ფაქტორს საქონლის გაგზავნის დოკუმენტაციას, ხორციელდება წარმომდგენზე გამოწერილი აკრედიტივის გადახდა. ფაქტორს შეუძლია ბანკს საკუთარი სახსრებიდან გადაუხადოს. საქონელი გადის საბაჟო შემოწმებას, რის შემდეგ ფაქტორს უხდიან იმ დებიტორული დავალიანებების ვადის დადგომისას, რომლებიც მან კლიენტისგან შეიძინა ყოველგვარი რეგრესის უფლების გარეშე.

ვადიანი აკრედიტივის თანხას ფაქტორი უხდის ბანკს ვადის დადგომისთანავე, რის შედეგადაც იქმნება აქცეპტი, რომელიც კლიენტის ანგარიშზე აღირიცხება ფაქტორისთვის გადასახდელი თანხების უზრუნველსაყოფად. ხშირ შემთხვევაში, გამოწერილ აკრედიტივზე თანხის დაუყოვნებლივ გადახდის ნაცვლად ფაქტორმა შეიძლება გამოიყენოს მის მომსახურე კომერციულ ბანკში გახსნილი საკრედიტო ხაზი. ამის გაკეთება შეიძლება ორი გზით: ბანკს შეიძლება ეთხოვოს საბანკო აქცეპტის გამოწერა ან ამ თანხის დამატება ფაქტორის სასესხო ანგარიშზე. ორივე შემთხვევაში ფაქტორმა ბანკს უნდა გადაუხადოს აქცეპტის ან სესხის ვადის დადგომისთანავე. ეს ვადები რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს კლიენტის მიერ დებიტორული დავალიანებების სავარაუდო დაფარვის ვადასთან.

ღია ანგარიშების გამოყენებით წარმოებული საქონლის გაგზავნის შედეგად წარმოქმნილი უცხოური დებიტორული დავალიანებების მყიდველი ფაქტორი იგივე პროცედურებს იცავს, როგორსაც ადგილობრივი დებიტორული დავალიანებების ყიდვისას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ექსპორტიორი და დამფინანსებელი ბანკი საქონელზე კონტროლს კარგავენ, რადგან მათი გაგზავნის დოკუმენტაცია უშუალოდ იმპორტიორს გადაეცემა. შესაბამისად, ღია ანგარიშის მეშვეობით საქონლის გაგზავნა მხოლოდ ძირითადი კლიენტთან მიმართებაში უნდა განხორციელდეს.

ფორფეიტინგი

ბანკებმა შეიძლება დააფინანსონ დებიტორული დავალიანებები **ფორფეიტინგის** მეთოდის გამოყენებით. ეს პრაქტიკა მოქმედებს აღმოსავლეთ ევროპასა და განვითარებად ქვეყნებში. ფორფეიტინგი, მსგავსად ფაქტორინგისა, წარმოადგენს დებიტორული დავალიანებების დაფინანსებას რეგრესის უფლების გარეშე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორი იძენს კომპანიის მხოლოდ მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს, ფორფეიტერი ბანკი ყიდულობს გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს, მაქსიმუმ, რვაწლიანი დაფარვის ვადით. ფორფეიტერ ბანკს არ გააჩნია რეგრესის უფლება საქონლის გამყიდველის მიმართ. იგი იძენს სასესხო ვალდებულებებს ნაღდი ფულით, მნიშვნელოვანი ფასდაკლებით. ამ ეტაპზე, ფორფეიტინგის ცენტრებს წარმოადგენს ციურიხი და ვენა, სადაც მრავალი ბანკი, მათ შორის ამერიკული ბანკები, აწარმოებენ ფორფეიტინგს ან საკუთარი ფილიალების, ან სპეციალიზებული შვილობილი საწარმოების მეშვეობით.

ფორფეიტინგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სახელმწიფოსგან საექსპორტო კრედიტის ან საკრედიტო გარანტიების მიღება, ან როდესაც მყიდველი არ აძლევს გრძელვადიან კრედიტებს ისეთ რეგიონებს, როგორიცაა აღმოსავლეთ ევროპა. ფორფეიტინგი, ასევე, გამოიყენება მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად, ვინაიდან ეს საშუალებას აძლევს მათ მოლაპარაკება აწარმოონ ისეთ ოპერაციებზე, რომელთა განხორციელება აღემატება მათ ფინანსურ შესაძლებლობებს. ფორფეიტინგის გამოყენებით მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ დაუყოვნებლივ გაყიდონ საკუთარი გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები ყოველგვარი რეგრესის უფლების გარეშე.

შემმოწმებელმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ბანკის მიერ განხორციელებული ფორფეიტინგის ოპერაციები, რათა განსაზ-

ღეროს, იყიდეს თუ არა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები ისეთი ქვეყნებისგან, რომელთაც პოლიტიკური ცვლილებები და კურსის მერყეობა ახასიათებთ. გარდა ამისა, ფორფეიტინგის დროს, შეძენილი გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებებისთვის დამახასიათებელი რისკების გარდა, ადგილი აქვს ფაქტორინგისთვის დამახასიათებელ სხვა რისკებსაც.

დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო, პოლიტიკური და სხვა რისკების შემცირების მიზნით, ბანკებმა შეიძლება მრავალ ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო გარანტიები და სადაზღვევო გეგმები გამოიყენონ. სხვადასხვა სადაზღვევო გეგმის სირთულის გამო შემმოწმებელმა, როგორც წესი, უნდა მიმართოს ბანკის საერთაშორისო განყოფილების იმ სპეციალისტს, რომელსაც ამგვარი ოპერაციების წარმოების ტექნიკური გამოცდილება გააჩნია. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ შემმოწმებელმა იცოდეს რისკის დაზღვევის ძირითადი მეთოდები და, საჭიროების შეთხვევაში, უნდა მოითხოვოს ძირითადი გეგმების კორექტირება. ძალიან ხშირად ბანკის დებიტორული დავალიანებებისა და გარანტიების გეგმები თავად აჩვენებენ, თუ რამდენად ეფექტურია ისინი და სათანადოდ ასრულებს თუ არა ბანკი პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის ბანკი.

თუ ქართული ბანკი მუშაობს საქართველოში მოქმედ ბიზნესმენთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებული საქონლის იმპორტთან დაკავშირებით, ამერიკელმა ექსპორტიორმა შეიძლება იმუშაოს აშშ ექსპორტ-იმპორტის ბანკთან ("ექსიმბანკი"). ექსიმბანკმა შეიძლება მოსთხოვოს ქართველ იმპორტიორს საკომისიო თანხის გადახდა იმ გარანტიების სანაცვლოდ, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართველი იმპორტიორის პასუხისმგებლობას ამერიკელი ექსპორტიორიდან საქონლის მიღებისას. გარანტია

ხელს შეუწყობს ამერიკელი ექსპორტიორების ურთიერთობას ქართველ იმპორტიორებთან.

უცხოური კრედიტების დაზღვევის ასოციაცია.

უცხოური კრედიტების დაზღვევის ასოციაცია – FCIA წარმოადგენს საზღვაო ტრანსპორტისა და ტვირთების, საკუთრებისა და კატასტროფებისგან დამზღვევი წამყვანი კომპანიების ასოციაციას. ექსიმბანკთან ერთად, FCIA კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის კრედიტების დაზღვევის პოლისს, რომელიც მის მფლობელებს უცხოელი მყიდველისგან საქონლის საფასურის გადაუხდელობით გამოწვეული ზარალისგან იცავს. ასეთ შემთხვევაში, საქართველოში მოქმედმა ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ასოციაცია, რათა ხელი შეუწყოს საქართველოდან საქონლის ექსპორტს და უცხოელიდან შესაბამისი საფასურის მიღებას.

FCIA აზღვევს ექსპორტიორებს ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზეზების გამო, მყიდველი ვერ ახერხებს თავისი ვალდებულებების შესრულებას; საშუალებას აძლევს ექსპორტიორს შესთავაზოს უცხოელ მყიდველებს ანგარიშსწორების კონკურენტული პირობები; ხელს უწყობს ექსპორტიორს აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები შედარებით უფრო მაღალი რისკის მქონე უცხოურ ბაზრებზე; ზრდის ექსპორტიორის ფინანსურ ლიკვიდობას და მოქნილობას უცხოური დებიტორული დავალიანებების პორტფელის მართვასთან დაკავშირებით. FCIA თავად არ ახდენს ექსპორტის დაფინანსებას. ამასთან, ექსპორტიორს, რომელიც აზღვევს დებიტორულ ანგარიშებს კომერციული და პოლიტიკური რისკებისგან, ყოველთვის შეუძლია მიიღოს დაფინანსება კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებისგან, შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთითა და უფრო ლიბერალური პირობებით, ვიდრე დაუზღვევლობის შემთხვევაში.

FCIA-ის მიერ გაცემული პოლისები იცავს კლიენტებს გაუთვალისწინებელი კომერციული და პოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული დებიტორული დავალიანებების გადაუხდელობისგან. კომერციული რისკები გულისხმობს გადახდის უუნარობას ან გაკოტრებას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მყიდველის ბაზარზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, საქონელზე მოთხოვნილებების ცვლილებამ, გაუთვალისწინებელმა კონკურენციამ, ტარიფებმა ან ტექნიკურმა ცვლილებებმა. პოლიტიკური რისკის შემთხვევაში იგულისხმება მთავრობის ქმედებებით გამოწვეული გაკოტრება, როგორიცაა მაგალითად, ვალუტის არაკონვერტირებულობა, ექსპროპრიაცია და იმპორტის ლიცენზიის ჩამორთმევა, აგრეთვე, ისეთი პოლიტიკური არეულობები, როგორიცაა ომი, რევოლუცია და აჯანყება.

FCIA, როგორც წესი, სთავაზობს ოთხი სახის, მათ შორის, პოლიტიკური და კომერციული რისკების დაზღვევის პოლისს:

- მოკლევადიანი სადაზღვევო პოლისის პირობებში შედის საქონლის 180 დღის განმავლობაში გაყიდვა. ასეთი პოლისი გულისხმობს 100-პროცენტიანი პოლიტიკური რისკისა და კომერციული რისკით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის 90 პროცენტის დაზღვევას.
- საშუალოვადიანი პოლისი გამოიყენება 6 თვიდან 5 წლამდე ოპერაციების დასაზღვევად. FCIA ფარავს კომერციული რისკის 90 პროცენტსა და პოლიტიკური რისკის 100 პროცენტს, რომლის დარჩენილ ნაწილს თავად ექსპორტიორი აზღვევს.
- კომბინირებული გრძელვადიანი/საშუალოვადიანი პოლისი გაიცემა დისტრიბუტორების მეშვეობით საქონლის საბოლოო მყიდველისთვის მიყიდვის შემთხვევაში.
- ძირითადი დაზღვევის პოლისი მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პოლისში განხილულ შემთხვევას, რომელსაც ემატება დისკრეციული და გამოსაქვითი თანხები. ძირითადი პოლისის თანახმად, ჩვეულებისამებრ, მოკლევადიანი ოპერაციების და,

ასევე, საშუალოვადიანი ოპერაციების შემთხვევაში, ექსპორტიორებმა შეიძლება მიიღონ FCIA-ს უფლებამოსილება, გასცენ კონკრეტული ოდენობის დაზღვეული კრედიტები ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე. გამოსაქვითი თანხები, რომლებიც მხოლოდ კომერციული და არა პოლიტიკური რისკების შემთხვევაში გამოიყენება, ექსპორტიორისგან მოითხოვს, რომ მან თავის თავზე აიღოს საერთო ვალით გამოწვეული პირველი ზარალის ფიქსირებული ოდენობა.

FCIA-ის გარდა არსებობს არაერთი სხვა კერძო და სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც იძლევა გარანტიას ან აზღვევს კომერციული ბანკების მიერ უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსებას. ამგვარი ორგანიზაციების მაგალითს წარმოადგენს ექსპორტის დაკრედიტების გარანტორი დეპარტამენტი (ECDG) გაერთიანებულ სამეფოში, COFACE - საფრანგეთში და HERMES - დასავლეთ გერმანიაში.

12.4. უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების შემოწმების პროცედურები და შედეგები

1. შემოწმების ჩატარების მიზნით შერჩევის შემთხვევაში, შემოწმებლებმა უნდა შეავსონ ან განაახლონ საერთაშორისო კონტროლის კითხვარის ის ნაწილი, რომელიც უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსებას ეხება.

2. მოპოვებულ უნდა იქნეს შესაბამისი კლიენტის დავალიანებების საცდელი ბალანსები, აგრეთვე:

- შედარებულ უნდა იქნეს ნაშთები კონტროლის განყოფილებისა და მთავარი დავთრის (ჟურნალის) მონაცემებს შორის;
- განხილულ უნდა იქნეს შესადარებელი დოკუმენტები მათი სისწორის დადგენის მიზნით.

3. შეირჩეს მსესხებლები იმ მიზნით, რომ განხილულ იქნეს კლიენტთა დებიტორული დავალიანებების, მინიმუმ, 60 პროცენტი.

4. მომზადდეს შემოწმებლების საკრედიტო ხაზების ბარათები, მათ შორის:

- კლიენტთა მთლიანი ვალდებულებების ოდენობა უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების კუთხით;
- სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლიენტების მთლიანი დაუფარავი ვალდებულებების აგრეგირებისთვის გამოიყენება.

5. მოპოვებულ იქნეს საერთაშორისო კრედიტებთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- ვადაგადაცილებული, დარიცხვაშეწყვეტილი და პროლონგირებული სესხები;
- სესხები, რომელთა პირობებიც შეიცვალა საპროცენტო განაკვეთის ან ძირითადი თანხის შემცირებით, ან პროცენტისა და ძირითადი თანხის გადავადებით;
- სესხები, რომლებიც წინა შემოწმების შემდგომ პერიოდში, მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცა სხვა კრედიტორ ბანკს, გაყიდვის, მონაწილეობის ან აქტივების სვოპის შედეგად;
- წინა შემოწმების შემდგომ პერიოდში, სხვა კრედიტორი ბანკისგან შესყიდვის, მონაწილეობის ან აქტივების სვოპის შედეგად მიღებული სესხები;
- სასესხო და სხვა პირობითი ვალდებულებები;
- სესხები ძირითად აქციონერებზე, ოფიცრებზე, დირექტორებზე და მათთან დაკავშირებულ პირებზე (აღინიშნოს, რომელი პირები ითვლებიან აღმასრულებელ პირებად)
- სხვადასხვა სესხების დებეტისა და კრედიტის შუალედური თანხების ანგარიშები;
- სესხი, რომლებიც მენეჯმენტის მიერ განიხილება, როგორც „საეურადღებო“;
- საკრედიტო პოლიტიკის კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებები უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებით;

- ოფიცრებისა და საკრედიტო კომიტეტის მიმდინარე უფლებამოსილებები;
- საპროცენტო განაკვეთის მიმდინარე სტრუქტურა;
- საკრედიტო ან ნებისმიერი მსგავსი კომიტეტის ოქმების ამონაწერებიდან მიღებული ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია;
- საკრედიტო და დისკონტის კომიტეტისა, თუ ნებისმიერი მსგავსი კომიტეტისთვის მიწოდებული ანგარიშგებები;
- ადმინისტრაციისთვის მიწოდებული შესაბამისი ანგარიშგებები;
- წინა შემოწმებების დროს კლასიფიცირებული სესხები.

6. განხილულ იქნეს მიღებული ინფორმაცია და განხორციელდეს განხილვა შემდეგთან მიმართებაში:

- სესხებთან, რომლებიც წინა შემოწმების შემდგომ პერიოდში მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცა სხვა ბანკს ან მიღებულ იქნა სხვა ბანკისგან, გაყიდვის/ყიდვის, მონაწილეობის ან აქტივების სვოპის შედეგად:
- შემოწმდეს მონაწილეობის სერტიფიკატები და ჩანაწერები და დადგინდეს, პროპორციულად ინაწილებენ თუ არა მონაწილეები რისკებსა და საკონტრაქტო გადასახადებს, ასევე, დადგინდეს, სხვების სახელით სესხების მომსახურებისას ბანკი იყენებს თუ არა კონტროლის და პროცედურების იგივე სისტემას, რომელსაც ის იყენებს საკუთარ სასესხო პორტფელთან მიმართებაში.
- შესწავლილ იქნეს ყველა ტრანსფერთან დაკავშირებული პროცედურები და ნებისმიერი სიტუაცია, როდესაც სესხები გადარიცხულ იქნა უშუალოდ შემოწმების თარიღამდე, რათა დადგინდეს ზოგიერთი მათგანი ხომ არ იქნა გადარიცხული შემოწმების დროს, შესაძლო გაკრიტიკების თავიდან აცილების მიზნით;
- შემმოწმებელთა მიერ განხილულ იქნეს სხვადასხვა სასესხო დებეტისა და კრედიტის შუალედური ანგარიშები მენეჯმენტთან ერთად;

• შემმოწმებლებმა უნდა გააანალიზონ სასესხო ვალდებულებები და სხვა პირობითი ვალდებულებები მიმდინარე დაუფარავი სესხების საერთო თანხასთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

• წინა შემოწმების დროს ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხები

• განისაზღვროს წინა შემოწმების დროს ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების განლაგება და მიეთითოს:

• მიმდინარე ნაშთი და დაფარვის სტატუსი;

• სეხის დაფარვის თარიღი და დაფარვის წყარო.

• შესწავლილ იქნეს ნებისმიერი სიტუაცია, როდესაც სესხის მთლიანი თანხის ან მისი ნაწილის დაფარვა ბანკის სხვა სესხის ამონაგებიდან ან სხვა კრედიტორ ბანკთან მონაწილეობის, გაყიდვის ან სვოპის შედეგად განხორციელდა.

7. შემმოწმებლებმა უნდა შეადარონ ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია საკრედიტო ხაზების ბარათებს საჭიროების შემთხვევაში და მიუთითონ ნებისმიერ ვადაგადაცილებაზე.

8. მოამზადონ საკრედიტო ხაზების ბარათები ნებისმიერ სესხთან მიმართებაში, რომელიც, ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს.

9. მოიპოვონ ინფორმაცია მსესხებლების ვალდებულებებისა და სხვა საკითხების შესახებ იმ შემმოწმებლებისგან, რომლებსაც ევალებათ საერთაშორისო საკასო ანგარიშების, ოვერდრაფტებისა და სესხებთან დაკავშირებული სხვა სფეროების შემოწმება და ერთად გადაწყვიტონ, ვინ განიხილავს სესხებთან დაკავშირებულ საკითხებს.

10. მომზადდეს ინფორმაცია საბანკო სესხების გირაოს შესახებ წინა პუნქტებში შერჩეული ყველა მსესხებლისთვის.

11. მოპოვებულ იქნეს საკრედიტო ფაილი ყველა იმ მსესხებელზე, რომელზეც შემმოწმებელმა საკრედიტო ხაზების ბარათები მოამზადა; საჭიროების შემთხვევაში, შეესებილ იქნეს საკრედიტო

სახის ბარათები. გაანალიზდეს დაფინანსებული უცხოური დებიტორული დავალიანებები და განხორციელდეს შემდეგი პროცედურები:

• უნდა გაანალიზდეს კლიენტის მიმდინარე და წინა ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები საბალანსო უწყისები და მოგება-ზარალის მაჩვენებლები და დადგინდეს ნებისმიერი პოზიტიური თუ ნეგატიური ტენდენციის არსებობა.

• განხილულ იქნეს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები საბალანსო უწყისის კომპონენტები და დადგინდეს თითოეული მუხლის მიზანშეწონილობა მთლიან საფინანსო სტრუქტურასთან მიმართებაში.

• განხილულ იქნეს ძირითადი საბალანსო უწყისის დამატებითი ინფორმაცია და კონსოლიდაციისას გამოყენებული მეთოდი; დადგენილ იქნეს სესხის დაფარვის უშუალო წყარო და შეფასდეს მათი ადეკვატურობა.

• განისაზღვროს საკრედიტო ხელშეკრულების პუნქტებისადმი შესაბამისობა.

• განხილულ იქნეს ოფიცრების შეთანხმების, ბრუნვის შესახებ ანგარიშგების, საკრედიტო ბარათებისა და კორესპონდენციის დაიჯესტი და დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე პრობლემა, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს სესხის დაფარვის კონტრაქტით გათვალისწინებული პროგრამა.

12. შემოწმების პროცესში მოპოვებულ უნდა იქნეს ინფორმაცია:

• ღია ანგარიშის დაფინანსებისას:

• გაეგზავნა თუ არა საქონელი მესამე მხარეს, ან მსესხებლის ფილიალებსა და შვილობილ საწარმოებს.

• არის თუ არა უცხოელი მყიდველი ფინანსურად ძლიერი და კრედიტუნარიანი.

• რამდენად კონტროლირდება უცხოური ვალუტა და ხელმისაწვდომია თუ არა ვალუტა იმპორტიორისთვის ანგარისწორების განსახორციელებლად.

• ბანკის წარსული გამოცდილება იმ მსესხებელთან დამოკიდებულებაში, რომელიც ღია ანგარიშზე აწარმოებს რეალიზაციას.

• ვაჭრობა კონსიგნაციის წესით განხორციელებისას:

• გაეგზავნა თუ არა საქონელი მესამე მხარეს ან მსესხებლის ფილიალებსა და შვილობილ საწარმოებს.

• არის თუ არა უცხოელი მყიდველი ფინანსურად ძლიერი და კრედიტუნარიანი.

• ხელშეკრულებით გათვალისწინებული უცხოელი აგენტის (რეალიზატორის), უცხოელი წარმომადგენლის ან საიმპორტო სახლის (ქვეყნის, კომპანიის) პასუხისმგებლობები.

• რამდენად კონტროლირდება უცხოური ვალუტა და ხელმისაწვდომია თუ არა ვალუტა ამ ტიპის ოპერაციის განსახორციელებლად დანიშნულების ქვეყანაში.

• ჩაბარდა თუ არა გაგზავნილი საქონელი საწყობზე პასუხისმგებელ პირს.

• ნებისმიერი განხორციელებული ოპერაცია, რომლის დროსაც საქონელი გაიყიდა კომერციული აგენტის (რეალიზატორის) მოლაპარაკების თანახმად.

• დანიშნულების ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტები გაუქიდავი კონსიგნირებული საქონლის ამ საქონლის მწარმოებელი ქვეყნისთვის დაბრუნებაზე.

• ბანკის წარსული გამოცდილება იმ მსესხებელთან დამოკიდებულებაში, რომელიც კონსიგნაციის წესით აწარმოებს საქონლის რეალიზაციას.

• მისაღებ თანხებზე გაცემული ავანსების არსებობისას:

• თანაფარდობა გირაოში ჩადებული აქტივებიდან ერთ თვეში ამოღებულ თანხასა და მსესხებლის საკრედიტო ლიმიტს შორის;

• წარმომდგენზე გამოწერილი თამასუქების მოქმედების ვადა – მოქმედების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გავიდეს ასეთი თამასუქის წარდგენიდან მის განაღდებამდე;

• ინსტრუქციები, რომლებიც ეხება დოკუმენტების მიწოდებას მსესხებლის სანაცვლოდ ან მათ მიწოდებას აქცეპტირების სანაცვლოდ;

• დაწესებული ლიმიტის ფარგლებშია თუ არა მისაღები თანხების სანაცვლოდ გაცემული ავანსები;

• თამასუქების (მისაღები თანხების) ვადები;

• ყველა არაუფლებამოსილი იმპორტიორი;

• იმპორტიორების კონცენტრაცია;

• იმპორტიორების ფინანსური შესაძლებლობანი;

• ყველა განსაკუთრებული შემთხვევა, მათ შორის, სადავო საკითხები, საქონლის მიღებაზე უარის თქმა და საქონლის წამოღება საფასურის გადახდის გარეშე;

• თამასუქის გაუნაღდებლობის და გაპროტესტების შემთხვევები.

• ნებისმიერი სპეციალური ინსტრუქცია.

• უცხოურ ვალუტაზე კონტროლის და ვალუტაზე ხელმისაწვდომობა ამ ტიპის ოპერაციის ანგარიშსწორების მიზნით დანიშნულების ქვეყანაში.

• ბანკის გამოცდილება იმ მსესხებელთან დამოკიდებულებაში, რომელმაც მისაღები თანხის სანაცვლოდ ავანსი მიიღო.

• დისკონტირებული სავაჭრო აქცეპტების არსებობის შემთხვევაში:

• თანაფარდობა ერთ თვეში სავაჭრო აქცეპტებიდან ამოღებულ თანხასა და მსესხებლის საკრედიტო ლიმიტს შორის.

• როგორ მოახდინა ბანკმა სავაჭრო აქცეპტის დისკონტირება, რეგრესის უფლებით თუ მის გარეშე.

• ინარჩუნებს თუ არა მსესხებელი საკუთრების უფლებას იმ სავაჭრო აქცეპტის ნაწილზე, რომელიც ბანკს გადაეცა.

• საგაჭრო აქცეპტის ვადები.
• არაუფლებამოსილი იმპორტიორები.
• იმპორტიორების კონცენტრაცია.
• იმპორტიორების ფინანსური შესაძლებლობები.
• ყველა განსაკუთრებული შემთხვევა, როგორიცაა სადაო საკითხები, უარი საქონლის მიღებაზე და საქონლის წამოღება მათი საფასურის გადახდის გარეშე.
• თამასუქის გაუნაღდებლობის და გაპროტესტების შემთხვევები.
• ნებისმიერი სპეციალური ინსტრუქცია.
• კონტროლი უცხოურ ვალუტაზე და ვალუტაზე ხელმისაწვდომობა ამ ტიპის ოპერაციის ანგარიშსწორების მიზნით დანიშნულების ქვეყანაში.
• ბანკის გამოცდილება იმ მსესხებელთან დამოკიდებულებაში, რომლის სავაჭრო აქცეპტის დისკონტირებაც ბანკმა განახორციელა.
● საბანკო აქცეპტების დაფინანსების არსებობისას:
• იხ. საბანკო აქცეპტების დაფინანსებასთან დაკავშირებული პროცედურები.
● ფაქტორინგი:
• რამდენად იძლევა ფაქტორი „გარანტიას“ იმ აკრედიტივზე, რომელსაც ბანკი ხსნის უცხოელი მომწოდებლის სახელზე;
• გადაეცემა ან უმტკიცდება თუ არა საკუთრების უფლება იმპორტის ოპერაციებზე ფაქტორს;
• თანახმაა თუ არა მინდობილობის საფუძველზე საქონლის მიმღები იმპორტიორი შეინახოს საქონელი ფაქტორის სახელზე;
• ინახება თუ არა საწყობის ხელწერილით შენახული იმპორტირებული საქონელი დამოუკიდებელ საწყობში ფაქტორის ხარჯზე;
• ფარავს თუ არა ფაქტორი ბანკის აკრედიტივს ვადის დადგომისას და ირიცხება თუ არა შესაბამისი აქცეპტები ბანკის

კლიენტის ანგარიშზე, ფაქტორისთვის დადგენილ ვადაში ანგარიშსწორების უზრუნველყოფის მიზნით;
• სესხულობს თუ არა ფაქტორი ბანკისგან და გამოწერს თუ არა საბანკო აქცეპტებს აკრედიტივით იმპორტირებული საქონლის რეალიზაციის შედეგად მოსალოდნელი დებიტორული დავალიანებების დასაფარად;
• იმ იმპორტიორის ფინანსური შესაძლებლობანი, რომლის სახელზეც ბანკმა აკრედიტივი გახსნა;
• ნებისმიერი სადაო საკითხი, უარი საქონლის მიღებაზე და საქონლის წამოღება ანგარიშსწორების გარეშე;
• ბანკის გამოცდილება ფაქტორთან ურთიერთობაში.
● ფორფეიტინგი:
• შესყიდული დებიტორული ანგარიშების ვადები;
• არამართლზომიერად შესყიდული დებიტორული ანგარიშები, მათ შორის, კონტროლირებადი საწარმოს (კომპანიონის) დებიტორული ანგარიშები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
• შეძენილი დებიტორული ანგარიშების კონცენტრაცია;
• რამდენად ადეკვატურად იქნა გამოკვლეული ბანკის საკრედიტო საქმიანობა გაყიდვაზე თანხმობის მიცემამდე ან ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტზე ხელმოწერამდე, რომლიდანაც დებიტორული დავალიანება წარმოიშვა;
• შეძენილი დებიტორული ანგარიშების ფინანსური სტაბილურობა;
• რამდენად შესწევს უნარი იმ ექსპორტიორს, რომლისგანაც დებიტორული დავალიანებები შეიძინეს, უზრუნველყოს რეალიზაციის შემდგომ საჭირო მომსახურება და გარანტიების დაკმაყოფილება.

სადავო საკითხები და საქონლის დაბრუნება.

• რა დონისაა შეზღუდვა ვალუტის გადაცვლაზე, მისი ხელმისაწვდომობა და ამ პროცესებთან დაკავშირებული ქვეყნის რისკი,

რამაც შეიძლება შეაფერხოს შეძენილი დებიტორული დავალიანებების ამოღება.

• ბანკის გამოცდილება დებიტორებსა და ექსპორტიორებთან დამოკიდებულებაში.

• უცხოური დებიტორული დავალიანებების გარანტიები და დაზღვევის გეგმები:

• დადგინდეს, საკმარისად არის თუ არა დაზღვეული უცხოური დებიტორული დავალიანებები FCIA-ის, „ექსიმბანკის“ ან სხვა დამზღვევი ან გარანტორი ორგანიზაციების მიერ, ადეკვატურად არის თუ არა დადგენილი რისკები და შეესაბამება თუ არა იგი დაწესებულ ლიმიტებს.

• გაანალიზებულ იქნეს გარანტორებისა და ინდოსანტების მიერ შემოთავაზებული მეორადი დახმარება.

• განისაზღვროს შესაბამისობა ბანკის მიერ დაწესებულ საერთაშორისო საკრედიტო პოლიტიკასთან.

• შერჩეული სესხებისთვის, შემოწმებულ იქნეს იმ კლიენტების ძირითადი დავალიანებების აღმრიცხავი საქმეები, რომელთა ვალდებულებები აღემატება დაწესებულ ლიმიტებს, ან იმ მსესხებლების, რომელთაც სუსტი კრედიტუნარიანობა გამოამჟღავნეს, ან არსებობს ეჭვი, რომ მათ დამატებითი ვალდებულებები აქვთ სხვა სესხებთან მიმართებაში;

• გაანალიზებულ იქნეს ოფიცრების ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ძირითადი თანხების ნიმუშისთვის შერჩეული მსესხებლების ვალდებულებების ან სხვა კატეგორიებს;

• განისაზღვროს შესაბამისობა უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების შესახებ კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან, კერძოდ:

• სესხების გაცემის ლიმიტები;

• დაკრედიტების შეზღუდვებთან დაკავშირებული საბანკო ეკონომიკური ნორმატივები.

• უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსებისას, განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა ისეთ შემთხვევას, როდესაც ბანკის ოფიცერმა, დირექტორმა, თანამშრომელმა, რწმუნებულმა ან იურისტმა მიიღო რაიმე კომპენსაცია კრედიტის გაცემის სანაცვლოდ.

• გატარდეს ნებისმიერი საჭირო ღონისძიება კრედიტების კონცენტრაციის დადგენის მიზნით.

1. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად, შემმოწმებლებმა უნდა იმსჯელონ და მოამზადონ ანგარიშის ფორმა შემდეგთან მიმართებაში:

✓ ვადაგადაცილებული სესხები.

✓ სესხები, რომელთაც არ ახლავთ ინფორმაცია მათი მიმდინარე და სრული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ან აკლიათ სხვა დოკუმენტაცია.

✓ საკრედიტო თვალსაზრისით სუსტი სესხები, რომლებიც ნეგატიურ კლასიფიკაციას ექვემდებარებიან.

✓ არაადეკვატურად უზრუნველყოფილი სესხები.

✓ კრედიტების კონცენტრაცია.

✓ ძირითად აქციონერებზე, ოფიცრებზე, დირექტორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებზე გაცემული სესხები.

✓ კანონებისა და ნორმატიული აქტების დარღვევები.

✓ განყოფილებაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. შეფასდეს ბანკი შემდეგი კუთხით:

✓ უცხოური დებიტორული დაავალიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებული წერილობითი პოლიტიკის ადეკვატურობა.

✓ რამდენად შეესაბამება ბანკის თანამშრომლების მუშაობა შემუშავებულ პოლიტიკას.

✓ ნეგატიური ტენდენციები უცხოური დებიტორული დავალიანებების მქონე ბანკების საერთაშორისო სექტორში არსებულ სემოხსენებულ კატეგორიებში.

✓ რეკომენდირებული მაკორექტირებელი ღონისძიებები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს ხარვეზები ბანკის პოლიტიკაში, პრაქტიკასა თუ პროცედურებში.

✓ განყოფილების მენეჯმენტის კომპეტენტურობა.

✓ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

XIII თავი

საბანკო მარკეტინგის არსი და თავისებურებები

შინაარსი:

13.1. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ცნება და დახასიათება;
13.2. საბანკო მარკეტინგის ცნება, მისი კონცეფცია და შემადგენელი ელემენტები;
13.3. ბანკის მარკეტინგული პოლიტიკა და ბაზრის სეგმენტაცია;
13.4. საბანკო მარკეტინგის ძირითადი მეთოდები და პრაქტიკა ბანკებში;
13.5. მარკეტინგის ფინანსები: ფასობრივი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ძირითადი სახეობები;
2. ბანკის მარკეტინგული საქმიანობის პრინციპები;
3. სეგმენტაცია საბანკო პრაქტიკაში;
4. ფასწარმოქმნის მეთოდები და სტრატეგიის ამოცანები;
5. ბანკების მიერ ლიზინგური კომპანიების შექმნის საკითხები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 13.1. ბანკის კლიენტების სეგმენტაცია ასაკობრივი ნიშანთვისებების მიხედვით;
ცხრილი 13.2. საბანკო პროდუქტები და მომსახურებები კლიენტების სხვადასხვა კატეგორიისათვის;
ცხრილი 13.3. საქმიანი საწარმოების სეგმენტაცია სავაჭრო ბრუნვისა და საქმიანობის სფეროების სიდიდის მიხედვით;

✓ რეკომენდირებული მაკორექტირებელი ღონისძიებები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს ხარვეზები ბანკის პოლიტიკაში, პრაქტიკასა თუ პროცედურებში.

✓ განყოფილების მენეჯმენტის კომპეტენტურობა.

✓ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

XIII თავი

საბანკო მარკეტინგის არსი და თავისებურებები

შინაარსი:

13.1. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ცნება და დახასიათება;
13.2. საბანკო მარკეტინგის ცნება, მისი კონცეფცია და შემადგენელი ელემენტები;
13.3. ბანკის მარკეტინგული პოლიტიკა და ბაზრის სეგმენტაცია;
13.4. საბანკო მარკეტინგის ძირითადი მეთოდები და პრაქტიკა ბანკებში;
13.5. მარკეტინგის ფინანსები: ფასობრივი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ძირითადი სახეობები;
2. ბანკის მარკეტინგული საქმიანობის პრინციპები;
3. სეგმენტაცია საბანკო პრაქტიკაში;
4. ფასწარმოქმნის მეთოდები და სტრატეგიის ამოცანები;
5. ბანკების მიერ ლიზინგური კომპანიების შექმნის საკითხები.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 13.1. ბანკის კლიენტების სეგმენტაცია ასაკობრივი ნიშან-თვისებების მიხედვით;
ცხრილი 13.2. საბანკო პროდუქტები და მომსახურებები კლიენტების სხვადასხვა კატეგორიისათვის;
ცხრილი 13.3. საქმიანი საწარმოების სეგმენტაცია სავაჭრო ბრუნვისა და საქმიანობის სფეროების სიდიდის მიხედვით;

ცხრილი 13.4. ზღვრული სარგებლიანობის შემცირებადობა;
ცხრილი 13.5. მოგების გაანგარიშების ვარიანტები;

ნახაზი 13.1. მარკეტინგის სამსახურის ფუნქციონალური ორგანიზაცია;
ნახაზი 13.2. მარკეტინგის სამსახურის მართვის სტრუქტურა;
ნახაზი 13.3. საბანკო მარკეტინგის სქემა;
ნახაზი 13.4. მოთხოვნის მრუდი;
ნახაზი 13.5. მიწოდების მრუდი;
ნახაზი 13.6. მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა.

13.1. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ცნება და დახასიათება

საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაცია საბაზრო პირობებში ნებისმიერი ბანკის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. საბანკო საქმე, როგორც სამეწარმეო საქმიანობის სახეობა, გამონაკლისს არ წარმოადგენს. ბანკის პოლიტიკისა და მისი ყველა სამსახურის მიზანს წარმოადგენს საკუთარი პროდუქტებისა და მომსახურებების გასაღებითი სფეროს გაფართოების გზით კლიენტურის მოზიდვა, ბაზრის დაუფლება და, საბოლოო ჯამში, მოგების გადიდება.

თანამედროვე პირობებში საბანკო ბაზარზე კონკურენცია იმდენად გაიზარდა, რომ წარმატებული საქმიანობისათვის ბანკებმა საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების სრული ნაკრების გაყიდვა უნდა ისწავლონ, ანუ კლიენტების ერთი დახლიდან მომსახურების თავისებური საბანკო უნივერმაღი შექმნან.

საბანკო ოპერაციების დივერსიფიკაციამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ბანკებს დასავლეთში „ფინანსურ უნივერმაღებს“ უწოდებდნენ. აშშ-ში ამერიკული ბანკების შემდეგი სახის სარეკლამო განცხადებები გაჩნდა: „თქვენი ბანკი – ფინანსური დაწესებულებები თქვენთვის საჭირო პროდუქტებისა და მომსახურებების სრული ნაკრებით“.

დღეს კომერციულ ბანკს კლიენტისათვის 200-მდე სახეობის მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების შეთავაზება შეუძლია. ოპერაციების ფართო დივერსიფიკაცია ბანკებს როგორც კლიენტების შენარჩუნების, ასევე, ახლის მოდინების ხარჯზე მათი რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას აძლევს. თანამედროვე კომერციული ბანკების საქმიანობა მუდმივ ცვლილებებს განიცდის. იცვლება საბანკო საქმიანობის ფორმები, კონკურენციის მეთოდები, მართვის სისტემები, მკვეთრად ფართოვდება თვით ოპერაციები.

ბანკი არის საკრედიტო–საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც საკუთარ კლიენტურას პროდუქტებისა და მომსახურებების ფართო

სპექტრს, უპირველეს ყოვლისა, კრედიტებთან, დანაზოგებთან, გადახდებთან დაკავშირებულებს და ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს მრავალსახეობრივი ფუნქციების შესრულებას სთავაზობს.

საბანკო მარკეტინგის მნიშვნელოვან ასპექტს კონკრეტული საბანკო პროდუქტისა და საბანკო მომსახურების განსაზღვრა წარმოადგენს.

საბანკო პროდუქტი არის კონკრეტული საბანკო საბუთი (ან მოწმობა), რომელიც წარმოებულია ბანკის მიერ კლიენტის მომსახურებისა და ოპერაციების განხორციელებისათვის. აღნიშნული შეიძლება იყოს თამასუქი, ჩეკი, საბანკო პროდუქტი, დეპოზიტი, ნებისმიერი სერტიფიკატი (საინვესტიციო, დეპოზიტური, საშემნახველო, საგადასახადო) და ა.შ. **საბანკო მომსახურება,** თავისთავად, კლიენტის მომსახურებასთან მიმართებაში საბანკო ოპერაციებს წარმოადგენს.

საბანკო პროდუქტისა და საბანკო მომსახურების მსგავსება იმაშია, რომ ისინი კლიენტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და მოგების მიღების ხელშეწყობისათვის არიან მოწოდებულები. ასე მაგალითად, დეპოზიტების მიხედვით საბანკო პროცენტი არის საბანკო პროდუქტი, ხოლო მისი მუდმივად გადახდა, თავისთავად, საბანკო მომსახურებას წარმოადგენს. ამ და სხვა შემთხვევებში იგი კლიენტის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და შემოსავლის მიღებას ემსახურება. საბანკო ანგარიშის გახსნა არის პროდუქტი, ხოლო ანგარიშის მიხედვით მომსახურება – სამსახური, მაგრამ, ამასთან, პროდუქტიც და მომსახურებაც საკომისიოების სახით შემოსავლის მიღებას ითვალისწინებს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში, საბანკო პროდუქტი პირველად ხასიათს ატარებს, ხოლო საბანკო მომსახურება – მეორადს.

საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ძირითადი სახეობებია:

- **სავალუტო ოპერაციები.** სავალუტო გაცვლა არის ბანკის მიერ ერთი ვალუტის, მაგალითად, დოლარის გაყიდვა მეორეზე, მაგალითად, ევროზე ან ფუნტზე, ამასთან, მომსახურებაზე გარკვეული საზღაურის მიღებით. თანამედროვე პირობებში უცხოური ვალუტით ვაჭრობას, ძირითადად, მსხვილი ბანკები ახორციელებენ, რამდენადაც აღნიშნული ოპერაციები სავალუტო რისკთან არის დაკავშირებული და მათ განსახორციელებლად მნიშვნელოვანი გამოცდილება არის საჭირო.

- **კომერციული თამასუქების აღრიცხვა და საწარმოებისათვის კრედიტების მიწოდება.** კომერციული თამასუქების აღრიცხვით, ბანკები სესხებს მიაწვდიან საქონელმწარმოებლებს, რომლებიც, ფულადი სახსრების სწრაფი მობილიზაციის მიზნით, თავიანთი მყიდველების სავალო ვალდებულებებს მიყიდიან ბანკს. თანამედროვე პირობებში დასავლეთის ქვეყნებში ასეთი პრაქტიკა გრძელდება, თუმცა კომერციული თამასუქების ბრუნვა კომერციული ბანკების ყველა ოპერაციის თითქმის 10-20%-ს შეადგენს.

- **საშემნახველო დეპოზიტები.** დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით ბანკები საშემნახველო დეპოზიტებს ქმნიან. თვით დეპოზიტი, თავისთავად, საბანკო პროდუქტს წარმოადგენს, ხოლო მისი მომსახურება – საბანკო სამსახურია.

- **ფასეულობების შენახვა.** ბანკში თავიანთი კლიენტების ფასეულობების შენახვა (ოქრო, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.), თავისთავად, მომსახურებას წარმოადგენს. ამასთან, ხელწერილები და სხვა საბუთები, რომელთაც აღნიშნული შენახვა აკმაყოფილებს, თავისთავად, საბანკო პროდუქტს წარმოადგენს. დღეს კლიენტების ფასეულობების უსაფრთხო შენახვას, ჩვეულებრივად, ბანკში სეიფების არენდის განყოფილება ახორციელებს, რომელსაც კლიენტების ფასეულობები ჩაკეტილ მდგომარეობაში აქვს შენახული, სანამ კლიენტს თავისი საკუთრების წაღება არ დასჭირდება.

• **კრედიტები მთავრობას.** აღნიშნული არის ბანკებში არსებული დეპოზიტის გარკვეული თანხობრივი წილის ფარგლებში ბანკის მიერ მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო ობლიგაციების შეძენა.

• **დეპოზიტები მოთხოვნამდე (საჩეკო ანგარიშები).** ყველაზე მნიშვნელოვან საბანკო პროდუქტს წარმოადგენს მოთხოვნამდე დეპოზიტის საჩეკო ანგარიშის გახსნა, რომელიც მეანაბრეს საქონელზე და მომსახურებებზე გადასახდელად გადასაყვანი თამასუქების ხელმოწერის უფლებას აძლევს და აღნიშნული თამასუქები ბანკმა მყისიერად უნდა გადაიხადოს.

• **სამომხმარებლო კრედიტი.** საბანკო მომსახურების აღნიშნულმა სახეობამ განვითარება მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აღნიშნული მომსახურებებით, ძირითადად, ფიზიკური პირები და მცირე მეწარმეები სარგებლობენ. აქ საბანკო პროდუქტს წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც კრედიტორისა და მსესხებლის ურთიერთობას განსაზღვრავს.

• **საკონსულტაციო მომსახურებები.** ბანკები, ჩვეულებრივად, თავიანთ კლიენტებს კონსულტაციებს უწევენ ინვესტიციების, საგადასახადო დეკლარაციების მომზადების, ბუღალტრული აღრიცხვის გაძღოლის საკითხებთან მიმართებაში. იურიდიული პირების კლიენტებს გაუწევათ მომსახურება მათი ახალი შესაძლო კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შემოწმებასთან მიმართებაში და დახმარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, უცხოეთის ბაზრებზე მარკეტინგული შესაძლებლობების შეფასებაში.

• **მომსახურებები სახსრების ნაკადების მართვასთან მიმართებაში.** აღნიშნული მომსახურებები იმაში მდგომარეობს, რომ ბანკი თავის თავზე იღებს გადახდების ინკასაციას და ფირმის ოპერაციების მიხედვით გადახდებს ახორციელებს, აგრეთვე, ჭარბი ნაღდი ფულადი სახსრების ინვესტირებას ახდენს მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში და კრედიტებში, სანამ აღნიშნული ფული არ დასჭირდებათ კლიენტებს.

• **საბროკერო მომსახურებები ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან მიმართებაში.** ბანკები ახორციელებენ საშუამავლო მომსახურებებს ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან მიმართებაში, საკუთარ კლიენტებს აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენის შესაძლებლობას აძლევენ ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის განმახორციელებელ ბროკერებთან ან დილერთან მიმართვის გარეშე. ზოგიერთ შემთხვევაში, ბანკები იერთებენ არსებულ საბროკერო ფირმებს ან იწვევენ ბროკერებს, რომლებიც სთავაზობენ ბანკის კლიენტებს ფასიანი ქაღალდების კრედიტში შეძენასთან მიმართებაში მომსახურებებს.

• **საინვესტიციო საბანკო მომსახურებები.** აღნიშნულ მომსახურებებს მიეკუთვნება **ანდერრაიტინგი** – ახალი ფასიანი ქაღალდების გარანტირებული განთავსება ან ემიტენტებისაგან მათი შეძენა და შემდგომი მათი გადაყიდვა სხვა მყიდველებზე შეძენა-გაყიდვის აქტისაგან მოგების მიღების მიზნით. ბანკის **საინვესტიციო მომსახურებებს** მიეკუთვნებიან, ასევე, ყველაზე უფრო მიმზიდველი ობიექტების მოძიება შერწყმისათვის, სხვა კომპანიების შეძენა, საპროცენტო განაკვეთებისა და ეროვნული ვალუტების კურსების მერყეობასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირებასთან მიმართებაში მომსახურებების შეთავაზება.

• **სადაზღვევო მომსახურებები.** ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბანკები ახორციელებდნენ კლიენტების სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევას. ასეთი გზით ისინი კლიენტის სიკვდილის ან დაავადების შემთხვევაში, გაცემული სესხების გარანტირებულ დაფარვას უზრუნველყოფდნენ. ბანკები, რომლებიც დღეს უკვე თავიანთ კლიენტებს სადაზღვევო პოლისებს სთავაზობენ, ჩვეულებრივად, მოქმედებენ ერთობლივი საწარმოების ან ფრანჩაიზინგის შესახებ შეთანხმების მეშვეობით, რომლის თანახმად სადაზღვევო კომპანია ბანკში ხსნის ჯიხურებს სადაზღვევო პოლისების გასაყიდად. ამასთან, ბანკი ასეთი ოპერაციებიდან შემოსავლების გარკვეულ წილს ღებულობს.

• **ბანკის ფინანსური მომსახურებები.** აღნიშნული საბანკო მომსახურებების ახალი სახეობაა, რომელმაც ომისშემდგომ პერიოდში ყველაზე მეტი გავრცელება მიიღო. ფინანსური მომსახურებები მოიცავენ: სატრასტო, ლიზინგურ და ფაქტორინგულ ოპერაციებს, რომლებიც სხვადასხვა კლიენტს მიეწოდება.

• **სატრასტო მომსახურებები** ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე, იურიდიულ პირებზეც. ფიზიკურ პირებთან მიმართებაში კომერციული ბანკები ქმნიან საანდერძო, სასიცოცხლო, სადაზღვევო ტრასტებს, აგრეთვე, აგენტურ ოპერაციებს ახორციელებენ. იურიდიულ პირებთან მიმართებაში ისინი ქმნიან კორპორაციებს, ინსტიტუციონალურ ტრასტს, დაქირავებული მუშაკების ტრასტს, კომუნალურ ტრასტს. აღნიშნულის შედეგად ბანკები მართავენ კლიენტების ქონებას, ფასიან ქაღალდებს, ძვირფას ლითონებს და სხვა ფასეულობებს. დასავლეთში ფართო გავრცელება მიიღო, ასევე, საპენსიო და საქველმოქმედო ფონდების მართვამ.

• **მომსახურებები ლიზინგთან მიმართებაში.** მრავალმა ბანკმა აქტიურად დაიწყო მეწარმე-კლიენტებზე **ლიზინგური შეთანხმების** მეშვეობით საჭირო მოწყობილობების შეძენა, რომელსაც საკუთარ კლიენტს არენდაში გადასცემს.

• **ფაქტორინგული მომსახურებები.** ბანკები იძენენ საწარმოებისა და კომპანიების ანგარიშ-ფაქტურებს და ამით ახორციელებენ მათი დავალიანების მომსახურებას და ბუღალტრული წიგნების გაძღოლას.

• **საპენსიო გეგმების გაყიდვა.** სატრასტო მომსახურების გარდა, ბანკები ახორციელებენ ხანდაზმულობასთან მიმართებაში მოსახლეობის უზრუნველყოფის გეგმას – პენსიებთან მიმართებაში აკუმულაციასა და განაწილებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ბანკები, ასევე, ყიდიან კერძო პირებზე ხანდაზმულობასთან ან ავადმყოფობასთან დაკავშირებით უზრუნველყოფის დეპოზიტურ გეგმებს (რომლებიც, ასევე, როგორც საშემნახველო საპენსიო ანგარიშების სახითაც არის ცნობილი) და განკარგავენ აღნიშნულ

დეპოზიტებს, სანამ ისინი არ დასჭირდებათ პირებს, რომლებიც აგეგმების მესაკუთრეებს წარმოადგენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების მრავალფეროვნების განხილვით, მათი ფართო სპექტრი აშშ-ის, ევროპის, იაპონიისა და რიგი სხვა ქვეყნების თითქმის ყველა ბანკის მიერ არის შეთავაზებული და აღნიშნული მომსახურებების ჩამონათვალი სწრაფად იზრდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, **ბანკის მარკეტინგული საქმიანობის** მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა, რომლის შინაარსი და მიზნები, ბოლო წლებში, ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერებული ზემოქმედების ქვეშ, ბანკებსა და კლიენტებს შორის ცვალებადი ურთიერთობებისას არსებითად შეიცვალა. დღეს ბანკის **მარკეტინგული სტრატეგია** ითვალისწინებს ბანკის პირველრიგითობის ორიენტაციას არა საკუთარ პროდუქტზე, როგორც ასეთის, არამედ კლიენტურის რეალურ მოთხოვნებზე. ბანკის თანამშრომელი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ეგრეთწოდებულ „საბანკო უნივერმაგში“ გამყიდველად გადაიქცა და სწორედ ამაში მდგომარეობს ყველაზე უფრო არსებითი წინსვლა 20-30 წლის წინანდელ სიტუაციასთან შედარებით. **მარკეტინგის ფილოსოფია** ხარისხობრივად ცვლის ბანკისა და კლიენტის ურთიერთობებს.

13.2. საბანკო მარკეტინგის ცნება, მისი კონცეფცია და შემადგენელი ელემენტები

ბანკის მარკეტინგული საქმიანობის საფუძველს შეადგენს მისი საბაზრო შესაძლებლობების ანალიზი, რომელიც, სასესხო კაპიტალის ბაზარზე ადგილის განსაზღვრის მიზნით, მარკეტინგული კვლევების ჩატარებას ითვალისწინებს.

როგორც წესი, ბანკის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ბაზრის შესწავლის ამოცანებს და აღნიშნულის საფუძველზე ახორციელებს მაგალითად, ბაზრის, კონკურენტების, საბანკო პროდუქტების და მომსახურებების შესახებ ინფორმაციების შეგროვებასა და ანალიზს, სტატისტიკის შესწავლას და ა.შ. დასმული

მიზნებიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო სანდოების შერჩევისათვის მარკეტინგული ინფორმაციების არსებული წყაროების ანალიზი ხორციელდება. აღნიშნული კვლევებისათვის შეიძლება მეორადი ინფორმაცია იქნეს გამოყენებული, ანუ მონაცემები, რომლებიც ადრე იყო შეგროვებული და გამზადებული სახით არსებობენ. მოცემულ შემთხვევაში, ბანკის მარკეტინგული განყოფილების თანამშრომლები ირჩევენ წყაროებს, სადაც საჭიროა ინფორმაცია, მაგალითად, სხვადასხვა ცნობარი, სპეციალიზებული ლიტერატურა, პერიოდული ბეჭდვითი საშუალებები, ბანკის შიდა მონაცემები არსებობს. მეორადი ინფორმაციების კორექტირებისათვის ტარდება ღონისძიებები პირველადი მონაცემების მისაღებად. ბანკი საზღვრავს კვლევების ობიექტებს და სუბიექტებს, მონაცემების მოძიების ხერხებს (გამოკითხვა, ექსპერიმენტი ან დაკვირვება), ინფორმაციების შეკრების მეთოდებს (ანკეტები, ზეპირი საუბრები და ა.შ.), მისი მიღების მეთოდებს (ფოსტით, ტელეფონით ან ფაქსით, პირადი კონტაქტით). შემდგომ, მიღებული პირველადი მონაცემების, მათი სისტემატიზაციისა და ბანკისათვის საჭირო მონაცემების შესწავლის მიზნით, ანალიზი ხორციელდება და მუშავდება სხვადასხვა ავტომატიზებული და სტატისტიკური მეთოდის დახმარებით.

ბაზრის შესწავლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას მოთხოვნის შესწავლა წარმოადგენს. დასმულ ამოცანასთან დამოკიდებულებით შეიძლება განისაზღვროს მოთხოვნა პროდუქტებისა და მომსახურებების ცალკეულ სახეობაზე, გარკვეული ბანკის მომსახურებაზე შესწავლილ უნდა იქნეს ცალკეული რეგიონის ან მთლიანად შიდა ბაზრის მოთხოვნა. ბანკის მარკეტინგული განყოფილება არა მარტო შეისწავლის მოთხოვნას ახლანდელ დროში, არამედ მის პროგნოზირებას აკეთებს მომავალში ყველა იმ მიკრო და მაკროგარემოს ფაქტორების გამოკვლევით, რომლებიც მასზე ზემოქმედებენ.

მიკროგარემო, თავისთავად, წარმოადგენს თვით ბანკის შიგნით, ბანკსა და მის კონტრაგენტს შორის, საკონტრაქტო აუდიტორებს, კლიენტებს შორის ურთიერთობების ერთობლიობას. ამრიგად, ბანკის მარკეტინგული განყოფილების თანამშრომლები ითვალისწინებენ საკუთარი სამსახურების განვითარების ტენდენციას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას; შეისწავლიან საბანკო პროდუქტების ანალოგებს, ფასწარმოქმნას და კონკურენტების მიერ მიწოდების მეთოდებს; ახდენენ რეალურ და პოტენციალურ კლიენტებთან ურთიერთობის პროგნოზირებას.

მიკროგარემოს ერთ-ერთ ელემენტს შეადგენენ **კონტაქტური აუდიტორები,** ანუ იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ბაზარზე საკუთარი ქმედებების მეშვეობით ბანკის საქმიანობაზე ახდენენ. მათ შორის საჭიროა გამოიყოს კომპანიები და საწარმოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საზოგადოება, სახელმწიფო დაწესებულებები, საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები და შიდა საკონტაქტო აუდიტორები (ბანკის თანამშრომლები). მოცემული საკონტაქტო აუდიტორების ნაწილი შეიძლება ბანკისადმი კეთილსასურველად იყოს განწყობილი, მეორენი – მისადმი დამოკიდებულებაში გარკვეულ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ, მესამენი – საკუთარი საქმიანობით ბანკის მუშაობაზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდნენ.

საბაზრო მოთხოვნის მდგომარეობაზე და დინამიკაზე ზემოქმედებას ახდენს არა მარტო მიკრო, არამედ **მაკროგარემოც,** ანუ ფაქტორები, რომლებიც ბანკის მოქმედების რეგიონში განსაზღვრავენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ, დემოგრაფიულ სიტუაციას. უმნიშვნელოვანეს **დემოგრაფიულ ფაქტორებს** წარმოადგენს მოსახლეობის რიცხოვნობა, მისი წლოვანებითი და სქესობრივი შემადგენლობა, ბანკის საქმიანობის სფეროს რეგიონის მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილება, ტენდენციები ოჯახების ფორმირებაში. დემოგრაფიული პროცესების ტენდენციების შესწავლით მარკეტინგული განყოფილების თანამშრომლებს შეუძლიათ ბანკის საქმიანობაზე მათი ზემოქმედების პროგნოზირება მოახდინონ, კლიენტებთან მუშაობის პერსპექ-

ტიული მიმართულებები და საბანკო პროდუქციის პრიორიტეტული სახეობები განსაზღვრონ.

ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნებიან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის შემოსავლების დონე და მისი განაწილების სტრუქტურა, ფასების დონე, მოსახლეობის დანაზოგების სიდიდე, ხარჯების სტრუქტურა მოხმარებაზე. მოცემული ფაქტორების ზემოქმედების შესწავლით, ბანკს შეუძლია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე და საბანკო პროდუქციაზე მისი გადახდისუნარიანი **მოთხოვნის** გაგებით, საკუთარი საქმიანობის შედეგების პროგნოზირება მოახდინოს.

სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს წარმოადგენენ მოსახლეობის განათლებულობის დონე, პროფესიონალური შემადგენლობა, საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა. აღნიშნული ფაქტორები ზემოქმედებას ახდენენ ბანკის მიერ მიწოდებადი მომსახურებების სახეობების შერჩევაზე, აგრეთვე, მისი კომუნიკაციური სტრატეგიის განსაზღვრაზე.

საბანკო პროდუქციაზე **მოთხოვნის** მდგომარეობაზე დამოკიდებულებაში ბანკის მარკეტინგული საქმიანობის მიზნები და მიმართულებები იცვლება.

• **ნეგატიური მოთხოვნა** წარმოიშობა, თუ პოტენციალური კლიენტების ყველა ან მნიშვნელოვანი ნაწილი საბანკო პროდუქციის მოცემული სახეობის გამოყენებას თავისთვის მიუღებლად თვლის. მოცემული სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას ორ აბსოლუტურად საპირისპირო სიტუაციაში: თუ ბანკი მოძველებულ მომსახურებებს სთავაზობს და ამ უკანასკნელებისათვის სრულიად ახალი მომსახურებების მიწოდების (შეთავაზებების) შემთხვევაში მათი არსი და სარგებლიანობა მომხმარებლისათვის განმარტებული არ არის. აღნიშნულ სიტუაციაში გამოიყენება **კონსერვატიული მარკეტინგი**, რომლის მიზანია, მისი უპირატესობების განმარტების შემდეგ, პოტენციალურ კლიენტებში საბანკო პროდუქციის მოცემული სახეობისადმი ინტერესის აღძვრა.

• **ნულოვანი მოთხოვნა** ითვალისწინებს სიტუაციას, როდესაც ყველა ან უმეტესი მომხმარებლისა საბანკო მომსახურების მოცემული სახეობისადმი ინტერესს არ ავლენს. აღნიშნული ხორციელდება შემდეგ სიტუაციებში: თუ ბანკის პოტენციალურ კლიენტს არ გააჩნია ინფორმაცია საბანკო მომსახურების მოცემული სახეობის არსებობის შესახებ, მასთან დაკავშირებული სარგებლების შესახებ და მოცემულ ბანკში მისი შეძენის შესაძლებლობების შესახებ; როდესაც მომხმარებელი საბანკო მომსახურების გარკვეულ სახეობას რაღაც მიზეზების გამო თავისთვის მიუღებლად თვლის; თუ მოცემული საბანკო მომსახურება კონკრეტულ რეგიონში გამოყენებას ვერ პოულობს. **მასტიმულებელი მარკეტინგი** ითვალისწინებს სიტუაციიდან გამომდინარე გაყიდვების სტიმულირების შემდგომ გაუმჯობესებას, რეკლამაზე დანახარჯების გადიდებას, ახალი საბაზრო სეგმენტების მოძიებას, ან მოცემული რეგიონის მომხმარებლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მომსახურების მოდიფიკაციას.

• **შემცირებადი მოთხოვნა** არსებობს მისი მოცულობის ახლანდელ პერიოდში შემცირებისას წინა პერიოდთან შედარებით. მოცემულ შემთხვევაში, ბანკი **რემარკეტინგს** იყენებს, რომელიც ითვალისწინებს საბანკო მომსახურებას მოცემულ სახეობაზე მოთხოვნის ასამაღლებლად ახალი შესაძლებლობების მოძიებას: ახალ ბაზრებზე გადაორიენტირებას, ფასის შემცირებას ან მოცემული მომსახურების მომხმარებლამდე დაყვანის ხერხების ცვლილებას.

• **მერყევი მოთხოვნა** დამახასიათებელია სატრანსპორტო და სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის, აგრეთვე, დასვენებისა და გართობის ინდუსტრიისათვის. თუ მოცემული საწარმო ბანკის კლიენტს წარმოადგენს, მაშინ იგი **სინქრომარკეტინგს** გამოიყენებს წარმოების სეზონური რყევების შესუსტებისათვის, გაყიდვებისას კონტრაგენტების დიფერენცირებული შერჩევის მეშვეობით.

• **პოტენციალური მოთხოვნა** საბანკო პროდუქციაზე შეიძლება არსებობდეს უკვე არსებულ მომსახურებებზე არა მარტო მოთ-

ხოვნის ფორმით, არამედ ახლებზეც, ანუ ისინი, რომლებიც ბანკის მიერ ადრე არ იყო შეთავაზებული. პოტენციალური მოთხოვნის დონის რეალურ დონეზე სიჭარბის შემთხვევაში **განვითარებად მარკეტინგს** აქვს ადგილი. ბანკი, რეკლამის გამოყენებით, კლიენტების მომსახურების გაუმჯობესებით, საკუთარ რეალურ და პოტენციალურ კლიენტებს შორის გამოკითხვის ჩატარებით პოტენციალური მოთხოვნის რეალურში გარდაქმნისაკენ მისწრაფებას გამოხატავს. მარკეტინგულ განყოფილებას პოტენციალური მოთხოვნის შესწავლით შეუძლია საბანკო პროდუქციის გარკვეული სახეობის მოდიფიკაცია ან ახალი მომსახურების შექმნა დაიწყოს.

• **ოპტიმალური (სრული) მოთხოვნისათვის** დამახასიათებელია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ტოლობის არსებობა. ბანკი მხარს უჭერს მოცემულ სიტუაციას, ამასთან, პარალელურად, **განვითარებად მარკეტინგს** იყენებს, ანუ საბანკო პროდუქციის ახალ სახეობას ქმნის, თავისთვის ახალ საბაზრო სეგმენტებს პოულობს.

რიგ შემთხვევებში, ბანკი საბანკო პროდუქციაზე მეტად არადამაკმაყოფილებელი მოთხოვნის არსებობისას მიმართავს **დემარკეტინგს**. ასეთი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას გარკვეულ მომსახურებაზე მოთხოვნის სიჭარბისას ბანკის შესაძლებლობებთან შედარებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ფასების ამაღლება, რეკლამაზე დანახარჯების შემცირება, აგრეთვე, პოტენციალური მომხმარებლების მოცემული ბანკის მიერ განხორციელებადი მომსახურების სხვა სახეობაზე გადაორიენტირება.

საბანკო პროდუქციის ოპტიმალური მოცულობის მოსაძიებლად მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის შეფასება ხორციელდება.

• **მიმდინარე მოთხოვნა** განისაზღვრება, როგორც ბაზრის საერთო მოცულობის ნაწილი ან მოცემული საბანკო მომსახურების სხვადასხვა ბაზარზე შეძენის დაჯამების გზა.

• **პერსპექტიული მოთხოვნა** პროგნოზირდება მიკრო და მაკროგარემოს ფაქტორების შესწავლის მეშვეობით, რომლებიც მის მდგომარეობაზე, აგრეთვე, მათი შესაძლო ზემოქმედების შეფასების ხარისხზე ახდენენ გავლენას.

ბაზრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების განსაზღვრის გარდა, ბანკი, მისი საკუთარი საბაზრო სეგმენტის განსაზღვრის მიზნით, მისი სტრუქტურის გამოვლენასაც ახორციელებს. სეგმენტაცია, ბაზრის გარკვეული ნიშან-თვისების შესაბამისად, საბანკო პროდუქციის მომხმარებლების ცალკეულ ჯგუფებად დაყოფის საშუალებას იძლევა, რაც ბანკის ძალისხმევის ცალკე სეგმენტის მომსახურებაზე ყურადღების გამახვილების წინაპირობაა.

საბანკო პრაქტიკაში სეგმენტაცია შესაძლებელია მომხმარებლების ჯგუფებისა და შეთავაზებადი მომსახურებების ხასიათის მიხედვით.

• **სეგმენტაცია მომხმარებლების ჯგუფების მიხედვით.** განასხვავებენ კლიენტების შემდეგ ჯგუფებს: კორპორაციებს, ინდივიდუალურებს, საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს, სამთავრობო დაწესებულებებს. მოცემული ჯგუფებიდან თითოეული, გარკვეული კრიტერიუმების მეშვეობით, დიდი რაოდენობის ვიწრო სეგმენტებად დაიყოფა.

მაგალითად, სხვადასხვა ბაზრის სეგმენტაციაზე ზემოქმედ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოიყოს გეოგრაფიული, ფსიქოლოგიური და დემოგრაფიული.

• **გეოგრაფიული ნიშან-თვისებების მიხედვით,** ბანკის პოტენციალური კლიენტები დაიყოფა საკუთარი თავისებურებების მქონე ამა თუ იმ რეგიონისადმი მიკუთვნებადობასთან დამოკიდებულებაში.

• **ფსიქოლოგიური ფაქტორი** ითვალისწინებს მომხმარებლის ცხოვრების წესის შესწავლის, შეთავაზებულ მომსახურებებზე და მათი გატანის ხერხებზე (კერძოდ, რეკლამაზე) მის რეაქციას.

ასევე, გაითვალისწინება პოტენციალური კლიენტების ქცევის სხვადასხვა ასპექტი, საძიებო სარგებლები, მომსახურების შეძენისათვის საბაბი და მისადმი დამოკიდებულება, საბანკო პროდუქციასთან მიმართებაში ინფორმაციის ფლობა, ბანკის მომსახურებების შეძენის სიხშირე.

• **დემოგრაფიული ნიშან-თვისებების მიხედვით,** სეგმენტაცია ითვალისწინებს პოტენციალური კლიენტების წლოვანებას და სქესს; ოჯახების შემადგენლობას; განათლებას, შემოსავლების დონეს და ა.შ. ბანკები, როგორც წესი, საცალო ბაზრის შემდეგ სეგმენტებს გამოყოფენ: მდიდარი კლიენტები; მაღალი დონის შეძლების მქონეები; სპეციალისტები; მეწარმეები; მუშები და მოსამსახურეები; სტუდენტები და ახალგაზრდობა, პენსიონერები. როგორც წესი, ბანკს საკუთარი ჩამონათვალი გააჩნია კლიენტების ამა თუ იმ ჯგუფზე მისაკუთვნებლად და ბაზრის გარკვეულ სეგმენტს პოტენციალური მომხმარებლების კონკრეტული მოთხოვნები შეესაბამება.

• **ბაზრის პროდუქტიული ნიშან-თვისებების მიხედით სეგმენტაციისას** ხორციელდება რეალური და პოტენციალური კლიენტების რეაქციის ანალიზი ამა თუ იმ მომსახურებაზე. შეიძლება გამოყოფილ იქნეს საბანკო პროდუქტების შემდეგი ჯგუფები: საკრედიტო პროდუქტები და მომსახურებები, დეპოზიტური საანაბრო ოპერაციები, საინვესტიციო ოპერაციები და სხვა მომსახურებები. ამრიგად, ბაზრის შეთავაზებადი მომსახურებების მახასიათებლების მიხედვით დაყოფა ბანკს შესაძლებლობას მისცემს გამოაელინოს ბანკისათვის საბანკო პროდუქციის სახით პრიორიტეტულობაში დაინტერესებული კლიენტები და ჯგუფები. რამდენად უფრო სიღრმისეულად ხორციელდება საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების დაყოფა, იმდენად მეტია მომხმარებლების ჯგუფის შერჩევის შესაძლებლობა, რომლის მომსახურება ყველაზე უფრო ზუსტად პასუხობს ბანკის მიზნებსა და სტრატეგიას.

მომხმარებლების ჯგუფისა და პროდუქტიულობის ნიშან-თვისების მიხედვით სეგმენტაციის გარდა, ბანკის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბაზრის შერჩევა გეოგრაფიული პრინციპისა და, ერთდროულად, საბანკო პროდუქციის მოცემული სახეობისადმი მომხმარებლის დამოკიდებულების შესაბამისად.

ბაზრის სტრუქტურის განსაზღვრის შემდეგ ბანკი თავისთვის მარკეტინგის ამა თუ იმ სტრატეგიას ირჩევს.

• **კონცენტრირებული მარკეტინგი** (სეგმენტაცია) ერთ საბაზრო სეგმენტზე კონცენტრაციას ითვალისწინებს. ამასთან, ბანკმა შეიძლება თავისი ძალისხმევის კონცენტრირება მომხმარებლების ერთი ჯგუფის მომსახურებაზე გააკეთოს. აღნიშნული მეთოდი ყართოდ გამოიყენება ახალი ბაზრების დაუფლებისას. მოცემული სტრატეგიის უპირატესობები მდგომარეობს: კონკურენტების ქმედებებისაგან შედარებით დამოუკიდებლობაში, „საკუთარი" სეგმენტის კლიენტების მოთხოვნილებების ცოდნაში, სარეკლამო კომპანიის მიზანმიმართულობაში, ბანკის შემოსავლების სტაბილურობაში. მის ნაკლოვანებებს შეიძლება მიეკუთვნოს საწყის ეტაპზე ბაზრის მიმზიდველ სეგმენტზე ბრძოლის გადალახვის სირთულე, გარკვეული წრის კლიენტების საჭიროებებზე კონცენტრაცია, რასაც მომსახურებების ზოგიერთ „ერთგვაროვნობამდე" მივყავართ, საბანკო პროდუქციის დამატებითი სახეობების შემუშავების საჭიროება და, შესაძლებლობის მიხედვით, მომხმარებლების მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილება, კლიენტებთან მუდმივი კონტაქტების მხარდაჭერა.

• **დიფერენცირებული მარკეტინგი** (ბაზრის მრავალრიცხოვანი სეგმენტაცია) ითვალისწინებს ბანკის ორ ან მეტ სხვადასხვა საბაზრო სეგმენტზე ორიენტაციას. მოცემული მეთოდის უპირატესობებია: ბაზარზე სიტუაციისადმი სწრაფად შეგუება, მიზნობრივი პოლიტიკის ჩატარების შესაძლებლობა სხვადასხვა კლიენტის შესაძლებლობასთან დამოკიდებულებაში, რომელიღაც სეგმენტში წარუმატებლობისას საკუთარი ყურადღების სწრაფად სხვა

მიმართულებაზე გადატანის შესაძლებლობები. ბაზრის მრავალჯერადად სეგმენტაციის ნაკლოვანებას წარმოადგენს მარკეტინგზე მნიშვნელოვანი დანახარჯები და თითოეული საბაზრო სეგმენტისათვის მუდმივად კონკურენტული ბრძოლა.

• **მასობრივი, ანუ არადიფერენცირებული მარკეტინგი** ითვალისწინებს ყველა საბაზრო სეგმენტისათვის ერთიანი პროგრამის შემუშავებას, ანუ ყველა სამომხმარებლო ჯგუფის კლიენტებისათვის მომსახურებების მოწოდებას. მოცემული მეთოდი გამოიყენება სიტუაციაში, როდესაც საბანკო მომსახურების ბაზარი, პრაქტიკულად, ერთგვაროვანია. არადიფერენცირებული მარკეტინგის უპირატესობებს მიაკუთვნებენ სხვადასხვა სეგმენტიდან ახალი კლიენტების ფართოდ მოზიდვისა და მომსახურების შესაძლებლობას, აგრეთვე, მარკეტინგზე მცირე დანახარჯებს. ნაკლოვანებებს წარმოადგენს: მუდმივი კონკურენტული ბრძოლის არსებობა, ბაზარზე ლიდერის მდგომარეობის მოპოვების სიძნელეები, ყველა მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემძლე ახალი საბანკო პროდუქციის დანერგვის პრობლემები, მცოდნე საბანკო თანამშრომლების შერჩევის სირთულეები.

მარკეტინგული საქმიანობის შემდეგი ეტაპი მდგომარეობს მარკეტინგის კომპლექსის შემუშავებაში: მომსახურებების შემუშავება, ფასწარმოქმნა, საბანკო მომსახურებების გავრცელების მეთოდების და სტიმულირების ღონისძიებების შერჩევა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

• **საბანკო მომსახურებების შემუშავება.** საბანკო პროდუქტის შექმნისა და გამოშვების საფუძველს წარმოადგენს კლიენტების გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ანუ მომხმარებელი იძენს არა პროდუქტს, როგორც ასეთს, რომელსაც თავისებურებების გარკვეული ნაკრები გააჩნია, არამედ მისი კონკრეტული საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამრიგად, ბანკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული საბანკო პროდუქტის შემძენი კლიენტისათვის რეალური სარგებლის მიწოდებას. რაიმე სახის მომსახურების შემუშავებისას, ბანკი მისი თვისებების ნაკრებს საზღვრავს, რაც კლიენტის გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა.

მომსახურებების კომპლექსის დაგეგმვისას ბანკი ითვალისწინებს არა მარტო კლიენტების მოთხოვნებს, არამედ საბანკო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს. თავის განვითარებაში, იგი, როგორც ნებისმიერი საქონელი, ოთხ ეტაპს გადის:

- საბანკო პროდუქტის დანერგვის;
- გასაღების ზრდის სტადიის;
- სიმწიფის სტადიის;
- დაცემის სტადიის.

ბანკის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს „ძველი“ და „ახალი“ საბანკო მომსახურებების ოპტიმალური შეხამების, ანუ უკვე არსებულებსა და ახლადშემუშავებულ საბანკო პროდუქტებს შორის ბალანსის განსაზღვრა.

მომსახურებების კომპლექსის, როგორც ახლების, ასევე, არსებულების დაგეგმვისას ბანკი განსაზღვრავს და აანალიზებს დანახარჯების სტრუქტურას და, შესაბამისად, მათ ფასსაც.

• **ფასწარმოქმნა** წარმოადგენს მარკეტინგის კომპლექსის ელემენტს. ბანკის ფასობრივი სტრატეგიის შემუშავება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება.

უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული პროგრამის საფუძველზე განისაზღვრება ფასწარმოქმნის სტრატეგიის ამოცანები. თითოეული ბანკისათვის პირველხარისხოვანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღება, ბაზარზე ლიდერობის შენარჩუნებით.

ფასობრივი სტრატეგიის შემუშავების **შემდეგ ეტაპს** წარმოადგენს იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ფასების როგორც შიდა, ასევე საგარეო ფაქტორებზეც ზემოქმედებენ. საგარეო ფაქტორებს მიეკუთვნება: მოცემულ საბაზრო სეგმენტებში საბანკო პროდუქტის მოცემულ სახეობაზე რეალური და პროგნოზირებადი მოთხოვნის დონე და მისი ელასტიურობა, რესურსების

არსებობა, ინფლაციის დონე, კონკურენციის არსებობა, კონკურენტების ფასები. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება მომსახურების გაწევაზე დანახარჯები, საბანკო პროდუქტების ხარისხი, მომსახურებების სისწრაფე და ხარისხი.

მესამე ეტაპზე ბანკი საზღვრავს ფასწარმოქმნის მეთოდებს, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს: ფასის დადგენა დანახარჯების დაჯამების გზით მოცემული მომსახურების და საჭირო მოგების მიღების განხორციელებაზე; ფასის გაანგარიშება უზარალობის წერტილის საფუძველზე და მიზნობრივი მოგების უზრუნველყოფაზე; ფასის განსაზღვრა მოცემული საბანკო პროდუქტის სამომხმარებლო ხარისხის შეფასების საფუძველზე და ა.შ.

• **საბანკო მომსახურებების განაწილების მეთოდი** მარკეტინგის კომპლექსის კიდევ ერთი ელემენტია. ბანკისათვის ტრადიციულს წარმოადგენს კლიენტისათვის მომსახურებების მიწოდება საბანკო ოპერაციების მეშვეობით. მათ შორის, საჭიროა გამოიყოს **უნივერსალურები,** ანუ განყოფილებები, რომლებიც ყველა ან თითქმის ყველა საბანკო მომსახურებას ახორციელებენ და **სპეციალიზებულები**, ანუ განყოფილებები, რომლებიც საბანკო მომსახურებებში გარკვეულ სახეობებზე სპეციალიზდებიან. საბანკო პროდუქტების განაწილების ახალ მეთოდებს შორის საჭიროა აღინიშნოს: ანგარიშსწორების განვითარება უშუალოდ გაყიდვის პუნქტებში პლასტიკური ბარათებისა და საბანკო ჩეკების მეშვეობით, ავტომატიზებული სალაროს მანქანების გამოყენება, საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად ოფისიდან კორპორაციული კლიენტებისათვის ან სახლიდან საცალო ბაზრის კლიენტებისათვის კომპიუტერების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც ბანკის ქსელთანაა მიერთებული.

საბანკო პროდუქტების გავრცობის ძირითადი მეთოდია პერსონალური გაყიდვა, რომლის პროცესში ბანკის მენეჯერებმა უნდა დაარწმუნონ პოტენციალური მყიდველები, რომ მათ უპირატესობა სწორედ მათ პროდუქტს ან მომსახურებას მიანიჭონ.

• **სტიმულირების სისტემა** (კომუნიკაციური სტრატეგია) წარმოადგენს მარკეტინგის კომპლექსის შემდეგ ელემენტს. ბანკი დაინტერესებულია რეალური და პოტენციალური კლიენტების, სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტისა და საკონტაქტო აუდიტორიის თვალში საკუთარი პროდუქტების კეთილსასურველი იმიჯის შექმნაში და მხარდაჭერაში. აღნიშნულის გათვალისწინებით სტიმულირების კომპლექსი შემდეგ ელემენტებს მოიცავს: გასაღების უშუალო სტიმულირებას, საზოგადოების ფართო წრის თვალში ბანკის კეთილსასურველობის სახით შექმნასა და რეკლამებს.

• **მარკეტინგული ინფორმაცია.** ანალიტიკური მუშაობის ჩასატარებლად ბანკები ქმნიან მარკეტინგული ინფორმაციის გარკვეულ სისტემას: ანალიტიკურ აპარატს, მოწყობილობას, მარკეტინგული სტრატეგიის დახვეწის მიზნით, მისი გამოყენებისათვის კონკრეტული და უტყუარი ინფორმაციის მოკრების, კლასიფიცირების, შეფასებისა და გავრცობისათვის გათვალისწინებულ მეთოდურ მაგალითებს. ბაზრის გაფართოებასთან მიმართებაში მუშაობისათვის იქმნება მარკეტინგული ინფორმაციის ბანკი. მარკეტინგის დაგეგმვის სისტემა პრინციპში, თავისთავში, მოიცავს გრძელვადიან გეგმებს, რომლებიც ბანკის განვითარების სტრატეგიას ასახავენ (5-10 წლის ვადით), საშუალოვადიანებს (1-5 წლის) და მოკლევადიანებს (1 წლამდე ვადით).

მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაციის ხერხზე ზემოქმედებენ გარე და შიდა ფაქტორები. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნებიან: საბანკო-საწესდებო კაპიტალის სიდიდე, კლიენტურის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სტრუქტურა, მარკეტინგული საქმიანობისადმი ბანკისა და მისი მუშაკების დამოკიდებულება.

მარკეტინგი ბანკში შეიძლება იყოს:


◆ ბანკის საქმიანობის რომელიღაც ორგანიზაციული მიმართულების ნაწილი;

◆ კომერციული ბანკის საქმიანობის დამოუკიდებელი მიმართულება;


◆ ბანკის ძირითადი ფუნქციებიდან ერთ-ერთი;

◆ საბანკო დაწესებულების მთლიანი საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ინსტრუმენტი.

აღნიშნულზე დამოკიდებულებაში მარკეტინგის ორგანიზაციის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. ბანკის დონეზე მარკეტინგული მუშაობის აგების ერთიანი სქემა არ არსებობს. საქმიანობის შინაარსის კონკრეტული ფორმები, მისი მიმართულებები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ბანკის სიდიდისაგან, მისი სპეციალიზაციისაგან და იმ საგარეო პირობებისაგან, რომლებშიც მუშაობს იგი (ნახ. 13.1, 13.2.). თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკები, მაგალითად, მხოლოდ მარკეტინგის ზოგიერთ ელემენტს იყენებენ. მაგრამ იმისათვის, რომ ბაზარზე სრულფასოვნად იფუნქციონირო, მარკეტინგის მთლიან სისტემაზე დაყრდნობა, სპეციალური სამსახურების, განყოფილებების შექმნა არის საჭირო, რომლებიც შეიმუშავებენ მარკეტინგული საქმიანობის პროგრამებსა და გეგმებს, მოამზადებენ კადრებს აღნიშნული მუშაობისათვის და, რა თქმა უნდა, უცხოეთის გამოცდილებასაც გამოიყენებენ იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სინჯებისა და შეცდომების ძვირადღირებული მეთოდები.



ნახაზი 13.1. მარკეტინგის სამსახურის ფუნქციონალური ორგანიზაცია



ნახაზი 132. მარკეტინგის სამსახურის მართვის სტრუქტურა

საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაცია, თავისთავად, წარმოადგენს იმ ბანკების საქმიანობის მნიშვნელოვან ეტაპს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქმიანობენ. ბანკის პოლიტიკის და, უპირველეს ყოვლისა, მისი ხელმძღვანელობის მიზნებია – ბაზრის დაუფლების გზით კლიენტურის მოზიდვა და გაფართოება და, ასეთი საშუალებით, მოგების მიღება და გადიდება. ამიტომ ბანკის საქმიანობის მარკეტინგის სფეროში დიდი მნიშვნელობა გააჩნია კაპიტალის ბაზარზე მზარდი კონკურენციისა და ბანკებსა და კლიენტურას შორის ურთიერთობების მუდმივად ცვალებადობის გამო.

თავისი არსით **საბანკო მარკეტინგი** არის არა მარტო პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაცია, არამედ გარკვეული ფილოსოფია და სტრატეგია, რომლებიც შეუძლებელია მიღწეულ იქნეს წინასწარი მომზადების, სიღრმისეულად გააზრებისა და ანალიზის, ასევე, ბანკის მრავალი განყოფილების, როგორც ბანკის მმართველობის, ასევე, პერსონალის ქვედა რგოლების ჩართვით ინტენსიური მუშაობის გარეშე.

საბანკო მარკეტინგის სტრატეგია ითვალისწინებს არა მარტო საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას, არამედ საკუთარი კლიენტების მოთხოვნების მეტი ხარისხით გათვალისწინებასაც. ადნიშნულთან დაკავშირებით, საბანკო მარკეტინგი ითვალისწინებს ბაზრის ძირფესვიანად შესწავლას, ცვალებადი მიდრეკილებების ანალიზს და საბანკო მომსახურებების მომხმარებლების გემოვნებასაც. რამდენადაც ბანკი, მისი პერსონალის სახით უმაღლესიდან ქვედა რგოლამდე, წარმოადგენს საბანკო და ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების გამყიდველს, ამიტომ კლიენტთან ურთიერთობის პროცესში მნიშვნელოვანია მოძიებულ იქნეს მომსახურების კონკრეტული ფორმები, აგრეთვე, ამა თუ იმ შენაძენის საჭიროებაში და სარგებლიანობაში ბანკმა უნდა დაარწმუნოს კლიენტი.

თანამედროვე პირობებში, როგორც უცხოეთის ქვეყნების საბანკო პრაქტიკამ დაგვანახა, თანამედროვე მარკეტინგმა და მისმა ფილოსოფიამ საკმაოდ არსებითად შეცვალეს ბანკისა და მისი კლიენტურის ურთიერთობები – ბანკებმა დაიწყეს ორიენტირება და მუშაობენ კლიენტების კონკრეტულ ჯგუფებთან, სადაც შედიან, როგორც წესი, კორპორაციული სექტორი, მცირე ბიზნესი, სხვადასხვა ფიზიკური პირი (სტუდენტები, პენსიონერები, ოჯახური წყვილები და ა.შ.).

ბანკების მიერ საკუთარი საქმიანობის გადახედვის საჭიროების ერთ-ერთი მიზეზი გახდა კონკურენციის გაძლიერება როგორც ცალკეულ კომერციულ ბანკს შორის, ასევე, მათ და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს შორისაც. კონკურენციის

მეთოდების ორი ძირითადი ჯგუფი არსებობს. **ფასობრივი კონკურენცია** გვთავაზობს ბანკის დანახარჯების შემცირებას და ფასების შემცირებას მიწოდებადი მომსახურებების ხარისხისა და ასორტიმენტის ცვლილების გარეშე. **არაფასობრივი კონკურენცია** გვთავაზობს ახალი მომსახურებების დამუშავებას იმავე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მომსახურებების გაუმჯობესებას, მოთხოვნის შესწავლას და საბანკო პროდუქტების შექმნას ადრე არარსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, დამხმარე მომსახურებების განსახორციელებლად, საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაცვლელად და ა.შ.

მიუხედავად კომერციული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის მკაცრი დაცალკავებისა აშშ-ში (გლასს-სტიგალის კანონი, 1933 წ.), კომერციული ბანკები გადიან კომერციული დაკრედიტების საზღვრებიდან. „ჩეიზ მანჰეტენმა“ პირველმა კომერციულ ბანკებს შორის შექმნა საინვესტიციო ფილიალი, აგრეთვე, სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტის ფილიალები.

უმჯობესდებოდა სახსრების მოზიდვის ხერხები. ასე, მაგალითად, ამერიკულმა კომერციულმა ბანკებმა ფულადი ბაზრის დეპოზიტური ანგარიშების (MMDAs - Money Market Deposit Accaunt) გამოყენება დაიწყეს, რომლებიც, თავისთავად, საშემნახველო დაბანდების ახალ სახეობას წარმოადგენენ. ასეთი სახის ადრე არსებული მომსახურებისაგან განსხვავებით, პროცენტის ნორმა მათზე კორექტირდება ყოველდღიურად ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკიდებულებით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგის თეორიის შესწავლის აუცილებლობა, საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით მისი დამუშავება და გამოყენება ამერიკის შეერთებული შტატების კომერციულ ბანკებში გამოწვეული იყო: ოპერაციის შემოსავლიანობის შემცირებით; ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებზე სწრაფად რეაგირების საჭიროებით; საბანკო პროდუქტების ახალი სახეობების გამოგონებითა და ათვისებით; მკაცრი

კონკურენციით როგორც ცალკეულ კომერციულ ბანკს შორის, ასევე, ბანკებსა და დანარჩენ ფინანსურ ინსტიტუტებს შორისაც.

თანამედროვე მარკეტინგის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს კლიენტის რეალური მოთხოვნებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის აუცილებლობა. თუ ამა თუ იმ მომსახურებაზე საკმარისი რეალური მოთხოვნა არ არის, მაშინ ისინი კლიენტისთვის არ უნდა იქნეს შეთავაზებული, უფრო მეტიც, მომხმარებლებისთვის დაძალებული. საქმე იმაშია, რომ ეგრეთწოდებულმა **დაძალების ტაქტიკამ** (high pressure selling) შეიძლება ბანკის ოპერაციის ბრუნვის ზრდის ფორმით მხოლოდ დროებითი პოზიციური ეფექტი მოგვცეს, მაგრამ, ჯამში, შეუძლია ხელი შეუწყოს უარყოფით პროცესებს: კლიენტების დაკარგვამდე და, საბოლოო ჯამში, მოგების დაკარგვამდეც მიგვიყვანოს.

საბანკო მარკეტინგის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ახალი კლიენტების მოზიდვა, რომლებიც ადრე მოცემული ბანკის მომსახურებას არ იყენებდნენ. თანამედროვე პირობებში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობა საბანკო ოპერაციებით მოსახლეობის მიახლოებით 80%-ს მოიცავს. მათ გააჩნიათ მიმდინარე და საშემნახველო ანგარიშები, საკრედიტო ბარათები და სხვა საბანკო ინსტრუმენტები. ამიტომ იქ საბანკო მარკეტინგის მიზანია უკვე არსებული კლიენტებისათვის ახალი მომსახურებების შეთავაზება.

საბოლოო ჯამში, საბანკო მარკეტინგი განისაზღვრება როგორც ყველაზე უფრო სარგებლიანი და მხოლოდ კლიენტურის რეალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებებს, არსებულებისა და, ასევე, ახალი ბაზრების მოძიება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბანკო მარკეტინგმა უნდა წარმოადგინოს ბანკის მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, მათი მიღწევის გზებისა და ხერხების შექმნის, აგრეთვე, საკუთარი მოსაზრებებისა და პროგნოზირების რეალიზაციისათვის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებაზე მიმართული წინადადებები. სწორედ ამიტომ, საბანკო მარკეტინგისათვის მეტად

მნიშვნელოვანია ბაზრის სტრუქტურის სწორად განსაზღვრა და მისი კლიენტების მოთხოვნების ცალკეულ თავისებურ ნიშნად სეგმენტაცია, რომლებიც სხვადასხვა ახალი მომსახურებების მიწოდების გზით შეიძლება იქნეს შევსებული.

13.3. ბანკის მარკეტინგული პოლიტიკა და ბაზრის სეგმენტაცია

საბანკო ბაზრის სეგმენტაცია არის ბანკის მიერ გარკვეული სახეობის მომსახურებების შეთავაზება, რომლებიც მოსახლეობისა და იურიდიული პირების, რომელიღაც კონკრეტული ჯგუფებისათვის სარგებლის მიღებას ითვალისწინებენ. ბანკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საკუთარი კლიენტებისათვის მიზნობრივი ბაზრები იქნეს განსაზღვრული.

აღნიშნულთან დაკავშირებით, განასხვავებენ მარკეტინგის სტრატეგიის ორ ტიპს, რომლებიც საბანკო კლიენტურას შორის მიზნობრივი ბაზრების მოძიებასთან არიან დაკავშირებულები:

- ბანკი შეიძლება საკუთარი პროდუქტებიდან ან მომსახურებებიდან მოქმედებდეს, ანუ მომსახურებების სახეობა განსაზღვროს და მის ხელთარსებული ინფორმაციების ბაზაზე დაადგინოს, თუ რომელ კლიენტებს ესაჭიროებათ იგი;
- გადაჯგუარებული გაყიდვის მეთოდის გამოყენება – როდესაც რაიმე სახის მომსახურების რეალიზაციისას ბანკი კლიენტს სთავაზობს ახალს. ამ შემთხვევაში ბანკისათვის მნიშვნელოვანია გამოავლინოს, თუ რომელ მიზნობრივ ბაზრებს მიეკუთვნება მოცემული კლიენტი და როგორი მომსახურებები შეიძლება მასზე იქნეს შეთავაზებული.

ბაზრის სეგმენტაცია მოითხოვს გარკვეული პირობების შესრულებას:

- სეგმენტარული სივრცე საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რომ ბაზარზე ახალი მომსახურებების გადატანასთან მიმართებაში გაამართლოს ხარჯები;

- ბანკის აქტივობაზე მიზნობრივი ბაზრისათვის შერჩეული კლიენტურის მხრიდან რეაქცია სხვა სეგმენტების რეაქციისაგან არსებითად უნდა განსხვავდებოდეს.

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, სეგმენტაციას ახორციელებენ სხვადასხვა ნიშან-თვისებების მიხედვით: დემოგრაფიულების, ეკონომიკურების და სხვა.

მაგალითად, მოქცევითობის სეგმენტაციას პიროვნებების ანგარიშების მიხედვით ოპერაციების მდგომარეობისა და მოცულობის შესწავლის საფუძველზე ახორციელებენ. ასე, მაგალითად, საფრანგეთის ბანკების მიერ მოსახლეობის კლასიფიცირება შემდეგი სახით ხორციელდება: 1. ადამიანები, რომლებიც დღევანდელი დღით ცხოვრობენ; 2. ავანტიურისტები; 3. უტილიტარისტები, პასიურები თავიანთ ქცევებში, მაგრამ მატერიალური ფასეულობებისადმი პატივისცემით მომჯერობლები; 4. პირები, რომლებიც გარემოებების ცენტრში ყოფნისაკენ მიისწრაფიან.

კლიენტურის ასაკობრივად დაყოფა „სასიცოცხლო ციკლის“ (life-cycle concept) ცნებით განისაზღვრება, რომელიც ბანკს კლიენტების საერთო მასივში მიზნობრივი ბაზრების გამოვლენის შესაძლებლობას უქმნის. აღნიშნული მასივი შეიძლება ჯგუფებად იქნეს დაყოფილი (ცხრ. 13.1.).

რაც შეეხება საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების კლიენტების სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაზე მიბმას, იგი შემდეგი სახით გამოიყურება (ცხრ. 13.2.).

სასიცოცხლო ციკლის ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა, ისევე, როგორც კლიენტის ცხოვრებაში სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, მათთვის საბანკო პროდუქტების ახალი სახეობების შეთავაზებებისათვის შესაბამის პირობებს ქმნიან. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: სკოლის დამთავრება, უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსის დასრულება, ქორწინება, გაყრა, ბინის ან სახლის შეძენა (არენდა), შვილების დაბადება, სამსახურებრივი ამაღლება, საცხოვრებელი ადგილმდებარეობის შეცვლა, კაპიტალის (მემკვი-

დრეობით, ანდერძით) მიღება, პენსიაზე გასვლა, ერო-ერთი მეუღლის გარდაცვალება.

ცხრილი 13.1

ბანკის კლიენტების სეგმენტაცია ასაკობრივი ნიშან-თვისებების მიხედვით

ჯგუფები	სასიცოცხლო ციკლისათვის დამახასიათებელი ნიშნები
ახალგაზრდობა	სტუდენტები; პირები, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა; მოზრდილები, რომლებიც ქორწინებისათვის ემზადებიან.
ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც ოჯახები უკვე შექმნილი აქვთ	ადამიანები, რომლებიც ყიდულობენ სახლებს და ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო ნივთებს (პირველად); ადამიანები კარიერის მჭიდრები, მაგრამ შეზღუდული ფინანსების მფლობელები. ამოცანა – საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ოჯახის ფინანსური დაცულობის უზრუნველყოფა, შვილებისათვის განათლების მიცემა.
"მომწიფებული ასაკის" პირები	შეიჩნევა შემოსავლის ზრდა ფინანსური ვალდებულებების შემცირების შესაბამისად. მიზანი-სადაზღვევო და საპენსიო უზრუნველყოფის დაგეგმვა.
ადამიანები, რომლებიც პენსიაზე გასვლისათვის ემზადებიან	გააჩნიათ დაგროვილი კაპიტალი, მიისწრაფიან მისი შენარჩუნებისაკენ და ნამდვილი მდგრადი შემოსავლის უზრუნველყოფისაკენ.

სეგმენტაცია, ისევე, როგორც ადამიანების ცხოვრებაში მსხვილი გარემოებების გათვალისწინებაც, ბანკს ახალი მიზნობრივი ბაზრების (ნიშნების) მოძიების და ასეთი სახით საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, სეგმენტაცია ბაზარზე საქმიანობის ახალი და პერსპექტიული სფეროს გამოყოფაში ეხმარება და რესურსების უფრო რენტაბელურ ოპერაციებში მიმართვის საშუალებას იძლევა.

ცხრილი 13.2.

საბანკო პროდუქტები და მომსახურებები კლიენტების სხვადასხვა კატეგორიისათვის

ჯგუფები	საბანკო მომსახურებები
ახალგაზრდობა (ადნობრული ჯგუფი ხასიათდება ამალლებული მობილურობით, ხშირი მგზავრობით, სახლის გარეთ ცხოვრებით)	ფულის გადარიცხვა, მოკლევადიანი სესხები, შედარებითი მარტივი ფორმის ანაბრები, საბანკო მომსახურება ტურიზმთან მიმართებაში.
ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც ოჯახები უკვე შექმნილი აქვთ	ერთობლივი საბანკო ანგარიში ქმარი და ცოლისათვის, საკრედიტო ბარათები, მიზნობრივი ფორმები დანაზოგების და მომსახურებები ოჯახის ფინანსურ დაცვასთან (დაზღვევა და ა.შ.) მიმართებაში
ოჯახები „სტაჟით"	სამომხმარებლო კრედიტი ნივთებისათვის, იპოთეკური კრედიტი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, საშემნახველო სქემები მშობლებისა და შვილებისათვის, კონსულტაციები – დაფინანსების, განათლების, დანაზოგების ინვესტირების, გადასახადებით დაბეგვრის, დაზღვევის, საანდერძო განკარგულებების საკითხების მიხედვით
„მომწიფებული ასაკის" პირები და რომლებიც პენსიაზე გასვლისათვის ემზადებიან (საბანკო კლიენტების ყველაზე მდგრადი ჯგუფი	მსხვილი დანაზოგები ანგარიშებზე საჭიროებენ პერსონალური მომსახურებების მაღალ დონეს, ფინანსური კონსულტაციების ჩათვლით, კაპიტალის განკარგვაში დახმარებას, საანდერძო განკარგვას და ა.შ.

საბანკო მარკეტინგის მოქმედების სფერო იურიდიული პირების (საქმიანი ფირმები, კორპორაციები, კომპანიები) პირების ბაზარ-

ზეც ვრცელდება. აღნიშნული ბაზარი უფრო ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, რამდენადაც აქ მასიური მიდგომა არაეფექტურია. როგორც წესი, კომპანიები, ფირმები შეიძლება განვასხვავოთ სიდიდის მიხედვით და ამისათვის გამოვიყენოთ გაყიდვების მოცულობა, სავაჭრო ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა, სარეზერვო კაპიტალი, აქტივების მოცულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ფირმები შეიძლება დაიყოს მცირე, საშუალო და მსხვილებად. ბანკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, ფირმის სამეწარმეო საქმიანობის ხასიათს. მაგალითად, მცირე სავაჭრო ბრუნვა და საწარმოს დიდი პერსონალი; დიდი ბრუნვა და ფერმერული მეურნეობის მუშაკების მცირე რიცხოვნობა.

ბანკის ერთ-ერთი ნაბიჯია საწარმოებისა და კომპანიების დიფერენციაცია (იხ. ცხრ. 13.3.)

მარკეტინგული სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ რეკლამა და საბანკო პროდუქტების ბაზარზე გატანა. რეკლამის ძირითადი ამოცანაა, დემონსტრირება მოახდინოს კლიენტთან მიმართებაში იმ სარგებლობაზე, რომელსაც იგი მიიღებს მოცემულ ბანკზე მომსახურების ნდობის გამოცხადებისას.


მარკეტინგული კვლევები ბანკების საქმიანობის ორგანულ ნაწილად იქცა და ისინი მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს, რამდენადაც ინფორმაციის მხოლოდ უწყვეტად განახლება იძლევა წარმოდგენას ბაზარზე და საბანკო პროდუქტებისა და მოსახურებების მომხმარებლებზე, მათი ზემოქმედების ღონისძიებებისა და დინამიკის მოსალოდნელი და რეალური შედეგების, აგრეთვე, სარეკლამო საქმიანობის ეფექტურად მართვის შესაძლებლობის შესახებ.

ცხრილი 13.3.

საქმიანი საწარმოების სეგმენტაცია სავაჭრო ბრუნვისა და საქმიანობის სფეროების სიდიდის მიხედვით

ჯგუფები	დამახასიათებელი თავისებურებები
მცირე ფირმები:	ოჯახური საწარმოები შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობებით. ადმინისტრაციული პერსონალის არარსებობა. საქმიანობის სფერო ტერიტორიით არის შეზღუდული. კომერციული წარმატება დაკავშირებულია ერთეული საკანძო ფიგურის პოლიტიკასთან. ფინანსური ექსპერტიზა ბანკის საბჭოთი ან დიპლომირებული ბუღალტრებით არის შეზღუდული.
საშუალო ფირმები: ◆ მომსახურების სფერო	მუშაკების დიდი რაოდენობა. ოპერაციის განსაფართოებლად დაფინანსების გრძელვადიანი წყაროს საჭიროება.
◆ საცალო ვაჭრობის სფერო	მუშაკების დიდი რაოდენობა. ბუღალტრული და საანგარიშო მუშაობის, აგრეთვე, ნაღდ ფულთან ოპერაციების დიდი მოცულობა.
◆ გადამამუშავებელი და სამეწარმეო მრეწველობის სფერო	დაფინანსების პრობლემები. შენობების საჭიროება.
მსხვილი ფირმები (კორპორაციები): ◆ საცალო ვაჭრობა	ორიენტაცია ეკონომიკაზე და ბაზრობის დაუფლებაზე. ფილიალის ქსელების არსებობა და რეკლიზაციისა და ადმინისტრაციული კონტროლის მიხედვით მნიშვნელოვანი რაოდენობის პერსონალი.
◆ გადამამუშავებელი, სამეწარმეო მრეწველობა	შენობებში და მოწყობილობებში კაპიტალდაბანდებების დიდი მოთხოვნილება. ახალი საქონლის დანერგვისა და ბაზრების ათვისებისაკენ მისწრაფება.
◆ სოფლის მეურნეობა	წარმოების სპეციალიზაციის მაღალი დონე. სეზონური პრობლემები ნაღდ ფულთან მიმართებაში. კაპიტალის შედარებით დაბალი უკუგება.

თანამედროვე პირობებში ბანკები მარკეტინგის ისეთ სისტემას იყენებენ, რომელიც, თავისთავად, მისი ელემენტების შემადგენლების მჭიდრო ურთიერთკავშირს წარმოადგენს (ნახ. 13.3.).



ნახაზი 13.3. საბანკო მარკეტინგის სქემა

ელემენტებიდან თითოეული თავისთავში მოიცავს სამუშაოს მთელ კომპლექსს, რომელიც მიღებული მონაცემების შესწავლაზე, დამუშავებასა და გამოყენებაზეა მიმართული.

- **ინფორმაციის შეგროვების** მიზანი საბანკო მარეკტინგის სისტემის პირველი ელემენტია. იგი მდგომარეობს მოცემული კომერციული ბანკის რეალური (სამომავლო და პოტენციალური) ბაზრის განსაზღვრაში, ამ ბაზრის მოთხოვნილებისა და მოლოდინების ასახვაში. მარკეტინგული კვლევის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ბაზრის ანალიზი, ბაზარზე დაკვირვება, ბაზრის პროგნოზირება.

- **პროდუქტის, მომსახურებების, ფასების შემუშავება** საბანკო მარკეტინგის სისტემის მეორე ელემენტია. იგი ითვალისწინებს გასაყიდი პროდუქტების, მომსახურებებისა და მათი ფასების ხასიათის შესწავლას. ფასის განსასაზღვრად საჭიროა ვიცოდეთ ბაზარზე მისი ფორმირების კანონზომიერებები, რომლებიც საბანკო მომსახურების სახეობით განისაზღვრება. თანამედროვე პირობებში, ტრადიციულებთან ერთად (საკრედიტო, საოპერაციო მომ-

სახურებები), განვითარება მიიღეს ისეთმა მომსახურებებმაც, როგორებიცაა: ლიზინგური, ფაქტორინგული, სატრასტო და სხვები. აღნიშნული სახეობებიდან თითოეულს ფასების საკუთარი გაანგარიშების მეთოდიკა გააჩნია.

მაგალითად, კრედიტზე **სახელშეკრულებო პროცენტი** (ფასი საკრედიტო მომსახურებაზე) ჩამოყალიბებულია სამი ელემენტისაგან: **ძირითადი პროდუქტი** პლუს **სახელშეკრულებო დანამატი** მინუს **სახელშეკრულებო გამოქვითვა. ძირითადი პროცენტი** არის საკრედიტო რესურსების საშუალო ფასი, მოცემული კომერციული ბანკისათვის. იგი დამოკიდებულია ოფიციალურ ან საადრიცხვო საპროცენტო განაკვეთზე, პროცენტის დონეზე ბანკთაშორისი კრედიტის მიხედვით და პროცენტებზე, რომლებიც ანაბრებზე დაირიცხება. ამასთან, რესურსების რეალური ფასი განსხვავდება საბაზროებისაგან, რომელიც კორექტირდება სავალდებულო რეზერვების ნორმატივზე:

$$\text{საკრედიტო რესურსების რეალური ფასი} = \frac{\text{რესურსების საშუალოშეწონილი საბაზრო ფასი}}{\text{საკრედიტო რესურსების რეგულირების 100-ფონდში ანარიცხის ნორმა}} \times 100$$

ეკონომიკური სიტუაციის გარდა, კრედიტზე გადასახადის განსაზღვრისას დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: სახსრების მოზიდვის დანახარჯები; რისკის ხარისხი; სესხის დაფარვის ვადა; სესხის გაფორმებისა და კონტროლის ხარჯები; სახსრების მიღების კონკურირებადი წყაროების განაკვეთები, მათ შორის, სხვა ბანკების განაკვეთები; ბანკსა და მსესხებელს შორის ურთიერთობების ხასიათი; მოგების ნორმა, რომელიც შეიძლება სახსრების სხვა აქტივებში ინვესტირებისას იქნეს მიღებული.

თანამედროვე პირობებში ბანკები მარკეტინგის შემდეგ სისტემას იყენებენ: ინფორმაციის შეგროვება ბაზრის გაფართოების

მიზნით; პროდუქციისა და მომსახურების დამუშავება და მათი ფასის განსაზღვრა; მომსახურების გასაღების ორგანიზაცია.

ინფორმაციის შეგროვების მიზანი მდგომარეობს მოცემული კომერციული ბანკის რეალური ბაზრის განსაზღვრაში, აღნიშნული ბაზრის მოთხოვნებისა და მოლოდინის შესწავლაში. მარკეტინგული კვლევის ძირითად ელემენტებს ბაზრის ანალიზი, ბაზრებზე დაკვირვება, ბაზრის პროგნოზირება წარმოადგენენ.

პროდუქტის, მომსახურების, ფასების დამუშავება საბანკო მარკეტინგის სისტემის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც გასაყიდი პროდუქტების მომსახურებისა და ფასის ხასიათის შესწავლას ითვალისწინებს. ფასის განსაზღვრისათვის ბაზარზე მისი ფორმირების კანონზომიერებების ცოდნა არის საჭირო, რომლებიც საბანკო მომსახურებების სახეობით განისაზღვრება. თანამედროვე პირობებში საქართველოში ტრადიციულებთან ერთად (საკრედიტო, საოპერაციო მომსახურებები) განვითარება მიიღეს ისეთმა მომსახურებებმაც, როგორებიცაა: ლიზინგური, ფაქტორინგული, სატრასტო და სხვა. აღნიშნული სახეობებიდან თითოეულს ფასების გაანგარიშების თავისი საკუთარი მეთოდიკა გააჩნია.

მაგალითად **სახელშეკრულებო პროცენტი კრედიტზე** (ფასი საკრედიტო მომსახურებაზე) ყალიბდება შემდეგი სამი ელემენტისაგან: ძირითადი პროცენტი პლუს სახელშეკრულებო დანამატი, მინუს სახელშეკრულებო ფასდაკლება. ძირითადი პროცენტი არის მოცემული კომერციული ბანკისათვის საკრედიტო რესურსების საშუალო ფასი. იგი დამოკიდებულია ოფიციალურ ან სააღრიცხვო საპროცენტო განაკვეთზე, ბანკთაშორისი კრედიტების მიხედვით პროცენტის დონეზე და ანაბრების მიხედვით დარიცხვად პროცენტებზე. ამასთან, რესურსების რეალური ფასი განსხვავდება საბაზროსაგან, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს სავალდებულო რეზერვების ნორმატივზე კორექტირებული:

$$\text{საკრედიტო რესურსების რეალური ფასი} = \frac{\text{რესურსების საშუალოშეწონილი საბაზრო ფასი}}{100 - \text{საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდში სავალდებულო ნორმა}} \times 100.$$

კრედიტის მიხედვით რეალური განაკვეთების დინამიკა დამოკიდებულია არა მარტო ნომინალურ განაკვეთზე, არამედ დოლარის კურსისა და ინფლაციის ტემპების მიმდინარე დინამიკაზეც.

საოპერაციო მომსახურების ღირებულების დადგენის საფუძველში მათი შრომატევადობაა ჩადებული. ბანკის ოპერაცია (მაგალითად, ნაღდი ფულის გაცემასთან, გადახდის გადარიცხვასთან მიმართებაში) დაიყოფა განყოფილებების შესაბამის ფაზებზე, რომელსაც იგი ეხება. საოპერაციო განყოფილებაში საერთო დროით დანახარჯებიდან დროის დანახარჯების წილი მოცემულ ოპერაციაზე მრავლდება განყოფილების ადმინისტრაციული სამეურნეო ხარჯების სიდიდეზე. აღნიშნული წარმოებულის თანხები, მოცემული ოპერაციის მიხედვით, პირდაპირ ხარჯებს შეადგენენ. პირდაპირი ხარჯების, ირიბი დანახარჯებისა და მოგების ერთობლიობა შეადგენს მოცემული საოპერაციო მომსახურების ფასს. იგი შეიძლება გაზრდილ იქნეს საანგარიშსწორებო ოპერაციაში საკრედიტო რესურსებისა და ბანკისათვის გარკვეული არსებული რისკის ღირებულებების ჩართვის გამო.

საკომისიო ლიზინგური მომსახურება დამოკიდებულია იმაზე, ბანკი გამოდის არენდატორის თუ შუამავლის როლში. ბანკების მიერ ლიზინგური კომპანიების შექმნის მაგალითებიც არსებობს. ბანკები დაინტერესებულები არიან ლიზინგში, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში საუბარი მიდის არა ფულად, არამედ სასაქონლო კრედიტის შესახებ, რაც, არსებითად, ამაღლებს საკრედიტო ოპერაციის საიმედობას: ფული ხომ ყოველთვის შეიძლება არამიზნობრივად იქნეს გამოყენებული.

ლიზინგზე გადასახადი დამოკიდებულია ფაქტორების ერთობლიობაზე, რომელთა შორისაა: ლიზინგური ოპერაციების მიხედვით შემოსავლების გადასახადებით დაბეგვრის განაკვეთი, ამორტიზაციული ანარიცხები არენდირებული ქონების ღირებულებიდან, ლიზინგური კომპანიებისათვის კრედიტებზე გადასახადი და საკუთარი ლიზინგური მარჟა. მოცემული ფაქტორების თანაფარდობა შეიძლება იყოს ასეთი: ლიზინგური მარჟა – 45%, გადასახადები – 20%, ამორტიზაცია – 20%, კრედიტზე ლიზინგური კომპანიის გადასახადი – 15%.

ბანკის მომსახურების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **ფაქტორინგულ ოპერაციებს.** ფაქტორინგული მომსახურების ფასი განისაზღვრება მათი შრომატევადობით, აგრეთვე, ბანკის რისკით. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მიმწოდებლის – ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობაზე (ფაქტორინგი ბრუნვით) ან გადამხდელის კრედიტუნარიანობაზე (ფაქტორინგი ბრუნვის გარეშე). საკომისიო განისაზღვრება პროცენტებში თანხიდან, რომელიც საანგარიშსწორებო საკუთებაშია მითითებული. გარდა ამისა, კლიენტებისაგან დებიტორული ანგარიშების ყიდვისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სქემა: ბანკი ღებულობს ჯილდოს საკომისიოების სახით მომსახურებაზე პლუს სასესხო პროცენტი კლიენტისათვის ავანსის სახით გადახდილი ყოველდღიური ნაშთიდან. პროცენტი აიღება ავანსის გაცემის დღიდან დავალიანების დაფარვის დღემდე. საკომისიოები, ჩვეულებრივ, შეადგენენ 1-2%-ს შეძენილი ანგარიშების საერთო ღირებულებიდან და დამოკიდებული არიან კლიენტის სავაჭრო ბრუნვაზე, რისკის ხარისხზე და საჭირო სამუშაოს მოცულობაზე.

ბანკის ნდობითი (სტრასტო) მომსახურებები შეიძლება ფასიან ქაღალდებთან, დეპოზიტურ ოპერაციებთან და ქონების მართვასთან იყოს დაკავშირებული. ამ საქმიანობაზე ბანკები საკომისიო გასამრჯელოს ღებულობენ, რომელიც შეიძლება საკანონმდებლო წესითაც იყოს დადგენილი (მაგალითად, საანდერძო ქონების მართვისას). მაგრამ, უმეტეს შემთხვევებში, გასამრჯელოს სიდიდე

განისაზღვრება სახელშეკრულებო საწყისებზე. ეს გონივრულია, რადგანაც სამუშაოს მოცულობა საკმაოდ განსხვავებულია, ეს კი ართულებს ან შეუძლებელსაც კი ხდის გასამრჯელოს განაკვეთების კანონმდებლურად დადგენის შესაძლებლობას.

საკომისიო გასამრჯელო შეიძლება კლიენტის არჩევანის შედეგად შემდეგი ორი სქემით განისაზღვროს: პროცენტი თანხიდან, რომელსაც გადასცემს კლიენტი (1-4%), ან შედგენილი საკომისიო – ნაწილი თანხიდან (მიახლოებით 2%-მდე) და ნაწილი შემოსავლიდან (10%-ის ფარგლებში).

• **მომსახურების გასაღებითი ორგანიზაცია** მარკეტინგის მესამე შემადგენელი ნაწილია და იგი ბანკს ორიენტირებას უკეთებს საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების გასაღებითი პირობების შესწავლაზე. ასეთ პირობებს მიეკუთვნებიან: სწორი გადაწყვეტილების მიღება ბანკის განყოფილებებისა და ფილიალების განთავსების შესახებ, საკრედიტო დაწესებულების ტიპის შერჩევა, ბანკის შიდა აგებულება, პერსონალის უფლებამოვალეობები და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მარკეტინგი საბანკო სფეროში მიმართულია: საკრედიტო რესურსების ბაზრის შესწავლაზე, კლიენტების ფინანსური მდგომარეობის ანალიზზე და ამ ბაზაზე მოთხოვნის პროგნოზირებაზე, ბანკში ანაბრების მოზიდვაზე და ბაზარზე ბანკის პერსპექტიული სტრატეგიული ქცევის ფორმირებაზე. თუმცა საბანკო სფეროში მარკეტინგი, ასევე, განპირობებულია არა მარტო იმით, რომ იგი ფულადი რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფით საბანკო საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშემწყობია, არამედ ფულადი ბრუნვის სპეციფიკითაც, რომელიც მთლიანად საბანკო საქმიანობის ობიექტსაც წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საბანკო სფეროში მარკეტინგმა უნდა უზრუნველყოს, უპირველეს ყოვლისა, ბანკის მომსახურებებზე მოთხოვნის კვლავწარმოება და ფულადი ბრუნვის დაჩქარება. პრაქტიკულ გავრცობას აღნიშნული ბანკების მიერ

მეურნეობაში უნაღდო ანგარიშსწორებების განხორციელებაში პოულობს.

საბანკო სფეროში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინტეგრირებული მარკეტინგი, რომელიც მიმართულია არა მარტო მეანაბრეების წრის გაფართოებაზე, არამედ მათი მომსახურების ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებაზე. მარკეტინგის სპეციფიკა საბანკო სფეროში იმაში მდგომარეობს, რომ კომერციული ბანკები დაინტერესებულები არიან არა მარტო ანაბრების მოზიდვაში, არამედ მოზიდული სახსრების აქტიურ გამოყენებაშიც სხვადასხვა საწარმოს, ორგანიზაციისა და მოსახლეობის დაკრედიტების მეშვეობით. მარკეტინგის მიზნები ამ ორ სფეროში სხვადასხვაა: პირველში – კლიენტების მეანაბრეების სახით მოზიდვა ბანკში, მეორეში – ბანკის მსხვილი რესურსები მიმართოს (დააბანდოს) იმ საწარმოებში და ორგანიზაციებში, რომლებიც მათ ყველაზე უფრო ეფექტიანად გამოიყენებენ.

საბოლოო ჯამში, საბანკო მარკეტინგი ერთიანი მთლიანი შემოსავლების და დროებით გამოთავისუფლებული ფულადი სახსრების რაციონალურად გამოყენების განხორციელებისკენაა მიმართული.

მარკეტინგის ორგანიზაციის საფუძველში ჩადებულია შემდეგი პრინციპები:

- ბანკის ყველა რგოლისა და მისი აპარატის მიმართულობა გარკვეული მარკეტინგული მიზნების მისაღწევად;
- ბანკში მარკეტინგის კომპლექსური ორგანიზაცია (ანალიზი, დაგეგმვა, პროგნოზირება);
- მიმდინარე და მომავალი დაგეგმვის თავსებადობა;
- მარკეტინგის სფეროში აპარატის შემოქმედებითად აქტიურობის სტიმულირება;
- მარკეტინგის სფეროში მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება;

- მარკეტინგულ გადაწყვეტილებებზე კონტროლის უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მარკეტინგის სფეროში ძირითადი ამოცანები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- ბანკის რენტაბელური მუშაობის უზრუნველყოფა ფულადი ბაზრის მუდმივად ცვალებად პირობებში;
- ბანკის ლიკვიდობის გარანტირება კრედიტორებისა და მეანაბრეების ინტერესების დაცვის, ბანკის საზოგადოებრივი იმიჯის მხარდაჭერის მიზნით;
- კლიენტების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება ბანკის მიერ განხორციელებადი მოცულობის, სტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის მიხედვით, რაც საქმიანი ურთიერთობების მდგრადობისათვის ქმნის პირობებს;
- ბანკის კოლექტივის კომერციული, ორგანიზაციული და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა.

საბანკო მარკეტინგის მნიშვნელოვანი თავისებურება დაკავშირებულია იმასთან, რომ ბანკების საქმიანობა აქტიურად რეგულირდება სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური კანონებისა და სავალდებულო ნორმატივების მეშვეობით, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებების ლიკვიდობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული.

საბანკო მარკეტინგის საკვანძო ამოცანას, ასევე, წარმოადგენს ბაზრის კვლევა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის სეგმენტაციას. ბაზრის სეგმენტაციის საფუძველში ჩადებულია საბანკო მომსახურებების ხასიათი (საკრედიტო, სპეციალურები, საინვესტიციოები და სხვა) და კლიენტურული ნიშან-თვისება (იურიდიული და ფიზიკური პირები, ბანკები-კორესპონდენტები, სახელმწიფო ორგანოები).

საკლიენტო ბაზარში, ჩვეულებრივ, გამოიყოფა ხუთი სეგმენტი:

1. იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც მესაკუთრეებს ან უძრავ ქონებასთან მიმართებაში ოპერაციების განმხორციელებლებს წარმოადგენენ;
2. კორპორაციები, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები;
3. ინსტიტუციონალური ბაზარი;
4. სამთავრობო ბაზარი;
5. იურიდიული და ფიზიკური პირები ნდობითი მომსახურებების მიმართულების მიხედვით.

13.4. საბანკო მარკეტინგის ძირითადი მეთოდები და პრაქტიკა ბანკებში

ბანკის მარკეტინგი არის მისი შიდა და საგარეო სტრატეგია, პოლიტიკა და ტაქტიკა, რომლებიც წყვეტენ შემდეგ საკუთარ ამოცანებს. ეს ამოცანებია: ბანკის იმიჯის მხარდაჭერა, კლიენტთან ურთიერთობა, მოცემული ბანკის მომსახურების გამოყენებისას კლიენტისათვის უპირატესობების უზრუნველყოფა სხვა საკრედიტო და არასაბანკო დაწესებულებების მომსახურებებთან შედარებით, აქციონერებზე დივიდენდების გადახდის უზრუნველყოფა.

საბანკო **იმიჯი** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბანკო მარკეტინგში და იგი ბანკის მიერ საკუთარ თავთან მიმართებაში კლიენტებისა და საზოგადოების წინაშე წინასწარი დადებითი წარმოდგენის შექმნის საფუძველია. მისი ფორმირება ხდება არა მარტო ბანკის თანამშრომლების კომპეტენტურობის დონის გაცნობის პროცესში, არამედ ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ მანამ, სანამ კლიენტი მოვა ბანკში. პირველ რიგში, შეიძლება დასახელებულ იქნეს ვიზუალური მხარე, რომელიც საზოგადოების ან შესაძლო კლიენტების გონებაში შთამბეჭდავად უნდა ადიქმებოდეს.

უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს, რომელიც საკუთარი თავისა და კონკურენტების მკვეთრად და უშეცდომოდ დაყოფის შესაძლებლობას იძლევა, წარმოადგენს **ფერის** შერჩევა, რომელიც ყველა

სარეკლამო მასალაზე, საბანკო ბლანკზე და ფორმულარებზე უნდა იყოს. ფერი პოზიტიურ ზემოქმედებას უნდა ახდენდეს და ბანკთან და მის სახელწოდებასთან ასოცირებას უნდა ამკვიდრებდეს. ფერის გარდა, სხვა უმნიშვნელოვანესი საიდენტიფიკაციო საშუალებაა ბანკის **ლოგოტიპი.** უკვე თვით მისი დიზაინი წარმოდგენას უნდა ქმნიდეს ბანკის ხასიათის შესახებ, ბანკი არის კონსერვატიული თუ მოდერნისტული, პროგრესიული, ღია, განვითარებადი. ასევე, უმნიშვნელოვანესია **დევიზი,** მაგალითად: **„თითოეულ წამი გამოვიყენოთ კლიენტების შემოსავლებისათვის“,** კარგად უნდა დაამახსოვრდეს ყველას. დევიზი უნდა იყოს მოკლე და გამომეტყველური, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ კლიენტს როგორ ღებულობენ ბანკში, ეს იქნება ტელეფონით საუბარში თუ საბანკო ფანჯარასთან.

კლიენტთან სწორად შერჩეული ურთიერთობა საბანკო მარკეტინგის აუცილებელი შემადგენელია. კლიენტურასთან ურთიერთობის ხერხის მიხედვით მარკეტინგი შეიძლება იყოს: **აქტიური მარკეტინგი** – პირდაპარი მარკეტინგი, ირიბი მარკეტინგი, მოსახლეობის ფართო ჯგუფის გამოკითხვა, განვითარების დღეებისა და კონფერენციების ჩატარება, პოტენციალურ კლიენტთან პერსონალური ურთიერთობა; **პასიურ მარკეტინგს** მიეკუთვნება – ბანკის მდგომარეობის, მისი მომსახურებების განსაზღვრიდან სარგებლის შესახებ პრესაში პუბლიკაცია და ა.შ.

კლიენტთან ურთიერთობის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოცემული კომერციული ბანკის უპირატესობებს, დამატებითი მომსახურებების შეთავაზების შესაძლებლობას. თუმცა, არანაირი დამატებითი მომსახურებები ვერ უშველის, თუ ბანკის საქმიანობა არ იქნება რენტაბელური, თუ აქციონერები პირობა-მიცემულ დივიდენდებს არ ღებულობენ, თუ კლიენტები თავის მომსახურე ბანკს საიმედობის რეიტინგის მიხედვით ჩამონათვლებს შორის ბოლო ადგილზე ხედავენ. ბანკის რენტაბელობის უზრუნველყოფა მარკეტინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა,

რომლის გადაწყვეტა ბანკს მისი ოპერაციების მიხედვით კლიენტისათვის შემოსავლიანობის გარანტირების, კვალიფიციური დახმარებისა და მომსახურებების თავისდროულად მიწოდების საშუალებას აძლევს.

რეკლამა არის საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების წარმოჩენასთან მიმართებაში მოქმედებები და იგი რთული ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემაა. ბანკის საუკეთესო რეკლამაა მისი კარგი ბალანსი. რეკლამის არსი მიზანმიმართულ შეტყობინებამდე უნდა იქნეს დაყვანილი: **საჭირო რეკლამა** უნდა მოხვდეს **საჭირო საინფორმაციო საშუალებაში.** რეკლამა, როგორც პროცესი, ითვალისწინებს ოთხ შემადგენელს: რეკლამამიმცემები, სარეკლამო სააგენტოები, რეკლამის მეთოდები (საშუალებები), მომხმარებლები.

საბანკო რეკლამის მეთოდების მახასიათებლებია: სარეკლამო პუბლიკაციების პირდაპირი გავრცელება, სატელევიზიო რეკლამა, რადიო, პრესა, გარე რეკლამა.

ბანკისათვის რეკლამის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების შერჩევის კრიტერიუმებია: ინფორმაციული რეკლამა, შეგონებითი რეკლამა, დამამახსოვრებელი რეკლამა.

საბანკო მარკეტინგის ფორმირების პრობლემაზე განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ. საბჭოთა პერიოდში, საქართველოში, ბანკები დარგობრივი, სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკების სახით ფუნქციონირებდნენ, კომერციული ბანკების ჩამოყალიბება-სრულყოფა ქვეყანაში 1995 წლიდან დაიწყო შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფით. ეს გახლდათ: თვით კომერციული ბანკების ინტენსიური ორგანიზაცია, სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების შექმნა, საწარმოების აქციონირება – პრივატიზაცია, ფასების ლიბერალიზაციის პროცესი, საწარმოების დამოუკიდებლობის გაზრდა. ამ პირობებში საბანკო მარკეტინგი რეალურ ობიექტურობად იქცა და თანდათანობით კომერციულ ბანკებში დაიწყო დანერგვა. საბანკო მარკეტინგის განსაკუთრებულობა გახდა უცხოური გამოცდილების გამოყენება, რომელიც

იურიდიული და ფიზიკური პირების დანაზოგების მოზიდვის გზით ოპოზიტური ანაბრების გაფართოებაზე იყო მიმართული.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საბანკო მარკეტინგის მოდელი თავიდან საკმაოდ პრიმიტიულს წარმოადგენდა, რამდენადაც იგი ბანკებში ფულადი რესურსების მოზიდვასთან მიმართებაში ბაზრის სეზონურულ და სიდრმისეულ შესწავლასთან არ იყო დაკავშირებული. ბოლო წლების განმავლობაში მარკეტინგის მთავარ ელემენტს, ძირითადად, დეპოზიტების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების მანიპულაცია წარმოადგენს.

რაც შეეხება საკრედიტო რესურსების გაცემას, აქ საბანკო მარკეტინგი, ძირითადად, საშუამავლო (ე.წ. სპეკულაციური) ოპერაციების დაბანდებას ახორციელებს. კრედიტების დაბანდებების მიხედვით მარკეტინგული ბაზრის ერთადერთი მიმართულება იყო მაღალი პროცენტით დაბანდებული ფულის სწრაფად დაბრუნების მისწრაფება. როგორც წესი, ბანკები სრულად ვერ იყენებდნენ მარკეტინგის საერთოდ მიღებულ მსოფლიო მეთოდებს, რომლებიც დაკავშირებული იყო საკრედიტო დაბანდებებთან მრეწველობაში და ეკონომიკის სხვა სფეროებში.

საქართველოს კომერციულ ბანკებში მარკეტინგის ეფექტური სისტემის გამოუყენებლობის ობიექტურ მიზეზებს (სუბიექტური მიზეზები საკმაოდ ცნობილია – საანაბრო პირამიდა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ჰიპერინფლაცია, ანაბრების გაუფასურება და, საბოლოოდ, მათი მესაკუთრეებისათვის დაუბრუნებლობა) წარმოადგენს: ეკონომიკაში ინვესტირების მიმართულებით აქტიური ოპერაციების გაფართოების დამუხრუჭება სესხების დაუბრუნებლობის დიდი რისკის შედეგად; პრივატიზაციის მეორე ეტაპმა ფასიანი ქაღალდების, განსაკუთრებით, აქციების დიდი რაოდენობის ემისიამდე მიგვიყვანა და ბანკები ვერ უმკლავდებოდნენ საფონდო ბირჟებზე აქციების, ობლიგაციებისა და სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების მოდინებას. აღნიშნული იმასთანაც იყო დაკავშირებული, რომ საფონდო

ბირჟები აგრძელებდნენ პირველადი და მეორადი ბაზრების როლის ერთდროულად შესრულებას, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არაეფექტური საბანკო მარკეტინგის საფუძველში დევს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. საბანკო მარკეტინგული სტრატეგია და პოლიტიკა შენდებოდა მთავარი ელემენტის – ბაზრის გულმოდგინე შესწავლისა და მისი კლიენტების მიხედვით მიზნობრივ ერთგვაროვან ბაზრებზე სეგმენტაციის გზით დაყოფის გარეშე. ბაზრის ასეთ ეფექტურ სეგმენტაციას კომერციული ბანკები არ ახორციელებდნენ არც ფიზიკურ პირებთან მიმართებაში – სხვადასხვა წლოვანებითი ჯგუფების გამოყოფის გზით, რომელთაგან თითოეულს სპეციფიკური მოთხოვნილებები გააჩნია, არც იურიდიული პირებთან მიმართებაში – სამეწარმეო საქმიანობის ხასიათისა და ბრუნვის მოცულობის მიხედვით. შედეგად, ბანკები აგრძელებდნენ მუშაობას კლიენტურის საერთო მასასთან, მათზე საკუთარი მომსახურებების დაძალებით და არა თავიანთი კლიენტების რეალური მოთხოვნებიდან გამომდინარე.

13.5. მარკეტინგის ფინანსები: ფასობრივი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები

ფინანსური მენეჯმენტი, შეიძლება ითქვას, საწარმოს **მარკეტინგულ ფუნქციასთან** მჭიდროდ არის დაკავშირებული, ფასობრივი გადაწყვეტილებების სიბრძნე, ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე სწორი ორიენტაცია, საქონლის დანერგვასთან მიმართებაში ინტენსიური ძალისხმევა, რეალიზაციაზე კონტროლი და **მარკეტინგული პოლიტიკის თავისდროული კორექცია** ხომ საწარმოს ფინანსური წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს.


ფასობრივი და სხვა დანარჩენი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად საწარმოს, პირველ რიგში, მის საქონელზე (მომსახურებაზე) **მოთხოვნის** შესახებ ინფორმაცია სჭირდება. აღნიშნული ინფორმაციის ეფექტიანობაში დარწმუნება **მარკეტინგზე** დამატებითი დანახარჯების განხორციელების გზით წარმოებისა და გასაღებითი

პროცესების გაზრდისაგან მოსალოდნელი დამატებითი ამონაგების სხვადასხვა ვარიანტის შედარებისას არის შესაძლებელი.


მარკეტინგული კვლევების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტებს წარმოადგენენ **საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები.**

შევეცადოთ პირობითი მაგალითის მეშვეობით დავადგინოთ **მოთხოვნის (მთ)** სიდიდის დამოკიდებულება **რეალიზაციის ფასისაგან (ფს)** და ავაგოთ მოთხოვნის მრუდი (იხ. ნახ. 13.4):

ერთ ცალ საქონელზე 800 ლარის ფასის მიხედვით მყიდველს პოულობს სულ 100 ერთეული საქონელი, ხოლო ფასის შემცირება 600 ლარამდე ზრდის მოთხოვნას 200 ერთეულამდე. მაგრამ ვინ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას? მწარმოებელი (გამყიდველი). ამიტომ. ბაზრის ანალიზის განხორციელება მიწოდების მრუდის აგების გარეშე შეუძლებელია (იხ. ნახ. 13.5), რომელიც მიუთითებს, თუ რამდენი საქონელი და რა ფასებით შეიძლება მწარმოებელმა მიაწოდოს. ასე მაგალითად, ერთ ცალზე 100 ლარის ფასის მიხედვით მეწარმე სთავაზობს 100 ერთეულის საქონელს, 400 ლარის ფასით – 300 ერთეულს, ხოლო 800 ლარის ფასით, უკვე – 500 ერთეულს. აღნიშნული გასაკვირი არ არის, მაღალი ფასი ხომ მწარმოებელს პროდუქციის გამოშვების გაზრდისაკენ უბიძგებს.



ნახაზი 13.4. მოთხოვნის მრუდი



ნახაზი 13.5. მიწოდების მრუდი

ამრიგად, ჩვენ გვაქვს ორი მრუდი, რომელიც ბაზარზე მყიდველებისა და გამყიდველების ქცევას გამოხატავენ. ნათელია, რომ **ოპტიმალური ვარიანტი – მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეების ტოლობაა და ისინი ჩვენი მრუდების გადაკვეთის წერტილში იქნებიან ტოლები** (ნახ. 13.6.). მოთხოვნისა და მიწოდების აღნიშვნები:

ფს. – საქონლის ფასი;

რდ. – რაოდენობა საქონლის ერთეულის;

მთ. – მოთხოვნის მრუდი;

მწ. – მიწოდების მრუდი;


მთ'. – მოთხოვნის მრუდი შემოსავლების ზრდის შემთხვევაში;

წნ. – წონასწორობის წერტილი;

წნ'. – ახალი წონასწორობის წერტილი;

წნფს. – წონასწორობის ფასი;

წნფს'. – ახალი წონასწორობის ფასი.



ნახაზი 13.6. მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა

წონასწორობის წერტილი შეესაბამება: ერთ ცალზე 400 ლარის ნაკეთობის ფასს. ასეთ ფასს **წონასწორობის ფასს (წნფს.)** უწოდებენ:

• **წონასწორობის ფასი** მყიდველის მოთხოვნის რაციონალიზირებას ახდენს მასზე ინფორმაციის გადაცემით იმის შესახებ, თუ მოცემული საქონლის მოხმარების რა მოცულობაზე შეუძლია მას იმედი ჰქონდეს;

• **წონასწორობის ფასი** კარნახობს მწარმოებელს (გამყიდველს), თუ რა რაოდენობის საქონელი უნდა დაამზადოს მან და მიაწოდოს ბაზარზე;

• **წონასწორობის ფასი,** თავისთავში, მთლიან ინფორმაციას მოიცავს, რომელიც მწარმოებლისათვის და მომხმარებლებისათვის არის აუცილებელი: წონასწორობის ფასის ცვლილება წარმოადგენს მათთვის წარმოების (მოხმარების) გადიდებისაკენ (შემცირებისაკენ) ნიშანს, ახალი ტექნოლოგიების მოძიებისაკენ სტიმულს.

ამრიგად, წონასწორობის ფასი წარმოების ავტომატურად რეგულირებისათვის სრულად წარმატებულ ბერკეტს წარმოადგენს. დღეს ქვეყნის ბაზარი, გარკვეული კატეგორიის იურიდიული და ფიზიკური პირების შემოსავლების გადიდების შედეგად, ხასიათდება მოთხოვნის მრუდის მუდმივად გადაადგილებით ზევით. შესაბამისად, წონასწორობის ფასიც იმატებს (ნახ. 13.6).

მოთხოვნის მრუდის ზევით გადაადგილებაზე, ასევე, მოქმედებს მყიდველების ქცევები ფასების ზრდის მოლოდინში – ინფლაციური მოლოდინის ფაქტორი. თუ, მაგალითად, მარილის ფასის გადიდება არის მოსალოდნელი, მაშინ ბუნებრივია გავიზიაროთ, რომ მარილზე მოთხოვნა გაიზრდება. უნდა აღინიშნოს მეორე ფაქტორიც, რომელიც ზემოქმედებს მოთხოვნის მრუდის სიმაღლეზე: მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება, გემოვნებებისა და უპირატესობების შეცვლა, პოლიტიკური და ბუნებრივი რყევები და ა.შ.

რით ხელმძღვანელობს მყიდველი?

აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემისას ეკონომიკური მეცნიერება ეფუძნება შემდეგ ძირითად დებულებებს:

1. მომხმარებელი მიისწრაფის თავის შეზღუდულ შემოსავალზე, საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო დიდი დაკმაყოფილება – მაქსიმალური **სუბიექტური სარგებელი** მიიღოს.

2. სუბიექტური სარგებელი მომხმარებლისათვის მოცემული საქონლის თითოეულ შემდგომ ნაყიდ ერთეულს მოაქვს თითოეული საქონლის წინა ერთეულის მიერ მოტანილ სუბიექტურ სარგებელზე. ამასთან, საერთო სარგებლიანობა სულ უფრო და უფრო ნელა იზრდება. **ჯამური სუბიექტური სარგებლიანობის ნაზარდს თითოეული ახალი საქონლის ერთეულის მოხმარებისას ზღვრულ სარგებლიანობას უწოდებენ.**

ნებისმიერი საქონლის პირველი „პორციის“ მოხმარებისას, ჩვეულებრივ, ვღებულობთ მაქსიმალურ დაკმაყოფილებას („ნახევარი სამყარო ცხენზე“!). მაგრამ იმის შესაბამისად, თუ როგორ მოიხმარება იმავე საქონლის სულ ახალი და ახალი „პორციები“, მომხმარებელი აღნიშნული საქონლით გაჯერებული ხდება და ფსიქოლოგიური შესაძლებლობა მისი სარგებლიანობის შეფასებისადმი სუსტდება, ანუ საქონლის მოხმარების საერთო (ჯამური) სარგებლიანობა სულ უფრო და უფრო ნელი ტემპებით იზრდება. აღნიშნული ციფრებით ილუსტრირებული მდგომარეობა ცხრილ 13.4.-შია წარმოდგენილი.

ცხრილი 13.4.

ზღვრული სარგებლიანობის შემცირებადობა

მოხმარებადი საქონლის რაოდენობა, პირ.ერთ.	საერთო (ჯამური) სარგებლიანობა, ნაზარდი ჯამით, ლარებში	ზღვრული სარგებლიანობა, ლარებში
1	2	3
0	0	
1	400	400–0=400
2	700	700–400=300
3	900	900–700=200
4	1000	1000–900=100
5	1000	1000–1000=0

მოცემული ცხრილის პირველ სვეტში მოხმარებული საქონლის მზარდი რაოდენობის შესახებ მონაცემებია მოყვანილი. მეორე სვეტი მიუთითებს, რომ მისაღები ჯამური სარგებლიანობა იზრდება, მაგრამ შენელებული ტემპებით. მესამე სვეტში ზღვრული სარგებლიანობაა, ანუ საერთო სარგებლიანობის ნაზარდია წარმოდგენილი, რომელიც საქონლის თითოეული ახალი „პორციის“ მოხმარებისას წარმოიშობა. შეამჩნიეთ ალბათ, რომ ზღვრული სარგებლიანობა კლებულობს (მცირდება).

მთავარი კითხვაა: **წარმოებადი (რეალიზებადი) საქონლის რა რაოდენობისას და როგორი ფასისას მოგება იქნება მაქსიმალური?** ვიმოქმედოთ პრინციპით „ყოველივე გენიალური მარტივია“. მოგება გავიანგარიშოთ როგორც რეალიზაციიდან ამონაგების მეტობა ჯამურ დანახარჯებზე. ამისათვის განვიხილოთ მონაცემები, რომლებიც 13.5. ცხრილშია მოტანილი, სადაც მითითებულია, რომ რეალიზაციის საუკეთესო ფიზიკური მოცულობაა საქონლის ექვსი პირობითი ერთეული ფასით – 840 ლარი ერთეულზე. არც ერთი სხვა ვარიანტისას მეწარმე ვერ ღებულობს ასეთ მაღალ – 1040 ლარის მოგებას.

შევეცადოთ ვიმსჯელოთ ზღვრული სარგებლიანობის თეორიის შესაბამისად. შევადაროთ ზღვრული ამონაგები (ვერტიკალური სვეტი 6) ზღვრულ დანახარჯებთან (ვერტიკალური სვეტი 7). მანამ, სანამ წარმოების ზრდასთან ერთად ზღვრული ამონაგები აჭარბებს ზღვრულ დანახარჯებს, მოგება იზრდება და აზრი აქვს უზარალო პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ისეთ მოცულობამდე გადიდებას, რომლის ზღვრული (დამატებითი) ერთეულები უმოგებო გახდება. მაგრამ როგორც კი ზღვრული დანახარჯები ზღვრულ ამონაგებზე მეტი გახდება, პროდუქციის გამოშვების შემცირების დაწყება იქნება მიზანშეწონილი.

თუ ცხრილურ მონაცემებს ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მოგება იზრდება მანამ, სანამ ზღვრული დანახარჯები მცირდება. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ზღვრული დანახარჯები იწყებენ ზრდას, მოგება კიდევ გარკვეული დროით

აგრძელებს ზრდას, სანამ ზღვრული დანახარჯები არ გადააჭარბებს ზღვრულ ამონაგებს. მაშინ როდესაც აღნიშნული მოხდება, მოგება დაიწყებს კლებას თითოეული დამატებითი საქონლის ერთეულის გამოშვებისას.

შეიძლება გავიმეოროთ უმნიშვნელოვანესი წესი: მწარმოებლის ყველაზე მაღალ მოგებას უზრუნველყოფს გამოშვების ისეთი მოცულობა და ისეთი ფასი, რომელთა დროს ზღვრული დანახარჯები მაქსიმალურად მიახლოებულია ზღვრულ ამონაგებთან ან მისი ტოლია. აღნიშნული ვარიანტი მოუტანს მეწარმეს **ყველაზე უფრო მაღალ სუბიექტურ სარგებელს: მაქსიმუმ მოგებას.**

საბანკო მარკეტინგი არის ბანკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის ბაზარზე მიმდინარე პროცესების აღრიცხვას და შესწავლას როგორც მთლიანობაში, ასევე, მის ცალკეულ ქვედანაყოფში – საბანკო სფეროში, საკრედიტო სისტემაში, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შესაბამისი საბანკო გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. ამიტომ კაპიტალის ბაზარზე საბანკო მარკეტინგის მთავარი ამოცანა მდგომარეობს მიმდინარე პროცესების შესწავლაში მის ორ ძირითად ელემენტში: უშუალოდ **საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების** მოქმედების სფეროში, განსაკუთრებით, **საბანკო სფეროში** და **ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.** პირველადი ბაზრის, მეორადის (საფონდო ბირჟა) და არასაბირჟოს (ეგრეთწოდებული ქუჩური ბაზარი) ჩათვლით.

საბანკო მარკეტინგი საბანკო ხელმძღვანელობისათვის საჭიროა იმისათვის, რომ შესაბამისი მოქნილი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საბანკო საქმიანობის გაფართოებისკენ და, შესაბამისად, მოგების გადიდებისკენ იქნება მიმართული. საბანკო მარკეტინგის მიზანი მდგომარეობს კაპიტალის ბაზრის მოთხოვნების ხელშეწყობისათვის საჭირო პირობების შექმნაში, ბაზრის შესწავლასთან მიმართებაში ღონისძიებების სისტემის შემუშავებაში, შემოსავლების გასადიდებლად კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ცხრილი 13.5.

მოგების გაანგარიშების ვარიანტები

გასაყიდი საქონლის რაოდენობა, ერთ.	ფასი, ლარებში	ამონაგები რეალიზაციიდან, ლარებში	ჯამური დანახარჯები, ლარებში	მოგება, ლარებში	ზღვრული ამონაგები რეალიზაციიდან, ლარებში	ზღვრული დანახარჯები, ლარებში	ზღვრულ ამონაგებსა და ზღვრულ დანახარჯებს შორის სხვაობა, ლარებში
1	2	3	4	5	6	7	8
0	1440	0	2560	0-2560= -2560	0	0	0
1	1340	1340x1=1340	3200	1340-3200= -1860	1340-0=1340	3200-2560=640	1340-640=700
2	1240	1240x2=2480	3400	2480-3400= -920	2480-1340=1140	3400-3200=200	1140-200=940
3	1140	1140x3=3420	3550	3420-3550= -130	3420-2480=940	3550-3400=150	940-150=790
4	1040	1040x4=4160	3680	4160-3680=+480	4160-3420=740	3680-3550=130	740-130=610
5	940	940x5=4700	3810	4700-3810=+890	4700-4160=540	3810-3680=130	540-130=410
6	**840**	**840x6=5040**	**4000**	**5040-4000=1040**	**5040-4700=340**	**4000-3810=190**	**340-190=150**
7	740	740x7=5180	4310	5120-5180= -60	5180-5040=140	4310-4000=310	140-310=-170
8	640	640x8=4860	4800	5120-4800=+320	5120-5180= -60	4800-4310=490	-60-490=-550
9	540	540x9=1340	5530	4860-5530= -670	4860-5120= -260	5530-4800=730	-260-730=-990

მარკეტინგის საკრედიტო სფეროში **ძირითადი ფუნქციები** შემდეგზე დაიყვანება: მოთხოვნის შესწავლა კაპიტალის ბაზარზე და მის ცალკეულ ქვედანაყოფში, სადაც ბანკს ინტერესი გააჩნია; მსესხებლების კრედიტუნარიანობის ანალიზი; საპროცენტო პოლიტიკის ანალიზი და შესწავლა; რეკლამა; ბანკის პასივებისა და აქტივების გაფართოება; საბანკო საქმიანობის დაგეგმვის სისტემის შემუშავება; პერსონალის ბაზართან მიმართებაში მართვა; კლიენტების მომსახურების ორგანიზაცია.

• როგორც წესი, ბანკი **კაპიტალის ბაზრის ანალიზის, მისი მოცულობის ცვლილების, სამომხმარებლო ჩვევების შესწავლის, სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინების, ტერიტორიის საფუძველზე** ადგენს პროგრამას სახსრების მოზიდვასთან (ანაბრების, დეპოზიტების) და კრედიტებისა და სესხების გაცემასთან დაკავშირებით. ბანკმა უნდა განსაზღვროს კონკურენტული ბრძოლის სტრატეგიის საერთო პრინციპები და გასაღების ბაზრის დაუფლების კონკრეტული ხერხები. ასეთი სახის ოპერატიული სტრატეგია ბანკის ყველა ქვედანაყოფზე ვრცელდება.

აღნიშნულ პირობებში ისმება ბანკის საქმიანობის ინტენსიფიკაციის ამოცანა – რეკლამის, დამატებითი მომსახურების სისტემის განვითარების, საკუთარ კლიენტებზე სხვადასხვა შეღავათისა და პრემიების დაწესების, „პაბლიკ რილეინშენის“ ანუ ბანკის და მისი საქმიანობის შესახებ კეთილსასურველი მოსაზრებების შექმნის მეშვეობით.

• საბანკო მარკეტინგის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს **მსესხებლების კრედიტუნარიანობის ანალიზი**, რომელშიც შედის კრედიტის დაფარვასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა. ბანკმა რისკის ხარისხი უნდა განსაზღვროს, რომელიც მას შეუძლია კრედიტის გაცემაში თავის თავზე აიღოს, აგრეთვე, კრედიტის სიდიდე, რომელიც მას შეუძლია გასცეს.

ბანკისათვის მეტად მნიშვნელოვანია მსესხებლის შესაძლებლობისა და მზადყოფნის განსაზღვრა, სესხი ან კრედიტი დააბრუნოს სესხის გაცემის შესახებ საკრედიტო ხელშეკრულების

პირობებთან შესაბამისობაში. ამიტომ საბანკო მარკეტინგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება წინა წლებში, აგრეთვე, პერსპექტივაში, ბანკის მიერ მიწოდებული კრედიტის მოქმედების პერიოდში. აღნიშნული ტოლი ხარისხით ეხება როგორც იურიდიულ, ასევე, ფიზიკურ პირებსაც.

როგორც წესი, კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზს ბანკში (კომერციული, იპოთეკური) საკრედიტო განყოფილება ახორციელებს, იგი, ჩვეულებრივად, იძლევა დასკვნას კლიენტის განაცხადის მიხედვით, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამისად, ბანკის ხელმძღვანელობა ან ეგრეთწოდებული სასესხო კომიტეტი, დამოკიდებული აღნიშნული ბანკის შიდა ორგანიზაციაზე.

კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზისას ბანკი ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: მსესხებლის შესაძლებლობა, მსესხებლის რეპუტაცია, კაპიტალის არსებობა, უზრუნველყოფის არსებობა, ეკონომიკური კონიუნქტურის მდგომარეობა.

საბანკო მარკეტინგში კრედიტუნარიანობის ანალიზი ყველაზე უფრო რთულ და დელიკატურ საქმეს წარმოადგენს. ბანკები იყენებენ ინფორმაციის რამდენიმე წყაროს: გასაუბრებას ბანკის კლიენტთან (კრედიტის შესახებ განცხადების შემომტანთან), ბანკის მიერ კლიენტებთან მიმართებაში საკუთარი კარტოთეკას გამოყენებას, კლიენტის ადგილზე ინსპექტირებას, ფინანსური ანგარიშგების ანალიზს, კლიენტების შესახებ ინფორმაციის გამოყენებას, რომლებიც სპეციალიზებულ ფირმებს წარმოადგენენ.

• საბანკო მარკეტინგი მოიცავს, ასევე, **ბაზარზე მოთხოვნის განსაზღვრას ბანკის კონკრეტულ საქმიანობაზე** როგორც ფულადი დანაზოგებისა და სახსრების აკუმულაციის, ასევე, კრედიტის მიწოდების მიმართულებითაც.

ბანკების კაპიტალის დაგროვებაზე მეტად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს **ინფლაციური** ტენდენციები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, აუფასურებს დანაზოგებს და, აგრეთვე, ანაბ-

რების მოდინების ნაკადის შენელებას უწყობს ხელს, რადგანაც როგორც იურიდიული პირებისათვის, ასევე, ფიზიკური პირებისთვისაც მომხმარებლის დანახარჯები ერთნაირი ხარისხით იზრდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკში ანაბრების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დონესა და ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახეობის მიხედვით მისაღები შემოსავლების სიდიდეს (აქციების მიხედვით დივიდენდებსა და კერძო და სახელმწიფო ობლიგაციების მიხედვით პროცენტებს).

ფულადი სახსრების დანაზოგების სხვადასხვა ფორმას შორის თანაფარდობა განსაზღვრავს, თუ სად უფრო მიზანშეწონილია ფულის ჩადება: ბანკში ანაბრის სახით, ფასიან ქაღალდებში ან სადაზღვევო პოლისში.

ბაზრის შეფასება კრედიტების მოწოდების და სხვადასხვა ფასიან ქაღალდში დაბანდების მიზნით, რიგ ფაქტორებზე არის დამოკიდებული. უპირველეს ყოვლისა, ეს არის კაპიტალის ბაზარზე მოთხოვნა კრედიტზე ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მხრიდან. როგორც წესი, კომერციული ბანკები, ძირითადად, სპეციალიზდებიან მოკლევადიანი და საშუალოვადიანი კრედიტების მიწოდებაზე. ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია სამრეწველო, სატრანსპორტო და სავაჭრო კომპანიების კრედიტზე მოთხოვნის შეფასება, რომელიც, ასევე, ეკონომიკური კონიუნქტურის საერთო მდგომარეობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ბანკები აქტიურ საქმიანობას ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თავიანთი ფულადი დანაზოგების აქციებში, კერძო და სახელმწიფო ობლიგაციებში ჩადებით. ამიტომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ამა თუ იმ ფასიან ქაღალდში დაბანდებების სარგებლიანობის შეფასება, ასევე, საბანკო მარკეტინგის აქტიური ოპერაციების მიმართულებით საქმიანობა მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

XIV თავი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის თავისებურებები

შინაარსი:

14.1. ბანკის დაგეგმვის მოდელი პორტფელური შეზღუდვების საფუძველზე;
14.2. ბანკის მონიტორინგი და ანალიზი ბალანსური გავრცობის საფუძველზე;
14.3. კომერციული ბანკის მოდიფიცირებული საბალანსო განტოლების მოდელი.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო პორტფელის რისკი;
2. ბალანსის კაპიტალური განტოლება;
3. დინამიკური ბუღალტრული ბალანსის განტოლება;
4. საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგება;
5. საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგების ფაქტორული ანალიზი;
6. მოგების ნორმის დინამიკა და სტრუქტურა კაპიტალზე;
7. ბანკის ძირითადი საბალანსო განტოლება.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 14.1. ბანკის აგრეგირებული ბალანსი;
ცხრილი 14.2. ბანკის მოგებისა და ზარალის აგრეგირებული მუხლები;
ცხრილი 14.3. ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების პორტფელური შეზღუდვების სქემა;
ცხრილი 14.4. ბანკის აგრეგირებული ბალანსი;
ცხრილი 14.5. ბანკის მოგებისა და ზარალის ანგარიში;

რების მოდინების ნაკადის შენელებას უწყობს ხელს, რაღაც როგორც იურიდიული პირებისათვის, ასევე, ფიზიკური პირ სთვისაც მომხმარებლის დანახარჯები ერთნაირი ხარისხით ი დება. დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკში ანაბრების მიხ საპროცენტო განაკვეთების დონესა და ფასიანი ქაღალდ სხვადასხვა სახეობის მიხედვით მისაღები შემოსავლების (აქციების მიხედვით დივიდენდებსა და კერძო და სახელმწ ობლიგაციების მიხედვით პროცენტებს).

ფულადი სახსრების დანაზოგების სხვადასხვა ფორმას თანაფარდობა განსაზღვრავს, თუ სად უფრო მიზანშეწონილ ფულის ჩადება: ბანკში ანაბრის სახით, ფასიან ქაღალდებში სადაზღვევო პოლისში.

ბაზრის შეფასება კრედიტების მოწოდების და სხვადასხ ფასიან ქაღალდში დაბანდების მიზნით, რიგ ფაქტორებზე არის დამოკიდებული. უპირველეს ყოვლისა, ეს არის კაპიტალის ბაზარზე მოთხოვნა კრედიტზე ეკონომიკის სხვადასხვა სფერ მხრიდან. როგორც წესი, კომერციული ბანკები, ძირითადად, სპ ციალიზდებიან მოკლევადიანი და საშუალოვადიანი კრედიტების მიწოდებაზე. ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია სამრეწველო, სატრანსპორტო და სავაჭრო კომპანიების კრედიტზე მოთხოვნის შეფასება, რომელიც, ასევე, ეკონომიკური კონიუნქტურის საერთო მდგომარეობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ბანკები აქტიურ საქმიანობას ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თავიანთი ფულადი დანაზოგების აქციებში, კერძო და სახელმწიფო ობლიგაციებში ჩადებით. ამი ტომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ამა თუ იმ ფასიან ქაღალდში დაბანდებების სარგებლიანობის შეფასება, ასევე, საბანკო მარკე ტინგის აქტიური ოპერაციების მიმართულებით საქმიანობა მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

XIV თავი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის თავისებურებები

შინაარსი:

14.1. ბანკის დაგეგმვის მოდელი პორტფელური შეზღუდვების საფუძველზე;
14.2. ბანკის მონიტორინგი და ანალიზი ბალანსური გავრცობის საფუძველზე;
14.3. კომერციული ბანკის მოდიფიცირებული საბალანსო განტოლების მოდელი.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო პორტფელის რისკი;
2. ბალანსის კაპიტალური განტოლება;
3. დინამიკური ბუღალტრული ბალანსის განტოლება;
4. საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგება;
5. საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგების ფაქტორული ანალიზი;
6. მოგების ნორმის დინამიკა და სტრუქტურა კაპიტალზე;
7. ბანკის ძირითადი საბალანსო განტოლება.

გამოყენებული სქემები, ნახაზები და ცხრილები:

ცხრილი 14.1. ბანკის აგრეგირებული ბალანსი;
ცხრილი 14.2. ბანკის მოგებისა და ზარალის აგრეგირებული მუხლები;
ცხრილი 14.3. ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების პორტფელური შეზღუდვების სქემა;
ცხრილი 14.4. ბანკის აგრეგირებული ბალანსი;
ცხრილი 14.5. ბანკის მოგებისა და ზარალის ანგარიში;

ცხრილი 14.6. ბანკის აქტივების ანალიზი;
ცხრილი 14.7. ბანკის პასივების ანალიზი;
ცხრილი 14.8. ბანკის ლიკვიდობის ანალიზი;
ცხრილი 14.9. ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი;
ცხრილი 14.10. ეფექტიანობის დამატებითი მაჩვენებლები;
ცხრილი 14.11. ეფექტიანობაზე ზემოქმედი ფაქტორების დეტალიზაცია;
ცხრილი 14.12. ფინანსური კოეფიციენტები;
ცხრილი 14.13. ბანკის საკუთარი სახსრები;
ცხრილი 14.14. ბანკის აგრეგირებული ბალანსი;
ცხრილი 14.15. პასივების სტრუქტურის ანალიზი;
ცხრილი 14.16. ბანკის აქტივების ანალიზი;
ცხრილი 14.17. ბანკის ლიკვიდობის ანალიზი;
ცხრილი 14.18. ბანკის მოგებიანობის ანალიზი;
ცხრილი 14.19. ბანკის შედარებითი ანალიტიკური ბალანსი.

14.1. ბანკის დაბეგმვის მოდელი პორტფელური შეზღუდვების საფუძველზე

რისკი არის საბანკო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი და რისკების პრობლემების მართვის ან გადაწყვეტის ყველა ცნობილი ხერხი შეიძლება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს მივაკუთვნოთ:

- რისკის თავიდან აცილებას ან უარის თქმას (ბანკს, მისი საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, არ შეუძლია რისკი მთლიანად აიცილოს თავიდან, იგი ვალდებულია რისკის ნაწილი მაინც თავისთავზე აიღოს, სხვა მხრივ, მოგების არსი იქნება უგულებელყოფილი).
- რისკის შენარჩუნებას ან აღიარებას (ზარალის აღიარება შესაძლებელია, როდესაც მოსალოდნელი ზარალის სიდიდე უმნიშვნელოა და მისი უგულებელყოფა ან ერთი სახის რისკის მეორეში გარდაქმნა არის შესაძლებელი, ან ერთი სახის რისკის „დანაწევრება“ რამდენიმე ნაკლები მოცულობის რისკზე);
- რისკის წინასწარ განჭვრეტას (პრევენციული ქმედებების კონკრეტული ნაკრების მეშვეობით დანაკარგებიდან ან შემთხვევითობებისაგან თავის აცილების შესაძლებლობა);
- რისკის კონტროლს (უკვე არსებული ზარალის სიდიდის შემდგომი ზრდის შეზღუდვა უტყუარი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების შედეგად);
- რისკის გადაცემას ან დაზღვევას (ოპერაციის მონაწილეებს შორის დანაკარგების გადანაწილება ან დამზღვევისათვის რისკის შემცირებაზე გადასახადის გადახდა).

თითოეული ხერხის შიგნით შესაძლებელია რისკების მართვის სპეციალური მექანიზმები იქნეს გამოყოფილი, რომლებიც ტექნიკური პროცედურების გაძვირებისა და გართულების ხარჯზე არასასურველი შედეგის დადგომის ალბათობას ამცირებენ, მაგალითად, ესენია:

• რისკების დივერსიფიკაცია (აქტივების დაბანდებების სხვადასხვა არაკორელირებადი მიმართულებით განაწილება);

• ჰეჯირება (რისკების დივერსიფიკაციის შემთხვევა: აქტივების ისეთი სახით განაწილება, რომ ამა თუ იმ გარემოების ზემოქმედება მათ ღირებულებაზე ნულის ტოლი გახდეს);

• რისკების განაწილება ოპერაციის მონაწილეთა დიდ რაოდენობას შორის, როდესაც ზარალის ალბათობა გადანაწილდება ყველაზე;

• ზარალის ალბათობის სხვა პირზე გადატანა, ანუ რისკის პასუხისმგებლობის ვინმე სხვაზე (სადაზღვევო კომპანია) გადატანა ან გარანტიის (თავდებობის) მიღება და ა.შ.

მოცემულ თავში **ბანკი განიხილება, როგორც აქტივებისა და პასივების პორტფელი** (ოპტიმალურ შემთხვევაში, დაბალანსებული ფულადი რესურსების ცალკეული აქტიური და პასიური ჯგუფების მოცულობების, ვადებისა და ღირებულების მიხედვით) და არა როგორც საბანკო ბალანსის ანგარიშებზე, ტრადიციული გაგებით, დებიტორული და კრედიტორული ნაშთები, ამიტომ ძირითადი **რისკის სახით საბანკო პორტფელის რისკი** განიხილება.

თავის მხრივ, **საბანკო პორტფელის რისკი** თავისთავში მოიცავს:

• პორტფელურ (საბალანსო) რისკს;

• პროცენტულ რისკს;

• ლიკვიდობის დაუბალანსებლობის ან რესურსების სტრუქტურის ვადებისა და მოცულობების მიხედვით შეუსაბამობის რისკს ან ბანკის ლიკვიდობის დაბალანსებულობის, ანუ საბანკო პორტფელის რისკის გამოვლენის სხვადასხვა მხარის რისკს;

• მიმდინარე ლიკვიდობის რისკს.

რისკების გადაწყვეტის სისტემა განიხილება, როგორც საბანკო პროდუქტების (საბანკო საფინანსო ტექნოლოგიების, წესებისა და პროცედურების) ერთობლიობა ან საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციაში საწარმოო მეთოდებისა და პროცესების ერთობლიობა, რომლებიც ბანკის კაპიტალის (საკუთარი და მოზიდული

ფასიანი ფულადი რესურსების) მართვის უზრუნველყოფას ახორციელებენ. სხვა სიტყვებით, რისკების სფეროსა და სახეობების განსაზღვრის აღნიშნული კონცეფცია, აგრეთვე, საბანკო რისკების ურთიერთობლიობის მართვა, რომელიც რისკის წარმოშობის ფაქტორების, ეტაპებისა და მუშაობის განსაზღვრას, ანუ რისკის პოტენციალური სფეროების დადგენას, შესაძლო რისკების ხარისხობრივ იდენტიფიკაციას (გამოვლენას) და საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების მეშვეობით სარისკო სიტუაციების გადაწყვეტის უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

საბანკო პორტფელის რისკი არის არაკეთილსასურველი გარემოებების დადგომის ალბათობა, რომლებიც შეიძლება განუსაზღვრელობის პირობებში საბანკო პორტფელის მართვასთან მიმართებაში გადაწყვეტილებების მიღების შედეგად წარმოიშვას.

საბანკო პორტფელის რისკის მართვის (ან სარისკო სიტუაციის გადაწყვეტის) ძირითად ამოცანას წარმოადგენს: ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის პროცესში მოგებიანობისა და ლიკვიდობის მისაღები თანაფარდობის მხარდაჭერა, ანუ შესაძლო საბანკო დანაკარგების მინიმიზაცია.

მოცემულ თავში, საბანკო პორტფელის რისკი **ბალანსის აგრეგირებული მუხლების** ან მათ შორის თანაფარდობის ტერმინებშია აღწერილი. მაგალითად, შემოსავლების მომტანი აქტივების მიმდინარე ღირებულება და ბანკის მოზიდული ფასიანი სახსრების მიმდინარე ღირებულება პროცენტული რისკისადმი ზემოქმედების ხარისხის განმსაზღვრელი შემადგენელი ფაქტორებია. საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის თანაფარდობა პორტფელური რისკის შესახებ, ხოლო სალაროს აქტივებსა და ონკოლურ (მოთხოვნამდე) ვალდებულებებს შორის თანაფარდობა ლიკვიდობის რისკის შესახებ იძლევა წარმოდგენას.

საბანკო საქმიანობის წარმატებული დაგეგმვა შეუძლებელია მკაფიო ორიენტირების გარეშე, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ბანკის პორტფელის სტრუქტურა ან მისი ბალანსის სტრუქტურა პასივების მუხლების ბლოკების აქტივის მუხლების გარკვეულ

ბლოკებთან შეკავშირების (დაკავშირების) გზით, აქტივებისა და პასივების გარკვეული თანაფარდობის დაცვის საფუძველზე. ბანკისათვის აქტივების მართვის ტრადიციულ ხერხს წარმოადგენს ხერხი, რომელიც ყველა მოზიდულ და საკუთარ რესურსს საერთო ფინანსურ პულში აერთიანებს, შემდგომ მისი აქტიური ოპერაციების იმ სახეობებში განაწილებით, რომლებიც ფულადი სახსრების ფორმირების წყაროებისაგან და მათი მოზიდვის ვადებისაგან დამოუკიდებლად ბანკებისათვის შედარებით კეთილსასურველად ჩაითვლება.

საბანკო საქმიანობის დაგეგმვის პრინციპულად მნიშვნელოვანი მომენტია პროგრამირება ან ბანკის მოდელის შემუშავება, რომელიც ყველაზე უფრო სრულად პასუხობს ბანკის მოთხოვნებს. ბანკის მოდელირების ქვეშ იგულისხმება საბანკო პორტფელის აგების პრინციპები და, ბანკის ფულადი რესურსების მოზიდვისა და განთავსების ოპტიმიზაციასთან მიმართებაში, დინამიკური ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების მეშვეობით მათი მართვა. ერთ-ერთი ნებისმიერი კომერციული ბანკის საბანკო პორტფელის სტრუქტურის მაგალითი შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ (იხ. ცხრ. 14.1).

ცხრილი 14.1

ბანკის აგრეგირებული ბალანსი

აქტივის მუხლი	მლრდ ლარებში	%-ში	პასივის მუხლი	მლრდ ლარებში	%-ში
სალაროს აქტივები	21,6	13,9	ორკოლური დაფლიანება	61,8	39,4
ფასიანი ქაღალდები	40,3	25,6	ვადიანი ვალდებულებები	63,2	40,3
სესხები	79,9	50,9	დანარჩენი ვალდებულებები	13,9	8,8
დანარჩენი აქტივები, სულ	15,1	9,6	სულ ვალდებულებები	138,9	88,5
კაპიტალდაბანდება და არამატერიალური აქტივები	6,0	3,8	**საკუთარი კაპიტალი**	18,0	11,5
			საწესდებო ფონდი	1,9	1,2
დანარჩენი აქტივები	9,1	5,8	ბანკის ფონდი	16,1	10,3
ბალანსი	156,9	100	**ბალანსი**	156,9	100

მოცემული საბანკო პორტფელის განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს აქტივებისა და პასივების ოპტიმალური სტრუქტურა, რომელიც დასახული თანაფარდობების ან პორტფელური შეზღუდვების დაცვის საფუძველზეა აგებული. ამის შედეგად ბანკმა პორტფელის დაბალანსებული ლიკვიდობა და ოპტიმალური პირობები უზრუნველყო მაქსიმალურად შესაძლო მოგების მისაღებად (იხ. ცხრ. 14.2.). კომერციული ბანკის მოგებიანობისა და ლიკვიდობის ანალიზის შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება ჩამოყალიბებული, მოდიფიცირებული საბალანსო გათანასწორებული მოდელის განხილვასთან დაკავშირებით.

ცხრილი 14.2

ბანკის მოგებისა და ზარალის აგრეგირებული მუხლები

მუხლის დასახელება	მლრდ ლარებში	მუხლის დასახელება	მლრდ ლარებში
პროცენტული შემოსავლები	48,2	მთლიანი შემოსავლები	53,1
პროცენტული ხარჯები	12,6	მთლიანი ხარჯები	18,9
პროცენტული მარჟა	35,6	**მთლიანი მოგება**	34,2
არასაოპერაციო შემოსავლები	4,9		
არასაპროცენტო ხარჯები	6,3		

მოცემულ მაგალითში ორკოლური (მოთხოვნამდე) ვალდებულებები მიმართულია სალაროს აქტივებში და მეორად ლიკვიდურ რეზერვებში (ფასიან ქაღალდებში); ვადიანი ვალდებულებები გამოყენებულია ბანკის სასესხო ოპერაციებზე. თუმცა ისინი გაცემულ კრედიტებს სრულად ვერ უზრუნველყოფენ იმის გამო, რომ საკუთარი კაპიტალი სრულად არ არის იმობილიზებული, ისინი ბანკის სასესხო ოპერაციების დამატებით გადაფარვას უზრუნველყოფენ.

ბალანსის პორტფელურ საფუძველზე ბანკის მოდელის აგების საფუძველში შემდეგი პრინციპებია ჩადებული:

• ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, ანუ ბანკის ნებისმიერი პოტენციური აქტიური ან პასიური ოპერაციის პროგნოზი;

• ფინანსური ინსტრუმენტის მიმოქცევის სპეციფიკა (ოპერაციის ვადა, გადასახადებით დაბეგვრა, კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საგარეო და შიდა შეზღუდვები);

• ბანკის რესურსების მოზიდვისა და განთავსების ვადების, მოცულობებისა და ღირებულების მიხედვით შეთანხმებული ოპერაციები;

• კაპიტალის მულტიპლიკატორის დიაპაზონი (დონე), რომელიც დასახული პორტფელური შეზღუდვებისას მაქსიმალურ მულტიპლიკაციურ ეფექტს უზრუნველყოფს.

ბანკის მოდელი ბალანსის პორტფელური შეზღუდვების საფუძველზე შემდეგი სახით არის აგებული:

1. გაიანგარიშება კაპიტალის მულტიპლიკატორის ოპტიმალური სიდიდე, რომლის მნიშვნელობა 8-16 ერთეულის ფარგლებშია ჩადებული (კაპიტალის მულტიპლიკატორი ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული). აქედან გამომდინარე, მოზიდული სახსრების სიდიდე, ცხრილი 13.1-ის მიხედვით, პასივის მუხლში საკუთარი კაპიტალის 11,5%-იანი მნიშვნელობის გათვალისწინებით, 92-184 მლრდ ლარს უნდა შეადგენდეს. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნულ ზღვრებში (ჩარჩოებში) ჩატევა, რადგანაც:

• თუ ბანკის კაპიტალის მულტიპლიკატორი 16-ზე მეტია, მაშინ შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც ბანკის კაპიტალის ბაზა მეტად მცირე იქნება და მისი შესაძლებლობები, ნასესხები სახსრების შემდგომი მოზიდვის თვალსაზრისით, ამოწურული იქნება, ანუ ბანკის გადახდისუუნარობისაკენ პოტენციალური გადასვლით ლიკვიდობის დაბალანსებულობის რისკი წარმოიშობა;

• თუ ბანკის კაპიტალის მულტიპლიკატორი 8-ზე ნაკლებია, მაშინ ბანკი სრულად არ იყენებს კაპიტალის მულტიპლიკაციურ ეფექტს და ამით შესაძლო შემოსავალსაც (მოგებას) არ ღებულობს.

2. ვადიანი ვალდებულებების სიდიდე გაცემული კრედიტების სიდიდეზე, ანუ 79,9 მლრდ ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. კრედიტების გასაცემად არასაკმარისი სახსრები ბანკის საკუთარი კაპიტალიდან შეივსება.

3. ონკოლური (მოთხოვნამდე) ვალდებულებები სრულად პირველადი (სალაროს აქტივები) და მეორადი ლიკვიდური რეზერვებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

სქემატიურად, დაგეგმვის მოდელი შეიძლება შემდეგი სახით იქნეს წარმოდგენილი (იხ. ცხრ. 14.3.):

ცხრილი 14.1

ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების პორტფელური შეზღუდვების სქემა

პასივები	აქტივები
ონკოლური (მოთხოვნამდე) ვალდებულებები	პირველადი რეზერვები (სალარო და ა.შ.), მეორადი რეზერვები (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები), საბანკო სესხები, მოკლევადიანი კრედიტები
დეპოზიტები და ანაბრები	ფასიანი ქაღალდები (კორპორატიულების ჩათვლით), მეორადი რეზერვები, სხვა სესხები
ბანკთაშორისი კრედიტები	პირველადი რეზერვები, ფასიანი ქაღალდები
საკუთარი კაპიტალი	ინვესტიციები, ფასიანი ქაღალდები და დაბანდებების სხვა მიმართულებები

ბანკის საქმიანობის პორტფელური შეზრუდვების საფუძველზე მოდელირება ფინანსური ბაზრის დღევანდელი და სამომავლო (შესაძლო) კონიუნქტურაზე სხვადასხვა დაშვებისას ბანკის ოპტიმალური პროგნოზული (გეგმიური) სტრატეგიის ვარიანტული გაან-

გარიშების განხორციელებისა და ბანკის საქმიანობის ყველა სფეროში უფრო სასურველი სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა.

14.2. ბანკის მონიტორინგი და ანალიზი ბალანსური გავრცობის საფუძველზე

თანამედროვე კომერციული ბანკი რთულ საფინანსო-ეკონომიკურ წარმონაქმნს წარმოადგენს, ამიტომ, მისი განხილვა უნდა იქნეს განხორციელებული როგორც სისტემის, რომელსაც საკუთარი მიზნები, ამოცანები და ფუნქციები გააჩნია. ამასთან, ბანკის საქმიანობაში სხვადასხვა პროცესისა და ამ პროცესებით მართვის ობიექტების განხილვა ანალიზის მოდელირების აგებისადმი მიდგომის არსს შეადგენს და იმ ამოცანებს უნდა წყვეტდეს, რომლებიც მკვლევარი-ანალიტიკოსის წინაშე ისმება, ან შეასრულოს ფუნქციები, რომლებიც კომერციული ბანკის საქმიანი ბრუნვის მართვისას თავისდროული კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ბანკის საქმიანობის ანალიზისადმი მთავარ მიდგომას ჩასატარებელი ანალიზის მიზნების განსაზღვრა წარმოადგენს, ანუ იმისა, თუ ანალიზი როგორ ურთიერთკავშირებს და ურთიერთდამოკიდებულებებს ავლენს და, საბოლოო ჯამში, როგორ ამოცანას წყვეტს. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის XVI საუკუნიდან დაგროვებულ თეორიას და პრაქტიკას საბალანსო გავრცობის სფეროში შემდეგი ძირითადი მიდგომები გააჩნია: **ბალანსის კაპიტალური გათანასწორება** (საკუთარი კაპიტალის ანალიზი, რომლის დროსაც კაპიტალზე ცალკეული სამეურნეო ოპერაციის და არა მხოლოდ ბალანსის აქტივებისა და პასივების სიდიდეებზე ზემოქმედება განიხილება); **მოდიფიცირებული საბალანსო გათანასწორება** (საბრუნავი კაპიტალის ანალიზი); **ძირითადი საბალანსო გათანასწორება** (სამეურნეო საზოგადოების ბალანსის ანალიზი, რომელშიც საზოგადოება გამოყოფილია მესაკუთრისაგან); **დინამიური ბუღალტრული ბალანსის**

გათანასწორება (მოგებისა და ზარალის ანგარიში); **მოდიფიცირებული კაპიტალური განტოლება შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ** (მოძრაობის კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგების სახით საწარმოს საკუთარი კაპიტალის მართვა): **გაუნაწილებელი (რეინვესტირებული) მოგება = საანგარიშსწორებო პერიოდის მოგება – მოგება, რომელიც საქმიანი ბრუნვიდანაა ამოღებული (დივიდენდების, ჯარიმების, პენსიების, მოსაკრებლების არაწარმოებრივ ბრუნვაში იმობილიზაცია).**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბალანსო განტოლების უფრო ღეტალურად განხილვა:

- **ბალანსის კაპიტალური განტოლება** „მესაკუთრის პრიორიტეტის" თეორიის სახით არის ცნობილი. მის საფუძველში ჩადებულია ტოლობა:

საკუთარი კაპიტალი = აქტივებს – გეგმური მოზიდული პასივები.

აღნიშნული თეორიის თანახმად, ანალიზმა, უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრის (მეპაიების, აქციონერების) მდგომარეობა უნდა გამოხატოს ანალიზის სუბიექტისადმი (კომერციული ბანკისადმი) მიმართებაში, ანუ ანალიზის მოდელმა ბანკის საკუთარი კაპიტალის ფასეულობის (ღირებულებების, სიდიდის, ნაზარდის) ცვლილებები უნდა გვიჩვენოს. მოცემული განტოლება მიზანშეწონილია ბანკის მიდა ანალიზისათვის, ანუ საკუთარი კაპიტალის ნაზარდის პოზიციიდან იგი ბანკის ერთობლივი კაპიტალით მართვის შესაძლებლობის შეფასებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული. კომერციული ბანკის საქმიანობის მონიტორინგისას იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც **ჯამური მონიტორინგი** საკუთარი კაპიტალის ნაზარდთან მიმართებაში ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, შემოსავლიანობის რეზერვების ამაღლების გამოვლენისათვის (ბანკის დანახარჯების მართვა).

• **დინამიკური ბულალტრული ბალანსის განტოლება** (მოგებისა და ზარალის ანგარიში). აღნიშნულ შემთხვევაში დინამიკური ბულალტრული ბალანსის უნიფიცირებული განტოლების საფუძველზე (ბულალტრული ბალანსისადმი თანადართვადი ფორმა №2 – „მოგებისა და ზარალის ანგარიში“) საბანკო საქმიანობის მოგებიანობის ფაქტორული ანალიზი ხორციელდება. საბანკო საქმიანობის მონიტორინგისას აღნიშნული განტოლება გამოიყენება, როგორც მისი **ფინანსური შედეგიანობის მონიტორინგი.**

მოდიფიცირებული საბალანსო განტოლება (საბრუნავი კაპიტალის ანალიზი), ანუ „გამოყოფილი ფონდების“ თეორია, რომლის საფუძველში ჩადებულია:

აქტივები = პასივებს.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, ბანკს გააჩნია პასივები, რომელსაც იგი აქტივების შესაძენად იყენებს. ანალიზის მოდელის მთავარი მიზანია, გამოავლინოს არა ბანკის მოგებიანობა, არამედ მის განკარგულებაში არსებული ბანკის პასივების ეფექტურად (კვალიფიციურად) გამოყენების შესაძლებლობა, აგრეთვე, მოგებიანობასა და ლიკვიდობას შორის დაბალანსებულობის პოზიციიდან ბანკის ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა მხარე. მოცემული საბალანსო გაერცობა ბანკი-მსესხებლისა და ბანკი-კორესპონდენტის შეფასებისას ყველაზე უფრო ეფექტურია. კომერციული ბანკის საქმიანობის მონიტორინგისას იგი გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი საბანკო პორტფელის ოპტიმიზაციასთან მიმართებაში (მოგებიანობისა და ლიკვიდობის დაბალანსებულობა) დასახული პროპორციების (ნორმატივების) დაცვის შეფასებისათვის ოპტიმალური მონიტორინგის ინსტრუმენტი.

• **ძირითადი საბალანსო განტოლება**, საერთოდ, ცნობილია, როგორც „საწარმოს პრიორიტეტის“ თეორია, რომლის საფუძველში ჩადებულია:

აქტივები = საკუთარ კაპიტალს + ფასიანი მოზიდული პასივები.

მოცემული საბალანსო განტოლების საფუძველში ჩადებულია ანალიზირებადი სუბიექტის, ჩვენ შემთხვევაში, ბანკის საკუთ-

რებაში არსებული ყველა აქტივის ფლობისა და განკარგვის პრინციპი. მოცემული საბალანსო განტოლების მიხედვით, ანალიზის მოდელის გამოყენების ყველაზე უფრო მისაღები მიმართულებაა ბანკი–გარანტორის ანალიზი და **წინასწარი მონიტორინგი** რაიმე სახის ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობების გამოსაჯულებად, მაგალითად, ბანკის შესაძლო კაპიტალური ბაზის შეფასება რესურსების მოზიდვასა და განთავსებასთან, აგრეთვე, საქმიანი აქტიურობის, ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობისა და საკუთარი ბანკის მართვის ფინანსურ მდგრადობასა და ეფექტურობასთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ბანკის საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზის იდეალური ან უნივერსალური ხერხი არ არსებობს. ბანკის ანალიზისა და მონიტორინგის სფეროში დასმულ ამოცანაზე დამოკიდებულებაში საჭიროა კონკრეტული მოდელის შერჩევა, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს მის მიერ შესრულებად ფუნქციებს:

• **ბალანსის კაპიტალური განტოლების მოდელი** – რომლის საფუძველში ჩადებულია მიდგომა, რომელიც ბანკის საკუთარი კაპიტალის, მისი ნაზარდის ან დამატებული პროდუქტის შექმნის პოზიციიდან მართვის ხარისხის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა;

• **საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგება** – რომელიც, თავისთავად, გადასახადით დაბეგრილი მოგების ბანკის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობას წარმოადგენს.

საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგების ფორმულა შეიძლება შემდეგი სახით ჩაიწეროს:

$$N=E \times H1 \times H2 \times H3,$$

სადაც: **N** არის ეკონომიკური უკუგება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც გაიანგარიშება, როგორც **გადასახადით**

დაბეგრილი მოგების მოცულობა შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან;

E – **მოგებიანობა**, რომელიც გაიანგარიშება, როგორც **გადასახადით დაბეგრილი მოგების მოცულობა შეფარდებული დაბეგვრამდე მოგების მოცულობასთან;**

H1 – მოგების მარჯა, რომელიც გაიანგარიშება, როგორც **დაბეგვრამდე მოგების მოცულობა შეფარდებული საოპერაციო შემოსავლებთან;**

H2 – აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე, რომელიც გაიანგარიშება, როგორც **საოპერაციო შემოსავლების შეფარდება აქტივებთან;**

H3 – კაპიტალის მულტიპლიკატორი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც **აქტივები შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან.**

საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგების ეკონომიკური შინაარსი შეიძლება შემდეგი სახით იქნეს ჩამოყალიბებული:

გადასახადების მართვის ეფექტიანობა × ხარჯებზე კონტროლის ეფექტიანობა × აქტივების მართვის ეფექტიანობა × × რესურსების მართვის ეფექტიანობა.

საკუთარ კაპიტალზე ეკონომიკური უკუგების გაანგარიშების მოდელის შემადგენლობაში შემავალი პარამეტრების ცვლილებების: სტრუქტურის მიხედვით (ვერტიკალური ანალიზი) და დინამიკაში (ჰორიზონტალური ანალიზი) შედარებისას ირკვევა, თუ შედეგობრივი ფაქტორული ნიშან-თვისება – ეკონომიკური უკუგება რომელი ფაქტორების ხარჯზე იცვლება და სწორედ ქვემოჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელმა მიგვიყვანა საკუთარ კაპიტალზე ეკონომიკური უკუგების მდგომარეობის თანაფარდობის ცვლილებამდე:

- მომგებიანობის სიდიდის ცვლილებამ, თუ გადასახადების მართვის ეფექტიანობამ;

- მოგების მარჯამ, თუ ხარჯების მართვის ეფექტიანობამ;
- აქტივების მართვის ეფექტიანობის ცვლილებამ;
- ბანკის კაპიტალის ფინანსური სტრუქტურის, ანუ რესურსების მართვის ცვლილებამ.

საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგების ფაქტორული ანალიზი, ანუ კაპიტალის ეკონომიკურ უკუგებაზე ფაქტორიული ზემოქმედების გაანგარიშება შეიძლება განხორციელდეს:

1. კაპიტალის ეკონომიკური უკუგების საერთო ცვლილება $= N - N_0$,

სადაც: N არის კაპიტალის ეკონომიკური უკუგება საანგარიშგებო (მიმდინარე) წლის;

N_0 – კაპიტალის ეკონომიკური უკუგება წინა პერიოდის.

2. კაპიტალის ეკონომიკურ უკუგებაზე მოგებიანობის ცვლილების ზემოქმედება $= (E - E_0) \cdot H1 \cdot H2 \cdot H3$,

სადაც: E არის მოგებიანობა საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის;

E_0 – მოგებიანობა წინა პერიოდის;

H_1 – მოგების მარჯა საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის;

H_2 – აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის;

H_3 – კაპიტალის მულტიპლიკატორი საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის.

3. კაპიტალის ეკონომიკურ უკუგებაზე მოგების მარჯის ზემოქმედება $= (H1 - H1_0) \cdot E_0 \cdot H2 \cdot H3$,

სადაც: $H1_0$ არის მოგების მარჯა წინა პერიოდის.

4. კაპიტალის ეკონომიკურ უკუგებაზე აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ცვლილებების ზემოქმედება $= (H2 - H2_0) \cdot E_0 \cdot H1_0 \cdot H3$,

სადაც: $H2_0$ არის კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა წინა პერიოდის.

5. კაპიტალის ეკონომიკურ უკუგებაზე კაპიტალის მულტიპლიკატორის ცვლილებების ზემოქმედება $= (H3 - H3_0) \cdot E_0 \cdot H1_0 \cdot H2$,

სადაც: $H3_0$ არის საკუთარი კაპიტალის წინა პერიოდის მულტიპლიკატორი.

კაპიტალის მულტიპლიკატორი არის ბანკის კაპიტალის ერთი ფულად ერთეულზე გაანგარიშებით – დეპოზიტების მაქსიმალური მოცულობის მოზიდვის და კრედიტების გაცემის ან „დეპოზიტი-სესხის" ჯაჭვის რეალიზაციის შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით, კაპიტალის მულტიპლიკატორი არის ბანკის კაპიტალის შესაძლებლობა, მოიზიდოს ფულადი რესურსები, ბანკის მდგრადი და შეძლებისაგვლიანი მუშაობის დარღვევის გარეშე. ბანკის კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტი მდგომარეობს ფასიანი ფულადი რესურსების მოზიდვაში და ეფექტურ გამოყენებაში. ბანკის უწყვეტად ფუნქციონირება მოითხოვს სამეურნეო ბრუნვაში დამატებითი ფულადი რესურსების შემოდინებას. ფულადი რესურსების ხელოვნურ „დამუხრუჭებას" სახსრების მოზიდვის კრიზისამდე, საინვესტიციო შიმშილამდე და საბანკო საქმიანობის გაფართოებული კვლავწარმოების სტიმულირების დარღვევამდე მივყავართ.

ბანკის კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტის შეფასებისათვის შეიძლება გაანგარიშების შემდეგი მოდული იქნეს გამოყენებული:

კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტი = [(მოგება+პროცენტული ხარჯები) / აქტივები × 100] – ფასიანი მოზიდული სახსრების ღირებულება × (აქტივები / კაპიტალი),

ან აგრეგირებული ფორმით:

$$[(მ+პრხ) / ა \times 100 - გდ] \times კმ,$$

სადაც: [(მ+პრხ) / ა x 100] არის ბანკის ეკონომიკური რენტაბელობა (ერ), ანუ საკუთარი საქმიანობის პროცესში დამატებული ღირებულების შექმნის შესაძლებლობა, გამოსახული პროცენტებში;

მ – მოგება;

პრხ – პროცენტული ხარჯები;

ა – ერთობლივი აქტივები;

გდ – საპროცენტო განაკვეთის დონე ბანკის მოზიდული ფასიანი სახსრების მიხედვით, რომელიც ტოლია – პროცენტული ხარჯები (მს) შეფარდებული ფასიან მოზიდულ სახსრებთან (ფს), გამოხატული პროცენტებში;

კმ – კაპიტალის მულტიპლიკატორი, ანუ ბანკის ერთობლივი აქტივების შეფარდება მის საკუთარ კაპიტალთან.

კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტი შემდეგი საკითხების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა:

- გამომავალი და შემავალი ფინანსური პროცენტული ნაკადების, ანუ „სპრედის" მართვის (აქტივების განთავსებასთან მიმართებაში საპროცენტო განაკვეთებსა და ფასიანი ფულადი რესურსების მოზიდვას შორის სხვაობის მართვა) ხარისხის;
- ბანკის საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის ეფექტიანობის.

თავისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, კაპიტალის მულტიპლიკატორი შეიძლება „ფინანსური ბერკეტის" კატეგორიას მივაკუთვნოთ. მაგრამ, თუ ფინანსური ბერკეტი, თავისთავად, კრედიტის გამოყენების შედეგად მიღებული საკუთარი სახსრების რენტაბელობის ნაზარდის შეფასების ინდიკატორს წარმოადგენს, კაპიტალის მულტიპლიკატორი არის ბანკის საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის მართვის ბერკეტი. სხვა სიტყვებით, კაპიტალის მულტიპლიკატორი არის ინსტრუმენტი, რომელმაც ბანკს კაპიტალის სტრუქტურის (საკუთარი და ნასესხები კაპიტალების თანაფარდობა) არჩევა, ანუ ბანკის კაპიტალურ ბაზასა (საკუთარი კაპიტალი) და მისი დამატებითი ფულადი და ფინანსური რესურსების შემდგომ მოზიდვას შორის ბალანსირება უნდა უზრუნველყოს.

საკუთარი და ნასესხები კაპიტალის სტრუქტურის რეგულირებით, ბანკი საკუთარი კაპიტალის ნაზარდის რეგულირებას ახორციელებს, რომელიც, თავის მხრივ, ფულადი და ფინანსური რესურსების მოზიდვასთან მიმართებაში დამატებით შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. მაგრამ იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ კაპიტალის მულტიპლიკატორი როგორ მუშაობს, საჭიროა ბანკის ერთობლივი კაპიტალის მართვის ხარისხის შეფასება გახორციელდეს (იხ. ზემოთ „საკუთარ კაპიტალზე ეკონომიკური შეკუმშვა"). იმისათვის, რომ განისაზღვროს არა მარტო რესურსების დამატებით მოზიდვის შესაძლებლობები, არამედ საკუთარი კაპიტალის ნაზარდთან მიმართებაში გამოყენების ეფექტიანობაც იქნეს შეფასებული, საჭიროა დამატებული ღირებულების შეფასება განხორციელდეს, რომელსაც ბანკი საკუთარი კაპიტალის გამოყენების შედეგად ქმნის.

დამატებული ღირებულების შეფასება (დღ) არის საბანკო დაწესებულების საქმიანობის რენტაბელობისა და ხარისხობრივი ცვლილებების შეფასებითი მაჩვენებელი. დამატებული ღირებულება ბანკის მმართველობითი საქმიანობის შეფასებასთან მიმართებაში, ანუ იგი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების აქტივებისა და პასივების მართვასთან მიმართებაში საბანკო მენეჯმენტის დონისა და ხარისხის კრიტერიუმს წარმოადგენს.

დამატებული ღირებულება (დღ) შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

დღ = (შემოსავლის პროცენტი საკუთარ კაპიტალზე – პროცენტის ნორმა მოზიდულ კაპიტალზე) × საკუთარი კაპიტალი,

ან აგრეგირებულ ფორმაში:

$$\text{დღ} = (\text{H} - \text{K}) \cdot \text{სკ}$$

სადაც: სკ არის ბანკის საკუთარი კაპიტალი;

H – მოგების თანაფარდობა ბანკის საკუთარ კაპიტალთან;

k – ბანკის პროცენტული ხარჯების თანაფარდობა ფასიან მოზიდულ კაპიტალთან (ბანკის ფასიანი მოზიდული სახსრები).

დამატებული ღირებულების ეკონომიკური შინაარსი წარმოადგენს სხვაობას ბანკის მიერ საკუთარ კაპიტალზე მიღებული შემოსავლის დონესა და მოზიდული კაპიტალის მიხედვით გადახდილი შემოსავლის დონეს შორის, რომელიც ინვესტორებისათვის (ბანკის კლიენტებისათვის) რისკის კომპენსაციას უზრუნველყოფს. როდესაც მოზიდულ სახსრებზე გადახდილი პროცენტი აჭარბებს საკუთარ კაპიტალზე შემოსავალს, კაპიტალის მართვა ბანკს არანაირ ეკონომიკურ ფასეულობას არ ამატებს, პირიქით, შემოსავალი მეტია, ვიდრე პროცენტი, კაპიტალის ფასეულობა იზრდება. შემოსავლისა და პროცენტის ტოლობისას ინვესტირებული კაპიტალის ღირებულება მიყვანილია ზღვრამდე და დამატებული ღირებულება ნულის ტოლია. აქედან გამომდინარეობს, რომ დამატებული ღირებულების მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა, ასევე, ნულია. მოგებისა და დამატებული ღირებულების გამოყენების ნორმების ზრდისას, როგორც კაპიტალის მართვასთან მიმართებაში ხარისხის კრიტერიუმი, ბანკი საკუთარი ფინანსური ოპერაციების გაფართოების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება, ანუ ბანკმა ყველა მოგებიანი პროდუქტი უნდა მიიღოს, სანამ მათ დიდი შემოსავალი მოაქვთ, ვიდრე კაპიტალის მოზიდვაზე პროცენტული დანახარჯები. როდესაც დამატებული ღირებულება (დღ=0) უდრის ნულს, ბანკმა უნდა შეაჩეროს ზრდა მანამ, სანამ უფრო მოგებიანი ახალი პროექტები არ იქნება შექმნილი. ბანკის საქმიანობის მართვით, დამატებული ღირებულების მეშვეობით, ყურადღება შეიძლება ბანკის საერთო კაპიტალის განთავსებისა და მართვის კრიტიკულ პრობლემებზე (პასივების მართვა, მათი დივერსიფიკაცია) იქნეს ფოკუსირებული, მაგალითად:

- კაპიტალზე მოგების ნორმის მართვა, რომელიც თავისთავში ბანკის ფინანსური ნაკადების ეფექტიანობის განსაზღვრის

ძირითად პარამეტრებს მოიცავს, როგორებიცაა: აქტივების შემოსავლიანობა, მოგების მარჟა და კაპიტალის მულტიპლიკატორი;

- აქტივებისა და პასივების რესტრუქტურიზაცია ფულადი სახსრების გამავალი და შემავალი ნაკადების მოცულობებისა და ღირებულების მიხედვით.

კაპიტალური გათანაბრების მოდელის საფუძველზე ბანკის შეფასება ბანკის საკუთარი კაპიტალის მართვის ხარისხის შეფასების, ანუ დასაწყისში დაბანდებული კაპიტალის გამოყენებასთან მიმართებაში ბანკის საქმიანი აქტიურობის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა, რამაც ახალი დამატებული ღირებულება უნდა მოიტანოს ან, რაც იგივეა, ბანკის საკუთარი კაპიტალის ნაზარდის შეფასება უნდა მოახდინოს.

დინამიური ბუღალტრული ბალანსის განტოლება – მოგების მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა საქმიანობის სახეობების მიხედვით.

ბანკის მოგების შეფასებისას გამოყენებულია ერთობლივი მოგების დაყოფა მისი მიღების სამ მიმართულებად:

1. საოპერაციო მოგება (ზარალი) არის კრედიტების მიხედვით პროცენტული შემოსავლების საფუძველზე შექმნადი მოგება (ზარალი) გადახდილი პროცენტების გამოკლებით.

2. მოგება (ზარალი) ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან არის ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ამ ოპერაციების განხორციელებაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობა.

3. მოგება (ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან არის სხვაობა საკომისიოების, ფასეულობების ინკასირებაზე გადასახადების და დივიდენდების, მიღებული ჯამების და ა.შ. მიხედვით შემოსავლების ფორმირების შედეგად მიღებულ მოგებასა და იმ ხარჯებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ ფუნქციონალურ საქმიანობას (ხარჯები ადმინისტრაციულ-მმართველობით პერსონალის შენახვაზე, სამეურნეო ხარჯები, ამორტიზაციული ანარიცხები და ძირითადი ფონდების რემონტზე გაწეული ხარჯები),

აგრეთვე, სხვა ხარჯები (გადახდილი საკომისიოები, გადახდილი ჯარიმები, საფოსტო და სატელეგრაფო, სხვა ხარჯები და ზარალი).

მოგებას (ზარალს) არასაოპერაციო საქმიანობიდან, როგორც წესი, უარყოფითი შედეგი გააჩნია და იგი „ტვირთის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

საქმიანობის სახეობების მიხედვით მოგების შეფასება შეიძლება განხორციელდეს:

- **ჰორიზონტალურად** – დინამიკაში გამოსაკვლევი პერიოდების მიხედვით, რაც ერთობლივი მოგებისა და საქმიანობის სახეობების მიხედვით მიმდინარე ცვლილებების შეფასების შესაძლებლობას იძლევა;
- **ვერტიკალურად** – რაც მოგების სტრუქტურის დინამიკის ცვლილებების შესაძლებლობას იძლევა ბანკის საქმიანობის სახეობების მიხედვით.

ყველა მითითებული კომპონენტის ზრდის ტემპების შედარება იმის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა, თუ ფაქტორებიდან რომელმა მოახდინა პოზიტიური (ნეგატიური) ზემოქმედება ერთობლივ მოგებაზე აბსოლუტურ სიდიდეებში.

მოგების ნორმის დინამიკა და სტრუქტურა კაპიტალზე. მოგების ნორმა ბანკის კაპიტალზე არის ბანკის საქმიანობის შედეგიანობის გავრცობილი მაჩვენებელი. ის მოიცავს კომპონენტებს, რომლებიც თითოეული კომპონენტიდან კაპიტალზე მოგების ნორმის სიდიდის დამოკიდებულების გარკვევის შესაძლებლობას იძლევა.

მოგების ნორმა კაპიტალზე არის ბანკის კომერციული საქმიანობის შედეგიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი. იგი გაიანგარიშება მოგების შეფარდებით კაპიტალთან.

მოგების მარჟა არის ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც ერთობლივი შემოსავლის თითოეულ ფულად ერთეულზე მოგების სიდიდის ცვლილების შედეგიანობის ფაქტორზე ზემოქმედებას

გამოხატავს. იგი გაიზომება მოგების თანაფარდობით ერთობლივ შემოსავალთან.

აქტივების გამოყენება არის ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც ბანკის აქტივების გამოყენების საერთო ეფექტიანობას გამოხატავს. იგი განისაზღვრება, როგორც ერთობლივი შემოსავლის შეფარდება აქტივების მთლიან თანხობრივ ჯამთან.

კაპიტალის მულტიპლიკატორი არის ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც კაპიტალის სტრუქტურის ცვლილებების ხარჯზე შედეგიანობის ფაქტორზე ახდენს ზემოქმედებას. იგი განისაზღვრება, როგორც მთლიანი ერთობლივი კაპიტალის თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან.

კაპიტალზე მოგების ნორმის გაანგარიშების მოდელი შემდეგი სახით შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული:

(მოგება/საკუთარი კაპიტალი) = (მოგება/შემოსავალი) ×

× (შემოსავალი/აქტივები) × (აქტივები/ საკუთარი კაპიტალი).

კაპიტალზე მოგების ნორმის გაანგარიშების მოდელის შემადგენლობაში შემავალი პარამეტრების ცვლილებების სტრუქტურის მიხედვით (ვერტიკალური ანალიზი) და დინამიკაში (ჰორიზონტალური ანალიზი) შედარებისას ირკვევა, თუ რომელი ფაქტორების ხარჯზე იცვლებოდა შედეგის მომტანი ფაქტორული ნიშან-თვისება – მოგების ნორმა კაპიტალზე და სწორედ ქვემოჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელმა გამოიწვია ცვლილება მოგების თანაფარდობით კაპიტალზე:

- მოგების სიდიდის ცვლილებამ შემოსავლის თითოეულ ლარზე;
- ერთობლივი აქტივების ეფექტიანობის დონის ცვლილებამ;
- ბანკის ფინანსური სტრუქტურის ცვლილებამ.

საკუთარ კაპიტალზე მოგების ნორმის დეკომპოზიციური ანალიზი არის მოგების მარჟის, აქტივების გამოყენების ეფექტიანობისა და კაპიტალის მულტიპლიკატორის ურთიერთკავშირების

და ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე საბანკო ფინანსური ინფორმაციული ანალიზის მრავალეტაპიანი მეთოდი.

დეკომპოზიციური ანალიზის მოდელის სტადიები:

ანალიზის პირველი სტადია გასაანგარიშებელ კაპიტალზე მოგებას (მოგების ნორმა – H1) აქტივებზე მოგებასთან (მა) და საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკატორთან (H3) აკავშირებს შემდეგი ტოლობა:

$$H1 = მა \cdot H3,$$

სადაც: H1 ეკვივალენტურია – მოგება გაყოფილი ბანკის საკუთარ კაპიტალზე. იგი გამოხატავს მოგების სიდიდეს საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე გაანგარიშებით (H1=მოგება/საკუთარი კაპიტალი);

მა ეკვივალენტურია – მოგება გაყოფილი ბანკის ჯამური აქტივების სიდიდეზე. იგი გამოხატავს მოგების სიდიდეს ერთობლივი აქტივების ერთ ლარზე გაანგარიშებით (მა=მოგება/აქტივები).

რამდენადაც აღნიშნული მოდელის კომპონენტები კოეფიციენტებს, ანუ თანაფარდობებს წარმოადგენენ, ისინიც, ასევე, ექვემდებარებიან ანალიზს.

ანალიზის მეორე სტადია, შემოსავლის H1-ზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მა-ს ორ კომპონენტად დაყოფს:

1. მოგების მარჟად (H4=მოგება/შემოსავალი);
2. აქტივების გამოყენებად (H2 =შემოსავალი/აქტივები).

აგრეგირებული სახით მოგების თანაფარდობა აქტივებთან შემდეგი ფორმით გამოიხატება:

$$მა = H4 \cdot H2$$

სადაც: H4= (მოგება/შემოსავლები);

H2= (შემოსავალი/აქტივები).

ანალიზის მესამე სტადია მოგების ნორმის შემადგენლების კაპიტალზე ზემოქმედების დეტალურ ანალიზში მდგომარეობს:

$$H1 = H4 \cdot H2 \cdot H3,$$

სადაც: H1 = (მოგება/საკუთარი კაპიტალი);

H3 = (აქტივები/საკუთარი კაპიტალი);

H2 = (შემოსავალი/აქტივები).

ანალიზი ხორციელდება ფაქტორული ანალიზის გამოყენებით დეკომპოზიციური ანალიზის მოდელის ყველა პარამეტრის ცვალებადობის (გადახრების) საფუძველზე, ანუ ფორმულის თითოეული შემადგენლის რაოდენობრივი შეფასების შედეგობრივ ფაქტორზე – მოგების ნორმა კაპიტალზე ზემოქმედების ანალიზი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მოგების ნორმის სიდიდის გადახრის გაანგარიშება:

$$H1 - H1_0,$$

სადაც: H1 არის კაპიტალზე საანგარიშსწორებო (მიმდინარე) პერიოდის მოგების ნორმა;

$H1_0$ – კაპიტალზე წინა პერიოდის მოგების ნორმა.

2. მოგების მარჟის დონის ცვლილების კაპიტალზე მოგების ნორმის გადახრის სიდიდეზე ზემოქმედება გაიანგარიშება:

$$(H4 - H4_0) \cdot H2 \cdot H3,$$

სადაც: H4 არის საანგარიშსწორებო (მიმდინარე) პერიოდის მოგების მარჟის დონე;

$H4_0$ – წინა პერიოდის მოგების მარჟის დონე;

H2 – საანგარიშსწორებო (მიმდინარე) პერიოდის აქტივების გამოყენების დონე;

H3 – საანგარიშსწორებო (მიმდინარე) პერიოდის კაპიტალის მულტიპლიკატორი.

3. აქტივების გამოყენების დონის ცვლილების კაპიტალზე მოგების ნორმის გადახრის სიდიდეზე ზემოქმედება გაიანგარიშება:

$$(H2 - H2_0) \cdot H4_0 \cdot X3,$$

სადაც: $H2_0$ არის წინა პერიოდის აქტივების გამოყენების დონე;

$H4_0$ – წინა პერიოდის მოგების მარჟის დონე.

4. კაპიტალის მულტიპლიკატორის სიდიდის ცვლილების კაპიტალზე მოგების ნორმის გადახრის სიდიდეზე ზემოქმედება გაიანგარიშება:

$$(H3 - H3_0) \cdot H4_0 \cdot H2_0,$$

სადაც: $H3_0$ არის წინა პერიოდის კაპიტალის მულტიპლიკატორი.

მოგების ფაქტორული ანალიზი. ჯამური მოგება ასახავს ბანკის კომერციული საქმიანობის საერთო ფინანსურ შედეგს. საერთო სახით მისი ფორმირება შემდეგი ფაქტორების ზემოქმედებით ხორციელდება:

- საკუთარი კაპიტალის სიდიდის (C1) ცვლილების;
- მოგების მარჟის (H4) ცვლილების;
- აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონის (H2) ცვლილების;
- კაპიტალის მულტიპლიკატორის დონის (H3) ცვლილების.

მოგების ფაქტორული ანალიზის მოდელი შემდეგი სახით შეიძლება გამოისახოს:

მოგება=საკუთარი კაპიტალი × (მოგება/შემოსავალი) ×

× (შემოსავალი/აქტივები) × (აქტივები/ საკუთარი კაპიტალი),

ან აგრეგირებული ფორმით: $П = C1 \cdot H4 \cdot H2 \cdot H3$,

ჯამურ მოგებაზე ფაქტორული ზემოქმედების გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მოგების სიდიდის საერთო ცვლილების გაანგარიშება= მ – $მ_0$,

სადაც: მ არის საანგარიშგებო (მიმდინარე წლის) მოგება;

$მ_0$ – წინა პერიოდის მოგება.

2. მოგებაზე საკუთარი კაპიტალის ცვლილების ზემოქმედების გაანგარიშება:

$$(C1 - C1_0) \cdot H4 \cdot H2 \cdot H3,$$

სადაც: C1 არის საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის საკუთარი კაპიტალი;

$C1_0$ – წინა პერიოდის საკუთარი კაპიტალი;

H4 – საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის მოგების მარჯა;

H2 – საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე;

H3 – საანგარიშგებო (მიმდინარე) პერიოდის კაპიტალის მულტიპლიკატორი.

3. მოგებაზე ზემოქმედება მოგების მარჯის სიდიდის ცვლილების გაანგარიშება:

$$(H4 - H4_0) \cdot Cl_0 \cdot H2 \cdot H3,$$

სადაც: $H4_0$ არის წინა პერიოდის მოგების მარჯა.

4. მოგებაზე ზემოქმედება აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონის ცვლილების გაანგარიშება:

$$(H2 - H2_0) \cdot Cl_0 \cdot H4_0 \cdot H3,$$

სადაც: $H2_0$ არის წინა პერიოდის აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე.

5. მოგებაზე ზემოქმედება კაპიტალის მულტიპლიკატორის ცვლილების გაანგარიშება:

$$(H3 - H3_0) \cdot Cl_0 \cdot H4_0 \cdot H2_0,$$

სადაც: $H3_0$ არის წინა პერიოდის საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკატორი.

დინამიური ბალანსის განტოლების საფუძველზე ბანკის საქმიანობის ანალიზი ხელს უწყობს ისეთი პარამეტრების გამოვლენას, რომლებიც ბანკის მოგების ცვლილებაზე ზემოქმედებენ. ამასთან, მოგებაზე და კაპიტალის მოგების ნორმაზე ზემოქმედი ფაქტორების მართვის ხარჯზე მოგების სიდიდის და ბანკის საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის რეგულირების შესაძლებლობას იძლევიან.

14.3. კომერციული ბანკის მოდიფიცირებული საბალანსო განტოლების მოდელი

ბანკის საქმიანობის ანალიზისადმი არსებული მიდგომები ბევრად განისაზღვრება მისი სხვადასხვა სახეობითა და მეთოდით. დაკრედიტების საკითხების გადაწყვეტისას და სხვა კომერციულ ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარებისას საჭირო ხდება განისაზღვროს ლიკვიდობისა და მოგებიანობის (შემოსავლიანობის) საერთო მდგომარეობა, დადგინდეს ცალკეული ბანკის საქმიანობის სახეობების სპეციალიზაცია და მნიშვნელობა.

ანალიზის მოდელის საფუძველში ჩადებულია შემდეგი სახის მოდიფიცირებული საბალანსო განტოლება: **აქტივები=პასივებს**, ან ბანკის საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზისათვის გამოყენებადი ბალანსის განტოლება. ანალიზის მოდელის მთავარი მიზანი მდგომარეობს არა ბანკის მოგებიანობისა და ლიკვიდობის დონის სიდიდის გამოვლენაში, არამედ ბანკის განკარგულებაში არსებული პასივების სათანადოდ გამოყენებაში და, მოგებიანობასა და ლიკვიდობას შორის დაბალანსებულობის პოზიციიდან გამომდინარე, ბანკის ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა მხარის განსაზღვრაში. ანალიზის მოდელი ბანკის მოგებიანობისა და ლიკვიდობის ოპტიმალური თანაფარდობის გამოვლენის, ანუ იმის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, იცავს თუ არა ბანკის მენეჯმენტი აქტიურ და პასიურ ოპერაციებში საჭირო დივერსიფიკაციას და ბანკის პორტფელის მართვის რაციონალურობას.

ბანკის მოგებიანობისა და ლიკვიდობის მდგომარეობის ოპტიმიზაციის ანალიზისადმი ჩამოყალიბებული მიდგომა დაფუძნებულია იმაზე, რომ ლიკვიდობის მართვის პროცესში აქტივებისა და პასივების განსაზღვრული თანაფარდობების დაცვა, ანუ პასივების ცალკეული მუხლის აქტივების გარკვეულ მუხლებზე მიკუთვნების მეთოდის დამკვიდრება არის საჭირო. დაჯგუფების მეთოდი საბალანსო მონაცემების სისტემატიზაციის გზით ანალიზირდება. იგი მოვლენებისა და პროცესების არსში გარკვევის შესაძლებლობას

იძლევა. განსახორციელებელი ანალიტიკური მუშაობის მიზნებიდან ბალანსის აქტივებისა და პასივების მუხლების დაჯგუფების კრიტერიუმები, დეტალიზაციის ხარისხი, აგრეთვე, სხვა თავისებურებები განისაზღვრება.

ცხრილი 14.4.

ბანკის აგრეგირებული ბალანსი

აგრეგატი	ბანკის აქტივის მუხლები	აგრეგატი	ბანკის პასივის მუხლები
1	2	3	4
A1	**სალაროს აქტივები, სულ:**	**P1**	**ონკოლური (მოთხოვნამდე) ვალდებულებები**
a2	სალარო	p2	ანაბრები მოთხოვნამდე
a3	სარეზერვო მოთხოვნები	p3	საკორესპონდენტო ანგარიშები
a4	სახსრები საანგარიშსწორებო ცენტრში	**P4**	**ვადიანი ვალდებულებები**
a5	სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	p5	ვადიანი ანაბრები და დეპოზიტები
A6	**ფასიანი ქაღალდები, სულ:**	p6	საბანკო სესხები
a7	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	p7	ბაზარზე მიმოქცევადი სავალო ვალდებულებები
a8	ფასიანი ქაღალდები პორტფელში	**P8**	დანარჩენი ვალდებულებები, სულ:
a9	ბანკის მიერ ალრიცხული თამასუქები, დროზე გადაუხდელები	p9	კრედიტორები
A10	**სესხები, სულ:**	p10	დანარჩენი ვალდებულებები
a11	მოკლევადიანები		**სულ, ვალდებულებები** (P1+P4+P8)
a12	საბანკოები	**C1**	**ძირითადი კაპიტალი, სულ:**
a13	გრძელვადიანები	**C2**	საწესდებო ფონდი
a14	ვადაგადაცილებულები	**C3**	ბანკის ფონდები
A15	**დანარჩენი აქტივები, სულ:**	**C4**	დამატებული კაპიტალი, სულ:
a16	ინვესტიციები	c5	რეზერვები ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის ქვეშ
a17	კაპიტალიზებული და არამატერიალური აქტივები	c6	რეზერვები
a18	დანარჩენი აქტივები	c7	სავალუტო სახსრების გადფასება
a19	განყენებული სახსრები, ხარჯები და ზარალი	c8	მოგება
	ბალანსი (A1+A6+A10+A15)		**ბალანსი (P1+P4+P8+C1+C4)**

განმარტებები: a5 – შეიძლება სალაროს აქტივების შემადგენლობიდან გამოიქვითოს და მოკლევადიან სესხებში იქნეს გადატანილი;

c7 – შეიძლება ბანკის საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში მხოლოდ საწესდებო ფონდის სავალუტო შემადგენლის ნაწილში ჩაირთოს.

სწორედ აღნიშნული პრინციპითაა ბანკის აგრეგირებული ბალანსი აგებული (იხ. ცხრ. 14.4), აქტივების ხარისხი და პასივების სტრუქტურა განსაზღვრული და ლიკვიდობის შეფასება განხორციელებული.

ბანკის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ობიექტური წარმოდგენის ფორმირებისათვის ანალიზის ორი ბლოკი გამოიყენება:

ანალიზის პირველი ბლოკი აქტივებისა და პასივების ხარისხის, მათი ლიკვიდობის მაჩვენებლებით არის ჩამოყალიბებული და იგი შეიძლება ბანკ-მსესხებლის ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვისაც იქნეს გამოყენებული.

ანალიზის მეორე ბლოკი თავისთავში ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას, ეფექტიანობის დამატებით ან დეტალიზებულ მაჩვენებლებს, ძირითადი მაჩვენებლების ცვლილებების მიზეზებსა და საქმიანობის ეფექტიანობის ფაქტორების დეტალიზაციას მოიცავს.

ბანკის ლიკვიდობისა და მოგებიანობის შემფასებელი მაჩვენებლების სისტემა გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ რეკომენდაციის შემუშავებაზე მნიშვნელოვანი ხარისხითაა ორიენტირებული. ანალიზის მოდელის აგებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ყველა სახის პრობლემის გადაწყვეტისას, ფინანსური მაჩვენებლების გამოყენებული არჩევანი უნდა იყო სრული, ანუ იგი ბანკის ლიკვიდობისა და მოგებიანობის შეფასების ყველა შესაძლო მნიშვნელოვან ასპექტს უნდა მოიცავდეს. ერთდროულად, მოდელში შემავალი მაჩვენებლების სისტემა ქმედითია, რამდენადაც

ანალიზში მათი გამოყენებისაგან სარგებელი ეჭვს არ იწვევს და, თავის მხრივ, არ წარმოადგენს ჭარბს: მაჩვენებლები არ დუბლირებენ ერთმანეთს, არამედ მათი ცვლილების მიზეზების გამოხატვით მხოლოდ ძირითადი კოეფიციენტების შევსებისა და გაშიფვრის საშუალებას წარმოადგენენ.

მაჩვენებლები ბანკის აგრეგირებული ბალანსისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშის საფუძველზე გაიანგარიშება (იხ. ცხრ. 14.5.).

აქტივების ხარისხის მაჩვენებლების ჯგუფი ბანკის სარესურსო ბაზასთან მიმართებაში მათი შეფასების შესაძლებლობას იძლევა. შემოსავლიანი აქტივები ყველაზე მნიშვნელოვანია შეფასდეს ფასიან აქტივებთან (K_2) მიმართებაში, ამიტომ მოცემულ კოეფიციენტს ენიჭება უპირატესობა ტრადიციული მაჩვენებლის (K_1) წინაშე, რამდენადაც შემოსავლიანმა აქტივებმა შეიძლება ფასიანი პასივების მიხედვით ვალდებულებების შესასრულებლად შემოსავლიანობის საჭირო დონე ვერ უზრუნველყონ. სხვა მაჩვენებლების ეკონომიკური პარამეტრები, უშუალოდ, ცხრილ 14.6.-შია ჩამოყალიბებული.

ცხრილი 14.5.

ბანკის მოგებისა და ზარალის ანგარიში

აგრეგატი	მუხლის დასახელება	აგრეგატი	მუხლის დასახელება
d1	პროცენტული შემოსავალი	d2*	შემოსავლები ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან
r1	პროცენტული ხარჯები	r2	არაპროცენტული ხარჯები
e1	**პროცენტული მარჯა** (d1–r1)	d3	მთლიანი შემოსავლები (d1+d2)
		r3	მთლიანი ხარჯები (r1+r2)
d2	არაპროცენტული შემოსავლები	**e2**	**მთლიანი მოგება (d3-r2)**

ცხრილი 14.6.

ბანკის აქტივების ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა	მაჩვენებლის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს:
K_1=შემოსავლიანი აქტივები/ /აქტივები	(a5+A6+A10+a16+a18):(A1+A6+A10+A15)	0,75–0,85	შემოსავალშექმნადი აქტივების ხვედრით წონას აქტივების შემადგენლობაში (საჭირო K_2 ურთიერთკავშირში იქნეს განხილული).
K_2=შემოსავლიანი აქტივები/ ფასიანი პასივები	(a5+A6+A10+a16+a18):(P1+P4)	≥1,0	შემოსავლიანი აქტივების თანაფარდობას ფასიან რესურსებთან (K_1-ის წინაშე პრიორიტეტი გააჩნია).
K_3=სესხები/ვალდებულებები	A10:(P1+P4+P8)	<0,7 (აგრეგირებული პოლიტიკა); <0,6 (ფრთხილი პოლიტიკა)	ბანკის აგრეგირებულ ან ფრთხილ საკრედიტო პოლიტიკას; აგრეგირებული პოლიტიკისას ზედა ზღვარი – 0,78, შემდგომ – გაუმართლებლად საშიში საჭიანობა; ფრთხილი საკრედიტო პოლიტიკისას ქვედა ზღვარი – 0,53, უფრო ქვემოთ – ზარალის შესაძლებლობა.
K_4=საბანკო ნასესხები/ /საბანკო სესხები	p6:a12	≥1,0 მსესხებელი; ≤1,0 კრედიტორი	ბანკის აგრესიული ან ფრთხილი საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას, თუ ბანკი მსესხებელია, მაშინ დასაშვებია K_3=0,6; თუ ბანკი კრედიტორია, მაშინ დასაშვებია მნიშვნელობა K_3=0,7.
K_5=სესხები/კაპიტალი	A10:(C1+C4)	≤8,0	სასესხო პოლიტიკის რისკიანობას; მნიშვნელობა 8-ზე მაღალი კაპიტალის არასაკმარისობაზე ან ბანკის აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკაზე მიუთითებს.
K_6=ვადაგადაცილებული სესხები/სესხები	a14:A10	≤0,04	ვადაგადაცილებული სესხების ხვედრით წონას ბანკის სასესხო პორტფელში.
K_7=რეზერვები სესხებზე/ /სესხები	c6:A10	≤0,04	სესხების მიხედვით ზარალის გადაფარვის რეზერვებს.

როგორც წესი, ბანკთაშორისი დაკრედიტების ბაზრის ანალიტიკოსები სხვა ბანკის მიერ გაცემული (შეტანილი) კრედიტების (დეპოზიტების) თანხების გაშიფვრას შეისწავლიან, ამასთან, ბანკის პასივების სტრუქტურას ყურადღებას არ აქცევენ, რასაც პრინციპულად არასწორ (არამართებულ) დასკვნამდე მივყავართ. სწორედ ამიტომ, პასივების სტრუქტურის მაჩვენებლებში ასახულია პარამეტრები, რომლებიც ბანკის მდგრადობის მახასიათებლების, ვალდებულებების სტრუქტურის, ლიკვიდობის რისკის ან დანახარჯების მინიმიზაციის ხარისხის, კაპიტალის საკმარისობის დონის მახასიათებლებია (იხ. ცხრ. 14.7).

ცხრილი 14.7.

ბანკის პასივების ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა	მაჩვენებლის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს:
1	2	3	4
K_{11}=კაპიტალი/ /აქტივები	(C1+C4): :(A1+A6+A10+ A15)	0,08 - 0,15	ბანკის ფინანსურ მდგრადობას: თუ K<0,08 – მეტად საშიშ ზღვარზე – გაკოტრების რისკზე მიუთითებს; თუ K>0,15 – არაეფექტიანობაზე და არაკონკურენტუნარიან ბანკზე მიუთითებს.
K_{12}=ონკოლური და ვადიანი ვალდებულებები/აქტივები	(P1+P4):(A1+A6 +A10+A15)	0,5 - 0,7	ვადიანობისა და საიმედოობის დონეს.
K_{13}=ნასესხობები/ /აქტივები	(p6+p7) :(A1+A6+A10+ A15)	0,2 - 0,35	ვადიანობისა და საიმედოობის დონეს.
K_{14}=ონკოლური ვალდებულებები/ყველა ვალდებულება	P1:(P1+P4+ +P8)	0,2 - 0,4	მდგრადობის ან დანახარჯების რისკის მინიმიზაციის ხარისხს; K_{14}=0,2 – მდგრადობის რისკის მინიმიზაციაზე მიუთითებს; K_{14}=0,4 – სპეკულაციური დანახარჯების მინიმიზაციაზე მიუთითებს.

ცხრილი 14.7.-ის გაგრძელება

1	2	3	4
K_{15}=ვადიანი ანაბრები/ყველა ვალდებულება	p5:(P1+P4+ +P8)	0,1 - 0,3	მდგრადობის ან დანახარჯების რისკის მინიმიზაციის ხარისხს: K_{15}=0,1 – დანახარჯების მინიმიზაციაზე მიუთითებს; K_{15}=0,3 – მდგრადობის რისკის მინიმიზაციაზე მიუთითებს.
K_{16}=ნასესხობები ყველა ვალდებულებაში	P6:(P1+P4+ +P8)	0,25 - 0,40	მდგრადობის ან დანახარჯების რისკის მინიმიზაციის ხარისხს; K_{16}=0,25 – დანახარჯების მინიმიზაციაზე მიუთითებს; K_{16}=0,40 – მდგრადობის რისკის მინიმიზაციაზე მიუთითებს.
K_{17}=დანარჩენი ვალდებულებები/ყველა ვალდებულება	P8:(P1+P4+ +P8)	მიისწრაფის min-სკენ	პასიური მდგრადობისა და დანარჩენი ვალდებულებების მართვის ხარისხებს (ჯარიმები, პენიები, მოსაკრებლები).
K_{18}=ძირითადი კაპიტალი/ /საკუთარი კაპიტალი	P1:(P1+P4)	≥0,5	ძირითადი კაპიტალის საკმარისობის დონეს.

ბანკის ლიკვიდობის ანალიზი (იხ. ცხრ. 14.8-ში) ბანკის ლიკვიდური სახსრებით ვალდებულებების ვადების მიხედვით ყველაზე არამდგრადი უზრუნველყოფის ხარისხის გამომხატველია.

საქმიანობის ეფექტიანობა ან ბანკის მოგებიანობა (იხ. ცხრილ 14.9-ში), ფართოდ ცნობილი – დიუპონის ფორმულის საფუძველზეა აგებული. აღნიშნული კომბინაცია ანალიტიკოსს ბანკის საქმიანობის ძირითადი კომპონენტების, პრაქტიკულად, თითოეულის მნიშვნელობის მომენტალურად შეფასების შესაძლებლობას აძლევს, ასევე, იმის შესაძლებლობას, რომ გამოავლინოს, საბანკო საქმიანობის რომელმა პარამეტრმა მოახდინა ზემოქმედება მის მოგებაზე ყველაზე მეტი ხარისხით.

უფრო დეტალური ანალიზისათვის, თუ არის ამის საჭიროება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეფექტურობის დამატებითი მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 14.10) და განხორციელდეს ფაქტორების დეტალიზაცია, რომელიც ბანკის საქმიანობის ეფექტიანობაზე ზემოქმედებს (იხ. ცხრ. 14.11).

ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების მიზეზები შეიძლება ფინანსური კოეფიციენტების საშუალებით იქნეს განსაზღვრული (იხ. ცხრ. 14.12), რომლებიც საბანკო საქმიანობის ეფექტიანობაზე ზემოქმედ რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრს გამოხატავენ.

ცხრილი 14.8

ბანკის ლიკვიდობის ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა	მაჩვენებლის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს:
K_8=სალაროს აქტივები/ონკოლური ვალდებულებები	A1:P1	0,2 - 0,5	ყველაზე არამდგრადი ვალდებულებების ლიკვიდური სახსრებით გადაფარვის ხარისხს
K_9=სალაროს აქტივები/ონკოლური და ვადიანი ვალდებულებები	A1:(P1+P4)	0,05 - 0,3	დეპოზიტებისა და ანაბრების ლიკვიდური სახსრებით გადაფარვის ხარისხს
K_{10}=ფასიანი ქაღალდების პორტფელი/ვალდებულებები	a7:(P1+P4+ +P8)	0,15 - 0,40	ლიკვიდობის პოტენციალურ მარაგს მეორადი ლიკვიდური რესურსების გამოყენებისას; K_{10}=0,4 – წარმოიშობა ზარალიანობის რისკი; K_{10}=0,15 – წარმოიშობა საბანკო პორტფელის ლიკვიდურობის რისკი

ცხრილი 14.9.

ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	ოპტიმალური მნიშვნელობა, %	მაჩვენებლის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს:
K_{19}=მოგება/აქტივები	c8:(A1+A6+ A10+A15)	1,0 - 4,0	აქტივების მუშაობის ეფექტიანობას
K_{20}=მოგება/შემოსავალი	c8:d3	8,0 - 20,0	რამდენი მოგებაა მიღებული შემოსავლების ითოეული ლარიდან
K_{21}=შემოსავალი/აქტივები	(d1+d2*): (A1+A6+ A10+A15)	14,0 - 22,0	რამდენი მოგებაა მიღებული აქტივების თითოეული ლარიდან
K_{22}=მოგება/კაპიტალი	c8:C1	15,0 - 40,0	საკუთარი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას
K_{23}=კაპიტალის მულტიპლიკატორის	(A1+A6+ A10+A15):(C1 +C4)	8-16 ჯერ	აქტივების მოცულობას, რომლის მიღება არის შესაძლებელი საკუთარი კაპიტალის თითოეული ლარიდან

ცხრილი 14.10.

ეფექტიანობის დამატებითი მაჩვენებლები

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	ოპტიმალური მნიშვნელობა, %	მაჩვენებლის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს:
K_{24}=პროცენტული მარჟა/შემოსავლიანი აქტივები	c1:(a5+A6+A10+a16)	1,0 - 3,0	შემსოავლიანი აქტივების მეშვეობის ეფექტიანობას: წმინდა პროცენტული შემოსავლის დონეს შემოსავლიანი აქტივებისაგან
K_{25}=სპრედი	d1: (a5+A6+A10+a16) - r1:(P1+P4)	–	დაბანდებულ და მოზიდულ რესურსებს შორის საპროცენტო განაკვეთების გაყრკობას: K_{25}-ის მკრე მნიშვნელობა არაეფექტიან საპროცენტო პოლიტიკაზე მიუთითებს, დიდი მნიშვნელობა კი – დამატებითი რესურსების მოზიდვაში გამოყენებულ შესაძლებლობებზე
K_{26}=პროცენტული შემოსავლე ბი/პროცენტული ხარჯები	d1:r1	110 - 125	პროცენტული ხარჯების პროცენტული შემოსავლებით გადაფარვის ხარისხს

ცხრილი 14.11

ეფექტიანობაზე ზემოქმედი ფაქტორების დეტალიზაცია

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	ოპტიმალური მნიშვნელობა, %	მაჩვენებლის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს:
1	2	3	4
აქტივების ერთ ლარზე			
K_{32}=პროცენტულ მარჟას	c1:(A1+A6+A10+A15)	1,0 - 4,0	სპრედის მართვის ეფექტიანობას.
K_{33}=არაპროცენტულ ხარჯებს	r2: (A1+A6+A10+A15)	1,0 - 4,0	დანახარჯების ზღვრულ დონეს აქტივების ერთ ლარზე გაანგარიშებით
შემოსავლების ერთ ლარზე			
K_{34}=არაპროცენტულ შემოსავლებს	(d2-d2*):d3	5,0 - 15,0	შიდასაბანკო რეზერვების გამოყენების ეფექტიანობას
K_{35}=არაპროცენტულ ხარჯებს	r2:d3	10,0 - 25,0	ბანკის დანახარჯების მართვის ხარისხს
კაპიტალის ერთ ლარზე			
K_{36}=პროცენტულ მარჟას	c1:C1	10,0 - 35,0	ეკონომიკური დამატებული ღირებულების სიდიდესა და სპრედის მართვის ეფექტიანობას
K_{37}=შემოსავლებს	d1:C1	1,2 - 1,7-ჯერ	ლარის შემოსავლების რაოდენობას, რომელიც ძირითადი კაპიტალის ერთ ლარზეა მოზიდული

ცხრილი 14.12

ფინანსური კოეფიციენტები

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	ოპტიმალური მნიშვნელობა, %	მაჩვენებლის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს
K_{27}=პროცენტული მარჟა/ /შემოსავლები	c1:d3	6,0-18,0	სუფთა პროცენტული შემოსავლის დონე – მოწმობს, საპროცენტო პოლიტიკის ეფექტიანობას
K_{28}=პროცენტული შემოსავლები/ /აქტივები	d1:(A1+A6+ A10+A15)	10,0-18,0	პროცენტული შემოსავლის სიდიდე აქტივების ერთ ლარზე – გამოხატავს დაბანდებების ეფექტიანობისა და რისკიანობის დონეს
K_{29}=არაპროცენტული შემოსავლები/ /აქტივები	(d2-d2*): : (A1+A6+ A10+A15)	1,0-3,0	შიდასაბანკო რეზერვების გამოყენების შესაძლებლობებს
K_{30}=არაშემოსავლიანი აქტივები/კაპიტალი	(a2+a3+a4+a17 +a18+a19): :(C1+C4)	0,5-2,0-ჯერ	კაპიტალის გამოყენების მიმართულებების პრიორიტეტულობას
K_{31}=შემოსავლიანი აქტივები/ /კაპიტალი	(a5+A6+A10+ a16):(C1+C4)	8,0-18,0	შემოსავლიანი აქტივების სიდიდეს, რომელიც კაპიტალის თითოეული ლარიდან შეიძლება იქნეს მიღებული

შენიშვნა: d2* არის შემოსავლები ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან.

ბანკის საკუთარი სახსრები მოცემული ანალიზის მიზნებისათვის ორი შემადგენლის მიხედვით არის განაწილებული: საკუთარ სახსრებად-ბრუტტო და საკუთარ სახსრებად-ნეტტო. ბანკის საკუთარი სახსრები – ბრუტტო მეტია, რადგანაც ისინი მოიცავენ თავისთავში იმობილიზებული საკუთარი სახსრების სიდიდეს და საკუთარი სახსრები – ნეტტოს ფაქტიურ ნაშთს (იხ. ცხრ. 14.13).

ცხრილი 14.13.

ბანკის საკუთარი სახსრები

C9	საკუთარი სახსრები – ბრუტტო (C1+C4)
C10	იმობილიზაციის ჯამი (a16+a17+a19)
C11	საკუთარი სახსრები – ნეტტო (C9–C10)

საკუთარი სახსრები – ბრუტტო წარმოადგენს ბანკის შემოსავლიანი აქტიური ოპერაციების რესურსს მხოლოდ პოტენციალურად, რადგანაც მათი ნაწილის იმობილიზება ბალანსის აქტივის მუხლებში ხორციელდება. შემოსავლიანი აქტიური ოპერაციების რეალურ წყაროს წარმოადგენენ საკუთარი სახსრები – ნეტტო, რომლის სიდიდე, თავისთავად, საკუთარი სახსრები – ბრუტტოსა და მათი იმობილიზაციის თანხას შორის სხვაობაა. ბანკის საკუთარი სახსრების შემოთავაზებული დაყოფა შეიძლება ბანკი-მსესხებლისათვის დაკრედიტების ლიმიტების დასადგენად საფუძველი იყოს.

ბანკის საქმიანობის ანალიზი, მოდიფიცირებული საბალანსო განტოლების საფუძველზე, პორტფელური შეზღუდვების დაცვასთან და რეგულირებასთან მიმართებაში, ბანკის მონიტორინგის განხორციელებას ემსახურება, რომელიც ბანკის მიერ კონკრეტულ პერიოდზე სტრატეგიის სახით არის არჩეული.

განვიხილოთ ბანკის საქმიანობის ანალიზი ზემოაღნიშნულის დემონსტრირების მიზნით, გამოქვეყნებადი ანგარიშგებების საფუძველზე, მოდიფიცირებული საბალანსო განტოლების პოზიციიდან.

ბანკის ბალანსის ანალიზი (იხ. ცხრ. 14.14).

პასივები. ნებისმიერი ბანკის რესურსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მოზიდული სახსრები – ბრუტტო, რომლებიც, ჩვენ შემთხვევაში, ტოლია პერიოდში t_1 = 138,9; t_2 = 149,2 მლრდ ლარის, ანუ მოზიდვის დეფიციტი = 10,3 მლრდ ლარის. მოზიდულ სახსრებს – ბრუტტოდან (p2+P4+P8) თუ დავაკლებთ გაცემული

სახსრების (a19) ჯამს, მივიღებთ მოზიდული სახსრები-ნეტტოს სიდიდეს, რომელიც ტოლია 95,6 და 85,3 მლრდ ლარის, შესაბამისად, პერიოდში t_1 და t_2. აღნიშნული სახსრები ბანკის რეალურ ფასიან მოზიდულ სახსრებს წარმოადგენენ და მათმა დაბანდებამ შეიძლება შემოსავალი მიგვაღებინოს.

ცხრილი 14.14

ბანკის აგრეგირებული ბალანსი

აგრეგატი	აქტივის მუხლი	მლრდ ლარებში		აგრეგატი	პასივის მუხლი	მლრდ ლარებში	
		t_1	t_2			t_1	t_2
A1	სალაროს აქტივები, სულ	21,6	44,4	p2	ანაბრები მოთხოვნამდე	61,9	55,74
A6	ფასიანი ქაღალდები, სულ	6,4	9,7	P4	ვადიანი ვალდებულებები, სულ	62,2	35,6
A10	სესხები, სულ	113,8	80,6	P8	დანარჩენი ვალდებულებები, სულ	14,9	57,9
A15	დანარჩენი აქტივები, სულ	49,4	87,4	სულ, ვალდებულებები (p2+P4+P8+C1)		138,9	149,2
a17	კაპიტალიზებული აქტივები	6,0	22,5	C1	საკუთარი კაპიტალი	52,2	72,9
a19	გაცემული სახსრები	43,4	64,9	c2	საწესდებო კაპიტალი	1,9	12,2
				c3	ბანკის ფონდები	16,1	22,3
					მოგება	34,2	38,4
	ბალანსი (A1+A6+ A10+A15)	191,2	222,1		ბალანსი	191,2	222,1

ანალიზის მოცემულ სტადიაზე საწარმოო აქტივების პოტენციური შეკუმშვის შესახებ წინასწარი დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი, რომელთა წყაროს მოზიდული ფასიანი სახსრები წარმოადგენენ. P2 და P4 აგრეგატები (t_1 – 124,1 მლრდ ლარი, ანუ (61,9 მლრდ ლარს+62,2 მლრდ ლარი) და t_2 – 91,3 მლრდ ლარი, ანუ (55,74 მლრდ ლარს+36,6 მლრდ ლარი) აგრეგატების პერიოდებში) დინამიკაში განხილვის შედეგად საბანკო საქმიანობიდან „ამონაგების მოცულობის" შემცირების შესახებ დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი, რამდენადაც მოზიდული ფასიანი სახსრები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, თავის

თავად, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების გაყიდვიდან ამონაგებს წარმოადგენენ.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ბანკი მიმზიდველი კონკურენტუნარიანი პროდუქტების შექმნას არ ახორციელებს და მუშაობს „ბუნებრივი მოსავლიანობის" პრინციპის მიხედვით, იაფი რესურსები შედარებით მაღალ მოგებიანობას უზრუნველყოფენ, ხოლო ლიკვიდობის მართვასთან მიმართებაში პრობლემები აქტივში სალაროს მაღალი ნაშთების მეშვეობით წყდება. მოზიდული სახსრები ნეტტო (p2+P4+P8-a19), ან პოტენციალური შემოსავლიანი აქტივები, ბალანსის ვალუტის შემადგენლობაში პერიოდში t_1 შეადგენს 50,0%–ს, ხოლო პერიოდში t_2 –38%-ს. მოზიდული სახსრები – ბრუტტოს შემადგენლობაში მონაწილე საწარმოო ბრუნვიდან განყენებული სახსრების (a19) ზრდა შედარებად პერიოდებში - 21,5 მლრდ ლარი, ანუ 149,51%, ხოლო მოზიდული სახსრების ზრდა 107,3%.

თუკი ბანკის პროდუქტიულ რიგს განვიხილავთ ბანკის მოზიდული ფასიანი სახსრების (p2+P4) შემადგენლობაში, მაშინ საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების გაყიდვიდან „ბანკის ამონაგები" შემცირებულია 32,8 მლრდ ლარით. ამასთან, სარესურსო ბაზის პოტენციალური მოცულობა [(p2+P4+P8+C1)-A15] აქტიური ოპერაციებისათვის შემცირდა 7,1 მლრდ ლარით. პასივების სტრუქტურაში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წონა შეადგენს 27,3%-ს და 32,8%-ს, შესაბამისად, პერიოდებში t_1 და t_2, ანუ კაპიტალის საკმარისობა ზედმეტად მაღალია ბანკის ვალდებულებების შესრულების საჭირო უზრუნველყოფისათვის მიმდინარე გადახდისუნარიანობის ჩარჩოებში. ბანკის საკუთარი კაპიტალი – ნეტტოს მოცულობას (C1–a17) უმნიშვნელო 4,2 მლრდ ლარის, ან 9,9%-ით ნაზარდი გააჩნია, ამასთან, ბანკის საწესდებო ფონდი 10,3 მლრდ ლარით (642,1%-ით) გაიზარდა.

ანალიზის მოცემულ ეტაპზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბანკის კაპიტალის მულტიპლიკაციურ ეფექტს კლებისაკენ ტენდენცია გააჩნია. აღნიშნულის ირიბ დასტურს შეიძლება შეადგენდეს მოგებისა

და ბალანსის ვალუტის ზრდის ტემპები, შესაბამისად, 112% და 116%. მოგების აბსოლუტური სიდიდე (34,2 და 38,4 მლრდ ლარი) საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, რომ ბანკის ეფექტურ საქმიანობაზე ვიმსჯელოთ. იგი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ მიღებულ და დაბანდებულ თანხებს შორის დამაკმაყოფილებელი (არადამაკმაყოფილებელი) ბალანსი იქნეს მიღწეული.

მარტივი კვლავწარმოებითი პროცესის პოზიციიდან მოგება არის მაქსიმალური სიდიდე, რომლის გახარჯვა შეეძლო ბანკს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და საერთო კაპიტალის (აქტივის ფასეულობით) ისეთივე ფასეულობით დარჩენილიყო, როგორც დასაწყის პერიოდში. საერთო კაპიტალის ფასეულობის შემცირების ილუსტრაციის თვალსაზრისით, ინვესტიციის რენტაბელობის დინამიკის განხილვა არის შესაძლებელი [c8/(A1+A6+A10+A15)]/17,5% და 17,3% შესაბამისად t_1 და t_2 პერიოდებში, ამასთან, ინფლაციური ზრდა არ არის გათვალისწინებული.

აქტივები. ბალანსის აქტივები 1,16-ჯერ გაიზარდა. მწარმოებლური აქტივების წილი (A6+A10) შემცირდა 62,9%-დან 40,7%-მდე, ხოლო არაწარმოებადითი დანარჩენი აქტივების წილი (A15) გაიზარდა 25,8%-დან 39,4%-მდე. ასეთ სიტუაციაში ბანკი იძულებულია სალაროს აქტივები (A1) გაზარდოს მოთხოვნამდე ანგარიშების (p2) შემცირებით, რომ მიმდინარე ლიკვიდობა იქნეს შენარჩუნებული, ვადების არმქონე ანგარიშების ვალდებულებების შესრულების აუცილებელი პირობის დაცვით, ანუ ბანკი მოზიდული ფასიანი სახსრების პორტფელის სტრუქტურულ რისკს ვერ მართავს. მწარმოებლური აქტივების მოცულობის და ხვედრითი წონის დაცემა და დანარჩენი არამწარმოებლური აქტივებისა და სალაროს აქტივების ნაწილში უკუ (საპირისპირო) მოვლენა ბანკის ფასიანი სარესურსო ბაზის მართვის არარსებობის შედეგს წარმოადგენს, კერძოდ, აგრეთვე, საკუთარი და მოზიდული კაპიტალისა, მთლიანობაში.

დასკვნები ბალანსის ანალიზის შედეგების მიხედვით: ბანკი ვერ მართავს აქტივებისა და პასივების საკუთარ პორტფელს; მოგების ფორმირება ხორციელდება შედარებით იაფი მოთხოვნამდე სახსრების ხარჯზე; საკორესპონდენტო ანგარიშის მართვა არ არსებობს მოზიდული ფასიანი სახსრების ცუდი სტრუქტურის გამო. ლიკვიდობის მართვის მიზნით აღნიშნული აიძულებს სალაროს აქტივების მაღალი დონის არსებობას, მაგრამ ამით სახსრების მწარმოებლური ბრუნვიდან განკარგვაც ხორციელდება. საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შემცირება დაკავშირებულია იმასთან, რომ მოზიდული სახსრების დივერსიფიკაცია ვადებისა და მოცულობების მიხედვით არ არსებობს. აქტივების ზრდისას მათმა სტრუქტურამ არსებითი ცვლილებები განიცადა შემოსავლების მომტანი აქტიური ოპერაციების შემცირების და საანარიშსწორებო ოპერაციებში ფულადი სახსრების გადიდების სასარგებლოდ. მოგების აბსოლუტური გადიდება მუშა აქტივების მოცულობების შემცირების პირობებში განიმარტება ბანკებისათვის მოზიდული ფასიანი სახსრების ღირებულების მიხედვით დადებითი ცვლილებებით. ბანკი მუშაობს „ბუნებრივი მოსავლიანობის“ პრინციპით და პრიორიტეტის ლიკვიდობასთან შედარებით მოგებიანობისათვის მინიჭებით.

ბანკი, თავისთავად, საანგარიშსწორებო – სალაროს კლიენტურ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელსაც ბანკის პორტფელის მართვის გამოყოფილი პრიორიტეტი არ გააჩნია, როგორებიცაა:

- აქტიური ოპერაციების მიზნობრივ ფუნქციასთან მართვის სტრატეგიის ოპტიმიზაცია;
- ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის მართვის სტრატეგია;
- პროდუქტიული რიგისა და მიზნობრივი აუდიტორების სტრატეგია;
- აქტიური და პასიური ოპერაციების ოპტიმიზაციის სტრატეგია;
- საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის უმართაობა.

პასივების სტრუქტურის ანალიზი (იხ. ცხრ. 14.15)

ცხრილი 14.15

პასივების სტრუქტურის ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	მნიშვნელობა	
		t_1	t_2
K_{11}=კაპიტალი/აქტივები	C1 : (A1+A6+A15)	0,27	0,33
K_{12}=ონკოლური და ვადიანი ვალდებულებები/ აქტივები	(p2+P4) : (A1 + A6 + A10+ A15)	0,65	0,41
K_{13}=ვადიანი ვალდებულებები/ აქტივები	P4 : (A1 + A6 + A10+ A15)	0,32	0,16
K_{15}=ვადიანი ვალდებულებები/ /ყველა ვალდებულება	P4 : (p2+P4+P8)	0,45	0,24
K_{17}=დანარჩენი ვალდებულებები/ /ყველა ვალდებულება	P8 : (p2+P4+P8)	0,1	0,39

ბალანსის ანალიზის მომენტისათვის კაპიტალს მაღალი საკმარისობა გააჩნია (იხ. K 11), რომლის უზრუნველყოფა ბალანსის სტრუქტურაში საკუთარი კაპიტალის მაღალი ხვედრითი წონით ხორციელდება. ბანკი დამატებითი რესურსების მოზიდვასთან მიმართებაში პოტენციალურ შესაძლებლობებს არ იყენებს და პოტენციალურ მოგებას არ ღებულობს კაპიტალის დაბალი მულტიპლიკატორის გამო.

K_{12} – ვადიანი ვალდებულებითა და მოთხოვნამდე ვალდებულებით უზრუნველყოფის დონე აშკარად არასაკმარისია, რასაც თან მოყვება ბანკის მიმდინარე ლიკვიდობას რისკი და იძულებულს ხდის დამატებითი რესურსები განყენებულ იქნეს სალაროს აქტივებში ან „მწოლიარე“ საკორესპონდენტო ანგარიში გააჩნდეს.

K_{13} – ნასესხები სახსრების არასაკმარისი დონე ადასტურებს დასკვნას, რომელიც K_{12} კოეფიციენტთან მიმართებაში იქნა გაკეთებული, რამდენადაც მოზიდული ვადიანი სახსრების სიდიდე ბანკის დაბალანსებული ლიკვიდობის მართვისათვის საკმარისი არ არის.

K_{15} – ბანკის პროცენტული ხარჯების მინიმიზაცია ვერ უზრუნველყოფს ინვესტიციის რენტაბელობის ამაღლებას (იხ. პასივის ანალიზი) და, ამავე დროს, მიმდინარე ლიკვიდობის რისკის მაქსიმიზაციას ახდენს.

დასკვნა: ბანკის არსებული სარესურსო ბაზის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ბანკში აქტივების განთავსებასთან მიმართებაში სტრატეგია და ინსტრუმენტარიები არ არსებობს.

აქტივების სტრუქტურის ანალიზი (იხ. ცხრ. 14.16).

ცხრილი 14.16

ბანკის აქტივების ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	მნიშვნელობა	
		t_1	t_2
K_1=შემოსავლიანი აქტივები/ /აქტივები	(A6 + A10) : (A1 + A6 + A10+ A15)	0,63	0,41
K_2= შემოსავლიანი აქტივები/ /ფასიანი პასივები	(A6 + A10) : (p2+P4)	0,97	0,99
K_3= სესხები / ვალდებულებები	A10 : (p2+P4+P8)	0,82	0,54

ბანკი ზედმიწევნით „ფრთხილ“ საკრედიტო-საინვესტიციო პოლიტიკას ახორციელებს (K_1, K_2, K_3). ასეთი პოლიტიკის მიზეზს ბანკის საკუთარი და ნასესხები კაპიტალის არადამაკმაყოფილებელი მართვა, ბანკის პასიური ოპერაციების სტრუქტურული რისკის მართვის არარსებობა წარმოადგენს. შედეგად, ბანკს სტრუქტურაში, ერთდროულად, მოცულობებისა და ვადების მიხედვით განსაზღვრული რესურსების მოზიდული სახსრები არ გააჩნია, რასაც, მოზიდული ფასიანი რესურსების ქცევის განუსაზღვრელობის გამო, აქტიური ოპერაციების შეკვეცისაკენ მივყავართ.

ბანკის ლიკვიდობის ანალიზი (იხ. ცხრ. 14.17).

ცხრილი 14.17

ბანკის ლიკვიდობის ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	მნიშვნელობა	
		t_1	t_2
K_8= სალაროს აქტივები/ /ონკოლური ვალდებულებები	A1 : p2	0,35	0,80
K_9= სალაროს აქტივები/ონკოლური და ვადიანი ვალდებულებები	A1 : (P1+P4)	0,17	0,49
K_{10}=ფასიანი ქაღალდების პორტფელი/ ვალდებულებები	A6 : (p2+P4+P8)	0,04	0,07

მყისიერი ლიკვიდობის მაღალი დონე (K_8 და K_9) მოზიდული ფასიანი სახსრებისა და მეორადი ლიკვიდური აქტივების (K_{III}) არადამაკმაყოფილებელი მართვის შედეგია.

ბანკის მოგებიანობის ანალიზი (იხ. ცხრ. 14.18).

მოგებიანობის მაღალი დონე (K_{19} და K_{22}) მოზიდული ფასიანი რესურსების შედარებითად სიიაფის შედეგია. კაპიტალის მულტიპლიკატორის დაბალი დონე (K_{23} – ოპტიმალური გავრცობა 8-16-ჯერ) გამორიცხავს თუნდაც გათვალისწინებას იმისა, რომ მოგებიანობის მიღწეული დონე საკუთარი და ნასესხები კაპიტალის სტრუქტურის მართვის შედეგია.

ცხრილი 14.18.

ბანკის მოგებიანობის ანალიზი

მაჩვენებლის განსაზღვრა	გაანგარიშება	მნიშვნელობა	
		t_1	t_2
K_{19}= მოგება/აქტივები	c8 : (A1 + A6 + A10+ A15)	0,28	0,42
K_{22}= მოგება/კაპიტალი	c8 : C1	0,65	0,53
K_{23}=კაპიტალის მულტიპლიკატორი	(A1 + A6 + A10+ A15) : (C1+C4)	3,7	3,0

დასკვნა: ბანკი პოტენციურად არაკონკურენტუნარიანია, საბანკო საქმიანობის ეფექტიანობა მხოლოდ იაფი კლიენტურის ბაზით არის უზრუნველყოფილი (კონკურენტების მხრიდან კლიენტების მომსახურებასთან მიმართებაში უფრო მიმზიდველი პირობების არარსებობისას ბანკმა ბაზარზე ადგილი შეიძლება დაკარგოს). ასევე, სათანადო დონეზე არ არის ბანკის დაბალანსებული ლიკვიდობის მართვა, ლიკვიდობის უზრუნველყოფა სალაროს აქტივებში განყენებული ფულადი სახსრების მზარდი სიდიდით ხორციელდება. საკორესპონდენტო ანგარიში „არ მუშაობს“, „გამოყოფილი ფონდები“ (საბრუნავი აქტივები) არაპროდუქტიულად გამოიყენება. მოცემული საბანკო პორტფელის განმასხვავებელ თავისებურებას აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციის სრული არარსებობა წარმოადგენს. ბანკს

არ შეუძლია პორტფელის ლიკვიდობის დაბალანსებულობა და მაქსიმალურად შესაძლო მოგების მისაღებად ოპტიმალური პირობები უზრუნველყოს.

ბანკის ძირითადი საბალანსო განტოლება.

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის მოცემული შეფასების წესი მისი შედარებითი ანალიტიკური ბალანსის ანალიზზე, აგრეთვე, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშებზეა დაფუძნებული.

კომერციული ბანკის შეფასების წესი თავისთავში მოიცავს ანალიზის შემდეგ ბლოკებს:

1. შედარებითი ანალიტიკური ბალანსის საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურისა და დინამიკის შეფასებას.
2. ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის შეფასებას.
3. მუშაობის საქმიანი აქტიურობის შეფასებას.
4. მართვის ეფექტიანობის შეფასებას.
5. ლიკვიდობის შეფასებას.
6. ბანკის შეფასებას მისი საქმიანობის ოპტიმალური ტენდენციის მაჩვენებლების დინამიკის შეუსაბამობისას.
7. ფინანსური მდგომარეობის დინამიკისა და დასაშვები ზღვრების შეფასებას.

საბალანსო განტოლების წარმოდგენილი მოდელი ფინანსური ანალიზის სხვადასხვა მეთოდს იყენებს. ესენია:

- **ჰორიზონტალური (დროებითი) ანალიზი** – ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება წინა პერიოდის პოზიციებთან;
- **ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი** – ჯამური ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა ანგარიშგების თითოეული პოზიციის, მთლიანობაში, შედეგზე ზემოქმედების გამოვლენა;
- **ტრენდული ანალიზი** – ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება რიგი გასული პერიოდების მონაცემებთან და ტრენდის, ანუ მაჩვენებლების დინამიკის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა;

• **შეფარდებითი მაჩვენებლების (კოეფიციენტების) ანალიზი** ანგარიშგების ცალკეულ პოზიციას შორის ან ანგარიშგების სხვა დასხვა ფორმის პოზიციებთან თანაფარდობის გაანგარიშება, მაჩვენებლების ურთიერთკავშირების განსაზღვრა.

ამასთან, გამოიყენება შემდეგი შეფარდებითი მაჩვენებლები (ფინანსური კოეფიციენტები):

• **განაწილების კოეფიციენტები** – ეს არის კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ, ჯამური აბსოლუტური მაჩვენებლების ჯგუფის რა ნაწილი შეადგენს ფინანსური მდგომარეობის აბსოლუტურ მაჩვენებლებს;

შეფარდებითი ანალიტიკური ბალანსის აგების საფუძველზე კომერციული ბანკის მიერ ხორციელდება მისი ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასება ანალიზებად პერიოდში ცვალებადობის გათვალისწინებით (ანალიზებადი პერიოდების მინიმალური რაოდენობა – სამი კვარტალი).

ცხრილი 14.19-ში წარმოდგენილია შედარებითი ანალიტიკური ბალანსის ფორმა, რომელიც თავისთავში მოიცავს:

• ბალანსის სტრუქტურის მაჩვენებლებს (გრაფები 3, 4, 5, 6, 7, 8);

• ბალანსის დინამიკის მაჩვენებლებს (გრაფები 9, 10, 11, 15, 16, 17);

• ბალანსის სტრუქტურული დინამიკის მაჩვენებლებს (გრაფები 12, 13, 14, 18, 19, 20).

გრაფებში 3, 4 და 5 გამოსახულია ბალანსის აქტივისა და პასივის მუხლებისა და განყოფილებების ჯამების აბსოლუტური სიდიდეები ანალიზებადი პერიოდების დასაწყისში და ბოლოსათვის;

გრაფებში 6, 7 და 8 გამოსახულია ბალანსის მუხლებისა და განყოფილებების ხვედრითი წილები ბალანსის ჯამში ანალიზებადი პერიოდების დასაწყისში და ბოლოსათვის;

გრაფებში 9, 10 და 11 გამოსახულია სტატიებისა და განყოფილების აბსოლუტური სიდიდეების ცვლილებები ანალიზებად პერიოდებში;

გრაფებში 15, 16 და 17 გამოსახულია მუხლებისა და განყოფილებების აბსოლუტური სიდიდეების ცვლილებები შედარებადი პერიოდების სიდიდეებთან მიმართებაში;

გრაფებში 18, 19 და 20 გამოსახულია მუხლებისა და განყოფილებების აბსოლუტური სიდიდეების ცვლილებები ბალანსის ჯამების ცვლილებებთან მიმართებაში.

შედარებითი ანალიტიკური ბალანსის საფუძველზე ხორციელდება ანალიზი დინამიკის: ბანკის კაპიტალის საკმარისობის; საკუთარი სახსრების იმობილიზაცის დონის; საკუთარი სახსრები – სტეტო და ბრუტტოს დონის; ბანკის ვალდებულებების სიდიდისა და სტრუქტურის, მათ შორის: კაპიტალისა და ვალდებულებების თანაფარდობის; მოზიდული რესურსების სტრუქტურის; კლიენტების ანგარიშებზე ნაშთების; საკუთარი სახსრები – ბრუტტო და სეტტოს სტრუქტურის; ფულადი სახსრების მოზიდვის აქტიურობის; ბანკის აქტიური ოპერაციების სიდიდისა და სტრუქტურის.

ცხრილი 14.19

ბანკის შედარებითი ანალიტიკური ბალანსი

№	ბალანსის მუხლების დასახელება	მლრდ ლარი			ხვედრითი წონა,%			ცვლილებები		
		t_1	t_2	t_3	t_1	t_2	t_3	t_2-t_1	t_3-t_1	t_3-t_2
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ცვლილებები								
ხვედრითი წონები			პროცენტებში			პროცენტებში ბალანსის ჯამის ცვლილებისადმი		
t_2-t_1	t_3-t_1	t_3-t_2	გრ9 : : გრ3	გრ10 : : გრ3	გრ11 : : გრ4	(t_2-t_1) : : (ჯამი გრ9 მიმდინარეობით)	(t_3-t_1) : : (ჯამი გრ9 მიმდინარეობით)	(t_3-t_2) : : (ჯამი გრ9 მიმდინარეობით)
12	13	14	15	16	17	18	19	20

ცხრილი 14.19-ის გაგრძელება

№	აქტივები	№	პასივები
1	2	1	2
	აქტივები, შემოსავლის არმომტანები		**საკუთარი სახსრები – ბრუტტო**
1	ფულადი სახსრები	1	საწესდებო ფონდი
2	საკორესპონდენტო ანგარიშები „ნოსტრო“	2	ბანკის ფონდები
3	ცენტრბანკის რეზერვები	3	სავალუტო სახსრების გადაფასება
4	უპროცენტო სესხები	4	მოგება
5	კაპიტალური დაბანდებები და ძირითადი საშუალებები	5	გასული წლების გაუნაწილებელი მოგება
6	არამატერიალური აქტივები და არენდაში აღებული შენობების დანახარჯები	6	შემოსავალი
7	სამეურნეო მასალები და მომავალი პერიოდების ხარჯები	7	დანარჩენი ხარჯები
8	დანარჩენი დებიტორები	8	რეზერვები
9	დანარჩენი აქტივები	9	მომავალი პერიოდების შემოსავლები
		10	საკუთარი სახსრები ანგარიშსწორებებში
		11	სახსრები ფასიანი ქაღალდების გაუქმებიდან
	შემოსავლის მომტანი აქტივები		**მოზიდული სახსრები**
10	სესხები	12	ვადიანი დეპოზიტები
11	დაგადიანება სესხების მიხედვით	13	დეპოზიტები მოთხოვნამდე
12	ბანკთაშორისი კრედიტები	14	კრედიტები ცენტრალური ბანკიდან
13	ფაქტორინგი	15	კრედიტები სხვა ბანკებიდან
14	ლიზინგი	16	სავალო ვალდებულებები ბანკის
15	მონაწილეობის უფლებები	17	სახსრები ანგარიშსწორებებში
16	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	18	საკორ. ანგ. „ლორო“
17	არასახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	19	დანარჩენი კრედიტორები
18	**იმობილიზებული აქტივები**		
	ბალანსი		**ბალანსი** საკუთარი სახსრები – ნეტტო = = საკუთარი სახსრები – ბრუტტო – – იმობილიზებული აქტივები

XV თავი

ელექტრონული ხელმოწერა საბანკო სისტემაში

შინაარსი:

15.1. ელექტრონული ხელმოწერის არსი და მხარეები;
15.2. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები;
15.3. ხელმოწერის შექმნისა და გადამოწმების პროცესი და გარემო;
15.4. ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა და კომერციულ ბანკის ელექტრონული შტამპი;
15.5. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კრიტერიუმები და ადმინისტრაციული მოთხოვნები;
15.6. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ფუნქციონალური აღწერა და განაცხადის კომპონენტები.

ძირითადი ელემენტები:

1. „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“;
2. „ელექტრონული ხელმოწერის განაცხადის კომპონენტები“;
3. „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები“
4. „ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემები“;
5. „ღია და დახურული გასაღები“;
6. „ელექტრონული შტამპი“;
7. საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ტექნიკური პარამეტრები.

ცხრილი 14.19-ის გაგრძელება

№	აქტივები	№	პასივები
1	2	1	2
	აქტივები, შემოსავლის არმომტანები		**საკუთარი სახსრები – ბრუტტო**
1	ფულადი სახსრები	1	საწესდებო ფონდი
2	საკორესპონდენტო ანგარიშები „ნოსტრო“	2	ბანკის ფონდები
3	ცენტრბანკის რეზერვები	3	სფასლეტო სახსრების გადაფასება
4	უპროცენტო სესხები	4	მოგება
5	კაპიტალური დაბანდებები და ძირითადი საშუალებები	5	გასული წლების გაუნაწილებელი მოგება
6	არამატერიალური აქტივები და არენდაში აღებული შენობების დანახარჯები	6	შემოსავალი
7	სამეურნეო მასალები და მომავალი პერიოდების ხარჯები	7	დანარჩენი ხარჯები
8	დანარჩენი დებიტორები	8	რეზერვები
9	დანარჩენი აქტივები	9	მომავალი პერიოდების შემოსავლები
		10	საკუთარი სახსრები ანგარიშსწორებებში
		11	სახსრები ფასიანი ქაღალდების გაყიდვებიდან
	შემოსავლის მომტანი აქტივები		**მოზიდული სახსრები**
10	სესხები	12	ვადიანი დეპოზიტები
11	დაფასიანება სესხების მიხედვით	13	დეპოზიტები მოთხოვნამდე
12	ბანკთაშორისი კრედიტები	14	კრედიტები ცენტრალური ბანკიდან
13	ფაქტორინგი	15	კრედიტები სხვა ბანკებიდან
14	ლიზინგი	16	საკალო ვალდებულებები ბანკის
15	მონაწილეობის უფლებები	17	სახსრები ანგარიშსწორებებში
16	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	18	საკორ. ანგ. „ლორო“
17	არასახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	19	დანარჩენი კრედიტორები
18	**იმობილიზებული აქტივები**		
	ბალანსი		**ბალანსი** საკუთარი სახსრები – ნეტტო = საკუთარი სახსრები – ბრუტტო – – იმობილიზებული აქტივები

XV თავი

ელექტრონული ხელმოწერა საბანკო სისტემაში

შინაარსი:

15.1. ელექტრონული ხელმოწერის არსი და მხარეები;
15.2. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები;
15.3. ხელმოწერის შექმნისა და გადამოწმების პროცესი და გარემო;
15.4. ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა და კომერციულ ბანკის ელექტრონული შტამპი;
15.5. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კრიტერიუმები და ადმინისტრაციული მოთხოვნები;
15.6. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ფუნქციონალური აღწერა და განაცხადის კომპონენტები.

ძირითადი ელემენტები:

1. „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“;
2. „ელექტრონული ხელმოწერის განაცხადის კომპონენტები“;
3. „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები“
4. „ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემები“;
5. „ღია და დახურული გასაღები“;
6. „ელექტრონული შტამპი“;
7. საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ტექნიკური პარამეტრები.

15.1. ელექტრონული ხელმოწერის არსი და მხარეები

ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს საქართველოს საბანკო სექტორში ქაღალდზე შესრულებული ხელმოწერის ჩანაცვლებას ელექტრონული ხელმოწერით და ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვით ყველა იმ შესაძლო ოპერაციაზე, რომლებზეც კონკრეტული კომერციული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას.

ელექტრონული ხელმოწერა შესაძლებელია დანერგილი იყოს სხვადასხვა მოდელის გამოყენებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს განსახორციელებელი ტრანზაქციის რისკის ხარისხს (ტრანზაქციის ასეთი რისკი შეიძლება იყოს გაყალბება, უარყოფის ან ანულირების შესაძლებლობა, ფინანსური ზარალი და სხვა). ელექტრონული ხელმოწერის ტიპი და უსაფრთხოება უნდა შეესაბამებოდეს ტრანზაქციის რისკს და უზრუნველყოფდეს ხელმოწერის ავთენთიფიკაციას.

სებ-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიზანია გარკვეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები. ასევე მის საფუძველზე კომერციულმა ბანკებმა შეიმუშაონ უსაფრთხოების ისეთი პოლიტიკა, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზნებისთვის უზრუნველყოფს და განავითარებს იდენტიფიკაციის, ავთენთიფიკაციისა და ხელმოწერის (eIAS) გარემოსთან ფუნქციონალური თავსებადობის მაღალ ხარისხს.

ის წარმოადგენს საბანკო სექტორში ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრული განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საფუძველს.

ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ეფუძნება იმ წყაროს, რომელიც მიჩნეულია საკმარისად სანდოდ

ეროვნული ბანკის უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნულ ბანკში შესათანხმებლად წარმოდგენილი უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ პრინციპებს ორი ძირითადი მიმართულებით:

- ინფორმაციული უსაფრთხოების ხარისხობრივი და პროცედურული სტანდარტები.
- პროდუქტის ფუნქციონალური თავსებადობის მისაღწევად გამოყენებული ტექნიკური სტანდარტები.

ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მართებული პრაქტიკის დანერგვისთვის შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ძირითადი მოთხოვნა, რომ განსახორციელებელი ტრანზაქციის ყველა მონაწილე მხარე დარწმუნებული უნდა იყოს:

- დოკუმენტის ავთენტურობაში;
- დოკუმენტის უცვლელობაში.

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა მიზნად ისახავს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, საბანკო ოპერაციებზე ბიზნეს-პროცესის აწყობას მატერიალური დოკუმენტის გარეშე. ასეთი ბიზნეს-პროცესის დანერგვის შემდეგ მოსალოდნელია:

- საბანკო სექტორში ელექტრონული სერვისების ფართოდ განვითარება;
- დროის დანაზოგი;
- გაყალბებისა ან/და შეცდომების ალბათობის შემცირების ხარჯზე ტრანზაქციის უსაფრთხოების ზრდა;
- სერვისის ხარისხის გაუმჯობესება;
- დოკუმენტბრუნვის ხარჯების შემცირება;
- სხვა საოპერაციო ხარჯების შემცირება.

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება არ გულისხმობს საბანკო საქმიანობაში ქაღალდზე შესრულებული მატერიალური ხელმოწერის გამოყენების ამოღებას. კომერციული

ბანკი, რომელიც ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად კონკრეტულ საბანკო ოპერაციაზე დანერგავს ელექტრონულ ხელმოწერას, ვალდებულია უზრუნველყოს ამ ტიპის ოპერაციაზე ქაღალდზე შესრულებული მატერიალური ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა.

საბანკო სექტორში გამოყენებული „ელექტრონული ხელმოწერა" იქნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული „ციფრული ხელმოწერის" მსგავსი შინაარსის და დაცვის მქონე.

დღეისათვის არსებობს ტერმინ „ელექტრონული ხელმოწერის" რამდენიმე განმარტება. მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა გამოყენების არეალში. საერთაშორისოდ აღიარებული განმარტებაა მოცემული საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის შესახებ გაერთიანებული ერების კომისიის მიერ (The Uniterd Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL), სადაც ელექტრონული ხელმოწერა ნიშნავს: მონაცემთა გზავნილში არსებული ელექტრონული მონაცემები, რომლებიც მიბმულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია მასთან და რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელმოწერის მონაცემთა გზავნილთან კავშირის მიზნით ხელმოწერის იდენტიფიცირებისთვის და მიუთითებს ხელმომწერის თანხმობას იმ ინფორმაციაზე, რაც განთავსებულია მონაცემთა გზავნილში („data in electronic form in, affixed to or logically associated with, a data message, which may be used to identify the signatory in relation to the data message and to indicate, the signatory's approval of the information contained in the data message").

ასევე, არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული „ციფრული ხელმოწერის" განმარტება, რომელიც მოცემულია ISO 7498-2 სტანდარტში (EESSI-ის საბოლოო დოკუმენტი აღნიშნავს, რომ „ხშირად ტერმინი „ციფრული ხელმოწერა" გამოიყენება ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერის ნაცვლად"). სტანდარტი „ციფრულ ხელმოწერას" განმარტავს, როგორც უსაფრთხოების მექანიზმს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების სხვადასხვა სერვისების მიწოდებისთვის, როგორიცაა აუთენთიფიკაცია, მონაცემთა წარმომავლობის აუთენთიფიკაცია, მონაცემთა ერთიანობა (დაურღვეველობა) და უარყოფის შეუძლებლობა.

EESSI-ის საბოლოო დოკუმენტში ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ 1999/93/EC დირექტივის ტექნოლოგიურად ნეიტრალური ხედვა საშუალებას არ იძლევა, რომ მითითება გაკეთდეს სპეციფიკურ ტექნოლოგიაზე, როგორიცაა ციფრული ხელმოწერა, დამყარებული ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, ნათელია, რომ დირექტივა, როცა „განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერას" აღწერს, გულისხმობს სწორედ ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის და სერტიფიკატზე დამყარებული ვერიფიკაციის მახასიათებლებს. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია დირექტივის „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის" განმარტების მსგავსება ISO 7498-2 სტანდარტის „ციფრული ხელმოწერის" განმარტებასთან და მოცემულია დასკვნა, რომ „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა", რომელიც შეიძლება არც იყოს განხილული როგორც „კვალიფიციური", რეალურად ISO სტანდარტით განმარტებული „ციფრული ხელმოწერის" ეკვივალენტურია (EESSII; გვ. 15).

ზემოაღნიშნულთან ერთად, საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა „ელექტრონული ხელმოწერის ევროპის საზედამხედველო უწყებების ფორუმის (The Forum of European Supervisory Authorities for Electronic Signature (FESA)) სამუშაო დოკუმენტი, კერძოდ, „სამუშაო დოკუმენტი განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შესახებ" (Working Paper on Advanced Electronic Signature, October 12, 2004). ეს დოკუმენტი, ასევე იზიარებს დირექტივის „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის" განსაზღვრების ტექნოლოგიურად ნეიტრალურ ხასიათს და მიუთითებს, რომ პრაქტიკაში მისი გამოყენება ძირითადად ეყრდნობა ასიმეტრიულ შიფრაციას.

„განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ გამოყენებისას სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის შინაარსის გაცნობის თვის ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ განმარტავს UNCITRAL-ი სერტიფიკატს: „სერტიფიკატი“ ნიშნავს მონაცემთა გზავნილს ან სხვა ჩანაწერს, რომელიც ადასტურებს კავშირის ხელმომწერსა და „ხელმოწერის შექმნის მონაცემებს“ შორის ("Certificate" means a data message or other record confirming the link between a signatory and signature creation data).

სწორედ ხელმოწერის დაკავშირება „ხელმოწერის შექმნის მონაცემებსა“ (რაც თავის მხრივ კავშირშია ხელმომწერთან) და ხელმოწერილ დოკუმენტთან წარმოადგენს განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შინაარსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში დანერგვა უკავშირდება სერტიფიკატის გამოყენებას.

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროცესის მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ:

◆ ეროვნული ბანკი, რომელიც განიხილავს და ეთანხმება/არ ეთანხმება კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილ უსაფრთხოების პოლიტიკას;

◆ კომერციული ბანკი, რომელიც შეიმუშავებს და შესათანხმებლად წარუდგენს ეროვნულ ბანკს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს მოქმედი კანონმდებლობით და ამ სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ტექნიკურ და პროცედურულ მოთხოვნებს;

◆ სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP) – ნებისმიერი რეგისტრირებული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გამოშვებას ან ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა მომსახურებას;

◆ სერტიფიკატის გამცემი სათანადო უფლებამოსილების მქონე პირი (CA) – ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გამომშვები სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP), რომლის

სერვისითაც სარგებლობს ერთი ან ერთზე მეტი მომხმარებელი და მის მიერ გამოშვებული სერტიფიკატი სანდოა მესამე მხარისთვის;

◆ ხელმომწერი – ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას ისე, რომ ინარჩუნებს მასზე ერთპიროვნულ კონტროლს და მოქმედებს თავისი სახელით ან სხვა პირის სახელით, რომელსაც ის წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

◆ ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო – ასრულებს ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციას;

◆ ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ტექნოლოგიით და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით და გამოთქვამს მზაობას მოთხოვნის შემთხვევაში შეასრულოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა.

◆ საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით, ეროვნული ბანკი თანამშრომლობს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან.

◆ სააგენტო და ბიურო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებენ 2013 წლის 10 ოქტომბრის „საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში თანამშრომლობის შესახებ“ სამმხრივი მემორანდუმით განსაზღვრულ ფუნქციას.

◆ კონკრეტული კომერციულ ბანკის მიერ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზნით, კომერციული ბანკი აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებებს სააგენტოსთან და ბიუროსთან.

◆ საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში სააგენტოსა და ან/და ბიუროს ზემოაღნიშნული მემორანდუმით განსაზღვრული ფუნქცია შესაძლოა შესრულებულ

იქნეს სხვა, ნებისმიერი შესაბამისი კვალიფიკაციის და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე პირის მიერ, რომელიც თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

152. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები

„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს ელექტრონულ ხელმოწერასთან მიმართებით სპეციალური ხასიათის ნორმებს და ქმნის ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სამართლებრივ საფუძვლებს.

ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ელექტრონული ხელმოწერისა და ციფრული ხელმოწერის სახეებს. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების რელევანტურობა, ძირითადად, უნდა განისაზღვროს ხელმოსაწერ გარიგებათა რისკების შემცველობისა და მათი იურიდიული ძალის შესაბამისად.

ელექტრონული ხელმოწერა ციფრული ხელმოწერის სტატუსს იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ერთი მხრივ, სერტიფიკატის არსებობა და მეორე მხრივ, შემოწმებისა და დადასტურების შესაძლებლობა.

ელექტრონული ტექნოლოგიის ამ ინოვაციამ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველყოფა, რომლის შემუშავებაც პირდაპირ არის დაკავშირებული საბანკო საქმიანობაში „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების ამოქმედებასთან. თუმცა, აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ კანონმდებელმა, გაითვალისწინა რა უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების გრძელვადიანი პროგნოზი, და ამ მხრივ, სპეციალური განაწესი აამოქმედა კომერციულ ბანკებთან მიმართებით. კერძოდ, „ელექტრონული ხელმოწერისა და

ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავამდე ან/და საზღვარგარეთ გაცემული ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის აღიარებიდან 1 წლის განმავლობაში, ძალაში რჩება საბანკო საქმიანობაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სტანდარტები და წესები. რაც შეეხება საზღვარგარეთ გაცემული სერტიფიკატების აღიარებას, კანონი მას, თავის მხრივ, სხვა პირობებსაც უკავშირებს და, შესაბამისად, ამ ეტაპზე მისი მხედველობაში მიღების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვით დაინტერესებულმა კომერციულმა ბანკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის განაწესზე, რომლითაც მათ ენიჭებათ უფლება თავად შექმნან ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მთავარი საფუძველი – უსაფრთხოების პოლიტიკა და ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად:

- იხელმძღვანელონ სებ-ის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოთი;
- შექმნილი უსაფრთხოების პოლიტიკა შესათანხმებლად წარუდგინონ ეროვნულ ბანკს;
- კონკრეტულ საბანკო ოპერაციებზე თავად განსაზღვრონ უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზანშეწონილობა.

მხედველობაშია მისაღები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც გარკვეული კატეგორიის გარიგებათა მიმართ იმპერატიულ დანაწესებს შეიცავენ მათი მხოლოდ მატერიალური ფორმით არსებობის თვალსაზრისით. კერძოდ, გარიგებები, რომლებიც შეეხება: ვალის აღებას, თავდებობას, სამიდღეშიო რჩენას და ანდერძს – უნდა შესრულდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე, 892-ე,

942-ე და 1357-ე მუხლები). სამოქალაქო კოდექსის ამ მოთხოვნას მიუთითებს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც, თავის მხრივ, დაუშვებლად მიიჩნევს ხელშეკრულებულ გარიგებათა მიმართ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთდება სამართლებრივი დასკვნა: ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს საკმარის სამართლებრივ საფუძვლებს იმისთვის, რომ კომერციული ბანკების მიერ შექმნილი და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე, საქართველოს მოქმედ კომერციულ ბანკებში კონკრეტულ საბანკო ოპერაციებზე დაინერგოს ელექტრონული ხელმოწერის ინსტიტუტი და, მათ შორის, ე.წ. ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების შესაძლებლობა.

ევროპის ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის საინიციატივო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, ელექტრონული ხელმოწერის გაგების ძირითადი საკითხია, ერთი მხრივ, სპეციფიკური მოთხოვნების განსაზღვრა ელექტრონული ხელმოწერის წარმოქმნისა და ვერიფიკაციისთვის. ეს წესები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მოთხოვნების შესაბამისი/შემხვედრი თემები. აღნიშნული წესები შეიცავდეს:

◆ ხელმოწერის შექმნის წესებს, ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის სპეციფიკაციის, გამოყენებული ალგორითმების ტექნიკური ფორმატების გათვალისწინებით;

◆ CSP-ს მომსახურების მიღების წესებს, ისეთი მომსახურების გათვალისწინებით, როგორიცაა ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენება, „დროის აღნიშვნა“ და სხვა.

მნიშვნელოვანი ფაქტორია შეთანხმების არსებობა „ხელმომწერსა“ და „ვერიფაიერს“ შორის, რითაც ხელმომწერი გამოხატავს თავის მონაწილეობას და ერთგვარ ვალდებულებას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიმართ. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ასეთი შეთანხმების გარეშე გაურკვეველია, თუ რა შეიძლება იქნეს აღიარებული მესამე მხარის მიერ ლეგიტიმურ ელექტრონულ ხელმოწერად.

მომხმარებლის მიერ ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი შედეგების გაცნობიერების მიზნით, კომერციულმა ბანკმა მომსახურების გაწევამდე უნდა უზრუნველყოს პოტენციური მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ხელმოწერის იურიდიულ მნიშვნელობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ავრეთვე, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ელექტრონული დოკუმენტის დედანი, ხოლო სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს მიაწოდოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტის ასლი.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი მე-4 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ხელმოწერა ჩაითვლება შესრულებულად, თუ კომერციული ბანკის მიერ მომსახურეობის გაწევის დროს ელექტრონული ხელმოწერა შესრულდება მხოლოდ და მხოლოდ იმ ფორმატში და იმ მოწყობილობის გამოყენებით, რაც გათვალისწინებულია ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკით.

კომერციული ბანკის მიერ მომხმარებელთან ნებისმიერი სახის ურთიერთობაში ელექტრონული ხელმოწერის შექმნის იმ მოწყობილობის გამოყენება, რომელიც არ შეესაბამება ეროვნულ ბანკთან ამ კომერციული ბანკის მიერ შეთანხმებულ უსაფრთხოების პოლიტიკას და, შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული კონკრეტული საბანკო მომსახურების მიწოდებისთვის, ეროვნული ბანკის მიერ განიხილება, როგორც შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევა.

კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის იდენტიფიკაციის, მონაცემების ავთენთიფიკაციისა და ხელმოწერის (eIAS) სანდო და დაცულ გარემოში შესრულება. ამავდროულად, დაცულ უნდა იქნეს „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

იმ პროდუქტის სანდოობის ხარისხის განსაზღვრისას, რომელიც მონაწილეობს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაში, უპირატესობა მიენიჭება თანამშრომლობას იმ ორგანიზაციებთან:

◆ რომელთა რეგისტრაციის ქვეყანა აღიარებს ევროკავშირის ან/და შესაბამისი დონის რეგულაციებს;

◆ ქვეყნის შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურები ახორციელებენ ორგანიზაციის ან/და მისი პროდუქტის რეგულირებას ან/და ლიცენზირებას;

◆ ორგანიზაცია მიჩნეულია საყოველთაოდ ცნობილ ერთეულად და ეჭვგარეშეა მისი სანდოობის ხარისხი;

◆ ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ან/და მისი პროდუქტის რეგულირების და/ან სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

◆ ხელმისაწვდომია პროდუქტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

◆ სხვა კრიტერიუმები, რაც საკმარისი საფუძველი იქნება ორგანიზაციის ან/და მისი პროდუქტის სანდოობის დასადასტურებლად.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ აღნიშნული დირექტივის შესაბამისად, სტანდარტიზებასა და შესაბამისობის შეფასებას ექვემდებარება;

◆ CSPs-ს ნებაყოფლობითი აკრედიტაცია;

◆ CSPs-ს ზედამხედველობა;

◆ საიმედო სისტემებისა და უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა.

შესაძლებელია, სტანდარტიზაციასა და ნებაყოფლობით შესაბამისობის შეფასებას დამატებით ექვემდებარებოდეს:

◆ ხელმოწერის გადამოწმების (ნამდვილობის დადგენის) პროდუქტები;

◆ უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის გარემო.

მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს, რომ ერთ-ერთი დირექტივა ითხოვს ევროკავშირის ქვეყნების მიერ თავის ტერიტორიაზე დაარსებული და ოპერირებად CSP-ს საზედამხედველო უწყებების/ორგანოების დაარსებას, თუ ეს CSP უშვებს კვალიფიციურ სერტიფიკატს.

აღსანიშნავია, რომ „ზედამხედველობას“ დაქვემდებარებული CSP უშვებს კვალიფიციურ სერტიფიკატს, რომელიც შეესაბამება 1999/93/EC დირექტივის მოთხოვნებს, ხოლო CSP, რომელსაც აქვს „სერტიფიცირებულის“ სტატუსი, აკმაყოფილებს გარკვეული სტანდარტების მოთხოვნებს, მაგრამ არ უშვებს კვალიფიციურ სერტიფიკატს.

იდენტიფიკაციისთვის PIN, პაროლის ან ბიომეტრიული მონაცემების გამოყენების გათვალისწინებით, ელექტრონული ხელმოწერა მიიჩნევა განსაზღვრული უსაფრთხოების პოლიტიკის კრიტერიუმების შესაბამისად შექმნილ ხელმოწერად, თუ ის შესრულებული იქნება უსაფრთხოების ისეთი მოთხოვნების დაცვით, როცა 1999/93/EC ევროდირექტივის შესაბამისად:

◆ დაცული იქნება „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ კრიტერიუმები;

◆ გამოყენებული იქნება „კვალიფიციური სერტიფიკატი“;

◆ გამოყენებული „ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“ თავისი შინაარსით დააკმაყოფილებს/გაითვალისწინებს უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოთხოვნებს.

კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული და დანერგილი უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ისეთი პროდუქტის გამოყენებას, რომელიც შეესაბამება/სერტიფიცირებულია შეფა-

სებისა და უსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, როგორიცაა:

◆ ITSEC საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების შეფასების კრიტერიუმები (Information Technology Security Evaluation Criteria);

◆ უსაფრთხოების დონის შეფასების საერთო კრიტერიუმები (The Common Criteria for the Evaluation Assurance Levels);

◆ ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი (The European Telecommunications Standards Institute (ETSI);

◆ ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი (The European Committee for Standardization (CEN);

◆ სხვა, უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.

გამოყენებული პროდუქტების შესაბამისობა უსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაძლებელია განსაზღვრული იყოს ე.წ. დადასტურების სერტიფიკატით (Certificates of confirmation) ან/და მწარმოებლის სერტიფიკატით (Manufacturrer's declarations).

დადასტურების სერტიფიკატი (Certificates of confirmation) გაიცემა შემდეგი პროდუქტების მიხედვით:

◆ ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა (Signature creation devices);

◆ ხელმოწერის ფორმატის კომპონენტები (Signature application components);

◆ ტექნიკური კომპონენტები გასაღების გენერირებისთვის (Thecnical components for key generation);

◆ ტექნიკური კომპონენტების საცნობარო მომსახურებისთვის (Technical components for directory services);

◆ ტექნიკური კომპონენტები კვალიფიციური „დროის აღნიშვნის" გენერირებისთვის Technical components for creating qualified time stamps.

მწარმოებლის დეკლარაცია – მის მარტივ ფორმას წარმოადგენს მწარმოებლის მიერ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლების აღწერა, რითაც წარმოდგენილია ამ პროდუქტის/მომსახურების შესაბამისობა არსებულ რეგულაციებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან ან/და სხვა ნორმატიულ აქტებთან. მწარმოებლის დეკლარაცია შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც მესამე მხარის სერტიფიკატის ან ტესტირების შედეგის პირდაპირი ალტერნატივა. ასეთ შემთხვევაში დეკლარაციაში აღწერილია, თუ რა გზით არის უზრუნველყოფილი ამ სერვისის/მომსახურების სტანდარტებთან შესაბამისობა. ამ მიზნებისთვის, როგორც ერთერთი საშუალება, გამოიყენება აკრედიტებული ლაბორატორიის ანგარიში/დასკვნა.

კომერციულმა ბანკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოში, რომელიც აღწერილია ამ პროდუქტის უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტებში.

ელექტრონულ ხელმოწერაში დროის აღნიშვნის (ე.წ. Time-Stamp) გამოყენება უნდა დაუკავშირდეს სანდო CSP-ს მომსახურების მიღებას. ამასთანავე, კომერციული ბანკის მიერ დანერგილ ელექტრონული ხელმოწერის კონკრეტულ ტექნოლოგიურ მოდელში, დროის აღნიშვნა ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ხელმოწერის იდენტიფიკატორის ინტეგრირება დროის აღნიშვნაში.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით, გამოყენებითი პროგრამირების სამუშაო ზედაპირი (Application Programming Interface API), რომელიც დაკავშირებული იქნება ელექტრონული ხელმოწერის კონკრეტულ მოწყობილობასთან უნდა წარმოადგენდეს იმავე მწარმოებლის პროდუქტს, რომელსაც ეკუთვნის ელექტრონული ხელმოწერის ეს მოწყობილობა.

კომერციული ბანკი, რომელიც თავის საქმიანობაში გამოიყენებს ელექტრონულ ხელმოწერას, ვალდებულია უზრუნველყოს

მომხმარებლის მიერ დაცული გზით ელექტრონული დოკუმენტის ორიგინალის მიღების შესაძლებლობა.

1999/93/EC დირექტივიდან გამომდინარე, „უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ მინიმალური ტექნიკური და პროცედურული მოთხოვნებია:

◆ ხელმოწერის შექმნის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის გენერირებისთვის, შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ ერთხელ, ხოლო მისი კონფიდენციალობა იყოს დაცული ისე, რომ შეუძლებელი იყოს ორ მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა ერთი და იმავე გასაღების წყვილზე. ასევე, შეუძლებელი უნდა იყოს დახურული გასაღების მეორედ შექმნა ან/და კოპირება;

◆ არსებობდეს საკმარისი დაცვა იმისთვის, რომ შეუძლებელი იყოს ხელმოწერის შექმნის მონაცემების (რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის გენერირებისთვის) მოპოვება, ხოლო მიღებული ხელმოწერა დაცულ იქნეს გაყალბებისგან დროის არსებული მომენტისათვის გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიებით;

◆ ამ მიზნისთვის კრიპტოგრაფიული ალგორითმი და გასაღების ზომა უნდა იყოს იმდენად უსაფრთხო, რომ შეუძლებელი იყოს ღია გასაღების მეშვეობით დახურული გასაღების გამოთვლა, ხოლო ეს პირობა, მინიმუმ, შენარჩუნებულ იქნეს შესაბამისი სერტიფიკატის იურიდიული ძალის არსებობის პერიოდში; ხელმოწერის შექმნის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის გენერირებისათვის, საიმედოდ დაცული იყოს, რათა არ მიადგეს ზიანი ხელმომწერის ინტერესებს, რაც, მინიმუმ, გულისხმობს დახურული გასაღების დაცვას პაროლის (ან სხვა) საშუალებით მოსალოდნელი შეტევებისგან. ასევე, უნდა არსებობდეს პაროლის გამოთვლისთვის კომბინაციების გამოყენების ხელშემშლელი მექანიზმი;

◆ ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ხელმოსაწერად შეთანხმებული მონაცემების უცვლელობას, ხოლო ეს მონაცემები წარდგენილ უნდა იყოს ხელმომწერისთვის ხელმოწერის განხორციელებამდე.

15.3. ხელმოწერის შექმნისა და გადამოწმების პროცესი და გარემო.

რამდენადაც ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა წარმოადგენს ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის მხოლოდ ნაწილს, საჭიროა განისაზღვროს უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მთელი პროცესის და ხელმოწერის შექმნის გარემოს დანერგვის კრიტერიუმები ქვემოთ აღწერილი სქემის შესაბამისად.

ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემო საჭიროებულია ითვალისწინებდეს, მომხმარებლისთვის:

◆ ხელმოსაწერად შეთანხმებული ინფორმაციის უცვლელობაში დარწმუნების შესაძლებლობას;

◆ ხელმოსაწერად შეთანხმებული ინფორმაციის სრულად გადახედვის შესაძლებლობას;

◆ ხელმომწერს უნდა აეხსნას ელექტრონული ხელმოწერის შედეგების მნიშვნელობა.

ზემოთ აღნიშნული დირექტივის შესაბამისად, არ არსებობს ხელმოწერის გადამოწმების (ნამდვილობის დადგენის/verification) საშუალებების ოფიციალური კრიტერიუმები. დირექტივა იძლევა რეკომენდაციებს, რომლის შესაბამისადაც ხელმოწერის გადამოწმების პროცესი შესაძლოა ითვალისწინებდეს:

◆ ხელმოწერის გადამოწმებისთვის გამოყენებული ინფორმაცია ყოველგვარი ცვლილების გარეშე მიეწოდოს პირს, რომელიც ახორციელებს ამ პროცესს;

◆ ხელმოწერა გადამოწმდეს საკმარისად დაცული გზით, სადაც შეიძლება მოიაზრებოდეს ხელმოწერის მათემატიკური გადამოწმება. მიღებული ნებისმიერი შედეგი ეცნობოს პირს, რომელიც ახორციელებს ვერიფიკაციას;

◆ ვერიფიკაციის შედეგის აღწერა (content) წარმოდგენილ იქნეს სრულყოფილად და მართებულად;

◆ გადამოწმდეს სერტიფიკატის ძირეული გამცემი (Root CA);

◆ გადამოწმდეს სერტიფიკატის ავთენტურობა (authenticity). ასევე, გადამოწმედეს სერტიფიკატის მოქმედების ვადა (validity);

◆ გადამოწმდეს სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების სტატუსი (revocation);

◆ ხელმოწერისა და სერტიფიკატის პარამეტრების შემოწმებისას გამოყენებულ იქნეს დროის აღნიშვნის საშუალებით მათი შესრულების ვალიდურობა;

◆ ვერიფიკაციის შემსრულებელი პირის მიერ დადგენილ იქნეს ხელმომწერის იდენტურობა;

◆ შესაძლებელი იყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების იდენტიფიკაცია.

ხელმოწერის ვერიფიკაციის პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ავტომატიზებული, ასევე, არაავტომატიზებული მეთოდით და უზრუნველყოფს ხელმოწერის სრულყოფილ გადამოწმებას. არავტომატიზებული მეთოდი გულისხმობს ადამიანის ჩარევით ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას და ის შესაძლებელია, როცა მისი სამუშაო გარემო აღჭურვილია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით. ავტომატიზებული მეთოდი გულისხმობს კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, ადამიანის ჩარევის გარეშე, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას. ქვემოთ წარმოდგენილი მიდგომა ითვალისწინებს მხოლოდ ადამიანის ჩარევის შედეგად განხორციელებულ პროცესს. თუმცა ვერიფიკაციის ავტომატიზებული მოდელი შესაძლოა უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის.

გადამოწმების დროს აღმოჩენილი ნებისმიერი უზუსტობა თუ შეუსაბამობა საჭიროა იქნეს დეკლარირებული. ამ ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონდეს პირს, რომელიც ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს. ხელმოწერის ვერიფიკაცია შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა გზით კონკრეტული პირის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

ხელმოწერის ვერიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის არასრული ჩამონათვალია:

◆ ხელმომწერის იდენტობის განსაზღვრა;

◆ ხელმოწერის პოლიტიკით განსაზღვრული სხვა ნებისმიერი საიდენტიფიკაციო მონაცემთან შედარება;

◆ სერტიფიკატის მოქმედების ვადა;

◆ CP (Certificate policies) სპეციფიკა, რაც მითითებულია სერტიფიკატში;

◆ სერტიფიკატის გამოყენებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა ან ტრანზაქციის მოცულობა;

◆ სერტიფიკატის გამომშვების იდენტურობის მონაცემები;

◆ სერტიფიკატის გაუქმების შესახებ ინფორმაცია;

◆ მითითება ძირეულ სერტიფიკატზე (Root CA-ს მიერ გაცემული) რომელიც გამოიყენებოდა ვერიფიკაციის პროცესისთვის.

ხელმოწერის ვერიფიკაციის განხორციელება შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ხელმოწერის შექმნის მომენტიდან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგაც. იმისათვის, რომ გადამოწმდეს ხელმოწერის შექმნის მომენტისთვის გამოყენებული სერტიფიკატის ავთენტურობა და ქმედითობა, უნდა მოხდეს დადასტურება იმისა, რომ სერტიფიკატი არსებობდა და არ იყო გაუქმებული ხელმოწერის მომენტისთვის.

პირველადი ვერიფიკაცია არის ვერიფიკაცია, რომელიც ხორციელდება ხელმოწერის შესრულების დროს. პირველადი ვერიფიკაცია შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ხელმოწერის მომენტში სერტიფიკატის ვალიდურობის გადამოწმებასთან.

როგორც პირველადი ვერიფიკაციის, ასევე, შემდგომი ვერიფიკაციების დროს, იმის დასადასტურებლად, რომ ხელმომწერის დახურული გასაღები გამოყენებული იყოს სერტიფიკატის საოპერაციო პერიოდში (ვალიდურობის პერიოდში), გამოყენებულ უნდა იქნეს ხელმოწერაზე აღნიშნული დრო (Time-Stamping). ვერიფიკაციის საიმედოდ განხორციელების შესაძლებლობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხელმოწერის დროის აღნიშვნა (Signature Time-Stamp) აღებულ იქნეს Time Stamping Authorities-გან და არავითარ შემთხვევაში ხელმომწერის ან

ხელმოწერის გარემოზე პასუხისმგებელი პირის ლოკალური წყა-
როდან. რადგან დროის აღნიშვნა ხდება ხელმოწერის მომენტის
შემდეგ მყისიერად, პირველი ვერიფიკაცია რეალურად ასახავს, თუ
როდის მოხდა ხელმოწერა: თუ Time Stamping Authorities-ს მიერ
დასმული დრო (ანუ ხელმოწერის დრო) თავსდება სერტიფიკატის
მოქმედების პერიოდში, მათ შორის, სერტიფიკატის გაუქმებამდე,
მაშინ ხელმოწერა ვალიდურია. სხვა შემთხვევაში ხელმოწერა
ჩაითვლება არავალიდურ ხელმოწერად.

ხელმოწერის დროის აღნიშვნა (Signature Time-Stamp) სრულდება
ციფრული სერტიფიკატის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ,
იმდენად მცირე დროის ინტერვალით, რომ ეს დრო მიჩნეული
უნდა იქნეს არაარსებით განსხვავებად. დროის აღნიშვნა მიუთი-
თებს, რომ ხელმოწერა შესრულდა მოცემულ დრომდე, ხოლო
ციფრული სერტიფიკატის გამოყენებას და დროის აღნიშვნის
სერვისის მიღებას შორის აღნიშნული დროის სხვაობის სიმცირის
გამო.

შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ხელმოწერა შესრულდა იმ
დროს, როცა მასზე განხორციელდა დროის აღნიშვნა. არაარსე-
ბითად მიჩნეულ უნდა იქნეს დროის იმდენად მცირე ინტერვალი,
რომ შეუძლებელი იყოს ხელმოწერის შესრულების დროში
(მომენტში) ეჭვის შეტანა.

ხელმოწერის შემდგომი ვერიფიკაციის შესაძლებლობას იძ-
ლევა Trusted Archival Services, რამდენადაც ამ მომსახურებით გაც-
თებული ჩანაწერები იძლევა ინფორმაციას ხელმოწერის არსებო-
ბის და ვალიდურობის შესახებ.

15.4. ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა და კომერციულ ბანკის ელექტრონული შტამპი

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება
გულისხმობს ელექტრონული ხელმოწერის იმ მოდელის გამოყე-
ნებას, რომელიც შესრულებული იქნება მომხმარებელთან

პირისპირ საბანკო მომსახურების გაწევისას, ე.წ. ხელმოწერის
ღაფის საშუალებით.

აღნიშნული მოდელით ელექტრონული ხელმოწერის შექმნა
ეყრდნობა ხელმოწერის ბიომეტრიულ მონაცემებს. ესაა ხელმო-
წერის სტატიკური და დინამიკური მონაცემების ერთობლიობა,
რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ხელმომწერის იდენტი-
ფიცირება.

კომერციული ბანკის მიერ შერჩეული ელექტრონული ხელმო-
წერის შექმნის მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ხელმო-
წერის შექმნისთვის საჭირო ყველა იმ ბიომეტრიული მონაცემის
მიღებას ისეთი ხარისხით, რომ ისინი საკმარისი აღმოჩნდნენ
ხელმოწერის ექსპერტიზის ჩასატარებლად.

ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები
სავალდებულოა ისე დაუკავშირდეს ხელმოსაწერ მონაცემებს, რომ
შესაძლებელი იყოს ხელმოწერილ მონაცემებში ნებისმიერი
ჩარევის შემჩნევა/დაფიქსირება. ამასთანავე, აღნიშნული ბიომეტ-
რიული მონაცემები დაცულ უნდა იქნეს ისე, რომ შეუძლებელი
იყოს დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაცია
ნებისმიერი პირის მიერ, „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტ-
რიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერი-
რებისა და მართვის“ ფუნქციის შემსრულებელი ორგანოს გარდა.

ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს ღია გასაღების ინფრა-
სტრუქტურის (PKI) პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს
ისეთი სანდო და დაცული გარემოს შექმნას, რომელიც ასიმეტ-
რიულ კრიპტოგრაფიაზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმო-
წერის გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნულ სანდო და
დაცულ გარემოდ მიიჩნევა ის ღია გასაღების ინფრასტრუქტურა,
რომელიც უზრუნველყოფს სანდო სერვისის მიმწოდებელი
ერთეულების მონაწილეობას.

ღია გასაღების ინფრასტრუქტურა (PKI) უფრო ფართო გაგე-
ბისთვის, განიხილება, როგორც მომსახურების, სტანდარტების,
პროტოკოლების და პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენ-

ტების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ღია გასაღების შიფრაციის ტექნოლოგია. PKI, ასევე, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ღია გასაღების სერტიფიკატზე დამყარებული სანდო იერარქია. სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ასევე, გაგებულ იქნეს, როგორც შიფრაციისა და ციფრული სერტიფიკატის მომსახურების მიწოდება. PKI, ასევე, არის გარემო, რომელიც ახორციელებს ღია გასაღების მართვას CA-ს მიერ გამოშვებული ციფრული სერტიფიკატის მეშვეობით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს აღნიშნულ გარემოში განახორციელოს დაცული კომუნიკაცია და ოპერაციები. PKI-ს საბაზისო ელემენტებად განიხილება სერტიფიკატი, ღია და დახურული გასაღები, სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი (CAA) და სხვა სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP).

ხელმოსაწერ მონაცემებზე განხორციელებული ხელმოწერის რაოდენობის მიუხედავად, დაცულ უნდა იქნეს თითოეული ხელმოწერის მთლიანობა, რაც გულისხმობს თითოეული ხელმოწერის დაურღვეველ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

ხელმოსაწერ მონაცემებზე ყველა ხელმომწერის მიერ განხორციელებული ხელმოწერის შემდეგ, ეს ხელმოწერა (ხელმოწერები), და შესაბამისად დოკუმენტი, ჩაითვლება დასრულებულად, როდესაც კომერციული ბანკის მიერ დოკუმენტს დაედება ელექტრონული შტამპი, რაც უნდა წარმოადგენდეს საბოლოო, ე.წ. საკონტროლო ციფრულ ხელმოწერას. აღნიშნული საკონტროლო ხელმოწერის შესრულებისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს სანდო სერვისის მიმწოდებელი პირის მიერ გამოშვებული ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი.

კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი უნდა შეიცავდეს კომერციული ბანკის იმ თანამშრომლის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ოპერაციის შემსრულებელს ან/და ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმომწერს. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი უნდა წარმოადგენდეს ციფრული სერტიფიკატის გამოყენებით შესრულებულ ხელმოწერას.

კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპისა და ბიომეტრიულ მონაცემებზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისთვის არ უნდა იქნეს გამოყენებული ერთი და იგივე სერტიფიკატი. თუმცა ამ ორი სერტიფიკატის გამცემი შესაძლებელია იყოს სერტიფიკატის გამცემი ერთი და იგივე უფლებამოსილი პირი.

კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი საშუალებას უნდა იძლეოდეს, განისაზღვროს თუ ვის მიერ შესრულდა და ხელი მოეწერა კონკრეტულ საბანკო ოპერაციას კომერციული ბანკის მხრიდან. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი წარმოადგენს კონკრეტული ოპერაციის კომერციული ბანკის გარემოში შესრულების დადასტურებას.

ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმოწერების მიერ ბიომეტრიულ მონაცემებზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმოწერის შესასრულებლად ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენების შემდეგ მყისიერად უნდა განხორციელდეს ბანკის ელექტრონული შტამპისთვის ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენება. ამ ორი სერტიფიკატის გამოყენებას შორის არსებული დროის ინტერვალი შენარჩუნებული უნდა იქნეს კომერციული ბანკის გარემოში შექმნილი ნებისმიერი ელექტრონული დოკუმენტისთვის (რომელზეც ხორციელდება ელექტრონული ხელმოწერა), ხოლო ინფორმაცია დროის დასაშვები ინტერვალის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს, მინიმუმ, ერთ-ერთი სერტიფიკატის ფორმულაში.

გამოყენებული მოწყობილობა, არსებული პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ ნაწილია, უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიანობას, რომლის დარღვევა ნიშნავს მოწყობილობის კომპრომეტირებას.

გამოყენებული მოწყობილობა და პროგრამული უზრუნველყოფა, მაგ: გამოყენებითი პროგრამირების სამუშაო ზედაპირი (Application programming interface (API)) მიზანშეწონილია წარმოად-

გენდეს ერთი და იგივე მწარმოებლის პროდუქტს და მისი დანერგვა უნდა განხორციელდეს ერთდროულად.

ნებისმიერი ჩარევა, როგორც მოწყობილობასთან, ასევე, პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, განიხილება ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს დარღვევად, რაც შეუფასდება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შეუსრულებლობად.

იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერის მოწყობილობა და პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენენ სხვადასხვა მწარმოებლის პროდუქტს, ან სავალდებულო ხდება სხვა მწარმოებლის მიერ პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩარევა, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნეს ამ ორი პროდუქტის ტექნიკური და ფუნქციონალური თავსებადობის და პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩარევის მიუხედავად აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების ისეთი პირობები, რაც ეროვნული ბანკის მიერ მიიჩნევა სანდო და დაცულ გარემოდ.

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ხელმოწერისთვის რეკომენდებულია მხოლოდ PDF ფორმატის ფაილის გამოყენება, რომელიც ხელმოწერის შემდეგ, როგორც დასრულებული დოკუმენტი გადადის ელექტრონულ არქივში. ამასთანავე, PDF ფორმატის ფაილის გამოყენებასთან ერთად დაცულ უნდა იქნეს დოკუმენტზე „დროის აღნიშვნის“, მისი გრძელვადიანი არქივირებისა და დროის ნებისმიერ პერიოდში დოკუმენტის ვალიდაციის შემოწმების შესაძლებლობა.

დროის აღნიშვნა გამოიყენება ციფრულ ხელმოწერაზე დროის დაფიქსირებისთვის, რათა შესაძლებელი იყოს დადასტურება იმისა, რომ ციფრული ხელმოწერა წარმოიქმნება უშუალოდ მოცემულ კონკრეტულ მომენტამდე. ღია გასაღების სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში, დროის აღნიშვნის არსებობა საშუალებას აძლევს ვერიფიკაციის განმხორციელებელს განსაზღვროს, ხელ-

მოწერა შესრულდა თუ არა სერტიფიკატის გაუქმებამდე ან/და სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში.

დაუშვებელია ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენება დროის აღნიშვნის სანდო სერვისის მიმწოდებლის პროდუქტის გარეშე, თუ შეთანხმებული არ არის ეროვნულ ბანკთან.

ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენებისას დაუშვებელია კომერციული ბანკის ლოკალური სერვერის დროის აღნიშვნა.

დროის აღნიშვნის სერვისის მიმწოდებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც სხვა, ნებისმიერი სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებლის (CSP) მსგავსად, ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეულ უნდა იქნეს სანდო სერვისის მიმწოდებლად.

დროის აღნიშვნა სანდო სერვისის მიმწოდებლის სერვერიდან სავალდებულოა მიყვებოდეს სერტიფიკატზე დამყარებულ ხელმოწერას დაუყოვნებლივ, როგორც კი ხელმოწერა წარმოიქმნება, ისე რომ დროის აღნიშვნამ ასახოს დოკუმენტზე ხელმოწერის დრო.

სანდო სერვისის მიმწოდებლისგან მიღებული დროის აღნიშვნა უნდა წარმოადგენდეს კრიპტოგრაფიულ მესიჯს, რომელიც შესრულებული იქნება დროის აღნიშვნის მომსახურების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

კომერციული ბანკის მიერ დროის აღნიშვნის სანდო სერვისის მიმწოდებელთან გაგზავნილი მოთხოვნა უნდა წარმოადგენდეს ციფრულ ხელმოწერაზე შესრულებულ ჰეშს. ამ მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია არის ციფრული ხელმოწერის დროის აღნიშვნა.

იმ შემთხვევაში, როცა კომერციული ბანკი გამოიყენებს ელექტრონულ ხელმოწერას ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, მიღებულ ელექტრონულ დოკუმენტს შეინახავს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. იმავდროულად, კომერციული ბანკი ვალდებულია განახორციელოს ელექტრონულ დოკუმენტზე დროის აღნიშვნის განახლება, დროის აღნიშვნის მომსახურების

მიმწოდებლის მიერ ამ მომსახურების მიწოდებისას შესრულებული ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის ვადის გასვლამდე.

კომერციული ბანკის მიერ დროის აღნიშვნის განახლებისთვის სანდო სერვისის მიმწოდებელთან გაგზავნილი მოთხოვნა უნდა წარმოადგენდეს დოკუმენტზე შესრულებულ ჰეშს. ამ მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს დოკუმენტის დროის აღნიშვნას.

კომერციული ბანკი ვალდებულია განაახლოს დროის აღნიშვნა ელექტრონულ დოკუმენტზე, თუ:

◆ იწურება დროის აღნიშვნის სერვისის მიმწოდებლის მიერ გამოყენებული ღია გასაღების სერტიფიკატის მოქმედების ვადა (როგორც ზემოთ იყო აღწერილი);

◆ გამოყენებული ჰეშ ფუნქცია ან/და შიფრაციის ალგორითმი (ან/და სხვა ნებისმიერი გამოყენებული ტექნიკური პარამეტრი) კარგავს რეკომენდებული ტექნიკური პარამეტრების სტატუსს;

◆ იდენტიფიცირებულია კომპრომეტირების შემთხვევა;

◆ სხვა შემთხვევაში, თუ ეჭვგარეშე დადგება დოკუმენტის მთლიანობა.

კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის, როგორც აპარატურის, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის კონტროლი, ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემო.

„კონტროლი“, ასევე, გულისხმობს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშირებული არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას და მართვას.

კომერციული ბანკის მიერ, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის გარდა, სხვა, ნებისმიერი ელექტრონული ხელმოწერის საშუალების გამოყენება საბანკო

ოპერაციებში განიხილება, როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილება.

კომერციული ბანკის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური პროდელიდან გამომდინარე, შესაძლებელია კომერციულ ბანკს მოეთხოვოს ეროვნულ ბანკთან ინფორმაციის წარდგენა გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობასთან დაკავშირებით.

კომერციულმა ბანკმა, მის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური პროდელის გათვალისწინებით, უნდა შეიმუშაოს ხელმოწერის დაფების ექსპლუატაციიდან ამოღების სქემა, ისე რომ შემდგომში არ დაუშვას ამ ხელმოწერის დაფების და მასში ჩაშენებული სერტიფიკატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენება საბანკო ოპერაციებში.

საბანკო სექტორში განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფა გულისხმობს ღია გასაღების ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელი ერთეულების მონაწილეობას. კომერციული ბანკი ვალდებულია თითოეულ მათგანთან გააფორმოს ხელშეკრულება მომსახურების მიღებაზე. ამასთანავე, თითოეული მათგანი ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეულ უნდა იქნეს სანდო სერვისის მიმწოდებლად.

ღია გასაღების ინფრასტრუქტურაში მონაწილეობენ:

◆ სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი (CAA), რომლის გაცემული სერტიფიკატი გამოიყენება:

– ბიომეტრიულ მონაცემებზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმოწერის შესასრულებლად;

– ელექტრონულ დოკუმენტზე კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპისთვის, ე.წ. საკონტროლო ხელმოწერის შესასრულებლად.

◆ ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის შემსრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ხელმომწერის

ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის აუცილებელი გასაღების წყვილის გენერირებას და მის მართვას.

◆ დროის აღნიშვნის სერვისის მიმწოდებელი (Time-Stamp Authority).

რისკების ეფექტურად მართვის მიზნით მიიჩნევა, რომ კომერციულმა ბანკმა უნდა განახორციელოს ზემოთ ჩამოთვლილი სამი სერვისის მიმწოდებლის დივერსიფიკაცია.

საბანკო სექტორში გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიენიჭება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის იდენტური იურიდიული ძალა, თუ ის შესრულებული იქნება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, მოქმედი სერტიფიკატით/სერტიფიკატებით.

კომერციული ბანკი აფორმებს ხელშეკრულებას ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მწარმოებელთან, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სერვისის მიწოდებას არსებული მოთხოვნების დაცვით.

კომერციულმა ბანკმა, ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის აღიარებულ და მოთხოვნილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სავალდებულოა ეროვნულ ბანკს წარუდგინოს მწარმოებლის დეკლარაცია ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეული ორგანოს მიერ გაცემული ტექნიკური შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც უნდა ადასტურებდეს, მინიმუმ, შემდეგ მოთხოვნებს: დაცულია აპარატურაში/პროგრამულ უზრუნველყოფაში გასაღებების უსაფრთხო შენახვა (secure keys storage) და შეუძლებელია აპარატურიდან მათი ექსპორტირება (იმ შემთხვევაში, თუ გასაღებები ჩაშენებულია აპარატურაში).

იმ შემთხვევაში, თუ გასაღებები წარმოადგენს ბანკის მიერ კონტროლირებული პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილს, ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს „გასაღებების მართვის პოლიტიკა“ (Key Management Policy), რომელიც მომზადებულ იქნება საერთაშორისოდ

აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად:

◆ შეუძლებელია ღია ბიომეტრიული მონაცემების მიღება ხელმოწერის მოწყობილობიდან ან/და პროგრამული უზრუნველყოფიდან, რაც ნიშნავს, რომ ბიომეტრიული მონაცემები ექსპორტირდება აღნიშნული სისტემებიდან მხოლოდ დაშიფრული სახით და ინტეგრირდება ხელმოსაწერ მონაცემებთან;

◆ დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემები განუყოფლად არის დაკავშირებული ხელმოსაწერი დოკუმენტის იდენტიფიკატორთან;

◆ დაცულია დოკუმენტის მთლიანობა ხელმოწერის პროცესში, რაც, მინიმუმ, ნიშნავს, რომ:

– შეუძლებელია დოკუმენტის ტექსტში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ისე, რომ შენარჩუნებული იყოს ხელმოწერის მთლიანობა;

– ხელმოწერის მოწყობილობაზე შეუძლებელია ნაჩვენები იქნეს სხვა, ნებისმიერი ტექსტი, გარდა იმ დოკუმენტის სრული ან ნაწილობრივი ტექსტისა, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებული, ხელმოსაწერი დოკუმენტის სრულ ვერსიას და რომელზეც მოხსნილი ჰეში განიხილება დოკუმენტის იდენტიფიკატორად და მონაწილეობს დოკუმენტის მთლიანობის განსაზღვრაში;

◆ მწარმოებლისგან შეძენილ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობაში (აპარატურაში ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაში) ნებისმიერი ჩარევა იწვევს წარმოდგენილ ტექნიკურ სერტიფიკატებთან ან/და შეთანხმებულ ტექნიკურ მოდელთან შესაბამისობის დარღვევას;

◆ მწარმოებლისგან შეძენილ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა (აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა) უზრუნველყოფს:

– ჰეშ ფუნქციის (SHA);

– შიფრაციის ალგორითმის;

– ღია გასაღების სერტიფიკატის (Public Key Certificates).

◆ ტექნიკური მოთხოვნების გამოყენებას, რაც განსაზღვრულია შემდეგი მიზნებისათვის:

– ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენებისთვის;
– დროის აღნიშვნის გამოყენებისთვის;
– ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის.

◆ ხელშეკრულებას თან უნდა ერთვოდეს მწარმოებლისგან შეძენილი ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის (აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის) ტექნიკური მოდელის ის დეტალური აღწერა, რომელიც წარმოდგენილი იყო მესამე მხარესთან ტექნიკური შესაბამისობის სერტიფიკატის მისაღებად.

◆ ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების სტატიკური და დინამიკური მონაცემების ჩამონათვალი და შეძენილი მოწყობილობის მიერ მათი აღების ხარისხი.

საბანკო ოპერაციებში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, კომერციულმა ბანკმა უნდა ითანამშრომლოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან.

კომერციული ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის დამადასტურებელი სამმხრივი ტესტირების შედეგი, რომელშიც კომერციულ ბანკსა და საექსპერტო ორგანოსთან ერთად ჩართული იქნება „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის“ ფუნქციის შემსრულებელი ორგანო.

ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობა. ამ მიზნით სავალდებულოა უსაფრთხოების პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება.

კომერციულ ბანკში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კომერციულ ბანკს საინფორმაციო-ტექნოლოგიური (საინფორმაციო სისტემების და პროცესების) აუდიტის ჩატარება დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის შეფასების მიზნით.

ეროვნული ბანკი ითანხმებს კომერციული ბანკის მიერ აუდიტორული კომპანიის შერჩევას, რომელიც კომერციულ ბანკში განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ აუდიტს.

ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, კომერციული ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს და რეგულარულად განაახლოს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული არსებული და მოსალოდნელი რისკების მართვის პოლიტიკა, ასევე, უზრუნველყოს მისი პრაქტიკაში დანერგვა.

კომერციული ბანკი ვალდებულია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებით, ხელმომწერის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მიიღოს შესაბამისი ზომები (მათ შორის, ინფორმირება ელექტრონული დოკუმენტის საიმედოდ დაცვის აუცილებლობის შესახებ), რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებამდე ესმოდეს მისი იურიდიული მნიშვნელობა.

ნებისმიერი ელექტრონული დოკუმენტი, რომელზეც გამოყენებულ იქნება ელექტრონული ხელმოწერა, სავალდებულოა შეიცავდეს ინფორმაციას ელექტრონული დოკუმენტის, როგორც ხელმომწერის პერსონალური მონაცემების მატარებელი საშუალების შესახებ.

კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული დოკუმენტის დედნის მომხმარებლისთვის საიმედოდ და დაცული გზით მიწოდების შესაძლებლობა დოკუმენტის შექმნისთანავე.

მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია მიაწოდოს მას ელექტრონული დოკუმენტის ასლი, რომელიც მომზადებული იქნება „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად.

კომერციულმა ბანკმა, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით კონკრეტული საბანკო მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს ამ საბანკო მომსახურების მიწოდებისას მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა.

კომერციული ბანკი ვალდებულია, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების დაწყებამდე საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში რეგულარულად განაახლოს, მინიმუმ, შემდეგი ინფორმაცია:

◆ ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი და სერტიფიკატის ძირეული გამცემი (Root CA), ასევე, მათი ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი;

◆ ხელმოწერის სერტიფიკატის ვალიდურობის გადამოწმების ინსტრუქცია;

◆ ხელმოწერის სერტიფიკატის ვალიდურობის გადამოწმებისთვის სავალდებულო ვებ-გვერდის მისამართი;

◆ ხელმოწერის სერტიფიკატის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მოძიებისათვის საკუთარი ვებ-გვერდის მისამართი, ასევე, ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემის და სერტიფიკატის ძირეული გამცემის (Root CA) გაუქმებული სერტიფიკატების სიის (Sertificate Revocation List (CRL)) ვებ-გვერდის მისამართი.

საბანკო სექტორში კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევისას გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას მიენიჭება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა, თუ ელექტრონული ხელმოწერა შესრულებული

იქნება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კომერციული ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად.

ელექტრონული ხელმოწერა არ ჩაითვლება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კომერციული ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად შესრულებულად და განიხილება შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან დარღვევად, თუ:

◆ გამოყენებულია ღია გასაღების სერტიფიკატი, რომლის მოქმედების ვადა გასულია ან/და გაუქმებულია CA-ს მიერ;

◆ გამოყენებულია ნებისმიერი ტექნიკური კომპონენტი (SHA, ალგორითმი, პროტოკოლი ან/და სხვა), რომელზეც გამოაშკარავებულია კომპრომეტირების ფაქტი, ან/და არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს;

◆ შესრულებულია იმ პერიოდში, როცა კომერციულ ბანკს შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უფლება;

◆ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შეუსრულებლობამ განაპირობა ან შეიძლება განაპირობოს ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობის ან/და უცვლელობის დარღვევა.

15.5. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კრიტერიუმები და ადმინისტრაციული მოთხოვნები

იმისათვის, რომ კომერციულმა ბანკმა დანერგოს ელექტრონული ხელმოწერა და ამ ფორმით უზრუნველყოს კლიენტების მომსახურება, დანერგილი ელექტრონული ხელმოწერის მეთოდი უნდა აკმაყოფილებდეს და უზრუნველყოფდეს შემდეგ პირობებს:

◆ მთლიანობა – ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული მონაცემების თავდაპირველ, უცვლელ/დაურღვეველ მდგომარეობაში შენარჩუნების უზრუნველყოფა;

◆ უარყოფის შეუძლებლობა – ელექტრონული ხელმოწერა უნდა წარმოადგენდეს ძლიერ და მყარ მტკიცებულებას იმისა, რომ

ხელმომწერის იდენტიფიკაცია მოხდა და შედეგად შეუძლებელია ხელმომწერის მიერ თავისი ხელმოწერის უარყოფა;

◆ მომხმარებელთა ავთენთიფიკაცია – მტკიცე რწმუნების უზრუნველყოფა და დადასტურების შესაძლებლობა იმისა, რომ კონკრეტული ხელმომწერი პირი არის ნამდვილად ის პირი, რომლის სახელითაც დოკუმენტს ხელი ეწერება;

◆ ატრიბუტების დამატების შესაძლებლობა – ელექტრონული ხელმოწერა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეული ხასიათის ატრიბუტები დაემატოს ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებულ დოკუმენტებს, როგორიცაა ხელმოწერის დროის აღნიშვნა ხელმოწერილ დოკუმენტზე, რომელიც წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის განუყოფელ ნაწილს;

◆ ხელმოწერის გამოყენების უწყვეტობა – ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის არსებული გარემო უნდა უზრუნველყოფდეს ელექტრონული ხელმოწერის საჯაროდ უსაფრთხოდ გამოყენებას, ისე რომ დაცული იქნეს მონაცემების მთლიანობა და კონფიდენციალობის შენარჩუნების ზომები;

◆ ხელმოწერის დროის განსაზღვრა – ხელმოწერების თანმიმდევრობის დადგენის შესაძლებლობა (დროითი ანალიზის შესაძლებლობა);

◆ დამოუკიდებელი დადასტურება – ხელმოწერის დამოუკიდებლად დადასტურების უნარი ხელმომწერის ფიზიკური თანდასწრების გარეშე, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ხელმოწერის ფაქსიმილიეს არსებობის შემთხვევაში ან/და ელექტრონული ხელმომწერის სანდო და დაცული გარემოს არსებობის პირობებში;

◆ ფუნქციონალური თავსებადობა – ელექტრონული ხელმოწერის საინფორმაციო სისტემების გამოყენებისას საჭიროა არსებობდეს პროგრამული თავსებადობა გამოყენებულ სისტემებს შორის;

◆ მრავალი ხელმოწერის შესაძლებლობა – ტრანზაქციის ორ ან ორზე მეტ მხარეთა დოკუმენტზე ხელმოწერის შესაძლებლობა;

◆ მონაცემთა ტრანსპორტაბელურობა – შესაძლებლობა იმისა, რომ დაუცველი ქსელის ან/და გარემოს პირობებში თავისუფლად იყოს შესაძლებელი ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტის გაგზავნა და შენახვა;

◆ კომუნიკაციის დაცულობა – კომუნიკაციის ისეთი ფორმა, როცა ინფორმაცია დაცული იქნება არასანქცირებული წვდომისაგან, ასევე, მასში ან/და მასზე ნებისმიერი არასანქცირებული ცვლილების განხორციელებისგან;

◆ საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის ჩარჩო:

– ბანკს უნდა გააჩნდეს საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის ჩარჩო, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფას;

– ელექტრონული ხელმოწერისა და დაკავშირებული აპარატების, პროგრამების, პროდუქტების უსაფრთხოების შეფასება და არსებული მექანიზმების ინვენტარიზაცია და ტესტირება;

– უსაფრთხოების ტესტირება, მათ შორის, ანტივირუსული შემოწმებები.

◆ რისკების მართვა – შემუშავებული და დანერგილი იქნეს არსებული და პოტენციური რისკების შეფასებისა და მათი მაქსიმალურად შემცირების ზომები.

კომერციულ ბანკს, კონკრეტულ საბანკო ოპერაციაზე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შემთხვევაში, ამ საბანკო ოპერაციის შინაარსის, ბანკის ზომისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დამატებით განესაზღვროს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს დაკმაყოფილების ვალდებულება:

◆ ბანკს გააჩნდეს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს ელექტრონულ მონაცემთა შენახვის, დაზღვევისა და აღდგენის მექანიზმს;

◆ უზრუნველყოფდეს მონაცემთა შენახვის, დაზღვევისა და აღდგენის მექანიზმის ტესტირება თავისივე შიდა პოლიტიკების განსაზღვრული სქემების შესაბამისად;

◆ საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს ინფორმაციაზე წვდომის შემდეგი საკონტროლო მექანიზმები:

◆ საინფორმაციო სისტემების მომხმარებელთა წვდომის ავტორიზაციის სქემა;

◆ საინფორმაციო სისტემების მომხმარებელთა წვდომის დადგენის შესაძლებლობა;

◆ მომხმარებელთა წვდომის მოდიფიკაციის შესაძლებლობა;

◆ შიდა/გარე აუდიტი – საინფორმაციო ტექნოლოგიური აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა, მათ შორის, ელექტრონული ხელმოწერების მთლიანობის, უწყვეტობისა და კონფიდენციალურობის ხარისხზე შესაბამისი დასკვნის მიღების მიზნით;

◆ უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პროცედურები;

◆ ელექტრონულ ხელოწერასთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიკაცია პროცედურები;

◆ ინციდენტებზე რეაგირების პროცედურები;

◆ ბანკმა ჩაატაროს თანამშრომლების რეგულარული ტრენინგები ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქმიანობაში ჩართული პერსონალის პროფესიული დონის შესაბამისობა;

◆ ელექტრონულ ხელმოწერებთან დაკავშირებით მომხმარებელთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

უსაფრთხოების პოლიტიკაში, ასევე, წარმოდგენილი იქნება:

◆ გამოყენებული პროდუქტებისა და მათი მწარმოებლების ჩამონათვალი;

◆ აღნიშნული მწარმოებლების მარეგულირებელი ორგანოების ჩამონათვალი;

◆ გამოყენებული პროდუქტების ტექნიკური მაჩვენებლებისა და უსაფრთხოების ზომების შესაბამისობა მწარმოებლის რეგისტ-

რაციის საკანონმდებლო სივრცეში მოქმედ ან/და აღიარებულ ორგანოებთან.

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი პროდუქტები: „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“ (Electronic Signature Creation Devices) და ასევე, „ელექტრონული ხელმოწერის განაცხადის კომპონენტები“ (Electronic Signature Application Components), რომელთა ფუნქციონალური აღწერა წარმოდგენილ უნდა იქნეს სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ გაცემული „Certificates of confirmation“-ის ან/და „მწარმოებლის დეკლარაციის“ შესაბამისად.

15.6. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ფუნქციონალური აღწერა და განაცხადის კომპონენტები

პროდუქტის შემადგენელი კომპონენტები:

◆ ტექნიკური კომპონენტები;

◆ პროგრამული კომპონენტები;

◆ მომხმარებლის სახელმძღვანელოები (უზრუნველყოფილ იქნეს საქმიანობაში ჩართული პერსონალის მიმართ მათი ადაპტაცია);

◆ ფუნქციონალობა და პროდუქტის არქიტექტურა.

უსაფრთხოების ფუნქციონალობები:

◆ წვდომის კონტროლი;

◆ პაროლით, ტერმინალით ან ჩიპით ავთენტიფიკაცია;

◆ მომხმარებლის ავთენთიფიკაცია;

◆ მონაცემთა უსაფრთხო გაცვლა;

◆ უსაფრთხოების ფუნქციონალის დაცვა;

◆ კრიპტოგრაფიული ფუნქციონალობა;

◆ გამოყენებული ალგორითმებისა და მათთან დაკავშირებული პარამეტრების ჩამონათვალი და დანიშნულება.

გამოყენების პირობები:

◆ გამოყენების ტექნიკური წინაპირობები;

◆ გამოყენების გარემო;

◆ შემოწმების დონისა და უსაფრთხოების მექანიზმის სიმტკიცის დონის საიმედოობის მაჩვენებლები.

ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტანდარტებთან შესაბამისობა:

◆ დახურული გასაღების გამოყენება;

◆ დახურული გასაღების არაავტორიზებული გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველყოფა (განსაკუთრებით, ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებისას);

◆ ბიომეტრიული მონაცემების კონფიდენციალობის შენარჩუნების ზომები (ბიომეტრიული მონაცემები არ უნდა იქნეს შენახული/გადაცემული, გარდა უსაფრთხოების პოლიტიკით გათვალისწინებული შენახვისა/გადაცემისა);

◆ ღია გასაღების მეშვეობით დახურული გასაღების გამოთვლის შეუძლებლობის უზრუნველყოფა;

◆ დახურული გასაღების დუბლირების შეუძლებლობის უზრუნველყოფა;

◆ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალებიდან დახურული გასაღების წაკითხვის/და კოპირების შეუძლებლობა.

პროდუქტების შემადგენელი კომპონენტები:

◆ ტექნიკური კომპონენტები – ძირითადი და დამხმარე მოწყობილობები;

◆ პროგრამული კომპონენტები – პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება შესაბამისი ოპერაციის შესასრულებლად;

◆ მომხმარებლის სახელმძღვანელოები (უზრუნველყოფილ იქნეს საქმიანობაში ჩართული პერსონალის მიერ მათი ადაპტაცია);

◆ ფუნქციონალობა და პროდუქტის არქიტექტურა – პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის პრინციპის აღწერა;

◆ კომპონენტების არაავტორიზებული ცვლილებისაგან დაცვა;

◆ უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება.

პოტენციური საფრთხეები:

◆ სატელეკომუნიკაციო ქსელებზე შეტევა;

◆ შეტევა მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომით;

◆ ინსტალაციის, გამოყენებისა და შეკეთებისას შეცდომები/მანიპულაციები;

◆ სხვა საფრთხეები (არსებობის შემთხვევაში).

უსაფრთხოების დადასტურება გამოყენების გარემოსათვის

◆ რომელი გარემოსთვის არის დაშვებული კომპონენტი: დაუცველი გარემო, დაცული გარემო, იზოლირებული გარემო;

◆ გამოყენების პირობები, რათა კომპონენტმა დააკმაყოფილოს სქემაზე აღნიშნული უსაფრთხოების დონე;

◆ უსაფრთხო და საიმედო ტექნიკური მომსახურება – ფიზიკური და პროცედურული უსაფრთხოება.

ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტანდარტებთან შესაბამისობა:

◆ საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა და მათი მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალებებზე შენახვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

◆ ხელმოწერის განხორციელება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ;

◆ ხელმოწერის შექმნის თაობაზე წინასწარ ინფორმაციის მიწოდება – მომხმარებლისათვის ინფორმაციის ბუკლეტის, ვებგვერდზე გამოქვეყნებით ან სხვა საშუალებით მიწოდება;

◆ იმ მონაცემების ცალსახად ჩვენება, რომელზეც ხორციელდება ხელმოწერა;

◆ საჭიროების შემთხვევაში, ხელმოწერილი მონაცემების შინაარსის ჩვენება;

◆ ხელმოწერის მხოლოდ ერთ ელექტრონულ დოკუმენტზე განხორციელება;

◆ ელექტრონულად ხელმოწერილი მონაცემების დეტალიზაცია;

◆ ხელმოწერილი მონაცემების უცვლელობის უზრუნველყოფა;

◆ შესაბამისი ხელმოწერის დახურული გასაღების კუთვნილება;

◆ ხელმოწერის მომენტისათვის სერტიფიკატის ქმედითობა;

◆ ხელხელმოწერის სისწორის საიმედოდ შემოწმება და შესაბამისად ჩვენება.

სერტიფიკატის გაცემის საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს:

◆ დახურული გასაღების გენერირებისა და გადაცემისას მისი უნიკალურობისა და საიდუმლოების დაცვას;

◆ მხოლოდ ხელმოწერის შექმნის საშუალებებზე დამახსოვრების შესაძლებლობას;

◆ შესაბამისი სერტიფიკატების ღია გასაღებების საიმედო შენახვა და არაავტორიზებული ცვლილებებისაგან დაცვას.

პროცესის აღწერა უნდა მოიცავდეს:

◆ ელხელმოწერის პროცესში ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების აღწერას;

◆ სუსტი წერტილების ანალიზის, შეტევის პოტენციალის შეფასების და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის ანალიზს;

◆ უსაფრთხოების მექანიზმების სიძლიერის ანალიზს.

გამოყენებული ალგორითმები:

◆ გასაღებების წყვილის შექმნას, მონაცემების ჰეშირების, ელექტრონული ხელმოწერის შექმნისა და შემოწმების ალგორითმები;

◆ ალგორითმების ვადიანობის კონტროლისა და კომპრომეტაციის შემოწმება.

საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ტექნიკური პარამეტრები

საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას დაცულ უნდა იქნეს შემდეგი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი დონის უსაფრთხოება და ტექნიკური პარამეტრები:

ღია გასაღების სერტიფიკატის ფორმატი	X.509
გასაღების ტიპი	RSA
გასაღების ზომა	2048 ბიტი
კრიპტოგრაფიული ჰეშ ფუნქცია	SHA-256
დროის აღნიშვნის პროტოკოლი	RFC-3161
ხელმოსაწერი დოკუმენტის ფორმატი	PDF A/ - 1a; PDF A/ - 2a

კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის შესათანხმებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. განცხადება, კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმების შესახებ;

2. უსაფრთხოების პოლიტიკა;

3. ხელშეკრულება სერტიფიკატის გამცემ უფლებამოსილ პირთან (CA);

4. ხელშეკრულება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელ ორგანოსთან;

5. ხელშეკრულება დროის აღნიშვნის მომსახურების გაწევ (Time-Stamp Service) ორგანოსთან;

6. ხელშეკრულება ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან;

7. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების მართვის პოლიტიკა;
8. გამოყენებული „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ ტექნიკური შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
9. ელექტრონულ ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი მოწყობილობის ან/და საინფორმაციო უზრუნველყოფის ტექნიკური შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მწარმოებლის დეკლარაცია;
10. სხვა, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იქნება ეროვნული ბანკის მიერ.

საერთაშორისო საკრედიტო და საგაჭრო ტერმინოლოგია

აქცეპტი (Acceptance)

პირი, რომელსაც წარედგინება თამასუქი (აქცეპტორი) აწერს მის აქცეპტირებას, ანუ ზევიდან აწერს სიტყვას „მიღებულია“ („Accepted“), ხელმოწერით ადასტურებს და აღნიშნავს გადახდის თარიღს. აქცეპტი წარმოადგენს, აქცეპტორის მხრიდან უპირობო ვალდებულებას, გადაუხადოს აქცეპტის გამომწერს დაფიქსირებულ თანხა გასაზღვრული თარიღისათვის. საბანკო აქცეპტი წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ ან ბანკის მიერ აქცეპტირებულ თამასუქს. სავაჭრო აქცეპტი არის თამასუქი, რომელიც გამოწერილია საქონლის გამყიდველის მიერ მყიდველზე და აქცეპტირებულია მყიდველის მიერ.

გარანტირებული აკრედიტივი (Guaranteed Letter of Credit)

აკრედიტივი, რომელიც გარანტირებულია კლიენტის მიერ ხშირ შემთხვევებში, ის შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს გირაოთი. ადგილობრივ ბანკებში ასეთი თამასუქის განაღდება ხდება რიცხება საერთო საბუღალტრო წიგნში, აქტივების ანგარიშზე „კლიენტების ვალდებულებათა თამასუქები, განაღდებული გარანტირებული აკრედიტივის მიხედვით.“

საიმპორტო აკრედიტივი (Import Letter of Credit)

აკრედიტივი გამოწერილი ბანკის მიერ იმ კლიენტის სახელით, რომელიც ახდენს ქვეყანაში საქონლის იმპორტირებას. საიმპორტო აკრედიტივის გამოწერა გულისხმობს იმას, რომ ბანკი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, გაანაღდოს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი თამასუქები აკრედიტივის პირობების შესრულებისას.

7. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების მართვის პოლიტიკა;

8. გამოყენებული „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ ტექნიკური შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

9. ელექტრონულ ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი მოწყობილობის ან/და საინფორმაციო უზრუნველყოფის ტექნიკური შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მწარმოებლის დეკლარაცია;

10. სხვა, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იქნება ეროვნული ბანკის მიერ.

საერთაშორისო საკრედიტო და საგაჭრო ტერმინოლოგია

აქცეპტი (Acceptance)

პირი, რომელსაც წარედგინება თამასუქი (აქცეპტორი) ახდენს მის აქცეპტირებას, ანუ ზევიდან აწერს სიტყვას „მიღებულია“ („Accepted“), ხელმოწერით ადასტურებს და აღნიშნავს გადახდის თარიღს. აქცეპტი წარმოადგენს, აქცეპტორის მხრიდან უპირობო ვალდებულებას, გადაუხადოს აქცეპტის გამომწერს დაგენილი თანხა გასაზღვრული თარიღისათვის. საბანკო აქცეპტი წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ ან ბანკის მიერ აქცეპტირებულ თამასუქს. საგაჭრო აქცეპტი არის თამასუქი, რომელიც გამოწერილია საქონლის გამყიდველის მიერ მყიდველზე და აქცეპტირებულია მყიდველის მიერ.

გარანტირებული აკრედიტივი (Guaranteed Letter of Credit)

აკრედიტივი, რომელიც გარანტირებულია კლიენტის მიერ. ხშირ შემთხვევებში, ის შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს გირაოთი. ადგილობრივ ბანკებში ასეთი თამასუქის განაღდება ადიცხება საერთო საბუღალტრო წიგნში, აქტივების ანგარიშზე „კლიენტების ვალდებულებათა თამასუქები, განაღდებული გარანტირებული აკრედიტივის მიხედვით.“

საიმპორტო აკრედიტივი (Import Letter of Credit)

აკრედიტივი გამოწერილი ბანკის მიერ იმ კლიენტის სახელით, რომელიც ახდენს ქვეყანაში საქონლის იმპორტირებას. საიმპორტო აკრედიტივის გამოწერა გულისხმობს იმას, რომ ბანკი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, გაანაღდოს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი თამასუქები აკრედიტივის პირობების შესრულებისას.

კომერციული აკრედიტივი (Letter of Credit-Commercial)

წარმოადგენს წერილს, რომელსაც ბანკი უგზავნის საქონლის მომწოდებელს, საქონლის შემსყიდველის სახელით. ამ წერილით გამყიდველს ატყობინებენ, რომ მას შეუძლია გამოწეროს თამასუქი დადგენილ თანხაზე. ამასთან, მყიდველი იღებს უპირობო ან პირობით ვალდებულებას გაანაღდოს ეს თამასუქი. კომერციული აკრედიტივი შეიძლება იყოს რამოდენიმე სახის. კერძოდ:

ა. დადასტურებული აკრედიტივი, გამოთხოვის უფლების გარეშე (Confirmed Irrevocable Letter of Credit). ამ აკრედიტივზე, გარდა გამომწერი ბანკისა, პასუხისმგებელია ის ბანკი, რომელიც ახდენს მის დადასტურებას.

ბ. გამოუთხოვადი აკრედიტივი (Irrevocable Letter of Credit). აკრედიტივი, რომლის გამოთხოვა ან პირობების ცვლილება შეუძლებელია ბენეფიციარის ან გამყიდველის ორმხრივი თანხმობის გარეშე.

გ. აკრედიტივი გამოწვევის უფლებით (Revocable Letter of Credit) არის ისეთი აკრედიტივი, როდესაც გამომწერი ბანკი იტოვებს უფლებას, გამოითხოვოს ის ნებისმიერ დროს, დადგენილი თანხების გადახდამდე.

დ. რევოლვერული კომერციული აკრედიტივი (Revolving Credit)- წერილი, რომლითაც გამომწერი ბანკი ატყობინებს საქონლის გამყიდველს, რომ კრედიტის გამოყენების შემდეგ მან შეიძლება კვლავ გამოიყენოს ის, იმავე პირობების გათვალისწინებით, აკრედიტივის ხელმეორედ გამოწერის გარეშე.

კომერციული აკრედიტივების განსაკუთრებული პირობები

1. წითელი პირობა, რომელიც იძლევა უსაბუთო თამასუქის გამოწერის საშუალებას, საქონლის მიღებაზე შეტყობინების საფუძველზე სათანადო საბუთები წარდგენილი იქნება მოგვიანებით.;

2. სატელეგრაფო შეტყობინების პირობა, რომლის მიხედვითაც აკრედიტივის გამომწერი ბანკი იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს თანხა ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით მომსახურე ბანკის გასტორნირების მიღების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დოკუმენტების მიღებისა და გადაცემის დამადასტურებელი დამოწმებული სატელეგრაფო შეტყობინება იქნება მიღებული;

3. აკრედიტივი მწვანე პირობით (Green Clause Letter of Credit) იგივეა, რაც აკრედიტივი წითელი პირობით, იმ განსხვავებით, რომ წითელი პირობისას იგულისხმება გადახდა ავანსით, სასაწყობო ქვითრების წარმოდგენის შემდგომ, რაც წარმოადგენს საქონლის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. აკრედიტივი წითელი პირობით (Red Clause Letter of Credit) აკრედიტივი, რომელიც აძლევს ბენეფიციარს საშუალებას, მიიღოს საქონლის საფასური ავანსად ტვირთის გამოგზავნამდე. არსებობს ასეთი აკრედიტივის ორი კატეგორია:

ა) უცხოურ ბანკს ეძლევა უფლება, გადაუხადოს ბენეფიციარს საკუთარი სახსრებიდან, რის შემდეგ ის იღებს ანაზღაურებას პროცენტებთან ერთად აკრედიტივის გამომწერი ბანკიდან;

ბ) ბენეფიციარს ეძლევა უფლება, გამოწეროს თამასუქი აკრედიტივის გამომწერ ბანკზე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ანაზღაურდეს მყიდველის (იმპორტიორის) მიერ, ე.წ. შეფუთვის აკრედიტივი (იხ. კომერციული აკრედიტივი).

კომპენსაციური აკრედიტივი (Back to Back (Countervailing) Letter of Credit) წარმოადგენს მყიდველისაგან გამყიდველის სახელის დამალვის საშუალებას. კრედიტი იხსნება შუამავალი ორგანიზაციის სახელზე, გამყიდველი გადასცემს მას ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას და შუამავალი ამზადებს მყიდველისათვის საკუთარ დოკუმენტებს. გამყიდველის სახელის დამალვის მიზეზია

გამყიდველსა და მყიდველს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესაძლებლობის თავიდან აცილება.

ანაზღაურებადი აკრედიტივი (Reimbursement Letter of Credit).

აკრედიტივი, რომელიც გამოწერილია ერთი ბანკის მიერ და მასზე გადახდას ასრულებს მეორე ბანკი. ამასთან, მეორე ბანკი, თავის მხრივ, სთხოვს მესამე ბანკს ამ აკრედიტივის მიხედვით გადახდილი თანხების ანაზღაურებას. როგორც წესი, პირველ ორ ბანკს არა აქვთ გახსნილი ერთმანეთთან საკორესპოდენტო ანგარიშები, მესამე ბანკი კი, წარმოადგენს ორივე ბანკის კორესპონდენტს. ამასთან, ასეთ აკრედიტივებში ლაპარაკია ისეთ ვალუტაზე, რომელიც არ გამოიყენება მყიდველის (აკრედიტივის გამომწერის) ან გამყიდველის მიერ. აკრედიტივის გამოწერის შემდგომ, კორესპოდენტი გადამხდელ ბანკს აძლევს უფლებას გაანადღოს წარმოდგენილი თამასუქები.

აკრედიტივი გადავადებული გადახდით (Deferred Payment Letter of Credit). აკრედიტივი, რომელშიც გამყიდველი მიუთითებს, რომ თამასუქი შეიძლება იყოს განადღებული მოგვიანებით. მაგალითად, კონოსანმენტის თარიღიდან ან დოკუმენტების წარდგენიდან 90 დღის განმავლობაში.

საექსპორტო აკრედიტივი (Export Letter of Credit).

აკრედიტივი, რომელიც გახსნილია ბანკის მიერ ქვეყნიდან ექსპორტის დაფინანსების მიზნით. გამომწერმა ბანკმა შეიძლება სთხოვოს მეორე ბანკს, მოახდინოს ბენეფიციარისათვის გამოწერილი აკრედიტივის დადასტურება ან ავიზირება.

ავიზირებული აკრედიტივი (AAdvised Letter of Credit)

საექსპორტო აკრედიტივი, გამოწერილი ერთი ბანკის მიერ მეორე ბანკზე, რომელშიც გამომწერი ბანკი სთხოვს მას, შეატყობინოს ბენეფიციარს, რომ მის სახელზე გახსნილია კრედიტი.

ის ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც გამომწერ ბანკს არ გააჩნია ორგანი ბენეფიციარის ქვეყანაში. აკრედიტივის ავიზირებისას, ბანკი თავის თავზე არ იღებს რაიმე ვალდებულებას.

დისკონტირების განაკვეთი (Discount Rate).

განაკვეთი, რომლის მიხედვითაც ხდება მომავალი შემოსავლების ან ხარჯების დისკონტირება (შემცირება). დისკონტირებისას მხედველობაში მიიღება დროის ფაქტორი და საბანკო საპროცენტო განაკვეთი. მაგალითად, თუ ერთი წლის განმავლობაში მისაღებია 100 ლარის ოდენობის თანხა, მისი დღევანდელი ღირებულება ნაკლებია 100 ლარზე, რადგანაც ნებისმიერ პიროვნებას ურჩევნია მიიღოს ეს 100 ლარი დაუყოვნებლივ, რადგანაც დღევანდელი ასი ლარი შეიძლება ინვესტირებული იყოს რ საპროცენტო განაკვეთის ქვეშ, რაც ერთი წლის შემდეგ მოგვცემს 100x(1+r) ლარს. ამგვარად სულ ერთია, გვექნება 100 ლარი დღეს თუ 100x(1+r) ლარი ერთი წლის შემდეგ. 100 ლარი ერთი წლის შემდეგ, იგივეა, რაც 100/(1+r) დღეს. r-ს ეწოდება დისკონტირების განაკვეთი.

დოკუმენტური კრედიტი (Documetnary Credit)

არის კომერციული აკრედიტივი, რომელიც გამოიყენება ბანკის მიერ ბენეფიციარისათვის თანხების გადახდისას. გადახდა ხდება მას შემდეგ, რაც ის წარადგენს აკრედიტივის პირობაში ნახსენებ დოკუმენტებს.

დადასტურებული აკრედიტივი (Confirmed Letter of Credit).

აკრედიტივი გამოწერილია იმპორტიორის ქვეყანაში ადგილობრივი ბანკის მიერ, რომელიც დასტურდება ექსპორტიორი ქვეყნის ბანკის მიერ. დამადასტურებელი ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, გაანადღოს აკრედიტივი აკრედიტივის პირობის შესრულების დამადასტურებელი საბუთების წარდგენისას. ამგვარად, ბენეფიციარს ეძლევა უპირობო გარანტია იმისა, რომ თუ აკრედი-

ტივის გამომწერი ბანკი არ გაანაღდებს თამასუქს, დამადასტურებელი ბანკი გადაუხდის მას თანხას ან მოახდენს თამასუქის აქცეპტირებას. ხშირ შემთხვევებში გამყიდველი (ექსპორტიორი) ითხოვს, რომ აკრედიტივი დადასტურებული იყოს სხვა ბანკის მიერ, რადგან ის კარგად არ იცნობს აკრედიტივის გამომწერ ბანკს, ან იღებს ზომებს, რათა დაიზღვიოს თავი მისთვის არახელსაყრელი ვალუტის გადაცვლის წესებისაგან, უცხოური ვალუტის დეფიციტისაგან, პოლიტიკური არასტაბილურობისაგან ან იმ სხვა გართულებისაგან, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ადგილი უცხო ქვეყანაში.

დაუდასტურებელი აკრედიტივი (Unconfirmed Letter of Credit)

(იხ. ავიზირებული აკრედიტივი)

რევოლვერული აკრედიტივი (Revolving Letter of Credit) აკრედიტივი, რომელიც გამოწერილია გარკვეულ თანხაზე და შეიძლება განახლდეს დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. ჩვეულებრივ, აკრედიტივის გამოუყენებელი ნაწილი გროვდება იმ შემთხვევაში, თუ თამასუქები გამოიწერა აკრედიტივის ვადის გასვლამდე.

სარეზერვო აკრედიტივი (Standby Letter of Credit) აკრედიტივი, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებას გამომწერი მხრიდან ბენეფიციარისადმი:

- აუნაზღაუროს თანხა რომელიც ნასესხები ან აღებული იყო ავანსად გადამხდელი მხარის მიერ.
- გადაიხადონ თანხები გადამხდელი მხარის სახელით.
- გადაიხადონ თანხა იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი მხარე ვერ მოახერხებს შეასრულოს აღებული ვალდებულებანი.

გადაცემადი აკრედიტივი (Transferable Letter of Credit)

აკრედიტივი, რომლის მიხედვითაც ბენეფიციარს უფლება აქვს უბრძანოს ბანკს, რომელიც ახდენს თამასუქების განაღდებას ან გადახდას აკრედიტივის მიხედვით, გადასცეს უფლება აკრედიტივზე მესამე მხარეს (მეორე ბენეფიციარს). კრედიტის გადაცემა შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ გამომწერი ბანკის ნებართვის შემდეგ. ამასთან, აკრედიტივის პირობაში მითითებული უნდა იყოს, რომ ის წარმოადგენს გადაცემად აკრედიტივს და შეიძლება გადაიცეს აკრედიტივის მთლიანი მოცულობა ან მხოლოდ მისი ნაწილი.

აკრედიტივი გადაცემის უფლების გარეშე (Nontransferable Letter of Credit)

აკრედიტივი, რომლის პირობის მიხედვითაც, ბენეფიციარს არა აქვს უფლება გადასცეს ის მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე მხარეს.

აკრედიტივი ტრატების ნეგოციაციით (Negotiation Letter of Credit) აკრედიტივი, რომელიც მოითხოვს ტრატების ნეგოციაციას (ჩვეულებრივად ბენეფიციარის ადგილობრივ ბანკში) კრედიტის ვადის გასვლამდე. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპორტიორი და აკრედიტივის დამადასტურებელი ბანკი იმყოფებიან სხვადასხვა ქალაქებსა ან ქვეყნებში და საქონლის გადამგზავნი ვერ ასწრებს დროულად წარუდგინოს დოკუმენტაცია დამადასტურებელ ბანკს. ასეთ შემთხვევაში გადამგზავნი წარადგენს დოკუმენტებს ადგილობრივ ბანკში.

მოგზაურის აკრედიტივი (Traveller's Letter of Credit.)

აკრედიტივი, რომელშიც გამომწერი ბანკი, სთხოვს თავის კორესპონდენტებს, მოახდინონ ბენეფიციარის მიერ გამოწერილი თამასუქების განაღდება და გადაუხადოს მას დადგენილი თანხა, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი შესძლებს თავისი პიროვნების

დადასტურებას. კლიენტს გადაეცემა კორესპოდენტი ბანკების სია. საგადაცემო წარწერა კეთდება კორესპოდენტი ბანკის მიერ აკრედიტივის უკანა მხარეს, თამასუქის განაღდების პროცესში. როგორც წესი, ამ სახის აკრედიტივებზე კლიენტი წინასწარ იხდის თანხას.

საბანკო აქცეპტი (Banker's Acceptance) ვადიანი თამასუქი ან აქცეპტი, რომელიც იყო გამოწერილი ან აქცეპტირებული ბანკის მიერ. ის ბანკი, რომელიც ახდენს საბანკო აქცეპტის აქცეპტირებას, თავის თავზე იღებს გადახდის ვალდებულებებს (იხ. აცეპტი).

აქცეპტორი ბანკის ვალდებულებანი (Banker's Acceptance Liability) აქცეპტირების შემდეგ, აქცეპტი აღირიცხება, როგორც ბანკის ვალდებულება სათანადო ანგარიშზე (აქცეპტირებული აქცეპტები) ვადების მიხედვით. მოპირდაპირე ანგარიში იმყოფება აქტივების მხარეს (კლიენტთა ვალდებულებანი აქცეპტების მიხედვით). საბანკო აქცეპტის ვადის დადგომისას, ბანკი გადარიცხავს სახსრებს კლიენტის ანგარიშიდან და გაანაღდებს აქცეპტს ბენეფიციარისათვის დადგენილი თანხის გადახდის საშუალებით, რის შემდეგაც იხურება ბანკის ვალდებულება და ოპერაცია ითვლება დამთავრებულად.

ბარტერი (Barter)

საქონლის ურთიერთგაცვლა მისი ღირებულების მიხედვით, რომელიც გამოიყენება როგორც ურთიერთკომპენსაციის საშუალება. ზოგჯერ ასეთი მეთოდს ხმარობენ, ეროვნული ვალუტის ბლოკირების შემთხვევაში.

ბენეფიციარი (Beneficiary)

ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც იღებს თანხებს აკრედიტივის ან თამასუქის მიხედვით.

გადასაყვანი თამასუქი (Bill of Exchange)

წარმოადგენს უპირობო განკარგულებას წერილობითი ფორმით, რომელიც გაიცემა ერთი მხარის ექსპორტიორის მიერ და ავალდებულებს მეორე მხარეს, ანუ იმპორტიორს გადაუსახადოს მესამე პირს გარკვეული რაოდენობის თანხა, გარკვეული თარიღისათვის, მისი მოთხოვნების შესაბამისად. გადასაყვანი თამასუქი და ტრატა ერთი და იგივეა.

სატრანსპორტო ზედნადები, კონოსამენტი (Bill of Lading)

წარმოადგენს დოკუმენტს (ზედნადებს), რომელიც გამოიწერება ტვირთის გადამტანი ორგანიზაციის მიერ იმ პირზე, რომელიც ახდენს ერთი პუნქტიდან მეორეში ტვირთის ტრანსპორტირებას. სატრანსპორტო ზედნადები (კონოსამენტი) გამოიყენება, როგორც ტვირთის საბუთი და კონტრაქტი ტვირთის გამგზავნსა და ტვირთის ტრანსპორტიორს შორის. დოკუმენტი შეიცავს ვალდებულებას ერთი პუნქტიდან მეორეში ტვირთის ტრანსპორტირებაზე, განსაზღვრული პირისათვის მისი ჩაბარების ჩათვლით. ძირითადად, ის გამოიწერება ორი სახით:გამგზავნის ან მიმღების ბრძანებით, ანუ „ორდერული კონოსამენტი", რომლის მიხედვითაც ტვირთი უნდა ჩაბარდეს კონკრეტულ პირს ან მისი ბრძანების თანახმად, მის აგენტებს ან წარმომადგენლებს, პირდაპირი ანუ სახელობითი, როდესაც ტვირთი გადაეცემა მხოლოდ და მხოლოდ საბუთში დასახელებულ პირს.

სუფთა სატრანსპორტო ზედნადები (Clean bill of lading)

სატრანსპორტო ზედნადები, რომლის მიხედვითაც აღწერილი საქონელი მიღებულია „კარგ მდგომარეობაში" ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე. სუფთა თამასუქი (Clean Draft) თამასუქი წარმომდგენზე ან ვადიანი თამასუქი, რომელსაც არა აქვს დართული ისეთი საბუთები, როგორიცაა: ტრანსპორტირების საბუთები,

სატრანსპორტო ზედნადები ან დაზღვევის სერტიფიკატები. ის არ განსხვავდება ე.წ. „დოკუმენტური თამასუქისაგან“(იხ. განმარტება).

კონსიგნაცია (Consignment)

საქონელის ფიზიკურად გადაცემა გამყიდველიდან ანუ კონსიგნატენტიდან (Consignor) სხვა იურიდიული პირისათვის, კონსიგნატორისათვის (Consignee), რომელიც ასრულებს შუამავალი გამყიდველის როლს, ახდენს საქონლის რეალიზაციას და გადასცემს წმინდა ამონაგებს კომიტენტს.

ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი (ფ.დ.ფ) (Cost Insuarance Freight-C.I.F)

პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ფარავს საქონლის ტრანსპორტირების ყველა ხარჯს.

საკონსულოს დოკუმენტები (Consular Documents)

კონოსამენტი, საქონლის მწარმოებლის სერტიფიკატი ან სპეციალური სახე ანგარიშ- ფაქტურისა, ხელმოწერილი იმ ქვეყნის კონსულის მიერ, რომელშიც იგზანება ეს საქონელი.

საკონსულოს ანგარიშ-ფაქტურა (Consular Invoice)

გამოგზანილი საქონლის დეტალური აღწერა, ოფიციალურად ხელმოწერილი იმ ქვეყნის კონსულის მიერ, რომელშიდაც იგზავნება ტვირთი. მოითხოვება რიგ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით. ამ დოკუმენტის დანიშნულებაა დეტალურად აღწეროს გამოგზავნილი საქონელი, მისი ხარისხი და ღირებულება, საბაჟო და სტატისტიკის მიზნებისათვის.

დოკის ქვითარი (Dock Reciept)

ქვითარი, რომელსაც გასცემს საზღვაო სატრანსპორტო კომპანია, როდესაც საქონელი შედის მის დოკში ან პაკგაუზში; ზღვით შემდგომი ტრანსპორტირებისათვის.

დოკუმენტური თამასუქი (Documentary Draft)

თამასუქი, რომელსაც დართული აქვს ის დოკუმენტები, რომელიც წარედგინება იმპორტიორს გადასახადის და ტვირთის გადაცემამდე. ამ საშუალებით მოწმდება საქონლის მიწოდება.

დოკუმენტები (Documents)

სატრანსპორტო და სხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც როგორ წესი, ერთვის გაგზავნილი საქონლის თამასუქს და ადასტურებს საზღვაო კონოსამენტის, დაზღვევის დოკუმენტაციისა და კომერციული ანგარიშ-ფაქტურისაგან. აგრეთვე, შეიძლება მოიცავდეს საქონლის წარმოების სერტიფიკატს და საკონსულოს ანგარიშ-ფაქტურას.

დოკუმენტები აქცეპტის სანაცვლოდ (Documents Against Acceptance D/AA) ექსპორტიორის ინსტრუქცია თავისი ბანკისადმი, რომლის მიხედვითაც თამასუქზე დართული დოკუმენტები გადაეცემა იმპორიორს მხოლოდ თამასუქის აქცეპტირების შემდეგ.

დოკუმენტები გადახდის სანაცვლოდ (Documents Against Payment D/AA) ექსპორტიორის ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც დოკუმეტები გადაეცემა იმპორტიორს მხოლოდ გადახდის შემდეგ.

გადასაყვანი თამასუქი (Draft)

გადასაყვანი თამასუქი წარმოადგენს წერილობით ბრძანებას, ხელმოწერილს ერთი მხარის (ექსპორტიორის) მიერ, რომელშიც ის სთხოვს მეორე მხარეს (იმპორტიორს) გადაუხადოს მესამე მხარეს, დადგენილი თარიღისათვის, განსაზღვრული თანხა. თამასუქი შეიძლება გამოიწეროს გადაცემის უფლების გარეშე. თამასუქები გამოიყენება კომერციული გარიგებების წარმოებისას, როდესაც გამყიდველი წინასწარ უთანხმდება მყიდველს საქონლის გადაცემამდე. თამასუქი შეიძლება იყოს გამოწერილი გამყიდველის (იმპორტიორის) მიერ და შეიცავდეს ბრძანებას მყიდველისადმი (ექსპორტიორისადმი), გადაუხადონ მყიდველს ან მყიდველის ბანკს

შესყიდული საქონლის საფასური. თამასუქს შეიძლება თან ერთვოდეს სატრანსპორტო ზედნადები-კონოსამენტი, რომელსაც ბანკი გადასცემს მყიდველს გადახდის შემდეგ. ამის შემდეგ, მყიდველი ითხოვს ტვირთს სატრანსპორტო კომპანიისაგან, რომელსაც მიაქვს ის კლიენტის საქმიანობის ადგილზე.

თამასუქი შეიძლება იყოს კლასიფიცირებიული ვადების მიხედვით. მაგალითად, ვადიანი წარმომდგენელზე ან აქცეპტირებული თამასუქი, ანუ თამასუქი, რომელზედაც გადახდა შეიძლება მოხდეს წარდგენიდან ან აქცეპტირებიდან 30, 60, 90 ან მეტი დღის შემდეგ.

ექსპორტიორი (Drawee)- პირი, რომელზედაც გამოიწერება თამასუქი.

იმპორტიორი (Drawer)- თამასუქის გამომწერი ან ხელისმომწერი

საბაჟო გადასახადები (Duties):

ა. **საბაჟო გადასახადი საქონლის ღირებულების მიხედვითთ, (Ad Valorem Duty)** წარმოადგენს გადასახადს, რომლის ოდენობაც გამოითვლება საქონლის ღირებულებიდან გამომდინარე.

ბ. **სპეციფიური საბაჟო გადასახადი (Specific Duty)** გამოითვლება გამომდინარე ტვირთის წონიდან ან რაოდენობდან და არ არის დამოკიდებული მის ღირებულებაზე ან საბაზრო ფასზე.

გ. **ბაჟის უკან დაბრუნება (Drawback)** წარმოადგენს გადახდილი ბაჟის ამა თუ იმ ფორმით მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქონლის რეექსპორტირებისას.

საექსპორტო კრედიტის დაზღვევა (Export Credit Insuarance)

გაცემული საექსპორტო კრედიტების სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევისაგან დაზღვევის სახეობა. ზოგიერთ ქვეყანაში ხდება მხოლოდ არაკომერციული ხასიათის რისკისაგან დაზღვევა. სხვადასხვა ქვეყნებში დაზღვევას ახდენენ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციები.

საექსპორტო დეკლარაცია (Export Declaration)

დოკუმენტი, რომელსაც მოითხოვს აშშ მთავრობა საქონლის ექსპორტისას და გამოიყენება ამერიკის ექსპორტის აღრიცხვის მიზნით.

ფრანკო ხომალდამდე (Free Alogside Ship-F.A.S.) პირობა, რომლშიც იგულისხმება, რომ გამყიდველი უფასოდ ახდენს საქონლის ტრანსპორტირებას ხომალდამდე და საჭიროების შემთხვევაში ფარავს ტრანსპორტირების ხარჯებს.

ფრანკო სატრანსპორტო საშუალებამდე (დანიშნულების ადგილამდე) (Free on Board (Destination.))

პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ახდენს საქონლის დატვირთვას სატრანსპორტო საშუალებაზე დათქმულ ადგილას. შემდეგი ხარჯები და რისკი უნდა გაწიოს მყიდველმა. **ფრანკო ხომალდის გემბანზე (ხომალდამდე) (Free on Board (Vessel.))** პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი თავის ხარჯზე ახდენს ტვირთის ტრანსპორტირებას გემით დანიშნულების პუნქტამდე, შემდგომი ხარჯები და რისკი უნდა გასწიოს მყიდველმა.

პორტო ფრანკო (Free Port)

უცხოური ვაჭრობის ზონა, რომელიც ღიაა ყველა ვაჭრისათვის და რომელშიც ყველა ვაჭარი მუშაობს თანაბარ პირობებში. ამასთან, საქონლის შენახვა ხდება ბაჟის გადახდის გარეშე, იმ პირობით, რომ არ მოხდება საქონლის რეექსპორტი ან გაყიდვა იმავე ქვეყნის შიგნით.

თავისუფალი ვაჭრობის რაიონი (Free Trade Area)

რამდენიმე ქვეყნის შეთანხმებით განისაზღვრება თავისუფალი ვაჭრობის რაიონი, თუმცა, ყოველი ქვეყანა ინარჩუნებს საკუთარ ტარიფებს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ შეთანხმების წევრებს. არ უნდა აგურიოთ თავისუფალი ვაჭრობის

ზონაში, რომელიც წარმოადგენს უცხოური ვაჭრობის ზონის სინონიმს.

საზღვაო დაზღვევა (Marine insuarance)

1. **ავარია-(Average)** - ტერმინი, რომელიც გამოიყენება საზღვაო დამზღვევი კომპანიების მიერ საქონლის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში.

2. **საერთო ავარია - (General Average)** - ზარალი, რომელსაც ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის ნაწილს აგდებენ გემიდან რათა გადაარჩი ნონ მთლიანი ტვირთი, გემი და გემის ეკიპაჟი. როგორც წესი, ასეთი ზარალი ნაწილდება არა მარტო ტვირთის მფლობელებზე, არამედ გემის მფლობელებზეც მანამ, სანამ გადახდილი იქნება შეფასებული ზარალის თანხა მთელი ტვირთს ედება ყადაღა.

3. **ნაწილობრივი ავარია-(Particular average)**- საქონლის ნაწილობრივი დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი, რომელიც მოხდა დაზღვევის პირობებში ნახსენები მიზეზების გამო და არ ეკუთვნის საერთო ავარიის კატეგორიას.

4. **ფრანკო ნაწილობრივი ავარიის შემთხვევაში-(Free of Particular Average (F.P.A.))** - დაზღვევა ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, ზარალის სიდიდისგან დამოუკიდებლად.

5. ორივე მხარის მიზეზით მომხდარი **შეჯახების შემთხვევისაგან დაზღვევა (Both to Blame Collision Clause)** - დაზღვევა იმ შემთვევებისაგან, როდესაც ზოგიერთი კონოსამენტის პირობების მიხედვით, სატრანსპორტო კომპანია თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ზარალი გამოწვეულია გემების ისეთი შეჯახებით, რომელზეც პასუხს აგებს ორივე გემის კაპიტანი.

ა. **კორპუსის დაზღვევა (Casco Insurance)** - საზღვაო დაზღვევის პირობა, როდესაც დაზღვეულია გემის კორპუსი.

ბ. **ცნობა გადაფარვის შესახებ (Cover Note)**- სადაზღვევო კომპანიის წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ, რომ სადაზღვევო პოლისი ჯერ კიდევ ძალაშია და იძლევა დაზღვევის ზოგიერთი პირობების მოკლე აღწერას.

გ. **ღია პოლისი (Openn Policy)** - კონტარქტი სადაზღვევო კომპანიასა და ტვირთის გადამგზავნს შორის, რომლის მიხედვითაც ყველა ტვირთი ავტომატურად იზღვევა გაგზავნის მომენტიდან იმ დრომდე, სანამ ის მიაღწევს დანიშნულების ადგილს.

საზღვაო დაზღვევის პოლისი (Marine Insuarance Policy) სადაზღვევო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანია თავის თავზე იღებს ვალდებულებას, მოახდინოს იმ ზარალის კომპენსაცია, რომელიც წარმოიქნება საზღვაო ტრანსპორტირების სპეციფიკიდან გამომდინარე. საზღვაო დაზღვევა ჩვეულებრივი დაზღვევისგან განსხვავებით, ითვალისწინებს არა მარტო ხანძრის შემთხვევებს, არამედ მეკობრეობას, გემის დაღუპვას და სხვა საზღვაო ხიფათებს.

არარევოლვერული საკრედიტო ხაზი (Nonrevolving)

საკრედიტო ხაზი, რომლის პირობების მიხედვით, მას შემდეგ, რაც გაიცემა კრედიტების დადგენილი მოცულობა, აღარ შეიძლება დამატებითი კრედიტების გაცემა.

საოკეანო კონოსამენტი (Ocean Bill of Lading) დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია გემის კაპიტნის, სავაჭრო აგენტების, ან გემის მფლობელების მიერ და წარმოადგენს ტვირთის ზღვით გაგზავნის დასაბუთებას. ამასთან, ეს დოკუმენტი წარმოადგენს ქვითარს საქონელზე და ტვირთის გადატანის კონტრაქტს (იხ. კონოსამენტი).

კონოსამენტი მიმღების ბრძანების სახით (ორდერული კონოსამენტი) (Order Bill of Lading)

კონოსამენტი, გამოწერილი ერთ-ერთი მხარის, როგორც წესი, ბანკის ან საქონლის გადამგზავნის ბრძანებით და რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს გაცემის ხელმოწერა (ინდოსამენტი), რათა შესაძლებელი გახდეს კონსიგნატორისათვის მისი გადაცემა.

ორდერული შეტყობინებითი კონოსამენტი (Order ~Notify~ Bill of Lading)

კონოსამენტი, გამოწერილი ბანკის ან საქონლის გადამგზავნის მიერ იმ პირობით, რომ კონსიგნატორს გაუგზავნიან შეტყობინებას ტვირთის ჩამოსვლის შესახებ. ამასთან, კონსიგნატორის სახელი არ არის ნახსენები დოკუმენტის დასახელებაში.

რევოლვერული საკრედიტო ხაზი (Revolving Line of Credit)

საკრედიტო ხაზი, რომლის პირობების მიხედვითაც მსესხებელს ეძლევა უფლება, მიიღოს სახსრები თავისი საჭიროებისდა მიხედვით. ამასთან, ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული ძირითადი თანხის ნაწილის დარუნების შემთხვევაში კრედიტების გაცემა ახლდება.

თამასუქი (ტრატა) წარმომდგენზე (Sight Draft)

თამასუქი, რომელზედაც სრულდება გადახდა მისი იმპორტიორისადმი წარდგენისას ან წარდგენის შემდეგ, დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში, რასაც ეწოდება განაღდების პერიოდი.

ვადაგასული კონოსამენტი (Stale Bill of Lading)

კონოსამენტი, რომელიც არ იყო წარდგენილი აკრედიტივთან ერთად გამომწერ ბანკში დადგენილი დროის პერიოდის განმავლობაში, რის გამოც ის ვერ მიიღეს იმ მომენტისათვის, როდესაც გემმა ჩამოიტანა საქონელი პორტში.

პირდაპირი კონოსამენტი (Straight Bill of Lading)

კონოსამენტი, რომელიც მოითხოვს პირდაპირ კონსიგნაციას და არ საჭიროებს სხვისთვის გადაცემას (ნეგოციაციას).

თამასუქის განაღდების ვადა (Tenor)

ის ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს თამასუქის განაღდება, ანუ დღეების ის რაოდენობა, რომლებიც შეიძლება გავიდეს თამასუქის გამოწერიდან ან წარდგენიდან.

ტრანზიტული კონოსამენტი (Through Draft)

კონოსამენტი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის ტრანსპორტირება ხდება რამდენიმე ტრანსპორტიორის მიერ. მაგ. გემით, მატარებლით და ა.შ.

ვაჭრობის პირობები (Terms of Trade)

თანაფარდობა ქვეყნის საიმპორტო და საექსპორტო ფასებს შორის.

ვადიანი თამასუქი (Time Draft) თამასუქი, რომელიც განაღდებული უნდა იყოს წარდგენიდან ან აქცეპტირებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ე.ი. წარდგენიდან ან აქცეპტირებიდან რამდენიმე დღის დაგვიანებით.

სატრანსპორტო გარანტია (Shipside Bond)- გარანტია, რომლის თანახმადაც სატრანსპორტო კომპანია თავისუფლდება ქველა აუცილებელი საბუთის წარდგენის გარეშე საქონლის გადაცემის შედეგად წარმოქმნილ ზარალზე პასუხისმგებლობისაგან. ჩვეულებრივ, ამგავრი გარანტიის საფუძველს წარმოადგენს ექსპორტიორის კონტრგარანტია.

სავაჭრო აქცეპტი (Trade Accwptance) გამყიდველის (იმპორტიორის) მიერ, მყიდველზე (ექსპორტიორზე) გამოწერილი და მყიდველის მიერ აქცეპტირებული თამასუქი.

ქვითარი მინდობილობა (Trust Reciept)

გამოიყენება აკრედიტივების დაფინანსებისას. წარმოადგენს დოკუმენტს ან ქვითარს, რომლის მიხედვითაც მყიდველს მინდობილობით გადაეცემა ბანკის კუთვნილი საქონელი, რადგან ბანკი წარმოადგენს საქონლის მეპატრონეს. ამ შემთხვევაში მოვაჭრეს ეძახიან ნდობით აღჭურვილ პირს, ბანკი კი წარმოადგენს რწმუნების გამცემს. ქვითრის დანიშნულებაა ბანკისათვის საქონლის საფასურის გადახდამდე საქონლის გადაცემა მოვაჭრისათვის, მისი შემდგომი გაყიდვის მიზნით.

არაწმინდა კონოსამენტი (Unclean Bill of Lading)

კონოსამენტი, რომელშიც აღნიშნულია საქონლის დაზიანება, დამტვრეული ყუთების და გაფუჭებული შეკვრების ჩათვლით.

დოკუმენტური აკრედიტივის სტანდარტული წესები და პრაქტიკა (Uniform Customs and Practices for Documentary Credits)

წესების კრებული, შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ. იგი მოიცავს დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებულ საერთო მოთხოვნებს, წესებს, ფორმებსა და პასუხისმგებლობის აღწერას.

სასაწყობო ქვითარი (Warehouse Reciept)

დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია საწყობში მოთავსებული საქონელი ან ნედლეული. ასეთი ქვითრები შეიძლება იყოს გადაცემის უფლებით ან გადაცემის უფლების გარეშე. სასაწყობო ქვითარი გადაცემის უფლებით გამოწერილია წარმომდგენზე, ხოლო გადაცემის უფლების გარეშე გამოწერილ ქვითარში აღნიშნულია, რომ საქონელი უნდა გადაეცეს კონკრეტულ პიროვნებას. სასაწყობო ქვითარში ჩამოთვლილი საქონელი შეიძლება გამოტანილი იყოს რამოდენიმე მეთოდის გამოყენებით: ნაღდი ფულის გადახდის შემდეგ ან თუ საქონელი შეიცვლება ადეკვატური გირაოთი; საქონლის ნაწილი შეიძლება გაიცეს ქვითარ-მინდობილობის საფუძველზე, თანხის გადახდის გარეშე. ზოგიერთ შემთხვევაში, საწყობზე პასუხისმგებელმა მუშაკმა შეიძლება გასცეს წინასწარ დადგენილი საქონლის რაოდენობა გაცემაზე ბრძანების მიღების გარეშე. სასაწყობო ქვითარი ბანკის მიერ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაცემულია საწყობზე პასუხისმგებელი მუშაკის მიერ. ბანკი დარწმუნებული უნდა იყოს მიღებული ქვითრის იდენტურობაში და ქვითარში ჩამოთვლილი საქონლის რეალურობაში.

ელექტრონული ხელმოწერის მეთოდოლოგიური ტერმინოლოგია

ა) **„ელექტრონული ხელმოწერის ევროპის სტანდარტიზაციის ინიციატივა“** (EESSI (European Electronic Signature Standardisation Initiative) – პროექტი შექმნილი ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივის დანერგვის სტანდარტიზაციის მიზნით;

ბ) **„სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი“** (CSP (Certification Service Provider)) – ნებისმიერი რეგისტრირებული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გამოშვებას ან ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ მომსახურებას;

გ) **„სანდო სერვისის მიმწოდებელი“** (TSP (Trusted Service Provider) – სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP), რომელიც ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეული იქნება სანდო ერთეულად;

დ) **„სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი“** (CA) (Certification Authority) – ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გამომშვები სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP), რომლის სერვისითაც სარგებლობს ერთი ან ერთზე მეტი მომხმარებელი და მის მიერ გამოშვებული სერტიფიკატი სანდოა მესამე მხარისთვის;

ე) **„გაუქმებული სერტიფიკატების სია“** (CRL (Certificate Revocation List) – სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელშიც შეტანილია ის სერტიფიკატები, რომლებიც გაუქმდა ვადის გასვლამდე სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის ან კომერციული ბანკის ინიციატივით;

ვ) **„ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც გამოყენებული იქნება საბანკო სექტორში“** – „ელექტრონული ხელმოწერისა და

ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შესრულებული იქნება კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

ზ) **„განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“** (1999/93/EC დირექტივის შესაბამისად) – ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ზ.ა) დაკავშირებულია მხოლოდ ხელმოწერასთან;

ზ.ბ) მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმომწერის იდენტიფიცირება;

ზ.გ) შექმნილია ხელმოწერის შექმნისთვის აუცილებელი მონაცემების გამოყენებით, ისე რომ ხელმომწერი ხელმოწერის პროცესში უზრუნველყოფილია ნდობის მაქსიმალური პირობებით, რათა ხელმოწერა განხორციელდეს მისი ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ;

ზ.დ) დაკავშირებულია იმ მონაცემებთან, რომელსაც ხელმომწერი ხელს აწერს ისე, რომ ხელმოწერა იძლევა ამ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას;

თ) **„იდენტიფიცირება“** – ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით ხელმომწერის იდენტურობის დადგენა, რაც უკავშირდება ელექტრონულ ხელმოწერაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური მონაცემის მონაწილეობას. აღნიშნული არ გულისხმობს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ საქართველოს კანონისა და მის

საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ იდენტიფიცირებას;

ი) **„ხელმომწერი“** – ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას ისე, რომ ინარჩუნებს მასზე ერთპიროვნულ კონტროლს და მოქმედებს თავისი სახელით ან სხვა პირის სახელით, რომელსაც ის წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) **„ერთპიროვნული კონტროლი“** – ხელმომწერის გარდა არც ერთ პირს დამოუკიდებლად ან სხვა პირთან/პირებთან ერთად არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა ხელმომწერის ნაცვლად;

ლ) **„კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“** – განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის (SSCD) მეშვეობით და იყენებს კვალიფიციურ სერტიფიკატს;

მ) **„სერტიფიკატი“** – ელექტრონული დადასტურება, რომელიც აკავშირებს „ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემებს“ კონკრეტულ პირთან და ადასტურებს ამ პირის იდენტობას;

ნ) **„კვალიფიციური სერტიფიკატი“** – სერტიფიკატი, რომელიც გამოშვებულია იმ სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებლის (CSP) მიერ, რომელიც აკმაყოფილებს დირექტივის დანართი II-ის მოთხოვნებს და შეესაბამება ამავე დირექტივის დანართ I-ის მოთხოვნებს;

ო) **„ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემები“** – მონაცემები, როგორიცაა კოდები ან შიფრაციის გასაღები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად;

პ) **„ღია გასაღები“** (ამ დოკუმენტის მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც ხელმოწერის სერტიფიკატის ღია გასაღები) – „ელექ-

ტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ კანონის შესაბამისად ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის და გამოიყენება დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის სანდოობის დასადგენად;

ჟ) **„დახურული გასაღები“** (ამ დოკუმენტის მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც ხელმოწერის სერტიფიკატის დახურული გასაღები) – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, ხელმისაწვდომია მხოლოდ ხელმომწერისთვის და გამოიყენება დოკუმენტზე გასვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად;

რ) **„ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“** (Signature Creation Device) – პროგრამული უზრუნველყოფა ან/და მოწყობილობა (აპარატურა), რომელიც გამოიყენება „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების“ წარმოქმნისთვის;

ს) **„უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“** (SSCD) – ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა, რომელიც აკმაყოფილებს ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ტ) **„ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემები“** (signature-creation-data) – უნიკალური მონაცემების ერთობლიობა, როგორიცაა კოდები ან/და დახურული კრიპტოგრაფიული გასაღებები, რომლებიც გამოიყენება ხელმომწერის მიერ ელექტრონული ხელმოწერის შექმნისთვის;

უ) **„ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები“** – ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, სტატიკური და დინამიკური მონაცემების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ ხელმოწერას-

თან, უნიკალურია თითოეული ხელმომწერი პირისთვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება და, შესაძლოა, შეიცავდეს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მიერ განსაზღვრულ სხვა, დამატებით მონაცემებს;

ფ) **„ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილი“** – ღია და დახურული გასაღები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისა და დეშიფრაციისთვის;

ქ) **„შიფრაციის ღია გასაღები“** – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში და გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის;

ღ) **„შიფრაციის დახურული გასაღები“** – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, ცნობილია მხოლოდ იმ პირისთვის, რომელმაც განახორციელა გასაღების წყვილის გენერირება ან/და ახორციელებს მის მართვას და გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციისთვის;

ყ) **„ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირება და მართვა“**:

ყ.ა) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირება საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და იმ ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, რასაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ შესაბამისად;

ყ.ბ) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის დახურული გასაღების უსაფრთხო და საიმედოდ შენახვა, ასევე, დაცულ მატარებელზე დატანილი შიფრაციის დახურული გასაღების ასლის ეროვნული ბანკისათვის დაცული სახით გადაცემა მისი შენახვის მიზნით;

ყ.გ) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის ღია გასაღების დაცული გზით გადაცემა ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მწარმოებლისთვის ან დამკვეთი კომერციული ბანკისთვის;

ყ.დ) ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაცია და მიღებული ინფორმაციის ამავე ექსპერტიზის განმახორციელებელი პირისთვის გადაცემა;

ყ.ე) ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში, ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებასა და მართვასთან დაკავშირებული არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება და მართვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;

ყ.ვ) ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ევროკავშირში არსებული სარეკომენდაციო ალგორითმების და ტექნიკური ფორმატების გამოყენების შესახებ ამ ტერმინით განსაზღვრული ფუნქციის შემსრულებელი პირის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის მიწოდება როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე, კონტრაქტორი კომერციული ბანკებისთვის;

შ) **„ელექტრონული შტამპი“** – კომერციული ბანკის მიერ შესრულებული ელექტრონული დადასტურება, რომელიც მიბმუ-

ლია ელექტრონულ დოკუმენტზე და ადასტურებს ამ კომერციული ბანკის მიერ ელექტრონული დოკუმენტის მომზადებას;

ჩ) **„საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“** – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სანდო და დაცული გარემოს შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რაც, ასევე, წარმოადგენს კომერციული ბანკის ან უცხოური ბანკის ფილიალის (საბანკო სექტორი) მიერ, ეროვნულ ბანკთან შესათანხმებლად წარსადგენი უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის საფუძველს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე რ. – საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია (მონოგრაფია), საქ. ტექნ. უნ-ტი. მე-2 გამოცემა. – თბილისი, უნივერსალი, 2015. – 234 გვ.
2. ასათიანი რ. – თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. –თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014. – 564 გვ.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. – მენეჯმენტი და ადმინისტრირება (სახელმძღვ.), – თბილისი, 2011. – 832 გვ.
4. ბერიძე რ. – საბანკო მენეჯმენტი (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009, 363 გვ.
5. ბურდიაშვილი რ. – ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. – თბილისი, გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“, 2013.
6. გოგოხია მ. – საბანკო საქმე (ლექციების კურსი). – თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია” – 2008. – 414 გვ.
7. დათაშვილი ვ., გვარუციძე ა. – მომსახურების მარკეტინგი (სახელმძღვ.) თბილისი, ევროპული უნ-ტი, 2013. - 160 გვ.
8. ელიავა ლ. – საბანკო კრიზისების პროგნოზირება, გამომც. „დარბეგი“, 2013. – 403 გვ.
9. იაშვილი გ., ქოქიაური ლ. – ბრენდ-მენეჯმენტი (სახელმძღვ.) თბილისი, ტექნ. უნ-ტი, 2012. - 403 გვ.
10. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. – საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. თბილისი, საგ. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009.
11. ინგოროყვა ა., ფიჩხაია ზ., ფიჩხაია ი. – საბანკო ოპერაციები: ლექციების კურსი. – თბილისი, 2009. – 470 გვ.

12. ინგოროყვა ა. – საბანკო მენეჯმენტის ზოგადი საფუძვლები. – თბილისი, „ლამპარი“, 1997.
13. კაკულია რ., ხელაია გ. – ფულის მიმოქცევა და კრედიტის ზოგადი თეორია. – თბილისი, 2004. – 245 გვ.
14. კოვზანაძე ი. კონტრიძე გ. – თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა.-თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი”, 2014. – 548 გვ.
15. მაგრაქველიძე დ. – საბანკო ოპერაციების ინფორმაციული უსაფრთხოება. – (ლექციების კურსი), თბილისი 2014. – 149 გვ.
16. მოსიაშვილი ვ. – ფულის მიმოქცევა და კრედიტის თეორიები: ლექციების კურსი. – თბილისი, 2009. – 246 გვ.
17. პაპავა ვ. – „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითდი გამოწვევები. საქ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბ., 2013.
18. სილაგაძე ა. – ეკონომიკური დოქტრინები, გამომც. „ინოვაცია“, თბ., 2010.
19. ქისტაური ლ. ქისტაური შ. – თეორიები და ანტითეორიები: ფულის, ფინანსების, კრედიტის, პროცენტის. – თბილისი, გამომც. „ინტელქტი” 2001. – 174 გვ.
20. ქოქიაური ლ. – საბანკო საქმიანობის საფუძვლები. ტ. I-II. – თბილისი, სტუ-ის გამომც. – 2010. 1047 გვ.
21. ღუდუშაური ლ. – კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. – თბილისი, თსუ-ის გამომც. – 2007.
22. ცაავა გ., გავაშელი შ., ცაავა თ., – მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა. – თბილისი, გამ-ბა „უნივერსალი“, 2009.

23. ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ – საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, თბ., სებ-ი., 2006.
24. ცაავა გ. ხანთაძე გ. – საბანკო საქმე (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014, 600 გვ.
25. ხანთაძე გ., ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2012, 400 გვ.
26. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ“.
27. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“.
28. საქართველოს ეროვნული ბანკი: ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები – საქართველოს ეროვნული ბანკი - პირველი გამოცემა, 2008., 44 გვ.
29. კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო. www.nbg.gov.ge
30. დებულება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნილების შესახებ. www.nbg.gov.ge
31. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“. www.nbg.gov.ge
32. კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის მეთოდური სახელმძღვანელო. www.nbg.gov.ge
33. საქართველოს კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქცია. www.nbg.gov.ge
34. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

35. საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ";
36. ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივა (DIRECTIVE 1999/93/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL OF 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures);
37. ელექტრონული ხელმოწერის ევროპის ზედამხედველობის ფორუმი; სამუშაო დოკუმენტი განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით, 12 ოქტომბერი, 2004 Forum of European Supervisory Authorities for Electronic Signature, Working Paper on Advanced Electronic Signature, October 12.2004.
38. ევროპის ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის ინიციატივა (EESSI); საბოლოო ანგარიში, 20 ივლისი 1999 (European Electronic Signature Standardization Initiative (EESSI) Final Report of the EESSI Expert Team 20th July 1999).
39. ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი, ETSI TS 102 778-1 V1.1.1.; ელექტრონული ხელმოწერა და ინფრასტრუქტურა (ESI)PDF განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პროფაილი ნაწილი 1: PAdES მიმოხილვა – ჩარჩო სახელმძღვანელო PAdES-თვის (Part 1: PAdES Overview - a framework document for PAdES).
40. ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი, ETSI TS 102 778-2 V1.2.1.; ელექტრონული ხელმოწერა და ინფრასტრუქტურა (ESI)PDF განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პროფაილი ნაწილი 2: PAdES საბაზისო – პროფაილი დამყარებულია ISO 32000-1 სტანდარტზე (Part 2: PAdES BAsic - Profile based on ISO 32000-1).

41. ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი, ETSI TS 102 778-4 V1.1.1.; ელექტრონული ხელმოწერა და ინფრასტრუქტურა (ESI)PDF განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პროფაილი ნაწილი 4: გრძელვადიანი PAdES - PAdES LTV პროფაილი (Part 4: PAdES Long Term - PAdES-LTV Profile).
42. ინტერნეტ X.509 დია გასაღების ინფრასტრუქტურა; დროის აღნიშვნის პროტოკოლი (TSP); RFC 3161; აგვისტოს 2001 Internet X.509 Public Key Infrastructure Time-Stamp Protocol (TSP) RFC 3161 August 2001.
43. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ".
44. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ".
45. Lothrop H.,- How to Protect Your Bank from Rising Interest Rates: A Practical Guide to Community Bank Hedging Solutions, 2013.
46. Clifford Gomez.;-Banking and Finance-Theory, Law and Practice.;-PHI Learning Private limited, New Delhi. 2013.
47. Benton E. Gup.;-Banking and Financial Institutions;-A Guide for Directors, Investors, and Counterparties.;-Publ. by John Wiley & Sons Inc., Hoboken, New Jersey.; 2011.
48. Matz L., - Liquidity Risk Measurement and Management: Basel III And Beyond, Paperback, 2011.
49. Kovzanadze I. - Economic and Banking System Development Trends and Prospects for Counties in Transition. Printed in the United States of America, 2008.
50. Kovzanadze I. – Systemic and Borderline Banking Crises: Lessons Learned for Future Prevention, New York, Bloomington, 2010.

51. Thomas Liaw K. – The Business of Investment Banking: A comprehensive overview,- third edition, published by John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey. 2011, p. 378.
52. Навой А.В. - Централный банк в глобальном хозяйстве. - Москва: ГОУ ВПО "РЭУ им. Г.В. Плеханова", 2010. - 528 с.
53. Никитина Т.В. - Банковский менеджмент. СПБ.: Питер, 2002. 160 с.
54. Лаврушин О.И. и др. - Банковское дело: учебник, 8-ое изд., Москва, КНОРУС, 2009, 768 с.
55. Алавердов А.Р. - Стратегический менеджмент в комерческом банке. Москва, Маркет, 2007, 160 с.
56. Бор З.Н., Петренко В.В. - Менеджмент банков: организация, стратегия, планирование. М., 2005, 208 с.
57. Валенцова Н.В. - Сборник задач по банковскому делу. Москва: Финансы и статистика, 2007, 272 с.
58. Лаврушин О.И., Основы банковского дела, 3-е изд., М., 2013.
59. Лиакват А., Повелители финансов: Банкиры, перевернувшие мир, М., 2011.
60. Никонова И.А., Шамгунов Р.Н., Стратегия и стиоймость комеерческого банка, М., 2007.
61. Жарковксакая Е. П., Банковское дело, 8-е изд., М., 2011.
62. Синки Дж. Мл., Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустирии финансовых услуг, М., 2007.
63. www.parliament.ge
64. www.nbg.gov.ge
65. www.bis.org
66. www. abg.org.ge

67. www.centralbanking.com
68. www. imf.org
69. www.worldbank.org
70. www.ifc.org
71. www.oecd.org
72. www.gse.ge

ავტორების შესახებ

გიორგი ცაავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები: ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი (1999წ.); მონოგრაფია ორ ტომად: ტომი I – საბანკო მენეჯმენტი: ანალიზი, პრობლემები, სრულყოფის გზები და ტომი II – ფინანსური მენეჯმენტი: ფინანსური საქმიანობის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკუმი (2002წ.); საბანკო საქმე (ლექციების კურსი, 2005წ.); ფინანსური მენეჯმენტი: ფინანსების თეორიული საფუძვლები, საწარმოს ფინანსების მართვა, ფინანსური დაგეგმვა-ანგარიშგება და ანალიზი, კორპორაციული ფინანსები (2006წ. თანაავტორებთან ერთად), რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი (დამხმარე სახელმძღვანელო) (2007 წ.), საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები (სახელმძღვანელო, თანაავტორობით, 2009 წ.), ფინანსური მარკეტინგი (2009 წ.), მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა (დამხმარე სახელმძღვანელო, 2009 წ.), ფინანსური მენეჯმენტი (ორ ტომად, თანაავტორობით, 2011 წ.), ფინანსური ინჟინერია (ლექციების კურსი, 2013 წ.), საბანკო საქმე (თანაავტორობით, 2014 წ.), რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი ნაშრომი - სამეცნიერო სტატიები.

გიორგი ხანთაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

1995 წლიდან 2008 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტში. 2010 წელს იყო შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის" ეკონომიკისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მ/შ.

გამოცემული აქვს სამი სახელმძღვანელო - საბანკო ოპერაციები (თანაავტორობით, 2012 წ.), საჯარო ფინანსები (თანაავტორობით, 2013 წ.), საბანკო საქმე (თანაავტორობით, 2014 წ.), რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 40-მდე ნაშრომი - სამეცნიერო სტატიები.